

დავით გაბეჭდაშვილი

---

ნარკვევები  
ქართული რეალიზმის  
ისტორიიდან

II

---

სახელმწიფო გამომცემლობა  
თბილისი — 1957

## წინასიტყვაობა

1953 წელს გამოვიდა „ნარკვევების...“ პირველი წიგნი, რომელშიც შევიტანეთ მონოგრაფიები გასული საუკუნის 50-იანი წლების ქართულ რეალისტთა ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ.

„ნარკვევების...“ მეორე წიგნში შევეცადეთ გვეჩვენებინა განვითარების ის გზა, რომელიც კრიტიკულმა რეალიზმმა განვლო ქართულ ლიტერატურაში გაბატონებისათვის ბრძოლაში.

იმისათვის, რათა გამოგვეკვეთა კრიტიკული რეალიზმის ჩამოყალიბების პროცესის თავისებურებანი ქართულ ლიტერატურაში, შესავალში მოკლედ შევეხეთ ანალოგიური ხასიათის პროცესებს რუსულ და ევროპულ ლიტერატურაში (ამ უკანასკნელთა შესახებ მსჯელობისას ეყრდნობით ცნობილ საბჭოთა მკვლევართა ნაშრომებს).

წიგნის მოცულობამ გვაიძულა მასში არ შეგვეტანა ის თავები, რომლებშიც კახხილული გვაქვს კრიტიკული რეალიზმის განვითარება შემდგომ ეტაპზე (80—90-იანი წლები) და სოციალისტური რეალიზმის საწესების საკითხი. კვლამ ისინი წარმოდგებილი იქნება „ნარკვევების...“ მესამე წიგნში.

წინამდებარე ნაშრომი, მართალია, 1957 წელს გამოდის, მაგრამ ის გამოქვეყნობას გადაეცა ჯერ კიდევ 1955 წელს და წარმოებაშია 1958 წლიდან. ამიტომ შესაძლებლობა არ გვქონდა გაგვეთვალისწინებინა უკანასკნელ დროს გამოქვეყნებული ნაშრომებიც.

წიგნში შესული გამოკვლევების ხასიათსა და მნიშვნელობაზე წინასწარ, ცხადია, არაფერი გვეთქმის. ამის შესახებ თვით წიგნმა უნდა თქვას, რადგან შეითხველთან ის უფრო ახლოს იქნება. ჩვენ მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ ცდა არ დაგვიკლია წიგნი დაზღვეული ეოფილიყო შეცდომებისაგან, მაგრამ მასში თუ მაინც იქნება ხარვეზები და სადავო დებულებები, ავტორი მათ შესახებ გაკეთებულ კვლამ საქმიან შენიშვნას სიამოვნებით მიიღებს და გაითვალისწინებს.

დასასრულ, მადლობის გრძნობით მინდა აღვნიშნო ის დიდი დახმარება, რაც ცალკეულ საკითხებზე მუშაობისას კონსულტაციის სახით გამოვიყენე აწ განსვენებულმა პროფ. მ. კ. დობრინინმა, აკად. კ. კეკელიძემ და პროფ. ბ. ი. ბურსოვმა.



## შ ე ს ა ვ ა ლ ი

ლიტერატურის დანიშნულების არსი სინამდვილის მხატვრულ ასახვაში მდგომარეობს. ყოველი ლიტერატურული ნაწარმოების ღირსება იმით განისაზღვრება, თუ რამდენად სწორად და მაღალ-მხატვრულ სახეებში ასახავს სინამდვილეს, მის არსებით მხარეებს. ამ დიდი ამოცანის გადაწყვეტაში კი ერთ-ერთ მთავარ როლს შემოქმედებითი მეთოდი ასრულებს.

შემოქმედებითი მეთოდი,—მისი ხასიათი და თავისებურება, ისტორიულად დაკავშირებულია ცნობიერების, საზოგადოებრივი შეგნების განვითარების დონესთან. იგი შეპირობებულია ცხოვრების სინამდვილით; ამასთან, მისი საბოლოო სახის მიღებისა და სრულყოფის საქმეში უდიდეს როლს თამაშობს თვით შემოქმედის კლასობრივი ხედვა და მხატვრული ტალანტი.

შესაფერ ისტორიულ გარემოსა და ადამიანთა შემეცნების დონის შესატყვისად, ლიტერატურაშიც იცვლებოდა შემოქმედებითი მეთოდები, ან ადგილი ჰქონდა მათ განვითარებასა და კრიზისს. მთელი ამ პროცესის გათვალისწინება კი წარმოადგენს ლიტერატურის თეორიისა და ლიტერატურის ისტორიის საერთო ინტერესის საგანს.

თუ ლიტერატურის თეორეტიკოსი, ძირითადად, დაინტერესებულია ამა თუ იმ შემოქმედებითი მეთოდის საერთო ხასიათით, მისი თეორიული პრინციპების ბუნებითა და სათანადო ამხსნელი მიზეზებით, ლიტერატურის ისტორიკოსი მოწოდებულია აჩვენოს შესაფერი შემოქმედებითი მეთოდის ჩამოყალიბების წინააღმდეგობათა შემცველი პროცესი.

ლიტერატურის ისტორია კონკრეტული ლიტერატურული მასალის ანალიზის საფუძველზე ავლენს. იმ თავისებურებებს, რომლებიც ამა თუ იმ შემოქმედებით მეთოდს ჰქონდა სხვადასხვა ქვეყნის. ლიტერატურაში; ამასთან, აჩვენებს და ხსნის ამ თავისებურებათა მიზეზებს.

ლიტერატურის ისტორიკოსი აშკარას ხდის იმ ფაქტს, რომ „Художественная литература каждого народа отражает историческое своеобразие жизни и тем самым раскрывает свое богатство, свою национальную или народную специфику, свои черты, отличающие ее от литератур других народов“<sup>1</sup>.

მაგრამ, ცხადია, შეუძლებელია ლაპარაკი ამა თუ იმ შემოქმედებითი მეთოდის თავისებურებებზე ცალკეული ქვეყნის ლიტერატურაში, თუ პირველყოვლისა საფუძვლიანად არაა გათვალისწინებული მისი თეორიის საერთო, ზოგადი პრინციპები, რომლებიც მას განასხვავებენ სხვა მეთოდისაგან და საშუალებას გვაძლევენ ვიმსჯელოთ მასზე,— როგორც თვისობრივად განსხვავებულ შემოქმედებით მეთოდზე; ამასთან, გათვალისწინებულ უნდა იქნას ის ძირითადი თავისებურებანიც, რომლებიც მას სხვა ქვეყნების ლიტერატურაში ჰქონდა.

შემოქმედებით მეთოდთა ისტორიისა და თეორიის გათვალისწინება მაინც იმაში გვარწმუნებს, რომ ლიტერატურაში საქმე გვაქვს, ძირითადად, ორ მთავარ მეთოდთან: რეალიზმთან და რომანტიზმთან. ჯერ კიდევ მაქსიმ გორკი შენიშნავდა, რომ „ლიტერატურაში ძირითად მიმდინარეობებად“ თუ მიმართულებებად ითვლება ორი: რომანტიზმი და რეალიზმი“<sup>2</sup>.

ცხადია, თავისი განვითარების სხვადასხვა ეტაპზე, საზოგადოებრივი ცხოვრების შესატყვისად, არც ეს ორი ძირითადი მეთოდი გამოიყურება ერთი და იმავე სისრულით, მაგრამ მათი ამოსავალი ყოველთვის იყო ან ობიექტური სინამდვილე და მისი განვითარების კანონზომიერი მსვლელობა, ან საკუთარი „მე“ და ცხოვრების განვითარების ისტორიული კანონზომიერების ვერგაგება და მისდამი სუბიექტური დაპირისპირება.

ვ. ი. ლენინმა რომანტიკოსთა და რეალისტთა გენიალური დახასიათებით მოგვცა რომანტიკულ და რეალისტურ მეთოდთა შეფასებაც.

ვ. ი. ლენინი აღნიშნავს, რომ რომანტიკოსს „სრულიად არ აინტერესებს ნამდვილი პროცესის შესწავლა და მისი გამორკვევა; მას ესაქიროება მხოლოდ მორალური ან პროცესის წინააღმდეგ“; „რომანტიკოსი ზურგს აქცევს ნამდვილი განვითარების კონკრეტულ საკითხებს და ოცნებებს ეძლევა, რეალისტი-კი

<sup>1</sup> М. К. Добрынин. Общественное значение художественной литературы, 1952, стр. 23.

<sup>2</sup> „М. Горький о литературе“, 1937, стр. 203.

დადგენილ ფაქტებს იღებს კრიტიკრიუმად კონკრეტული საკითხის გარკვეული გადაწყვეტისათვის<sup>1</sup>.

შესატყვისად კონკრეტული ვითარებისა და ადამიანთა ცნობიერების დონისა, რეალისტური და რომანტიკული მეთოდები ლიტერატურაში იღებდა თავისებურ სახეს, აღწევდა განვითარების ახალ ეტაპებს. ამ ახალ ეტაპებზე კი იქმნებოდნენ ახალი ლიტერატურული მიმართულებები (კლასიციზმი, სენტიმენტალიზმი. რომანტიზმი, კრიტიკული რეალიზმი, ნატურალიზმი და სხვ.), რომლებიც წარმოადგენენ ამ ორი ძირითადი მეთოდის გამოხატულებას გარკვეულ ისტორიულ-ლიტერატურულ ვითარებაში.

ორივე ეს მეთოდი განვითარების მაღალ დონეს აღწევენ მე-19 საუკუნეში: რომანტიკული — საკუთრივ რომანტიზმში, ხოლო რეალიზმი — კრიტიკულ რეალიზმში. ამ დროს ხდება მათი მკაცრი დაპირისპირებაც. პასიურმა რომანტიზმმა აშკარა კრიზისი განიცადა, მისი შემდგომი „განვითარება“ მხოლოდ რეაქციული ლიტერატურული დაჯგუფებების სახით გამოვლინდა, ხოლო რეალიზმი, რომელმაც თავისი განვითარების უმაღლესი ეტაპი, ბურჟუაზიულ ეპოქაში, კრიტიკული რეალიზმის სახით გამოხატა, დასავლეთ ევროპის ლიტერატურაში, მართალია, კრიზისის გზას დაადგა, მაგრამ რუსული ლიტერატურის წყალობით აღმავლობის გზით მიდიოდა და განვითარების ჭეშმარიტად სრულყოფილი სახე სოციალისტურ რეალიზმში მიიღო.

ესა თუ ის ლიტერატურული მიმართულება, რომელიც ყალიბდება საზოგადოებრივი ცხოვრების გარკვეულ ეტაპზე, მისი განვითარების შესატყვისად თანდათან მდიდრდება და იძენს ახალ-ახალ ნიშნებს, და როდესაც თვით საზოგადოებრივ ცხოვრებაში ხდება არსებითი, თვისობრივი ხასიათის გარდატეხა, ლიტერატურაშიც შესაფერი ცვლილება შეინიშნება; ერთი მიმართულება ადგილს „უთმობს“ მეორეს. მაგრამ ლიტერატურულ სტილთა და მიმართულებათა ცვლილებები მექანიკურად როდი ხდება.

დიდი ლენინი გვასწავლის, რომ „თვით ეულ ნაციონალურ კულტურაში მოიპოვება, განუვითარებლად მაინც, დემოკრატიული და სოციალისტური კულტურის ელემენტები, ვინაიდან თვით ეულ ერში არის მშრომელი და ექსპლოატირებული მასა, რომლის ცხოვრების პირობები გარდუვლად წარმოშობენ დემოკრატიულ და სოციალისტურ იდეოლოგიას“<sup>2</sup>.

<sup>1</sup> ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, ტ. 2, გვ. 190. 320.

<sup>2</sup> ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, ტ. 20, გვ. 10.

აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ ანტაგონისტურ კლასობრივ საზოგადოებაში ყოველთვის აქვს ადგილი აშკარა ან ფარულ ბრძოლას ლიტერატურულ სტილთა და შემოქმედებით მეთოდებს შორის. ასევე, შინაგანი წინააღმდეგობით ხასიათდება თვით გაბატონებული ლიტერატურული სტილი, რომელიც გაბატონებული კლასის ინტერესებს გამოხატავს.

ბურჟუაზიულ-ლიბერალურ შეხედულებებს ლიტერატურულ სტილთა თანმიმდევრული ცვლილებების შესახებ საერთო არაფერი აქვთ ნამდვილ ლიტერატურულ პროცესთან, რომელიც დაპირისპირებულ მიმდინარეობათა და შინაგანი ბრძოლით ხასიათდება. ამაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ მთელი რიგი ქვეყნების ლიტერატურის ისტორია არ იცნობს კლასიციზმს, სენტიმენტალიზმს, ნატურალიზმს და სხვ., — როგორც გარკვეულ ლიტერატურულ მიმართულებებს.

ამასვე მოწმობს ის გარემოებაც, რომ ერთსა და იმავე პერიოდში მოღვაწეობა უხდებოდათ რეალისტ და არარეალისტ მწერლებს; ამასთან, ცალკეულ მწერალთა შემოქმედებაშიც ჩვენ ვხვდებით როგორც რომინტიკულ, ასევე რეალისტურ ქმნილებებს.

შეიძლება ითქვას, რომ ის რთული ბრძოლა, რომლითაც ლიტერატურული პროცესის განვითარება ხასიათდება ანტაგონისტურ კლასობრივ საზოგადოებაში, არის გამოხატულება დემოკრატიულ და ანტიდემოკრატიულ მიმდინარეობათა შეურიგებლობისა.

ბრძოლა რეალიზმისათვის ლიტერატურაში ობიექტურად ყოველთვის გამოხატავდა ხალხთა ფართო მასების ინტერესებს და დაკავშირებული იყო გამათავისუფლებელ იდეებთან. მისი გაბატონება ლიტერატურაში შეპირობებული იყო არა მარტო წინააღმდეგობით ტრადიციებით, არამედ, უმთავრესად, საზოგადოებრივი ცხოვრების პირობებით.

ამიტომაც, რომ რეალიზმმა, წინასოციალისტურ ეპოქაში, თავის განვითარების უმაღლეს წერტილს მიაღწია მხოლოდ მე-19 საუკუნეში, როცა უკვე აშკარა გახდა ფეოდალიზმის გარდაუვალი დაღუპვა და შეურიგებელი წინააღმდეგობა ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის.

კრიტიკულმა რეალიზმმა მე-19 საუკუნეში კპოვა შესაფერი სოციალური ნიადაგი თავისი სრული განვითარებისათვის. ამავე ეპოქაში ჩამოყალიბდა მისი ლიტერატურული თეორიაც.

მე-19 საუკუნის რეალიზმი განსხვავდება წინა ეპოქების რეალიზმისაგან, მით უმეტეს სოციალისტური რეალიზმისაგან. მ. გორკის სამართლიანი თქმით, „ამ მიმდინარეობის დამახასიათებელი

თავისებურებაა მკაცრი რაციონალიზმი და კრიტიციზმი<sup>1</sup>. ამიტომაც, სრულიად ბუნებრივად, მას ეწოდა კრიტიკული რეალიზმი.

მაგრამ ცალკეულ დამახასიათებელ ნიშანთა ჩამოთვლა, ცნა-  
დია, ვერ მოგვცემს სრულ წარმოდგენას კრიტიკულ რეალიზმზე—  
როგორც მხატვრულ მეთოდზე.

აქვს რა მხედველობაში, პირველყოვლისა, სწორედ კრიტიკუ-  
ლი რეალიზმი, ფრ. ენგელსი ამბობს: „გარდა დეტალების სიმარ-  
თლისა, რეალიზმი გულისხმობს ტიპიური ხასიათების ტიპიურ გა-  
რემოში სწორად გადმოცემას“<sup>1</sup>.

ფრ. ენგელსის ამ კლასიკური განსაზღვრებიდან აშკარაა,  
რომ რეალიზმი როგორც მხატვრული მეთოდი, შედარებით სრუ-  
ლად, მე-19 საუკუნეში ჩამოყალიბდა.

ფრ. ენგელსი გარკვეულად მიუთითებს, რომ დეტალების სი-  
სწორე ლიტერატურაში ჯერ კიდევ არ ნიშნავს რეალიზმის არსე-  
ბობას. თუმცა ისიც ნათელია, რომ დეტალების სისწორე ერთ-  
ერთი აუცილებელი ელემენტია, ურომლისოდ ტიპიურ ხასიათებსა  
და ტიპიურ გარემოზე ლაპარაკი შეუძლებელია.

ამგვარად, რეალიზმის ფორმირებისათვის მოსამზადებელი  
პროცესი ლიტერატურაში უძველესი პერიოდიდანვე იწყება, კერ-  
ძოდ, ანტიკური ეპოქიდან. მაგრამ იმისათვის, რომ გარდა დეტა-  
ლების სისწორისა ლიტერატურას მიეღწია ტიპიური ხასიათების  
ტიპიურ გარემოში სწორი გადმოცემისათვის, საჭირო იყო ადამი-  
ანთა შემეცნება გარკვეულ დონემდე ასულიყო, რაც თავისთავად  
საზოგადოებრივი ცხოვრების შესაბამ საფეხურამდე განვითარებას  
გულისხმობდა.

ამ ამოცანის გადაწყვეტა ვერ შეძლო ვერც კლასიციზმმა,  
რომელიც გარკვეულად მნიშვნელოვანი მიღწევა იყო რეალიზმისა-  
თვის ბრძოლის გზაზე. სრულიად გასაგები მიზეზების გამო, კლასი-  
ციზმმა ვერ მოახერხა თავი დაეღწია სქემატიზმისათვის, წოდებ-  
რივი ზღუდეების ბატონობისაგან და სწორად გადაეწყვიტა ტიპიუ-  
რი ხასიათების ტიპიურ გარემოში გადმოცემის პრობლემა. ამი-  
ტომ, იგი თითქმის იმდენივე მანძილითაა დაცილებული კრიტიკულ  
რეალიზმს, რა მანძილითაც ანტიკურ რეალიზმს.

კრიტიკული რეალიზმი—როგორც ლიტერატურული მიმართუ-  
ლება—ბურჟუაზიული ურთიერთობის აღმავლობის ეპოქის კანო-  
ნიერი პირამაა. მისი ბუნების სრული გაგებისათვის საჭიროა მეცნიე-  
რული წარმოდგენა ვექონდეს შესაფერი ეპოქის ხასიათისა და ტი-

<sup>1</sup> К. Маркс и Ф. Энгельс. Соч., т. XXVIII, стр. 27.



პიური ხასიათების ტიპურ გარემოში სწორად გადმოცემის შესახებ.

რეალიზმის ენგელსისეული განმარტების ინტერპრეტაციის დროს, წინათ, ბევრი ლიტერატურათმცოდნე არასწორად იძლეოდა „ტიპიურის“ გაგებას. კერძოდ, „ტიპიური“ ხშირად გაგებული იყო როგორც მხოლოდ და მხოლოდ ყველაზე უფრო გავრცელებულის მხატვრული განზოგადება. ასეთი ახსნა „ტიპიურისა“, ცხადია, ცალმხრივია და სრულად არ ითვალისწინებს ისტორიული მატერიალიზმის სახელმძღვანელო პრინციპებსა და რეალისტური ხელოვნების ქეშმარიტ ხასიათს.

როგორც ცნობილია, „ცხოვრება არ არის ერთი რამ მუდმივი და გაყინული, ის არასოდეს არ ჩერდება ერთ დონეზე, ის მუდმივ მოძრაობასა და ნგრევა-შენების მუდმივ პროცესშია. ამიტომ არის, რომ ცხოვრებაში მუდამ არსებობს ახალი და ძველი, მზარდი და მომაკვდავი, რევოლუციური და კონტრრევოლუციური.

დიალექტიკური მეთოდი ამბობს, რომ ცხოვრება სწორედ ისე უნდა განვიხილოთ, როგორც ის სინამდვილეში არსებობს...

ის, რაც ცხოვრებაში იბადება და დღითიდღე იზრდება,— უძლეველია, მისი წინმსვლელობის შეჩერება შეუძლებელია“<sup>1</sup>.

აქედან გამომდინარე, ტიპიური შეიძლება იყოს ისიც, რაც ჯერ კიდევ ნაკლებ გავრცელებულია, მაგრამ დაკავშირებულია ცხოვრების განვითარების კანონზომიერებასთან და აქვს პერსპექტივა იქცეს მასობრივად. ამიტომ, ტიპიური თავისი შინაარსით მაინც არასოდეს არ უპირისპირდება მასობრივს.

ეურნალი „კომუნისტი“, თავის სარედაქციო წერილში, სწორად მიუთითებს, რომ— „ნაკლებგავრცელებული შეიძლება ტიპიური იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი დაკავშირებულია ცხოვრების კანონზომიერ და არა შემთხვევით მოვლენებთან. ტიპიურის მოწყვეტა მასობრივისაგან, მასობრივისათვის ტიპიურის დაპირისპირება, მისი განსაკუთრებულად გამოყოფა ნიშნავს ორიენტაციის მიცემას არა რეალური, არამედ გამოგონილი, გაბერილი, ორჩათუხებზე შეყენებული გმირების შესაქმნელად“<sup>2</sup>.

ცნობილია, რომ უკანასკნელ დროს, ლიტერატურულ კრიტიკაში, გამოვლინდა ერთგვარი გაუგებრობა „მხატვრული გადაჭარბების“ გაგების საქმეში. გადაჭარბება, რომელსაც თავისთავად

<sup>1</sup> ი. ბ. სტალინი. თხზულებანი, ტ. 1, გვ. 280.

<sup>2</sup> „Коммунист“, 1955, № 18.

გულისხმობს ტიპიზაციის პროცესი, ზოგიერთი ლიტერატურათმცოდნის მიერ გაიგივებულ იქნა ჰიპერბოლასთან და გროტესკთან. ცხადია, მხატვრული სახის გამაზვიელებას, რომელსაც მიმართავენ და მიმართავენ მხატვრული სიტყვის ცნობილი ოსტატები, საერთო არაფერი აქვს სინამდვილის კარიკატურულ ასახვასთან.

მწერალი ყოველთვის იმას ცდილობს, რომ მის მიერ შექმნილ ინდივიდუალურ ხასიათში მოჩანდეს ადამიანთა გარკვეული ჯგუფის საერთო ნიშნები, თანაც ჰქონდეს თავისი საკუთარი „მე“. ფრ. ენგელსი ამასთან დაკავშირებით მოხდენილად შენიშნავდა, რომ ქვეშარითი მხატვრის ნაწარმოებში „თვითეული პირი—ტიპია, მაგრამ ამასთანავე გარკვეული ინდივიდუალური პიროვნებაც. „ეს“, როგორც იტყოდა მოხუცი ჰეგელიო“<sup>1</sup>.

აქედან აშკარაა, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ტიპიზრობის პრობლემა ხელოვნებასა და ლიტერატურაში; მის წარმატებით გადაწყვეტაზე ბევრადაა დამოკიდებული შემოქმედის იდეურ-მხატვრული გამარჯვება.

კრიტიკული რეალიზმის წარმომადგენლებისათვის შედარებით ძნელი იყო ტიპიურ სიმალღემდე აყვანათ ის, რაც ხშირად არ მეორდებოდა და არ იყო გავრცელებული. მათ მიზანს (განსაკუთრებით პირველ ეტაპზე) წარმოადგენდა დამაჯერებლად და სრულად აესახათ ის, რაც გავრცელებული იყო და ხშირად მეორდებოდა, რაც მთელი თავისი არსებით დრომოქმული, აუტანელი და საზიზღარი იყო. აინტერესებდათ რა არსებული სინამდვილის სიმახინჯის ჩვენება, მათ პირველ ნიშანდობლივ თვისებას კრიტიციზმი წარმოადგენდა. უკეთესი მომავალი საზოგადოებრივი ცხოვრების სწორად განქვერტა მათ არ შეეძლოთ, ვინაიდან ჯერ კიდევ არ იყო შემუშავებული მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება საზოგადოების განვითარების კანონების შესახებ. ამასთან, უკეთესი მომავლის შემოქმედი და კანონიერი მემკვიდრე—პროლეტარიატი ჯერ კიდევ არ წარმოადგენდა შეგნებულ და ორგანიზებულ ძალას.

მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ კრიტიკული რეალიზმის წარმომადგენლებს საერთოდ არ შეეძლოთ მოეცათ დადებითი გმირი და უკეთესი მომავლის იდეალი. მათ, რა თქმა უნდა, ჰქონდათ უკეთესი მომავლის იდეალი, რაც საშუალებას აძლევდათ, მკაცრად წარმოედგინათ არსებული საზოგადოებრივი ცხოვრების

<sup>1</sup> К. Маркс, Ф. Энгельс. Избранные письма, стр. 394.

მთელი სიმახინჯე და ამავე დროს მკითხველში გაედღიერებიათ ვიჟღებელი სინამდვილის წინააღმდეგ ბრძოლის პათოსი.

ფაქტია ისიც, რომ თავიანთ შემოქმედებაში მათ მოგვცეს დადებითი გმირებიც, რომლებიც, ძირითადად, გამოსულნი იყვნენ მშრომელთა და დემოკრატიულად განწყობილი წრეებიდან. თუმცა მათ. ცხადია, უძნელდებოდათ ამ გმირთა წარმოდგენა საზოგადოებრივი ცხოვრების პერსპექტივაში. მაგრამ რუსულმა რევოლუციურ-დემოკრატიულმა ლიტერატურამ ამ მხრივაც შესაძლებლობის მაქსიმუმს მიაღწია. ჩერნიშევსკისა და ნეკრასოვის შემოქმედებაში გამოჩნდნენ უკეთესი მომავლის ადამიანები, რომლებსაც არა მარტო მახინჯი სინამდვილის წინააღმდეგ ბრძოლის უნარი შესწევდათ, არამედ ოცნებობდნენ უკეთეს მომავალზე და გარკვეული წარმოდგენა ჰქონდათ მასზე.

ეს გარემოება კი ბუნებრივად მოითხოვს შევხებით კრიტიკული რეალიზმისა და რევოლუციური რომანტიზმის ურთიერთობის საკითხს.

სადავო არაა, რომ რევოლუციური რომანტიზმი წარმოადგენს სოციალისტური რეალიზმის შემადგენელ, ორგანულ ნაწილს. ამხ. ა. ა. ჟდანოვი გარკვეულად მიუთითებს, რომ „სოციალისტური რეალიზმი წარმოადგენს საბჭოთა მხატვრული ლიტერატურის და ლიტერატურული კრიტიკის ძირითად მეთოდს, ხოლო ეს იმას გულისხმობს, რომ რევოლუციური რომანტიზმი უნდა შედიოდეს ლიტერატურულ შემოქმედებაში, როგორც შემადგენელი ნაწილი, ვინაიდან ჩვენი პარტიის მთელი ცხოვრება, მუშათა კლასის მთელი ცხოვრება და მისი ბრძოლა იმაში მდგომარეობს, რომ უაღრესად მკაცრი, უაღრესად ფხიზელი პრაქტიკული მუშაობა შეათავსოს უდიდეს გმირობასთან და გრანდიოზულ პერსპექტივებთან“<sup>1</sup>.

სრულად გასაგები მიზეზების გამო, რევოლუციური რომანტიზმი, ცხადია, არ შეიძლებოდა განზღაროყო კრიტიკული რეალიზმის შემადგენელ ნაწილად, მაგრამ ისიც აშკარაა, რომ რევოლუციური რომანტიზმი ელემენტის, ჩანასახის სახით უკვე შევიდა კრიტიკულ რეალიზმში, მის უმაღლეს და საუკეთესო მიღწევებში, კერძოდ რუსულ რევოლუციურ-დემოკრატიულ ლიტერატურაში. ამ გარემოების უარყოფა ნიშნავს იმას, რომ კრიტიკულ რეალიზმში ვერ. დაფინახოთ სოციალისტური რეალიზმის საამაყო წინაპარი.

<sup>1</sup> ა. ჟდანოვი. საბჭოთა ლიტერატურა—ყველაზე უფრო იდეური, ყველაზე უფრო მოწინავე ლიტერატურაა მსოფლიოში, 1954, გვ. 10.

მართალია; რევოლუციური რომანტიზმი იმ ძალითა და იმ მასშტაბით ვერ შეერწყმოდა კრიტიკულ რეალიზმს, როგორც ეს სოციალისტური რეალიზმის მაგალითზე გვაქვს, მაგრამ ელემენტების სახით და გამოვლენის თავისებური ფორმით მან უსათუოდ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა კრიტიკული რეალიზმის გამდიდრებისა და სრულყოფის საქმეში. „И в тех произведениях критического реализма,—შენიშნავს პროფ. ბ. ს. მეილახი,—которые посвящены обличению отрицательных, уродливых сторон действительности, при помощи всего многообразия художественных средств воссоздается критерий прекрасного, который соответствует ходу развития самой жизни, ибо все великие представители критического реализма были отрицателями во имя идеала“<sup>1</sup>.

ამრიგად, კრიტიკული რეალიზმი ტიპიური სახეების შექმნისას, ძირითადად, ეყრდნობოდა მას, რაც უფრო გავრცელებული იყო, თუმცა არ უგულვებელყვია არც ის, რაც ჯერ კიდევ არ იყო მასობრივ ფორმაში, მაგრამ ჰქონდა პერსპექტივა ასეთად გახდომისა.

„ტიპიზაცია ყოველთვის დაკავშირებულია მხატვრის მსოფლმხედველობასთან, მის მიერ სინამდვილის ამა თუ იმ მოვლენის შეფასებასთან“, მაგრამ მარქსიზმთან საერთო არაფერი აქვს იმ სქოლასტიკურ ფორმულებს, რომელთა მიხედვით „ტიპიურობის პრობლემა ყოველთვის პოლიტიკური პრობლემაა, და მხატვრული სახის მხოლოდ შეგნებული გაზვიადება უფრო სრულად გვიჩვენებს და უსვამს ხაზს მის ტიპიურობას“<sup>2</sup>.

კრიტიკული რეალიზმის წარმომადგენლებმა შექმნეს მთელი გაღვრვა ტიპიური სახეებისა, რომლებმაც საზოგადოების პროგრესულ ნაწილს გაუადვილა ცხოვრების მანკიერების დანახვა და მის წინააღმდეგ ბრძოლა.

მის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე ლაპარაკობს ისიც, რომ დიდი ვ. ი. ლენინი და მისი მოწაფე ი. ბ. სტალინი თავიანთ შრომებსა და გამოსვლებში ხშირად იყენებდნენ მე-19 საუკუნის რეალისტ მწერალთა მიერ შექმნილ მხატვრულ სახეებს.

კრიტიკული რეალიზმის გამოჩენილ თეორეტიკოსებს თავიდანვე სწორი შეხედულება ჰქონდათ ტიპიური სახეების მნიშვნე-

<sup>1</sup> Проф. В. Мейлах. Специфика литературы и проблема типическо-го. См. „Литературная газета“, 1952, № 149.

<sup>2</sup> „Коммунист“, 1955, № 18.

ლობის შესახებ ლიტერატურაში. გენიალური კრიტიკოსი ბ. ბელინსკი საგანგებოდ აღნიშნავდა: „...Один из самых отличительных признаков творческой оригинальности или, лучше сказать, самого творчества, состоит в... типизме, если можно так выразиться, который есть гербовая печать автора. У истинного таланта каждое лицо—тип“<sup>1</sup>...

ბ. ბელინსკის სიტყვები—„У истинного таланта каждое лицо—тип“—ნიშნავდა ლიტერატურის მაღალი დეურობისათვის ბრძოლას; იგი აყენებდა მეტად სერიოზულ პასუხისმგებლობას მწერლობის წინაშე. ნიჰიურ კრიტიკოსს კარგად ესმოდა, რომ ტიპიურისახეების შექმნა ნიშნავდა ცხოვრების სინამდვილის ღრმად და სწორად ასახვას.

ტიპიური სახეების შექმნის პრობლემა მწერლობის წინაშე მთელი აუცილებლობით აყენებდა საკითხს ცხოვრების სინამდვილის ღრმად შესწავლისას, ხოლო ეს უკანასკნელი გარემოება ხშირად გარკვეულ გარდატეხას ახდენდა მწერალთა მსოფლმხედველობაში.

ამგვარად, თავისთავად დგება საკითხი მხატვრული, მეთოდისა და მსოფლმხედველობის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ კრიტიკული რეალიზმის წარმომადგენლებთან.

როგორც ცნობილია, კრიტიკული რეალიზმის წარმომადგენლები ხშირად მეტად საგრძნობლად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან თავიანთი პოლიტიკური მსოფლმხედველობით. მიუხედავად ამისა, მათ შეძლეს ცხოვრების სინამდვილის არსებითი მხარეების სწორად ასახვა. ნიშანდობლივია ისიც, რომ მათი მხატვრული შემოქმედების იდეური მხარე შეუდარებლად უფრო აახლოებთ მათ ერთმანეთთან, ვინემ საკუთარი პოლიტიკური შეხედულებები, და ეს იმიტომ, რომ ხშირად ადგილი ჰქონდა წინააღმდეგობას როგორც ავტორის პოლიტიკურ მსოფლმხედველობაში, ასევე თვით ცხოვრებაში.

ვ. ი. ლენინმა ლ. ტოლსტოის მაგალითზე ღრმად და ყველასათვის გასაგებად ახსნა მთელი ამ მოვლენის საიდუმლოება, რომელიც ბურჟუაზიული ლიტერატურათმცოდნეობისათვის გაუგებარი იყო.

ვ. ი. ლენინი წერს: „წინააღმდეგობანი ტოლსტოის ნაწარმოებებსა, შეხედულებებსა, მოძღვრებებსა და სკოლაში—მართლაც აშკარაა. ერთი მხრით, გენიალური მხატვარი, რომელმაც მოგვცა არა მარტო

<sup>1</sup> В. Белинский. Собрание сочинений в трех томах, 1948 г., т. 1, стр. 136.

რუსეთის ცხოვრების უბადლო სურათები, არამედ მსოფლიო ლიტერატურის პირველხარისხოვანი ნაწარმოებებიც. მეორე მხრით,—მემამულე, რომელიც მწვალელობს ქრისტეს სახელთ... ერთი მხრით, მეტად ფხიზელი რეალიზმი, ყველა და ყოველგვარი ნიღაბის ჩამოგლეჯა;—მეორე მხრით, ყველაზე უსაძაგლესი რამის ქაღალეგება, რაც კი არის ქვეყანაზე...

...მაგრამ ტოლსტოის შეხედულებებსა და მოძღვრებებში წინააღმდეგობათა არსებობა შემთხვევითობა კი არ არის, არამედ ესაა გამოხატულება იმ წინააღმდეგობებით სავსე პირობებისა, რომლებშიც ჩაყენებული იყო რუსეთის ცხოვრება XIX საუკუნის უკანასკნელ მესამედში<sup>1</sup>.

ვ. ი. ლენინმა ნათელი გახადა, რომ ტოლსტოის შეხედულებებში არსებული წინააღმდეგობანი მართო მისი საკუთარი აზრის წინააღმდეგობანი როდია; ეს წინააღმდეგობანი შედეგი იყო თვით რუსეთის ცხოვრების თავისებურებისა.

განიხილავს რა რუსეთის რევოლუციას, როგორც უაღრესად რთულ მოვლენას, ვ. ი. ლენინი წერს: „და თუ ჩვენს წინაშე მართლაც დიდი მხატვარია, ზოგიერთი რამ რევოლუციის თუნდაც არსებითი მხარეებიდან მას უნდა აესაზა თავის ნაწარმოებებში“<sup>2</sup>.

ვ. ი. ლენინის სიტყვები—„და თუ ჩვენს წინაშე მართლაც დიდი მხატვარია...“—სხვაგვარად არ შეიძლება გავიგოთ, თუ არა მინიშნება ტოლსტოის რეალიზმზე და მის რეალისტურ მხატვრულ მეთოდზე, რომლის გარეშეც ტოლსტოი, ცხადია, დიდი მხატვარი ვერ იქნებოდა.

და, მართლაც, თუ ტოლსტოი რეალისტური მხატვრული მეთოდის ერთგული იქნებოდა, მას არ შეეძლო ყურადღება არ გაემახვილებია რევოლუციის თუნდაც არსებით მხარეებზე. ამ უკანასკნელს კი არ შეეძლებოდა თავისი ბეჭედი არ დაესვა ტოლსტოის მსოფლმხედველობაზე.

ვ. ი. ლენინი აღნიშნავს: „...ძველმა პატრიარქალურმა რუსეთმა 1861 წლის შემდეგ სწრაფად იწყო ნგრევა მსოფლიო კაპიტალიზმის ზეგავლენით... რუსეთში ვითარდებოდა მსხვილი ფინანსიური კაპიტალიზმი, მსხვილი ვაჭრობა და მრეწველობა.

ძველი რუსეთის ყველა ძველ „ბურჯთა“ აი ამ სწრაფმა, მძიმე და მწვავე მსხვერველამ გამოხატულება ჰპოვა სწორედ მხატვარ-

<sup>1</sup> „ვ. ი. ლენინი ლიტერატურის შესახებ“, 1945, გვ. 119-120.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 118.

ტოლსტოის ნაწარმოებებში, მოაზროვნე-ტოლსტოის შეხედულებებში.

...სოფლური რუსეთის ყველა ძველ „ბურჯთა“ მძაფრმა მსხვრევამ განაზვიანა მისი ყურადღება, გააღრმავა მისი ინტერესი იმისადნე, რაც მის გარშემო ხდებოდა, გამოიწვია მთელი მისი მსოფლმხედველობის გარდატეხა. წარმოშობით და აღზრდით ტოლსტოი ეკუთვნოდა რუსეთის მემამულეთა უმადლეს დიდკაცობას, — ნაწ კავშირი გასწყვიტა ამ წრისთვის ჩვეულ ყველა შეხედულებებთან და, თავის უკანასკნელ ნაწარმოებებში, გაცხარებული კრიტიკით ეკვეთა ყველა იმ თანამედროვე სახელმწიფო, საეკლესიო, საზოგადოებრივ, ეკონომიურ წესებს, რომელნიც დამყარებული იყვნენ მასების დამონებაზე<sup>1</sup>...

ტოლსტოის ამ გენიალურ დახასიათებაში, ვ. ი. ლენინი გარკვევით მიუთითებს, რომ რუსეთის ძველ „ბურჯთა“ მძაფრმა მსხვრევამ განოხატულება ჰპოვა როგორც მხატვარ-ტოლსტოის ნაწარმოებებში, ასევე მოაზროვნე-ტოლსტოის შეხედულებებში. უფრო მეტიც, ამ მოვლენებმა გამოიწვია ტოლსტოის მთელი მსოფლმხედველობის გარდატეხა და კავშირის გაწყვეტა მისი წრისთვის ჩვეულ ყველა შეხედულებებთან.

ამგვარად, მცდარია ყოველგვარი მტკიცება მწერლის მხატვრულ მეთოდსა და მსოფლმხედველობას შორის აშკარა წინააღმდეგობის შესაძლებლობის შესახებ, რასაც კიდევ ვხვდებით ლიტერატურათმცოდნეობაში. წინააღმდეგობას ადგილი აქვს არა მწერლის მხატვრულ მეთოდსა და მსოფლმხედველობას შორის, არამედ თვით მსოფლმხედველობაში, რაც უთუოდ აირეკლება ხოლმე მხატვრულ შემოქმედებაშიც. და თუ ტოლსტოი, თავის უკანასკნელ ნაწარმოებებში, გაცხარებული კრიტიკით ეკვეთა თანამედროვე ცხოვრების მანკიერებას, ეს იმიტომ, რომ მის მსოფლმხედველობაში მოხდა სრული გარდატეხა.

ეს გარდატეხა, ცხადია, გამოიწვია ცხოვრების სინამდვილემ, უმნიშვნელოვანესმა სოციალურ-პოლიტიკურმა მოვლენებმა. მაგრამ მნიშვნელოვანი სოციალურ-პოლიტიკური მოვლენები განა წინა საუკუნეებში არ ყოფილა, ან ტოლსტოის ყველა თანამედროვე მწერალმა სწორად გაიგო და სწორად ასახა ეს დიდი ძვრები? ამ შეკითხვევაში, რა თქმა უნდა, გადამწყვეტ როლს ასრულებს მწერლის მხატვრული მეთოდი. რეალისტური მხატვრული მე-

<sup>1</sup> „ლენინი ლიტერატურის შესახებ“, 1945, გვ. 130-131.

„თოდი მწერლისგან მოითხოვს საზოგადოებრივი მოვლენების ღრმა შესწავლასა და გაანალიზებას, ტიპური ხასიათების შექმნას. ამ მნიშვნელოვანმა მომენტმა კი არ შეიძლება ცვლილება არ შეიტანოს მწერლის მსოფლმხედველობაში, როცა იგი არ ემყარება ამ მოვლენების დიალექტიკურ გაგებას.

მ. გორკის სამართლიანი თქმით, „Широта наблюдений, богатство житейского опыта нередко вооружают художника силой, которая преодолевает его личное отношение к фактам, его субъективизм“<sup>1</sup>.

ნათელია, რომ როცა წინააღმდეგობა არსებობს მწერლის მსოფლმხედველობაში, როცა დაპირისპირებულია მხატვრის პოლიტიკური შეხედულებები და საზოგადოებრივი ცხოვრების ობიექტური სინამდვილე, მისი განვითარების კანონზომიერება, მაშინ მხატვრული მეთოდის შესაძლებლობანიც შეზღუდულია. ამიტომაც, რომ კრიტიკული რეალიზმის წარმომადგენელთა მიერ საზოგადოებრივი ცხოვრების წინააღმდეგობათა ასახვა ხშირად მოკლებულია იმ სიმახვილეს და იმ სიღრმეს, რომელიც სხვა შემთხვევაში იყო მოსალოდნელი. ზოგჯერ მათში გარკვეულ შიშსაც კი იწვევს მათ მიერვე პირუთვნელად ასახული სინამდვილე და ეს „შიში“ გარკვეულ დაღს ასვამს მათი შემოქმედების იდეურ-მხატვრულ ღირსებას.

ის ფაქტი, რომ კრიტიკული რეალიზმის გამოჩენილმა წარმომადგენლებმა (ბალზაკმა, ტოლსტოიმ და სხვ.), მიუხედავად საერთო პოლიტიკური შეხედულებების მცდარობისა და მსოფლმხედველობრივი წინააღმდეგობისა, შეძლეს შექმნა ისეთი უკვდავი ნაწარმოებებისა, რომლებშიც სწორად აისახა ცხოვრების სინამდვილე (რომლის შესახებ მათ არ ჰქონდათ ჩამოყალიბებული სწორი შეხედულება), ეს შედეგია მოღვაწეობის გარკვეულ ეტაპზე მათ მსოფლმხედველობაში მომხდარი გარდატეხისა, რაშიც, ვიმეორებთ, უმნიშვნელოვანესი როლი ითამაშა რეალისტურმა მხატვრულმა მეთოდმა და ცხოვრების სინამდვილემ.

საწინააღმდეგო მსჯელობას იქამდე მივყავართ, რომ დავუშვათ: ისეთი დიდი კლასიკოსები, როგორნიც იყვნენ ბალზაკი და ტოლსტოი, წერდნენ თავიანთი შეხედულებების საწინააღმდეგოდ და ამ გარემოებას ვერ გრძნობდნენ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ არ შეეაფასათ ან გავაუბრალოთ მწერლის მსოფლმხედველობის როლი შემოქმედებით პროცესში, რაც აშკარად ეწინააღმდეგება

<sup>1</sup> „М. Горький о литературе“, 1937, стр. 201.



ლიტერატურის პარტიულობის ლენინურ გაგებას, მწერლობის შე-  
მოქმედებით პრაქტიკას.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბრძოლა რეალიზმისათვის ლიტე-  
რატურაში, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, ყოველთვის დაკავშირე-  
ბული იყო ხალხის ფართო მასების ინტერესებთან. სხვაგვარად  
შეუძლებელიცაა: ცხოვრების სინამდვილის სწორი გაგება და სწო-  
რად ასახვა არ შეიძლება ხალხის ინტერესებს უპირისპირდებოდეს.

ამგვარად, რეალიზმი თავის თავში მოიცავს ხალხურობის  
პრობლემას და ყოველი ნაწარმოების რეალისტური ღირსების ხა-  
რისხი უშუალოდ განსაზღვრავს მის ხალხურობის საკითხს. ქეშ-  
მარიტად რეალისტური ნაწარმოები არ შეიძლება არ იყოს ხალ-  
ხური და პირიქით.

ლიტერატურის ხალხურობის მთავარ პრობლემად დაყენება  
რეალიზმის სახელთანაა დაკავშირებული. ეს, რა თქმა უნდა, იმას  
არ ნიშნავს, რომ ხალხურობის პრინციპს დაუუპირისპიროთ მთლიან-  
ნად რომანტიზმი ან ადრეული პერიოდის ლიტერატურა. ცხადია,  
მეტ-ნაკლებად ეს საკითხი დადებითადაა წარმოდგენილი ადრეც,  
კერძოდ, რევოლუციური რომანტიზმის წარმომადგენლებთან, მაგ-  
რამ ყოველივე ეს იმდენად, რამდენადაც ისინი რეალიზმს უახლოვ-  
დებიან, ან უშუალოდ რეალისტურ ტენდენციებს ავლენენ.

ამჟამად, რომ ანტაგონისტურ კლასობრივ საზოგადოებაში  
ლიტერატურის ხალხურობის პრობლემის ყოველმხრივ და სრულ-  
ყოფილად გადაჭრა შეუძლებელია; პირველყოელისა, ლიტერატურა,  
რომელიც ემსახურებოდა ბაზისის ინტერესებს, არ შეიძლებოდა  
ხალხური ყოფილიყო. ამასთან, ცხოვრების ჩამორჩენილობა და  
საზოგადოების განვითარების მარქსისტულ-ლენინური გაგების ჯერ  
კიდევ არარსებობა ხელს უშლიდა სიტყვის დიდ ოსტატებსაც  
ყოფილიყვნენ ბოლომდე თანმიმდევრულნი ხალხის საქმისათვის  
ბრძოლაში.

ლიტერატურის ხალხურობის პრობლემის ქეშმარიტი გადა-  
წყვეტა მხოლოდ სოციალისტური რეალიზმის სახელთანაა დაკავ-  
შირებული. საბჭოთა ლიტერატურაში გამორიცხულია წინააღმდე-  
გობა მწერლის კლასობრივ ხედვასა და ხალხთა ინტერესებს შო-  
რის, რაც სოციალისტურ რევოლუციამდელ ლიტერატურაში აფერ-  
ხებდა ხალხურობის პრობლემის სრულყოფილად გადაწყვეტას.

ნამდვილად ხალხური შეიძლება იყოს მხოლოდ ის ლიტერა-  
ტურული ნაწარმოები, რომელშიც ხალხთა მასებისათვის საინ-  
ტერესო სინამდვილის მოვლენები გადმოცემულია სწორად, გასა-

კებად და მაღალმხატვრულ ფორმებში,—საზოგადოების განვითარების ქეშმარიტად მეცნიერული გაგების შუქზე.

მიუხედავად გარკვეული შეზღუდულობისა, კრიტიკული რეალიზმის წარმომადგენლებს მეტად დიდი დამსახურება მიუძღვით ლიტერატურის ხალხურობის პრობლემის გადაჭრაში. მაგრამ მათ მაინც არ შეეძლოთ გამხდარიყვნენ სახალხო მწერლები; ამას ხელს უშლიდა ის გარემოებაც, რომ მათი შემოქმედება მიუწვდომელი იყო ხალხთა ფართო მასებისათვის, რომლებიც ნოკლებულნი იყვნენ განათლების შესაძლებლობას.

კრიტიკული რეალიზმის წარმომადგენლებმა კი უხვად ისარგებლეს ხალხური შემოქმედების არსენალიდან მხატვრული სახეების შექმნისა და ლიტერატურული ენის გამდიდრების მიზნით; გარკვეული როლი ითამაშა ფოლკლორმა მათი თემატიკის გაფართოებისა და სოციალური ბუნების გამახვილების საქმეშიც. ფოლკლორისადმი დამოკიდებულების საკითხში ისინი პრინციპულად განსხვავდებოდნენ რომანტიკოსებისაგან, რომელთათვისაც ფოლკლორი უუასაუკუნეობრივი ეპოქის გაცოცხლებისა და იდეალიზაციის ამოცანებს ემსახურებოდა.]

ამგვარად, კრიტიკული რეალიზმი,—როგორც შემოქმედებითი მეთოდი ლიტერატურაში, იყო დიდი მოვლენა მხატვრული აზრის განვითარების ისტორიაში. პროფ. ნ. ბელჩიკოვი სწორად შენიშნავს, რომ „Социалистический реализм имел замечательного предшественника—критический реализм, бывший для досоциалистической эпохи вершиной достижений мирового искусства“<sup>1</sup>.

შევეხეთ რა ზოგადად კრიტიკული რეალიზმის—როგორც მხატვრული მეთოდის—ბუნებას და მნიშვნელობას ლიტერატურული პროცესის განვითარების ისტორიაში, ჩვენ ყოველთვის გვახსოვდა, რომ იგი როგორც შედეგი საზოგადოებრივი ცხოვრებისა და აზრის განვითარების გარკვეული დონისა, მეტ-ნაკლები სისრულითა და სიძლიერით იყო მომარჯვებული სხვადასხვა ქვეყნის ლიტერატურაში.

კრიტიკული რეალიზმის თავისებურებებს ყოველი ქვეყნის ლიტერატურაში განსაზღვრავდა შესაფერი სოციალურ-პოლიტიკური და კულტურულ-ლიტერატურული გარემოს ხასიათი.

\* \* \*

რეალიზმმა დასავლეთ ევროპის ლიტერატურაში ჩამოყალიბება დაიწყო ბურჟუაზიული ურთიერთობის განვითარების დაწყებას-

<sup>1</sup> Н. Ф. Вельчиков. Великие традиции русской классической литературы, Л., 1953, стр. 5.

თან დაკავშირებით. მან განვითარების გარკვეული ეტაპი განვლო. ინგლისის 1649 წლისა და საფრანგეთის 1789 წლის ბურჟუაზიულ რევოლუციებს შორის არსებულ ეპოქაში, მაგრამ მისი განვითარების უმაღლესი ეტაპი დაემთხვა პერიოდს, რომელიც დასავლეთ ევროპის საზოგადოებრივმა ცხოვრებამ განვლო საფრანგეთის 1830 წლის ბურჟუაზიული რევოლუციიდან 1848 წლის რევოლუციამდე.

1848 წლის რევოლუციის შემდეგ რეალიზმი თანდათან შეზღუდული ხდება და ნატურალიზმისაკენ ეშვება.

როგორც ერთნაირი არ იყო საზოგადოებრივი ცხოვრების ხასიათი დასავლეთ ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში, ასევე ერთნაირი არ ყოფილა რეალიზმი ამ ქვეყნების ლიტერატურაშიც. კერძოდ, ბურჟუაზიულმა რეალიზმმა სრულ აყვავებას მიაღწია მხოლოდ ფრანგულ და ინგლისურ ლიტერატურაში.

ამიტომ, დასავლეთ ევროპის ლიტერატურაში რეალიზმის მიღწევათა გასათვალისწინებლად შესაძლებელია შემოვიფარგლოთ ფრანგული და ინგლისური ლიტერატურით.

ფრ. ენგელსი სამართლიანად შენიშნავს, რომ „Франция— это страна, в которой историческая борьба классов больше, чем в других странах, доходила каждый раз до решительного конца“<sup>1</sup>. ეს გარემოება კი თავის გამონახატულებას პოულობდა ლიტერატურაშიც.

შემთხვევითი როდია, რომ კლასიციზმმა, კრიტიკულმა რეალიზმმა და ნატურალიზმმა დასრულებული სახე მხოლოდ ფრანგულ ლიტერატურაში მიიღო. ეს შედეგი იყო იმისა, რომ ბურჟუაზიული საზოგადოების პოლიტიკურმა განვითარებამ ყველაზე მეტად საფრანგეთში ჰპოვა გამოვლენა.

ფრანგული კრიტიკული რეალიზმი მრავალმხრივ იმსახურებს ლიტერატურის ისტორიკოსის ყურადღებას. ეს გასაგებიცაა: მის ღირსებას იცავენ ისეთი დიდი მხატვრები, როგორნიც იყვნენ სტენდალი, ბალზაკი, ფლობერი და სხვები, რომლებმაც შეძლეს თავიანთი დროის ბურჟუაზიული საზოგადოებრივი ცხოვრების წინააღმდეგობათა ასახვა.

ბურჟუაზიულმა რეალიზმმა დასავლეთ ევროპის ლიტერატურაში და, კერძოდ, ფრანგულ ლიტერატურაში განვლო თავისი ჩამოყალიბების რთული და გრძელი გზა, მაგრამ კრიტიკული რეალიზმის სახელს იგი კემარითად მხოლოდ საფრანგეთის ორ ბურ-

<sup>1</sup> К. Маркс. Избранные произведения в двух томах, 1933, т. II, стр. 244.

ქუაზიულ რევოლუციას (1830—1848 წ. წ.) შორის არსებულ ეპოქაში იმსახურებს.

რენესანსისა და განმანათლებლურ ეპოქათა რეალიზმი ჯერ კიდევ არ ხასიათდებოდა იმ მახვილი კრიტიციზმით, რომელიც ობიექტურად შესაფერი ბაზისის შეცვლის ამოცანას ემსახურებოდა. მასში ჯერ კიდევ არ იყო გამოვლენილი ეპოქის რთულ წინააღმდეგობათა კლასობრივი ბუნება და მისი წარმომადგენლებისათვის უცნობი იყო ისტორიზმის პრინციპი. იგი მჭიდროდ იყო დაკავშირებული განმანათლებლურ იდეოლოგიასთან, რომელიც პიროვნებას განიხილავდა არა როგორც გარკვეული კლასის შვილსა და წარმომადგენელს, არამედ როგორც „ადამიანს საერთოდ“.

ცხადია, სინამდვილის რეალისტური ასახვისაგან შორსაა, აგრეთვე, კლასიციკლთა მოძღვრება „ხასიათების“ შესახებ. მათი შეხედულება, რომ „ხასიათი“ წარმომადგენს ამა თუ იმ ერისა და წოდების წარმომადგენელთა თანდაყოლილ თვისებათა ჯამს, კრიტიკული რეალიზმის წარმომადგენლებმა აბსურდად აქციეს. მათ აშკარა გახადეს, რომ გმირთა ხასიათები არის არა თანდაყოლილ და ბიოლოგიურ თვისებათა ჯამი, არამედ სოციალური გარემოს ზემოქმედების პროდუქტი; მათ საქმე აქვთ არა „ნატურალურ“, არამედ სოციალურ ადამიანთან, მათი ამოსავალი სოციალური სინამდვილეა.

კრიტიკული რეალიზმი მე-19 საუკუნის საზოგადოებრივ ცხოვრებასთან არის დაკავშირებული. მისი განვითარების ეტაპებს ფრანგულ ლიტერატურაში წარმომადგენენ სტენდალი, ბალზაკი და ფლობერი.

მათი მოღვაწეობის ეპოქა ხასიათდება, ერთი მხრით, ფეოდალიზმზე ბურჟუაზიის მკაცრი შეტევით, მეორე მხრით, მუშათა გაძლიერებული მოძრაობებით. ამგვარად, ეს ის პერიოდი იყო, როცა ბურჟუაზიის ისტორიულ-პროგრესული როლი ჯერ კიდევ იგრძნობოდა, მაგრამ იგი დასასრულს უახლოვდებოდა, რაც აჩქარებდა წინააღმდეგობათა გამწვავებას ამ ორ კლასს შორის.

ფრანგული კრიტიკული რეალიზმის წარმომადგენლებს არ შეიძლებოდა ყურადღება არ გაემახვილებიათ თავიანთი დროის უდიდეს მოვლენებზე და არ განეცადათ გავლენა მუშათა მოძრაობისა. მით უმეტეს, რომ ბურჟუაზიის პოლიტიკური მდგომარეობა მათში ჯერ კიდევ არ იწვევდა შიშს და უკანდახევის აუცილებლობას წინააღმდეგობებით სავსე სინამდვილის აღწერის საქმეში.

მართალია, ბურჟუაზიული საზოგადოების კრიტიკას საფრან-

გეთში ჯერ კიდევ რევოლუციონერი რომანტიკოსები აწარმოებდნენ, მაგრამ ისინი მაინც შორს იყვნენ არსებული სინამდვილის შესაფერი სოციალურ-ტიპიური განზოგადებისაგან, ტიპიური ხასიათების ტიპიურ გარემოში სწორად გადმოცემისაგან.

მიუხედავად ამისა, კრიტიკული რეალიზმის წარმომადგენელთა ესთეტიკურ შეხედულებათა ფორმირებაში გარკვეული როლი ითამაშეს რევოლუციონერმა რომანტიკოსებმა. ისიც ნიშანდობლივია, რომ სტენდალი, ბალზაკი და სხვები ხშირად თავიანთ თავს რომანტიკოსებს უწოდებენ.

ბევრის მთქმელია ის გარემოებაც, რომ კლასიციზტთა და რომანტიკოსთა ცხარე კამათში ჩაბმული სტენდალი რომანტიკოსთა მხარეზე გამოდის. მართალია, მის მიერ რომანტიკოსთა და თავის ესთეტიკურ შეხედულებათა დახასიათება იმას მოწმობს, რომ ის სინამდვილეში რეალიზმს იცავს და თვითონაც რეალისტია, მაგრამ ეს ფაქტი მაინც იმაზე მიუთითებს, რომ იგი კლასიციზტებისაგან უფრო შორს გრძნობს თავს, ვიდრე რევოლუციონერი რომანტიკოსებისაგან.

სტენდალი ჯერ კიდევ 1822 წელს ამბობდა: „მე არ ვკიცხავ, არ ვაქებ,—ვაკვირდები“ („სიყვარულის შესახებ“). ამ სიტყვების სიღრმე და მნიშვნელობა გასაგები ხდება როგორც მისი მხატვრული შემოქმედებით,—ასევე მოხდენილად გაკეთებული შენიშვნებითაც.

სტენდალი წინააღმდეგია ყოველგვარი მისტიკისა და გადაქარბებული პათოსისა, რადგან მასში ვერ ხედავს სინამდვილის ფსიქოლოგიური შესწავლის საფუძველს. იგი მხატვრისაგან მოითხოვდა ფსიქოლოგიის საგანგებოდ შესწავლას და ფსიქოლოგიად გახდომას.

წიგნში „რასინი და შექსპირი“, სტენდალი ამბობს: „უნდა მივიჩნიოთ მეტად სარწმუნოდ, რომ მე-19 საუკუნე იქნება განსხვავებული ყველა წინა საუკუნისაგან ადამიანის გულის ზუსტი და მგზნებარე ასახვით“.

მისი შეხედულებით, მხატვრის აუცილებელ თვისებას უნდა წარმოადგენდეს სწრაფვა სიზუსტისადმი, სინამდვილის მოვლენების ღრმად და დაწვრილებით შესწავლა. „გარემოებათა ზუსტი და მიკროსკოპიული აღწერით,—ამბობს ის,—გახდება მხოლოდ შესაძლებელი მომავლის გათვალისწინება“. მაგრამ ამ ამოცანის გადაწყვეტა, მისი თქმით, არ შეიძლება მხოლოდ ცალკეულ დეტალთა ცოდნით და ასახვით, თუ მწერალს არ აქვს გარკვეული მსოფლგაგება, რომელიც კოორდინაციას გაუკეთებს ყველა მოვლენას. „ფორ-

მის დეტალები და სიუჟეტის წვრილმანები,—წერს ის,—როგორი მხატვრულნიც არ უნდა იყვნენ ისინი, ჯერ კიდევ არ წარმოადგენენ ხელოვნებას, ისევე როგორც იდეები, თუნდაც გენიალურნი, მწერალს ჯერ კიდევ არ აძლევენ უფლებას გენიოსის ანდა ტალანტის ტიტულზე. მწერალი რომ ამად იქცეს, საჭიროა შერწყმა შეხედულებებისა, რომლებიც შეძლებენ მოიცვან და კოორდინაცია გაუკეთონ თანამედროვე იდეათა მთელ სამყაროს და ამასთან დაქვემდებარებულ იქნებიან ერთ — მთავარ აზრს... გარდა ამისა, მე არასოდეს არ დამიცილებია მხატვარი მოაზროვნისაგან, ისევე როგორც არ მსურს დავაცილო მხატვრული ფორმა მხატვრულ აზრსო\*.

სტენდალის ეს სიტყვები მეტად საგულისხმოა და საგანგებო კომენტარს არ საჭიროებს. იგი ნათლად გვიჩვენებს, თუ როგორი სიძლიერით და როგორი მოწინავე ესთეტიკური შეხედულებებით გამოჩნდა კრიტიკული რეალიზმი ფრანგულ ლიტერატურაში სტენდალის სახით.

სტენდალი მწერლისაგან მოითხოვს სინამდვილის ნათლად და სიცხადით ასახვას. იგი უსათუოდ გულწრფელი იყო, როცა ბალზაკთან მიწერილ წერილში ამბობდა: „ჩემთვის მხოლოდ ერთი კანონი არსებობს: ვიყო ნათელი. თუ მე ნათელი არ ვიქნები, მაშინ მთელი ჩემი სამყარო მოისპობაო“<sup>1</sup>.

მაგრამ სტენდალმა კარგად იცის, რომ სიცხადით და ნათლად ასახვა მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ მხატვარი არ ლალატობს სინამდვილეს. ამიტომ იყო, რომ თავის საუკეთესო რომანს („წითელი და შავი“) ეპიგრაფად წარუძღვარა დანტონის სიტყვები: — „სიმართლე! დეე მწარე, მაგრამ მხოლოდ სიმართლე!“

სტენდალისათვის სინამდვილის ცალკეული დეტალების, ინდივიდუუმა და სოციალურ ფენათა ბუნებისა და ხასიათის შესწავლა — პირველი ეტაპია, რომლის საფუძველზეც იგი ხატავს მთელი საზოგადოებრივი ცხოვრების სურათს ეპოქის გარკვეულ მონაკვეთში. მისი ესთეტიკის ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა შემოქმედების ეპოქალობაა.

სტენდალის ესთეტიკურ შეხედულებათა უდიდესი მნიშვნელობა იმდროინდელი მწერლობისათვის იმაშიც მდგომარეობს, რომ მან ყურადღება გაამახვილა ლიტერატურის ხალხურობის საკითხზე. ის პრინციპულად დაუპირისპირდა კლასიციზმს, რომელთა თვალი სასახლის ინტერესებისაკენ იყო მიპყრობილი. მისი სიტყვები — „ჩვენ გვკვირდება ლიტერატურა შექმნილი არა სასახლი-

<sup>1</sup> „Литературные манифесты французских реалистов“, 1935, стр. 45.

სათვის, არამედ ხალხისათვის\* — სწორად გამოხატავდა რეალისტური ხელოვნების ერთ-ერთ მთავარ დანიშნულებას.

სტენდალისათვის აშკარა იყო ისიც, რომ ლიტერატურაში გამოვლენას ჰპოვებს ამა თუ იმ ხალხის ნაციონალური ხასიათი, რაც კი არ ამცირებს, არამედ კიდევ უფრო საინტერესოს ხდის ნას. მისი თქმით, „ყოველ ხალხს უნდა ჰქონდეს თავისებური, მისი უნარისა და ხასიათის შესაფერი ლიტერატურა“<sup>1</sup>.

სტენდალის მხატვრული შემოქმედება იმის მაჩვენებელია, რომ მისი ესთეტიკური შეხედულებების პირველი განმხორციელებელი თვით იგი იყო. ამიტომ, მას სრული საფუძველი ჰქონდა ეთქვა: „რომანი არის სარკე, — გარტანილი ფართო გზაზე“.

მართლაც, თავისი რეალიზმის წყალობით სტენდალმა შეძლო: ეჩვენებინა კვდომა არისტოკრატიული საზოგადოებისა და ჩამოყალიბება ბურჟუაზიული საზოგადოებისა, მთელი მისი მახინჯი მხარეებით. ამიტომ, მისი შემოქმედება მკითხველს ალავსებს ამ უკანასკნელისადმი სიძულვილის გრძობით.

სტენდალის პირველი კემშარიტი დამფასებელი ბალზაკი იყო. მან სწორად გაიგო სტენდალის შემოქმედების ღირსება და მნიშვნელობა; ამასთან, სწორად განსაზღვრა საერთოდ მწერლობის დანიშნულება იმდროინდელ ფრანგულ სინამდვილეში.

თავისი მხატვრული შემოქმედებით ბალზაკმა გააგრძელა და გააღრმავა სტენდალი. მან განვითარების უმაღლეს ეტაპზე აიყვანა კრიტიკული რეალიზმი ფრანგულ ლიტერატურაში და საერთოდ ევროპულ ლიტერატურაში. იგი თავისი ეპოქის გენიალური მხატვარი-ისტორიკოსია, რომლის მახვილ ხედვას არ გამოპარვია თითქმის არც ერთი მნიშვნელოვანი სოციალურ-პოლიტიკური მოვლენა, რომელსაც ადგილი ჰქონდა იმდროინდელ ფრანგულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ბალზაკის — როგორც მხატვრის სიღიადეზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ მან უკეთ, ვინემ ყველა სხვამ, შეძლო ტიპიური ხასიათების ტიპიურ გარემოში გადმოცემა. მის შემოქმედებაში მხატვრული განხორციელება ჰპოვა კრიტიკული რეალიზმის თეორიულ-პრინციპებმა და მისსავე სწორმა შეხედულებამ: „მარადიულ მსოფლიო წარმატებათა საიდუმლოება — სიმართლეშია“.

ერთი მხრივ, რეალისტურმა მხატვრულმა მეთოდმა, მეორე მხრივ, საფრანგეთის იმდროინდელმა სოციალურ-პოლიტიკურმა

<sup>1</sup> Стендаль. Собр. соч., гл.т., т. IX, стр. 127.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 125.

ცხოვრებამ, — კერძოდ მუშათა კლასის გაძლიერებულმა ბრძოლებმა ბურჟუაზიის წინააღმდეგ, გარკვეული გარდატეხა გამოიწვია ბალზაკის პოლიტიკურ მსოფლმხედველობაში.

ფრ. ენგელსი მარგარიტა ჰარკნესისადმი მიწერილ წერილში ამბობს: „მართალია, ბალზაკი თავისი პოლიტიკური შეხედულებებით ლეგიტიმისტი იყო. მისი დიადი ნაწარმოები მაღალი საზოგადოების გამოუსწორებელი დაშლის გაუთავებელი ელუგიაა; მისი სიმპათიები გადაშენების გზაზე დამდგარი კლასის მხარეზეა. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მისი სატირა არასოდეს არ ყოფილა უფრო მახვილი, მისი ირონია არასოდეს არ ყოფილა უფრო მწარე, ვიდრე მაშინ, როდესაც იგი იძულებდა ემოქმედათ სწორედ იმ ადამიანებს, რომელთაც ის ყველაზე უფრო მეტად თანაუგრძნობდა, ე. ი. არისტოკრატებსა და არისტოკრატ ქალებს. და ადამიანები, რომლებზეც ის ყოველთვის დაუფარავი აღტაცებით ლაპარაკობს, ესენი არიან მისი უღმობელი პოლიტიკური მოწინააღმდეგენი, რესპუბლიკელები — ქუჩის გმირები Cloitre Saint Merri, ადამიანები, რომლებიც მაშინ (1830—1836) ნამდვილად ხალხის ნასების წარმომადგენელი იყვნენ. რეალიზმის ერთ-ერთ უდიდეს გამარჯვებად, მოხუც ბალზაკის ერთ-ერთ ყველაზე ძვირფას თვისებად მე ის მიმაჩნია, რომ ის იძულებული იყო საკუთარი კლასობრივი სიმპათიებისა და პოლიტიკური ცრურწმენის წინააღმდეგ წასულიყო, ის, რომ იგი ხედავდა თავისი სანუკვარი არისტოკრატების დაცემის გარდაუვალობას და აგვიწერდა მათ ისეთ ადამიანებად, რომლებიც უკეთეს ხეიდრს არ იმსახურებენ, და ის, რომ იგი მომავლის ნამდვილ ადამიანებს ხედავდა იქ, სადაც შეიძლებოდა იმ დროს მათი პოვნა“<sup>1</sup>.

და თუ ბალზაკმა, თავისი კლასობრივი სიმპათიების მიუხედავად, სწორად ასახა იმდროინდელი ბურჟუაზიული საზოგადოების წინააღმდეგობანი და სწორად გაიგო სოციალური ცხოვრების პროცესის ხასიათი, ეს აშკარად მიუთითებს მის მსოფლმხედველობაში მომხდარ გარდატეხაზეც. ეს გარდატეხა კი მით უფრო ადვილად მოხდა მასში, რომ ბალზაკი აროდეს არ ყოფილა თანმიმდევარი ლეგიტიმისტი და მან თავიდანვე გამოამჟღავნა მსოფლმხედველობრივი მერყეობა და წინააღმდეგობანი.

ამ მხრივ, მეტად ნიშანდობლივია თვით ბალზაკის სიტყვები: „საქიროა გამბედაობა, რომ იწოდებოდე ლეგიტიმისტად. ეს პარტია საზიზლარია“.

<sup>1</sup> კ. მარქსი, ფ. ენგელსი. რჩეული წერილები, 1949, გვ. 447.



ლეგიტიმიზმის პრინციპებში მისი მერყეობა გამომჟღავნდა სა-  
ფრანგეთის 1789 წლის ბურჟუაზიული რევოლუციის შეფასებაშიც.  
მისი თქმით: „წინააღმდეგობას უწევდა 1789 წლის მატერიალურ  
შედევებს, იმას, რაც რევოლუციამ შექმნა იდეებში, საგნებში  
და მისწრაფებებში, იქნებოდა შეცდომა, რომელსაც პოლიტიკურ  
ენაზე სახელი არ გააჩნია... ეს იქნებოდა აბსურდი, შეუძლებლობა,  
დანაშაული და უქკუობა ერთსა და იმავე დროს“.

ბალზაკის პოლიტიკური შეხედულებებისა და მისი მხატვრუ-  
ლი შემოქმედების იდეური აზრის ანალიზი საფუძველს იძლევა  
ითქვას, რომ „Легитимизм Бальзака был выражением не столь-  
ко его симпатий к дворянству, сколько проявлением анти-  
патии к „царству буржуазного выскочки“, выражением глу-  
бочайшего разочарования в результатах революции 1830 г.“<sup>1</sup>.

ბალზაკის რეალიზმის სიღრმე და მისი შემოქმედების ეპოქა-  
ლობა ტიპიურობის პრობლემის წარმატებით გადაწყვეტამ უზრუნ-  
ველყო..

„ადამიანური კომედიის“ ავტორის შეხედულებით, „მხატვ-  
რის გენია იმაში მდგომარეობს, რომ შეარჩიოს ბუნებრივი გარე-  
მოებები, რომელნიც ლიტერატურული სიმართლის ელემენტებად  
ხდებიან, და, თუ მან ისინი მტკიცედ ვერ შეადლულა, თუ მისი ლი-  
თონები ერთ მთლიან, მშვენიერ ქანდაკებად ვერ ჩამოიხსა, რას  
იზამ! — ნაწარმოები ვერ მიიღო“.

მაგრამ ბალზაკს არ აკმაყოფილებს ცალკეულ სოციალურ  
მოვლენათა გარეგნული აღწერა, იგი თავის მხატვრულ დანიშნუ-  
ლებას ამ მოვლენათა მიზეზების ახსნასა და მისი „დათარული  
აზრის“ გაგებაში ხედავს. მისი შეხედულებით, რეალისტური მე-  
თოდის მომარჯვებით ყველა მწერალს შეუძლია გახდეს მართლის  
მთქმელი, ცხოვრების ცალკეულ დრამათა მიზნობელი, სოციალუ-  
რი გარემოს არქეოლოგი, პროფესიათა ნომენკლატორი, სიკეთისა  
და ავის რეგისტრატორი, მაგრამ მხოლოდ ეს ვერ უზრუნველყოფს  
მის მხატვრულ გამარჯვებას. „ქება რომ დამემსახურებია, რაც  
ყველა მხატვარს უნდა სურდეს, — წერს ის, — მე დამჭირდა შემესწავ-  
ლა ამ სოციალურ მოვლენათა მიზეზი და მიზეზები, — ჩავწვდო-  
მიღი უამრავ ადამიანების ვნებათა და შემთხვევათა ფარულ აზრს“<sup>2</sup>.

<sup>1</sup> Р. М. Самарин. Бальзак и французское рабочее движение 30—  
40-х годов XIX в. См. „Ученые записки института Мировой литературы  
им. А. М. Горького“, М., 1952, стр. 334.

<sup>2</sup> „Литературные манифесты французских реалистов“, 1935, стр. 49.

ლიტერატურის დანიშნულებას ბალზაკი ხედავს საზოგადოებრივი ცხოვრების სწორად ასახვაში. ხოლო ამ მიზნისადმი მიღწევის საშუალებას—ტიპიური სახეების შექმნაში. მისი თქმით, „ტიპი—წარმოადგენს პირს, რომელშიც თავმოყრილია დამახასიათებელი თავისებურებანი ყველა მათი, რომლებიც ცოტად თუ ბევრად ჰგვანან მას,—ეს არის სახეობის ნიმუში“. მას ღრმად სწამს, რომ „არა მარტო ადამიანები, არამედ ცხოვრების უმთავრესი მოვლენებიც გამოიხატებიან ტიპების საშუალებით“.

ამგვარად, ერთი მხრივ, მსოფლმხედველობაში მომხდარმა გარდატეხამ, ხოლო, მეორე მხრივ, ტიპიური ხასიათების ტიპიურ გარემოში სწორად გადმოცემის პრობლემის წარმატებით გადაჭრამ, ბალზაკს შესაძლებლობა მისცა აესახა ფეოდალური არისტოკრატის გარდაუვალი დაცემა და მონაელის ნამდვილი ადამიანები. ამასთან, იგი თავის გმირებს ხატავს არა აბსტრაქტულად, არა სინამდვილისაგან მოწყვეტილად, არამედ სოციალურ მოვლენათა ფონზე, წინააღმდეგობით საკვს საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზზე მოქმედებაში.

ამ გარემოებამ განაპირობა ბალზაკის შემოქმედების ეპოქალობა და დიდი შემეცნებითი მნიშვნელობა. ბალზაკის უდიდეს მხატვრულ გამარჯვებაზე მეტყველებს ფრ. ენგელსის ცნობილი სიტყვებიც იმის შესახებ, რომ ფრანგული საზოგადოების ისტორიისათვის მან ბალზაკის თხზულებებით მეტი გაიგო, „ვიდრე ამ პერიოდის ყველა სპეციალისტის—ისტორიკოსების, ეკონომისტების, სტატისტიკოსების,—წიგნებიდან, ყველა ერთად აღებული“.

ბალზაკი მწერლისაგან მოითხოვს ჰქონდეს გარკვეული შეხედულება მორალისა და პოლიტიკის საკითხებზე, ახსოვდეს, რომ ის არის ხალხის მასწავლებელი. ამიტომაც, იგი გაურბის მოვლენათა და საგანთა უბრალო ფორტოგრაფიულ აღწერას, ბანალურ სცენებს; არჩევს ისეთ დეტალებს, რომელთა მოშველებით უფრო აშკარად და დამაჯერებლად ჩანს ცხოვრების არსებითი მხარეები. მის ესთეტიკაში ადგილს ვერ პოულობს ნატურალიზმისათვის დამახასიათებელი ასახვის ხერხები; იგი არ იზიარებს მოვლენათა გულგრილი და პირდაპირი სახით გადმოტანის თეორიას; მკაცრად განასხვავებს ერთმანეთისაგან „გადმოხატვასა“ და „გამოსახვას“. მისი მოთხრობის („Неведомый шедевр“) გმირი—მხატვარი ფრენგოფერი ამბობს: „ხელოვნების ამოცანაა არა მიბაძოს ბუნებას, არამედ გამოხატოს იგი“. ეს შეხედულება კი უშუალოდ ავტორის ესთეტიკიდანაა ნასესხები.

მეტად საყურადღებო აზრი აქვს გამოთქმული ბალზაკს, ამ ნხრივ, ცხოვრებასა და ხელოვნებაში ცალკეული მოვლენის ადგილისა და მნიშვნელობის შესახებ. მისი თქმით, „ხელოვნება ცხოვრებისაგან იმით განსხვავდება, რომ ცხოვრებაში თითოეული ფაქტი უტყუარია თვითმისივე არსებობით. მაგრამ ის რომ ცხოვრების მოქმედებიდან სინამდვილის მსგავს წიგნურ „მოქმედებაში“ გადაიტანოს, მწერალმა ამისათვის უნდა გვიჩვენოს მთელი მისი ძირები“.

ბალზაკმა,—როგორც დიდმა რეალისტმა მხატვარმა, ფართოდ ასახა მისი თანამედროვე ფრანგული ბურჟუაზიული საზოგადოება, ყველა ძირითადი მნიშვნელობის სოციალური მოვლენა, და ყოველივე ეს მან ასახა არა სტატიკურ ფორმაში, არამედ დინამიკურ მოძრაობაში, განვითარებაში.

ბალზაკს არ შეიძლებოდა მთელი სისრულით გადაეწყვიტა დადებითი გმირის შექმნის პრობლემა, მაგრამ მუშათა კლასის გაძლიერებულმა მოძრაობამ მწერალს გაუადვილა ამ მიმართულებითაც მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაედგა. „Люди, изображенные Бальзаком с наибольшей симпатией,—это либо борцы против буржуазного общества (Мишель Кретьен, Низрои), либо люди труда, науки, честные борцы за искусство, свободное от корыстного расчета (кружок „честных гениев“ в „Утраченных иллюзиях“). Герои Бальзака—это люди, горящие высокими целями, стремящиеся служить народу, бороться за высокие идеалы без учета выгоды („Утраченные иллюзии“)“<sup>1</sup>.

ეს გარემოება კი ბალზაკის რეალიზმს დიდ ცხოველყოფელობას მატებდა, რაც მას დღესაც უნარჩუნებს განსაკუთრებულ მნიშვნელობას და პოლიტიკურ სიმახვილეს. ამიტომაც, რომ თანამედროვე ბურჟუაზიული საზოგადოებისათვის ბალზაკი კვლავ საშიშ მწერლად რჩება.

ბალზაკმა კრიტიკული რეალიზმი ფრანგულ ლიტერატურაში იმ სიმაღლემდე აიყვანა, რომ მას მარქსმა „სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი“ უწოდა. მწერალთა მომავალ თაობებს აღარ შეეძლოთ გვერდი აეველოთ მისთვის და მის მიერ წარმატებით მომარჯვებული მხატვრული მეთოდისათვის, მაგრამ, იღებდა რა სხვა ხასიათს ის ისტორიული მოვლენები, რომლებმაც განაპირობეს ბალზაკის დიდი მხატვრული გამარჯვება, შესაფერი ცვლილებები გამოვლინდა ამ მწერალთა შემოქმედებაშიც.

<sup>1</sup> В. В. Пашева. История западноевропейской литературы XIX века, 1951, книга 1, стр. 115.

ბალზაკმა სწორედ იმ დროს დაასრულა სიცოცხლე, როცა არსებობა დაამთავრა თვით იმ ეპოქამ, რომელსაც შეეძლო ბალზაკი-ლეგიტიმიზმი უდიდეს რეალისტ ბალზაკად ექცია.

1848 წლის რევოლუციის შემდგომ შექმნილმა ისტორიულმა ვითარებამ ძალა და გამბედაობა წაართვა მათ, რომლებსაც თავიანთი კლასობრივი სიმპათიები არ აახლოებდათ მუშათა კლასთან.

ფრანგული კრიტიკული რეალიზმი ბალზაკის შემდეგ თანდათან ჰკარგავს თავის პოლიტიკურ სიმახვილეს; მოვლენათა ღრმა ანალიზს ლიტერატურაში სცვლის მოვლენათა აღნუსხვა, ხოლო კრიტიციზმს ძალას ართმევს სკეპტიციზმი; ნატურალიზმის ელემენტები უფრო და უფრო აშკარად იჩენენ თავს.

ფრანგული კრიტიკული რეალიზმის ეს ეტაპი ყველაზე უფრო სრულად ფლობერის შემოქმედებითაა წარმოდგენილი, თუმცა გარდამავალ ზღურბლზე—მაინც პროსპერ მერიმეა.

მიუხედავად იმისა, რომ პროსპერ მერიმე სტენდალისა და ბალზაკის თანამედროვე იყო, მან მაინც ვერ შეძლო იმდროინდელი ბურჟუაზიული საზოგადოების წინააღმდეგობებით აღსაყვებ ცხოვრების ჩვენება. განსხვავებით სახელოვან თანამედროვეთაგან, იგი დაინტერესებული არ იყო ყურადღების ცენტრში დაყენებინა ის ძირითადი მოვლენები, რომლებიც უფრო სრულად და უფრო სწორად წარმოადგენდნენ ეპოქის ხასიათსა და ბუნებას, ბურჟუაზიული საზოგადოების მანკიერებას. მისი მხატვრული ხედვა გარკვეულად შეზღუდულია, არ ასახავს ეპოქის საერთო სურათს. მერიმეს შემოქმედებით ჩვენ ვეცნობით იმდროინდელი ცხოვრების ცალკეულ მოვლენებს, მაგრამ მათ აკლიათ განზოგადება და მთლიანობა.

კრიტიციზმმა და ბრძოლამ ბურჟუაზიული სინამდვილის წინააღმდეგ მერიმეს მხატვრულ შემოქმედებაში მიიღო არა აღმავალი, არამედ დაღმავალი ხასიათი.

ოციანი წლების დასასრულს, კლასიციზტური გადმონაშთების წინააღმდეგ ბრძოლაში მერიმემ თავი გამოიჩინა როგორც რეალისტმა, თუმცა, მსგავსად სტენდალისა, იგი რომანტიკოსებს აკუთვნებდა თავის თავს.

ივლისის რევოლუციამდე დაწერილ ნაწარმოებებში („კლარა გაზულის თეატრი“, „უაქერია“, „კარლოს IX ქრონიკა“) მერიმე გვევლინება როგორც მებრძოლი ფეოდალური დესპოტიზმისა და კათოლიკური ეკლესიის წინააღმდეგ. იგი არ მალავს თავის უკმაყოფილებას არც ბურჟუაზიული საზოგადოებრივი ცხოვრებისადმი, მაგრამ დემოკრატიული ტენდენციები იმთავითვე ძუნწად იყო წარმოდგენილი მის შემოქმედებაში.

ივლისის რევოლუციის შემდეგ სიძულვილი ბურჟუაზიული საზოგადოებისადმი თითქოს უფრო გაღრმავდა მერიმეში, მაგრამ იგი მაინც არ მისულა მკაცრ პროტესტამდე, რადიკალური გამოსავლის ძიებამდე. იგი ყოველთვის წინააღმდეგი იყო საზოგადოებრივი რევოლუციის გარდაქმნის რევოლუციურ-დემოკრატიული გზისა. ამიტომ იყო, რომ მუშათა კლასის გაძლიერებულმა მოძრაობამ მერიმეში გამოიწვია არა იდეური აღმავლობა, არამედ პოლიტიკური ინდიფერენტიზმი, რაც მან თანდათანობით უფრო აშკარად გამოამჟღავნა.

ამ დროიდან მერიმე უკვე გვევლინება არა როგორც ტიპიური ხასიათების ტიპიურ გარემოში სწორად გადმოცემით დაინტერესებული მხატვარი, არამედ როგორც მოვლენათა მსვლელობის სკეპტიკოსი-მეთვალყურე. ეს გარემოება უფრო აშკარა ხდება 40-იანი წლებიდან, რევოლუციურ-დემოკრატიული მოძრაობის ახალ აღმავლობასთან დაკავშირებით.

1848 წლის რევოლუციამ ნიღაბი ჩამოაცილა მერიმეს სკეპტიციზმსა და მის ანტიდემოკრატიულ განწყობილებებს. მან უკვე გამოაშკარავა სიძულვილი რევოლუციური დემოკრატიისადმი და სიახლოვე რეაქციულ წრეებთან. მერიმეს ეს იდეური დაცემა თითქმის თანდათანობით ვითარდებოდა, მაგრამ 1848 წლის რევოლუციამ ისე დააჩქარა, რომ მერიმე-მხატვარს გაუძნელდა შესაფერი ნახტომი გაეკეთებია პრაქტიკულ-მხატვრულ მოღვაწეობაშიც. როცა წლიანი „შესვენების“ მთავარი მიზეზი ამ გარემოებაშიც უნდა ვეძიოთ. 1848 წლის რევოლუციის შემდეგ მან მხოლოდ სამი ნოველა დაწერა („ცისფერი ოთახი“, „ლოკის“, „ჯუშანი“), რომლებშიც მერიმემ საბოლოოდ გამოავლინა თავისი პოლიტიკური უმწეობა ბურჟუაზიული საზოგადოების კრიტიკაში და ლალატი რეალისტური პრინციპებისადმი.

როგორც ვხედავთ, მერიმე წარმოადგენს გარდამავალ ეტაპს ბალზაკსა და ფლობერს შორის არა იმდენად ქრონოლოგიურად, რამდენადაც თავისი შემოქმედების ხასიათით.

ფრანგული კრიტიკული რეალიზმის მესამე ეტაპი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ფლობერის შემოქმედებითაა წარმოდგენილი.

ფლობერის ადრეული შემოქმედება რომანტიკული იყო. მისი როგორც რეალისტის ჩამოყალიბება სწორედ 1848 წლის რევოლუციის შემდეგ ხდება. ფლობერი თავის თავს ბალზაკის გამგრძელებლად სთვლიდა, მაგრამ მას, ცხადია, აღარ შეეძლო სტენდალისა და ბალზაკის გაბედულებითა და სიღრმით ეჩვენებინა ის წინააღმდეგობა, რომელიც ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის

არსებობდა და რომელიც მთელი გარკვეულობით გამოემყვანდა რევოლუციის შემდეგ.

ფლობერის მოღვაწეობის ეპოქაში ბურჟუაზიული მწერლობის წარმომადგენელთა წინაშე ორი არჩევანი იყო: ან აშკარად უნდა დაპირისპირებოდნენ საკუთარ კლასს, ან ხელი აეღოთ ბურჟუაზიული საზოგადოების ბალზაკისეულ კრიტიკაზე, გვერდი აეველოთ ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის გამწვავებული წინააღმდეგობის ახსნაზე.

ფლობერმა მეორე გზა აირჩია. მისი რეალიზმის ხასიათი ბურჟუაზიული დემოკრატიის კრიზისმა განსაზღვრა. მასზე გავლენა მოახდინა ბურჟუაზიული კულტურის კრიზისმა, რაც ლიტერატურაში პოზიტივიზმისა და ვულგარული მატერიალიზმის „პრინციპების“ გადმოტანით აღინიშნა.

ფლობერი თავის ესთეტიკაში განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა მხატვრული შემოქმედების მეცნიერებასთან დაახლოების საკითხს. „პოეზია, — წერს ფლობერი, — ისევე ზუსტია, როგორც გეომეტრია, ... რაც დრო გავა, იგი მით უფრო მეცნიერული გახდება, ... ლიტერატურა სულ უფრო მეტად ისესხებს მეცნიერების ხერხებს“. „მე ვფიქრობ, რომ დიდი ხელოვნება მეცნიერულია და უპიროვნო. პერსონაჟები კი არ უნდა დავიახლოვოთ, არამედ გონების დაძაბვით, ჩვენ თითონ უნდა შევიქრათ მათში“.

აქედან გამომდინარე, ფლობერი აყენებს საკითხს შემოქმედების „ობიექტივიზმის“ შესახებ. მისი შეხედულებით, მწერალი ისე უნდა ხატავდეს სურათებს, როგორც სინამდვილეშია, არ უნდა იყენებდეს გადაჭარბებულ ფერებს. მაგრამ ფლობერი მაინც არაა თანმიმდევრული თავის შეხედულებაში. ამას მოწმობს თუნდაც მისი სიტყვები: „ვიყოთ გარემო სინამდვილის გამადიდებელი სარკე“. თავის პრაქტიკულ მოღვაწეობაშიც იგი არ ყოფილა „ობიექტივიზმის“ ერთგული დამცველი.

ფლობერი ჯერ კიდევ „მადამ ბოვარში“ შეეცადა ისე დაეხატა გმირები, რომ არ გამოემჟღავნებინა საკუთარი დამოკიდებულება მათდამი, მაგრამ ამ მიზანს მაინც ვერ მიაღწია.

ფლობერი, როგორც აღვნიშნეთ, შეაშინა 1848 წლის რევოლუციის შემდგომ შექმნილმა პოლიტიკურმა სიტუაციამ. იგი არ იძლევა ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის გამწვავებული ურთიერთობის მიხეზების ახსნას, ბურჟუაზიული საზოგადოების ფლობერისეული კრიტიკა მოკლებულია სიღრმეს და პირდაპირობას, რაც მისი რეალიზმის შეზღუდულობაზე ლაპარაკობს.

გარდა ამისა, ბურჟუაზიული კულტურის დაცემამ ფლობერი პესიმიზმამდე და სკეპტიციზმამდე მიიყვანა. მისთვის გაუგებარი დარჩა, რომ იბადებოდა ახალი კულტურა, რომელსაც ქმნიდა მუშათა კლასი. ამიტომ, ბურჟუაზიული კულტურის დაცემა მან მიიღო როგორც საკაცობრიო კულტურის დაცემა საერთოდ.

ფლობერს არ ჰქონდა სწორი შეხედულება საზოგადოების განვითარების ისტორიაზე, კლასებსა და კლასთა ბრძოლაზე, მშრომელი ხალხის ძალასა და როლზე. ესა თუ ის საზოგადოებრივი ფაქტი მის რომანებში ნაჩვენებია ნიადაგისაგან მოწყვეტილად, შესაფერი კომენტარიის გარეშე; და ეს იმიტომ, რომ ეშინია ყურადღება გაამახვილოს ბურჟუაზიული დემოკრატიის კრიზისის ნამდვილ მიზეზებზე. მისი რეალიზმი სკეპტიციზმითაა გაფერმკრთალებული.

პესიმიზმი და სკეპტიციზმი კიდევ უფრო გაძლიერდა მასში შემოქმედების უკანასკნელ პერიოდში, როცა პარიზის კომუნარებმა აშკარა გმირული დარტყმა აგემეს ბურჟუაზიას. ფლობერი უკმაყოფილო იყო ბურჟუაზიული საზოგადოებით, მაგრამ ვერც მუშათა კლასის აქტიური მოქმედებისადმი სიძულვილს მალავდა. კერძოდ, თავის წერილებში იგი მკაცრად ესხმოდა თავს პარიზის კომუნარებს და მათ მკაცრ დასჯას უქერდა მხარს. მისი იმდროინდელი განწყობილებების გასათვალისწინებლად საკმარისია ჟორჟ ზანდისადმი მიწერილი წერილი, რომელშიც ამბობს: „ოხ, როგორ დავიქანცე მუშის სიმდაბლისაგან, გლეხის—სიჩლუნგისაგან, ბურჟუას—სიბრიყვისაგან და ეკლესიის მსახურთა გაიძვერობისაგან. აი, ამიტომაც, რამდენადაც შესაძლებელია, ვიძირები წარსულში“. თუმცა, ის ვერც წარსულში პოულობდა ნუგეშს.

მაგრამ რაც არ უნდა ეთქვა ფლობერს, მის მხატვრულ შემოქმედებაში მაინც აისახა ბურჟუაზიული კულტურის დაცემა, ბურჟუაზიული საზოგადოების იდეური და მორალური გადაგვარება. მას კვლავ სასიცოცხლო ძაფები აკავშირებდა საამაყო წინამორბედებთან, თუმცა მის რეალიზმში უკვე შეიქრა ნატურალიზმის ტენდენციები და თუ იგი, ერთი მხრივ, კრიტიკული რეალიზმის ერთგული რჩება, მეორე მხრივ, ნატურალიზმსაც საკმაოდ უმზადებს ნიადაგს.

საერთოდ, აშკარად იგრძნობა, რომ ფლობერის როგორც ესთეტიკურ შეხედულებებში, ასევე მხატვრულ შემოქმედებაში წინააღმდეგობებია.

ფლობერის რეალიზმის თავისებურებათა შესახებ სწორად შენიშნავს პროფ. ა. ივაშჩენკო, რომელიც წერს: „В основе флорберовского реализма лежит скорбная мысль о бренности

всего, о всеобщей относительности, о том, что все существующее неумолимо обращается в прошлое, что, строго говоря, существует только прошлое. Флобер мог бы поэтому сказать: все—только повторяется, все—существует, всегда<sup>1</sup>.

ამასთან, შეცდომა იქნებოდა გვეთქვა, რომ კრიტიკული რეალიზმი ფრანგულ ლიტერატურაში, მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში, მხოლოდ ფლობერიტა და ფლობერისეულად იყო წარმოდგენილი. ფლობერს ჰყავდა თანამედროვენი, რომლებიც იმთავითვე საყვედურობდნენ მას.

კერძოდ, 50-იან წლებში საკმაო ყურადღება დაიმსახურეს შანფლერიმ, დიურანტიმ და მათმა თანამოაზრეებმა, რომლებიც თავიანთ თავს სტენდალისა და ბალზაკის გამგრძელებლებად სთვლიდნენ. ისინი ფლობერს საყვედურობდნენ „ობიექტივიზმს“ და მახვილს აკეთებდნენ თავიანთი რეალიზმის დემოკრატიულ ბუნებაზე. როგორც მხატვრები, იგინი, ცხადია, სუსტნი იყვნენ ფლობერთან შედარებით, მაგრამ რეალისტური ხელოვნების პრინციპების გარკვევასთან დაკავშირებულ ცხარე კამათში, უსათუოდ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს.

ამ მხრივ განსაკუთრებული როლი ითამაშა ჟურნალმა „რეალიზმმა“, რომელიც დიურანტის რედაქტორობით გამოდიოდა 1856—1857 წლებში. თვით სიტყვა „რეალიზმმა“ ლიტერატურაში ამ დროიდან მიიღო თავისი გარკვეული მნიშვნელობა, თუმცა განვითარების უმაღლეს წერტილს, როგორც ვიცით, კრიტიკულმა რეალიზმმა ფრანგულ ლიტერატურაში სწორედ მანამდე მიაღწია.

\* \* \*

როგორც ფრანგ, ასევე ინგლისელ გამოჩენილ რეალისტებს მოღვაწეობა მოუხდათ მე-19 საუკუნის 30—40-იან წლებში. აღნიშნული ეპოქა, ინგლისის საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიაში, მრავალმხრივ საინტერესო მოვლენებით ხასიათდება. ესაა პერიოდი, როცა სამრეწველო ბურჟუაზია ჯერ კიდევ პროგრესულ-ისტორიულ როლს თამაშობს, უკანასკნელ ბრძოლებს აწარმოებს ფეოდალური არისტოკრატის პოლიტიკური და ეკონომიური ბატონობის წინააღმდეგ. ამასთან, თვით ბურჟუაზია უკვე განიცდის თავისი მესაფლავის—პროლეტარიატის პირველ დარტყმებს.

<sup>1</sup> А. Ф. Иващенко. Проблема народа в реализме Флобера. См. „Ученые записки института мировой литературы им. А. М. Горького“, 1952, том 1, стр. 869.



განსაკუთრებული მნიშვნელობის მოვლენას ამ დროის ინგლისის სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში წარმოადგენდა ჩარტიზმი,—ქვეშარიტად პროლეტარულ-რევოლუციური მოძრაობა, რომელმაც, მასიურობისა და პოლიტიკური ორგანიზაციების წყალობით, გაბატონებული კლასები აიძულა რეფორმებისათვის მიემართათ.

ინგლისური კრიტიკული რეალიზმის ხასიათიც ამ რთულმა სოციალურ-პოლიტიკურმა გარემომ განაპირობა.

ვინაიდან ინგლისში ჯერ კიდევ 30—40-იან წლებში გამომქლავნდა აშკარა და მკაცრი წინააღმდეგობა ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის, ინგლისური კრიტიკული რეალიზმის წარმომადგენლები, შედარებით ფრანგ რეალისტებთან, არსებული საზოგადოებრივი ცხოვრების უფრო ზერელე და სუსტ კრიტიკას აწარმოებდნენ.

ინგლისური კრიტიკული რეალიზმის ისეთი დიდი წარმომადგენლებიც კი, როგორნიც იყვნენ დიკენსი და თეკერეი, არ ეხებოდნენ ბურჟუაზიული საზოგადოების მთავარ საფუძვლებს. მართალია, ისინი მიმართავდნენ ბურჟუაზიული სინამდვილის კრიტიკას, მაგრამ ამ კრიტიკის მიზანი არ ცილდებოდა ცალკეული უარყოფითი მხარისაგან მისი განთავისუფლების ინტერესს; მათი კრიტიციზმი რეფორმატორული ხასიათისაა. ამიტომ იყო, რომ მათ წინა რიგზე წამოსწიეს მორალი, რომელიც, თავის მხრივ, თავისუფალი არ იყო რელიგიისაგან.

ინგლისური კრიტიკული რეალიზმის წარმომადგენელთა შეხედულებით, პიროვნების მორალური სრულყოფა შეიძლება გახდეს კლასობრივი ანტაგონიზმის მოსპობის საწინდარი.

შეიძლება ითქვას, რომ პიროვნების ზნეობრივი გარდაქმნის მიჩნევა სოციალურ წინააღმდეგობათა მოსპობის ყველაზე სწორ გზად იყო ინგლისური კრიტიკული რეალიზმის სისუსტის ერთ-ერთი მთავარი გამოხატულება; რელიგიურ-მორალისტური ხასიათი მას შესამჩნევად განასხვავებს ფრანგული რეალიზმისაგან.

ინგლისური კრიტიკული რეალიზმის წარმომადგენლებმა სათანადოდ ვერ შეათვასეს და სწორად ვერ გაიგეს პროლეტარული მოძრაობის ხასიათი და მნიშვნელობა. ისინი არ თანაუგრძობდნენ სოციალურ და კლასობრივ წინააღმდეგობათა გადაჭრის ერთადერთ სწორ გზას—რევოლუციურ გზას. და ეს იმიტომ, რომ არ იბრძოდნენ ბურჟუაზიული საზოგადოების საფუძვლის—კერძო საკუთრებისა და ექსპლოატაციის წინააღმდეგ. ამის გამო, მათ ვერ შეძლეს თავიანთ გმირთა და აღწერილ მოვლენათა ჩვენება დინამიკურ განვითარებაში.

კაპიტალისა და შრომის მორიგების ინტერესმა მათ შესაძლებლობა მოუსპო დაენახათ კლასობრივი სოლიდარობისა და კოლექტივიზმის იდეა პროლეტარიატში. ამიტომ, მუშა მათ გამოჰყავთ მარტოხელა, მოწყვეტილი თავისი კლასობრივი კოლექტივისაგან.

მაგრამ ინგლისური კრიტიკული რეალიზმის წარმომადგენელთა დამსახურება ბურჟუაზიული საზოგადოების კრიტიკის საქმეში მაინც დიდია. ამაზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ მათ შემოქმედებაში მეტად, ვინემ ყველა სხვა ბურჟუაზიულ მოაზროვნეთა შრომებში, ნათლად წარმოდგა არსებული სინამდვილის ბნელი მხარე.

მათ ნაწარმოებებში გამოჩნდა პირველად ორთქლის მანქანები, დღე და ღამე მომუშავე ფაბრიკები თავიანთი სოციალური შედეგებით; ყურადღების ცენტრში მოექცნენ მოსახლეობის დაბალი ფენები, კერძო საკუთრებებს მოკლებული ადამიანები.

ამ მხრივ, პირველ ყოვლისა, საინტერესოა დიკენსი, რომლის მხატვრული შემოქმედება ხასიათდება მდიდარი სოციალური შინაარსითა და აქტუალური პრობლემატიკით. მის სოციალურ რომანებში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა მშრომელთა ფენების წარმომადგენელთა ცხოვრებას. ამასთან, იგი არაა თავის გმირთა ცხოვრების გულცივი მეთვალყურე. მას თავისი გმირები ორ ჯგუფად ჰყავს დაყოფილი: ერთნი,—რომლებიც სძულს, მეორენი,—რომელთაც თანაგრძნობით ეპყრობა; ყველა მათ, მწერალი, შესაფერ სასჯელსა და ჯილდოს მიუზღავს.

მიუღებელი სოციალური ხასიათის მოვლენებს დიკენსი მოხდენილი იუმორით უმასპინძლდება, მაგრამ მის იუმორს აკლია სარკაზმი. მისი სიცილი შორსაა გამანადგურებელი სატირისაგან, იგი ცრემლიანი სიცილია, რომლის მიზანია არა მოსპობა, არამედ შერიგება, გამოსწორება.

დიკენსი არ ერიდება თავისი თანამედროვე ცხოვრების მაზინჯი მხარეების ასახვას, რაც მისი უდავო დამსახურებაა, მაგრამ იგი არ ღრმავდება მისი გამომწვევი მიზეზების ახსნამდე, რაც მისი რეალისმის სუსტ მხარეს წარმოადგენს.

ეპირა რა თავიდანვე ზომიერი პოზიცია ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის გამწვავებული წინააღმდეგობის აღწერაში, დიკენსს შედარებით უფრო გვიან დაეტყო 1848 წლის რევოლუციის შემდეგ შექმნილი პოლიტიკური სიტუაციის გავლენა. მისი შემოქმედების პირველი პერიოდი, რომელიც იწყება ნაწარმოებით—„პიკვიკის კლუბის ჩანაწერები“ და მთავრდება რომანით „დომბი და შვილი“, არ ამოწურავს მის, როგორც რეალისტის

მოღვაწეობას. 50-იან წლებში დიკენსი კიდევ ქმნის საყურადღებო სოციალურ რომანებს („ცივი სახლი“, „მძიმე დრონი“, „პაწაწა დორრიტი“), რომლებშიც ის კვლავ თავის რეალისტურ პოზიციებზე დგას. მაგრამ მის შემოქმედებაშიც თანდათანობით შეინიშნება რეალისტური მეთოდის კრიზისი, რაც უდავო ხდება ისტორიული რომანის — „მოთხრობა ორი ქალაქის შესახებ“ შემდეგ გამოქვეყნებული ნაწარმოებებით. აღნიშნული რომანი რეალისტი დიკენსის უკანასკნელი სიტყვა იყო.

გაბატონებული კლასების კრიტიკაში, დიკენსთან შედარებით, წინ წავიდა თეკერეი, რომელიც ინგლისური კრიტიკული რეალიზმის ყველაზე დიდ წარმომადგენელად უნდა ჩაითვალოს.

თეკერეიმ ყურადღება გაამახვილა არისტოკრატიული და ბურჟუაზიული საზოგადოების ცხოვრების მახინჯ მხარეებზე. განსხვავებით დიკენსისაგან, იგი სატირას მიმართავს და არა იუმორს. აქ მიმართულებით მან განაწილათარა მეთვრამეტე საუკუნის ინგლისელ რეალისტთა მხატვრული ტრადიციები.

თეკერეის სატირას ვერ გადაურჩა იმდროინდელი ეკლესია, პარლამენტი, მეცნიერება და ხელოვნება. იგი ყველაზე უფრო მახვილი თვალთ აღწერს მალალი ფენების ხრწნასა და ანტაგონიზმს. მაგრამ თეკერეის რეალიზმის შეზღუდულობა მქლავნდება სწორედ ამ ანტაგონიზმის გაგებაში. კლასობრივი ანტაგონიზმი თეკერეის გადააქვს მორალის სფეროში, მალალი წოდების მანკიერებას იგი ეძებს მხოლოდ ეგოიზმში. რამდენადაც იგი მკაცრია არისტოკრატიული და ბურჟუაზიული საზოგადოების ნაკლოვანებათა ასახვაში, იმდენად იგი სუსტია შესაფერი მიზეზების მოძებნისა და გაგების საქმეში.

თეკერეის კრიტიციზმის სიმახვილე უთუოდ ჩარტისტული მოძრაობის გავლენითაა შეპირობებული, მაგრამ მან მაინც ვერ მოგვცა მიუღებელი სინამდვილის საფუძვლიანი კრიტიკა.

თეკერეი — მხატვარი და თეკერეი — მოაზროვნე ყველაზე სრულად წარმოდგა რომანით „ამაოების ბაზარი“, რომელიც სამართლიანად ითვლება ინგლისური კრიტიკული რეალიზმის უმაღლეს მიღწევად.

ინგლისური კრიტიკული რეალიზმის თემატიკური მრავალფეროვნების საქმეში გარკვეული წვლილი შეიტანეს შარლოტა ბრონტემ და ელისაბედ გასკელმაც, რომლებიც დიკენსისა და თეკერეის თანამედროვენი იყვნენ.

ინგლისური კრიტიკული რეალიზმის წარმომადგენელთა დამსახურება სრულად და ყველაზე პირველად კ. მარქსმა დაახასიათა

ინგლისელ რეალისტთა სკოლას იგი უწოდებს „ბრწყინვალე სკოლას“. „Современная блестящая школа романистов в Англии,— ამბობს კ. მარქსი,—наглядные и красноречивые описания которой разоблачили миру больше политических и социальных истин, чем это сделали все политики, публицисты и моралисты, вместе взятые, изобразила все слои буржуазии, начиная „достопочтенным“ рантье и обладателем государственных процентных бумаг, который сверху вниз смотрит на все виды „дела“ как на нечто вульгарное, и кончая мелким лавочником и подручным адвокатом. И как их обрисовали Диккенс, Теккерей, Шарлота Бронте и г-жа Гаскель! Полными самомнения, чопорности, мелочного тиранства и невежества, и цивилизованный мир подтвердил их вердикт клеймящей эпиграммой, прищипленной к этому классу, что он угодлив по отношению к стоящим выше и деспотичен к стоящим ниже“<sup>1</sup>.

მაგრამ 50-იანი წლებიდან ინგლისური კრიტიკული რეალიზმი თანდათან იღებს ხელს აქტუალურ სოციალურ პრობლემატიკაზე, ეპოქალური ტილოების შექმნაზე. „История английского критического реализма после 1848 года,—შენიშნავს ე. ივაშევა,—это история его начинающегося упадка. Диккенс еще пишет в 50-х годах свои большие социальные романы, но и он после „Повести о двух городах“ (1859) отходит от социальной проблематики. Теккерей в творчестве 1850—1863 годов заметно смягчает свою сатиру и сам говорит о необходимости компромисса („Пенденнис“, 1850). Г-жа Гаскель ограничивается рамками бытового романа и лишь один раз в романе „Север и юг“ (1855) вновь обращается к теме взаимоотношений рабочих и предпринимателей, разрешая, однако, проблему социальных противоречий в духе фальшивого христианского примирения и взаимопонимания“<sup>2</sup>.

\* \* \*

ჩვენ შევეცადეთ მიგვეთითებინა კრიტიკული რეალიზმის სუსტ და ძლიერ მხარეებზე ფრანგულ და ინგლისურ ლიტერატურაში. უპირველეს ყოვლისა, გვაინტერესებდა გვეჩვენებინა, თუ როგორ

<sup>1</sup> „Маркс и Энгельс об искусстве“, 1938, стр. 320—321.

<sup>2</sup> В. В. Пвашева. История западноевропейской литературы XIX века, книга I, 1951, стр. 154.

მკიდრო კავშირში იყო კრიტიკული რეალიზმის ჩამოყალიბების პროცესი საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების პროცესთან.

აშკარაა, რომ კრიტიკული რეალიზმის წარმომადგენელთა იდეურ-მხატვრული გამარჯვება დამოკიდებული იყო სოციალური სინამდვილის ღრმა და სწორ ასახვაზე, არისტოკრატიულ-ბურჟუაზიულ საზოგადოებაში გაბატონებულ ანტაგონისტურ წინააღმდეგობათა გაგებასა და ახსნაზე.

კრიტიკული რეალიზმის წარმომადგენლებს, 30—40-იან წლებში, ჯერ კიდევ არ შეეძლოთ მოეცათ ნამდვილად დადებითი გმირი, მაგრამ მათ ჰქონდათ დადებითი იდეალი, რომელიც თავისებურად იკრებოდა მკითხველთა შთაბეჭდილებებში.

კრიტიკული რეალიზმის შეზღუდულობა, უპირველესყოფისა, მდგომარეობდა იმაში, რომ იგი საზოგადოების ჩაგრულ ნაწილს გარკვევით ვერ უჩვენებდა შექმნილი მდგომარეობიდან თავის დაღწევის კემბარით გზას. მაგრამ კრიტიკული რეალიზმის წარმომადგენელთა შემოქმედებაში, თავის დროზე, ყველაზე მეტად იქნა გაშიშვლებული არისტოკრატიულ-ბურჟუაზიული საზოგადოების მანიკერება, ვინემ იდეოლოგიის სხვა სფეროში. ამიტომ იყო, რომ მარქსი და ენგელსი არა ერთხელ მიუთითებდნენ მათი დიდი დამსახურების შესახებ.

ჰქონდა რა მხედველობაში კრიტიკული რეალიზმი დასავლეთ ევროპის ლიტერატურაში, მ. გორკიმ სამართლიანად მიუთითა მის ძლიერ და სუსტ მხარეებზე. მისი შეფასებით, „Реализм „блудных детей“ буржуазии был реализмом критическим: обличая пороки общества, изображая „жизнь и приключения“ личности в тисках семейных традиций, религиозных догматов, правовых норм, критический реализм не мог указать человеку выхода из плена“<sup>1</sup>.

კრიტიკული რეალიზმის ღირსება და სიძლიერე ტიპური ხასიათების ტიპურ გარემოში სწორად გადმოცემით განისაზღვრება. ამ ღირსებას კი კრიტიკული რეალიზმი დასავლეთ ევროპის ლიტერატურაში 50-იანი წლებიდან უკვე კარგავს, რასაც თავისი ობიექტური მიზეზები ჰქონდა.

1848 წლის შემდეგ შექმნილმა ისტორიულმა ვითარებამ ბურჟუაზიული მოაზროვნეების წინაშე მთელი აუცილებლობით დააყენა საკითხი ეკონომიური და ფილოსოფიური თეორიების გადა-

<sup>1</sup> „М. Горький о литературе“, М., 1953, стр. 670.

სინჯვის შესახებ. კლასობრივი ანტაგონიზმის გაშიშვლება აიძულებდა მათ შეექმნათ ლიბერალურ-რეფორმისტული და სხვა ჯურის რეაქციული თეორიები. ამ მიმართულებით, პირველყოვლისა, თავი გამოიჩინეს კონტმა, სპენსერმა, მილმა და სხვ.

სუბიექტური იდეალიზმის წარმომადგენელმა კონტმა შექმნა თეორია, რომელიც პოზიტივიზმის სახელითაა ცნობილი. კონტის შეხედულებით, პოზიტივიზმი მალა იდგა როგორც იდეალიზმზე, ასევე მატერიალიზმზე. სინამდვილეში კი იგი სუბიექტური იდეალიზმის ნაირსახეობას წარმოადგენდა, რომლის მიზანი იყო კაპიტალისტური წყობა გამოეცხადებინა ყველაზე უფრო გონივრულ წყობად, როპელიც, თითქოს, მეცნიერული აზროვნების გამარჯვების შედეგი იყო. მისი თქმით, ადამიანთა საზოგადოებამ იცის განვითარების სამი ეტაპი: თეოლოგიური, მეტაფიზიკური და პოზიტიური. პოზიტიური ეტაპი, კონტის შეხედულებით, იყო ბურჟუაზიული მეცნიერების განვითარების შედეგი. ამგვარად, მართალია, ის ვერ უარყოფდა პროგრესს, მაგრამ ეს შესაძლებლად მიაჩნდა მხოლოდ კაპიტალისტური წყობის ფარგლებში. აქედან გამომდინარე, კონტი გამოდიოდა კერძო საკუთრების დამცველად და კლასობრივი ბრძოლის აშკარა მოწინააღმდეგედ.

კონტს მთელი სიმძიმე გადაჰქონდა მეცნიერებაზე, ამასთან სწორად არ განსაზღვრავდა მეცნიერების დანიშნულებას. მეცნიერება, მისი აზრით, მოწოდებულია აღწეროს და არა ახსნას მოვლენები. მეცნიერების ასეთი გაგება, ცხადია, სრულიად შეესატყვისებოდა პოზიტივიზმის მთავარ მიზანდასახულებას.

ფრანგი ბურჟუაზიული ფილოსოფოსისა და სოციოლოგის—კონტის რეაქციული შეხედულებანი კიდევ უფრო გააღრმავა ინგლისელმა სოციოლოგმა სპენსერმა, რომელმაც შექმნა ე. წ. „საზოგადოების ორგანული თეორია“. ამ თეორიის მიხედვით, ადამიანთა საზოგადოების განვითარება, მსგავსად ცხოველური ორგანიზმისა, ემორჩილება ბიოლოგიურ კანონებს; ისე, როგორც ცხოველურ ორგანიზმში საქმე გვაქვს ორგანოთა სამ სისტემასთან, ასევე ადამიანთა საზოგადოებაშიც აუცილებლად უნდა არსებობდეს სამი კლასი: მუშათა, ვაჭართა, მრეწველ კაპიტალისტთა.

ამგვარად, სპენსერის მიზანი იყო ბიოლოგიურ კანონებზე დაყრდნობით „დაემტკიცებია“ კაპიტალისტური წყობის სამართლიანობა და მარადიულობა. მისი თქმით, კაპიტალისტური წყობა არის ყველაზე „პარმონიული“ წყობა, ამიტომ მის წინააღმდეგ ბრძოლა ნიშნავს „წონასწორობის დარღვევას“. გამომდინარე აქედან,

სპენსერი მკაცრად ილაშქრებდა მუშათა რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ.

შლიდა რა საზღვარს ბიოლოგიურ და სოციოლოგიურ მეცნიერებებს შორის, სპენსერს მექანიკურად გადაჰქონდა დარვინის მოძღვრება სოციოლოგიაში. ამიტომ, იგი „ლოლიკურად“ მივიდა რასიული თეორიის ქადაგებამდეც.

კლასობრივი ანტაგონიზმის მიჩქმალვისა და მუშათა კლასის რევოლუციური მოძრაობის შესუსტების ამოცანას ემსახურებოდა ინგლისელ ეკონომისტ მილსის მოძღვრებაც. მილი ეკლექტიზმის გზით ცდილობდა ბერკლიანობის, იუმბიზმისა და კანტიანობის შეკოწიწებას. იგი თავგამოდებით „ამტკიცებდა“, რომ სასურველი შედეგის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ ხალხზე გონებრივი და მორალური ზემოქმედებით. ეხებოდა რა მილს, ნ. გ. ჩერნიშევსკი შენიშნავდა: „У таких теоретиков интересы рабочих сословий постоянно забываются, кроме тех случаев, когда сталкиваются с интересами капиталистов, а в этих случаях постоянно приносятся в жертву интересам капиталистов“<sup>1</sup>.

ვ. ი. ლენინმა თავის გენიალურ შრომებში დამაჯერებლად გამოააშკარავა დასახელებულ ბურჟუაზიულ მოახროვნეთა თეორიების ცრუმეცნიერული და რეაქციული ბუნება; ამომწურავად მიუთითა იმ მიზეზებზეც, რამაც ხელი შეუწყო ასეთი თეორიების წარმოშობას გასული საუკუნის ორმოცდაათიანი წლებისათვის.

ცხადია, რომ იმ ისტორიულმა ვითარებამ, რომელმაც პოზიტინიზმს დასაბამი მისცა ფილოსოფიასა და სოციოლოგიაში, გარკვეული გავლენა მოახდინა ბურჟუაზიულ მწერლებზეც, ე. წ. „წარმგებელ შვილებზე“, რომლებიც, თავიანთი კრიტიციზმის მიუხედავად, მსოფლმხედველობრივად დაკავშირებულნი იყვნენ არისტოკრატიულ-ბურჟუაზიულ საზოგადოებასთან.

ამასთან, ამ დროიდან მწერლობაზე უკვე გარკვეულ გავლენას ახდენდა თვით ისეთი რეაქციული თეორიები, როგორც იყო, მაგალითად, პოზიტინიზმი, რომლის გადატანას ლიტერატურულ თეორიასა და პრაქტიკაში აშკარად მიჰყვეს ხელი. ყოველივე ამან გამოიწვია კრიტიკული რეალიზმის კრიზისი და ნატურალიზმის ჩამოყალიბება დასავლეთ ევროპის ლიტერატურაში.

თავის დროისათვის უსათუოდ მართალი იყო გერმანელი მწერალი ლიუდვიგ ბერნე, რომელიც ამბობდა: „საფრანგეთი—ევროპის ციფერბლატია; აქ მაშინვე ჩანს დრო, ხოლო ევროპის სხვა

<sup>1</sup> Н. Г. Чернышевский. Сочинения, 1906, т. VII, стр. 383.

ქვეყნებში უნდა მოისმინო საათის რეკვა, რომ შეიტყო რომელი საათიაო<sup>1</sup>. ეს მოხდენილი შედარება შეიძლება გავრცელებულ იქნას არა მარტო იმდროინდელი საფრანგეთის პოლიტიკურ ცხოვრებაზე, არამედ ლიტერატურაზეც.

ფრანგულ ლიტერატურაში პირველად იჩენდა ხოლმე თავს როგორც ახალი განვითარების საწყისები, ასევე მოახლოებული კრიზისის გამოხატულებაც. იგი ხშირად გამოდიოდა ტონის მიმცემად დასავლეთ ევროპის ლიტერატურაში. ამიტომაც, რომ მ. გორკიმ ფრანგულ ლიტერატურას უწოდა „Командующая литература Европы“<sup>1</sup>.

ნატურალიზმმა, — როგორც ლიტერატურულმა მიმართულებამ, პირველად ფრანგულ ლიტერატურაში დაიწყო ჩამოყალიბება; იქვე შეიმუშავა მან თავისი ლიტერატურული თეორიაც.

ნატურალიზმი, რომელიც თავის ლიტერატურულ თეორიაში ემყარებოდა ფილოსოფიურ მიმართულებას — პოზიტივიზმს და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს, კრიტიკული რეალიზმისაგან განსხვავებით, ნაცვლად მოვლენის სოციალურ-ისტორიული არსისა და ინტერესებული იყო მისი გარეგნული სახის აღწერით. ნატურალისტთა შემოქმედებაში სოციალური ადამიანის ნაცვლად ვხედავთ ადამიანთა ფიზიოლოგიურ სახეებს.

ნატურალისტები გარემო სინამდვილეს ასახავდნენ სტატიკურ ფორმაში და არა დინამიკურ განვითარებაში; და ეს იმიტომ, რომ მათთვის ხელსაყრელი არ იყო პერსპექტივის თვალსაზრისით ემსჯელათ იმ დროისათვის აქტუალური პოლიტიკური და სოციალური მოვლენების შესახებ. ისინი საგანგებოდაც კი „ამტიკებდნენ“, რომ აწმყოს პოზიციებიდან შეუძლებელია ზომავლის შესახებ მსჯელობაო.

ბურჟუაზიული ლიტერატურათმცოდნეები და თვით ნატურალისტები ნატურალიზმის დამსახურებად თვლიდნენ სამწერლო თემატიკის გამრავალფეროვნებასა და შემოქმედების მხატვრული ხედვის გაფართოებას.

ა. დავიდ-სოვაჟოს სიტყვით, — „ქჟუადამრიგებელი რეალიზმი (ე. ი. კრიტიკული რეალიზმი — დ. გ.), თავისი არსით, დაინტერესებულია მხოლოდ ადამიანით. გულგრილი რეალიზმი (ე. ი. ნატურალიზმი — დ. გ.), რომელსაც მხედველობაში აქვს მხოლოდ სიამოვნება, თავს გრძნობს გაცილებით უფრო თავისუფლად სიუჟეტების არჩევაში და არაიშვიათად მიმართავს ბუნებას“<sup>2</sup>.

<sup>1</sup> „М. Горький о литературе“, М., 1953, стр. 669.

<sup>2</sup> А. Давид-Соважо. Реализм и натурализм в литературе и искусстве, М., 1891 г., стр. 57. \*



ნატურალიზმის თეორეტიკოსი ე. ზოლა ამ საკითხის გამო, შრომაში „ნატურალიზმი თეატრში“, შენიშნავს: „მე შეკითხებიან, რატომ არ ვკმაყოფილდები სიტყვით—„რეალიზმი“, რომელიც ხმარებაში იყო 30 წლის წინათ. მე ასე მოვიქვეცი მხოლოდ იმიტომ, რომ მაშინდელი რეალიზმი ავიწროებდა მხატვრულ-ლიტერატურულ ჰორიზონტს; მე მეჩვენებოდა, რომ სიტყვა „ნატურალიზმი“ აფართოებს დაკვირვების სფეროს“.

სინამდვილეში ნატურალიზმმა არათუ გააფართოვა დაკვირვების სფერო, არამედ შეამცირა იგი. უფრო სწორად, დანაწილების გზით მან „გაამრავლა“ დაკვირვების სფეროები, მაგრამ ამით შეუძლებელი გახდა მისი მთლიანობაში ასახვა. თვით ე. ზოლას შეფასებით: „ნხატვრული ნაწარმოები—ბუნების ნაქერია, დანახული მხატვრის ტემპერამენტით“.

რაც შეეხება ე. წ. აკრძალული თემების (პათოლოგიის, ფიზიოლოგიის, პროფესიონალური შრომის საკითხები და სხვა) შეტანას ლიტერატურაში, რასაც ზოლა ნატურალიზმის დამსახურებად სთვლიდა, სინამდვილეში ეს იყო არსებითიდან არაარსებითზე ყურადღების გადატანის გამოხატულება.

ზოლა თავის კრიტიკულ წერილებში არაერთგზის აღნიშნავს, რომ ნატურალიზმის მიღწევაა მეცნიერული მეთოდების მომარჯვება ლიტერატურაში, მაგრამ სინამდვილეში ეს იყო საბუნებისმეტყველო და სოციალურ მეცნიერებათა შორის ზღვარის წაშლა, — ე. ი. პოზიტივიზმის პოზიციებზე დადგომა.

მართლაც, მისი მთავარი თეორიული შრომა — „ექსპერიმენტალური რომანი“ დაწერილ იყო ექიმ კლოდ ბერნარის წიგნის „ექსპერიმენტალური მედიცინის შესავლის“ გავლენით. გარდა ამისა, როგორც პოლ ლაფარგმა ნათელყო, ზოლამ განიცადა ლომბროზოს ვულგარულ-ფატალისტური თეორიების კიდევ უფრო დიდი გავლენაც.

ნატურალისტთა „მეცნიერული მეთოდის“ მარქსისტული შეფასება მოცემული აქვს პლენხანოვს, რომლის თქმით, „Экспериментальный метод до конца остался мало пригодным для художественного изучения и изображения высших общественных движений. Этот метод был теснейшим образом связан с точкой зрения того материализма, который Маркс назвал естественно-научным и который не понимает, что действия, склонности, вкусы и привычки мысли общественного человека не могут найти себе достаточного объяснения в физиологии“

или паталогии, так как обуславливаются общественными отношениями“.

ე. ზოლა და ნატურალისტები საერთოდ აღნიშნავენ, რომ ნატურალიზმის უპირატესობა, რეალიზმთან შედარებით, ისიცაა, რომ მან ხელოვნებაში შემოიტანა კონკრეტული მხატვრული სახეებიო. სინამდვილეში კი, ნატურალიზმის ლიტერატურულ თეორიას მკდარად ჰქონდა წარმოდგენილი მხატვრული სახის კონკრეტულობა. მისი გაგებით, კონკრეტულია ის სახე, რომელიც საგანს თუ მოვლენას აღწერს სრულად, ყოველმხრივ. მაგრამ ლიტერატურულ პრაქტიკაში არ არსებობს ისეთი მხატვრული სახე, რომელიც სრულად და ყოველმხრივ აღწესბაედეს საგანს. ამიტომ, სინამდვილის ასახვის ასეთი გზა პრინციპულად მკდარია.

მხატვრული სახე რეალისტურ ხელოვნებაში უთუოდ კონკრეტულია. მაგრამ სახის კონკრეტულობა რეალიზმს ესმის არა როგორც შესაფერი საგნის ყოველმხრივი, სრული აღწერა, არამედ პირიქით. მისი გაგებით, მხატვრული სახის კონკრეტულობა მდგომარეობს იმაში, რომ, შეარჩევს რა საგნის, მოვლენის არსებით ნიშანს, თვისებას, იგი (სახე) ასახავს არა მხოლოდ მის (საგნის) ნაწილს, არამედ მას მთლიანად; ნაწილი პირდაპირ კავშირშია მთელთან და გამოხატავს მას. ამიტომაც, რეალისტს შესწევს უნარი კერძოში გვიჩვენოს ზოგადი, რომელიც თავის თავში აერთიანებს ყველა კერძობითს. იგი, განსხვავებით ნატურალისტისაგან, გაუბრუნებს ბანალურს, ეძებს არსებითს, ძირითადს, რომელიც მას საშუალებას მისცემს სწორად წარმოადგინოს მთელი.

აქედან გამომდინარე, აშკარაა, რომ ქვეშაირი მეცნიერებებთან, კერძოდ სოციოლოგიასთან მკიდრო ურთიერთობაშია არა ნატურალიზმი, არამედ რეალიზმი. ცხადია ისიც, რომ დიდ შემოქმედებით ტალანტს მოითხოვს არა ნატურალისტური, არამედ რეალისტური მხატვრული სახის შექმნა.

ნატურალისტური სახე არის არა ტიპიური, არამედ ფოტოგრაფიული სახე. იგი აღწერს საგანს, მოვლენას, მაგრამ არ ასახავს მას, არ იძლევა ორიენტირებას აღწერილი სინამდვილის გაგებისათვის; და ეს იმიტომ, რომ მას არა აქვს ის იდეური და შემეცნებითი ცხოველყოფელობა, რომელიც რეალისტურ სახეში შემოქმედლის ტენდენციურობის წყალობით იქმნება.

შეცდომა იქნებოდა გვეთქვა, რომ ნატურალიზმი უგულველყოფდეს ასახვას მოვლენათა და საგანთა შერჩევას. შერჩევას მიმართავენ როგორც რეალისტები, ასევე ნატურალისტებიც, მაგრამ მათ შორის განსხვავება სწორედ ამ შერჩევის პრინციპშია. ნატურალისტი

არჩევს ისეთ დეტალებს, რომლებიც არ გამოხატავენ არსებული საზოგადოებრივი ცხოვრების არსს, ე. ი. გაუზრბის ძირითადს, ტიპიურს, არ იძლევა მის შეფასებას. ამდენად, იგი თითქმის ხელუხლებლად ტოვებს მის თანამედროვე ცხოვრების სინამდვილეს და მხოლოდ ზოგიერთი არაარსებითი მოვლენის კრიტიკით კმაყოფილდება.

რეალისტი კი არსებული სინამდვილის სწორი ასახვისა და გარდაქმნის მიზანს ემსახურება. ის იღებს მხოლოდ მას, რაც მთავარი, ტიპიურია; ამასთან, იძლევა მის შეფასებას, რითაც იგი სამსახურს უწევს, ერთი მხრივ—აწმყო ცხოვრების ღრმა გაგებას, მეორე მხრივ—უკეთესი! მომავლის ინტერესთა შეგრძნობასა და გათვალისწინებას.

ნატურალიზმი მხატვრულ სახეებში მხოლოდ იმეორებს სინამდვილის ცალკეულ სურათებს, რეალიზმი კი ასახავს სინამდვილის არსებით მხარეებს, იძლევა მის შეფასებას და ეხმარება საზოგადოების პროგრესულ ნაწილს მის გარდაქმნისათვის ბრძოლაში.

ნატურალიზმი საკიროდ აღარ სთვლიდა მოვლენათა განზოგადებას; მხატვარი-მოაზროვნე მან აქცია უბრალო მეთვალყურედ და ცალკეული ფაქტების რეგისტრატორად, მოვლენათა აღმწერად და არა ამხსნელად. ამიტომაც, ზოლა თავის დროზე კიდევაც ამაყობდა იმით, რომ არ იძლეოდა არსებული საზოგადოებრივი ურთიერთობის პოლიტიკურ შეფასებას. ამ მიმართულებით იგი თავის თავს უპირისპირებდა ბალზაკს და ამბობდა: „მე არ მსურს გადავწყვიტო, ბალზაკის მსგავსად, თუ როგორი უნდა იყოს ადამიანის ცხოვრების წყობა, — არ მსურს ვიყო პოლიტიკოსი, ფილოსოფოსი, მატერიალისტი“.

ცხადია, ზოლა ვერ დაიმსახურებდა ქეშმარიტად დიდი მხატვრის სახელს, რომ მას თავის მხატვრული შემოქმედების პრაქტიკაში სრულად განეხორციელებია „ექსპერიმენტალურ რომანში“ მოცემული თეორიული შეხედულებანი, მაგრამ უდავოა ისიც, რომ იგი, როგორც მწერალი, აგრძელებს არა სტენდალ-ბალზაკის ზღვას, არამედ იმ მრუდეს, რომელიც ფლობერმა ამ ხაზიდან გადახვევით შექმნა; მისი რეალიზმი 60-იანი წლების რეალიზმზეც დაბლა დგას და ნატურალიზმითაა გაფერმკრთალებული.

ამიტომ იყო, რომ ფრ. ენგელსი ბალზაკს თვლიდა „რეალიზმის გაცილებით უფრო დიდ ოსტატად, ვიდრე წარსულის, აწმყოს და მომავლის ყოველგვარ ზოლაებს“<sup>1</sup>.

<sup>1</sup> კ. მარქსი, ფ. ენგელსი. რჩეული წერილები, 1949 წ., გვ. 446.

ამდენად, სამართლიანად არ მიგვაჩნია პროფ. მ. დ. ეხენგოლცის შეხედულება, რომ „...Эмиль Золя является продолжателем традиций французского реалистического романа, представленного творчеством Стендаля и Бальзака, на новом этапе его развития“<sup>1</sup>.

ე. ზოლას — მხატვრის სიდიადე მდგომარეობს იმაში, რომ მიუხედავად მცდარი ესთეტიკური შეხედულებებისა, მაინც საკმაოდ გააშიშვლა ბურჟუაზიული საზოგადოების მანკიერება და ბურჟუაზიული კულტურის კრიზისი. მაგრამ, 70—80-იან წლებში შექმნილი ისტორიული ვითარების გამო, ზოლა მაინც იძულებული იყო უკან დაეხია სტენდალისა და ბალზაკის რეალისტური ტრადიციებიდან.

ნატურალიზმი, როგორც ლიტერატურული მიმართულება, მხოლოდ ფრანგული მოვლენა არ ყოფილა. სხვადასხვაგვარი სიძლიერითა და სისრულით მან თავი იჩინა დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნების ლიტერატურაშიც, რაც კრიტიკული რეალიზმის კრიზისის მაუწყებელი იყო.

\* \* \*

განსხვავებულ სოციალურ-ეკონომიურ ვითარებაში მოუხდა ჩამოყალიბება და განვითარება კრიტიკულ რეალიზმს რუსულ ლიტერატურაში. ამიტომაც, რომ რუსული კრიტიკული რეალიზმი მეტად საგულისხმო თავისებურებებით ხასიათდება.

პირველყოვლისა, კრიტიკული რეალიზმის ფორმირება რუსულ ლიტერატურაში დაიწყო არა მაშინ, როცა გამწვავებული ურთიერთობა იყო ორ ფორმაციას — ფეოდალურსა და კაპიტალისტურს შორის, არამედ ჯერ კიდევ მაშინ, როცა ასეთ მკაცრ დაპირისპირებას ადგილი არ ჰქონია.

ამგვარად, რუსული კრიტიკული რეალიზმის წინაშე, განსაკუთრებით განვითარების პირველ ეტაპზე, ამოცანად იდგა არა ბურჟუაზიული ურთიერთობისათვის დამახასიათებელ წინააღმდეგობათა ჩვენება და ახსნა, არამედ ცხოვრების ფეოდალური ყოფის ჩამორჩენილობისა და ბოროტების კრიტიკა.

რუსული კრიტიკული რეალიზმის წარმომადგენელთა მხატვრული ხედვა, უწინარესყოვლისა, მიპყრობილი იყო არა პროლეტარიატისა და ბურჟუაზიის ანტაგონისტურ წინააღმდეგობაზე, არამედ მშრომელი გლეხობის განმათავისუფლებელი ბრძოლები-სადმი, ყმისა და მებატონის არაადამიანური დამოკიდებულები-

<sup>1</sup> М. Д. Эхенгольц. Эмиль Золя, 1952, стр. 5.

სადმი, და საერთოდ იმდროინდელი რუსული სახელმწიფოებრივი სისტემისადმი, რომელიც ძველისა და ჩამორჩენილის დამცველად გამოდიოდა.

კრიტიკული რეალიზმის შეზღუდულება დასავლეთ ევროპის ლიტერატურაში, როგორც უკვე აღნიშნული გვაქვს, გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ მისი განვითარება დაემთხვა ეპოქას, როცა ბურჟუაზია ჯერ კიდევ პროგრესულ როლს თამაშობდა, როცა იგი ხალხურ მოძრაობათა ხელმძღვანელად გამოდიოდა. ხოლო მაშინ, როცა ბურჟუაზიამ თავისი პროგრესული მისია ამოწურა, კრიტიკული რეალიზმი დასავლეთ ევროპის ლიტერატურაში კრიზისის გზას დაადგა, მასში თავი იჩინა სკეპტიციზმმა.

რუსეთის სინამდვილეში ხალხურ მოძრაობებს ხელმძღვანელობდა არა ბურჟუაზია, არამედ თვით ხალხის რჩეული წარმომადგენლები და ეს ბრძოლები მიმართული იყო როგორც მემამულეების, ასევე ბურჟუაზიისა და ბიუროკრატიულ-ჩინოვნიკური სახელმწიფო აპარატის წინააღმდეგ.

იმ ცნობილ გლეხთა აჯანყებებს, რომლებიც ამშვენებენ რუსეთის ისტორიის ფურცლებს, არ შეიძლება თავისი გავლენა არ მოეხდინათ მოწინავე რუსულ მწერლობაზე.

რუსი მშრომელი ხალხი გამოირჩეოდა თავისი გმირული ბრძოლებით ყოველი ჯურის მჩაგვრელთა წინააღმდეგ. როგორც დიდი ლენინი შენიშნავს, „Долгое и безраздельное господство самодержавия накопило невиданное, пожалуй, в истории количество революционной энергии в народе“<sup>1</sup>.

ხოლო უფრო გვიან, კერძოდ 80-იანი წლებისათვის, რუსეთი, მარქსისა და ენგელსის თქმით, უკვე წარმოადგენდა რევოლუციური მოძრაობის მოწინავე რაზმს ევროპაში.

რუსული კრიტიკული რეალიზმიც სწორედ ამ რევოლუციური მოძრაობის უშუალო გავლენის ქვეშ ვითარდებოდა. მისი ჩამოყალიბებისა და განვითარების პროცესი დაკავშირებულია განმათავისუფლებელ მოძრაობასთან, რომელმაც, ლენინის სამართლიანი შეფასებით, „გაიარა სამი მთავარი ეტაპი, შესაბამისად რუსი საზოგადოების სამი მთავარი კლასისა, რომლებიც მოძრაობას თავიანთ ბეკედს ასვამდნენ: 1) თავადაზნაურული პერიოდი, დაახლოებით 1825 წლიდან 1861 წლამდე; 2) რაზნოჩინცური ანუ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული, დაახლოებით 1861 წლიდან 1895 წლამდე;

<sup>1</sup> В. И. Ленин. Сочинения, т. 8, стр. 414.

3) პროლეტარული — 1895 წლიდან დღევანდლამდე<sup>1</sup> (ლენინის ეს სიტყვები დაწერილია 1814 წელს — დ. გ.).

შესაბამისად განმათავისუფლებელი ბრძოლის ხასიათისა, კრიტიკული რეალიზმი რუსულ ლიტერატურაში განვითარების ახალ ეტაპებს აღწევდა. რუსული კრიტიკული რეალიზმი არ მისულა სკეპტიციზმამდე და არ განუცდია კრიზისი. პირიქით, თავისი განვითარების უმაღლეს ეტაპზე მან შექმნა ნიადაგი სოციალისტური რეალიზმისათვის, რომელიც ჯერ კიდევ ოქტომბრის რევოლუციამდე რუსულ ლიტერატურაში, კერძოდ, მ. გორკის შემოქმედებაში იწყებს აღმოცენებას.

ამგვარად, დასავლეთ ევროპული რეალიზმისაგან განსხვავებით, რუსული კრიტიკული რეალიზმი მივიდა არა კრიზისამდე და დაეშვა არა ნატურალიზმამდე, არამედ მოამზადა ლიტერატურული საფუძველი სოციალისტური რეალიზმისათვის, რომელსაც გადასცა თავისი მოწინავე ტრადიციები.

ცხადია, მხოლოდ განვითარების პროცესის თავისებური ხასიათით არ ამოიწურება რუსული კრიტიკული რეალიზმის თვითმყოფადობა და პროგრესული მნიშვნელობა; მან განვლო განვითარების სახელოვანი გზა და მისმა მოწინავე წარმომადგენლებმა არა მარტო მხატვრული თხზულებებით უკვდავყვეს თავიანთი სახელები, არამედ დაამუშავეს კრიტიკული რეალიზმის ლიტერატურული თეორიაც, რამაც კიდევ მეტად შეუწყო ხელი მწერლობის სწორი მიმართულებით მსვლელობასა და მხატვრულ გამარჯვებას.

რუსული კრიტიკული რეალიზმის სიდიადე მდგომარეობს, ეპოქის შესატყვისად, ხალხურობის პრობლემის გადაწყვეტასა და დემოკრატიულ-რევოლუციური იდეების დანერგვაში; იგი ხასიათდება არა მარტო მიუღებელი გარემოს მკაცრი კრიტიკით, არამედ დადებითი იდეალისა და დადებითი გმირის ძიებითა და ჩვენებით.

მ. ი. კალნინის სამართლიანი თქმით: „Наша старая литература и искусство были велики не только своей художественной правдивостью, но в особенности тем, что они все время искали лучших путей, лучшего устройства жизни людей“<sup>2</sup>.

მაშინ, როცა 1848 წლის რევოლუციის, განსაკუთრებით კი პარიზის კომუნის დამარცხების შემდეგ, ევროპული რეალიზმი

<sup>1</sup> „ლენინი ლიტერატურის შესახებ“, 1945 წ., გვ. 56.

<sup>2</sup> М. И. Калнини. О литературе, 1949 г., стр. 93.

კრიზისსა და იდეურ დაქუცმაცებას განიცდის, რუსულმა კრიტიკულმა რეალიზმმა შეინარჩუნა ერთგულება გამათავისუფლებელი ბრძოლისა და თავისუფლებისმოყვარეობის იდეისადმი, კიდევ უფრო მკვეთრად გამოხატა მხარდაჰერა მშრომელი მასებისა და რევოლუციური მოძრაობისადმი.

ჯერ კიდევ, დიდი რუსი რეალისტი ნ. შჩედრინი შენიშნავდა: „Размеры нашего реализма несколько иные, нежели у современной школы французских реалистов. Мы включаем в эту область всего человека, со всем разнообразием его определений и действительности; французы же главным образом интересуются торсом человека и ...останавливаются на его физической правоспособности и на любовных подвигах“<sup>1</sup>.

ცხადია, კრიტიკული რეალიზმი რუსულ ლიტერატურაში თავისი განვითარების მთელ მანძილზე ერთი და იმავე ნიშნებით არ ხასიათდება, მაგრამ ყოველ ეტაპზე იგი იყო მოწინავე და პროგრესული იდეების მატარებელი.

კრიტიკული რეალიზმის ტენდენციები რუსულ ლიტერატურაში ჯერ კიდევ მე-18 საუკუნის დასასრულს ვლინდება. ამ ტენდენციათა დანერგვის საქმეში გარკვეული წვლილი შეიტანეს დ. ი. ფონვიზინმა და ა. ნ. რადიშჩევმა.

ეხებოდა რა ფონვიზინის კომედიებს, ბ. ბელინსკი შენიშნავდა: „Мы видим в них („Недоросль“, „Бригадир“ — Д. Г.) живой момент развития раз занесенной на Русь идеи поэзии, видим ее постепенное стремление к выражению жизни, действительности“<sup>2</sup>.

ბ. ა. რადიშჩევის „მოგზაურობა პეტერბურგიდან მოსკოვში“ კი წარმოადგენდა რუსული რევოლუციური აზრის მხატვრულ სახეებში გადმოცემის პირველ სერიოზულ მიღწევას.

ბ. ა. რადიშჩევის მეაცრემა პროტესტმა თვითმპყრობელობისა და ბატონყმობის წინააღმდეგ მხარდაჰერა და თანაგრძნობა ჰპოვა პროგრესულად მოაზროვნე თანამედროვეთა შორის; მეფის მთავრობა საგანგებო კვლევა-ძიებას აწარმოებდა რადიშჩევის თანამოაზრეთა მიმართ<sup>3</sup>.

<sup>1</sup> Н. Щедрин. Полн. собр. соч., т. XIV, 1936 г., стр. 200—201.

<sup>2</sup> „В. Г. Белинский о классиках русской литературы“, 1948 г., стр. 55.

<sup>3</sup> Л. Светлов. А. Н. Радищев и политические процессы конца XVIII века. См. сборник „Из истории русской философии XVIII—XIX веков“, 1952, стр. 38—84.

უდავოა, რომ ფინვიზინსა და რადიშჩევს კრიტიკული რეალიზმი, როგორც ლიტერატურული მიმართულება ჯერ კიდევ არ გაუბატონებიათ, მაგრამ ისინი მაინც აშკარა მაუწყებელნი იყვნენ რუსული ლიტერატურისა და რუსული საზოგადოებრივი აზრის ახალი გზის და ნიმართულებისა.

კრიტიკული რეალიზმის ჩამოყალიბებისათვის საჭირო იყო კიდევ მეტად ამბლლებულიყო საზოგადოებრივი განვითარების დონე და უფრო გამომჟღავნებულყო იმდროინდელი ცხოვრების შინაგანი წინააღმდეგობანი. ამ მიმართულებით დიდი როლი ითამაშა პირველმა სამამულო ომმა, რომელმაც გამოავლინა, ერთი მხრივ, დიდი რუსი ხალხის ურყევი ნებისყოფა, პატრიოტიზმი და თავისუფლებისმოყვარეობა, მეორე მხრივ, სახელმწიფო აპარატის ჩამორჩენილობა და ბოროტება, რაც თავისუფალი განვითარების საშუალებას არ აძლევდა დიდი შესაძლებლობის მქონე მშრომელ ხალხს.

სამამულო ომში დიდი რუსი ხალხის ძლევამოსილმა გამარჯვებამ ხელი შეუწყო გამათავისუფლებელი მოძრაობის დაწყებას, — გლეხთა გამოსვლებს ბატონყმური სისტემისა და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ.

სწორედ ამ პერიოდში იქედებოდა დეკაბრისტთა მტკიცე ნებისყოფა და ბრძოლის პათოსი.

დეკაბრისტთა გამოსვლით დაიწყო გამათავისუფლებელი მოძრაობის თავადაზნაურული ეტაპი რუსეთში. ხოლო დეკაბრისტი პოეტების — რაევსკის, რილევის და დეკაბრისტებთან იღეურ კავშირში მყოფ გრიბოედოვისა და ახალგაზრდა პუშკინის შემოქმედებით საბოლოოდ მომზადდა ნიადაგი რუსულ ლიტერატურაში კრიტიკული რეალიზმის, როგორც ლიტერატურული მიმართულების ჩამოყალიბებისათვის.

ა. გრიბოედოვის „ვაი კჳუსისაგან“ იყო საიმედო მაუწყებელი ახალი ეპოქისა რუსული ლიტერატურის განვითარებაში. ეს ახალი ეპოქა კი პუშკინმა შექმნა.

გამათავისუფლებელი მოძრაობის თავადაზნაურულ პერიოდში მოუხდათ გამოსვლა და მოღვაწეობა ისეთ ცნობილ რუს მწერლებს, როგორც იყვნენ პუშკინი და გოგოლი, ლერმონტოვი და კოლცოვი. ამავე პერიოდში მოღვაწეობდნენ რუსული კრიტიკული აზროვნების კორიფე — ბ. ბელინსკი და თავისუფალი რუსული სიტყვის პირველი მედროშე — ა. გერცენიც, რომელიც, ვ. ი. ლენინის თქმით, „გამოაღვიძა და გაწმინდა“<sup>1</sup> დეკაბრისტთა აჯანყებამ.

<sup>1</sup> ვ. ი. ლენინი. გერცენის ხსოვნას. იბ. „ლენინი ლიტერატურის შესახებ“, 1945 წ., გვ. 64.



ამგვარად, კრიტიკული რეალიზმის განვითარების პირველ ეტაპი რუსულ ლიტერატურაში დაემთხვა დეკაბრისტთა განადგურების შემდგომ ხანას, როდესაც ხალხის ინტერესების დამცველთა გულებს კრილობა ჰქონდა მიყენებული. მაგრამ ამ კრილობამ კი არ დაასუსტა უსამართლობის წინააღმდეგ მებრძოლთა ნებისყოფა, არამედ კიდევ უფრო მახვილი გახადა მათი კრიტიკული ხედვა და მიაპყრო იგი ბოროტებით აღსავსე გარემო სინანდელივით.

მოწინავე რუს მწერალთა შემოქმედებაში ბატონდება კრიტიციზმი და თავისუფლების ძიების პათოსი.

რუსული კრიტიკული რეალიზმის პირველმა წარმომადგენლებმა მხატვრული ინტერესი მიმართეს სოციალური გარემოსადმი. მათ შთაეარ თემად იქცა, ერთი მხრივ, „საწყალ ადამიანთა“ ცხოვრება, მეორე მხრივ, „მკვდარ სულთა“ „საქმიანობა“. მათი ყურადღება მიიპყრო „ზედმეტ ადამიანთა“ არსებობამაც, რომელთა მხატვრული სახეები მოცემული აქვს თითქმის ყველა იმდროინდელ რეალისტ მწერალს.

მეფის რუსეთი ორ იძლეოდა ადამიანის თავისუფალი განვითარებისა და თავისუფალი აზროვნების საშუალებას. პროგრესულად მოაზროვნე მოღვაწეები განიცდიდნენ მუდმივ დევნასა და შევიწროებას. რუსული კრიტიკული რეალიზმის წარმომადგენლებმა კი შეძლეს ეჩვენებინათ ეს ტრაგიკული კონფლიქტიც, რაც დეკაბრისტთა განადგურების შემდეგ საიდუმლოებას აღარ წარმოადგენდა.

გამათავისუფლებელი ბრძოლის თავადაზნაურულ პერიოდში თანდათანობით მტკიცდებოდა ნიადაგი ბურჟუაზიული ურთიერთობის გაბატონებისათვის. ცხოვრების ასპარეზს გულმოდგინდ ეპატრონებოდნენ ბურჟუაზიის წარმომადგენლები, რომლებიც ხალხის სიძულვილს იმსახურებდნენ საშინელი ეგოიზმითა და მძარცველობის ახალი ფორმების გამოყენებით.

რუსული კრიტიკული რეალიზმის პირველ წარმომადგენელთა შემოქმედებაში სწორად აისახა არა მარტო ნაციონალური ბურჟუაზიის პირვანდელი სახე, არამედ ევროპელ და ამერიკელ კაპიტალისტთა „მოღვაწეობაც“, მათი „ღვაწილი“ მშრომელი ხალხის ექსპლოატაციის საქმეში.

ასახავდნენ რა ცხოვრების ჩამორჩენილობასა და იმდროინდელ საზოგადოებრივ ყოფაში გაბატონებულ ბოროტებას, რაც ბოროტად მოწინავე აზრის განვითარებას და არაადამიანურ მდგომარეობაში აყენებდა მშრომელ ხალხს, რუსული კრიტიკული რეა-

ლიზმის პირველი წარმომადგენლები თავიანთ კრიტიციზმში არ ტოვებდნენ ადგილს სკეპტიციზმისათვის. მათი მხატვრული განზოგადება ემყარებოდა მხოლოდ და მხოლოდ ოპტიმისტურ განწყობილებებს, რაც აძლიერებდა არსებული სინამდვილისადმი რევოლუციურ დამოკიდებულებას. ამაში მდგომარეობს რუს რეალისტთა კრიტიციზმის თავისებურება და ერთ-ერთი მაღალი ღირსებაც.

მაგრამ რუს რეალისტთა კრიტიციზმის ჯანსაღი ხასიათი შემთხვევითი მოვლენა როდი ყოფილა. განსხვავებით დასავლეთ ევროპელ რეალისტებისაგან, რუსული საზოგადოებრივი ცხოვრების თავისებურების გამო, რუსი რეალისტები თავიანთ იდეალებს ქმნიდნენ არა ბურჟუაზიაზე, არამედ მშრომელ გლეხობაზე დაყრდნობით. მათი ოპტიმისტური განწყობილებები შედეგი იყო არა ბურჟუაზიის „მოღვაწეობისა“, არამედ გლეხთა რევოლუციური მოძრაობისა, და რამდენადაც ეს უკანასკნელი თანდათანობით ძლიერდებოდა და გამოხატავდა საზოგადოების უმეტესობის ინტერესებს, ცხადია, მათი კრიტიციზმიც თავისუფალი იყო სკეპტიციზმისა და იდეური დაქუცმაცებისაგან.

რუსი გლეხობის დიდი პოტენციალური შესაძლებლობის შეგნება, და ხალხის ისტორიული როლის გათვალისწინება საერთოდ, რუს რეალისტებს აძლევდა საიმედო დასაყრდენს სოციალური ოპტიმიზმისათვის.

პირველი სამამულო ომის ქეშმარიტად ხალხურმა ხასიათმა პროგრესულად მოაზროვნე რუს მოღვაწეებს გაუადვილა შედარებით სწორად გაეგოთ და შეეფასებიათ მშრომელი ხალხის ძალა და მომავალი. ა. გრიბოედოვმა „1812 წელში“ ნათელყო, რომ მან ქეშმარიტად შეიცნო სამამულო ომის ხალხური ხასიათი; მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისი იყო მოწინავე რუს მწერალთა მიერ ხალხის როლის ობიექტური შეფასების საქმეში.

პუშკინმა, ლერმონტოვმა და გოგოლმა თავიანთ შემოქმედებაში ნათლად აჩვენეს, რომ ჰუმანური აზრებისა და ჯანსაღი პატრიოტული გრძნობის პატრონი ხალხია. პუშკინმა—ჰუგაჩოვის, ხოლო გოგოლმა ტარას ბულბას სახით შექმნეს ხალხის ძალის, აზრისა და გრძნობის გამომხატველი დიადი სახეები. ასეთი სახეების შექმნა შეეძლოთ მხოლოდ იმ მწერლებს, რომლებიც კი არ უპირისპირდებოდნენ ხალხთა ინტერესებს, არამედ პატივს ცემდნენ და იბრძოდნენ მათი განხორციელებისათვის.

მოწინავე რუსული ლიტერატურის სიახლოვე ხალხთან კიდევ უფრო აშკარად გამოვლინდა კოლცოვის შემოქმედებით, რომელიც

მკითხველს იტაცებს მონობის წინააღმდეგ ამხედრებულ ხალხთა-  
გულისთქმის გადმოცემით.

რუსული კრიტიკული რეალიზმის პირველ წარმომადგენელ-  
თაგან თავისი რეალისტური მეთოდით, ცხადია, გოგოლი გამოირ-  
ჩევა. გოგოლი, რომელიც პუშკინის რეალიზმით იყო თავდაპირვე-  
ლად შთაგონებული, იქცა უარესად ორიგინალურ და ბუმბერაზ  
მოვლენად. მან შექმნა გარკვეულად ახალი ეტაპი რუსული ლიტე-  
რატურის ისტორიაში.

სკოლას, რომელიც გოგოლის მიმართულების მწერლებმა  
შექმნეს, მტრულად განწყობილმა კრიტიკამ — „ნატურალური სკო-  
ლა“ უწოდა. მაგრამ ეს სახელწოდება შეურაცხყოფელად არ  
მიიჩნია მოწინავე მწერლობამ და მისმა ერთგულმა კრიტიკამ.  
ცნება „ნატურალური“ მათ „რეალისტურის“ ვაგებით მიიღეს და  
მთელი დამაჯერებლობით აჩვენეს ამ სკოლის ქეშმარიტი რეალის-  
ტური ბუნება.

ბ. ბელინსკი თავის „1847 წლის რუსული ლიტერატურის  
მიმოხილვაში“ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ რუსული ლიტერატურის  
პროგრესი ყოველ ახალ წელს იმაში მდგომარეობს, თუ როგორ  
უფრო მტკიცე ნაბიჯს დგამს წინ ნატურალური სკოლაო. იგი-  
მთელი კმაყოფილებით წერდა, რომ „გასული 1847 წელი, მის-  
წინამორბედ წლებთან შედარებით, ამ მხრივ განსაკუთრებით აღ-  
სანიშნავი იყო როგორც ამ მიმართულების ერთგულ ნაწარმოებთა  
რიცხვითა და თვალსაჩინოობით, ისე თვით მიმართულების მეტი-  
გარკვეულობით, შეგნებულობით, ძალით და საზოგადოების მეტი-  
ნდობითო“<sup>1</sup>.

ბ. ბელინსკის შეხედულებით, რუსული ლიტერატურის ნიშან-  
თვისებას ყოველთვის წარმოადგენდა მისწრაფება თვითმყოფადო-  
ბისაკენ, ხალხურობისაკენ, გადაქვეულიყო ბუნებრივ, ნატურალურ-  
ლიტერატურად. „და ჩვენ უყოყმანოდ ვიტყვით, — წერდა ბელინსკი, —  
რომ არც ერთ რუს მწერალში ამ მისწრაფებას ისეთი წარმატები-  
სათვის არ მიუღწევია, როგორც გოგოლშიო“<sup>2</sup>.

ბ. ბელინსკის გოგოლი იტაცებს მით, რომ მან ყურადღება-  
მიაქცია ხალხს, დახატა ჩვეულებრივი ადამიანები და არა გამო-  
ნაკლისები, ასახა სინამდვილე მთელი მისი ქეშმარიტებით და შე-  
ქმნა უკვდავი ტიპები.

<sup>1</sup> ბ. ბელინსკი. რჩეული ფილოსოფიური თხზულებანი, 1948 წ. გვ. 653.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 666.

უდავოდ სწორად შენიშნავს ვ. ე. ერმილოვი, რომ „новое слово, сказанное Гоголем в литературе, как раз и заключалось, прежде всего, в небывалой до него социальной обид-щенности типов“<sup>1</sup>.

გოგოლი არის არა მარტო ყველაზე სრული გამოხატულება რუსული კრიტიკული რეალიზმის პირველი ეტაპისა, არამედ იმის უშუალო მაგალითიც, თუ რაოდენ უკეთესი პირობები იყო სოციალური ოპტიმიზმისათვის რუსეთში, ვინემ დასაფლეთ ევროპაში. ხანგრძლივმა ცხოვრებამ ევროპაში გოგოლშიც გამოიწვია იდეურ-მხატვრული უკანდახევა, რის გამო მან ბ. ბელინსკის სამართლიანი გულისწყრომა დაიმსახურა.

რუსული კრიტიკული რეალიზმის პირველმა წარმომადგენლებმა თავიანთ მხატვრულ შემოქმედებაში გამოამჟღავნეს მანკიერება იმდროინდელი საზოგადოებრივი ურთიერთობისა და მასთან ბრძოლის აუცილებლობა, მაგრამ ისინი ჯერ კიდევ შორს იყვნენ კონკრეტული სოციალური იდეებისაგან.

რუსული კრიტიკული რეალიზმის იდეური მებაირახტრენი გამათავისუფლებელი ბრძოლის თავადაზნაურულ ეტაპზე იყვნენ ბ. ბელინსკი და ა. გერცენი. მათ სახელთანაა დაკავშირებული თავისი და მომდევნო თაობის მოწინავე წარმომადგენელთა იდეური დაკავშირება; ბელინსკი და გერცენი იყვნენ რევოლუციური დემოკრატიული იდეების პირველი ავტორები რუსეთში.

ბ. ბელინსკის მთელი ლიტერატურული მოღვაწეობა, შეიძლება ითქვას, მიმართული იყო რეალიზმის დამკვიდრებისა და განვითარებისათვის. მას კარგად ესმოდა, რომ რეალისტური მეთოდის არსს არ შეადგენდა მხოლოდ სისადავე და ბუნებრიობა, მთავარი იყო ტიპური ხასიათების შექმნა. ამიტომ იყო, რომ ბელინსკიმ საგანგებო ყურადღება მიაქცია ტიპურის გაგებასა და დახასიათებას.

ბელინსკიმ დაიცვა რეალიზმი — როგორც მხატვრული მეთოდი, ახსნა ტიპურის ცნება, პრინციპულ სიმალღემდე აიყვანა მაღალი იდეურობისა და ლიტერატურის სინამდვილესთან მკიდრო დაახლოების ამოცანა, დამაჯერებლად დაასაბუთა ლიტერატურის საზოგადოებრივი მნიშვნელობა.

გნებოდა რა ბელინსკის დანსახურებას ლიტერატურის სფეროში, ნ. გ. ჩერნიშევსკი წერდა: „1840 წლიდან ბელინსკის კრიტიკის განვითარების უარსებითესი თვისება რამდენიმე სიტყვით

<sup>1</sup> В. Е. Ермилов. П. В. Гоголь, 1953, стр. 439.

ასე შეიძლება განისაზღვროს: ბელინსკის კრიტიკა სულ უფრო და უფრო იმსკვალებოდა ჩვენი ცხოვრების ცხოველი ინტერესით, სულ უფრო და უფრო უკეთესად სწვდებოდა ამ ცხოვრების მოვლენებს, სულ უფრო ურყევად და გაბედულად ისწრაფვოდა იმისაკენ, რომ საზოგადოებისათვის აეხსნა ლიტერატურის მნიშვნელობა ცხოვრებისათვის, ხოლო ლიტერატურისათვის აეხსნა ის ურთიერთობა, რა ურთიერთობაც უნდა ჰქონდეს მას ცხოვრებასთან როგორც ერთ-ერთ მთავარ ძალას მისი განვითარების მთავარ წარმმართველ ძალებში<sup>1</sup>.

სადავო არაა, რომ კრიტიკული რეალიზმის ლიტერატურული თეორია რუსმა რევოლუციონერ-დემოკრატებმა დაამუშავეს. უდავოა ისიც, რომ მათ შორის პრიორიტეტი ბელინსკის ეკუთვნის.

ბ. ბელინსკი იყო არა მარტო პირუთენელი დამფასებელი იმდროინდელი მხატვრული პროდუქციისა, არამედ გზის მაჩვენებელიც მწერლობისა. ამ მიმართულებით, გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა მის მიერ რევოლუციურ-დემოკრატიული იდეების ქადაგებას.

ბ. ბელინსკის ქეშმარიტი შეფასება მოცემული აქვს ვ. ი. ლენინს. ვ. ი. ლენინის თქმით, „ჩვენს განმათავისუფლებელ მოძრაობაში რაზნოჩინცების მიერ თავადაზნაურთა სრული განდევნის წინამორბედი ჯერ კიდევ ბატონყმობის დროს ბ. გ. ბელინსკი იყო“<sup>2</sup>.

ამგვარად, ბელინსკიმ თავის დროზე გამოხატა რუსი ხალხის ინტერესები და საჭიროება, რითაც ლიტერატურა მან გახადა უაღრესად საზოგადოებრივი მნიშვნელობის სფეროდ.

დიდია ა. გერცენის დამსახურებაც კრიტიკული რეალიზმის პრინციპების დანერგვისა და განვითარების საქმეში. მან ორმოციან წლებში პრაქტიკულად განახორციელა ბ. ბელინსკის მოწოდება მხატვრულ შემოქმედებაში სოციალური კითხვების წინწამოწევის შესახებ. მის ნაწარმოებებში მოცემულია ბატონყმური სისტემის მახვილი კრიტიკა.

წერილში — „რუსული ლიტერატურა 1845 წელს“ — ბ. ბელინსკი წერდა: „Автор повести „Кто виноват? как-то чудно умел довести ум до поэзии, мысль обратить в живые лица, плоды своей наблюдательности — в действие, исполненное драматического движения“.

<sup>1</sup> ბ. გ. ჩერნიშევსკი. რჩეული ფილოსოფიური თხზულებანი, 1945, გვ. 546—547.

<sup>2</sup> ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, ტ. 20, გვ. 293.

გერცენმა პირდაპირ დასვა კითხვა — ვინ არის დამნაშავე? და თუმცა არაპირდაპირ, მაგრამ მაინც გასაგებ ფორმებში გასცა სწორი პასუხი.

გერცენი, მართალია, მერყეობდა დემოკრატიზმსა და ლიბერალიზმს შორის, მაგრამ, როგორც ვ. ი. ლენინი გვასწავლის, „მასში მაინც დემოკრატი იმარჯვებდა ყოველთვის“<sup>1</sup>.

გერცენის გავლენა ნატურალური სკოლის მწერლებზე და საერთოდ მოწინავე რუსულ ლიტერატურაზე უდავოდ დადებით როლს თამაშობდა. მწვავე სოციალური საკითხების დაყენებასა და შესაფერ გადაქრას გერცენმა საკმაო ავტორიტეტი მოუპოვა: „Белинский и Герцен великолепно дополняли друг друга в той громадной и разносторонней работе, которая была ими выполнена в течение 40-х годов“<sup>2</sup>.

გერცენს მოღვაწეობის გაგრძელება მოუხდა გამათავისუფლებელი მოძრაობის მეორე, — რაზნოჩინცულ ეტაპზეც. იგი თავისებური შემაერთებელი რგოლია ამ ორი ეტაპისა. „დეკაბრისტებმა გამოაღვიძეს გერცენი. გერცენმა გააჩაღა რევოლუციური ავტაცია.“

იგი განაგრძეს, გააფართოვეს, განამტკიცეს, გამოწვრთნეს რევოლუციონერ-„რაზნოჩინცებმა“<sup>3</sup>.

რევოლუციონერ-„რაზნოჩინცების“ გამოსვლით ლიტერატურის ასპარეზზე დაიწყო რუსული კრიტიკული რეალიზმის განვითარების ახალი ეტაპიც.

რუსული კრიტიკული რეალიზმისა და საერთოდ კრიტიკული რეალიზმის განვითარების ახალი ეტაპი დაკავშირებულია ნ. გ. ჩერნიშევსკისა და მის თანამოაზრეთა სახელებთან.

ბ. ბელინსკის ესთეტიკური შეხედულებების დაცვა, გაგრძელება და გაღრმავება 60-იან წლებში დიდი წარმატებით შექლეს რევოლუციონერმა „რაზნოჩინცებმა“, კერძოდ კი ჩერნიშევსკიმ და დობროლიუბოვმა.

საერთოდ, კრიტიკული რეალიზმის მეზაირახტრედ 60-იან წლებში გვევლინება ჟურნალი „სოვრემენნიკი“, რომლის ფურცლებიდან აშკარად იგრძნობოდა რეალისტ მწერალთა მხატვრული თხზულებების უპირატესობა და მატერიალისტური ესთეტიკის თანმიმდევრული და მეცნიერული ხასიათი.

<sup>1</sup> „ლენინი ლიტერატურის შესახებ“, 1945 წ., გვ. 67.

<sup>2</sup> Я. Эпштейн. Герцен, 1951, стр. 87.

<sup>3</sup> „ლენინი ლიტერატურის შესახებ“, 1945 წ., გვ. 70.

ის თეორიული და პრაქტიკული დავა, რომელიც „ნატურალური სკოლის“ გამოჩენის შემდეგ დაიწყო რუსულ ლიტერატურაში, ერთი მხრივ, „წმინდა ხელოვნების“ მიმდევართა და, მეორე მხრივ, კრიტიკული რეალიზმის პრინციპების დამცველთა შორის, რამაც განსაკუთრებული მწვავე ხასიათი მიიღო 50-იან 60-იან წლებში, ფაქტიურად გადაწყვეტილ იქნა ნ. გ. ჩერნიშევსკის სამაგისტრო დისერტაციაში — „ხელოვნების ესთეტიკური დამოკიდებულება სინამდვილესთან“.

ცხადია, ნ. ჩერნიშევსკის ამ შრომის გამოქვეყნებით არათუ დამთავრდა კამათი ამ ორი მოწინააღმდეგე ბანაკის წარმომადგენელთა შორის, არამედ მან კიდევ უფრო მკაცრი და ფართო ხასიათი მიიღო, მაგრამ მეცნიერული თვალსაზრისით სადავო თეორიული საკითხები უკვე დაზაჯერებლად იყო გადაჭრილი.

„წმინდა ხელოვნების“ დამცველი ჯგუფი (აპ. გრიგორიევი, დრუჟინინი, დუდიშკინი, დოსტოევსკი და სხვ.) ამის შემდეგ ფაქტიურად დემაგოგიურ პოლემიკას ეწევა. მათ, ცხადია, არ შეწევდათ უნარი დაერღვიათ მატერიალისტური ესთეტიკის პრინციპები, რომლებიც თანმიმდევრულად იყო გადმოცემული ამ ესთეტიკის მანიფესტში — „ხელოვნების ესთეტიკური დამოკიდებულება სინამდვილესთან“.

„ხელოვნების ესთეტიკური დამოკიდებულება სინამდვილესთან“, — რომელმაც შექმნა ახალი ეტაპი ესთეტიკური აზრის ისტორიაში, წარმოადგენდა იდეალისტური ესთეტიკის ძირითადი დებულებების ღრმა, მეცნიერულ კრიტიკას და მატერიალისტური ესთეტიკის პრინციპთა დასაბუთებას.

ნ. ჩერნიშევსკის მიერ წამოყენებულ ფორმულას — „მშვენიერი არის ცხოვრება“ — საფუძვლად ედვა რევოლუციური ოპტიმიზმი მშრომელი ხალხის მომავალი ცხოვრების შესახებ. იგი ეყრდნობოდა თვით ხალხის წარმოდგენას მშვენიერზე.

ნ. ჩერნიშევსკიმ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ესთეტიკის მიზანი უნდა ემორჩილებოდეს ხალხის, საზოგადოების საქმეს, სამყაროს რევოლუციური გარდაქმნის ინტერესებს. მან თავის შრომაში დააყენა ზოგადფილოსოფიური ხასიათის კითხვები, რომელთა მნიშვნელობა სცილდებოდა ესთეტიკურ მიზნებს და წარმოადგენდა მატერიალისტური ფილოსოფიის პრინციპების პროპაგანდას საერთოდ.

ზოგადფილოსოფიური პრინციპების გადაწყვეტისა და რევოლუციურ-დემოკრატიული ჰუმანიზმის შუქზე ჩერნიშევსკიმ და მისმა თანამებრძოლებმა გაარკვიეს საკითხი ხელოვნების საგნისა.

და შინაარსის შესახებ. მათ გარკვევით მიუთითეს იმაზე, რომ ხელოვნების საგნად შეიძლება იქცეს ყოველივე ის, რაც აინტერესებს ადამიანს, მაგრამ უწინარეს ყოვლისა თვით მშრომელი ხალხის ცხოვრება, მუდმივ განვითარებასა და მოძრაობაში მყოფი საზოგადოებრივი სინამდვილე.

ნ. ჩერნიშევსკიმ და რევოლუციონერი-დემოკრატებმა საერთოდ მთელი დამაჯერებლობით აჩვენეს ლიტერატურის საზოგადოებრივი მნიშვნელობა და დანიშნულება. მათ ცხადყვეს, რომ ლიტერატურა, როგორც სინამდვილის მხატვრული ასახვის ფორმა, მოწოდებულია მხატვრული სახეების საშუალებით წარმოდგინოს ობიექტური სინამდვილე, საზოგადოებრივი ცხოვრება.

ბრძოლა მატერიალისტური ესთეტიკისათვის თავისთავად ნიშნავდა ბრძოლას რეალიზმისათვის ლიტერატურაში.

ნ. ჩერნიშევსკის ცნობილ შრომას — „რუსული ლიტერატურის გოგოლის პერიოდის ნაკვეთები“ მთავარ მიზნად ჰქონდა სწორედ კრიტიკული რეალიზმის ძირითადი პრინციპების დაცვა.

მაგრამ ნ. ჩერნიშევსკის აღარ აკმაყოფილებდა წინა პერიოდის რეალისტთა ესთეტიკური შეხედულებები და მათი რეალიზმის ხასიათი. ეს გასაგებიცაა, იგი რეალიზმის მთავარ ამოცანას ხედავს ცხოვრების სინამდვილის ასახვაში; ხოლო რამდენადაც ცხოვრება იცვლება და ვითარდება, რეალიზმის ინტერესთა სფეროც ფართოვდება.

ვითარდებოდა რა გამათავისუფლებელი ბრძოლის ეტაპებთან და მეცნიერული მსოფლგაგების განვითარებასთან კავშირში, რუსული კრიტიკული რეალიზმის წინაშე ცხოვრების სინამდვილე უფრო და უფრო რთულ ამოცანებს აყენებდა.

პირველი პერიოდის რეალისტები, ძირითადად, იმით კმაყოფილდებოდნენ, რომ აჩვენებდნენ ადამიანის სულიერი და გონებრივი განვითარებისათვის შეუფერებელი საზოგადოებრივი ურთიერთობის ხასიათს, მის ჩამორჩენილობას. მაგრამ მათ ჯერ კიდევ საფუძვლიანად არ ესმოდათ სოციალური ბოროტების ნამდვილი მიზეზები.

ცხადია, რევოლუციონერი-დემოკრატი რეალისტები ამით ვეღარ დაკმაყოფილდებოდნენ. გამოდიოდნენ რა გლეხური რევოლუციის იდეიდან, ისინი ყურადღების ცენტრში აყენებდნენ სოციალურ უბედურებათა მიზეზების გარკვევასა და თვითმპყრობელური სისტემის ანტიხალხური ხასიათის გამააშკარავებას.

იბრძოდნენ რა კონსერვატორთა და ლიბერალთა წინააღმდეგი იდეოლოგიის ყოველ სფეროში, რევოლუციონერი-დემოკრატები



აყენებდნენ კითხვას არა მარტო იმის შესახებ თუ „ვინაა დამნაშავე?“, არამედ იმის შესახებაც—თუ „რა ვაკეთოთ?“

ამგვარად, ლიტერატურის წინაშე მათ დააყენეს უაღრესად რთული ამოცანები, რომელთა გადაჭრა მხოლოდ რეალისტური მხატვრული მეთოდის მომარჯვებით შეიძლებოდა.

თავის მოწოდების სიმაღლეზე რომ ყოფილიყო კრიტიკული რეალიზმი, იგი უკვე ვეღარ დაკმაყოფილდებოდა გარემო სინამდვილის მანკიერების ჩვენებით, მხოლოდ კრიტიციზმი ვეღარ უზრუნველყოფდა მის, როგორც ლიტერატურული მიმართულების, მოწინავე როლს. მას შესაძლებლობისამებრ უნდა გადაეჭრა დადებითი გმირის პრობლემაც.

რუსული კრიტიკული რეალიზმის ბუნებისა და თავისებურების გაგება შეუძლებელია ისე, თუ ვერ ჩავწვდით მისი წარმომადგენლების პოლიტიკური პროგრამის ხასიათს.

რუსი რევოლუციონერი-დემოკრატები ოცნებობდნენ სოციალისტური საზოგადოების შექმნაზე და ამ მიზნის მიღწევის გზას გლახურ რევოლუციაში ხედავდნენ. მათი კრიტიკული პათოსი მიმართული იყო ჩამორჩენილი და ბოროტებით აღსავსე სოციალური და პოლიტიკური სისტემის წინააღმდეგ; ამასთან, მათი დადებითი იდეალი — გლახური რევოლუციის იდეის დანერგვის ამოცანებით იყო განსაზღვრული.

თავიანთი იდეალების განხორციელების საფუძველს რუსი რევოლუციონერი-დემოკრატები გლახურ მასებში ხედავდნენ. ამიტომაც იყო, რომ მათ ლიტერატურაში გააბატონეს თემა ხალხისა. ამასთან დაკავშირებით, ისინი შეეცადნენ მოეცათ დადებითი გმირის სახეებიც.

ჩერნიშევსკიმ, როგორც გლახური რევოლუციის იდეოლოგმა, თავის მხატვრულ შემოქმედებაში მიზნად დაისახა ეჩვენებინა ახალი ადამიანები, რომლებიც ფიქრობდნენ და ოცნებობდნენ საზოგადოებრივი ურთიერთობის სხვაგვარად მოწყობაზე. ამ მხრივ შეტად საყურადღებოა რომანი — „რა ვაკეთოთ?“, რომელშიც ჩერნიშევსკიმ დახატა როგორც ტიპიური სახეები ასეთი ადამიანებისა, ასევე საერთო სურათი მომავალი საზოგადოებისა, რომელიც თავისუფალი იქნებოდა მჩაგვრელებისაგან.

ჩერნიშევსკის გმირების ნიშანდობლივი თვისებაა პატრიოტიზმი და სოციალისტური იდეალისადმი სამსახური.

მაგრამ, ცხადია, რომ დადებითი გმირის პრობლემის სრულყოფილად გადაწყვეტა რუს რევოლუციონერ-დემოკრატებს ჯერ კიდევ არ შეეძლოთ, ვინაიდან მათ დანახული არ ჰქონდათ ის

საზოგადოებრივი ძალა, რომელსაც ნაზღვილად შესწევდა უნარი. მშრომელი ხალხის დარაზმვისა და თანმიმდევრული ბრძოლის წარმოებისა სოციალისტური საზოგადოების დასამყარებლად. მათ არ ესმოდათ პროლეტარიატის რევოლუციური როლი და მნიშვნელობა.

რევოლუციონერ-დემოკრატი მოძღვრება გლეხური რევოლუციის შესახებ იყო უტოპიური ხასიათის, ვინაიდან ასეთ რევოლუციას შეეძლო არა სოციალისტური საზოგადოების შექმნა, არამედ კაპიტალიზმის განვითარება, რაც, იმდროინდელი რუსეთის საზოგადოებრივი ცხოვრების ჩამორჩენილობის გამო, მათ ჯერ კიდევ არ შეეძლოთ გაეთავალისწინებიათ. „მაგრამ ჩერნიშევსკი იყო არა მარტო სოციალისტ-უტოპისტი, ის იყო აგრეთვე რევოლუციონერი დემოკრატი, ის რევოლუციურ გავლენას ახდენდა თავისი ეპოქის ყველა პოლიტიკურ მოვლენაზე, ატარებდა, მიუხედავად ცენზურის დაბრკოლებისა, გლეხური რევოლუციის იდეას, ყველა ძველი ხელისუფლების დამხობისათვის მასების ბრძოლის იდეას“<sup>1</sup>.

კრიტიკული რეალიზმის პრინციპების დაცვისა და განვითარების საქმეში, ჩერნიშევსკთან ერთად, დიდი დამსახურება მიუძღვის ნ. ა. დობროლიუბოვს.

ნ. ა. დობროლიუბოვი სამოღვაწეო ასპარეზზე გამოჩნდა, როგორც ბელინსკის ნიჟიერი მოწაფე და ჩერნიშევსკის საუკეთესო თანამებრძოლი, რომელმაც უკვდავო თავისი სახელი რუსული ლიტერატურისა და აზროვნების ისტორიაში.

ნ. ა. დობროლიუბოვი გამრიჩიოდა თავისი პრინციპულობით ლიბერალებთან და „წმინდა ხელოვნების“ ყველა დაძველთა წინააღმდეგ ბრძოლაში. სწორად შეაფასა რა წინა პერიოდის რუსული ლიტერატურის განვითარების ხასიათი, მან სწორად განსაზღვრა მისი თანამედროვე რეალისტური მწერლობის ამოცანები.

იგი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ლიტერატურა ხდება საზოგადოებრივი განვითარების ელემენტად, რაც ლიტერატორებს აკისრებთ გაზრდილ პასუხისმგებლობასო. „Прежде, — წერს დობროლიუბოვი, — они могли довольствоваться фразами и дивить публику изяществом слога; теперь они должны понять, что от них не этого ждут. Литература становится элементом общественного развития; от нее требуют, чтобы она была не только языком, но очами и ушами общественного организма. В ней.

<sup>1</sup> „ლენინი ლიტერატურის შესახებ“, 1945 წ., გვ. 73.

„должны отражаться, группироваться и представляться в стройной совокупности все явления жизни. И именно с жизнью, с делом, с фактом должен иметь прямое отношение каждый, кто хочет выступить ныне в публику в качестве литератора“<sup>1</sup>.

ამ სიტყვებშიც კარგად იგრძნობა დობროლიუბოვის მგზნებარე ტემპერამენტი, პრინციპულობა და მისი დამოკიდებულება ლიტერატურისადმი.

დობროლიუბოვის ესთეტიკურ შეხედულებებში ცენტრალური ადგილი უჭირავს რეალიზმისათვის ბრძოლას. იგი ლიტერატორისაგან მოითხოვს სინამდვილის წამყვანი მოვლენების ასახვას, მის ტიპიურ სახეებში განზოგადებას. მისი თქმით, „Типы, созданные сильным талантом, долговечны“.

რეალისტური ლიტერატურის მთავარ ამოცანად დობროლიუბოვს მიაჩნდა თვითმპყრობელობისა და ბატონყმობის წინააღმდეგ ბრძოლა. მისგან იგი მოითხოვდა საზოგადოებრივი პროგრესისადმი სამსახურს, სინამდვილის არა პასიურ ასახვას, არამედ ხალხისათვის გამოსავალი გზის ჩვენებასაც.

ბ. დობროლიუბოვი თავის მეთოდოლოგიური ხასიათის წერილებში მწერლებს აფრთხილებდა არ გაჰყოლოდნენ ისეთ თემებზე წერას, რასაც მხოლოდ მეტად ხანმოკლე წარმატება შეიძლება მოჰყოლოდა. იგი მათ ურჩევდათ ლიტერატურა გაემდიდრებიათ ცხოვრების რეალიზმით („жизненный реализм“).

„Теперь жизнь со всех сторон, — ამბობს დობროლიუბოვი, — пред'являет свои права, реализм вторгается всюду, на зло мистификаторам всякого рода. Жизненный реализм должен водвориться и в поэзии... Восход солнца, пение птичек, блаженство сладострастия, неопределённое томление о чем-то, воспоминания из мифологии, истории и т. п. теперь могут быть изображены очень хорошо и доставить минутный успех поэту; но никогда не привлекут к нему того живого, деятельного и энергического сочувствия, которое всегда является в обществе к людям, нужным в известную эпоху, не даром живущим на свете“<sup>2</sup>.

ბ. დობროლიუბოვს რეალიზმი არ ესმის სხვაგვარად, თუ არა ფორმისა და შინაარსის შესაფერი მთლიანობა. იგი ილაშქრებს, ერთი მხრივ, სინამდვილის ფოტოგრაფიული, ნატურალისტური

<sup>1</sup> Н. А. Добролюбов. Полное собр. сочинений, т. 4, стр. 171.

<sup>2</sup> Н. А. Добролюбов. Полное собр. сочинений, т. 2, стр. 578—579.

ასახვის, მეორე მხრივ, ნაწარმოების მხოლოდ გარეგნული ფორმით გატაცების წინააღმდეგ.

ნ. დობროლიუბოვმა დიდი ყურადღება მიაქცია ხალხურობის პრობლემას ლიტერატურაში. მისი შეხედულებით, ხალხურობა ნაწარმოების განსაკუთრებული ღირსება კი არ არის, არამედ მისი აუცილებელი მხარე. მან, ამ მიმართულებითაც, გამოამჟღავნა თავადაზნაურულ-კონსერვატორული ლიტერატურის მანკიერება.

როგორც სამართლიანად აღნიშნავს პროფ. ბ. ი. ბურსოვი, „Добролюбов утверждал, что дальнейший рост русской реалистической литературы, рост самого реализма зависел от повышения его внимания к народной жизни, к народным потребностям, к тем могучим силам, которые зрели в народе. От этого зависели и правильный выбор объекта для искусства и правильное изображение его“<sup>1</sup>.

მატერიალისტური ესთეტიკის პრინციპების დაცვისა და განვითარების საქმეში ჩერნიშევსკი და დობროლიუბოვი მარტო არ ყოფილან. მათ ჰყავდათ თანამოაზრეთა მთელი ჯგუფი, მაგრამ ზოგიერთი მათგანის ლიტერატურულ-კრიტიკული მოღვაწეობა რიგი უკიდურესობებითა და წინააღმდეგობებით ხასიათდება. ეს შეიძლება ითქვას, კერძოდ, პისარევის, ანტონოვიჩის, ზაიცევისა და სხვათა შესახებ.

ცხადია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მათ მნიშვნელოვანი არაფერა შეეცნათო მატერიალისტური ესთეტიკის საგანძურში, ან რუსული მწერლობის პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტის საქმეში. მაგრამ მათ აკლდათ ის თანამიმდევრობა და მეცნიერული ზომიერება, რაც განსაკუთრებული მნიშვნელობისად ხდის ჩერნიშევსკისა და დობროლიუბოვის მოძღვრებას ხელოვნებისა და ლიტერატურის შესახებ.

კერძოდ, დ. ი. პისარევემა, — ერთ-ერთმა გამოჩენილმა რევოლუციონერ-დემოკრატმა, დაიცვა რა რეალიზმი და მისი თეორიის ღირსებანი, მკაცრად დაესხა თავს ფორმალიზმისა და ნატურალიზმის ხელისშემწყობთ. იგი მწერლისაგან მოითხოვდა „Художественного изображения жизни, как она есть, и человека с его чувствами, мыслями и страстями“<sup>2</sup>.

<sup>1</sup> Б. Бурсов. Вопросы реализма в эстетике революционных демократов, 1955, стр. 375.

<sup>2</sup> Д. И. Писарев. Сочинения, изд. Павленкова, т. 1, стр. 180.

მაგრამ იდეალისტური ესთეტიკის წინააღმდეგ ბრძოლაში ვერც თვითონ პისარევი ასცდა უკიდურესობას და უარყო ესთეტიკის, როგორც მეცნიერების, არსებობის უფლება. ამ უკიდურესობამდე იგი მიიყვანა მშვენიერის კრიტერიუმის მცდარმა გაგებაში. მისი თქმით, „Личное впечатление и только личное впечатление может быть мерилом красоты“<sup>1</sup>.

მცდარი შეფასება მისცა პისარევა აგრეთვე პუშკინისა და შჩედრინის შემოქმედებას, მათ მნიშვნელობას რუსულ ლიტერატურაში. ცხადია, მისი ეს შეცდომები გამოწვეული იყო იმ კონკრეტულ-ისტორიული ვითარებით, რომელშიც მას ბრძოლა უხდებოდა „წმინდა ხელოვნების“ და საერთოდ იდეალისტური ესთეტიკის დამცველთა წინააღმდეგ.

სამაგიეროდ, ჩერნიშევსკისა და დობროლიუბოვის თანმიმდევრული ბრძოლა კრიტიკული რეალიზმისათვის და მათი ესთეტიკური შეხედულებების გაგრძელება და მხატვრული განხორციელება წარმატებით შეძლეს ნეკრასოვმა, შჩედრინმა, მ. მიხაილოვმა და სხვებმა.

ნ. ა. ნეკრასოვი გახდა მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ყველაზე გამოჩენილი პოეტი, რომელმაც გამოხატა მშრომელი ხალხის ინტერესები და დაიმსახურა ფართო მკითხველის სიყვარული. ამიტომ იყო, რომ ბევრი თანამედროვე მას პუშკინზე მალაც კი აყენებდა.

ნ. ა. ნეკრასოვის დიდი პოეტური ავტორიტეტის მაჩვენებელია ნ. ჩერნიშევსკის მიერ ნეკრასოვისადმი ჯერ კიდევ 1856 წელს მიწერილი წერილი, რომელშიც ვკითხულობთ: „Вы на публику имеете влияние не менее сильное, нежели кто-нибудь после Гоголя... Все-таки первое место в нынешней литературе публики присваивает вам, как ни обидно это мне за Тургенева“<sup>2</sup>.

ნეკრასოვისადმი ასეთი სიყვარულის საფუძველს მისი შემოქმედების ცხოველმყოფელი რეალიზმი წარმოადგენდა.

ჩერნიშევსკი და დობროლიუბოვი ნეკრასოვს თვლიდნენ თავიანთ თანამოაზრედ და რევოლუციონურ-დემოკრატიული პოეზიის ყველაზე დიდ წარმომადგენლად.

მართლაც, ნ. ნეკრასოვმა რუსულ ლიტერატურაში შექმნა ახალი ეპოქა, გაამდიდრა ის რევოლუციურ-დემოკრატიული იდეების მატარებელი რეალიზმით.

<sup>1</sup> Д. И. Писарев. Сочинения, т. I, стр. 353.

<sup>2</sup> Н. Г. Чернышевский. Полное собрание сочинений, т. XIV, стр. 315-

40—60-იანი წლების რუსულ ლიტერატურაში ნ. ნეკრასოვი გვევლინება როგორც პუშკინის პოეზიის დემოკრატიული ტრადიციების გამორმავებელი და გამფართოებელი ახალი ეპოქის შესატყვისად. თვით ნეკრასოვი არა ერთხელ აღიარებს, რომ თავის წინამორბედად და მასწავლებლად მხოლოდ პუშკინს სთვლის. თავის მხრივ ნეკრასოსაც გამოუჩნდნენ მოწაფეები და მიმდევრები (ვ. კუროჩკინი, მ. მიხაილოვი, ი. გოლც-მილერი, ეულევი და სხვ.), რომლებიც აგრძელებდნენ მის ხაზს პოეზიაში. თვით ნ. დობროლიუბოვი—პოეტი დავალებულია ნეკრასოვის პოეზიით.

როგორც ვ. ე. ევგენიევ-მაქსიმოვი შენიშნავს: „*Вся зрелая поэзия Некрасова овеяна духом революции, духом демократических идей; ее революционизирующее влияние испытали на себе широчайшие круги читателей*“<sup>1</sup>.

ნ. ნეკრასოვი იყო პირველი ქეშმარიტად დიდი დემოკრატი პოეტი, რომელმაც ახალი მიმართულება მისცა რუსულ პოეზიას.

ნ. ნეკრასოვის რეალიზმის სიძლიერე მდგომარეობდა იმაში, რომ იგი თავისუფალი იყო ცალმხრივობისაგან. მის შემოქმედებაში, ეპოქის შესაბამისად, წარმოდგენილი იყო როგორც კრიტიკული პათოსი, ასევე სოციალური და პოლიტიკური ოპტიმიზმი, რომელიც ემყარებოდა მშრომელი ხალხის ძალისა და როლის რევოლუციურ-დემოკრატიულ გაგებასა და შეფასებას.

ჩერნიშევსკისთან ერთად, ნ. ნეკრასოვმა თავისი მხატვრული შემოქმედებით დიდი წვლილი შეიტანა დადებითი გმირის პრობლემის გადაწყვეტაში. იგი იყო ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერი პოეტი, რომელსაც ჰქონდა გარკვეული დადებითი იდეალები; ამ იდეალების შუქზე ხატავდა ის დადებით გმირებსაც.

არა მარტო მხატვრული შემოქმედებით, არამედ თავისი კრიტიკული წერილებითაც ნ. ნეკრასოვი მხარში ედგა ნ. ჩერნიშევსკის და იბრძოდა მატერიალისტური ესთეტიკის პრინციპების დაწერვისათვის. ამ მიმართულებით აღსანიშნავია მისი გალაშქრება ხელოვნების დრუჟინინისებური გაგების წინააღმდეგ.

„*Нет науки для науки, — говорил Некрасов, — нет искусства для искусства, — все они существуют для общества, для облагорожения, для возвышения человека, для его обогащения знанием и материальными удобствами жизни*“<sup>2</sup>.

<sup>1</sup> В. Е. Евгеньев-Максимов. Творческий путь Н. А. Некрасова, 1953, стр. 3.

<sup>2</sup> Н. А. Некрасов. Соч., т. III, 1930, стр. 437.

იღვა რა ლიტერატურული ბრძოლის ცენტრში, ნ. ნეკრასოვი, როგორც მწერალი და როგორც ჟურნალ „სოვერემენნიკის“ რედაქტორი იბრძოდა, ერთი მხრივ, რევოლუციურ-დემოკრატიულ პოზიციებზე მდგომ მწერალთა წინსვლისათვის, წახალისებისათვის, მეორე მხრივ, — ლიბერალეზმსა და დემოკრატიზმს შორის მოქანავე ნიჭიერი მწერლების (ტოლსტოი, ტურგენევი) რევოლუციურ-დემოკრატიულ მიმართულებასთან დაახლოებისათვის. ამით იგი კრიტიკული რეალიზმის ძლევამოსილი გამარჯვების საქმეს ემსახურებოდა, რუსული მხატვრული სიტყვის ღირსებისათვის იბრძოდა.

ნ. ნეკრასოვი მთელი თანაგრძნობით ეხმაურებოდა ხალხის ინტერესთა დამცველ და რევოლუციური სულისკვეთების მქონე პოეტების გამოჩენას: იგი ძმას უწოდებდა რევოლუციონერ-დემოკრატ პოეტს მ. ი. მიხაილოვს, რომელიც თავისი პოეტური მოღვაწეობით ამწვენებდა სახელოვან მესამოციანელთა ჯგუფს.

მ. ი. მიხაილოვმა თავისი შემოქმედების მიზნად დაისახა თანამედროვე საზოგადოებრივი ცხოვრების ჩვენება მთელი უარყოფითი მხარეებით. მისი შემოქმედება გაჟღენთილია ბატონყმობისა და თვითმპყრობელობისადმი სიძულვილით; მასში ნაჩვენებია მემამულეთა და ჩინოვნიკთა ამორალური და პარაზიტული სახეები („Охотник“, „Тетушка“, „Вассал“).

როგორც პოეტმა, პროზაიკოსმა და პუბლიცისტმა მ. მიხაილოვმა გარკვეული და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა რუსული კრიტიკული რეალიზმის რევოლუციურ-დემოკრატიული იდეებით გამდიდრებაში. იგი გახდა ნეკრასოვისა და ჩერნიშევსკის სახელოვანი თანამოაზრე.

რევოლუციურ-დემოკრატიული ლიტერატურის განვითარებისა და გამრავალფეროვნების საქმეში განსაკუთრებული როლი შეასრულა მ. ე. სალტიკოვ-შჩედრინმა, რომელიც იქცა რუსული კრიტიკული რეალიზმის სიამაყედ.

კლასობრივი ბრძოლის გამწვავებამ 60-იან წლებში და კრიტიკული რეალიზმის წინაშე მდგომმა პრაქტიკულმა ამოცანებმა ხელი შეუწყვეს სატირული ჟანრის განვითარებას რუსულ ლიტერატურაში.

ამ მიმართულებით რუსული ლიტერატურა არნახულ წარმატებას აღწევს შჩედრინის შემოქმედებაში. შჩედრინმა თავს იღვა მემამულურ-ბურჟუაზიული საზოგადოების მძაფრი კრიტიკა პროზაულ ჟანრში. მისი რევოლუციური სატირა აშიშვლებდა თავად-

აზნაურულ ლიბერალიზმს, როგორც მებატონეთა სამსახურში მყოფს და ბატონყმური სისტემის დამცველს.

შჩედრინი თავს დაესხა ყველა მათ, ვინც ცდილობდა შეეღამაზებია იმდროინდელი რუსეთის ცხოვრების სინამდვილე, ან თავისი უხერხემლობითა და მკონარეობით მტკიცე კავშირში იყო ლიბერალურ-თავადაზნაურულ წრეებთან. ამ მიმართულებით მან წარმოგვიდგინა ნამდვილი სახე „ზედმეტი ადამიანებისა“.

შჩედრინმა შექმნა ტიპური სახეები რუსი მშრომელი ხალხის საძულველი ადამიანებისა, რომლებიც უმცირესობას წარმოადგენდნენ, მაგრამ უმრავლესობის ცხოვრებას აუტანელს ხდიდნენ. ამასთან, იგი ილაშქრებდა პესიმისტური ფილოსოფიისა და ცხოვრების სინამდვილის რევოლუციური გარდაქმნისადმი სკეპტიკური დამოკიდებულების წინააღმდეგ. მის გამანადგურებელ სატირაში აშკარად იგრძნობა შეგნება ხალხთა რევოლუციური ძალისა და რწმენა უკეთესი მომავლისა.

შჩედრინის რეალიზმის ცხოველმყოფელობასა და მისი სატირის სიმახვილეს მოწმობს ის ფაქტიც, რომ მისი შემოქმედება არ გამხდარა მხოლოდ ისტორიის საგნად. შჩედრინის მიერ შექმნილი სახეები ყოველთვის იყენებოდა ხალხთა მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში.

დიდი ვ. ი. ლენინი და მისი მოწაფე ი. ბ. სტალინი ხშირად სარგებლობდნენ შჩედრინის მიერ შექმნილი სატირული სახეებით, რაც ზევრს ლაპარაკობს შჩედრინის მხატვრულ ნიქსა და პოლიტიკურ აღლოზე.

შჩედრინი სატირას უყურებდა როგორც იდეურ-პოლიტიკური ბრძოლის მახვილ იარაღს. მან სატირა აქცია ცხოვრების კანონზომიერი განვითარების შემფერხებელ და შეუფერხებელ მოვლენათა გამანადგურებელ იარაღად. ამიტომ, რომ სატირის შჩედრინისეული ტრადიციები არასოდეს არ ძველდებან.

„Классик революционной сатиры, Щедрин,—წერს პროფ. ა. ლავრეკი,—сумел глубоко проследить и с непревзойденной силой выявить в классовом обществе те его свойства, которые, переживая это общество, приспособляются к новому миру и вредят ему. Эта черта сатирического гения Щедрина открывалась уже в наши дни, и не случайно, что именно революционный марксизм, обладающий как чувством нового, так и умением видеть старое в новом, смог дать наиболее правильную оценку щедринской сатиры. Щедрин с исключительной пронизательностью прозревал, какой изворотливой живучестью обладает мелкое и пошлой, гнусно-



паразитическое. Поэтому Щедрин продолжает и до сих пор свое служение родине и человечеству“<sup>1</sup>.

არა მარტო თავისი მხატვრული შემოქმედებით, არამედ კრიტიკულ-პუბლიცისტური წერილებითაც შჩედრინი იცავდა და აგრძელებდა ჩერნიშევსკისა და დობროლიუბოვის მიმართულეებას. ჩერნიშევსკის დაპატიმრებისა და დობროლიუბოვის გარდაცვალების შემდეგ იგი ღირსეული ლიდერია რევოლუციურ-დემოკრატიული თაობისა. კრიტიკული რეალიზმისა და მატერიალისტური ესთეტიკის პრინციპების დაცვისა და კლასიკური შემოქმედრობის ღირსეული შეფასებისათვის იგი ბრძოლას აწარმოებდა არა მარტო „წმინდა ხელოვნების“ დამცველთა წინააღმდეგ, არამედ რევოლუციონერ-დემოკრატთა ბანაკის ზოგიერთ წარმომადგენელთა არათანმიმდევრული ესთეტიკური შეხედულებების გამოსააშკარაებლადაც.

შჩედრინმა გაამრავალფეროვნა რუსული კრიტიკული რეალიზმი, შენატა მას მახვილი სოციალურ-პოლიტიკური სატირა.

მაგრამ რუსული კრიტიკული რეალიზმი, გამათავისუფლებელი მოძრაობის მეორე ეტაპზე, მხოლოდ დასახელებულ რევოლუციონერ-დემოკრატთა სახით როდი იყო წარმოდგენილი. ამავე პერიოდში მოღვაწეობდნენ სიტყვის ცნობილი სხვა ოსტატებიც, რომლებიც ვერ ამაღლდნენ რევოლუციონერ-დემოკრატთა იდეებამდე, მაგრამ განიცდიდნენ კი მათ გარკვეულ გავლენას.

მწერალთა ეს ჯგუფი წარმოდგენილი იყო ისეთი დიდი ავტორიტეტებით, როგორნიც იყვნენ მსოფლიო ლიტერატურის გიგანტი — ლ. ტოლსტოი, სახელმწიფოებრივი რომანისტები — ტურგენევი და გონჩაროვი, ნიკიერი დრამატურგი — ა. ოსტროვსკი, რომელთა მსოფლმხედველობაში რუსეთის ცხოვრების სინამდვილემ და რევოლუციონერ-დემოკრატთა მატერიალისტურმა ესთეტიკამ გარკვეული გარდატეხა მოახდინა.

როგორც ვ. ი. ლენინმა აჩვენა ლ. ტოლსტოის მაგალითზე, ძველი რუსეთის ყველა ძველ „ბურჯთა“ სწრაფი მსხვრევა გამოხატულებას პოულობდა ამ მწერალთა შეხედულებებსა და შემოქმედებაში. მათ შექმნეს უკვდავი რეალისტური ნაწარმოებები, რითაც ისინი უახლოვდებიან რევოლუციონერ-დემოკრატებს.

მათი შემოქმედების ღირსება მდგომარეობს იმაში, რომ, მცდარი პოლიტიკური შეხედულებების მიუხედავად, მოგვცეს გაბატონებული კლასების კრიტიკა და აჩვენეს მინაგანი სიყალბე იმდროინდელი „სახელმწიფოებრივი“ დაწესებულებებისა. მაგრამ მათ,

<sup>1</sup> М. Е. Салтыков-Щедрин. Избранные сочинения, 1947, стр. XIV.

ცხადია, არ შეეძლოთ სინამდვილის ჩვენება მისი განვითარების ისტორიულ კანონზომიერებაში, კერძოდ მუშათა რევოლუციური მოძრაობის ფონზე.

ამ ჯგუფის მწერლებს მეტ-ნაკლებად მიუდგება ის დახასიათება, რომელიც ვ. ი. ლენინმა ლ. ტოლსტოის მიმართ გააკეთა. „ტოლსტოი, — წერს ვ. ი. ლენინი, — უდიდესი ძალით და გულწრფელობით ამათრახებდა გაბატონებულ კლასებს, უდიდესი სიცხადით ამხელდა ყველა იმ დაწესებულებების შინაგან სიყალბეს, რომელთა შემწევობით არსებობს თანამედროვე საზოგადოება: ეკლესიას, სასამართლოს, მილიტარიზმს, „კანონიერ“ ქორწინებას, ბურჟუაზიულ მეცნიერებას. მაგრამ მისი მოძღვრება სრულ წინააღმდეგობაში აღმოჩნდა ცხოვრებასთან, თანამედროვე წყობილების მესაფლავის, პროლეტარიატის, მუშაობასა და ბრძოლასთან. მაშ ვის თვალსაზრისს გამოხატავდა ლევ ტოლსტოის ქადაგება? მისი ბაგეებით ლაპარაკობდა რუსი ხალხის მთელი ის მრავალმილიონიანი მასა, რომელსაც უკვე სძაგს თანამედროვე ცხოვრების ბატონ-პატრონი, მაგრამ რომელიც ჯერ კიდევ ვერ მისულა შეგნებულ, თანმიმდევრულ, ბოლომდე მიყვანილ შეურიგებელ ბრძოლამდე მათს წინააღმდეგ“<sup>1</sup>.

მაგრამ, ერთი მხრივ, იმ გარდატეხამ, რომელსაც მათ შეხედულებებში ცხოვრების სინამდვილე იწვევდა, მეორე მხრივ, უდაღესმა სამწერლო ნიჭმა, რომლითაც ისინი (ტოლსტოი, ტურგენევი, გონჩაროვი, ოსტროვსკი) დაჯილდოებულნი იყვნენ, განაპირობა მათი მსოფლიო მნიშვნელობის მხატვრული გამარჯვება. პოლიტიკური ლიბერალიზმის მიუხედავად, მათ შემოქმედებაში მაინც საკმაოდ აისახა იმდროინდელი ცხოვრების სოციალური მოვლენები და საზოგადოების პროგრესული ნაწილის მისწრაფებანი.

ამიტომაც, რომ ტოლსტოი, ტურგენევი, გონჩაროვი და ოსტროვსკი რჩებიან რუსული რეალიზმის საამაყო წარმომადგენლებად, რომლებიც ზრდიან მის ღირსებას და უმდიდრესს ხდიან მის ტრადიციებს.

უკანასკნელი მწვერვალი რუსული კრიტიკული რეალიზმისა იყო ა. ჩეხოვი, რომელმაც რუსული ცხოვრების სინამდვილის უშუალო ცოდნითა და მხატვრული რესტატობით განვითარების უმაღლეს ეტაპზე აიყვანა ნოველის ჟანრი. ჩეხოვი-ნოველისტი არა მარტო რუსული, არამედ მსოფლიო მნიშვნელობის ლიტერატურული მოვლენა იყო.

ა. ჩეხოვს მოღვაწეობა მოუხდა იმ დროს, როცა რუსეთის

<sup>1</sup> „ლენინი ლიტერატურის შესახებ“, 1945 წ., გვ. 132.

პროლეტარიატის რევოლუციურ მოძრაობაში მეტი შეგნებულობა ინერგებოდა, როცა ვ. ი. ლენინი უკვე ქმნიდა სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას. იგი მოესწრო 1905 წლის რევოლუციასაც, მაგრამ მისთვის მაინც შეუცნობელი დარჩა პროლეტარიატის რევოლუციური როლი. სამაგიეროდ, მან თავის შემოქმედებაში გამოამჟღავნა უმწეობა ყველა სხვა სოციალური ფენებისა შეასრულონ ცხოვრების რევოლუციური გარდამქმნელის როლი.

ჩეხოვი-რეალისტი იმდროინდელი საზოგადოებრივი ცხოვრების პირუთვნელი მხატვარი-ფსიქოლოგია. იგი ღრმად სწვდება არა მარტო სოციალურ მოვლენებს, არამედ ცალკეულ ადამიანთა შინაგან ბუნებასაც; როგორც მხატვარი, იგი დაჯილდოებული იყო მახვილი თვალით, ტიპური ხასიათების ჩვენების უნარით. ჩეხოვის რეალიზმის ცხოველმყოფელობაზე ლაპარაკობს მის მიერ შექმნილი მხატვრული სახეების გამძლეობაც. დიდ ვ. ი. ლენინსა და მის მოწაფეს ი. ბ. სტალინს არა ერთხელ გამოუყენებიათ ჩეხოვის მიერ შექმნილი სახეები.

ა. ჩეხოვის შემოქმედების ღრმა რეალისტური ბუნება და მისი მნიშვნელობა რუსული ლიტერატურის განვითარების საქმეში მოხდენილად და დახასიათებული მ. გორკის სიტყვებში: „Когда умрет Чехов, умрет один из лучших друзей России, друг умный, беспристрастный, правдивый, друг любящий, сострадающий ей во всем, и Россия вся вздрогнет от горя и долго не забудет его, долго будет учиться понимать жизнь по его писаниям, освещенным грустной улыбкой любящего сердца, по его рассказам, пронизанным глубоким сознанием жизни, мудрым беспристрастием и состраданием к людям, не жалостью, а состраданием умного и чуткого человека, который все понимал“.

ა. ჩეხოვის შემოქმედებაში გამოხატულება ჰპოვა კრიტიკული რეალიზმის როგორც ყველა შესაძლებლობამ, ასევე შეზღუდულობამაც. მართალია, ჩეხოვი ამბობდა, რომ მხატვრულ ნაწარმოებში „Кроме жизни, какая есть, необходимо чувствовать ту жизнь, какая должна быть“, მაგრამ მის მხატვრულ შემოქმედებაში ამ მოთხოვნის პირველი ნაწილი უფროა ხორცშესხმული და ეს იმიტომ, რომ მან ვერ შეძლო გადასვლა განვითარებაში მყოფ მუშათა მოძრაობის მხარეზე.

როდესაც ჩეხოვი კრიტიკული რეალიზმის პოზიციებიდან ამდიდრებდა რუსულ ლიტერატურას, მ. გორკი, ჯერ კიდევ მაშინ, საფუძველს უყრიდა სოციალისტურ რეალიზმს.

სიმბოლიურად გვეხატება ა. ჩეხოვისა და მ. გორკის უახლოესი მეგობრობა. პირველი მათგანი რუსული კრიტიკული რეალიზმის უკანასკნელი მწვერვალია, მეორე — სოციალისტური რეალიზმის ფუძემდებელი; ერთი — ამთავრებს, მეორე — იწყებს. მათი მეგობრული ურთიერთობა ამ ორი მხატვრული მეთოდის მკიდრო კავშირის გამოხატულებაა.

ამგვარად, ვალმოხდილმა რუსულმა კრიტიკულმა რეალიზმმა თავისი საამაყო ტრადიციები მხოლოდ ქეშმარიტ მემკვიდრეს — სოციალისტურ რეალიზმს ჩააბარა. ევროპული კრიტიკული რეალიზმისაგან განსხვავებით მას თავისი ბატონობა არ დაუთნია ნატურალიზმისათვის. ნატურალიზმის გამოვლენებს რუსულ მწერლობაში არასოდეს არ ჰქონია ძალა წამყვანი ლიტერატურული მიმართულების — კრიტიკული რეალიზმის დაპირისპირებისათვის.

მაღალი იდეურობისა და მხატვრული ასახვის დიდი ოსტატობის წყალობით რუსული კლასიკური ლიტერატურა გავლენას ახდენდა მსოფლიო მწერლობაზე; რუსული კრიტიკული რეალიზმი სათავეში ედგა მოწინავე ლიტერატურას მსოფლიოში.

რუსული რეალისტური ლიტერატურის კეთილშობილური გავლენა, პირველყოფისა, აშკარად იგრძნობა მეცხრამეტე საუკუნის ქართულ მწერლობაზე. ეს გასაგებიცაა: ამ საუკუნის დამდეგიდან რუსი და ქართველი ხალხი მკიდრო კულტურულ კავშირშია, პროგრესულად მოაზროვნე რუსი და ქართველი მოღვაწეები მხარამხარ იბრძვიან ბატონყმობისა და თვითმპყრობელური რეჟიმის წინააღმდეგ, — ხალხთა უკეთესი მომავლისათვის. გამოჩენილი ქართველი მწერლები იზრდებოდნენ რუსულ მწერლობაზე, უშუალო ურთიერთობა ჰქონდათ რუს რევოლუციონერ-დემოკრატებთან.

მე-19 საუკუნის 30-იანი წლებიდან ქართული ლიტერატურის განვითარების გზები რუსულ მწერლობასთან მკიდრო ურთიერთობის ნიშნის ქვეშ მიიმართება.

მაგრამ რუსულ ლიტერატურასთან მკიდრო ურთიერთობას ქართულ მწერლობაში აროდეს არ შეუსუსტებია თვითმყოფადი და ეროვნული ხასიათი. პიროქით, გამოიწვია მისი გაფურჩქვნა და გაძლიერება.

კრიტიკული რეალიზმის ჩამოყალიბებისა და განვითარების პროცესის გათვალისწინება ქართულ ლიტერატურაში კიდევ ერთხელ ნათელყოფს ამ დებულების ქეშმარიტებას.

ქართული კრიტიკული რეალიზმი — ქართული ლიტერატურის კანონზომიერი მიღწევა იყო. მისი აღმოცენება მომზადებული იყო ქართველი ხალხის საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიულ-

ნაციონალური პირობებითა და მრავალსაუკუნოვანი ჯანსაღი ლიტერატურული ტრადიციებით.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის აღმავლობა იყო საუკეთესო ნიადაგი კრიტიკული რეალიზმის განვითარებისათვის ქართულ მწერლობაში.

ქართული ლიტერატურა კანონიერად ამაყობს არა მარტო დიდი ისტორიით, არამედ ღრმა პატრიოტიზმით, ჰუმანიზმით, ხალხთან და ცხოვრების საინტერესო მოვლენებთან მჭიდრო კავშირით. იგი საუკუნეების მანძილზე ნერგავდა რწმენას — ქართველი ხალხის უკეთესი მომავლისას, ეროვნული და სოციალური ჩაგვრის მოსპობისას. მისი მოწინავე წარმომადგენლებისათვის უცხო იყო შოვინისტური მისწრაფებები და ყოველთვის მეგობრულად იყვნენ განწყობილნი რუსი და ყველა სხვა ხალხისადმი; ამით ისინი გარკვეულად გამოხატავდნენ ქართველი ხალხის ნაციონალურ ხასიათს.

ქართველი ხალხის ცხოვრება, მისი ეროვნული და სოციალური ინტერესები, გასული საუკუნის მანძილზე, ყველაზე სრულად რეალისტურმა მწერლობამ ასახა და გამოხატა.

ამიტომ, ქართული კრიტიკული რეალიზმის ჩამოყალიბების პროცესის გასათვალისწინებლად, ცხადია, საკმარისი ვერ იქნება ჩვენ მიერ მოწოდებული მოკლე მიმოხილვა რუსული და დასავლეთ ევროპული კრიტიკული რეალიზმის თავისებურებებისა. ამისათვის საჭიროა გავითვალისწინოთ ის სოციალურ-პოლიტიკური და ლიტერატურული ვითარება, რომელმაც მოამზადა ჩამოყალიბება და განვითარება ქართული კრიტიკული რეალიზმისა.

1

მე-19 საუკუნის დამდეგს საქართველოს სოციალურ-პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში არსებითი მნიშვნელობის გარდატეხა მოხდა. ამ დროიდან ქართველმა ხალხმა თავისი ბედი მკიდროდ დაუკავშირა დიდ რუს ხალხს.

რუსეთთან საქართველოს შეერთება შემთხვევითი ხასიათის მოვლენა როდი იყო. განუწყვეტელმა და უთანასწორო ბრძოლებმა სპარსელ, თურქ და მონღოლ დამპყრობთა წინააღმდეგ, რაც მთელი საუკუნეების მანძილზე გრძელდებოდა, ქართველი ხალხი ფიზიკური განადგურების საფრთხის წინაშე დააყენა. ერთ დროს ყოველმხრივ ძლიერი ქვეყანა ბარბაროსული თავდასხმების შედეგად დასუსტდა და მე-18 საუკუნის დასასრულისათვის უკანასკნელ ძალებს იკრებდა, რათა მუსლიმან აგრესორებს გამკლავებოდა. ამ დროისათვის საქართველოს წინაშე ალტერნატივა იდგა: ან რუსეთს შეერთებოდა, ანდა სპარსეთისა და თურქეთის აგრესიის მსხვერპლი გამხდარიყო.

მე-18 საუკუნის დასასრულისათვის, როცა საქართველოს რუსეთთან შეერთების საკითხი უკვე საბოლოოდ გადაწყდა, რუსეთ-საქართველოს დიპლომატიურ თანამშრომლობას გარკვეული ისტორია ჰქონდა; მაგრამ თუ ეს საკითხი მანამდე მთელი სისრულით არ მოგვარებულა, მხოლოდ იმიტომ, რომ მეფის რუსეთი ჯერ კიდევ საკმაოდ არ იყო დაინტერესებული კავკასიით და, კერძოდ, საქართველოთი.

ერთმორწმუნე, მეზობლებთან შედარებით ეკონომიურად და კულტურულად მაღალ დონეზე მყოფი რუსეთის პროტექტორატში შესვლა ერთკლე მეორის საგარეო პოლიტიკის ქვაკუთხედად იქცა. გმირი სარდალი და ნიჭიერი პოლიტიკური მოღვაწე რეალისტურად ჰკრეტდა შექმნილ მდგომარეობას. რუსეთ-საქართველოს ურთიერთ დაკავშირება მას გადაუდებელ და სასიცოცხლო საკითხად მიაჩნდა.

ეს ქეშმარიტად სწორი გადაწყვეტილება მას ვერ შეაცვლევინეს ვერც ოპოზიციურად განწყობილმა თანამემამულეებმა და ვერც შაჰის და სულთანის გაძლიერებულმა მუქარამ. პირიქით, შინაურმა უთანხმოებამ და სპარსეთ-თურქეთის ვერაგულმა ზრახვებმა ერეკლე საბოლოოდ დაარწმუნა თავისი გადაწყვეტილების სისწორეში. რუსეთთან მკიდრო ურთიერთობის დამყარებით იგი ფიქრობდა ქართველი ხალხი ეხსნა ფიზიკური განადგურებისაგან და უზრუნველყო მისი ეროვნული განვითარების შესაძლებლობა.

თავის მხრივ, რუსეთი უკვე დაინტერესებული იყო კავკასიით. კავკასიაში დამკვიდრებით მას შესაძლებლობა ეძლეოდა უფრო გაბედულად ემოქმედნა სპარსეთისა და თურქეთის წინააღმდეგ.

1783 წლის 24 ივლისს, ქ. გეორგიევსკში, რუსეთისა და საქართველოს წარმომადგენლების მიერ ხელმოწერილ იქნა ტრაქტატი, რომელიც ორივე ქვეყანას გარკვეულ ვალდებულებას აკისრებდა.

ტრაქტატით გათვალისწინებული ვალდებულებანი საქართველოსათვის მიუღებელი და სამძიმო არ იყო. მეფის რუსეთი პირობას იძლეოდა, რომ მეფობა ერეკლეს შთამომავლობაზე ჩვეულებრივ გადავიდოდა, ამასთან ქვეყნის შინაურ საქმეებშიც არ ჩაერეოდა და უზრუნველყოფდა მასზე მტრების თავდაუსხმელობას.

რუსეთ-საქართველოს შორის დადებულმა „მეგობრობის პირობამ“ საქართველოს მტრები საგონებელში ჩააგდო. მათ გადაწყვიტეს როგორმე მიეღწიათ იმისათვის, რომ ერეკლეს ხელი აეღო ქეშმარიტ გადაწყვეტილებაზე. რეაქციულმა ძალებმა, რომლებიც ქვეყნის შიგნით მოქმედებდნენ, გარეშე მტრებთან კავშირის დამყარება იწყეს და განხეთქილებას სთესავენ მუფესა და მეფისწულებს შორის.

1795 წელს, ალა-მაჰმად-ხანი, რომელმაც ერეკლესაგან უარყოფითი პასუხი მიიღო რუსეთთან კავშირის გაწყვეტის თაობაზე, საქართველოს დაესხა 35.000 კაცი. ერეკლე მოუშზადებელი აღმოჩნდა; მას საკუთარი შეილებიც არ მიეშველნენ. მიუხედავად ამისა, ერეკლემ 5.000 მეომრის იმედით ბრძოლა გაუმართა ალა-მაჰმად-ხანს და დაამარცხა კიდევ მისი მეწინავე ნაწილები. ალა-მაჰმად-ხანი ბრძოლაზე ხელის აღებას ფიქრობდა, მაგრამ მეფის მოღალატეებმა მას აცნობეს, თუ რა ძალა ჰყავდა ერეკლეს. ალა-მაჰმად-ხანი გამხნვედა და ხელახლა შემოუტია ქართველებს. კრწანისის ველზე, გადამწყვეტ ომში, დამარცხდა ქართველთა მცირერიცხოვანი ჯარი; ერეკლემაც ძლივს უშველა თავს, ხოლო სპარ-

სელეგმა მთლიანად ააოხრეს თბილისი. ეს იყო უმძიმესი ტრაგედია ქართველი ხალხის ცხოვრებაში, რამაც კიდევ უფრო გამოაცოცხლა გარეშე და შინაური მტრები.

მეფის რუსეთის მმართველი წრეები ჩააფიქრა აღა-მაჰმად-ხანის თავხედობამ და საქართველოში შექმნილმა მდგომარეობამ. მათ აწუხებდათ ფიქრი საქართველოს დაკარგვის შესახებ. მაგრამ ერეკლე მეორე მტკიცედ იდგა თავის გადაწყვეტილებაზე; თავის ელჩის საშუალებით იგი კვლავ გადაწყვეტილ პასუხს მოითხოვდა იმპერატორისაგან: აპირებდა თუ არა იგი ტრაქტატით ნაქისრ ვალდებულებათა შესრულებას. მაგრამ ერეკლე მეორე ვერ მოესწრო მეფის რუსეთისაგან რეალური დახმარების მიღებას. 1798 წლის იანვარში იგი გარდაიცვალა.

ერეკლეს გარდაცვალებამ და სამეფო ტახტზე გიორგი XII ასვლამ მეტი ენერჯია შემატა ერეკლეს დაუძინებელ მტრებს. გიორგი მეთორმეტეს სხვა გზა არ ჰქონდა, მას რუსეთი უნდა დახმარებოდა. გიორგი ამ მდგომარეობას ელჩის საშუალებით რუსეთის იმპერატორს ატყობინებდა და გარკვეულ პასუხს ითხოვდა, თანაც მეტ დათმობაზე მიდიოდა, ვიდრე ტრაქტატით იყო გათვალისწინებული.

ამ დროისათვის, რუსეთიც უფრო მეტად იყო დაინტერესებული კავკასიით. 1799 წელს იმპერატორმა საქართველოში მოავლინა თავისი მინისტრი საქართველოს სამეფო კარზე — კოვალენსკი. გარდა ამისა, მოვიდა ჯარიც გენერალ ლაზარევის სარდლობით.

1800 წელს ქართველმა და რუსმა მხედრობამ დაამარცხა ომარ-ხანი, რომელსაც მხარს უმაგრებდა ალექსანდრე ბატონიშვილიც. ეს იყო აშკარა გამოხატულება რუსთა და ქართველთა ერთობლივი მოქმედებისა საერთო მტრის წინააღმდეგ. ამის შემდეგ ქართველები მარტო აღარ იყვნენ სამშობლოსათვის ბრძოლაში მუსლიმან-აგრესორთა წინააღმდეგ.

რუს და ქართველ ხალხთა მეგობრობამ თანდათან დაიწყო განმტკიცება საერთო მტრების — ცარიზმის, მებატონეებისა და უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ ერთობლივ ბრძოლაში.

მართალია, გიორგი მეთორმეტე ყოველგვარ დათმობაზე მიდიოდა მეფის რუსეთის წინაშე, თუ მას და მის მემკვიდრეებს ტახტზე არავინ შეეცილებოდა, მაგრამ ეს, ცხადია, ამაო იმედი იყო.

1800 წლის დასასრულს გიორგი მეთორმეტე გარდაიცვალა. ტახტზე უნდა ასულიყო მისი მემკვიდრე დავით ბატონიშვილი, რომლის კანდიდატურას იმპერატორი პავლე ადრე თუმცა და-



თანხნდა, მაგრამ ახლა უკვე განკარგულება გასცა არ დაეშვათ მისი მეფედ გამოცხადება.

1801 წლის 12 სექტემბრის მანიფესტით, რომელსაც იმპერატორი ალექსანდრე პირველი აწერდა ხელს, ქართლ-კახეთის სამეფო ოფიციალურად გამოცხადდა რუსეთის გუბერნიად.

ცხადია, მეფის რუსეთს ამის შემდეგ უფრო აქტიურად შეეძლო ემოქმედა კავკასიისა და, კერძოდ, საქართველოს სხვა კუთხის მიმართაც და გაეხადა ისინი თავის გუბერნიის ნაწილებად. თანდათან, მაგრამ საკმაო სისწრაფით მიმდინარეობდა შემდეგში ეს პოლიტიკური პროცესი.

რუსეთთან საქართველოს შეერთებამ უზრუნველყო ქართველი ხალხის ფიზიკური არსებობა, ბოლო მოუღო ქვეყნის ფეოდალურ დაქუცმაცებას, — აქცია იგი ერთ მთლიან ორგანიზმად, ხელი შეუწყო საწარმოო ძალთა განვითარებას, ფეოდალურ-ბატონყმური წყობის რღვევას, კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარებას, და, რაც მთავარია, ქართველი ხალხისათვის ახლობელი გახდა მეორე რუსეთი, — რუსეთი პროგრესულად მოაზროვნე ადამიანებისა.

\* \* \*

ცხადია, არ შეიძლება დავიწყებულ იქნეს ის ფაქტიც, რომ „რუსი, უკრაინელი და რუსეთის სხვა ხალხთა უბოროტესი მტერი იყო მეფის თვითმპყრობელობა. ეყრდნობოდა რა ადგილობრივ მემამულეთა და ბურჟუაზიის რეაქციულ ზედაფენას, ცარიზმი ახორციელებდა არარუს ხალხთა სასტიკი ეროვნულ-კოლონიური ჩაგვრის პოლიტიკას“<sup>1</sup>.

ალექსანდრე პირველის მანიფესტი თბილისში გამოქვეყნდა 1802 წლის 12 აპრილს. ახალი მმართველობის სისტემაც ამ დროიდან იქნა შემოღებული.

მმართველობის ახალი სისტემის მიხედვით, უმაღლესი თანამდებობის პირს საქართველოში წარმოადგენდა მთავარმართველი, რომელიც ამავე დროს მთავარსარდალიც იყო. მთავარმართველთან ერთად ქვეყნის სათავეში იდგა „საქართველოს მმართველი“, რომელიც იყო მთავარმართველის თანაშემწე სამოქალაქო საქმეებში. მთავარმართველს ემორჩილებოდა აგრეთვე „საქართველოს უზენაესი მთავრობა“, რომლის შემადგენლობაშიც

<sup>1</sup> „თეზისები რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავის შესახებ (1654—1954 წლები)“.

შედიოდა 4 ექსპედიცია, რომლებსაც რუსეთიდან ჩამოსული ჩინოვნიკები განაგებდნენ.

აღმოსავლეთ საქართველო (ყოფილი ქართლ-კახეთის სამეფო) დანაწილებულ იქნა მაზრებად, რომლებსაც განაგებდნენ კაპიტანისპრაენიკები.

სასამართლოებსა და ყველა სხვა დაწესებულებაში მუშაობა წარმოებდა რუსულ ენაზე, რომელიც ადგილობრივმა ნცხოვრებლებმა არ იცოდნენ. მართალია, სამოქალაქო საქმეების წარმოება სასამართლოებში ვახტანგ მეექვსის კანონების მიხედვით უნდა ყოფილიყო, მაგრამ მათ მეფის რუსეთის მოხელეები არ იცნობდნენ.

ბიუროკრატიული აპარატის გაიძვერა მოხელეები ანგარიშს არ უწევდნენ ქართველი ხალხის ზნე-ჩვეულებებსა და კულტურას, ისინი მოქმედებდნენ თვითნებურად და ძალმომრეობით.

ანალოგიური სურათი მეორდებოდა შემდეგ დასავლეთ საქართველოშიც, სადაც თანდათანობით მოიკიდა ფეხი მეფის რუსეთმა და გააუქმა მმართველობის არსებული სისტემა.

ახალი მმართველობის სისტემა, პირველყოვლისა, ხასიათდებოდა იმით, რომ მას სამხედრო ხასიათი ჰქონდა. მართვა-გამგეობის ბატონ-პატრონნი სამხედრო უწყებები და სამხედრო პირები იყვნენ. ასე გრძელდებოდა ეს მდგომარეობა ორმოციან წლებამდე.

მეფის რუსეთის მმართველობის სისტემის სიტლანქისა და სიმძიმის შესახებ კ. მარქსი შენიშნავდა: „რუსეთის მმართველობის სისტემა ყველგან, სადაც კი ის დაკავშირებულია ფეოდალურ დაწესებულებებთან, განა იგივე არ არის, რაც სამხედრო ოკუპაცია, რომელშიც სამოქალაქო ხელისუფლება და იერარქია ორგანიზებულია სამხედრო საწყისებზე და ხალხს აწევს შესანახად?“<sup>1</sup> ასე იყო საქართველოშიც.

მეფის რუსეთმა კავკასიისა და, კერძოდ, საქართველოს სახით მოიპოვა საუკეთესო სტრატეგიული პლაცდარმი, რომლის გამოყენებით მან სასტიკი დამარცხება აგემა სპარსეთსა და თურქეთს. კ. მარქსი საგანგებოდ მიუთითებდა იმ დიდ როლზე, რომელიც თურქეთთან და სპარსეთთან ომში რუსეთისათვის ჰქონდა საქართველოს, კერძოდ, თბილისს—„ამ ცენტრალურ პუნქტს აზიაში“ (მარქსი).

<sup>1</sup> К. Маркс и Ф. Энгельс. Сочинения, т. IX, стр. 397.

განსაკუთრებულ მძიმე მდგომარეობაში ვარდებოდა გლახობა მაშინ, როცა ომის ასპარეზი ახლოს იყო. გლახობას ჯარისათვის უნდა მიეწოდებინა სურსათი, ცხენები, ხარები, ურმები, გაეყვანა და შეეკეთებინა გზები. თანაც, ჯარში იწვევდნენ „მოხალისე“ მოლაშქრეებს, რომელთა შენახვა კვლავ გლახობას აწვა ტვირთად. გლახობა მუდმივ გაჭირვებაში იყო დაუსრულებელი ეგზეკუციებითაც.

მმართველობის ახალი სისტემითა და ბიუროკრატ-მოხელეთა მოქმედებით უკმაყოფილო იყო ადგილობრივი მაღალი წოდებაც, რომელიც მართვა-გამგეობის საქმეს მოულოდნელად ჩამოაცილეს. მაგრამ მას შემდეგ, რაც მისთვის უფრო საშიში სამეფო გვარეულობის წარმომადგენლები რუსეთში გააძევა, ანდა იძულებული გახდა თვითონ დაეტოვებინათ საქართველო, მეფის მთავრობამ ნელ-ნელა დაიწყო თავადაზნაურთა თავის მხარეზე გადაბირება. ამით მას სურდა საიმედო დასაყრდენი ეპოვნა ადგილობრივ მკვიდრთა შორის და თავის სასარგებლოდ აემოქმედებინა ისინი.

რუსეთთან შეერთების შემდეგ, ფეოდალური საქართველოს ძველი მართვა-გამგეობის სისტემა გაუქმებულ იქნა, მაგრამ ხელუხლებლად იქნა დატოვებული ბატონყმური ურთიერთობა. ქართველი თავადაზნაურობა თავიანთი უფლებებით გაუთანასწოროეს რუსეთის მაღალ წოდებას. მისი წარმომადგენლები ჩააბეს სამხედრო და სამოქალაქო სამსახურში, აჯილდოვდნენ ჩინ-მედლებითა და ხარისხებით. თავადაზნაურობას ჰქონდა თავისი დეპუტატთა საკრებულო და ირჩევდა თავის წინამძღოლს, ე. წ. მარშალს. მაღალი წოდების ახალგაზრდობისათვის დაარსდა სასწავლებლები და სხვ. არავის ჰქონდა უფლება ჩარეულიყო ბატონისა და ყმის ურთიერთობის მოგვარებაში. მემამულე თავისი ყმების უფლებამოსილი ბატონ-პატრონი იყო.. 1807 წელს, სპეციალური კანონით, გლახებს აეკრძალათ საჩივარი შეეტანათ მებატონის შესახებ. ყოველი სადავო საკითხი თვით მემამულეს უნდა გადაეწყვიტა.

მემამულეები ყმებს უყურებდნენ ისე, როგორც უბრალო ნივთს, რომლის ყიდვა-გაყიდვის უფლებაც მათ ჰქონდათ. გაზეთებისა და სპეციალური განცხადებების საშუალებით მემამულეები არა ერთხელ აუწყებდნენ ხოლმე საზოგადოებას ყმათა ოჯახების „ტორლით“ გაყიდვის შესახებ.

გლახები, რომლებიც ვეღარ უძლებდნენ მემამულეთა თავხედობას, ხშირად გარბოდნენ და თავს აფარებდნენ სხვა კუთხეებს. მაგრამ ცარიზმმა, ამ შემთხვევაშიც, დახმარება აღმოუჩინა მება-

ტონეებს; 1830 წელს შემოღებულ იქნა საპასპორტო სისტემა, რაც ხელს უშლიდა გლეხთა გაქცევას.

კოლონიური ექსპლოატაციის საქმეში მეფის მთავრობას ეხმარებოდა სავაჭრო ბურჟუაზიაც, რომლის შეძლებული ნაწილი სამხედრო სამსახურშიც შევიდა. მეფის ხელისუფლებამ მოიგო სანღვდელოების გულიც. 1808 წლის კანონით სასულიერო წოდების პირნი საქართველოში განთავისუფლდნენ ბატონყმური ვალდებულებისაგან.

ამგვარად, მემამულეთა, ბურჟუაზიისა და სამღვდელოების შემორიგებით მეფის ხელისუფლებამ მეტი შესაძლებლობა შეიქმნა კოლონიური ჩაგვრისათვის, ხოლო ქართველი გლეხობა ორნაგი ექსპლოატაციის ობიექტი გახადა.

კოლონიური და ბატონყმური უღლის ქვეშ გატანჯული გლეხობა, რომელიც ზოგჯერ მარჯვე მომენტს პოულობდა, სიკვდილით უსწორდებოდა აღვირახსნილ მოხელეებსა და სისხლისმსმელ მემამულეებს.

მეცხრამეტე საუკუნის დამდეგიდან გლეხთა აჯანყებებმა მასობრივი ხასიათი მიიღო საქართველოს ყველა კუთხეში. მათგან, თავისი სიძლიერითა და ხანგრძლიობით, უფრო დიდი მნიშვნელობის მქონე აჯანყებები იყო: 1804 წელს მთიულეთში, 1812 წელს — კახეთში, 1819 — 20 წწ. — იმერეთში, 1841 წელს — გურიაში, 1857 წელს სამეგრელოში და სხვა.

ყველა ამ აჯანყების მიზეზი გლეხობის აუტანელი კოლონიური და ბატონყმური ჩაგვრა იყო, თუმცა საბაბად სხვადასხვა ხასიათის ბოროტმოქმედება ხდებოდა ხოლმე. აჯანყებულნი თავიანთ რისხვას მიმართავდნენ როგორც მეფის რუსეთის თავგასულ მოხელეთა, ასევე ადგილობრივი მჩაგვრელების წინააღმდეგ. ამდენად, გლეხთა აჯანყებები ერთსადაიმავე დროს მიმართული იყო კოლონიური და სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ. აჯანყებულები ყოველთვის ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ ისინი არ იბრძოდნენ რუსი ხალხისა და რუსეთთან მკიდრო კავშირის წინააღმდეგ, მაგრამ ვერ იტანდნენ აღვირახსნილ მოხელეთაგან დაუსრულებელ შევიწროებასა და შეურაცხყოფას.

როდესაც 1804 წელს მთიულეთში აჯანყებამ იფეთქა, ერევნის ციხეს რუსის ჯარის მიერ ალყა ჰქონდა შემორტყმული. მთავარმართებელი ციციშვილი იძულებული გახდა ციხისთვის ალყა მოეხსნა და აჯანყების ჩაქრობაზე ეზრუნა. აჯანყებულებმა „მოსალაპარაკებლად“ მისულ ერისთავს, უმაღლეს მთავრობისადმი მოსახსენებლად, გადასცეს საჩივარი, რომელშიც ჩამოთვლილი იყო

ის აუტანელი ბოროტმოქმედება და გაჰირებება, რომლის მსხვე-  
რპლიც გლებობა ხდებოდა.

ამ „საჩივრიდან“ აშკარად ჩანს, თუ სადამდე იყო მისული  
გლებთა მძიმე მდგომარეობა. მსგავსი სურათი იშლება ჩვენს თვალ-  
წინ კახეთის 1812 წლის აჯანყების შესწავლის დროსაც.

კახეთში პურის ცუდი მოსავალი იყო. მიუხედავად ამისა, კა-  
ხეთში დაბანაკებული ჯარის მეთაურმა განკარგულება გასცა  
ახალი და ძველი გადასახადი გლებებისაგან ნატურით აეღოთ. გლე-  
ხებმა, რა თქმა უნდა, ვერ შეძლეს გადახდა, რის გამო სოფ-  
ლებში ეგზეკუცია ჩააყენეს და ხელი მიჰყვეს ძარცვას და ქალთა  
შეურაცხყოფას. სოფლები მოიცვა უკმაყოფილებამ, რაც აჯანყე-  
ბაში გადაიზარდა. აჯანყებულებმა მთავარმართებელ მარკიზ პაუ-  
ლიჩის წარმომადგენლებს მოახსენეს: „ჩვენ ვიცით, რომ რუსეთთან  
შედარებით ცოტანი ვართ, არა გვაქვს მათზე განარჯვების იმედი,  
მაგრამ გვინდა, რომ მათ ამოგვწყვიტონ. ჩვენ მთარველობას ვე-  
ძებდით რუს მეფესთან, ღმერთმა ის მოგვცა, მაგრამ მის მსახურთა  
უსამართლობამ და სისასტიკემ სასოწარკვეთილებაში ჩაგვაგდო,...  
როცა თვითონ ჩვენ მცენარის ფესვსა და ბალახსა ვჭამთ, ჩვენგან  
იძულებით მოითხოვენ სურსათ-სანოვაგესა და საკვებს... ჩვენ  
თვალწინ შეურაცხყოფას აყენებენ ცოლებსა და ქალიშვილებს,  
ნუთუ ასეთი ოჯახური სირცხვილის შემდეგაც ძვირფასია ჩვენ-  
თვის სიცოცხლეო?“

აჯანყება ისე ძლიერი და მოულოდნელი იყო, რომ აჯანყე-  
ბულებმა შეძლეს გაეწყვიტათ ბევრი ოფიცერი და სალდათი,  
ბევრიც ტყვედ ჩაიგდეს.

1819—20 წლებში აჯანყებამ იფეთქა იმერეთში. აჯანყების  
საბაბი გახდა საქართველოს ეგზარხოსის—რუსიფიკატორ თეოფი-  
ლაქტეს განკარგულება საეკლესიო გლებთა და საეკლესიო ქონების  
აღწერის შესახებ.

ორგანიზებულობითა და მოსამზადებელი მუშაობის ჩატარებით  
გამოირჩეოდა გურიის 1841 წლის აჯანყება. ეს აჯანყება, რომელსაც  
უმთავრესად გლებობიდან გამოსული პირები ხელმძღვანელობ-  
დნენ, თავიდან თითქოს წარმატებას აღწევდა, მაგრამ ბოლოს  
მაინც ჩაახშეს. და ეს გასაგებიცაა. როგორც ცნობილია, გლებთა  
აჯანყებები წარმატებებს იმ შემთხვევაში აღწევდნენ, როცა ისინი  
დაკავშირებულნი იყვნენ მუშათა აჯანყებებთან და მათ. სათავეში  
ედგნენ მუშათა წრიდან გამოსული ადამიანები.

თავადაზნაურობის ერთი ნაწილი, რომელიც უკმაყოფილო იყო მეფის რუსეთის პოლიტიკით და ოცნებობდა თავისი პრივილეგიების აღდგენაზე, გლახთა აჯანყებებს თავისი მიზნებისათვის იყენებდა. იგი სათავეში უდგებოდა აჯანყებას და ეროვნული დამოუკიდებლობის ლოზუნგით იბრძოდა. მეფის მთავრობის წინააღმდეგ ასე მოიქცა, მაგალითად, ფარნაოზ ბატონიშვილი 1804 წელს, როცა მთიულეთის აჯანყებას ჩაუდგა სათავეში. მასთან ერთად იყვნენ აგრეთვე მაღალი წოდების წრიდან გამოსული ახალგაზრდები, მათ შორის ალექსანდრე ქავკავაძეც.

თავისი მიზნებისათვის სურდა გამოეყენებინა 1812 წლის კახეთის აჯანყება ალექსანდრე ბატონიშვილსაც, რომელიც ლეკთა ჯარით შეუერთდა აჯანყებულებს.

მაგრამ თავადაზნაურობა, რომელიც აჯანყების დასაწყისში მხარს უჭერდა გლეხობას, ბოლოს დალატობდა მას, ვინაიდან ხედავდა, რომ აჯანყებულები იბრძოდნენ ბატონყმური უთანასწორობის წინააღმდეგაც. ასე მოიქცა, მაგალითად, გურიის თავადაზნაურობა 1841 წელს, რაც მშვენივრად აქვს აღწერილი მწერალ ე. ნინოშვილს თავის რომანში — „ჯანყი გურიაში“.

\* \* \*

კოლონიური და ბატონყმური ჩაგვრით შეწუხებული გლეხობა, როგორც აღენიშნეთ, იძულებული იყო აჯანყებებისათვის მიემართა. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის წინააღმდეგ განწყობილმა ბატონიშვილებმა და მათმა მომხრეებმა არაერთხელ სცადეს აჯანყებათა თავიანთი მიზნებისათვის გამოეყენება, მიზანს მაინც ვერ მიაღწიეს. მათი და გლეხობის ინტერესები ერთმანეთს არ ეთანხმებოდა. თანაც, მთავრობამ საგანგებო ღონისძიებას მიმართა. სამეფო ტახტის რიცხვმრავალი მემკვიდრეები, რომლებიც არ ისვენებდნენ, ან საექვოდ ჩანდნენ, პეტერბურგსა და მოსკოვში გაგზავნეს; ხოლო ზოგიერთმა მათგანმა რუსეთთან მტრულად განწყობილ ქვეყნებს შეაფარა თავი (მაგალითად, ალ. ბატონიშვილმა — სპარსეთს) და უცხოეთის ძალთა გამოყენებით ცდილობდა ძველი უფლებების აღდგენას.

მაგრამ მას შემდეგ, რაც დარწმუნდნენ, რომ აშკარა ბრძოლით ვერაფერს გახდებოდნენ, ბატონიშვილებმა განიზრახეს შეთქმულების მოწყობა.

შეთქმულებისათვის მზადება, თავდაპირველად, პეტერბურგში მყოფ ბატონიშვილთა წრეში დაიწყო, ჯერ კიდევ საკმაოდ ადრე, მაგრამ როგორც ორგანიზაცია, „ფარული საზოგადოება“

1825 წლიდან ფორმდება. ბატონიშვილებმა შეთქმულების მიზანი გაანდეს პეტერბურგში სასწავლებლად და სამსახურში მყოფ ახალგაზრდებს, რომლებიც თავის მხრივ უკმაყოფილო თავადაზნაურთა წრეს ეკუთვნოდნენ. შეთქმულების პეტერბურგის ორგანიზაციის უშუალო ხელმძღვანელობით „ფარული საზოგადოება“ შემდეგ ჩამოყალიბდა თბილისშიც და 1829 წლიდან გაცხოველებული მუშაობა გააჩაღა. „ფარულ საზოგადოებაში“ ჩააბეს 30-იანი წლების ბევრი გამოჩენილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე. მათ შორის: სოლომონ დოდაშვილი, ალექსანდრე ქავკავაძე, გრიგოლ ორბელიანი, სოლომონ რაზმაძე, დიმიტრი ყიფიანი, გიორგი ერისთავი, ვახტანგ ორბელიანი, ალექსანდრე ორბელიანი და სხვები.

შეთქმულები ძალიან ფრთხილად და საიდუმლოდ მოქმედებდნენ. მათ ერთმანეთის საქმიანობაც კი არ იცოდნენ; თვითეული მათგანი ნხოლოდ რამდენიმე შეთქმულთან იყო დაკავშირებული. სამაგიეროდ, მთელი მათი საქმიანობის შესახებ იცოდნენ პეტერბურგში მყოფმა ბატონიშვილებმა, რომლებიც გარკვეულ მითითებებს აძლევდნენ თბილისში მყოფ შეთქმულებს. შეთქმულებს ჰქონდათ ერთგვარი წესდებაც — „აკტი გონიურის“ სახელწოდებით, რომლის საფუძველზეც ისინი იძენდნენ ახალ წევრებს და იცავდნენ საიდუმლოს. შეთქმულებს ჰქონდათ, აგრეთვე, სპეციალური ანბანი საიდუმლო მიწერ-მოწერისათვის.

შეთქმულთა აბსოლუტურ უმეტესობას ბატონიშვილები და მაღალი წრის წარმომადგენლები — თავადაზნაურები შეადგენდნენ, მაგრამ შეთქმულებაში ჩაბმული იყო დაბალი წოდებიდან გამოსული ზოგიერთი მოღვაწეც (ს. დოდაშვილი, ს. რაზმაძე).

შეთქმულთა მიზნები და შეხედულება მომავალი მართვა-გამგეობის ფორმების შესახებ, რასაკვირველია, არ იყო ერთნაირი. უმრავლესობას ძველი მართვა-გამგეობის, — ბაგრატიონთა დინასტიის აღდგენა სურდა, უმცირესობა (ს. დოდაშვილი და მისი თანამგრძნობნი) კი, როგორც ჩანს, ყველაფერში არ ეთანხმებოდა მათ.

შეთქმულების უმრავლესობა, რომელიც ანგარიშს უწევდა ამ უმცირესობის წარმომადგენელთა დიდ ავტორიტეტს ხალხის დაბალ ფენებში და არ სურდა მათი ჩამოცილება, თითქოსდა შერბილებულ ფორმებში აყალიბებდა მართვა-გამგეობის მომავალ სისტემას. კერძოდ, შეთქმულთა გამარჯვების შემთხვევაში ნავარაუდევო იყო კონსტიტუციური მონარქია. ამის მიხედვით, უნდა შექმნილიყო ორი პალატა — „ზედა სამმართველო“ და „ქვედა სამმართველო“. „ზედა სამმართველოს“ შემადგენლობაში იქნებოდნენ მეფე და მთავ-

რობის წევრები (მინისტრები), ხოლო „ქვედა სამმართველოს“ შე-  
მადგენლობაში—მაზრებში არჩეული თავადაზნაურთა დეპუტატები.

როგორც ვხედავთ, „ფარული საზოგადოება“ არ გამოხატავდა  
ხალხის ინტერესებს. იგი არა მარტო შეთქმულების მზადების პე-  
რიოდში იყო მოწყვეტილი ხალხს, არამედ მთელი თავისი მიზნე-  
ბითაც შორს იდგა მისგან. ამდენად, მისი საქმიანობა იმთავითვე  
განწირული იყო მარცხისათვის.

შეთქმულებს განზრახული ჰქონდათ სპეციალურად მოწყო-  
ბილ ზეიმზე მოეწვიათ და გაეჟლიტათ მეფის მოხელეები;  
შემდეგ კი ჯარი განეიარაღებინათ. აჯანყების დღედ დანი-  
შნული იყო 1832 წლის 20 დეკემბერი, თავადაზნაურთა კრების  
მოწვევის დღე. მომზადებული იყო აჯანყების გეგმაც, ე. წ. „პირ-  
ველი ღამის განკარგულება“, და თვითეულმა იცოდა თავისი მო-  
ვალეობა.

მაგრამ შეთქმულებს არ დასცალდათ. შეთქმულების ერთ-  
ერთმა მონაწილემ — იასე ფალაენდიშვილმა, 9 დეკემბერს, შე-  
თქმულნი გასცა. 10 დეკემბერს შეთქმულთა დიდი უმეტესობა  
უკვე დაპატიმრებულ იყო. მთავარმართებელმა როზენმა ყველაფერი  
შეატყობინა იმპერატორს. დაინიშნა სასტიკი გამოძიება, რომელიც  
1833 წლის 20 სექტემბერს დამთავრდა. დამნაშავენი, დანაშაულის  
მიხედვით, დაჰყვეს ათ თანრიგად და სასჯელის ზომის დასადგე-  
ნად საქმე წარედგინა იმპერატორს.

საბოლოოდ, ცამეტი მონაწილის საქმე გადაეცა სამხედრო  
სასამართლოს, ხოლო დანარჩენები, განკარგულების წესით, დასჯილ  
იქნენ უფლების აყრის სხვადასხვა ზომით (სამხედრო სამსახურში  
გამწესება რუსეთის შორეულ კუთხეებში, სამშობლოში ცხოვრე-  
ბის აკრძალვა, სასტიკი მეთვალყურეობის ქვეშ ყოფნა და სხვა).

აღსანიშნავია, რომ მეფის მთავრობამ მკაცრი სასჯელი და-  
ადო არა შეთქმულების ინიციატორებს — ბატონიშვილებსა და  
მალალი წოდების წარმომადგენლებს, არამედ უფრო დაბალი წრი-  
დან გამოსულ მონაწილეებს (ს. დოდაშვილს, ს. რაზმაძეს და  
სხვ.).

შეთქმულების მონაწილე გამოჩენილი ქართველი მოღვაწეები:  
ს. დოდაშვილი, ა. ჭავჭავაძე, გრ. ორბელიანი, გ. ერისთავი, ვ. ორ-  
ბელიანი, ს. რაზმაძე და სხვები რუსეთის შორეულ კუთხეებში  
გადაასახლეს. მათგან ზოგიერთი გადასახლების მსხვერპლი გახდა  
და სამშობლოში აღარ დაბრუნებულა (ს. დოდაშვილი, ს. რაზმაძე),  
ხოლო ნაწილი რამდენიმე წლის შემდეგ დაბრუნდა საქარ-  
თველოში.



ქართველ თავადაზნაურთა შეთქმულების ამომწურავი დახასიათება მოცემული აქვს ი. სტალინს თავის შრომაში — „როგორ ესმის სოციალ-დემოკრატიას ნაციონალური საკითხი“, სადაც ვკითხულობთ: „იყო ჩვენში, მაგალითად, ეგრეთწოდებული, თავადაზნაურობის „ნაციონალური საკითხი“, როცა — საქართველოს რუსეთთან შეერთების“ შედეგ — ქართველმა თავადაზნაურობამ იგრძნო, თუ რა საზარალო იყო მისთვის ძველი პრივილეგიებისა და ძლიერების დაკარგვა, რომლებიც მას ქართველი მეფეების დროს ჰქონდა, იუკადრისა „უბრალო ქვეშევრდომობა“ და მონიღობა „საქართველოს განთავისუფლება“. ამით მას უნდოდა „საქართველოს“ ხათვეში ქართველი მეფეები და თავადაზნაურობა დაეყენებინა და, ამგვარად, მათთვის გადაეცა ქართველი ხალხის ბედილბალი. ეს იყო ფეოდალურ-მონარქიული „ნაციონალიზმი“. ვერც ერთი შესამჩნევი კვალი ვერ დააჩნია ამ „მოდრობამ“ ქართველების ცხოვრებას, ვერც ერთი ფაქტით ვერ ისახელა მან თავი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ქართველი თავადაზნაურების ზოგიერთ შეთქმულებას რუსი მმართველების წინააღმდეგ კავკასიაში“<sup>1</sup>.

\* \* \*

შეუწყვეტელ წინააღმდეგობათა და აჯანყებების შედეგად მეფის მთავრობა ზოგჯერ იძულებული ხდებოდა კავკასიაში გამოეგზავნა სპეციალური კომისიები, რომლებსაც დავალებული ჰქონდათ შექმნილი მდგომარეობის შესწავლა და ღონისძიებათა შემუშავება. ერთ-ერთი ასეთი კომისია, სენატორ განის მეთაურობით, 1837 წელსაც გამოიგზავნა.

სენატორმა განმა, 1838 წელს, მთავრობას წარუდგინა კავკასიის ადმინისტრაციული მმართველობის რეფორმის გეგმა, რომლის ძირითადი აზრი იმაში მდგომარეობდა, რომ უფრო გაბედულად და სწრაფად მოეხდინათ აღნიშნული მხარის რუსიფიკაცია, ვინემ ეს ხდებოდა. 1840 წლის 10 აპრილს მიღებულ იქნა განის პროექტი, რომლის საფუძველზეც გამოიცა „დებულება კავკასიის მხარის მართვა-გამგეობის შესახებ“. დებულების მიხედვით კავკასიის მთავარმართველი თავისი უფლებებით გაუთანაბრდა რუსეთის შიდაგუბერნიების გენერალ-გუბერნატორებს. ამას-

<sup>1</sup> ი. ბ. სტალინი. თხზულებანი, ტ. 1, 1947 წ., გვ. 32—33.

თან, მეფის კანცელარიასთან შეიქმნა სპეციალური განყოფილება კავკასიის საქმეებზე საზედამხებდევლოდ.

სამსახურიდან სულ უფრო მეტად აძევებდნენ ადგილობრივ ელემენტებს, რომელთა ადგილს ჩამოსული მოხელეები იკერდნენ. ასეთმა ღონისძიებამ კიდევ უფრო გაზარდა ადმინისტრაციული ხარჯები და ადგილობრივი თავადაზნაურობისა და ბურჟუაზიის უკმაყოფილებაც გამოიწვია. შექმნილმა ვითარებამ აიძულა მთავრობა კვლავ სხვა მეთოდების გამოყენებაზე ეზრუნა.

როდესაც თავისი ხანმოკლე „მოღვაწეობის შემდეგ“ (1842—1844 წწ.) გენერალი ნეიდგარტი განთავისუფლებულ იქნა კავკასიის მთავარმართებლის თანამდებობიდან, მეფის მთავრობამ, ნაცვლად მთავარმართებლობისა, შემოიღო კავკასიის სამეფისნაცვლო. მეფისნაცვალს ჰქონდა გაფართოებული უფლებები. იგი ემორჩილებოდა უშუალოდ იმპერატორს.

„ახალი“ პოლიტიკური კურსის განსახორციელებლად, კავკასიის მეფისნაცვლის თანამდებობაზე იმპერატორმა, 1844 წელს, დანიშნა ერთგული და გამოცდილი მოხელე მ. ვორონცოვი.

ვორონცოვის დანიშნით კავკასიაში ფაქტიურად დამთავრდა სამხედრო წესებისა და სამხედრო მმართველობის ბატონობა და თანდათანობით განმტკიცდა სამოქალაქო მმართველობა.

სამხედრო მმართველობიდან სამოქალაქო მმართველობაზე გადასვლა 40-იანი წლებისათვის უკვე საკმაოდ იყო მომზადებული. თუ მანამდე მეფის მთავრობა, შეშინებული, ერთი მხრივ, ადგილობრივ მცხოვრებთა უკმაყოფილებით, ხოლო, მეორე მხრივ, აღმოსავლეთელი აგრესორების (სპარსეთისა და თურქეთის) მეტოქეობით, იძულებული იყო სამხედრო ძალით გამკლავებოდა ყოველგვარ საშიშროებას, 40-იანი წლებისათვის მდგომარეობა სხვაგვარი იყო. აჯანყებთა და შეთქმულების ჩახშობამ საქართველოში და ირან-თურქეთის დამარცხებამ მეფის რუსეთს შესაძლებლობა მისცა თავისი მმართველობის სისტემა სამოქალაქო წესებზე აეგო. ამჯერად, მეფის რუსეთს აინტერესებდა არა საქართველოს პოლიტიკური დაპყრობა, რასაც უკვე მიაღწია, არამედ მისი შემომტკიცება და რუსეთის ორგანულ ნაწილად გადაქცევა.

ვორონცოვმა, რომელსაც კარგად ესმოდა ცარიზმის ინტერესები კავკასიაში, ხელი მოჰკიდა მოქნილი და უფრო მშვიდობიანი ღონისძიებების გატარებას. იმპერატორისადმი გაგზავნილ მოხსენებებში იგი არა ერთხელ აღნიშნავდა, რომ ბევრი ცუდი შედეგი მოჰყვა მხოლოდ და მხოლოდ იარაღის გამოყენებას და მთავარმართებელთა გადაქარბებულ აჩქარებასო. ვორონცოვმა ალღო აუღო

ადგილობრივ მაღალ წოდებას და გადაწყვეტა მთავარი დასაყრდენი მასში ეპოვა. მან მთელი რიგი უფლებრივი უპირატესობა მიანიჭა მაღალ წოდებას, რითაც მოახერხა მისი დიდი ნაწილის გადაბირება მეფის რუსეთის მხარეზე.

ნაცვლად იარაღისა, ვორონცოვი ადგილობრივ მცხოვრებთა დასამორჩილებლად და შემოსარიგებლად სხვა საშუალებებთან ერთად იყენებდა სკოლას, თეატრს, ეკლესიას, ვაქრობას, პირად ურთიერთობას და სხვ. იგი გზას უხსნიდა ადგილობრივ ელემენტებს, თუკი მათში ხელადავდა ერთგულ მოხელეებს. ასეთი პოლიტიკის წყალობით ქართველი თავადაზნაურობა ფართოდ ჩაება სამოქალაქო და სამხედრო სამსახურში და დიდი მონდობითაც იღწვოდა ჩინ-მედლებისათვის.

ვორონცოვის პოლიტიკური კურსი, უწინარესყოვლისა, სასარგებლო გამოდგა ბურჟუაზიისათვის, რომელსაც, აღებ-მიცემობის გაფართოების საფუძველზე, მოქმედების თავისუფალი ასპარეზი შეექმნა.

\* \* \*

როგორც ვ. ი. ლენინი გვასწავლის, კავკასიის „ეკონომიური დაპყრობა“ რუსეთის მიერ მოხდა გაცილებით უფრო გვიან, ვიდრე პოლიტიკური<sup>1</sup>.

მას შემდეგ, რაც მმართველობის თავისი სისტემა დაამკვიდრა საქართველოში, მეფის რუსეთმა ხელი მიჰყო მის ეკონომიურ დაპყრობასაც. კავკასია და, კერძოდ, საქართველო რუსეთს აინტერესებდა არა მარტო სამხედრო და პოლიტიკური თვალსაზრისით, არამედ, აგრეთვე, როგორც ბაზარი და ნედლეულის წყარო. მეფის რუსეთის ფინანსთა მინისტრი კანკრინი აშკარად ამბობდა, რომ მას სურდა კავკასია რუსეთის ინდოეთად ექცია.

მიუხედავად ასეთი დიდი სურვილისა, მეფის მთავრობას უფრო მეტად გაუძნელდა კავკასიაში თავისი ეკონომიური პოლიტიკის გატარება, ვიდრე ამ მხარის პოლიტიკური დამორჩილება.

რუსეთთან შეერთების პროცენტში საქართველო წარმოადგენდა სამეფო-სამთავროებად დაქუცმაცებულ ქვეყანას, სადაც საწარმოო ძალთა განვითარება მეტად დაბალ დონეზე იდგა. მართალია, მე-18 საუკუნის ბოლოსათვის საქართველოში იყო რამდენიმე სამრეწველო ხასიათის საწარმოო, მაგრამ მათ არ შესწევდათ უნარად

<sup>1</sup> ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, ტ. III, გვ. 703.

რამდენადმე მნიშვნელოვანი როლი მაინც ეთამაშათ ქვეყნის ეკონომიურ ცხოვრებაში. საქართველო წარმოადგენდა სოფლის მეურნეობის ქვეყანას; რომელიც ბატონყმურ სისტემას ემყარებოდა.

მდიდარი ბუნებრივი საბადოებისა და საუკეთესო მოსავლის მომცემი ადგილების სათანადო გამოყენება, პრიმიტიული წარმოებისა და პოლიტიკური მოუსვენრობის გამო, შეუძლებელი იყო. მეურნეობის სხვა სისტემისა და ტექნიკის განვითარების სხვა პირობებში კი, ცხადია, მას შეეძლო უხვად დაეჯილდოებინა მწარმოებელი.

ყარიზმის ეკონომიური პოლიტიკაც, პირველყოვლისა, იქნა კენ იყო მიმართული, რომ საქართველოდან მიეღო იაფი ნედლეული. მაგრამ მას ამისათვის ძალაუნებურად უნდა ეზრუნა საქართველოს ბაზრების ხელში ჩასაგდებად და კაპიტალისტურ წამოწყებათა ინიციატორების წასახალისებლად.

საქართველოს ეკონომიურ ათვისებას რუსეთმა ხელი მოჰკიდა განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც მან გამარჯვებას მიაღწია ომებში სპარსეთთან (1826—1828 წწ.) და თურქეთთან (1828—1829 წწ.). თუმცა ამ საქმეს მანამდეც გულგრილად არ უყურობდა.

რუსეთს აღრევე ჰქონდა მიზნად ხელში ჩაეგდო არა მარტო კავკასიის, არამედ სპარსეთის ბაზრებიც. მაგრამ ამისათვის იგი ჯერ კიდევ არ იყო მზად. რუსეთის მანუფაქტურული მრეწველობა საგრძნობლად ჩამორჩებოდა ევროპის ქვეყნების მრეწველობას, რის გამოც მას არ შეეძლო მეტოქეობა გაეწია ევროპული საქონლისათვის ბაზარზე, რომელსაც კარგა ხნით აღრე დაეპატრონენ ევროპელი ვაჭრები. ანგარიშგასაწევ კონკურენტებს წარმოადგენდა, იმ დროისათვის, სპარსეთისა და თურქეთის ვაჭრობაც, რომელიც დიდი ხნიდან იცნობდა კავკასიის ბაზრების თავისებურებას.

მაგრამ რუსეთმა იცოდა, რომ დღეს თუ ხვალ იგი ალაგმავდა ევროპისა და სპარსეთ-თურქეთის კონკურენციას და ითამაშებდა ყველაზე მნიშვნელოვან როლს ევროპასა და აზიას შორის წარმოებულ სატრანზიტო ვაჭრობაში. ამის საწინდარი იყო მისი გეოგრაფიული უპირატესობა და პოლიტიკური ბატონობის მიღწევა კავკასიაში. ამიტომ, მეფის მთავრობა არ შეშინდა და 1821 წლის 8 ოქტომბერს მიიღო კანონი, რომლის მიხედვით კავკასიაში 10 წლის ვადით დაწესდა შეღავათიანი ტრანზიტი და ვაჭრობა.

შეღავათიანი ტრანზიტისა და ვაჭრობის შემოღებამ კავკასიაში კიდევ მეტად გამოაცოცხლა ევროპელი ვაჭრები, რომლებსაც დიდად აქეზებდა ფრანგი ნეგოციანტი შევალზე გამბა, რომელმაც

მნიშვნელოვანი როლი ითამაშა აღნიშნული კანონის მიღებაში და შემდეგ საფრანგეთის კონსულიც გახდა თბილისში.

ვაქრობის გაფართოებამ გამოიწვია მიმოსვლის გაფართოება და გაუმჯობესება, თუმცა ის საგრძნობლად ჩამორჩებოდა მოთხოვნილებას. გამრავლდა სანაოსნო და სახმელეთო გზები; განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა მიეცა საქართველოს სამხედრო გზას, რომელიც წარმოადგენდა შემაერთებელ არტერიას საქართველოსა და რუსეთს შორის. ამასთან დაკავშირებით, აუცილებელი გახდა შინაგანი საბაჟოების მოსპობაზე ზრუნვა.

შელავათიანი ტრანზიტისა და ვაქრობის დაწყებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აღებ-მიცემობის განვითარებისათვის კავკასიაში. ამას მოწმობს თუნდაც ის ფაქტი, რომ კანონის მოქმედების პერიოდში (1821 — 1831 წწ.) საქონლის შემოტანა საშუალოდ, წინა ათ წელთან შედარებით, გაიზარდა სამჯერ, ხოლო გატანა — რვაჯერ.

ვაქრობის გაფართოებამ კი გამოიწვია ქალაქის მოსახლეობის ზრდა საერთოდ და განსაკუთრებით თბილისში, რომელიც ამ დროისათვის უკვე ასრულებდა მეტად მნიშვნელოვან როლს ევროპასა და აზიას შორის წარმოებულ ვაქრობაში. 1828 წლის ოქტომბერში თბილისში საზეიმოდ გაიხსნა ე. წ. „პოკროვსკის იარმარკა“, რომელიც, სენატის დადგენილებით, ყოველი წლის ოქტომბერში უნდა გამართულიყო. მართალია, მან დიდხანს ვერ იარსება, მაგრამ გარკვეული როლი მაინც შეასრულა.

როგორც აღვნიშნეთ, შელავათიანი ტარიფი სასარგებლო იყო ევროპელი ვაჭრებისათვის, მაგრამ ამ კანონით რუსეთმა მაინც მოიგო პოლიტიკურად.

რუსეთის ვაჭარ-მრეწველებმა და მათი ინტერესების თავდადებულმა დამცველმა, ფინანსთა მინისტრმა კანკრინმა აღრევე სცადეს გაეუქმებიათ შელავათიანი ტარიფი, მაგრამ მთავარმართებელი ერმოლოვის ენერგიული წინააღმდეგობის გამო მათ ვერ შეძლეს მიეღწიათ ამისათვის. თუმცა, 1831 წლის 3 ივნისს მაინც გამოიცა კანონი, რომელმაც გააუქმა შელავათიანი ტარიფი.

შელავათიანი ტარიფის აკრძალვამ დიდი კმაყოფილება გამოიწვია რუს ვაჭართა შორის. 1832 წლიდან ევროპელ ვაჭართა ადგილს საქართველოს ბაზრებზე თანდათან იკვრენ რუსი ვაჭრები, რომლებსაც მთელი რიგი პრივილეგიები ენიჭებოდათ.

სამაგიეროდ, ცუდ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ თბილისელი ვაქრები, რომლებსაც შემოსავლის წყარო მოაკლდათ. აღსანიშნავია, რომ 30-იანი წლებისათვის თბილისელი ვაქრები კომერციულ საქმიანობას ეწეოდნენ ევროპასა და რუსეთში. ბევრი მათგანი უკვე საკმაოდ დახელოვნებული იყო კომერციული ოპერაციების ფართო მასშტაბით წარმოებაში. საერთოდ, შეღავათიანმა ტარიფმა ხელი შეუწყო ვაქრობის აღორძინებას და ამ საქმიანობით გატაცებას საქართველოში. ბევრი წვრილი ვაჭარი და ხელოსანი მსხვილი კაპიტალის მფლობელი გახდა.

მართალია, 1831 წლის კანონი მძიმე აღმოჩნდა ადგილობრივი ნაციონალური ბურჟუაზიისათვის და ევროპელი ვაქრებისათვის, მაგრამ მან ვერც მეფის რუსეთს მისცა ნავარაუდები მოგება.

30-იანი წლებიდან თბილისში არსდებოდა ხოლმე სხვადასხვა სავაჭრო კომპანიები, რომლებსაც მიზნად ჰქონდათ ფართო კომერციული ოპერაციების წარმოება კავკასიის მასშტაბით, მაგრამ არც ერთ მათგანს არ უარსებნია დიდხანს. შედარებით მეტ ხანს (1831—1848 წწ.) იარსება გრიბოედოვისა და ზავილეისკის ინიციატივით დაარსებულმა ამიერკავკასიის სავაჭრო დეპომ.

მ. ვორონცოვმა, რომელიც ჯერ კიდევ ადრე იყო შეღავათიანი ტარიფის გაუქმების წინააღმდეგი, კავკასიის მეფისნაცვლის თანამდებობაზე დანიშნვისთანავე დაიწყო ზრუნვა ვაქრობის შემზღვეველი კანონის გასაუქმებლად. მიუხედავად დიდი წინააღმდეგობისა, რომელსაც მთავრობის წევრებში წააწყდა, ვორონცოვმა მიაღწია 1846 წელს გამოცემულიყო ახალი დებულება ადგილობრივი ვაქრობის შესახებ, რამაც გზა გაუხსნა სავაჭრო ტრანზიტს ევროპიდან. ამასთან, ვორონცოვი ყოველმხრივ მეცენანტობდა რუს და ადგილობრივ ვაქრებსაც.

1847 წელს თბილისში დაარსდა „Закавказское торговое первоначальное депо“; 1848 წელს მოსკოველმა და ივანოველმა ფაბრიკანტებმა თბილისში დააარსეს კომპანია — „Общество закавказской оптовой торговли“, და სხვა.

1840 წლიდან 1850 წლამდე რუსეთიდან საქართველოში შემოტანილი საქონლის ღირებულება წლიურად, საშუალოდ, უდრიდა 1.800.000-დან 2.500.000-მდე მანეთს.

50-იან წლებში თბილისში არსდება თამბაქოს გადამამუშავებელი კაპიტალისტური საარეწაოები. ასევე, თბილისსა და საქართველოს სხვა კუთხეებში მუშაობა დაიწყო აბრეშუმძაფსახევემა ფაბრიკებმა.

1851 წელს უცხოელმა შტურემ თბილისში გახსნა მექანიკური ქარხანა. ამავე ხანებში დაიწყო მუშაობა თუჯის ნაკეთობათა ჩამომსხმელმა ქარხანამ და სხვ.

განსაკუთრებული ყურადღება მიექცა სამიმოსვლო გზების გაფართოებასა და გაუმჯობესებას, რამაც დიდი გავლენა მოახდინა ვაქრობის განვითარებაზე.

რუსული და ევროპული საქონლით დიდად დაინტერესდა ქართველი თავადაზნაურობა, რომელიც უანგარიშოდ მიექცა ფუქსავატურ ცხოვრებას. ამასთან, იგი იძულებული ხდებოდა ეშოვნა ფული, რასაც უმთავრესად სესხის აღების საშუალებით ახერხებდა. ამ გარემოებამ ხელი შეუწყო მევახშეობის კიდევ უფრო სწრაფად გავრცელებას.

40—50-იანი წლებისათვის მევახშეთა კლანჭებში მოექცნენ არა მარტო გლეხები და სხვა წვრილი მწარმოებლები, არამედ თავადაზნაურობაც. სავაზშო კაპიტალის გავლენა იმდენად გაიზარდა, რომ იშვიათად თუ მოიძებნებოდა ისეთი თავადი, რომელსაც მევახშე არ აწუხებდა.

ვორონცოვი, რომელიც ხედავდა, თუ როგორ მდგომარეობაში ჩააყენა თავადაზნაურობა ევროპული ცხოვრებით გატაცებამ და სავაზშო კაპიტალის გავლენამ, ცდილობდა დახმარება აღმოეჩინა მისთვის. ამ მიზნით, მან დააარსა ბანკი („პრიკაზი“), საიდანაც თავადაზნაურებს შეეძლოთ მიეღოთ სესხი. ამ გარემოებამ, მართალია, ფულის შოვნა გაუადვილა მაღალ წოდებას, მაგრამ გადახდის უნარი მას არ შესწევდა, რის გამო დაგირავებული მამულები ვალის დასაფარავად იყიდებოდა.

თავადაზნაურები ერთობლივ ჩიოდნენ ცუდი ეკონომიური მდგომარეობის გამო. თელავის მაზრის თავადნი და აზნაურნი საქვეყნოდ აცხადებდნენ: „არ არის შთელს კახეთში არც ერთი კეთილ-შობილის ოჯახი, რომ დატვირთული არ იყოს პრიკაზის ვალითა, ან გარეშე პირთაგან დიდი სარგებლით ნასესხები ფულითა. ეს სამძიმო მდგომარეობა წარმოდგა ამ საუკუნეში. სხვადასხვა გარემოებამ შეგვაიწროვა და ნამეტნავად სასამართლოებში ბრძოლამ ჩვენს ყმებთან, ანუ თუ ურთიერთთა შორის. ასე რომ არ არის ჩვენში არც ერთი გვარი, რომელსაც თავისი ყმა და მამული დიდის ტანჯვით და ხარჯით არ გამოეხსნას დავისაგანო“...

ცხადია, სავაზშო კაპიტალი შეუდარებლად მძიმე პირობებში აყენებდა გლეხობას, რომლის ხარჯზე თავის მდგომარეობა უნდა გამოესწორებია მებატონეებსაც. ნატურალურ ბეგარა-გამო-

საღებთა ფულზე გადაყვანა ხომ მძიმე ტვირთად დააწვა გლეხობას, რაც საუკეთესო პირობებს ქმნიდა მევახშეობისათვის.

შემოსავლის წყაროს მოკლებული შემამულეები საჯარო ვაჭრობით ჰყიდდნენ ყმებსა და მთელ მათ ქონებას.

ამგვარად, 40—50-იან წლებში, კიდევ უფრო გაუარესდა გლეხობის მდგომარეობა. იგი დიდად განიცდიდა სოციალური ჩაგვრის სიმძიმეს. აღნიშნულ პერიოდში საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ადგილი ჰქონდა გლეხთა მასობრივ გამოსვლებსა და აჯანყებებს. აჯანყებულნი მკაცრად უსწორდებოდნენ თავიანთ ბატონებს და აჯანყებები იღებდნენ კლასობრივი ბრძოლის ხასიათს.

მართალია, ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული კავკასიის მთიანეთის (დაღესტნის) დაპყრობა და მთელი წლების მანძილზე მკაცრი ბრძოლა წარმოებდა შამილის მომხრეთა და მეფის რუსეთის ჯარებს შორის, მაგრამ გლეხთა აჯანყებების ჩაქრობას მთავრობა შედარებით მაინც უფრო ადვილად ახერხებდა, ვინაიდან მას მხარს უმაგრებდა ადგილობრივი მალალი წოდებაც.

40—50-იანი წლები საქართველოში ხასიათდება ფეოდალური წყობილების რღვევითა და ბურჟუაზიული ურთიერთობის განვითარების დაწყებით. როგორც ვ. ი. ლენინი ამბობს, „რუსეთის კაპიტალიზმი კავკასიას ითრევდა საქონლის მსოფლიო ბრუნვაში, ანიველირებდა მის ადგილობრივ თავისებურებებს — ძველებური პატრიარქალური კარჩაკეტილობის ნაშთს, ჰქმნიდა ბაზარს თავისი ფაბრიკებისათვის“<sup>1</sup>.

## 2

საქართველოსა და რუსეთს შორის მტკიცე კავშირის დამყარების შემდეგ ქართული კულტურისა და ლიტერატურის მოღვაწენი ახლოს გაეცნენ რუსული და ევროპული ხელოვნებისა და ლიტერატურის მიღწევებს, ენერგიულად მოჰკიდეს ხელი ეროვნული კულტურისა და ლიტერატურის მრავალსაუკუნოვან ტრადიციასთან გამდიდრება-განვითარებას.

მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში საფუძველი ჩაეყარა ქართულ პერიოდულ გამოცემებს, გაფართოვდა ოფიციალურ და არაოფიციალურ სასწავლებელთა რიცხვი, სახელი მოიხვეჭეს მთელმა რიგმა სალონებმა, სადაც გაცხოველებული სჯა-ბაასი წარმოებდა ლიტერატურისა და კულტურის საკითხებზე, გახშირდა შინაურ საღამო-წარმოდგენების გამართვა, განვითარების ახალ გზას დაადგა ლიტერატურა.

<sup>1</sup> ვ. ი. ლენინი. ტ. 3, გვ. 704.



ცხადია, მეფის ხელისუფლება არ იყო დაინტერესებული ქართული კულტურისა და ლიტერატურის განვითარებით. მაგრამ, თავისი პოლიტიკიდან გამომდინარე, ცარიზმი ზოგჯერ იძულებული ხდებოდა დაეარსებინა საგანმანათლებლო დაწესებულებები, რომელთა მიზანი იყო ეროვნულ გრძნობებს მოკლებული მოხელეების აღზრდა.

საქართველოში სამუშაოდ მოვლინებული მეფის რუსეთის ბიუროკრატი მოხელეები ოფიციალურ მიმოწერებში ბევრს ლაპარაკობდნენ ხოლმე განათლების დაბალი დონის შესახებ საქართველოში. ამით მათ სურდათ დაერწმუნებიათ იმპერატორი იმ „მძიმე მისიაში“, რომელიც მათ ეკისრათ. სინამდვილეში კი სწავლა-განათლების საქმე საქართველოში ცუდად როდი იდგა მათ მოსვლამდეც. ქართველ ხალხს დიდი ხნით ადრე ჰქონდა სამეცნიერო მუშაობის ცენტრებიც—აკადემიების სახით, სურვილისა და შეძლების მქონე ქართველი ახალგაზრდები სწავლა-განათლებას ლებულობდნენ ოფიციალურ სასწავლებლებში, ოჯახებში — კერძო მასწავლებელთა საშუალებით და ეკლესია-მონასტრებში — სასულიერო პირთა ხელმძღვანელობით.

საქართველოში სწავლა-განათლების მაღალი დონის მაჩვენებელი იყო მრავალსაუკუნოვანი, მრავალფეროვანი და დიდად ორიგინალური ქართული ბწერლობაც.

მეფის რუსეთის მთავრობამ გვერდი აუარა სახალხო სკოლების გახსნას და 1802 წელს თბილისში დააარსა ორკლასიანი სასწავლებელი თავადაზნაურთა შვილებისათვის. მაგრამ სკოლა იმთავითვე დაიხურა, ვინაიდან სწავლება რუსულ ენაზე წარმოებდა, მოსწავლეებმა კი რუსული ენა არ იცოდნენ.

1804 წელს თბილისში დაარსდა კეთილშობილთა სასწავლებელი მაღალი წოდების ბავშვებისათვის. მაგრამ ძველი მაგალითით დაშინებული ახალგაზრდები ვეღარ მიიზიდა სასწავლებელმა, ამიტომ დაიწყო სასულიერო პირთა შვილების მიღებაც. კეთილშობილთა სასწავლებელში სწავლა წარმოებდა ქართულ და რუსულ ენებზე. საგნებს ჯერ ასწავლიდნენ ქართულად, ხოლო შემდეგ (იმავე საგნებს)—რუსულად.

იყო ცდები კეთილშობილთა სასწავლებელი გადაეკეთებიათ გიმნაზიად, მაგრამ არ ხერხდებოდა. სამაგიეროდ, 1819 წელს მას დაემატა მეხუთე კლასი და სასწავლო გეგმაში შევიდა სამხედრო დისციპლინები, რათა მოსწავლეები მოემზადებინათ სამხედრო სასწავლებელში გასაგზავნად.

1823 წელს სასწავლებელს დაემატა მეექვსე კლასი, ხოლო 1830 წელს იგი გადაკეთდა გიმნაზიად.

თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში სწავლობდა ბევრი შემდეგ გამოჩენილი მოღვაწე: გრ. ორბელიანი, ნ. ბარათაშვილი, გ. ერისთავი, მიხ. თუმანიშვილი და სხვები.

1817 წელს თბილისში დაარსდა აგრეთვე სასულიერო სემინარია.

თბილისის სასულიერო სემინარიასთან არსებობდა სასულიერო სასწავლებელიც. ასეთი სასწავლებლები საქართველოს სხვა ქალაქებშიც გაიხსნა. სასულიერო სასწავლებლებთან არსებობდა სამრევლო სკოლებიც. რომლებიც წარმოადგენდნენ მოსამზადებელ საფეხურს სასულიერო სასწავლებლებისათვის.

სასწავლებლებისათვის საკირო თანხებს მეფის მთავრობა ადგილობრივი შემოსავლიდან იღებდა და სახელმწიფო ბიუჯეტიდან არაფერს ხარჯავდა.

1830 წლიდან დაიწყო საერო სასწავლებლების გახსნა საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში. ამ სასწავლებლებში ლეზულობდნენ ყველა წოდების ბავშვებს, მაგრამ მათი რიცხვი მეტად შეზღუდული იყო. ამიტომ, კვლავ ინარჩუნებდნენ არსებობას საეკლესიო-სამონასტრო და საშინაო სკოლები.

მე-19 საუკუნის 20-იანი წლებიდან თბილისში არსებობდა სხვადასხვა ტიპის სამხედრო სასწავლებლებიც.

სწავლა-განათლების ხელმძღვანელობა საქართველოში მინდობილი ჰქონდა ხოლმე სხვადასხვა უწყებებს. კერძოდ, 40-იან წლებამდე კავკასიის სასწავლებლებზე ხელმძღვანელობას რუსეთის განათლების სამინისტრო ხარკოვის სასწავლო ოლქის საშუალებით ახორციელებდა.

1840 წელს კი შეიქმნა თანამდებობა ამიერკავკასიის სასწავლებელთა ინსპექტორისა.

ვორონცოვმა მოინდომა ცვლილებები შეეტანა განათლების სისტემის საქმეშიც. მან მიზნად დაისახა მიეღწია ერთგვარი დამოუკიდებლობისათვის კავკასიის სასწავლებელთა ხელმძღვანელობის საქმეში. 1848 წელს მან შეიმუშავა სპეციალური დებულება კავკასიის სასწავლო ოლქისა და მის ქვემდებარე სასწავლებელთა შესახებ. აღნიშნული დებულების შესაბამისად, მთავრობამ შექმნა — „კავკასიის სასწავლო ოლქი“, რომლის უფროსი (ე. წ. მზრუნველი) ფაქტიურად ვორონცოვის პოლიტიკის შესაბამისად მოქმედებდა.

ვორონცოვს უნდოდა მეტი ახალგაზრდობა მიეზიდა სკოლებში ადგილობრივ მკვიდრთაგან, რადგან იგი საჭიროდ თვლიდა მათგან მოემზადებინა საშუალო თანრიგის სემეურნეო, კომერციული, სამხედრო და ადმინისტრაციული კადრები და მოხელეები. ამასთან, ცდილობდა მათი გარკვეული ნაწილი მოემზადებინა რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში გასაგზავნად, რათა მათგან მიეღო მაღალი განათლების მქონე, მეფის ერთგული მოხელეები.

ვაჭართა წოდებიდან და დაბალი წრიდან გამოსულ ახალგაზრდობისათვის, ვორონცოვის შუამდგომლობით, გაიხსნა კომერციული გიმნაზია. მაგრამ დაბალი წოდების პირთა შეილება მოკლებული იყვნენ სერიოზული განათლების მიღების შესაძლებლობას, მით უმეტეს, რომ 1845 წლიდან კავკასიაშიც შემოღებულ იქნა სწავლის ჭირა.

50-იანი წლებისათვის, ადმინისტრაციული მართვა-გამგეობის აპარატის გაფართოებისა და მასში ადგილობრივ მკვიდრთა ჩაბმის შედეგად შექმნილი მოთხოვნების შესაბამისად, თანდათანობით გაფართოვდა სასკოლო ქსელიც. აღსანიშნავია, რომ ამ დროისათვის სკოლები იხსნებოდა არა მხოლოდ ქალაქებში, არამედ შორეულ კუთხეებშიც (აფხაზეთში, თიანეთში და სხვ.).

გარდა სახელმწიფო სასწავლებლებისა, არსებობდა აგრეთვე ერთკლასიანი სამრევლო სკოლები ეკლესია-მონასტრებთან. სამრევლო სკოლათა რიცხვი საკმაოდ დიდი იყო, მაგრამ ისინი მოსწავლეებს აძლევდნენ მეტად დაბალ ცოდნას.

სახელმწიფო სასწავლებლებში სწავლობდა მოსწავლეთა საერთო რიცხვის ნახევარზე ნაკლები. ამასთან, აღნიშნული სკოლები მისაწვდომი ხდებოდა მხოლოდ ქალაქში მცხოვრები მაღალი წოდების ბავშვებისათვის.

აღსანიშნავია, რომ არ არსებობდა არც ერთი სპეციალური სასწავლებელი პედაგოგიური კადრების მოსამზადებლად. და ეს იმიტომ, რომ მეფის მთავრობას აინტერესებდა არა სწავლა-განათლების მაღალ დონეზე აყვანა, არამედ თავისი მიზნებისათვის საჭირო მოხელეთა აღზრდა მხოლოდ.

სასწავლებლები ვერ აძლევდნენ მოსწავლე ახალგაზრდობას საჭირო სწავლა-განათლებას. სკოლებში დანერგილი იყო გაზეპირების მეთოდი, მოსწავლეებს აკრძალული ჰქონდათ წიგნების თავისუფლად კითხვა და წასაკითხად ეძლეოდათ მხოლოდ ოფიციალური სახელმძღვანელოები.

ნიკიერი მოსწავლეები, რომლებიც ექცეოდნენ პროგრესულად მოაზროვნე მოღვაწეების გავლენის ქვეშ, ახერხებდნენ თვითგანვითარების საშუალებით შეეძინათ ცოდნა; ჰქონდათ თავიანთი ლიტერატურული წრეები და ეწეოდნენ შემოქმედებითს მუშაობას. ამის მაგალითს წარმოადგენს თბილისის გიმნაზიის მოსწავლეთა ერთი ჯგუფის მიერ ხელნაწერი ჟურნალის — „ტფილისის გიმნაზიის ყვავილის“ გამოცემა 1835 წელს. ჟურნალის გამოცემაში მონაწილეობდნენ შემდეგ გამოჩენილი მოღვაწეები: ნ. ბარათაშვილი, მ. თუმანიშვილი, ლ. მელიქიშვილი და სხვები.

ასეთ წრეებში, ქართველი მოსწავლე ახალგაზრდობა სწავლობდა მშობლიურ ლიტერატურასა და ისტორიას, რასაც სასწავლებლებში არ ასწავლიდნენ და არც იმდროინდელ პერიოდულ პრესაში შექდებოდა.

\* \* \*

ბექდვითი სიტყვის განვითარებისათვის ჯერ კიდევ მე-18 საუკუნის ქართველი მოღვაწეები ზრუნავდნენ. 1709 წელს თბილისში უკვე გაიხსნა სტამბა. რამდენიმე წლით ადრე, 1705 წელს, არჩილ მეფის ინიციატივით მოსკოვში დაიწყო ქართული წიგნების ბეჭდვა. გაცილებით უფრო ადრე, 1629 წლიდან, ქართულ ენაზე წიგნები იბეჭდებოდა რომში (იტალია).

თბილისის სტამბაში, 1712 წელს, ვახტანგ მეექვსემ დაბეჭდა „ვეფხისტყაოსანი“. ვახტანგის ემიგრაციაში წასვლის შემდეგ ქართულმა სტამბამ ერთხანს შეწყვიტა მუშაობა, მაგრამ შემდეგ კვლავ იქნა აღდგენილი. სტამბის საქმეს დიდ ყურადღებას აქცევდა განსაკუთრებით ერეკლე მეორე, მაგრამ ალა-მაჰმად-ხანის ვერაგული თავდასხმის დროს თბილისის სტამბაც განადგურებულ იქნა და მისი აღდგენა 1800 წლამდე აღარ მოხერხდა.

მე-18 საუკუნის ქართველი მოღვაწეები, მიუხედავად იმისა, რომ კარგად იცნობდნენ რუსულ და უცხოურ პრესას, ქართულ ენაზე ჟურნალ-გაზეთების გამოცემას მაინც ვერ ახერხებდნენ. მართალია, მე-18 საუკუნის დასასრულს იოანე ბატონიშვილი რჩევას აძლევდა მამას — გიორგი მეთორმეტეს ზელი მოეკიდა გაზეთის ბეჭდვისათვის, მაგრამ ასეთი სურვილის განხორციელებისათვის მათ შესაძლებლობა აღარ მიეცათ.

მას შემდეგ, რაც ახალი მმართველობისათვის აუცილებელი გახდა ოფიციალური განკარგულებები გაეცნო ქართველი ხალხისათვის, საჭირო შეიქმნა ქართულ ენაზე ბექდვითი საქმის მოგვა-

რებაც. 1804 წელს კავკასიის ცალკე კორპუსთან უკვე გაიმართა კარგად მოწყობილი სტამბა.

1818 წლის დასასრულს ქართველ საზოგადოებას ოფიციალურად ეუწყა, რომ მომავალი წლიდან გამოვიდოდა ქართული გაზეთი. პირველი ქართული გაზეთი, — „საქართველოს გაზეთის“ სახელწოდებით, გამოვიდა 1819 წლის 8 მარტს. გაზეთის გამოცემას ხელმძღვანელობდა კავკასიის ცალკე კორპუსის შტაბი. გაზეთი ჯერ რუსულ ენაზე დგებოდა, ხოლო შემდეგ ითარგმნებოდა ქართულად. ეს გამოწვეული იყო საცენზურო კონტროლის მოგვარების საჭიროებით. „საქართველოს გაზეთი“ გამოდიოდა კვირაში ერთხელ (პარასკევობით).

„საქართველოს გაზეთს“ ჰქონდა ოფიციალური და არაოფიციალური ნაწილი. ოფიციალურ ნაწილში იბეჭდებოდა „უმადლესი ბრძანებები“ სამხედრო პირთა დაჯილდოებისა და გადაჯგუფების შესახებ (დანიშვნა, გადაყენება და სხვა). არაოფიციალურ ნაწილში, უმთავრესად, მოთავსებული იყო „უცხო ქვეყნის ამბავი“ და „სხვადასხვა ამბავი“, აგრეთვე საყურადღებო წერილები საქართველოს სოციალური ისტორიისა და პირველი სამამულო ომის შესახებ, რომელშიც ხაზგასმითაა ლაპარაკი დიდი რუსი ხალხის როლზე ნაპოლეონის დამარცხებისა და ევროპის ხსნის საქმეში. გაზეთში იბეჭდებოდა მხატვრული ნაწარმოებნიც (თარგმნილი).

1820 წლის მეორე ნახევრიდან „საქართველოს გაზეთს“ ეწოდა „ქართული გაზეთი“. სათაურის შეცვლა გამოიწვია რუსული სახელწოდების („Грузинская газета“) უფრო შესატყვისი თარგმნის გამოძებნამ. გაზეთის გამოშვება შეწყდა 1821 წლის ბოლოს, ხელისმომწერთა სიმციროს გამო.

„ქართული გაზეთის“ გამოცემის შეწყვეტის შემდეგ საკმაოდ რომ განგლო, ვიდრე ახალი პერიოდული ორგანო გამოიკემოდა. 1828 წლის 4 ივლისს გამოვიდა გაზეთ „ტფილისის უწყებანის“ პირველი ნომერი.

„ტფილისის უწყებანის“ დაარსებას ხელი შეუწყო 1826—1828 წწ. რუსეთ-ირანის ომით შექმნილმა მდგომარეობამ. მთავარმართველობამ საჭიროდ სცნო, ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, გამოეცა გაზეთი, რომელიც მკითხველს მიაწვდიდა ისეთ ახალ ამბებსა და ოფიციალურ ცნობებს, რომლებიც მთავრობის შეხედულებებს ეთანხმებოდა.

„ტფილისის უწყებანი“ ძირითადად წარმოადგენდა თბილისში გამომავალი რუსული გაზეთის („Тифлисские Ведомости“) ქართულ-

თარგმანს. გაზეთი გამოდიოდა კვირაში ერთხელ (სამშაბათობით). მისი გამოცემა შეწყდა 1832 წელს, თუმცა სისტემატურად არც მანამდე გამოდიოდა.

„ტფილისის უწყებანის“ მთავარი რედაქტორი იყო პ. სანკოვსკი, რომელიც ქართული გამოცემის ხელმძღვანელობას სოლომონ დოდაშვილის საშუალებით ახორციელებდა.

„ტფილისის უწყებანი“ უფრო ფართო პროგრამით გამოდიოდა, ვიდრე „ქართული გაზეთი“ და მეტი სიცოცხლეც ეტყობოდა. მასში იბეჭდებოდა მეტად საყურადღებო წერილები რუსეთ-საქართველოს მკვიდრო ურთიერთობის დადებითი შედეგების, ქართული ლიტერატურის, რუსეთ-ირანისა და რუსეთ-თურქეთის ომების, ევროპაში მომხდარ ამბებისა და სხვა საკითხების შესახებ.

„Тифлисские Ведомости“ იყო პირველი რუსული გაზეთი საქართველოში. მის გარშემო თავს იყრიდა ბევრი ცნობილი რუსი მოღვაწე.

ს. დოდაშვილის ინიციატივით „ტფილისის უწყებანის“ დამატებად 1832 წლიდან გამოვიდა ჟურნალი — „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“, — პირველი პერიოდული გამოცემა, რომელიც უშუალოდ ემსახურებოდა ქართული კულტურისა და ლიტერატურის აღმავლობის საქმეს.

„სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“ გამოდიოდა თვეში ორჯერ. თითოეული ნომერი შეიცავდა 24 გვერდს და ჰქონდა სხვადასხვა განყოფილება: პროზა, პოეზია, კრიტიკა, ლიტერატურის ისტორია, განცხადებები და სხვა.

ჟურნალის სულისჩამდგმელნი იყვნენ ს. დოდაშვილი და სხვა ქართველი მოღვაწენი, რომლებიც შეთქმულების აქტიური მონაწილენი იყვნენ. ამიტომაც, ჟურნალში მოთავსებულ მასალაში ადვილად შეინიშნება შეთქმულთა იდეები.

სოლომონ დოდაშვილს ჟურნალის ფურცლებზე ბრძოლა უხდებოდა ხოლმე საქართველოს ისტორიის დამამახინჯებელთა წინააღმდეგ და ქართული ენისა და ლიტერატურის ღირსების დასაცავად. ამ მხრივ საყურადღებოა მისი სტატიები: „მოკლე განხილვა ქართულისა ლიტერატურისა, ანუ სიტყვიერებისა“ და „საქართველოს უკანასკნელ მეფეთა დამარხვის წესები“.

ჟურნალში იბეჭდებოდა ქართველ მწერალთა ორიგინალური და თარგმნილი ნაწარმოებნი, რომლებსაც გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდათ ქართული ლიტერატურის განვითარებისათვის.

1832 წლის მარტში „ტფილისის უწყებანი“ და მისი სალიტერატურო ნაწილიც დაიხურა. გამოსვლა მოასწრო „სალიტერატურონი ნაწილის“ მხოლოდ ხუთმა ნომერმა. მიუხედავად ამისა, მან დიდი როლი შეასრულა ქართული ჟურნალისტიკის განვითარების საქმეში.

იმის გასათვალისწინებლად, თუ როგორ აფასებდნენ „Тифлисские Ведомости“-ს, რომლის ქართულ თარგმანსაც წარმოადგენდა „ტფილისის უწყებანი“, საკმარისია მოვიგონოთ ა. პუშკინის წერილი პ. სანკოვსკისადმი, რომელშიც ვკითხულობთ „...Я же обязан вам большой благодарностью за присылку Тифлисских Ведомостей — единственной из русских газет, которая имеет свое лицо и в которой встречаются статьи, представляющие действительный, в европейском смысле, интерес“<sup>1</sup>.

1832 წლიდან 1838 წლამდე საქართველოში არ გამოდიოდა გაზეთი არც რუსულ და არც ქართულ ენაზე. 1838 წლიდან რუსულ ენაზე გამოსვლა დაიწყო ყოველკვირეულმა გაზეთმა „ზაკავკასკი ვესტნიკმა“ („Закавказский Вестник“). მართალია, იყო ცდები: 1830 წ. გამოცაოთ ჟურნალი „Закавказский Вестник“ (რუსულ ენაზე), 1831 წ. — გაზეთი „Кавк. Обл. Ведом.“ (რუსულ, ქართულ და თათრულ ენებზე), 1834 წ. — გაზეთი „საქართველოს გუბერნიის უწყებანი“ (ქართულ ენაზე), 1838 წ. — ჟურნალი „აღმოსავლეთის ფუტკარი“ (ქართულ და სომხურ ენებზე), მაგრამ ინიციატორებმა შესაფერი ნებართვა ვერ მიიღეს.

1838, 1839, 1840 და 1841 წლებისათვის, ცნობილმა ქართველმა მოღვაწემ პლატონ იოსელიანმა გამოსცა ქართული კალენდარი, მაგრამ მისი გამოშვება შემდეგ შეწყდა.

ამგვარად, 40-იან წლებში ქართულ ენაზე არ გამოდიოდა არც ერთი პერიოდული ორგანო. 1845 წლიდან ქართულ ენაზე გამოსვლა დაიწყო „კავკასიის მხარეთა უწყებებმა“, რომელსაც ხელმძღვანელობდა პლ. იოსელიანი. „კავკასიის მხარეთა უწყებანი“ ძირითადად წარმოადგენდა ყოველკვირეული რუსული გაზეთის — „Закавказский Вестник“-ის თარგმანს.

1846 წელს თბილისში გამოსვლა დაიწყო რუსულმა ყოველკვირეულმა გაზეთმა „კავკაზმა“, რომელსაც შემდეგში შეუერთდა „ზაკავკასკი ვესტნიკი“. „კავკაზი“ შედარებით ფართო პროგრამით გამოდიოდა და უფრო მეტად ამართლებდა გაზეთის დანიშნულებას.

<sup>1</sup> А. С. Пушкин. Соч., т. XV, стр. 316.

40-იან წლებში ქართველი ინტელიგენციის ერთ ნაწილს უც-  
დია გამოეცა ყოველთვიური პოლიტიკურ-ლიტერატურული ჟურ-  
ნალი — „სინათლე“. მათ ნებართვა მიუღიათ და „განცხადებაც“  
გამოუქვეყნებიათ, მაგრამ თვითონ ჟურნალი აღარ გამოსულა. პე-  
ტერბურგში მოსწავლე ქართველ სტუდენტებსაც გადაუწყვეტიათ  
ჟურნალის („არე“) გამოცემა, მაგრამ ვერც მათ განუხორციელე-  
ბიათ მიზანი.

1851 წლის დასაწყისში გ. ერისთავმა, მეგობრების რჩევით  
და დაიმედებით, სთხოვა ვორონცოვს ეწუამდგომლა იმპერატორის  
წინაშე, რათა ნება დაერთო გამოეცა ქართული სალიტერატურო  
ჟურნალი, სახელწოდებით „ცისკარი“. 1851 წლის მარტში გ. ერის-  
თავმა უკვე მიიღო ჟურნალის გამოცემის ნებართვა და გამოაქვე-  
ყნა სპეციალური „განცხადება“ ჟურნალის შინაარსისა და ხელის  
მოწერის პირობების შესახებ. ჟურნალი 1851 წელსვე უნდა გამო-  
სულიყო, მაგრამ ხელისმომწერთა სიმცირის გამო გამოსვლა და-  
იკვიანა.

„ცისკარის“ პირველი ნომერი გამოვიდა 1852 წლის იანვარში.  
გ. ერისთავის რედაქტორობით ჟურნალი განოდითა სრული ორი  
წლის განმავლობაში (1852—1853 წწ.), იგი შედგებოდა ოთხი გან-  
ყოფილებისაგან: პოეზია, პროზა, სწავლა და ხელოვნება, სოფლუ-  
რი სახლის პატრონობა.

გ. ერისთავმა თავის ჟურნალს მიზნად დაუსახა ქართული  
მწერლობის გამოცოცხლება, ქართველ მწერალთა საუკეთესო თხზუ-  
ლებების გატანა ხალხში და მათი პოპულარიზაცია.

საკმარისია აღინიშნოს, რომ ამ ჟურნალის ფურცლებზე პირ-  
ველად დაიბეჭდა: თეიმურაზ პირველის, ვახტანგ მეექვსის, სულ-  
ხან ორბელიანის, დავით გურამიშვილის, ალ. ჭავჭავაძის, ნ. ბარა-  
თაშვილისა და სხვათა თხზულებანი, რომელთაგან ბევრი დღე-  
საც უცნობი იქნებოდა „ცისკარის“ ფურცლებს რომ არ შემოე-  
ნახათ.

გ. ერისთავის „ცისკარმა“ მკითხველს გააცნო რუს და ევრო-  
პელ მწერალთა ბევრი საყურადღებო ნაწარმოებიც.

გ. ერისთავის „ცისკარს“ არ ჰქონდა გარკვეული მიმართუ-  
ლება, უკეთ, მისი მიმართულება იყო ყოველი სახის ქართული  
თხზულების გამომზეურება, მაგრამ მაშინ სხვაგვარად შეუძლე-  
ბელიც იყო. მის უპირველეს მოვალეობას წარმოადგენდა ეჩვენე-  
ბინა რა გვექონდა, რათა უფრო ცხადი გაეხადა, თუ რა გვესაქი-  
როებოდა მომავალში.



გ. ერისთავის „ცისკარმა“ გაამართლა თავისი, სახელი. მან შუქი მოჰფინა დროებით წყვედიანით მოცულ სიტყვაკაზმული მწერლობის უკვდავ ნიმუშებს და ადვილად მისაწვდომი გახდა ისინი. მან 50-იანი წლების მოღვაწეებს აგრძნობინა, რომ ქართველ ხალხს ჰქონდა დიდი ლიტერატურული ტრადიცია, რომელიც ნიჭიერ განმგრძობთ ელოდებოდა.

„ცისკარს“ გამოსვლა მოუხდა მკაცრი ცენზურული ზედამხედველობის ქვეშ. გ. ერისთავს აკრძალული ჰქონდა ჟურნალში დაებეჭდა პოლიტიკური შინაარსის წერილები. ამ გარემოებამ კი თავიდანვე განსაზღვრა ჟურნალის ბედი.

1853 წლის დასასრულს ჟურნალის გამოსვლა შეწყდა.

1855 წლის ბოლოს ი. კერესელიძემ უფლება მიიღო განეგრძო ჟურნალ „ცისკარის“ გამოცემა, მაგრამ იმთავითვე მისი განახლება ვერ მოახერხა.

„ცისკარმა“, ი. კერესელიძის რედაქტორობით, გამოსვლა დაიწყო 1857 წლიდან და იარსება 1875 წლამდე.

„ცისკარი“ ი. კერესელიძის რედაქტორობით უფრო მაღალ საფეხურზე იდგა, ვიდრე გ. ერისთავის დროს. ეს გასაგებიც არის: ი. კერესელიძის „ცისკარში“ მოღვაწეობა დაიწყო სამოციანელებმა, რომლებმაც გამოაცოცხლეს ჟურნალი.

„ცისკარი“ 50-იან წლებში ერთადერთი ქართული პერიოდული ორგანო იყო, რომელიც ემსახურებოდა ქართული ლიტერატურისა და კულტურის აღმავლობას. მის ფურცლებზე დაიბეჭდა ბევრი საყურადღებო და ეპოქალური მნიშვნელობის თხზულება.

\* \* \*

ქართული კულტურის ისტორიაში დიდი მნიშვნელობის მოვლენა იყო ქართული თეატრის აღდგენა გასული საუკუნის 50-იან წლებში.

თეატრის არსებობას საქართველოში შორეული ისტორია აქვს. მოღწეული ისტორიული ცნობები მოწმობენ, რომ საქართველოში თეატრი ძველი დროიდანვე არსებობდა.

1795 წელს, ალა-მაჰმად-ხანის ვერაგული თავდასხმის დროს, განადგურდა ქართული თეატრი და დაიღუპა თეატრალური საქმით დაინტერესებული ბევრი მოღვაწეც, რის გამო წარმოდგენების გამართვა შეწყდა. მე-19 საუკუნის 50-იან წლებამდე ქართული თეატრის აღდგენა აღარ მოხერხდა, თუმცა ბევრი ქართველი მოღვაწე აქტიურ მონაწილეობას იღებდა შინაური საღამო-წარმო-

დგენების მოწყობაში, რაც არცთუ იშვიათი მოვლენა იყო მეცხრამეტე საუკუნის დამდეგიდანვე.

1845 წელს, ვორონცოვის ჩამოსვლის რამდენიმე თვის შემდეგ, თბილისში გაიხსნა რუსული თეატრი, რომელმაც მიიზიდა ფართო მაყურებელი და მოწონება დაიმსახურა. ვორონცოვმა მოახერხა რუსეთიდან მოეწვია სცენის გამოჩენილი მოღვაწეები, რამაც კიდევ უფრო ნეტი ავტორიტეტი მოუპოვა თბილისის რუსულ თეატრს.

მაგრამ მარტო რუსულ თეატრს არ შეეძლო დაეკმაყოფილებინა ადგილობრივ მცხოვრებთა სურვილები და ინტერესები. ქართველ მოღვაწეებს უნდოდათ დაეარსებინათ ქართული თეატრი, რომლის სცენა მშობლიურ ენაზე ამეტყველებოდა და ყველასათვის გასაგები და მისაწვდომი იქნებოდა.

ქართველმა მოღვაწეებმა, რომლებსაც კარგად ესმოდათ ვორონცოვის ლოიალური დამოკიდებულების მიზანი, გადაწყვიტეს ესარგებლათ მით და ეთხოვათ მეფისნაცვლისათვის შემწეობა ქართული თეატრის დაარსებაში. ამ საქმეზე ვორონცოვთან მოლაპარაკება დაავალეს მანანა ორბელიანს, რომლის სალონის ხშირი სტუმარიც იყო ვორონცოვი; შეარჩიეს თეატრის ხელმძღვანელის კანდიდატურაც — გ. ერისთავი, რომლის პიესების შესახებ მანანას დაწვრილებით უნდა ეამბნა ვორონცოვისათვის.

მოლაპარაკება წარმატებით დამთავრდა. ვორონცოვმა სიამოვნებით მოისმინა თხოვნა და გ. ერისთავი თავისთან დაიბარა. მან გ. ერისთავს დაავალა წარმოსადგენად მოემზადებინა კომედია „გაყრა“ და საჭირო დახმარებაც აღმოუჩინა.

გ. ერისთავმა, რომელსაც წილად ხვდა საქმედ ექცია ქართველი ხალხის დიდი ხნის ოცნება, სათანადო მონდომებით მოჰკიდა ხელი წარმოდგენის მომზადებას. 1850 წლის 2/14 იანვარს — თბილისის გიმნაზიის შენობაში წარმოდგენილ იქნა „გაყრა“. წარმოდგენამ ნათელყო, რომ ქართველებს აქვთ ორიგინალური დრამატურგია, ჰყავთ ნიჭიერი მსახიობები და რეჟისორი. „გაყრას“ მოჰყვა სხვა პიესების წარმოდგენაც. გ. ერისთავმა, რომელიც ვორონცოვმა თავისთან დანიშნა საგანგებო დავალებათა უმცროს მოხელედ, შეადგინა მუდმივი დასი და გაწვრთნა ის. 1850 — 1854 წლებში, გ. ერისთავის ხელმძღვანელობით, წარმატებით მთავრდებოდა ყოველი თეატრალური სეზონი. თეატრს ჰყავდა არა მარტო მსახიობები, არამედ ნიჭიერი დრამა-

ტურგებიც (ზ. ანტონოვი, გ. ჯაფარიძე, გ. დვანაძე, ი. კერესელიძე და სხვ.).

მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა ქართული თეატრი ევრონ-ცოვის თბილისიდან წასვლის შემდეგ (1854 წ.). 1854—1855 წლის სეზონის დასაწყისშივე აშკარა გახდა, რომ ქართული თეატრის არსებობით მეფის რუსეთის მოხელეები არათუ დაინტერესებულნი არ იყვნენ, არამედ ცდილობდნენ აეძულებინათ თეატრის ხელმძღვანელები ხელი აეღოთ თეატრის მუშაობის განგრძობაზე. ქართული თეატრის აღმდგენელი და ხელმძღვანელი გ. ერისთავი 1854 წლის ნოემბერში, მრავალგზის შევიწროებისა და შეურაცხყოფის შემდეგ, იძულებული გახდა თეატრისათვის თავი გაენებებინა და სოფელში გადასახლებულიყო.

გ. ერისთავის შემდეგ თეატრს ხელმძღვანელობდა ჯერ ზურაბ ანტონოვი, ხოლო შემდეგ ივანე კერესელიძე, მაგრამ თეატრის საქმე სულ უარესდებოდა. ქართულ თეატრს ბინა არ გააჩნდა, მსახიობებს ხელფასს არ აძლევდნენ. 1856 წელს ქართულმა თეატრმა არსებობა შეწყვიტა. მართალია, წარმოდგენები შემდეგაც იმართებოდა, მაგრამ არაოფიციალურად, ვიდრე 1879 წელს კვლავ არ განახლდა მუდმივი ქართული თეატრი.

მიუხედავად იმისა, რომ ქართული თეატრი მხოლოდ რამდენიმე წელს არსებობდა, მან დიდი როლი შეასრულა თეატრალური ხელოვნებისა და საერთოდ ქართული კულტურის განვითარების საქმეში. პატრიოტული გრძნობით გამსჭვალულმა ახალგაზრდა თეატრალურმა კოლექტივმა მტკიცე საფუძველი ჩაუყარა ქართულ რეალისტურ თეატრს, რომელმაც გამოიმუშავა თავისი სტილი, პასუხი გასცა თანამედროვე ცხოვრების მოთხოვნებს და შექმნა მდიდარი რეპერტუარი ორიგინალური პიესების ხარჯზე, რაც ერთ-ერთი აუცილებელი პირობა იყო პროფესიული თეატრის არსებობისათვის.

ქართული თეატრალური კულტურის იმთავითვე მაღალ დონეზე დაყენების საქმეში გარკვეული როლი შეასრულა თბილისის რუსულმა თეატრმაც, რომელსაც ჰყავდა სახელმძღვანელო აქტიორები.

საყურადღებო მოვლენა იყო 1851 წელს, თბილისში, იტალიური ოპერის დაარსებაც. როგორც ცნობილია, ოპერის თეატრს ჰყავდა იტალიიდან ჩამოსული ძლიერი კოლექტივი. ამიტომ, მან იმთავითვე დიდი ინტერესი გამოიწვია თბილისის მსახურებლებში.

მაგრამ საგანგებოდ უნდა გავსვას ხაზი იმ გარემოებას, რომ ქართულ პროფესიულ თეატრს, რომელსაც გ. ერისთავი ხელ-

მძღვანელობდა, თავისი საკუთარი გზა და მიზანი ჰქონდა; ეს მიზანი იყო იმდროინდელი საქართველოს სოციალური სახის მხატვრულად ჩვენება. ამ თეატრის მთავარი ღირსებაც მის რეალისტურ მიმართულებაში მდგომარეობდა.

\* \* \*

ქართული საზოგადოებრივი აზრის განვითარების საქმეში, გასული საუკუნის პირველ ნახევარში, მეტად მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ლიტერატურული წრეების შექმნის პრაქტიკამ და ცალკეულ სალონებში საზოგადოებრივი მნიშვნელობის საკითხებზე სჯაბაასის ტრადიციის დამკვიდრებამ. ქართული პრესის სიმცირისა და სიღარიბის გამო, ქართული კულტურისა და მწერლობის წარმომადგენლები თავიანთ შეხედულებებს ერთმანეთს უზიარებდნენ შინაურ შეკრება-საღამოებზე.

ნ. ბარათაშვილის ახლო მეგობარი კ. მამაცაშვილი, იგონებს რა 40-იანი წლების საზოგადოებრივ ცხოვრებას, ამბობს: „იმ დროს თბილისში არაფერი გასართობი აღვილი არ გვექონდა. არც კონცერტები, არც კლუბები. ჩვენი დროის გატარება იყო ან ერთად სადილი, ან ერთად საღამოზე ყრილობა. ხშირად შევიყრებოდით ხოლმე ახალგაზრდა ამხანაგები ხან ნიკოლოზ ბარათაშვილთან, ხან ლევან ივანეს ძე მელიქიშვილთან, ხან სადილად გარეთ უბნის ბაღებში. ჩვენი დროის გატარება იყო: ლაპარაკი მაშინდელს ლიტერატურაზე, სწავლაზე, სხვადასხვა ჩვენს გარემოებაზე“.

ასეთ შეკრებებზე ჩვენი სახელოვანი მწერლები კითხულობდნენ თავიანთ ნაწერებს. აქ აძლევდნენ მათ შეფასებას და აქედან იწყებოდა მათი გავრცელება.

30—40-იან წლებში დიდი სახელი მოიხვეჭა ალექსანდრე ქავქავაძის, რომან ბაგრატიონისა და მანანა ორბელიანის სალონებმა, სადაც ქართველ მოღვაწეების გარდა თავს იყრიდნენ რუსი და უცხოელი მოღვაწენი, რომლებსაც სხვადასხვა მიზეზების გამო თბილისში ცხოვრება უხდებოდათ. ნ. ბარათაშვილის ბინაზე ს. დოდაშვილს დაჰყავდა პროგრესულად მოაზროვნე პოლონელი მოღვაწეებიც, რომლებიც იძულებით იყვნენ გამოგზავნილნი საქართველოში. ქართველ მოღვაწეებს უხდებოდათ მათთან საუბარი და აზრთა გაცვლა-გამოცვლა, რასაც სასარგებლო შედეგი მოჰქონდა.

ს. დოდაშვილის ლიტერატურული წრის კარგი მუშაობის შედეგი იყო ის, რომ „ტფილისის უწყებანს“ გაუჩნდა სალიტერა-

ტურო ნაწილი. ფართოდ იყო ცნობილი აგრეთვე ნ. ბარათაშვილის და ვ. ორბელიანის ლიტერატურული წრეებიც.

მანანა ორბელიანის სალონში გადაწყდა ქართული თეატრისა და ჟურნალ „ცისკრის“ დაარსების საკითხი, რაც სისრულეში იქნა მოყვანილი.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ალექსანდრე ქავჭავაძის სალონი. ამ სალონში წაიკითხა ნიკოლოზ ბარათაშვილმა პირველად „ბედი ქართლისა“, ამ სალონის ხშირი სტუმრები იყვნენ გრ. ორბელიანი, ვ. ორბელიანი, გ. ერისთავი და სხვები, რომლებიც მშობლიური ლიტერატურის აღმავლობის საქმეს ემსახურებოდნენ. ეს სალონი ყოველთვის ტკბილ მოგონებებს იწვევდა თბილისში სტუმრად ნამყოფ რუს და ევროპელ მოღვაწეებშიც. ბევრი პროეტის მუზას მოსტაცა ხოტბის სიტყვები ალ. ქავჭავაძის სალონში განცდილმა სიამოვნებამ. ამ ბრწყინვალე სალონში არა ერთხელ ანთებულა ალ. გრიბოედოვის პროეტური შთაგონებაც.

\* \* \*

მეცხრამეტე საუკუნის დამდეგიდან, როცა საქართველოსა და რუსეთს შორის მჭიდრო კავშირი დამყარდა, გაძლიერდა და განმტკიცდა რუს ხალხთან კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობა, რომელსაც უკვე თავისი ისტორია ჰქონდა. მას საფუძველი ჩაეყარა ჯერ კიდევ XI—XII საუკუნეში. ამის მაჩვენებელია მოთხრობა „Варлаам и Иосаф“, რომელიც უშუალო კავშირშია სასულიერო რომანთან — „სიბრძნე ბლავარისა“.

საგულისხმოა, რომ ეს კავშირი მხოლოდ ლიტერატურული ფაქტებით არ ამოიწურება. რუსული კულტურის ისტორიკოსების თქმით, „Позволительно думать, что именно через соседившуюся Тьмутаракань и часть Грузии—Абхазию—шло то интенсивное влияние грузинского искусства, следы которого предположительно устанавливаются в архитектуре Киева и Чернигова, в живописи Новгорода, в орнаменте некоторых рукописей. Время существования русского княжества в Тьмутаракани совпадает с расцветом строительного искусства в Грузии и Армении (XI—XII века)“<sup>1</sup>.

ეს ურთიერთობა, მართალია, გაწყდა საქართველოში მონღოლთა ბატონობის პერიოდში, მაგრამ მეთექვსმეტე საუკუნიდან

<sup>1</sup> „История русской литературы“, изд. АН ССР, т. 1. стр. 16.

კვლავ და მეტი სიძლიერით იწყებს აღდგენას, და ეს იმის გამოც, რომ ამ დროიდან არა მარტო კულტურული, არამედ პოლიტიკური ურთიერთდაკავშირების ცდებთანაც გვაქვს საქმე. ჯერ კიდევ ნ. ნ. კარამზინი შენიშნავდა, რომ „Нет сомнения, что Россия издревле паходила в связи с единой Грузией: Изяслав I, как известно, был женат на княжне Абассинской, а сын Андрея Боголюбского был супругом славной грузинской царицы, Тамари. Сия связь, прерванная нашествием Батыевым, возобновилась: послы князя Иверского, Александра, именем Нариман и Хоземарум, в 1492 году приехали к Иоанну, требовать его покровительства“.

რუსეთ-საქართველოს კულტურული ურთიერთდაახლოების შედეგია XVI საუკ. დამდეგის საინტერესო ლიტერატურული ძეგლი — „თქმულება დინარას შესახებ“. აღნიშნულ ძეგლს საფუძვლად უდევს ქართული ზეპირი და წერილობითი ცნობები თამარ დედოფლის შესახებ. საინტერესოა ის გარემოებაც, რომ ნაწარმოების ავტორს კარგად აქვს შეგნებული თავისი დროის (ივანე მრისხანეს მეფობის ხანა) სახელმწიფოებრივი ინტერესები, რომელთა გათვალისწინებითაც მოგვითხრობს დინარას პატრიოტულ თავგადასავალს.

XVIII საუკუნიდან დაწყებული კი ქვეყანისა და, კერძოდ, საქართველოს თემა რუსული პოეზიის ერთ-ერთი საინტერესო თემათაგანი გახდა. ამ მხრივ საყურადღებოა ლომონოსოვის, ბოგდანოვიჩის, ვ. მაიკოვის, ვ. პეტროვის, ი. დმიტრიევის, ხერასკოვისა და სხვათა ცალკეული ნაწარმოებნი. მაგრამ საქართველოს ცხოვრების ნამდვილი ცოდნის შედეგად დაწერილ ნაწარმოებთა პირველ ავტორად მაინც ა. რადიშიევი ჩანს. მისი „Песнь историческая“ და დაუმთავრებელი პოემა „Боян“ ამის თქმის შესაძლებლობას იძლევა.

თუ ცარიზმი და მისი მოხელეები მთელი სისასტიკით უსწორდებოდნენ დაპყრობილი ქვეყნების მცხოვრებლებს, აბუჩად იგდებდნენ მათ კულტურას, ზნე-ჩვეულებებს, ენასა და სხვა, სამაგიეროდ, პროგრესულად მოაზროვნე რუსი ადამიანები მეგობრულ ხელს უწვდიდნენ ჩაგრულ ერებს, მათთან ერთად იბრძოდნენ მეფის მთავრობის წინააღმდეგ.

მეფის მთავრობა პოლიტიკურად მოწინააღმდეგე ადამიანებს რუსეთიდან ასახლებდა ქვეყანიაში, რომელსაც „სამხრეთ ციმბირს“ უწოდებდა.

საქართველოში გადმოსახლებული პროგრესულად მოაზროვნე რუსი ინტელიგენცია მკიდროდ დაუკავშირდა ქართველ მოწინავე საზოგადოებას და რუს და ქართველ მოღვაწეთა მეგობრობა თანდათან განმტკიცდა, რამაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქართული პროგრესული აზროვნების, კერძოდ კი — ლიტერატურის განვითარების საქმეში.

თავის მხრივ, კავკასიისა და, კერძოდ, საქართველოს ცხოვრებისა და თვალწარმტაცი ბუნების გაცნობამ რუს მწერალთა შორის ახალი შემოქმედებითი აღმავლობა გამოიწვია. ა. გრიბოედოვის, ა. პუშკინის, მ. ლერმონტოვის და სხვათა ბევრი საუკეთესო პოეტური ნაწარმოები კავკასიის ხალხთა ცხოვრებისა და მომხიბვლელი ბუნების ახლო გაცნობის შედეგად შეიქმნა. დიდი რუსი კრიტიკოსი ბ. გ. ბელინსკი ამბობდა: „უცნაური რამაა! კავკასია თითქოს მოწოდებული იყო გამხდარიყო ჩვენი პოეტური ტალანტების აკვნად, მათი მუზის შთამაგონებლად და გამომბრძნებლად, მათ პოეტურ სამშობლოდ! პუშკინმა კავკასიას მიუძღვნა ერთ-ერთი თავისი პოემა — „კავკასიის ტყვე“, და კავკასიისადმი არის აგრეთვე მიძღვნილი მისი ერთ-ერთი უკანასკნელი პოემა — „გალუბი“; მისი რამდენიმე შესანიშნავი ლირიკული ლექსი ასევე კავკასიას მიეკუთვნება. გრიბოედოვმა კავკასიაში შექმნა თავისი „ვაი ჭკუისაგან“, ამ ქვეყნის ველურმა და დიადმა ბუნებამ, მის შვილთა მშფოთვარე ცხოვრებამ და მკაცრმა პოეზიამ აღაგზნო მისი შეურაცხყოფილი ადამიანური გრძნობა, რათა აესახა ფამუსოვების, სკალოზუბების, ზაგორე(კეების, ხლესტოვების, ტუგოუხოვების, რეპეტილოვების, მოლჩალინების — ადამიანური ბუნების იმ კარიკატურათა აპატიური, არარაობითი წრე... და აი გამოჩნდა ახალი დიდი ტალანტი [ლერმონტოვი] — და კავკასია ხდება მის პოეტურ სამშობლოდ, რომელიც მას მგზნებარედ უყვარს“<sup>1</sup>.

საქართველოში, XIX საუკუნის პირველ ნახევარში, სხვადასხვა დროს და სხვადასხვა მიზეზით ცხოვრება და სამსახური მოუხდათ გამოჩენილ რუს მწერლებს და მოღვაწეებს: ვ. ტ. ნარეჟნის, ა. პუშკინს, ა. გრიბოედოვს, მ. ლერმონტოვს, დ. დავიდოვს, ა. შიშკოვს, ვ. კიუხელბეკერს, მუსინ-პუშკინს, ა. ბესტუჟევ-მარლინსკის, ნ. რაევსკის, ა. ოდოევსკის, ი. პოლონსკის და სხვებს; ბევრი მათგანი დეკაბრისტი იყო (ვ. კიუხელბეკერი, ა. ბესტუჟევ-მარლინსკი, ნ. რაევსკი, ა. ოდოევსკი).

ქართველი ხალხის მოწინავე ნაწილი, იბრძოდა რა ცარიზმის

<sup>1</sup> „რუსი მწერლები საქართველოს შესახებ“, 1949 წ., ტ. I, გვ. 252.

წინააღმდეგ, მკიდროდ დაუკავშირდა გამოჩენილ რუს მოღვაწეებს, რომლებიც თანაუგრძნობდნენ ქართველ ხალხს კოლონიური და ბატონყმური ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ვ. ტ. ნარეჟნი, რომელიც მსახურობდა საქართველოს სამოქალაქო საქმეთა მმართველის — კოვალენსკის კანცელარიაში (1801—1803 წწ.), საკუთარი თვალთ ხედავდა იმ ბოროტმოქმედებას, რასაც ადგილობრივი მემამულეები სჩადიოდნენ. ამ გარემოებამ მას საბაბი მისცა დაეწერა რომანი — „შავბნელი წელი ანუ მთიელი თავადები“ („Черный год или горские князья“), რომელიც თავისი სატირულ-რეალისტური შინაარსით გარკვეულ ადგილს იკავებს იმ დროის რუსულ ლიტერატურაში.

ვ. ტ. ნარეჟნი კიცხავს როგორც რუსეთის ტლანქ მოხელეთა საქმიანობას, ისე ადგილობრივ მემამულეებს, რომლებიც შეერთებული ძალით ჩაგრავენ გლეხობას.

ქართველი ხალხის ცხოვრებას (1812 წლის კახეთის აჯანყებას) უძღვნა თავისი რომანი ა. შიშკოვმა<sup>1</sup>, რომელიც 1818 წელს გადმოასახლეს საქართველოში. რომანში ა. შიშკოვი აღწერს ქართველი გლეხობის მძიმე მდგომარეობას მემამულეებისა და მეფის რუსეთის მოხელეთა უღლის ქვეშ.

20-იანი წლებიდან თბილისის ხშირი სტუმარი გახდა ა. გრიბოედოვი, რომელსაც მუშაობა უხდებოდა მთავარმართველების — ერმოლოვისა და პასკევიჩის დროს. ა. გრიბოედოვმა თბილისში დაასრულა თავისი უკვდავი კომედია „ვაი ჭკუისაგან“, რომელიც პირველად თბილისის საზოგადოებამ გაიცნო და წარმოადგინეს კიდევაც.

საქართველოსა და ქართველი ხალხის უშუალო გაცნობის შედეგადაა დაწერილი მისი ლექსი „Там, где вьется Алазань“, პოემა — „Кальяичи“, დრამები — „Грузинская ночь“ და „Радомисть и Зенобия“. ნიჭიერმა მწერალმა კარგად ასახა ის კონტრასტი, რომელიც საქართველოს მშვენიერ ბუნებასა და ქართველი ხალხის ცხოვრების მძიმე პირობებს შორის არსებობდა. მან ნათლად წარმოადგინა ბატონყმური საქართველოს სოციალური სახე და გამოავლინა თავისი თანაგრძნობა სოციალური და კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ მებრძოლი ხალხისადმი. ა. გრიბოედოვი შემდეგ გახდა ალ. ჭავჭავაძის სიძე. ცოლად შეირთო სილამაზითა და სულიერი სიმდიდრით განთქმული ნინო ჭავჭავაძე.

<sup>1</sup> См. В. Шадурн. Друг Пушкина А. А. Шишков и его роман о Грузии, 1951 г.



ა. გრიბოედოვისათვის საქართველო გახდა მეორე სამშობლოდ იგი გულწრფელად ზრუნავდა მისი უკეთესი მომავლისათვის. 1827 წელს მან შეადგინა „Записки о лучших способах вновь построить город Тифлис“, ხოლო 1828 წელს შეიმუშავა პროექტი ანციერკავკასიის ეკონომიური გარდაქმნის მიზნით. მის სახელთანაა დაკავშირებული გაზ. „Тифлисские Ведомости“-ს და „კომერციული ბანკის“ დაარსება. ამიტომ იყო, რომ ა. გრიბოედოვი იმთავითვე გახდა ქართველი ხალხის საყვარელი მწერალი. პ. სანკოვსკი სრულიად სამართლიანად შენიშნავდა: „Грибоедов ... был истинно любим и уважаем, во всей силе сих слов, целым городом, или лучше сказать, целым краем“<sup>1</sup>.

ამავე ხანებში (1821 წ.), თბილისში ჩამოდის და სამსახურს იწყებს ვ. კიუხელბეკერიც, რომელიც გრიბოედოვის მეგობარი იყო და მასთან ერთად ხშირად დადიოდა ალ. ჭავჭავაძის ოჯახში. ვ. კიუხელბეკერმა თავის პოეზიაში დიდი ადგილი დაუთმო კავკასიის თემატიკას.

საქართველოს ბუნებამ და თბილისის საზოგადოებამ ვ. კიუხელბეკერზე წარუშლელი შთაბეჭდილება დასტოვა. მისი თქმით, „В Грузии небо ничуть не хуже итальянского; а гранатовые роши, сто верст южнее Тифлиса, стоят здешних (итальянских) лимоновых и померанцевых“.

ხოლო შემდეგ, ციმბირის გადასახლებაში მყოფი ვ. კიუხელბეკერი კვლავ ოცნებობდა საქართველოზე და მასზე მოგონებით კმაყოფილი ამბობდა: „Опять я гость твой, Гурджистан прекрасный“.

30-იანი წლებისათვის თბილისში თავი მოიყარა პროგრესულად მოაზროვნე ბევრმა რუსმა მოღვაწემ, რომელთა შორის დეკაბრისტები ან მათი თანამგრძნობი ადამიანები იყვნენ. მიუხედავად გაძლიერებული მეთვალყურეობისა, ისინი ერთმანეთთან იკრიბებოდნენ და მსჯელობდნენ მათთვის საინტერესო საკითხებზე.

დეკაბრისტი ა. ს. განგებლოვი იგონებს: „В зиму 1830 года случилось, что несколько декабристов... проживали в Тифлисе под разными законными и незаконными предлогами. В ту пору А. А. Бестужев только-что выздоровел от опасной и продолжительной болезни... С Бестужевым жили и его братья Петр и Павел. Кроме них проживали в Тифлисе Пушкин, Оржиц-

<sup>1</sup> Газ. „Тифлисские Ведомости“, 1829 г., № 29.

кий Епифродит, Степан Мусин-Пушкин (моряк), граф Мусин-Пушкин, Нил Павл. Кожевников..., Вышиневский... и еще кое-кто...

Мы сходились по вечерам то у того, то у другого, всего чаще у меня, иногда по два и более раз в неделю... Вечера эти были подобны «вторникам» Искрицкого в Петербурге<sup>1</sup>.

ასეთ შეხვედრებს, როგორც ჩანს, ისინი აწყობდნენ ცნობილ ქართველ მოღვაწეთა ბინებშიც, კერძოდ ალ. ქავჭავაძესთან. როგორც ტორნაუ იგონებს, „Каждый день с утра собирались к ним родственники и родственницы грузинские, потом начинали приходить русские, один за другим, как кто освобождался только от службы...“

К числу лиц, разнообразивших интерес нашего круга, бесспорно принадлежали многие из помилованных декабристов, отбывавших на Кавказе последние годы своего отчуждения от родины<sup>2</sup>.

1829 წელს საქართველოში ჩამოვიდა დიდი რუსი პოეტი ა. ს. პუშკინი, რომელსაც მოუთმენლად ელოდნენ მისი ძმა ლევ სერგის ძე, მეგობარი დეკაბრისტები და ქართველი საზოგადოება. პუშკინი თბილისში ორი კვირა დარჩა და, როგორც თვითონ აღნიშნავს, კარგად გაიცნო აქაური საზოგადოება. სახელოვან პოეტს დიდი სიხარულით შეხვდნენ საქართველოში. იგი იყო სტუმრად ალ. ყაზბეგის მამასთან — მიხეილთან (ყაზბეგში), პეტერბურგელ მეგობართან — ბორის კილაშვილთან და სხვ. პუშკინი გაიტაცა ქართული სიმღერების სინარნარემ და თავის უბის წიგნაკში ჩაიწერა დიბ. თუმანიშვილის ლექსი „ახალ აღნაგო“ („Ахал агнаго“). კმაყოფილი პოეტი წერდა: „В любезном и веселом обществе, несколько вечеров провел... в садах при звуке музыки и песен грузинских“. მისი თქმით, „Грузины народ воинственный. Они доказали свою храбрость под нашими знаменами. Их умственные способности ожидают большей образованности“. ამასთან, პუშკინი უკმაყოფილო იყო იმით, რომ საქართველო ბევრი უბედურების მოწმე გახდა: „Счастливый климат Грузии, — წერს ის, — не вознаграждает сию прекрасную страну за все бедствия, вечно ею претерпеваемые“.

<sup>1</sup> „Воспоминания декабриста А. С. Гангеблова“, 1888 г. стр. 202—203.

<sup>2</sup> „Русский Вестник“, 1869 г., т. 80, стр. 698—701.

ა. პუშკინის შემოქმედებაში საქართველოსა და კავკასიის თე-  
მამ საპატიო ადგილი დაიჭირა. მისი ბევრი ნაწარმოები საქართვე-  
ლოში მიღებული შთაბეჭდილებით დაიწერა.

თბილისში ყოფნისას ა. პუშკინი ძალიან დაახლოებია გაზეთ  
„Тифлисские Ведомости“-ს რედაქტორს — პ. სანკოვსკის, რო-  
მელსაც დაჰპირებია მიეწოდებინა თავისი ახალი ლექსები აღმა-  
ნახში გამოსაქვეყნებლად. ამის გამოა, რომ ა. პუშკინი პ. სან-  
კოვსკის 1833 წლის 3 იანვარს წერდა: „Я так виноват перед  
вами... что мне совестно вам писать. Г-н Казасси доста-  
вил мне очень любезное письмо от вас; вы в нем просили  
у меня стихов для альманаха, который намеревались выпу-  
стить к этому году. Я задержал свой ответ по весьма уважи-  
тельной причине: мне нечего было вам послать...“

Я поручил Ширяеву доставить вам все напечатанное  
мною по возвращении из Тифлиса... Я же обязан вам боль-  
шой благодарностью за присылку Тифлиских Ведомостей —  
единственной из русских газет, которая имеет свое лицо<sup>1</sup>...

1837 წელს ციმბირიდან საქართველოში გადმოიყვანეს ა. გრი-  
ბოედოვის მეგობარი, ცნობილი დეკაბრისტი პოეტი ა. ოდოევსკი,  
რომელიც ახლო დაუმეგობრდა ქართველ მოღვაწეებს და, კერძოდ,  
აღ. ქავჭავაძეს. ა. ოდოევსკიმ კარგად გაიცნო საქართველოს ცხო-  
ვრება და ქართული ლიტერატურა. ქართული პოეზიის გავლენით  
მან დაწერა ლექსი — „ვარდი და ბულბული“ და ალეგორიული  
ლექსი — „შავთვალეზა ქალწული“.

1837 წელს საქართველოში ჩამოვიდა მ. ლერმონტოვიც, რო-  
მელიც დაუმეგობრდა ა. ოდოევსკის და დაუახლოვდა ქართულ  
საზოგადოებას. ამ მგზავრობის შედეგი იყო „კავკასიური ნაწა-  
რმოებები“. ბ. ბელინსკის თქმით: „После Пушкина никто так  
поэтически не облагородил Кавказ за дивные впечатления  
его девственно—величавой природы, как Лермонтов“.

საქართველოსა და ქართველი ხალხის ცხოვრების უშუალო  
გაცნობამ უდიდესი როლი შეასრულა იაკობ პოლონსკის პოე-  
ტური ზრდის საქმეშიც.

სრულიად ახალგაზრდა ი. პოლონსკი თბილისში ჩამოვიდა  
1846 წელს. თბილისში მისი ჩამოსვლა გამოწვეული იყო ერთგვარი  
პოეტური მარცხით.

<sup>1</sup> А. С. Пушкин. Полн. Собр. Соч., 1948 г., т. XV, стр. 316.

ი. პოლონსკის ლექსებმა ბ. ბელინსკის უარყოფითი შეფასება დაიმსახურა. დიდი კრიტიკოსის ასეთმა შეფასებამ კი ი. პოლონსკი სასოწარკვეთილებლაში ჩააგდო; მან დასტოვა მოსკოვის საზოგადოება და ბედის საძიებლად თბილისს გამოემგზავრა. თბილისში მან სამსახური დაიწყო მეფისნაცვლის კანცელარიასა და „ზაკავკასკი ვესტნიკის“ რედაქციაში. ამ დროისათვის იგი სრულიად აღარ ფიქრობდა პოეტურ კარიერაზე, მაგრამ თბილისში მყოფი მეგობარი პოეტების გავლენით (ვ. სოლოგუბი და სხვ.) მან კვლავ სცადა პოეტური ჩანგის ამეტყველება. მას მალე აღმოაჩნდნენ პატივისმცემელი, თბილისის თეატრის მსახიობებს ზეპირად სცოდნიათ მისი ლექსები.

1849 წელს გამოცემულ ლექსთა კრებულის („Сазандар“), წინასიტყვაობაში ი. პოლონსკი წერდა: „В состав этой маленькой книжки вошло всего только двенадцать стихотворений, которые появлением своим на белый свет обязаны не столько мне, сколько пребыванию моему за Кавказом, преимущественно в Грузии.“

Других моих стихотворений я не хотел с ними смешивать.

Посвящаю книжку мою всем тем, кто знает Грузию“.

ი. პოლონსკის ლექსთა კრებულმა მოწონება დაიმსახურა რუსეთში. ასეთი წარმატების საიდუმლოება ის იყო, რომ ი. პოლონსკი უკვე „ნატურალური სკოლის“ პოზიციებზე იდგა. მისი ლექსები დაწერილი იყო ცხოვრების კარგი ცოდნის შედეგად.

ი. პოლონსკი უშუალოდ ეცნობოდა ხალხის ცხოვრებას და ხალხურ ზეპირსიტყვიერებას, რომელსაც მოხდენილად იყენებდა თავის შემოქმედებაში. ერთ-ერთი ქართული ზღაპრით („აღლიბაშტალა“) აღტაცებული, იგი წერს: „Как после этого сомневаться в национальности грузинской литературы?!“...

ი. პოლონსკიმ 1851 წელს თბილისის თეატრისათვის დაწერა დრამა — „Дареджана имеретинская“, მაგრამ ცენზურამ მისი დადგმა აკრძალა, ხოლო შემდეგ ჟურნალ „მოსკვიტიანინშიც“ დამახინჯებულად დაიბეჭდა. აღნიშნულ დრამაში ი. პოლონსკიმ გამოავლინა ინტერესი საქართველოს ისტორიისადმი.

მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში თბილისში ცხოვრობდა პროგრესულად მოაზროვნე ბევრი პოლონელი, აზერბაიჯანელი და სომეხი კულტურის მოღვაწენი, რომლებსაც მჭიდრო მეგობრული ურთიერთობა ჰქონდათ ქართველ მწერლებთან.

ასეთი ურთიერთდამოკიდებულების შედეგი იყო „ვეფხისტყაოსნის“ და მ. თუმანიშვილის—„ფიალას“ თარგმნა პოლონურ ენაზე. „ფიალა“ თარგმნა — ლ. ზაბლოცკიმ, „ვეფხისტყაოსნის“ ნაწყვეტები — ა. ხოძკომ; შემდეგ კი გ. ერისთავმა და პოლონელმა მოღვაწემ — კ. ლაფჩინსკიმ პოლონურ ენაზე პროზად თარგმნეს „ვეფხისტყაოსნის“ სრული ტექსტი.

თბილისში მიმდინარეობდა ახალი აზერბაიჯანული ლიტერატურის ფუძემდებლის მირზა-ფატალი-ახუნდოვის (1812—1878) ლიტერატურული და საზოგადოებრივი მოღვაწეობაც.

მ. ფ. ახუნდოვი თბილისში დაუშეგობრდა ქართველ და რუს მწერლებს, კერძოდ, ის დაახლოებული იყო ქართველ დრამატურგ — გ. ერისთავთან, ა. ბესტუჟევ-მარლინსკისთან და ა. ოდოევსკისთან. თბილისში დაწერა მან თავისი ცნობილი კომედიები, რომლებიც აქვე გამოსცა ცალკე კრებულად (1853 წ.). მისი კომედიების როლთა პირველი შემსრულებლები თბილისელი აქტიორ-მოყვარულნი იყვნენ.

მ. ფ. ახუნდოვის დრამატურგიის შესწავლა აშკარას ხდის, რომ მასზე გარკვეული გავლენა მოახდინა გ. ერისთავის კომედიებმა და თბილისის თეატრების რეპერტუარმა საერთოდ. აზერბაიჯანელი ლიტერატურათმცოდნე დილარა ალიევა, ამასთან დაკავშირებით, შენიშნავს: „თბილისი იყო დიდი აზერბაიჯანელი მწერლისა და დრამატურგის მირზა-ფატალი ახუნდოვის მეორე სამშობლო. თბილისის მოწინავე საზოგადოებრიობამ უდიდესი როლი შეასრულა მირზა-ფატალი ახუნდოვის, როგორც რეალისტი დრამატურგის, მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში... ეწეოდნენ რა თეატრალურ მოღვაწეობას თბილისში, ახუნდოვი და გ. ერისთავი ხშირად ხედებოდნენ ერთმანეთს. ახუნდოვი ახლო გაეცნო ქართველი ხალხის კულტურას,... იგი დიდად აფასებდა გ. ერისთავს, როგორც გამოჩენილ დრამატურგს“<sup>1</sup>. თავის ლექსებში, მ. ფ. ახუნდოვი საქართველოს კავკასიის მარგალიტს უწოდებს.

თბილისში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა, აგრეთვე, მეორე აზერბაიჯანელი პოეტი — მირზა შაფი, რომლის შემოქმედებაში ქართული თემატიკა თვალსაჩინო ადგილს იკავებს. თავის თავს ის თბილისის მომღერალს უწოდებდა, რასაც მისი შემოქმედებაც ამართლებს.

თბილისში დაიწყო თავისი შემოქმედებითი მოღვაწეობა ახალი სომხური ლიტერატურის ფუძემდებელმა — ხაჩატურ აბოვიანმა

<sup>1</sup> „ლიტერატურული გაზეთი“, 1953 წ., № 18.

(1805—1848). ნიკიერი მწერალი-დემოკრატი და განმანათლებელი ხ. აბოვიანი დერპის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ სამშობლოში დაბრუნდა, რათა მიღებული კოდნა თავის ხალხისათვის მოეხმარებია, მაგრამ მას მტრულად შეხედნენ სომხეთის კლერიკალური წრეები. ამის გამო ის დასახლდა თბილისში (1837 წ.). აქ დაწერა მან თავისი ბევრი საყურადღებო ნაწარმოები, აქვე ეწეოდა პედაგოგიურ მუშაობას.

თბილისში დაიბადა და აქ გაატარა მთელი თავისი ცხოვრება სომხური რეალისტური დრამატურგიის ფუძემდებელმა გაბრიელ სუნდუკიანმა (1825—1912).

გ. სუნდუკიანი თავისუფლად ფლობდა ქართულ ენას და კარგად იცნობდა ქართულ ლიტერატურას. თითონაც ხშირად აღნიშნავდა ხოლმე ის ქართულ მწერლობასთან თავისი მკიდრო ურთიერთობის შესახებ.

გ. სუნდუკიანის კომედიები დიდი წარმატებით იდგმებოდნენ ქართულ სცენაზე და ქართველი საზოგადოება პატივს ცემდა ნიკიერ სომეხ დრამატურგს.

\* \* \*

ჯერ კიდევ მე-16 საუკუნის დასასრულს რუსმა მხატვრებმა თავიანთი წვლილი შეიტანეს ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლთა მხატვრულ გაფორმებაში, რასაც გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა როგორც რუს და ქართველ ხელოვნების ოსტატთა ურთიერთ დაახლოებისათვის, ისე ქართული მხატვრობის განვითარებისთვისაც.

მე-18 საუკუნიდან დაწყებული კი ქართულ მწერლობაში აშკარად შეინიშნება რუსული ლიტერატურით გატაცება და ამ უკანასკნელის გავლენა. თუ მანამდე ქართული კულტურის მოღვაწეთათვის უფრო მისაწვდომი და საინტერესო იყო აღმოსავლური და ბერძნულ-ბიზანტიური მწერლობა, ამიერიდან მდგომარეობა რადიკალურად იცვლება. ქართველი მწერლები და ხელოვნების სხვა დარგთა წარმომადგენლები მთელი ინტერესით და უშუალოდ ეცნობიან რუსულ მწერლობასა და რუსულ კულტურას საერთოდ. ეს გარემოება აშკარა ხდება არა მარტო თარგმნილი და გადმოკეთებული ძეგლების გაცნობით, არამედ ორიგინალურ ნაწარმოებთა შესწავლითაც. კიდევ მეტი, მთელი გარკვეული პერიოდის განმავლობაში გამოჩენილ ქართველ მწერლებს ცხოვრება და მოღვაწეობა უხდებოდათ რუსეთში. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ვახტანგ მეექვსისა და მის თანამოაზრეთა მოღვაწეობა რუსეთში 1724 წლიდან ვიდრე მათი სიცოცხლის დასასრულამდე.

როგორც ცნობილია, ვახტანგ მეექვსეს რუსეთში თან გაპყენენ იმდროინდელი ცნობილი მწერლები: მ. ბარათაშვილი, დ. სააკაძე, ვ. ორბელიანი, დ. ორბელიანი და სხვები; მათ დაგვიტოვეს საკმაოდ საინტერესო პოეტური შემოქმედებები, რომელიც ქართული მწერლობის ისტორიაში ცნობილია ემიგრანტული ლიტერატურის სახელით. სწორედ ამ მწერალთა შემოქმედებაში იჩინა პირველად თავი ქართული რომანტიზმის საწყისებმა. ემიგრანტთა ამ ჯგუფს შეუერთდა შემდეგ დიდი ქართველი მწერალი დავით გურამიშვილიც.

უნდა აღინიშნოს, რომ მათი პოეტური მოღვაწეობა რუსეთში არ ყოფილა თავისუფალი რუსული ლიტერატურისა და რუსული ხალხური შემოქმედების გავლენისაგან. პირიქით, მათ რუსული კულტურის საკმაოდ გავლენა განიცადეს და, რაც აშკარად იგრძნობა, მეტად უხვად ისარგებლეს მდიდარი რუსული ხალხური შემოქმედებით. როგორც პროფ. კ. კეკელიძე აღნიშნავს, მ. ბარათაშვილმა „პირველმა გამოიყენა რუსული ხალხური სიმღერები ქართული ვერსიფიკაციის გასამდიდრებლად; შემდეგ ამ მხრივ... ის მისაბაძი მაგალითი გახდა დავით გურამიშვილისათვის“<sup>1</sup>.

XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან თითქმის წესად იქცა სწავლა-განათლების მისაღებად რუსეთში წასვლა. და ახალგაზრდები არა მარტო პეტერბურგსა და მოსკოვში მიდიოდნენ სწავლის მისაღებად, არამედ ასტრახანსა და სხვა ადგილებშიც. ბევრი მათგანი შემდეგ გამოჩენილი მოღვაწე გახდა. ამასთან, მათი დიდი უმეტესობა ეწეოდა მთარგმნელობით მუშაობას რუსული ენიდან. ახალგაზრდობის რუსეთში სასწავლებლად გაგზავნას, როგორც ცნობილია, დიდი ყურადღებით ეკიდებოდა ერეკლე მეორეც, რომელმაც რუსეთში საგანგებოდ გაგზავნა ნიკიერი ახალგაზრდები, რომლებმაც დაბრუნების შემდეგ საფუძველი ჩაუყარეს ქართულ თეატრს.

მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს ქართული თეატრი, უმთავრესად, რუსული ენიდან თარგმნილი პიესებით საზრდოობდა. კერძოდ, თეატრის ფუძემდებელს—გ. ავალიშვილს ქართულ ენაზე უთარგმნია ა. პ. სუმაროკოვის კომედიები: „Вздорщина“, „Мать—совместница дочери“, „Рогоносец“..., „Разговоры мертвых“; დასახელებული კომედიების თარგმნას კი დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ეს პიესები, პროფ. დ. დ. ბლაგოის თქმით, „Является едва

<sup>1</sup> კ. კეკელიძე. ძველი ქართული მწერლობა, 1952 წ., ტ. II, გვ. 526.

„...ლი не самой художественно — значительной пьесой всего комедийного творчества Сумарокова вообще“...<sup>1</sup>.

რუსული ლიტერატურისა და კულტურის კეთილმოყვანილი გავლენა განიცადა არა მარტო ქართველმა მწერლობამ და თეატრალურმა კულტურამ, არამედ ჩვენი კულტურის სხვა დარგებმაც. კერძოდ, სტამბის და ბეჭდვის კულტურის განვითარება საქართველოში რუსეთთან მჭიდრო კულტურული ურთიერთობის შედეგი იყო.

მე-19 საუკუნის დამდეგიდან კი ამ ურთიერთობის დახასიათება ცალკეულ მოვლენათა აღწერისათვის აღარ შეიძლება. ამ დროიდან ქართული ლიტერატურა და ქართული კულტურა ვითარდება რუსულ ლიტერატურასა და კულტურასთან მჭიდრო კავშირში; და ამ მჭიდრო კავშირმა არათუ ზიანი არ მიაყენა ქართული ეროვნული კულტურის ზრდასა და თვითმოყვადობას, არამედ დიდად შეუწყო მას ხელი. რუსულ პროგრესულ ლიტერატურასა და კულტურასთან დაახლოებამ ჩვენს მოღვაწეებს საშუალება მისცა გაეწმინდათ ქართული ლიტერატურა მისი ეროვნული ტრადიციებისათვის უცხო და მიუღებელი გამოვლინებისაგან. საბოლოოდ გაიწმინდა ჩვენი მწერლობა აღმოსავლური ლიტერატურისათვის დამახასიათებელი ტრაფარეტული სახეებისა და ნაძალადევი მგრძობელობისაგან.

რუსეთთან საქართველოს შეერთების შემდეგ უდიდეს განვითარებას აღწევს ჩვენში მწერლობა, თეატრალური კულტურა, მეცნიერება და სხვა. ცხადია, ყველაფერი ეს შედეგი იყო არა ცარიზმის ოფიციალური პოლიტიკისა, არამედ იმ მჭიდრო და მეგობრული ურთიერთდამოკიდებულებისა, რისთვისაც იბრძოდნენ პროგრესულად მოაზროვნე რუსი და ქართველი მოღვაწეები, რუსი და ქართველი მშრომელი ხალხები, რომლებსაც თავიანთი ზურგით გადაჰქონდათ შავბნელი ცხოვრების მთელი სიმძიმე.

რუსეთთან მჭიდრო ურთიერთობის დამყარების შემდეგ, თავისი მეცნიერული მუშაობით სახელი მოიხვეჭა ბევრმა ქართველმა მოღვაწემ. 1805 წელს რუსეთის მეცნიერებათა აკადემიამ რუსულ ენაზე გამოსცა დავით ბაგრატიონის საინტერესო ნაშრომი — „Краткую историю о Грузии“; 1820 წელს დაიბეჭდა იოანე ბაგრატიონის ქართულ-რუსული გრამატიკა; მანვე შეადგინა ქართულ-რუსული ლექსიკონი, სხვადასხვა სახელმძღვანელოები ქართულ ენაზე და

<sup>1</sup> проф. Д. Д. Благой. История русской литературы XVIII века, 1846 г., стр. 167.



დაწერა საინტერესო ლიტერატურული ძეგლი — „კალმასობა“; 1812 წელს რუსეთის მეცნიერებათა აკადემიამ გამოსცა ე. კილაშვილისაგან რუსულ ენაზე ნათარგმნი — „Письма грузинского царевича Вахтанга ираклиевича; 1814 წელს გამოქვეყნდა ვახტანგ ბაგრატიონის — „Описание истории грузинского города“.

თავისი მეცნიერული მოღვაწეობითა და ფართო ერუდიციით სპეციალისტთა ყურადღება დაიმსახურა თეიმურაზ ბაგრატიონმა, რომელსაც ეკუთვნის მრავალი საყურადღებო გამოკვლევა საქართველოს ისტორიიდან.

ცნობილი ისტორიკოსი მ. ბროსე, რომელიც რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის მოწვევით შეუდგა საქართველოს ისტორიის შესწავლას, დიდად დავალებულად თვლიდა თავს თეიმურაზ ბაგრატიონისაგან. აკად. მ. ბროსე წერდა: „მოკრძალების გარეშე არ შემძლია წარმოვსთქვა სახელი თეიმურაზისა, რომელშიც მაღალი ზნეობა შერწყმულია განათლებულ აზრთანა და ღრმა სწავლულობასთან... და რომლის მოწაფედ, სინდისის ქვეშ რომ მოგახსენოთ, მე ვთვლი ჩემს თავსო“.

რუსეთისა და ევროპის მეცნიერებათა აკადემიების საპატიო წევრობას მიაღწია გამოჩენილმა ქართველმა მეცნიერმა მიხეილ პეტრეს ძე ბარათაშვილმაც (1786 — 1856), რომელსაც ეკუთვნის მეტად საინტერესო გამოკვლევა — „Нумизматические факты грузинского царства“.

ჯერ კიდევ რუსეთში ყოფნისას გაითქვა სახელი ქართველმა განმანათლებელმა და ფილოსოფოსმა სოლომონ დოდაშვილმა (1805 — 1836), რომელმაც რუსულ ენაზე დაწერა და გამოსცა (1827 წ.) ლოგიკის პირველი სახელმძღვანელო.

მეტად საპატიო დამსახურება მიუძღვის მეცნიერების წინაშე რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს დავით ჩუბინიშვილს (1813 — 1891), რომელმაც შეადგინა „რუსულ-ქართული“ და „ქართულ-რუსულ-ფრანგული“ ლექსიკონები, „ქართული ლიტერატურის ქრესტომატია“ და სხვა.

ბევრი ქართველი რუსული კულტურის უშუალო მოღვაწედ და წარმომადგენლად გვევლინება. ასეთები არიან, მაგალითად, ს. ნ. და ნ. ნ. სანდუნოვები (ზანდუკელეძე), ნ. ა. ცერეტელოვი (წერეთელი) პ. ი. და ა. ი. შალიკოვები (შალიკაშვილები), დ. ა. ერისტოვი (ერისთავი) და სხვ.

მეთვრამეტე საუკუნის ორმოციანი წლებით დაწყებული მეცხრამეტე საუკუნის პირველი ათეული წლით დამთავრებული, რუსული თეატრის ერთ-ერთ გამოჩენილ მსახიობად და მოღვაწედ

გვევლინება სილ. სანდუნოვი (ზანდუკელი), რომელმაც გარკვეული გავლენა მოახდინა ქართული თეატრის ინიციატორებზე XVIII საუკუნეში; ცნობილი მეცნიერი იყო მისი ძმა ნ. ნ. სანდუნოვიც (1769—1832), რომელიც მოსკოვის უნივერსიტეტში განაგებდა რუსეთის იმპერიის სამოქალაქო და სისხლის სამართლის კათედრას და წლების განმავლობაში მუშაობდა იურიდიული ფაკულტეტის დეკანად.

„რუსული ჟურნალების — „Сын Отечества“, „Благонамеренный“ და სხვ. თანამშრომელი იყო ნ. ა. წერეთელი, რომელსაც ეკუთვნის საყურადღებო გამოკვლევები: „Опыты собрания старинных малороссийских песен“, СПб, 1819 წ. და „О произведениях древнерусской поэзии“, СПб, 1820 წ. ასევე, დ. ა. ერისთავმა დაწერა „Словарь исторический о святых, прославленных в Российской церкви“, რისტვისაც მას დემიდოვის პრემია მიენიჭა.

რუსული ლიტერატურის ისტორიაში საკმაოდ ცნობილია პოეტი პ. ი. შალიკოვიც, რომელიც თავის დროზე იყო რედაქტორი მთელი რიგი ჟურნალ-გაზეთებისა: „Московский зритель“ (1806 წ.), „Аглая“ (1810—1812 წწ.). „Дамский журнал“ (1823—1833 წწ.), „Московские ведомости“ (1813 — 1830 წწ.). სამწერლო მოღვაწეობას ეწეოდა მისი და ა. ი. შალიკოვიც.

გასული საუკუნის პირველი ნახევრის ქართველი მოღვაწეები დიდი სიყვარულით ეკიდებოდნენ გამოჩენილ რუს მწერალთა ნაწარმოებების ქართულ ენაზე თარგმნის საქმესაც. რუსულიდან ქართულ ენაზე ითარგმნა ლომონოსოვის, კარამზინის, ბესტუჟეე-მარლინსკის, რილეევის, ოდოევსკის, გრიბოედოვის, პუშკინის, ლერმონტოვისა და სხვა მწერალთა ბევრი ნაწარმოები.

მთარგმნელობით მუშაობას ეწეოდნენ ჩვენი გამოჩენილი მწერლები: ალ. ჯავახიშვილი, გრ. ორბელიანი, ნ. ბარათაშვილი, ს. რაზმაძე, მ. თუმანიშვილი, ვ. ორბელიანი, გ. ერისთავი და სხვები; განსაკუთრებით დიდი იყო ინტერესი ა. პუშკინისადმი. პუშკინის ნაწარმოებნი ნათარგმნი აქვს თითქმის ყველა გამოჩენილ ქართველ მწერალს. ა. პუშკინის იმთავითვე უდიდესი სიყვარული დაუმსახურებია ქართველ მკითხველთა შორის. მანანა ორბელიანი საგანგებოდ სთხოვდა წერილით გრ. ორბელიანს ეთარგმნა პუშკინის „რუსლან და ლიუდმილა“.

ა. პუშკინის სახელი ქართულ პრესაში 1828 წლის 12 სექტემბერს გამოჩნდა, ხოლო 1830 წელს უკვე დაიბეჭდა მისი ორი ლექსის თარგმანი.

ა. გრიბოედოვის, ა. პუშკინის, მ. ლერმონტოვისა და სხვა მოწინავე რუს მწერალთა გავლენამ მე-19 საუკუნის ქართულ ლიტერატურაზე თავისი დადებითი შედეგი გამოიღო.

მეტად მნიშვნელოვანი იყო ის პირადი ურთიერთობაც, რომელიც, საქართველოსა თუ რუსეთში, რუს და ქართველ მოღვაწეებს შორის მყარდებოდა. ამის საილუსტრაციოდ საკმარისია, თუნდაც, რუს და ქართველ თეატრის მოყვარულთა მიერ შინაური წარმოდგენების გამართვის ფაქტები თბილისში.

როგორც ცნობილია, ალა-მაჰმად-ხანის ვერაგული თავდასხმის შემდეგ ქართულმა თეატრმა არსებობა შესწყვიტა. მე-19 საუკუნის დამდეგიდან თეატრალური წარმოდგენების გამართვას უკვე ერთად ცდილობდნენ რუსი და ქართველი სცენის მოყვარენი. 1803 წლის 10 თებერვალს დაწერილ ერთ თავის მოხსენებაში პ. ი. კოვალენსკი წერს: „Заведение театра в Тифлисе имело начало по предложению моему (Коваленского), от общего нашего соглашения с гр. Мусыным-Пушкиным, воинским генералитетом и прочими Российскими чиновниками, а также членами царского дома и почетными князьями здешними“<sup>1</sup>.

ასეთი ტრადიცია შემდეგ კიდევ უფრო განმტკიცებულა. შინაური საღამო-წარმოდგენების გამართვას თითქმის სისტემატური ხასიათი მიუღია 20—30-იან წლებში.

თეატრის მოყვარულთა შესაკრები ადგილი ყოფილა რ. ი. ბაგრატიონის სალონი. აქ დაიარებოდნენ თეატრალური საქმით გატაცებული პრაპორშჩიკი—მიხეილ გამაზოვი და რ. ა. ბაგრატიონი. მათ მოუძებნიათ რეჟისორიც — ლავროვსკი და წარმოუდგენიათ პ. ა. კარატიგინის „Знакомые незнакомцы“. მ. გამაზოვს დაუწერია საკუთარი პიესაც — „Грузины 19-го века или удачное сватовство“, რომელიც 1831 წელს წარმოუდგენიათ.

ამავე წრემ 1832 წლის 21 იანვარს წარმოადგინა ა. გრიბოედოვის „ვაი ქუთისაგან“, რომელიც შემდეგ კვლავ გაუმეორებიათ ნინო ჭავჭავაძე-გრიბოედოვას საპატივემოდ. წარმოდგენას მეტად კარგი რეცენზია უძღვნა ს. დოდაშვილის ეჟრნალმა („სალიტერატურონი ნაწილნი ტფილისის უწყებათანი“).

ამ შეგობრობის დადებით როლს კარგად ითვალისწინებდნენ გასული საუკუნის გამოჩენილი ქართველი მწერლები: ალ. ჭავჭავაძე, ნ. ბარათაშვილი, გრ. ორბელიანი, გ. ერისთავი და სხვები. რომლებიც მალალ შეფასებასა და დიდ მნიშვნელობას აძლევდნენ.

<sup>1</sup> „Акты собранные кавк. арх. комиссией“, т. II, стр. 19.

დნენ მოწინავე რუსული კულტურისა და ლიტერატურის გაცნობას.

ლექსში „კაკასია“ ალ. ქავჭავაძე ამბობს:

„გაიხსნა გზა და ეშვით ივერელთ სასოება,  
რომე მუნით შევიდეს მათ შორის განათლება“.

ხოლო ნ. ბარათაშვილი, რომელმაც სწორად შეაფასა ერეკლე მეორის პოლიტიკური ორიენტაცია, ლექსში „საფლავი მეფის ირაკლისა“ დადებით შეფასებას აძლევს რუსეთ-საქართველოს შორის დამყარებულ მტკიცე კავშირს:

— „თაყვანს ვსცემ შენსა ნაანდერძებს, წინასწარად თქმულს!  
გახსოვს, სიკვდილის ჟამს რომ უთხარ ქარაულს დაობლებულს?  
აჰა, აღსრულდა ხელმწიფური აწ აზრი შენი,  
და ვსჭამთ ნაყოფსა მისგან ტკბილსა აწ შენი ძენი.  
ჟამ-ვითარებით გარდახვეწილთ შენთ შვილთ მიდამო  
მოაქვთ მამულში განაალება და ხმა საამო;  
მათი ცხოველი, ტრფიალებით აღსავსე სული  
უდნობს ყინულსა ჩრდილოეთსა, განცეცხლებული“.

საყურადღებოა, რომ აღნიშნული ლექსი ნ. ბარათაშვილმა უძღვნა გამოჩენილ ქართველ მეცნიერს, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრს — მიხეილ პეტრეს ძე ბარათაშვილს.

პროგრესულად მოაზროვნე ქართველი და რუსი მოღვაწეები ბევრს საერთოსა და საინტერესოს პოულობდნენ ერთმანეთში და იყენებდნენ მას მოწინავე ეროვნული კულტურის განვითარებისათვის.

ვ. ი. ლენინი ხაზგასმით აღნიშნავდა: „არის ორი ერი ყოველ თანამედროვე ერში... არის ორი ეროვნული კულტურა ყოველ ეროვნულ კულტურაში. არის ველიკორუსული კულტურა პურიშკევიჩების, გუჩკოვების და სტრუვეებისა, — მაგრამ არის აგრეთვე ველიკორუსული კულტურა, რომელიც ხასიათდება ჩერნიშევსკისა და პლესანოვის სახელებით. არის ასეთივე ორი კულტურა უკრაინელებში, ისევე როგორც გერმანიაში, საფრანგეთში, ინგლისში, ებრაელებში და ა. შ. უკრაინელი მარქსისტი, პირველი სახის კულტურას რომ ებრძვის, ყოველთვის გამოჰყოფს მეორე კულტურას და ეტყვის თავის მუშებს: „ველიკორუს შეგნებულ მუშასთან, მის ლიტერატურასთან, მის იდეათა არესთან ურთიერთობის ყოველგვარი შესაძლებლობა აუცილებლად იხელთეთ, გამოიყენეთ, განამტკიცეთ მთელი ძალდონით, ამას მოითხოვენ როგორც უკრაინული, ისე ველიკორუსული მუშათა მოძრაობის ძირეული ინტერესებია“.

ვ. ი. ლენინის გენიალური მოძღვრება ყოველ ერში ორი ეროვნული კულტურის არსებობის შესახებ სწორად წარმოგვიდგენს მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში ქართულ-რუსული მოწინავე კულტურის ურთიერთობის დიდ მნიშვნელობას ქართული ნაციონალური კულტურისა და კერძოდ ლიტერატურის განვითარების საქმეში.

\* \* \*

ახალი ქართული ლიტერატურა წარმოადგენს დიდი ტრადიციების მქონე ძველი ლიტერატურის ბუნებრივ გაგრძელებასა და განვითარების შემდგომ ეტაპს.

ძველი ქართული მწერლობა, რომელსაც მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს, ერთ-ერთი უძველესი და უმდიდრესი ლიტერატურაა სხვა კულტურულ ერთა მწერლობებს შორის. ძველი ქართული ლიტერატურა კანონიერად ამაყობს მდიდარი ჰაგიოგრაფიული მწერლობითა და კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობის მქონე საერო ლიტერატურის ძეგლებით.

მიუხედავად იმისა, რომ ქართველი ხალხი საუკუნეების მანძილზე იძულებული იყო უთანასწორო ბრძოლა ეწარმოებინა დამპყრობ-აგრესორთა წინააღმდეგ. ქართულმა კულტურამ და ლიტერატურამ მაინც უდიდეს წარმატებას მიაღწია.

მე-5, მე-10 საუკუნეებში შეიქმნა ისეთი უკვდავი ჰაგიოგრაფიული ძეგლები, როგორიცაა „წამებაი წმიდისა შუშანიკისა დედოფლისა“, „აბო ტფილელის მარტილობა“, „ცხოვრება გრიგოლ ხანძთელისა“ და სხვა; სასულიერო რომანი—„სიბრძნე ბალავარისა“ და მდიდარი სასულიერო ლირიკა. XI და XII საუკუნეებში განვითარების უნაღლეს წერტილს აღწევს ძველი საერო ლიტერატურა, რომელსაც ამშვენებს შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, მ. ხონელის — „ამირან-დარეჯანიანი“, ჩახრუხადის — „თამარიანი“, შავთელის — „აბდულ-მესია“ და სხვა. ეს უკვდავი ქმნილებები განთბარია ჰუმანიზმის გრძნობით, პატრიოტიზმისა და ხალხთა მეგობრობის იდეით და ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლის პათოსით. ასევე მაღალია მათი მხატვრული ღირსება, რაც მუდამ უკვდავს ხდის მათ.

მე-13 საუკუნიდან ქართული მწერლობის აღმავლობა შეაფერხა მონღოლთა სწინელობა თავდასხმებმა, მაგრამ მე-16 საუკუნის დამდეგიდან ქართული ლიტერატურის საგანძური კვლავ ახალ-ახალი მხატვრული მიღწევებით მდიდრდება.

აღორძინების პერიოდში ფართოვდება მწერლობის თემატიკა, ბატონდება ეროვნული მოტივი, მკვეთრად ისმება სა-

მწერლო ენის სიწმინდის დაცვის საკითხი, თავს იჩენს სხვადასხვა ლიტერატურულ მიმართულებათა გამოძახილი და ელემენტები, უფრო მრავალფეროვანი ხდება ეპაროქიული მონაცემები და ლექსთ-წყობის სახეები.

აღორძინების პერიოდის მწერლებმა დააყენეს საკითხი ისტორიული და ნაციონალური თემატიკის უპირატესობის შესახებ, სოციალური უთანასწორობის უკუღმართობისა და ადამიანის დანიშნულებისა და რაობის შესახებ. მართალია, მათი მსოფლმხედველობა, მეტ-ნაკლებად, რელიგიური რწმენით იყო დატვირთული, რაც ხელს უშლიდა მათ სისრულით გაეცათ პასუხი დასმულ კითხვებზე, მაგრამ ამ მწერლებმა მაინც ბევრი ახალი და პროგრესული შეხედულება წამოაყენეს.

აღნიშნულ პერიოდში მოღვაწეობდნენ ისეთი დიდი პოეტები და მწერლები, როგორც იყენენ: თეიმურაზ პირველი და თეიმურაზ მეორე, არჩილი, ვახტანგ VI, სულხან-საბა ორბელიანი, დავ. გურამიშვილი, ბესიკი და სხვები. მათ მხატვრულ შემოქმედებაში სკარბობს ეპოსი, რაც რუსთაველის ერთგვარი გავლენის შედეგი იყო, მაგრამ სწრაფად ვითარდებოდა ლირიკული ჟანრიც. ლირიკული ლექსების საუკეთესო ნიმუშები შექმნეს ვახტანგ მეექვსემ, გ. ჩოლოყაშვილმა, დავ. გურამიშვილმა და ბესიკმა. მხატვრული პროზის შემდგომ განვითარებას საფუძველს უყრის სულხან ორბელიანის — „სიბრძნე სიცრუისა“ და „მოგზაურობა ევროპაში“.

სულხან ორბელიანი და დავ. გურამიშვილი თავიანთ მხატვრულ შემოქმედებას ქმნიან სასაუბრო ხალხურ ენაზე და ხალხურ შემოქმედებაზე დაყრდნობით.

აღორძინების პერიოდის დასასრული ლიტერატურაში დამთხვა მაღალი წოდების, — ფეოდალური არისტოკრატის მდგომარეობის შესამჩნევ გაუარესებას და ეროვნული დამოუკიდებლობის შენარჩუნების წინააღმდეგ მიმართული საფრთხის გაძლიერებას. ამ გარემოებამ თავისი გამოძახილი ჰპოვა ლიტერატურაშიც. თანდათან გაძლიერდა პესიმისტურ განწყობილებათა ასახვა მწერლობაში. ამ მხრივ, განსაკუთრებით ქართულმა ემიგრანტულმა ლიტერატურამ ისახელა თავი. ვახტანგ მეექვსე და მის გარშემო მყოფი პოეტები, რომლებიც ცხოვრების ისტორიულმა მსვლელობამ სამშობლოს მოაცილა და რომელთაც უკანასკნელმა იმედებმაც არ გაუშართლა, თავიანთ ლირიკულ ლექსებში რომანტიზმისათვის დამახასიათებელ მოტივებსა და სახეებს მიმართავენ.

მე-18 საუკუნის დასასრულსა და მე-19 საუკუნის დამდეგს, როდესაც საქართველომ ეროვნული დამოუკიდებლობა დაკარგა

და მაღალი წოდების პრივილეგიური მდგომარეობაც შეილახა, პესიმისტური განწყობილება უკიდურესობამდე გაძლიერდა სამეფოგვარიდან გამოსული პოეტების (მარიამ, ქეთევან, მირიან, დავით ბაგრატიონები) შემოქმედებაში. მათ კიდევ უფრო გააღრმავეს ემიგრანტული პოეზიის წიაღში აღმოცენებული ქართული რომანტიზმის საწყისები.

ამგვარად, ძველი ქართული ლიტერატურის დასასრული დაემთხვა რომანტიზმის დასაწყისს ქართულ ლიტერატურაში.

## ქართული ლიტერატურა რომანტიზმიდან რეალიზმისაკენ

მრავალსაუკუნოვანი ქართული ლიტერატურის განვითარების გზები მეტად თავისებური და ორიგინალურია.

დიდი თავისებურებით ხასიათდება, კერძოდ, სხვადასხვა ლიტერატურულ მიმართულებათა წარმოშობა და განვითარება ქართულ მწერლობაში. ამაზე მეტყველებს თუნდაც ის გარემოებაც, რომ ქართული ლიტერატურა არ იცნობს კლასიციზმსა და სენტიმენტალიზმს — როგორც გარკვეულ ლიტერატურულ მიმართულებებს.

ცნობილ ლიტერატურულ მიმართულებათა ისტორია ქართულ ლიტერატურაში რომანტიზმით იწყება. ქართული საზოგადოებრივი ცხოვრება ასცდა იმ ობიექტურ მიზეზებს, რომლებმაც განაპირობეს წარმოშობა და განვითარება კლასიციზმისა და სენტიმენტალიზმისა რუსულ და ევროპულ ლიტერატურაში. ამდენად, შედარებით თავისებური იყო ის გარემო, რომელშიც აღმოცენება და გაბატონება მოუხდა ქართულ რომანტიზმს.

კლასიციზმის წარმოშობა და განვითარება ევროპულ ლიტერატურაში დაკავშირებული იყო აბსოლუტური მონარქიზმის ეპოქასთან. კლასიციზმის თეორეტიკოსები თავიანთ შეხედულებებს აყალიბებდნენ იმდროინდელი სახელმწიფოებრივი წყობისა (აბსოლუტური მონარქიზმის) და გაბატონებული ფილოსოფიური მიმართულების (რაციონალიზმის) ინტერესებისა და მოთხოვნების შესაბამისად.

კლასიციზტებმა გონება გაძოაცხადეს ქვეშარიტების ერთადერთ კრიტერიუმად, ხოლო გრძნობა — შეცდომის წყაროდ. მათი შეხედულებით, გონებას შეუძლია წინასწარ განსჭვრიტოს ყველაფერი; ამიტომ შესაძლებელია აღრევე იქნას დადგენილი ის წესები და პრინციპებიც, რომელთა განხორციელება მოეთხოვება მწერლობას. ასეთი წესების დადგენისას ისინი უხვად სარგებლობდნენ ანტიკური კლასიკური ლიტერატურის მიღწევებით, რომლისადმი მიბაძვა მათი ერთ-ერთი მოთხოვნათაგანი იყო.



კლასიციზმის მთავარ ამოცანას წარმოადგენდა უაღრესად ცენტრალიზებული სახელმწიფოს ინტერესების დაცვა, რის გამო აშკარად მიმართავდა პოლიტიკურ ტენდენციურობას, ახდენდა გმირთა დაყოფას მკაცრად განსხვავებულ ბანაკებად (ყოველმხრივ დადებითი და უარყოფითი გმირები). კლასიციზტური ნაწარმოების ცენტრში იდგა მეფე — „ხალხის მამა“ და სასახლის არისტოკრატია. კლასიციზტთა თვალი მიპყრობილი იყო მხოლოდ და მხოლოდ ქალაქისა და სასახლისაკენ; მათი ინტერესის საგანს არ წარმოადგენდა სოფელი და ქოხები.

კლასიციზტებმა, თავიანთი საერთო მიზნებიდან გამომდინარე, მკაცრად დააყენეს ჟანრების ურთიერთისაგან გამიჯვნის აუცილებლობაც. მათ ჟანრები დაჰყვეს მაღალ და დაბალ ჟანრებად, რომელთაც განსხვავებული ამოცანები დაუსახეს.

კლასიციზმი ევროპის თითქმის ყველა ქვეყნის ლიტერატურაში გაბატონდა; კლასიციზმის ეპოქა განვლო რუსულმა ლიტერატურამაც, მაგრამ იგი ყველგან ერთნაირი არ ყოფილა. მის თავისებურებას ცალკეული ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური და კულტურულ-ლიტერატურული გარემო აპირობებდა.

ხოლო მას შემდეგ, რაც საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზზე ბურჟუაზია გამოჩნდა, ლიტერატურაშიც თავი იჩინა ახალმა ლიტერატურულმა მიმართულებამ — სენტიმენტალიზმმა, რომელიც მკვეთრად დაუპირისპირდა კლასიციზმს.

სენტიმენტალიზმმა სინამდვილის შემეცნების ძირითად წყაროდ, ნაცვლად გონებისა, გრძნობა აღიარა. განსხვავებით კლასიციზტებისაგან, სენტიმენტალისტთა თვალი მიპყრობილი იყო არა დიდი და გრანდიოზული მოვლენებისადმი, არამედ ყოველდღიური და ჩვეულებრივი მოვლენების ასახვისაკენ. ისინი წერდნენ არა წინასწარ დადგენილი წესების მიხედვით, არამედ საკუთარი გრძნობიდან და ფანტაზიიდან გამომდინარე. მათი დამახასიათებელი იყო სევდა-მწუხარება ადამიანის ბედნიერების ხანმოკლეობისა და წარმავლობის გამო. მხატვრული ნაწარმოების, ცენტრში მათ დააყენეს არა მეფე, რაინდი, მაღალი არისტოკრატია, არამედ ჩვეულებრივი ადამიანი თავისი ყოველდღიური სიხარულითა და მწუხარებით.

სენტიმენტალისტებმა უარყვეს კლასიციზმის თეორია მაღალი და დაბალი ჟანრებისა და ჟანრებს შორის მტკიცე მიჯნის დაცვის აუცილებლობის შესახებ. მათ უპირატესობა მისცეს იმ ჟანრებს, რომლებიც უფრო მეტ შესაძლებლობას აძლევდნენ მწე-

რალს ბუნებრივად გადმოეცა საკუთარი და ნაწარმოების გმირთა გრძნობები.

სენტიმენტალიზმმა რუსულ და ევროპულ ლიტერატურაში ნიადაგი მოუმზადა ძლიერ ლიტერატურულ მიმართულებას — რომანტიზმს, რომელიც მეთვრამეტე საუკუნის დასასრულსა და მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში გაბატონებულ მიმდინარეობად იქცა.

საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციის შემდეგ ევროპული საზოგადოება მოიცვა გულგატეხილობამ და უკმაყოფილებამ. ისტორიამ არ გაამართლა განმანათლებელთა იმედმომცემი თეორიები, ხოლო დაპირება, რომ რევოლუცია ხელს მისცემდა თავისუფლებას, ძმობასა და ერთობას, უშედეგო აღმოჩნდა.

რევოლუციამ მოსპო ძველი რეჟიმი, მაგრამ ხალხმა ვერ მიიღო ბედნიერება. რევოლუციის შედეგებით, პირველყოფლისა, უკმაყოფილონი იყვნენ ფეოდალური არისტოკრატია და სასულიერო წოდება, ვინაიდან მათ დაკარგეს თავიანთი პრივილეგიები, რომელთა დაბრუნების იმედს ცხოვრების სინამდვილე არ აძლევდათ. თავის მხრივ, ცხადია, უკმაყოფილო იყო წვრილი ბურჟუაზიაც.

სწორედ ამ დროს, ლიტერატურაში გაბატონებას იწყებს რომანტიზმი, რომელიც დაუპირისპირდა განმანათლებელთა იდეოლოგიას და გამოხატავდა იმ უკმაყოფილებას, რაც ხალხში გამოიწვია რევოლუციის შემდეგ შექმნილმა სინამდვილემ, რომელიც, როგორც ენგელსი ამბობს, „Оказались вызывающей горькое разочарование карикатурой на блестящие обещания просветителей“<sup>1</sup>.

ამიტომაც, რომ კ. მარქსმა რომანტიზმი დაახასიათა, როგორც „Реакция против французской революции и связанного с нею просветительства“<sup>2</sup>.

მაგრამ რომანტიზმი ლიტერატურაში არ წარმოადგენდა ერთი რომელიმე კლასის თუ ფენის ფსიქო-იდეოლოგიის გამოხატულებას. რომანტიზმში იმთავითვე გამოძველდა ორი მიმართულება: პასიური — რეაქციული და აქტიური — მებრძოლი. ამ ორი სახეობის ერთმანეთისაგან გარჩევაზე ბევრადაა დამოკიდებული თვით რომანტიზმის ბუნების გაგება და შესწავლა. როგორც მ. გორკი გვასწავლის: „В романтизме необходимо различать... резко

<sup>1</sup> К. Маркс и Ф. Энгельс. Соч., т. XV, стр. 511.

<sup>2</sup> К. Маркс и Ф. Энгельс. Соч., т. XXIV, стр. 34.

различных направления: пассивный романтизм, — он пытается или примирить человека с действительностью, прикрашивая ее, или же отвлечь от действительности к бесплодному углублению в свой внутренний мир, к мыслям о „роковых загадках жизни“, о любви, о смерти, — к загадкам, которые не разрешимы путем „умозрения“, созерцания, а могут быть разрешены только наукой. Активный романтизм стремится усилить волю человека к жизни, возбудить в нем мятеж против действительности, против всякого гнета ее“<sup>1</sup>.

რომი სახეობის არსებობა რომანტიზმში გამოხატულება იყო რევოლუციით უკმაყოფილო, მაგრამ სხვადასხვა შეხედულების მქონე საზოგადოებრივი ფენებისა. მართალია, უკმაყოფილება და გულგატეხილობა ახალი ეპოქისადმი საერთო იყო დეგრადაციის გზაზე დამღვარი ფეოდალური არისტოკრატისა და წვრილი ბურჟუაზიისათვის, მაგრამ თუ პირველმა დაჰკარგა ბრძოლის უნარი, ჩაეარდა სასოწარკვეთილებაში და მხოლოდ წარსულისაკენ იხედებოდა, ძველის აღდგენის ილუზიებით იკვებებოდა (და ეს ილუზიებიც თანდათან უქრებოდა), მეორე—უკმაყოფილო ახალი ცხოვრებით, იმედით შეჰყურებდა მომავალს და ინარჩუნებდა ბრძოლის უნარს არსებული სინამდვილის წინააღმდეგ. შესატყვისად ამისა, იმთავითვე ერთპანეთისაგან განსხვავდა პასიური და აქტიური რომანტიზმიც.

რომანტიზმის ამომწურავი განმარტება არ არსებობს, და ეს იმიტომაც. რომ იგი არ ყოფილა მხოლოდ ლიტერატურული მიმართულება. რომანტიზმმა თავი იჩინა მეცნიერებაში, ხელოვნებაში, რელიგიაში და სხვ. იგი იქცა მთელ მსოფლმხედველობად, რომელმაც თავის გავლენის სფეროში მოაქცია თითქმის მთელი აზროვნება.

რეაქციონერ-რომანტიკოსთა ილუზიები კონკრეტულ გამოხატულებას პოულობდნენ წარსული ცხოვრების იდეალიზაციაში, რაც ნათლად ჩანს არა მარტო რომანტიკოს მწერლებთან, არამედ—რომანტიკოსებთან საერთოდ.

რომანტიკოსები მოკლებულნი იყვნენ წარსულის მეცნიერული შეფასების უნარს, ვერ ერკვეოდნენ მომავალი ცხოვრების მოთხოვნებშიც. მათ ამოსავალს ზოგადი შეხედულებებისა და დასკვნების გაკეთებისას წარმოადგენდა არა სინამდვილე, ცხოვრების ისტო-

---

<sup>1</sup> „М. Горький о литературе“, 1953 г., стр. 311.

რიული მსვლელობის პრაქტიკა, არამედ ილუზიური ოცნებანი და უტოპიური მიზანსწრაფვა.

რომანტიზმი, ვითარდებოდა რა როგორც რეაქცია კლასიციზმის წინააღმდეგ, ხასიათდებოდა უკიდურესი სუბიექტივიზმითა და მისტიციზმით. განსხვავებით განმანათლებლებისაგან, რომლებიც გაურბოდნენ საკუთარ სულიერ სამყაროს და ცდილობდნენ შეექმნათ ცხოვრების სინამდვილიდან გამომდინარე სისტემა, რომანტიკოსებისათვის ძირითადი იყო არა „მე“-ს დამოუკიდებლად არსებული სინამდვილე, არამედ საკუთარი „მე“.

რომანტიკოსი, — გეასწავლის ვ. ი. ლენინი, — „მშვენიერად გრძნობდა თავს კეთილი სურვილებისა და ოცნების ნისლში, ფრიად ოსტატურად სთხზავდა სენტენციებს, რომელნიც შეეფერებოდა საერთოდ „საზოგადოებას“ (მაგრამ არ შეეფერებოდა საზოგადოების არც ერთ ისტორიულად გარკვეულ წყობას), — ხოლო როცა თავისი ფანტაზიის სამყაროდან ნამდვილი ცხოვრებისა და ინტერესთა ბრძოლის ორომტრიალში ჩავარდა, — მას ხელში კრიტიკური იმპივი-კი არ აღმოაჩნდა კონკრეტული საკითხების გადასაქრელად“<sup>1</sup>.

რეალური სინამდვილისადმი ანგარიშგაუწეველობა და ილუზიური ოცნება ტიპიურია რომანტიული ხელოვნებისათვის, რითაც იგი ააშკარავებს რეალისტური ხელოვნების პრინციპებისაგან განდგომას.

სუბიექტური განწყობილების გადაფასება მხატვრულ შემოქმედებაში და სინამდვილიდან განდგომის იდეალიზაცია რომანტიკოსთა შემოქმედებას, საბოლოო ანგარიშში, აძლევდა ცალმხრივ და აბსტრაქტულ-მეტაფიზიკურ ხასიათს. მაგრამ უკიდურეს ტენდენციურ მსჯელობასაც კი არ შეუძლია მიჩქმალოს ის მნიშვნელობა, რომელიც რომანტიზმს ჰქონდა გარკვეულ პერიოდში ლიტერატურის განვითარებისათვის. კერძოდ, მეტად მნიშვნელოვანია ის წვლილი, რაც ლიტერატურისა და საერთოდ აზროვნების განვითარების საქმეში შეიტანეს მებრძოლი, პროგრესული რომანტიზმის წარმომადგენლებმა, რომელთა თვალი მიპყრობილი იყო უკეთესი მომავლისაკენ.

როგორც ვხედავთ, რომანტიზმის ცნება მოიცავს მრავალფეროვან მოვლენებს, როგორც რეაქციულს, ასევე პროგრესულს. ამასთან, ყოველი მოვლენა თითოეულ რომანტიკოსთან თავისებურ ასახვას ჰპოვებს. ეს გასაგებიცაა: რომანტიკოსისათვის ამოსავალს

<sup>1</sup> ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, ტ. 2. გვ. 313.

წარმოდგენს საკუთარი „მე“, რომელიც მისი წარმოდგენით თვითონ ქმნის რეალობას და არ არის დამოკიდებული გარემო სინამდვილისაგან. ამიტომაც, რომ ძნელდება ზუსტი ლოგიკური განმარტება მოენახოს იმ ლიტერატურულ მიმართულებას, რომელსაც თავიანთი შემოქმედებით ეკუთვნოდნენ ბაირონი და შატობრიანი, ლერმონტოვი და ლეოპარდი, ბარათაშვილი და ტიკი, მიცკევიჩი და ნოვალისი...

ცხადია, მკვლევარები, რომლებიც სტილური, თუ რომელიმე მსგავსი ნიშნით ცდილობდნენ რომანტიზმის განსაზღვრებას, ვერ მოგვეცემდნენ დამაჯერებელ განმარტებას. მათი შეცდომის წყაროა იდეალისტური ესთეტიკა, რომლის მიხედვით ლიტერატურულ სტილს საერთო არაფერი აქვს ცხოვრებასთან, მოწყვეტილია სოციალურ-ეკონომიური ხასიათის მოვლენებს და ეყრდნობა მხოლოდ დამოუკიდებელ კანონზომიერებას. ივიწყებენ რა, რომ ეს კანონზომიერება შედგება სოციალურ-ეკონომიურ მოვლენათა განვითარებისა, ისინი ანგარიშს არ უწევენ იმ უდავო ფაქტს, რომ სულიერი წარმოება მატერიალური წარმოების შესაბამისია.

იდეალისტური ესთეტიკის მიმდევრებს, რა თქმა უნდა, არ შეეძლოთ შეენიშნათ და გაერჩიათ რომანტიზმში ორი სახეობა: რეაქციული და პროგრესული, რის გარეშე შეუძლებელია რომანტიზმზე სწორი შეხედულების შექმნა.

\* \* \*

რომანტიზმის განვითარება ევროპაში მჭიდროდ იყო დაკავშირებული XIX საუკუნის პირველი მეოთხედის საზოგადოებრივ მოძრაობათა იდეოლოგიასთან. პირველყოვლისა, ასეთი მოძრაობა იყო ნაპოლეონის წინააღმდეგ მიმართული ომები, რომლის შესახებ კ. მარქსი ამბობდა: „Все войны за независимость, которые в то время велись против Франции, носили двойственный характер: возрождения и реакции в одно и то же время“<sup>1</sup>.

რომანტიზმი აღმოცენდა დამოუკიდებლად როგორც რუსეთში, ისე საფრანგეთში, გერმანიაში, ინგლისში და სხვაგან. ამასთან, ყოველი ქვეყნის ლიტერატურაში მან მიიღო თავისებური სახე, შეეზარდა ნაციონალური ლიტერატურის ტრადიციებს და ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობის შესაბამისად განვითარებულ გონებრივსა და სულიერ განწყობილებებს. ამიტომაც, რომ მეცნიერული სიზუსტისათვის ჩვენ ვმსჯელობთ „რუსულ რომან-

<sup>1</sup> К. Маркс и Ф. Энгельс. Соч., т. X, стр. 726.

ტიზმზე“, „გერმანულ რომანტიზმზე“, „ფრანგულ რომანტიზმზე“ და სხვ.

მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ რომანტიზმმა ცალკეული ქვეყნის ლიტერატურაში თავისებური ხასიათი მიიღო, მაინც არის საერთო ხაზები, რომლებიც ერთმანეთთან ანათესავენ სხვადასხვა ქვეყნის რომანტიკულ სკოლებს. ამ საერთო და მსგავს ხასიათს ქმნის ის, რომ რომანტიზმში გამოვლენას პოულობს ცხოვრების სინამდვილით უკმაყოფილო საზოგადოების განწყობილებები.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, განსხვავებულ პირობებში მოუხდა განვითარება ქართულ რომანტიზმს. რომანტიზმის აღმოცენებას ქართულ ლიტერატურაში ხელი შეუწყო არა მარტო სოციალური ხასიათის ძვრებმა, არა მარტო გაბატონებული კლასის ეკონომიურმა დაქვეითებამ, არამედ, უმთავრესად, ქვეყნის პოლიტიკურმა ცხოვრებამ, რომელიც ხანგრძლივი, განუწყვეტელი და უთანასწორო ბრძოლების შემდეგ იმით დამთავრდა, რომ საქართველომ დაჰკარგა დამოუკიდებელი არსებობის შესაძლებლობა.

და არა მარტო თავისებურ სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებაში, არამედ განსხვავებულ ლიტერატურულ ნიადაგზეც მოუხდა ქართულ რომანტიზმს აღმოცენება, რამაც იმთავითვე განსაზღვრა მისი თავისებურებანი.

ქართული რომანტიზმი აღმოცენდა არა როგორც რეაქცია წინა ლიტერატურული მიმართულებისა (ქართული ლიტერატურა არც იცნობს კლასიციზმს), არა როგორც პოეტური „მე“-ს განთავისუფლებისათვის მებრძოლი ლიტერატურული მიმდინარეობა (ქართულ პოეტურ თეორიას არასოდეს მოუმწყვდევია პოეტის „მე“ ვიწრო ჩარჩოებში), არამედ როგორც სამშობლოს მწარე ბედით ჩაფიქრებულ ადამიანთა სულიერი ტკივილების გამოხატულება.

თუ ვეროპულ ლიტერატურაში, გარკვეულ ეპოქაში, კლასიციისტური რეგლამენტაციები ბატონობდა და პოეტებს დოგმები ანტიკური ეპოქისაკენ ერეკებოდა, ქართველი მწერლები ამ მხრივ თავისუფალნი იყვნენ: წერდნენ მასზე, რასაც საკუთარი ფანტაზია უკარნახებდათ.

ქართული ლიტერატურა ასცდა „კლასიციისტურ წესრიგს“, თუმცა თავისებურ „კლასიციზმს“ ჩვენშიც ჰქონდა ადგილი: საუკუნეების განმავლობაში ბატონობდა რუსთაველის მიერ საპატიო კვარცხლებეზე აყვანილი ეპოსი, თექვსმეტმარცვლოვანი შაირი, პროლოგებილოგის გარკვეული წესით გამოყენება.

მე 17 საუკუნის გამოჩენილი პოეტი არჩილი პოეტად არ ჰვლიდა მას, ვინც რუსთაველს ვერ ბაძავდა, ვინც ვერ წერდა „გრძლად“ (ე. ი. პოემებს) და ვერ იყენებდა „შაირს“. საკმაოდ რო გახდა საჭირო იმისათვის, რომ ეპოსის გვერდით ლირიკასაც ავტორიტეტი მოეპოვებია.

ამავე პერიოდში დაიწერა მ. ბარათაშვილის „ქაშნიკიც“, რომლის მიზანი იყო გარკვეულობა და ერთგვარი წესრიგი შეეტანა ქართულ პოეტურ ხელოვნებაში, მაგრამ იგი შორს იყო დოგმების მნიშვნელობის მქონე ტრაქტატის პრეტენზიებისაგან. ამაზე მიუთითებს თუნდაც ის, რომ „ქაშნიკის“ მოძღვრების პირველი დამრღვევი თვით მისი ავტორი იყო თავის პრაქტიკულ პოეტურ მოღვაწეობაში.

ერთი სიტყვით, ქართული „კლასიციზმი“ გულისხმობდა ძველი ქართული კლასიკური ლიტერატურისადმი, კერძოდ, მისი სახელოვანი წარმომადგენლის — რუსთაველისადმი მიბაძვას. ხოლო რუსთაველის ესთეტიკა პრინციპულად გამორიცხავს პოეტური „მე“-ს შეზღუდვას, გონებისა და გრძნობის აშკარა დაპირისპირებასა და სხვა.

მთავარი მიზეზი, რამაც ხელი შეუშალა კლასიციზმის აღმოცენებასა და განვითარებას ქართულ ლიტერატურაში, ეს იყო ის, რომ ქართულ სახელმწიფოებრივ წყობას არასოდეს არ მიუღწევია აბსოლუტური მონარქიზმისათვის. თანაც, ქართული ლიტერატურა, ძირითადად, მოკლებული იყო რუსულ და ევროპულ ლიტერატურასთან კავშირს.

მართალია, რომანტიზმს ქართულ ლიტერატურაში წინ არ უსწორებდა არც სენტიმენტალიზმი, მაგრამ მას მაინც ძალზე პოხიერი ნიჟადაგი დახვდა ლიტერატურაში. შეიძლება ითქვას, რომ ის, რაც რუსულ და ევროპულ ლიტერატურაში სენტიმენტალიზმმა მოუშინა რომანტიზმს, ქართულ ლიტერატურაში აღოჩინების პერიოდის მწერლებმა გააკეთეს.

კერძოდ, „ადგილობრივი კოლორიტი“, „გულწრფელობა და ბუნებრივობა“, ნაციონალური თემატიკა და ნაციონალურ გმირთა იდეალიზაცია, თანაც მღურვა სოფლისადმი და მწუხარება ადამიანის არარაობის გამო, რომელსაც შემდეგ რომანტიკოსები უფრო ღრმად და სრულად იძლევიან თავიანთ შემოქმედებაში, მე-18 საუკუნისათვის უკვე უფლებამოპოვებულია ქართულ ლიტერატურაში. ამასთან, წინა რიგზეა წამოწეული ძლიერი პიროვნების კულტი და ბუნების სურათების აღწერა პოეტის პესიმისტურ განწყობილებებთან უშუალო კავშირში; უცხო არ იყო აგრეთვე გაგება

სიყვარულის გრძნობისა, — როგორც სევდის დამავიწყებელი სა-  
შუალებისა.

ამიტომ, რომ ქართველ რომანტიკოსთა შემოქმედებაში  
ჭარბად შეინიშნება აღორძინების პერიოდის მწერლობისათვის და-  
მახასიათებელი მოტივები, თემატიკა და თვით მხატვრული ინ-  
ვენტარი.

იმ ობიექტურმა მიზეზებმა, რომლებმაც განაპირობეს რომან-  
ტიზმის აღმოცენება და განვითარება ქართულ ლიტერატურაში,  
თავიდანვე განსაზღვრეს ქართველ რომანტიკოსთა შემოქმედების  
ძირითადი მოტივიც; ეს იყო ეროვნული მოტივი, კერძოდ, იმდრო-  
ინდელი პოლიტიკური ორიენტაციის გაგება და შეფასება. ამიტომ,  
ქართველ რომანტიკოსთა მსოფლმხედველობის პროგრესული და რე-  
აქციული ბუნების შესახებ სრულიად სამართლიანად ვმსჯელობთ  
იმის მიხედვით, თუ როგორაა მათ მიერ გაგებული და შეფასებული  
ქართველი ხალხის ნება და ქვეშაობი გადაწყვეტილება — დიდ  
რუს ხალხთან სამუდამო მეგობრობის შესახებ.

ვინაიდან, რომანტიზმს ქართულ ლიტერატურაში საფუძვლად  
დაედო პოლიტიკური რომანტიზმი და თავიდან ძნელდებოდა რთუ-  
ლი ისტორიული მოვლენების სწორი გათვალისწინება, განვითარ-  
ების პირველ ეტაპზე ქართული რომანტიზმი შედარებით რეაქ-  
ციული ხასიათისაა. მაგრამ მე-19 საუკუნის 30-იანი წლების შე-  
ზღდეგ რომანტიკოსთა შემოქმედებაში თანდათან მართებულად იქნა  
შეფასებული ის ისტორიულად სწორი და გამართლებული გზა,  
რომელსაც მტკიცედ დაადგა ქართველი ხალხი.

ქართული რომანტიზმის რეაქციული ხასიათი მისი განვითარ-  
ების პირველ ეტაპზე გამოწვეული იყო იმითაც, რომ ამ მიმარ-  
თულების წარმომადგენლები ამავე დროს იყვნენ მაღალი ფეოდალური  
არისტოკრატიისა და სამეფო დინასტიის წარმომადგენლებიც.  
ამასთან, რუსეთთან შეერთების პირველ წლებში, გასაგები მიზე-  
ზების გამო, ქართველი ხალხის პირველი „სტუმრები“ მეფის ბიუ-  
როკრატი მოხელეები იყვნენ, რომელნიც ერთნაირად აუტანელნი  
იყვნენ რუსი და ქართველი ხალხისათვის.

სულ სხვა მდგომარეობაა 30-იანი წლებიდან, როცა უშუალო  
კავშირი დამყარდა რუსი ხალხის ნამდვილ წარმომადგენლებსა და  
ქართველ ხალხს შორის. ქართველ რომანტიკოსთა მიერ რუსეთთან  
საქართველოს შეერთების პროგრესული მნიშვნელობის სწორად  
გაგების საქმეში გარკვეული როლი შეასრულეს სახელმწიფოებრივმა.  
მოწინავე რუსმა მოღვაწეებმაც, რომლებსაც ახლოს გაეცნენ  
და დაუმეგობრდნენ ჩვენი მწერლები. შემთხვევითი არაა ის, რომ



ალ. ჭავჭავაძემ და ნ. ბარათაშვილმა პირველმა უმღერეს რუსეთ-თან მკიდრო კულტურულ ურთიერთობას და მაღალი შეფასება მისცეს ერეკლე მეორის მიერ გადადგმულ ნაბიჯს, რაც ქართველი ხალხის სურვილს გამოხატავდა.

ქართული რომანტიზმი გარკვეულად განსხვავდება ევროპული რომანტიზმისაგან. ევროპული რომანტიზმი, კერძოდ, გერმანული რომანტიზმი, გაცილებით რეაქციული ხასიათისაა, მისი პოეტური თეორია ემყარება მეთვრამეტე საუკუნის დასასრულისა და მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისის გერმანულ იდეალისტურ ფილოსოფიას. მისი დამახასიათებელი ნიშანი იყო სინამდვილისაგან გაიშვანა, უკიდურესი მისტიციზმი და ლტოლვა ირეალური სამყაროსაკენ.

ქართული რომანტიზმი, რომელიც არ ღალატობდა ქართული ლიტერატურის მრავალსაუკუნოვან ეროვნულ ტრადიციებს, თავის ძირითად მოტივად პატრიოტიზმს სახავდა.

ქართული რომანტიზმისათვის, მსგავსად რუსული რომანტიზმისა, არაა დამახასიათებელი თანამედროვე ცხოვრების ყოველი მონაცემის ხელალებით უარყოფა, უკიდურესი პასიობა, რაც რეაქციულ რომანტიზმს ახასიათებდა საერთოდ. ქართული რომანტიზმი არ წარმოდგენდა გონების კულტისადმი დაპირისპირებულ მწვავე რეაქციას, არ მოუწოდებდა საზოგადოებას პასიობისაკენ, ცხოვრებაზე ხელის აღებისაკენ.

მაგრამ ქართული რომანტიზმი არ გვევლინება ერთ მთლიან ნაკადად. მასში იმთავითვე გამოვლინდა ორი სახეობა: პროგრესული, — მებრძოლი და რეაქციული, — პასიური.

რეაქციული ფრთის წარმომადგენლები უარყოფითად ახასიათებდნენ საქართველოს რუსეთთან შეერთებას, ოცნებობდნენ ძველი პრივილეგიების დაბრუნებაზე, აიდეალებდნენ წარსულს და სრულიად არათერს ამბობდნენ იმ დადებით მოვლენებზე, რომლებიც საქართველოს რუსეთთან შეერთებას მოჰყვა. სამაგიეროდ, პროგრესული ფრთის წარმომადგენლები ხაზს უსვამდნენ საქართველოს რუსეთთან შეერთების პროგრესულ მნიშვნელობას, ასხვავებდნენ ერთმანეთისაგან ჩამორჩენილ და მოწინავე რუსეთს, კიცხავდნენ მეფის რუსეთის ბიუროკრატ მოხელეებს და მადლიერების გრძობით აფასებდნენ რუს ხალხთან და მის საუკეთესო შვილებთან მეგობრობას. ასევე საგრძნობლად განსხვავდებოდა მათი შეხედულებები სოციალურ და სხვა ძირითად საკითხებშიც.

ქართული რომანტიზმის ბოლოთქმა იყო ცხოვრების, სოციალის სიყვარული, ცდა და ზრუნვა უკეთესი მომავლისათვის.

პისი მოწინავე წარმომადგენლები, ილაშქრებდნენ რა მიუღებელი სინამდვილის წინააღმდეგ, თავიანთ შემოქმედებას ამდიდრებდნენ სოციალური, მოქალაქეობრივი მოტივებით, უკეთესი მომავლისათვის ბრძოლის იდეებით. ამის გამოა, რომ ქართულმა რეალისტურმა ლიტერატურამ, მისმა სახელოვანმა წარმომადგენლებმა — ი. ჭავჭავაძემ, ა. წერეთელმა, ვაჟა-ფშაველამ და სხვ. ქართველ რომანტიკოსთა შემოქმედებაში ბევრი სასარგებლო და მისაღები აზრები და შეხედულებები ამოიკითხეს.

მაგრამ, სანამ კონკრეტულად მივეთიფებდეთ რეალიზმის ელემენტებზე ქართველ რომანტიკოსთა შემოქმედებაში, საკიროდ მიგვაჩნია მოკლედ მაინც აღვნიშნოთ რეალისტური ნაკადის არსებობის შესახებ ძველ ქართულ ლიტერატურაში, რაც შემდეგ თავისებურად გაითვალისწინეს და გამოიყენეს რომანტიკოსებმა.

გარკვეული მიზეზების გამო, რეალისტური ნაკადი ქართულ მწერლობაში დასაბამიდანვე აშკარა და წამყვანი მნიშვნელობის მქონე იყო. როგორც ცნობილია, ძველი ქართული ლიტერატურის პირველადი პერიოდი (V—X ს. ს.), ძირითადად, მდიდარი ჰაგიოგრაფიული მწერლობითაა წარჩოდგენილი. მწერლობის წინაშე მაშინ იდგა ამოცანა: ხელი შეეწყო ქრისტიანიზმის დანკვიდრებისა და გავრცელებისათვის საქართველოში; ქების ობიექტად და მისაბამ მაგალითად გაესადა ისინი, ვინც სიცოცხლეს სწირავდა ქრისტიანობას, ან ცოდნასა და ენერჯიას არ ზოგავდა მის გასაფრთხილებლად. ასეთი მიმართულება ლიტერატურისა იმ დროს უშუალოდ იყო დაკავშირებული პატრიოტულ გრძნობასთან, — ბრძოლასთან სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის.

საქმე იმაშია, რომ იმ დროისათვის საქართველო წარმომადგენდა სპარსეთისა და არაბეთის თავდასხმების ობიექტს. მაჰმადიანური სარწმუნოების შიმდეგარი აგრესორები კი, ყველა სხვა საშუალებასთან ერთად, მიმართავდნენ მეტად საშიშ ხერხს: მოყიდვით, თუ იძულებით ცდილობდნენ თავიანთ სარწმუნოებაზე გადაეყვანათ ქართველობა, კერძოდ ის პირნი, რომლებიც გარკვეულ როლს თამაშობდნენ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ამით ისინი იძენდნენ საიმედო დასაყრდენს მოწინააღმდეგის ზურგში და ემუქრებოდნენ მის ეროვნულ დამოუკიდებლობას.

ამგვარად, ცხოვრების სინამდვილემ ქართული ლიტერატურის წინაშე მაშინ გარკვეული ამოცანა დააყენა. ხოლო ამ ამოცანის განხორციელების მიზნით მწერლობამ ხელი მიჰყო არა ქრისტიანიზმის შესახებ ზოგად მსჯელობას, არამედ — ნამ-

დვილად მომხდარი კონკრეტული მოვლენების მძაფრ მხატვრულ ფორმებში ასახვას. მწერლობა მკითხველს აცნობდა პატრიოტ თანამემამულეთა მიერ ჩადენილ ისეთ საგმირო ამბებს, როცა ისინი მსხვერპლად ეწირებოდნენ, მაგრამ თავიანთ სარწმუნოებას მაინც არ ღალატობდნენ და მტერს არ ახარებდნენ. უმეტესობა ამ წამებულებისა, რომელთა თავგადასავალს აღწერდა მწერლობა, ნანდვილად ისტორიული პიროვნებები იყვნენ. მართალია, მათ სათავგადასავლო ამბების თხრობაში ადგილი აქვს გადაჭარბებასა და „სასწაულმოქმედებას“, მაგრამ მაინც ბევრია მათში ნამდვილად მომხდარი.

რეალისტური ნაკადი ასევე აშკარად შეინიშნება ძველი კლასიკური ქართული საერო ლიტერატურის ძეგლებშიც (XI—XII ს. ს.). მაგრამ საერო ლიტერატურის წარმომადგენლები მხატვრული ასახვის უფრო სხვა საშუალებებს მიმართავენ, კერძოდ, ისინი განსაკუთრებულ დაინტერესებას აღარ იჩენენ პერსონაჟების ნაციონალური თვალსაზრისით შერჩევის საქმეში. პირიქით, ხშირად ნაწარმოებში აღწერილი მოქმედება საგანგებოდ გადააქვთ უცხო ქვეყნებში. ისინი უფრო მეტად დაინტერესებულნი არიან ზოგად-ადამიანური მორალით, რომელიც ყველას მოეთხოვება, დამოუკიდებლად ეროვნული წარმოშობისა. მაგრამ, სამაგიეროდ ყურადღების ცენტრში აყენებენ კლასობრივ ინტერესებს. ეს იგრძნობა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“, მ. ხონელის „ამირან-დარეჯანიანში“ და სხვ. ყოველივე ეს შესაფერი ეპოქის ხასიათით იყო გამოწვეული.

ამ პერიოდის მწერლობისათვის დამახასიათებელია ე. წ. მხატვრული გამოგონება, რაც სრულიად არ ეწინააღმდეგება სინამდვილის ასახვის ინტერესებს. მაგრამ ამავე პერიოდში იქმნება ისეთი ნაწარმოებნიც, რომელთა მიზანია გამოჩენილ პიროვნებათა (მეტწილად მეფეთა) ღვაწლის ჩვენება („თამარიანი“, „აბდულმესია“). თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ რეალისტური პრინციპების დაცვის მხრივ ისინი დიდად ვერ უსწრებენ იმ ნაწარმოებებს, რომლებშიც, როგორც აღვნიშნე, კონკრეტულ-ისტორიული მოვლენების აღწერასთან არ გვაქვს საქმე.

პროფ. ა. ბარამიძის სამართლიანი თქმით, „რეალიზმის ელემენტები უხვად მოიპოვება ძველ-ქართულ აგიოგრაფიულ მწერლობაში, რეალიზმის ელემენტები გააჩნია აპოკრიფული ჟანრის საექლესიო ძეგლებს... ჰიმნოგრაფიას და საექლესიო მწერლობის სხვა-

დარგებს. მით უფრო ძლიერია რეალისტური ნაკადი XII საუკუნის ქართულ საერო მწერლობაში<sup>1</sup>.

მომდევნო პერიოდში, საგრძნობლად გაძლიერდა ზღაპრული და უცხო ამბების გალექსვა, მოხეტიალე სიუჟეტების დამუშავება. რაც საგანგებო მსჯელობის საგნად გახადეს მე 17 საუკუნის მოწინავე მწერლებმა. ამ მხრივ ყველაზე მეტად არჩილმა ისახელა თავი.

მე-17 საუკუნის გამოჩენილი მწერალი არჩილი, რომელსაც ყველაზე დიდ ავტორიტეტად, სამართლიანად, რუსთაველი მიაჩნია, მკაცრ ბრძოლას უცხადებს მონაქორი და უცხო ამბების გამლექსავთ. ამ მხრივ, იგი არ ინდობს თვით რუსთაველსაც და საყვედურობს კიდევაც. განსაკუთრებით მკაცრად ესხმის იგი თავს თეიმურაზ პირველს, როგორც უცხო სიუჟეტების დამუშავების გამო, ასევე სამწერლო ენის სპარსიზმებით დატვირთვისათვის.

არჩილის ესთეტიკური მოთხოვნები მოკლედ ასე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ: 1. ნაციონალური თემატიკის წინა რიგზე წამოწევა, 2. ნამდვილად მომხდარი ამბების აღწერა და ნამდვილად არსებული პერსონაჟების ასახვა ნაწარმოებში, 3. ენის სიწმინდის დაცვა.

ნაციონალური თემატიკის დამუშავების საქმეში არჩილს წინ უსწრებს თეიმურაზ პირველი (მხედველობაში გვაქვს მისი პოემა — „ქეთევანიანი“), მაგრამ ამ თემატიკის გაბატონება და მისი თეორიული დასაბუთება უდავოდ არჩილის დამსახურებაა. არჩილის „თეიმურაზიანი“ ავტორის ესთეტიკურ შეხედულებათა მხატვრული განსახიერებაა. არჩილმა დიდი ზომიერებით ასახა მისი თანამედროვე ისტორიული მოვლენები. მთელი პირდაპირობით შეეხო ვ ამოჩენილ პირთა როგორც დამსახურებას, ასევე ჩრდილოვან მხარეებს. ამ მხრივ საყურადღებოა მის მიერ ქეთევან დედოფლის, თეიმურაზ პირველის, ლუარსაბ მეფის, გიორგი სააკაძისა და ზურაბ ერისთავის მოცემული დახასიათებანი.

არჩილი მთელი სიმკვეთრით აყენებს „ზოგთ ქებისა და ზოგთ ძაგების“ პრინციპს. ამაშია მისი სიძლიერეც.

არჩილი პირველია, რომელიც თავის დროის გამოჩენილ ადამიანთა კრიტიკულ შეფასებას ახდენს. ამავე პოზიციაზე დგას იგი საზოგადოებრივი მოვლენების ასახვის დროსაც.

<sup>1</sup> ალ. ბარამიძე. რეალისტური ნაკადის შესახებ XVII—XVIII საუკუნეების ქართულ ლიტერატურაში. იხ. საქ. სსრ მეც. აკადემიის რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის შრომები — „ლიტერატურული ძიებანი“, 1955 წ., ტ IX, გვ. 110.

არჩილისათვის ერთნაირად მიუღებელია როგორც „სპარსთა ნაქორი“ ამბავი, ასევე სპარსიზმებით დანაგვიანება ქართული ენისა, რაშიც იგი ბრალსა სდებს თეიმურაზ პირველს. არჩილი თავის „მაჯამაში“ საგანგებოდ შენიშნავს: „მითქვამს ქართულის ენითა, სხვა ენა არ ურევიაო“.

ასეთმა გარემოებამ საფუძველი მისცა ძველი ქართული ლიტერატურის ცნობილ მკვლევარს პროფ. კ. კეკელიძეს ეთქვა: „არჩილი ძველ ქართულ ლიტერატურაში ნაციონალური და რეალისტური მიმართულების მკვეთრი წარმომადგენელია“<sup>1</sup>.

არჩილის ესთეტიკა გაიზიარეს მისმა თანამედროვე და მომდევნო პერიოდის მწერლებმა: ფეშანგიმ, იოსებ თბილელმა, დ. გურამიშვილმა და სხვ. ფეშანგი, მსგავსად არჩილისა, რუსთაველსა და თეიმურაზს საყვედურობს, რომ მათ „აქეს უცხონი — ინდო და არაბელია“. თავისი პოეტური შემოქმედებით ფეშანგი ამჟღავნებს თანამედროვეობისა და თანამედროვეთადმი კრიტიკულ დამოკიდებულებას. მან არ დაინდო თვით ბაგრატიონები — საქართველოს სამეფო ტახტის მემკვიდრენი.

რეალიზმის ტენდენციების გაძლიერების საქმეში მნიშვნელოვანა წვლილი შეიტანა სულხან ორბელიანმაც თავისი ნაწარმოებებით „სიბრძნე-სიცრუისა“. „სიბრძნე სიცრუისა“ წარმოადგენს მწერლის თანამედროვე ცხოვრების ბევრი მანკიერი მხარის მაღალი პოეტური ოსტატობით გამომწვანების საუკეთესო ნიმუშს. ს. ორბელიანმა მკვეთრად მოიმარჯვა სატირა და იუმორი სახელმწიფოს მმართველ წრეებში გაბატონებული დესპოტიზმის, ქიშპობის, მლიქვნელობისა და ანგაზების გასაკიცხად. მეტად საყურადღებო ფაქტია ისიც, რომ მისი ნაწარმოების დადებით გმირს წარმოადგენს უბრალო ხალხის წარმოადგენელი, რომელიც დახატულია სასახლის გარშემო მყოფი წრის წარმომადგენლებთან შეპირისპირების ფონზე.

მაგრამ არჩილის მიერ წამოყენებული „მართლის თქმის“ პრინციპი ყველაზე უფრო ღრმად და მაღალმხატვრულ ფორმებში დ. გურამიშვილმა განახორციელა. მისი „ქართლის ჭირი“ ამის უდავო დამადასტურებელია.

დ. გურამიშვილის რეალისტური ხედვის სიძლიერე იმაში მდგომარეობს, რომ ის არ კმაყოფილდება მოვლენის დადებითი თუ უარყოფითი მხარის აღნიშვნით. იგი ყოველთვის იმას ცდილობს, რომ ჩასწვდეს ისტორიული მოვლენების ობიექტურ მიზეზებს.

<sup>1</sup> კ. კეკელიძე. ძველი ქართული მწერლობის ისტორია, 1953 წ., ტ. II, გვ. 480.

შან სააშკარაოზე გამოიტანა იმდროინდელი საქართველოს ფეოდალური პარტიკულარიზმი და მართლაც სწორად გაიგო „ქართლის ქირი“.

დ. გურამიშვილს მართლის თქმა თავისი პოეტური მოღვაწეობის დევიზად აქვს: „მართალს ვიტყვი, შვეიქმნები ტყუილისა მოამბე რად“, — აცხადებს იგი.

რეალისტური ასახვის ტენდენციები აშკარად იგრძნობა ი. ბაგრატიონის „კალმასობაშიც.“

ამიტომ, როგორც პროფ. ალ. ბარამიძე აღნიშნავს, „შეცდომა არ იქნება, თუ ამ ჯგუფის პოეტებს (და საზოგადოდ მწერლებს) ჩვენ ვუწოდებთ აღრეული ქართული რეალიზმის წარმომადგენლებს“<sup>1</sup>.

და რაც ჩვენთვის უფრო საინტერესოა, ქართველი რომანტიკოსები, რომლებმაც უხვად ისარგებლეს წინა პერიოდის ლიტერატურული ტრადიციებით, საგრძნობლად არიან დაეალებულნი „მართლის თქმის“ მიმდევარ მწერლებისაგან. რაც იმით აიხსნება, რომ ჩვენი რომანტიკოსების მიზნები და ინტერესები მრავალმხრივ ემთხვევა ამ უკანასკნელთა („მართლის მთქმელთა“) მოთხოვნებს მწერლობაში.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ „მართლის თქმის“ მიმდევარი პოეტები არსებული სახელმწიფოებრივი წყობის, ან სოციალური უთანასწორობის წინააღმდეგ მებრძოლნი მანც არ არიან. მათი რეალიზმი შეზღუდულია და მათ მიერ „მართლის თქმას“ მიზნად აქვს არსებული სახელმწიფოებრივი სისტემისა და კლასობრივი ურთიერთობის განმტკიცება. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი მიზნების მიუხედავად, მათ პოეტურ მოღვაწეობას ობიექტურად საწინააღმდეგო შედეგებიც მოჰქონდა.

ჯერ კიდევ ვახტანგ მეექვსემ, რომლის პოეტურ შემოქმედებაშიც პირველად გამოვლინდა რომანტიზმის ელემენტები, ყურადღება გაამახვილა საზოგადოებრივი მოვალეობისადმი ადამიანის დამოკიდებულების შესახებ. მიუხედავად ცხოვრებისადმი პესიმიზტური დამოკიდებულებისა, ვახტანგი ხალხს მოუწოდებდა ღირსეული საქმიანობის შესასრულებლად. მისი თქმით, კაცმა უნდა „მოყვარეთ და ამხანაგთა თავის რიგით რამე არგოს, სახელის ხე საჩრდილობლად წყლისა პირსა რამე დარგოს“.

ვახტანგის მიერ წამოყენებული ეს დევიზი კიდევ უფრო მეტი პრინციპულობით გაიზიარეს ქართული პროგრესული რომანტიზმის შემდგომმა წარმომადგენლებმა.

<sup>1</sup> პროფ. ალ. ბარამიძე. რეალისტური ნაკადის შესახებ XVII—XVIII საუკუნეების ქართულ ლიტერატურაში. იხ. „ლიტერატურული ძიებანი“, ტ. IX.

დიდმა ქართველმა პოეტმა ალ. ჭავჭავაძემ, რომლის სახელთანაც დაკავშირებულია რომანტიზმის როგორც ლიტერატურული მიმართულების გაბატონება ქართულ მწერლობაში, თავისი შეხედულება გამოთქვა მის თანამედროვე ცხოვრების მთელ რიგ მტკივნეულ საკითხებზე.

ჯერ კიდევ ახალგაზრდა პოეტმა ალ. ჭავჭავაძემ, 1804 წელს, მკითხველს ნისცა მეტად საყურადღებო ფილოსოფიური შინაარსის ნაწარმოები — „ახლოთ განჩხრეკილი კაცი“, რომელშიც მკაცრად და გამობილი სოციალური უთანასწორობა. ნაწარმოებში ხაზგასმითაა ნათქვამი, რომ ღარიბი, დაბალი წრის წარმომადგენლები თავისი მძიმე ცხოვრებით უარესს დღეშია, ვინემ კია, რადგან „კია, დაბადებული ფურცელსა ზედა სუნთქავს თავისუფლებით, ხოლო კაცი ვერა სადა ჰპოებს თავისუფალსა ადგილსა“.

ყველაზე მეტი უბედურება, ავტორის აზრით, ისაა რომ ადამიანთა დამონების მიზეზნი არიან „მსგავსნი მისნი“, ხოლო საფუძველი ამ ბოროტებისა არის კერძო საკუთრება: „ჰოი, საკუთრებაო, უბედურო წყარო კაცთა შეძრწუნებისა, შენ არისხებ კაცსა მსგავსისა თვისისა პირისპირ“.

ასეთი მამხილებელი ნაწარმოების შექმნა იმ დროს მეტად მნიშვნელოვან მოვლენად უნდა ჩაითვალოს. ამავე დროს, ალ. ჭავჭავაძე ასეთ იდეებს შემთხვევით არ თანაუგრძნობს. ამაზე მიუთითებს მისი ლექსი — „ვაჰ სოფელსა“, რომელიც პოეტს „ახლოთ განჩხრეკილი კაცის“ ათი წლის შემდეგ დაუწერია.

ლექსში „ვაჰ სოფელსა“ ალ. ჭავჭავაძე მკაცრად ილაშქრებს სოციალური და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ. მაგრამ პოეტის დამსახურება მხოლოდ პროტესტის გამოთქმით არ ამოიწურება. მას ამასთანავე სჯერა, რომ საბოლოო გამარჯვება არაა მტაცებელთა და მჩაგვრელთა მხარეზე, მოვა დრო და ისინი პასუხს აგებენ თავიანთი მოქმედებისათვის.

„რომელნიც ამწარებთ ღარიბთ ცხოვრებას  
და ჰსთხოვთ ურცხვად, უსამართლოდ მონებას,  
მოფლოდეთ მათთან თანასწორობას.

არ მარადის იშვათ

მდაბალთ ჩაგვრით, მტაცებლობით და ხვეპით!

(„ვაჰ სოფელსა ამას...“)

შემოქმედების მეორე პერიოდში, ალ. ჭავჭავაძემ სწორად შეაფასა აგრეთვე საქართველოს რუსეთთან შეერთების პროგრე-

სული მნიშვნელობა და თუ მანამ ყურადღებას მხოლოდ მეფის რუსეთის ბიუროკრატ მოხელეთა აღვირახსნილ მოქმედებაზე ამახვილებდა, შემდეგ უკვე რუსეთთან მკიდრო ურთიერთობის დადებით და სასარგებლო შედეგებზე ლაპარაკობს.

ლექსში „ღიჟ. ვ.“ 1804 წლის აჯანყებაში მონაწილეობას ალ. ჭავჭავაძე ბავშვური შეცდომით ჩადენილ მოქმედებად აფასებს.

ამ მხრივ კიდევ უფრო საყურადღებოა მისი ისტორიული ხასიათის ნაშრომი — „საქართველოს მოკლე ისტორიული ნარკვევი და მდგომარეობა 1801 წლიდან 1831 წლამდე“, — რომელიც დაწერილია 1836—37 წლებში.

„ნარკვევში“ ალ. ჭავჭავაძე ამქლავნებს თავისი ერის ისტორიის კარგ ცოდნას და პოლიტიკურ მოვლენათა სწორი შეფასების უნარს. მისი თქმით, „საქართველოს დამბობის თესლი“ უნდა ვეძიოთ ქვეყნის დაყოფა-დანაწილებაში, რაც ართულებდა და აძნელებდა განუწყვეტელ ომებში გამარჯვებას. „გარეშე მიზეზებზე რომ არა ვთქვათ რა, რამაც საქართველო დაასუსტა. — წერს ალ. ჭავჭავაძე, — მეფის სახლის მრავალრიცხოვან წევრთა ქიშპობა ტახტისა და საუფლისწულო მამულების გამო. მის ირგვლივ ატეხილი დავიდარაბა, საქმარისი იყო საქართველოს უკანასკნელი ძალების გამოსაფიტავადო“.

ალ. ჭავჭავაძე იწონებს ერეკლე მეორისა და გიორგი მეცამეტის პოლიტიკურ ორიენტაციას საქართველოს რუსეთთან შეერთების საკითხში. გიორგიმ, წერს იგი — „მიმართა რუსეთს“ და „არც შემეცდარა არჩევანში“, „მის განზრახვას ხალხიც ერთსულოვნად შეხედაო“. მაგრამ, მისივე თქმით, ზოგიერთი მაინც „საკუთარი სარფიანობით“ სარგებლობდა „მაშინაც კი, როდესაც საქმე ხალხის კეთილდღეობას“ ეხებოდა; კერძოდ, „ქართველი თავადაზნაურობა, გაყოფილი ორ უმთავრეს პარტიად, ამ გზას ადგაო“. ამასთან, პოეტი მკაცრად აკრიტიკებს მეფის რუსეთის ბიუროკრატ-მოხელეებს, უკმაყოფილოა თვით კნორინგით.

ალ. ჭავჭავაძე სწორ შეფასებას აძლევს გლეხთა აჯანყებებსაც, როცა მათ მიზეზებს ეკონომიურ შევიწროებაში და არა პოლიტიკურ მრჩნებში ხედავს.

ალ. ჭავჭავაძე მიუთითებდა იმაზეც, რომ საქართველო არ იყო ზედმეტი ტვირთი რუსეთისათვის. პირველყოვლისა, იგი სასარგებლო და საჭირო იყო, როგორც „ერთადერთი სამხედრო პლაცდარში სპარსეთსა და ოსმალეთზე უშუალო გავლენის მოსახდენად“. ამასთან, ალ. ჭავჭავაძე ყურადღებას ამახვილებს საქართ-



ველოს შიდადარი ბუნებრივი საბადოების გამოყენების შესაძლებლობის შესახებ.

ერთი სიტყვით, აღნიშნული „ნარკვევი“ ალ. ჭავჭავაძეს გვიხატავს რუსეთის ორიენტაციის მომხრედ და ფიზიკური პოლიტიკური ხედვის ადამიანად. ყოველივე ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა იმდროინდელი საზოგადოებრივი აზრის წარმართვისათვის და კერძოდ ლიტერატურისათვის, — მოვლენათა რეალისტური თვალთახედვით შეფასების საქმეში.

ხოლო ლექსში „კავკასია“ რუსეთის ჯარის საქართველოში შემოსვლისა და რუსეთთან კულტურული ურთიერთობის განმტკიცების შესახებ პოეტი ამბობს:

„შეგპრნენ ჩრდილოს ვაშტნი წიალსა გრანიტთასა,  
არ ჰრიდეს ღელეთ სიღრმეს, არც სიმაღლეს მთათასა;  
ფოლადნი, ქვათ მკვეთელნი ათასთა შინა ხელთა,  
ხელოვნებითნი მეხნი, მედგრად მჩენელნი ცეცხლთა  
ჰსცემდენ, ჰგლუჯდენ, ჰუხოდენ, — და კავკასი მკვნესარედ  
ეხოთა მიერ წყლულთა თვისთა ცხად ჰყოფდა მწარედ!  
განიხსნა გზა და ეშვათ ივერელთ სასოება,  
რომე მუნით შევიდეს მათ შორის განათლება.“

(„კავკასია“)

ალ. ჭავჭავაძე მძაფრი სატირით გაუმასპინძლდა მაღალი არისტოკრატის იმ ნაწილს, რომელიც მხოლოდ ქეიფსა და დროსტარებაზე ფიქრობდა, ხოლო ეროვნული ინტერესები მთლიანად დაივიწყეს. მისი „მუხამბაზი ლათაური“ ამ მხრივ ერთ-ერთი საინტერესო სატირაა, რომელიც შემდეგ ილ. ჭავჭავაძემ თავისებურად გადააკეთა და სულ სხვა შინაარსის გადმოსაცემად გამოიყენა.

მრავალი ბრძოლისა და ომის მონაწილეს, ალ. ჭავჭავაძეს მხედველობიდან არ გამოპარვია ომის საშინელებაც. გულადი მხედარი თავის ლექსებში გულისტკივილით აღნიშნავდა ომის უარყოფით გავლენას ცხოვრებაზე. ხაზს უსვამდა მშვიდობიანი ცხოვრების უპირატესობასა და მნიშვნელობას. მისი თქმით, ვისაც ომი არ უნახავს, იგი მშვიდობას სრულად ვერ დააფასებს. მაგრამ პოეტს ესმის ისიც, რომ მტრისადმი ვაჟკაცური დახვედრა სავალდებულო და საჭიროა, რომ ამ მოქალაქეობრივი მოვალეობის პირნათლად მოხდა ძალუძს მას, ვინც გონებით შორს ჰკრეტს, გულით — უშიშარია, მკლავით — უძლვეი.

საერთოდ, ალ. ჭავჭავაძის შემოქმედებას საფუძვლად უდევს პატრიოტული გრძნობა, რომელიც ხშირად მისი ცალკეული ლექსის

თემაა, ხოლო საერთოდ მთელი მისი ლირიკის მასაზრდოვებელი ატმოსფერო.

საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ ალ. ქავჭავაძეს რუსულ, ევროპულ და აღმოსავლურ ენათა საუკეთესო მკოდნეს, არ უთარგმნია თითქმის არც ერთი რომანტიკული შინაარსის ლექსი. თარგმნილი ნაწარმოებებით იგი თავის მოქალაქეობრივ პოეზიას ამდიდრებდა. მან თარგმნა ა. პუშკინის, ა. ოდოევსკის, ვ. ჰიუგოს, ლაფონტენის, ვოლტერის, კორნელის, რასინის და სხვათა ის ნაწარმოებები, რომლებსაც რომანტიზმთან არავითარი კავშირი არ აქვთ და უშუალოდ ეხმაურებიან ცხოვრების მოთხოვნებს.

მდიდარი მოქალაქეობრივი პოეზია დაგვიტოვა ქართული რომანტიზმის დიდმა წარმომადგენელმა გრ. ორბელიანმა, რომელმაც განვლო ხანგრძლივი მოღვაწეობის გზა.

მიუხედავად იმისა, რომ გრ. ორბელიანი არის ქართული რომანტიზმის ტიპური წარმომადგენელი და თავისუფალი არ არის რეაქციული რომანტიზმის რეციდივებისგანაც, მის შემოქმედებაში ქარბად შეინიშნება რეალიზმის ელემენტები. კერძოდ, რეალისტურ ნაწარმოებთა რიცხვს განეკუთვნება მისი მუხამბაზები, რომლებშიც პოეტი იძლევა თბილისელ ყარაჩოღელთა დაქასიათებას, მათი ცხოვრების ცალკეულ სურათებს.

გრ. ორბელიანის მუხამბაზები საგრძნობლად განსხვავდება ბესიკისა და ალ. ქავჭავაძის მუხამბაზებისაგან. თუ ამ უკანასკნელთა მუხამბაზებში გადმოცემულია თვით ავტორთა გრძნობები და განწყობილებები, გრ. ორბელიანის მუხამბაზებში ავტორი სხვათა განცდებისა და თავგადასავლის გადმოცემის როლშია.

გრ. ორბელიანი ქართულ რეალისტურ სკოლას უკავშირდება აგრეთვე ბუნების სურათების ობიექტური აღწერით, სამშობლოსათვის თავდადების იდეით, მეგობრობის გრძნობის მნიშვნელობის მაღალი შეფასებით. თავის მხრივ, გრ. ორბელიანი ვერ ასცდა რეალისტების გავლენას. მისი „მუშა ბოქულაძე“ დაწერილია ი. ქავჭავაძის ლექსის—„მუშას“ გავლენით.

გრ. ორბელიანი კარგად იცნობდა რუსულ მწერლობას და მის სახელოვან წარმომადგენლებს. მას აქვს ბევრი საუკეთესო თარგმნილი ნაწარმოები რუსული ენიდან. მათ შორის ყურადღებას იქცევს რილევის „ნალივაიკოს აღსარების“ გადმოკეთება, რაც პროეტს ბრალდებად წარუყენეს, როცა იგი დაპატიმრებულ იქნა შეთქმულებაში მონაწილეობისათვის.

რეალიზმის ელემენტები ჩვენ გვხვდება სხვა რომანტიკოსთა შემოქმედებაშიც, მაგრამ ყველაზე მეტ ყურადღებას, ამ მხრივაც, გამოიჩინილი პოეტი ნ. ბარათაშვილი იმსახურებს.

შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ ნ. ბარათაშვილმა, ერთი მხრივ, — უმაღლეს წერტილამდე აიყვანა ქართული პროგრესული რომანტიზმი, მეორე მხრივ, მოამზადა საფუძველი რეალიზმისათვის. მისი „ბედი ქართლისა“ საფუძველს იძლევა ვილაპარაკოთ არა მხოლოდ რეალიზმის ელემენტებზე, არამედ უშუალოდ რეალიზმზე ნ. ბარათაშვილის შემოქმედებაში.

ქართული რომანტიზმის ყველაზე მთავარი მოტივის—ეროვნული მოტივის გაშუქებაში ნ. ბარათაშვილი ქეშმარიტად რეალისტი პოეტია.

ნ. ბარათაშვილის შემოქმედება არ იძლევა პერიოდებად მისი დაყოფის საფუძველს. იგი არის ერთადერთი რომანტიკოსი ქართულ ლიტერატურაში, რომელმაც თავიდანვე სწორად გაიგო და შეათვას საქართველოს რუსეთთან შეერთების პროგრესული მნიშვნელობა. ამასთან, აღნიშნულ საკითხს იგი შეეხო ყველაზე უფრო ვრცლად მის თანამედროვე მწერალთაგან. კერძოდ, უშუალოდ ამ თემისადმი მიძღვნილი მისი პოემა „ბედი ქართლისა“ და ლექსი — „საფლავი მეფისა ირაკლისა“ და „სუმბული და მწირი“.

პოემაში „ბედი ქართლისა“ პოეტმა ერთმანეთს დაუპირისპირა ორი საწინააღმდეგო შეხედულება პოლიტიკური ორიენტაციის საკითხში და აშკარად გამოამჟღავნა თავისი სიმპათიები ერეკლე მეორის გადაწყვეტილებისადმი. იგი სწორედ რეალისტისათვის შესაფერი ობიექტურობით გადმოსცემს საწინააღმდეგო შეხედულებათა ავტორების არგუმენტაციას, რომლის დროსაც ცხადი ხდება ერეკლეს პოლიტიკური ნაბიჯის სისწორე და საბუთიანობა. ერეკლე თავის გადაწყვეტილებას დამაჯერებლად ასაბუთებს შექმნილი მდგომარეობის ღრმა ანალიზისა და ცხოვრების ახლო მომავლის გათვალისწინებრს საფუძველზე. იგი მიუთითებს ქართველი ერის ფიზიკურად განადგურების საშიშროებაზე, შინაური და გარეშე მტრების კიდევ უფრო გამოცოცხლების შესაძლებლობაზე. ამასთან საფუძვლიანად ითვალისწინებს, რომ საქართველოს უკეთესი მომავალი მხოლოდ რუსეთთან მჭიდრო ურთიერთობამ უნდა უზრუნველყოს.

სოლომონ ლეონიძის მისამართით პოეტი ერეკლე მეორეს ათქმევინებს:

„აი მივიღებ მე შენთ რჩევათა  
და დავიდუმებ ჩემსა გულსის თქმას;  
ნუ დავიწყებ მაგრამ ჩემს სიტყვას,  
რომ დღეს იქნება, თუ ხვალ იქნება,  
ქართლსა დაიცავს რუსთ ხელმწიფება!“  
(„ბედი ქართლისა“)

ნ. ბარათაშვილი პოემაში გვერდს არ უვლის არც ეროვნული დამოუკიდებლობის დაკარგვის სიმძიმეს, მაგრამ ეს ხელს არ უშლის მას სწორად შეაფასოს შექმნილი ისტორიული მდგომარეობა.

ეროვნული დამოუკიდებლობის დაკარგვის სიმძიმეს შემდეგ პოეტი საგანგებოდ შეეხო ლექსში „სუმბული და მწირი“, მაგრამ მხედველობიდან არ გამოორჩენია არც უალრესად დიდი მნიშვნელობა რუსეთთან მტკიცე კავშირისა. ან იღვას მიუძღვნა მან ლექსი „საფლავი მეფის ირაკლსა“, რომელშიც იგი ასე მიმართავს ერეკლეს:

„თაყვანსუცემ შენსა ნაანდერძებს, წინასწარად თქმულს!  
გახსოვს, სიკვდილის ეამს რომ უთხარ ქართლს დაობლებულს?  
აჰა აღსრულდა ხელმწიფური აწ ახრი შენი,  
და ვსჭამთ ნაყოფსა მისგან ტბილსა აწ შენნი ძენი“.

„აწ არღა ერჩის ქართლის გულსა კასპიის ღელვა,  
ვერღა ურყევს მას განსვენებას მისი აღტყველვა;  
შავის ზღვის ზვირთნი, ნაცვლად ჩვენთა მოსისხლე მტერთა,  
აწ მოგვიგვრიან მრავლის ნხრით ჩვენთა მოძმეთა!“  
(„საფლავი მეფის ირაკლისა“)

მაგრამ არა მარტო ეროვნული მოტივის გაშუქებისას, არამედ ადამიანის რაობასა და დანიშნულებაზე მსჯელობისასაც ნ. ბარათაშვილი გვევლინება პროგრესულად მოაზროვნე მოღვაწედ, რომელიც პესივისტური განწყობილების დროსაც არ ივიწყებს ადამიანის საზოგადოებრივ დანიშნულებას.

მისი თქმით, ადამიანის ვალია იზრუნოს ცხოვრებისათვის:

„მაგრამ რადგანაც კაცნი გვქვიან — შვილნი სოფლისა,  
უნდა კიდევაც მივსდიოთ მას, გვესმას მშობლისა.  
არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს,  
იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნოს!“

(„ფიქრნი მტკარის პირას“)

ლექსში „მერანი“, რომელშიც პოეტი გადმოსცემს თავის შეურიგებლობას ცხოვრების არსებულ პირობებთან და უგზო-უკვლოდ

მიაქროლებს თავის შერანს, წინა რიგზეა დაყენებული საზოგადოებრივისადმი, მომავალი თაობისადმი სამსახური.

მისი თქმით:

„უბრალოდ ხომ მაინც არ ჩაივლის ეს განწირულის სულის კეთება, და გზა უვალი, შენგან თელილი. შერანო ჩემო, მაინც დარჩება; და ჩემს შემდგომად მოძვესა ჩემსა სიძნელე გზისა გაუადვილდეს, და შეუბოვრად მას ჰუნე თვისი შავის ბედის წინ გამოუქროლდეს!“

(„შერანი“)

ძიება უკეთესი მომავლისათვის და საზოგადოებრივი ინტერესების წინ წამოწევა ნ. ბარათაშვილს, ცხადია. ბუნებრივად ხდის ქართველი რეალისტების უახლოეს წინამორბედად.

ამ გარემოებას ხაზგასმით აღნიშნავდნენ სახელოვანი ქართველი მესამოციანელებიც.

მაგრამ ქართველი რომანტიკოსები საფუძვლიანად არ შეხებიან თავიანთ თანამედროვე ცხოვრების სოციალურ-ეკონომიურ მხარეს. ყურადღება არ მიუქცევიათ იმ დიდ სოციალურ ძვრებზე, რომელსაც ადგილი ჰქონდა საქართველოს ეკონომიურ ცხოვრებაში. კერძოდ, არაფერი უთქვამთ ბატონყმური სისტემის უვარგისობისა და მისი მოსპობის აუცილებლობის შესახებ. ამ მიმართულებით ქართული რომანტიზმის ზოგიერთი წარმომადგენელი აშკარა კონსერვატორულ პოზიციასაც იღვა.

ამასთან, ქართველმა რომანტიკოსებმა ვერ შეძლეს გადაეწყვიტათ ქართული სალიტერატურო ენის დემოკრატიზაციის საკითხი. ისინი, მეტწილად, არქაიზმის დამკვიდრებლად გვევლინებიან. ამ გარემოებას ხელი შეუწყო ანტონ კათალიკოსის მიერ დამკვიდრებულმა „სამი სტილის“ თეორიამ, რომელმაც გადაკვეთა ქართული სალიტერატურო ენის განვითარების სწორი გზა, რასაც ჯერ კიდევ სულხან ორბელიანმა და დავით გურამიშვილმა დაუდეს სათავე.

საყურადღებოა ისიც, რომ ქართველ რომანტიკოსთა თხზულებები, რომლებშიც საქმე გვაქვს მოვლენების რეალისტურ ასახვასთან, დაწერილნი არიან შედარებით უფრო სასაუბრო, ხალხური ენით. მაგრამ სამწერლო ენის დემოკრატიზაცია მათ მაინც არ მოუხდენიათ.

თითქმის ყველა იმ ძირითად საკითხს, რომელსაც ქართულმა რომანტიზმმა გვერდი აუარა, ან შესაფერი სისწორითა და სისრულით ვერ წარმოადგინა, ფართოდ ეხმაურებოდა იმ პერიოდის ხალხური შემოქმედება. მე-18 საუკუნის დასასრულისა და მე 19-სა-

უკუნის პირველი ნახევრის ქართული ფოლკლორი მდიდარია სოციალური მოტივებით; ნიჭიერი სახალხო მთქმელები ეხებიან იმ მოვლენებს, რომლებიც უფრო მეტად აწუხებდა ხალხს. მათი კრიტიკის ობიექტებია უკიდურესობამდე გამწვავებული ბატონყმური ურთიერთობა და აღვირახსნილი ნაციონალურ-კოლონიალური ჩაგვრა. ისინი არა მარტო მკაცრად ამხილებენ პარაზიტ მებატონეთა და თავხედ ბიუროკრატ-მოხელეთა „საქმიანობას“, არამედ ხოტბას ასხამენ და მთელი ხალხის სახელით მადლობას უცხადებენ იმ გმირებს, რომლებიც სიკვდილით უსწორდებოდნენ ამ სისხლისმწოველთ.

ამ მხრივ მეტად საინტერესო ნაწარმოებებია: „არეშიძეების ამოწყვეტა“, „ამილახვარი ჩაძაღლდა“, „ბეჟან მიქელაძე და მისი ყმა“, „ძაბრაღე“, „ჯანსულო“, „ბუნტი გურიისში“, ხალხური დრამა — „ჯამუ“ და განსაკუთრებით პოემა „არსენას ლექსი“.

პროფ. ქს. სიხარულიძის სამართლიანი თქმით, „XIX საუკუნის პირველ ნახევარში, კერძოდ, 30-იან წლებში, გამწვავებული ურთიერთობა ბატონსა და ყმას შორის, ყმა-გლეხების აღშფოთება რეალისტურად არის ასახული საქართველოს ყველა კუთხეში გავრცელებულ ხალხურ ნაწარმოებში სახალხო გმირის არსენა ოძელაშვილის შესახებ... „არსენას ლექსში“ გადმოცემულია სახალხო გმირის შეუპოვარი ბრძოლა მრავალგვარი უსამართლობის — ბატონყმობის, ნაციონალური ჩაგვრის, ჩარჩ-ვაჭრობის წინააღმდეგ ოძელაშვილის ღრმა ჰუმანიზმი, მისი ამაგი დაბეჩავებული გლეხებისადმი, ბრძოლა დამპყრობელთა წინააღმდეგ პროფესიულ სახალხო მომღერლებს მარტივად, მაგრამ უშუალოდ და დამაჯერებლად აქვთ გადმოცემული“<sup>1</sup>.

არსენა ოძელაშვილის დევიზი — „მდიდრისათვის წართმევა და ღარიბისათვის მიცემა“ ფართოდ გავრცელდა ფოლკლორში შემდეგ.

„არსენას ლექსი“ შევიდა აზერბაიჯანულ ეპოსში — „გატირ მამედი“. აზერბაიჯანული ფოლკლორი არსენა ოძელაშვილს ხატავს თავისი საყვარელი გმირის გატირ მამედის ამხანაგად, რომლებიც ხშირად ერთად იბრძვიან მშრომელი გლეხობის გასათავისუფლებლად.

საყურადღებო მოვლენაა ისიც, რომ პირველად ფოლკლორში ჰპოვა ასახვა ჩარჩ-ვაჭართა გამოჩენამ ცხოვრების ასპარეზზე. ხალხური მთქმელები რეალისტურად ასახავენ მათ გაიძვერა სახეებსაც.

<sup>1</sup> ქს. სიხარულიძე. ბატონყმობის ასახვა ქართულ ხალხურ სიტყვიერებაში. იხ. „ლიტერატურული ძიებანი“, 1953 წ., ტ. VIII.

ამ პერიოდის ქართული ფოლკლორი არა მარტო თემატიკური მრავალფეროვნებითა და აქტუალობით, არა მარტო იდეური სიმბავილითა და ასახვის რეალისტური მეთოდით იმსახურებს ყურადღებას, არამედ მალალი მხატვრული შესრულებითაც; მდიდარი მხატვრული სახეებით, აფორისტული თქმებითა და ენის სისადავითაც იგი ხდებოდა მდიდარი არსენალი ოფიციალური ლიტერატურისათვის.

მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ანტონ კათალიკოსის მიერ დამკვიდრებულმა „სამი სტილის“ თეორიამ გარკვეულად შეუშალა ხელი ქართველი რომანტიკოსების დაინტერესებას ხალხური შემოქმედებით. ამ მხრივ, წინა პერიოდის ქართულ ლიტერატურაში უფრო მეტი სიახლოვე და ინტერესი შეიმჩნევა. ქართველი რომანტიკოსები, გასაგები მიზეზის გამო, მეტწილად მიმართავენ ქალაქურ ფოლკლორს, რომელიც ძალზე ღარიბი იყო ეპოქის შესატყვისი თემატიკითა და მოტივებით.

ამ გარემოებამაც უსათუოდ შეუწყო ხელი იმ ფაქტს, რომ ქართველი რომანტიკოსები ნაკლებ იყვნენ დაინტერესებულნი მწვავე სოციალური საკითხებით.

ცხოვრების სინამდვილე კი მკაცრად ითხოვდა მწერლობისაგან ყველა ამ საკითხზე პასუხის გაცემას, რაც შემდეგ წარმატებით მოახერხეს ქართველმა რეალისტებმა.

რეალიზმს, როგორც ლიტერატურულ მიმდინარეობას, ქართულ ლიტერატურაში საფუძველი დაედო 40-იან წლებში. მისი საფუძვლის ჩამყრელი იყო გ. ერისთავი, რომელმაც განვლო შემოქმედების რთული გზა. გ. ერისთავს მალე გამოუჩნდნენ ნიჭიერი მიმდევრები, რომელთაგან უფრო მნიშვნელოვან ფიგურებს წარმოადგენენ ზ. ანტონოვი, ლ. არდაზიანი და დ. ქონქაძე.

მაგრამ, როგორც ვნახეთ, რეალისტური ნაკადი ქართულ მწერლობაში დასაბამიდანვე ძლიერი იყო. ეს გარემოება კი საგულისხმოა, რადგან, როგორც პროფ. ლ. ი. ტიმოფეევი ამბობს:

„Реализм, создающий типические характеры, представляет собой продукт сложного исторического развития, постепенного накопления художественного опыта. И каждый шаг на этом пути, сделанный литературой, не может быть определен иначе, как момент в развитии реализма. Типические характеры не сразу появляются в литературе. Они продукт сложного развития, и лишь поняв это развитие, мы правильно поймем и его итоги. Художественный образ как специ-

ფიზიკური ფორმა ხასიათების შექმნამდე რომ მისულიყო რეალიზმმა ქართულ ლიტერატურაში საკმაო გზა განვლო. ამაზე მეტყველებს „არა მარტო აღრეულ მწერალთა, არამედ გ. ერისთავის, ზ. ანტონოვის, ლ. არდაზიანისა და დ. კონჯაძის შემოქმედებაც“<sup>1</sup>.

ტიპური ხასიათების შექმნამდე რომ მისულიყო რეალიზმმა ქართულ ლიტერატურაში საკმაო გზა განვლო. ამაზე მეტყველებს „არა მარტო აღრეულ მწერალთა, არამედ გ. ერისთავის, ზ. ანტონოვის, ლ. არდაზიანისა და დ. კონჯაძის შემოქმედებაც“.

---

<sup>1</sup> Л. И. Тимофеев. Реализм в русской литературе XVIII века. См. сб. „Проблемы реализма в русской литературе XVIII века“.



# კრიტიკული რეალიზმი 40—50-იანი წლების ქართულ ლიტერატურაში და მისი თავისებურებანი

ქართულ ლიტერატურაში რეალიზმის ჩამოყალიბების პროცესისა და მისი თავისებურებების შესწავლა საგანგებო კვლევის საგნად დღემდე არ გამხდარა. მიუხედავად ამისა, ჩვენი ლიტერატურის ისტორიკოსები ყოველთვის მიუთითებენ, რომ გ. ერისთავის შემოქმედებაში თავი იჩინა რეალიზმმა. შენიშნულია ის გარემოებაც, რომ გ. ერისთავის გზას გაჰყვნენ ზ. ანტონოვი, ლ. არდაზიანი, დ. კონქაძე და სხვები<sup>1</sup>.

დასახელებულ მწერალთა შემოქმედებაში რეალიზმის შეუმჩნევლობა, ცხადია, შეუძლებელია, მაგრამ საკითხი დგება ამ რეალიზმის ხასიათის გაგებისა და შეფასების შესახებ; მისი ადგილის შესახებ ქართული კრიტიკული რეალიზმის ისტორიაში. ამ მიმართულებით კი ჩამოყალიბებული და დამაჯერებელი შეხედულება ჯერჯერობით არ მოგვეპოვება. მკვლევარები, რომლებიც ეხებიან 40—50-იანი წლების ქართველ რეალისტთა შემოქმედებას, უმთავრესად, კმაყოფილდებიან იმის აღნიშვნით, რომ ამ პერიოდის ლიტერატურაში თავი იჩინა რეალიზმმა. ამასთან, იგივე ავტორები, ქართველ მესამოციანელთა შემოქმედების დახასიათებისას ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ კრიტიკული რეალიზმის ფუძემდებლები ქართულ ლიტერატურაში იყვნენ ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, გ. წერეთელი და სხვ.

ამგვარად, საქმე გვაქვს გარკვეულ წინააღმდეგობასთან, რასაც თვით ამ შეხედულებათა ავტორებიც გრძნობენ. ამიტომ, 40—50-იანი წლების რეალიზმის გამოსაცალკავებლად მკვლევართა უმეტესობას შემოაქვს ტერმინი — „ადრეული რეალიზმი“, ზოგიერთი კი საერთოდ უარყოფს ამ პერიოდში რეალიზმის როგორც ლიტერატურული მიმდინარეობის ჩამოყალიბებას, რასაც მესამოციან-

<sup>1</sup> იხ. პროფ. ა. ხახანაშვილი. ქართული სიტყვიერების ისტორია, 1913 წ., ტ. II; პროფ. მ. ზანდუკელი. ახალი ქართული ლიტერატურა, 1953 წ., ტ. II; პროფ. შ. რადიანი. ახალი ქართული ლიტერატურა, 1953 წ. და სხვ.

ნელთა დანსახურებად მიიჩნევს. ცხადია, ამ მკვლევართა შეხედულებებში არსებით განსხვავებასთან არ გვაქვს საქმე. ერთნიცა და მეორენიც, საბოლოო ანგარიშში, იმ აზრისა არიან, რომ კრიტიკული რეალიზმი, როგორც მხატვრული მეთოდი, მხოლოდ 60-იანი წლებიდან იქნა მომარჯვებული და დამკვიდრებული. ამდენად, სწორად არ არის დანახული ის ორგანული კავშირი, რომელიც 40—50-იანი და 60-იანი წლების ლიტერატურას შორის არსებობს რეალიზმის გენეზისის თვალსაზრისით. ქართული კრიტიკული რეალიზმის ჩამოყალიბების ასეთი გაგება კი ანალოგიური იქნებოდა იმის. რომ რუსულ ლიტერატურაში კრიტიკული რეალიზმის ისტორია დაგვეწყოს რევოლუციონერ-დემოკრატებიდან და უგულველ-გვეყო მისი არსებობა „ნატურალური სკოლის“ მწერალთა შემოქმედებაში, რაც ვერაფერითარ კრიტიკას ვერ უძღვება.

40—50-იანი წლები ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიაში აღინიშნა მეტად მნიშვნელოვანი მოვლენებით. ესაა პერიოდი, როცა უკვე განვითარება დაიწყო ბურჟუაზიულმა ურთიერთობამ და შესაბამისად ამისა რღვევის გზას დაადგა ფეოდალურ-პატრიარქალური ყოფა. ამ დიდი ეკონომიურ-სოციალური ძვრების ეპოქაში, ცხადია, ლიტერატურა გულგრილი ვერ იქნებოდა არსებითი ხასიათის ცვლილებებისადმი. ცხოვრების სინამდვილე მის წინაშე აყენებდა ახალ და აქტუალურ თემატიკას. თუ ქართველი რომანტიკოსები, ძირითადად, ეროვნულ მოტივს ავითარებენ, სამშობლოს ეროვნული დამოუკიდებლობის დაკარგვით გამოწვეულ სევდა-მწუხარებას გადმოგვცემენ და ახალი პოლიტიკური სიტუაციის შემფასებლად გვევლინებიან, 40—50-იანი წლებიდან მათ უკვე უპირისპირდება მწერალთა გარკვეული ჯგუფი, რომელიც ყურადღების ცენტრში აყენებს იმ სოციალურ-ეკონომიური მნიშვნელობის მოვლენებს, რომლებიც რადიკალურად ცვლიდნენ საზოგადოებრივი ცხოვრების ატმოსფეროს.

მწერალთა ეს ჯგუფი, რომლის მეთაურადაც გ. ერისთავი გვევლინება, მიზნად ისახავს სწორად ასახოს მათი თანამედროვე სოციალური სინამდვილე, მთელი მისი მტკივნეული მხარეებით.

გ. ერისთავი და მისი მიმართულების მიმდევარნი, თითქმის, სრულებით აქცევენ ზურგს რომანტიკოსთა მიერ წინა რიგზე წამოწეულ თემატიკას; ამ მიმართულებით ისინი ჩვენს ლიტერატურაში ახდენენ არსებითი ხასიათის გარდატეხას. მათი მხატვრული ინტერესის საგანს წარმოადგენს მხოლოდ და მხოლოდ თანამედროვე საზოგადოებრივი ცხოვრება, მისი სოციალური ბუნება;

ყოველი სხვა თემა ამ ძირითადი თემის გაშუქების მიზანს ემორჩილება.

ახალი თემატიკის შესატყვისად მათ შემოიტანეს ახალი ენარები (საყოფაცხოვრებო და სოციალურ-პოლიტიკური კომედია, საყოფაცხოვრებო დრამა, სოციალური რომანი, მხატვრული ნარკვევი, სატირა და სხვ.).

გ. ერისთავის, ზ. ანტონოვის, ლ. არდაზიანის, დ. კონქაძის და სხვათა შემოქმედებაში უკვე საქმე გვაქვს ცხოვრების სინამდვილიდან აღებულ ტიპიურ ხასიათებთან. მათ მიერ დახატული ტიპაჟი კონკრეტული ისტორიულ-სოციალური გარემოს უშუალო გამომხატველია. ამ მწერალთა შემოქმედებაში ჩვენ ვეცნობით მდიდარ გალერეას პერსონაჟებისას, რომლებიც მკაცრად განირჩევიან ერთმანეთისაგან თავიანთი სოციალურ-კლასობრივი მდგომარეობით. მათი სახით ჩვენ საქმე გვაქვს არა ქართველ, რუს, სომეხ და სხვა ერთა წარმომადგენლებთან ზოგადად, არამედ ქართველ, რუს, სომეხ თავადთან, ვაჰართან, გლეხთან, მოხელესთან და სხვა.

გ. ერისთავმა და მისმა მიმდევრებმა მოგვცეს მხატვრული სურათი საქართველოს სოციალურ-ეკონომიური ყოფისა 40—50-იან წლებში, როცა ორი მტრული საზოგადოებრივი ურთიერთობა (ფეოდალური და ბურჟუაზიული) უკვე ერთმანეთს დაუპირისპირდა, როცა თავადაზნაურულ-პატრიარქალურ მეურნეობას ხარბი და მტრული თვალით შეხედა ფულის მქონეთა მოდგმამ.

ამგვარად, გ. ერისთავისა და მისი სკოლის მწერალთა შემოქმედებაში ჩვენ საქმე გვაქვს არა მხოლოდ ცალკეული დეტალების სწორად გადმოცემასთან, არამედ ტიპიური ხასიათების ტიპიურ გარემოში ჩვენებასთან და ყოველივე ეს შემთხვევით ხასიათს კი არ ატარებს, არამედ ამ მწერალთა მთავარ მოწოდებას გამოხატავს; მანამდე გაბატონებულ რომანტიკულ მიმართულებას მათ დაუპირისპირეს ახალი ლიტერატურული მიმართულება — კრიტიკული რეალიზმი.

40—50-იანი წლების ქართული ლიტერატურის ღრმად შესწავლა უეჭველსა ხდის იმ გარემოებას, რომ ესაა პერიოდი, როცა რომანტიზმი კრიზისს განიცდის, ხოლო კრიტიკული რეალიზმი — ყალიბდება როგორც წამყვანი მიმდინარეობა.

ცხადია, ეს როდი ნიშნავს იმას, რომ რომანტიზმმა იოლად დაუთმო ასპარეზი კრიტიკულ რეალიზმს და ეს უკანასკნელი იმთავითვე გაბატონებულ მიმართულებად იქცა ჩვენს ლიტერატურაში. 40-იანი წლების დასასრულიდან 60-იანი წლებამდე ეს ორი

ლიტერატურული მიმართულება ბრძოლას აწარმოებს ურთიერთ-შორის. 60-იან წლებამდე ქართული კრიტიკული რეალიზმი კრიზისის გზაზე დამდგარ რომანტიზმთან ბრძოლაში მტკიცდება და ვითარდება. ის მკაცრი ლიტერატურული ბრძოლა, რომელიც 60-იან წლებში გაიშალა ქართულ ლიტერატურაში კონსერვატორ-ლიბერალთა და რევოლუციონერ-დემოკრატთა შორის, იყო ფინალი ადრევე დაწყებული ბრძოლისა.

ქართველმა მესამოციანელებმა, რომლებიც აღიზარდნენ უშუალოდ რუს რევოლუციონერ-დემოკრატთა იდეებზე, უკვე საბოლოოდ ნათელყვეს რომანტიზმის უსუსურობა იმდროინდელი ლიტერატურის წინაშე მდგომი ამოცანების გადაჭრის საქმეში; გამოაშკარავეს რომანტიკული ესთეტიკის ყალბი წინამძღვრები და დაუპირისპირეს მას მატერიალისტური ესთეტიკის იმდროისათვის კეშმარიტი გაგება.

ამგვარად, ქართველ მესამოციანელთა დამსახურებას წარმოადგენს არა დაწყება კრიტიკული რეალიზმის ეპოქისა, არამედ ამ ლიტერატურული მიმართულების საბოლოო გაბატონება და შესაფერი ესთეტიკური მოძღვრების დამუშავება ჩვენი ლიტერატურის სინამდვილეში.

\* \* \*

გ. ერისთავმა თავისი რეალისტური დრამატურგია გასული საუკუნის 40--50-იან წლებში შექმნა. ამიტომ, მისი რეალიზმის დახასიათებისა და შეფასების საქმეში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რა სისრულით გვიჩვენა მწერალმა თავისი თანამედროვე საზოგადოებრივი ცხოვრების ნიშანდობლივი მოვლენები, რომლებიც ამ ეპოქას განასხვავებს როგორც წინა, ასევე მომდევნო პერიოდისაგან.

გ. ერისთავს არ დაუტოვებია კრიტიკულ-პუბლიცისტური წერილები, რომელთა საშუალებით შეიძლებოდა მისი პოლიტიკური ინტერესებისა და ესთეტიკური იდეალების გათვალისწინება; ამის გასარკვევად მხოლოდ და მხოლოდ მის მხატვრულ შემოქმედებას უნდა დავეყრდნოთ. მაგრამ თავის მხატვრულ შემოქმედებაში გ. ერისთავი იმდენად თანმიმდევრულია, რომ ადვილად შეიძლება გავითვალისწინოთ მწერლის კლასობრივი სიმპათიები და მისი შეხედულებაც ლიტერატურისა და მწერლის დანიშნულების შესახებ.

გ. ერისთავისათვის, 40--50-იან წლებში, უდავოდ ძნელი იყო მთლიანად გაეწყვიტა იდეური კავშირი იმ კლასთან, რომლის წარმომადგენელიც თვითონ იყო. მისი კომედიები ნათელს ხდიან, რომ მათი ავტორი არცთუ გულგრილად შეხვედრია მაღალი წოდების დაკნინებასა და გარდუვალ დაღუპვას; მის გულსტიკვილს ისიც აღრმავებს, რომ კარგსა და საიმედოს ვერაფერს ხედავს ახლად ამომავალ კლასში -- ბურჟუაზიაში.

გ. ერისთავისათვის აშკარა იყო, რომ მაღალი წოდება—თავდაზნაურობა უძლური იყო გაეძლო ახალი ცხოვრების დაწოლისათვის; რომ მის უპირატესობას ვეღარ უზრუნველყოფდა ჩამორჩენილი და დრომოკმული ბატონყმური ურთიერთობა. მისი შეხედულებით, ბატონყმური დამოკიდებულება, ერთი მხრივ, არაადამიანურ ყოფაში აგდებდა გლეხობას, მეორე მხრივ, გონებაჩლუნგს, ფუქსავატსა და მოქმედებისათვის უუნაროს ხდიდა თვით მებატონეებს.

ცხოვრების ღრმადმცოდნე მწერლისათვის გასააგები იყო, რომ მომავალი ცხოვრება ბურჟუაზიულ ურთიერთობას ეკუთვნოდა, მაგრამ გრძნობდა იმასაც, რომ არც ამ ურთიერთობას მოჰქონდა ბედნიერება ხალხისათვის. მართალია, იგი მაღალ წოდებას მიუთითებდა ცხოვრების ბურჟუაზიული გზით განვითარების აუცილებლობის შესახებ და შესაფერი დასკვნის გასაკეთებლად უბიძგებდა მას, მაგრამ, დარწმუნებული იყო ბურჟუაზიის (კერძოდ, სავაჭრო ბურჟუაზიის) თვალთმაქცობასა და ვერაგობაშიც. ასეთი მიუღებელი ცხოვრების გაუმჯობესების პირველ და აუცილებელ პირობად გ. ერისთავს მიაჩნდა ბატონყმური ურთიერთობის მოსპობა და სწავლა-განათლების გავრცელება. საყურადღებო ფაქტია ისიც, რომ გ. ერისთავმა ბატონყმობის გადაფარდნამდე გაათავისუფლა თავის ყმები, რითაც მან გლეხობის დიდი სიყვარული და მებატონეთა წყევლა-კრულვა დაიმსახურა.

გ. ერისთავის რეალისტური კომედიოგრაფია სწორედ ასეთი სოციალურ-პოლიტიკური შეხედულების მხატვრულ რეალიზაციას წარმოადგენს.

განვლო რა შემოქმედების რომანტიკული პერიოდი, 40-იანი წლებისათვის გ. ერისთავი მიდის იმ შეხედულებამდე, რომ ლიტერატურის ძირითადი დანიშნულება—ცხოვრების სინამდვილის მხატვრულ ასახვაში მდგომარეობს; ხოლო მწერლის უმთავრესი მოვალეობაა თანამედროვე საზოგადოებრივი ცხოვრების პირუთენელი ასახვა. მწერლის ნიქისა და ფანტაზიის ღირსებად გ. ერისთავს მიაჩნია არა თანამედროვე ცხოვრებისაგან გვერდის ავლა და

მისგან მოწყვეტა საერთოდ, არამედ მისი ღრმა და მთლიანობაში ჩვენება.

გ. ერისთავის ყურადღება, უწინარეს ყოვლისა, მიპყრობილია პრივილეგიური და შეძლებული წოდების ცხოვრებისა და საქმიანობის ჩვენებისაკენ. მწერლის დანიშნულებად მას მიაჩნია ხალხის სისხლითა და ოფლით გაუმაძლარი ადამიანების (მებატონეები, ვაჟრები, სახელმწიფო აპარატის ბიუროკრატი-მოხელეები) ნამდვილი სახის გამოძეღვენება.

გ. ერისთავის კომედიებში ჩვენ ვერ ვხვდებით გლახობის წარმომადგენლებს, მაგრამ მიუხედავად ამისა ყოველთვის აშკარად იგრძნობა, თუ როგორ უმწეო მდგომარეობაში არიან ისინი და ვის მიერ იტანჯებიან. ეს იგრძნობა არა მარტო იმ რეპლიკებიდან, რომლებსაც კომედიის ცალკეული გმირის პირით ვისმენთ, არამედ საერთოდ ამ გმირთა (მებატონე, ვაჟარი, ბიუროკრატი-მოხელე) მთელი მოქმედებიდან და საქმიანობიდან.

გ. ერისთავს თავის კომედიებით მიზნად ჰქონდა სცენაზე გამოყვანა ის, ვინც მოკლებული იყო ადამიანურ ღირსებას, ვინც ცხოვრების მუწუჯად იყო გამხდარი და ხალხის ცხოვრებას ტვირთად აწვა.

გ. ერისთავის შეხედულებით, კომედიის გმირი შეიძლება იყოს მხოლოდ ის, ვინც ჩამორჩენილია, ვინც ცხოვრების ზედმეტ ბარჯად გამხდარა, ვინც იმსახურებს გაიციხვას და სიძულვილს, ვინც მკაცრი დაცინვის ღირსია. მის კომედიებში გამოყვანილი პირები წარმომადგენელი არიან იმ კლასებისა და იმ წოდებებისა, რომლებიც ზიზღს იმსახურებდნენ, და რომელთა მოსპობა დანაკლისი კი არა, შენამატი იქნებოდა საზოგადოებისათვის.

ამიტომ, გ. ერისთავის კომედიათა პერსონაჟებს შორის ჩვენ ვერ ვხვდავთ მშრომელთა წრეებიდან გამოსულ ადამიანებს. თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, დრამატურგი მაინც ახერხებს ნათელი წარმოდგენა შეგვიქმნას მათი მძიმე და აუტანელი ცხოვრების შესახებ.

ბუნებრივია, რომ გ. ერისთავს არ მოუცია არც ერთი დადებითი გმირი ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. და არა მარტო არ მოუცია, არამედ მისი კომედიების იდეური აზრი იმის მაჩვენებელია, რომ გ. ერისთავი ასეთ გმირთა შექმნის შესაძლებლობას იმ დროს თითქმის საერთოდ გამოირიცხავდა. ჩვენი დრამატურგი ხედავდა, რომ იმდროინდელი საზოგადოებრივი ცხოვრება არ იძლეოდა საზრდოს ადამიანთა გონებრივ-მორალური სრულყოფისა და პრაქტიკული გაქანებისათვის. პირიქით, ადამიან-

მიანები, რომლებიც ამ მიმართულებით ერთგვარად წინ წასულან, ვხედავთ, რომ მეტ შინაგან ტრაგედიას განიცდიან, თანაც ბოლოს მაინც იძულებულნი ხდებიან ხელი აიღონ თავიანთ მოწოდებაზე და ცხოვრების ქუქყით გაიმურონ.

ერთი სიტყვით, გ. ერისთავი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ საღი აზრისა და წმინდა გრძნობის მქონეთათვის მაშინდელი საზოგადოებრივი ცხოვრება მკაცრი დედინაცვალი იყო. ანდა როგორ შეიძლება სხვაგვარი ყოფილიყო ის ცხოვრება, რომელსაც თავის ოფიციალურ წარმომადგენლებად ანდუყაფარი და პავლე („გაყრა“), ონოფრე და ამირინდო („დავა“), ანახანუმი და მისი რძლები („შეშლილი“), სარქის კუმუხტოვი, ხარიტონ ვზიატკინი („დავა“), რამაზი („გაყრა“) და მათი მსგავსნი ჰყავდა?!

გ. ერისთავის დრამატურგიის იდეური აზრის პროგრესულობა, პირველყოვლისა, იმაში მდგომარეობს, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების ჩამორჩენილობისა და ბოროტების წყაროს ბატონყმური ურთიერთობის არსებობაში ხედავს. იგი პირველი მწერალია, რომელმაც კრიტიკულად შეხედა თავის თანამედროვე საზოგადოების სოციალურ ყოფას და მოგვცა ამ ყოფის შეუღამა-ზებელი სურათები.

გონებაჩლუნგ, ფუქსაეატ, უუნარო და ცხოვრების ზედმეტ ბარგად ქცეულ მებატონეთა სახეები პირველად ჩვენს ლიტერატურაში გ. ერისთავმა დაგვიხატა. მკითხველში არავითარი ექვი არ ჩება, რომ ბატონყმური ურთიერთობა, რომელსაც თავის „საამაყო“ წარმომადგენლებად ონოფრეები და ამირინდოები („დავა“), ანდუყაფარები და პავლეები („გაყრა“) ჰყავს, უკვე გახრწნის გზაზე დამდგარი, მისი ძალაში დატოვება შეუძლებელია, იგი განწირულია დასაღუჰად. ერთი მხრივ, სწავლა-განათლება, რასაც მაღალ წოდებიდან გამოსული ახალგაზრდები ეწაფებიან, ხოლო, მეორე მხრივ, ბურჟუაზიის გამოჩენა სამოქმედო ასპარეზზე, ბუნებრივად აჩქარებდა ბატონყმური სისტემის რღვევას.

ახალგაზრდა არისტოკრატები — ბეგლარი („შეშლილი“), ივანე („გაყრა“), მიხეილი, ბეგლარი („დავა“), რომელთაც გარკვეული განათლება მიუღიათ და თავიანთი მორალით მაღლა დგანან მშობლებსა და უფროს ძმებზე, შორს არიან იმის ცდისაგან, რომ ალაღვინონ და შეინარჩუნონ მამაპაპეული მეურნეობა; ეს გარემოება მათ საერთოდ არ აფიქრებთ, და თუ ივანე („გაყრა“) ძმებთან „პოლემიკისას“ მეურნეობის მოწყობის შესახებ რაღაც სულელურ გეგმას წარმოადგენს და ყმებთან მამაშვილურ ურთიერთობაზე ოცნებობს, მას ცხოვრების სინამდვილე მაშინვე თავისას მიუზღავს.

იგი იძულებულია დაივიწყოს თავისი ოცნებები და ბურჟუაზიის წარმომადგენელს — მიკირტუმ გასპარიჩს გაუხდეს სიძედ.

ნიჭიერი დრამატურგი ყველასათვის გასაგებს ხდის, რომ ბატონყმური სისტემა დრომოქმული და განწირულია, — ცხოვრებაში ყველაფერი ბურჟუაზიული ურთიერთობის სასარგებლოდ ვითარდება.

გ. ერისთავის რეალიზმის ცხოველმყოფელობა იმაში მდგომარეობს, რომ მას მიზნად აქვს არა ცალკეულ მებატონეთა მახინჯი სახეების ჩვენება, არა მხოლოდ ცხოვრების ცალკეულ მოვლენათა კრიტიკა, არამედ ბატონყმური ურთიერთობის ბოროტებისა და მისი ჩამორჩენილობის გამომზეურება საერთოდ. მის კომედიებში გამოყვანილი მებატონეები გამონაკლისთა წარმომადგენელნი კი არ არიან. არამედ ჭეშმარიტი გამომხატველნი იმდროინდელი სოციალური ურთიერთობისა.

მტკიცებას არ საჭიროებს ის გარემოება, თუ რამდენად შორს იყო სინამდვილისაგან ჩვენი ლიტერატურული კრიტიკა, როცა გ. ერისთავის შესახებ იმ შეხედულებებისა იყო, რომ თითქოს მას „არასოდეს არ მოუწადინებია ბატონყმური ურთიერთობის დახასიათება“<sup>1</sup>. ასევე მცდარია უკანასკნელ დროსაც გამოთქმული მოსაზრება, რომლის მიხედვით „გ. ერისთავი ბატონყმობის წინააღმდეგ ილაშქრებს, მაგრამ არა როგორც ინსტიტუტისა, არამედ მხოლოდ მისი უარყოფითი მხარეების შესწორებისათვის (ხაზი ავტორისაა — დ. გ.), ბატონყმობის ინსტიტუტის შესარბილებლად. შერბილებული ბატონყმობის დატოვების მომხრედ კი — რჩება“<sup>2</sup>.

პირველყოვლისა, გაუგებარია თუ რას ნიშნავს, რომ გ. ერისთავი ილაშქრებს არა ბატონყმური ინსტიტუტის წინააღმდეგ „არამედ მხოლოდ მისი უარყოფითი მხარეების შესწორებისათვის“. განა ბატონყმობას დადებითი მხარეებიც ჰქონდა?! თავი რომ დავანებოთ ყოველივეს, ასეთ მხარეებზე თვითონ გ. ერისთავი ხომ არსად არ ლაპარაკობს?! ნუთუ მხედველობიდან უნდა გავუშვათ, რომ გ. ერისთავს თავის კომედიებში უბრალო მინიშნებაც კი არა აქვს ბატონყმური ურთიერთობის რაიმე დადებით მხარეზე? დასკვნა სწორედ ამ გარემოებიდან და საერთოდ მისი დრამატურგიის ობიექტური აზრიდან გამომდინარე უნდა გავაკეთოთ და არა მწერლის სოციალური წარმოშობის საფუძველზე. ანდა, თუ

<sup>1</sup> ჟ. მახარაძე. ტ. V, გვ. 159.

<sup>2</sup> კროფ. მ. ზანდუელი. ახალი ქართული ლიტერატურა, ტ. II, გვ. 95.



გ. ერისთავი ბატონყმური ინსტიტუტის მომხრეა და მხოლოდ ზოგიერთი (და, რა თქმა უნდა, არა საერთოდ უარყოფითი) მხარეების წინააღმდეგ ილაშქრებს, რაღა აზრი აქვს დებულებას — „გ. ერისთავი ბატონყმობის წინააღმდეგ ილაშქრებსო“. ეს ხომ აშკარა ულოგიკობაა. ის ვინც ბატონყმური ურთიერთობის მხოლოდ „შელამაზებისათვის“ იბრძოდა გასული საუკუნის 40-50-იან წლებში, იგი იყო არა ბატონყმობის წინააღმდეგ მებრძოლი, არამედ მისი ქვეშარიტად ერთგული დამცველი.

მაგრამ საინტერესოა რა მასალის საფუძველზეა გაკეთებული ასეთი დასკვნა? ასეთი მეტად კატეგორიული მოსაზრების წამოსაყენებლად ავტორს ორი „საბუთი“ გააჩნია: 1. ივანესა („გაყრა“) და ბეგლარს („დავა“) ერთგული კამერდინერები ჰყავთ, 2. ივანეს ნატვრა იმის შესახებ, რომ „ჩემმა ყმებმა ისე შემიყვარონ, როგორც ბეგლარმაო“.

ცხადია, გ. ერისთავის ბატონყმობისადმი დამოკიდებულების შესახებ არაფერს ლაპარაკობს აბრამასა („დავა“) და გაბრიელის („გაყრა“) ერთგულება ბეგლარისა და ივანესადმი. ჯერ ერთი ის რომ ბეგლარი და ივანე, როგორც მებატონეები, არ არიან ნაჩვენები; ისინი რუსეთიდან ეს-ეს არის დაბრუნდნენ მხოლოდ, ხოლო სწავლის მისაღებად რუსეთში წასულ არისტოკრატებთან რომ კარგ დამოკიდებულებაში ყოფილაყვნენ მათი კამერდინერები ეს არცთუ ისე მოულოდნელი იყო იმ დროისათვის. ისინი, ცხადია, კმაყოფილნი იყვნენ იმით, რომ მათაც ბევრი რამ საინტერესო ნახეს რუსეთში (ეს აშკარად ჩანს გაბრიელის სიტყვებიდან). განა ასეთივე ერთგული არ იყო, კიდევ უფრო დიდი ხნის მანძილზე, გაბრო დათიკოსი (ი. ქავჭავაძის „გლახის ნაამბობი?“) ნუთუ ამის გამო რეალიზმისადმი ღალატი უნდა დაეწამოთ ი. ქავჭავაძეს და ბატონყმობის დამცველად, თუ შემარბილებლად ვიცნოთ იგი? ეს ხომ ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს.

რაც შეეხება ივანეს („გაყრა“) ოცნებას ყმებისათვის საყვარელ მებატონედ გახდომის შესახებ, ჩვენ უკვე ვთქვით, თუ რა როლს ასრულებს ის კომედიის იდეური აზრის ჩამოყალიბებაში. გ. ერისთავმა ხაზი გაუსვა იმას, რომ ძველი ყაიდის მებატონეები და ივანეს მსგავსი მეოცნებე არისტოკრატები ჩამორჩნენ ცხოვრების მსვლელობას, ისინი ბურჟუაზიის განვითარების მსხვერპლნი არიან.

მაგრამ ჩვენ მაინც ვაყენებთ კითხვას: იგრძნობა თუ არა მაღალი წოდების კრიტიკაში გ. ერისთავის მსოფლმხედველობის სუსტი მხარე? რა თქმა უნდა, იგრძნობა. მხედველობაში გვაქვს

„დავის“ დასასრული, საიდანაც ის აზრი გამოსჰქვივის, რომ თუ თავადაზნაურობა ურთიერთ შორის მორიგდება და ხელს აიღებს მტრობაზე, მაშინ ბურჟუაზია მას ბევრს ვერაფერს დააკლებს. ცხადია, გ. ერისთავი-მოაზროვნე ღრმად ვერ ჩასწვდა ამ მოვლენის სოციალურ საფუძველს.

არჩილის („ძუნწი“) პიროვნებაც, უთუოდ, შელამაზებულად ჰყავს მწერალს წარმოდგენილი. განსხვავებით სხვა თავადებისაგან, რომელთაც გ. ერისთავის კომედიებში ვხედავთ, არჩილი არ შეიძლება მივიჩნიოთ ტიპიურ სახედ, თუმცა მწერალი არც მისი დახატვისას დალატობს ბოლომდე სინამდვილეს და კომედიის ფინალში მაინც ააშკარავებს არჩილის ნამდვილ ბუნებას; არჩილს ალლო არა აქვს აღებული ახალი ცხოვრებისათვის და კვლავ ძველის მოტრფიალეა. ამიტომაც, რომ კარაპეტა ირონიულად დასცინის მას.

გ. ერისთავის კომედიები 40—50-იან წლებში იქმნებოდა. ეს ის დროა, როცა ბატონყმობის გადავარდნის შესახებ ჯერ კიდევ არაფერი ისმოდა. მიუხედავად ამისა, გ. ერისთავმა რეალისტურად ასახა მაშინდელი სოციალური ცხოვრება და გვჩვენა ბატონყმური ინსტიტუტის დრომოკმელობა, ხრწნა და მისი მოსპობის აუცილებლობა.

ბატონყმური ურთიერთობის დახასიათების საქმეში გ. ერისთავი მტკიცედ დგას კრიტიკული რეალიზმის პოზიციებზე. ამ მიმართულებით მას გზას უნათებდა რუსული მწერლობაც. რუსეთში ხანგრძლივმა ყოფნამ და რუსული ლიტერატურის ახლო გაცნობამ ჩვენს დრამატურგზე კეთილშობილური გავლენა მოახდინა. გრიბოედოვი, პუშკინი, ლერმონტოვი, გოგოლი მის საყვარელ მასწავლებლად მოჩანან.

გ. ერისთავი აშკარად ხედავდა არა მარტო ფეოდალურ-პატრიარქალური მეურნეობის რღვევას, არამედ გრძნობდა ბურჟუაზიული ურთიერთობის უეჭველ განვითარებასაც. თავის კომედიებში მას გამოყვანილი ჰყავს ამ ახალი კლასის პირველი წარმომადგენლები. მიკირტუმ ტრდატოვი („გაყრა“), კარაპეტა დაბალოვი („ძუნწი“), ივან და გაბრიელ მინასოვები, ჯიმშერ აკუნინი („წარსული დროების სურათები“) სავაჰრო ბურჟუაზიის ტიპიური წარმომადგენელნი არიან. ისინი უკვე გრძნობენ, რომ მომავალი მათ ეკუთვნით.

გ. ერისთავმა ვაჰრის ტიპი პირველად „გაყრაში“ გვიჩვენა. მიკირტუმ გასპარიჩის სახით. მიკირტუმი გაიძვერა მევახშეა, იგი ახერხებს დიდებულებების ოჯახს თანდათანობით დიდი ვალი-

დაატეხოს თავს, ბოლოს კი მეოცნებე ფრანტს თავის ნებაზე ამოქმედებს.

მაგრამ მიკირტუმი ჯერ კიდევ სუსტია. იგი მაინც უწევს ანგარიშს იმას, რომ ივანე თავადია და ცდილობს თავისი ქალი მას მიათხოვოს.

სამაგიეროდ, სულ სხვა სურათი იშლება ჩვენს წინაშე „ძუნწი“. კარაპეტა დაბალოვი, რომელსაც ბევრი ოქრო ეგულება თავის ზანდუკში, ახლოსაც არ იკარებს თავად არჩილ ლაზნელს, რომელსაც მისი ასულის შერთვა გადაუწყვეტია. კარაპეტა სასიძოდ ეძებს თავის მსგავს ვაჟარს და არა თავადს.

კარაპეტა დაბალოვის სახით გ. ერისთავი გვიხატავს პირველდამგროვებლის ტიპს, რომელიც ძუნწის კემნარითი განსახიერებაა. ძუნწის ტიპი, ცხადია, ახალი მოვლენა არ ყოფილა ლიტერატურისათვის, მაგრამ გ. ერისთავის ძუნწი არაა ადრე შექმნილი სახეების უბრალო განმეორება, იგი იმდროინდელი თბილისელი ვაჟარის, ჩვენს სინამდვილეში წარმოშობილი ძუნწი პირველდამგროვებლის განსახიერებაა.

მაგრამ, ცხადია, კარაპეტა დაბალოვები დიდხანს ვერ დარჩებოდნენ კარჩაკეტილნი, ცხოვრება მათგან ითხოვდა მეტ აქტიუობას, დაგროვილი ფულის მოძრაობაში გაშვებას და ვაჟრობის ფართოდ გაშლას. ასეთ ვაჟართა ტიპები კი გ. ერისთავმა გაგვაცნო თავის უკანასკნელ კომედიაში („წარსული დროების სურათები“). ივანე და გაბრიელ მინასოვები, ჯიმშერ აკუნიანცი ალარ გვანან მიკირტუმ გასპარიჩსა და კარაპეტა დაბალოვს; ისინი ვაჟრობის ფართოდ ასპარეზზე არიან გამოსულნი და წარმატებით ეწევიან ალებ-მიცემობას.

ამგვარად, გ. ერისთავმა თავის კომედიებში პირველმა გვიჩვენა სავაჟრო ბურჟუაზიის სამოქმედო ასპარეზზე გამოჩენა და მისი თანდათანობით გაძლიერება გასული საუკუნის 50-იან წლებში.

მაგრამ გ. ერისთავი სიმპათიურად არ უცქერის არც ბურჟუაზიის წარმომადგენლებს: მათში იგი ხედავს ხალხის მყვლეფელ, გაიძვერა და გარყვნილ ადამიანებს.

გ. ერისთავი სატირით უმასპინძლდება არა მარტო დეგრადაციის გზაზე დამდგარ თავადაზნაურობას, რომელიც ბატონყმური ურთიერთობის მოტრფიალედ რჩებოდა, არა მარტო მორალურად დაბალ საფეხურზე მდგომ ბურჟუაზიას, არამედ სახელმწიფო აპარატის ბიუროკრატ-მოხელეებსაც. ამ უკანასკნელთა „საგმირო საქმეებისა“ და ამორალური სახეების ჩვენებითაა დაინტე-

რესებული გ. ერისთავი ყველა თავის კომედიაში, განსაკუთრებით კი — „დავაში“.

გასაგებია, რომ ასეთ მოხელეთა შემჩნევა იმ დროს არცთუ ძნელი საქმე იყო. გ. ერისთავის დამსახურება მხოლოდ ის არის, რომ ამ ბიუროკრატ მოხელეთა მოქმედება მან შეაფასა, როგორც მაშინდელი სახელმწიფო მართვა-გამგეობის სისტემის ლოგიკური შედეგი და მთელი გაბედულებით ამხილა იგი.

საგულისხმო დეტალია ისიც, რომ „დავის“ წარმოდგენაში გ. ერისთავმა, როგორც თეატრის ხელმძღვანელმა, მონაწილეობა მიაღებინა მეფისნაცვლის კანცელარიის თანამშრომლებს, რომლებმაც, მართალია, ადვილად განასახიერეს მექრთამე ჩინოვნიკთა როლები, მაგრამ შემდეგ დიდხანს ნანობდნენ<sup>1</sup>.

გ. ერისთავის კომედიებში არცთუ იშვიათადაა წარმოდგენილი მსახურთა სახეებიც, მაგრამ მწერალი ნაკლებად არის დაინტერესებული მათი სოციალური ბუნებით. მას ისინი მეტწილად კომედიათა სიუჟეტური განვითარებისათვის ესაჭიროება მხოლოდ.

არ გამოჰყავს რა თავის კომედიებში მშრომელი ხალხის ნამდვილი წარმომადგენლები, გ. ერისთავი არც დადებით გმირებს გვიჩვენებს, მაგრამ მას შეეძლო გოგოლის მსგავსად ეთქვა: — ჩემი კომედიების დადებითი გმირი — სიცილიაო.

დადებითი გმირის არარსებობა გ. ერისთავის კომედიებში იმას არ მოწმობს, რომ მათ ავტორს არ ჰქონდა დადებითი იდეალი. ასეთი იდეალის გარეშე მას არ შეეძლო მკაცრი კრიტიკა მიემართა მის თანამედროვე სოციალური სინამდვილისა და გადაგვარებული სახელმწიფო აპარატისადმი. ეს იდეალი ემყარებოდა უკეთესი მომავლის იმ ჯანსაღ რწმენას, რომელიც გ. ერისთავს უადვილებდა ცხოვრების მახინჯი მხარეების დანახვასა და მის დამაჯერებელ კრიტიკას.

გ. ერისთავმა დრამატურგთა მთელი სკოლა შექმნა. მისი გავლენა აშკარად ატყვია აგრეთვე მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის თითქმის ყველა ქართველ დრამატურგს. ჩვენი თეატრების რეპერტუარიდან დღემდე არ გასულან გ. ერისთავის კომედიები. ყოველივე ეს მაჩვენებელია იმისა, რომ გ. ერისთავი არა მარტო კარგად იცნობდა ცხოვრებას, არამედ ფლობდა მისი ასახვისათვის საჭირო მხატვრულ ხერხებსაც.

<sup>1</sup> Журн. „Русская старина“, 1884, Апрель, стр. 137—138.

ერთ-ერთი მთავარი მიზეზი. რამაც თავიდანვე დიდი წარმატება მოუტანა გ. ერისთავის კომედიებს, ეს იყო ტიპიური სახეების ჩვენება.

გ. ერისთავი დაჯილდოებული იყო ტიპიური ხასიათების შექმნის ნიჭით, — ფლობდა სახის გამახვილების ტექნიკას. მისი კომედიების პერსონაჟთა დიდი უმეტესობა ტიპებია. იმდროინდელი მებატონეების ტიპიური სახეებია: ამირინდო, ონოფრე („დავა“), ანდრუაფარი, პავლე, ასევე კნენინა მაკრინე („გაყრა“); პირველდამგროვებელ-ვაჟართა ტიპიური სახეებია: მიკირტუმ გასპარიჩი („გაყრა“) და კარაპეტა დაბალოვი („ძუნწი“).

გ. ერისთავის ფხიზელი რეალისტური ხედვის მაჩვენებელია განსაკუთრებით ის, რომ იგი ადვილად ამჩნევდა იმ ახალ მოვლენებსა და სახეებს, რომლებსაც ხშირად ვერ შეხვდებოდით, მაგრამ მთელი სისრულითა და სიმახვილით გამოხატავდნენ იმდროინდელი სოციალური ძალის არსს. სხვა შემთხვევაში მას არ შეეძლო შეექმნა არა მარტო მაშინდელ ვაჟართა ტიპიური სახეები, არამედ არ შეეძლო მოეცა განათლებულ, მაგრამ ცხოვრების პრაქტიკულ ცოდნას მოკლებულ მეოცნებე არისტოკრატთა ტიპიური სახეებიც, რომლებიც ჩვენს სინამდვილეში ის-ის იყო გამოჩნდნენ. ასეთებია, მაგალითად, ბეგლარი („შეშლილი“, „დავა“) და ივანე („გაყრა“). ესენი სწორედ ის ახალგაზრდა არისტოკრატებია, რომლებმაც რუსეთში მიიღეს მეტად ზერელე ცოდნა და სამშობლოში დაბრუნების შემდეგ უმწეონი აღმოჩნდნენ სათავეში ჩადგომოდნენ რაიმე სერიოზულ საქმეს. ამიტომაც, ძველმა თაობამ მათ ირონიულად „თერგდალეული“ და „რუსეთუმეები“ უწოდა<sup>1</sup>.

რეალიზმის, როგორც მხატვრული მეთოდის, მომარჯვებამ, გ. ერისთავი ბუნებრივად მიიყვანა სამწერლო ენის გამარტივების აუცილებლობამდე.

როგორც ცნობილია, ახალი ქართული სალიტერატურო ენა ჩაისახა ჯერ კიდევ მეთორმეტე საუკუნეში და მეთვრამეტე საუკუნისათვის მისი ჩამოყალიბება თითქმის დამთავრდა<sup>2</sup>. მაგრამ მე 18 საუკუნის მეორე ნახევრიდან, ანტონ კათალიკოსის მიერ ქართულ ლიტერატურაში გაბატონებული სამი სტილის თეორიის წყალობით, შეწყდა ქართული სალიტერატურო ენის დემოკრატი-

<sup>1</sup> ტერმინები: „თერგდალეული“ და „რუსეთუმე“ ადრეც გამოუყენებიათ ჩვენში, მაგრამ მათი დამკვიდრება ლიტერატურაში გ. ერისთავის კომედიებით იწყება. 60-იანი წლებიდან „თერგდალეულმა“ უკვე სხვა შინაარსი მიიღო.

<sup>2</sup> არნ. ჩიქობავა. ქართული ენის ზოგადი დახასიათება. იხ. „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“, ტ. 1.

ზაციის პროცესი და გაბატონდა სქოლასტიკურ-რიტორიკული ქარგონით დამძიმებული არქაულ-მწიგნობრული ენა.

რეალისტური მხატვრული მეთოდი და მის შესატყვისად გაგებული გმირთა ტიპიზაციის პრობლემა გ. ერისთავს აიძულებდა უარი ეთქვა ძველ, მწიგნობრულ ენაზე და ნაწარმოების გმირები აემეტყველებინა თავიანთი ენით. ასეთი მიდგომის წუალობით, გ. ერისთავმა შეძლო ეჩვენებინა, რომ ბურჟუაზიამ თავისი ჯარგონით წაბილწა ქართული ენა; რომ ბარბარიზმებისა და დიალექტიზმების უადგილო და გადაჭარბებული ხმარება ანაგვიანებდა ენას და სასაცილოს ხდიდა ასეთ ენაზე მეტყველთ. მაგრამ იმის გამო, რომ გ. ერისთავის გმირები წარმომადგენლები იყვნენ იმ კლასებისა და იმ ფენებისა, რომლებიც მართლაც ბილწავდნენ ქართულ ენას, მისი კომედიებიც გადაიტვირთა ჯარგონითა და დიალექტიზმებით. ამ მიმართულებითაც, დადებითი გმირის როლს მის კომედიებში მხოლოდ სიცილი ასრულებს.

არქაული ენისადმი გ. ერისთავის ასეთმა დამოკიდებულებამ, ბუნებრივია, შეაშფოთა კონსერვატორული ბანაკის წარმომადგენლები. ალ. ორბელიანმა მკაცრი პოლემიკა გაუშართა პლ. იოსელიანს, რომლის შეხედულებით გ. ერისთავმა „დაბადა ენა ქართული ახლისა გუარისა მწერლობისათვის“.

ალ. ორბელიანი წუხდა დავიწყებას არ მისცემოდა სამი სტილის თეორია. მართალია, ასეთივე აზრის იყო პლ. იოსელიანიც, მაგრამ მისი ნათქვამი სწორად ვერ გაიგო ალ. ორბელიანმა. პლ. იოსელიანმა გ. ერისთავის ენა მიიჩნია მხოლოდ კომედიების („ახალი გუარის მწერლობის“) შესაფერისად, რაც სამი სტილის თეორიას სრულიადაც არ ეწინააღმდეგებოდა.

მართალია, გ. ერისთავმა თავის კომედიებით ვერ შეძლო ქართული სალიტერატურო ენის აღდგენის საქმე პრაქტიკულად გადაეწყვიტა, მაგრამ საზოგადოებრივ აზრს უთუოდ მისცა ბიძგი ამ მიმართულებით. ესეც, ცხადია, დიდი მნიშვნელობის მოვლენა იყო იმ დროისათვის.

როგორც ვხედავთ, გ. ერისთავმა განვლო სამწერლო მოღვაწეობის დიდი და რთული გზა. 40-იანი წლების დასაწყისში მან თითქმის საბოლოოდ დააღწია თავი რომანტიზმს და თავისი მახვილი სატირებით ჩვენს ლიტერატურას მოევლინა როგორც ნამდვილი რეალისტი. სატირებს მოჰყვა კომედიები და ყველასათვის აშკარა გახდა, რომ გ. ერისთავმა დაიწყო ახალი ეპოქა ქართულ ლიტერატურაში.

გ. ერისთავის სატირები და კომედიები ხელნაწერების სახით ვრცელდებოდა და ხელიდან ხელში გადადიოდა, რაც იმას მოწმობს, რომ მკითხველმა საზოგადოებამ მათში თავისი სულიერი საზრდო იპოვა. გ. ერისთავის გავლენა და პოპულარობა განსაკუთრებით 50-იანი წლებიდან გაიზარდა, როცა მისი კომედიები უკვე სცენაზე წარმოადგინეს. მაყურებელთა აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა. ქართული თეატრისა და გ. ერისთავის კომედიათა წარმატების შესახებ თბილისის მაცხოვრებელნი წერილებით ატყობინებდნენ შორს მყოფ ნათესავებსა და მეგობრებს, უგზავნიდნენ აფიშებსაც. შამილის წინააღმდეგ მებრძოლი, სარდალი და პოეტი გრ. ორბელიანი დაღესტნიდან თბილისში ემუდარებოდა ძმას — გაეგზავნა მისთვის გ. ერისთავის კომედია. ამავდროულად კომედიის („გაყრა“) წარმოდგენის ამბავს მიუღწევია აკაკი წერეთლის მშობლიურ სოფელამდეც და მომავალ პოეტს ერთ-ერთი პირველი ლიტერატურული ცდა მისი გავლენით შეუსრულებია. მაშინდელ მაყურებელთა და მკითხველთა აღფრთოვანების შესახებ საინტერესო ცნობებს გვაწვდის პ. უმიკაშვილიც<sup>1</sup>.

გ. ერისთავის კომედიათა ასეთი არნახული წარმატების მიზეზი, ცხადია, ის იყო, რომ მათში მკითხველმა თავისი ცხოვრება დაინახა და ახლო ნაცნობნი, თუ საკუთარი თავი იცნო. გასაგებია, რომ ეს კომედიები ყველაში სიხარულს როდი იწვევდა. ბევრს თავიანთი აღშფოთებაც ვერ დაუმალავს მაღალი წოდების მკაცრი მხილების გამო. დაუწყიათ იმ პირთა კონკრეტული დასახელებაც, ვინც გ. ერისთავს შეიძლებოდა მხედველობაში ჰყოლოდა თავისი კომედიების დაწერისას. საყურადღებოა, რომ ამ პროტოტიპთა დადგენაში ერთსულოვნება არ სუფევდა არც მწერლის თანამედროვეთა შორის. ესეც იმაზე მიუთითებს, რომ გ. ერისთავი კარგად ფლობდა ტიპიური ხასიათის შექმნის მხატვრულ ტექნიკას.

მაგრამ გ. ერისთავის რეალისტური კომედიოგრაფიის გამოცხადების სიძლიერის გასათვალისწინებლად ჩვენ კიდევ უფრო უდავო და მეტი მნიშვნელობის საბუთი გავგაჩნია. ესაა მასშტაბი იმ გავლენისა, რომელიც გ. ერისთავის შემოქმედებამ იმდროინდელ ლიტერატურაზე მოახდინა.

გ. ერისთავს მწერლობაში მაშინვე გამოუჩნდნენ მოწაფეები და მიმდევრები, რომლებმაც მთელი სკოლა შექმნეს ჩვენს ლიტერატურაში; მის გარშემო დაირაზმენ შემდეგ ცნობილი დრამა-

<sup>1</sup> ჟურნალი „კრებული“, 1873, № 8—9; გაზეთი „ივერია“, 1899, № 209.

ტურგები: ზ. ანტონოვი, გ. ჯაფარიძე, გ. დვანაძე, ა. მეიფარიანი და სხვები, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს გ. ერისთავის რეალისტური დრამატურგიის ტრადიციების განმტკიცება-გამდიდრების საქმეში. ორიგინალური თუ თარგმნილი და გადმოკეთებული ნაწარმოებებით მათ ძალა შემატეს გ. ერისთავის მიერ ჩვენს ლიტერატურაში საიმედოდ საფუძველჩაყრილ მიმართულებას — კრიტიკულ რეალიზმს.

ორი მხატვრული მეთოდი, ორი ლიტერატურული მიმართულება — (რომანტიზმი და კრიტიკული რეალიზმი), ასეთია ის გზები, რომლებიც 40—50-იანი წლების ქართულ მწერლობას ორ ბანაკად ჰყოფს.

გ. ერისთავისა და მისი მიმართულების მწერალთა გამარჯვება და პოპულარობა აფიქრებდათ დეკადენტური რომანტიზმის წარმომადგენლებს. მართალია, მათ გაუძნელდათ აშკარად ეთქვათ ამის შესახებ, მაგრამ ერთადერთი ჟურნალის — „ცისკრის“ ფურცლებზე ისინი რეალიზმის წარმომადგენლებს უპირისპირდებოდნენ თავიანთი შემოქმედების ხასიათით.

ცხადია, ამ მიმართულებათა გამარჯვება-დამარცხების საკითხს, პირველყოვლისა, თვით ცხოვრების სინამდვილე წყვეტდა. მაგრამ ბევრი იყო დამოკიდებული იმაზეც, თუ როგორი ნიჭის პატრონი ამოუდგებოდნენ მხარში გ. ერისთავს. ამ მხრივ კი მეტ ყურადღებას ზურაბ ანტონოვი იმსახურებდა.

სამწერლო ასპარეზზე გამოსვლისათვის ზ. ანტონოვს ბიძგი მისცა გ. ერისთავის კომედიებმა და გ. ერისთავის თეატრმა, მაგრამ მან, როგორც დრამატურგმა, ნიჭიერად გააგრძელა და გააღრმავა თავისი მასწავლებელი.

ი. ჭავჭავაძის სამართლიანი შეფასებით, გაჰყვა რა თავისი მასწავლებლის მიერ დაწყებულ გზას, ზ. ანტონოვმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა რეალისტური დრამატურგიის განვითარების საქმეში.

როგორც აღნიშნული გვაქვს, გ. ერისთავის ორიგინალური დრამატურგია მხოლოდ კომედიებითაა წარმოდგენილი. ჩვენთვის ცნობილია ისიც, თუ რა შეხედულებისა იყო გ. ერისთავი კომედიის თემატიკისა და პერსონაჟთა შესახებ.

ზ. ანტონოვის ერთ-ერთი დამსახურება ისაა, რომ მან საჭიროდ მიიჩნია კომედიაში გამოეყვანა მშრომელი ხალხის — გლეხობის წარმომადგენლები, რათა მკითხველს თუ მაყურებელს უშუალოდ განეცადა მათი მძიმე, არაადამიანური ცხოვრება. ამ მხრივ საყურადღებოა მისი კომედიები: „მზის დაბნელება საქართველოში“ და „ტივით მოგზაურობა ლიტერატორთა“.



გარდა ამისა, ზ. ანტონოვმა დაწერა საყოფაცხოვრებო დრამა — „ქორწილი ხევსურთა“ და გმირული დრამა „ქოროლლი“. ამით მას მეტი შესაძლებლობა მიეცა ეჩვენებინა დაბალი ხალხის ცხოვრება და ხალხის ინტერესთა დამცველი გმირის სახე.

„ქორწილი ხევსურთა“ პირველი რეალისტური ნაწარმოებია ქართულ ლიტერატურაში, რომელიც მიედღვნა დაბალი ხალხის ცხოვრების, მათი ზნე-ჩვეულებების ჩვენებას.

უაღრესად საყურადღებო მოვლენა იყო „ქოროლლიც“. ამ დრამის წყალობით ქართული თეატრის სცენაზე უკვე გაიღვინა ჩაგრული და დამონებული ხალხის დამცველი გმირის სახემ; ქართველმა მკითხველმა პირველად და მკუხხარედ დაუკრა ტაში ხალხის საყვარელ გმირს, რომელიც მდიდარს ართმევდა და ღარიბს აძლევდა. ქოროლლში ჩვენმა ხალხმა ბევრი რამ დაინახა ისეთი, რაც მას აგონებდა სახალხო გმირ არსენა ოძელაშვილს, რომელსაც არცთუ დიდი ხნის წინ გამოემშვიდობა.

თუ გ. ერისთავმა თავის კომედიებით უმთავრესად ისინი გაგვაცნო, ვინც ხალხს სძულდა, ზ. ანტონოვმა გვიჩვენა ხალხი და ისიც — ვინც ხალხს უყვარდა; ამით ზ. ანტონოვმა საწყისი მისცა დადებითი გმირის ჩვენებას ქართულ სცენაზე. „ქოროლლი“ ამის უტყუარი საბუთია. ხოლო დრამით — „ქორწილი ხევსურთა“ მან აშკარად დაანახა მკითხველსა და მკითხველს ის სამყარო, სადაც ასეთ გმირთა მოძებნა შეუძლებოდა.

მაგრამ ზ. ანტონოვის დრამატურგია მხოლოდ ამით არ ამოიწურება. მასში წარმოდგენილია იმდროინდელი ჩვენი ცხოვრების ის მხარეებიც, რომლისადმი ინტერესი პირველად გ. ერისთავმა გააღვიძა. კერძოდ, ზ. ანტონოვი დაინტერესებულია ასახოს დევრადაციის გზაზე დამდგარი მაღალი წოდებისა და სამოღვაწეო ასპარეზზე ახალგაზოგული სავაქრო ბურჟუაზიის ყოფაცხოვრება.

ზ. ანტონოვი, მართალია, ვაქრის ოჯახში იყო აღზრდილი, მაგრამ ის კარგად იცნობდა არა მარტო ვაქართა, არამედ თავადაზნაურთა ცხოვრებასაც. თუმცა, აშკარად იგრძნობა იხიც, რომ მას ვაქართა სახეების გამოკვეთა და მათი მოქმედებაში ჩვენება უფრო ეხერხება.

ზ. ანტონოვის კომედიების („მზის დაბნელება საქართველოში“, „ტივით მოგზაურობა ლიტერატორთა“, „მე მინდა კნეინა გავხდე“ და სხვ.) შესწავლას იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ თავადაზნაურობისა და სავაქრო ბურჟუაზიის შესახებ ზ. ანტონოვს ისეთივე შეხედულება ჰქონდა, როგორც გ. ერისთავს. ისიც კრიტიკულად იყო

განწყობილი როგორც ერთის, ისე მეორის მიმართ. ორივე მათგანში იგი ხედავდა მშრომელი ხალხის მტრებს და გადაგვარებულ ადამიანებს.

თავადაზნაურობა ზ. ანტონოვის კომედიებში შედარებით მკრთალადაა წარმოდგენილი, ვინემ გ. ერისთავის კომედიებში, მაგრამ მისი შეფასების საქმეში მათ შორის არავითარი განსხვავება არაა. თავადები და აზნაურები: გოგია გაუყრელაძე („ტივით მოგზაურობა ლიტერატორთა“), ინდო შერმანიძე, ზაალ პინტრიშიძე („მზის დაბნელება საქართველოში“), დავით სერაშიძე („მე მინდა კნენა გავხდე“) ზ. ანტონოვს ნაჩვენები ჰყავს როგორც განწირული კლასის წარმომადგენლები, რომლებიც ყოველმხრივ ჩამორჩენილან ახალ ცხოვრებას და სასაცილონი გამხდარან. თავიანთი მძიმე ეკონომიური მდგომარეობის გამოსწორებას ისინი მხოლოდ ყმა-გლეხობის გაძლიერებული ექსპლოატაციით ფიქრობენ, მაგრამ ამ უკანასკნელთაც უკვე აღარაფერი გააჩნიათ.

რაც შეეხება ვაჟრებს, ისინი მეტად წინდახედულად და თვალთმაქცურად მოქმედებენ. ამიტომ, მათი სიძლიერე დღითი დღე მატულობს თავადაზნაურთა და გლეხობის ქონების ხარჯზე. ვალის ასაღებად ვაჟრის კარზე დგანან თავადი, აზნაური და გლეხი. ხოლო თუ როგორი „მეთოდებით“ იძენენ ვაჟრები ფულს, ამას ზ. ანტონოვი უშუალოდ მოქმედებაშიც გვიჩვენებს („ქორწილი ხევსურთა“).

უნდა შევნიშნოთ, რომ ზ. ანტონოვი მეტი იმედით უყურებდა თავადაზნაურთა და ვაჟართა წრიდან გამოსულ სწავლა-განათლება მიღებულ ახალგაზრდებს, ვინემ გ. ერისთავი. ამ მხრივ, საყურადღებო სახეებია: ილიკო გურგენიძე და კეკელა თულუხჩოვი („მე მინდა კნენა გავხდე“), გრიგოლ ჩეშმაკოვი და მარეხ კარაპეტოვი („მზის დაბნელება საქართველოში“).

ზ. ანტონოვის შეხედულებით, სწავლა-განათლების წყალობით თავადაზნაურული და ბურჟუაზიული წრეებიდან გამოსულ ახალგაზრდებში თანდათან ისპობა მათი მშობლებისათვის დამახასიათებელი უარყოფითი თვისებები. ისინი ზურგს აქცევენ წინაპართა ადათ-წესებს და ინტერესებს, მოქმედებენ როგორც განათლებულ ახალგაზრდებს შეფერით. მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ზ. ანტონოვის კომედიებში ეს ახალგაზრდები ზიზღს არ იმსახურებენ და სიმპათიურ ადამიანებად გვევლინებიან, მათ მაინც ბევრი რამ აკლიათ იმისათვის, რომ ამაღლდნენ ნამდვილად დადებით გმირებად. ისინი მოკლებულნი არიან ფართო მოქმედების ასპარეზსა და სერიოზულ საზოგადოებრივ გავლენას.

ზ. ანტონოვი არასიმპათიურადაა განწყობილი სავაქრო ბურ-  
ეუაზიისადმი, მაგრამ გრძნობს, რომ ეკონომიური უპირატესობა მის  
ხელში გადადის და ცხოვრების წამყვან ძალად ხდება. მას სურს.  
ბურჟუაზია და თავადაზნაურობა ერთგვარად მოარიგოს, ერთსაც  
და მეორესაც დაანახოს უარყოფითი მხარეები და შეაგნებინოს  
შეცდომები. ამ მიზნის მისაღწევად კი მას ყველაზე უკეთეს საშუა-  
ლებად სწავლა-განათლების გავრცელება მიაჩნია.

ნიშანდობლივია ისიც, რომ ანტონოვის კომედიებში გამოყვა-  
ნილი სახელმწიფო აპარატის მოხელეებიც ერთმანეთისაგან, პირ-  
ველყოვლისა, თავიანთი განათლების წყალობით განირჩევიან. განა-  
თლებული მოხელეები შედარებით ჰუმანურნი და თავაზიანნი არიან;  
ისინი აღარ ფიქრობენ მოატყუონ და წაგლიჯონ ხალხს. იასამა-  
ნიძისა და ღრებაკოვის სახეები („ტივით მოგზაურობა ლიტერა-  
ტორთა“) ასეთი დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას იძლევიან.  
მაგრამ ისიც აშკარაა, რომ ასეთი მოხელეები გამონაკლისებს წარ-  
მოადგენენ. ამიტომაც, რომ მათ გლეხები მაინც ექვის თვალით  
უყურებენ. დრამატურგი მოქმედებაში გვიჩვენებს, თუ როგორ  
უმოწყალოდ ჩაგრავენ ქვრივ-ობლებს მამასახლისები და გზირები,  
მოურავეები და მათი ხელქვეითნი („ტივით მოგზაურობა ლიტერა-  
ტორთა“, „ქმარი ხუთი ცოლისა“).

ზ. ანტონოვი ყოველთვის ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „ზრდი-  
ლობა და სწავლა უმჯობესი არის ყოველს სიმდიდრეზე“. მაგრამ  
მან ვერ შეძლო იმის ჩვენება, რომ ბატონყმურ საქართველოში  
სწავლა-განათლების მიღების უფლებას და შესაძლებლობას მოკლე-  
ბული იყო დიდი უმრავლესობა, — მთელი მშრონელი ხალხი.

ტიპიურობის თვალსაზრისით, ზ. ანტონოვის კომედიების პერ-  
სონაჟთა შორის ყველაზე უფრო დასრულებული ვაქართა წარმომად-  
გენლებია. კარგადაა გამოკვეთილი კნენიობის მიღებით გატაცებულ  
ვაქრის ქვრივ — ბარბარე თულუხჩოვის სახეც. საერთოდ, ტიპიური  
სახეების შექმნის მხრივ ზ. ანტონოვი, გ. ერისთავთან შედარებით,  
სუსტია. ამ სისუსტის მიზეზი იმაშიც უნდა ვეძიოთ, რომ ზ. ანტო-  
ნოვი მეტწილად „მომავლის“ ადამიანების ჩვენებით იყო გატაცე-  
ბული, ხოლო მომავალი ცხოვრების ხასიათი მისთვის ადვილად  
გასაგები არ იყო. ილიკო გურგენიძე („მე მინდა კნენა გავხდე“)  
და გრიგოლ ჩეშმაკოვი („მზის დაბნელება საქართველოში“)  
ახალი ცხოვრების წინამორბედებად, ცხადია, ვერ გამოდგებო-  
დნენ.

მიუხედავად მთელი რიგი შეზღუდულობისა, ზ. ანტონოვის  
დრამატურგია ახალი ნაბიჯი იყო ქართული კრიტიკული რეალიზმის

განვითარების გზაზე. მან ჩვენი ლიტერატურა გაამდიდრა დემოკრატიზმით და ყურადღების საგნად გახადა მხატვრული ნაწარმოების ხალხურობის საკითხი.

ზ. ანტონოვის დრამატურგიამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ცრუმორწმუნეობის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეშიც. მისი „მზის დაბნელება საქართველოში“ — პირველი სერიოზული სიტყვა იყო ჩვენს მწერლობაში ამ მიმართულებით. ნიჭიერმა დრამატურგმა მკვეთრად აგრძობინა საზოგადოებას, რომ ცრუმორწმუნეობას სწავლა-განათლებას მოკლებული ხალხი ასაზრდოებს მხოლოდ; რომ ცრუმორწმუნეობა ხალხის დამონებისა და დამორჩილების ერთ-ერთი იარაღია.

ზ. ანტონოვს უყურადღებოდ არ დაუტოვებია ჟარგონებით, დიალექტიზმებითა და ბარბარიზმებით ქართული ენის დანაგვიანების ფაქტიც. იგი გამოდის სამწერლო ენის სასაუბრო ენასთან დაახლოების მომხრედ. ამასთან, გარკვეულ უპირატესობას აძლევს ქართულ დიალექტს („ქმარი ხუთი ცოლისა“).

როგორც ვხედავთ, კრიტიკული რეალიზმი ქართულ ლიტერატურაში პირველად დრამატურგიულ ჟანრში გაბატონდა. ეს გარემოება კი მეტად ხელსაყრელი აღმოჩნდა, ვინაიდან ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა იმდროინდელ საზოგადოებაზე სწორედ ამ ჟანრის მწერლობას შეეძლო თეატრის წყალობით.

მაგრამ შეუძლებელია, რომ გ. ერისთავის, ზ. ანტონოვისა და სხვათა რეალისტურ დრამატურგიას შესაფერი გავლენა არ მოეხდინა სხვა ჟანრის მწერლობაზეც. თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ მისმა კეთილშობილურმა გავლენამ გადამწყვეტი როლი შეასრულა პროზაული ჟანრის აღორძინების საქმეში გასული საუკუნის 50-იან წლებში, როცა, თითქმის ერთსა და იმავე დროს, განვითარება დაიწყო რომანტიკულმა და რეალისტურმა პროზამ.

გ. ერისთავისა და ზ. ანტონოვის დრამატურგიამ შეარყია „სამი სტილის“ თეორიის ავტორიტეტი, რომელიც უფრო მეტად პროზაული ჟანრის განვითარებას აფერხებდა, რადგან არქაული ენის სიმძიმე ყველაზე მეტად სწორედ პროზაში იჩენს ხოლმე თავს. ქართული სალიტერატურო ენის განვითარების შეფერხება მე-18 საუკუნის 60-იანი წლებიდან, „სამი სტილის“ თეორიის გაბატონების შედეგად, იყო ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იმისა, რომ პროზაული ჟანრის მწერლობა თითქმის სრულიად არ გვაქვს მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში. და თუ ეს ასეა, მაშინ აშკარაა ისიც,

თუ რა ფაქტორებმა შეუწყვეს ხელი 50-იანი წლებიდან პროზის აღორძინებას.

საერთოდ, კრიტიკულ რეალიზმს არ შეეძლო გულგრილი ყოფილიყო პროზისადმი, რადგან პროზა ყველაზე ხელსაყრელი ჟანრია რეალიზმისათვის, რომელიც მოწოდებულია სინამდვილის ანსახველი ფართო ტილოების შექმნისათვის.

გ. ერისთავის დრამატურგიასა და მისსავე თეატრს სამწერლო ასპარეზზე გამოსვლა გადაუწყვეტინებია უდავოდ ნიჭიერი პროზაიკოსი ქალის მელანია მამაცაშვილისათვის, რომლის ტრაგიკული ცხოვრება და მოღვაწეობა ბურჟუსითაა დანისლული. მის სახელს, ცხადია, ფართოდ ვერ იცნობს საზოგადოება, ვინაიდან, მისგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო, იგი ვერ მივიდა მკითხველამდე. მისი შემოქმედებიდან მხოლოდ ერთი მოთხრობის ნაწილმა და ავტობიოგრაფიული ჩანაწერების ნაწყვეტებმა მოაღწიეს.

ამიტომ, ლიტერატურის ისტორიკოსებს საფუძველი აქვთ გვერდი აუარონ მელანია მამაცაშვილს, მაგრამ ჩვენთვის, როცა გარკვეული მხატვრული მეთოდის დამკვიდრების ისტორიას ვსწავლობთ, უდავოდ საინტერესოა ის მოღწეული ფრაგმენტებიც, რომლებიც მის ავტორს, — როგორც რეალისტს, მაინც საკმაო სისრულით გვიხატავენ. მელანია მამაცაშვილის შესახებ ჩვენს საზოგადოებას პირველად გაზეთმა „კავკაზ“-მა ამცნო 1854 წელს. ავტორი წერილისა — „მომავალი ქართველი მწერალი ქალი“<sup>1</sup> მკითხველს სიხარულით აუწყებდა, რომ გამოჩნდა ქართველი მწერალი ქალიო. მას, როგორც წერილიდან ჩანს, წაკითხული ჰქონია მ. მამაცაშვილის ორი მოთხრობა და ავტობიოგრაფიული ჩანაწერები, რომლებიც რუსულ ენაზე გადათარგმნილი მისთვის სხვას წარუდგენია.

მართლაც, რამდენიმე ხნის შემდეგ რუსულ აღმანახში — „ზურნა“ დაიბეჭდა მ. მამაცაშვილის მოთხრობის „კატო და ანას“ ნაწყვეტი, გამომცემლის — ე. ვერდერევესკის წინასიტყვაობით, რომელშიც უხვადაა შეტანილი ადგილები მწერალი ქალის ავტობიოგრაფიიდან. ამ წინასიტყვაობით ირკვევა, რომ ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა მ. მამაცაშვილი გატაცებული ყოფილა ლექსების წერითა და აღმოსავლური და ევროპული ენების შესწავლით. ამასთან, კითხულობდა ყველაფერს, რაზეც კი ხელი მიუწვდებოდა; ამას მოწმობს მის მიერ წაკითხულ წიგნთა სათაურების გაცნობაც კი.

მ. მამაცაშვილის მხატვრული გემოვნებისა და ესთეტიკური შეხედულებების გასათვალისწინებლად განსაკუთრებული მნიშვნე-

<sup>1</sup> „Кавказ“, 1854 г., № 56.

ლობა აქვს იმ შეფასებებს, რომლებსაც იგი აძლევს წაკითხულ წიგნთა გარკვეულ ნაწილს და მათ ავტორებს. მის საყვარელ მწერლებად მოჩანან: რუსთაველი, სერვანტესი, გრიბოედოვი, ა. დიუმე, ს. ორბელიანი, გ. ერისთავი, ზ. ანტონოვი და სხვ.

ნაწარმოებთა შეფასებისას მ. მამაცაშვილი იმით ხელმძღვანელობს, თუ რამდენად სწორადაა მასში წარმოდგენილი სინამდვილე და რას აძლევს იგი მკითხველს უკეთესი მომავლისათვის ბრძოლის საქმეში. ნათქვამის საილუსტრაციოდ საკმარისია გავეცნოთ ზოგიერთ მის გამონათქვამს.

სერვანტესის „დონ-კიხოტის“ შესახებ მ. მამაცაშვილი შენიშნავს: „Это сочинение у нас называют глупым; а мне так, напротив, оно показалось очень умным и даже прекрасным, потому что Дон-Кихот, по моему, есть насмешка над теми, кто слишком много о себе думает; кроме того, тут есть прекрасные описания и много такого, о чем можно подумать для своего исправления; а которые в этом не хотят сознаться, — пусть будет по ихнему“<sup>1</sup>.

ასევე დიდი კმაყოფილება განუცდია ჩვენ მწერალ ქალს ა. დიუმას „გრაფ მონტე-კრისტოს“ კითხვისას. „Этот роман, — წერს ის, — я читала с особенным наслаждением, потому что эта великая фантазия наполнена многими и великими поучениями; не великое ли, например, поучение представляет собою Эдмонд Дантес, который уже мог считать себя погибшим и однакож не терял мужества, но усердно принимал от Аббата Фарियो все наставления и укреплял ими дух и сердце. Положим, что все это — одна толко фантазия; положим, что Эдмонд не мог спасти себя из темницы, — но, во всяком случае, его крепкое мужество и мудрая помышления могли бы быть завещены хоть тюремщикам и послужить к счастью того из них, который бы этим воспользовался, и польза была бы благодетельна не для одного этого тюремщика, но и для тех, на кого он имел бы влияние... Вот как далеко летит умный автор! И разве этого мало для нас? Нет, не мало, и даже очень не мало для слабого народа... Пусть — же и все наши читают это нысокое сочинение и постараются в несчастии не быть безнадежными, но до последней капли жизни сохранить надежду на лучшее“<sup>2</sup>.

<sup>1</sup> „Зурна“, Тифлис, 1855, стр. 280.

<sup>2</sup> იქვე.

ამ სიტყვებში მხოლოდ უბრალო შთაბეჭდილება როდი ამოიკითხება. მასში გარკვევით მოჩანს მწერალი ქალის მხატვრული ინტერესები და სულიერი სიღიადე. მას სწორად ესახება ნამდვილისა და მხატვრული გამონაგონის ურთიერთობის საკითხი ნაწარმოებში; კარგად აქვს წარმოდგენილი მხატვრული ნაწარმოების შემეცნებითი ღირებულებაც და მისი ემოციური ზემოქმედების მნიშვნელობა საზოგადოებაზე. ძნელი არაა იმის დანახეაც, რომ პატრიოტი ქალის გულში მტკიცედაა ფეხგადგმული თავისი ხალხის ეროვნული განთავისუფლების იდეა. ამიტომაც, რომ მას იტაცებს ისეთი ნაწარმოები, რომელიც ადამიანს შეუნარჩუნებს იმედს, მხნეობასა და ბრძოლის უნარს.

მ. მამაცაშვილს იტაცებს ჯანსაღი ფანტაზიისა და სინამდვილის შერწყმა მხატვრულ ნაწარმოებში, მაგრამ წაითხვის ღირსადაც არ თვლის ისეთ თხზულებებს, რომლებიც გადაუმუშავებელ ზღაპრულ სიუჟეტებზე არიან მხოლოდ აგებულნი. ამიტომაც, რომ იგი ხოტბას ასხამს შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსანს“, ხოლო „ყარამანიანს“, „მილორდიანსა“ და მათ მსგავს ნაწარმოებთ ყურადღების ღირსადაც არ თვლის.

მ. მამაცაშვილს სწორად აქვს გაგებული აგრეთვე ს. ორბელიანის „სიბრძნე-სიკრუს“ ღირსება და მნიშვნელობა, მისი რეალიზმი და მხატვრული ოსტატობა. „Я нашла в ней,—წერს ის,—очень много умного и острого, хорошие пословицы и поговорки, замысловатая загадка, и вообще много такого, что небезполезно знать в жизни“<sup>1</sup>.

წიგნების კითხვას მ. მამაცაშვილი იმ დასკვნამდე მიუყვანია, რომ თვითონაც შეეძლო რომანების დაწერა. ამიტომ, დიდი განცდებით შედგომია ის რომანის წერას აზიელი ქალის ცხოვრებიდან. რომანი მართლაც დაუსრულებია, მაგრამ მის ღირსებაში ექვი შეუტანია და გადაუწყვეტია არ გამოეტანა დღის სინათლეზე.

გ. ერისთავის თეატრს მალე მასში გაუღვიძებია პიესების წერის სურვილი. როგორც თვითონ აღნიშნავს, „კატო და ანა“ მას პირველად პიესად სდომებია დაეწერა, მაგრამ დარწმუნებულა, რომ მოთხრობის დაწერა უფრო იოლი იყო.

მ. მამაცაშვილი ძალიან დიდ მნიშვნელობას აძლევს იმ ინპულსს, რაც მისთვის სამწერლო ასპარეზზე გამოსასვლელად მიუცია გ. ერისთავისა და ზ. ანტონოვის დრამატურგიას. ავტობიოგრაფიაში იგი შენიშნავს: „Вскоре случай доставил мне невыра-

<sup>1</sup> „Зурна“, стр. 277.

зимое удовольствие собственными глазами прочитать два из первых грузинских театральных сочинений: драму под заглавием „Кёр-Оглы“ (Антонова) и комедию (кн. Г. Эристави: „Раздса“) .. Обе пиэсы я прочитала с жадностью не раз и не два... Я не верила, что я в Тифлисе, или, лучше сказать, что в Тифлисе такое просвещение между моими соотечественниками! Когда же я наконец в этом уверилась, тогда снова оживилась каким-то торжеством, будто новый дождь пролился на меня, будто омыл он с костей моих старую азиатскую ржавчину!.. Так теперь и у нас можно будет женщине следовать своему призванию! Так теперь и мне позволено развязать себе руки и явно продолжать то, что до сих пор не смела я показать людям“<sup>1</sup>.

მოთხრობა — „კატო და ანას“ გამოქვეყნებული ნაწილი, ისევე როგორც ავტობიოგრაფიის ნაწყვეტები, აშქარას ხდის, რომ მ. მამაცაშვილი დაინტერესებული ყოფილა მის თანამედროვე ცხოვრებაში მომხდარი გარდატეხით და ფლობდა რეალისტურ მხატვრულ მეთოდს.

მოთხრობის თემად მ. მამაცაშვილს აუღია თავადაზნაურთა ოჯახური ყოფა ბურჟუაზიული ურთიერთობის განვითარებასთან დაკავშირებით. იგი მშვენივრად გვიჩვენებს, თუ როგორი გაურკვევლობა და განხეთქილება არსებობს თავადაზნაურობაში ცხოვრების მომავალი ფორმის შესახებ. ზოგიერთი მათგანი ქალაქისაკენ მოისწორაფვის და სწავლის მისაღებად შვილების რუსეთში გაგზავნაზე ოცნებობს, ზოგიც კვლავ მამაპაპეულ ადამ-წესებს ჩასქიდებია; აი მხრივ თანხმობა აღარაა თვით ცოლ-ქმართ შუა.

ჩვენი მწერალი ქალი კრიტიკულადაა განწყობილი როგორც კონსერვატორული ბუნების ლუარსაბ კვრინჩხიულაპიაშვილის მიმართ, ასევე მისი მეუღლის — თამარის მსგავს ადამიანებისადმი, რომლებიც ცდილობენ მიჰყვნენ ახალ ცხოვრებას, მაგრამ ვერ ერკვევიან მის ავსა და კარგში. ამიტომ იყო, რომ თამარის გადაწყვეტილებამ — მხოლოდ ქალაქელისათვის მიეთხოვებია თავისი ქალიშვილი კატო, კარგი შედეგი არ გამოიღო. მოთხრობაში ხაზი აქვს გასმული ბურჟუაზიული ცხოვრების უარყოფით გავლენას ხალხის ზნეობაზე.

მ. მამაცაშვილი აღშფოთებულია იმითაც, რომ ქალის ბედს ოჯახის შექმნის საქმეში მშობლები წყვეტენ. იგი გარკვეულ დანა-

<sup>1</sup> „Зурна“, 1855, стр. 283.



შაულს ხედავს სიყვარულის გარეშე მომხდარ ქორწინებაში და ასეთი მოკმედება მას ტრაგიკულ-კომიკურ მოვლენად მიაჩნია.

„კატო და ანას“ პირველი ნაწილი გვარწმუნებს, რომ შემდგომ ნაწილში უფრო მძაფრ სიტუაციებთან გვექნებოდა საქმე. მომზადებულია ნიადაგი იმისათვის, რომ კატო და ანა უფროსთა ბრმა მორჩილების მსხვერპლნი გახდნენ. საინტერესოა ისიც, თუ რა როლი უნდა შეესრულებია ანას ძმას — პავლეს, რომელიც მოთხრობის პირველ ნაწილში მხოლოდ თავს გვაცნობს.

„კატო და ანას“ პირველი ნაწილი ავტორს დაყოფილი აქვს თერთმეტ თავად (თუმცა პირველი თავი წინასიტყვაობას უფრო წარმოადგენს). თვითეულ თავს აქვს თავისი სათაური, რომელთა ჩამოთვლაც კი გარკვეულ წარმოდგენას იძლევა მოთხრობის შინაარსზე. აი, ეს თავებიც. 1. Служащая и предисловием, 2. Старосветское семейство, 3. Разговор стариков, 4. Посетительница, 5. Женихи едут, 6. Приехали и без церемонии, 7. Дружеская беседа, многообещающая хорошаго в будущем, 8. Свадьба, 9. От слова до дела не далеко, 10. Свершилось, 11. Прощание.

ალმანახის გამომცემელი „კატო და ანას“ უკეთებს შენიშვნას: „По неожиданным препятствиям к продолжению печатания повести, вторая (т. е. последняя) часть ея не могла войти в наше издание, но готовится к появлению в отдельном издании. Впрочем, думаем, что читатели Зурны, и по этой первой части повести нашей самородной писательницы, уже в состоянии судить о даровании, интересное развитие которого прослежено в нашем предисловии к первому труду ея“.

დღემდე გაურკვეველია, თუ რა ბედი ეწვია „კატო და ანას“ მეორე ნაწილს, ან სხვა ნაწერებს, რომლებსაც ჩვენამდე არ მოუღწევია (შესაძლოა რომელიმე მუზეუმსა თუ არქივში აღმოჩნდეს მომავალში). მიუხედავად ამისა, ალმანახ „Зурна“-ს წყალობით ცნობილი გახდა, რომ მ. მამაცაშვილის სახით 50-იან წლებში სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა რეალისტი პროზაიკოსი ქალი, რომელიც მის თანამედროვე საზოგადოებრივ ცხოვრებაში მომხდარი და მიმდინარე ცვლილებების ასახვით იყო დაინტერესებული.

საყურადღებოა, რომ ნ. ჩერნიშევსკი, რომელმაც „სოვრემენნიკის“ ფურცლებზე ცალკე წერილი უძღვნა „Зурна“-ს მიმოხილ-

ვას, მ. მამაცაშვილის „კატოს და ანას“ გამო შენიშნავდა: „Мы радуемся появлению грузинской романистики, которая пишет, право, недурным слогом“<sup>1</sup>.

მეტად საინტერესოა, თუ როგორი იყო მ. მამაცაშვილის სამწერლო ენა, მაგრამ ამის ზუსტი გათვალისწინება შეუძლებელია, რადგან მხოლოდ რუსული თარგმანით გვიხდება ჩვენი მწერალი ქალის პორტრეტის აღდგენა. სავარაუდოა კი არის, რომ ამ მიმართულებითაც მას უდავოდ ჰქონდა გადადგმული ნაბიჯი წინ.

პროზაული ჟანრის განვითარებისა და სამწერლო ენის გამართივების აუცილებლობის შესახებ შემდეგში კატეგორიულად დააყენა საკითხი ცნობილმა მწერალმა ლ. არდაზიანმა, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა ამ ქეშმარიტად დროული მოთხოვნის პრაქტიკულ გადაჭრაში. ჟურნალ „ცისკრის“ ფურცლებზე მან გამოაქვეყნა თავისი ცნობილი ნაწარმოებები („სოლომონ ისაკიჩ გეჯღანუაშვილი“ და „მორჩილი“), რომლებიც პირველი სოციალური რომანებია ჩვენი ლიტერატურის ისტორიაში. ასევე საყურადღებოა, ამავე ჟურნალის ფურცლებზე გამოქვეყნებული, მისი მხატვრული ნარკვევი — „მოგზაურობა ტფილისის ტროტუარზედ“ და ლექსი — „ფულები“.

ლ. არდაზიანმა, როგორც რეალისტმა, თავიდანვე მიიპყრო მკითხველის ყურადღება. მისი მხატვრული მეთოდისა და ლიტერატურული მიმართულების შესახებ აზრთა სხვადასხვაობა არასოდეს არ ყოფილა. ცხადია, ეს საკითხი არც ჩვენ მიგვაჩნია სადავოდ, მაგრამ საჭიროა დადგენილ იქნას მისი რეალიზმის ხასიათი, — სუსტი და ძლიერი მხარე.

ლ. არდაზიანი, თავისი პოლიტიკური მსოფლმხედველობით, ლიბერალური თავადაზნაურობის იდეოლოგია. თავისი მცდარი პოლიტიკური შეხედულებანი ლ. არდაზიანმა აშკარად გამოამჟღავნა მხატვრულ შემოქმედებაშიც. მაღალი წოდების კრიტიკის საქმეში ის არათუ წინ ვერ წავიდა გ. ერისთავთან შედარებით, არამედ ბევრად ჩამორჩა მას. მან ვერ შეძლო აშკარად გაეღაშკრა ბატონყმური ურთიერთობის წინააღმდეგ. უფრო მეტიც, ლ. არდაზიანი ცდილობდა დაერწმუნებია მკითხველი, რომ მებატონეებსა და ყმა-გლეხობას შორის უაღრესად გამწვავებული მდგომარეობის მიზეზი იმალება არა ბატონყმური ინსტიტუტის უვარგისობაში, არამედ ცალკეულ მებატონეთა ჩამორჩენილობასა.

<sup>1</sup> „Современник“, 1855, т. 52, отд. IV, стр. 17.

და გადაგვარებაში. მისი შეხედულებით, კარგ მებატონეებსა და მათ ყმებს შორის მეტად კეთილი განწყობილება სუფევდა.

ლ. არდაზიანს ისიც სჯეროდა, რომ ბურჟუაზიული ურთიერთობის პარალელურად შესაძლებელი იყო ფეოდალური, კერძოდ, ბატონყმური ურთიერთობის შენარჩუნება. „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილში“ იგი თავგამოდებით შეეცადა დაეხატა იდეალური მებატონის სახე; ალექსანდრე რაინდიძე მხატვრული განსახიერებაა მწერლის მცდარი პოლიტიკური შეხედულებების და არა მისი თანამედროვე ცხოვრების სოციალური სინამდვილის.

მცდარი პოლიტიკური შეხედულებებისადმი ერთგულებას ლ. არდაზიანში ხელი შეუწყო ბურჟუაზიის განვითარების სისუსტემ 50-იან წლებში. ეს ის პერიოდი იყო, როცა ბურჟუაზიული ურთიერთობის აშკარა გავლენა ჯერ კიდევ მხოლოდ ქალაქს ეტყობოდა. ამიტომაც, რომ ლ. არდაზიანიც თავადაზნაურობას სოფელში, მამაპაპეულ ადგილსამყოფელში დაბრუნებასა და დამკვიდრებას ურჩევს. შემთხვევითი როდია, რომ ქალაქში სამსახურის შოვნაში ალექსანდრე რაინდიძეს სოლომონ მეჯღანუაშვილის ვაჟმა აჯობა. სამაგიეროდ, სოფელში დაბრუნებული ალექსანდრე მწერალმა სრული ბედნიერებით დააჯილდოვა.

მებატონესა და ყმას შორის მამაშვილური დამოკიდებულების შესაძლებლობის მტკიცებაზე ლ. არდაზიანი არც „მორჩილში“ იღებს ხელს, მაგრამ მაინც იძულებული გახდა ეჩვენებინა ისეთი მებატონეც, როგორიც თეიმურაზი იყო. ლ. არდაზიანის შეხედულებით. თუ თავადაზნაურობა მიიღებს კარგ სწავლა-განათლებას, გამოიჩინს მეტი მოქმედების უნარს და უშუალოდ ჩაუდგება სათავეში თავისი მეურნეობის მოწესრიგებას, მაშინ მას ყმებთანაც კარგი ურთიერთობა ექნება და ვერც ბურჟუაზია დააკლებს რასმეს. თავადაზნაურობა, — მისი აზრით, — კულტურით და ზნეობით უფრო მალე იღვა, ვინემ ბურჟუაზია.

ბურჟუაზიულ ურთიერთობაში ლ. არდაზიანმა ვერ დაინახა ეკონომიური განვითარების ახალი ეტაპი. ამიტომაც, რომ სწორ დასკვნებს ვეღარ აკეთებს ამ ორი მტრული ფორმაციის ურთიერთობის შესახებ.

ცხადია, როგორაც არ უნდა შეეზღუდა თავის მცდარ პოლიტიკურ შეხედულებებს, ლ. არდაზიანს, როგორც რეალისტ მხატვარს, არ შეეძლო გვერდი აეგლო სინამდვილისათვის თვით მაღალი წოდების დახასიათებისა და ჩვენების საქმეში. მის რომანებში აშკარად ჩანს, რომ ბურჟუაზიის სამოქმედო ასპარეზი მხოლოდ ქალაქით არ შეიძლება შემოიფარგლოს. გარკვევითაა ნაჩვენა

ნები ისიც, რომ შეუძლებელია ყმებს ნამდვილად უყვარდეთ მებატონეები. ეს ჩანს თვით ალექსანდრე რაინდიძის მამის — ლუარსაბისა და მისი ყმების მაგალითზე, თავი რომ დაეანებოთ „მორჩილში“ მოცემულ უფრო მეტ სურათებს. ისიც აშკარაა, რომ ზედმეტია ლაპარაკი თვით მებატონეთა შორის კეთილგანწყობილი ურთიერთობის შესაძლებლობაზე.

ლ. არდაზიანის რომანები, ამ მიმართულებით, კარგად ავლენენ როგორც ცხოვრების სინამდვილეს, ასევე მწერლის მკდარ შეხედულებებს; წინააღმდეგობას სინამდვილესა და მწერლის პოლიტიკურ შეხედულებებს შორის.

რამდენადაც ლ. არდაზიანი შელამაზებულად და შერბილებულად ცდილობდა ზალალი წოდების ცხოვრების წარმოდგენას, იმდენად იგი მიუდგომელი იყო ბურჟუაზიის წარმომადგენელთა დახასიათებისას. მისი რეალიზმის ძლიერ მხარეს სწორედ ამ ახალი კლასის საქმიანობის სწორი ჩვენება წარმოადგენს. ამ მიმართულებით, ლ. არდაზიანი გაცილებით მაღლა დგას, ვინემ გ. ერისთავი და ზ. ანტონოვი. გ. ერისთავი და ზ. ანტონოვი მეტად სუსტად, ან სრულიად არ გვიჩვენებენ იმ გზას, რომელიც მათ მიერ გამოყვანილ მდიდარ ვაჭრებს უნდა გაეელოთ. მათ არც ის უჩვენებიათ მოქმედებაში, თუ როგორ მიდის მათი საქმიანობა გამდიდრების შემდეგ და რა მიზნით იყენებენ ისინი თავიანთ სიმდიდრეს (გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ გ. ერისთავის „წარსული დროის სურათები“).

ლ. არდაზიანმა სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილის სახით შექმნა სავაჭრო ბურჟუაზიის წარმომადგენლის დასრულებული ტიპი. ამ მხრივ მას მეტოქე არ გამოჩენია ქართულ ლიტერატურაში.

„სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი“ სრულად და დამაჯერებლად წარმოგვიდგენს იმდროინდელი სავაჭრო ბურჟუაზიის სახეს. მასში მთელი სიზუსტითაა ნაჩვენები ის გზა, რომელიც განვლო სავაჭრო ბურჟუაზიის პირველმა თაობამ ჩვენს სინამდვილეში; ნაჩვენებია მოქმედების ის მეთოდებიც, რის წყალობითაც ისინი არაფრისმქონედან „ყოვლისშემძლე“ გახდნენ.

ლ. არდაზიანი სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილს გვაცნობს ცხოვრების მთელ მანძილზე, ყოველდღიურ მოქმედებაში, მაგრამ მის თანამედროვე სინამდვილიდან აღებული ვაჭრის სახის რეალისტურმა განზოგადებამ ლ. არდაზიანი ბოლოს თვითონ დააფიქრა. მას ან სინამდვილისათვის უნდა ელაღატნა, ან მკდარი პოლიტიკური შეხედულებებისათვის. სამწუხაროდ, მან პირველი გზა აირ-

ჩია. თავისი რომანის ფინალში იგი სინამდვილისადმი ლალატის გზას დაადგა: სოლომონ ისაკიჩს გზა გადაუღობა, მონანე ვაჭრად „აქცია“, მძიმე და გაუგებარ მდგომარეობაში დატოვა, ხოლო ალექსანდრე რაინდიძეს დაგვაცილა, როგორც გამარჯვებულ, ცხოვრებით კმაყოფილ და ყოველმხრივ სვებედნიერ ადამიანს.

მაგამ მკითხველი ადვილად გრძნობს, რომ მწერალი ლალატობს სინამდვილეს, ლალატობს მის მიერ ასახული მოვლენების კანონზომიერ განვითარებას. „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი“ ერთი წუთითაც კი ვერავის დააეჭვებს იმაში, რომ ცხოვრების საკვ რაინდიძეების თეთრი ხელებიდან თითქოს მეჯღანუაშვილის ქუჩყიან ხელში არ გადასულიყოს.

ლ. არდაზიანის რომანები, ავტორის სურვილის წინააღმდეგ, იმაში გვარწმუნებენ, რომ მალალი წოდებიდან გამოდიან არა რაინდიძეები. არამედ კერპაძეები და ტუჩმოსხელიშვილები („სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი“), ლიფსიმეები და გორჯასპები („მორჩილი“), რომ ეს წოდება უკვე უძღურია მეჯღანუაშვილების წინაშე.

ლ. არდაზიანს მიზნად არ დაუსახავს ბიუროკრატ მოხელეთა „საქმიანობის“ საგანგებო ჩვენება. მიუხედავად ამისა, მეტად ოსტატურად წარმოადგინა პოლიციისა და სასამართლოს მოხელეთა სახეები. მწერალმა გარკვევით მიუთითა იმაზე, რომ სახელმწიფო მართვა-გამგეობის სისტემა მოძველებული იყო და მთელი მისი აპარატი გადაგვარებული. ნაცვლად წესრიგისა და კანონიერების დაცვისა, პოლიციისა და სასამართლოს მოხელები დაინტერესებულნი იყვნენ უწესრიგობით, დანაშაულის რიცხვის გამრავლებით. და თუ ასეთი შემთხვევები არასაკმაო იყო ხოლმე, მაშინ ისინი მიმართავენ გამოგონებას, — სრულიად უდანაშაულო ადამიანებს ცილს სწამებდნენ და თვითონვე აგრძნობინებდნენ, რომ უსიამოვნების თავიდან ასაცილებლად საჭირო იყო „შესაფერი გასამრჯელო“.

დამახასიათებელია, რომ მოხელეთა ასეთ თავხედობას, თითქოს, ყველა „შეგუებია“, აღარავის აკვირვებს მათ მიერ ქრთამების მიღება. და ეს იმიტომ, რომ ამგვარი შემთხვევები გამონაკლისს აღარ წარმოადგენდნენ, ასეთ მოხელებს თვით სახელმწიფო მფარველობდა.

ლ. არდაზიანმა, პირველმა ქართულ ლიტერატურაში, წარმოადგინა სახე იმდროინდელი თბილისის ინტელიგენციისა. თბილისი, როგორც ცენტრი მთელი კავკასიისა, სავსე იყო ადგილობრივი და კარიერის საძიებლად ჩამოსული ინტელიგენციით. მაგრამ მათ უმეტესობას ცინიკი, მკვებარა და უსაქმო დილეტანტები წარმოადგენდნენ. ისინი პატივს არ ცემდნენ საკუთარი ერის კულტურას.

და ვერც სხვა ხალხთა კულტურაში ერკვეოდნენ; დასცილოდნენ მათ, ვინც გულწრფელად ემსახურებოდა ხალხს, ვინც ქმნიდა რაიმეს. ლ. არდაზიანის მიერ ასეთ ადამიანებადაა დახატული თბილისის ტროტუარების ხშირი სტუმრები, — ქართველი და რუსი დილექტანტები („მოგზაურობა ტფილისის ტროტუარზედ“). მათ სურდათ ყველას პატივი ეცა და ღრმა მოაზროვნე ადამიანებად ეცნო ისინი, თუმცა ქორიკანობისა და სხვაზე დაცინვის მეტს არაფერს აკეთებდნენ, სძულდათ მშრომელი ხალხიც.

ლ. არდაზიანმა, როგორც თვითონ ამბობს, მიზნად დაისახა პირბადე აეხადა ასეთი „პედანტებისათვის, ცრუმსწავლულებისათვის, ცრუგანათლებულებისათვის“. ამ მიზანს მან წარმატებით მიაღწია და შექმნა მათი ტიპიური სახეები, — განსაკუთრებით ურცხვადისა და ანმახის სახით („მოგზაურობა ტფილისის ტროტუარზედ“).

იმ გარემოებამ, რომ ლ. არდაზიანმა შეგნებულად აუარა გვერდი ბატონყმური ურთიერთობის პირდაპირ კრიტიკას და მისი ძალაში დატოვებაც კი შესაძლებლად მიიჩნია, გარკვეულად შეზღუდა მწერალი შესაფერი ადგილი დაეთმო გლეხობის ცხოვრების ჩვენებისათვის თავის შემოქმედებაში. თუ ლ. არდაზიანი თავის მხატვრულ შემოქმედებაში უშუალოდ გვაცნობს თავადაზნაურობის, ვაქრების, მოხლეებისა და ინტელიგენციის წარმომადგენლებს, სამაგიეროდ მეტად მკრთალად ჰყავს წარმოდგენილი მშრომელი გლეხობა. უფრო სწორად, ლ. არდაზიანს არ მოუცია იმდროინდელი გლეხის სახე.

ცხადია, ლ. არდაზიანის შემოქმედება საკმაო მასალას იძლევა გლეხობის მდგომარეობის დასახასიათებლად, მათი არაადამიანური ცხოვრების გასათვალისწინებლად, მაგრამ ეს, თითქოს, მწერლის სურვილის მიუხედავად.

ლ. არდაზიანი — მხატვარი ხშირად იძულებული ხდება გვაჩვენოს და გვაგრძნობინოს ბატონყმური ურთიერთობით განაწამები გლეხობის ცხოვრება. გლეხი და მხოლოდ გლეხი არის ყველასაგან დაჩაგრული, მისი ოფლით ცხოვრობს ყველა მუქთახორა. გლეხის ნაშრომის მიტაცებაში ერთმანეთს ედავებიან მებატონე, ვაქარი და მოხელე.

ლ. არდაზიანის შემოქმედებაში სწორად აისახა ეკლესიის მსახურთა, — „სულიერ მამათა“ ნამდვილი სახეებიც. არდაზიანი — მოაზროვნე თავისუფალი არ არის იმ შეხედულებებისაგან, რომ ეკლესია თითქოს დადებით როლს ასრულებდეს ხალხის ცხოვრებაში, მაგრამ მან, როგორც მხატვარმა, აშკარად საწინააღმდეგო სურათი დაგვიხატა „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილში“.

ამგვარად, ლ. არდაზიანის შემოქმედებაში მეტ-ნაკლები სისრულითა და სიღრმით, მაგრამ ფართოდ აისახა იმდროინდელი საქართველოს სოციალური ყოფა. განვითარების გზაზე მდგარი კრიტიკული რეალიზმი მან გაამდიდრა უაღრესად საყურადღებო სოციალური რომანებითა და მხატვრული ნარკვევით; მის მიერ დიდი ოსტატობით შექმნილმა ტიპებმა მნიშვნელოვნად გაამდიდრეს ცხოვრების სინამდვილიდან აღებულ პერსონაჟთა გალერეა.

ლ. არდაზიანის შემოქმედებამ უდიდესი როლი შეასრულა რეალისტური პროზის მხატვრული ფორმის შემუშავებისა და სალიტერატურო ენის სასაუბრო ენასთან დაახლოების საქმეშიც.

ლ. არდაზიანი უაღრესად ნიჭიერი რეალისტი-პროზაიკოსია, მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, მისი რეალიზმის ცხოველმყოფელობა ერთგვარად შეასუსტა მცდარმა პოლიტიკურმა შეხედულებებმა, რომლებმაც განსაკუთრებით იჩინეს თავი ბატონყმური ურთიერთობის კრიტიკის საქმეში. ეს გარემოება კი უსათუოდ ხარვეზია ჩვენი რეალისტი მხატვრის შემოქმედებაში. მით უმეტეს, რომ ბატონყმური სისტემის ნამდვილი ბუნება უკვე სრულად იყო გამოძვლავებული ლ. არდაზიანის თანამედროვე მწერლის — დ. კონქაძის მიერ.

დ. კონქაძემ მხოლოდ ერთი ნაწარმოების — „სურამის ციხის“ დაწერა და გამოქვეყნება მოასწრო. ამ ერთადერთმა მოთხრობამ მაინც საპატიო ადგილი მოუპოვა მის ავტორს ქართული ლიტერატურის ისტორიაში და ეს იმიტომ, რომ „სურამის ციხე“ ახალი სიტყვა იყო ჩვენს მწერლობაში.

დ. კონქაძე პირველი ქართველი მწერალია, რომელმაც პირდაპირ და მკაცრად გაილაშქრა ბატონყმური ურთიერთობის წინააღმდეგ. მან თავისი ნაწარმოები გამოაქვეყნა ჯერ კიდევ მაშინ, როცა საკითხი ბატონყმობის გადაყარდნის შესახებ საქართველოში მთელი სერიოზულობით არ იყო დაყენებული. პირიქით, საქართველოს სინამდვილეში მას მეტად თავისებურ ინსტიტუტად ხატავდნენ და მის ხელუხლებლად დატოვებას მოითხოვდნენ.

„სურამის ციხემ“ გასაგები გახადა ამ „თავისებურების“ ნამდვილი ხასიათი. მასში შეუღამაზებლად აისახა ბატონყმური ცხოვრების მთელი საზიზღრობა და პრინციპულად იქნა დაყენებული საკითხი ამ უმსგავსი სოციალური ინსტიტუტის მოსპობის შესახებ.

დ. კონქაძემ მკითხველის თვალი უშუალოდ ყმა-გლეხობის მდგომარეობას მიაპყრო. მან, პირველმა ჩვენს ლიტერატურაში, ვგაჩვენა მებატონის წინააღმდეგ იარაღმართული მებრძოლი ყმის

სახე. ნოდარმა საკუთარი ხელით ამოწყვიტა მებატონის ოჯახი, რითაც მან ხალხის სიმპათია და თანაგრძნობა დაიმსახურა. ეს კი მაუწყებელი იყო იმისა, რომ ნოდარის მაგალითს მალე სხვებიც მიბაძავდნენ.

„სურამის ციხე“ ბატონყმური უღლის ქვეშ მგმინავ გლეხობას მოაგონებდა, რომ სანამ ბატონის ყმები იყვნენ, მანამ ბედნიერებაზე ფიქრიც ზედმეტი იყო; ბატონისაგან სიკეთეს ყმა არ უნდა მოელოდეს, ყმა მებატონისათვის ნიეთია, რომელსაც სურვილისამებრ მოიხმარს.

დ. ქონქაძე რადიკალურად მოაზროვნე „რაზნოჩინელია“. მას შეთვისებული ჰქონდა რუს რევოლუციონერ-დემოკრატთა პოლიტიკური მოძღვრება და კარგად იცნობდა თავისი ხალხის დუხჭირ ცხოვრებასაც. ამიტომ იყო, რომ საოცარი გაბედულებით გაილაშქრა ხალხის ჩაგვრისა და ჩაგვრის საშინელი ფორმის — ბატონყმობის წინააღმდეგ. იგი შორს იყო იმ ილუზიისაგან, რომ ხალხი „ზევიდან“ მიიღებდა თავისუფლებას და მთელ იმედებს თვით ხალხზე და მასში მებრძოლი სულისკვეთების ზრდაზე ამყარებდა.

დ. ქონქაძისათვის მიუღებელი და საზიზღარი იყო ყოველივე ის, რაც ხალხის ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა, რაც ტვირთად აწვა მშრომელ გლეხობას. მისთვის გასაგები იყო, რომ საქართველოში ბურჟუაზიული ურთიერთობა განვითარების გზას ადგა, ხედავდა რომ სავაჭრო ბურჟუაზია აქტიურად და წარმატებით მოქმედებდა, მაგრამ ეს გარემოება არათუ ამწვიდებდა, არამედ კიდევ უფრო აშფოთებდა მის ბობოქარ სულს. ხალხის ინტერესების ქეშმარიტი დამცველი მწერალი ბურჟუაზიაში ხედავდა მშრომელთა ახალ მტერს.

დ. ქონქაძის თვალში სავაჭრო ბურჟუაზია მოჩანს სინდისის ხარჯზე გამდიდრებულ ხროვად, რომელსაც არც სიყვარული, არც მეგობრობა და არც საზოგადოების ინტერესებისადმი ანგარიშის გაწევა არ შეუძლია.

დ. ქონქაძემ მკაცრად ამხილა აგრეთვე ეკლესიის მსახურთა ნამდვილი დანიშნულება და მათი როლი გაბატონებული კლასის სამსახურში.

„სურამის ციხის“ ავტორმა დამაჯერებლად აჩვენა ცრუმორწმუნეობის საშინელება და მისი უარყოფითი გავლენა საზოგადოებაზე.

დ. ქონქაძისათვის ცხოვრებაში თითქმის არ არსებობს საშუალო, მან იცის მხოლოდ კარგი და ცუდი. ხოლო კრიტიკიულად ამ უკანასკნელთა დასადგენად — ხალხის ინტერესებისადმი დამოკი-



დებულება აქვს. ის, რაც მშრომელი ხალხის სასარგებლოა — კარგია, ხოლო ის, რაც მის ინტერესებს ეწინააღმდეგება — ცუდი.

„სურამის ციხის“ ავტორისათვის უცხოა უკანდახვევა და ლიბერალური მანევრირება. ნაწარმოების დასაწყისშივე მან საარკასტულად მოიგონა „ბატონ ლიბერალთა“ არსებობა და, მათგან განსხვავებით, დაგვიხატა ცხოვრების ნამდვილი სურათი.

ბატონყმური ურთიერთობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მშრომელი ხალხის ინტერესების დაცვის საქმეში დ. ჭონქაძე რევოლუციონერ-დემოკრატამდე მალღდება. სამწუხაროდ, მას არ დასცალდა სრულად გამოველინებია თავისი შესაძლებლობა ამ მიმართულებით; ხალხის უკეთესი მომავლისათვის მგზნებარე მებრძოლს კალამი ხელიდან მაშინ გაუვარდა, როცა მთელი გატაცებით შეუდგა ეჩვენებინა — „ვინ არის დამნაშავე?“

მან ვერ შეძლო დაესრულებია თავისი მეორე ნაწარმოები („ვინ არის დამნაშავე?“), დაწერილი ფურცლებიც დაიწვა, მაგრამ „სურამის ციხის“ ავტორი ხალხმა მაინც უკვდავყო, როგორც მისი გულის ქეშმარიტი მესაიდუმლე.

დ. ჭონქაძეში მკიდროდაა შერწყმული მოაზროვნე და მხატვარი. იგი პირველი ქართველი რეალისტი, რომელიც როგორც თავისი პოლიტიკური შეხედულებებით, ასევე სინამდვილის მხატვრული განსახიერებით მშრომელი გლეხობის მხარეზე და მის სამსახურშია. ამიტომაც, რომ დ. ჭონქაძის რეალიზმი ღრმა და დიდი ემოციური ზემოქმედების მქონეა.

დ. ჭონქაძე, ამთავრებს რა ქართული კრიტიკული რეალიზმის პირველ პერიოდს, გვაუწყებს მეორე პერიოდის დაწყებას.

დ. ჭონქაძეს, ცხადია, უკიდურესი აღშფოთებით შეხვდნენ კონსერვატორულ-ლიბერალური ბანაკის წარმომადგენლები, რომლებიც უმწეო აღმოჩნდნენ შეესუსტებით „სურამის ციხის“ შთაბეჭდილება მკითხველზე, რის გამო ისღა დარჩათ, რომ ეფიქრათ პირველი ქართველი რევოლუციონერ-დემოკრატის ფიზიკურ მოსპობაზე. მაგრამ ისინი ცდებოდნენ, დ. ჭონქაძე ეპოქის კანონიერი შვილი იყო, მას მოჰყვა მთელი თაობა სახელოვანი სამოციანელებისა, რომლებმაც უფრო დიდი მხატვრული შესაძლებლობით განაგრძეს ხალხის ინტერესებისათვის ბრძოლა.

როგორც ვხედავთ, კრიტიკული რეალიზმი 40—50-იან წლებში საბოლოოდ გაბატონდა დრამატურგიასა და პროზაში. რომანტიკული პროზა, რომელიც სწორედ 50-იან წლებში ვითარდებოდა, უძლური იყო სერიოზული კონკურენცია გაეწია რეალისტური პროზისათვის.

რომანტიზმი შედარებით მკვიდრ წიაღაგზე აღმოჩნდა პოეზიაში. ამ გარემოებას ხელს უწყობდა ის, რომ დიდმა ქართველმა რომანტიკოსებმა (ა. ჭავჭავაძემ, ნ. ბარათაშვილმა, გრ. ორბელიანმა და სხვ.) ამ ენარში მდიდარი ტრადიციები შექმნეს. მიუხედავად ამისა, 50-იან წლებში, გარდატეხა ხდება ამ მიმართულებითაც. ეს გარდატეხა, პირველყოვლისა, აშკარად გამოვლინდა ნიკიფრის ლირიკოსის—რაფიელ ერისთავის შემოქმედებაში.

რ. ერისთავი სამწერლო ასპარეზზე 40-იან წლებში გამოვიდა. რუსული და ქართული პრესის საშუალებით იგი, როგორც მწერალი, უკვე საკმაოდ ცნობილი გახდა 50-იანი წლებისათვის.

რ. ერისთავი თავის პირველ ლექსებში ვერ ასცდა ცნობილი ქართველი რომანტიკოსების გავლენას. ამასთან, უმთავრესად, სატრფიალო მოტივს ავითარებდა, მაგრამ მალე დარწმუნდა, რომ იგი არ იყო მოწოდებული სალალბო პოეზიისათვის. მისი თვალი დაბალი ხალხის ცხოვრებამ მიიზიდა და შესაფერი მხატვრული ტილოს შექმნაც მოსთხოვა. ამ მხრივ, საყურადღებოა მისი ლექსები: „მთხოვნელი მსაჯულისადმი“, „ყადის ჯორი“, „ბუზები“ და „მთხოვარა გლახაკი“.

რ. ერისთავმა ჯერ კიდევ ადრე გამოამჟღავნა ინტერესი მთიელი ხალხის ცხოვრებისა და მისი ჩვეულებების მიმართ. მკითხველთა ყურადღება მიიპყრო მისმა ნარკვევმა — „Записки о Туш-Пшав-Хевсуретии“<sup>1</sup> და მოთხრობამ „Оборванец“<sup>2</sup>. 1857 წელს კი ეურნალ „ცისკარში“ გამოაქვეყნა მოთხრობა „ნინო“, რომელიც აგებულია იმავე თემაზე, რაზეც მ. მამაცაშვილის „კატო და ანა“, მაგრამ იგი ამ უკანასკნელს ჩამორჩება როგორც მხატვრული ღირსებით, ასევე მწვავე სოციალური მოკლენების ასახვით. იგივე თემა გამოიყენა შემდეგ ლ. არღაზიანმაც „მორჩილში“, მაგრამ სხვა მიმართულებით დაამუშავა. ჩანს იმდროინდელ საზოგადოებრივ აზრს აქტუალურ საკითხად ჰქონდა მიჩნეული ოჯახის შექმნის ძველი წესების უარყოფა.

სალიტერატურო კრიტიკა მოწონებით შეხვდა „ნინოს“. ვინაიდან მასში ამოიკითხა იმდროინდელი ცხოვრებისათვის დამახასიათებელი მოვლენა. ნ. ბერძენიშვილი ამ მოთხრობის შესახებ შენიშნავდა: „В ней много любопытных подробностей. Рассказ веден живо и увлекательно, а местами не лишен и драматизма. Предоставляем самим читателям сделать окончательный

<sup>1</sup> „Кавказ“, 1854, № 43—52.

<sup>2</sup> „Зурна“, 1855.

вывод об этом первоначальном явлении в нашей юной словесности... Желательно только, чтобы автор нашел себе достаточных подражателей, да и он сам чтобы не остановился на первом весьма удачном опыте"<sup>1</sup>.

ცხოვრების სინამდვილით დაინტერესება, როგორც ალენიშნეთ, რ. ერისთავმა თავის ლექსებშიც გამოავლინა. ნაცვლად სატრფიალო თემებისა, მან დაიწყო ღარიბი ხალხის ცხოვრებაზე წერა, მთავარ მოტივად გაიხადა სოციალური და ეროვნული მოტივი. ზემოთ დასახელებული ლექსები ჩვენი პოეტის პირველი საიმედო ნაბიჯი იყო ამ მიმართულებით.

ლექსში — „მთხოვნელი მსაჯულისადმი“ რ. ერისთავმა, პირველად ჩვენს ლიტერატურაში, ერთმანეთს დაუპირისპირა გულქვა მებატონე და ყმა-დედა. დედა ითხოვს დაუბრუნოს ბატონმა მას შვილი და მსაჯულისაგან მოელის პასუხს, თუ

— „სხვა რად ჰპატრონობს ჩემსა ნაშობსა,  
რისთვისა სტანჯავს მანდ მდგომი სვავი“.

მომინებიდან გამოსული დედა ბატონს აშკარად უწოდებს „სვავს“ და მტკიცედაა დარწმუნებული თავისი მოთხოვნის სამართლიანობაში. პოეტი პირდაპირ არაფერს ანებობს, თუ რა განაჩენი გამოიტანა მსაჯულმა, ან რა აზრისა იყო ბატონი, მაგრამ მაინც გარკვევით გვაგრძნობინებს, რომ დედა ვერ პოულობს სამართალს:

„შვილსა შემკრთალსა ბატონისაგან,  
ვერა ვხედავდი დედისკენ მსვლულსა,  
რომ მისულყო, გადაეკოცნა,  
დედა-შვილურად ჰხვეოდა მკერდსა“.

რამდენი რამის მოქმელი იქნებოდა ეს ლექსი იმდროინდელი მკითხველისათვის. ბევრი მასში საკუთარ თავგადასავალს ამოიკითხავდა, ბევრიც ნაცნობ სურათს დაინახავდა; ყველა მათგანში კი პროტესტი გაიღვიძებდა და ბატონყმობის წინააღმდეგ საბრძოლველად აღინთებოდა. ამაშია ჩვენი პოეტის იდეური და მხატვრული გამარჯვება<sup>2</sup>.

<sup>1</sup> „Кавказ“, 1857, № 88.

<sup>2</sup> საგულისხმოა, რომ ი. ჰავეკავაძის „კაკო ყაჩაღის“ გარკვეული ადგილი. გვაგონებს რ. ერისთავის ლექსს — „მთხოვნელი მსაჯულისადმი“.

რ. ერისთავმა ქართულ ლიტერატურაში მოქალაქეობრივი უფლება მოუპოვა სოფლიდან ქალაქში გადმოხვეწილ უმწევოთაც-ლექსში — „მთხოვარა გლახაკი“ პოეტი მკითხველს აცნობს „სიღარიბით ხუთად გაღუნულ“, ქადარა მათხოვრის სულიერ ტრაგედიას. მთელი დღეები ქუჩაში მყოფი „უქალამნო, უშარვალო, თავშიშველი“ მათხოვარი სინანულით იგონებს იმ დროს, როცა მასაც ჰქონდა ოჯახი, როცა იგიც შეხაროდა ცოლშვილს, მაგრამ უბედურმა შემთხვევამ ყველაფერი მოუსპო მას. სნეული და ყველას გან განუკითხავი, ბოლოს „შეშის ურმის თვლების ქრიალს გამოჰყოლია და ქალაქ თბილისს მათხოვრად შემოსულა“. საბრალო თვალებით შესთხოვს იგი დახმარებას ქუჩაში გამვლელ მდიდრულად ჩაცმულ ადამიანებს, მაგრამ ისინი ან თავში ჩარტყმით უმაპინძლდებიან, ან ნაცვლად ფულისა ხელში ქვას აჩრიაან. ამიტომ-მა, რომ გულმოკლული მწარედ ვალალებს:

„რისთვისა მცემ, აბა ჩემო ძამია?  
სამი დღეა, პური არ მიჭამია! —  
მომცემ რასმე — ვითომც საყდარს სანთლები,  
არას მომცემ — ცემას რას მემართლები?!  
ზოგიერთი სულ მორთული ხვევრდით,  
მიბრძანდება, ჰაერს მიაპობს მკერდით,  
ამაყობს და იკლაკნება წელშია,  
მე ფულსა ვთხოვ, ის ქვას მიდებს ხელშია“.

ამით პოეტმა მწარედ ჩააფიქრა თავისი მკითხველები, რომ-ლებსაც შეიძლება სერიოზულად არც კი უფიქრიათ, თუ რატომ ხდებოდნენ ადამიანები იძულებულნი, რომ წვიმასა და თოვლში ფეხშიშველა მდგარიყვნენ და დახმარება ეთხოვათ. ვის არ აგრძნობინებდა სინდისის ქეჯნას ჩვენი პოეტის მიერ გაცნობილი მათხოვრის გულსჩამწვედომი საყვედური, ან მისი უსასოო მუდარა — „შემიბრალოთ, შიმშილმა გამამწარაო“.

რ. ერისთავი ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ ცხოვრებით სვებედნიერი ხშირად იგი იყო, ვისაც ადამიანური გულიც კი არ გააჩნდა, სამაგიეროდ ბევრ პატიოსან და სულით მდიდარ ადამიანს მათხოვრის მწარე ბედი სტანჯავდა. ყოველივე ამის მიზეზი კი სოციალური უთანასწორობა იყო.

რ. ერისთავს არ შეეძლო გულისტკივილით არ განეცადა ისიც, რომ მრავლდებოდა რიცხვი ე. წ. განსწავლული ადამიანებისა, რომლებიც შრომას თაკილობდნენ, კვლავ მშობლების ანგარიშზე ცხოვრობდნენ და მთელ დროს ფუქსავატურ ცხოვრებაში ატარებდნენ. ისინი არა მარტო თვითონ არაფერს ქმნიდნენ

თავიანთი ხალხის საკეთილდღეოდ, არამედ სხვებსაც ხელს უშლიდნენ. ეს ე. წ. ზედმეტი ადამიანები ჰყავს მიზანში პოეტს, როცა იგი წერს იგავ-არაკებს — „ყადის ჯორი“ და „ბუზები“. იგავ-არაკული ჟანრისადმი მიდრეკილება რ. ერისთავმა შემდეგში კიდეც უფრო გამოამჟღავნა, მაგრამ ჩვენთვის ამჟამად ისაა საყურადღებო, რომ იგი, ჯერ კიდევ ორმოცდაათიან წლებში, სატირით ესხმის თავს იმ ვაი-განათლებულთ, რომელთა სახეები შემდეგ ლ. არდაზიანმა გაგვაცნო თავის მხატვრულ ნარკვევებში და აკაკი წერეთელმაც თავისი ცნობილი სატირების საგნად აქცია.

ამგვარად, რ. ერისთავი 50-იან წლებში დგება კრიტიკული რეალიზმის პოზიციებზე და საფუძველს უდებს რეალისტურ ლირიკას. თავის ძირითად მიმართულებას პოეზიაში მან ჯერ კიდევ სამოციანელთა სამოღვაწეო გამოსვლამდე მიაგნო. იგი შემდეგ, მართალია, მათ გავლენას განიცდის, მაგრამ მაინც თავის დაწყებული გზით მიდის. ვიმეორებთ, რომ რ. ერისთავი, როგორც რეალისტი პოეტი, 50-იან წლებში ჩამოყალიბდა, ამავე პერიოდში მიაგნო მან თავის მიმართულებასაც, რომლის ერთგულიც დარჩა ბოლომდე.

უდავოდ გარკვეულ კორექტივს საჭიროებს კრიტიკოს კ. აბაშიძის შეხედულება რ. ერისთავის შესახებ. კ. აბაშიძის თქმით, „რაფიელ ერისთავის ლიტერატურული სახელი და დიდება უფრო საფუძვლიანი და ხანგრძლივი იქნებოდა, რომ იმ დროში არ შეხვედროდა მოღვაწეობა, როცა ილია ქავჭავაძე და აკაკი წერეთელი გამოვიდნენ სამწერლო ასპარეზზე. რაფიელ ერისთავს შეხვდა ამ მწერალთაგან გაკვალულ გზაზე სიარული. რეალურის პოეზიის შექმნა თუ ილია ქავჭავაძისა და აკაკი წერეთლის ხვედრი იყო, რაფიელ ერისთავის ნიჭიც ამგვარის პოეზიისაკენ მიილტვოდა, მაგრამ მეთაურობის მაგიერ მას უბრალო მუშაკობა არგუნა ბედმა“<sup>1</sup>.

მტკიცებას არ საჭიროებს, რომ ლიტერატურის ისტორია არაა მხოლოდ კორიფეთა ისტორია. არც ისაა სადავო, რომ ლიტერატურის ისტორიაში ხშირად მეტ კვალს ტოვებენ არა ისინი, ვინც საფუძველს უყრიან ხოლმე რაიმე ახალ მოვლენას, თუ მიმართულებას, არამედ ისინი, ვინც ყველაზე სრულად და მალალი მხატვრული სახეებით წარმოადგენენ ამ ახალ მოვლენას და ახალ მიმართულებას. ცხადია, ჩვეულებრივ მკითხველს უფლება აქვს მხოლოდ გენიოსთა და ტალანტთა ჩრდილში იკლავდეს თავის გულისმხურვალებას, მაგრამ ლიტერატურის ისტორიკოსს მეტი პა-

<sup>1</sup> კ. აბაშიძე. ეტიუდები მე-XIX საუკუნის ქართული ლიტერატურის შესახებ, ტ. II, გვ. 242.

სუბსიზმებლობა აკისრია. მისთვის მთავარია სრულად გაითვალისწინოს განვითარების ის პროცესი, რომელიც განვლო ამა თუ იმ ლიტერატურამ, როგორც სინამდვილის მხატვრული ასახვის ფორმამ. სხვაგვარად შეუძლებელი იქნებოდა მწერალთა ისტორიული დამსახურების გათვალისწინება.

ყოველივე ეს საფუძველს გვაძლევს ვთქვათ, რომ რაფიელ ერისთავი, მართალია, პატარა ფიგურაა ილია ქავჭავაძესთან და აკაკი წერეთელთან შედარებით, მაგრამ იგი არ ყოფილა მათი ეპიგონი, არც უბრალო მუშაკი ჩვენი ლიტერატურისა. ამიტომაც, რომ მისი სახელი და დიდება არც ხანმოკლე აღმოჩნდა და არც სუსტ საფუძველზე დაყრდნობილი. ჩვენს მიზანს ამქამად არ წარმოადგენს რ. ერისთავის მდიდარი შემოქმედების საერთო მნიშვნელობის გათვალისწინება, მაგრამ ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ ნიჭიერ პოეტს სხვისი გაკვალული გზით სიარული არ დასჭირვებია. მან თავისი გზა თვითონ გაიკვლია და ბოლომდე შეინარჩუნა ორიგინალობა. რა ვუყოთ, რომ რ. ერისთავიც რეალისტია და ი. ქავჭავაძეც? რა ვუყოთ, რომ ი. ქავჭავაძე გაცილებით უფრო დიდი მხატვარია, ვინემ რ. ერისთავი? განა ყველა რეალისტი ერთი გზით მიდის და ერთი და იმავე კუთხიდან ამდიდრებს თავის მშობლიურ ლიტერატურას? აბა საგანგებოდ შეადარეთ ერთმანეთს რ. ერისთავის პოეზია ი. ქავჭავაძისა და ა. წერეთლის პოეზიას, თუ მაშინვე აშკარა არ გახდეს მისი თავისებურება და ორიგინალობა; თუ ნათელი არ გახდეს, რომ რ. ერისთავს, როგორც რეალისტს, თავისი საკუთარი მხატვრული სიდიადე გააჩნია.

რაც შეეხება იმას, ჰქონდა თუ არა რ. ერისთავს მოძებნილი თავისი გზა ილიასა და აკაკისაგან დამოუკიდებლად, ამის შესახებ თვითონ ქართველ მესამოციანელებს უნდა მოვუსმინოთ.

თავის საყურადღებო სტატიაში — „წერილები ქართულ ლიტერატურაზე“, ი. ქავჭავაძე წერს: „რაფ. ერისთავმა ამ ორმოცდაათიან წლების ხანაში დაიწყო თავისი მოღვაწეობა. ამანაც, როგორც თითქმის ყველა ჩვენმა პოეტმა, მთავარ პირველ ხანებში თავისი ხარკი სიყვარულსა და ტრფივობას, მაგრამ ამასთანავე არ უიმისოდ მორჩა, რომ ეგრეთ-წოდებულ საპირ-ბოროტო საგანს ცხოვრებისას არ გაჰხმარებოდა. ჯერ ბატონყმობის (გადავარდნაზე) ჩუჩუნიც არსად იყო, რომ კაცთმოყვარე გულმა პოეტისამ იგრძნო უსამართლობა მისი და ყმა-დღეა აჩვენა მსაჯულთან: „სხვა რად ჰპატრონობს ჩემსა ნაშობსაო“...“

ეს პირველი ხმა იყო ჩვენში სამწუედ უსამართლოდ ჩაგრულთათვის. რაფიელ ერისთავამდე ეს მწვევე ჩივილი ყმობით გაუპატიურებული... ადამიანისა არავის გაუთვალისწინებია, არავის უკითხავს თავის-თავისათვის ეს მართლა და, ჰეინესი არ იყოს, „დაწყვეტილი საკითხი“: ერთის ნაშობს მეორე რად ჰბატონობსო“<sup>1</sup>.

ი. ჰევქავაძე მაღალ შეფასებას აძლევს, აგრეთვე, ლექსს „მთხოვარა გლახაკს“ და დასძენს: „რაფ. ერისთავმა პირველმა დაჰძრა ენა ადამიანის გაუპატიურებულ ღირსებისათვის და ჩამოაგდო სიტყვა ადამიანურ დატყვევნილ უფლების აღსახსნელად და აღსადგენადო“<sup>2</sup>.

სამწუებაროდ, დაკარგულია ი. ჰევქავაძის სტატიიდან სწორედ ის ფურცელი, რომელზეც ილია რ. ერისთავის დამსახურების ჩვენებას აგრძელებდა. მაგრამ, მოყვანილი ადგილებიც აშკარას ხდიან, თუ როგორი შეხედულებისა იყო ილია რ. ერისთავის სამწერლო გზის შესახებ. ილია რ. ერისთავის დამსახურებას, უპირველესყოვლისა, იმაში ხედავს, რომ მან ახალი და მნიშვნელოვანი სიტყვა სთქვა ჯერ კიდევ 50-იან წლებში.

ცნობილი ქართველი პოეტი აკაკი წერეთელი ყოველთვის განსაკუთრებული სიმპათიით აფასებდა ხოლმე რ. ერისთავს, როგორც წინამორბედსა და საკუთარი სიტყვის მქონე თანამოკალმეს. მისი თქმით, „ჯერ მესამოცე წლების მოღვაწეები არსადა ჩანდნენ, მაგრამ პირველი ნაბიჯი კი მათკენ იყო მიმართული და ერთი განმაცხოვრებელ წვეთთაგანი იყო რ. ერისთავიც“<sup>3</sup>.

გ. წერეთელიც იმ შეხედულებისაა, რომ რ. ერისთავი მესამოციანელთა წინამორბედი და უაღრესად ორიგინალური მოვლენა იყო ქართულ ლიტერატურაში. კ. აბაშიძისაგან განსხვავებით, მას რ. ერისთავი მიაჩნდა არა „რიგით მუშაკად“, არამედ გარკვეული სკოლის მეთაურად. „რ. ერისთავი, — წერს გ. წერეთელი, — მეცხრამეტე საუკუნის ქართულ ლიტერატურაში შემაერთებელი ხილია, ერთი მხრით, ნ. ბარათაშვილისა და ი. ჰევქავაძისა და, მეორე მხრით, აკაკი წერეთელსა და ა. ყაზბეგს შორის... რ. ერისთავს უკირავს თავისი საკუთარი წრე ქართულ პოეზიაში. მისი ენა, მისი გრძნობა და მისი იდეალი ნამდვილად ხალხის გრძნობა

<sup>1</sup> ი. ჰევქავაძე, თბზულებათა სრული კრებული, 1953, ტ. III, გვ. 222—223.

<sup>2</sup> ი ქ ვ ე, გვ. 224.

<sup>3</sup> გახ. „ივერია“, 1901, № 57.

და მისი იდეალია... რაფიელმა უკვე შეჰქმნა თავისი შკოლა პოეზიისაო<sup>1</sup>.

აშკარაა, რომ კ. აბაშიძის მიერ გაბატონებული წეხედულება რ. ერისთავის ადგილის შესახებ ჩვენს ლიტერატურაში, რომელიც დღემდე გაზიარებულია, მცდარია და არასწორ წარმოდგენას იძლევა მწერლის შემოქმედებითი გზის შესახებ.

რ. ერისთავი რეალიზმის პოზიციებზე დადგა ჯერ კიდევ 50-იან წლებში, სამოციანელთა სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლა-მდე. ამავე პერიოდში გაირკვა მისი, როგორც რეალისტის, ინტერესთა სამყარო და მხატვრული თავისებურებაც. იგი პირველი ლირიკოსია, რომელმაც თავის მხატვრულ მეთოდად რეალიზმი აირჩია.

დრამატურგია-პროზა-ლირიკა, — ასეთია ის უანრობრივი გზა, რომელიც კრიტიკულმა რეალიზმმა განვლო ქართულ ლიტერატურაში თავისი ჩამოყალიბებისა და დამკვიდრების პროცესში.

40—50-იანი წლების ქართული ლიტერატურის ერთი თვალის გადავლებაკი ნათელსა ხდის, რომ ამ პერიოდის წამყვანმა მწერლებმა საიმედო ნიადაგი შექმნეს რეალიზმის, როგორც მხატვრული მეთოდისა და კრიტიკული რეალიზმის—როგორც ლიტერატურული მიმართულების საბოლოო გაბატონებისათვის. აღნიშნული ეპოქა ჩვენს ლიტერატურაში წარმოადგენს პირველ პერიოდს კრიტიკული რეალიზმის განვითარების ისტორიაში.

მართალია, ამ პერიოდში კრიტიკულ რეალიზმს მკაცრად უპირისპირდება კრიზისის გზაზე მდგარი რომანტიზმი, რომელიც ყოველგვარ საშუალებას მიმართავს, რათა შეინარჩუნოს ძველი ავტორიტეტი, მაგრამ მისი წინააღმდეგობა უკვე უპერსპექტივო იყო. ამის მაჩვენებელია არა მარტო მხატვრული ლიტერატურა, არამედ ლიტერატურული კრიტიკა და პუბლიცისტიკაც.

\* \* \*

მას შემდეგ, რაც ქართული თეატრი დაარსდა და მაყურებელს საშუალება მიეცა გაცნობოდა ქართველ დრამატურგთა შემოქმედებას, ამ უკანასკნელის კრიტიკული შეფასებაც დაიწყო. პირველი ნაბიჯები ამ მიმართულებით თბილისის რუსულმა პრესამ გადადგა. „ზაკავკაზსკი ვესტნიკსა“ და „კავკაზში“ თითქმის სისტემატურად იბეჭდებოდა რეცენზიები ახალი თეატრალური

<sup>1</sup> იხ. კრებული — „საერთო დღესასწაული რაფ. ერისთავის იუბილეს გამო“, 1899, გვ. 28.



წარმოდგენების შესახებ. წერილთა ავტორები საგანგებო ყურადღებას აქცევდნენ პიესების იდეურ აზრს, მხატვრულ ღირსებებსა და ნაკლოვანებებს. თეატრალურმა კრიტიკამ, რომლის წარმომადგენლებად ქართველი და რუსი ლიტერატორები გვევლინებიან, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა როგორც თეატრალური ხელოვნების განვითარების საქმეში, ასევე ლიტერატურაში კრიტიკული რეალიზმის დამკვიდრებისათვის ბრძოლაში.

გ. ერისთავის კომედიების პირველი ქეშმარიტი შემფასებელი იაკობ პოლონსკი და მ. თუმანიშვილი იყვნენ. ი. პოლონსკიმ სწორად გაიგო გ. ერისთავის დრამატურგიის რეალისტური ბუნება; მან პირველმა შენიშნა, რომ გ. ერისთავმა დაიწყო ახალი პერიოდი ქართული ლიტერატურის განვითარების ისტორიაში.

1850 წელს, „გაყრის“ რუსული თარგმნის გაცნობის შემდეგ, ი. პოლონსკი წერდა: „Я называю сочинение кн. Эриштова — „Раздел“ первым литературным произведением в Грузии в том смысле, что содержание ее почерпнуто из современной грузинской жизни—что ставит ее выше всех рифмованных и нерифмованных сказок...“

Автор не ломал головы над вымыслом и рисовал с природы. Содержание комедии взято из жизни грузинского семейства. В последнее время семейная жизнь в Грузии не может не заключать в себе той борьбы, без которой нет общественного развития...

Не нужно быть слишком большим наблюдателем, чтобы понять всю возможность для таланта извлекать из жизни современного семейства в Грузии бесчисленное множество комических, а иногда и драматических сцен. Князь Георгий Эриштов, первый воспользовался этой возможностью — воспользовался как мог — и, таким образом, обнаружил в себе замечательное дарование<sup>1</sup>.

ამ წერილის გამოქვეყნებისას ი. პოლონსკი არ იცნობდა გ. ერისთავის „შეშლილსა“ და „დავას“, რომლებიც „გაყრაზე“ ადრე შეიქმნენ, ხოლო „ძუნწი“ და „წარსული დროების სურათები“ შემდეგში დაიწერენ. მიუხედავად ამისა, ი. პოლონსკისათვის ცხადი გახდა გ. ერისთავის, როგორც რეალისტის, გამოჩენა სამწერლო ასპარეზზე.

<sup>1</sup> „Закавказский вестник“, 1850, № 19.

დიდი აღფრთოვანებით შეხვდა გ. ერისთავის კომედიებს წარმოდგენას თეატრის სცენაზე ქართველი პოეტი მ. თუმანიშვილიც, რომელმაც 40-იანი წლებიდან შეუფერებლად მიიჩნია რომანტიკული პოეზიისადმი სამსახური და 50-იან წლებში ყურადღება მიიპყრო როგორც ნიკიწერმა თეატრალურმა კრიტიკოსმა და პუბლიცისტმა.

მ. თუმანიშვილს გ. ერისთავის კომედიები იტაცებდა ცხოვრების სინამდვილის შეულამაზებელი ასახვითა და ტიპიური სახეების შექმნით. იგი საპიროდ თვლიდა ასეთი მიმართულების განმტკიცებას და სხვებსაც მოუწოდებდა გააყოლოდნენ გ. ერისთავს.

მ. თუმანიშვილი არ კმაყოფილდება გ. ერისთავის კომედიების ზოგადი დახასიათებით და ანალიზს უკეთებს მის მიერ შექმნილ ხასიათებს, დაინტერესებულია პიესების სცენიური ღირსებებითაც<sup>1</sup>.

მაგრამ უფრო საყურადღებო ისაა, რომ მ. თუმანიშვილი, როგორც კრიტიკოსი, პირველი იყო ჩვენს მოღვაწეთაგან, რომელიც მოწონებით შეხვდა კრიტიკული რეალიზმის გამოჩენას ქართულ ლიტერატურაში და მაღალი შეფასება მისცა მისი პირველი წარმომადგენლის — გ. ერისთავის შემოქმედებას. მ. თუმანიშვილმა რეალიზმის პოზიციებზე დგომა გამოამქლავნა მ. ლივენცოვის მოთხრობის — „ქართული იდილიას“ გარჩევისადმი მიძღვნილ სტატიაშიც<sup>2</sup>.

თეატრალური კრიტიკა 50-იან წლებში, საერთოდ, დიდ მხარდაჭერას ამჟღავნებდა პირველი რეალისტი დრამატურგების შემოქმედებისადმი. ეს მაუწყებელი იყო იმისა, რომ თვით კრიტიკა დადგა რეალიზმის პოზიციებზე და ამ მიმართულებითაც საგულისხმო წინსვლა იყო მოსალოდნელი.

მართალია, თეატრალური კრიტიკა მხოლოდ რუსულ პრესაში („ზაკავკაზსკი ვესტნიკ“, „კავკაზ“) გაიშალა, მაგრამ იგი მაინც მისაწვდომი იყო ჩვენი მწერლებისათვის და გარკვეულ დასკვნებსაც აკეთებდნენ. საგულისხმოა, რომ ქართული თეატრის მუშაობამ შესაფერი გამოხმაურება ვერ ჰპოვა „ცისკარის“ ფურცლებზე. ეს გარემოება, შესაძლებელია, მითაც იყოს გამოწვეული, რომ როგორც თეატრს, ასევე უურნალს გ. ერისთავი ხელმძღვანელობდა. თუმცა, გ. ერისთავის „ცისკარში“ კრიტიკა, — ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, საერთოდ არა გვაქვს.

<sup>1</sup> „Кавказ“, 1852, № 10, 11: 1855, № 8.

<sup>2</sup> „Кавказ“, 1852, № 41.

გ. ერისთავის „ციცკარში“ ჩვენ შევხვდებით მხოლოდ პლ. იოსელიანის ისტორიულ-ლიტერატურული შინაარსის წერილებს ი. თბილელის „დიდმოურავიანისა“ და ტ. გაბაშვილის „მოგზაურობის“ შესახებ<sup>1</sup>. ეს წერილები წარმოადგენენ განმეორებას იმ წინასიტყვაობებისას, რომლებიც პლ. იოსელიანმა დასახელებულ თხზულებათა გამოცემებისათვის მოამზადა.

ყურადღების ღირსია, აგრეთვე, ამავე ჟურნალის ფურცლებზე გამოქვეყნებული როჟე დე-ბოვოარის „საძიას“ თარგმნისადმი გაკეთებული წინასიტყვაობა— „მთარგმნელისაგან“<sup>2</sup>, რომელიც ეკუთვნის სარდიონ ალექსიევ-მესხიევს.

ს. ალექსიევ-მესხიევს სურს მოკლედ გადმოსცეს ის გრამატიკული თავისებურებანი, რომლებიც მას თავის თარგმანში გამოუყენებია და საჭიროდ თვლის დაკანონდეს საერთოდ. მისი შეხედულებით, ქართული ენის ნაკლოვანებას, პირველყოვლისა, გრამატიკული სქესის განურჩევლობა წარმოადგენს, რის სიმძიმე მეტწილად ნაცვალსახელებში იგრძნობა. ამიტომ, მას შემოაქვს გრამატიკული სქესი.

მაგრამ ს. ალექსიევ-მესხიევის „ზრუნვა“ ქართული ენის „გამდიდრებისათვის“ მხოლოდ გრამატიკული სქესის შემოტანით არ ამოიწურება. მას ქართულ ორთოგრაფიაში შემოაქვს აგრეთვე აპოსტროფი. მისი თქმით, ვინაიდან საუბარში ხშირად ისმის არა „ზედა“, „ხომ“, „რომ“, „რატომ“, „თორემ“, „არის“, არამედ: „ზე“, „ხო“, „რო“, „რატო“, „თორე“, „არი“, რაც მათ ტკბილხმოვანებას მატებთ, ამიტომ ფრანგული ენიდან შეიძლება ვისესხოთ აპოსტროფი ('), რაც გაამარტივებს ორთოგრაფიას. ს. ალექსიევ-მესხიევი კიდევ უფრო შორს მიდის, მაგრამ იმის გასათვალისწინებლად, თუ როგორ მდგომარეობაშია ქართული სამწერლო ენა, „სამი სტილის“ დამცველ სქოლასტიკოსთა წყალობით, 50-იანი წლებისათვის, ესეც საკმარისია.

ს. ალექსიევ-მესხიევი, რომელსაც შემდეგში ი. ჭავჭავაძე დაესხა თავს, ერთი პირველთაგანი იყო, რომელიც ცდილობდა ქართული სალიტერატურო ენა აეცდინა განვითარების სწორი გზისათვის.

ჩვენ თითქოს გვერდი ავუარეთ ძირითად საკითხს, მაგრამ ვინც დაწვრილებით შეისწავლის იმ მასალას, რომლის მიხედვითაც უნდა გაირკვეს სალიტერატურო კრიტიკის ხასიათი 50-იანი წლებში, მისთვის აშკარა გახდება, რომ კრიტიკის ინტერესის უმთა-

<sup>1</sup> „ციცკარი“, 1852, № 2, 3.

<sup>2</sup> „ციცკარი“, 1853, № 7.

ერეს საგანთაგანს ქართული სამწერლო ენის პრინციპთა დადგენის საკითხი წარმოადგენდა.

ი. კერესელიძის მიერ განახლებული „ცისკარიც“ არ იჩენდა დიდ დაინტერესებას სალიტერატურო კრიტიკისადმი, მაგრამ მალე მაინც იძულებული გახდა მიეღო გამოწვევა „კავკაზის“ ფურცლებიდან.

„ცისკარის“ 1857 წლის პირველ და მეორე ნომრებში გამოქვეყნდა სარდიონ ალექსიევი-მესხიევის მიერ თარგმნილი მარმონტელის — „მეუდაბნოე“, რომლის შესახებ გაზეთ „კავკაზში“<sup>1</sup> კრიტიკული წერილი მოათავსა ნ. ბერძენოვმა. ნ. ბერძენოვს, იმავე გაზეთის ფურცლებზე, პასუხი გასცა ს. ალექსიევი-მესხიევი<sup>2</sup>, მაგრამ „ცისკარელები“ მაინც არ ისვენებენ. მათ სურთ დაამტკიცონ, რომ „ცისკარის“ კრიტიკა ჯერჯერობით ნაადრევია.

„ცისკარმა“ გამოაქვეყნა ალ. სავანელის წერილი — „მკითხველთადმი“<sup>3</sup>, რომელშიც ავტორი არჩევს ნ. ბერძენოვის სტატიას და იმ აზრისაა, რომ „ცისკარს“ — როგორც ახალფეხადგმულ ჟურნალს, კრიტიკა მხოლოდ ავნებს. იმომბებს რა კარამზინს, ალ. სავანელი იმ აზრისაა, რომ კრიტიკის უპირველესი ვალია აქოს ის, რაც ქების ღირსია, ვინემ აძაგოს იგი, რაც ძაგებას იმსახურებს. საგულისხმოა ისიც, რომ ს. ალექსიევი-მესხიევი ალ. სავანელს მიაჩნია ქართული ენის საუკეთესო მცოდნედ.

მაგრამ „ცისკარელებმა“ იგრძნეს, რომ კრიტიკას გვერდს ვეღარ აუვლიდნენ. კონსერვატორულ-ლიბერალური ბანაკის ცნობილი წარმომადგენელი ალ. ორბელიანი, რომლის ხელშიც იყო ფაქტიურად ჟურნალი, იძულებულია რედაქტორისადმი მიმართულ წერილში თქვას: „რახან ასე მოხდა და საკრიტიკოთ გაეხდით ყველანი, თუ ჟურნალის გასქელებამდისინ მოითმენთ დიან კარგი, თუ არადა, ნულარ დაზოგავთ ერთმანეთს და კრიტიკებს მიჰყევით ერთმანეთის წერილებზე. ესეც დიდი სასარგებლო იქნება და ეკალზედ ვარდი აღმოცენდებაო“<sup>4</sup>.

ალ. ორბელიანი არ ცდებოდა. კრიტიკა უკვე დაწყებული იყო და გაჩუმება საქმეს არ შეელოდა, საქირო იყო ინიციატივისათვის ბრძოლა. მართლაც, ამის შემდეგ „ცისკარის“ ფურცლებზე თითქმის სისტემატურად ქვეყნდებოდა კრიტიკული ხასიათის წერი-

<sup>1</sup> „Кавказ“, 1857, № 4.

<sup>2</sup> „Кавказ“, 1857, № 11.

<sup>3</sup> „ცისკარი“, 1857, № 4.

<sup>4</sup> „ცისკარი“, 1857, № 6.

ლები. ამ წერილების შესწავლა უდავოს ხდის, რომ საქმე გვაქვს. ორ სხვადასხვა მიმართულებასთან, რომელთაგან ერთი დეკადენტურ რომანტიზმსა და „სამი სტილის“ თეორიას იცავს მწერლობაში, ხოლო მეორე — რეალიზმისა და სამწერლო ენის დემოკრატიზაციის დამცველად გამოდის.

„ცისკარში“ გამოქვეყნებულ პირველ კრიტიკულ წერილებს მეტად თავისებური ფორმა აქვთ. ისინი თითქმის არ განირჩევიან პუბლიცისტური სტატიებისაგან. ჩანს, რომ მათ ავტორებს ჯერ კიდევ არ ჰქონდათ გარკვეული წარმოდგენა სალიტერატურო კრიტიკის დანიშნულებასა და ხასიათზე. ამასთან, ბევრი მათგანი (მსგავსად ალ. ორბელიანისა<sup>1</sup>) კმაყოვილდებოდა ნაწარმოებთა დაუსაბუთებელი დაწუნება - მოწონებით, ან წმინდა ენობრივ საკითხზე შესჯელობდა მხოლოდ (ი. ლორთქიფანიძე, ალ. სავანელი, ნოტა-ბენე, დ. ბაქრაძე და სხვ.)<sup>2</sup>. ალ. სავანელი პირდაპირ აცხადებდა, რომ „უპირველესი საგანი ჩვენის ჟურნალისა უნდა იყოს მართლმწერლობა, ფილოლოგიური შენიშვნა და სხვაო“<sup>3</sup>.

საგულისხმოა, რომ „ცისკარის“ თანამშრომლები მეტ დაინტერესებას იჩენდნენ ორთოგრაფიის, ტერმინოლოგიისა და „სამი სტილის“ თეორიის საკითხებისადმი, ვინემ წმინდა ლიტერატურული მოვლენებისადმი. ეს არც შემთხვევითია, კონსერვატორულ-ლიბერალური ბანაკი დარწმუნებული იყო, რომ ენა არ ვითარდება, რომ იგი უცვლელია.

ამიტომ, ისინი ფხიზლობდნენ და მტრულად ხედებოდნენ არა მარტო სამწერლო ენის სასაუბრო, ხალხურ ენასთან დაახლოების ყოველგვარ ცდას, არამედ მკაცრად იბრძოდნენ ახალი სიტყვებისა და ახალი ცნებების შემოტანის წინააღმდეგაც. მათთვის მიუღებელი იყო ისეთი ახალი სიტყვები, როგორიცაა „ჟურნალი“ და „რედაქტორი“<sup>4</sup>; მიუღებელი იყო, აგრეთვე, ყოველგვარი ორთოგრაფიული ცვლილებანი, რომლებიც ხალხურ მეტყველებას ემყარებოდა<sup>5</sup>. საერთოდ, ისინი დიდ ერთგულებას ამქლავნებდნენ ანტონ კათალიკოსის გრამატიკული კატეგორიებისადმი.

„ცისკარის“ მყუდროება კვლავ ნ. ბერძენოვმა დაარღვია. ამჯერად მან „კავკაზის“ ფურცლებზე გააჩია „ცისკარის“ 1858 წლის

<sup>1</sup> „ცისკარი“, 1857, № 9; 1858, № 4.

<sup>2</sup> „ცისკარი“, 1857, № 7; 1858, № 3; 1860 წ. № 8.

<sup>3</sup> „ცისკარი“, 1858, № 2.

<sup>4</sup> „ცისკარი“, 1857, № 7.

<sup>5</sup> „ცისკარი“, 1858, № 3.

ნომრები<sup>1</sup>. მართალია, ნ. ბერძენოვი შეცდომას უშვებდა ლიტერატურული მოვლენების ისტორიული თვალსაზრისით შეფასებაში და სკეპტიკურად იყო განწყობილი „ცისკრის“ მხატვრული პროდუქციისადმი, მაგრამ მის კრიტიკულ წერილებს უთუოდ გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა. „ცისკრის“ რედაქციას ამის შემდეგ მეტი პასუხისმგებლობა უნდა ეგრძნო, მეტად უნდა ეზრუნა ჟურნალის გაუმჯობესებისათვის. რედაქტორის ხშირ-ხშირ მობოდიშებას, ჟურნალის ნაკლოვანებათა გამო, უკვე აღარ შეეძლო დაეკმაყოფილებინა ლიტერატურული საზოგადოება.

ნ. ბერძენოვს „ცისკრის“ ფურცლებიდან პასუხი გასცა ლ. არდაზიანმა<sup>2</sup>. მაგრამ ლ. არდაზიანმა თუ, ერთი მხრივ, ნ. ბერძენოვის სტატიის სუსტი მხარეები გამოამჟღავნა, მეორე მხრივ, „ცისკრის“ დასაბუთებული კრიტიკაც მოგვცა. ლ. არდაზიანის აღნიშნული სტატია ფაქტიურად იყო პირველი სერიოზული კრიტიკული სტატია „ცისკრის“ ფურცლებზე. ამიტომაც, იგი იძულებული გახდა, პირველყოვლისა, კრიტიკის დანიშნულების განმარტებაზე შეჩერებულიყო, ხოლო შემდეგ მოეცა სურათი იმდროინდელი ლიტერატურისა.

ლ. არდაზიანი ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ კრიტიკის დანიშნულება მხოლოდ ნაკლოვანებათა და ჩამორჩენილობის დანახვა არაა, რომ მას მოეთხოვება, აგრეთვე, ახსნას მათი მიზეზები და სწორი მიმართულება მისცეს მწერლობას.

გამოამჟღავნა რა ქართული ლიტერატურის ისტორიის კარგი ცოდნა, ლ. არდაზიანმა სწორი შეფასება მისცა მის თანამედროვე ლიტერატურას, სამართლიანად გაამახვილა ყურადღება პროზაული ჟანრის მწერლობის ჩამორჩენასა და მის მიზეზებზე. ამასთან, პრინციპულად დააყენა საკითხი სამწერლო ენის გამარტივებისა და მისი სასაუბრო ენასთან დაახლოების შესახებ. მანვე ნათელიყო ნ. ბერძენოვის სკეპტიციზმის უსაფუძვლობაც.

ლ. არდაზიანის ლიტერატურულ-ენობრივი შეხედულებანი ამკარად უპირისპირდებოდა „ცისკრელთა“ უმრავლესობის თვალსაზრისს. იგი რეალისტური კრიტიკის პოზიციებიდან არკვევდა მეტად საინტერესო და აქტუალურ საკითხებს. ნ. ბერძენოვსა და ლ. არდაზიანს შორის გამართულმა პოლემიკამ დაადასტურა, რომ ლ. არდაზიანს ჰქონდა ჩამოყალიბებული შეხედულება ლიტერატურისა და კრიტიკის დანიშნულებაზე. ეს გარემოება კიდევ უფრო

<sup>1</sup> „Кавказ“, 1858, № 41, 43, 49, 50.

<sup>2</sup> „ცისკარი“, 1859, № 9.

აშკარა გახადა მის მიერ დაწერილი „პროსოდის“ მოღწეულმა ნაწილმა<sup>1</sup>, რომელშიც ავტორს განხილული აქვს ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა: „განსაზღვრა პოეზიისა“, „საგანი პოეზიისა“, „საქიროება პოეზიისა“, „განყოფა პოეზიისა“ და სხვ.

კონსერვატორ-ლიბერალური ბანაკის წარმომადგენლებს შემჩნეველი არ დარჩენიათ, რომ ლ. არდაზიანის წერილების სახით „ცისკარის“ ფურცლებზე მათი შეხედულების საპირისპირო მოსაზრებები გამოითქვა. ამიტომ იყო, რომ საპასუხო წერილი გამოაქვეყნა ბ. ჯორჯაძემ, რომელიც განსაკუთრებით ააღელვა ლ. არდაზიანის გალაშქრებამ საღმრთო წერილის ენის წინააღმდეგ.

კიდევ მეტი სიცოცხლე შეიტანა „ცისკარში“ იმ პუბლიცისტურმა წერილებმა, რომელთა მიზანი იყო საზოგადოებრივი ცხოვრების ჩამორჩენილობისა და ცრუ პატრიოტთა ფიზიონომიის გამოშვეურება. ამ წერილთა უმეტესობა კულტურის საკითხებისადმი იყო მიძღვნილი და უშუალოდ უკავშირდებოდა ლიტერატურის განვითარების ამოცანებს. ამასთან, ის მკაცრი მამხილებელი ტონი, რომელიც დამახასიათებელია ბევრი მათგანისათვის, ბუნებრივად უწყობდა ხელს კრიტიციზმის გაღრმავებას ლიტერატურაში. ამ მხრივ, ყველაზე საყურადღებო „მოლაყბის“ ფსევდონიმით გამოქვეყნებული წერილებია, რომელთა ბექდვა „ცისკარში“ 1857 წლიდანვე დაიწყო.

„მოლაყბის“ ფსევდონიმით პირველად მ. თუმანიშვილი გამოვიდა. შემდეგ ამ ფსევდონიმს სხვაც იყენებს, რის გამო დღემდე სადავოა, თუ რომელი წერილები ეკუთვნიან მ. თუმანიშვილს. უფრო სწორად, სადავოდაა მიჩნეული ეკუთვნის თუ არა მას, გარდა პირველი ორი<sup>2</sup> წერილისა, სხვა წერილებიც.

თუ რა დიდი ყურადღება დაიმსახურა „მოლაყბის“ პირველმა სტატიებმა<sup>3</sup> ამას მოწმობს, 1858 წლის თებერვალსა თუ მარტში დაწერილი, ი. ჭავჭავაძის წერილი გ. სულხანიშვილისადმი. „...ამას წინეთ, — წერს ილია გ. სულხანიშვილს, — მგონი შენი სტატიები იყო ცისკარში და მოლაყბედ აცხადებდი შენ თავს (ილიას, პირველად, გ. სულხანიშვილი მიუჩნევია „მოლაყბედ“ — დ. გ.). შენ იყავ თუ სხვა, პირფერობით არ ვიტყვი, კარგი რამ იყო. რაც კი შეეხება ენას სწორეთ ფენომენი იყო ჩვენს გორიზონტზე. ჰაზრითაც არ იყო დასაწუნი. დასაწუნი მეთქი? დასაწუნი კი არა, ძლიერ მოსაწონიც იყო. რა მახვილათ დაეცა მოლაყბე

<sup>1</sup> იხ. ლიტერატურული მუზეუმის ხელნაწერი, № 6051.

<sup>2</sup> „ცისკარი“, 1847, № 11, 12.

ქართველობას, რა კარგად დაიწყო ქართველების უბედურებაზე დაცინება... რა სიხარბით ვკითხულობდი მარტივ სიტყვასა კარგის გულიდამ გამოსულს. უნდა გენახა, რა სიჩქარით გადადიოდა ხელიდამ ხელში ის ბედნიერი ცისკრის ნომრები, სადაც მოლაყების ფურცლები ბრწყინავდნენ<sup>1</sup>... (ხაზი ჩვენია — დ. გ.).

მართლაც, „მოლაყების“ სტატიები გარკვეულად განსხვავდებოდა სხვა პუბლიცისტთა სტატიებისაგან როგორც ენით, ასევე აზრით.

„მოლაყების“ წერილების სახით ჟურნალში გამოჩნდნენ ახალი ტიპის ფელეტონები. მათ ავტორს ეხერხება წინ წამოსწიოს საზოგადოებრივი მნიშვნელობის საჭირობოროტო საკითხები და გაბედულად გამოთქვას თავისი შეხედულებები. იგი ვერ იტანს ეგოიზმსა და უმოქმედობას, სიტყვისა და საქმის დაცილებას. ნიჭიერი ფელეტონისტი იწყებს ხოლმე იუმორითა და ირონიით, ამთავრებს—სატირითა და სარკაზმით. მაგრამ მკითხველი ყოველთვის გრძნობს სამშობლოს მოყვარული, საზოგადოებრივი წინსვლისათვის მებრძოლი პუბლიცისტის გულის ცემას, სწვდება მისი მიზნის კეთილშობილურ ბუნებას. შემთხვევითი არაა ის, რომ თავის ფსევდონიმად მას „მოლაყბე“ შეურჩევია. ამის მიზეზს პირველსავე სტატიაში ასე განმარტავს: „საყვარელო მკითხველო! გთხოვ, მიცნობდე, მე გახლავარ მოლაყბე. რა ვქნა, დიად დიდი სათაქილო სახელია, მაგრამ რა გაეწყობა. ის საზოგადოება, რომელსაც მე ვეკუთვნი და რომელშიაცა ვიმყოფები, მოლაყბეს მეძახის... ეხლა ერთი მკითხეთ, რისთვის მეძახის მოლაყბეს? ...მართლისათვის, რა ხან კი სიმართლეზედ ვილაპარაკებ გულ მხურვალედ და ხანგრძლივ, მოლაყბე ვარ! ეს ქვეყანა ასეთია, მართალი რომ არ გადის“<sup>2</sup>.

როგორც ვხედავთ, „მოლაყბე“ ხმამალა აცხადებს, რომ სიმართლე არ გადიოდა და სიმართლის მთქმელიც პატივისცემით არ სარგებლობდა. იგი თავს ესხმის ქართველ საზოგადოებას ნაციონალური თეატრისადმი გულგრილი დამოკიდებულების გამო. ამასთან, აფრთხილებს ყველას, რომ, მათი მიზეზით, ასეთივე ბედი არ ხედეს ერთადერთ ჟურნალსაც.

ნაციონალური კულტურის აღმავლობით დაუინტერესებლობას „მოლაყბე“ ბრალად სდებს არა მშრომელ ხალხს, არამედ მალალწოდებას. „ახლა იფიქრეთ, — ამბობს „მოლაყბე“, — ეს ჟურნალიც

<sup>1</sup> ი. ჭავჭავაძე. წერილები, I, ი. ბოცვაძის რედაქციით, 1949, გვ. 16.

<sup>2</sup> „ცისკარი“, 1857, № 11.



რომ მსგავსად თეატრისა მოისპოს, ვინ იქნება მიზეზი... უმეტესად მიზეზნი ყოვლისა ამის სასარგებლო საქმის მოსპობისა, არიან უფალნი წარმომადგენელნი საზოგადოებისა..., თუ არიან ისეთნი, რომელთაც ესმით ძალა ამ გვარის საზოგადო საგნისა, ისინი, საუბედუროდ ჩვენდა, ლარიზნი არიან და რომელთა აქვთ შეძლება, დიდს ხარისხზედაც იმყოფებიან, იმათ ისე გასცილებიათ გული, რომ არცა ქართველებში ურევიათ და არც სხვათა სჯულის ხალხშიო<sup>1</sup>.

ცხადია, ეს მეტად პირდაპირი და გაბედული თქმა იყო. „მოლაყბე“ გამოამჟღავნა მდიდარ-ბობოლების ცრუ პატრიოტიზმი, — ეროვნული ინტერესებისადმი ღალატი; ამხილა ისინი მშობლიური ენისა და ლიტერატურის აბუჩად აგდებაში. „უკაცრავად კი ნუ ვიქნები და, — წერს „მოლაყბე“, — ჩვენს „ცისკარს“ უმეტეს ნაწილად კითხულობენ ბუზები, მოსამსახურეების ოთახში, იმისი ადგილი იქ არის, კაბინეტში შეტანა როგორ იქნება — ქართულს ენაზედ არის დაბეჭდილი, სხვათა ენაზედ რომ იყოს, აი, ის სხვა არის... ჩვენი ქართული ენა მოდად აღარ გახლავთ, ადრე, მართალია, დიდს პატივში იყოო“...<sup>2</sup>.

„მოლაყბე“ (მ. თუმანიშვილი) თავის პუბლიცისტურ წერილებშიც მხურვალედ ლაპარაკობს ქართული თეატრისა და მისი ფუძემდებლის გ. ერისთავის შესახებ. ამასთან, გამოთქვამს საყვედურს საზოგადოების (უფრო სწორად, მისი პრივილეგიური ნაწილის) მიმართ, ეროვნული მნიშვნელობის ღონისძიებათა და მათინიციატორთა არაშესაფერი დაფასების გამო. „რა გრძნობით ვუყურებდით თ. გ. ერისთავს, რომელმაცა დააფუძნა „ცისკარი“, აღადგინა დაცემული ქართული ენა, მრავალი კეთილი შესძინა საქართველოს და უფრო მეტს შეძინებდა, უკეთუ ჩვენ გარდაგეხადნა მადლობა დაფუძნებისათვის, მაგრამ რა, მაგდენი სინდისი არის ჩვენში?... თ. გ. ერისთავი რომ არ ყოფილიყო, აქამდინაც დაძინებულნი ვიქნებოდით“<sup>3</sup>, — დასძენს „მოლაყბე“.

მ. თუმანიშვილი მკითხველის ყურადღებას მიაქცევს ლიტერატურის დიდ საზოგადოებრივ მნიშვნელობას. იგი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „ლიტერატურა საზოგადოა და არა კერძობითი“<sup>4</sup>. ლიტერატურის ამგვარ გაგებას, ცხადია, განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა მაშინ, როცა ჯერ კიდევ საწინააღმდეგო შეფასე-

<sup>1</sup> „ცისკარი“, 1857, № 11.

<sup>2</sup> „ცისკარი“, 1857, № 12.

<sup>3</sup> „ცისკარი“, 1857, № 12.

<sup>4</sup> „ცისკარი“, 1857, № 11.

ბებთან გეჰონდა საქმე და ჟურნალის რედაქტორი, გამოსაქვეყნებელი მასალის შერჩევისას, უმთავრესად, იმით ხელმძღვანელობდა, რომ არავისთვის ეწყენინებინა.

აშკარაა, რომ მ. თუმანიშვილი — პუბლიცისტი მეტად საჭიროდ როს გამოჩნდა „ცისკრის“ ფურცლებზე. მან გამოაცოცხლა ჟურნალი, მუჯღუგუნე წაჰკრა ერთმანეთის მამებლობით გატაცებულ „ცისკრის“ „გულშემატკივართ“, რომლებიც ჯანსაღ კრიტიკას სალონურ რევერანსებზე სცვლიდნენ და პიროვნულ ინტერესს საზოგადოებრივ ინტერესებზე მაღლა აყენებდნენ. ნიჭიერმა პუბლიცისტმა კვლავ გააცოცხლა სიტყვა „მამული“ და საზოგადო მოღვაწის ყველაზე დიდ ღირსებად სამშობლოსადმი, ეროვნული მნიშვნელობის საქმისადმი უანგარო და თავდადებული სამსახური გამოაცხადა. ეს საყურადღებოა იმიტომაც, რომ 50-იან წლებში, გასაგები მიზეზის გამო, ლიტერატურაში გაბატონებული იყო, ძირითადად, სოციალური მოტივი, ხოლო ეროვნული მოტივი შედარებით სუსტად, ან მეტად შენიღბულად იყო წარმოდგენილი.

მ. თუმანიშვილის დროული გამოჩენა და მისი მოხდენილი გალაშქრება რუტინიზმის წინააღმდეგ, ცხადია, უკმაყოფილებას იწვევდა კონსერვატორ-ლიბერალთა ბანაკში. „ცისკრის“ რედაქტორს ზეპირად თუ წერილობით აფრთხილებდნენ აღარ დაებეჭდა „მოლაყბის“ წერილები, თორემ ჟურნალს აღარ გამოიწერდნენ. თვით მ. თუმანიშვილსაც ბევრი ლანძღვა და მუქარა მოუსმენია ამის გამო.

მიუხედავად ამისა, 1858 წლის „ცისკრის“ პირველ ნომერში კვლავ გამოქვეყნდა „მოლაყბის“ სტატია, რომელსაც მკვლევართა უმეტესობა კვლავ მ. თუმანიშვილს მიაწერს, მაგრამ დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ იგი არ ეკუთვნის მას.

„მოლაყბის“ ფსევდონიმით დაბეჭდილი სტატიების დაკვირვებული შესწავლა სრულიად უეჭველს ხდის, რომ მ. თუმანიშვილს ეკუთვნის „ცისკრის“ 1857 წლის მე-11 და მე-12, 1858 წლის — მე-3 და მე-12, 1860 წლის — მე-7 ნომრებში დაბეჭდილი სტატიები. მასვე უნდა ეკუთვნოდეს „ცისკრის“ 1859 წლის მეორე ნომერში მოთავსებული წერილი („გამოსარჩლება“) ფსევდონიმით — „თერთმეტი მებუკე“ და 1860 წლის „ცისკრის“ მეექვსე ნომერში, „აფციას“ ფსევდონიმით, დაბეჭდილი პატარა წერილი.

რაც შეეხება „ცისკრის“ 1858 წლის პირველ და მეთერთმეტე, 1860 წლის — მეექვსე, მეშვიდე და მეთორმეტე, 1861 წლის — პირველ ნომრებში დაბეჭდილ „მოლაყბის“ სტატიებს, ისინი არ ეკუთვნიან მ. თუმანიშვილს.

„მოლაყბის“ წერილები „ცისკარში“ იბეჭდებოდა 1857 წლიდან 1866 წლამდე, მაგრამ ჩვენი ლიტერატურისა და პუბლიცისტის ისტორიისათვის მეტი მნიშვნელობა აქვთ მხოლოდ იმ წერილებს, რომლებიც 1861 წლამდე გამოქვეყნდნენ. ამასთან, მხედველობაში უნდა გვქონდეს ისიც, რომ მ. თუმანიშვილთან ერთად, ამ პერიოდში, „მოლაყბის“ ფსევდონიმით წერს ვიღაც მეორე პირი, რომელიც ბაძაყს მ. თუმანიშვილს, როგორც სტილის, ასევე საკითხების შერჩევის მხრივ, მაგრამ მაინც გარკვეულად განსხვავდება ინსგან<sup>1</sup>.

<sup>1</sup> თავის დროზე ა. ჯორჯაძე ფიქრობდა, რომ „მოლაყბის“ ფსევდონიმით მხოლოდ მ. თუმანიშვილი წერდა „ცისკარში“ (იხ. ტ. V); პროფ. მ. ზანდუყელის აზრით, „მოლაყბის“ ფსევდონიმს სხვებიც იყენებდნენ ამოფარებულნი, მათ შორის ლ. არდახიანიც (იხ. „ახალი ქართული ლიტერატურა“, ტ. II, 1954 წ., გვ. 47). პროფ. ს. ხუნდაძის შეხედულებით, მ. თუმანიშვილს გვუთენის მხოლოდ პირველი სამი წერილი (იხ. გ. წერეთელი. თხზ. სრული კრებული, 1931 წ., ტ. I, გვ. 424). ამ შეხედულებას იმეორებს აპ. მახარაძეც (იხ. „ქართული რომანტიზმი“, 1948 წ., გვ. 262). გრ. კიკნაძე კი საერთოდ უულის გვერდს ამ საკითხს და ზოგადად აზუსიათებს „სალაყბო ფურცლის“ იუმორსა და სატირას (იხ. „ქართული სატირის და იუმორის განვითარების ისტორიისათვის“, 1953 წ.).

მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, ასეთი მოსახრებები კონტრქივს საჭიროებენ. 1858 წლის „ცისკარის“ პირველ ნომერში მოთავსებული „სალაყბო ფურცელი“ რომ მ. თუმანიშვილის არაა, ეს ჩანს არა მარტო წერილის სტილის ანალიზიდან, არამედ იმავე წლის „ცისკარის“ მესამე ნომერში გამოქვეყნებული „მოლაყბის“ სტატიიდანაც, რომელშიც ვკითხულობთ: „...რასაც ვანბობდი წარსულს წელს, რასაც ვანბობ ახლა და რასაც ვიტყვი მომავალში... ყოვლისფერს ვანბობდი, ვანბობ და ვიტყვი თქვენის კეთილისათვისო“. კვლავ ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ წარსული წლის (1857) შემდეგ ახლა გამოდის პირველად: „თუ ვილაპარაკე წარსულს წელს, ამისათვის უფრო არ ვუმატებთ ჩვენს ჩინებულს თვისებასა...“ გარდა ამისა იგი თითქმის პირდაპირ ამბობს, რომ იანვრის ნომერში გამოქვეყნებული სტატია სხვას ეკუთვნის. აწერს რა ერთ-ერთ ნაცნობთან საუბარს ამ სტატიაში დასახელებულ კომპოზიტორთა შესახებ, „მოლაყბე“ ვენიშნავს: „ჩემმა ნაცნობმა მკითხა—„ცისკარში“ ვიღაც „მოლაყბე“, რომ გამოჩენილა, ამ უკანასკნელს წიგნიც ეს რა მიუქარავსო... აქ მკითხველი კარგად მიხვდება, რომ ზემოხსენებულმა პირმა მკითხა იმ სახელებზედ, რა სახელებიც იყო ნახსენები იანვრის „ცისკარის“ სალაყბოს ფურცელში უფ. მოლაყბისაგან, ესე იგი ჩემგან, და არა ჩემგან. ახლა ამაზედ გამკიცხავთ, როგორ შენგან და არა შენგანო. ეს ჯერ ჩვენში დარჩეს, თუ მშვიდობაა, შემდეგში გაგიმარტებთ ამ ბნელს აზრსო“. აქ ყველაფერი გასაგებადაა ნათქვამი: „მოლაყბე“ (მ. თუმანიშვილი) 1857 წლის შემდეგ ახლა პირველად გამოდის, ხოლო იანვრის ნომერში დაბეჭდილი სტატია სხვისაა. მიმხედვრი მაშინაც მიხედებოდა, რას ნიშნავდა სიტყვები: „ჩემგან და არა ჩემგან“, ან რა „ბნელი აზრის“ განმარტებას პირდებოდა იგი მკითხველს შემდეგისათვის.

როგორც ჩანს, მკითხველი გააკვირა იმან, რომ იანვრის სტატიაში „მოლაყბე“ სხვა საკითხზე მსჯელობას დაპირდა მას, ხოლო მარტის ნომერში სულ

მცირე შესვენების შემდეგ „ციცქარში“ (1858 წ. № 3) კვლავ გამოჩნდა „მოლაყბის“ (მ. თუმანიშვილის) სტატია. ამჯერადაც არანაკლები გაბედულებითა და პირდაპირობით დაიწყო მან საზოგადოების მაღალ ნაწილში გამეფებული ფუქსავატობისა და უღარდლოობის კრიტიკა.

სხვაზე ლაპარაკობდა. კერძოდ, მეათე ნომერში დაიბეჭდა ი. ბერიძის წერილი — „მოლაყბისადმი“, რომელშიც საყვედურს გამოთქვამს იმის გამო, რომ „მოლაყბე“ იანვრის სტატიის მიტოვებულს დაპირდა „სევილიელი დალაქის“ დადგმის შესახებ ილაპარაკებდა მომავალ სტატიის მიტოვებაში, მაგრამ მარტის „ციცქარში“ სულ სხვა საგანზე გველაპარაკაო. ეს, მართლაც, ასე იყო და მიხეზიეც გასაგებია.

„ციცქარის“ მომდევნო ნომერში (11) „მოლაყბე“ მკაცრ პასუხს აძლევს ი. ბერიძეს, მაგრამ არაფერს ამბობს იმის შესახებ, რომ იანვრისა და მარტის ნომრებში მოთავსებული წერილები სხვადასხვა პირებისაა. ეს პასუხი, ცხადია, იანვრის ნომერში დაბეჭდილი სტატიის ავტორისაა.

მე-12 ნომერში კვლავ გამოჩნდა „მოლაყბე“ (ამჯერად მ. თუმანიშვილი), რომელიც მკითხველს მიმართავს: „დიდი ხანი არა მქონია ბედნიერება თქვენთან საუბრისა, — მკითხავთ: რისთვის დაგვივიწყეთ საყვარელნი, ჩემის გულითგან და გონებიდგან განუშორებელნი ქართველნი“, „მიხეზი ეს გახლდათ, რომ რამდენადაც სალაყბოს ჩემი გახეთი, გინა ფურცელი გავგზავნე რედაქტორთან, იმდენი არ დამიბეჭდა, ბოლოს თავში დამარტყა ერთიან და მითხრა ამოხვრით, როდესაც უთხარი რატომ არ დამიბეჭდეს შექი: ღმერთმა ნუ იცის შენი თავი, რისთვისაც არ დაგიბეჭდეს. შენის ლაყბობით ასი მეტი ხელის მომწერი დეკარგეო... აი, საყვარელნი მკითხველნი, ჩემი ლაყბობა როგორ მიჯანყათო...“

ცხადია, მეთერთმეტე ნომერში მოთავსებული „სალაყბო ფურცელი“ რომ მ. თუმანიშვილისა იყოს, მაშინ მეთორმეტე ნომერში მოთავსებულ სტატიის მიმართ დიდი ხნით გაჩუმების მიხეზზე როდღილა დაიწყებდა ლაპარაკს.

1859 წლის „ციცქარის“ პირველ ნომერში დაიბეჭდა რედაქციის განცხადება („რედაქციისგან“), რომელშიც დადასტურებულია „მოლაყბის“ განმარტება გაჩუმების მიხეზის შესახებ და თან სინანულია გამოთქმული იმის გამო, რომ ახლაც გაილაშქრეს მისი სტატიის წინააღმდეგო.

მეორე ნომერში ნაცულად „მოლაყბისა“ გამოჩნდნენ მისი დამცველი „მეთერთმეტი მეტუკე“, რომლებიც მუქარას გამოთქვამდნენ „მოლაყბის“ მოწინააღმდეგეების მიმართ და კიდევ უფრო მკაცრ კრიტიკას პირდებოდნენ თავიანთ მხრივ. მაგრამ წერილის სტილიდან აშკარად ჩანს, რომ მისი ავტორი თვით მ. თუმანიშვილია. თუმცა დაპირება დაპირებად დარჩა, არც „მოლაყბე“ და არც „მეთერთმეტი მეტუკე“ აღარ გამოჩენილა. ამის გამო, 1860 წლის „ციცქარის“ მეხუთე ნომერში ალ. ორბელიანი მიმართავს რედაქტორს, — შეატყობინოს სად გაჰქრა „მოლაყბე“ და თუ სადმეა, გადასცეს, რომ ბევრნი სთხოვენ კვლავ დაუბრუნდეს ჟურნალს.

მეექვსე ნომერში მართლაც გამოჩნდა „მოლაყბე“, მაგრამ იგი არაა მ. თუმანიშვილი, ის კვლავ მისი წინანდელი „დუბლიორია“ (სვარაუდლა თვით რედაქტორი — ი. კერესელიძე). მაგრამ ამავე ნომერში მოთავსებული პატარა წერილი, რომელსაც ხელს აწერს — „აყვია“ („ერთი მეტუკეთაგანი“) და დაწერის ადგილად მითითებულია ქ გორი, მ. თუმანიშვილს უნდა გვუთვნოდეს, რაც კიდევ

იგი მოითხოვს ყველასაგან იზრუნონ ქართული ენის სიწმინდის დაცვისათვის, ქართული სიტყვიერების განვითარებისათვის და საერთოდ უკეთესი მომავლისათვის, რათა შთამომავლობას მეტი მემკვიდრეობა გადასცენ. მას გულს უკლავს ისეთი ადამიანები, რომლებშიც თავიანთ სიმდიდრეს უმიზნოდ ფლანგავენ, ხოლო საზოგადო საქმისათვის, სწავლა-განათლების წინსვლისათვის კაპიკსაც არ იმეტებენ. ასეთი ხალხის მისამართით „მოლაყბე“ ამბობს: „ვხედავ, ჩვენში, უპეტესი კეჟა, გონება, ნიჭი არის და მოხმარება კი არ შეგვიძლიან... როგორ არა ვსთქვა, რომ ...ქალაქის თამაშისათვის ფულებს მალე ვშოულობთ საითგანაც უნდა იყოს და სასარგებლო საქმეზედ ცალი ფული არ გვემეტება... ნუ გეწყინებათ, რასაც გეუბნებით... გელაპარაკებით ქართველთა, როგორც ნამდვილი ქართველი, ღეთის გულისათვის იყავით ნამდვილი ქართველი; ...გიყვარდეთ თქვენი ენა, თქვენი მამული... დრო არის გაღვიძებისა, გიყვარდეთ ყურისგდება, გიყვარდეთ წერა, კითხვა, სჯა, ... ვიფიქროთ მომავალზედ, ვიფიქროთ ჩვენთ შეილის-შვილზედ, ვიფიქროთ ჩვენს სიტყვიერებაზედ“.

მ. თუმანიშვილი კვლავ მოაგონებს მკითხველს, რომ „პირველი განათლება კაცისა მასში მდგომარეობს, რომ უყვარდეს მამული“. ამ მიმართულებით იგი თავის თანამემამულეებს საყვედურობს გულგრილობას, ეგოიზმს, ქართული ენისა და ქართული

---

ერთხელ მოწმობს იმას, რომ ფსევდონიმს—„თერთმეტი მებუკე“ მ. თუმანიშვილია ამოფარებული.

„აყყია“ მკითხველს აცნობს „მებუკეების“ ამბავს: „აქ განლაგართ მიწაზედ, თქვენი ბრძანების მორჩილიო“ და განაგრძობს: მე ერთ მებუკეთაგანს, — აყყიას, აქამდინ მეძინა, სიხმრეებში ვიყავ... ბევრი შესანიშნავი ვნახე, თუ მიბრძანებთ. ვეცდები ყველა გიანბოთ...“

უკაცრაოთ, ეხლა ჯერ კიდევ არა ვარ ძილისაგან გამორკვეული. მშვიდობით, ნახვამდეო“.

„ნახვამდეო“ თქვა „აყყიამ“ და მკითხველს დაპირდა მოუთხროს თავისი სიხმრების შესახებ. მართლაც, მომდევნო ნომერში (7) იბეჭდება „სალაყბოს ფურცელი“ „მოლაყბის“ ფსევდონიმით. „მოლაყბე“ კვლავ თავის გაჩუმების მიზეზის თხრობით იწყებს, შემდეგ კი ლაპარაკობს იმ სიხმრებზე, რომლებიც მას ციებ-ციხელებიანს უნახავს (ამას დაპირდა მკითხველს სწორედ „აყყია“).

„ცისკრის“ ამავე წერილის მეთორმეტე და 1861 წლის — პირველ ნომერში დაბეჭდილი „სალაყბოს ფურცლების“ ავტორი კვლავ მ. თუმანიშვილის „ღუბლიორია“, რომელიც ამის შემდეგ პირველ ადგილს იკავს, ვინაიდან მ. თუმანიშვილი წყვეტს „სალაყბოს ფურცლების“ წერას.

საეჭვოა, რომ „მოლაყბის“ ფსევდონიმს რამდენიმე პირი იყოს ამოფარებული. ჩვენი შეხედულებით, ამ ფსევდონიმით მ. თუმანიშვილი და ი. კერესელიძე წერდნენ მხოლოდ.

ლიტერატურისადმი უპატივეცემლობას. მაგრამ მისი საყვედურები მხოლოდ საზოგადოების შეძლებულ ნაწილს ეხებოდა, ნაშრომელ ხალხში კი იგი ხედავს ერის ბურჯს.

მ. თუმანიშვილი აღფრთოვანებით ლაპარაკობს იმის გამო, რომ ქართულ ჟურნალს დიდი ინტერესით კითხულობს უბრალო ხალხი. მიმართავს რა მაღალი წრის საზოგადოებას, „მოლაყბე“ ამბობს: „ნუ ვიძახით ამას: რა საჭიროა, რათ გვინდა, რომ აღარავინ კითხულობს, რომ აღარავინ უნდა. ნუ იტყვიან ამ ცრუ სიტყვებსა, მრავალს უნდა, უმეტესად მდაბიო ხალხსა“.

საკუთარი ენის დავიწყება და უცხო ენაზე ლაპარაკი, ნაციონალური ზნე-ჩვეულებების უგულველყოფა და უცხო წესებისადმი ბრმა თაყვანისცემა მ. თუმანიშვილს მიაჩნია ეროვნული სახის დაკარგვის მაჩვენებლად. ამიტომაც, რომ აღშფოთებული „მოლაყბე“ გულმოკლული ამბობს: „წარსულ კვირეს მთელი ტფილისი მოვიარე და ერთი ნამდვილი ქართველი ვერ ვპოვე“<sup>1</sup>.

ენამწარე „მოლაყბის“ მოცილებას, ჩანს, ბევრი ცდილობდა, მაგრამ არც მას ეძინა, სხვადასხვა საშუალებას მიმართავდა, რათა მისთვის წერა არ აეკრძალათ. შეცვლილი ფსევდონიმებით („თერთმეტი მებუქე“, „აყვია“) იცავდა „მოლაყბეს“ (ე. ი. თავის თავს) და აფრთხილებდა მტრულად განწყობილ საზოგადოებას, რომ თუ „მოლაყბეს“ გააჩუმებდნენ, მაშინ „სხვები“ გამოვიდოდნენ მისი საქმის გასაგრძელებლად. საგულისხმოა, რომ „ცისკრის“ რედაქცია და მისი მეცენანტი ალ. ორბელიანიც, რომელსაც პროგრესული იდეებისადმი თანაგრძნობას ვერ დავწამებთ, გარკვეულ ხერხს მიმართავდნენ „მოლაყბის“ დასაცავად<sup>2</sup>. ამასთან, როგორც ჩანს, ჟურნალის რედაქტორი — ი. კერესელიძე „სალაყბოს ფურცლებს“ თვითონაც წერდა და იცავდა მ. თუმანიშვილის აღებულ გეზს. ეს, პირველყოვლისა, იმით იყო გამოწვეული, რომ მ. თუმანიშვილი თავდადებულად იბრძოდა ჟურნალის შენარჩუნებისა და ქართული სიტყვიერების წინსვლისათვის. მაგრამ ის მახვილი ენა, შეზავებული სატირა და იუმორი, რაც მ. თუმანიშვილის სტატიებს განსაკუთრებულ პოპულარობას უქმნიდა, სხვა „სალაყბო ფურცლებს“ მაინც არ ვააჩნიათ. მიუხედავად ამისა, მათ დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ, რამდენადაც სისტემატური ხასიათი მიეცა ისეთი სტატიების ბეჭდვას, რომლებშიც მკითხველი ხედავდა ეროვნული

<sup>1</sup> „ცისკარი“, 1858, № 12.

<sup>2</sup> „ცისკარი“, 1858, № 7; 1859, № 1; 1860, № 5 და სხვ.

კულტურის აღმავლობისათვის ბრძოლას, ცრუპატრიოტიზმისა და უცხო კულტურისადმი ბრმა მორჩილების მავნე შედეგებს.

„მოლაყბის“ გაბედულმა გამოსვლამ თავისი გავლენა მოახდინა „ცისკარის“ პუბლიცისტიკაზე საერთოდ. ჟურნალის ფურცლებზე თანდათან გამოჩნდნენ ისეთი წერილები, რომლებიც შეეხებოდნენ ცხოვრების დღის წესრიგში მდგომ საკითხებს და რომელთა ავტორები პროგრესულ შეხედულებებს ქადაგებდნენ. „ცისკარი“ უკვე მეტ პატივისცემას იჩენდა ახლის გრძნობისადმი და ათავსებდა ისეთ წერილებს, რომელთა ავტორები წინ იხედებოდნენ. ამ მხრივ, საყურადღებოა მ. რუსეთუმესა და გ. ქართველის წერილები<sup>1</sup>.

მ. რუსეთუმე თავისი შეხედულების გადმოცემისათვის საბაბად იყენებს პეტერბურგელ ქართველ სტუდენტთა მიერ ს. ორბელიანის — „სიბრძნე-სიცრუის“ გამოცემას და დასძენს: — „ღპერთმა გვიცოცხლოს კეთილი სტუდენტები და გვიმრავლოს იმათი ღირსი ამხანაგები; იმათგან ველით საზოგადოდ სასარგებლო საქმეებსა; ისინი უნდა იყვნენ ჩვენი განმანათლებელნი; იმათ უნდა გადმორგონ ჩვენს ქვეყანაში ახალი სწავლა, ახალი აზრი, ახალი მდგომარეობის მოწყობა; ისინი უნდა იყვნენ წინამძღვარნი ჩვენი საზოგადოებისა და მოციქულნი კეთილზნეობითის განათლებისაო“<sup>2</sup> (ხაზი ჩვენია — დ. გ.).

როგორც ვხედავთ, მ. რუსეთუმეს სწორად ჰქონდა გათვალისწინებული ის როლი, რაც შემდეგში მართლაც შეასრულა პეტერბურგის უნივერსიტეტში აღზრდილმა ქართველმა ახალგაზრდობამ ჩვენი კულტურის აღმავლობის საქმეში. მაგრამ მისი სტატიის გაგრძელება ჟურნალის მომდევნო ნომრებში აღარ დაბეჭდილა. სავარაუდოა, რომ მ. რუსეთუმე ცენზურამ ჩააჩუმა.

სამაგიეროდ, მოწინავე აზრების შემცველი სტატიით გამოჩნდა გ. ქართველი, რომელიც, ერთი მხრივ, საყვედურს გამოუქვამდა მ. რუსეთუმეს სტატიის დაუსრულებლობის გამო, მეორე მხრივ, ფარდას ხდიდა მექრთამე ჩინოვნიკებსა და გულგაუშამდარ მებატონეებს, რომლებიც არ ინდობდნენ არა მარტო თავიანთ ყმებს, არამედ ერთმანეთსაც.

ლიბერალთა ბანაკშიც დაიწყო პოზიციების გადასინჯვა და იგრძნეს ზოგიერთ დათმობებზე წასვლის აუცილებლობა. ამ მიმართულებით, ისინი შედარებით მეტ გაბედულებას ძველი სამწერლო

<sup>1</sup> „ცისკარი“, 1860, № 3, 8.

<sup>2</sup> „ცისკარი“, 1860, № 3.

ენის ნორმათა გადასინჯვაში იჩენენ. მაგალითად, „სამი სტილის თეორიის“ ერთ-ერთი დამცველთაგანი—დ. ბაქრაძე იძულებულია აღიაროს, რომ ანტონ კათალიკოსის მეშვეობით ქართულ მწერლობაში გზა გაეხსნა სქოლასტიკას „იმ დროს, როდესაც თვით ევროპაში იგრძნეს სქოლასტიკის უსარგებლობა“<sup>1</sup>.

ჟურნალის რედაქციამაც შეცვალა თავისი პოზიცია და ნაცვლად „სამი სტილის თეორიისა“ წამოაყენა „ორი ენის“ (მაღალი და დაბალი ენის) თანაარსებობის საკიროება და შესაძლებლობა. მისი აზრით, მაღალი ენით უნდა იწერებოდეს ღვთისმეტყველებისა და ფილოსოფიის საკითხებზე, ხოლო „რაც კი მოსათხრობელი არის რამე, ანბავი თუ ისტორია, რომანი, ლეგენდა... — ისე უნდა იწერებოდეს, როგორც საზოგადოებაში ლაპარაკს შეეფერება; თუ არა და, სულ რომ არ დაიწეროს ისა სჯობია...“, რაც პირად ლაპარაკს არ შეეფერება, ის არც წერას უნდა შეეფერებოდეს. ლიტერატურის პირველი ღირსება ის არის, რომ ცხოველს, სასაუბრო ენას უახლოვდებოდეს, რამდენადაც კი შეიძლება“. ამასთან, რედაქცია ყურადღებას ამახვილებს ბარბარიზმების თავიდან აცილების შესახებ: „ლიტერატურას ვალი აქვს, რომ შემოაყვას თავის ენას ყოველი ამგვარი ბირკა... გამარჯლოს თავის ყანაო“<sup>2</sup>. ამ მძიმე მოვალეობის შესრულებას რედაქცია თავის მოვალეობად სახავს და მკითხველს პირდება მომავალში მასალებს გამოაქვეყნებს ენობრივ-სტილისტური შესწორების შემდეგ.

როგორც ვხედავთ, „ციცკარის“ რედაქციამ დაიხია კონსერვატორული პოზიციებიდან და იგრძნო „სამი სტილის თეორიის“ დაცვის უსაფუძვლობა, თუმცა მაინც ვერ განთავისუფლდა მცდარი ენობრივი შეხედულებებისაგან. ისიც ნიშანდობლივია, რომ ჟურნალში ამის შემდეგაც მრავლად იბეჭდება ისეთი წერილები, რომლებიც სქოლასტიკის ქადაგებას ემსახურებოდა.

„ციცკარი“ ბოლომდე დარჩა ისეთ ორგანოდ, რომელიც ერთ გარკვეულ მიმართულებას ვერ მიჰყვებოდა ვერც ერთ საკითხში. მაგრამ ჩვენთვის საყურადღებოა ის, რომ მის ფურცლებზე თანდათანობით მტკიცდებოდა რეალიზმი, რომელიც ბატონდებოდა არა მარტო მხატვრულ ლიტერატურაში, არამედ კრიტიკასა და პუბლიცისტიკაშიც.

<sup>1</sup> „ციცკარი“, 1860, № 8.

<sup>2</sup> „ციცკარი“, 1860, № 2.



კრიტიკულმა რეალიზმმა ქართულ ლიტერატურაში ჩამოყალიბება დაიწყო ჯერ კიდევ მაშინ, როცა ფეოდალურ-ბატონყმური სისტემა თავის ძალაუფლებას ინარჩუნებდა; როცა ბურჟუაზიული ურთიერთობის განვითარება ჯერ კიდევ სუსტად იგრძნობოდა. ესაა პერიოდი, როცა მკაცრმა წინააღმდეგობამ თავი იჩინა მებატონეებსა და ყმა-გლეხობას შორის, მაგრამ ბურჟუაზიის დარტყმები დრომოკმული სისტემის მიმართ ჯერ კიდევ სუსტია. ე. ი. ბურჟუაზია შორს იყო იმისაგან, რომ შეესრულებია რევოლუციური როლი, გარკვეულ პერიოდში სათავეში ჩადგომოდა ხალხთა მოძრაობას.

ამგვარად, სოციალური გარემო, რომელიც პირველი ქართველი რეალისტების თვალწინაა გადაშლილი, გარკვეულად განსხვავდება იმ სინამდვილისაგან, რომელიც რეალიზმის თავისებურებას განაპირობებდა დასავლეთ ევროპის ლიტერატურაში. სამაგიეროდ, მსგავსი სოციალური ნიადაგი გააჩნდათ რუსულ და ქართულ კრიტიკულ რეალიზმს.

როგორც რუსი, ასევე ქართველი რეალისტები, პირველ პერიოდში, თავიანთ კრიტიკულ პათოსს უკავშირებდნენ გლეხურ მოძრაობებს; იმ მკაცრ პროტესტს, რომელიც აშკარად იგრძნობოდა მშრომელ ხალხში.

პროტესტანტული გრძნობისა და მებრძოლი სულისკვეთების მქონე გლეხურ მასებთან იდებურმა კავშირმა რუსი და ქართველი რეალისტები ააცდინა სკეპტიციზმს, რომელიც ევროპელ რეალისტთა ნიშანდობლივ თვისებად იქცა. ამავე გარემოებამ შეუწყო ხელი იმას, რომ ჩვენი რეალისტები იმთავითვე მკაცრი კრიტიკით შეხედნენ ბურჟუაზიის გამოჩენას ცხოვრების ასპარეზზე. ხალხის ინტერესების დამცველ მწერლობას, ბუნებრივია, ხმა უნდა აღემადლებია ჩაგვრის ყოველი სახისა და ყოველგვარი ფორმის წინააღმდეგ. თვითმპყრობელობა და მის მფარველობაში მყოფი მემამულეები, ბურჟუაზია და ბიუროკრატი მოხელეები, აი, ის ბოროტი ძალები. რომლებიც სულს უხუთავდნენ მშრომელ ხალხს და რომელთა ნამდვილი სახეების ჩვენება მიზნად დაისახა კრიტიკულმა რეალიზმმა რუსულ და ქართულ ლიტერატურაში.

ქართულმა კრიტიკულმა რეალიზმმა თავისი განვითარების პირველ ეტაპზე შეძლო გამოეაშკარაებინა იმდროინდელი სოციალური უკუღმართობა და გაელაშქრა მისი მთავარი წყაროს — ბატონყმობის წინააღმდეგ. ამასთან, შეძლებისდაგვარად აჩვენა

განვითარების გზაზე მდგარი ბურჟუაზიული ურთიერთობის ანტი-ხალხური ხასიათი. ჩვენს რეალისტებს მხედველობიდან არ გამოპარვიათ არც კოლონიური ჩაგვრის პრაქტიკულად წარმართველ მოხელეთა ამორალური მოქმედება, თუმცა მათ მაინც არ ჰყოფნიდათ გაბედულება პირდაპირ და აშკარად ეთქვათ ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ. მაგრამ მხოლოდ აღნიშნულით არ ამოიწურება კრიტიკული რეალიზმის დამსახურება ამ პერიოდში. მან ჩვენს ლიტერატურაში შემოიყვანა ხალხი. მშრომელი ხალხის ცხოვრებითა და მის წარმომადგენელთა სახეებით დაინტერესება კი მეტად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო 50-იანი წლების ქართულ ლიტერატურაში.

მართალია, პირველმა ქართველმა რეალისტებმა მეტი სისრულით წარმოადგინეს ხალხისათვის საძულველი მებატონეების, ბურჟუაზიისა და ჩინოვნიკთა სახეები, ვინემ თვით ხალხი, ნაგრამ ეს უკანასკნელიც თანდათანობით იკიდებს ფეხს ჩვენი ლიტერატურის ფურცლებზე. ზ. ანტონოვის, დ. ჭონქაძისა და რ. ერისთავის მხატვრული შემოქმედება საიმედო საფუძველს ქმნიდა ამ მიმართულებით. ხალხურობა და დემოკრატიზმი, გამოვლენილი მკვეთრ მხატვრულ სახეებში, უდიდესი შენაძენი იყო კრიტიკული რეალიზმის დამკვიდრების გზაზე.

ახალი თემატიკა, ახალი ჟანრები, ახალი მხატვრული საშუალებანი და სასაუბრო ენასთან დაახლოებული სამწერლო ენა — ასეთია ის სიახლენი, რომელიც კრიტიკულმა რეალიზმმა შემოიტანა ჩვენს ლიტერატურაში ახალ იდეურ აზრთან ერთად. ყოველივე ამან შესაძლებლობა მისცა ჩვენს რეალისტებს შეექმნათ ტიპიური სახეები, რომლებიც დღემდე იმსახურებენ ინტერესს. ლიტერატურის ცხოვრების სინამდვილესთან დაახლოება და ტიპიური სახეებით ლიტერატურის გამდიდრება — აი, რით აღინიშნა ჩვენი მწერლობის განვითარება ამ პერიოდში.

კრიტიკული რეალიზმი 40 — 50-იანი წლების ქართულ მწერლობაში არაა ერთადერთი ლიტერატურული მიმართულება, მაგრამ იგი მტკიცედ იპყრობს ბატონობის მწვერვალებს. ლიტერატურული კრიტიკა და პუბლიცისტიკაც რეალიზმის სამსახურში ღვება, ეხმარება მას რომანტიზმთან ბრძოლასა და ახალი ნაბიჯების გადადგმაში. კერძოდ, ლიტერატურული კრიტიკისა და პუბლიცისტიკის მიერ საკითხის დაყენება ეროვნული მოტივის წინ წაშო-წვეის შესახებ ახალ ამოცანას აყენებდა კრიტიკული რეალიზმის წინაშე, რაც წარმატებით იქნა გადაჭრილი მისი განვითარების შემდგომ ეტაპზე.

ცხადია, კრიტიკულ რეალიზმს, 50-იან წლებში, ატყვია გარკვეული შეზღუდულება, რაც ეპოქის ხასიათითა და მის პირველ წარმომადგენელთა ერთი ნაწილის პოლიტიკური მსოფლმხედველობის შეზღუდულებითაა გამოწვეული, მაგრამ მისი განვითარების პროცესი თანდათან სწორ მიმართულებას იღებდა. ამიტომაც, ამ პერიოდის რეალისტური მწერლობა ვალმოხდილი უხედა თავისი განვითარების შემდგომ პერიოდს, რომელიც 60-იანი წლებიდან იწყება და რომელსაც ამშვენებენ რუს რევოლუციონერ-დემოკრატთა იდეებზე აღზრდილ ქართველ სამოციანელთა სახელები.

---

# ქართველ სამოციანელთა გამოსვლა სამხედრო ასპარეზზე. „თერგდალეულები“ კეტიკაშვილის უნივერსიტეტში და მათი ურთიერთობა რუს რევოლუციონერ-დემოკრატებთან

---

„მას ნულარ ვსტირით, რაც დამარბულა,  
რაც უწყალოს დროთ ხელით დანთქმულა;  
მოვიკლათ წარსულ დროებზედ დარდი...  
ჩვენ უნდა ვსდითთ ახლა სხვა ვარსკვლავს,  
ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი,  
ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს“...

ი. ქავჭავაძე.

ქართული საზოგადოებრივი აზრის, კულტურისა და ლიტერატურის განვითარების საქმეში ეპოქალური მნიშვნელობის გარდატეხა მოახდინეს სახელოვანმა სამოციანელებმა, რომლებსაც თავის წინამძღოლად ი. ქავჭავაძე ჰყავდათ.

ი. ქავჭავაძისა და მისი თანამებრძოლების გაბედული გამოსვლა სამოღვაწეო ასპარეზზე იყო განსაკუთრებული ხასიათის მოვლენა, რომელმაც მოძრაობა, სიცოცხლე და რევოლუციური გაქანება შეიტანა იმდროინდელ ჩვენს საზოგადოებრივ აზრში. მათი გამოჩენის შემდეგ გახდა აშკარა და გასაგები, თუ რა საკითხები უნდა გადაწყვეტილიყო უპირველესყოვლისა, საზოგადოებრივი ცხოვრება რომ წინ წასულიყო და ხალხს თავი დაეღწია მონობისათვის.

ი. ქავჭავაძე და მის გარშემო მკვიდროდ დარაზმული ახალგაზრდობა სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდნენ არა როგორც მხოლოდ მწერლები, პუბლიცისტები, კრიტიკოსები და სხვა, არამედ როგორც მოწინავე იდეებით შეიარაღებული პოლიტიკური მოღვაწეებიც, რომლებსაც ერის წინამძღოლობა უნდა ეკისრათ. მათ მთავარ ამოცანას ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლის ახალ ეტაპზე აყვანა წარმოადგენდა, რისთვისაც ისინი მიმართავდნენ ყველა შესაძლო საშუალებას, რომელიც კი შეიძლებოდა გამოყენებულ

ყოფილიყო ამ მიზნით იმდროინდელ ვითარებაში. ძნელი არაა იმის გათვალისწინებაც, თუ რატომ აიჩიეს მათ ბრძოლის ყველაზე ხელსაყრელ ასპარეზად ლიტერატურა, მწერლობა. რევოლუციურ-დემოკრატიულ აზრს იმ დროს უფრო მეტი გასაქანი სწორედ ლიტერატურის სფეროში შეეძლო ეპოვნა; თანაც, ამ გზით, იგი უფრო მისაწვდომი იქნებოდა ხალხისათვის.

საგანგებო მტკიცებას არ საჭიროებს ის გარემოება, რომ ქართველი სამოციანელები, როგორც მხატვრული სიტყვის ოსტატები, აღიზარდნენ მშობლიური ლიტერატურის სახელოვან ტრადიციებზე, რასაც შემდეგ დიდი წარმატებით ავითარებენ; მაგრამ სრულად უნდა გავითვალისწინოთ, აგრეთვე, ის დიდი როლი, რომელიც მათ გონებრივ მომწიფებაში შეასრულა მოწინავე რუსულმა კულტურამ, რუს რევოლუციონერ-დემოკრატთა იდეებმა.

ქართველ სამოციანელთა აზროვნება და მოღვაწეობა, ძირითადად, განპირობებული იყო ეროვნული ლიტერატურული ტრადიციებით (ამ სიტყვის მხატვრული და იდეური შინაარსით), რუსული რევოლუციურ-დემოკრატიული აზროვნების მიღწევებითა და იმდროინდელი საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ვითარებით.

როდესაც ვლაპარაკობთ ქართველ სამოციანელებზე, პირველყოელისა, მხედველობაში გვყავს ი. ჭავჭავაძე, აკ. წერეთელი, გ. წერეთელი და ნ. ნიკოლაძე. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ისინი მარტონი იყვნენ. მათთან ერთად, ამ სახელოვან პლეადას ამშვენებდნენ ა. ფურცელაძე, კ. ლორთქიფანიძე, ი. გოგებაშვილი, ს. მესხი, პ. უმიკაშვილი და სხვები, რომლებმაც მეტად მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს სამოციანელთა საერთო დასახურებაში.

ი. ჭავჭავაძე და აკ. წერეთელი სამწერლო ასპარეზზე გამოვიდნენ ჯერ კიდევ 50-იანი წლების დასასრულს. ი. კერესელიძის მიერ განახლებულ „ცისკარში“ დაბეჭდილმა მათმა ლექსებმა თავიდანვე მიიქცია მკითხველის ყურადღება. მართალია, ეს ლექსები გარკვევით ჯერ კიდევ არაფერს ამბობდნენ მათი ავტორების მხატვრულ შესაძლებლობასა და იდეურ მიმართულებაზე, მაგრამ მაინც საკმაოდ ამჟღავნებდნენ ახალგაზრდა შემოქმედთა განსხვავებულ მიმართულებასა და მხატვრულ გემოვნებას.

ის შემოქმედებითი გზა, რომელიც ი. ჭავჭავაძემ და აკ. წერეთელმა განუღეს ჯერ კიდევ პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში, სრულ წარმოდგენას იძლევა იმაზე, თუ როგორ გამოიყენეს და შეარწყმეს მათ ერთმანეთს ქართული მწერლობის

მდიდარი ტრადიციები და რუს რევოლუციონერ-დემოკრატიზაციის მიღებული იდეები საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნისა და გაუმჯობესების შესახებ.

რაც შეეხება ყველა დანარჩენ სამოციანელს, სამწერლო ასპარეზზე მათ გამოსვლას ბიძგი მისცა ი. ჭავჭავაძის მიერ გაჩაღებულმა იდეურ-ლიტერატურულმა ბრძოლამ, რაც ქართული ლიტერატურის ისტორიაში, უკანასკნელ დრომდე, ცნობილი იყო „მამათა და შვილთა“ ბრძოლის სახელით. ამ ბრძოლამ არა მარტო ორ მთავარ ბანაკად გაჰყო იმდროინდელი მოღვაწეები, არამედ სრული გამარჯვება მოუპოვა ი. ჭავჭავაძესა და მის თანამებრძოლებს. ამიტომ, გადამწყვეტი მნიშვნელობა ეძლევა იმის გათვალისწინებას, თუ რა გზა განვლო ილია ჭავჭავაძემ, როგორც მხატვარმა და მოაზროვნემ იდეურ-ლიტერატურული ბრძოლის დაწყებამდე, როცა მან უკვე გარკვევით ჩამოაყალიბა თავისი სოციალურ-პოლიტიკური და ესთეტიკური შეხედულებანი.

## 1

ი. ჭავჭავაძე, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა 50-იანი წლების დასასრულს. მისი შემოქმედების შესწავლას ჩვენ ვიწყებთ 1857 წელს დაწერილი ლექსით — „ყვარლის მთებზე“. ეს ის დროა, როცა ქართულ მწერლობაში შედარებით ყრუ, მაგრამ მაინც შესამჩნევი ბრძოლა მიმდინარეობდა კრიზისის გზაზე დამდგარ რომანტიზმსა და გაბატონებისათვის მებრძოლ კრიტიკულ რეალიზმს შორის.

სამწერლო ასპარეზზე გამოსვლისას, ი. ჭავჭავაძე კარგად იცნობდა როგორც ძველ ქართულ მწერლობას, ასევე რომანტიკოსთა შემოქმედებას. იგი იცნობდა, აგრეთვე, ქართული კრიტიკული რეალიზმის ფუძემდებლის — გ. ერისთავისა და მისი ნიჭიერი მოწაფის — ზ. ანტონოვის დრამატურგიას. მაგრამ, როგორც ჩანს, ახალგაზრდა პოეტზე განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას ახდენდა ქართველ რომანტიკოსთა პოეზია. ეს გასაგებიცაა. შემოქმედებითი ძიების პროცესში მყოფი პოეტის ყურადღება შეუძლებელია არ მიეპყრო სამშობლოს ბედს, — ეროვნულ საკითხს, რაც რომანტიკოსთა შემოქმედების ძირითად თემას და მთავარ მოტივს წარმოადგენდა. ეროვნული საკითხისადმი ასეთი ინტერესი იმიტაც იყო გამოწვეული, რომ 40—50-იანი წლების რეალისტებმა, როგორც ვნახეთ, მას თითქმის გვერდი აუარეს.

ი. ჭავჭავაძის, როგორც მწერლის, მოწოდებას წარმოადგენდა ურთიერთკავშირში და რეალისტური ხედვით გაეშუქებია იმდროინ-

დელი საზოგადოებრივი ცხოვრების ორი ყველაზე მტკივნეული და აქტუალური საკითხი: ეროვნული და სოციალური. ამით ის შეძლებდა დაეძლია ის ცალმხრივობა, რომელიც რომანტიკოსთა და 40—50-იანი წლების ქართველ რეალისტთა შემოქმედებას ახასიათებდა. ილ. ჯავჭავაძემ, როგორც ვნახავთ, წარმატებით გადაჭრა ეს ამოცანა და გახდა ახალი ქართული ლიტერატურის ქეშმარიტი ფუძემდებელი.

ლიტერატურის ისტორიკოსთა შორის დღემდე არსებული აზრთა სხვადასხვაობა იმის შესახებ, თუ ვინაა ახალი ქართული ლიტერატურის ფუძემდებელი, დამყარებული არაა მეცნიერულ საფუძველზე. ამიტომაც, რომ, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე, ახალი ქართული ლიტერატურის ფუძემდებლად ზოგი აცხადებს ალ. ჯავჭავაძეს, ზოგი — ნ. ბარათაშვილს, ზოგი — ი. ჯავჭავაძეს, ზოგიც — ნ. ბარათაშვილს, ი. ჯავჭავაძესა და აკ. წერეთელს ერთად.

ცხადია, ალ. ჯავჭავაძემ, რომლის სახელთანაც დაკავშირებულია რომანტიზმის დამკვიდრება ქართულ ლიტერატურაში, თავის დროზე ახალი მიმართულება მისცა ჩვენს მწერლობას. მაგრამ ალ. ჯავჭავაძეს, რა თქმა უნდა, არ მოუხდენია ისეთი ძირეული გარდატეხა ჩვენს მწერლობაში, რომ მის მიერ შემოტანილი სიახლენი და მისი ესთეტიკური იდეალები საფუძვლად დადებოდა ახალ ქართულ ლიტერატურას. ამ საქმეში მან მნიშვნელოვანი, მაგრამ მხოლოდ წვლილი შეიტანა.

ნ. ბარათაშვილი, უდავოა, გაცილებით შორს წავიდა ამ მიმართულებით. მან სერიოზული გარდატეხა მოახდინა არა მარტო პოეტური მეტყველების კულტურაში, არა მარტო მხატვრული შემოქმედების იდეური მხარის წინ წამოწევის საქმეში, არამედ მწერლობის ცხოვრების სინამდვილესთან დაახლოებისა და მის ინტერესებისადმი დაქვემდებარების საკითხშიც. ნ. ბარათაშვილმა, თავის დროზე, მკვიდრ და სწორ ნიადაგზე დააყენა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის იდეების ქადაგება ჩვენს მწერლობაში. ამასთან, აამაღლა ლიტერატურის როლი უკეთესი მომავლისათვის ბრძოლის საქმეში საერთოდ. ამიტომაც, რეალიზმის ნაკადი მის პოეზიაში მნიშვნელოვან ფაქტორად იქცა.

მაგრამ იმის გამო, რომ ნიკიერი პოეტის ცხოვრება მეტად ხანმოკლე აღმოჩნდა და ვერ მოასწრო მტკიცედ დამდგარიყო რეალიზმის პოზიციებზე, რასაც იმდროინდელი საზოგადოებრივი ცხოვრების ხასიათიც ხელს უშლიდა, მან ვერ შეძლო სწორი და გარკვეული მიმართულება მიეცა მწერლობის შემდგომი განვითარებისათვის.

რომანტიკოსებმა საეროდ და, კერძოდ, ნ. ბარათაშვილ-  
მა მხოლოდ ნაწილობრივ მოამზადეს საფუძველი ახალი ქართული  
ლიტერატურისათვის.

იგივე შეიძლება ითქვას 40—50-იანი წლების რეალისტებზეც,  
კერძოდ კი გ. ერისთავზე. მათ მთავარ დამსახურებას წარმოად-  
გენს ის, რომ ჩვენს ლიტერატურაში საფუძველი დაუდევს კრიტი-  
კულ რეალიზმს. მაგრამ მათ მაინც ვერ შეძლეს რეალიზმის,  
როგორც მხატვრული მეთოდის, მომარჯვება ლიტერატურის  
წინაშე მდგომი ყველა არსებითი ამოცანის გადასაწყვეტად. მათი  
მხატვრული ინტერესი მიჰყრობილი იყო საზოგადოებრივი ცხოვ-  
რების მხოლოდ სოციალური მხარისაკენ. თავისთავად ეს არ იყო  
მცირე მნიშვნელობის მოვლენა, მაგრამ მათ შემოქმედებას ჯერ  
კიდევ ბევრი აკლდა იმისათვის, რომ გამხდარიყო სინამდვილის  
ამსახველ სარკედ.

ათასებდა რა ქართული ლიტერატურის განვითარების პრო-  
ცესს მე-19 საუკუნეში, უკვე ლეაწლმოსილი ი. ქავჭავაძე საგანგე-  
ზოდ შეჩერდა ალ. ქავჭავაძის პოეზიაში „მამულის-შვილურ გულის-  
ტკივილის“ გამომხატველ ლექსებზე და აღნიშნა: „და თუ ეს ცალკე  
მაგალითები მოვიყვანეთ მამულის-შვილურ გულის-ტკივილისა, მარ-  
ტო იმისათვის, რომ ვნახოთ, — მაგისტანა გულის-ტკივილს, მერე  
სამოციან წლებში ეგრე გაძლიერებულს ჩვენს მწერლობაში, სა-  
თავე სადა ჰქონია და მცირე ნაკადულად გამონაწერი მერე რო-  
გორ გაზრდილა და უმატნია“<sup>1</sup>. გრ. ორბელიანის შესახებ კი  
ი. ქავჭავაძე ამბობს: „გრ. ორბელიანი გამგრძობია თ. ალ. ქავ-  
ჭავაძის პოეზიისა; და ამას გარდა, თითქმის ერთგვარი დენა მწე-  
რლობისა გაამრავალგვარა, წინ წასწია ჩვენი პოეზია როგორც  
შინაარსით, ისე ფორმითაც“<sup>2</sup>. გრ. ორბელიანის ერთ-ერთ დიდ  
დამსახურებად ი. ქავჭავაძე თვლის იმას, რომ მან პირველმა „მი-  
გვახედა ჩვენ მიერ დავიწყებულ წარსულს“.

ქართული ლიტერატურის განვითარების ისტორიაში ი. ქავ-  
ჭავაძე საგანგებო ადგილს უთმობს ნ. ბარათაშვილის პოეზიას.  
მისი თქმით, ნ. ბარათაშვილი „ერთად-ერთი მწერალია, რომელიც  
სხვაზედ უფრო მეტად, სხვაზედ უფრო მკაფიოდ და თვალნათლად  
ატრიალებს ჩვენს აზრს და ცნობის წყურვილს იმ თვალ-გადუწვ-  
დენელს სფეროში; საცა ღალადებაა ყოველგვარ სულისკვეთებისა  
და ვნებათა ლელვისა“<sup>3</sup>. განსაკუთრებით მაღალ შეფასებას აძლევს

<sup>1</sup> ი. ქავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, 1953, ტ. III, გვ. 209.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 210.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 219.



ი. ჯავჭავაძე ნ. ბარათაშვილის — „ბედი ქართლისას“ და „მერანს“, რომლებიც მას იტაცებენ ჯანსაღი ეროვნული გრძნობისა და უკეთესი მომავლის ძიების დაუცხრომელი სურვილის გამოხატვით.

ამგვარად, ი. ჯავჭავაძე, როგორც სახელოვანი მემკვიდრე წინამორბედთა ლიტერატურული ტრადიციებისა, ქართველ რომანტიკოსთა შემოქმედებაში, გარდა დახვეწილი, ფაქიზი პოეტური კულტურისა, ყველაზე მთავრად მიიჩნევს მამულის, სამშობლოს სიყვარულის გრძნობას. ეს უკანასკნელი მიაჩნია მას ჩვენი ლიტერატურის იმ ძვირფას შენამატად, რომელიც შემდეგ სამოციანელებმა გააღრმავეს და ეპოქის შესაფერ სიმალლემდე აიყვანეს.

რაც შეეხება ქართული კრიტიკული რეალიზმის ფუძემდებელს გ. ერისთავს და მის თანამებრძოლს — ზ. ანტონოვს, ი. ჯავჭავაძე მათ აფასებს, როგორც ჩვენი იმდროინდელი სოციალური ყოფის პირველ ამსახველთ, რეალისტური მწერლობის დამწყებთ.

ი. ჯავჭავაძის თქმით, გ. ერისთავმა „მარტო სიყვარულისა და ტრფობის მორევში მოარული ჩვენი გული და მარტო განტოლვილ ფიქრებში წასული ჩვენი გონება ჩვენს შინა-ცხოვრებას დააკვირვა, მიახედა; მისი „გაყრა“ ამის მაგალითია“<sup>1</sup>. გ. ერისთავის დამსახურებად სთვლის იგი, აგრეთვე, სატირის შემოტანას ჩვენს მწერლობაში. ამასთან, ი. ჯავჭავაძე გ. ერისთავის რეალიზმის შეზღუდულობას ხედავს იმაში, რომ მან მხოლოდ მაღალი წოდების ცხოვრების სურათები წარმოგვიდგინა. მაგრამ იქვე დასძენს, რომ გ. ერისთავის რეალიზმის ეს ხარვეზი, შეძლებისდაგვარად, შეავსო მისმა მოწაფემ — ზ. ანტონოვმაო. ზ. ანტონოვმა, — ამბობს ი. ჯავჭავაძე, — „მდაბიო ხალხის ყოფა-ცხოვრება, ავ-კარგიანობა, მისი ზნე-ჩვეულება ცოტად თუ ბევრად დაგვანახვა. მისი „მზის დაბნელება“, „ხევსურთა ქორწილი“, თუ ყოველ ამის სრული სურათი არ არის, მწერლობის ამ მხრივ მიმართულების მაგალითი ხომ არის და არისო“<sup>2</sup>.

დასახელებულ მწერალთა ნაწარმოებებს გარდა, ი. ჯავჭავაძე მაღალ შეფასებას აძლევს რ. ერისთავის იმ ლექსებს, რომლებიც ჯერ კიდევ ბატონყმობის გადავარდნამდე დაიწერა და რომლებშიც გაკიცხულია ადამიანისაგან ადამიანის ჩაგვრა. რ. ერის-

<sup>1</sup> ი. ჯავჭავაძე. თხზულებათა სრული კრებული, 1953, ტ. III გვ. 224.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 222.

თავის ლექსებში ი. ჭავჭავაძე ხედავს პირველ სიტყვას „სამწედ უსამართლოდ ჩაგრულთათვის“.

სამწუხაროდ, ი. ჭავჭავაძის დასახელებული სტატია სრულად არაა მოღწეული. როგორც აღვნიშნეთ, მას აკლია სწორედ ის ადგილი, სადაც მსჯელობა მთავრდებოდა რ. ერისთავზე და მოცემული იყო ლ. არდაზიანისა და დ. ქონქაძის დახასიათება.

ამის შემდეგ, ი. ჭავჭავაძე დაასკვნის: „ამ გზით და ამ ყოფით იზრდებოდა ჩვენი აზრი, თან-თან გაძლიერებული და მატებული, როგორც ვნახეთ. ამ სიგრძე-სიგანით, ამ სიღრმე-სიშაღლით მიაღწია მან სამოციან წლებამდე. თვალ-ნათლად დასანახია, რომ სამოციან წლებში ახალი ხანა დაწყებულ იქნაო“<sup>1</sup>.

როგორც ვხედავთ, ახალი ხანის დასაწყისად ჩვენი ლიტერატურის ისტორიაში, ი. ჭავჭავაძე მიიჩნევს 60-იან წლებს. მაგრამ საინტერესოა ის, თუ რა მიაჩნია მას 60-იან წლების ქართული მწერლობის ნიშანდობლივ მხარედ.

ი. ჭავჭავაძის შეხედულებით, „სამოციან წლებში ყველაზე უწინარეს გამობრწყინდა დავიწყებული სიტყვა „მამული“ მთელის თავის გულთ-მიმზიდველ და დიდებულ მნიშვნელობითა... რაკი „მამულს“ ბინა დაედვა ქართველთა გულში, მისმა ცხოველ-მყოფელმა სიტბომ და ნათელმა მთელი მრავალგვარობა ჩვენის ცხოვრებისა გაუთვალისწინა თვითეულ მოღვაწეს ცალკე და ყველას ერთად.

...პროზით თუ ლექსით, ყველა პლადადებდა ადამიანობის დარღვეულ უფლების სახელითა და თვით მოსაქმე ცხოვრების განკარგების წყურვილითა. ამ ეგრეთ-წოდებულ „რეალურმა მიმართულებამ“ ჩვენის აზრიანობისამ ჩვენი გონება დააკავშირა ჩვენს მიწიერ ავ-კარგიანობას და სამოციან წლებიდან დღევანდლამდე, ამ ოცდაათის წლის მანძილზე, ბევრი საყურადღებო ღვაწლი დასდო, ბევრი ნაყოფიერი თესლი დაჰყარა სამერმისოდ“<sup>2</sup>.

მაგრამ ყოველივე ეს, ი. ჭავჭავაძის გაგებით, მაინც ერთი მხარე იყო 60-იანი წლების მწერლობისათვის; ამავე პერიოდში, თავისი მოწოდების სიმალემდე ავიდა აგრეთვე სოციალური მოტივიც.

ი. ჭავჭავაძის შეფასებით, „სამოციან წლებამდე—აღ. ჭავჭავაძიდან დაწყებული ჩვენი პოეზია, თითო-ოროლა მაგალითებს გარდა, ისიც ორმოცდაათიან წლების ბოლო ხანებში, დაჰფუფუნებდა

<sup>1</sup> ი. ჭავჭავაძე. თხზულებათა სრული კრებული, 1953, ტ. III, გვ. 224.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 226.

ჩვენის დიდ-კაცობის გულთა თქმას, თითქო უკადრისობს ამათ გარე რაიმე საგანი უპოვოს პოეზიას. სამოციანმა წლებმა ამ ვიწროდ შემოღობილს სარბიელს ჩვენის პოეზიისას თავისი ტალღა გაჰკრეს და შემომამტკრიეს ლობეები. ამ ხანაში მოლფაწეებმა მიაგნეს, რომ მდაბიოთა ცხოვრებაშიაც არის ადამიანური გულთა-თქმა; რომ ამ მდაბიოთა გული იგივე ზღვაა, საცა თუ არ მეტი, ნაკლები მარგალიტები არ არის გლოვისა და სიხარულისა, კირისა და ლხინისა. ძულებისა და სიყვარულისა; რომ ამ მდაბიოთაცა აქვთ თავისი იდეალები, თავისი სანატრელები, ოღონდ კი კაცს მაღლი ჰქონდეს ამაების დანახვისა, ამაების გამოხატვისა“<sup>1</sup>.

ის გარემოება, რომ ქართულმა ლიტერატურამ, 60-იან წლებში მიაღწია განვითარების ასეთ დონეს და დაიწყო ახალი ხანა (უფრო სწორად, საფუძველი ჩაეყარა ახალ ქართულ ლიტერატურას) უნდა აიხსნას არა მხოლოდ ნიქიერი თაობის (კერძოდ ი. ჭავჭავაძის) სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლით, არამედ უფრო ღრმა ისტორიული პროცესით. კერძოდ, მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ ამ პერიოდში მოხდა საქართველოს, როგორც ერის ჩამოყალიბება და, ცხადია, ლიტერატურაც ფართო ეროვნული ინტერესების გამომხატველი ხდება.

საქართველოს, როგორც ერის ჩამოყალიბებას, თან მოჰყვა ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლის აღმავლობა. ილია ჭავჭავაძემ, როგორც პოეტმა და მოაზროვნემ, ყველაზე სრულად წარმოადგინა 60—70-იანი წლების ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების ხასიათი. იგი გახდა „მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ნაციონალურ-რევოლუციური მოძრაობის უპოვლარესი საზოგადო მოღვაწე“<sup>2</sup>.

ილია ჭავჭავაძის შემოქმედება უაღრესად იდეურია; მის მიერ შექმნილი ყოველი მხატვრული სახე ღრმა აზრისა და გარკვეული მიზნის შემცველია. ი. ჭავჭავაძის გასაცნობად აუცილებელი არაა მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის დეტალების გათვალისწინება, მისი მხატვრული შემოქმედება ყველაზე უფრო სწორ და სრულ წარმოდგენას იძლევა სამშობლოსათვის თავდადებულ პოეტსა და მოაზროვნეზე.

ჯერ კიდევ თავის პირველ ლექსში — „ყვარლის მთებს“ ი. ჭავჭავაძემ გარკვევით გამოხატა თავისი ღრმა სიყვარული სამშობლო-

<sup>1</sup> ი. ჭავჭავაძე. თხზულებათა სრული კრებული, 1953, ტ. III, გვ. 229.

<sup>2</sup> „Правда“, 1936, 9 სექტემბერი.

სადმი და ის დიდი პასუხისმგებლობა, რომელსაც იგი ყოველთვის გრძნობდა თავისი ხალხის წინაშე.

პეტერბურგის უნივერსიტეტში მიმავალი ახალგაზრდა პოეტი თავისი სამშობლოს მომხიბვლელ მთებს მიმართავდა:

„სამშობლო მთებო! თქვენი შვილი განებებთ თავსა,  
მაგრამ თქვენ ხსოვნას ვერ მივცემ მე დავიწყებასა:  
თქვენ ჩემთან ივლით განუყრელათ, ვით ჩემი გული,  
თქვენთან, ჰე, მთებო, ბუნებითა შეუღლებული!“

„რა-რიგ მიყვარდით, მეგობარნო ჩემ ყმაწვილ ყრობის,  
და აწ მაშორებს თქვენთან ვალი ამ წუთის-სოფლის,  
მომავლის ბედი გაყრას ითხოვს ჩემგან მსხვერპლად  
და რას მომთხოვდა უარესსა დასასჯელადა?“

(„ყვარლის მთებს“)

„მომავლის ბედი“ ყრმა პოეტისაგან ითხოვდა მსხვერპლს, — სამშობლოს დროებით დატოვებას და სწავლის მისაღებად ჩრდილოეთში გამგზავრებას. ჩანს, იგი იმთავითვე გრძნობდა, რომ მხოლოდ თავისთავს არ ეკუთვნოდა, — მის ცოდნასა და ენერგიას სამშობლოს მომავლის ინტერესები ითხოვდა. ასეთი ღრმა შეგნებით გაემგზავრა ილია მე-19 საუკუნის ათონში — პეტერბურგის უნივერსიტეტში.

უცხო გარემოსა და მხატვრული ძიების პროცესში მყოფი ი. ჭავჭავაძე ღრმა ტკივილებს განიცდიდა, სანამ იპოვიდა ცხოვრების იდეალს და გაარკვევდა თავის პოეტურ კრებოს. თავდაპირველად იგი თავისუფალი არ იყო რომანტიკული ურვისაგან, — სწუხდა ადამიანის წარმავლობისა და სისუსტის გამო; ახალგაზრდა პოეტი ადამიანის სიცოცხლეს ანთებულ სანთელს ადარებდა. მისი თქმით, როგორც ანთებული სანთელი, ასევე ადამიანიც თანდათანობით იწვის, იფერფლება და ბოლოს —

„მშვენიერ აღის მაგიერ გრჩება  
ერთი მუჭა-ლა გამხმარი მტვერი“.

(„სანთელი“)

თავისი შემოქმედების პირველ პერიოდში, ი. ჭავჭავაძე საგრძნობლად ეხმაურება ქართველ რომანტიკოსებს, განსაკუთრებით კი ნ. ბარათაშვილს. შეიძლება ითქვას, რომ მისი პოეტური მომწიფება ნ. ბარათაშვილის ღრმა ფილოსოფიური შინაარსის მქონე პოეზიის გაგებისა და დაძლევის საფუძველზე ხდება. თუ თავდაპირველად ილიასათვის უფრო საინტერესოდ მოჩანს ნ. ბარათა-

შვილის სევდა-მწუხარების გამომხატველი ლექსები, შემდეგ ზასზე გაველენას ახდენენ მხოლოდ ის ლექსები, რომლებშიც პოეტის მებრძოლი სული და უკეთესი მომავლის ძიებაა ჩაქსოვილი.

მსგავსად ნ. ბარათაშვილისა, ი. ჭავჭავაძე თავის პირველ ლექსებში უჩივის არა მარტო ადამიანის სიცოცხლის ხანმოკლეობას, არამედ იმ ხვედრსაც, რომელიც ადამიანის ხანმოკლე ცხოვრებასაც მიძიმეს ხდის. ამ მხრივ, მას ყველაზე მეტად აფიქრებს და აშინებს სულიერი ობლობა და თავისუფლების დაკარგვა.

ლექსში — „გაზაფხული“, რომელიც ნ. ბარათაშვილის „სუმბული და მწირი“-ს და „სული ობოლი“-ს აშკარა გამოძახილს წარმოადგენს, ი. ჭავჭავაძე იმ შეხედულებას გამოთქვამს, რომ ბუნებაში ყველაფერი ახლდება, ხელახლა იღვიძებს და ცოცხლდება, მაგრამ ადამიანის „ერთხელ მოკლულ გულს“ ვეღარაფერი ანუ გეშებს და აღარაფერი ახარებს.

„ყველა ჰყვავდება,  
ყველა ახლდება,  
რა ჰხედავს ტკბილ დღეს—  
გამოცოცხლდება, —

და მარტო გული,  
ერთხელ მოკლული,  
არც აყვავდება,  
არც გაცოცხლდება“.

ლექსში — „ჩიტი“, რომელიც ალეგორიული შინაარსის შემცველია, ი. ჭავჭავაძე ხაზს უსვამს თავისუფლების დაკარგვის სიმძიმეს. იგი აღრმავებს და ავითარებს ნ. ბარათაშვილის მიერ ნათქვამს: „რა ხელ-პყრის პატივს ნაზი ბულბული, გალიაშია დატყვევებული“ („ბედი ქართლისა“).

აღნიშნულ ლექსში, ი. ჭავჭავაძე ჩიტს ასე ალაპარაკებს:

— „მინამ ვარ უფლად  
ჩემის თავისა,  
მხიარულ სტუმრად  
ვარ მაისისა.

და როს ცდუნებით,  
ძალდატანებით,  
გალიას ჩამსმენ,  
მშვიდობით, ველო,  
მაშინ აღარ გსტვენ,  
საწყალობელო.

დაღონებული,  
ფრთებდაშვებული  
დავიწყებ კინობას,  
სიკვდილის ხმობას...

და, ველო, შენსა  
გამლვიძებელსა,  
შენს ჩიტს პატარას  
მაღე ნახავ მკვდარს\*.

(„ჩიტი“)

აშკარაა, რომ ი. ქავჭავაძე აქ იმეორებს ნ. ბარათაშვილის ნიერ „სუმბულსა და მწირში“ გამოთქმულ შეხედულებას.

ლექსში—„სიმღერა“, ი. ქავჭავაძე თავის თავს აღარებს პატარა ნაეში მჯდომს, რომელსაც მდინარე დიდ ზღვაში მიაქანებს. წარსულითა და აწმყოთი უკმაყოფილო პოეტი, მართალია, ხედავს „მომავლის ვარსკვლავს“, მაგრამ მაინც აშინებს დიდ ზღვაში შესვლა:

„ჰოი, გვედრებ, მდინარევ,  
იმ დიდ ზღვაში ნუ შეგვრევ“.

(„სიმღერა“)

პოეტის ლალადისი, ჩანს, არ შეიწყნარა მდინარემ. ამას მოწმობს ლექსი — „მარტო მივცურავ ცხოვრების ზღვაში“, რომელშიც იგი გვევლინება უკვე ზღვის ზვირთთა პირისპირ, თავის პატარა ნავით. ეს მკაცრი შებრძოლება უნდა დამთავრდეს ან ზღვის, ან მისი და მისი ნავის გამარჯვებით. მართალია, პოეტს აშინებს უღროოდ დაღუპვა, ვინაიდან ჯერ არაფერი ურგია ქვეყნისათვის, მაგრამ ის მაინც თავისუფალია რომანტიკული უიმედობისაგან:

— „თუ ვგრე წარვხდე, ნუ ატირდები,  
მე იმ ცრემლებად არ ველირები!“

„ცხოვრების ზღვაში“ მარტოდ მცურავ პოეტს უფრო მეტად ის აწუხებს, რომ მისი კვალი „ურგები არ იყოს“, და თუ შთამომავლობას კარგ მაგალითს დაუტოვებს, სიკვდილს არაფრად ჩათვლის. მას სულიერი ნათესაობა აკავშირებს უკვე არა ნ. ბარათაშვილთან — „სული ობოლის“ აეტორთან, არამედ ნ. ბარათაშვილთან — „მერანისა“ და „ფიქრნი მტკვრის პირას“ შემოქმედთან. ამაზე მეტყველებს მისი ლექსი — „დაე თუნდ მოვკვდე“:

„დაე თუნდ მოვკვდე, არ მეშინიან,  
მაგრამ კი ისე, რომ ჩემი კვალი  
ნახონ მათ, ვინცა ჩემს უკან ვლიან.  
თქვან: აღასრულა მან თვისი ვალი“.

პატრიოტი პოეტი იმაზე ოცნებობს, რომ მის საფლავთან მყოფ საყვარელ ქართველს საფუძველი ჰქონდეს გულწრფელობითა და სიმართლით ჩასძახოს:

„იყავ მშვიდობით შენს მყუდრო ძილში!

შენ გიცოცხლია, როგორც უნდოდა;

თქვას: შენი ქნარი შორს ჩვენგან — ჩრდილში

ამოდ ჩვენთვის არ ხმაურობდა“.

„თვისი ვალის“ აღსრულებისათვის მებრძოლ პოეტს ცრემლი მაინც არ აშრება თვალზე და ამ ცრემლის მიზეზია ფიქრი იმაზე — შეძლებს თუ არა აღმოჩნდეს მოწოდების სიმალლეზე („ბევრი ვიტანჯე“, 1858 წ.). ეს ფიქრი ილიას არც მაშინ ასვენებდა, როცა პეტერბურგიდან სამშობლოში ბრუნდებოდა („მგზავრის წერილები“).

ფეიქრობთ, უკანასკნელი ლექსი, რომელშიც ი. ჭავჭავაძემ რომანტიკოსების, უფრო მეტად კი ნ. ბარათაშვილის, გავლენა გამოამჟღავნა, იყო — „ჰო, სად არიან, სიკბუქვე, სიტკბონი შენნი“. აღნიშნულ ლექსში ი. ჭავჭავაძე, როგორც ლექსიკური მარაგითა და პოეტური ინტონაციით, ასევე იდეური გააზრებით ნ. ბარათაშვილის პოეზიიდან ამოდის. ილია, ამჯერად, უშუალოდ სესხულობს ბარათაშვილისაგან მხატვრულ სახეებს და მხატვრულ ფერებს, მისი ეს ლექსი ჩვენს მეხსიერებაში ძალაუნებურად აღადგენს ნ. ბარათაშვილის ლექსებს: „სულო ბოროტო“, „ეპოვე ტაძარი“, „ჩემთ მეგობართ“.

მაგრამ მხოლოდ ამით როდი ამოიწურება ნ. ბარათაშვილთან, და საერთოდ ქართველ რომანტიკოსებთან, ი. ჭავჭავაძის ურთიერთობა შემოქმედების პირველ პერიოდში. ნ. ბარათაშვილის ლექსების — „ფიქრნი მტკვრის პირას“, „მიყვარს თვალები მიბნედილები“, „ჩემი ლოცვა“, „ჩვილი“ — გამოძახილი ისმის ი. ჭავჭავაძის ლექსებში: — „მტკვრის პირას“, „მეც შავ თვალებს“, „ლოცვა“, „ნანა“; ხოლო, პოემის „ბედი ქართლისა“ ცალკეული ადგილების გავლენა ატყვია „ქართველის დედას“, „აჩრდილს“, „ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან“ და სხვ.

აღ. ჭავჭავაძის „მუხამბაზი ლათაიურის“ მხატვრული ფორმა ი. ჭავჭავაძეს გამოყენებული აქვს ლექსებში: „ლოთის რჩევა“ და „ჩემი თარიღალი“, რომელსაც აქვს ავტორის შენიშვნა: „მიბაძვა აღ. ჭავჭავაძისადმი“.

გრ. ორბელიანის „სალამო გამოსალმებისას“ შთაბეჭდილების ქვეშაა დაწერილი, აგრეთვე, ი. ჭავჭავაძის — „ყვარლის მთებს“,

ხოლო „აჩრდილის“ ცალკეულ თავებს ცხადლივ ატყვია „სადღე-გრძელოს“ გავლენა.

ა. ჭავჭავაძისა და ნ. ბარათაშვილის ხსოვნას მიუძღვნა ი. ჭავჭავაძემ ლექსებში: „ალექსანდრე ჭავჭავაძე“ და „ნიკოლოზ ბარათაშვილზედ“, რომლებშიც მან გამოავლინა თავისი დიდი სიყვარული და პატივისცემა სახელოვანი წინამორბედებისადმი.

ნ. ბარათაშვილის, და საერთოდ ქართველ რომანტიკოსთა, გავლენა ი. ჭავჭავაძეზე, ცხადია, გაგებულ არ უნდა იქნას როგორც ძლიერის გავლენა სუსტზე. მართალია, ი. ჭავჭავაძეს რომანტიკოსთა მდიდარი შემოქმედების ათვისება და დაძლევა უხდებოდა მხატვრული ძიების პერიოდში, მაგრამ მის სასახლოდ უნდა ითქვას, რომ იგი ყოველთვის ინარჩუნებდა საკუთარ სახეს, პოეტურ ორიგინალობას. რომანტიკოსთა გავლენა ი. ჭავჭავაძეზე გამოიხატა, უწინარესყოვლისა, მათ მიერ შექმნილი მხატვრული ტრადიციების მოხდენილ გამოყენებაში და არა მისადმი ბრმა მორჩილებაში. საერთოდ, ი. ჭავჭავაძე რომანტიკოსებში ყოველთვის ხედავდა სიტყვის ნიჭიერ ოსტატებს. რაც შეეხება რომანტიკოსთა პოეზიის იდეურ-შინაარსობლივ მხარეს, ი. ჭავჭავაძე მის დაძლევას ახერხებს ორ წელზე (1857—1858 წწ.) ნაკლები დროის მანძილზე. ამ საქმეში, როგორც აღვნიშნეთ, მას ეხმარებოდა თვით ნ. ბარათაშვილის პოეზია, რომელიც რევოლუციური რომანტიზმისა და რეალიზმის მიმართულებით იყო განვითარებული.

ამასთან, რომანტიკოსებთან სიახლოვეს ი. ჭავჭავაძე ავლენს მხოლოდ იმ ლექსებში, რომლებიც შთაგონებულია სამშობლოს ეროვნული ბედით, ან მიძღვნილი არიან უშუალოდ სიყვარულის გრძნობისადმი.

უდავოა, რომ ქართველ რომანტიკოსთა და, კერძოდ, ნ. ბარათაშვილის პოეზია პოეტური შთაგონების ერთ-ერთი წყარო იყო ი. ჭავჭავაძისათვის შემოქმედების პირველ პერიოდში. მაგრამ ეს „შთაგონება“ ერთნაირი არ ყოფილა, იგი თანდათან იცვლებოდა მისი საბოლოო დაძლევის მიმართულებით.

სინამდვილესთან საერთო არაფერი ჰქონდა სამეცნიერო ლიტერატურაში უკანასკნელ დრომდე საყოველთაოდ გავრცელებულ თეორიას იმის შესახებ, რომ ი. ჭავჭავაძისათვის ნ. ბარათაშვილის პოეზია, თითქოს, 1860 წლამდე უცნობი იყო. ასეთი შეცდომის წყარო მომდინარეობდა ი. ჭავჭავაძის სტუდენტობის მეგობრის — კ. აბხაზის მოგონების არამართებული კომენტარიებიდან. კ. აბხაზი თავის მოგონებაში წერს: — „ზაფხულობით ჩვენი ქართველი სტუდენტობა პავლოვსკში ატარებდა დროს და ჩვენც, მე და ილია,



ზაფხულობით იქ ვიმყოფებოდით ხოლმე. მახსოვს, ერთხელ პავ-  
ლოვსკიდან ცარსკოე სელოში წავედი და იქ ვეწვიეთ ქალბატონ  
დადიანისას, სამეგრელოს მთავრის ასულს. ქ. დადიანისამ გამოი-  
ტანა და მოგვცა წასაკითხავად ბარათაშვილის ლექსები, რამდე-  
ნადაც მახსოვს, ბარათაშვილის საკუთარი ხელთაწერი. ეს ლექ-  
სები იყო „ქართლის ბედი“ და „მერანი“. ვერ წარმოიდგენთ,  
რა შთაბეჭდილება მოახდინეს ამ ლექსებმა ილიაზედ, თითქმის  
მთელი ერთი კვირა ყმაწვილი ჰბოდავდა ბარათაშვილითო<sup>1</sup>.

ლიტერატურის ისტორიკოსები დადგენილად მიიჩნევენ  
რა იმას, რომ აღნიშნული შემთხვევა მოხდა 1860 წელს, დაასკვ-  
ნიდნენ: „ილია ქავეკავაძე პირველად ეცნობა ნიკოლოზ ბარათაშვი-  
ლის პოეზიას ეკატერინე ქავეკავაძის ოჯახშიო“<sup>2</sup>.

ზოგიერთი მკვლევარი კიდევ უფრო შორს წაეიდა და აღ-  
ნიშნული შემთხვევა გამოაცხადეს ალ. ქავეკავაძისა და ნ. ბარათა-  
შვილის შემოქმედებით ი. ქავეკავაძის დაინტერესების სა-  
ბაბად.

მაგალითად, დოც. აპ. მანარაძის შეხედულებით, „იმ დიდ სიყვა-  
რულს და მზრუნველობას, რომელსაც ილია ალექსანდრე ქავეკავა-  
ძისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის ლიტერატურული მემკვიდრეო-  
ბის მიმართ იჩენდა, საფუძველი ისევ ალ. ქავეკავაძის შთამომავ-  
ლობამ ჩაუყარა. ეკატერინეს ოჯახში პირველად იგრძნო ილიამ  
ბარათაშვილის პოეზიის სითბო და მიმზიდველობაო“<sup>3</sup>.

გვქონდა რა მხედველობაში აღნიშნული მოსაზრება, ჩვენ გა-  
რკვევით შევნიშნეთ: „ასეთი დასკვნა სინამდვილეს ეწინააღმდეგე-  
ბა. განა ი. ქავეკავაძე 1860 წელს ზაფხულში, ეკატერინე ქავეკავაძის  
ოჯახში, გაეცნო პირველად ალ. ქავეკავაძისა და ნ. ბარათაშვილის  
შემოქმედებას? განა ასე გვიან იგრძნო ილიამ „ბარათაშვილის  
პოეზიის სითბო და მიმზიდველობა?“ სხვა თუ არაფერი, ასეთი  
შეხედულება მაჩვენებელია იმისა, რომ ილიაზე მსჯელობისას ავ-  
ტორი ანგარიშს არ უწევს... თვით ილიას იმ ლექსებს, რომ-  
ლებიც ნათელჰყოფენ, რომ ილია ჯერ კიდევ ადრე იცნობდა,  
და კარგადაც იცნობდა, ალ. ქავეკავაძისა და ნ. ბარათაშვი-  
ლის შემოქმედებას. აიღეთ ილია ქავეკავაძის 1858 წელს დაწერილი  
„ლოთის რჩევა“ და 1859 წელს დაწერილი „ჩემი თარიალალი“,

<sup>1</sup> „ლიტერატურული მემკვიდრეობა“, 1935, ტ. I, გვ. 564.

<sup>2</sup> ნ. ბარათაშვილი. თხზულებანი, 1945, გვ. 52 (პ. ინგოროყვას შესავალი  
წერილი).

<sup>3</sup> აპ. მანარაძე. ქართული რომანტიზმი, 1948, გვ. 60.

რომელსაც საგანგებოდაც კი აწერია: „მიბაძე ალ. ქავჭავაძისადმი“, და თქვენ დარწმუნდებით, როგორ კარგად იცნობდა ილიათავის სახელოვან წინამორბედს. ამასთან, ანგარიში რომ არ გავუწიოთ ალ. ქავჭავაძისა და ნ. ბარათაშვილის ლექსების დიდ გავრცელებას ხალხში ზეპირი, თუ ხელნაწერების გზით, რაც არ შეიძლებოდა ილიასათვისაც არ ყოფილიყო ცნობილი, ის მაინც გავიხსენოთ, რომ „ცისკარში“ ავ დროისათვის უკვე დაბეჭდილი იყო ა. ქავჭავაძისა და ნ. ბარათაშვილის საუკეთესო ნაწარმოებები. ხოლო „ცისკარი“ განა ილიასათვის უცნობი იყო?“<sup>1</sup>

ჩვენი შეხედულება მიღებულ და გაზიარებულ იქნა<sup>2</sup>. თუმცა მკვლევარი პ. ინგოროყვა მაინც იმ შეხედულებისაა, რომ ნ. ბარათაშვილის პოეზია ი. ქავჭავაძემ ეკ. ქავჭავაძის ოჯახში გაიცნო პირველად. იგი ემყარება კვლავ ე. აბხაზის ცნობას, მაგრამ აღწერილ შემთხვევას ათარიღებს უკვე არა 1860 წლით, არამედ 1858 წლით. საბუთი? ყველა იმ საბუთიდან, რომელიც მას მოჰყავს ანგარიშგასაწევია მხოლოდ ის, რომ ი. ქავჭავაძის ადრინდელ ლექსებს ატყვია გავლენა ნ. ბარათაშვილის იმ ლექსებისა, რომლებიც ჯერ კიდევ არ იყვნენ დაბეჭდილნი. მაგრამ პ. ინგოროყვა ანგარიშს არ უწევს იმ გარემოებას, რომ 1858 წლის ზაფხულამდე დაწერილ ლექსებსაც ატყვია გავლენა ნ. ბარათაშვილის იმ ლექსებისა, რომლებიც ჯერ კიდევ არ იყვნენ გამოქვეყნებულნი. ამასთან, 1858 წელს დაწერილ ი. ქავჭავაძის ლექსებზე გაკეთებული მინაწერები მოწმობენ, რომ ილია მაშინ პავლოვსკში არ ყოფილა.

ერთი სიტყვით, უფრო სავარაუდოა, რომ ილია ქავჭავაძე 1860 წლის ზაფხულში ესტუმრა ეკ. ქავჭავაძე-დადიანის ოჯახს. 1860 წლის ზაფხულზე დაწერილ ყველა ლექსს მიწერილი აქვს: „პავლოვსკი“. შემთხვევითი არ უნდა იყოს ის გარემოებაც, რომ ილია 1860 წლის 16 ივლისს წერს ლექსს — „ალექსანდრე ქავჭავაძე“, ხოლო — 19 ივლისს — „ნიკოლოზ ბარათაშვილზედ“. ამასთან, ნ. ბარათაშვილისადმი მიძღვნილ ლექსს (პირველ ვარიანტში) ასე იწყებს:

„როს წავიკითხე მისი ლექსები,  
ვერა რა ვთქვი და განცვიფრებულმა...“

<sup>1</sup> დ. გამეზარდაშვილი. ქართული რომანტიზმის შესწავლისათვის. იხ. გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1948, № 49.

<sup>2</sup> ა. თოფურია. ილია ქავჭავაძე და ნიკოლოზ ბარათაშვილი. იხ. ჟურნ. „მნათობი“, 1950, № 11; პ. ინგოროყვა. ილია ქავჭავაძე, იხ. ი. ქავჭავაძე-თხზულებანი, 1951, ტ. I, შესავალი წერილი.

ეს გარემოება უდავოს ხდის, რომ კ. აბხაზი თავის მოგონებაში 1860 წლის ზაფხულში მომხდარ შემთხვევას აღწერს. ისიც უნდა ვივარაუდოთ, რომ ილია ჭავჭავაძის სტუმრობა ეკ. ჭავჭავაძის ოჯახში მხოლოდ ერთი მისვლით არ ამოიწურებოდა. მან ეკ. ჭავჭავაძისაგან უთუოდ ბევრი რამ საინტერესო მოისმინა ალ. ჭავჭავაძისა და ნ. ბარათაშვილის შესახებ, გაეცნო მათ ნაწარმოებებს ორიგინალში და სხვა. ყოველივე ეს კი, ცხადია, ახალგაზრდა პოეტზე დიდ შთაბეჭდილებას მოახდენდა, რაც მან ლექსებში: „ალექსანდრე ჭავჭავაძე“ და „ნიკოლოზ ბარათაშვილზედ“ გამოხატა.

მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ი. ჭავჭავაძე ეკ. ჭავჭავაძის ოჯახში, 1860 წელს, გაეცნო პირველად ნ. ბარათაშვილის, თუ ალ. ჭავჭავაძის პოეზიას. ექვს გარეშეა, რომ ი. ჭავჭავაძე ქართულ რომანტიკოსთა და, კერძოდ, ნ. ბარათაშვილის პოეზიას გაეცნო ჯერ კიდევ გიმნაზიაში სწავლის პერიოდში. ბიოგრაფიული მასალებიდან ვიცით, რომ ილია გიმნაზიაში ყოფნისას უფრო ნეტ დროს ისეთი წიგნების კითხვას ანდომებდა, რომლებიც არ ისწავლებოდნენ. როგორც მისი ახლო მეგობარი — კ. აბხაზი გადმოგვცემს, „მამულისადმი უანგარო სიყვარული პატარაობიდანვე შეკრუვა ილიას, მეტისმეტად უყვარდა ბაასი გლეხკაცებთან, მეტადრე მოხუცებულებთან. ჰკრეფდა და აგროვებდა ზღაპრებს, ანდაზებს, გამოცანებს“<sup>1</sup>. ასეთი ბუნებისა და ინტერესების ახალგაზრდა, რომელიც პატარაობიდანვე ლექსებსა წერდა, ნუთუ ნ. ბარათაშვილის ცხოვრებითა და შემოქმედებით არ დაინტერესდებოდა თუნდაც მას შემდეგ, როცა გ. ერისთავმა 1852 წელს „ცისკარში“ (№ 4) გამოაქვეყნა უდროოდ დაღუპული პოეტის ლექსები: „ბულბული ვარდზედ“, „ჩემი ლოცვა“, „რად ჰყვედრი“, „სულთ ბოროტო“ და მისადმი მიძღვნილი საკუთარი ლექსი. და თუ დაინტერესდებოდა, განა ცოტა რამის შეტყობა შეეძლო გიმნაზიის საპატიო მზრუნველის — დიმ. ყიფიანისა და ზედამხედველის — ი. კერესელიძისაგან? ან იმ დროს თბილისში მყოფ ნ. ბარათაშვილის ახლო მეგობრებისა და ნაცნობებისაგან?

როგორც აღნიშნული გვაქვს, ი. ჭავჭავაძემ ადვილად შეძლო თავი დაედწია რომანტიკოსთა სევდიანი განწყობილებების გავლენისაგან. მან მალე შეიცნო თავისი პოეტური დანიშნულება და სწორად გაერკვა იმაშიც, თუ რა უნდა მიეღო და გამოეყენებინა წინამორბედთა მხატვრული მემკვიდრეობიდან. 1858 წლის და-

<sup>1</sup> „ლიტერატურული მემკვიდრეობა“. 1935, ტ. I, გვ. 564.

სასრულს ილიამ უკვე მტკიცე ნაბიჯი გადადგა ამ მიმართულებით. ამის თქმის უფლებას იძლევა მისი ლექსი — „ქართველის დედას“, რომელსაც ეპიგრაფად წარუმძღვარა ლეიბნიცის ცნობილი სიტყვები: „აწმყო, შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავალისა“. ამ სიტყვების აზრი, „ზეიძლება ითქვას, ილიამ თავისი მოღვაწეობის პროგრამად გაიხადა. ნიჭიერი პოეტი ღრმად დარწმუნდა იმაში, რომ უკეთესი მომავალი დამოკიდებულია არა წარსულის აჩრდილებზე, არამედ აწმყო ცხოვრების წარმართვაზე. ამიტომაც, იგი ხდება არა წარსულის მეხოტბე, არამედ მისი თანამედროვე ცხოვრების პირუთვნელი მხატვარი.

რომანტიკულ პოეზიასთან ანგარიშგასწორებას წარმოადგენდა ი. ქავკავაძის მხნე მოწოდება:

„მას ნულარ ვსტირით, რაც დამარხულა,  
რაც უწყალოს დროთ ხელით დანთქმულა;  
მოვიკლათ წარსულ დროებზედ დარდი...  
ჩვენ უნდა ვსდიოთ ვხლა სხვა ვარსკვლავს,  
ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი,  
ჩვენ უნდა მივცეთ მომავალი ხალხს“...

(„ქართველის დედას“)

ამიტომ, პოეტი ქართველ დედას მოუწოდებს აღზარდოს ძლიერი სულის მქონე შვილი, რომელსაც ექნება ადამიანთა სიყვარული და სამშობლოს „მომავლისათვის ბედთან იბრძოლებს“, რათა მიღწეულ იქნას „ძმობა, ერთობა, თავისუფლება“. ამ ღიდი მცნების სულისკვეთებით ახალგაზრდობის აღზრდა მიაჩნია პოეტს „მომავალი გმირის“ გამოჩენის საფუძვლად.

ეროვნული მთლიანობისა და სამშობლოს განთავისუფლების იდეა უფრო სრულად და მტკიცედ ი. ქავკავაძემ ჩამოაყალიბა ლექსში — „ჩემი თარიარალი“ (1858 წ.), რომელშიც აშკარად ისმის მოწოდება მეფის მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ. პატრიოტი პოეტი თანამემამულეთ შთააგონებს მამულის სიყვარულს, „ძმობისა და ერთობის მნიშვნელობას.

„რაგინდ რომ ცარი ღრინავდეს,  
ჩვენის სისხლისთვის გრგვინავდეს,  
ვერ შეგვაშინებს ჩვენ ცარი,  
თუ გულში ძმობა ბრწყინავდეს“.

„თუ ერთობა ჩვენ გვექნება,  
მტერი წინ ვერ დაგვიდგება;  
ჩვენგანი ქართველის დამორგუნველს  
ან მოჰკლავს, ან შეაკვდება“.

„ჰე, ძმანო, ვიყვეთ ერთ ბედით,  
წინა წავიდეთ გაბედვით,  
ჩვენ ცარი ვერას დაგვაკლებს  
თვისის ბრმა წინასწარ ხედვით“.

(„ჩემი თარიარალი“)

სამშობლოს განთავისუფლების იდეა წითელ ზოლად გასდევს ი- ქვეკავადის პოეზიას. ამასთან, პოეტი ძველ რუსეთში გარკვევით ხედავდა ორ რუსეთს: ერთი — მეფე და მისი ბიუროკრატიული აპარატი, მეორე — ნამდვილი რუსი ხალხი. ილიას აროდეს არ უქადაგნია სეპარატივიზმი, თავის იდეალებისათვის ბრძოლას იგი ყოველთვის რუს ხალხთან მეგობრობას უკავშირებდა; მეფის მთავრობის დამხობაში ხედავდა როგორც რუსი ხალხის ბედნიერებას, ასევე თავისი სამშობლოს თავისუფლებას.

ი. ქვეკავადის შეგნებული ჰქონდა, რომ ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლა მოითხოვდა მტკიცე ერთიანობას და თავდადებას, — მსხვერპლს. მისი აზრით, ნამდვილი პატრიოტი სამშობლოს დამთრგუნველს „ან მოჰკლავს, ან შეაკვდება“. ამიტომ, პოეტი თანამემამულეთ მიმართავდა:

„მაშ მოდით ისევ ძმობითა,  
დრო გავატაროთ შრომითა,  
მამულს სიცოცხლე შევწიროთ  
შვილურის ერთგულებითა“.

(„ჩემი თარიარალი“)

მებრძოლი პატრიოტული სულისკვეთებით გამსჭვალულ პოეტს „ქართლის უბრალო მადლობა ურჩევნის ყოველ დიდებას“ და ყველაზე მაღალ ჯილდოს — აყვავებული მამულის ხილვაში ხედავს.

ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლის იდეა, და საერთოდ რევოლუციურ-დემოკრატიული ხედვა, ი. ქვეკავადეში განსაკუთრებით ძლიერდება 1859 წლიდან, და ეს გასაგებიცაა: მაშინ დაიწყო სწორედ რევოლუციური სიტუაციის აღმავლობა, რასაც არ შეიძლება გავლენა არ მოეხდინა სტუდენტ ი. ქვეკავადეზე. ამას მოწმობს თუნდაც ლექსი — „ნანა“ (1859 წ.), რომელიც მეტად საყურადღებო ნაწარმოებია როგორც თავისი ფორმით, ასევე შინაარსით. ილიამ ვირტუოზულად გამოიყენა ცნობილი ხალხური სასიმღერო ლექსის — „ნანას“ მხატვრული ფორმა და შექმნა მეტად ღრმა შინაარსიანი, პატრიოტული იდეით გამთზარი ნაწარმოები.

ლექსი „ნანა“, თავისი შინაარსით, წარმოადგენს ქართველი დედის პასუხს პოეტის იმ მოწოდებაზე, რომელიც მან გამოთქვა „ქართველის დედაში“. პატარა შვილს დედა უმღერის სამშობლოს შესახებ, აცნობს მის წარსულსა და აწმყოს, ავალებს იყოს თავისუფლებისათვის თავდადებული მებრძოლი. დედა იმით იმხნეებს გულს, რომ მისი აღზრდილი ვაჟკაცი შეიგრძნობს სამშობლოს ტკივილებს და ტკბილ ნანას ხმლის ჟღერაზე შეცვლის. მომავალ გმირს დედა მოუწოდებს:

„აინთე ცეცხლით გული,  
მტერსა დაეცი შეხად,  
ან, ვით შვილი ერთგული,  
დააკვი მამულს მსხვერპლად“.

(„ნანა“)

პატრიოტი დედა შვილს შთააგონებს, რომ „უკვდავი არის შვილი — მამულისათვის მომკვდარი“, რომ ვაჟკაცი გმირულად უნდა შეეწიროს სამშობლოსათვის ბრძოლას და „თავისი სიკვდილით მისი სიკვდილი დათრგუნოს“.

„მას დედის ძუძუ ტკბილი  
შხამდაც შერგებია,  
მამულისთვის სიკვდილი  
ვისაც დახარებია!“

(„ნანა“)

ამ ლექსში ი. ჭავჭავაძემ პირველად წარმოადგინა პატრიოტი ქართველი დედის სახე. მისი შეხედულებით, მხოლოდ ასეთი დედების წყალობით შეძლო ქართველმა ხალხმა ხანგრძლივ და უთანასწორო ბრძოლებში დაეცვა სამშობლოს დამოუკიდებლობა. მშობლიური გრძნობა, შვილის სიყვარული, — პოეტის თქმით, — ქართველი დედის გულს მოსვენებას არ აძლევდა, მაგრამ მისი ჩვილი გული ფოლადდებოდა, როცა მამულის ინტერესები ამას მოითხოვდა.

„დედათა გული ჩვილი  
მამულისთვის მაგრდება,  
რად მინდა იგი შვილი,  
თუ მისთვის არ მოჰყვდება!  
ვისაც ძე არ შეუკლავს,  
როს მამულს სჭირებია,  
შვილო, იმ ვაგლახ დედას  
შვილი არ ჰყვარებია!“

(„ნანა“)

ილიას გაგებით, ასეთი დედები იყვნენ მხოლოდ იდეალური დედები და არა ისინი, რომლებიც ზრდიდნენ „კანწოელებს“. ეს

უკანასკნელნი საკუთარ მამულს არ არგოდნენ, მხოლოდ ტირან იმპერატორს იცავდნენ და მის გულს ახარებდნენ. ამიტომ ასეთი ქართველი მებრძოლის ხილვა პოეტში მხოლოდ მწუხარებას იწვევს:

„ეს თქვი თუ, ვისთვის შენ კისკასობ, ვისთვის იჩენ სიმარდესა?  
შენი რაა, რომ ამშვენებ შენს დამღუპველს ჩრდილოეთსა?“

(„კანგოელი“)

პოეტს არ აკმაყოფილებდა იმდროინდელი საზოგადოებრივი ცხოვრების მარჯისცემა და ეროვნული თვითშეგნების დონე. ამიტომ მის გულში ზოგჯერ სიცივე იმკვიდრებს ხოლმე („დაბნელდა სული“) და მარტოობაში მყოფი ფიქრებს ეძლევა. მაგრამ იგი ხდება არა უიმედო და პასიური, არამედ უფრო მღელვარე, ბრძოლას უტყბადებს უმოქმედობასა და მორჩილებას.

„ოხ, ღმერთო ჩემო! სულ ძილი, ძილი,  
როსლა გვეღირსოს ჩვენ გაღვიძება?“

(„მლეგია“)

ასე მწარედ ამოიკენესა სამშობლოს ბედზე დაფიქრებულმა პოეტმა და მისი თვალი, პირველყოვლისა, სტუდენტ ახალგაზრდობაზე შეჩერდა. ი. ქავჭავაძე დიდ იმედებს ამყარებდა განათლებაზე და განათლებულ ახალგაზრდობაზე; მათგან მოელოდა იგი ხალხში იმ იდეების შეტანას, რომლისთვისაც თვითონ იბრძოდა.

ი. ქავჭავაძემ 1860 წელს საგანგებოდ დაწერა „ქართველ სტუდენტთა სიმღერა“, რომელშიც ჩამოაყალიბა ქართველ სტუდენტთა მიზანი და ვალდებულება. მისი თქმით, სტუდენტი ახალგაზრდობა იმ სულისკვეთებით იზრდებოდა, რომ ლხინში—მოლხინეს გამოადგებოდა, ქირში—კი მოქირნეს უშველიდა, დიდს არ გაექლავინებოდა. პატარას კი მხარს მისცემდა, ბოროტს გულდაგულ შეებრძოლებოდა და თაყვანს სცემდა სამართალს, წინ წასვლაში არ დაიხევდა, მაგრამ უკან დარჩომილსაც არ გასწირავდა; მან იცოდა, რომ „შველა უნდა უღონოსა და დავრდომილს“. ამიტომაც, ის უანგაროდ მიდიოდა წინ და მხოლოდ მასზე ფიქრობდა, „რომ წინანი უკანასათვის უნდა იქნეს გზად და ხიდად“.

ასეთი ფიქრებითა და გრძნობით დაჯილდოებულ სტუდენტებს პოეტი ათქმევინებს:

„მამულისა შვილნი ჩვენც ვართ  
და მიტომ ვზრდით კაბუკს სულსა,  
რომ ოდესმე გამოვადგეთ  
დაობლებულს ჩვენს მამულსა.  
მაგრამ ეხლაც საქმით, სიმხნით  
სხვას არც ჩვენ დავუვარდებით;  
ბრძოლად რომ მამულმა გვიხმოს,  
ეხლაც კი გამოვადგებით.“

„ქართველ სტუდენტების სიმღერაში“ თვით ი. ჭავჭავაძის გრძნობა და მისწრაფებაა ჩაქსოვილი. პოეტი უკვე მომზადებულად გრძნობს თავს იმისათვის, რომ სამშობლოს გამოადგეს, უღონოსა და დავრდომილს დაეხმაროს, ხოლო მტერს პირისპირ შეებრძოლოს.

სამშობლოსა და მშრომელი ხალხის სიყვარული, მათი ინტერესების დაცვის რეა ი. ჭავჭავაძის შემოქმედებას თავიდანვე მიზიდველს ხდიდა. პოეტს იმთავითვე სწორად ჰქონდა შეგნებული, რომ სამშობლო წმინდა გეოგრაფიული ცნება როდია, „სამშობლოში“, უპირველეს ყოვლისა, მშობლიურ ხალხს გულისხმობდა.

სამწერლო ასპარეზზე გამოსვლისთანავე ი. ჭავჭავაძემ თავი გამოავლინა, როგორც დიდმა პატრიოტმა, თავისუფლებისათვის თავდადებულმა მებრძოლმა, მშრომელი ხალხის მესაიდუმლოდ და დამცველმა, მჩაგვრელთა დაუძინებელმა მტერმა.

ჯერ კიდევ 1857 წელს დაწერილ ლექსში — „ხმა სამარადამ“ ილია თავისი მძაფრი სატირით თავს დაესხა მშრომელი გლეხობის, ქვრივ-ობლების დაუნდობელ მტრებს — მექრთამე ჩინოვნიკებს და სრულად წარმოადგინა მათი მახინჯი ბუნება.

ამავე წელს ილია წერს მოთხრობას — „ღიამბეგობა“, რომლის შემდგომ ვარიანტს სათაურად მისცა — „მარგალიტი ლექში“. მართალია, მოთხრობა დაუმთავრებელია, მაგრამ მასში უკვე საკმაოდაა გამოკვეთილი გაიძვერა და მლიქვნელი ჩინოვნიკის — ბეჟან კალმახიძის სახე. თავისი კარიერისტული მიზნების განსახორციელებლად იგი კეთილისმყოფელსაც არ ინდობს და, გუშინდელი მაწანწალა, „მცირედით“ როდილა კმაყოფილდება. ი. ჭავჭავაძემ პირველად აქ გამოამყლავნა ოსტატობა გმირის ფსიქოლოგიის სოციალურ ფონზე ჩვენებისა. „მარგალიტი ლექში“ შემდეგ საფუძვლად დაედო მის ცნობილ ნაწარმოებს — „სარჩობელაზედ“.

სატირით — „ხმა სამარადამ“ და მოთხრობით — „ღიამბეგობა“ ი. ჭავჭავაძემ ყურადღება გაამახვილა 40—50-იანი წლების ქართველ რეალისტთა მეტად საინტერესო თემაზე. შემდგომში სატირა პოეტისათვის გახდა ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი ჟანრი, რომელსაც ოსტატურად იყენებდა გადაგვარებულთა წინააღმდეგ ბრძოლაში.

ი. ჭავჭავაძეს მხედველობიდან არ გამოპარვია ის გარემოება, რომ მისი თანამემამულეები, — მშრომელი გლეხობის სახით, მოკლებულნი იყვნენ არა მარტო ეროვნულ დამოუკიდებლობას და ვანიცდიდნენ კოლონიალურ ჩაგვრას, არამედ მონურ ცხოვრებაში



იყვნენ სოციალური უთანასწორობის გამოც. ახალგაზრდა პოეტმა ბრძოლა გამოუცხადა ჩაგვრისა და ბოროტების ორივე ფორმას.

ბატონყმური უღლის ქვეშ მყოფი გლეხი და გუთანში შებმული ხარი, ილიას თქმით, ერთსა და იმავე მდგომარეობაშია; მათი უღელი ერთნაირად მძიმეა. მართალია, ერთი მეტყველია და მეორე უტყვი, მაგრამ ამ განსხვავებასაც არათფერი მნიშვნელობა ჰქონდა ბატონყმურ სინამდვილეში. ერთ-ერთ საუკეთესო ლექსში — „გუთნის-დედა“ (1858 წ.), პოეტი გუთნისდედას ასე ასაუბრებს უღელში შებმულ ხართან:

„ნუ დამიღონდი!.. შენი უღელი  
ჩემს უღელზედა არ არის ძნელი:  
მეც შენებრ მიწას დაგვუბრებ თვალით,  
რადგანაც ხეცა წამართვეს ძალით“.

„შენ პირუტყვი ხარ და მე მეტყველი?  
ეგ, ჩემო ლაბავ, ნუ შეგშურდება...  
რად მინდა ხმალი, თუნდ იყოს მკრელი,  
თუ სიმართლისთვის დამიჩლუნგდება?“

აბა რას გვარგებს ჩვენ ის გუთანი,  
რომა აჩეჩოს მარტო მიწანი  
და არ მოსთხრიდეს ძირით იმ ბალახს,  
რომელიც უშლის თესლსა ამოსვლას?“

ლიახ, ილია ქავკავაძის გუთნისდედას მხოლოდ ის გუთანი მოსწონს, რომელიც ძირიანად მოსთხრის იმ ბალახს, რომელიც „უშლის თესლსა ამოსვლას“. ამ სიტყვებში პოეტის მთელი გულისთქმაა!

ადამიანისა და ხარის შრომა თუ ერთნაირად მძიმეა, სამაგიეროდ ადამიანი კიდევ მეტ მორალურ ტანჯვას განიცდის, რადგან მას — მეტყველს მეტყველების უფლება არა აქვს და იძულებულია გულშივე ჩაჰკლას უსამართლობით მიყენებული ტკივილები. „სიტყვანი გულში მებადებიან, მაგრამ გულშივე უხმოდ ჰკვდებიანო“, — ამბობს ილია ქავკავაძის გუთნისდედა და უტყვ მეგობარს მიმართავს:

„შენ ვერ გაიგებ მეტყველის ტანჯვას,  
როცა სიტყვასა მართალს გულში ჰკლავს!..  
აჰ, შენდე, ლაბავ, ჩემი უღელი  
შენს უღელზედა უფროა ძნელი“.

(„გუთნის-დედა“)

ამგვარად, ბატონყმური წყველიადით მოცულ ეპოქაში ნიქიერმა პოეტმა მთელი სისასტიკით წარმოადგინა დრომოკმული სოციალური ურთიერთობის საშინელება. მან თავისი მახვილი სწენა მიაპყრო უუფლებო ყმა-გლეხის გულისცემას და ჩასწვდა მის ტკივილებს.

ბატონყმურ მონობაში მყოფი ყმა-გლეხის სახის პარალელურად ილია ჭავჭავაძემ შექმნა მუშის სახეც. ქართულ ლიტერატურაში მუშა პირველად ილიამ შემოიყვანა. ლექსში „მუშა“ (1860) პოეტს, მართალია, არ მოუყვია მანქანასთან მიჯაჭვული მუშა, ე. ი. მუშა, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, მაგრამ მაინც რელიეფურად გამოკვეთა ბატონყმური ულლის სიმძიმის გამო ქალაქში გადმოხვეწილი მშრომელი, რომელიც ყოველდღიური ლუკმაპურისათვის ჰყიდდა თავის ფიზიკურ ძალას.

ტვირთს ქვეშ მოხრილ მუშას პოეტი თანაგრძნობით მიმართავს:

„ვინა ხარ შენა, ჩემო ძმაო? სიღამ მოსულხარ?  
ბატონის მათრახს ვერ გაუძელ, გამოკეუღლხარ,

თუ უნებლიეთ გადმოგტყორცნა მუხთალმა ბედმა,  
ან მოგიტაცა სხვა კაცხედა მაცდურ იმედმა?“.

ი. ჭავჭავაძე არ ღალატობს სინამდვილეს. იმდროინდელი თბილისისათვის უცხო არ იყო ასეთი ადამიანები და ისინი „მუშებად“ იწოდებოდნენ. პოეტი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ბედისაგან უსამართლოდ დაჩაგრულ ადამიანებს ყურადღებას არავინ აქცევდა; მდიდარი კაცის „დროშკა“ ხშირად ეჯახებოდა ხოლმე ტვირთის ქვეშ მოკეცილ მუშებს და გამვლელნი ხარხარით უცქეროდნენ ამ სურათს. საბრალო მუშისათვის გასამარჯელოს სრულად მიცემაც კი ენანებოდათ.

ბოლმამორეული პოეტი მრავალმეტყველად მიმართავს მუშას:

~ „შენ უღონო ხარ... და უღონოს კაცი იბრძვივებს,  
მდიდარს მეტწმისცემს, შენ კი გროშხედ შეგვეპირება,  
ვისაც არ უჭირს, მას გააძღობს,—და შენ კი გიკლებს,  
შენ, რომელსაცა ერთი გროშით დღე გემატება“.

ღიახ, კითხულობთ ი. ჭავჭავაძის ლექსებს და თქვენს თვალწინ ცოცხლდებიან ბატონყმური ულლისაგან დაბეჩავებული გლეხები და ქალაქის ქუჩაში მიმავალი, ტვირთისაგან წელში მოხრილი მუშები, რომელთა პატიოსან მუხბლს და ღია მკერდს ოფლი ფარავს.

ი. ჭავჭავაძეში ღრმა ტკივილებს იწვევდა ქართველი ხალხის საზოგადოებრივი ცხოვრების იმდროინდელი ვითარება. მისი თვალი მიპყრობილი იყო უკეთესი მომავლისაკენ და ეროვნულ თავისუფლებასა და შრომის განთავისუფლებას წინასწარმეტყველებდა.

1859 წლის დამდეგს ი. ჭავჭავაძემ დაასრულა პოემა „აჩრდილი“ (პირველი ვარიანტი), რომელიც წარმოადგენს, ერთი მხრივ,

პოეტის მიერ აღრე გამოთქმულ შეხედულებათა დაჯამებას, მეორე მხრივ, მის მომავალ სამოქმედო პროგრამას. უფრო მეტიც, „აჩრდილი“ ვახდა არა მარტო ი. ჭავჭავაძის, არამედ ახალი ქართული ლიტერატურის საპროგრამო ნაწარმოები საერთოდ მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში.

„აჩრდილში“ ი. ჭავჭავაძე იძლევა საქართველოს წარსულისა და აწმყოს დახასიათებას. ამასთან, ვრცლად ჩერდება მისი მომავლის გარკვევაზე, ეროვნული გმირის ძიების საკითხზე.

საქართველოს ისტორიული წარსული ი. ჭავჭავაძისათვის, ცხადია, სულ სხვა თვალსაზრისითაა საინტერესო და მნიშვნელოვანი, ვინემ რომანტიკოსებისათვის. რომანტიკოსები, ძირითადად, აიღილებდნენ ძველი საქართველოს სოციალურ-პოლიტიკურ წყობას და მის აღდგენაზე ოცნებობდნენ. ი. ჭავჭავაძისათვის კი მიუღებელია როგორც ძველი, ასევე მისი თანამედროვე სოციალ-პოლიტიკური სისტემა. მას ისტორიულ წარსულში იზიდავს მხოლოდ ხალხის გმირული სული, სამშობლოს სიყვარულის გრძნობა. მისი შეხედულებით, ქართველ ხალხში უკვე აღარ არის ის მხნეობა და მამულისათვის უსაზღვრო სიყვარული, რომლის წყალობითაც: საქართველო ინარჩუნებდა თავის ეროვნულ დამოუკიდებლობას. მიმართავს რა სამშობლოს, პოეტი ამბობს:

„იყო დრო, როცა შენი გულისთვის  
თითონ სიკვდილსაც ლხინად ჰხადოდნენ  
და თავდადებას მამულისათვის  
ერთმანეთს ომში ეცილებოდნენ.  
ეხლა რაღა!.. გაჰქრენ ის დღენი,  
გაჰქრა იგიცა ძალ-გულოვნება,  
და საკვირველნი მამათ საქმენი •  
ახლანდელ შენს შვილს არც აგონდება“.

იგონებს რა ქართველი ხალხის გმირულ ბრძოლებს ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, პოეტი იმ დასკვნამდე მიდის, რომ საქართველოს მსგავსად ეკლიან გზაზე სხვას არ უვლია. ამიტომ, ეროვნული სიამაყის გრძნობით ლაპარაკობს იგი ქართველი ხალხის პატრიოტულ გრძნობაზე, მის უტეხ ნებისყოფაზე:

„ორი-ათასის წლის ბრძოლაში მათ სისხლი ჰღვარეს,  
მაგრამ ამაყი თვისი თავი ქვეყანაზედა  
არაუის წინა სამუდამოდ არ მოიბარეს“.

ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლის მედროშე — ი. ჭავჭავაძე ისტორიული წარსულიდან ჰკრებდა ისეთ მაგალითებს, რომლებიც მის თანამედროვეთ აიძულებდა კრიტიკულად და გონების თვალთ შეეხედათ არსებული სინამდვილისათვის.

ი. ჭავჭავაძე უკმაყოფილო იყო მისი თანამედროვე ცხოვრებით. მისი თქმით, — „წამხდარა ყველა, ის ღონე და ის ძლიერება“, რომლითაც ძველ ქართველს უფლება ჰქონდა ეამაყნა. პოეტი ხედავს, რომ მის თანამედროვეთა შორის გამრავლებულან ანგარებით შეპყრობილი ადამიანები, რომლებსაც მხოლოდ პირადი ინტერესები ამოძრავებთ და დავიწყებით სამშობლო და მშობლიური ხალხი. ეს სულიერი დაკნინება, პოეტის აზრით, პირველყოვლისა. საზოგადოების შეძლებულ ნაწილს ატყვია. თანამდებობის პირნი, ვაჰარნი და ეკლესიის მსახურნი სრულიად არ ზრუნავენ ქვეყნის მდგომარეობის გამოსწორებაზე, რადგან ასეთ ვითარებაში უფრო ახერხებენ თავიანთი ბნელი საქმეების მოგვარებას.

„აგერ დიდკაცი დარბაისელი  
კმაყოფილების განცხრომაშია  
მაშინ, როს მისი მოძმე საწყალი  
სასოწარკვეთილ მონებაშია.  
მოძმეთა ხსნისთვის თავის-დადება  
წმინდა ხვედრია მხოლოდა გმირთა  
და მას ვით შესძლებს თავმოყვარება,  
რომელიც იმა დიდკაცთა სჭირთა?  
ის რად ინდომებს ქვეყნისა ბედსა,  
როს მასა შველის მის ბედკრულება?  
რად შეებრძვის ის სიბოროტესა,  
როს მეოხებით მისით თვით ჰრჩება?  
აგერ ვაჰარიც ცბიერის ღიმით  
მოძმეთ ატყუებს, რა ჰყიდის ნივთსა,  
და ძმა მის მოკვდეს თუნდა შიმშილით  
უნაღვლოდ განვლის ცხოვრების ზიდსა!“.

პოეტის გულს სიამოვნებას ვერ ჰგვრის ძველი და ახალი დედაქალაქების—მცხეთისა და თბილისის ნახვაც. მცხეთა—„სავანე გმირთა“, „დედა-ქალაქი ვრცელი აწ სამიკიტნო დაბად გამხდარა“, ხოლო თბილისში—ყველა საკუთარი თავისთვის ზრუნავს და „რისთვისაც მამანი იღწვოდნენ უწინ, დღეს შვილთ არ უღირთ არც ერთ ფლურადა“.

„გარძობას—ოქროსა ფასად ჰყიდინან,  
მთავრის ღიმოლზე პატროსნებას,  
და დაჟანგებულ ბორკილზე სცვლიან  
თავის მამულის თავისუფლებას“.

ი. ჭავჭავაძეს ყველაზე მეტად ის აღონებს, რომ ხალხი თითქოს შეგუებულია თავის მძიმე ხვედრს, აღარ სწამს თავისუფლების კვლავ აღდგენა და „განწირულების შთასდგომია მას გულში წყლუ-

ლი". პოეტი ცდილობს გამონახოს გზა, რომელიც მის თანამემამულეთ იხსნის უშედებო ცრემლისა და მწუხარებისაგან.

„ვიდრე ძე შენი არ გაიკვლევს ზოგად ცხოვრებას  
და მცნების ნათლით ზე-ალხიდულ, ამაღლებული  
კვეთი არ განსკვრეტავს საზოგადო ცხოვრების დენას,  
იმ დრომდე იგი უიმედო, შეწუხებული,  
უქმისა დრტინევით, გული-წვითა მწარე ცრემლს დაღვრის,  
მაგრამ არ ირწმენს, წამებულო. შენს აღდგენასა,  
და იგი ცრემლი ურწმენობის, ეჭვის და ტანჯვის,  
ჭალადებს მხოლოდ ძისა შენის უძღურებასა“.

ამგვარად, პოეტი იმ შეხედულებებისაა, რომ სანამ ქართველი ხალხი ღრმად არ გაერკვევა საზოგადოებრივი ცხოვრების ხასიათსა და მიმართულებაში, მანამ ის უძღური იქნება შეცვალოს არსებული მდგომარეობა. იგი ოცნებობს იპოვოს ისეთი გმირი, რომელიც წმინდა მოვალეობად მიიჩნევს მამულისათვის თავისდადებას. ასეთი გმირის ხსოვნას კი ველარავინ წაშლიდა ხალხის მეხსიერებაში და მარად იცოცხლებდა მის სიმღერებში. გმირის მაგალითზე აღიზრდებოდნენ ბავშვები, მისი საქმით სიმხნეს შეიმატებდნენ მოხუცნი. მაგრამ ასეთ გმირს პოეტი ვერ ნახულობს. ამის მიზეზად კი ის მიაჩნია, რომ პატრიოტული გრძნობა, — სამშობლოს სიყვარული — „გმირის დამბადი დიდი საგანი“ დავიწყებულია, ქართველი ქართველობას გადასდგომია. გულნატკენი პოეტი მრავალმეტყველად ამბობს:

„ვიშ, ეს ქვეყანა, ხმელეთის თვალი,  
დიდი სამოთხის კუთხე პატარა,  
ქედმოდრეკილა ნალვლით საწყალი,  
რომ მისი ტრფობა თქვენში შემწყდარა;  
რომ დაგიგდიათ უმწედ, უნუგემ,  
თქვენის სიავით დაწყულულებულა,  
თქვენგან გამობილი, — უცხოს კალთის ქვეშ,  
ვითა ობოლი, შეფარებულა“.

როდესაც ი. ჭავჭავაძე მკაცრად ახასიათებს ქართველობას, ცხადია, მას მხედველობაში ჰყავს მისი პრივილეგიური ნაწილი, რომელიც იყო ცხოვრების ბატონ-პატრონი. მაგრამ პოეტი როდი კმაყოფილდება მათი ზოგადი კრიტიკით; იგი უფრო ღრმად იხედება მოვლენებში და მთელი უბედურების წყაროს გაბატონებულ სოციალურ ურთიერთობაში ხედავს.

დამახასიათებელია, რომ ი. ჭავჭავაძე მთელი თავისი მოღვაწეობის მანძილზე ერთმანეთისაგან არ თიშავდა ეროვნულსა და სოციალურ საკითხებს. უფრო სწორად, სოციალური საკითხის

გადაწყვეტას იგი უკავშირებდა და უმორჩილებდა ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლის ინტერესებს ამა თუ იმ ეტაპზე. ამ გარემოებამ, უკანასკნელად, ზიანიც კი მიაყენა მის შეხედულებათა განვითარებას სოციალურ სფეროში.

60-იან წლებში ი. ჭავჭავაძე აშკარად ხედავდა, რომ ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლის წარმატება ისე შეუძლებელი იყო, თუ ბოლო არ მოეღებოდა ბატონყმურ ურთიერთობას, რომელსაც მონობაში ჰყავდა ხალხის უდიდესი ნაწილი. ამიტომ, მისი პირველი დარტყმები, საზოგადოებრივი ცხოვრების გაუნჯობესების მიზნით, სწორედ ამ სოციალური ინსტიტუტის მოსპობისკენაა მიმართული, და ეს შემთხვევითი მოვლენა როდი იყო. როგორც ვ. ი. ლენინი გვასწავლის, 40-იან და 60-იან წლებში „ყველა საზოგადოებრივი საკითხი ბატონყმობისა და მისი ნაშთების წინააღმდეგ ბრძოლით განისაზღვრებოდა. ახალი საზოგადოებრივეკონომიური ურთიერთობა და მისი წინააღმდეგობანი მაშინ ჯერ კიდევ ჩანასახ მდგომარეობაში იყვნენ“<sup>1</sup>.

40-იან—60-იანი წლების ეს გენიალური დახასიათება სწორად მიგვითითებს, აგრეთვე, ი. ჭავჭავაძის მოღვაწეობის ხასიათზეც აღნიშნულ პერიოდში.

„აჩრდილში“ ი. ჭავჭავაძე პირდაპირ და სწორად ახასიათებს ბატონყმობას და მებატონეებს. იგი საქვეყნოდ აცხადებს, რომ „ქვე არის ბატონის გული და ვერ დაარბილებს მას შებრალება“. ყმის შრომა, მისი ოფლი და ოფლის ნაყოფი მხოლოდ ბატონის თვალს ახარებს. ამიტომაც, რომ პოეტი ყმა-გლეხს ათქმევინებს:

„ვინა შრომობდა და ვინა ჰძლებდა,  
ღმერთო, სად არის აქ სამართალი?!“

ი. ჭავჭავაძე უფრო მეტად იმითაა აღშფოთებული, რომ მებატონეები მშრომელ ხალხში ადამიანურ გრძნობას არ ხედავენ და ყმებს, როგორც ნივთებს, ისე უტკეპრიან. ყმა-გლეხის ცხოვრება ისეა მოწყობილი, რომ მას არაფერი არ ახარებს; თუ ლამაზი და მშვენიერი ასული გაუჩნდა, ეს კიდევ უფრო სამწუხარო ხდება მისთვის, რადგან ან გაუყიდიან, ან ნამუსს ახდიან.

„თუ ღმერთმა მისცა შენსა ასულსა  
სილამაზე და მშვენიერება,—  
მონავ ჩაგრულო, ვითამ შენს გულსა  
სასიხარულოდ ვეგ ექნება?!“

<sup>1</sup> ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, ტ. 2, გვ. 628.

ქალს წაგართმევენ, ქალს გაჰყიდიან,  
ნამუსს მოჰკვლენ შეუბრალებლად  
და წრფელსა გულსნი ღვარძლს ჩაასხამენ.  
გახდიან ყვავილს თუბ-ქვეშ სათრეველად“.

ასეთი სურათის მნახველ მშობელს კი ისლა დარჩება, რომ ასულის ნაცვლად გველის გაჩენა ინატროს.

მიუხედავად ამისა, ი. ჭავჭავაძეს სწამს მშრომელი ხალხის უკეთესი მომავალი. იგი აღფრთოვანებულია, რადგან ხედავს, რომ მონობის ბორკილი დასამსხვრევედაა გამზადებული; პოეტს სჯერა ხალხის ძალის და ესმის მისი რევოლუციური აბობოქრების მნიშვნელობა. მიმართავს რა შრომის შეილს, პოეტი ამხნევებს მას:

„შრომა. აწ ქვეყნად ტყვედა პყრობილი,  
მძარცველობის ქვეშ ჩაგრულ-ვნებულა,  
ხოლო რღვეულა მისი ბორკილი  
და დასამსხვრეველად გამზადებულა“.

ი. ჭავჭავაძე პირდაპირ მიუთითებს, რომ მომავალი მხოლოდ მშრომელ ხალხს ეკუთვნის და ამ ისტორიულ კანონზომიერებას ვერაფერი ვერ შეაჩერებს. მისი თქმით, მეცხრამეტე საუკუნის ვალი სწორედ შრომის განთავისუფლება და ახალი ნერგის აყვავებაა.

„შრომისა ახსნა—ეგ არის ტვირთი  
ძღვეამოსილის ამ საუკუნის,  
კაცთა ღელვისა დიადი ზვირთი  
მაგ ახსნისათვის შედგრადა იბრძვის.  
ველარ განუძღებს ქვეყანა ძველი  
განახლებისა გრიგალის ქროლვას,  
ველარ განუძღებს ქვეყნის მძარცველი  
ჰეშმარტებით აღძროლსა ბრძოლას, —  
და დაიმსხვრევა იგი ბორკილი  
შემფერხებელი კაცთა ცხოვრების,  
და ახალს ნერგხედ ახლად შობილი  
ესე ქვეყანა კვლავ აღყვავდების“.

ამ სიტყვების თქმა, იმ დროს, შეეძლო მხოლოდ ისტორიული ნოვლებების ღრმა მკოდნეს, უკეთესი მომავლის ჰეშმარტ მოძღვრალს, რევოლუციურ-დემოკრატიულ პოზიციებზე მტკიცედ მდგომ მოაზროვნეს. სწორედ ამიტომ იქცა „აჩრდილი“ არა მარტო ახალგაზრდა ი. ჭავჭავაძის, არამედ მთელი ახალი ქართული ლიტერატურის საპროგრამო ნაწარმოებად იმ პერიოდში.

ი. ჭავჭავაძე აღფრთოვანებული იყო „ძველი წყობის დღე და დღე რღვევით“ და შრომის განთავისუფლების მოახლოებით.

მშრომელი ხალხის მესაიდუმლე პოეტი ყველა ჩაგრულს მიმართავდა:

„მაშინ, მაშვრალო, შენც განკაცდები,  
წართმეულთ ნიჭთა კვლავ მოიპოვებ,  
სხვას ძირს არ დასწევ, თვით ამაღლდები,  
არც ვის ემონვი და არც იმონებ“.

პოეტს ღრმად სწამს, რომ დადგება დრო, როცა ხალხთა შორის დამყარდება თანასწორობა და გუთნისდენადც მხიარული გულით იტყვის თავისუფლების სიმღერას.

ჯერ კიდევ 1857-58 წწ. დაწერილ დაუმთავრებელ მოთხრობაში — „ცხოვრების გამონაცადი და გამონაფიქრი“ ილია ქავეკვაძემ ყურადღების ცენტრში დააყენა სოციალური უთანასწორობით გამოწვეული ადამიანური ტრაგედია. მწერალმა ხაზგასმით მიუთითა, თუ რა ფაქტორი განსაზღვრავდა ადამიანის მომავალს ანტაგონისტურ კლასობრივ საზოგადოებაში. იგი აღშფოთებული იყო მით, რომ სოციალური წარმოშობა წარმართავდა ადამიანის მთელ მომავალ ცხოვრებას, რის გამო „ბევრნი და ძალიან ბევრნიცა სწყევლიან ხოლმე თავის გაჩენის დღესა“.

„აჩრდილში“, როგორც ვნახეთ, პოეტმა მკაცრად დაგმო სოციალური უთანასწორობის ნიადაგზე აღმოცენებული ბოროტება და ბოროტების დამცველი ბატონყმური სისტემა. მაგრამ მან მაინც საჭიროდ ჩათვალა უფრო კონკრეტულ ვითარებაში წარმოედგინა ბატონყმური ურთიერთობის სიმანხიჯე და ეჩვენებინა მისი მოსპობის საიმედო გზა. ამ მიზნით ი. ქავეკვაძემ, პირველყოვლისა, დაწერა პოემა — „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან“ (1860 წ.).

ი. ქავეკვაძემ დასახელებულ პოემაში იძლევა ბატონყმური ცხოვრების შეუფერავ სურათებს. იგი მთელი დამაჯერებლობით აჩვენებს, რომ ბატონყმური ურთიერთობა საზოგადოებას ჰყოფს დიამეტრალურად საწინააღმდეგო ორ არათანასწორ ნაწილად. უმცირესობის წარმომადგენლები — მებატონეები აღჭურვილნი არიან შეუზღუდველი უფლებებით, მათ თვალში მხოლოდ ნიეთის ფასი და მნიშვნელობა აქვს საზოგადოების უდიდეს ნაწილს — მშრომელ ხალხს. განუსაზღვრელი უფლებები და უზრუნველი ცხოვრება კი მებატონეებს აკარგვინებთ ადამიანურ მორალს და ხდებიან სისხლმწოველ არსებებად. პოეტი მათ აღარებს მხეცებს, რომელთაც ადამიანური გული, ცხადია, არ გააჩნიათ.

ძნელი არაა იმის წარმოდგენა, თუ რა რეზონანსი უნდა ჰქონოდა ბატონყმურ საქართველოში ი. ქავეკვაძის მიერ ნათქვამ სიტყვებს:



„რა გავაგრძელო, თავადის შვილი  
კარგი რა არის, ავი რა იყოს?!“

პოეტი მთელი დამაჯერებლობით აჩვენებს, რომ ყმის ბედნიერება არ შეიძლება ხანგრძლივი იყოს. ამიტომ, „თუ ყმასა გუშინ ბედი ჰქონია, არ იჯერებს, რომ დღესაც ექნება“.

ი. ქავჭავაძეს ალელეგებს მშრომელი ხალხის ასეთი მძიმე ხედვები, მაგრამ კმაყოფილებას გრძნობს იმით, რომ გლეხობას შეუგნია თავისი მდგომარეობა და ცდილობს გამოსაღალი იპოვოს. პოემის ერთ-ერთი მთავარი გმირი — ზაქრო თავის ბედში მყოფ კაკოს ასე მიმართავს:

„ჩვენი წადილი, ჩვენი იმედი,  
ყოველთვის, ძამო, არის საფრთხეში,  
გლეხკაცის და ყმის ლიტონი ბედი  
ვერა, ვერ გაძლებს ბატონის ხელში“...

ასეთ შეგნებამდე მისულ კაკოსა და ზაქროს სიცოცხლისათვის გამოუსალმებიათ თავიანთი მებატონეები და თავი ტყისათვის შეუფარებიათ. მართალია, მათ დაუტოვებიათ ოჯახი, მშობლიური კუთხე, ახლობელი ადამიანები და უსახლკაროდ, მხეცებივით, ტყეში არიან, მაგრამ მაინც უფრო ბედნიერად ჰგრძნობენ თავს. ახალგაცნობილ ზაქროს კაკო ასე უხასიათებს თავის ცხოვრებას:

„მართალია, ძმავ, კაცს მოსწყინდება,  
ძუნწი ცხოვრება ეს დასალონი,  
მაგრამ იქ ყველა გვიადვილდება,  
სადაც ჩვენვე ვართ ჩვენი ბატონი“.

თავის თავისუფალ მკლავსა და „რკინის ძმებს“ — დამბაჩასა და ხმალს კაკო უკვე აღარაფერზე გაცვლის. მას დიდ სიმდიდრედ მიაჩნია ის, რომ მის „სამეფოში არ არის გმობა“, და თუ ორგულეებს არ ინდობს, ერთგულებთან ძმობა კარგად იცის.

ი. ქავჭავაძემ პოემაში მთელი სიმპათიით წარმოადგინა ის გმირები, რომლებმაც იარაღი აღმართეს მებატონეების წინააღმდეგ და უარყვეს მონური ცხოვრება. მაგრამ მხოლოდ ეს როდი არის ამ პოემის იდეური ღირსება. პოეტს მთავარი ყურადღება იმაზე გადააქვს, რომ გვიჩვენოს: კაკო და ზაქრო დიდხანს არ დარჩებიან მარტოდ, მათ გზას სხვებიც მალე გაჰყვებიან. ამ მხრივ, პირველყოვლისა, საყურადღებოა კაკოსაკენ მიმავალ ზაქროს შეხვედრა მეურმესთან. მეურმემ, რომელმაც შეიტყო ზაქროს გადაწყვეტილება, შურით წარმოთქვა: „ახ, ნეტავი შენ“, „და მერმე ისევ, უფრო მწუხარედ, თავის სიმღერა დაილულუნა“.

ბევრი რამ თქვა ამით პოეტმა! აშკარაა, რომ სხვების გულეშიც ბუდობს ის ბოლმა, რომელმაც ზაქროს თოფი ააღებინა; ნიშანდობლივია ისიც, რომ მისი მომავალი ბედი უკვე შურის საგანი გამხდარა.

ი. ქავჭავაძეს კიდევ უფრო ღრმად სურს წარმოადგინოს ხალხის უკმაყოფილება და მზადყოფნა, — თიზიკურად გაუსწორდნენ თავიანთ სულთამხუთავეებს. ამ მიზნით იგი პოემაში განსაკუთრებულ ადგილს უთმობს ცნობილ სახალხო გმირ — არსენასადმი ხალხის დამოკიდებულების ჩვენებას. არსენა ხალხის იდეალური გმირი გამხდარა, მისი თავგადასავალი იზიდავს ახალგაზრდობას და სურს მიბაძოს მის მაგალითს; არსენობა ზრდის და ახალისებს მას. აცნობს რა თავის თავგადასავალს, ზაქრო ასე მიმართავს კაკოს:

„არსენა ჩვენი, ის მხნე არსენა,  
ჩვენამდინ, ძმაო, ზღაპრად მოსული,  
ის იყო ჩემი ჯაერი და ლხენა,  
ის იყო ჩემი გული და სული.

ეგრეთ გონება ხალისიანი  
არსენას ამბით მე მეზრდებოდა;  
მიყვარდა მე ის კეთილდღიანი  
და არსენობა მენატრებოდა“.

თვით კაკოს სახელიც შორს გავარდნილა და „ბავშვმაც კი იცის, ვინ არის კაკო“. ზაქროს თქმით, მასზე ლაპარაკობს კაცი და ქალი, ვისაც ენა აქვს ყველა მას აქებს.

„შენზედ ამბობენ, რომ ხარ მამაცი,  
გამოტყვევიხარ უსამართლობას,  
ამბობენ, თურმე გიყვარს გლეხკაცი,  
ბარაქალა მაგ გულკეთილობას...“

არსენა და კაკო იდეალური გმირებად ჰყავთ წარმოდგენილი სოციალური ჩაგვრით განაწამებ ხალხს. ეს არაა მცირე მნიშვნელობის მოვლენა. პოეტი აშკარად დგას ბატონყმური სისტემის რევოლუციური გზით მოსპობის მომხრეთა მხარეზე.

ი. ქავჭავაძე ადამიანის, გმირის მოქალაქეობრივ ღირსებას ხედავს არა იმაში, რომ თავის ბედში მყოფი უყვარდეს, არამედ დაჩაგრულს იცავდეს. ამაზე მეტყველებენ ჰუმანიზმით გაქლენთილი მისი სიტყვები:

„რომ ბედში მყოფი შენ ძმად მიგაჩნდეს—  
ვგ ვერაფერი სიყვარულია.  
საქმე ის არის, კაცს ის უყვარდეს,—  
ვინც ბედისაგან დაჩაგრულია!“

მეტად ნიშანდობლივია პოემის დასასრულიც. თავგადასავლის თხრობის შემდეგ მწუხარე ზაქრო პირქვე დაეცემა და კაკოსაჟ ნალველი დაეუფლება. ამ სურათის აღმწერი ავტორი კი ამბობს:

„ამ ორს გულში რა ბალღამიც დღლდა,  
წარმოიდგინოს თვითონ მკითხველმა“.

მართლაცაა, ყველაფერი ნათელია. მკითხველი რწმუნდება, რომ მონური მდგომარეობიდან ხალხის თავდასალწვევად აუცილებელია ბატონყმური სისტემის მოსპობა. მწერლის იდეური ხედვაც აქეთკენაა მიმართული.

თავისი უკვდავი ნაწარმოებები — „გლახის ნაამბობი“, „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან“ და „კაცია ადამიანი?“ ი. ჭავჭავაძეს ერთი ხელის დაკვერით არ შეუქმნია; წლების მანძილზე ამუშავებდა მწერალი მათ სიუჟეტურ ჩონჩხს. ჯერ კიდევ 1859 წლამდე ილიამ დაწერა მოთხრობა „კოლა“, რომელიც არ დაუმთავრებია, მაგრამ საყურადღებოა იმდენად, რამდენადაც იგი შეიცავს იმ მხატვრულ დეტალებს, რომლებიც მწერალმა შემდეგ ვრცლად წარმოადგინა თავის ტრილოგიაში. ამასთან, სანამ ეს უკანასკნელი შეიქმნებოდა, ილიას „კოლა“ გადაუმუშავებია, მისი სიუჟეტური ხაზები განუვითარებია, გაულრმავებია და სათაურიც შეუცვლია (ნაცვლად „კოლასი“ — მოთხრობას უწოდა „კაკო“). მაგრამ ილია ვერც ამ გადამუშავებულ ვარიანტს დაუქმავიფილებია და გადაუწყვეტია თავისი მხატვრული შთანაფიქრის განხორციელებებისათვის მიეძღვნა სამი ნაწარმოები, რაც მან ასე წარმატებით შეძლო. ყველაფერი ეს იმაზე მეტყველებს, თუ როგორ დიდ ყურადღებას აქცევდა მწერალი ბატონყმური ურთიერთობის მთელი სიმახინჯის მზის სინათლეზე გამოტანას და მის წინააღმდეგ შეუწელებელ ბრძოლას. ი. ჭავჭავაძის ყველა პროზაული ნაწარმოები, „მგზავრის წერილების“ გამოკლებით, სოციალური საკითხისადმია მიძღვნილი.

დაუმთავრებელ მოთხრობაში („კაკო“) განვითარებული სიუჟეტური ხაზების ცალკეულ ნაწარმოებებად დამუშავების გზაზე პირველი ნაბიჯი „გლახის ნაამბობი“ იყო. ამიტომაც, მწერალი ამ მოთხრობას თავის „პირმზოს“ უწოდებდა. „გლახის ნაამბობის“

წერა ილია ჭავჭავაძემ 1859 წელს დაიწყო. ამავე წელს დაამთავრა მან მისი პირველი ნაწილის პირველი ვარიანტი, რომელიც შემდეგ კვლავ გადაამუშავა. ნაწარმოების მეორე ნაწილი კი 70-იან წლებში დაწერა. ამიტომ, ჩვენ ამჟამად მის შესახებ დაწვრილებით არ ვიმსჯელებთ, შევნიშნავთ მხოლოდ, რომ პირველი ნაწილის პირველ ვარიანტში მწერალმა უკვე საკმაოდ სრულად გამოთქვა ის იდეა რომელიც საფუძვლად უდევს ამ ნაწარმოებს. კერძოდ, მან ხაზი გაუსვა იმ კვშიარტებას, რომ ბატონსა და ყმას შორის სიყვარულის ხიდის გადგმა შეუძლებელია. ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზეც, რომ ბატონყმურმა ურთიერთობამ არა მარტო მებატონეები გადაავარა ზნეობრივად, არამედ ზოგიერთი ყმის სულიც გარყვნა (ამ მხრივ საყურადღებოა დიტოს სახე).

საერთოდ, ი. ჭავჭავაძემ მაღალი ოსტატობითა და დიდი გემოვნებით განახორციელა „კაკოში“ მოცემული პარალელური სიუჟეტური ხაზების გადაჯგუფება და მათი დამუშავება სამ დამოუკიდებელ ნაწარმოებად. კერძოდ, „გლახის ნაამბობში“ მწერალმა მთელი სისასტიკითა და დამაჯერებლობით აჩვენა მებატონეთა ზნეობრივი გადაგვარება, „კაცია აღამიანში“ — მათი გონებრივი სიღარიბე და დაქნინება, ხოლო „რამდენიმე სურათში“ — ის დიდი ბოღმა და ანგარიშგასწორების იდეა, რომელიც გლახობაში აუცილებლად უნდა გამოეწვია ასეთ რეგვენ და უზნეო მებატონეთა პარპაშს.

ი. ჭავჭავაძეს, ცხადია, ერთი წუთითაც არ ავიწყდება კოლონიური ჩაგვრის სიმძიმე, მეფის სატრაპთა არაადამიანური დამოკიდებულება ადგილობრივი ხალხის მიმართ. მაგრამ ისტორიის გაკვეთილები პოეტს უფლებას აძლევს თქვას:

„ვერა, ვერ ჰმართონ ვერსად ერი იმა მმართველთა,  
ვისც არ აქვთ ერის სიყვარული და შეწყნარება“.

(„აჩრდილი“)

აღნიშნულ საკითხს ი. ჭავჭავაძე კვლავ დაუბრუნდა და ვრცლად შეეხო პოემაში „დედა და შვილი“.

პოემა — „დედა და შვილი“ ილიამ უძღვნა ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლის აღმავლობის ჩვენებას. პოეტს პოემისათვის გაკეთებული აქვს საგანგებო ქვესათაურიც: „სცენა მომავალი ცხოვრებიდან“; ხოლო შესავალში, რომელიც წარმოადგენს მისი თანამოაზრე მეგობრისადმი მიძღვნას, ვკითხულობთ:

„აჰ, იმ დროთგან ერთი სახე ამოდებული,  
რომელნიც ერთად გვინატრია უცხოეთში ჩვენ,

რომელთ იმედი, ლეთიურ სხივით გაბრწყინებული,  
დღესაც გულში გვაქვს მტკიცე რჯულად, ძმაო, მე და შენ.

მყოფადს ავხადე ერთი კუთხე დიდის ფარდისა  
და ეს ვიხილე, — მომიტევე მე სითამამე..“

როგორც ვხედავთ, პოეტის მიზანს წარმოადგენს დაგვიხატოს მომავალი ცხოვრებიდან ის სურათი, რომელიც მას იდეალურად მიაჩნია და ეს იდეალი, როგორც პოემიდან ჩანს, არის კავკასიელ ხალხთა ერთობლივი ამხედრება ეროვნული თავისუფლებისათვის. თავისუფლებისათვის ბრძოლას ვაქცაურო სული შთაუბერია არა მარტო ქაბუქათათვის; არამედ სწეული დედებისთვისაც.

სიკვდილის პირამდე მისული ქართველი დედა შეილისაგან შეიტყობს დიდი ხნიდან სანატრელ ამბავს:

„მოვიდა დიდ ხნის სანატრელი, დედავ, ამბავი:  
ჩვენი ქვეყანა, საქართველო, გაღვიძებულა,  
მთელი კავკასი, მტერზედ რისხვით აღმომქშინავი,  
ერთისა აზრით, ერთის გრძნობით აღელვებულა“.

მოხუც დედას ამის შემდეგ საფიქრელად მხოლოდ ის რჩება, — რომ მისი მზე მაშინ ჩადის, როცა მის ხალხს ბედნიერება უახლოვდება და თანაც მარტო ერთადერთი შვილი ჰყავს:

„მე ვწუხვარ მასზედ, რომ ჩემს მამულს ამ ნეტარს დღესა  
მხოლოდლა ერთი შეაკვდება ჩემგან შობილი“.

დედისათვის იოლი როდია შეილის სიკვდილი, მამულისა და ძის სიყვარული ერთმანეთს ებრძვის, მაგრამ პატრიოტ დედას კარგად ესმის, რომ იგი არის ქართველის დედაც და უფლება არა აქვს შეილი დაიშუროს მამულისათვის. არც შეილისთვისაა ადვილი სწეული დედის მიტოვება, „მაგრამ უფრორე ძნელი არის მამულის გამობა“.

პოემა „დედა და შვილი“ არის ძლიერი ექსპრესიით შესრულებული თავისუფლების ჰიმნი! ნაწარმოების მთელი დედააზრისაა, რომ თავისუფლებაზე უფრო კეთილშობილური სხვა არაფერია, სამშობლოს სიყვარულზე უფრო ძლიერი გრძნობა — სხვა არ შეიძლება იყოს! ამაზე მეტყველებს პოემაში დახატული დედის სახეც. დედა, რომელსაც სიცოცხლის უკანასკნელი წუთებიდა დარჩენია, ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლის პათოსით აღფრთოვანებული ამბობს:

„თუმცა სიცოცხლე სწეულთათვის წვალება არი,  
მაგრამ, ჰე ღმერთო, გმადლობ, ამ დღეს რომ შემასწარი,  
და აქამომდე არ მოჰყვეთ ჩემი ცხოვრება:  
ჩემი მამული, საქართველო, დღეს მიცოცხლდება!  
ხალხი ახვრთდა, ხალხი აღსდგა, ხალხი მოქმედობს,  
კასპიის ზღვიდამ შავ ზღვამდინა ერთს ფიქრსა ჭვიქრობს,—  
და ვგ ფიქრია მთელ კავკასიის თავისუფლება!..  
დიდია ხალხი, როს ეს გრძნობა წინ წარუძღვება!“

ჩაგვრის ყოველგვარი ფორმის წინააღმდეგ მებრძოლი პოეტი თავისუფლებას აცხადებს საზოგადოებრივი პროგრესის საფუძვლად. თავისუფლებაში ხედავს ის მშვიდობასა და სიმართლეს, მშრომელთა ნავთსაყუდარსა და ჩაგრულთა საფარს.

„თავისუფლებავე, შენ ხარ კაცთა ნავთსაყუდარი,  
შენ ხარ ჩაგრულის, წვალბულის წმინდა საფარი,  
შენ ხარ მშვიდობა და სიმართლე ამა ქვეყნისა,  
შენ ხარ აღმზრდელი ღვთაებამდე კაცთ ბუნებისა.“

მაგრამ პოეტი არც იმას იფიწყებს, რომ თავისუფლებას მტრად ჰყავს მტარვალნი, რომელთაც არ სურთ მშვიდობა და სამართალი. ისინი მუდამ იმას ცდილობენ, რომ ადაზიანთა რაც შეიძლება დიდ ნაწილს მოუსპონ თავისუფალი ცხოვრების უფლება. ამიტომაც, თავისუფლების მოპოვება უბრძოლველად არ ხერხდება, იგი სისხლსა და მსხვერპლს მოითხოვს:

„თვით ხარ მშვიდობა, უხვად მადლთა ქვეყნად მომფენი,  
მაგრამ სისხლით კი იკვლევს გზასა მძებნელი შენი!  
რად არ შენდება უსისხლოდა მისი ტაძარი,  
მისი, რომელიც თვით მშვიდობის ღვთაება არი?“

ასე მსჯელობს ი. ჭავჭავაძის დედა, რომელიც შეილს ბრძოლაში გზავნის და იცის, რომ უკანასკნელად უცქერის მას.

დედისა და შვილის დიალოგში პატრიოტული გრძნობისა და თავისუფლებისათვის ბრძოლის იდეის მოცემული დახასიათება ი. ჭავჭავაძემ კიდევ უფრო დამაჯერებელი გახადა ქართველ ჯარისკაცთა სიმღერით, რომელიც დედასა და შვილს ქუჩიდან შემოესმით. ამ სიმღერით აშკარა ხდება, რომ პოემაში გამოყვანილი დედა და შვილი გამონაკლისნი როდი არიან. მათ ისგავსად ფიქრობს და გრძნობს ბევრი სხვაც. ჯარისკაცთა სიმღერაში აშკარად ისმის მოწოდება— ყველამ მოჰკიდოს ხელი იარაღს და სისხლი დაღვაროს მამული-სათვის. მათ შეგნებული აქვთ, რომ „თავისუფლების შოენაი სჯობს საშოენელსა ყველასა“ და „ვატყაცის გამომჩენელიც მტერთან გულდაგულ ომია“.

ქართველ მებრძოლთა პირით, პოეტი ამბობს:

„თავისუფლების მშოვნელი  
ამ ქვეყნად მარტო თოფია,  
შინ უღლით გაქნილს მშვიდობას  
ომში სისხლის ღერა სჯობია“.

როგორც ვხედავთ, დრამატულ პოემაში — „დედა და შვილი“, რომელიც პოეტმა თავისი ხალხის მომავალი ცხოვრების ჩვენებას მიუძღვნა, ი. ჭავჭავაძე მთავარ საკითხად აყენებს ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლის უმაღლეს ეტაპზე აყვანას. მისი საოცნებო იდეალია — ეროვნული და სოციალური ჩაგვრისაგან თავისუფალი საქართველო.

ი. ჭავჭავაძე, როგორც მოაზროვნე, 60-იან წლებში, იმ შეხედულებისაა, რომ ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლის წარმატების წინაპირობას წარმოადგენს დრომოქმული სოციალური ურთიერთობის — ბატონყმობის მოსპობა; ბატონყმური ურთიერთობით დაბეჩაფებულ და განათლებას მოკლებულ ხალხს ნაკლებად შესწევს უნარი იბრძოლოს ეროვნული თავისუფლებისათვის. ამიტომ, პირველი რიგის ამოცანაა — ბატონყმური სისტემის მოსპობა. ცხადია, შემთხვევითი მოვლენა არ ყოფილა პოეტის განსაკუთრებული ინტერესი ბატონყმური ცხოვრების უარყოფელი ნაწარმოებების შექმნისადმი ამ პერიოდში. პოემა „აჩრდილი“, დაუმთავრებელი ესკიზები — „კოლა“, „კაკო“ და მათში გატარებულ იდეაზე აგებული ტრილოგია („რამდენიმე სურათი ყაჩაღის ცხოვრებიდან“, „გლახის ნაამბობი“, „კაცია ადამიანი!?“) სწორედ ამ ინტერესზე ეტყვევებენ.

ერთი მხრივ, ბატონყმური ბორკილების დასამსხვრევად გაზნადება, მეორე მხრივ, ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლების აღმავლობა მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში, ი. ჭავჭავაძეს ღრმა იმედით განაწყობს თავისი ხალხის მომავლისადმი. გარიბალდის გზორული ბრძოლები მოსვენებას არ აძლევს პოეტს და ნატრობს თავის სამშობლოშიც იხილოს ბორკილების მსხვრევა.

„მესმის, მესმის სანატრელი  
ხალხთ ბორკილის ხმა მტერებისა!  
სიმართლის ხმა ქვეყნადა ჭქუხს  
დასათრგუნვლად მონობისა.  
აღმიტაცებს ზოლმე ის ხმა  
და აღმიგზნებს იმედს გულში...  
ღმერთო, ღმერთო! ეს ხმა ტკბილი  
გამაგონე ჩემს მამულში!“

(მესმის, მესმის“)

საყურადღებო დეტალია ისიც, რომ ი. ჯავახიანი ფიქრობდა ვოლონტერად წასულიყო გარიბალდთან. მას აინტერესებდა უშუალო მონაწილეობა მიეღო იმ ბრძოლებში, რომლებიც იმედს უსახავდნენ და არწმუნებდნენ თავისი ხალხის უკეთეს მომავალშიც.

ი. ჯავახიანის ფიქრები 60-იან წლებში მიპყრობილია ეროვნული თავისუფლებისაკენ, ცარიზმისა და ბატონყმური სისტემის მოსპობისაკენ. სხვაგვარად მას არ წარმოუდგენია სამშობლოს ბედნიერება და მისი აყვავება. მის თვალს ახარებდა გაზაფხულის პიერ გალვიძებული და გალამაზებული ბუნება, მაგრამ გულში ნაღველი მაინც არ უქრებოდა; ამის მიზეზი კი მისი სამშობლოს სოციალურ-პოლიტიკური ხვედრი იყო.

„აყვავებულა მდგლო,  
აყვავებულან მთები;  
მამულო საყვარელო,  
შენ როსლა აყვავდები!“

(„გაზაფხული“)

სამშობლოსა და მშობლიური ხალხის სიყვარული არ ასვენებდა ახალგაზრდა ილიას, რომელმაც თავისი პოეტური დანიშნულება გარკვევით ჩამოაყალიბა ლექსში— „პოეტი“ (1860 წ.).

„პოეტში“ ილია გვაცნობს თავის კეთილშობილურ მიზანს— წინ წარუძღვეს ერს და მასთან იყოს განუყრელად „ქმუნვასა და სიხარულში“. მას არ სურს იმღეროს ვით ფრინველმა; პოეზია მას მხოლოდ ტკბილ ხმათა მუსიკალურ აკორდად როდი მიაჩნია.

„მისთვის არ ვმღერ, რომ ვიმღერო,  
ვით ფრინველმა გარეგანმა;  
არა მართო ტკბილ ხმებისთვის  
გამომგახუნა ქვეყნად ცაჲა“.

ამგვარად, იგი გარკვეულად უპირისპირდება გოეთეს, რომელიც ამბობდა: „მე ვიმღერი, ვით მღერის ფრინველი“ (Ich singe wie der Vodel singt“).

პოეტი თავის მუზას მიზნად უსახავს მოსწმინდოს ტანჯვის კრემლი ხალხს და იყოს მისი გულის მესაიდუმლო:

„დიდის ღმერთის საკურთხევლის  
მისთვის ღვივის ცეცხლი გულში,  
რომ ერისა მოძმედ ვიყო  
ქმუნვასა და სიხარულში;  
ერის წყლული მაჩნდეს წყლულად,  
მეწოდეს მის ტანჯვით სული,



როგორც ვხედავთ, ი. ჭავჭავაძემ 60-იანი წლებისათვის, ერთი ნხრივ, გაალრმავა და განავითარა 40—50-იანი წლების ქართველ რეალისტთა შემოქმედებაში წინა რიგზე წამოწეული სოციალური საკითხი, მეორე მხრივ, ახალი გაგება და ახალი მიმართულება მისცა რომანტიკოსთა პოეზიის ძირითად მოტივს, — ეროვნულ მოტივს. მანვე, პირველმა ჩვენს ლიტერატურაში, ჯერ კიდევ შემოქმედების პირველ პერიოდში (1857—1860), მოგვცა მწერლის მოვალეობისა და ლიტერატურის დანიშნულების რეალისტური გაგება. საერთოდ, ი. ჭავჭავაძემ წარმატებით შეძლო მთელი წინა პერიოდის ჯანსაღი ლიტერატურული ტრადიციების შემოქმედებითი ათვისება და განყითარება ეპოქის მოთხოვნილებების შესაბამისად.

ის სიღრმე და სიღიადე, რაც ქართულ რომანტიზმს ნ. ბართაშვილმა შესძინა, ქართულ კრიტიკულ რეალიზმს მისცა ი. ჭავჭავაძემ. ი. ჭავჭავაძემ დაიწყო იქედან, სადაც დაამთავრა ნ. ბართაშვილმა და ეს უკანასკნელი მან გააგრძელა ფხიზელი რეალისტური ხედვით და მის თანამედროვე ცხოვრების მოთხოვნათა შესატყვისად. ამიტომაც, რომ მათ შორის დიდ სხვაობასთან ერთად, დიდი მსგავსებაცაა (ცხადია, შესაფერ ეპოქათა ფონზე). მახვილი გონებითა და ხედვით დაჯილდოებულმა აკ. წერეთელმა ადრევე შენიშნა ეს გარემოება და ჯერ კიდევ 1865 წელს თქვა: „ბართაშვილი და ჭავჭავაძე ერთს ტახტზე სხდომის ღირსნი არიან, ერთგვარი დამსახურება აქვთ ჩვენს ლიტერატურაში, ერთგვარად დაუვიწყრები არიან, ერთს გაუწყვეტელის ჯაჭვით გადაბმულები ერთი მეორეზედ; ერთის უმეორესით გაგება ძნელიაო“<sup>1</sup>.

აკ. წერეთელს, ცხადია, ყველაზე სწორად ჰქონდა გაგებული ი. ჭავჭავაძის შემოქმედების ხასიათი და მნიშვნელობა. თავისი შინაარსიანი მოღვაწეობის მთელ მანძილზე იგი მხარში ედგა ი. ჭავჭავაძეს და მასთან ერთად იხვეჭდა დიდი რეალისტი მწერლის სახელს. ამიტომაც, ქართველი მკითხველი ერთმანეთისაგან არ აცილებს მისთვის საყვარელ სახელებს: — ილიას და აკაკის, აკაკის და ილიას!

2

იშვიათია მეორე ისეთი მწერალი, რომელსაც, თავის სიცოცხლეშივე, აკაკი წერეთლის მსგავსი პოპულარობა და სიყვარული

<sup>1</sup> „ცისკარი“, 1865 წ., № 9.

ღაემსახურების მშობლიურ ხალხში. უნიკიერესმა ლირიკოსმა საკუთარი თვალთ ნახა, თუ როგორ მიიღო და შეიყვარა ქართველმა ხალხმა მისი მადლიანი კალმის ნაამაგარი. წერა-კითხვის მკოდნე თუ არამკოდნე ყოველ ქართველს თითქოსდა მოვალეობად მიაჩნდა ზეპირად ცოდნოდა აკაკის ლირიკული შედეგები; ასევე დიდი ინტერესით ეკიდებოდნენ მის პოემებსა და პროზაულ ქმნილებებსაც. ღვაწლმოსილი პოეტის გამოჩენა საქართველოს ამა თუ იმ კუთხეში ყოველთვის გულწრფელი სახალხო ზემოთ მთავრდებოდა. იგი ერთნაირად საყვარელი იყო პატარა ბავშვისა და ღრმა მოხუცისათვის, გრძნობაფაქიზი ასულისა და ჯმუხი ვაჟაკისათვის. პოეტის მდიდარ გრძნობასა და თანტაზიას ოსტატურად გაუერთიანებია მათი გრძნობა და ფიქრი.

ქართველმა ხალხმა აკაკის „საქართველოს უგვირგვინო მეფე“ უწოდა. ასეთი დიდი სიყვარულით უხვად დაჯილდოებულს, მასაც არა ერთხელ დაუღვრია სიხარულის ცრემლები, არა ერთხელ გამხდარა თავისი პოეტური მუზის კმაყოფილი.

სრული ნახევარი საუკუნის მანძილზე ილია ქაფქაფაძე და აკაკი წერეთელი მხარში ედგნენ ერთმანეთს, ერთმანეთს ავსებდნენ და აღრმავებდნენ, ერთსა და იმავე საქმეს ემსახურებოდნენ, და ეს საქმე — ქართველი ხალხის უკეთესი მომავლისათვის ბრძოლა იყო.

1907 წელს, ცარიზმის მოყიდულმა აგენტებმა, მოკლეს ხალხის ინტერესების დამცველი, ახალი ქართული ლიტერატურის ქეშმარიტი ფუძემდებელი, — დიდებული მწერალი ი. ქაფქაფაძე. ამ უბედურმა შემთხვევამ უმძიმესი ტკივილები განაცდევინა ქართველ ხალხს. ავადმყოფმა აკაკიმ ლოგინში შეიტყო ილიას სიკვდილი. ძნელი არაა იმის გათვალისწინება, თუ რა მძიმე განცდები უნდა დაუფლებოდა მსკოვან პოეტს, როცა სამგლოვიარო პროცესია იმ სასტუმროს წინ შეჩერდა, სადაც იგი ხალხს ავადმყოფი ეგულეობდა და მანაც, სხვების დახმარებით წამომდგარმა, მუხანათის ტყვიით განგმირული იდეური წინამძღოლის ცხედარს დაჰხედა. — „ეს რას ვხედავ? რად მიღალატე, ძმაო: ერთ უღელში ვებით, კაპანს ერთად ვეწოდით, ახლა უღლიდან თავი გამოვიშვია, მართო დაგიგდივარ, გრცხვენოდეს! ახლა ცალი-ლა რის მაქნისი ვარ, რატომ თან არ წამიყვანე? რად გამეყარე?..“<sup>1</sup> ასეთი იყო აკაკის პირველი სიტყვები ამ მძიმე სურათის ნახვისას. გამოსათხოვარ სიტყვაში აკაკიმ ხაზი გაუსვა თავისი მეგობრის დიდ

<sup>1</sup> „კლდე“, 1915, № 8.

დამსახურებას: „ახალი მოძრაობის წინამორბედი, — თქვა აკაკიმ, — ...დღეს უკუღმართად მოკლული, ძვეს კუბოში ჩვენ წინ და, თითქოს გვეკითხება: „რა დაგიშავეთ, რომ ეს დღე დამაყენეთო?“ გვეკითხება და ჩვენ, ქართველებს, თავის გასამართლებელი საპასუხოდ ვერა მოგვიხერხებია რა!.. და მეც, როგორც ქართველს, მწუხარების გარდა, სირცხვილიც ენას მიბამს, ველარას ვამბობ და გადავდივარ საპირადოზე. მშვიდობით, ძმაო! — გარემოებამ გადაგება ჩვენ ერთმანეთზე. ნახევარ საუკუნის განმავლობაში, ერთ უღელს ვეწეოდით, ერთი გზით დავდიოდით. ეხლა ჩემი მართოდარჩენა, დაობლება, საძნელოა...

შენ კი შენი ქვეყნიური ვალი შეასრულე და განისვენე სამარადისოდ. ამიერიდან ეკუთვნი ისტორიას, შენი საქმეები და ღვაწლი თავისთავად ილაღადებენ, ... თუ საქართველოს სიკვდილი არ უწყერია, მაშინ იმასთან ერთად შენც უკვდავი იქნები და თუ სასიკვდილოა, როგორც ზოგიერთებს სურთ და ჰგონიათ, მაშინ ნეტავი შენ, რომ მაგ შენი სიკვდილით წინაუსწარ მის სიკვდილს და თვალთ ველარა ნახავ! როგორც სიცოცხლე, ისე სიკვდილი შენი გახდა მიზეზად ხალხის ამოძრავებისა და აჰა, საქართველოს ყოველკუთხიდან თავმოყრილნი გეხვევიან გარს... და ვინ იცის, ეგება სიკვდილით მაინც განამტკიცო ის, რასაც შენი სიცოცხლე შესწირე: ერთობას, თანასწორობას, ძმობას და სიყვარულს!“

ამ სიტყვებში კარგად იგრძნობა ორი დიდებული მწერლის ურთიერთდამოკიდებულება და მათი იდეური მიმართულება!

ერთი წლის შემდეგ, ქართველმა ხალხმა არაჩვეულებრივი სიყვარულით იზეიმა აკაკის მოღვაწეობის 50 წლისთავი. ეს იუბილე გახდა ეროვნულ დღესასწაულად, რომელიც სიამოვნებით გაიზიარეს ქართველი ხალხის როგორც კავკასიელმა მოძმე ხალხებმა. — აზერბაიჯანელებმა და სომხებმა, აყვე რუსმა, უკრაინელმა, პოლონელმა და უცხოელმა პროგრესულად მოაზროვნე საზოგადოებამ. იუბილარმა მოსალოცი დეპეშები მიიღო პეტერბურგის უნივერსიტეტიდან, მოსკოვის სამხატვრო თეატრისაგან, — ვ. ნემიროვიჩ-დანჩენკოსა და კ. სტანისლავსკის ხელმოწერით; ეურნალ „რუსკოე ბოგატსტვოს“ რედაქციისაგან, — ვ. კოროლენკოს ხელმოწერით; უკრაინულ ეურნალ „ლიტერატურონაუკოვი ვისტნიკის“ და გაზეთ „რადას“ რედაქციებისაგან; მოსკოვის სალიტერატურო და სამხატვრო წრის დავალებით — ა. სუმბათაშვილ-იუჟინისაგან; უკრაინის სამეცნიერო და სალიტერატურო საზოგადოებისაგან; პროფ. საკულინისა და მარჯორი უორდროპისაგან.

სახელოვანი იუბილარი მიწვეულ იქნა პეტერბურგში, მოსკოვში, ბაქოში, პარიზში და საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში. ყველგან დიდი სიყვარული და პატივისცემა პოვა ღვაწლმოსილმა პოეტმა და ეს შემთხვევითი როდი იყო. ამის მიზეზი მისი შემოქმედების ღრმა და მაღალ ჰუმანიზმში უნდა ვეძიოთ. იგი ერთნაირი პატივისცემით იყო განწყობილი ყველა ერის წარმომადგენლებისადმი, რომლებიც ძმობას, თანასწორობასა და თავისუფლებას ჰქადაგებდნენ. თბილისში გამართულ ერთ-ერთ საზეიმო-საიუბილეო სხდომაზე აკაკიმ საგანგებოდ გახაზა ეს მომენტიც: „ხალხის განვითარება,—აღნიშნა მან,—ეროვნულ ნიადაგზე უნდა ხდებოდეს. ერი უნდა გიყვარდეს, მაგრამ, რასაკვირველია, არა შოვინისტურად, არამედ მამულისადნე ჩვენს სიყვარულს სხვა ერებისადმი სიყვარული, ძმობა, ერთობა უნდა უძღოდეს წინა“<sup>1</sup>.

პოეტის ასეთი ჯანსაღი ეროვნული კონცეფცია იყო მიზეზი იმ მხურვალე შეხვედრისა, რომელიც მას ბაქოში მოუწყვეს, მოღვაწეობის 50 წლისთავთან დაკავშირებით. იუბილარს გულთბილად მიულოცეს რუსმა, უკრაინელმა, აზერბაიჯანელმა, სომეხმა, პოლონელმა, ლიტველმა და სხვა ეროვნებათა წარმომადგენლებმა. უკრაინელებმა აკაკის მიატოვეს ტარას შევჩენკოს დიდი სურათი. ამ საჩუქარს განსაკუთრებული აღფრთოვანება გამოუწვევია აკაკიში და იქვე გაუტყბადებია: „მე სულ ახალგაზრდა ვიყავი, როცა ნატერა ამისრულდა და შევჩენკო ვნახე, მას უკან აღარ მინახავს. დღეის იქით ჩემს კაბინეტში მიყვლება შევჩენკო. ეს სურათი სიკვდილამდე იცხოვრებს ჩემთან“<sup>2</sup>.

ბაქოდან დაბრუნების შემდეგ აკაკი ესტუმრა ჯერ სამეგრელოს და შემდეგ რაქა-ლენჩუმს. ამ უკანასკნელმა მგზავრობამ რაღაც არაჩვეულებრივი ხასიათი მიიღო. მთელი რაქა-ლენჩუმი ფეხზე დადგა! სოფლები და უბნები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ საპატიო სტუმრის ღირსეულად დახვედრაში. აკაკის ამ დაუვიწყარი მოგზაურობის მოწმენი გამხდარან რუსი მოგზაურნიც, რომლებიც მამისონის უღელტეხილზე გადმოსულან და ძირაგეულის ქალაზე შეხვედრიან აკაკის და მის თანმხლებ პირებს. მოგზაურთაგან პროფ. ს. ანისიმოვი გულთბილად მისალმებია ქალარა პოეტს და ხაზი გაუსვამს იმ გარემოებისათვის, რომ აკაკის შემოქმედება ეკუთვნის მთელ კულტურულ კაცობრიობას. მადლიერ პოეტსაც მხურვალე მადლობა უძღვნია რუსი მეცნიერისათვის და ყურადღება გაუ-

<sup>1</sup> „ალი“, 1908, № 30.

<sup>2</sup> „ჩვენი ხმა“, 1909, № 1.

მახვილებია რუსი ინტელიგენციის დიდ როლზე მცირე ერების განთავისუფლებისათვის ბრძოლის საქმეში. იგონებს რა ამ შეხვედრას, პროფ. ს. ანისიმოვი წერს: „В этот день вся Рача была ярче и живописнее, чем всегда. Дорога была так полна людьми, точно это была не Военно—Осетинская дорога, а улица большого города. Оживленная толпа плыла по нему потоком в одном с нами направлении. Мужчины — старые, молодые, юноши, подростки и мальчуганы — все в черкесках, в живописно повязанных на голове кусках материи. Девушки шли целыми группами... Женщины несли на руках грудных младенцев и вели за собой ребит, едва стоявших на своих ногах. Люди всех возрастов—вся Рача—шли чествовать в этот день своего великого национального поэта—Акакия Церетели. Крестьяне, рабочие, каменщики на шоссе, торговцы, духанщики—все без различия вышли его встречать, радовались счастьем его видеть. Студенты, гимназисты... раздавали книжки его стихов. В духанах пели застольные песни на его слова. Восторг светился на лицах людей, гордившихся гением своего поста. Но главное, — все без исключения знали его, все считали его своим, безмерно дорогим, великим поэтом Грузии. Мы, люди, пережившие революцию, видели много всенародных манифестаций и празднеств. Но тогда, тридцать лет назад, в 1912 году, мы не знали таких литературных праздников. Когда 28 августа 1908 года „отмечалось“ в печати 80-летие А. Н. Толстого, то его посетили с поздравлением в Ясной Поляне только члены Московского Комитета Грамотности“<sup>1</sup>.

აკაკის იუბილეს გამოცემაურა რუსეთის, უკრაინის, პოლონეთის და უცხოეთის პრესაც. პარიზის გაზეთმა „აქსიონმა“ თავის სურათებიან დამატებაში (1908 წ. 26/XII) მოათავსა სპეციალური წერილი („Le jubilé d'un grand poète“), სხვა ფრანგულ გაზეთებში გამოქვეყნდა აკაკის ნაწარმოებთა თარგმანებიც.

1909 წლის ზაფხულზე თვითონ აკაკი ესტუმრა პარიზს, სადაც მხურვალე შეხვედრა მოუწყო იქ მყოფმა ქართველმა ახალგაზრდობამ. გაზეთ—„Le Nouvelles“-ში დაიბეჭდა ეურნალისტი ქალის M. Toucas-Massillon-ის წერილი, რომელიც წერდა: „მისმა (აკაკის—დ. გ.) პარიზში ყოფნამ თითქმის შეუმჩნეველად ჩაიარა იმიტომ, რომ ის

<sup>1</sup> „Красная новь“, 1940, № 7—8.

თვით თავმდაბლობის განხორციელება და გადაქრით უარს აცხადებდა ყოველგვარ ინტერვიუზე; მხოლოდ მასთან საუბრის შემდეგ, რომლის დროსაც მან გამოიჩინა თავისი ჭკუამახვილობა და ფილოსოფიური შეხედულებანი, შეიძლება მისი სილუეტის მოცემოა“. საქართველოს ისტორიის მიმოხილვისა და პოეტის გარეგნობის აღწერის შემდეგ, ჟურნალისტი ქალი დასძინს: „მას თავის სამშობლოში გადაუხადეს იუბილე. ასეთი დღესასწაული საექვოა განეცადოს რომელიმე პოეტს, ვიქტორ ჰიუგოს გარდა, ... მსოფლიოს ყველა მხრიდან. მოუვიდა მისალოცი დეპეშემბი, ჟურნალებმა წიუძღვენეს მთლიანი ნომრები, მოსკოვისა და პეტერბურგის პრესამ გაუშართა ნამდვილი აპოთეოზი, რაც არ ხვედრია თვით დიდებულ ტოლსტოისაცო...“

პოეტის პატივისმცემლებს იმედი ჰქონდათ, რომ მას მიანიჭებდნენ ნობელის პრემიას. „მე—ნობელის პრემია! — წამოიძახა მან, — მაშინ, როცა ყველა ჩემი ნაწარმოები იარალის უღარუნად გაისმის!“ ამასთან ერთად მან დასძინა: „უწინარეს. ყოვლისა, მე სათნოების მომხრე ვარ და თუ ხოტბას ვასხამ იარალს, ეს იმიტომ, რომ ჩვენ ვიბრძვით ჩვენი თავისუფლებისთვისო“<sup>1</sup>.

ბუნებრივია, აკაკიმ ყველაზე დიდი სიამოვნება მაინც იმ მიღებით განიცადა, რომელიც 1912 წელს მას მოუწყვეს პეტერბურგში, სადაც, 50 წლის წინათ, ის საბოლოოდ ჩამოყალიბდა როგორც პოეტი და მოაზროვნე. რუს ორატორთა მისამართით, თავის ერთ-ერთ საპასუხო სიტყვაში მხცოვანმა პოეტმა აღნიშნა: „ჩვენ... დიდათ ვაფასებთ ძმობას, ერთობას და მეგობრობას რუსეთის ერებთან. მართალია, რუსის ხალხში ბევრია ისეთები, რომლებსაც არ სურთ და ეჯავრებათ ჩვენი ასეთი ძმური კავშირი, მაგრამ არის სამაგიეროდ ახალგაზრდა რუსეთი, რომელთანაც ჩვენ გვსურს ხელიხელ ჩაიკიდებული სიარული, არა მარტო ერთგონულ, არამედ საკაცობრიო იდეალების განსახორციელებლად, იმ იდეალების, რომელსაც ეწოდება ძმობა, ერთობა, თანასწორობა“<sup>2</sup>.

გულთბილად შეხვდა პოეტს მოსკოვიც. მოსკოვის გაზეთებმა წერილები მოათავსეს მისი სტუმრობის გამო; ხოლო მოსკოვის „სალიტერატურო-სამხატვრო წრემ“ ბანკეტი გამართა. ბანკეტზე სიტყვები წარმოთქვეს და აკაკის მხურვალედ მიესალმნენ: პოეტი ვალერი ბრიუსოვი, მწერალი — ნ. ტელეშოვი, გამოჩენილი მსა-

<sup>1</sup> „მნათობი“, 1935, № 2.

<sup>2</sup> „კლდე“, 1913, № 6.

ხიობი — ალ. სუმბათაშვილი-იუჟინი და სომეხი პოეტი — ა. ცა-ტურიანი. პოეტ ვ. გილიაროვსკის მიუმართავს ლექსით, რომელიც ასე დაუწყოა:

„От страны, где снег и пьюга,  
Я горячий шлю привет,  
Светлый гость, посланник юга,  
Нежной Грузии поэт“...

ძვირუფას სტუმართა შორის ბანკეტზე ყოფილან სამხატვრო თეატრის გამოჩენილი მოღვაწეები: ვ. ნემიროვიჩ-დანჩენკო, კ. სტანისლავსკი, იაბლოჩკინა, ერმოლოვა, ჩეხოვი, გამოჩენილი კომპოზიტორი — მ. იპოლიტ-ივანოვი და სხვები.

სამადლობელ სიტყვაში, რუს მეგობართა მისამართით, აკაკის უთქვამს: „ხელოვნება და სიყვარული აერთიანებს ხალხებს. მე მიხარია, რომ აქ ვხედავ არა მარტო არტისტებსა და მწერლებს, არამედ სხვებსაც, რომლებიც თავიანთ გულში ატარებენ სიყვარულსა და სიმპათიას ჩვენდამი, განაპირა მხარის მცხოვრებთადმი.

ყველაფერი ეს ჩვენ გვეუბნება: შორს აღარ არის ის გაზაფხული, რომელიც თავისი ცხოველმყოფელი სხივებით გაგათბობთ არა მარტო თქვენ, არამედ ჩვენც, განაპირა მხარეთა მცხოვრებთ.. მე მუდამ მჯეროდა: ჩქარა მოვა განახლებული ახალგაზრდა რუსეთი“<sup>1</sup>.

ჩვენ საგანგებოდ შევჩერდით ბიოგრაფიული ხასიათის ისეთ დეტალებზე, რომლებსაც შეუძლია გაგვიადვილოს აკაკი წერეთლის — როგორც შემოქმედის მნიშვნელობის და ბუნების, მის კეთილშობილ მისწრაფებათა და მაღალი ჰუმანიზმის გაგება<sup>2</sup>.

აკაკი წერეთელი, რომელმაც ასეთი დიდი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა ქართველ და არაქართველ ხალხში, სამწერლო ასპარეზზე გამოჩნდა ჯერ კიდევ გიმნაზიაში სწავლის პერიოდში. სადებიუტო ნაწარმოებად მან აირჩია სახელოვანი რუსი პოეტის მ. ლერმონტოვის ლექსის — „პალესტინის რტოს“ თარგმანი, რომელიც დაიბეჭდა ჟურნალ „ცისკარში“ 1858 წელს. (№ 11).

<sup>1</sup> „Варя постака“, 1948, № 51.

<sup>2</sup> აკ. წერეთლის ცხოვრების დაწვრილებით გაცნობა მკითხველს შეუძლია. ლ. ასათიანის საინტერესო ნაშრომში — „ცხოვრება აკაკი წერეთლისა“, 1952. იბ., აგრეთვე, ა. გაჩეჩილაძე. აკაკი წერეთელი, 1949. პ. კეკელიძე. აკაკი წერეთელი, 1953.

პირველი ორიგინალური ნაწარმოები, რომელიც თვით ავტორს მიაჩნდა სერიოზული პოეტური მოღვაწეობის დასაწყისად. იყო ლექსი — „კანდელისადმი“ (1856 წ.). სამწუხაროდ, ამ პერიოდის მისი ბევრი ლექსი უდავოდ დაკარგულია. ჩვენამდე მოაღწია მხოლოდ იმ ლექსებმა, რომელთა გამოქვეყნება პოეტმა მოასწრო ეურნალ „ცისკარში“.

აკ. წერეთლის ის ნაწარმოებები, რომლებიც დაწერილია 60-იან წლებში გაშლილი იდეურ-ლიტერატურული ბრძოლის დაწყებამდე, ჯერ კიდევ არ იძლევა სრულ წარმოდგენას პოეტის იდეურ მიმართულებაზე. ამ მხრივ, აკაკი და ილია მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. 1861 წლამდე დაწერილ ნაწარმოებებში ილიამ უფრო მეტად თავისი იდეური მიმართულების გარკვევა და ჩამოყალიბება მოასწრო, ვიდრე მხატვრული შესაძლებლობისა და თავისებურების გამომჟღავნება. აკაკიმ კი პირიქით, მან უფრო აშკარად თავისი მხატვრული მიმართულება და პოეტური სტილის თავისებურება გამოავლინა, ვიდრე იდეური მრწანლის ურთიერთშედარებას ემყარება და იმას როდი ნიშნავს, რომ თითქოს გამორიცხული იყოს შესაძლებლობა, ამ პერიოდის ნაწარმოებთა მიხედვით ვიმსჯელოთ ილიას მხატვრულ თავისებურებასთან აკაკის იდეურ მიმართულებაზე.

აკ. წერეთელმა მკითხველის ყურადღება იმთავითვე მიიპყრო ფაქიზი პოეტური სმენითა და ლირიკული განცდების ოსტატური გადმოცემით. მისი პოეტური ენა და მხატვრული მეტყველება სისადავისა და მელოდიურობის მოტრფიალე შემოქმედს ავლენდა.

აკაკის შემოქმედებითმა პრაქტიკამ დაადასტურა, რომ იგი პირველყოვლისა, ლირიკოსი იყო. ჩვენი ლიტერატურის ისტორიაში აკაკი შვეიდა როგორც უბადლო ლირიკოსი, თუმცა მისი დამსახურება სხვა ეპოქებშიც დადია და კლასიკოსის ღირსების მქონეა.

აკაკი წერეთელმა უდიდესი როლი შეასრულა ახალი ქართული ლიტერატურის შექმნისა და განვითარების საქმეში. ეროვნული და სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ მებრძოლმა პოეტმა ქართული მწერლობა გაამდიდრა მაღალმხატვრული ნაწარმოებებით.

ჯერ კიდევ აკაკის პირველი ლექსები, რომლისთვისაც მოკრძალებულ ახალგაზრდას თავისი სახელისა და გვარის მოწერაც კი ვერ გაუბედნა, ხალხში სიმღერებად გავრცელდა. უცნობ პოეტს „ცისკარის“ რედაქცია თხოვნით მიმართავდა ვინაობის გამომჟღავნებისა და ახალი



ნაწარმოებების მიწოდების შესახებ, მაგრამ ავტორი თითქოს გრძობდა, რომ ეს ლექსები ჯერ კიდევ არ იყვნენ გამოშვებულნი მისი პოეტური მოწოდებისა; გრძობდა რომ მისი მუზა მეტ თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას ელოდებოდა.

მსგავსად ი. ჰავჭავაძისა, აკ. წერეთელიც, თავდაპირველად, ვერ აცდა ქართველ რომანტიკოსთა და 50-იანი წლების რეალისტთა გავლენას. როგორც რომანტიკოსები, აკ. წერეთელიც დაინტერესებულია ადამიანის ცხოვრების რაობით და გულსიტკივილს განიცდის მისი ხანმოკლეობის შეცნობით. მაგრამ პოეტი იმ აზრისაა, რომ ადამიანი ამის გამო მწუხარებას კი არ უნდა მიეცეს, არამედ შეეცადოს თავისი ცხოვრება მაქსიმალურად გამოიყენოს სიამოვნებისათვის. ადამიანის სიცოცხლეს იგი ადარებს ანთებულ კანდელს, რომელიც „იწვის და თანდათან სდნება“ („კანდელისადმი“).

მოსაზრება, რომ „აღნიშნულ ლექსში („კანდელისადმი“ — დ. გ.) ჩანს ახალგაზრდა პოეტის მიერ მაშინდელი ცხოვრების უკუღმართობის შეგნება და მის წინააღმდეგ ბრძოლის გაჩაღების იდეა“<sup>1</sup>, გადაქარბებულად გვეჩვენება. ამ ნაწარმოებს რომანტიკული მსოფლგაგების გავლენა ატყუია და ვერ გამოხატავს აკაკის შემდეგში კარგად ცნობილ მებრძოლ განწყობილებებს. თვითონ პოეტიც ამ ნაწარმოებს სთვლიდა ახალგაზრდული ოცნების და არა სინამდვილის შემეცნების ნაყოფად<sup>2</sup>.

როგორც ჩანს, პოეტს არცთუ ადვილად დაუძლევია სიკვდილ-სიცოცხლის ურთიერთობის რომანტიკული გაგება. ამას მოწმობს მისი სხვა ლექსებიც, კერძოდ ლექსი — „პ. წ.“, რომელიც 1858 წლის სექტემბერშია დაწერილი. აღნიშნულ ლექსშიც პოეტი სიცოცხლის წარმავლობასა და სიკვდილის გარღვევალობაზე ლაპარაკობს, ბედნიერების ხანმოკლეობის გამო სწუხს. პოეტის ასეთ განწყობილებებზე სრულ წარმოდგენას იძლევა მისივე სიტყვები:

„ჰეი შენ, კაცო! რა არს ამ სოფლად  
ბედნიერება?  
მოვალს სიკვდილი შენთანა მსწრაფლად,  
ყველა გაქრება!  
სიკვდილს ვეროდეს ჩვენ ვერ ავცდებით  
ვერრაის გზითა,

<sup>1</sup> პ. კველიძე. აკაკი წერეთელი, 1953, გვ. 33.

<sup>2</sup> გახ. „დროება“, 1876, № 105.

ყველა მას ვმონებთ, ყველა მოკვედებით,  
 მოვალს რიგითა.  
 დღეს მოლხენით ვართ, ისმის ჩანგთა ხმა.  
 ურა, ყვირილი;  
 ხეალ კუბოს ვხედავთ, გვაქვს დიდი მოთქმა,  
 მწარედ ტირილი!  
 დილას სხვისთვის ვართ თვალცრემლიანი  
 და ვიგლოვთ სხვასა;  
 სალამოს ჩვენვე გვტირიან სხვანი  
 გვეკრებენ რა მკვდარსა".  
 („პ. წ.“)

ამავე წელს (1858 წ.) დაწერილ სატრფიალო ლექსშიც —  
 „ჩემს ვენერას“ არ ჩანს ის უშუალობა და განცდის სიღრმე, რაც  
 აკაკის სატრფიალო ლირიკისათვისაა საერთოდ დამახასიათებელი.  
 ფაქიზ განცდათა მხატვრული სახეებით გადმოცემის ნაცვლად მასში  
 წინაა წამოწეული რიტორიკა და პოეტი ურიგდება ტრაფარეტულ  
 გამოთქმებსაც.

პირველი ნაწარმოები, რომლითაც პოეტი თავისი მოწოდებ-  
 ბის შესათფერი თემის დამუშავებას ჰკიდებს ხელს, ესაა — „ნავი“  
 (1859 წ.).

„ნავი“ აკაკიმ დაწერა ჯერ კიდევ პეტერბურგში გამგზავრე-  
 ბამდე. ამ ლექსში ახალგაზრდა პოეტი უკვე თავს აღწევს „ახალ-  
 გაზრდულ ოცნებათა“ სამყაროს და ფიქრის საგნად იხდის სამშობ-  
 ლო ქვეყნის მდგომარეობას, მისი შემოქმედების მთავარ თემას  
 შემდეგში. ამასთან, მან უკვე თავი გამოაქვინა, როგორც ალეგო-  
 რიის დიდმა ოსტატმა და მომავალმა სატირიკოსმა.

ნავად აკაკის გამოყვანილი ჰყავს თავისი პატარა სამშობლო,  
 რომელიც, ყოველი მხრიდან შევიწროებული, რუსეთმა შეიფარა.

პოეტის თქმით, შუა ზღვაში მყოფმა ნავმა, რომელიც ნია-  
 ვის ძლიერი ქროლვის გამო იღუპებოდა, შეელა სთხოვა ხომალდს.  
 ხომალდმაც ისმინა მისი მუდარა და ჯაჭვით გამოიბა. ხომალდმა  
 იმედი მისცა ნავს, რომ მისი შიშით ქარი ქროლვას ველარ გაბე-  
 დავდა. მართალია, ქარი ასეთმა სურათმა კიდევ უფრო განარისხა,  
 მაგრამ ხომალდთან ველარაფერი გააწყო, რაც ნავს მეტად სასია-  
 მოვნოდ დარჩა.

„ჩადგა ნიავი ძალით, არ ნებით,  
 და ზღვა დასტოვა მან განსვენებით.  
 ნავს ესე საქმე დიდად იამა!  
 სთქვა: „გამომიჩნდა კეთილი მამა!  
 თუ ესა მყავდეს და ეს მფარვიდეს,  
 მე ვერავინ ვერ მომეროდეს“.

დაემორჩილა ხომალდსა ნებით,  
 დიდის სურვილით და განსვენებით“.

ნავმა მოისვენა, შემოეცალა მტერი, მაგრამ იმედი სრულად  
წაინც არ გაუმართლდა. სუსტსა და პატარას, ამის შემდეგ, მას  
ნაგავსა და მტვერს აყრის თვით ეს ხომალდი, რომელსაც მაგრად  
პიუჯაქვავს იგი. პოეტის თქმით:

„მაგრამ რაი, რომ თვით ის ხომალდი  
მას თავზე აყრის მტვერსა და ნაგავს“.

ამგვარად, მისცა რა მალალი შეფასება ძველი რუსეთის  
როლის საქართველოს ფიზიკურად გადარჩენის საქმეში, ახალ-  
გაზრდა პოეტმა ბრძოლა გამოუცხადა ცარიზმის უხეშ დამოკიდე-  
ბულებას ხალხებისადმი და მის ნაციონალურ-კოლონიალურ პო-  
ლიტიკას.

აკ. წერეთლის იდეური მიმართულების გასარკვევად ამ პე-  
რიოდში დიდი მნიშვნელობა აქვს, აგრეთვე, ლექსს „ქართლის სა-  
ლანი“ (1859 წ.), რომელიც მან უკვე პეტერბურგში დაწერა. სამ-  
შობლოსაგან მოცილებულ პოეტს კიდევ უფრო უძლიერდება მშო-  
ბლიური კუთხისადმი სიყვარული და ოცნებობს მის უკეთეს მომა-  
ვალზე. ყველაზე ძვირფასი და ყველაზე მალალი მისთვის სამშობ-  
ლო და სამშობლოს სიყვარულის გრძნობაა. ამიტომაც თავის თავს  
ის სამშობლოს მსხვერპლად აცხადებს:

„შორის ქვეყნიდგან, მოშორებულსა,  
სამშობლო ჩემო, გიგზაენი გულსა,  
შენს ერთგულს მონას, მსხვერპლადცა მხასა,  
შენთვის ოხერისგან დაწყულულებულსა“.

პოეტს სჯერა, რომ მისი მხურვალე გრძნობა და კეთილი  
სურვილები თავის შედეგს გამოიღებენ, სამშობლოს წყლულს გან-  
კურნავენ. იგი ბრძოლას უცხადებს უიმედობის გრძნობას:

„წყულო გრძნობაჲ! მყოფ უიმედოს?  
არ მრწამს სამშობლომ გამომიმეტოს!  
ველარ ვიხილო? წყლული ვერ ვჭკურნო?  
მაშინ ჩემს გულსა ცეცხლი მოედოს!“

აკ. წერეთლის აღარ აკმაყოფილებს იხილოს სამშობლო კვლავ  
ისეთი, როგორც ადრე იყო, როგორც მან დასტოვა. იგი ღრმა-  
დაა დარწმუნებული მის წინსვლასა და განვითარებაში. მისი სურ-  
ვილია სამშობლოში იხილოს გემები, რკინიგზები და ტელეგრა-  
ფი; ამიტომ მოუწოდებს მას—ფართოდ გაუღოს კარი განათ-  
ლებას და განვითარდეს თავისი ღირსების შესაფერისად.

„აღსდევ, სამშობლო! ბევრი გეძინა!  
ვინც კვალში გდევდენ, გაგისწორეს წინა!  
შენი ბუნების მექონი, მოთხარ,  
რამ დაგაღონა? რამ შეგაშინა?“

„ნაგის“ მსგავსად, ამ ლექსსაც პოეტი ამთავრებს ცარიზმის პოლიტიკის კრიტიკით და სამშობლო ქვეყანას ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლისაკენ მოუწოდებს:

„ეცადე ნაცვალს, და მოთმინებას  
შენ ნუ აკმარებ მას ცარიელსა“.

უკვე დახვეწილი, ფაქიზი და ცოცხალი მხატვრული სახეებით წილიდარია 1859 წელს დაწერილი პოეტის სატრფიალო ლექსებიც: „საიდუმლო ბარათი“, „ერთ ქალს“ და „აღბომში“. ეს ლექსები უკვე ნამდვილად „აკაკურნი“ არიან. მათში აშკარად იგრძნობა პოეტის მადლიანი მუზა და გეზიბლავენ მდიდარი პოეტური სალექავებით. ლექსთა შინაარსი და მხატვრული ფორმა ურთიერთს ავსებენ, მკითხველი აღვილად სწვდება პოეტის ინტიმურ განცდებს და მასში საკუთარ გრძნობებსაც ხედავს. ამიტომ იყო, რომ ეს ლექსები სწრაფად ვრცელდებოდნენ და სიმღერები იქმნებოდნენ მათზე. როგორც საერთოდ აკაკის შემოქმედების, ისე ამ ლექსების ერთ-ერთ ღირსებას ისიც წარმოადგენს, რომ დაწერილია სასაუბრო, ხალხური ენით და თავისუფალია არქაული ფორმებისაგან. ეს გარემოება სასიამოვნოდ რჩებოდა მკითხველთა დიდ უმეტესობას, მაგრამ ლიტერატურის ოფიციალურ „მესვეურთ“ საძწუხარო ფაქტად მიიჩნდათ. ამ მხრივ, საყურადღებოა თვით პოეტის გადმონაცემი, რომელიც „საიდუმლო ბარათის“ გამოქვეყნებასა და მისდამი მკითხველთა დამოკიდებულებას ეხება. აკაკი იგონებს, რომ მან ამ ლექსის გამო მიიღო ეფრემ ალექსიევი-მესხიევის წერილი, რომელშიც სწერდა: „გილოცავ მოშაირობას და თანვე გთხოვ... ამისთანა ლექსებს მდაბიო ენით ნუ სწერ. დარბაისლური ენა ეჭირება და შენ-კი რაღაც სოფლური ენით სწერ. და ეს მით უფრო საშიშია, რომ შენი ლექსი ყველას გულში ხედება. განოსვლისთანავე სასიმღერო ლექსად გადაიქცა. განსაკუთრებით ქალები იმღერიან და ვაი თუ მაგ შენ ენას მიეჩვიონ და გადიგდონ გულიდან ძველი დარბაისლური ქართულიო“. ასეთივე შინაარსის წერილი მიუღია პოეტს „ცისკრის“ მოღვაწე — ი. ლორთქიფანიძისგანაც.

როგორც ჩანს, „სამი სტილის“ თეორიის დამცველნი უარყოფითად შეხვდნენ აკაკის სამწერლო ენას, მაგრამ მას კარგად

ჰქონდა შეგნებული თავისი გზის სისწორე. პოეტი შენიშნავს: „ან წერილებმა, ცოტა არ იყოს, გამაყოფოჩეს. ცხრამეტი წლის ახალგაზრდას სულსა და გულს მიტკობდა უფრო ის, რომ „ქალები იმღერიან“. და მეც გადავწყვიტე, რომ თავი დაეუღდა მწერლობას. მაგრამ სახალხო ენით და არა დარბაისლურად ვწერო“. მართლაც, აკაკი ბოლომდე დარჩა თავისი სამწერლო ენის ერთგული და, ი. ჭავჭავაძესთან ერთად, მკვიდრ ნიადაგზე დააყენა ახალი სალიტერატურო ენა.

აკ. წერეთლის შემოქმედებითი ევოლუციის გასათვალისწინებლად გარკვეული მნიშვნელობა აქვს აგრეთვე 1859 წელს დაწერილ ერთმოქმედებიან კომედიას — „ძველი ამხანაგები“. იგი, პირველყოფლისა, საინტერესოა იმით, რომ აკაკიმ სცადა თავისი კალამი დრამატურგიულ ჟანრში, მეორეც, მწერალი პირველად ხატავს პერსონაჟს თავის შემოქმედებაში და ცდილობს შექმნას ტიპი. როგორც მოსალოდნელი იყო, „ძველი ამხანაგები“ მხატვრულად სუსტი ნაწარმოები გამოვიდა, აკაკის შემდგომი დროის მსგავსი ხასიათის ნაწარმოებებთან შედარებით, მაგრამ ის მაინც აშკარად მეტყველებდა პოეტის მხატვრული ხედვის გაფართოებაზე.

კომედიაში გამოყვანილი ნიკო კვახაძე უნივერსიტეტდამთავრებული და რუსეთიდან სამშობლოში ახალდაბრუნებული ახალგაზრდაა. მას უკვე შეგნებული აქვს, რომ „ეხლა სულ სხვა დრო არის“, „სხვა ხასიათი მოვიდა და სხვა საჭიროება“. ნიკოს არ მოსწონს მისი ძველი მეგობრების მოქმედება და აღელვებულია მათი ჩინოვნიკებად გახდომით. მან იცის, თუ რა გზით „იხვევენ“ სახელს-ასეთი თანამდებობის პირნი და როგორ უსინდისოდ ექცევიან თავიანთ ხალხს. ასეთი ვაი პატრიოტების ნახვის გამო, იგი გულნატყენი ამბობს:

„ვაჰ, საწყალო მამულო! რა შეილება გეზრდებათ,  
სხვისას ვერას სწავლობენ, თავისიც ავიწყდებათ!“

ნიკო კვახაძე არ ფიქრობს სახელმწიფო სამსახურში შესვლაზე, ვინაიდან არ სურს მექრთამეობას მიჰყოს ხელი და გლეხკაცებს ტყავი აძროს. მამის კითხვაზე — რატომ არ უნდა მდივანბეგობა, ნიკო ასეთ პასუხს აძლევს:

„განა კარგი იქნება, მექრთამობა დავიწყო,  
საწყალ გლეხ-კაცთ ტყავი ვაძრო, ვატურო და ვაწუხო?“

„ძველ ამხანაგებს“ უდავოდ ატყვია გ. ერისთავის კომედიების გაუღენა. ნიკო კვახაძეს, მართალია, გ. ერისთავის ბეგლართან

(„შეშლილი“, „დავა“) შედარებით ეტყობა წინ წასვლა, მაგრამ — „მაინც არ არის სამოციანი წლების „თერგდალეულთა“ მსოფლ-მხედველობის გამომხატველი ტიპი. მისი უარყოფილობა ჯერ კიდევ ნეგატიური ხასიათისა არის, მას ჯერ კიდევ არ აქვს ჩამოყალიბებული თავისი პოზიტიური მსოფლმხედველობა“<sup>1</sup>. უფრო სწორად, იგი სიტყვის და არა საქმის კაცია. მისი მომავალი დამოკიდებულია ცხოვრების ვითარებაზე, მაგრამ ამ უკანასკნელის გარდაქმნისათვის მას დიდი უნარი არ შესწევს. ამიტომაც, მისგან ბევრს არც უნდა მოველოდეთ.

დაპირისპირება ძველ და ახალ თაობას შორის. წინააღმდეგობა თვით ახალი თაობის წარმომადგენელთა შორის, რასაც აკაკი შემდეგ ხშირად ეხება თავის პუბლიცისტურ და მხატვრულ ნაწერებში, ჩანასახის სახით მაინც, მოცემულია „ძველ ამხანაგებში“.

„ცისკრის“ 1859 წლის მესამე ნომერი გაიხსნა აკაკი წერეთლის ლექსით — „პ. წ.“, რომელსაც მოსდევს ი. ჭავჭავაძის ლექსი — „მეც შავ თვალებს“. ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა ამ ორმა ნიჭიერმა ახალგაზრდა პოეტმა ერთმანეთს მხარი დაუმშვენეს. ამის შემდეგ მათი გზები აღარც გაყოფილა. ისინი ყოველთვის ინტერესით ეცნობოდნენ ერთიმეორის შემოქმედებას და ურთიერთის დიდი პატივისცემელები იყვნენ; საჭიროება თუ მოითხოვდა, გაპაექრებასაც არ გაურბოდნენ, მაგრამ ყოველთვის შეგნებული ჰქონდათ ერთმანეთის ღირსება და მნიშვნელობა.

აკაკისა და ილიას ურთიერთგაცნობა პეტერბურგში მოხდა. გულჩათხრობილ და დინჯ ილიას უდავოდ სიამოვნებით გაეცნო ენამწარე და მოუსვენარი აკაკი. ილია ხომ აღიარებული ავტორი-ტი იყო პეტერბურგის ქართველ სტუდენტობაში! ისიც უნდა ვივლით, რომ დიდი შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდებმა ერთგვარი შურის თვალით გაზომეს ერთმანეთი.

„ცისკრის“ 1859 წლის მეათე ნომერში დაიბეჭდა ი. ჭავჭავაძის „აჩრდილის“ მეხუთე თავი, სათაურით — „არაგვი“. 1860 წელს, ამავე ჟურნალის მეოთხე ნომერში, აკაკიმ გამოაქვეყნა ლექსი — „ამაო ძებნა“<sup>2</sup>, რომელიც წარმოადგენს ილიას „არაგვის“ უშუალო გამომხატველებს. ლექსში გამოყვანილი ჭაბუკი, რომელიც

<sup>1</sup> ლ. ასათიანი. ცხოვრება აკაკი წერეთლისა, 1952, გვ. 122.

<sup>2</sup> აკაკის ლექსების — „პ. წ.“-ს და „ამაო ძებნა“ შესახებ ი. ჭავჭავაძეს დამთავრებული კრიტიკული სტატიის კონსპექტში გაკეთებული აქვს შენიშვნა: — „კარგია“.

ობრავს „და წარსულს დროებს ოცნებით ეძებს“ — ილია ქავჭავაძეა. აკაკიმ მშვენივრად დახატა ქაბუჯი ილია მისსავე „არაგვის“ ფონზე და ანით სულიერი თანაგრძნობა გამოუცხადა მას; აგრძნობინა, რომ მსგავსი გულისტკივილი აწუხებდა მასაც. ასეთ ურთიერთ გახმაურებას იშვიათად როდი ჰქონდა ხოლმე ადგილი შემდეგაც ილიას და აკაკის შორის.

1860 წელს დაწერილი აკაკის ლექსები, „ამაო ძებნას“ გარდა, სატრფიალო მოტივზე არიან დაწერილნი, ან მოხუცთა სევდიანი განცდების გადმოცემას წარმოადგენენ. ასეთებია: „მოხუცის მოგონება“, „დედაბერ-მამაბერი“, „მარიამს“ და „ალექსანდრა“. დასახელებულ ლექსებს, იდეური თვალსაზრისით, ახალი არაფერი შეუმატებიათ აკაკის პოეზიისათვის. პოეტმა მათში განმეორებით გამოხატა ის მწუხარება, რომელსაც ადრევე იწვევდა მასში ადამიანის სიცოცხლის ხანმოკლეობის შეცნობა. საინტერესოდ და შინაარსიანად პოეტს მხოლოდ ახალგაზრდობის, ქაბუჯობის პერიოდი მიაჩნია. მაგრამ საყურადღებო ისაა, რომ ადამიანის ცხოვრების ამ პერიოდის უპირატესობად პოეტი სიყვარულსა და დროსტარებას სთვლის. ამ მხრივ, გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ „ალექსანდრა“, რომელშიც პოეტმა ქალ-ვაჟის სიყვარული, მათი მომავალი ბედნიერება უკვე სამშობლოს კეთილდღეობას დაუკავშირა.

საერთოდ, აღნიშნულ ლექსებზე მეტ-ნაკლებად შეიძლება გავავრცელოთ ის შეხედულება და შეფასება, რაც პოეტს ერთ-ერთი მათგანის („მოხუცის მოგონება“) შესახებ აქვს გაკეთებული: „პირველ ხანებში, — შენიშნავს აკაკი, — ძალიან გამიტაცა ოცნებამ და იმას ვწერდი, რაც არ მეგრძნო. მაგალითად, წარმოვიდგინე, რომ ვითომ ღრმა მოხუცებული ვარ და დავსწერე ეს ლექსი, სადაც წარმოდგენის მეტი არა არის-რა. მაგრამ ამ ოცნების ხანამ დიდხანს ვერ გასტანა. სტუდენტობამ იმოქმედა ჩემზე და მეც ხელი ავიღე საოცნებოზე. რაც არ ამალელებდა და არ გამსჭვალავდა, იმაზე ხმასაც არ ვიღებდი, და სწორედ ამ დროიდან იწყება ჩემი საზოგადოების გადაკიდება და გაპირვებოა“.

მაგრამ აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ამ ლექსებში აკაკიმ გამოამჟღავნა მიდრეკილება ფსიქოლოგიზმისაკენ, რომელსაც შემდეგ მან მტკიცედ დაუკავშირა სოციალური გარემო და მისი როლი.

1860 წლის დასასრულსა და 1861 წლის დამდეგს აკაკის დაუწერია პოემა „რუსეთუმე“, რომლის ცალკეული თავები მან „ცისკარში“ (1861 წ., № 2; 1862 წ., № 6; 1863 წ., № 4) გამო-

აქვეყნა. აკაკის ეს პოემა შემდეგ დაიკარგა და მის შესახებ წარმოდგენა შეიძლება ვიქონიოთ მხოლოდ „ცისკარში“ გამოქვეყნებული თავებით.

პირველყოვლისა, უდავოა, რომ ამ პოემის დაწერისას აკ. წერეთელი განიცდიდა გ. ერისთავის კომენდიების გავლენას. პოემაში ერთმანეთთანაა დაპირისპირებული მამა და შვილი, — მაღალი წოდების ძველი და ახალი თაობის წარმომადგენლები. ავტორის შეხედულებით, ძველი თაობა გადაგვარებულია, პარაზიტადაა ქცეული. მისი სიტყვა და საქმე შორსაა ერთმანეთისაგან: ღამეებს ლოცვით ათენებს, ღღისით შაგბნელ საქმეებს სჩადის; თავი რომ უდანაშაულოდ მოგვაჩვენოს, ყოველ წამს ფიცს ამბობს და მკერდზე მუქს იცემს, მაგრამ თუ დააკვირდებით, „მაშინ ნახავთ, რომ იმავე მუქს გლუხეკაცს ურტყამს თავში მწარედ“; საყდარში, რომ ხატის წინაშე ხელებს ალაპკრობს, „იმავე ხელებით მოჩივრებს ჯიბეს უთხელებს“.

პოეტის თქმით, ძველი თაობის წარმომადგენელნი გამხდარან ფარისეველნი, რომელნიც სხვის დასანახად ბორბოტს კიცხავენ, ჩუმად კი — ცოდვებს სჩადიან. მათ არ მოსწონთ ახალი თაობა, სწავლამიღებული „შვილები“, რომლებიც გმობენ უსამართლო საქციელს. „მამები“ შვილებს „ულმერთოებს“ უწოდებენ და მიზეზად თერგის წყალს ასახელებენ. ამ ფარისეველთ ბევრი შეცდომაშიც შეუყვანიათ და დაუფარავთ თავიანთი ნამდვილი სახე. მაგრამ პოეტი კარგად იცნობს მათ:

„მე ვერ შემაცდენს თქვენსაგით  
მარხვით, ლოცვით, მოხრილ თავით,  
შევეტყვე ფარისევლობა,  
ღირსია ჩაიქოლოს ქვით.

ვიცანი გაიძვერა მე  
და მისთვის მიწყრება თურმე,  
ულმერთობას მიტომა მწამობს  
და მეძახის: „რუსეთუმე“.

(„ფარისეველი“)

მაგრამ არც ახალი თაობის სისუსტე და ზერელე განათლება რჩება შეუნიშნავი პოეტს. ის მკაცრად წარმოადგენს პრაქტიკული ცხოვრების უცოდინარ ახალგაზრდობასაც. პოემაში გამოყვანილი ახალგაზრდა, რომელსაც სწავლა-განათლება რუსეთში მიუღია და ახლა სამშობლოში დაბრუნებულია, მამას ურჩევს მოსკრას ეზოს მშვენება — ნიგვზის ხე და ფიცრებად დახეობოს; ამით სურს შემოსავლის გაზრდა!



შვილის ასეთი ქცევით აღელვებული მამა ღმერბოს მადლობას სწირავს, რომ მასაც არ შეასვენ თერგის წყალი:

„რაებს სჩადიხარ, დროთ ახლო!  
ველარ გავიგე შენი გზა-კვალი.  
მადლობას გწირავ, ღმერთო მალალო,  
რომ არ შემასვი მეც თერგის წყალი!“

პოემის ეს ადგილი ძალაუნებურად გვაგონებს ივანესა და ანდრეუაჟარის დიალოგს გ. ერისთავის „გაყრიდან“.

როგორც ვხედავთ, აკ. წერეთელი არა მარტო ძველი თაობის უმსგავსო საქციელითაა აღელვებული, არამედ უკმაყოფილოა იმ ახალგაზრდებითაც, რომლებსაც უნარი არ შესწევთ სასწავლებელში მიღებული ცოდნა შესაფერად გამოიყენონ და სათავეში ჩაუდგნენ პრაქტიკულ ცხოვრებას.

პოეტი შემდეგში კიდევ უფრო მკაცრად ესხმის თავს იმ ნასწავლ ახალგაზრდებს, რომლებსაც სწორად არა აქვთ გაგებული თავიანთი დანიშნულება.

თუ 1861 წლამდე დაწერილ ნაწარმოებებში ჩვენ ვეძებთ აკაკის იდეური მრწამსისა და მიმართულების საწყისებს, 1861 წლიდან ჩვენი პოეტი აშკარად ადგას ამ მიმართულებას. ახლა უკვე საგანგებო დაკვირვებას აღარ საჭიროებს იმის დადგენა, თუ რა არის პოეტისათვის ძირითადი და საითკენაა მიმართული მისი მხატვრული იდეალი.

პირველყოვლისა, აკაკის შემოქმედებაში უკვე თავის ადგილს იჭერს სოციალური მოტივი. პოეტის მახვილი თვალი მიიპყრო არა მარტო ეროვნულმა, არამედ სოციალურმა ჩაგვრამაც. მანაც პირდაპირ და აშკარად გამოხატა თავისი პროტესტი მაღალი წოდების მიმართ, მკაცრად გაილაშქრა ბატონყმური ურთიერთობის წინააღმდეგ. ამ მხრივ, მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა ლექსი — „მეშური“, რომელიც აკაკისათვის დამახასიათებელი რიტმიულობითაა დაწერილი<sup>1</sup>. „მეშურში“ პოეტი ხატავს გლეხის მძიმე მდგომარეობას და მებატონეთა და მოხელეთა თავგასულობას.

აკ. წერეთელი აშკარად აცხადებს, რომ ბატონის ხელში გლეხი საწყალი, უპატრონო და უბედურია. მას თავში უჩაჩქუნებს გარეშე და შინაური, მისი ნაშრომი სხვას მიაქვს, ცოლშვილს კი სიმშვილი უკლავს. ასეთ მდგომარეობაში მყოფი გლეხის გამკითხავი

<sup>1</sup> აკაკის „მეშურს“ თავის წიგნში ეხება კარლ ბიუხერი. იხ. К. Биухер. Работы и труды, 1923, стр. 201—202.

არავინაა, სამართალი ფულს დამეგობრებია და მის „ნებას“ დამორჩილებია. აკაკის მიერ დახატული გლეხები, მართალია, ჯერ კიდევ არ გამოსულან მოთმინებიდან, მაგრამ შორსაც არ არიან ამ მომენტიდან. მათ უკვე შეგნებულნი აქვთ თავიანთი მძიმე ბედრი და იციან მისი მიზეზიც:

„მარტო ჩვენთვის არ ვემუშაობთ,  
სხვისიც გვმართებს სამსახური:  
ბატონი გვყავს, ვართ საწყალი,  
უპატრონო, უბედური!“

„ჩვენი ჯაფით მონაყვანი,  
სხვასთან მიდის სახრდო პური,  
შინ ცოლ-შვილს შიმშილი გვიკლავს,  
მაგრამ ვინ მიუგდოს ყური?“

„სამართალს კოლოფში სძინავს,  
ის არს ფულის მეგობარი,  
არ იღვიძებს, თუ უფულოდ  
მასთან მივიდა სტუმარი!“

„მუშური“ უდავოს ხდის, რომ აკ. წერეთელი ბატონყმური ურთიერთობის მოწინააღმდეგეა. ნებატონის ხელში მყოფი გლეხი, მისი თქმით, „უპატრონო და უბედურია“, მაგრამ პოეტს ჯერ კიდევ არ აქვს გათვალისწინებული, თუ რა ხასიათს მიიღებს ცხოვრება ბატონყმური სისტემის მოსპობის შემდეგ. იგი იმ აზრისაა, რომ „უპატრონოდც არ ვარგივართ, როგორც ცხვარი უმწყემსური“, და ჯერ კიდევ არ იცის, ვინ უნდა იყოს ეს პატრონი. მას აშინებს ის გარემოება, რომ მხოლოდ მებატონეთა მოცილება არ გამოასწორებს გლეხთა მდგომარეობას. მებატონეთა გარდა, გლეხს სისხლს სწოვენ მდივანბეგის ბოქაულებიც. აკაკის გლეხი ჩივის, რომ

„სულ მათ მიაქვთ, რაც რომა გვაქვს:  
ქათამი, თხა, ძროხა, ცხვარი,  
ჩვენ ყოველდღე ტანჯვას ველით...  
გლეხებს რა გვაქვს გასახარი?“

პოეტის შეხედულებით, ხალხს პატრონი სჭირდება ბატონყმობის მოსპობის შემდეგ; რომ იგი დაცულ იქნას ამ ახალი „მებატონეებისაგან“, მაგრამ საამისო იმედს იგი, ბუნებრივია, ვერ ხედავს იმდროინდელ „მართლმსაჯულებაში“.

„მუშურს“ მოჰყვა სოციალური უთანასწორობის წინააღმდეგ ბრძოლის პათოსით გამთბარი ლექსები: „ზღაპარი“, „გლეხის აღსარება“, „მოგონება“, „სიმღერა მკის დროს“ და სხვა.

აღნიშნულ ლექსებში პოეტი ხატავს მტარვალად ქცეულ მე-ბატონეთა სახეებს და გლეხის მძიმე და მოუსვენარი ცხოვრების სურათებს. ამასთან, ხოტბას ასხამს ჩაგრულთა ინტერესების დამცველ ადამიანებს.

„ზღაპარში“ აკ. წერეთელი ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ მემატიონებს დაკარგული აქვთ ადამიანური სახე, მათი გონება და გრძნობა გამოფიტულია, „წლიდგან წლამდის მხოლოდ კუჭს ემსახურებიან“; მათი მთავარ საქმედ უზომო სმა-ჰამა და ლოგინზე კოტრიალი გამხდარა. ასევე იქცევიან მათი მეუღლეებიც, რომლებსაც შრომა ეთაკილებათ, დროსტარებას და მოდაზე ჩაცმა-დახურვას კი არ იკლებენ. ამგვარი ცხოვრების წყალობით, ეს „ბრწყინვალე წოდება“ ვაჟართა მოვალე გამხდარა და მალე სრულიად უმწეო აღმოჩნდება. „ზღაპარში“ გამოყვანილ მემატიონებს ბევრი რამ საერთო აქვს ი. ჭავჭავაძის ლუარსაბ თათქარიძესთან („ქაცია ადამიანი?!“).

ცხადია, მძიმე გასაჭირს განიცდის გლეხობა ასეთი გონება-ჩლუნგი და მადაგახსნილი მემატიონების ხელში. ცხადში თუ სიზმარში გლეხს ყოველთვის შეუბრალებელი მემატიონე აგონდება, თანაც ისეთ დროზე ოცნებობს, როცა ბატონი აღარ ეყოლება. ჯერჯერობით კი თავდახრილია და თავის მჩაგვრელს მოაგონებს: „თავდახრილი მიტომ ვარ, რომ კისერზედ მაზინარო“ („გლეხის აღსარება“). მაგრამ გლეხის გულს უკვე იმედი ეუფლება, გრძნობს, რომ დგება ახალი დრო, რომელიც მის მემატიონეს მოსვენებას აკარგვინებს.

ლექსში—„სიმღერა მკის დროს“ პოეტი მისთვის ჩვეულის-ოსტატობით გვიხატავს პურის მკის სურათს, გლეხთა მხნეობას, მათ შეჯიბრს შრომაში, მაგრამ... ვხედავთ, რომ მათი შრომა მათ არ ხმარდებათ, მოსავალი მემატიონეს მიაქვს.

თავისი გულწრფელი და ღრმა თანაგრძნობა მშრომელი ხალხისა და მათი ინტერესების დამცველთა მიმართ, აკ. წერეთელმა სრულად და გარკვევით გამოხატა ლექსში—„მოგონება“.

„მოგონება“ პოეტმა მიუძღვნა დ. ჭონქაძის ხსოვნას, გარდაცვალების სამი წლისთავთან დაკავშირებით. ბატონყმური სისტემის წინააღმდეგ ბრძოლით სახელმოხვეჭილ მწერალს აკ. წერეთელი უწოდებს „სიმართლისათვის თავგანწირულს“ და „ქეშმარიტების მალიარებელს“.

დ. ჭონქაძე, აკაკის თქმით:

„დაჩაგრულ გლეხებს ეფერებოდა,  
დიდკაცებს გმობდა პირუთნეველად,

მისთვის მას ყველა ემტერებოდა...  
ყველას მიაჩნდა სახიზლარ გველად“.

მართალია, პოეტი მოკვდა განუკითხავად, მაგრამ ის მაინც არ არის მკვდარი და მას მოიგონებს შთამომავლობა; ხოლო მათ, ვინც მას სიცოცხლე მოუსწრაფეს, შეაჩვენებენ მათივე შვილები, რომლებიც იტყვიან:

„ვინც სამშობლოსა უყო კეთილი,  
ჩვენი მამაცა მხოლოდ ის არი“.

პოეტს გულს უკლავს მხოლოდ ის, რომ ვერ ხედავს კონქაძის მსგავს ადამიანებს, სიტყვითა და საქმით ხალხის ინტერესების დამცველთ.

აკ. წერეთელმა 60-იან წლებში მკაცრი სატირა მიმართა იმ ახალგაზრდების წინააღმდეგ, რომლებიც თავიანთ სწავლა-განათლებას ვიწრო, ეგოისტური მიზნებისათვის იყენებდნენ. პოეტი აღშფოთებული იყო ისეთი ინტელიგენტების გამოჩენით, რომელნიც ნასწავლი კაცის სახელის საფარქვეშ ყოველგვარ უსინდისობას სჩადიოდნენ. ასეთია ჩანჩურას შვილიც („აპელაციის მცოდნე“), რომელსაც სწავლის ნიშნად ბაკები მოუშვია და ტანზე ფრაკი აცვია. ამ გადაგვარებულ ქართველს, ყოველივე ეროვნულის უარყოფით სურს მოიხვეჭოს სახელი. მას მაზრის უფროსობისთვისაც მიუღწევია და თავის „ნიქს“ იმით ამქლავნებს, რომ უფულოს და გაჭირვებულს ახლოს არ იკარებს, ხოლო მდიდრული ძღვნით თუ ვინმე ესტუმრება, მას მხიარულად ხედება.

პოეტს არა მარტო ჩანჩურას შვილის მსგავსი ადამიანების გაჩენა აღშფოთებს, არამედ უფრო მეტად ის, რომ ზოგიერთი ქართველისთვის ისინი „ყოვლად კარგი კაცია“.

აკ. წერეთელი ზიზლით ლაპარაკობს იმ უვარგისს ქართველებზე, რომლებიც თავიანთ შვილებში არ ნერგავენ მშობლიური ენისა და ჩვევებისადმი სიყვარულს და ზრდიან ეროვნულ გრძობას მოკლებულ „უსწავლელ სწავლულებს“ („ქართულზედ რომ ხელს იღებენ“). ასეთი „უსწავლელი სწავლულები“, პოეტის თქმით, ჰგვანან ფუტუროს, რომელიც სიბნელეში ადამიანს შორიდან მანათობელ საგნად ეჩვენება, მაგრამ, როცა ახლოს მივა, ადვილად ცნობს მის „ღირსებას“.

„არიან ჩვენში დღეს სწავლულები,  
შორიდან თუმცა ბევრს გვინათებენ,  
მაგრამ ახლოს კი დალოცვილები,  
როგორც ფუტურო, ვერას გვარგებენ“.

(„ფუტურო“)

ცხადია, ამგვარ „ღრჰად“ განათლებულ ახალგაზრდებს უნარი არა აქვთ საკუთარი თვლით შეაფასონ ცხოვრების სინამდვილე, ისინი ადვილად ექცევიან სხვების გავლენის ქვეშ და იმას იძახიან, რასაც ჩასძახიან („ჭური“).

როგორც ჩანს, ცხოვრების სინამდვილით გულგატეხილი პოეტი ვერც ი. ჭავჭავაძის „ქართველ სტუდენტთა სიმღერამ“ ანუ-გეშა. მან ვერც მაშინდელ სტუდენტ ახალგაზრდობაში შენიშნა საიმედო რამ. ამიტომაც იგი წერს პაროდისას („დედამ რომ შეილი გაზარდოს“) ი. ჭავჭავაძის დასახელებულ ლექსზე, რომელშიც სტუდენტი ახალგაზრდობა წარმოდგენილი იყო თავისუფლებისა და თანასწორობისათვის უანგარო მებრძოლად. აკაკის თქმით, ეს ახალგაზრდობაც სიტყვით სხვა არის და საქმით სხვა.

ცხადია. აკაკის მხედველობაში ჰყავდა სტუდენტობის გარკვეული ნაწილი, რომელმაც ნამდვილად ვერ გაამართლა იმედები და, ნაცვლად მაღალი იდეებისა და ფართო საზოგადოებრივი საქმეებისა, პირადი ცხოვრების მოწესრიგებამ გაიტაცა, ამას მოწმობს პოეტის ლექსი — „საბრალო გული“, რომელიც მიძღვნილია კ. ლორთქიფანიძისადმი<sup>1</sup>. როგორც ვიცი, აკაკი ბევრ ქართველ სტუდენტთან ვერ იყო კარგ დამოკიდებულებაში, არ მოსწონდა ისინი და მხოლოდ ნ. ნიკოლაძესთან და კ. ლორთქიფანიძესთან ნახულობდა საერთოს. და აი, ერთ-ერთ მათგანს პოეტი გულწრფელად უზიარებს თავის გულისტკივილს: ვისაც ანგელოზებად ვსახავდი, ისინი დღეს ქვას მესვრიანო,—ამბობს პოეტი. ამის „მიზეზად“ კი თავის ხასიათს ასახელებს. კერძოდ იმას, რომ სხვასავით არ იტაცებს დიდება და პატივი, არც ბრმად მორჩილებს სხვების აზრს.

პოეტმა იცის, რომ აღარ განმეორდება ის დრო, როცა ყოველ ადამიანს ანგელოზად სახავდა და „ცრუ ოცნებას მონადა ჰყავდა“. იგი ყველაფერს და ყოველივეს კრიტიკულად და ექვის თვლით უყურებს, თანაც სწამს თავისი აზრის ქეშმარიტება, რაც მას იმედით ავისებს.

„მაშ, ნუ გწყინს, გულო, კაცთაგან გმობა,  
ხელი გეძახონ, ნუ გენალვლება,—  
შენ კი დაადექ შენს წმინდა აზრსა  
და აღასრულე დანიშნულება“...

<sup>1</sup> პროფ. რ. ნ. ნიკოლაძის მონათხრობის საფუძველზე, მკვლევარი ლ. ასათიანი ვარაუდობს, რომ „საბრალო გული“ დაწერილია ნ. დობროლიუბოვის გარდაცვალებასთან დაკავშირებით (იხ. „ცხოვრება აკაკი წერეთლისა“, 1953, გვ. 155). მაგრამ ლექსის შესწავლა გვარწმუნებს, რომ ეს ვარაუდი არ შეეფერება სინამდვილეს.

„დანიშნულება“! — ეს არაა ცარიელი სიტყვა. პოეტს უკვე გარკვეული აქვს თავისი მოწოდება და დანიშნულება. მან უკვე იცის, რომ „მხოლოდ პოეტად არის დაბადებული“, იცის ისიც, რომ თავისი პოეტური ნიჭი სამშობლოს უკეთესი მომავლისათვის ბრძოლას უნდა შესწიროს.

სამშობლოდან მოცილებული პოეტი მოუხმობს ხმატკბილ სალამურს და პირდება, რომ აროდეს მოსწყინდება მისი ხმა, რადგან ეს ხმა ბევრ რამ მშობლიურს აგონებს:

„პართულად ჰკენს, პართულად სტვენ,  
პართველსა გულს ამით ულხენ,  
ხასიათს და ჩვეულებას  
წინაპართა გვაგონებ ჩვენ“.

სალამურის ხმაში პოეტს ესმის „საქართველოს მწარე მო-  
თქმა“, მაგრამ უფრო მეტად იმიტომ უყვარს, რომ მისი ტკბილი  
ხმა ზოგჯერ „სანუგეშოდ მიჰტრენს მალა“ და მამულისადმი თავ-  
დადებულ გმირს წარმოადგენინებს.

„თავანწირულს მამულის მცველს  
წარპოვიდგენ მაშინ ქართველს;  
მტერს შეჰყვიროს: „ჰა მაგას“,  
გამოსული ბრძოლისა ველს“.

მაგრამ პატრიოტ პოეტს ნაღველსა ჰგვრის იმის გახსენება,  
რომ სალამური დღეს მხოლოდ მწყემსს ემსახურება და მის ტკბილ  
ხმას სხვა ყურს არ უგდებს.

შორსმჭვრეტელი პოეტი სასოწარკვეთას მაინც არ ეძლევა.  
მას სწამს მომავალი თაობის, — პატარა მეგობრებისა. მისი თვალის  
მათქენაა მიმართული, სჯერა რომ მისი სიტყვების აზრს ისინი უფ-  
რო ღრმად და გულწრფელად ჩასწვდებიან.

ლექსში — „პატარა მეგობარს“ აკაკი ასე მიმართავს თავის  
უმცროს თანამემამულეს:

„ამა ლექსებით გაიგებ,  
თუ რა ტკბილია მამული.  
ქართველობით მაშინ გაქებ,  
თუ ხარ ძმათა მოყვარული.“

ისწავლე და დაინახე,  
სიყვარულს გაუღე გული  
და უყვდავად დაიმარხე  
საქართველოს სიყვარული“.

თავისი იდეური შინაარსით, 60-იან წლებში დაწერილ ლექს-  
თა შორის, აკ. წერეთლის შემოქმედებაში განსაკუთრებული ად-

გილი უქირავს ლექსს — „ძველ სამეფოს“. აღნიშნულ ლექსში პოეტი კმაყოფილებით ლაპარაკობს არა მარტო საქართველოს დიდ ისტორიულ წარსულზე, არამედ ღრმად სწანს მისი უკეთესი მომავალიც. მისი შეხედულებით, ძველთაძველი სამეფო დღეს სწეულსა ჰგავს, მაგრამ უნდა ველოდეთ მის კვლავ გაცოცხლებას.

ი. კავკავაძის მსგავსად („ქართლის დედას“), აკ. წერეთელი სამშობლოსა და მშობლიურ ხალხს მიმართავს:

„დავივიწყოთ ის „ნანინა“,  
რამაც დღემდი დაგვაძინა!  
სხვა კილოზე დავამღეროთ,  
თუ რომ ბედმა გაგვიცინა!  
ბერო ქართლო, გულს ნუ იტებ,  
კმარა, ცრემლი რაც გვდენია“.

პოეტი სამშობლოს მოუწოდებს გაიღვიძოს, დროს ნუ ჰკარავს, შეიგრძნოს, რომ მომავალი მას უკეთეს ბედს უქადის, „ახალი დრო შესამკობლად გვირგვინს უწნავს“. თავის მხრივ, თანამემამულეთა სახელით ფიცს აძლევს, რომ მსხვერპლად შეეწირებიან მის გამარჯვებას.

„წინა წავალთ შენნი ძენი,  
გვსურს ახალ დროს ვუღოთ ბჭენი,  
და დაენტხოთ წმინდა სისხლი,  
რომ გაგბანოთ ძველი სენი“.

პოეტის ნატვრაა — სამშობლო იხილოს ისეთ ვითარებაში, რომ ყველა იძახდეს: „ვაშა. ვაშა, საქართველო“.

ამგვარად, აკ. წერეთელი 60-იან წლებში უკვე აშკარად გვევლინება როგორც ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლის ერთ-ერთი მებრძოლი.

ეროვნულ და სოციალურ მოტივზე დაწერილ ნაწარმოებთა გვერდით, აკაკი ამ პერიოდში წერს სატრფიალო ლექსებსაც, რომლებშიც ხოტბას ასხამს სულიერ მეგობრობას, წმინდა გრძნობას და კიცხავს არამტკიცე ხასიათის მქონე ქალებს („ალექსანდრა“, „გამოთხოვება“, „ნინოს სიმღერა“, „კატოს“, „ან...ს“, „დღე და ღამე იყრება“ და სხვა).

ასეთი იყო აკაკის პოეტური იდეალები იმ დროისათვის, როცა „ცისკრის“ ფურცლებზე იდეურ-ლიტერატურული ბრძოლა გაჩაღდა და მანაც, ჯერ კიდევ სტუდენტმა, აქტიური მონაწილეობა მიიღო მასში. როგორც ვხედავთ, აკ. წერეთელი არა მარტო მზად იყო მონაწილეობა მიეღო ამ ბრძოლაში, არამედ უკვე მტკიცედ იდგა კრიტიკული რეალიზმის პოზიციებზე.

— „უნივერსიტეტი ისეთი სასწავლებელია, სადაც ყოველ ახალგაზრდას სწავლის ასპარეზი ეხსნება. ის სრულიადაც არ ჩამოგავს სხვა სასწავლებელს... იქ ყველა მოსწავლემ თვითონ უნდა იზრომოს, გზა ეძიოს, ისწავლოს“.

6. ნიკოლაძე.

50-იანი წლებიდან ქართველმა ახალგაზრდობამ რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებს მიაშურა. განსაკუთრებით დიდი იყო ინტერესი პეტერბურგის უნივერსიტეტისადმი, რომელსაც უკვე ავტორიტეტი ჰქონდა ნოპოვებულის მთელ იმპერიაში.

რუსეთში სასწავლებლად მიმავალი ახალგაზრდები, უმთავრესად, საქართველოს სამხედრო გზით მიემგზავრებოდნენ. ამიტომ მათ მჭუხარე და მოუსვენარი თერგის ხეობა უნდა გაევილოთ. ხოლო იმის გამო, რომ უმაღლეს სასწავლებლებში განათლებამიღებულ ახალგაზრდებთან კონსერვატორულად განწყობილი არისტოკრატია საერთოს ბევრს ველარაფერს ნახულობდა, ირონიულად მათ „თერგდალეულები“ და „რუსეთუმეები“ უწოდეს.

ყველა „თერგდალეული“ და „რუსეთუმე“, ცხადია, ერთი მიმართულების არ ყოფილა და ისტორიამაც „თერგდალეულთა“ სახელი დაუმკვიდრათ მხოლოდ მათ, რომლებსაც კეშმარიტად გაიზიარეს და შეითვისეს რუს რევოლუციონერ-დემოკრატთა იდეები.

„თერგდალეულთა“ ეს ჯგუფი სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდა 60-იან წლებში. მათი, როგორც მწერლების, პუბლიცისტების, კრიტიკოსების და საერთოდ, როგორც მოღვაწეების, ჩამოყალიბება მოხდა, ძირითადად, მათი სტუდენტობის წლებში.

პერიოდი (1857 — 1863 წწ.), როდესაც თერგდალეულებს უხდებოდათ პეტერბურგის უნივერსიტეტში ყოფნა, მეტად მნიშვნელოვანი მოვლენებით ხასიათდება რუსეთისა და, კერძოდ, საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიაში. ეს ის წლებია, როცა რევოლუციურ-დემოკრატიულმა იდეებმა გააერთიანა პროგრესულად მოაზროვნე ადამიანები და აშკარად გამოჩნდა მოწინააღმდეგეთა ბანაკიც, რომელიც იძულებული გახდა წასულიყო რიგ დათმობებზე და გადაესინჯა თავისი პოლიტიკა; ესაა პერიოდი, როცა გლეხთა აჯანყებებითა და რევოლუციურ-დემოკრატიული იდეების



ქადაგებით შეშინებულმა მეუის მთავრობამ ბატონყმური ურთიერთობის „ზემოდან“ მოსაპობა გადაწყვიტა.

ამგვარად, ეს პერიოდი მოიცავს კლასობრივი ბრძოლის გამწვავებისა და რევოლუციური სიტუაციის აღმავლობის ხანასაც.

იძლევა რა რევოლუციური სიტუაციის დახასიათებას, ვ. ი. ლენინი წერს: „როგორია, საერთოდ რომ ითქვას, რევოლუციური სიტუაციის ნიშნები? ჩვენ უეჭველად არ შეგვცდებით, თუ აღვნიშნავთ შემდეგ სამ მთავარ ნიშანს: 1) შეუძლებლობა გაბატონებული კლასებისათვის — შეინარჩუნონ უცვლელი სახით თავიანთი ბატონობა; „ზედაფენების“ ესა თუ ის კრიზისი, გაბატონებული კლასების პოლიტიკის კრიზისი, რომელიც ქმნის ბზარს, რაშიც ამოხეიქავს ჩაგრული კლასების უკმაყოფილება და აღშფოთება. რევოლუციის დაწყებისათვის ჩვეულებრივ საკმარისი არ არის, რომ „ქვედაფენებს არ უნდოდეთ“ ძველებურად ცხოვრება, არამედ საჭიროა კიდევ, რომ „ზედაფენებს არ შეეძლოთ“ ძველებურად ცხოვრება. 2) ჩაგრული კლასების გაჭირვებისა და უბედურების გამწვავება ჩვეულებრივზე მეტად. 3) აღნიშნული მიზეზების გამო, მასების აქტიუობის მნიშვნელოვნად გადიდება; ისინი „მშვიდობიან“ ეპოქაში მშვიდად აძარცვინებენ თავს, ხოლო მღელვარე ხანაში, როგორც კრიზისის მთელი ვითარება, ისე თვითონ „ზედაფენები“ იწყებენ მათ დამოუკიდებელ ისტორიულ გამოსვლას“<sup>1</sup>.

ვ. ი. ლენინის მიერ გაკეთებული ეს აენიალური დახასიათება აშკარას ხდის, რომ 1859—1861 წწ. რუსეთის ისტორიაში იყო რევოლუციური სიტუაციის აღმავლობის წლები. ამ გარემოებას, ცხადია, ხელი შეუწყო მთელმა რიგმა ისტორიულმა მოვლენებმა, რომლებსაც ადგილი ჰქონდა რუსეთსა და ევროპაში. ვ. ი. ლენინი შენიშნავს: „დემოკრატიული მოძრაობის გამოცოცხლება ევროპაში, მღელვარება პოლონეთში, უკმაყოფილება ფინეთში, პოლიტიკური რეფორმების მოთხოვნა მთელი პრესის და მთელი თავადაზნაურობის მიერ, „კოლოკოლის“ გავრცელება მთელს რუსეთში, ძლიერი ქადაგება ჩერნიშევსკისა, რომელსაც ლეგალური სტატიებითაც კი შეეძლო ნამდვილი რევოლუციონერების აღზრდა, პროკლამაციების გაჩენა, მღელვარება გლეხებისა, რომლებსაც „ძალიან ხშირად“ სამხედრო ძალისა და სისხლისღვრის საშუალებით აიძულებდნენ იმ „დებულების“ მიღებას, რომელიც სულიან-ხორციანად ფტქენიდა მათ, აზნაურ მომრიგებელ მოსამართლეთა კოლექ-

<sup>1</sup> ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, ტ. 21, გვ. 248.

ტიური უარი ასეოი „დებულები“ გატარებაზე, სტუდენტების ასეულობა—ასეთ პირობებში უარესად ფრთხილსა და ფხიზელ პოლიტიკოსსაც კი უნდა ელიარებინა, რომ რევოლუციური აფეთქება სავსებით შესაძლო იყო და გლებთა აჯანყება—მეტად სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენდა“<sup>1</sup>.

ვ. ი. ლენინის ეს სიტყვები გასაგებს ხლდან, თუ რამ განაპირობა ქართველ სამოციანელთა ლიტერატურულ-საზოგადოებრივი ინტერესები და რა პირობებში მოხდა მათი სოციალურ-პოლიტიკური და ესთეტიკური შეხედულებების ჩამოყალიბება.

„თერგდალეულებს“ პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლა უხდებოდათ მაშინ, როცა რუსულ რევოლუციურ მოძრაობას ახალი ძალა და მიმართულება მისცეს რაზნოჩინელებმა; როცა ეს ახალი ძალა პოლიტიკურ-ლიტერატურული მოღვაწეობის არენაზე გამოჩნდა თავისი სახელოვანი ბელადებით—ჩერნიშევსკითა და დობროლიუბოვით, რომელთა ისტორიული ნისია მოწმადებული იყო ჯერ კიდევ ბელინსკის მიერ.

ბუნებრივია, „თერგდალეულთა“ შეხედულებების პროგრესულობა განისაზღვრებოდა იმით, თუ რა დამოკიდებულებაში იყვნენ ისინი რევოლუციონერ-დემოკრატთა მოძღვრებასთან, მაგრამ ეს კიდევ ყველაფერი როდი იყო. მათ იდეურ მიმართულებას რომ ჩვენს სინამდვილეში შესაფერი ძვრები მოეხდინა, ამისათვის საჭირო იყო ისინი ღრმად ჩასწვდომოდნენ თავიანთი ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების თავისებურებებს. სამწუხაროდ, ყველას როდი აღმოაჩნდა იმის უნარი, რომ საფუძვლიანად შეეთვისებია რუს რევოლუციონერ-დემოკრატთა იდეები და სწორად გაეთვალისწინებია ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ხასიათი.

„თერგდალეულთა“ იდეური წინამძღოლი — ი. ჯავჟავაძე პირველი იყო ჩვენს სინამდვილეში, რომელმაც სწორად გაიაზრა და მტკიცედ ჩამოაყალიბა ქართველი მოღვაწის ამოცანები და დანიშნულება რუს რევოლუციონერ-დემოკრატთა მოძღვრების შუქზე.

ი. ჯავჟავაძემ, პირველყოფლისა, სწორად გაიგო თავისი, როგორც სტუდენტის დანიშნულება. მან მალე აულო ალლო უნივერსიტეტის ცხოვრებას და დარწმუნდა, რომ პროფესორთა მიერ წაკითხული ლექციებისა და რეკომენდებული ლიტერატურის შესწავლა ბევრს არაფერს აძლევდა სტუდენტობას. მიუხედავად

<sup>1</sup> ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, ტ. 5, გვ. 34—35.

იმისა, რომ იგი საგნებს წარმატებით აბარებდა, განოცდებისათვის მხოლოდ სესიების პერიოდში ემზადებოდა. მთელ დანარჩენ დროს კი ის ახმარდა ისეთი წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების კითხვას, რომლებსაც გვერდს უვლიდნენ უნივერსიტეტის პროფესორები. მაგრამ უდავოა ისიც, რომ ამ დასკვნამდე მისვლა ილიას გაუადვილა უნივერსიტეტში მყოფმა პროგრესულად მოაზროვნე ადამიანებმა. პეტერბურგის უნივერსიტეტში იყვნენ არაოფიციალური „პროფესორებიც“, რომლებსაც დიდი გავლენა ჰქონდათ ახალგაზრდობაზე, ესენი იყვნენ „სოფრემენნიკითა“ და მისი მესვეურების ნაწიერებით გატაცებული სტუდენტობა.

ქართველ მოწინავე სტუდენტობაზე რუს რევოლუციონერ-დემოკრატთა გავლენა, პირველყოვლისა, იმაში გამოიხატა, რომ მათ მტკიცედ გადაწყვიტეს მთელი თავიანთი ცოდნა და ენერჯია სამშობლოს კეთილდღეობისათვის შეეწირათ; რევოლუციურ-დემოკრატიულმა იდეებმა ისინი მოამზადეს ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლისათვის. ამ მხრივ, პირველობა კვლავ ი. ჭავჭავაძეს ეკუთვნის.

ეცნობოდა რა ბელინსკის, გერცენის, ჩერნიშევსკის, დობროლიუბოვის და მათ გარშემო დარაზმულ მოაზროვნეთა მოძღვრებას, ი. ჭავჭავაძე, პარალელურად, დიდ დროს უთმობდა საქართველოს ისტორიის, ძველი და ახალი ქართული ლიტერატურის შესწავლასა და იმდროინდელი საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების ხასიათის გაგებას.

ი. ჭავჭავაძეს ცოტა როდი უზრუნია იმისათვის, რომ პეტერბურგში მოსწავლე ქართველ სტუდენტებს ჰქონოდათ ისეთი ბიბლიოთეკა, რომელიც მათ გაუადვილებდათ მშობლიური ქვეყნის ისტორიისა და ლიტერატურის ღრმად შესწავლას. ნ. ნიკოლაძე, რომელიც ილიას სამშობლოში წამოსვლის შემდეგ ჩავიდა პეტერბურგში, იგონებს: „ქართველ სტუდენტებს, რომელთაც ხელმძღვანელობდა ილია ჭავჭავაძე, ძველი ქართული წიგნებისა და ხელნაწერების კარგა გვარიანი კოლექცია შეეგროვებინათ და თავზე ევლებოდნენ მასო“<sup>1</sup>.

ი. ჭავჭავაძის მოწაფეობისა და სტუდენტობის მეგობრის კ. აფხაზის გადმოცემით, „უნივერსიტეტში ილიას განსაკუთრებით პოლიტიკური და ეკონომიური საგნები აინტერესებდა... მთელი წელიწადი სამოსწავლო საგნებს ყურადღებას არ აქცევდა და სულ

<sup>1</sup> ნ. ნიკოლაძე. რჩული ნაწერები, ტ. I, გვ 95.

სხვა წიგნების კითხვაში იყო გართული, კითხულობდა სხვათა შორის ბევრ ქართულ წიგნებსო<sup>1</sup>.

ილია დიდი ინტერესით ეცნობოდა და სწავლობდა რუს და ევროპელ კლასიკოსებს, ითვისებდა მათ მხატვრულ ოსტატობას. ბევრ მის ამხანაგს კი ილიას ასეთი მუშაობა დროის ფლანგვად მიაჩნდა და ახლადჩასულთ აფრთხილებდნენ არ მიებაძათ მისი მაგალითისათვის. „ჩემს დღეში არ დამავიწყდება, — წერს ნ. ნიკოლაძე, — ის აზრი, რომელიც ერთმა უფროსმა სტუდენტმა... გამოთქვა..., როცა „Современник“-ის კითხვაზე წამესწრო:

— გაიხსენე ჩემი სიტყვაო, — მითხრა, — თუ შენც ისე არ წახდე, როგორც ი. ქავკავაძე წახდა. ისიც აქ შილერის, ბაირონის და ვალტერ-სკოტის კითხვის მეტს არას შვრებოდა და... ისე წავიდა, რომ კურსი ვერ შეასრულა: უდიბლომით წაბრძანდა... აბა ახლა რა ადგილი უნდა მიიღოს იმანო“<sup>2</sup>.

ამ სიტყვებიდან კარგად იგრძნობა, რომ ყველა ქართველ სტუდენტს ერთი მიზანი როდო ჰქონდა; ზოგი — ფართო ცოდნის მიღებისათვის ათენებდა ღამეებს, ზოგიც — მაღალი თანამდებობის მიღებაზე ოცნებაში ატარებდა დროს. მაგრამ ჩვენთვის ამჯერად ისაა საინტერესო, რომ ილია ქავკავაძე მხოლოდ ქართველ მწერალთა შემოქმედების შესწავლით როდი იყო შემოფარგლული, იგი ასევე მონდომებით სწავლობდა რუს და ევროპელ მწერლებსაც. ამ გარემოებას ისიც ადასტურებს, რომ ილიამ ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში თარგმნა პუშკინის, ლერმონტოვის, გოეთეს, შილერის, ბაირონის, ანდრე შენიეს, რიუკერტისა და სხვათა ნაწარმოებები; ხოლო შემდეგში მან ბრწყინვალედ თარგმნა შექსპირისა და ჰაინეს თხზულებანი. ამასთან, თავის შემოქმედებაში ის ხშირად იყენებდა გრიბოედოვის, გოგოლის, ნეკრასოვის, ტურგენევის, ტოლსტოისა და სხვათა მიერ შექმნილ მხატვრულ სახეებსა და გამოთქმებს. 1860 წელს დაწერილ თავის საუკეთესო ლექსს — „მუშა“ ილიამ ეპიგრაფად წარუძღვარა ნ. ნეკრასოვის სიტყვები: „В труде проходит жизнь его и не приносит ничего“. ასევე დიდი პატივისმცემელი იყო ილია ფრანგი და ინგლისელი გამოჩენილი რეალისტებისა.

ალარაფერს ვამბობ ბელინსკის, გერცენის, ჩერნიშევსკისა და დობროლიუბოვის შესახებ, რომელთაც ი. ქავკავაძე თავის უშუალო მასწავლებლებად სთვლიდა.

<sup>1</sup> „ლიტერატურული შემკვიდრება“, ტ. I, 1935, გვ. 563—564.

<sup>2</sup> ნ. ნიკოლაძე. რჩული ნაწერები, ტ. I, გვ. 67.

არა მარტო ნაწერებით, არამედ პირადათაც ახლოს სცნობია სტუდენტ ილია ჭავჭავაძეს და ჩერნიშევსკი, რომლის მატერიალისტური ესთეტიკა შემდეგში მოხდენილად მოიმარჯვა კონსერვატორთა და ლიბერალთა წინააღმდეგ ბრძოლაში.

ცნობილი ქართველი პუბლიცისტი რ. ხომლედი ერთ თავის წერილში საგანგებოდ შენიშნავს, რომ ნ. ჩერნიშევსკის „ჩვენი სტუდენტი ილია დაახლოვებით იცნობდა, როგორც ეს ჩემთვისა და ნ. ხიზანიშვილისათვის უთქვანსო“<sup>1</sup>.

უნდა ვივარაუდოთ, რომ ქართველ სტუდენტებს დაახლოვებას ნ. ჩერნიშევსკის ოჯახთან, რაც შემდეგ განსაკუთრებით განმტკიცდა, დასაწყისი სწორედ ი. ჭავჭავაძემ მისცა. ამას ადასტურებს ნ. ნიკოლაძის „მოგონებანი ნო-იან წლებზე“. აღწერს რა თავის პირველ სტუმრობას ნ. ჩერნიშევსკის ოჯახში, ნ. ნიკოლაძე შენიშნავს: „სტუმრების უმრავლესობას შეადგენდნენ ქართველი სტუდენტები უმაღლესი კურსებიდან“<sup>2</sup>. სტუდენტთა არეულობის მონაწილე ბ. ლოლობერიძის შესახებ კი მესამე განყოფილების მასალებში ჩაწერილია: „...знаком с Чернышевским...“.

ამგვარად, მაღალი კურსის ქართველ სტუდენტებს ნ. ნიკოლაძეზე ადრე ჰქონიათ მისვლა-მოსვლა ნ. გ. ჩერნიშევსკის ოჯახში. ეს კი ის დროა, როცა ი. ჭავჭავაძე ქართველ სტუდენტთა აღიარებული ავტორიტეტი იყო.

საერთოდ, ი. ჭავჭავაძე სიკვდილამდე უდიდესი პატივისმცემელი იყო რუსული მწერლობის, კერძოდ, დიდი რუსი რევოლუციონერ-დემოკრატებისა.

ახასიათებს რა ყირიმის ომის შემდგომ პერიოდს, როცა მას პეტერბურგის უნივერსიტეტში უხდებოდა სწავლა, ი. ჭავჭავაძე წერს:— „ახლად თვალახილულმა რუსეთმა, რაღა თქმა უნდა, ჯერ თავის თავზე დაიხედა... ნახა რომ ზოგიერთი მაცხოვრებელი ძარღვი ჩასწყდომია, ჩირქი ჩასდგომია... შეუდგა მიზეზთა გამოძიებას: რამ იმოქმედა ასეო? ნახა, რომ მისი სწავლების სათავე — თითონ ცხოვრების წყობაა და აგებულება, ერთხელ და ერთხელ შემოღებული და გაუახლებლად დამკვიდრებული. უარპყო იგი წყობა. უარპყო ყოველივე, რაც კი იმ წყობას შესწევდა და ხელს უმართავდა. ამ არსებულის უარყოფამ წამოიწია იმ წრიდან, რომელსაც გონებით მცხოვრებს საზოგადოებას ეძახიან (გულისხმობს ინტელიგენციას — დ. გ.), რომელიც ყველგან და ყოველ-

<sup>1</sup> გაზეთი „შინაური საქმეები“, 1906, № 2.

<sup>2</sup> ნ. ნიკოლაძე. რჩეული ნაწერები, ტ. I, გვ. 121.

თვის ნუგეზია და იმედი ყოველის ერისა, და რომელიც ცხოვრების წარმატების უღლის თავში პირველი ჩადგება ხოლმე. ის საზოგადოება მთელის თავის ძალღონით მიაწყდა ამ უშველებელ საქმეს უარყოფისას, და ყოველს მის მოქმედებაში ან წუნი და კიცხვაა დრო-გარდასულის ძველისა, ან მოძღვრება და ნატერა ნელად აკვიატებულის ახლისა. უკეთესნი წარმომადგენელნი ამ საზოგადოებისა — პოეზიაში, მეცნიერებაში თუ პუბლიცისტიკაში, — სულ ამ დიდი საქმის მიმდევარნი იყვნენ დაუღალავად... ამ ახალ მიმართულების მესვეური იყო სახელოვანი „სოვრემენნიკი“<sup>1</sup>.

ეს სიტყვები ნათელ წარმოდგენას გვაძლევენ იმაზე, თუ როგორი იყო სტუდენტ ილია ჭავჭავაძის შეხედულება იმდროინდელი რუსეთის საზოგადოებრივი ცხოვრების შესახებ და ვის მიიჩნევდა ის ახალი აზრისა და მიმართულების მესვეურებად.

ილიას მტკიცე რწმენით, რუსეთის იმდროინდელი საზოგადოებრივი ცხოვრება მეტად ჩამორჩენილი იყო, ხოლო ამის მიზეზი არსებული სოციალურ-პოლიტიკური წყობა იყო; მაგრამ ხალხმა, — მისმა მოწინავე ნაწილმა უკვე იწყო ბრძოლა დრომოქმული სისტემის წინააღმდეგ. ამ დიად საქმეს კი სათავეში ედგა „სოვრემენნიკი“ და მისი საუკეთესო წარმომადგენლები: პოეზიაში — ნ. ნეკრასოვი, მეცნიერებასა და პუბლიცისტიკაში — ნ. ჩერნიშევსკი და ნ. დობროლიუბოვი.

ასეთი შეხედულებისა და რწმენის მქონე ილია, რომელიც უკვე ქმნიდა თავის საუკეთესო მხატვრულ ნაწარმოებებს, იწყებს თანამოაზრეთა შემოკრებას და სჯა-ბაასს მშობლიური ქვეყნის მომავლის შესახებ. სწორედ ამ მეგობართა წრეში გაშლილ პაექრობებში მიიღო მან ის წრთენა, რომელიც აუცილებელი იყო იმდროინდელი ქართველი მოღვაწისათვის.

კ. აბხაზი იგონებს, რომ „ჩვენ სტუდენტები ხშირად ვიკრიბებოდით და ვბაასობდით როგორც საზოგადო კითხვებზე, აგრეთვე ჩვენს დაბეჩავებულს სამშობლოს მომავალზედო“<sup>2</sup>. ამ შეკრებებში რომ მთავარ როლს ი. ჭავჭავაძე ასრულებდა, ამას ნ. ნიკოლაძის მოგონებაც ადასტურებს. როგორც ის გადმოგვცემს, მას, — პეტერბურგში ახლადჩასულს, კ. ლორთქიფანიძე სინანულით ეტყოდა ხოლმე: „სანამ ი. ჭ. (ჭავჭავაძე) იყო აქ, მსჯელობასა და ლაპარაკს... მაინც გაიგონებდა კაცი... მამულის სიყვარულზე. ის

<sup>1</sup> ი. ჭავჭავაძე. ნაწერების სრული კრებული, ტ. VI, 1927, გვ. 118.

<sup>2</sup> „ლიტერატურული მემკვიდრეობა“, ტ. I, 1935, გვ. 364.

წავიდა, და ეხლა რაუზერზე ან გოზზე თუ გაიგონებ სჯას, მეტ-ზე არათფერზეო...“<sup>1</sup>

ფეიქრობ, ამ შეკრებებზე გამოთქმულ ილია ქავჭავაძის შეხედულებებს კარგად წარმოგვიდგენს, უპირველეს ყოვლისა, მისივე ლექსი — „ქართულ სტუდენტთა სიმღერა“ (1860 წ.). ასევე, ილიას წამოსვლის შემდეგ ქართველ სტუდენტებს შორის შექმნილ ვითარებას, ირონიულ ფორმებში, მაგრამ საკმაოდ სწორად, გამოხატავს აკაკი წერეთლის ლექსი — „დედამ რომ შვილი გაზარდოს“ (1861 წ.).

როგორც მწერალი და მოაზროვნე — ი. ქავჭავაძე სტუდენტობის წლებში ჩამოყალიბდა. ამიტომ იყო, რომ ისიც განსაკუთრებულად აფასებდა ამ წლებს: „ოთხი წელიწადი იყო, — წერს ილია „მგზავრის წერილებში“, — რაც მე რუსეთში ვიმყოფებოდი და ჩემი ქვეყანა არ მენახა. ოთხი წელიწადი!.. იცი, მკითხველო, ეს ოთხი წელიწადი რა ოთხი წელიწადია? პირველი, რომ მთელი საუკუნეა მისთვის, ვინც თავის ქვეყანას მოშორებია. მეორე, ეგ ოთხი წელიწადი ცხოვრების საძირკველია, ცხოვრების წყაროს სათავეა, ბეწვის ხიდია, სიბნელისა და სინათლის შუა ბედისაგან გადებულნი. მაგრამ ყველასათვის კი არა. მარტო იმათთვის, ვინც რუსეთში წასულა, რათა ქეჟა ავარჯიშოს, ტვინსა და გულს მოძრაობა მისცეს, — ფეხი აადგმევიწინოს. ეს ის ოთხი წელიწადია, რომელიც ქაბუკის ტვინსა და გულში გამოჰკვანძავს ხოლმე ცხოვრების კვირტსა. ეს კვირტი კიდევ ის კვირტია, რომელიდამაც მშვენიერი და ბრწყინვალე მტევანიც გამოვა და ძალღ-ყურძენაცა. ოო, ძვირფასო ოთხო წელიწადო! ნეტავი იმას, ვისაც შენგან გადებულნი ბეწვის ხიდი ფეხთა-ქვეშ არ ჩასწყდომია, ნეტავი იმას, ვინც შენ რიგიანად მოგიხმარაო“.

განა შეიძლება ამაზე უკეთ დაახასიათოს ვინმემ სტუდენტობის-წლების მნიშვნელობა ი. ქავჭავაძის იდეური ფორმირების საქმეში? აქ ყველაფერი გულწრფელადაა ნათქვამი, რაც ნაყოფიერი წლებით კმაყოფილი შემოქმედის გულწრფელ აღსარებას წარმოადგენს.

მაგრამ ფაქტია, რომ ი. ქავჭავაძეს უნივერსიტეტი არ დაუსრულებია და არც დიპლომი არ მიუღია. კითხვა ისმის: რატომ დასტოვა ილიამ უნივერსიტეტი? არცთუ ისე ძნელად გასარკვევ ამ

<sup>1</sup> 6. ნიკოლაძე. რჩეული ნაწერები, ტ. I, გვ. 63.

საკითხს ზოგიერთი მკვლევარი „პრობლემად“ ხდის და სხვადასხვაგვარ „მოსაზრებებს“ გვთავაზობს.

ი. ქავჭავაძეს, ცხადია, სწავლა არ გაძნელებია, არც მხოლოდ ავადმყოფობას აუძულებია გამომგზავრებულყო სამშობლოში. მთავარი, რამაც ილიას სამშობლოში დაბრუნება გადააწყვეტინა, ეს იყო უნივერსიტეტში შექმნილი ვითარება და თვით მასში მომწიფება იმ აზრისა, რომ მის ცოდნასა და ენერჯიას სამშობლო ქვეყნის მომავალი და მშობლიური ლიტერატურის ინტერესები მოითხოვდნენ.

როდესაც ილიამ უნივერსიტეტი დასტოვა და სამშობლოში გამოემგზავრა, უურნალ „ცისკარში“ უკვე იბეჭდებოდა მისი სტატია — „ორიოდე სიტყვა თ. რევაზ შალვასძის ერისთავის კოზლოვიდგან „შეშლილის“ თარგმანზედა“, რომელიც გახდა საბაზი მწვავე იდეურ-ლიტერატურული ბრძოლისა 60-იან წლებში. ი. ქავჭავაძემ ადრევე იცოდა, თუ რა შედეგი მოჰყვებოდა მის სტატიას; იცოდა, რომ მას ცხარე და საპასუხისმგებლო ბრძოლის გადახდა ელოდა. ამიტომ, ბუნებრივია, იგი სამშობლოში გამოემგზავრა. ასეთი გადაწყვეტილების მიღებას ხელი შეუწყო იმ გარემოებამაც, რომ უნივერსიტეტში უკვე შეუძლებელი ხდებოდა ნორმალური და ნაყოფიერი მეცადინეობა. თვითონ ილია შენიშნავს, რომ „1861 წელს უკვე მეოთხე კურსზე ვიყავი, მაგრამ გავანებე თავი უნივერსიტეტს მაშინდელი საუნივერსიტეტო არეულობის გამო“. ცხადია, ამ „არეულობაში“ ის არ გულისხმობს 1861 წლის სტუდენტთა დემონსტრაციებს, ვინაიდან მან უნივერსიტეტი მიატოვა ჯერ კიდევ 1861 წლის გაზაფხულზე (მაისში უკვე საქართველოში იყო).

როგორც ი. ქავჭავაძის მეგობარი კ. აბხაზი გადმოგვცემს, მის და ილიას მიერ უნივერსიტეტის დატოვება „მოხდა ეგრეთ-წოდებული „მატრიკულების“ წყალობით, რომელიც შემოღებულ იქნა პეტერბურგის გენ. გუბერნატორის იგნატოვის წყალობით და მეცადინეობით“. მაგრამ, ვიმეორებ, ეს გარემოება მხოლოდ ხელშემწყობი ფაქტორი იყო იმისათვის, რომ ილიას მტკიცედ გადაეწყვიტა „სამშობლოში გამომგზავრება. მთავარი მაინც მის მიერ უკვე დაწყებული იდეურ-ლიტერატურული ბრძოლის ინტერესები იყო.

ი. ქავჭავაძის სამშობლოში გამომგზავრების შემდეგ, პეტერბურგში მყოფ ქართველ სტუდენტთა შორის ყველაზე დიდი ავტორიტეტი ნიკო ლოღობერიძეს მოუპოვებია. ნ. ნიკოლაძე იგონებს: „ჩვენს წრეში, პოეტის ილია ქავჭავაძის სამშობლოში დაბრუნე-



ბის შემდეგ, 1861 წლის ზაფხულს (სწორედ ჩვენი ჩასვლის წინ), უდავო გავლენა მოიპოვა ნიკო ლოლობერიძემ, რომელიც იმ შემოდგომაზე ისტორიულ-ფილოლოგიურ ფაკულტეტს ასრულებდა და რომელიც იერონიმე სავონაროლაზე საქანდიდატო დისერტაციის მზადებაში იყო<sup>1</sup>. პეტერბურგში კი იმ დროს ოცდაათამდე ქართველი სტუდენტი სწავლობდა.

ნ. ლოლობერიძე არც სტუდენტობის წლებში და არც შემდეგ, როცა იგი საქართველოში მოღვაწეობდა, ზომიერ ლიბერალურ პოზიციებს არ გასცილებია. მისი ასეთი მისწრაფება და ხასიათი იმთავითვე სწორად ჰქონია გაგებული ქართველ სტუდენტთა გარკვეულ ნაწილს და, როგორც ჩანს, მალე ჩამოსცილებია მას.

ნ. ლოლობერიძის პიროვნების გასაგებად საუკეთესო მასალას იძლევა ნ. ნიკოლაძის მიერ აღწერილი რამდენიმე შემთხვევა ქართველ სტუდენტთა ცხოვრებიდან. ერთხელ, — წერს ნ. ნიკოლაძე, — ნ. ლოლობერიძე „მოვიდა ჩვენსა და „Современник“-ის კითხვაზე წამესწრო. ისე გატაცებული ვიყავი ამ კითხვით, რომ მისი შემოსვლა ვერც კი შევნიშნე... დაათვალიერა ყველაფერი... შემობრუნდა ჩემს ოთახში, წიგნი გამომართვა და ტკბილად დარიგება დამიწყო:

— შენ ამაებში დროს ნუ კარგავ, საქმე გააკეთე, უროკები ისწავლეო...“<sup>2</sup>.

ნ. ნიკოლაძის დახასიათებით, ნ. ლოლობერიძე „ერთობ უგრძნობი კაცი იყო... ერთობ წვრილმანი მიზნის მიმდევარი, მაგრამ ეს მისი წვრილმანობა შეადგენდა მთელ მის ძალას. თავის დღეში არ დაკარგვია იმას მხედველობიდან მისი მიზანი, და მთელი მისი მეცადინეობა, მთელი მისი ჭკუა და გონება იმაში იხარჯებოდა, რომ ამ მიზანმდე მიეღწია. მიზანი კი იმაში მდგომარეობდა, რომ ყველა დაეკმაყოფილებია, ყველანი მოემადლიერებია, ავიც და კარგიც, მტერიც და მეგობარიც... ჩვენ სუსტნი ვართ, ამბობდა, წელი უნდა გავიმაგროთო, და მარტო მაშინ შეგვეძლება ვიფიქროთ ხალხის ან მამულის სიკეთეზეო. ეს პროგრამა ერთობ მოხერხებულა ყველასათვის, ვისაც — შჩედრინის ქალწულივით — კაპიტალის შეძენაც სურს და უმანკოების დაცვაც... თავს იმდაბლებს კაცი თბილი ადგილის საშოვნელათ, — შეუძლია თქვას — ამას საკუთარი სარგებლობისათვის კი არ ვშვრები, მამულის სიყვარულისათვის

<sup>1</sup> ნ. ნიკოლაძე. რჩეული ნაწერები, 1931, ტ. I. გვ. 94.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 67.

ვითმენო: მინდა წელი გავიმავრო და მერე სარგებლობა მოუტანო...

... ერთი სიტყვით, წვრილმან დახმარებით ან ხელის გაწყობით, შემწეობით, მოგიყიდავდა, გადაგიბირებდა... კეთილშობილურ გრძნობას და აზრებს კი არ აღვიძებდა, ან ზდიდა შენში, ისეთ სიმებს შეეხებოდა შენი გულისას, რომელიც პიროვან სარგებლობას, კერძო კომფორტს და თავმოყვარეობას მოსდევს...

ამის გამო (ნ. ლოლობერიძეს — დ. გ.) ყოველთვის ის პირები მიეკედლებოდნენ — და ეხლაც ის პირები ეკედლებიან, — ვიცისაველაფერზე მალლა თავის კერძო სარგებლობა აქვს დაყენებული<sup>1</sup>.

ბუნებრივია, რომ ასეთი მისწრაფების ადამიანთან საერთო ვერ იპოვეს ისეთმა ახალგაზრდებმა, როგორნიც იყვნენ აკ. წერეთელი, გ. წერეთელი, ნ. ნიკოლაძე, კ. ლორთქიფანიძე და სხვ.

აკაკი წერეთელს მწარე ისტორიაციკი გადახდომია ნ. ლოლობერიძის მიერ მოქორილი ამბის გამო, რომლის შესახებ საგანგებოდ ლაპარაკობს „ჩემ თავგადასავალში“ და დასძენს: „ყურადღება არც ამ შემთხვევისათვის მიმიქცევია, მაგრამ, ცოტა არ იყოს-კი, მომიწამლა სტუდენტობა, ის სანატრელი დრო, როცა ადამიანს ეკალიც კი ვარდად ეჩვენებაო“<sup>2</sup>. თუმცა ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ არც აკაკი რჩებოდა ვალში „მოწინააღმდეგეებთან“. თავისი მწარე ენის წყალობით, მას ბევრისათვის სანანიებლად გაუხდია მოუფიქრებელი გამოწვევა. თვითონ აკაკი არ მალავდა: „ჩემი ენა რომ ვერ მომიკაეებია, სხვის ენას რით მოვაკაეებო“<sup>3</sup>.

ნ. ლოლობერიძის ავტორიტეტის პატივისმცემელთა შორის აკ. წერეთელს, ცხადია, არ შეეძლო ახლო მეგობრები ეპოვა. მანაც, მათთან დაახლოებასა და მეგობრობას, განმარტოებით და ცალკე ცხოვრება არჩია. ასევე მოქცეულა დათა ნიკოლაძეც (ნ. ნიკოლაძის ბიძაშვილი), ამიტომ პეტერბურგში ახალჩასულ ქართველ ახალგაზრდებს ნ. ლოლობერიძე და მისი პატივისმცემელნი საგანგებოდ აფრთხილებდნენ, რომ მათთან არ დაახლოებულიყვნენ.

პეტერბურგში ჩასულ ნ. ნიკოლაძისათვის ნ. ლოლობერიძეს უთქვამს: „დათა (ნიკოლაძე — დ. გ.) ურჩი ყმაწვილია; ჩვენ მოგვშორდა და ცალკე დგას, ვიღაც პოლშელებთან, თუ

<sup>1</sup> ნ. ნიკოლაძე, რჩეული ნაწერები, 1931, ტ I, გვ. 80—82.

<sup>2</sup> აკ. წერეთელი, ჩემი თავგადასავალი, 1937, გვ. 83.

<sup>3</sup> ქუთაისის სახ. მუზეუმი, კ. ლორთქიფანიძის არქივი, საქმე № 26.

რუსებთან... ისა და აკაკი წერეთელი ბევრ ცუდს გვიგონებენ, ყური არ უგდო, თორემ წაგაზღვნი. აქ ჩვენი კაცი უცხოს არავის უნდა იცნობდეს, თორემ დაიღუპება... მორიდებით უნდა იყო, ჩვენების მეტს არავის იცნობდეთ<sup>1</sup>.

როგორც ჩანს, აკ. წერეთელი უფრო დაახლოებული იყო პროგრესული იდეებით გატაცებულ რუს და პოლონელ სტუდენტებთან, ვიდრე ნ. ლოლობერიძესთან და მის თანამოაზრეებთან. ეს გარკვევით ჩანს აკაკის „ჩემი თავგადასავლიდანაც“.

ყოველივე ამის შემდეგ, ადვილი გასაგებია თუ რატომ გაამახვილა ყურადღება აკაკიმ თავის პოეზიაში სტუდენტი ახალგაზრდობის გარკვეული ნაწილის კრიტიკაზე. ისიც აშკარაა, რომ აკაკი სულ სხვაგვარ დამოკიდებულებაში იყო ი. ჭავჭავაძესთან, რომლის გამომგზავრების შემდეგ დაიწყო სწორედ განხეთქილება მასსა და ზოგიერთ ქართველ სტუდენტს შორის.

ფიქრობთ, რომ ი. ჭავჭავაძე ჰყავს მხედველობაში აკ. წერეთელს, როცა თავის ერთ-ერთ დაუმთავრებელ რომანში — „იმერლები“, აღწერს რა პეტერბურგში მყოფ ქართველ სტუდენტთა ერთ-ერთ შეკრებას, უნივერსიტეტის კურსდამთავრებულ სტუდენტს, სამშობლოში გამომგზავრებისას, ათქმევინებს: — „ყმაწვილებო, თვითეულმა ჩვენგანმა კარგად იცის, თუ რას ემსგავსება დღეს ჩვენი სამშობლო. ის ემსგავსება ერთს დიდს და ბნელ აკლდამას, სადაც ძველი აზრების კაცნი დაბოდილობენ... ჩვენ უნდა დღეს ჩაეიტანოთ იმ სიბნელეში ანთებული ლამპარი. უეჭველია, ძველი აზრების კაცნი... ეცდებიან რომ ხელიდან გამოგვიქონონ ის ლამპარი და ჩვენც გაგვგმირონ... მაგრამ ნუ შეეშინდებით. მართალია, ძველი კაცები მიჩვეულნი არიან და არ გამოვლენ ამ სიბნელიდან; მაგრამ ჩვენ უნდა ვიქონიოთ სახეში მათი შვილები და ისინი გამოვიყვანოთ სინათლეში. ვიწყით სიმართლით მოძღვრება ახალგაზრდებისა და ეს იქნება ჩვენი კეთილი შრომა. ჩვენ უნდა წინდაწინ გადავწყვიტოთ და მოვიმზადოთ ჩვენი თავი სამსხვერპლოდ... ვიყოთ მსხვერპლი ჩვენის სამშობლოს კეთილდღეობისა; ვიღვაწოთ მამულის გულისათვისო...“<sup>2</sup>.

შეიძლება ეჭვი არ შეეიტანოთ იმაში, რომ აქ აკაკი არაფერს არ თხზავს, იგი მხოლოდ აღადგენს ი. ჭავჭავაძის სიტყვებს, რომელიც მან სამშობლოში გამომგზავრების წინ უთუოდ უთხრა

<sup>1</sup> ნ. ნიკოლაძე. რჩეული ნაწერები, 1931, ტ. 1, გვ. 39.

<sup>2</sup> გახეთი „დროება“, 1875, № 23.

თავის ახლო მეგობრებს, პირველყოვლისა კი აკ. წერეთელსა და კ. ლორთქიფანიძეს. ეს გასაგებიცაა. ი. ჭავჭავაძე, რომელსაც „ციცკარის“ ფურცლებზე მკაცრი ბრძოლა ელოდებოდა ძველი შეხედულებების დამცველთა წინააღმდეგ, თავის თანამოაზრეთ, ბუნებრივია, აფრთხილებდა და ამზადებდა ამ ბრძოლისათვის. შემთხვევითი არ არის არც ის, რომ ი. ჭავჭავაძის დასაცავად „ციცკარის“ რედაქციამ პეტერბურგიდან ერთად მიიღო სამი სტატია, რომელთაგან ერთი კ. ლორთქიფანიძეს ეკუთვნოდა, მეორე — აკ. წერეთელს, ხოლო მესამე (მეორე თერგდალეულის უსევედონიმიტ), როგორც ამას ვარაუდობს მკვლევარი პ. ინგოროყვა, — სამსონ აბაშიძეს (და არა გ. წერეთელს, როგორც ეს დღემდე იყო ცნობილი)<sup>1</sup>.

მეორე თერგდალეულის უსევედონიმიტ დაწერილი სტატია რომ ს. აბაშიძეს ეკუთვნის, ამას ისიც გვაფიქრებინებს, რომ ს. აბაშიძე, როგორც ახლო ნათესავი, ამ დროს აკაკისთან ცხოვრობდა. 1860 წლის აპრილში დაწერილ ერთ-ერთ წერილში აკაკი თავის დედას სწერდა: — „სამსონი (აბაშიძე — დ. გ.) ჩემთან დგას... ძალიან კარგი ბიჭია, იქნება მაინც, ჯერ თუ არ არის, ჩემთან კარგი ამხანაგობა აქვსო“<sup>2</sup>. ს. აბაშიძე, როგორც ჩანს, შემდეგში კიდევ უფრო დაუმეგობრდა აკაკის. ამას მოწმობს „ჩემი თავგადასავალი“, სადაც აკაკი, მეუღლის შერთვის ისტორიასთან დაკავშირებით, სამ. აბ-ძეს (სამსონ აბაშიძეს — დ. გ.) იხსენიებს, როგორც ამ საქმის ერთ-ერთ მოწმეს<sup>3</sup>. ამას დაემატოთ ისიც, რომ მეორე თერგდალეულის სტატიაზე დართულ ლექსს („ჩვენ აქა ვართ სამი ძმანი...“) აშკარად ატყუია აკაკის ხელი. ამის შესახებ ჩვენ ქვემოთ გვექნება მსჯელობა, ამჯერად მხოლოდ იმის თქმა გვინდა, რომ ი. ჭავჭავაძემ მეგობართა გარკვეულ წრეში ადრევე მოამზადა შესაფერი ნიადაგი და მათაც აღასრულეს თავიანთი ვალი.

როდესაც სტუდენტ აკ. წერეთლის მოქალაქეობრივ პროფილს აღვადგენთ, შეუძლებელია არ შევნიშნოთ, რომ სხვებისაგან ის გამოირჩეოდა სწავლაში სიბეჯითით და პოლიტიკური მოვლენებისადმი ფრთხილი დამოკიდებულებით. ეს იყო იმის მიზეზიც, რომ მას მონაწილეობა არ მიუღია სტუდენტთა დემონსტრაცი-

<sup>1</sup> ი. ჭავჭავაძე. თხზულებათა სრული კრებული, 1953, ტ. I, გვ. 481—482.

<sup>2</sup> წერილი დაცულია ქუთაისის სახ. მუზეუმში, კ. ლორთქიფანიძის არქივში (№ 26).

<sup>3</sup> აკ. წერეთელი. ჩემი თავგადასავალი, 1937, გვ. 85.

შიც. თვითონ აკაკი „ჩემ თავგადასავალში“ შენიშნავს: სტუდენტთა არეულობაში მონაწილეობა არ მიმიღია „არა იმიტომ, რომ ციხის შემშინებოდეს!.. მაშინაც ის რწმუნება მქონდა, რასაც ღღესაც ვადგევარ და ვერ ვუღალატე: მოსწავლემ ჯერ უნდა ისწავლოს, დაასრულოს სწავლა და მერე კი აღარ დაერიდოს არავითარ მსხვერპლსო“<sup>1</sup>. და როგორც თვითონ ამბობს, იმ გარემოებამ, რომ სტუდენტთა არეულობაში მონაწილეობა არ მიუღია, ბევრ ამხანაგს ჩამოაშორა. მაგრამ აკაკის მაინც დარჩა მეგობრები, რომლებიც მის ნიქს აფასებდნენ და მის ხასიათს იცნობდნენ. ამის შესახებ აკაკი წერს: „თითქმის ყველას ჩამოვშორდი, გარდა ორისა. ისინი არ მიყურებდნენ სხვებსავით ხმის აყოლით და სხვებზე უფრო ნიქიერად თუ მიეაჩნდით, თვარა ნაკლებ არა. ა. ერთი მათგანი იყო კირილე ლორთქიფანიძე და მეორე — ნიკო ნიკოლაძეო“<sup>2</sup>.

აკაკი წერეთელი მთელ დროს მეცადინეობაში ატარებდა. იგი გულისხმიერად ეკიდებოდა როგორც უნივერსიტეტში ჩასაბარებელი საგნების მომზადებას, ასევე ლიტერატურისა და ისტორიის შესწავლას საერთოდ.

ღედისადმი გამოგზავნილ ერთ-ერთ წერილში აკ. წერეთელი წერს: — „...მანუგეშებს, რომ ვხედავ ისეთი დრო მოდის, რომ საპირო არ არის კაცს დარჩეს მამისაგან სიმდიდრე... და არც ჩინი შეადგენს ბედნიერებას და თუ შეადგენდა აქამდის, ის დრო მალე წაბრძანდება. მხოლოდ საპირო ყოფილა კაცისათვის ერთი მხოლოდ სწავლა, სწავლა ნამდვილი, რომელიც კაცს... აყენებს კეთილ ხასიათზე და აცნობებს, თუ რა დანიშნულებით არის კაცი შექმნილი. მაშინ ამას რაღა სიმდიდრე და ხარისხი აჯობებს, თქვენ იფიქრეთ?“

როგორც ვხედავთ, ამ წერილით ჩვენ ვეცნობით არა მოსმენილი ლექციების გამზებირებელ სტუდენტს, არამედ ფართო ნაკითხობის მქონე, — ჯანსაღად მოაზროვნე ახალგაზრდას, რომელიც თავისი დროის პროგრესული აზროვნების კურსშია. მასში უდავოდ მოჩანს „სოვრემენნიკი“-ს სულისჩამდგმელთა მიძღვეარი ახალგაზრდა.

კ. ლორთქიფანიძის გადმოცემითაც, „აკაკის ძალიან უყვარდა რუსული ლიტერატურისა და კრიტიკის კითხვა: მე-19 საუკუნის მგოსან ბელეტრისტებსა და კრიტიკოსებს ძალიან კარგად იცნობდა“. ხოლო თუ როგორ ღრმად იცნობდა აკაკი გამოჩენილი

<sup>1</sup> აკ. წერეთელი. ჩემი თავგადასავალი, 1937, გვ. 83.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 81.

რუსი სამოციანელების ნაწერებს, ამას ადასტურებს მისი „ჩემი თავგადასავალიც“, სადაც იგი თითოეული მათგანის ღირსება-ნაკლოვანებაზე მსჯელობს. აკაკი, როგორც მოაზროვნე და რეალისტი მხატვარი, მათ იდეებზე აღიზარდა, მათ ჩაახედეს ცხოვრების სიღრმეში.

ცხადია, აკაკი განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებოდა ქართული ლიტერატურისა და ისტორიის მდიდარი მასალის შესწავლას. ამას მოწმობს მისი საკანდიდატო დისერტაციაც („ვეფხისტყაოსნის“ ორიგინალობის შესახებ). საერთოდ, როგორც აღმოსავლურ ენათა ფაკულტეტის სტუდენტს. ბუნებრივია, მას სხვებზე მეტად მიუწვდებოდა ხელი მშობლიური ლიტერატურის შესწავლისათვის საჭირო წყაროებზე.

სტუდენტობის პერიოდის ცხოვრებიდან აკ. წერეთელი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა გამოჩენილ უკრაინელ მწერალ — ტარას შევჩენკოსთან შეხვედრას. ტ. შევჩენკო იმ დროს პეტერბურგში ცხოვრობდა. ვინაიდან აკრძალული ჰქონდა სამშობლოში დაბრუნება.

ტ. შევჩენკო თავისი მეგობრის — პროფ. ნ. კოსტომაროვის ოჯახში გაეცნო და დაუახლოვდა ნ. ჩერნიშევსკის და, მისი საშუალებით. „სოვრემენიკი“-ს სხვა გამოჩენილ თანამშრომლებს. ამავე ოჯახში აკ. წერეთელი გაცნობია ტ. შევჩენკოს, რასაც იგი „სიკვდილამდე არ ივიწყებდა“.

იგონებდა რა ამ შეხვედრას 50 წლის შემდეგ, მსცოვანი პოეტი წერდა: „ტარას გრიგოლის ძე შევჩენკო მე ვნახე მხოლოდ ერთხელ ჩემს სიცოცხლეში, — რუსული ისტორიის პროფესორ ნიკოლოზ ივანეს ძე კოსტომაროვისას... ჩემს ქაბუკურ ოცნებას იგი მუდამ ეხატებოდა ბუმბერაზად, რომელსაც თავს ედგა დიდების შარაქანდელი, სინამდვილეში კი ჩემს წინ იდგა ჩვეულებრივი სათნო მოხუცი, უფრო ქანც-გამოლეული, ვიდრე იდეური მებრძოლი“.

მასპინძელმა შეამჩნია ჩემი დარცხვენა, გაისწორა სათვალე და დამიწყო შეკითხვები, რომლებზედაც მე არაერთხელ შემხვედრია პასუხის გაცემა“. ტ. შევჩენკო ძალიან გაკვირვებულა, როცა გაუგია, რომ ქართველებს ძველი დროიდანვე ჰქონდათ წერილობითი კანონები. „ამ ცნობამ ძალიან გააკვირვა შევჩენკო, — წერს აკაკი, — ის უფრო ახლოს მომიჯდა, ლაპარაკის ხალისი მოემატა და დამიწყო გამოკითხვა ბევრი რამის შესახებ“.

— რა ბევრი რამ აქვს საერთო ამ ხალხს ჩვენს ხალხთან. — შენიშნა მან. შევჩენკომ ამოიოხრა და დაიწყო ლაპარაკი უკრაინაზე და სხვ. ლაპარაკობდა სევდიანი კილოთი, მაგრამ გამო-

ცოცხლებული, და მე ველარ ვცნობდი მასში წინანდელ მოხუცს.

ჩვენი საუბარი გაგრძელდა ღამის სამ საათამდე. ჩვენ გავშორდით როგორც მეგობრები და პირობა დავდევით, რომ უფრო ხშირად შევხვედროდით ერთმანეთს. მაგრამ ვაი, რომ ჩემს ბედნიერებას აღარ ეღირსა განხორციელება... მას შემდეგ მე აღარ მომცემია შემთხვევა მასთან შეხვედრისა.

მხოლოდ ეს პირველი და უკანასკნელი შეხვედრა დამრჩა ნათელ ხსოვნად მთელი ჩემი სიცოცხლის მანძილზე. აღვიარებ, რომ მე პირველად მისი სიტყვებიდან გავიგე, თუ როგორ უნდა სამშობლოსა და საკუთარი ხალხის სიყვარული<sup>1</sup>.

აკაკი, ცხადია, მოხიბლა „კობზარის“ ავტორის პატრიოტულმა გრძნობამ, მისმა უსაზღვრო სიყვარულმა სამშობლოსადმი. წით უმეტეს, რომ იგი უკვე იცნობდა სახელოვანი უკრაინელი სახალხო პოეტის მხატვრულ შემოქმედებას. ჩანს, თავის მხრივ, ტ. შევჩენკოც კმაყოფილი დარჩა ახალგაზრდა ქართველი პოეტით, მისი საუბრით მშობლიური ქვეყნის ისტორიის საკითხებზე. მაგრამ ძნელია იმის თქმა, იგრძნო თუ არა შევჩენკომ, რომ იგი გაეცნო მომავალ კოლეგას, რომელსაც. მის მსგავსად, თავისი ხალხის დიდი სიყვარული და პატივისცემა ელოდა.

სტუდენტობის წლები როგორც ი. ჭავჭავაძისათვის, ასევე აკაკისათვის მეტად ნაყოფიერი და გადამწყვეტი მნიშვნელობისა იყო. ამ წლებში მოხდა მისი, როგორც პოეტისა და მოაზროვნის. ჩამოყალიბება. სამშობლოში იგი დაბრუნდა უკვე საქმაოდ ცნობილი პოეტი და რეალიზმისათვის მებრძოლი პოლენისტი, რომელიც მხარში ედგა „ბელინსკის ტომებით შეიარაღებულ“ ი. ჭავჭავაძეს და „ციცკრის“ ფურცლებზე თავისი მწარე და მახვილი ენით პასუხს აძლევდა ახალი იდეების მოწინააღმდეგეთ.

ი. ჭავჭავაძე ჯერ ისევ უნივერსიტეტში იყო, როცა პეტერბურგელ ქართველ სტუდენტებს 1860 წელს შეემატათ ორი ნიქიერი ახალგაზრდა — კ. ლორთქიფანიძე და გ. წერეთელი.

კ. ლორთქიფანიძე და გ. წერეთელი, ჩანს, იმთავითვე გაცნობიან ი. ჭავჭავაძეს, მაგრამ გ. წერეთელი ჯერ კიდევ არ ყოფილა მზად იმისათვის, რომ მასთან საუბარში გარკვეული დასკვნები გაეკეთებია. რაც შეეხება კ. ლორთქიფანიძეს, მას შესიერებიდან არასოდეს წაშლია ი. ჭავჭავაძის სჯა-ბაასი საზოგადოებრივ საკითხებზე და ყოველთვის სიამოვნებით იგონებდა მას.

<sup>1</sup> გახ. „Закавказье“, 1911, № 45.

1861 წლის გაზაფხულზე პეტერბურგში ჩადიან აგრეთვე ნ. ნიკოლაძე, დ. აბღუშელიშვილი და გ. მესხი. ნ. ნიკოლაძე ძალიან ახალგაზრდა იყო, მაგრამ სხვებზე მეტად მომზადებული იმისათვის, რომ საფუძვლიანად გარკვეულიყო რევოლუციონერ-დემოკრატთა ნააზრევში. იგი, ჯერ კიდევ ქუთაისის გიმნაზიაში სწავლის დროს, კითხულობდა ჟურნალ „სო. ვრემენიკს“ და გატაცებული იყო მასში მოთავსებული წერილებით.

1859 წელს ნ. ნიკოლაძე ავად გამხდარა და გიმნაზიაში სიარული ვეღარ მოუხერხებია. შეიღოს გასართობად მამას ჟურნალები გამოუწერია და სხვადასხვა საინტერესო წიგნებიც უშოვნია. „ჩემდა სანუგეშოდ: — წერს ნ. ნიკოლაძე, — მამა მწვდინდა და მიწერავდა წიგნებს და ჟურნალებს, რომელთაც უსაქმურობის გამო გულმოდგინეთ ვკითხულობდი. განსაკუთრებით მაინტერესებდა ბაუმანის „ილიუსტრაცია“. ამ (1859) წელს ეს ჟურნალი დიდ ადგილს უთმობდა საფრანგეთის იმპერატორის მოკვლის განზრახვას, ორსინის გასამართლებას და სიკვდილით დასჯას. გიმნაზიის... ბიბლიოთეკიდან... მიგზავნიდნენ ჟურნალებს — „Русский Вестник“-ის და „Современник“-ის ახალ-ახალ წიგნებს, რომელთაც მე გატაცებით ვკითხულობდი პირველი ფურცლიდან უკანასკნელამდე. ერთი წლის ავადმყოფობის დროს სრულიად ჩამოვრჩი გიმნაზიის კურსს, მაგრამ, სამაგიეროდ, ვადავიკითხე მრავალი რამ... ასე მეგონა, რომ არა მარტო ლიტერატურაში, პოლიტიკაშიაც ჩემთვის საიდუმლო აღარათფერი იყო“<sup>1</sup>.

ამასთან ერთად ნ. ნიკოლაძეს პუბლიცისტური გამოცდილებაც ჰქონდა. ჟურნალ „ცისკარში“ მან გამოაქვეყნა პატარა წერილები, რაც შემდეგ საბაბი გამხდარა მისი უნივერსიტეტში გაგზავნისა<sup>2</sup>.

ნ. ნიკოლაძემ პეტერბურგელ ქართველ სტუდენტებში ერთგვარი სიცოცხლე შეიტანა. მართალია, ნ. ლოლობერიძეზე და სხვა ძალადი კურსის სტუდენტებზე მას აღარ შეეძლო სერიოზული გავლენა მოეხდინა და მათი განწყობილებები შეეცვალა, მაგრამ იგი მალე ახერხებს თავისი პატარა წრის შექმნას. ამ წრეში შედიოდნენ გ. წერეთელი, კ. ლორთქიფანიძე, დ. აბღუშელიშვილი.

<sup>1</sup> ნ. ნიკოლაძე, რჩეული ნაწერები, 1931, ტ. I, გვ. 89.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 90



პათთან მეგობრობდა და მათ სჯა-ბაასს ანგარიშს უწევდა აკ. წერეთელიც.

„მალე ჩვენ პატარა სახლობაში, — წერს ნ. ნიკოლაძე, — ახალი, უფრო პატარა წრე შედგა თავის-თავად: მიჯვადებოდიტ ხოლმე კუთხეში (ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი, დ. აბდუშელიშვილი, კ. ლორთქიფანიძე — დ. გ.)... და ვიწყებდით სჯას, მოაზრებას, „ხმა მალლა ფიქრს“, გავარჩევდით, რაც მანამდე გვსმენოდა. ან წაგვეკითხა, ვსჯიდით თითოეულ აზრს, რომელიც კი თავში გაგვეკრავდა, ვაშენებდით ოცნებებს... ან და ვისხედით ჩუმად, ჩაფიქრებული... მერე მოვშორდებოდით ერთმანეთს, კითხვას ვიწყებდით, და ისევ ერთად „ვსჯიდით ახალ ამოკითხულ აზრებს... ასე ვფიქრობდით ერთად, და ასე ვსჯიდით ერთმანეთის გამოკითხვით ყველაფერს, რასაც კი დავინახავდით, ვგრძნობდით ან შევხვდებოდით...“

მაშინდელი ჩვენი დაახლოვება ხანგრძლივი შეიქნა. ერთად გავატარეთ მთელი ის დრო, რომელიც ჩვენ პეტერბურგში დავრჩით, და შემდეგაც ხშირად შეგვხვედრია ერთად შრომა, ან ერთად ყოფნა... ჩვენ ოთხს ბევრი ახალ-მოსული ყმაწვილი დაგვიახლოვდა შემდეგში, და გვარიანად გადიდდა, გაძლიერდა ის ერთი ნამცეცა<sup>1</sup> წრე... გარწმუნებთ, იმ დროს არც ერთს ჩვენგანს აზრადაც არ ჰქონიათ თავისი კერძო თავმოყვარეობა, ან სარგებლობა. მაშინდელი ჩვენი მუსაიფის ან მსჯელობის საგანი, მაშინდელი ჩვენი შრომის მიზანი ის იყო, თუ რა მოვალეობა გვაწევს კისერზე ხალხისადმი, ან რა სახით უფრო სჯობია მრმზადება ამ მოვალეობის ასასრულებლად... რამდენს იცინებდენ უფროსი სტუდენტები, ამ ჩვენი სჯისათვის ყური რომ მოეკრათ, ან რა ბრძნულად დაგვიწყებდნენ დამტკიცებას, რომ ჯერ ლექციები უნდა შეისწავლოს სტუდენტმა, დიპლომი მიიღოს, კარგი შემოსავლიანი და გავლენიანი ადგილი იშოვოსო სამსახურით და მერე, თუ უნდა, ხალხის ბედზე იფიქროს, ან იზრუნოს... მაგრამ ჩვენ როდილა ვუმხედლით იმათ არც ჩვენს სჯას, არც ჩვენს აზრებს. ისინი თავიანთ გზაზე იდგნენ, ჩვენ ჩვენსას დავადექითო (ხაზი ყველგან ჩემია — დ. გ.)<sup>2</sup>.

როგორც ვხედავთ, ნ. ნიკოლაძემ მალე აღადგინა ქართველ სტუდენტობაში იგივე განწყობილება და მიმართულება, რაც ი. ჭავჭავაძის პეტერბურგიდან წამოსვლის შემდეგ ერთგვარად შეიცვალა.

<sup>1</sup> ნ. ნიკოლაძე რჩეული ნაწერები, 1931, ტ. I, გვ. 76—77.

ნ. დოლობერიძისა და მის თანამგრძნობთაგან განსხვავებით, ნ. ნიკოლაძე და მის გარშემო შემოკრებილი ახალგაზრდობა საზოგადო საქმიან იყო გატაცებული, ახლო ურთიერთობაში იყვნენ რუს და პოლონელ რევოლუციურად განწყობილ სტუდენტობასთან და ღრმად ეუფლებოდნენ ჩერნიშევსკის, დობროლიუბოვისა და მათ თანამებრძოლთა იდეებს.

ნ. ნიკოლაძე და გ. წერეთელი თავიანთ ნაწერებში მეტად თბილად იგონებენ პოლონელ სტუდენტებს, განსაკუთრებით კი ვლადისლავ ხოროშევსკის. პოლონელ და ქართველ სტუდენტთა ახლო მეგობრობას, ცხადია, ობიექტური საფუძველი ჰქონდა. მათ საერთო მიზანს წარმოადგენდა ნაციონალურ-რევოლუციური მოძრაობის გაჩაღება. ამიტომ, ისინი მალე ნახულობდნენ საერთოს და ხშირადაც საუბრობდნენ მათთვის საინტერესო თემებზე.

ნ. ნიკოლაძე პოლონელ სტუდენტებს თავისი ბიძაშვილის დ. ნიკოლაძის ბინაში ვაცნობია. მათ საუბარს ისეთი დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია მასზე, რომ ერთ-ერთი მათგანის მსჯელობით აღფრთოვანებული, იგი შემდეგში იგონებს: „პირველი კაცი, რომელმაც პეტერბურგში პირველი კაცური სიტყვა მითხრა. — ის სიტყვა, რომელიც ცხოვრების ყოველდღიურ ხასიათს ერთბაშად მიგავიწყებს და უცებ იდეალისკენ აგწევს, აგაფრენს, გაგაუმჯობესებს — ეს კაცი გახლდათ. ამგვარი სიტყვისათვის ვიყავი წამოსული რუსეთისაკენ, მისი იმედით მიყვარდა სტუდენტობა...“

რაში მდგომარეობდა ეს სიტყვა? — მთელ მუსაიფში, რომლის მოყვანა აქ შეუძლებელია და რომლის დასაწყისი ამ კითხვამ დასდვა:

— თქვენ ეხლა მთელი რუსეთი გამოიარეთ... ამისთანა შესანიშნავ დროს... იქნება ყური მოკარით... სადმე, გლენი ხალხი რა აზრისაა ახალ მის „განთავისუფლებაზე“<sup>1</sup>.

ჩანს, პოლონელ სტუდენტს თავისი შეხედულებები გამოუთქვამს 1861 წლის საგლეხო რეფორმის და ამ რეფორმის ნამდვილი მიზნის შესახებ. ბუნებრივია, ამ ხანგრძლივ საუბარში (ნ. ნიკოლაძის თქმით, საუბარი მთელი ღამე გაგრძელდებულა) პოლონელი სტუდენტი ბევრ რამეს იტყოდა ეროვნულ-გამათავისუფლებელ ბრძოლებზეც (როგორც ნ. ნიკოლაძე ამბობს, ამ სტუდენტის გვარი შემდეგ პოლონეთის აჯანყების დროს მოკლულთა სიაში ამოუკითხავს).

<sup>1</sup> ნ. ნიკოლაძე. რჩული ნაწერები, 1931, ტ. I, გვ. 46.

ხოლო გ. წერეთელი თავის „მგზავრის წიგნებში“ დიდ ადგილს უთმობს პოლონელი სტუდენტის ხ-სკის (ვლადისლავ ხოროშევსკის) საუბრებისა და შეხედულებების აღწერას. იგი ხ... სკის უპირისპირებს ნ. დოლობერიძეს და აღფრთოვანებულია პოლონელი პატრიოტის რევოლუციური იდეებით. — „ხ...სკის დიდი გავლენა ჰქონდა ჩვენ ახალმოსულებზე... როდესაც ის ლაპარაკობდა, თითქოს შუბლის თხენზე ცეცხლის აღმური ადიოდა, ყოველი აზრი, როგორც ციმციმა ვარსკვლავი ისე ჩაუვარდებოდა თავში იმის გამგონსა. ხ...სკი მზად იყო მამულისათვის თავი შეეწირა. როცა პოლიტიკაზე და სახელმწიფო გამგეობაზე დაიწყებდა ლაპარაკს, იმას თვალწინ სულ თავისი წვალბული ქვეყანა ედგა...“ „ხ-სკი დიდხანს აღარ დარჩენილა უნივერსიტეტში, იმან გაათავა თუ არა კურსი, მაშინვე გასწია თავის ქვეყანაში. მაგრამ მისგან მომხდარი შთაბეჭდილება თანდათან გვიცოცხლდებოდა...“<sup>1</sup> — წერს გ. წერეთელი.

ვფიქრობთ, რომ ნ. ნიკოლაძის აღმაფრთოვანებელი პოლონელი სტუდენტიც სწორედ ვლადისლავ ხოროშევსკი<sup>2</sup> იყო.

1861 წელი ქართველ სტუდენტთა ცხოვრებაში მეტად მნიშვნელოვანი იყო. ბევრმა მათგანმა ამ წელს მიიღო რევოლუციური ნათლობა, — მონაწილეობა მიიღო სტუდენტთა ცნობილ არეულობაში და პეტრეპავლოვსკისა და კრონშტადტის ციხეებში პატიმრობა იგემა.

დაპატიმრებულ სტუდენტთა შორის თერთმეტი ქართველი იყო. მათ შორის ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი, კ. ლორთქიფანიძე, დ. აბდუშელიშვილი, ი. ისარლიშვილი და სხვ.

ნ. ნიკოლაძე სულ რამდენიმე დღის მისული იყო უნივერსიტეტში, როცა უნივერსიტეტის კედლებზე გაიკრა გერცენის ლონდონის ტიპოგრაფიაში დაბეჭდილი პროკლამაცია — „К молодому поколению“, რომლის ავტორები იყვნენ ნ. ვ. შელგუნოვი და მ. ი. მიხაილოვი. პროკლამაციას „ამშვენებდა წვრილი ასოებით დაბეჭ-

<sup>1</sup> გ. წერეთელი. რჩეული ნაწერები, 1947, ტ. I, გვ. 114, 135.

<sup>2</sup> ვ. ხოროშევსკის შესახებ თავის მოგონებებში ლაპარაკობს ლ. პანტელევიც. „Хорошевский, — წერს ის, — во всех отпущенных был выдающийся студент“. Он „не только пользовался большим значением в польской корпорации, но имел и многочисленные знакомства между русскими студентами.... бывал у Чернышевского, Добролюбова“. „Его бесстрашная логика не останавливалась ни перед какими выводами; но сравнительная зрелость лет и суровая школа, которую он прошел, сделали из него в столкновенных с реальною жизнью, как говорится, человека совета и разума“. См. Л. Ф. Пантелеев. Из воспоминаний прошлого, 1934, стр. 92, 93, 94.

დილი ეპიგრაფი, კ. ფ. რილევის მთელი ნაწარმოები: „Я-ль бу-  
ду в роковое время позорить гражданина сам“... „ეს იყო  
პირველი მერცხალი დაწყებული არეულობისაო“<sup>1</sup>. — დასძენს ნ. ნი-  
კოლაძე.

ნ. ნიკოლაძის თქმით, „არავინ შესულა იმის გარჩევაში, თუ  
რამდენად მისაღები თუ მიუღებელი იყო მოწოდების აზრები. ამ  
მხრით ეტყობოდა, რომ ყველანი ერთნებოდნენ მის შინაარსს.  
ჩვენს წრეში არავინ ყოფილა ისეთი, რომ მეფისა და მთავრობის  
დამცველად გამოსულიყო“<sup>2</sup>.

თვით ნ. ნიკოლაძეზე ამ პროკლამაციას მეტი შთაბეჭდილება  
მოუხდენია, ვინემ გერცენის წერილებს, რადგან მასში ამოუკით-  
ხავს მოწოდება ძველი რეჟიმის დასამხობად და არა გამოსასწო-  
რებლად. „პროკლამაცია, — წერს ნ. ნიკოლაძე, — თავიდან ბოლომდე  
ახალი გამოცხადება იყო ჩვენთვის. იმიტომ კი არა, რომ ოპოზი-  
ციონურ ლიტერატურას არ ვიცნობდით, ბევრი ჩვენგანი კითხუ-  
ლობდა „Колокол“-ს, „Полярная звезда“-ს და მაშინ ისკანდერის  
ფსევდონიმით უფრო ცნობილი გერცენის სხვა ცალკე გამოცემებს:  
მაგრამ იქ დაცინვასთან, სარკაზმთან ვეჭონდა საქმე, ეს პროკლა-  
მაცია კი, გარდა იმისა, რომ ცალკე პირებსაც და მთელ მთავრო-  
ბასაც ჰკიცხავდა, მოგვიწოდებდა აშკარა ბრძოლისაკენ ძველი რე-  
ჟიმის დასამხობად, და არა მხოლოდ გასასწორებლად“<sup>3</sup>.

როგორც ვხედავთ, სრულიად ახალგაზრდა ნ. ნიკოლაძე საკ-  
ნაოდ იცნობდა რევოლუციურ-დემოკრატიულ ლიტერატურას და  
ერკვეოდა მის ხასიათში. კერძოდ, იგი გაცნობილი ყოფილა გერ-  
ცენის წერილებს და ცოდნია მათი ღირსება - ნაკლოვანებანიც.

ნ. ნიკოლაძე, სხვა ქართველ სტუდენტებთან ერთად, თავი-  
დანვე აქტიურად მონაწილეობდა სტუდენტთა არეულობაში და  
ციხის კედლებშიც მხნე განწყობილებით შევიდა. ციხეში გა-  
ტარებულ დღეებს მისთვის ფუქად არ ჩაუვლია. აქ იგი დაუახ-  
ლოვდა და უფრო ახლო გაეცნო სხვადასხვა შეხედულებების  
მქონე, მაგრამ ოპოზიციურად განწყობილ ახალგაზრდებს. მათ  
შორის იგი ასახელებს იგნატი პიოტროვსკის („სოვრემენნიკის“  
თანამშრომელს), ლევ სამარინს და ი. როჟდესტვენსკის (ავტორს  
წიგნისას — „Литературное падение М. А. Антоновича и Ю. Г.  
Жуковского“, რის გამო ნ. ნიკოლაძეს უთანხმოება მოსვლია

<sup>1</sup> ნ. ნიკოლაძე, რჩეული ნაწერები, 1931, ტ. I, გვ. 97—98.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 99.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 98.

მასთან) და სხვ. „ყველა ესენი, — ამბობს ნ. ნიკოლაძე, — ჩემთვის ცოცხალ ენციკლოპედიას წარმოადგენდა: ისინი მაძლევდნენ პასუხს ყველა იმ კითხვებზე, რომლებიც მაშინ მაინტერესებდაო“<sup>1</sup>.

პატიმარ სტუდენტებს გადაუწყვეტიათ, თავიანთი ხმა მიეწვდინათ ციხეში მყოფ მ. ი. მიხაილოვისათვის. ი. როჯდესტვენსკის „წერილი“ დაუწერია ლექსად, რომლის პასუხად მ. ი. მიხაილოვს სტუდენტებისათვის მიუწერია: — „Спасибо вам за те слезы, которые вызвал у меня ваш братский привет. С кровью приходится отрывать от сердца все, что дорого, чем светла жизнь. Дай бог лучшего времени, хотя, может, мне уже и не суждено воротиться“<sup>2</sup>.

ამ ბარათთან ერთად სტუდენტებმა მიიღეს აგრეთვე ცნობილი საპასუხო ლექსი: „Крепко, дружно вас в об'ятыя“<sup>3</sup>...

„ადვილი წარმოსადგენია, — ამბობს ნ. ნიკოლაძე. — თუ როგორ იმოქმედებდა ეს ლექსი ჩვენზე: ჩვენ გავიზარდენით ჩვენსავე თვალში და კიდევ უფრო განვმტკიცდით ჩვენს გადაწყვეტილებაში გვებრძოლნა სრულ გამარჯვებამდე, რომ ამით გაგვემართლებინა ჩვენი დანაპირი, რომელსაც აძლევდა როჯდესტვენსკი<sup>3</sup> მიხაილოვს თავის ლექსის ბოლოში: „Возовем из снежной дали сынов свободы и тебя“<sup>4</sup>.

პეტრეპავლოვსკის ციხიდან ნ. ნიკოლაძე, სხვა სტუდენტებთან ერთად, კრონშტადტის ციხეში გადაიყვანეს. აქ იგი ყველაზე მეტად ი. პიოტროვსკისთან დამეგობრებულა, თანაც ბელინსკის ტომების კითხვაში ყოფილა გართული. ი. პიოტროვსკის ნ. ნიკოლაძეში კიდევ უფრო გაუძლიერებია სიყვარული ჩერნიშევსკისა და დობროლიუბოვისადმი. „როცა პიოტროვსკიმ დაინახა, — ამბობს ნ. ნიკოლაძე, — რომ მე ვკითხულობდი ბელინსკის თხზულებ-

<sup>1</sup> ნ. ნიკოლაძე, რჩეული ნაწერები, 1931, ტ. I, გვ. 110.

<sup>2</sup> М. И. Михайлов. Стихотворения, 1950, стр. 263.

<sup>3</sup> ლ. პანტელეევის აზრით, მიხაილოვისადმი გაგზავნილი ეს ლექსი ეკუთვნის არა როჯდესტვენსკის, არამედ ნ. უტინის (იხ. „Из воспоминаний прошлого“, 1934, стр. 102). ეს მოსაზრება უფრო დამაჯერებლად მიაჩნია ს. ა. რეისერსაც, რომელიც ლ. პანტელეევის მოგონებათა კომენტარიებში წერს: „Н. Я. Николадзе утверждает, что автором стихотворения „Из стен тюрьмы, из стен неволи“... был не Н. Утин, а И. А. Рождественский... Это, однако маловероятно“ (стр. 685). პირველყოვლისა, ნიკოლაძე უტინის შესახებ არაფერს არ ამბობს. მეორეც, იგი ისე ზუსტად და დაწვრილებით გადმოგვცემს ამ ამბავს, რომ შეუძლებელია ცდებოდეს. ის ციხეში სწორედ როჯდესტვენსკის გვერდით იყო და მასთან მეგობრობდა. ვინც კარგად იცის ნიკოლაძის მგხსიერების შესახებ, მას ეს გარემოება არ დააეჭვებს.

<sup>4</sup> ნ. ნიკოლაძე, რჩეული ნაწერები, 1931, ტ. I, გვ. 111.

ბათა მერვე ტომს (პუშკინზე), მან ამიხსნა, რომ არა ღირს „წერილ-მანების“ შესწავლა. ყველაფერი რისიც ცოდნა საჭიროა ამ საგნების შესახებ, მშვენივრად არის გადმოცემული და განმარტებული ჩერნიშევსკის ნარკვევებში „Гоголевский период русской литературы“. ეს წერილები უნდა წაიკითხოს ყველა განათლებულმა კაცმა. ხოლო თანამედროვე ისტორიის შესახებ, რომლებსაც უნივერსიტეტებში სრულებითაც არ კითხულობენ,—უნდა გაეცნო მისვე წერილებს... ბევრი ამ წერილთაგანი მე უკვე წაკითხული მქონდა, მაგრამ პიოტროვსკის კომენტარიებმა მათ სულ სხვა, უფრო ღრმა მნიშვნელობა მისცესო“...<sup>1</sup>

როგორც ჩანს, დაპატიმრებულ სტუდენტებს საპრობილე თვით „დაუპყრიათ“ და თავისუფლად დაუწყიათ მსჯელობა მათთვის საინტერესო საკითხებზე; მღეროდნენ ისეთ სიმღერებსაც, რომლებიც სასტიკად იყო აკრძალული და მათ მოსმენას ხშირად ოფიცრობასა და მთავრობის წარმომადგენლებსაც „აიძულებდნენ“. ჩვენს სალიტერატურო სადამოებსა და კონცერტებზე,—ამბობს ნ. ნიკოლაძე, —ესწრებოდა არა მარტო ჩვენი გარნიზონის ოფიცრობა, არამედ კრონშტადტის უმაღლესი მთავრობაც, რომელთა ყოფნა სრულებითაც არ უშლიდა ჩვენს მსახიობებს ემღერათ ხოროთი და სოლოთ აკრძალული სიმღერები, რაც ჩვენს დაუცხრომელ ტაშისცემას იწვევდა. მათ შორის, ყოველთვის ყველაზე მეტი ტაში ერგებოდა ხოლმე ოგარევის ლექსს „თავისუფლება“<sup>2</sup>.

ჩველთუცხოურად განწყობილმა ახალგაზრდებმა, ცხადია, მეტი სასარგებლო ცოდნის მიღება შეძლეს აქ, ვინემ მათ ეს შეეძლოთ უნივერსიტეტში ლექციების მოსმენით. შეიძლება ითქვას, რომ ნ. ნიკოლაძეს პირველი დიდი გამოცდილება მისცა სწორედ სტუდენტთა არეულობამ, პროკლამაციების კითხვამ და პეტრეპავლოვსკისა და კრონშტადტის ციხეებში მოსმენილმა „ლექციებმა“.

ჩერნიშევსკისა და დობროლიუბოვის ნაწერებით გატაცებულ სტუდენტობაზე მეტად მძიმე შთაბეჭდილება მოუხდენია ცნობას დობროლიუბოვის სიკვდილის შესახებ. „მთელ სტუდენტობას თავზარი დასცა ნოემბრის შუა რიცხვებში მოსულმა ცნობამ დობროლიუბოვის სიკვდილის შესახებო“<sup>3</sup>,—იგონებს ნ. ნიკოლაძე. სტუდენტთა შორის დაეაცკი ყოფილა—ვინ იღვა უფრო მაღლა: ჩერნიშევსკი თუ დობროლიუბოვი?

<sup>1</sup> ნ. ნიკოლაძე. რჩეული ნაწერები, 1931, ტ. I, 113—114.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 115.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 116.

როგორც ვხედავთ, ნ. ნიკოლაძე საკმაოდ მდიდარი შთაბეჭდილებებით გამოვიდა კრონშტადტის ციხიდან. მაგრამ მას ან მშობლების წერილობითი პირობა უნდა წარედგინა, რომ მათი შვილი შეზღვევში მონაწილეობას აღარ მიიღებდა მსგავს ამბებში, ანდა სამშობლოში უნდა დაბრუნებულიყო. ამ უკანასკნელი არჩევანის შესახებ ნ. ნიკოლაძე ამბობს: „სამშობლოში გადასახლება... ჩემთვის მაშინ უფრო საშინელი იყო, ვიდრე კატორღაში გაგზავნაო...“<sup>1</sup>

მალე პეტერბურგში მოსულა „კოლოკოლის“ ის ნომერიც, რომელშიც დაპატიმრებულ სტუდენტთა სია და წერილი—„გოლიათი იღვიძებს“ იყო დაბეჭდილი. სტუდენტობის სიხარულს საზღვარი არ ჰქონია. ხუმრობა ხომ არ იყო: მათი სახით ბუმბერაზი რუსეთი იღვიძებდა! სტუდენტთა მღელვარება ახალი ხანის დასაწყისად იყო შეფასებული.

„როგორ არ ავსებულებიყავი სიამაყით და არ მომესურვა მონაწილეობის მიღება შემდეგს გმირულ ბრძოლებშიო“<sup>2</sup>, — ამბობს ამ ამბით კმაყოფილი ნ. ნიკოლაძე. ამასთან, იმავე ხანებში გამოსულა ახალი პროკლამაციები: „Великоросс“-ის სამი ნომერი.

„ყოველივე ამან, და ამით გამოწვეულმა მღელვარებამ და კამათმა, — იგონებს ნ. ნიკოლაძე, — მაიძულა მეძებნა რაიმე საშუალება, რომ პეტერბურგში დაგრჩენილიყავ და თავიდან ამეცილებინა სამშობლოში გამგზავრება. ან კი როგორ წავსულიყავ, როცა უჩემოდ შესაძლოა რევოლუცია მომხდარიყო. გადავწყვიტე რისკი გამეწია, ამოვწერილიყავი წიგნებიდან, როგორც სამშობლოში გაბრუნებული, და ნამდვილად კი გადავსულიყავი ქალაქის ისეთ რაიონში, სადაც პოლიცია არც ისე იწუხებდა თავს... ამისათვის საკმარისი იყო გადავსულიყავი აკაკი წერეთელთან, იმ დროს უკვე ცნობილ პოეტთან. გავიხადე ჩემი პიჯაკი, ჩავიცვი ჩოხა... იმ უბნებში, სადაც სტუდენტობა მრავლად იყო, სრულებითაც არ დავდიოდით. სახლში გართული ვიყავი „Современник“-ის ძველი ნომრების შესწავლით, და ახალ ნომრებს ხომ გატაცებით ვეწაფებოდითო“<sup>3</sup>.

სამაგიეროდ, კოსტიუმის ჩოხით შეცვლამ ნ. ნიკოლაძეს ბედნიერი შემთხვევა არგუნა. ამ ჩოხის წყალობით მან გაიცნო ნ. ჩერნიშევსკი და მათ შორის სამუდამო ნაცნობობას ჩაეყარა საფუძველი. „შობის დღესასწაულის წინ, — იგონებს ნ. ნიკოლაძე, —

<sup>1</sup> ნ. ნიკოლაძე. რჩეული ნაწერები, 1931, ტ. I, გვ. 120.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 120—121.

ჩემთან მოვიდა ორი ახალგაზრდა და მომხიბვლელი მანდილოსანი: ერთმა მათგანმა, უფროსმა, მითხრა, რომ ის არის ჩერნიშევსკის მეუღლე და მთხოვა მეთხოვებინა მისთვის სამასკარადოთ ჩემი ჩერქეზული კოსტიუმი. ამ ქალის შესახებ მე ბევრი რამ მსმენოდა აშხანაგებისაგან, რომელნიც გაეცნენ მას ჩვენი პატიმრობის დროს და ხშირი სტუმრებაც იყვნენ მის ოჯახში.

თავისთავად იგულისხმება, რომ მე მაშინვე შევასრულე მისი თხოვნა... როდესაც მიდიოდა, ბრძანების კილოთი დამაველა — ხვალვე მივსულიყავი მასთან კოსტიუმისათვის და ჩაიხე „მე თქვენ გაგაცნობთ ჩერნიშევსკის“. მე არ მჯეროდა ჩემი ბედნიერება, სიხარულისაგან კინალამ გონება დავეკარგე.

როგორც იყო, წუთებისა და საათების თვლით, ველირსე შემდეგ საღამოს... სტუმრები უკვე სასადილო დარბაზში უსხდნენ ჩაის, დიასახლისი ასხავდა ჩაის, მხოლოდ თვით ჩერნიშევსკი კი ოთახში არ იყო. ოღვა სოკრატოვნამ მითხრა, რომ ის მალე მოვაო. მაგიდის გარშემო ისხდნენ თორმეტამდე სტუმარი, მათ შორის მხოლოდ ორი ქალი იყო... სტუმრების უმრავლესობას შეადგენდნენ ქართველი სტუდენტები უმაღლესი კურსებიდან... ბაასის დედააზრი, რომელიც ჩემს მეხსიერებაში დარჩა, იმაში მდგომარეობდა, რომ ერთი სტუდენტთაგანი, ივანე ანდრონიკაშვილი, შემდეგში კახეთის გამორჩენილი მევენახე, აღფრთოვანებული იყო სენატში მიხაილოვის უშიშარი საქციელის ამბით, რომელმაც აქ გამოააშკარავა მთელი თავისი შეხედულებანი და თავის დასაცავად სიტყვის ნაცვლად საბრალმდებლო სიტყვა წარმო-სთქვა მთავრობის წინააღმდეგ. ჩერნიშევსკის მეუღლემ შეაწყვეტი-ნა მას მისი აღფრთოვანება შენიშვნით, რომ ნიკოლოზ გაბრიელის ძე (მისი ქმარი) ძალიან სწუხს მიხაილოვის ასეთი საქციელის გამო. მისთვის სრულიადაც არ იყო საჭირო გამოტეხილიყო, არამედ ყოველივე ღონისძიება უნდა ეხპარა, რაც კი შესაძლებელი იყო, თავის გადასარჩენად. ჩვენ არც იმდენად მრავალრიცხოვანი ვართ, რომ თვითვე გავყოთ თავი სახრჩობელას თოქშიო. ანდრონიკაშვი-ლი უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა, მაგრამ საწინააღმდეგო არა უთქვამს რა, მით უმეტეს, რომ დარბაზში შემოვიდა ჩერნი-შევსკი, რომელმაც დაამოწმა მისი მეუღლის სიტყვები ორი-სამი ნაჩქარევით წარმოთქმული წინადადებით იმის შესახებ, რომ სი-სულელეა გულახდილობა ხელისუფალთა წინაშე, რომელთაც, სულ-ერთია სიტყვებით ვერაფერს ჩააგონებ. ამ დროს მისმა მეუღლემ გააცნო ჩემი თავი ჩერნიშევსკის და დაუმატა, რომ მე ერთერთი



ციხეში ნამყოფთაგანი ვარ. მან მლიმარე სახით მომცა რამდენიმე კითხვა ჩემი შთაბეჭდილების შესახებ...

როდესაც ვეთხოვებოდი, ჩერნიშევსკის მეუღლემ მითხრა, ყველა დიასახლისისათვის ჩვეულებრივი ფრაზა: ხშირად შემოიარეთო. მე კი, მიუხედავად ჩემი დიდი სურვილისა, არ შემეძლო მორიდებული არ ვყოფილიყავი... მალე ქ-ნ ოლგას დას ისევ დასკირდა ჩოხა-ახალუხი და იმათ გამოიარეს ჩემთან ეტლით... და წამიყვანეს თავისას. თანდათან შევეჩვიე იმათ და აღარ ვმორცხვობდი. სხვა ქართველ სტუდენტთა მსგავსად, რომელნიც ყოველ დღე იყვნენ მათ სახლში (ხაზი ჩემია — დ. გ.), მეც მოვშინაურდი<sup>1</sup>.

ნ. ნიკოლაძე ამის შემდეგ მართლაც ხშირი სტუმარი იყო ნ. ჩერნიშევსკის ოჯახისა პეტერბურგში, თუ ზაფხულობით — პავლოვსკში. იგი სისტემატურად ხვდებოდა ნ. ჩერნიშევსკის და მასთან დაახლოებულ სხვა გამოჩენილ მოღვაწეებს.

როგორც ნ. ნიკოლაძე გადმოგვცემს, ნ. ჩერნიშევსკი არცთუ ისე ხშირად გამოდიოდა სასაუბროდ სტუმრებთან, რომლებსაც მისი მეუღლე ოლღა სოკრატის ასული უმასპინძლდებოდა. ამასთან, ბევრს არ ჰქონდა იმის უფლება, რომ ჩერნიშევსკისთან თავისუფლად შესულიყო სამუშაო ოთახში. „ერთად ერთი პირი, — ამბობს ნ. ნიკოლაძე, — რომელიც თავისუფლად შედიოდა მის კაბინეტში, მ. ა. ანტონოვიჩი იყო, რომელსაც ჩვენ დობროლიუბოვის მემკვიდრედ ვთვლიდითო“<sup>2</sup>.

ნ. ჩერნიშევსკის მრავალ სტუმართა შორის, ასეთივე უფლებით ყოფილა აღჭურვილი პოლონელი პოლკოვნიკი სერაკოვსკიც, რომლის შესახებ ნ. ნიკოლაძე ასეთ საინტერესო ცნობას გვაწვდის: ჩერნიშევსკის სტუმართა შორის „ჩემს განსაკუთრებულ ყურადღებას... იპყრობდნენ სამხედრო პირნი, გენერალური შტაბის ოფიცრები, რომელთა შორის ბევრი პოლკოვნიკი იყო, მაგრამ ერივნენ გენერლებიც. მახსოვს მამაცი გამომეტყველების პოლკოვნიკი სერაკოვსკი... რომლის შესახებ ქ-ნი ოლგა გვეუბნებოდა, რომ ნ. გ. [ჩერნიშევსკი] ძალიან აფასებს მას, როგორც ქვეიანსა და მრავალმხრივ განვითარებულ კაცსო. ისიც თავისუფლად შედიოდა ჩერნიშევსკისთან კაბინეტში და დიდხნობით იჯდა მასთან. როცა ისინი ერთად გამოდიოდნენ კაბინეტიდან, მე ყოველთვის მაკვირვებდა ღრმა პატივისცემა, რომელსაც სერაკოვსკი იჩენდა ჩერნიშევსკი-

<sup>1</sup> ნ. ნიკოლაძე. რჩეული ნაწერები, 1931, ტ. I, გვ. 121—122.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 123.

სადმი. განა შეეძლო ვინმე ჩვენგანს წარმოედგინა, რომ ერთი წლის შემდეგ იგი ჩამოხრჩობილ იქნებოდა ეილნოში მურავიოვის მიერ?“<sup>1</sup> — დასძენს ნ. ნიკოლაძე.

უნივერსიტეტის დახურვის შემდეგ, ნ. ნიკოლაძე თავის ცოდნასა და გამოცდილებას ამდიდრებდა ჩერნიშევსკის ოჯახში და ნ. ა. სერნო-სოლოვიევიჩის წიგნის მალაზიასა და სამკითხველოში, სადაც იკრიბებოდნენ იმ დროს გამოჩენილი პირები და საუბარი ჰქონდათ ახალი პოლიტიკური და ლიტერატურული მოვლენების შესახებ.

უნივერსიტეტს მოწყვეტილ პროგრესულად მოაზროვნე სტუდენტებს დაუწყიათ ლიტერატურული საღამოების გამართვა. ერთ ასეთ საღამოზე ჩერნიშევსკისაც მიუღია მონაწილეობა. იგი გამოსულა მოგონებით დობროლიუბოვის შესახებ. ჟურნალის ფურცლების მიხედვით სტუდენტებს, ბუნებრივია, ჩერნიშევსკიზე ისეთი შეხედულება ჰქონიათ, რომ იგი მეტად მკაცრი და პირდაპირი იყო. მაგრამ ამ საღამოს მას მეტად თავშეკავებულად და ზომიერად ულაპარაკნია, რის გამო სტუდენტობა გაკვირვებული და ცოტა ნაწყენიც კი დარჩენილა. თუმცა მათ მალე გაუგიათ, თუ რა იყო ასეთი სიფრთხილის მიზეზი და რა ბედი ეწვია იმ ორატორს, რომელიც გაბედულად გამოვიდა. „მხოლოდ მაშინ ვაპატიეთ ჩვენ ჩერნიშევსკის, — ამბობს ნ. ნიკოლაძე, — მისი სიფრთხილე, და მივხვდით, რომ თავისდაკერით მან თავი მოარიდა ამავე ბედსო“<sup>2</sup>.

კრონშტადტის ციხიდან გამოსვლის შემდეგ ნ. ნიკოლაძე ქართველ სტუდენტებთან ცხოვრობდა, მაგრამ მეტ დროს ციხეში გაცნობილ ამხანაგებთან ატარებდა, რადგან ბევრსა და ახალს გებულობდა მათი საშუალებით. პიოტროვსკის სიკვდილის შემდეგ, იგი ახლო მეგობრობაში იყო ლევ სამარინთან და როჟდესტვენსკისთან, რომელთა წყალობით გაიცნო ე. სტოპაკევიჩიც, — „სოვრემენნიკის“ მთავარი კორექტორი.

ე. სტოპაკევიჩი ნ. ნიკოლაძისათვის მეტად საინტერესო და საყვარელი ადამიანი გამხდარა. იგი მას აცნობდა „სოვრემენნიკის“ წერილებს კორექტურაში, დაბეჭდვამდე რამდენიმე კვირით ადრე. „მასთან (სტოპაკევიჩთან — დ. გ.) საბოლოოდ ჩავები მოწინავე მოძრაობის ინტერესებშიო“<sup>3</sup>, — ამბობს ნ. ნიკოლაძე.

ე. სტოპაკევიჩის წყალობით, ნ. ნიკოლაძე „სოვრემენნიკის“ ნომრების მომზადებისა და ბეჭდვის ისტორიის კურსში იყო,

<sup>1</sup> ნ. ნიკოლაძე, რჩეული ნაწერები, 1931, ტ I, გვ. 123—124.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 128.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 129.

ამასთან გაეცნო რევოლუციურ საქმიანობაში ჩაბმულ ბევრ ახალგაზრდას. ნ. ნიკოლაძე იგონებს: „ჯერ მე მაინტერესებდა „სოვრემენნიკის“-ს ხელნაწერების შედარება ცენზურაში გატარებულ ფურცლებთან, რომელიც ხშირად ბრუნდებოდა წითელი მელნით დაჩითული. ზოგჯერ ფურცლებს სრულებითაც აღარ აბრუნებდნენ. მათ მაგიერ სხვა ფურცლებზე ეწერა ხოლმე: „ეს და ეს წერილი დაკავებულია ცენზურულ კომიტეტში წარსადგენად“, — რაც იმას ნიშნავდა, რომ წავიდა და დაიკარგაო. მე დახარბებით ვკითხულობდი ასეთი წერილების ხელნაწერებს ან „თეთრ ფურცლებს“. რომლებიც მზადდებოდა ავტორებისა და რედაქციისათვის. მალე ჩემი ინტერესი უფრო გააძლიერა სტოპაკევიჩის მეგობარი მოსკოველი სტუდენტების მისელა-მოსვლამ; ესენი იყვნენ არაგიროპულო, ზაიჩნეცკი და საბლინი (უფროსი). ისინი დადიოდნენ ყოველთვის ცალ-ცალკე და ყოველთვის ერთი და იმავე ჩემოდნით, რომელიც გატენილი იყო ახლადდაბეჭდილ ლიტოგრაფიულ რვეულებით, ბიუხნერისა და ფეიერბახის მატერიალისტური თხზულებებითა, რომელთაც საიდუმლოდ ცემდა ეს წრე: „ძალა და მატერია“, „რელიგიის არსი“ და სხვა. იმ ჯერზე მათ მოიტანეს ახალი გამოცემის დასაწყისი: „ქრისტიანობის არსი“, რომელიც მეც ავიღე გასაჯაროებლად ქართულ წრეებში. ამ ყმაწვილებს თავი ეჭირათ როგორც ნამდვილ შეთქმულებს... ეს ყმაწვილები მე რამდენჯერმე ჩერნიშევსკის სახლშიც შემხვედნო“<sup>1</sup>.

სტოპაკევიჩის დახმარებით, ნ. ნიკოლაძე, მართლაც, საბოლოოდ ჩაება რევოლუციურ საქმიანობაში. მისი აზროვნება ვითარდებოდა მხოლოდ და მხოლოდ ჩერნიშევსკისა და მასთან დაახლოებული მოღვაწეების შეხედულებათა გავლენის ქვეშ. თავის მხრივ, ნ. ნიკოლაძეს უურადლებითა და პატივისცემით ეპყრობოდნენ თვით ჩერნიშევსკი და მისი იდეებით გატაცებული ახალგაზრდები, რომლებიც კარგად ხედავდნენ, რომ იგი არ იყო ზედმეტი და უიმედო წევრი მათ საზოგადოებაში. სწორედ ამ პერიოდს ეკუთვნის ის წარწერა, რომელიც ე. სტოპაკევიჩს გაუკეთებია თავისი პიესის<sup>2</sup> ნ. ნიკოლაძისადმი მიძღვნილ ამონაბეჭდზე: „Будущему витязю Имеретии, другу несчастного крестьянина и ревнителю демократизма, Николаю Яковлевичу Николадзе на память от автора, 9 июня 1862 г.“.

<sup>1</sup> ნ. ნიკოლაძე. რჩეული ნაწერები, 1931, ტ. I, გვ. 129—130.

<sup>2</sup> იგულისხმება პიესა — „Родные картины“, რომელიც დაიბეჭდა „სოვრემენნიკში“ (1862, № 5).

ეს წარწერაც ჩვენი ნათქვამის დადასტურებას წარმოადგენს. ნ. ნიკოლაძე დიდი ინტერესით აღევნებდა თვალს ახალ პოლიტიკურ და ლიტერატურულ მოვლენებს, ამასთან ბეჯითად მუშაობდა თვითგანვითარებისათვის. ბელინსკის თხზულებანი, გერცენის „წერილები ბუნების შესწავლის შესახებ“ და ჟურნალ „ოტეჩესტვენნიე ზაპისკის“ ძველი ნომრები მისი მაგიდის წიგნები იყო ამ პერიოდში.

1862 წლის ზაფხულში, პავლოვსკში მყოფი ნ. ნიკოლაძე საცხოვრებლად გადადის ნ. ჩერნიშევსკის ოჯახში და ოლგა სოკრატის ასულის ძმასთან ერთად ცხოვრობს. ამით მას საშუალება მიეცა კიდევ მეტად დაახლოებოდა ნ. ჩერნიშევსკის და ჩაწვდომოდა მის ღრმა აზრებს. ამ მიმართულებით მას დიდად ეხმარებოდა ოლგა სოკრატის ასულიც, რომელიც მას აცნობდა თავისი ქმრის შეხედულებებს მისთვის საინტერესო საკითხებზე. „[მე] ვუზიარებდი ოლგა სოკრატის ასულს ჩემს ნაფიქრს სადღეისო ლიტერატურულ და პოლიტიკურ საკირობოროტო საკითხების შესახებ. ის კი გადმომცემდა მისი ქმრის აზრებს ამავე საკითხებზეო“<sup>1</sup>, — იგონებს ნ. ნიკოლაძე.

თვითონ ნ. ჩერნიშევსკი, როგორც ჩანს, ფრთხილობდა უშუალოდ და პირდაპირ ექადაგა თავისი შეხედულებები მის მრავალრიცხოვან პატივისმცემელთა შორის. „მის საუბარს, — წერს ნ. ნიკოლაძე, — მეტ წილად ირონიული ხასიათი ჰქონდა. იგი ყოველთვის ხუმრობით ან ალეგორიებით ლაპარაკობდა, ან ისეთ პასუხს იძლეოდა, რომ მათი გაგება ასეც შეიძლებოდა და ისეც, და ზოგჯერ სრულებითაც ვერას მიხვდებოდიო...“<sup>2</sup>; თუმცა, ჩანს, რომ ზოგჯერ მასაც უძნელდებოდა თავი შეეკავებია პირდაპირი მსჯელობისაგან, რის გამო საჭირო ხდებოდა ოლგა სოკრატის ასულის მოხერხებული ჩარევა საუბარში.

იმის გასათვალისწინებლად, თუ რა მიმართულებით მდიდრდებოდა ჩერნიშევსკის ოჯახთან დაახლოებულ სტუდენტთა ცოდნა, შეიძლება წარმოდგენა ვიქონიოთ ნ. ნიკოლაძის იმ სიტყვებით, რომლებითაც ის გამოხატავს თავის შთაბეჭდილებებს: „მას [ჩერნიშევსკის — დ. გ.] ძალიან კარგად ესმოდა მასის ინერციის ძალა და იცოდა, რომ ბოლოს და ბოლოს პროგრესი ერთბაშად ვერ გაიმარჯვებდა, რომ იქნებოდა რამდენიმე და საკმაოდ ბევრი გამარჯვებაც და დამარცხებაც. ბოლოს და ბოლოს, ამაში ეჭვი არ

ნ. ნიკოლაძე. რჩეული ნაწერები, 1931, ტ. I, გვ. 137.

<sup>1</sup> იქვე, გვ. 130.

იყო, გაიმარჯვებდა სიმართლე და გონიერება, მაგრამ ეს ჩქარა არ მოხდებოდა, რომ არა ერთი თაობა, — ამას იგი ჩვენ. ახალგაზრდობას, არ გვიმალავდა, — შეეწირება მსხვერპლათ კეთილის გამარჯვებას. მაგრამ მას იმავე დროს ექვი არ ეპარებოდა იმაში, რომ სასოწარკვეთილება, რომელმაც მოიცვა უმაღლესი წრეები ყირიმის ომის შემდეგ, ლოგიკურის აუცილებლობით მიიყვანდა რევოლუციამდე, რომლის გამარჯვება ხანგრძლივი არ იქნებოდა და რომელიც გამოიწვევდა სასტიკ რეპრესიებს რეპუციის მხრით მოწინავე ელემენტების წინააღმდეგ. მან იცოდა, რომ დაიღუპებოდა, მაგრამ არ იცოდა, რომ ეს ისე მალე მოხდებოდა. ერთი რამ მაკვირებდა მასში: ეს იყო მისი უზომო რწმენა, რომელიც მეც კი გადაქარბებულად მეჩვენებოდა, რწმენა სიმართლის უძლეველი ძალისა. იგი დარწმუნებული იყო, რომ ყოველივე, რაც გონიერია, უძლეველია ბოლოს და ბოლოს, რომ პროგრესი შეუჩერებელი და უკვდავია და კიდევ მას ჰყავდა ერთი ფეტიში — ხალხი. რახან ხალხში ერთხელაც არის გადავარდა ქეშმარიტების თესლი, შეუძლებელია მას არ დახედეს იქ კეთილი ნიდაგი: იგი აუცილებლად ამოვა და მოიტანს დიდ მოსავალს, სასარგებლო ნაყოფს. რამდენჯერმე მინახავს ჩერნიშევსკი ამ თემაზე მოკამათე: სად იყო მაშინ მისი ირონია? ამ იშვიათ წუთებში მას ჰქონდა უკვე შეხედულება ნამდვილი მოქადაგის, ფანატიკოსის. ასეთ წუთებში ოლგა სოკრატის ასული, რომელიც საზოგადოდ არ მონაწილეობდა ხოლმე ქმრისა და სტუმრების საუბარში, ჩაერეოდა კამათში და მოხერხებულად სპობდა მას<sup>1</sup> (ხაზი ჩემია — დ. გ.).

თავისი მეუღლის დახმარებით, ნ. ჩერნიშევსკი მშვენივრად ახერხებდა უშუალოდ გაცნობოდა მოწინავე სტუდენტობას, დაენერგა მათში რევოლუციური იდეები და გაეღვიძებია პატრიოტული გრძნობები. როგორც ნ. ნიკოლაძე ამბობს, ჩერნიშევსკი გლახთა აჯანყებებთან ერთად დიდ მნიშვნელობას აძლევდა სტუდენტთა მღელვარებასაც. — „მას იმედი ჰქონდა, პროპაგანდა შეუწყვეტილად გაიზრდებოდა იმ წრეებში, სადაც მოხდებოდნენ სტუდენტები კურსის დამთავრების ან შეწყვეტის შემდეგო“<sup>2</sup>.

უნდა პირდაპირ ითქვას, რომ ნ. ჩერნიშევსკი, — უაღრესად ნიჭიერი და კონსპირატორი პოლიტიკური მოღვაწე, საგანგებო ყურადღებით ეკიდებოდა რუსეთის იმპერიაში შემაჯავალ სხვადასხვა

<sup>1</sup> ნ. ნიკოლაძე. რჩეული ნაწერები, 1931, ტ. I, გვ. 139—140.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 139.

ეროვნებათა წარმომადგენელ სტუდენტობას, განსაკუთრებით პოლონელ და კავკასიელ სტუდენტებს. ეს გარემოება კი შემთხვევითი ხასიათისა არ იყო. შორსმჭვრეტელი პოლიტიკოსი კარგად ითვალისწინებდა, რომ მათი სახით სამშობლოს უბრუნდებოდნენ ახალგაზრდა, მომზადებული ინტელიგენტები, რომელთაც დიდი როლის შესრულება შეეძლოთ რევოლუციური იდეების ქადაგების საქმეში. ამასთან, ჩერნიშევსკი სწორად ვარაუდობდა იმასაც, რომ პოლონელი და კავკასიელი სტუდენტები, რომლებიც ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლებით იყვნენ გატაცებულნი, მისი რევოლუციური-დემოკრატიული იდეების ერთგულნი იყვნენ.

1861 წ. სტუდენტთა არეულობის მონაწილე — იაკობ ისარლიშვილის გადმოცემით, ნ. ჩერნიშევსკის ოჯახთან დაკავშირებული იყო პეტერბურგში მყოფი თითქმის ყველა ქართველი სტუდენტი, რომლებმაც შემდეგ თავი ისახელეს თავიანთ სამშობლოში. მისი თქმით, „Кружок грузин—студентов, среди которых были лица, сыгравшие немного позже весьма крупную роль в создании периодической печати на Кавказе и внесшие вообще в общественную жизнь Кавказа большое оживление, сильно тяготел к редакции „Современника“. Некоторых из нас общительность и радушие, которые мы встречали в семье Чернышевского, сильно привлекали на вечера, экспромтом устраивавшиеся в этом доме...“; „В числе посещавших дом Чернышевского кавказцев, я помню Н. Я. Николазе, Г. Е. Церетели и Н. В. Гогоберидзе... Там не редко мы встречали молодых сотрудников „Современника“: Н. А. Добролюбова, Пиотровского, Пантелеева и др.“<sup>1</sup>.

უეკველია ისიც, რომ ამ ახალგაზრდების ნ. ჩერნიშევსკისთან დაახლოების საქმეში დიდ როლს ასრულებდა ოლგა სოკრატის ასული, რომელიც, ჩანს, თავისი მეუღლის ყველაზე უახლოესი თანაშემწე იყო კონსპირატიულ მუშაობაში. ცხადია, შემთხვევითი არაა, რომ კავკასიელი და, კერძოდ, ქართველი სტუდენტები ჩერნიშევსკის ოჯახის ხშირი სტუმრებია; ეს ოჯახი მათთვის ის უნივერსიტეტია, სადაც რევოლუციური იდეებს ეცნობიან და ხალხის სამსახურისათვის ემზადებიან.

ქართველ მოღვაწეთა მოგონებების მიხედვითაც აშკარა ხდება, რომ ოლგა სოკრატის ასული უახლოესი დამხმარე და თანამოაზრე

<sup>1</sup> Г. М. Туманов. Характеристика и воспоминания, 1913, I, стр. 230—231—232.

იყო ნ. გ. ჩერნიშევსკისა, მის პოლიტიკურ და ლიტერატურულ საქმიანობაში. მას დიდი ღვაწლი მიუძღვის არა მარტო ნ. ჩერნიშევსკის გარშემო ახალგაზრდობის დარაზმვის საქმეში, არამედ პროგრესული იდეების გავრცელებისათვის ბრძოლაშიც.

როგორც უკვე გავიცანით, ოლგა სოკრატის ასული სტუდენტ ახალგაზრდობას ხშირად აცნობდა მისი მეუღლის შეხედულებებსა და თვალსაზრისს ამა თუ იმ პოლიტიკური და ლიტერატურული მოვლენის შესახებ, ახედრებდა მათ ნ. ჩერნიშევსკისთან და თვითონაც ყურადღებით უსმენდა მათ საუბარს, რათა, საქირო შემთხვევაში, მოხერხებულად შეეცვალა საუბრის თემა, ვინაიდან გრძნობდა, რომ მსჯელობით ვატაცებულნი ნ. გ. ჩერნიშევსკი მეტად პირდაპირ და აშკარად ლაპარაკობდა მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენების შესახებ. რაც შეეხება საერთოდ მზრუნველობას მეუღლისადმი, ამ მხრივ, ოლგა სოკრატის ასული იდეალური პიროვნება იყო. ნ. ნიკოლაძის თქმით, „ოლგა სოკრატის ასული ზრუნავდა ჩერნიშევსკიზე ისე, როგორც მხოლოდ დედას შეუძლია იზრუნოს ძუძუთა ბავშვზე“<sup>1</sup>.

საწმუხბაროდ, ოლგა სოკრატის ასულის როლი ნ. ჩერნიშევსკის საქმიანობაში დღემდე მეტად არაობიექტურად იყო გაშუქებული. ამ მხრივ უაღრესად საგულისხმოდ შეხედულებები გამოთქვა პროფ. ვ. შულგინმა. მისი უდავოდ სამართლიანი თქმით, „Как друг, помощник Чернышевского прошла Ольга Сократовна свою жизнь... Она принимала участие в подпольной революционной работе... Она все знала и никому не сказала ничего. Она вдохновляла музу Некрасова, суровые статьи Чернышевского и Добролюбова. И то, что десятилетиями травили ее либералы, говорит именно о том, что в ее лице они видели своего врага. Ольга Сократовна была другом Чернышевского“<sup>2</sup>.

ოლგა სოკრატის ასულს, ცხადია, ყველაზე კარგად იცნობდა თვით ნ. გ. ჩერნიშევსკი, რომელიც მასში ხედავდა არა მხოლოდ უახლოეს მეგობარს, არამედ თანამოაზრესა და თანამებრძოლს. უკვე ციხეში მყოფი ნ. გ. ჩერნიშევსკი თავის მეუღლეს სწერდა: „Наша с тобой жизнь принадлежит истории; пройдут сотни лет, а наши имена все еще будут милы людям; и будут вспоминать о нас с благодарностью, когда уже забудут почти всех, кто жил в одно время с нами“<sup>3</sup>.

<sup>1</sup> ნ. ნიკოლაძე. რჩეული ნაწერები, 1931, ტ. I, გვ. 138.

<sup>2</sup> Проф. В. Шульгин. Ольга Сократовна—жена и друг Чернышевского. См. журнал „Октябрь“, 1950, № 8.

<sup>3</sup> И. Г. Чернышевский. Полн. собр. соч., т. XIV, стр. 456.

ბ. გ. ჩერნიშევსკის არ დაუმალავს არც ის, რომ არა მარტო იგი, არამედ მისი თანამებრძოლებიც დიდად იყვნენ დავალებულნი ოლგა სოკრატის ასულის შინაარსიანი პიროვნებით, ერთ-ერთ წერილში ბ. ჩერნიშევსკი თავის მეუღლეს ატყობინებს, თუ როგორ დიდ პატივს სცემდნენ მას ნეკრასოვი და დობროლიუბოვი. „Оби-жал тебя даже Некрасов, — წერს ის ოლგა სოკრატის ასულს, — да, и он, охладѣвший к людям, изуверившийся в них, был ободрен к своей поэтической новой деятельности впечатле-нием, какое производила ты на него. Саша (в поэме, назы-вающейся ее именем), Катерина в „Коробейниках“, княгиня Трубечкая (задуманная им: еще при мне) — все это твои пор-треты. Без знакомства с тобою он не написал бы ни этих дивных поэм, ни многого другого, наилучшего в его произве-дениях... Половиной деятельности Некрасова, почти всею дея-тельностью Добролюбова... русское общество обязано тебе“<sup>1</sup>.

აი, როგორ შეაფასა ბ. გ. ჩერნიშევსკიმ ოლგა სოკრატის ასულის წვლილი, და ეს როდია უბრალო პათოსის შედეგი. ბ. გ. ჩერნიშევსკის მორალურ მოვალეობას შეადგენდა ისტორიისათვის არ დაემალა მისი უახლოესი თანაშემწის დამსახურება რუსული საზოგადოების წინაშე.

დღეისათვის ცნობილია ბევრი ისეთი ქართული მასალა, რომე-ლიც უფლებას გვაძლევს ბ. გ. ჩერნიშევსკის მოკრძალებულ შეფა-სებას დაეუმატოთ, რომ ოლგა სოკრატის ასულით დავალებულია გამოჩენილი ქართველი სამოციანელები და ამდენად ქართველი სა-ზოგადოებრიობაც.

მართალია, დღეისათვის უფრო ნათელი გახდა ბ. გ. ჩერნი-შევსკისა და მისი მეგობრის — ოლგა სოკრატის ასულის ურთიერ-ობის ღრმა შინაარსი, მაგრამ ბევრისათვის, და მათ შორის მე-სამე განყოფილებისათვისაც, არც მაშინ ყოფილა მთლიანად შე-უმჩნეველი. ერთ-ერთ იმდროინდელ საიდუმლო დოკუმენტში ვკი-თხულობთ, რომ „Жена Чернышевского была ему большой помощницей, привлекая собою, как молодая женщина, и... экзальтированная, студентов и молодежь“<sup>2</sup>.

ბ. გ. ჩერნიშევსკის დაპატიმრებამ და ოლგა სოკრატის ასუ-ლის სარატოვში გამგზავრებამ, ბუნებრივია, თავზარი დასცა მათ

<sup>1</sup> Н. Г. Чернышевский. Полн. собр. соч., т. XV, стр. 701.

<sup>2</sup> ციტატი მოგვყავს პროფ. ვ. შულგინის ზემოთ დასახელებული სტატიიდან.



პატივისმცემლებს და მათ შორის ქართველ სტუდენტებსაც. მეტად მძიმედ განუცლია ეს ამბავი, კერძოდ, ნ. ნიკოლაძეს, რომელსაც შესაძლებლობაცა და ცოდნაც ჰქონდა უკვე გამოსულიყო პეტერბურგის პრესის ფურცლებზე, მაგრამ მაინც სამშობლოში გამოემგზავრა. გამომგზავრებამდე რამდენიმე კვირით ადრე კი მან „ისკრაში“ გამოაქვეყნა თავისი მოთხრობა სტუდენტთა ცხოვრებიდან.

ასევე მოიქცა გ. წერეთელიც, რომელმაც საკმაოდ შინაარსიანი სკოლა განვლო პეტერბურგში სწავლითა და ცხოვრებით. მან მალე აუღო ალლო ახალ ცხოვრებას და მთელი ახალგაზრდული გატაცებით თანაუგრძობდა რევოლუციურად განწყობილ ახალგაზრდობას. იგი უშუალოდ იცნობდა ჩერნიშევსკის და ხშირი სტუმარი იყო მისი ოჯახის. ნიკოლაძესთან ერთად, მან ჯერ კიდევ პეტერბურგში ყოფნისას შეიმუშავა თავისი ესთეტიკური და პოლიტიკური შეხედულებანი. ამას მოწმობს მისი სტატია „ცისკარს რა აკაკანებდა“, რომელიც დაიბეჭდა 1863 წელს ი. ქავჭავაძის „საქართველოს მოამბეში“ (№ 5).

1863 წლის დასასრულს გიორგი წერეთელი პეტერბურგიდან საქართველოში დაბრუნდა. ამის შემდეგ ჯერ თავის სოფელში, ხოლო 1864 წლიდან თბილისში ცხოვრობდა. სულ მალე მან სახელი მოიხვეჭა, როგორც ნიქიერმა და ნაყოფიერმა ლიტერატურულმა მოღვაწემ.

რაც შეეხება კ. ლორთქიფანიძეს, მან კვლავ პეტერბურგში დარჩენა ამჯობინა და „დემოკრატიული შინაარსის პუბლიცისტური სტატიების ბეჭდვით, რევოლუციონერი პოეტების ნაწარმოებთა თარგმნითა და საგამომცემლო მუშაობით ხელს უწყობდა საქართველოში ახალი იდეების დამკვიდრებას“<sup>1</sup>.

ამგვარად, ი. ქავჭავაძე, აკ. წერეთელი და გ. წერეთელი 60-იან წლებიდან უშუალოდ საქართველოში მოღვაწეობენ, კ. ლორთქიფანიძე — კვლავ პეტერბურგშია, ხოლო ნ. ნიკოლაძეს დროდადრო ვხედავთ ხან საქართველოში, ხან რუსეთში და ხან ევროპაში. მაგრამ ყველა ისინი ქართული საზოგადოებრივი ცხოვრებისა და ქართული ლიტერატურის საკითხებით არიან დაინტერესებულნი,

---

<sup>1</sup> კ. მეძველია. რუსეთის 60-იანი წლების რევოლუციონერი მწერლები და თერგდალეული კ. ლორთქიფანიძე. იხ. ქუთაისის სახ. პედ. ინსტიტუტის „შრომები“, 1953, ტ. XI.

ყველანი ერთ მიზანს ემსახურებიან. მათ ამოცანას წარმოადგენდა ბრძოლა კრიტიკული რეალიზმის გაბატონებისათვის, მატერიალისტური ესთეტიკის დამკვიდრებისათვის და საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნისათვის რუს რევოლუციონერ-დემოკრატი იდეების შესაბამისად, — ქართული სინამდვილის საფუძვლიანი გათვალისწინებით.

გაიარა მომზადების წლებმა! ქართველ სამოციანელთა წინაშე მთელი უშუალოდ ალიმართა ცხოვრების სინამდვილე, რომელიც მათგან არა მარტო სიტყვას, არამედ საქმესაც ითხოვდა. ისინიც დიდი ენთუზიაზმით შეუდგნენ სამშობლო ქვეყნის ინტერესებისათვის ბრძოლას და ამ ბრძოლაში მათ ყოველთვის გზას უნათებდნენ საყვარელი მასწავლებლები — გამოჩენილი რევოლუციონერი-დემოკრატები.

მტკიცებას არ საკიროებს, თუ როგორი გავლენა მოახდინეს რუსმა რევოლუციონერ-დემოკრატებმა ლიტერატურასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაზე საერთოდ. ამ მხრივ, მათი მნიშვნელობა უდავოდ მსოფლიო მასშტაბისაა. მაგრამ არა გვგონია თუნდაც ოდნავ დავცილდეთ ქეშმარიტებას, თუ ვიტყვით, რომ ერთ-ერთი ყველაზე უფრო ერთგული და მტკიცედ დარაზმული ჯგუფი მოწაფეებისა მათ ქართველ მოღვაწეთა შორის ჰყავდათ.

ჩვენ ამჯერად არაფერს ვიტყვით იმის შესახებ, თუ როგორი ღრმა პატივისცემით ეკიდებოდნენ ჩერნიშევსკისა და მის თანამებრძოლთა სახელებს თავიანთი მოღვაწეობის მთელ მანძილზე ი. ჰავკავაძე, ა. წერეთელი, ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი, კ. ლორთქიფანიძე და სხვები, რომლებმაც თავი ისახელეს საზოგადოებრივ-ლიტერატურული მოღვაწეობით. ჩვენ მხოლოდ მოვიყვანთ რუსი ავტორის ერთ-ერთ აღწერილ შემთხვევას, — მომხდარს 90-იან წლებში, რაც, ვფიქრობ, ნათელს ხდის, თუ რამდენად ძვირფასი იყო არა მარტო მათთვის, არამედ ყველა განათლებული ქართველისათვის ჩერნიშევსკი და მისი ეპოქა.

„Что было в 1892 г., — წერს ვ. პიპინა, — мне пришлось побывать в отдаленном уголке Кавказа — Кахетии и остановиться на несколько дней в крошечном городке Сигнаге...“

В то время туда редко заглядывал чужой, и о нашем приезде тотчас узнал местный уездный начальник Шаншиев. Он звал нас к себе, чтоб угостить кавказским обедом.

Кроме нас, гостем оказался пожилой, чрезвычайно красивый, статный грузинский князь — Андроников... Знакомься

с нами, князь не произнес ни слова и потом все молчал, и я подумала, что он не говорит по русски...

Я не вслушивалась в беседу моего мужа с гостеприимным хозяином. У них нашлись общие знакомые и оказалось, что одна из петербургских родственниц Шаншиева — близкая приятельница моей матери.

— А как фамилия вашей матери? — обратился он ко мне.

— Пыпина, — отвечала я, очнувшись.

— Пыпина?! — воскликнул бессловесный князь. — „Вы дочь Александра Николаевича? О, наконец-то встретил человека, который поймет меня, с кем я могу поделиться самыми дорогими воспоминаниями моей юности“. И старый князь произнес длинную, горячую речь.

Отца моего он не знал, а жил юношей у Чернышевского, о котором говорил с умилением. Сам он был одним из первых студентов — грузин, отправившихся учиться в Петербургский университет. С тех пор досуги свои в далекой Грузии он проводил, перечитывая „Современник“, полный экземпляр которого, в роскошном переплете, он берег, как реликвию. Со слезами на глазах вспоминал он о неотразимом впечатлении от личности Чернышевского, которое лежало всю жизнь.

Взволнованный старик кончил тостом за Чернышевского и ту русскую молодежь, которой дороги идеалы шестидесятых годов...<sup>1</sup>

მკითხველი, ალბათ, მიხვდებოდა, რომ ვ. ა. პიპინას მიერ გაცნობილი მოხუცი—ივანე ანდრონიკაშვილია, რომლის სტუმრობაზე ჩერნიშევსკის ოჯახში და მის აღფრთოვანებულ ლაპარაკზე მიხაილოვის შესახებ ცნობას გვაწვდის ნ. ნიკოლაძე თავის მოგონებებში.

თუ ასეთი შთაბეჭდილებითა და განწყობილებებით იყო ჩერნიშევსკის მიმართ მხოლოდ სამეურნეო საქმეებით გატაცებული ი. ანდრონიკაშვილი 90-იან წლებშიც კი, გასაგებია როგორი უნდა ყოფილიყო გამოჩენილ ქართველ მოღვაწეთა მადლიერების გრძნობა სახელოვანი მასწავლებლების მიმართ.

ეს მით უფრო საყურადღებოა, რომ ქართველ მესამოციანელებს მოღვაწეობის დაწყება მოუხდათ არა ცარიელ ადგილზე,

<sup>1</sup> В. А. Пыпина. Любовь в жизни Чернышевского, 1923, стр. 105—107.

არამედ მრავალსაუკუნოვანი და თვითმყოფადი ლიტერატურის მდიდარ ტრადიციებზე დაყრდნობით და ამასთან — თავისებურ სოციალ-პოლიტიკურ ვითარებაში. მაგრამ რუს რევოლუციონერ-დემოკრატთა მოძღვრების ერთ-ერთი ღირსებაც სწორედ ისაა, რომ ის ხელს უწყობდა ნაციონალური ლიტერატურისა და კულტურის აღმავლობას.

ჩვენ სრულიად ვეთანხმებით რუს მეცნიერთა იმ შეხედულებას, რომ „Пример И. Чавчавадзе и других грузинских представителей прогрессивной идеологии и материалистической эстетики во второй половине XIX века — только один из многих примеров, показывающих, какие могучие таланты формировались под воздействием передовой русской литературы, какие плодотворные результаты нес процесс многонациональных литературных взаимосвязей. Животворная сила русской литературы заключалась в том, что она помогала литературным деятелям народов России выявить и использовать свои способности для блага родного народа, закладывать и развивать основы самобытных демократических культур на своих национальных языках“<sup>1</sup>.

ქართველ სამოციანელთა ლიტერატურულ და სოციალ-პოლიტიკურ შეხედულებათა რევოლუციურ-დემოკრატიული ხასიათი საგრძნობლად გამოემჟღავნა ი. ჭავჭავაძისა და აკ. წერეთლის ადრეულ შემოქმედებაშიც, რომელსაც ჩვენ უკვე გავეცანით, მაგრამ მათი იდეების ცხოველმყოფელობა მთელი სისრულით გამოვლინდა იმ იდეურ-ლიტერატურულ ბრძოლაში, რომელიც მათ 60—70-იან წლებში გააჩაღეს კონსერვატულ და ლიბერალურ პოზიციებზე მდგომ მოღვაწეთა წინააღმდეგ.

---

<sup>1</sup> М. К. Добрынин и М. И. Фетисов. Творческие взаимосвязи литератур народов СССР, 1955, стр. 9—10.

# იდეურ-ლიბერატორული ბრძოლა 60-70-იან წლებში. კრიტიკული რეალიზმის გაბატონება ქართულ ლიბერატორაში

„Литература у народа, не имеющего политической свободы — единственная трибуна, с высоты которой он может заставить услышать крик своего негодования и своей совести“<sup>1</sup>.

А. И. Герцен.

## 1

60—70-იან წლებში მკაცრი იდეურ-ლიბერატორული ბრძოლა გაიშალა რუს რევოლუციონერ-დემოკრატთა იდეებზე აღზრდილ „თერგდალეულებსა“ და კონსერვატორულ-ლიბერალური<sup>2</sup> ბანაკის წარმომადგენელთა შორის. ბრძოლის საბაბი, როგორც უკვე აღნიშნული გვაქვს, გახდა ი. ჭავჭავაძის სტატია — „ორიოდე სიტყვა თ. რევაზ შალვას ძის ერისთავის კოზლოვიდგან „შეშლილის“ თარგმანზედა“, რომელიც „ცისკრის“ ფურცლებზე გამოქვეყნდა 1861 წლის აპრილში.

აღნიშნული სტატია ი. ჭავჭავაძემ დაწერა 1860 წლის ნოემბერში პეტერბურგში და იქედან გამოუგზავნა „ცისკრის“ რედაქციას. ამ დროს ი. ჭავჭავაძეს „ცისკრის“ მკითხველები უკვე იცნობდნენ როგორც ნიჭიერ ახალგაზრდა პოეტს. ჟურნალის რედაქციაც კეთილგანწყობილ ურთიერთობაში იყო თავის პეტერბურგელ თანამშრომელთან და დროდადრო მადლობასაც უცხადებდა ხოლმე კარგი ნაწარმოების მოწოდებისათვის.

თვით ი. ჭავჭავაძეს მეტად უარყოფითი შეხედულება ჰქონდა „ცისკარსა“ და მის მიმართულებაზე. უფრო სწორად, მას სწამდა, რომ „ცისკარს“ არ გააჩნდა ერთი გარკვეული მიმართულება, რის გამო ვერ ამართლებდა ჟურნალის დანიშნულებას. მისი მოწონება მხოლოდ „მოლაყბის“ სტატიებზე და იმისაზე იყო.

<sup>1</sup> А. И. Герцен. Полн. собр. соч. в изд. т. VI, 1919, стр. 350.

<sup>2</sup> ვინაიდან რევოლუციურ-დემოკრატიული მიმართულების მოღვაწეთა წინააღმდეგ ერთად გამოდიოდნენ ფეოდალურ-პატრიარქალური ყოფის დამცველი კონსერვატორი და ლიბერალურად განწყობილი მწერლები, ამიტომ მათ „კონსერვატორულ-ლიბერალურ ბანაკს“ ვუწოდებთ.

ი. ქავჭავაძე, ბუნებრივია, ვერ ურიგდებოდა იმ გარემოებას, რომ ერთადერთი ქართული ჟურნალი ხელში ჰქონდათ ჩავდებულნი კონსერვატორულ და მოლიბერალო პოზიციებზე მდგომ მწერლებს, რომლებიც ჟურნალის ფურცლებს „იკავდნენ“ მათთვის მიუღებელი იდეების მატარებელი ნაწარმოებებისა და წერილებისაგან. და თუ ასეთი რამ მაინც გაიპარებოდა ხოლმე, ისინი მაშინვე თავს ესხმოდნენ ავტორსა და რედაქტორს, იმუქრებოდნენ ჟურნალზე ხელისმომწერის შეწყვეტით და სხვ.

ი. ქავჭავაძემ იცოდა ყოველივე ეს და შეუფერებლად მიაჩნდა „ცისკარში“ მოღვაწეობა, მაგრამ სხვა გზა არ ჰქონდა. როგორადაც არ უნდა ყოფილიყო, მას „ცისკრის“ ფურცლებზე უნდა გამოექვეყნებინა ლექსები და სტატიები, მკითხველისათვის გაეცნო თავისი მრწამსი და მიმართულება. ამასთან, „ცისკრის“ ჩამორჩენილობა თვით „ცისკრის“ ფურცლებზევე უნდა გამოემჟღავნებინა. ამგვარი ვითარება კი ი. ქავჭავაძისაგან მოითხოვდა პრინციპულ, მაგრამ ფრთხილ მოქმედებას, რათა გზა არ დახშოდა ჟურნალში ბექდვისათვის.

საგანგებო დაკვირვების გარეშეც კი აშკარაა, თუ როგორ მოხერხებულად მოიგო რედაქტორის გული ი. ქავჭავაძემ თავის პირველ სტატიაში. ამასთან, მას ერთი წუთითაც არ უღალატნია ქეშმარიტებისათვის და დათმობაზე არ წასულა. პირიქით, რედაქტორის მძიმე მდგომარეობის დახასიათებით, მან კიდევ უფრო მკაცრად ამხილა ჟურნალის იდეური მესვეურები, რომელთა ხელში იყო ჟურნალის ეკონომიური ბაზაც.

ი. ქავჭავაძის სტატიას მოჰყვა საპასუხო წერილები და კონსერვატორ-ლიბერალთა ბანაკის წარმომადგენელნი ძალაუნებურად ღია პოლემიკაში ჩაბმულნი აღმოჩნდნენ, უკან დახევა გვიანლა იყო და მათაც ცხარე ბრძოლა გააჩაღეს ი. ქავჭავაძისა დამის თანამებრძოლთა წინააღმდეგ. ამ უკანასკნელთაც ეს უნდოდათ, მათ შესაძლებლობა მიეცათ ადვილად გამოემჟღავნებინათ მოწინააღმდეგეთა მისწრაფებები და მკითხველისათვის ეჩვენებინათ მათი ნამდვილი სახეები.

მამაპაპურ მყუდროებას შეჩვეულმა „ცისკრის“ მწერლებმა იგრძნეს, რომ მათ წინააღმდეგ შემთხვევით და შემთხვევითი ადამიანები კი არ იბრძოდნენ, არამედ საქმე ეხებოდა მკაცრ იდეურ-ლიტერატურულ ბრძოლას. მართლაც, ი. ქავჭავაძე და მისი თანამებრძოლები მხოლოდ წმინდა ლიტერატურული საკითხებით როდი იფარგლებოდნენ „ცისკრელებთან“ ბრძოლისას. ამიტომ, შეცდომას დაუშვებთ, თუ იმ იდეურ-ლიტერატურულ ბრძოლას,

რომელიც 60—70-იან წლებში გაიშალა, დაეახასიათებთ მხოლოდ პოლემიკური სტატიებით, რომლებიც მაშინ პრესის ფურცლებზე გამოქვეყნდა. ეს პოლემიკა ანარეკლი იყო მხოლოდ იმ დაპირისპირებისა, რომელსაც ადგილი ჰქონდა საერთოდ რევოლუციურ-დემოკრატიულ პოზიციებზე მდგომ „თერგდალეულებსა“ და კონსერვატულ-ლიბერალურ ბანაკს შორის აზროვნებისა და მოღვაწეობის ყველა სფეროში.

„თერგდალეულთა“ მიზანს შეადგენდა იმდროინდელი საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნა და მისთვის ახალი მიმართულების მიცემა. მწერლობასა და ლიტერატურაში ისინი ხედავდნენ იმ პლაცდარმს, რომლის დაუფლებითაც უფრო ადვილად შეძლებდნენ თავიანთი იდეების გავრცელებას. გასული საუკუნის 60-იანი წლების მოღვაწეთ იდეური ბრძოლის უკეთესი საშუალება არ გააჩნდათ, ვინემ ეს იყო ლიტერატურა და სამწერლო მოღვაწეობა. ამიტომ, შემთხვევითი არაა, რომ სწორედ ამ სფეროს დაეპატრონენ, პირველყოვლისა, გამოჩენილი რევოლუციონერი-დემოკრატები როგორც რუსეთში, ასევე საქართველოში. ეპოქის ხასიათმა განსაკუთრებული ამოცანები დააყენა ლიტერატურის წინაშე. და რომ მწერლობას შეძლებოდა თავისი მოწოდების სიმალლეზე აღმოჩენილიყო, ამისათვის იგი უნდა გამხდარიყო ნამდვილად იდეური და ქეშმარიტი სარკე სინამდვილისა.

ამ დიდი ამოცანის გადაწყვეტა ჰქონდა მიზნად ი. ჭავჭავაძეს და მის თანამებრძოლებს, როცა „ცისკრის“ ფურცლებზე თვით „ცისკრელთა“ წინააღმდეგ გაილაშქრეს. მაგრამ ეს, ვიმეორებ, იყო მხოლოდ ნაწილი მათი საბრძოლო პროგრამისა.

რა მიზანს ისახავდა ი. ჭავჭავაძე სტატიით — „ორიოდე სიტყვა თ. რევაზ შალვას ძის ერისთავის კოზლოვიდგან „შეშლილის“ თარგმანზედა“ და რა საკითხები დააყენა მასში?

ი. ჭავჭავაძეს მიზნად ჰქონდა ქართული ლიტერატურა საბოლოოდ გაეწმინდა კლასიციზმისა და სენტიმენტალიზმის გადმონაშთებისა და კრიზისის გზაზე დამდგარი რომანტიკული პოეზიისაგან. ყოველივე მათ ი. ჭავჭავაძე თვლიდა ქართული ლიტერატურის განვითარებისათვის უცხო მოვლენად (კლასიციზმი, სენტიმენტალიზმი) ან განვლილ ეტაპად (რომანტიზმი), რომლებიც აფერხებდნენ წინსვლასა და კრიტიკული რეალიზმის გაბატონებას.

კრიტიკული რეალიზმის მტკიცე გაბატონებისა და მატერიალისტური ესთეტიკის პრინციპების დამკვიდრების ინტერესებმა ი. ჭავჭავაძე აიძულეს გამოსულიყო „ცისკარში“ თავისი ცნობილი პირველი სტატიით.

შემთხვევითი არ ყოფილა არც ის, რომ ი. ქავჭავაძემ თავისი მსჯელობის უშუალო საგნად აირჩია რ. შ. ერისთავის მიერ ი. კოზლოვის „შეშლილის“ თარგმანი, რომელიც გამოქვეყნებული იყო „ცისკარში“ (1860 წ., № 10).

ი. ქავჭავაძე ითვისისწინებდა, რომ ი. კოზლოვის „შეშლილისა“ და სხვა მსგავს ნაწარმოებთა თარგმნა და მათი მოთავსება ერთადერთ ეჟურნალში, 60-იან წლებში, ქართული მწერლობის ჩამორჩენილობაზე და განვითარების სწორი გზიდან აცდენაზე მეტყველებდა. იგი ხედავდა, თუ რა მიმართულებით სურდათ ქართული ლიტერატურის განვითარება კრიზისის გზაზე მდგარი რომანტიზმის წარმომადგენლებს, რომლებიც მწერლობას სწყვეტდნენ თანამედროვე ცხოვრებას და უკან ეწეოდნენ მას.

იმისათვის, რომ უფრო ღრმად ერეგნებინა „ცისკარისა“ და მის გარშემო დარაზმულ მწერალთა ჩამორჩენილობა, ი. ქავჭავაძე, პირველყოვლისა, ახასიათებს თუ ვინ იყო კოზლოვი და რა ადგილი ეკირა მას რუსული ლიტერატურის ისტორიაში, საჭირო იყო თუ არა მისი თხზულების თარგმნა იმ დროს და სხვა...

ი. ქავჭავაძის თქმით, „კოზლოვი იყო კარამზინის სკოლის მწერალი“, რომელსაც სულ რამდენიმე ლექსი თუ აქვს „სიამოვნებით წასაკითხავნი“. იგი არ ეთანხმება იმ რუს კრიტიკოსებს, რომლებიც კოზლოვში თუნდაც პატარა ტალანტს ხედავდნენ. „თუმცა ზოგიერთნი რუსნი,—ამბობს ი. ქავჭავაძე,—ხედავენ კოზლოვში რაღაც პატარა ტალანტს, მაგრამ ჩვენ სრულიად არაფერს არ ვხედავთ; და თუ ვხედავთ, პატარას კი არა, ძალიან უპატარესსა, პეწვის ოდენას; ისიც იმისათვის, რომ ორიოდ ლექსი აქვს, მართლა-და ცოტა სიამოვნებით წასაკითხავნი და გრძნობით გამთბარნი. აი, ის ლექსები, რომელნიც ჩვენ საუკეთესოდ მიგვაჩნია: „Вечерний звон“, რომელიც ერთ დროს დიდ პატივში იყო, ასე რომ ყოველ რუსის ცოტაოდენ განათლებულს სახლში მღეროდნენ ხოლმე; „На погребение английского генерала Сира Джона Мура“, ესეც თავისი არ არის, ნათარგმნია; მაგრამ კარგი თარგმანიც სასარგებლოა; „Романс Дездемоны“\*, — შექსპირიდან თარგმნილია. ამათ გარდა, იქნება ორი, თუ სამი ლექსი კიდევ გვაჩვენოთ მთელი კოზლოვის თხზულებაში სასიამოვნონი, თორემ დანარჩენი ლექსები ყველგან, თითქმის, დაძაბული, ე. ი. ძალად

---

\* ი. ქავჭავაძის თხზულებათა გამოცემებში ნაცულად „Романс Дездемоны“ შეცდომით გაპარულია „Роман дездемоны“.



მოყვანილი გრძნობაა. ძალად მოყვანილი ცრემლი კი სასაცულოა, საზიზღარი და არა სამწუხარო დასანახავად“.

ი. კოზლოვაძე, ი. ჭავჭავაძის შეხედულებით, სენტიმენტალური ელფერი მისცა თარგმნილ ნაწარმოებებსაც, რის გამო დაუკარგა ის მიზიდველობა, რაც მათ ორიგინალში აქვთ. ამის მაგალითად ის ასახელებს ანდრე შენიედან, მიცკევიჩიდან და ბაირონიდან თარგმნილ ნაწარმოებებს. „ძლივს-ლა იცნობთ,—წერს ი. ჭავჭავაძე, — კოზლოვის ლექსში იმ შენიეს, რომელმაც წარსულ საუკუნეში თითქმის პირველად დაანახვა ფრანციას, და მის გამოვეროპასაც, კეშმარიტი, ნამდვილი პლასტიკა საბერძნეთის მშვენიერებისა... მაგრამ ანდრე შენიეს ლექსები კოზლოვის თარგმანში ისე ბევრნი არ არიან და არც ისე უფერულნი, როგორც სახელოვანი მიცკევიჩის „ყირიმის სონეტები“... ამათ გარდა, სხვა ბევრი პოეტები ალაგ-ალაგ გადმოთარგმნილი ჰყავს, და სხვათა შორის ლორდი ბაირონიცა. ბაირონი უთარგმნია კოზლოვს ნაწყვეტ-ნაწყვეტად და ერთი. მთელი პოემაც ამისი, წოდებული „Абридская Невеста“, მაგრამ სად არის კოზლოვის თარგმანში ის მეზისიტყვა, ის საკვირველი ძლიერი სული ბაირონის გენიისა!... როგორც „Чернец“, ისე „Наталия Долгорукая“ — ეს ორივე პოემა კოზლოვისა — ბაირონის გავლენისანი არიან; ამ პოემებზედ ეტყობა, რომ კოზლოვი ცდილა ბაირონის გმირებისავეთ რილაცის გამოხატვასა, მაგრამ სად შეეძლო კოზლოვის პაწაწა ნიქსა შთაებერნა კოზლოვის გმირებისათვის ის მორჭმული, მოუდრეკელი სული ბაირონის ხასიათებისა!.. ბაირონის გმირები კოზლოვის ბერისავეთ არ კნავიან და ჩივიან, რათა ნუგეში სცეს ვინმე; ისინი ისეთი აგებულებისანი არიან, რომ... არ შეეკედლებიან მონასტრის კედლებსა მოსასვენებლად, იმათ სულ მოძრაობა უნდათ..., ბაირონის ნაცვლად, რომელსაც ცრემლის მაგიერ მდულარე ტყვია სცივია თვალთაგან და კალმის მაგიერ ხელთ ეპყრა მეხი, იმ ბაირონის ნაცვლად, კოზლოვი შეიქმნა ერთ კარამზინის სკოლის მტირალ და ღრეჟია აშულადა“.

ი. ჭავჭავაძე არ უარყოფს არც იმას, რომ ი. კოზლოვი მის თანამედროვე მკითხველთა გარკვეულ წრეში სიმპათიით სარგებლობდა, მაგრამ ამის მიზეზს ის ხედავს არა პოეტის ტალანტში, არამედ იმდროინდელი მკითხველის ჩამორჩენილობაში. „მაშინ, — ამბობს ი. ჭავჭავაძე, — რუსეთის საზოგადოება არ იყო ისე ესთეტიკურად... განვითარებული, როგორც პუშკინის შემდგომ და ნამეტნავად ეხლა; იმათთვის ძალიან საკმაყოფილონი იყვნენ ის სენტიმენტალური, ყალბი გრძნობანი, მტირალა და წირპლიანი-

მწერლები, რომლების თავი და თავი, პირველი ბაირახტარი იყო თვით სახელოვანი კარამზინი. ამის „უბედურ ლიზას“, რომელიც გადმითარგმნილი იყო ქართულზედ და დაბეჭდილი ჩვენს „ცისკარში“, კითხულობდნენ თვით პუშკინის დროსაც, თუმცა ეხლა კარგ რუსსა სატანჯავად მიაჩნია მისი წაკითხვა“.

ი. ჭავჭავაძის თქმით, რ. შ. ერისთავმა კოზლოვის სუსტ პოემათა შორის უსუსტესი ამოარჩია და იგი თარგმნა. „Чернеу“-ს და „Наталия Долгорукая“-ს ერთ დროს მაინც კითხულობდნენ და მოსწონდათ, მაგრამ „შეშლილის“ ქება კი ჩვენ არსად შეგვიტყვიანო“,—დასძენს ილია.

„შეშლილში“, ი. ჭავჭავაძის შეხედულებით, ი. კოზლოვმა ვერ მოახერხა ვერც რუსული სინამდვილის ჩვენება და ვერც წრფელი და ბუნებრივი გრძნობის გამოხატვა. მისი გმირები არაფერს არ ეუბნებიან მკითხველს, გარდა იმისა, რომ ავტორის ნაძალადეგ გრძნობასა და მხატვრულ სისუსტეზე მეტყველებენ. „თუმცა „შეშლილის“ ქვეშ აწერია რუსული მოთხრობაო, — შენიშნავს ი. ჭავჭავაძე,—მაგრამ ამ მოთხრობაში მარტო ენა, ზარი, მარხილი და იემშიკი თუ არის რუსული, თორემ სხვა არაფერი... ბევრიც რომ წაიკითხოთ, მაინც ქართველი ვერ გაიცნობს... რუსის სოფლის გოგოსა, იმბტომ რომ ეს შეშლილი გოგო, თუმცა კოზლოვი ამბობს რუსისააო, მაგრამ რუსის სარაფანიც არ აცვია ზედა; ეგრადაც ურუსო რუსია, კოზლოვის ფანტაზიის შეილი, და არა რუსის ცხოვრებისა. მაგას ვინ ჩივის, რომ პოემის გმირი არ არის რუსი, ერთი ბეწო დრამატიზმი და ხელოვნება მაინც იყოსო“ (ხაზი ჩემია—დ. გ.).

როგორც ვხედავთ, ი. ჭავჭავაძე მკაცრ, მაგრამ ობიექტურ შეფასებას აძლევს არა მხოლოდ ი. კოზლოვს და მის პოეზიას, არამედ სენტიმენტალიზმს საერთოდ. სრულიად სამართლიანად, სენტიმენტალიზმს იგი თვლიდა ლიტერატურისათვის უკვე განვლილ ეტაპად. ამიტომ, რუსული სენტიმენტალიზმის მამამთავარ კარამზინის ცნობილი მოთხრობის—„საწყალი ლიზას“ მიწოდება იმდროინდელ მკითხველთათვის სასჯელის მიცემად მიაჩნია. აღარაფერს ვამბობთ კოზლოვზე და მის „შეშლილზე“, რომელიც, როგორც უკვე ვნახეთ, ი. ჭავჭავაძის აზრით, საყურადღებო მოვლენა არ ყოფილა არც თავისი დროისათვის.

ბუნებრივია, რომ რუს რევოლუციონერ-დემოკრატთა იდეებზე აღზრდილი ი. ჭავჭავაძე ასეთ შეფასებას აძლევს სენტიმენტალიზმს, რომელიც პასიურობისა და მელანქოლიის ნიშნის ქვეშ წარმოადგენდა ყოველივეს.

როგორც სენტიმენტალიზმის, ასევე მისი რუსი წარმომადგენლების — კარამზინისა და კოზლოვის შეფასების საქმეში ი. ჰავ-ჰავაძე, ძირითადად, ბ. ბელინსკის შეხედულებებიდან გამოდის. მაგრამ იგი კოზლოვის შემოქმედებას, ბელინსკისთან შედარებით, უფრო მკაცრ შეფასებას აძლევს. ეს კი, პირველყოვლისა, იმით აიხსნება, რომ ი. ჰავჰავაძეს კოზლოვის შემოქმედების დახასიათება უხდება უკვე სამოციან წლებში.

ბ. ბელინსკიც დაბალი შეხედულებისა იყო ი. კოზლოვის შემოქმედების შესახებ; ისტორიის საკუთრებად თვლიდა იგი კარამზინის მოთბრობებსაც.

ბ. ბელინსკიმ თავის დროზე სპეციალური წერილი უძღვნა ი. კოზლოვის თხზულებათა განხილვას („Собрание стихотворений Ивана Козлова“). აღნიშნულ წერილში ბ. ბელინსკი ამბობს: „Слага Козлова была создана его „Чернецом“. მაგრამ იგი იქვე შენიშნავს: „Содержание „Чернеца“ напоминает собою содержание Байронова „Джюра“; есть общее между ними и в самом изложении. Но это сходство чисто внешнее: „Джяур“ не отражается в „Чернце“ даже и как солнце в малой капле вод, хотя „Чернец“ и есть явное подражание „Джяуру“. Причина этого заключается сколько в степени талантов обоих певцов, столько и в разности их духовных натур. „Чернец“ полон чувства, насквозь проникнут чувством... Но это чувство только тепло, не глубоко, не сильно, не всеобъемлюще“.

ბ. ბელინსკის აზრით კი, „...даже лютое отчаяние, если оно является в форме несокрушимой силы духа, горделиво и презрительно несущей свое несчастье,—в тысячу раз сильнее и обаятельнее действует на нашу душу, чем безсильное смирение, тихо льющее сладкия слезы примирения“.

ახასიათებს რა ი. კოზლოვის თარგმანებს, ბ. ბელინსკი წერს: „Перевод „Абидосской невесты“ — весьма замечательная попытка: но сжатости, энергии, молниеносных очерков оригинала в нем нет и тени.—Также замечателен перевод и „Крымских сонетов“ Мицкевича; но отношение его к оригиналу точно такое же, как и перевод „Абидосской невесты“ к ея подлиннику“.

ბ. ბელინსკი შედარებით მაღალ შეფასებას აძლევს კოზლოვის ლირიკულ ლექსებს, რომელთა შორის ასახელებს: „На погребение английского генерала сира Джона Мура“, „Вечер-

ნიი ზვონ“, „Романс Дездемоны“, „Наз семеро“, „К Италии“, „На отъезд“, „К Тирзе“, „Ночь“ და სხვა.

რაც შეეხება ბელინსკის შეხედულებას, კერძოდ. „შეშლილზე“ და მის ადგილზე კოზლოვის შემოქმედებაში, ამის შესახებ სრულ წარმოდგენას იძლევა მისი სიტყვები: „В „Безумной“ даже нет никакой истины: Героиня—немка в овчинном тулупе, а не русская деревенская девка“. „შეშლილს“, ბელინსკის თქმით, აროდეს არ დაუინტერესებია მკითხველი.

ბ. ბელინსკი კოზლოვთან შედარებით, ბუნებრივია, უფრო მაღალ შეფასებას აძლევს კარამზინის ისტორიულ როლს და თავის „ლიტერატურულ ოცნებანში“ შენიშნავს: „Карамзин отметил своим именем эпоху в нашей словесности“. მაგრამ კარამზინის მხატვრულ პროზას ის უკვე დაეიწყებულთა და უსარგებლოთა კატეგორიას აკუთვნებს. „Кто виноват, — спросит белинский, что как прежде плакали над „Бедною Лизою“, так ныне смеются над нею? Воля ваша, гг. Поклонники Карамзина, а я скорее соглашусь читать повести барона Брамбеуса, чем „Бедную Лизу“ или „Наталью Боярскую Дочь“! Другая времена, другие нравы!

...Сочинения Карамзина теряют в наше время много достоинства еще и оттого, что он редко был в них искренен и естествен“.

ბელინსკის თქმით, კარამზინი „так скоро был забыт, что он едва не пережил спосіб славы“.

ი. ჭავჭავაძეც სწორედ იქედან გამოდის, რომ ცხოვრება წინ წავიდა და ზნე-ჩვეულებებიც შეიცვალა, რომ დამთავრდა ეპოქა ფრაზეოლოგიისა და წავიდა ის დრო, როცა, ბელინსკის სიტყვებით რომ ვთქვათ, „აზრსა და გრძნობას დაეძებდნენ მაღალფარდოვანი ფრაზისათვის“ („Мысль и чувство приискивались для звонкой фразы“). ამიტომ მას სრულიად გაუმართებლად მიაჩნია კარამზინის, კოზლოვის, მარმონტელისა და სხვათა ნაწარმოებების ბეჭდვა „ცისკარში“ იმ დროს, როცა იყვნენ ისეთი მწერლები, როგორც არიან პუშკინი, ლერმონტოვი, გოგოლი და სხვები. „მართლდა საკვირველია, — ამბობს ილია, — თუ კაცს რუსულიდან თარგმნა უნდა რასიმე, პუშკინი, ლერმონტოვი, გოგოლი როგორ უნდა დაავიწყდეს და მივარდეს წირპლიანს კოზლოვსა, მერე ნეტავ იმის ცუდ პოემებში უცუდესი მაინც არ ამოერჩია თავად ერისთავსო“.

როგორც ვხედავთ, ი. ჭავჭავაძე იბრძვის სენტიმენტალური მიმართულების წინააღმდეგ და მოითხოვს კრიტიკული რეალიზმის

დამკვიდრებას თავის უფლებებში. ესაა იმის მიზეზი, რომ იგი ერთი წუთითაც ვერ შურიგდება ანტირევალისტურ ტენდენციათა გამოცოცხლებას ლიტერატურაში.

ახსიათებს რა სენტიმენტალურ მიმართულებას და, კერძოდ, კოზლოვის პოეზიას, ი. ჭავჭავაძე წერს: „თქვენვე გასინჯეთ, ჩვენო მკითხველო, რა საჭიროა ეხლა ან ჩვენი ლიტერატურისათვის, ან ხალხისათვის სენტიმენტალურ სკოლის მწერლების გაცნობა? რამდენიმე წლის წინათ სარდიონ ალექსი-მესხიშვილმა გადმოთარგმნა სენტიმენტალურ სკოლის მწერალი მარმონტელი და ეხლა იმავე სკოლის მწერალი კოზლოვი გადაუთარგმნია თავად ერისთავს. იქნება ფიქრობენ, რომ ჩვენი ლიტერატურა არ აღსდგება, თუ არ განიმეორა თავის განვითარებაში წარსულ დროთა სიცრუე და ცთომილება?! თუ ამას ფიქრობენ, მაშ ისტორიას აღარა აქვს თავისი დიდი მნიშვნელობა. ისტორია იმითია დიდი, რომ გვაჩვენებს ჩვენ წინაპართა ცთომილებას, ამასთანვე გვასწავლის კეთილსა, როგორ უნდა მოვიქცეთ... მთელი კაცობრიობის უწინდელი ცხოვრება სულ უსარგებლო იქნება, თუ იმათ ცხოვრებიდან ჩვენ სასარგებლოს არას გამოვიტანთო“ (ხაზი ჩემია — დ. გ.).

ი. ჭავჭავაძე გარკვეულად მიუთითებს, რომ ქართული ლიტერატურისა და ქართველი ხალხისათვის საჭირო აღარ იყო სენტიმენტალური მწერლობა, რაც თავის დროზეც უცხო იყო ჩვენი ლიტერატურისათვის. ამიტომ, იგი ილაშქრებს მისი დაგვიანებით და ხელოვნურად შექმნისათვის. მას ღრმად სწამს, რომ ისტორიამ უკვე ჩაიბარა კარამზინების, კოზლოვებისა და მარმონტელების ეპოქა; რომ ახლა არის ეპოქა რეალიზმისა. მისი სურვილია ქართველმა მკითხველმა გაიცნოს ის რუსი მწერლები, რომლებიც უკვდავნი არიან და არა ისინი, რომლებიც თავიანთი სახელების დავიწყებას თვითვე მოესწრნენ.

„ეს გრძელი შესავალი იმიტომ გაუკეთეთ ჩვენს სტატიას, — წერს ი. ჭავჭავაძე, — რომ თუ, ვინიცობაა, „ციცკრის“ მკითხველი ბევრს რამეს ელოდა თავად ერისთავის „თარგმნისაგან“ და ვერა ჰპოვა, მაგის მიზეზი თითონ კოზლოვი იყო; მეორე იმისათვის, რომ გვეცნობებინა ჩვენ მკითხველისათვის, რომ მთელი კოზლოვიც რომ გადმოეთარგმნა ვისმე, არა თავად ერისთავსავით უხეიროდ, არამედ უფრო ბევრად უკეთესად, მაინც არაფერი არ გამოვიდოდა. უსარგებლო შრომა იქნებოდა, იმიტომ, რომ კოზ-

ლოვის ლექსები თვით რუსეთში ჩაჰბარდნენ პატრონსა და ქართველებს რად გვინდა?\*

ამის შემდეგ, ი. ჯავჭავაძე დაწვრილებით იხილავს თარგმანის „ღირსებებს“. იგი მთარგმნელს ათავისუფლებს იმისაგან, რომ თარგმანში არაა მოსაწონი მხატვრული სახეები, რადგან ეს არც დედანშიაო. მაგრამ მკაცრად აკრიტიკებს მას ქართული ენისა და ქართული ლექსის დამახინჯებისათვის. მისი თქმით, რ. ერისთავის „თარგმანი ისეთი რამ არის, რომ შთამომავლობას უნდა გადასცეს კაცმა, რათა გამოუთქმელი სიცუდის მაგალითად სახეში ჰქონდეთ მომავლის მწერლებს“.

ი. ჯავჭავაძე აღშფოთებულია იმით, რომ რ. შ. ერისთავმა თავისი უხეირო ენით შეურაცხყო ის ენა, რომელ ენაზეც დაიწერა შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, ალ. ჯავჭავაძის, გრ. ორბელიანისა და ნ. ბარათაშვილის საუკეთესო ლექსები. „გვიკვირს, — წერს ილია, — კაცმა როგორ უნდა გამოიმეტოს თავის დედ-მამის ენა ისე, როგორც თავად ერისთავს გამოუმეტნია. სწორედ უნდა შოგახსენოთ, ამისთანა წერაში არამც თუ იყოს ენის სიყვარული, არამედ ენის სრული უპატიურობაა და სიძულელი. რომ არ გვეყვანდნენ რუსთაველი, ალ. ჯავჭავაძე, ნიკოლოზ ბარათაშვილი, გრიგოლ ორბელიანი, კიდევ ჰო, რომ გვეყვანან, რატომ არა ვსწავლობთ იმათ მშვენიერს ლექსებში მშვენიერს ენას?“.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ი. ჯავჭავაძე თავის წერილებში ყოველთვის მალალ შეფასებას აძლევს იმ ევროპელ, რუს და ქართველ რომანტიკოსებს, რომლებიც მებრძოლი რომანტიზმის ფრთას ეკუთვნოდნენ. ისინი ილიას იტაცებენ მებრძოლი სულით, მოძრაობისა და მოქმედების აპოლოგიით. მაგრამ ამჯერად მას აინტერესებს ქართველ მწერალთა „მშვენიერი ლექსების მშვენიერი ენა“, რომელიც დაუვიწყრია რ. შ. ერისთავს.

ი. ჯავჭავაძეს მოჰყავს იმის კონკრეტული მაგალითები, თუ როგორ ამახინჯებდა რ. ერისთავი სიტყვებს რითმისათვის და როგორ უაზროსა ხდიდა მთელ წინადადებებს. ის მკაცრად ებრძვის მას, რაც რ. ერისთავს თითქოსდა ბუნებრივად ეჩვენება. აბა და რა კონსტრუქციაა, კითხულობს ილია, „ხელი გავიქნიე ფეხი“, ნაცვლად იმისა, რომ ეთქვა — „ხელი და ფეხი გავიქნიე?“ და ეს ხომ შემთხვევითი და გამონაკლისი მოვლენა არ იყო ერისთავის თარგმანისათვის!

ი. ჯავჭავაძეს მოჰყავს თარგმანიდან ისეთი ამონაწერები, რომლებიც აშკარას ხდიან, თუ როგორ ანაცვალა რითმს რ. ერისთავმა ქართული ენის მართლწერა, ან როგორ შეუფერებელ

სიტყვებს იყენებდა იგი ცალკეული სახეების შესაქმნელად; თანაც ირონიული ტონით შენიშნავს: „აბა, მოდი და ამ უთავბოლოდ აშენებულ სიტყვის ყორეში პოეზიის ვარდი მონახე! ქინკარიც არ არის, თორემ ვარდს ეცნა ჩივის?“

ი. ჭავჭავაძის შეხედულებით, რითმი არ არის ძირითადი ლექსისათვის; ნიჭიერი პოეტის მიერ დაწერილი თეთრი ლექსი რითმიან ლექსებს არ ჩამოუვარდება. იგი კითხვას სვამს: „განა რითმა რომ არ იყოს, პოეზიაც არ იქნება? აბა, აიღეთ ურითმო ლექსები თავად გრ. ორბელიანისა, თუნდ ბოლონდელი ოქტომბრის „ცისკრის“ „ო...დარდები“. აბა ყურადღებით წაიკითხეთ, რა პოეზიაა მაგ ურითმო ლექსშია! თვალწინ წარმოგიდგებათ ის ჩათუქოსანი ტფილისის ქართველი, რომლის ნატვრა და სამოთხე კახური ღვინოა, სიყვარული და ორთაქალის ბაღები..., რამდენი ნამდვილობა და ქეშმარიტებაა მის წმინდა ქართულ პოეტურ დარდებში, კვენსაში და ნატვრაში!“

ი. ჭავჭავაძე დანაშაულად თვლის „რითმების რახარუხს“ რომ შესწიროს პოეტმა ნაწარმოების აზრი, თანაც იძლევა პოეზიის ისეთ განსაზღვრას, რომელიც ემყარება მატერიალისტური ესთეტიკის პრინციპებს და უცხო იყო „ცისკრის“ მწერლებსათვის. ილიას განმარტებით, „პოეზია განსახოვენებაა ქეშმარიტებისა და არა ჯაქვი უთავბოლოდ გადაბმულ რითმებისა“.

როგორც ვხედავთ, ი. ჭავჭავაძემ თავის სტატიაში აჩვენა არა მარტო ის, რაც დროშოკმული, უვარჯისი და განდევნის ღირსი იყო ჩვენს ლიტერატურაში, არამედ მწერლობას მიუთითა განვითარების სწორ გზაზეც. მოგვცა რეალიზმის მთელი რიგი პრინციპებისა და ლიტერატურის მთავარი დანიშნულების გაგება.

ი. ჭავჭავაძემ გარკვევით აღნიშნა, რომ ლიტერატურის შენამატია მხოლოდ ის, რაც ხალხის საჭიროებას ემსახურება და მის ინტერესებს გამოხატავს; პოეზიას ქმნის არა „რითმების რახარუხი“, არამედ ცხოვრების სინამდვილის მხატვრული ასახვა; პოეზია არის ჭეშმარიტების, ცხოვრების ასახვა სახეების საშუალებით. ამდენად, პოეტი საკუთარ აზრსა და გრძობას პირდაპირ კი არ უნდა გვიჩვენებდეს თავის ნაწარმოებში და მთელი სიმძიმე „ზედსართავ სახელებზე“ კი არ უნდა გადაჰკონდეს, არამედ მხატვრული სახეების საშუალებით ძალდაუტანებლად უნდა ახერხებდეს იმის ჩვენებას, რაც მიზნად დაუსახავს. ყოველივე ეს კი მწერლისაგან მოითხოვდა თავისი შეხედულებების ამოსავალად გაეხადა ობიექტური სინამდვილე, საზოგადოებრივი ცხოვრება.

ი. ქავჭავაძე ილაშქრებს შიშველი ტენდენციისა და რიტორიზმის წინააღმდეგ ლიტერატურაში. იგი ამ მხრივ ერთმანეთს ადარებს კოზლოვის „შეშლილს“ და შექსპირას ტრაგედიებს. კოზლოვის მიერ შეშლილად გამოყვანილი გოგო, — ი. ქავჭავაძის აზრით, — „სრულიად შეშლილი არ არის, თუმცა კოზლოვი გვეფიცება, რომ შეშლილიაო; ძალიან კარგ გონებაზედ გახლავსო, კარგად ლაპარაკობს, კარგადა სჯის... აბა შექსპირის ოფელია აიღეთ, ან კოროლი ლირი და გაშინჯეთ! იქ, თუმცა შექსპირი არ ამბობს, რომ ქუედიამ შეშლილები არიანო, მაგრამ მიაყოლეთ გონება იმათ სიტყვებს და მაშინვე გაიგებთ შესაბრალებელს შეშლილ ადამიანის სულის მდგომარეობას; იქ წინასიტყვაობა საჭირო არ არის, რომ შეშლილიაო, საქმიდანა ჩანს ყველაფერი; სიტყვა არის პირდაპირი გამომთქმელი სულის მდგომარეობისა. აბა კოზლოვის თხზულებიდან ამოთხიკეთ ზედშესრული „შეშლილი“ და მერე გაშინჯეთ სიტყვები შეშლილისა, თუ ქვეიანად არ გეჩვენოთ“.

იბრძოდა რა ნაძალადევი გრძნობის, ყალბი პათოსისა და შიშველი ტენდენციის წინააღმდეგ ლიტერატურაში, ი. ქავჭავაძემ არ დაინდო არც ცნობილი ქართველი პოეტი ჩახრუხაძე. მისი თქმით, „დიდი მწერლის ხმა აქვს დაგდებული ჩახრუხაძესა, მაგრამ არამც თუ დიდი, პატარაც არა ბრძანდება ის კურთხეული. მისი თამარის ქება მთელ მოთხრობის ოდენაა, ზედშესრულით დაიწყობა და თითქმის ზედშესრულით თავდება... არც აზრი, არც სურათი, არც მშვენეირება. არც ქკუა, არც გული, არაფორს-განა არაფერი, გარდა ზედშესრულების რახა-რუხისა! აბა ეხლა ნახეთ, რა სახელი აქვს ჩვენში! სადაც რუსთაველს, მაგ თითქმის გენიასა ახსენებენ, იქ, გინდათ თუ არა, წამოაკუნკულებენ ჩახრუხაძესაც, რომელსაც, გვეგონია, ფიქრადაც არა ჰქონია ამისთანა ლიდების იმედი“.

უდავოა, რომ ი. ქავჭავაძე აქარბებს ჩახრუხაძის პოეზიის სუსტი მხარეების დახასიათებაში, ლალატობს ისტორიულ თვალსაზრისს, ივიწყებს რომ ჩახრუხაძე არის მეთორნეტე საუკუნის სახოტბო პოეზიის წარმომადგენელი და მას ბევრი რამ ეპატიება ისეთი, რაც არ შეფერის მეცხრამეტე საუკუნის პოეტს; მაგრამ ილია, ამ შემთხვევაში, საზომად იღებს რუსთაველს, რაც მას უფლებას აძლევს მკაცრი იყოს ჩახრუხაძის მიმართ.

ი. ქავჭავაძე ჩახრუხაძეს, პირველყოფლისა, იზიტომ იწუნებს, რომ იგი წარმომადგენელია სახოტბო პოეზიისა და თავის ნიქს ეპითეტების გამონახვას ანდომებს. კრიტიკული რეალიზმის



დანევიდრებისათვის მებრძოლი კრიტიკოსი ვერ იტანს ყალბ პათოსსა და გაზვიადებულ ქება-დიდებას. რაც მთავარია, ჩახრუხადის წინააღმდეგ ასეთი გალაშქრებით მას მიზნად ჰქონდა განედევნა მისი თანამედროვე პოეზიიდან კლასიციზმისათვის დამახასიათებელი რიტორიულობა. მას საჭიროდ მიაჩნდა გარკვეულიყო ის დიდი განსხვავება, რომელიც რუსთაველისა და ჩახრუხადის მხატვრულ ტრადიციათა შორის არსებობს.

ი. ჭავჭავაძე აყენებს საკითხს მწერლის ავტორიტეტის შესახებ. მისი თქმით, ზოგჯერ დიდი სახელის მოპოვებას ახერხებს ისეთი პოეტი, რომელიც მეტად მცირე ტალანტის მქონეა. ამიტომ, „საზოგადოების მიღება ყოველთვის არ ნიშნავს, რომ მწერალი ტალანტიანია“. ი. ჭავჭავაძეს ამ შემთხვევაში მხედველობაში ჰყავს არა მთელი საზოგადოება, ხალხი, არამედ საზოგადოების მაღალი ნაწილი. მართლაც, ჩახრუხადის სახელი ჰქონდა მოპოვებული არისტოკრატიულ წრეებში. რუსთაველისაგან განსხვავებით, იგი არასოდეს არ ყოფილა ხალხის საერთო სიყვარულის საგანი. ილია უდავოდ მართალია, როცა ილაშქრებს ჩახრუხადის ხაზის წინააღმდეგ ჩვენს ლიტერატურაში და მას პრინციპულად უპირისპირებს რუსთველურ ტრადიციებს.

არა მარტო რიტორიზმისა და ნაძალადევი გრძნობის გამოხატვის წინააღმდეგ ილაშქრებდა ი. ჭავჭავაძე, არამედ მკაცრ ბრძოლას უცხადებდა. აგრეთვე, იმ პოეტებს, რომლებიც კმაყოფილებისა და მორჩილების განწყობილებებს ნერგავდნენ მკითხველში. ასეთ პოეტთაგან იგი ასახელებს მის თანამედროვე პოეტს — დიმ. ბერიევს. ილიას თქმით, დიმ. ბერიევი „გუთნის-დედას აძინებს ხოლმე და ანუგეშებს, რომ ძილზედ უკეთესი არა არის ქვეყანაშიო, — ის კი არ აგონდება ბერიევს, რომ სულ მაგ ტკბილმა მამა-პაპურმა ძილმა დაველუპა ჩვენ“. ი. ჭავჭავაძეს, ამ შემთხვევაში, მხედველობაში აქვს დიმ. ბერიევის ლექსი — „გუთნის-დედა“, რომელშიც პოეტი ხატავს ბედით კმაყოფილ გუთნისდედას და თითონაც კმაყოფილი მიმართავს მას:

„ოდეს პერანგ-საქინძგახსნილი,  
შენს გუთანზედა მოგივა ძილი,  
აბა გვითხარი, მას რა ჰსჯობია,  
დროს უკეთესი რა უშობია?“

ერთ ადგილზე შეჩერებული და ქაობად ქცეული ცხოვრების შეუორიგებელი მებრძოლი — ი. ჭავჭავაძე, ბუნებრივია, ვერ ითმენს ასეთ მოტივს პოეზიაში. მას მხოლოდ მოქმედება და მოძრაობა

იტაცებდა, თანაც ისეთი მოქმედება და მოძრაობა, რომელიც შეცვლიდა არსებულს. ამიტომ იყო, რომ ჯერ კიდევ ადრე დაწერილ ლექსში („ელეგია“) გულისტკივილით ამბობდა:

„ოხ, ღმერთო ჩემო! სულ ძილი, ძილი,  
როსღა გვეღირსოს ჩვენ გაღვიძება?!..“

ი. ჭავჭავაძემ თავის სტატიაში მთელი ვაბედულებით დააყენა საკითხი ენის სიწმინდისა და მისი სრულყოფილად დაუფლების აუცილებლობის შესახებ. მან მკაცრად დაგმო რ. შ. ერისთავის მიერ თარგმნილი კოზლოვის „შეშლილი“ ცუდი ენისთვისაც. „სხვისი არ ვიცი, — ამბობს ილია, — და ჩვენ - კი მშობელ მანასაც არ დაუთმობდით ჩვენ მშობლიურ ენის მიწასთან გასწორებას. ენა საღეთო რამ არის, საზოგადო საკუთრებაა, მაგას კაცი ცოდვილის ხელით არ უნდა შეეხოსო“.

ი. ჭავჭავაძეს ენა მიაჩნია საზოგადოებრივ, სახალხო საკუთრებად. ამიტომ, ენის კანონმდებლადაც ხალხს სთვლის და არა კერძო პირებს, თუნდაც მწერლებს. სამწერლო ენა, ილიას გაგებით, ხალხის მეტყველებას უნდა ეყრდნობოდეს და მით უნდა საზრდოობდეს. როცა ხალხის მეტყველებაში ხდება არსებითი ხასიათის ცვლილება, იგი უნდა აისახოს სამწერლო ენაშიც. თავისი სტატიის დასაწყისშივე ი. ჭავჭავაძე შენიშნას აკეთებს, რომ არსებული წესისაგან გახსხვავებით იგი არ ხმარობს ასოებს ფ, ფჲ, ჯ, ჳ. ამასთან დასძენს: „თუ, ვინიცობაა, ეს ენის წინააღმდეგ მიაჩნდეს ვისმეს, ჩვენ ყოველთვის მხად ვართ გავსცეთ პასუხი და გამოუცხადოთ, რა მიზეზითაც არა ვხმარობთო“. და ეს მიზეზი, როგორც შემდეგ ვნახავთ, იყო ის, რომ მის შესატყვისს ბგერებს ხალხი უკვე აღარ გამოთქვამდა.

როგორც ვიცით, ი. ჭავჭავაძემ დაიწუნა „ცისკრის“ პროდუქციის უდიდესი ნაწილი როგორც შეუფერებელი თემატიკის, ასევე ცუდი ენისა და მხატვრული სისუსტის გამო. ამის შემდეგ, ბუხებრივია, მან საკითხი დასვა საერთოდ ჟურნალისა და მისი რედაქტორის ღირსების შესახებ.

ი. ჭავჭავაძეს საფუძველი ჰქონდა ეთქვა, რომ ვერც ჟურნალი და ვერც მისი რედაქტორი თავის სიმაღლეზე ვერ იდგნენ და ამით გაეთავებინა, მაგრამ მას არ სურდა გვერდი აეგლო სინამდვილისათვის და არაფერი ეთქვა არსებითი მნიშვნელობის მქონე მიზეზების შესახებ, რომლებიც გადაჯაჭვულნი იყვნენ. სოციალ-პოლიტიკურ ვითარებასთან.

ჩვენ გვიკვირს,—წერს ი. ქავჭავაძე,—უფ. რედაქტორი როგორ ბეჭდავს „შეშლილსავეთ“ და უფრო „შეშლილ „ზადაჩებსავეთ“ გამოუსადეგ სტატიებსა? მაგრამ უფ. კერესელიძე გასამტყუნარი არ არის. აბა ნუ დაბეჭდავს და ნახავს, რამდენი ხელის-მომწერი მოაკლდება გულნატკენ ვილაც „მოზადაჩების“ მეცადინეობით. თუ ხელის-მომწერი არ ეყოლება ეურნალსა, როგორ იცოცხლებს იგი? ეგრეთ ჯოჯოხეთში არის ხოლმე ყოველი რედაქტორი, რომლის ეურნალსაც საკუთარი კაპიტალი, ანუ თანხა არა აქვს. გინდა თუ არა, უნდა დამოკიდებული იყო იმ კაცებზედ, რომელნიც წინდაუხედავად, უთაებოლოდ, რაც მოხედებდათ და როგორც მოხედებდათ, ბლაჯნიან, რადგანაც იმედი აქვთ, რომ საბრალო „ცისკარი“, მათგან ფულით დავალებული, ნებით, თუ არა ნებით, ალაგს მისცემს თავის ფურცლებზე იმათ გამოუსადეგ სტატიასა. რათ უნდა ვემდუროდეთ უფ. რედაქტორს, რომ ეურნალი არ უფარვა? აბა რა თანხები გაუმართეთ, რომ თავისუფლად ამოერჩია სტატიები და არ ჰშინებოდა წყენისა..., კიდევ, მადლობა ღმერთს, რომ „ცისკარი“ მაგ ყოფაშია, ორიოდ თვეად ალ. ქავჭავაძის, თავად ნ. ბარათაშვილის და გრ. ორბელიანის ლექსებთან მაინც გაგვაცნო, რომ სხვა არა იყოს-რა. სხვა. ახალი პროზაიკები და მოლექსეები, ზოგიერთის გარდა, ღმერთმა შეინახოს“.

ამ სიტყვებით ი. ქავჭავაძემ თვალნათლივ წარმოადგინა ის გარემო, ის საზოგადოებრივი წრე, რომელიც „ცისკარის“ ხასიათს განსაზღვრავდა. აჩვენა ისიც, რომ „ცისკარს“ გარკვეული მიმართულება არ ჰქონდა და მის ბედს განაგებდნენ მხოლოდ ისინი, რომელთაც კაპიტალი გააჩნდათ. სტატიაში ხაზი აქვს გასმული იმ გარემოებას, რომ „ცისკარის“ მთავარი დამსახურება წინა პერიოდის მწერალთა თხზულებების მკითხველისადმი გაცნობაში მდგომარეობდა. და ეს იმიტომ, რომ, მცირე გამონაკლისს გარდა, თანამედროვე მწერალთაგან იმედს ვერავინ ამართლებდა. ილიას სიტყვებში ისმის გაფრთხილება ც საზოგადოების მისამართით იმის შესახებ, რომ სანამ ეურნალს ხელისმომწერი არ გაუმრავლდება, რედაქტორს გაუძნელდება გამოსცეს წესიერი ეურნალი.

ამგვარად, რედაქტორის—ი. კერესელიძის პირადი „გამართლება“ ი. ქავჭავაძეს ვსაჭიროებოდა უფრო მნიშვნელოვან ფაქტორებზე ყურადღების მისაქცევად და თავისი მკაცრი სტატიის დაბეჭდვის უზრუნველსაყოფად.

ი. ქავჭავაძემ მიაღწია თავის მიზანს. „ცისკარში“ მან გამოაქვეყნა ბელინსკისებური პირველი სტატია, რომელიც მრავალმხრივ

„საყურადღებო იყო და უდავოდ მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა ჩვენს ლიტერატურაში.

მართალია, ი. ჭავჭავაძე თავის წერილში შენიშნავს, რომ „ჩვენს სტატიაში ნუ ელოდებით ესთეტიკურ კრიტიკასო“, მაგრამ ეს იყო ერთგვარი პოლემიკური ხერხი, რათა ეთქვა: „ამ „შეშლილნი“ მცირედი საზრდოც არ არის ესთეტიკური კრიტიკისათვისო“. სინამდვილეში ეს სტატია იყო პირველი ქვეშაბრტყი კრიტიკული სტატია, რომელიც საფუძველს უდებდა ახალ სალიტერატურო კრიტიკას ქართულ მწერლობაში.

თავის სტატიაში ი. ჭავჭავაძე ეხება კრიტიკის მნიშვნელობას ლიტერატურის შემდგომი წინსვლის საქმეში და გამოთქვამს სურვილს პირუთენელი კრიტიკოსების გამოჩენის შესახებ. „იქნება, — წერს ილია, — თავად ერისთავმა გვიწყინოს ეს პირმოუყერებელი სტატია. არა გვგონია. ჩვენ ყველანი ქართული ენის ხმარებაში ცოდვილნი ვართ და ჩვეულება ურთიერთის ცოდვების ჩვენებისა არ იქნება მომატებული. მაშ, როგორ უნდა გავსწორდეთ, თუ ჩვენი სიმრუდე არ გვეცოდინება? ნეტავი ორიოდე კაცი იყოს საქართველოში, რომ ჩვენი ბოროტება ერთიანად ასწეროს და დაგვანახოს... აბა, ის იქნება ნამდვილ საქებარი მამულის-მოყვარე, და არა ის, ვინც მეტის-მეტად დამუყავებული სიყვარულისა განო, ან-გელოზივით ასახელებს საქართველოსა. ბოროტების ღვიარება ნახევარი გასწორებააო“.

ამგვარად, ი. ჭავჭავაძე გადასწვდა იმ ე. წ. პატრიოტებსაც, რომლებიც სიტყვით „თავს დებდნენ“ სამშობლოსათვის, ხოლო საქმით არაფერს. მატებდნენ მას და მხოლოდ პირად სარგებლობაზე ფიქრობდნენ. ილიას ნამდვილ მამულისშვილად და პატრიოტად მიაჩნდა ის, ვინც ნაკლს კი არ მალავდა, არამედ ააშკარავებდა და იბრძოდა მის გამოსასწორებლად.

ბევრი ახალი, საინტერესო და მეტად დამაფიქრებელი შეხედულება და შენიშვნა ამოიკითხა „ციცკრის“ მკითხველმა ი. ჭავჭავაძის სტატიაში, მაგრამ ყველასათვის ერთნაირად სასიამოვნო და მისაღები როდი აღმოჩნდა იგი. ამაში იყო ამ სტატიის ერთ-ერთი ღირსებაც.

„ციცკრის“ იმავე ნომერში დაიბეჭდა ი. ჭავჭავაძის ლექსები: „გაზაფხული“, „ალექსანდრე ჭავჭავაძე“ და „გასსოვს ტურფავ“. აღნიშნული ლექსები სტატიის ერთგვარ შევსებას წარმოადგენდნენ. განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია ლექსმა „გაზაფხული“; რომელშიც პოეტი ნაღვლიანად კითხულობდა:

აყვავებულია მდელი,  
აყვავებულია მთები;  
მამულო საყვარელო,  
შენ როსლა აყვავდები?“

ი. ჭავჭავაძის სტატიამ და ლექსებმა მოთმინება დააკარგინა „ცისკრის“ მიმართულების დამცველ მწერლებს. მათ მტკიცედ გადაწყვიტეს, ერთობლივი „ლაშქრობა“ მოეწყოთ „ბელინსკის ტომებით შეიარაღებული სტუდენტის“ წინააღმდეგ.

„ცისკრის“ შემდგომ ნომერში (1861 წ., № 5) გამოქვეყნდა მწერალი ქალის ბ. ჯორჯაძის, კოზლოვის „შეშლილის“ მთარგმნელ რ. შ. ერისთავისა და გ. ბარათაშვილის საპასუხო სტატიები, მაგრამ არც ერთი მათგანი არ ეხებოდა იმ მთავარ საკითხებს, რომლებიც ი. ჭავჭავაძემ ყურადღების ცენტრში დააყენა. სრულიად შეგნებულად, ისინი მხოლოდ და მხოლოდ ორთოგრაფიის საკითხებით შემოიფარგლენ და ამ მიმართულებით გააჩაღეს დემაგოგიური ბრძოლა ილიას წინააღმდეგ. მათ წარმოუდგენელ თვითნებობად და დანაშაულად მიიჩნიეს ი. ჭავჭავაძის ძიერ შვიდი ასოს\* განდევნა ალფაბეტიდან და სამწერლო ენის სასაუბრო, ხალხურ ენასთან დაახლოების იდეის გატარება სტატიაში.

ი. ჭავჭავაძის წინააღმდეგ მიმართულ სტატიათაგან (რომლებიც „ცისკრის“ 1861 წლის მე-5 ნომერში გამოქვეყნდა) პირველი მწერალ ქალს— ბარბარე ჯორჯაძეს ეკუთვნოდა. ბ. ჯორჯაძეს „ცისკრელთა“ შორის თავი მოჰქონდა ქართული ენის ცოდნით. იგი, როგორც ვიცით, ჯერ კიდევ ლ. არდაზიანს გაეკამათა ენის საკითხებზე და მაღალი, საეკლესიო ენის „ავტორიტეტი“ დაიცვა. ჩანს, ჟურნალის რედაქცია და კონსერვატიული ბანაკის წარმომადგენლები დიდ იმედებს ამყარებდნენ მასზე ამჯერადაც. ისიც დიდად გაცხარებული იწყებს ი. ჭავჭავაძესთან პოლემიკას და სჯერა, რომ სიმართლე მის მხარეზეა.

ბ. ჯორჯაძის პოზიცია მისი სტატიის დასაწყისშივე გარკვეულია. მან სტატიას ეპიგრაფად წარუმიძღვარა საღმრთო წერილიდან ამოწერილი სიტყვები, რითაც აშკარა გახადა, რომ მისი შეხედულებები ენობრივ თუ ლიტერატურულ საკითხებზე სქოლასტიკის ფარგლებს არ სცილდებოდა. მართლაც, მთელი მისი მსჯე-

---

\* მართალია, ი. ჭავჭავაძე თავისი პირველი სტატიის სქოლიოში მხოლოდ ხუთ ასოზე მიუთითებს, მაგრამ როგორც მისი შემდეგი სტატიიდან („პასუხი“) ირკვევა, მას ქართულ ალფაბეტისათვის შეუფერებლად მიაჩნდა არა ხუთი, არამედ შვიდი ასო (ტ, ძ, ზ, ნ, ვ, ს, ჭ).

ლობა მხოლოდ სქოლასტიკა და წარმოადგენს იმის გამოხატულებას, თუ როგორ ჩამორჩა ცხოვრების სინამდვილეს და ლიტერატურის საერთო განვითარების დონეს „ცისკრის“ რედაქცია და მისი გულშემატკივარი მწერლები.

ბ. ჯორჯაძე სრულიად არაფერს ამბობს ი. ქავჭავაძის მიერ დასმულ საკვანძო საკითხების შესახებ. მას გადაუწყვეტია ი. ქავჭავაძესაც მოუძებნოს ენობრივი შეცდომები სტატიასა თუ ლექსებში და ამით „დაამტკიცოს“ თავისი უპირატესობა უნივერსიტეტის სტუდენტთან.

საერთოდ, ბ. ჯორჯაძე ადვილად „ახერხებს“ ი. ქავჭავაძის შეხედულებების „უარყოფას“. „მაღალ სასწავლებელში გაზრდილ“ მკითხველს იგი მიმართავს, რომ „რადგანაც ჩვენ ნოვნიკობით ნამაჰაპათ ჩვეულებაზედ და უმაღლეს პოეზიას, გინა ფილოსოფიას ვპოუვებთ უმეტესად საღმრთო წიგნებში“, სტატიასაც საღმრთო წერილის სიტყვებით ვიწყებო. ამგვარად, ბ. ჯორჯაძე თვითონ აცხადებს, რომ ის, რაც არ უდგება „საღმრთო წიგნებს“, მისთვის მიუღებელი და შეუწყნარებელია. ამიტომ, ენის წახდენად თვლის, ის ისეთი ენით წერას, რომელიც განახევადება „საღმრთო წიგნების“ ენისაგან.

მთავარი ბრალდება, რომელსაც ბ. ჯორჯაძე ი. ქავჭავაძეს უყენებს, ესაა „ხელოვნების თეორეტიკის“ უცოდინარობა. „ილია ქავჭავაძე, — ამბობს ის, — გაზრდილი გახლავსთ უნივერსიტეტში, სადაცა ასწავლიან მრავალ საგნებს, და, რასაკვირველია, სწავლის მიიღებდა, მაგრამ აი საკვირველი! უპირველესი საგანი არ შეუძინებია და ლიტერატორობს კი. თუ ნებას მოგვცემს, მოვახსენებთ... რომ ყოვლის მწერლისათვის საჭიროა და აუცილებელი იცოდეს: თეორეტიკა, ანუ ჰსწავლა ხელოვნებითის სიტყვიერებისაო“...

კითხულობთ ამ სიტყვებს და ფიქრობთ, რომ ბ. ჯორჯაძე ხელოვნების თეორიის ცოდნას შოითხოვს მწერლისაგან. მაგრამ მალე ირკვევა, თუ რა „თეორეტიკაზე“ ლაპარაკობს ჩვენი მწერალი ქალი. ანბანის ხმარების წესებს ეძახის თურმე ის „ხელოვნების თეორეტიკას“ და მთელი ეს განგაში ამ საკითხის გარშემო გაუმართავს. ბ. ჯორჯაძე იმ შეხედულებისაა, რომ ძველიდანვე დაკანონებულია, თუ რომელი სიტყვა როგორ დაიწეროს და რა წესით შეუთანხმდეს წინადადებაში მეორეს, ამიტომ ამ წესებში ცვლილებების შეტანა საჭირო არაა. „ყოველთა ამათ განხილვა, გამოძიება და ახალთა კანონთა დადება, — წერს ბ. ჯორჯაძე, — ჩვენი საქმე არ არის, რადგანაც ყოველი ესე არის მოყვანილი

ცნობაში ჩვენზედ აღრეო“. მკითხველი მიხედება, რომ ბ. ჯორჯაძე, პირველყოვლისა, აღშფოთებულია ი. ჭავჭავაძის მიერ თავის სტატიას სქოლიოში გაკეთებული შენიშვნით, — ზოგიერთი ასოს ზედმეტად გამოცხადების გამო. მას მოჰყავს მაგალითები ამ ასოთა გამოყენების წესის საილუსტრაციოდ და გამარჯვებაში თვითდარწმუნებული შენიშნავს: „თუ რომ უფ. ჭავჭავაძეს ჰსურს ახალისების დაბადება, ეს კი არ ვიცითო“.

ბ. ჯორჯაძეს სჯერა, რომ ენაში ცვლილებები არ ხდება, რის გამო უფლება არავის აქვს ცვლილებები შეიტანოს დამწერლობაშიც. ამიტომაც, რომ ის ფიქრობს--ახალი სამწერლო ენის დამკვიდრების პრეტენზია არ შეიძლება ჰქონდეს ვისმეს. მაგრამ ბ. ჯორჯაძე ტყუვდებოდა; ი. ჭავჭავაძემ კარგად იცოდა, რომ დროთა ვითარებაში ქართულ ენაში მოხდა ცვლილებები და სამწერლო ენაში შესაფერი ცვლილებების შეტანაც საჭირო იყო. ი. ჭავჭავაძეს არათუ შესაძლებლად მიაჩნდა სამწერლო ენის გამარტივება, არამედ მტკიცედ მოითხოვდა „სამი სტილის“ თეორიაზე დამყარებული ქართული სამწერლო ენის საფუძვლიან გადამუშავებას, სასაუბრო ენის შესატყვისი ახალი სამწერლო ენის შემოღებას. ამიტომ, ამაო იყო ბ. ჯორჯაძის ვარაუდი, რომ მისი მოწინააღმდეგე უარს გააცხადებდა ასეთ განზრახვებზე და ამით განარჯვებაც მას დარჩებოდა.

ი. ჭავჭავაძემ „ცისკრის“ რედაქციას უსაყვედურა ბარბაროზებით ენის დანაგვიანების გამო, ბ. ჯორჯაძე კი შეეცადა რედაქცია „გაემართლებია“ ი. ჭავჭავაძის სტატიაში მსგავსი შემთხვევების მოძებნით. იგი ირონიული ტონით აცხადებს: „ვთხოვთ შეასმინოს ჩემს გაუნათლებელ გონებას მაგ განათლებულმა პატივეცემულმა სტუდენტმა, რა მნიშვნელობა აქვს ამ ლექსებს: ესტეტიკური, სენტიმენტალური, დრამატიზმი და სხვანიო“.

ბ. ჯორჯაძე ვერ ითვალისწინებს, რომ უცხო სიტყვების შემოტანა დაუშვებელია მხოლოდ მაშინ, როცა მისი შესატყვისი მოკოვება ენას; სხვა შემთხვევაში კი აუცილებელიც არის.

ბ. ჯორჯაძე არ იზიარებს ი. ჭავჭავაძის შეხედულებას იმის შესახებ, რომ „ცისკარში“ მხოლოდ ორიოდ მწერალი თუ ვარგა, თორემ დანარჩენნი არაფერს მატებენ მწერლობას. ის ასახელებს დიმიტრი ბაქრაძესა და ლავრენტი არდაზიანს, როგორც „ცისკრის“ თანამშრომლებს და ამით „უარყოფს“ ილიას მოსაზრებას, რომ „ჟურნალი არ უვარგა კერესელიძეს“.

ასეთი წესითა და ამგვარი პასუხი გასცა ი. ჭავჭავაძეს „ცისკრის“ „ფალავანმა“ — ბ. ჯორჯაძემ, რომელმაც „საღმრთო წერი-

ლით“ დაიწყო და „საღმრთო წერილითვე“ დაასრულა თავისი სტატია.

შეიძლება ვინმემ ივარაუდოს, რომ სამმა პოლემისტმა (ბ. ჯორჯაძემ, რ. ერისთავმა, გ. ბარათოვმა) ერთმანეთში გაინაწილეს საკითხები და სხვადასხვა მხრიდან შეუტრეს ი. ქავჭავაძეს, მაგრამ ეს ვარაუდი არ მართლდება. კიდევ უფრო უმწეოა გ. ბარათაშვილის სტატია—„წერილი რედაქტორთან“,—რომელიც მხოლოდ მოკულობით ქარბობს ბ. ჯორჯაძის სტატიას (დაბეჭდილია ორ ნაწილად<sup>1</sup>).

წერილის შესავალშივე გ. ბარათოვი ძალაუვნებურად აწვდის ნებს თავის „მაღალ მომზადებას“. კაცი, რომელსაც მკაცრ პოლემიკაში მონაწილეობის მიღება გადაუწყვეტია და ენის კანონებზე მსჯელობას ფიქრობს, გულწრფელად აცხადებს, რომ მისი „ცოდნა ქართულს ენაში ნაცვალსახელს აღარ გადასცილებია“. ამასთან, სრულ უსუსურებას ამელავენებს კრიტიკის მნიშვნელობისა და დანიშნულების გაგებაში. ი. ქავჭავაძის კრიტიკა რ. ერისთავის მიერ თარგმნილ კოზლოვის „შეშლილის“ შესახებ მას მიაჩნია წერილმანებისადმი გამოდევნებად და „თავის მოძმის“ მიმართ ჩადენილ არაკეთილსინდისიერ მოქმედებად. რვევრანსებსა და ურთიერთ ბოტბას შეჩვეული გ. ბარათაშვილი ი. ქავჭავაძის გამოჩენას კრიტიკის არენაზე მოულოდნელ და არასასურველ მოვლენად თვლის. მისი შეხედულებით, ი. ქავჭავაძემ ყოველგვარი დაფიქრების გარეშე შიწასთან გაასწორა ჩახრუხაძე, დ. ბერიევი, სარდიონ მესხიევი და „შეშლილის“ მთარგმნელი—რ. ერისთავი.

გ. ბარათაშვილი ესარჩლება ი. ქავჭავაძის მიერ „უსამართლოდ“ გაკიცხულ მწერლებს, მაგრამ თავს არ იწუხებს დამაჯერებელი გახადოს თავისი შეხედულებები. ჩახრუხაძის დასაცავად მას საკმაოდ მიაჩნია დამოწმება ანტონ კათალიკოსის სიტყვებისა, რომელთა მიხედვით ჩახრუხაძე რუსთაველზეც მაღლა დგას. იგი ვერ მიიხვდარა, რომ ი. ქავჭავაძე სწორედ ანტონ კათალიკოსის მიერ დამკვიდრებულ შეხედულებას ებრძვის და ახდენს ჩახრუხაძის როლის გადაფასებას.

მეტად ხელცარიელია გ. ბარათაშვილი რ. ერისთავის დაცვის საქმეშიც. უძნელდება რა მისი გამართლება ქართული ენის დამახინჯებისათვის წაყენებულ ბრალდებებში, იგი ი. ქავჭავაძეს უსაყვედურებს რუს კრიტიკოსთა აზრების განვითარებას კოზლოვას

<sup>1</sup> „ცისკარი“, 1861, № 5, 6.



შესახებ, რითაც ნაცვლად უარყოფისა, კიდევ უფრო მტკიცეს ხდის ი. ჭავჭავაძის მოსაზრებებს.

გ. ბარათოვი კიდევ უფრო შორს მიდის თვითმხილებაში და სრულ უცოდინარობას იჩენს. მხატვრული ნაწარმოების გაგებისა და შეფასების საქმეში. „მადაგახსნილო“ პოლემისტი, დარწმუნებული ი. ჭავჭავაძის სტატიის გაცამტვერებაში, მისწვდა ი. ჭავჭავაძის ლექსებსაც, მაგრამ „საკბილო“ რომ ვერაფერი იპოვა, „მამობრივი გულისტკივილით“ აღნიშნა: — „გაზაფხულში“ (ი. ჭავჭავაძის ლექსი — დ. გ.) პოეტი სულით ნატრობს საყვარელ მამულის აღყვავებას—ნეტავი დაანახა ეხლა საქართველო როგორ მწვანე ხავერდით ბიბინებო!..“

გ. ბარათოვის კრიტიკული ნიქის დასახასიათებლად, ცხადია, უკეთესი საბუთის ძიება ზედმეტი იქნება. მაგრამ მისი ასეთი კრიტიკული „აღლო“ „ცისკრის“ რედაქციის ღირსებაზეც აშკარად ნეტყველებს.

გალახული დამნაშავე ბავშვის თვითმართლებას მოგვაგონებს რ. შ. ერისთავის სტატიაც, რომელიც მხარს უმშვენებს ბ. ჯორჯაძისა და გ. ბარათაშვილის სტატიებს. მართალია, მას სათაურად აქვს „პასუხი თავადი ილია ჭავჭავაძის კრიტიკისა“, მაგრამ ამოდ შეეცდებით იპოვოთ მასში ჰემმარტი პასუხი.

რ. ერისთავის თავისმართლება უფრო შებრალების თხოვნის შთაბეჭდილებას ტოვებს, ვინემ საბუთიანი პასუხისას. მაგრამ იგი ზოგჯერ მაინც აღიარებს თავის შეცდომებს, რითაც: ცხადია, უფრო მალღდება მკითხველის თვალში, ვინემ შეცდომათა ბავშვური „გამართლებით“. იგი მხოლოდ იმაზე ჩივის, რომ მეტად მკაცრი იყო კრიტიკა და მასთან ერთად კარამზინი, კოზლოვი და ჩახრუხაძეც აღარ დაინდო ი. ჭავჭავაძემ. განსაკუთრებით წუხს კარამზინის გამო და წინ სწევს მის დამსახურებას რუსული მწერლობის წინაშე.

მსგავსად ბ. ჯორჯაძისა, რ. ერისთავიც ვერ ერკვევა, თუ რა შემთხვევაში სესხულობს ერთი ენა მეორე ენისაგან სიტყვებს და რა მნიშვნელობა აქვს მას ენათა ურთიერთგანდიდრებისათვის.

რ. ერისთავი არც გ. ბარათაშვილს ჩამორჩა მხატვრული თქმების „გაგების“ საქმეში. მას ვერ გაუგია აზრი ი. ჭავჭავაძის სიტყვებისა: „წენ სულ მამაპაპურმა ტკბილმა ძილმა დაგვღუპაო“ და იშველიებს ისტორიას წინაპართა დამსახურების ჩვენების მიზნით.

მაგრამ, ქვეშარიტების ინტერესები მოითხოვენ აღვნიშნოთ, რომ ი. ქავჭავაძის სტატიის აზრი და მნიშვნელობა უფრო მეტად პაინც რ. ერისთავმა გაიგო, და ეს, ალბათ, იმიტომ, რომ იგი უფრო ახლოს იყო კრიტიკის საგანთან.

\* \* \*

ი. ქავჭავაძე უკვე თბილისში იყო, როცა მისი სტატიის საპასუხო წერილები დაიბეჭდა „ცისკარში“. მასაც მალე დაუწერია საპასუხო სტატია („პასუხი“) და „ცისკრის“ შემდგომ (მეექვსე) ნომერში გამოუქვეყნებია. ჟურნალის რედაქცია მეტად მძიმე პდგომარეობაში ჩააყენა ი. ქავჭავაძის „პასუხმა“. დაბეჭდვაზე უარის თქმა რედაქციის სისუსტესა და შიშს გამოაშუღავნებდა, ბოლო დაბეჭდვის შემთხვევაში — „ცისკრის“ გულშემატკივართა და ფალავანთა უფიცობა გამოვლინდებოდა. რედაქციამ ბოლოს გადაწყვიტა დაებეჭდა ილიას „პასუხი“, მაგრამ მხოლოდ შენიშვნების დართვით. მართლაც, ი. ქავჭავაძის სტატია გამოქვეყნდა შენიშვნებითა და განმარტებებით „შემოსილი“.

ი. ქავჭავაძემ თავის „პასუხს“ წარუშდღვარა ბ. ბელინსკის სიტყვები: „Из нашей литературы хотят устроить балльную залу и уже зазывают в нее дам; из наших литераторов хотят сделать светских людей в модных фраках и белых перчатках, энсргию хотят заменить вежливостью, чувство — приличием, мысль — модною фразою, изящество — щеголеватостью, критику — комплиментами“<sup>1</sup>.

ნიშანდობლივია, რომ ბ. ბელინსკი ამ სიტყვებს წერს სტატიაში — „О критике и литературных мнениях „Московского наблюдателя“, როდესაც ის ეკამათება შევირიოვს მწერლობაში ქალთა გამოჩენისა და ლიტერატურულ ზნეობაზე მათი გავლენის მნიშვნელობის შესახებ. ბ. ბელინსკის ამ სიტყვებით ი. ქავჭავაძე დასაწყისშივე გასაგებს ხდის სტატიის ძირითად შინაარსს და თავისი გულისტკივილის მიზეზს.

„ცისკრის“ რედაქციასაც უგრძენია, რომ ი. ქავჭავაძეს ეპიგრაფად შერჩეული ჰქონდა ბ. ბელინსკის მეტად მახვილი სიტყვები, ამიტომ მისთვის დაურთავეს თავისი განმარტება, რომელშიც ვკითხულობთ: „ეს ეპიგრაფი აქ უადგილოა: ეს მიეწერება იმ დროს,

---

<sup>1</sup> В. Г. Белинский. Собрание сочинений в трех томах, 1948, т. I стр. 269.

როდესაც ბელინსკისაგან მოხსენებული ნაკლულევანებები ზოგიერთის ევროპიის საზოგადოების ზნეობაში იყვნენ და ამ ზნეობებით-გან შემოვიდნენ მათ სიტყვიერებაში: პირველი მაგალითი უჩვენა ფრანციანი, რომელსაც ჰბაძავდა თვით რუსეთიცა... ი. ქავკავაძე ივიწყებს რა გვარს საზოგადოებისათვის სწერს კრიტიკებსა. ქართველები ჯერ ევროპიისა და რუსეთის განათლებაზედ არა დგანან. უ. ქავკავაძე ბელინსკის ჰბაძავს და ბელინსკობა ჩვენში არ გამოდგება. თუმცა ბელინსკი საფუძვლიანი და უპირველესი კრიტიკოსი იყო რუსეთში, მაგრამ, როგორათა ცნეული და ზაფრიანი კაცი, ყოველთვის ილანძლებოდა და ამის მიზეზით იმისი ბაძვა არ არის მოსაწონი, და თვით რუსეთში ეხლა ვინა ჰბაძავს იმასა!?”.

რედაქციის გაცხარება, როგორც ვხედავთ, ყოველგვარ ზომას გადასცდა: არათუ ახალგაზრდა ი. ქავკავაძე, არამედ სახელმწიფო ბელინსკიც შეუფერებლად მოიხსენიეს.

ი. ქავკავაძემ თავის „პასუხში“ მიზნად დაისახა, ერთი მხრივ: პასუხი გაეცა მისი კრიტიკოსებისათვის, მეორე მხრივ, წამოეყენებია და დაესაბუთებია ლიტერატურათმცოდნეობის საერთო მნიშვნელობის საკითხები.

მოწინააღმდეგეთა და მათი სტატიების ღირსებაზე ი. ქავკავაძე მკითხველს წარმოდგენას აძლევს პირველივე სტრიქონებით: „ბარაქალა, ჩემო სტატიავე, ბარაქალა! ვისაც თავის დღეში კალამი ხელში არ აუღია, იმასაც აალებინე; ვისაც მართალი სიტყვა პირდაპირ ნათქვამი თავის დღეში არ გაუგია, იმას მართლის თქმით გული აუშლვრიე; ვისაც „შინიღამ ფეხი კარში არ გამოუდგამს“ და რაღაც ანბანის თეორეტიკის მეტი არა უკითხავს-რა, ისიც-კი ალაპარაკე თეორეტიკის გარეშე საგანზედ. ბარაქალა, ბარაქალა! სამი სტატია ერთ სტატიაზე, რა ამბავია? ეს ის ამბავია, ჩემო კეთილო მკითხველო. რომ ამ ჩემ მოპირდაპირეთ რიცხვით ჯობნა სურვებიათ და არა თავის სტატიების ღირსებითა... ეგ არაფერი კიდევა, სხვა კრიტიკებიც კიდევ მზადდება თურმე ჩემზედ. სხვანიც რომ ამ სამს კრიტიკაზედ დაჰმატონდნენ, კარგი იქნებოდა; პირველი — რომ პასუხს ერთად გავსცემდი, მეორე — რომ ეს რამდენიმე კრიტიკა ერთად კაი ზომიერი ლუკმა მაინც გამოვიდოდა: რომ ღირებულიყო ჩასაყლაპავადო“ \*.

\* ი. ქავკავაძის პირველი სტატიის საპასუხოდ, მისი მეორე სტატიის („პასუხი“) გვერდით მართლაც დაიბეჭდა გ. ბარათაშვილის სტატიის მეორე ნაწილი და ს. მესხივის — „უსტარი ანტიკრიტიკული“ („იუსიკარი“, 1861, № 6).

„ცისკრის“ რედაქციამ ვერც ამ სიტყვების გამო შეიმაგრა თავი და თავის შენიშვნაში წერს: „ბელინსკის გავლენა უოველს სიტყვაში ჰსჩანს... იმ მწერალთა სტატიებში, რომელნიც მას არ მოსწონს, უფრო კარგი აზრები სძევს, და უფრო საფუძვლიანად არიან ისინი დაწერილნი. განსაკუთრებით კნ. ბარბარე ჯორჯაძისა“.

მაგრამ ეს შენიშვნები ვერ შველით „ცისკრის“ პოლემისტებს თავისი რკინისებური ლოგიკით ი. ჭავჭავაძე აშკარასა ხდის მათ სიუსტესა და ჩამორჩენილობას. პირველყოვლისა, ილია გაკვირვებას გამოთქვამს იმის გამო, რომ მეტი შესაძლებლობის მქონენი მიმალულან, ხოლო სუსტები გამოსულან და შეუპოვრად იბრძვიან. ამასთან დაკავშირებით ის შენიშნავს, რომ „სულელის უბედურება ის კი არ არის, რომ სულელია, ის არის, რომ თავის თავს ევო იცნობს და თავისი თავი დიდი რამა ჰგონია“. მართლაც, ი. ჭავჭავაძეს პოლემიკა გაუმართეს კონსერვატორთა ბანაკის შედარებით სუსტმა წარმომადგენლებმა, სხვებმა კი, იგრძნეს რა მისი ნამდვილი ძალა, ტაქტიკური სიჩუმე ირჩიეს და არ გამოვიდნენ ბრძოლის ველზე.

აქვს რა მხედველობაში „ცისკარი“ და მასში გამოქვეყნებული წერილები, ი. ჭავჭავაძე წერს: „ხშირად შემხედება ხოლმე სიტყვები: ლიტერატურა, სიტყვიერება და სხვანი, მაგრამ მხმარებელთ ხმარებულის გაგება არა ჰქონიათ; რომ ჰქონოდათ, დარწმუნებული ვარ, რომ არამც თუ ლიტერატორობას მოჰყვებოდნენ, კალამსაც ხელში არ აიღებდნენ და თუ აიღებდნენ, მართო მოკითხვის წერილების დასაწერად“. თავის ამ შეხედულებას ი. ჭავჭავაძე ნათელყოფს ბ. ჯორჯაძის სტატიის მაგალითზე. იგი მკითხველს აჩვენებს, თუ როგორ ურევს ერთმანეთში ბ. ჯორჯაძე „ასოთა მოხმარების წესს სიტყვებში“ და „ხელოვნების თეორეტიკას“. ამასთან დაკავშირებით, ი. ჭავჭავაძე თვითონ იძლევა ხელოვნების განმარტებას.

„ხელოვნება, — ამბობს ი. ჭავჭავაძე, — არის განხორციელება სახეში იდეისა, აზრისა: მუსიკა, მხატვრობა, პოეზია — ესენი სულ სახეში გამოსატქვამენ იდეიას, მხოლოდ იმით განიყოფებიან, რომ თავის იდეის გამოსათქმელად სხვადასხვა მასალებსა ხმარობენ, როგორც მუსიკა — ხმასა, მხატვრობა — ხაზსა, პოეზია — სიტყვასა“.

ხელოვნების ამგვარი განმარტებისას, როგორც ვნახავთ, ი. ჭავჭავაძეს მხედველობაში აქვს ბ. ბელინსკის შეხედულება ამავე საკითხზე.

ი. ჭავჭავაძე გრძნობს, რომ „ცისკრის“ მესვეურთ არ ესმით რა არის ხელოვნება და რაა მისი დანიშნულება; ხედავს, რომ ისინი პრიმიტიული და სქოლასტიკური აზრებით „ართობენ“ მკითხველს. „ცისკრის“ ასეთ სავალალო მდგომარეობაში ყოფნის გამო იგი ვაკვირვებასაც გამოთქვამს და აღშფოთებასაც გამოხატავს. ბ. ჯორჯაძისა და მის თანამომძმეთა „გაბედულებას“ ილია მათი ჩამორჩენილობით ხსნის. „მამ რისთვის გამობრძანდებიან ხოლმე ამგვარი პირნი სცენაზედ? — კითხულობს ის — რა დაჰკარგვიათ და რას ეძებენ? უბედურება ჩვენი ეს არის, რომ დავბეჭდავთ თუ არა ანბანის თეორეტიკის კანონით უაზრო ლექსებს, გვეგონია, რომ ხელოვნებას დიდი რამ შეეძინეთო; იმიტომა გვეგონია, რომ ჩვენ ლექსში „ა“ თავის ალაგს ხმარებულია, „ბ“ თავის ალაგსა. თუ „ცისკარი“ უვარგისია, კიდევ თქვენგან, ყვავებო ფარშავანგის ფრთებითა, ბულბულებო უორნის ჩხავილითა!“.

„ცისკრის“ ფალავენებს ი. ჭავჭავაძე მოაგონებს, რომ ცოდნასა და განათლებასთან ერთად, და კიდევ უფრო მეტად, პოეტს ნიჭი ესაჭიროება. „ეხლა, რომ კაცმა სწეროს, — შენიშნავს ილია. — ცოდნის და განათლების გარდა, ნიჭიც უნდა ჰქონდეს. ცოდნა და განათლება ესე აუცილებელი და საჭირონი არ არიან პოეტისათვის, როგორც ნიჭია საჭირო და აუცილებელიო“. თავისი აზრებულების დასამტკიცებლად იგი მიუთითებს კოლკოვის მაგალითზე.

ამგვარად, ი. ჭავჭავაძე მოწინააღმდეგეებს თვლის არა მართო გაუნათლებელ, არამედ პოეტურ ნიჭს მოკლებულ ადამიანებადაც. თავის დროზე ბ. ბელინსკი ამბობდა: „Чтоб уметь изображать действительность, мало даже дара творчества: нужен еще разум, чтоб понимать действительность“<sup>1</sup>. ცხადია, ი. ჭავჭავაძე მწერლისგან მოითხოვს უფრო აუცილებელს — პოეტურ ნიჭს. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ იგი თუნდაც ოდნავ უპირისპირდებოდეს ბელინსკის შეხედულებას. ავ შემთხვევაში ის თავის მოწინააღმდეგეთა მიუტევებელ სისუსტეზე მიუთითებს მხოლოდ. ამასთან, როცა „ცოდნასა და განათლებაზე“ ლაპარაკობს, მხედველობაში აქვს არა ცხოვრების ცოდნა, არამედ სასწავლებელში მიღებული ცოდნა და განათლება.

ბ. ჯორჯაძემ, გ. ბარათაშვილმა და რ. ერისთავმა თავიანთი სტატიებით დაარწმუნეს ი. ჭავჭავაძე, რომ მათ არ ესმოდათ, რა

<sup>1</sup> В. Г. Белинский. Полное собрание сочинений, под ред. С. А. Венгерова, т. VIII, стр. 234.

არის კრიტიკა და რაა მისი დანიშნულება. ამიტომ ის იძულებულია მოაგონოს მათ: „კრიტიკა“ ამის თანასწორ მნიშვნელობის სიტყვა არ არის ქართულს ენაზედ და არც ძალიან საჭიროა, რომ იყოს, თუმცა უკეთესი იქნებოდა—რომ ყოფილიყო, რადგან ეგ დაგვიმტკიცებდა, რომ ჩვენი მამა-პაპანი მაგ მხრით განვითარებულნი ყოფილან. სადაც სახელია, იქ უთუოდ საგანიც უნდა იყოს. ეს სიტყვა ეხლა მთელ კაცობრიობას ეკუთვნის და ყოველი ხალხი. ცოტაოდენათ განათლებული. ხმარობს თავის ენაში: მაშასადამე, არც ჩვენთვის არის დასაძრაცისი. რომ ეგ სიტყვა ჩვენში იხმარებოდეს. „კრიტიკა“ არის განხილვა, განჩხრეკა, გარკვევა, გარჩევა და დაჯასება ერთადო“.

როგორც ვხედავთ, ი. ჭავჭავაძე დიდ ამოცანებს აყენებდა კრიტიკის წინაშე და მთელი სერიოზულობით ჰქონდა წარმოუგონილი კრიტიკოსის პასუხისმგებლობა. უარყოფდა რა „კრიტიკის“ ცალმხრივ გაგებას. იგი მოითხოვდა კრიტიკას გაერკვია მხატვრული ნაწარმოების უარყოფითი და დადებითი მხარეები. განესაზღვრა მისი მნიშვნელობა ლიტერატურის საერთო საგანძურში.

ილიას „პასუხში“ მკაცრი საყვედური ისმის „ცისკრის“ რედაქციის მიმართ არა მხოლოდ კრიტიკის როლისა და კრიტიკოსის მოვალეობის შეუფასებლობისა და უცოდინარობის გამო, არამედ საერთოდ ლიტერატურისა და საზოგადოების ურთიერთ დამოკიდებულების არასწორი გაგებისათვის.

ი. ჭავჭავაძე ავითარებს იმ აზრს, რომ ლიტერატურა სინამდვილის მხატვრული ასახვაა და ამიტომ მასში უნდა მოჩანდეს ხალხის ფიქრი და გრძნობა, საზოგადოების განვითარების დონე და ხარისხი: „ცისკრის“ ღირსება-ნაკლოვანების გარკვევასაც სწორედ ამ მოთხოვნის შესაბამისად ახდენს. „ლიტერატურა“, — წერს ილია ჭავჭავაძე, — ხალხის კეჟა, ხალხის გონება, გრძნობა, ფიქრი. ჩვეულება და განათლების ხარისხია. ლიტერატურის წარმომადგენელი ჩვენში მართო „ცისკარია“ ამჟამად. ნუთუ მართლა, რაც „ცისკარში“ იწერება, საქართველოს ხალხის ფიქრია, კეჟაა, გონებაა, ჩვეულებაა? ნუთუ მართლა „ცისკარში“ ჩვენი განვითარებაა, ჩვენი განათლების ხარისხია გამოთქმული? ნუთუ მართლა ეგრე დავცა რუსთაველის ხალხი, რომ ეგრე ფიქრობს, ეგრე ჰგრძნობს? მეც მაგასა ვჩივი და ვსტირი, რომ არა, ათასჯერ არა; მეც იმიტომ ასე პირდაპირ ვლაპარაკობ, რომ ვინც წინდაუხედავად ბლაჯნის, აღარა ბლაჯნოს, რადგანაც... ამდებლებენ ჩვენს ენას. მე იმისთვის ვლაპარაკობ ეგრე სუსტიკად, პირმოუფერებლად, რომ უნიჭონი და ანასთან უსწავლელნიც თავის ოთახიდან

ფებს ნუ გამოდგამენ გარეთ, ლიტერატურაში; ამას ვსთხოვთ ხალხის სახელითა, ხალხის სახელის დაცვისათვის“.

ამ სიტყვებით აშკარა ხდება, თუ რა შეხედულების იყო ი. ჯავახიანი ლიტერატურაზე, ერთდერთ ქართულ ჟურნალ — „ცისკარზე“ და რას მოითხოვდა მისგან.

ი. ჯავახიანის აზრით. „ცისკარში“ მოთავსებული ლიტერატურული პროდუქცია არ ასახავდა ქართველი ხალხის ფიქრებსა და გრძნობას, მისი განვითარებისა და განათლების დონეს: „ცისკრის“ მწერლები მოწყვეტილი იყვნენ ხალხს და არ იცნობდნენ მის ცხოვრებასა და მისწრაფებებს; მხატვრულად სუსტი ნაწარმოებებით მათ მხოლოდ გააფუქეს ქართული ენა. ახალგაზრდა პატრიოტი მწერალი ხალხის სახელით მიმართავს „ცისკრის“ მწერლებს, რომ ლიტერატურის უპირველესი მოვალეობა „ხალხის სახელისა“ და ხალხის ინტერესების დაცვაა.

„ცისკარში“, ილიას სამართლიანი თქმით, უნიკო და უცოდინარი მწერლები მოკალათდნენ, ამიტომ ამ ჟურნალის წყალობით მკითხველის გონება და გემოვნება კი არ ვითარდება. არამედ ეცემა. „უნიკო და ამასთან უცოდინარი მწერალი არა მარტო ენას ახდენს, ამასთან გონებას, გემოვნებას, გულს და სულს მკითხველისასო“, — წერს ილია.

ი. ჯავახიანი იბრძვის ქვეყნის რეალისტური და ხალხური ლიტერატურისათვის. სხვაგვარად მას არც წარმოუდგენია ლიტერატურა, რის გამო შეურიგებელია ყოველგვარი სხვა გაგებისადმი. ილიას თქმით, ხალხი ბადებს მწერალს და ხალხივე ზრდის მას. ამიტომ, ვინც ვერ ახერხებს ხალხის ინტერესების დაცვას და მისი ფიქრისა და გრძნობის გამოხატვას — არცაა მწერალი. „ჩვენ, — ამბობს ილია, — ძალიან კარგად გვესმის დამოკიდებულება ხელოვნებისა, პოეზიისა ხალხთა ცხოვრებაზედ... პოეტსა ხალხი დაჰბადავს და ხალხის ცხოვრება ძუძუს აწოვებს; ამ საფუძველით ამბობენ, პოეზია ხალხის ცხოვრების გამოთქმელია“.

ი. ჯავახიანი, ცხადია, არ ბაძავს „ცისკარს“ პოლემისტებს და უპასუხოდ არ ტოვებს მათ მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს; ყველასათვის გასაგებს ხდის მოწინააღმდეგეთა სტატიებისა და შეხედულებების „ღირსებას“.

ბ. ჯორჯაძის სტატიის ანალიზს ი. ჯავახიანი იმის გარკვევით იწყებს, თუ როგორ ესმის მის კრიტიკოსს „ხელოვნების თეორეტიკა“. იგი მთელი დამაჯერებლობით ადასტურებს, რომ ბ. ჯორჯაძეს არ შესწევს უნარი იმსჯელოს ხელოვნების საკითხებზე, საამისოდ.

მას არც ნიქი აქვს და არც ცოდნა. რაც შეეხება მის მხატვრულ და პუბლიცისტურ მემკვიდრეობას, ილიას შეხედულებით, მათი მოგონება საერთოდ არ ღირდა, თუ რომ ავტორს დიდი პრეტენზია არ გამოემყდებინებია. ბ. ჯორჯაძისა და საერთოდ „ცისკრის“ პუბლიცისტური წერილების „ღირსების“ საჩვენებლად ი. ჭავჭავაძე ლაპარაკობს „მარხვების ტრაქტაციით“ გატაცებაზე და შენიშნავს: „1860 წ. ნოემბრის ნომერში გახლავსთ კნ. ბ. ჯორჯაძის სტატია, სახელად: „რამდენიმე აზრი ახლანდელს მდგომარეობაზედ“. ან სახელმა არ მოგატყუოთ, ჩვენო მკითხველნო... მაგ სტატიის სახელს რომ დაუჯეროს კაცმა, იფიქრებს: ან პოლიტიკურ მდგომარეობაზედ იქნება რამდენიმე აზრიო, ან ეკონომიურ მდგომარეობაზედ, ან კიდევ განათლებაზედ. არა, ბატონო. მაგ სტატიაში კნენია ბრძანებს, მარხვებს არ ინახავენო“. ამით ი. ჭავჭავაძე გარკვევით აყალიბებს პუბლიცისტის ძირითად მოვალეობასაც: წეროს პოლიტიკურ და ეკონომიურ მდგომარეობაზე. განათლების საკითხებზე და სხვა.

ბ. ჯორჯაძის ლექსები, ი. ჭავჭავაძის თქმით, ხელოვნობის ნაყოფია და არა ხელოვნების; მათი ბეჭდვით „ცისკრის“ დაკნინება შელავნდება მხოლოდ. მიმართავს რა ბ. ჯორჯაძეს, ი. ჭავჭავაძე ამბობს: „მადლობელი იყავით „ცისკრის“ რედაქციისა, რომ თქვენი ლექსები იბეჭდებინან; მადლობელი იყავით, რომ „ცისკარი“ ეგრე ცუდია, რომ ყველაფერს ჰბეჭდავს, თორემ თქვენს ლექსებს დაბეჭდვა არ ეღირსებოდა თავის დღეშია. კიდევ იმიტომ იბრძვით განათლების წინააღმდეგ, კიდევ იმიტომ დაჰსციინით უნივერსიტეტსა, კიდევ იმიტომ ებრძვით იმ კაცს, რომელსაც სულითა და გულით სურს „ცისკრის“ კეთილდღეობა“.

როგორც აღნიშნული გვაქვს, ბ. ჯორჯაძე ი. ჭავჭავაძეს უმთავრესად ენის საკითხებში შეედავა. კერძოდ, მან დაუშვებლად მიიჩნია ქართული ანბანიდან ამოღება იმ შვიდი ასოსი, რომელთა შესატყვისი ბგერები, ილიას შეხედულებით, ქართველთა მეტყველებაში აღარ ისმოდა. ილია ჭავჭავაძე თავის „პასუხში“ დამაჯერებლად ასაბუთებს, თუ რა მიზეზით აღარ ხმარობდა იგი ამ ასოებს და მოითხოვს საწინააღმდეგო შეხედულებათა ავტორებმა წარუდგინონ კონკრეტული საბუთები არა ძველი წერილობითი ძეგლებიდან, არამედ ხალხის მეტყველებიდან. „ენას კანონსა თვითვე ენა აძლევს და არა რაიმე თეორეტიკაო“, — დასძენს იგი.

ი. ჭავჭავაძის შეხედულებით, „ენა... იზრდება და ვითარდება“, თანაც „აწ ზრდაში იცვლება“..., ამიტომ „კანონები, ერთ დროს საჭირონი, სხვა დროს უვარგისნი არიან ხოლმე“. ცხადია:



ას შესაწყენარებელ საბუთად არ მიაჩნია ის, რომ ესა თუ ის ასო „რადგანაც ძველ წიგნებში ხმარებულა, იმიტომ ეხლაც უნდა ვიხმაროთ“. ი. ჯავჭავაძე მხარს უჭერს მართლწერის გამარტივებას. როცა ამის საშუალებას თვით ხალხის მეტყველება იძლევა; „ხალხია ენის კანონის დამდები და არა ანბანთ თეორეტიკაო“, — ამბობს ილია.

ი. ჯავჭავაძის შეხედულებით, ბ. ჯორჯაძე და მისი თანამოაზრე მწერლები უშინაარსო და უხეირო ნაწარმოებით არა მარტო ლიტერატურას არას მატებდნენ, არამედ ენას ახდენდნენ. „აზრი და მხოლოდ ერთი აზრი აძლევს ენას ენის მნიშვნელობასო“, — მოაგონებდა მათ ილია.

როგორც ი. ბ. სტალინი ამბობს, „...ენა, რომელიც ურთიერთობის იარაღია, ამასთანავე საზოგადოების ბრძოლისა და განვითარების იარაღს წარმოადგენს“<sup>1</sup>. აქედან გამომდინარე გასაგებია, თუ რატომ გახდა სამწერლო ენის საკითხები დავის ერთ-ერთ მთავარ საგნად ი. ჯავჭავაძესა და მის მოწინააღმდეგეთა შორის. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ი. ჯავჭავაძის შეხედულებების სისწორე სამწერლო ენის გამარტივების საკითხში თვით ცხოვრებამ დაადასტურა შემდეგ.

თავის საპასუხო სტატიაში ი. ჯავჭავაძე ეხება ბ. ჯორჯაძის შენიშვნებს მისი ლექსების შესახებ და მხოლოდ ერთ შემთხვევაში აზიარებს მას.

ი. ჯავჭავაძის თქმით, თუ რომ ბ. ჯორჯაძეს მართლაც გულწრფელადა სურს „ცისკარის“ წარმატება, მაშინ არა მარტო პოლემიკაზე უნდა აიღოს ხელი, არამედ პოეტობაზეც: „ღმერთი, რჯული, დიდ ღვაწლს მხოლოდ მაშინ დასდებს ჩვენს „ცისკარსო“. ი. ჯავჭავაძეს ეერ აუტანია, რომ ბ. ჯორჯაძე ცდილობდა თავის თანამოძმე მწერლების გამხნეებას და სიტყვებს ხარჯავდა მათ საწუგეშებლად.

ჩვენი მწერალი ქალი, — ამბობს ილია, — ეპატიეება თავის მოძმეთა მწერალთა (?) და სხვათა შორის თ. რევაზ ერისთავსაც, რომ არ მოაკლონ თავიანთი ნიჭის სხივები დამზრალს „ცისკარს“. მიბრძანდით, მიბრძანდით... და შეადგინეთ კვარტეტი კრილოვისა, თორეზ ჩვენ მწერალ ქალს ეშინიან, რომ მარტოკა დარჩება რითმების მბეჭდველთა რაზმში... თუ ნიჭი არ გაქვსთ წერისა, ნუ გეშინიანთ, უნიჭოთაც გამოჩნდებით, როგორც გამოჩნდა თვითონ ჩვენი მწერალი ქალი. თუ ცოდნა არა გაქვსთ, ნურც მაგისი გეში-

<sup>1</sup> ი. ბ. სტალინი. მარქსიზმის შესახებ ენათმეცნიერებაში, 1950, გვ. 23.

ნიანთ, უცოდინარობითაც სახელს დაიგდებთ. ხომ ხედავთ, სწავ-  
ლასაც დასცინიან, უნივერსიტეტსაც... და უსწავლელობით მოპ-  
კეებენ! თუ ხელოვნება არ იცით, მაგის წამალიც ხელთა აქვს ჩვენ  
მწერალ ქალს: ანბანთ თეორეტიკა. გზა მშვიდობისა, ჩვენ მწერალ  
ქალის მოძმენო მწერალნო! გზა მშვიდობისა! მოვა დღე კრიტიკის  
განკითხვისა... მაშინ ბევრიც რომ იძახოთ, დაპატიჟებულები ვი-  
ყავითო და ანბანთ თეორეტიკაც ვიცითო, მაინც კიდევ დაუნდო-  
ბელი სიმართლე კრიტიკისა გაგზავნით თავის დაუნდობელ ჯოჯო-  
ხეთში“.

ი. ჭავჭავაძემ მსჯელობის ღირსადაც არ ჩათვალა გ. ბარა-  
თაშვილის სტატია და ეს გასაკვირიც არაა. მას შემდეგ, რაც  
გ. ბარათაშვილმა ი. ჭავჭავაძის „გაზაფხულში“ ველებს ამწვანების  
სურვილი დაინახა და მეტი არაფერი, მასთან კამათი აღარც ღირ-  
და. „გ. ბარათოვის აზრზედ არა ღირს ლაპარაკი“, რადგან ის  
„თვითონ თავის თავსვე უწერს კრიტიკასო“, — შენიშნა ილიაშ.

შედარებით მეტი ყურადღების ღირსად მიიჩნია მან რ. ერის-  
თავის საპასუხო სტატია. ამ სტატიის აზრი, ამბობს ილია, ისაა,  
რომ თითქოს მე ლანძღვა დამეწეროს და არა კრიტიკაო. ასეთი  
შეხედულების შექმნას ილია იმ გარემოებას მიაწერს, რომ „ცის-  
კრის“ მოღვაწენი შეჩვეულნი იყვნენ კომპლიმენტებს და უსაფუძვ-  
ლო შექებას. ის მიუთითებს ცნობილ კრიტიკოსებზე, რომელთა  
წერილებში კიდევ უფრო მკაცრი ტონი ისმის. მაგრამ მათ შესა-  
ხებ მაინც ვერ ვიტყვიტ უსაფუძვლონი არიანო. „აბა, განიხილეთ  
ბელინსკის სტატიები, — წერს ილია, — სადაც უნიკო მწერლებზე  
ლაპარაკობს და სხვათაშორის ბულგარინზედ და ბარონ ბრამბე-  
უსზედ. ლანძღვა ის არის, რომ იტყვი და არას დაამტკიცებ: და-  
უმტკიცებელი და უსაფუძვლო ქებაც კი ლანძღვაზედ საწყენია  
პატიოსან კაცისათვის. მე რაცა ვსთქვი, ის დავამტკიცე კიდევცა...  
რომ დავამტკიცე, ამის მოწმეთ მომყავს ის ფაქტი, რომ... ჩემი  
კრიტიკოსები არ არღვევენ არც ერთს ჩემს აზრსა. რაც და-  
მტკიცებულა, ის მართალია, რაც მართალია, ლანძღვა არ  
არის“.

რ. ერისთავი, მსგავსად ბ. ჯორჯაძისა, ი. ჭავჭავაძეს უკივი-  
ნებდა უცხო სიტყვების ხმარებას. ამის საპასუხოდ ი. ჭავჭავაძე  
განუმარტავს მათ, რომ არ არის ისეთი ენა, რომელსაც სხვა  
ენისაგან არაფერი ესესხოს. კერძოდ, მის მიერ ნახმარი სი-  
ტყვები (სენტიმენტალიზმი, ორიგინალი, დრამატიზმი და სხვ.)  
თითქმის ყველა კულტურული ხალხის ენაში იხმარება. „თუნდ  
რომ მე არ ვიხმარო ეგ სიტყვები, — ამბობს ილია, — მაინც კიდევ

უთუოთ შემოგვეპარებიან, როგორც შემოგვეპარნენ: პოემა, პოეზია, ფილოსოფია, კრიტიკა, სტატია, ლოლიკა და სხვანი მრავალნიო“.

რაც შეეხება რ. ერისთავის საყუდურს კარამზინის დამციობის შესახებ, ი. ჭავჭავაძე მას აფასებს როგორც გაუგებრობის ნედგეს. მისი თქმით, შეუძლებელია უარყოთ კარამზინის დამსახურება რუსული საზოგადოების წინაშე; კერძოდ, მისი ღვაწლი ოუსული ენის დამუშავებისა და რუსეთის სახელმწიფოს ისტორიის შესწავლის საქმეში. მაგრამ, ამბობს ილია, კარამზინი ქართველებისათვის საინტერესო შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ თავისი მხატვრული შემოქმედებით, რასაც ახლა თვით რუსეთშიც აღარ აფასებენო. ამ საკითხთან დაკავშირებით, ი. ჭავჭავაძე გამოთქვამს ნეტად საყურადღებო შეხედულებას: „უნდა კარგათ იცოდეთ, — ამბობს ის, — რომ ლიტერატორს სხვადასხვა მნიშვნელობა ექნება: აზრით, მიმართულებით და ენის წარმატებით; ესეც კარგად უნდა იცოდეთ, რომ ერთის ხალხის ლიტერატორს მეორე სხვა ხალხისათვის ერთი და იგივე მნიშვნელობა არა აქვს. მწერალს თავის ხალხისათვის ექნება მნიშვნელობა: აზრით, მიმართულებით, ენის წარმატებით და მოქმედებით... სხვა უცხო ხალხისათვის კი მართო თავის აზრითა და თავის მიმართულებითო“. მოწინააღმდეგე, ცხადია, უძლური იყო დაერღვია ილიას ეს ქეშმარიტი აზრი.

ი. ჭავჭავაძე კიდევ ერთხელ გახაზავს, რომ სენტიმენტალიზმი განვლილი ეტაპია ლიტერატურისათვის და თუ ქართულ ლიტერატურას თავის დროზე არ გაუვლია იგი, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ეხლა დაუბრუნდეს მას. „სენტიმენტალური მიმართულება, — შენიშნავს იგი, — არავისთვის არ არის საჭირო და, სხვათა შორის, ჩვენთვისაც, ამას თქმა აღარ უნდა. მაშასადამე, კარამზინი მაგ მხრით ჩვენთვისაც და რუსებისათვისაც უვარგისია; მეც ეგა ვსთქვი ჩემს აპრილის სტატიაშიო“.

როგორც ვხედავთ, ი. ჭავჭავაძე თავისი სტატიებით მიზნად ისახავდა ქართული ლიტერატურიდან განედევნა სენტიმენტალიზმის რეციდივები და კრიზისის გზაზე მდგარი რომანტიზმი, სარბიელი მიეცა მხოლოდ კრიტიკული რეალიზმისათვის და დაენერგა მატერიალისტური ესთეტიკის პრინციპები. „ცისკრისა“ და მის გარშემო შემოკრებილ მწერალთა ჩამორჩენილობის გამომწეურება მოწინავე ლიტერატურული შეხედულებების შუქზე პირველი საიმედო ნაბიჯი იყო ამ მიმართულებით. მაგრამ „ცისკრელები“ ადვილად როდი თმობდნენ პოზიციებს; თავის მხრით ისინი ცდილობდნენ ჩაეჩუმებიათ პეტერბურგიდან „შემოკრილი“

მ.წინააღმდეგე და არ მიეცათ მისთვის საშუალება თანამოაზრეები გაეჩინა.

როგორც აღვნიშნეთ, „ციცკრის“ რედაქციამ ადრევე იგრძნო, რომ ი. ჯავჭავაძის „პასუხის“ ძალისა და გავლენის გასაქარწყლებლად არ იკმარებდა მასზე დართული რედაქციის შენიშვნები. ამიტომ, ჟურნალის იმავე ნომერში გამოაქვეყნეს გ. ბარათაშვილის სტატიის გაგრძელება და ს. ალექსიევი-მესხიევის — „უსტარი ანტიკრიტიკული“. ერთ-ერთ (ოცდამეოთხე) შენიშვნაში რედაქცია კიდევ აღნიშნავს, რომ იმას, რაც ჩვენ ვერ მოვახერხეთ გვეთქვა, „სხვების სტატიებიდანა ჰსცნობთ“.

გ. ბარათაშვილი ამჯერად ი. ჯავჭავაძის პოეტური ნაწარმოებების გარჩევას შედგომია. მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, გადაუწყვეტია შეეტყო, „თუ რაედენი მისხალი პიტიკური ნიჭი ძეგს მათში“. ჯერ თავისებური ოხუნჯობით „იზიდავს“ მკითხველის ყურადღებას, შემდეგ კი გადადის ი. ჯავჭავაძის ლექსებიდან (უმეტესად თარგმნილიდან) ისეთი ადგილების მოტანაზე, სადაც, მისი აზრით, დამახინჯებულია ქართული ენა და პოეტური გემოვნების უქონლობა მელავენდება. გ. ბარათაშვილი დროდადრო ი. ჯავჭავაძის ლიტერატურულ შეხედულებათა გაზიარებულსაც ცდილობს, მაგრამ მეტად უმწეო მდგომარეობაში აყენებს საკუთარ თავს.

გ. ბარათაშვილს მიზნად აქვს მიუზღოს ი. ჯავჭავაძეს რ. ერისთავის ნაცვლად. საკითხების თანმიმდევრობისა და წერის მანერის მხრივ კი თვით ი. ჯავჭავაძეს ბაძავს. ახალგაზრდა მწერალთა მიმართ თავისი „ობიექტური“ დამოკიდებულების დასადასტურებლად, გ. ბარათაშვილი ერთმანეთს უპირისპირებს ი. ჯავჭავაძისა და აკ. წერეთლის ლექსებს და პირველისაგან განსხვავებით მაღალ შეფასებას აძლევს უკანასკნელს. ასეთი ხერხით მას ორი კურდღლის დაჭერა სურს: ჯერ ერთი — თუ ი. ჯავჭავაძემ გრ. ორბელიანი დაუპირისპირა „ციცკრის“ პოეტებს, იგი აკაკი წერეთელს უპირისპირებს ი. ჯავჭავაძეს, მეორეც — ასეთი გზით ვარაუდობს გათიშვა წარმოშოს ახალგაზრდათა შორის.

თავის სტატიის დასასრულს გ. ბარათაშვილი ი. ჯავჭავაძეს კვლავ ბელინსკის მიბაძვას უსაყვედურებს და ამბობს: ი. ჯავჭავაძე „შემზადა პეტერბურლში, როგორათაც ღონ-კიხოტი; მარცხენა ხელში იპყრა, ფარის მაგივრათ, ბელინსკის ტომები, მარჯვენაში ლექსიკონი უსწორო სიტყვებისა და ესრეთ დაიარაღებული, გამოილაშქრა საქართველოზე, რათა ძალ და ძალ აეღო დაფნის გვირგვინიო“. მაგრამ ვერც იმას მალავს, რომ მას თბილისშიც

ბევრი პატივისმცემელი და თანამოაზრე გამოჩენია. ი. ჭავჭავაძეს, ნისი თქმით, „დიდად უკრავდნენ ტაშს ისინი, რომელნიც კრიტიკაში ეძებენ მხოლოდ დაწუნებას“; ზოგსაც მის კრიტიკაში უპოვნია „ნამდვილი ქართული ენა“.

სურს რამკითხველის ამხედრება ი. ჭავჭავაძის წინააღმდეგ, გ. ბარათაშვილი „წინასწარმეტყველებს“, რომ ი. ჭავჭავაძის სტატიების გამო ბევრი მწერალი ხელს აიღებს „ციცქარში“ მოღვაწეობაზე. ამ შემთხვევაში, გ. ბარათაშვილი უდავოდ სწორი იყო. ბევრისათვის მართლაც ძნელი იყო ძველებურად ეწერა „ციცქარში“, მაგრამ მკითხველი ამით კიდევ უფრო კმაყოფილი იქნებოდა.

შედარებით უფრო დარბაისლური სახე მიიღო და დიდაქტიკური ტონი აირჩია ს. ალექსიევი-მესხიევი, რომელმაც თავისი სტატია თავაზიანი მიმართვით დაიწყო: „ბრწყინვალეო თავადო ილია გრიგორისაო ჭავჭავაძე“.

ს. ალექსიევი-მესხიევი დაუფარავად ლაპარაკობს კამათში ჩაბმის მიზეზზე: ი. ჭავჭავაძე მეც შემეხო და არ მოიწონა ჩემს მიერ მარმონტელის „მეუღაბნოეს“ თარგმნაო. ამასთან, მასზე მძიმე შთაბეჭდილება მოუხდენია ი. ჭავჭავაძის ენას. „წრფელით გულით მოგახსენებთ, თავადო ილია, — წერს ს. ალექსიევი-მესხიევი, — ...რო გულმტკივნეულად წავეკითხე მე, ქართველმა, ამ გვარი ქართული ენა განათლებულის და განვითარებულის ქართველისა, იმ ქართველისა, რომელიცა დალიღინებს საქართველოს მშვენიერით ლექსებითო“.

ს. მესხიევის შეხედულებით, ი. ჭავჭავაძის ლექსების ენა მშვენიერია, როგორც პოეტი — ი. ჭავჭავაძე ბრწყინვალეა, მაგრამ კრიტიკულ სტატიებში „ამდაბლებს ქართულს სიტყვიერებას“. როგორც ვხედავთ, იგი სრულიად საწინააღმდეგო შეხედულებისაა ი. ჭავჭავაძის პოეზიაზე, ვინემ გ. ბარათაშვილი, თუმცა მათი სტატიები უფროსად ერთსა და იმავე ნომერშია მოთავსებული. ეს გარემოებაც „ციცქარელთა“ დაბნეულობაზე მეტყველებს.

ს. მესხიევი ამაოდ არწმუნებდა ი. ჭავჭავაძეს: „რასაკვირველია, კარგად იცით, რო წერა, არი სამგვარი: მაღალი, საშუალო და მდაბალიო“. ი. ჭავჭავაძე სწორედ ასეთი „თეორიების წინააღმდეგ იბრძოდა და „არავითარ სამგვარ ენას“ არ სცნობდა. მას, ცხადია, არ შეეძლო საერთო ენა გამოენახა „სანი სტილის თეორიის“ დამცველ ს. მესხიევთან, რომელსაც, როგორც ვიცით, ქართულ ენაში გრამატიკული სქესის შემოტანა და აპოსტროფის ხმარების დაკანონებაც კი სურდა.

ს. მესხიევი ი. ქავჭავაძეს ბრალად სდებს „ღრამატიკისა“ და „რიტორიკის“ კანონებისა და წესების დაუცველობას. ამ შემთხვევაში იგი, ასე ვთქვათ, ღია კარებს ამტკრევს. ყველაზე პირველად ეს თვითონ ი. ქავჭავაძემ განაცხადა და ისიც აღნიშნა, თუ რაზე დაყრდნობით ვარაუდობდა ის ხხალი სამწერლო ენის შემუშავებას.

მეტად მტკივნეულად განუცდია ს. მესხიევს მარმონტელის. კარამზინისა და ჩახრუხაძის ნაკლოვანებათა მხილება ი. ქავჭავაძის მხრივ. თუმცა არც იმას უარყოფს, რომ გოგოლის, ბელინსკის და სხვათა დამსახურება გაცილებით უფრო ღიძია, ვინემ კარამზინისა და მისი მოწაფეების. ამასთანავე, იგი თავგამოდებით ანტიკიტებს ამ უკანასკნელთა მნიშვნელობას წარსულში, მაგრამ იმაზე კი არაფერს ამბობს, რომ ი. ქავჭავაძეც ასეთ თვალსაზრისს იცავდა, მაგრამ საჭიროდ აღარა თვლიდა სენტიმენტალური მიმართულების კვლავ გაცოცხლებას.

ს. მესხიევის სტატიის გაცნობის შემდეგ ი. ქავჭავაძეს საჭიროდ მიუჩნევია პასუხი გაეცა მისთვის. „ცისკრის“ 1861 წლის მეათე ნომერში რედაქცია აცხადებს: „თ. ილია ქავჭავაძისაგან მივიღეთ სტატია „უფ. მესხიევის ანტიკრიტიკული უსტარის პასუხად“, რომლის დაბეჭდვა ვერ მოვახერხეთ ამ ნომერში. — შემდეგ წიგნში უქველად დაიბეჭდებო“. მიუხედავად ამისა, ი. ქავჭავაძის აღნიშნული სტატია საერთოდ აღარ დაბეჭდილა; ჩვენამდე მოაღწია მხოლოდ სტატიის შავი ვარიანტის ნაწყვეტებმა.

მიზეზი, თუ რატომ არ დაიბეჭდა ი. ქავჭავაძის სტატია, გასაგებია; იგი არ გაუშვა ცენზურამ. ცხადია, მისი დაბეჭდვით დაინტერესებული არ ყოფილა არც რედაქცია, მაგრამ მას რომ მაინც გადაწყვეტილი ჰქონდა ი. ქავჭავაძის სტატიის დაბეჭდვა, ეს მტკიცდება იმ შენიშვნებით, რომელნიც რედაქციას საგანგებოდ მოუმზადებია მასზე დასართავად<sup>1</sup>.

ი. ქავჭავაძის სტატიის შესახებ მაინც შეიძლება წარმოდგენა შევიქმნათ მოღწეული ნაწყვეტებისა და რედაქციის მიერ მომზადებული შენიშვნის მიხედვით.

ი. ქავჭავაძე, პირველყოფლისა, აკრიტიკებს ს. მესხიევის სტატიის მთავარ თეზას იმის შესახებ, რომ ენა არის სამგვარი: მაღალი, საშუალო და დაბალი. ი. ქავჭავაძის თქმით, იყო დრო,

<sup>1</sup> იხ. ა. გაჩეჩილაძე. ბრძოლა კრიტიკული რეალიზმის დამკვიდრებისათვის XIX საუკუნის ქართულ ლიტერატურაში („ლიტერატურული ძიებანი“, 1955, ტ. IX).

ოოცა ფიქრობდნენ, რომ არსებობდა სამგვარი საგანი: მაღალი, საშუალო და დაბალი. შესატყვისად ამისა, შეიქმნა მცდარი თეორია. რომლის მიხედვით უნდა ყოფილიყო სამგვარი ენა: მაღალი საგნის გამოსახატავად — მაღალი ენა, საშუალო საგნისათვის — საშუალო და დაბლისათვის — დაბალი. მაგრამ რადგან ქვეყანაზე არ არსებობენ აჭგვარად დაყოფილი საგნები — შენიშნავს ილია — არ არსებობს არც სამგვარი ენაო. „სამგვარად დაყოფა ენისა, — წერს ია, — ძველი უსაფუძვლობაა, და გთხოვთ ნულარ გააღვიძებთ კანონს, რომელიც დიდი ხანია რაც დაიმარხა და რომელიც, ვიდრე იყო თვის მოქმედებაში, რკინის სალტესავით ავიწროებდა კაცის ნეტყველებასა და აზრსო“. ი. ჭავჭავაძის თქმით, ლიტერატურის დანიშნულებაა ენის წარმატებაში შეყვანა, მისი გამთლიანება და აა მისი დანაწილება და დაყოფა.

მიუხედავად ასეთი განმარტებისა, რედაქცია კვლავ ძველ აზრზე რჩება და თავის შენიშვნაში პასუხობს: „ამ ხარისხამდინ არ ვიცოდით თქვენი უმეცრება. გირჩევთ წაიკითხოთ სარიტორო და საფილოსოფიო წიგნები და ჩვენი საღმრთო წერილი — მაღალი ენის საცნობად, საშუალო ენისათვის წაიკითხეთ ყარამანიანი, ამირანიანი, ვისრამიანი და სხვები. უმდარესის ენისათვის — საჯეთ თქვენი თხზულებების გამოო“. მართლაც რომ უმეცრების სიღრმე-ნი იყო შეპირილი „ციცკრის“ რედაქცია! მას უდავო ქეშმარიტებად ჰქონდა მიღებული ის „თეორიები“, რომლებსაც დიდი ხანია დოო მოეკამათ და ისტორიას ჩაბარებოდნენ.

ი. ჭავჭავაძე დარწმუნდა, რომ მისი მოწინააღმდეგეები შეუვნებლად იმეორებდნენ მხოლოდ მას, რაც სხვებისგან ადრე სმენოდათ და უნარი არ ჰქონდათ თავიანთი „დებულებები“ ანგარიშგასაწევ საბუთებზე დაყრდნობით დაეცვათ. მართლაც, მიუხედავად იმისა, რომ ი. ჭავჭავაძე უდავოდ აქარბებდა ჩაბრუნხადის უარყოფითად შეფასებაში, „ციცკრის“ პოლემისტებმა მაინც ვერ შეძლეს საფუძვლიანი ეოსაზრება დაეპირისპირებინათ მისთვის.

ი. ჭავჭავაძემ უარყო ს. მესხიევის შეხედულება სენტიმენტალიზმის ხასიათის შესახებ. განსხვავებით მისგან, ილია ფიქრობს, რომ სენტიმენტალიზმისათვის დამახასიათებელია არა „სათუთი ნგრძნობელობა“, არამედ „ნაძალადევი გრძნობა“.

ი. ჭავჭავაძემ ამხილა ს. მესხიევის სისუსტე ქართული ენის ცოდნის საქმეშიც. კონკრეტული მაგალითების მოშველებით მან აშკარა გახადა ს. მესხიევის მიერ გამოყენებული სინტაქსური ფორმების არქაულობა.

„ცისკრის“ პოლემისტებმა უდავოდ დაიმსახურეს, რომ ი. ჭავჭავაძეს ეთქვა: „ჩემი კრიტიკოსების სტატიები ერთ და იგივე ანბანს მამოკრებიან და მომწყინდა მაგგვარებზე წერაო“. ილიამ შენიშნა, რომ მათ ბრძოლა გადაჰქონდათ შედარებით მეორეხარისხოვან და არა არსებით საკითხებზე, თავს არიდებდნენ მის სტატიებში გატარებულ ძირითად აზრს. იგი დარწმუნდა, რომ აუცილებელი იყო გამოეცა საკუთარი ჟურნალი, რაც მას შესაძლებლობას მისცემდა არა მარტო კრიტიკული სტატიებით, არამედ თავისი მხატვრული ნაწარმოებებითაც გამოემჟღავნებინა „ცისკრის“ მწერალთა ჩამორჩენილობა და საფუძველი შეექმნა ლიტერატურის შემდგომი განვითარებისათვის.

ი. ჭავჭავაძის ზრუნვამ ახალი ჟურნალის გამოცემისათვის დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია კონსერვატორთა და ლიბერალთა წრეებში. „ცისკრის“ ფურცლებზე თანდათან გაისმა ხმა კონსერვატორ-ნიჰილისტებისა ი. ჭავჭავაძის ჟურნალის მოსალოდნელი ბედის შესახებ. ამით ისინი ცდილობდნენ დაეშინებინათ ახალგაზრდა მწერალი და ხელი აეღებინებინათ გადაწყვეტილებაზე. მაგრამ ამით ილია კიდევ უფრო მეტად რწმუნდებოდა ახალი ჟურნალის გამოცემის აუცილებლობაში.

„ცისკრელები“ იმედს ამყარებდნენ თავიანთ სიმრავლეზე და ვარაუდობდნენ, რომ მარტოხელა ილია ჭავჭავაძე იძულებული გახდებოდა თავი მიენებებია „მკიდროდ დარაზბულ“ მწერალთა წინააღმდეგ ბრძოლისათვის; ამიტომაც სტატიას სტატიაზე აქვეყნებდნენ მის წინააღმდეგ.

ბ. ჯორჯაძემ საკმარისად ვერ მიიჩნია მისი და მის თანამოაზრე მწერალთა სტატიები და კვლავ მოისურვა საპაექრო მოედანზე გამოსვლა. „ცისკრის“ 1861 წლის მეშვიდე ნომერში რედაქცია ბოდიშს უხდის ბ. ჯორჯაძეს, რომ რაღაც „სამწუხარო მიზეზის“ გამო ვერ მოახერხა დაებეჭდა მისი სტატია. ამასთან. პირდება, რომ შემდგომ (მერვე) ნომერში უთუოდ დაბეჭდავს მას. ამასთან, რედაქცია იმედს გამოთქვამს: „ამით დაასრულებენ ურთიერთმანეთს შორის სასტიკ ბაასს“.

„ცისკრის“ მომდევნო ნომერშიც, ნაცვლად ბ. ჯორჯაძის სტატიისა, იბეჭდება კვლავ რედაქციის წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ ბ. ჯორჯაძის სტატია საცენზურო კომიტეტში დაიკარგა. „და უკეთუ გასურთ მაინცა და მაინც დაბეჭდვა, გთხოვთ შავი წარმოგზავნოთ და დაიბეჭდება უსათუოდო“. — მიმართავდა რედაქცია ავტორს.



ამ განცხადებებიდანაც იგრძნობა, რომ რედაქციას აღარა აქვს ი. ჭავჭავაძესთან კამათის ხალისი; დარწმუნდა, რომ ჭავჭავაძე ხელს არ აძლევდა მას და უკან დახევდა თუ „მორიგება“ გადაწყვიტა. ეს იგრძნობა ვინმე ბირთვისელის სტატიიდანაც („ცისკარი“, 1861, № 8).

მაგრამ ბ. ჯორჯაძემ ვერ გაიგო რედაქციის განწყობილება. მან მეორედ გაუგზავნა თავისი სტატია რედაქტორს. თავის სტატიას ბ. ჯორჯაძემ სათაურად მისცა—„პასუხის პასუხი“ („ცისკარი“, 1861, № 9), რითაც ხაზი გაუსვა მის უშუალო დანიშნულებას.

ამგვარად, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ი. ჭავჭავაძის „პასუხზე“ დართულ რედაქციის შენიშვნებს, ი. ჭავჭავაძის მეორე სტატიაზე პასუხის გაცემა კვლავ ბ. ჯორჯაძემ იკისრა. მაგრამ ის ამჯერად კიდევ უფრო აშკარად უვლის გვერდს ი. ჭავჭავაძის მიერ დღემდე და გარკვეულ საკითხებს. ბ. ჯორჯაძე მწუხარებას გამოთქვამს „ცისკრის“ ფურცლებზე ბრძოლის გაჩაღების გამო და იმ აზრისაა, რომ ყოველი ბოროტების წყარო უთანხმოებაა. მისი თქმით, უთანხმოებამ დააუძლურა რომის ძლიერი იმპერია და სპარსეთის სახელმწიფოც. „უთანხმოება, — შენიშნავს ბ. ჯორჯაძე, — არის მიზეზი ყოველის ბოროტისა. უთანხმოება გაასწორებს მთელს ხალხს მიწის პირად და უთანხმოება დასცემს თვით ალყავებულს და განძლიერებულს სახელმწიფოსო“. ასეთი „მოდღვრებით“ სურს მას „ქკუა ასწავლოს“ ი. ჭავჭავაძეს და ხელი ააღებინოს პოლემიკაზე, თუმცა არც ის სურს შეუტყონ, რომ ეძნელება მასთან კამათი.

ბ. ჯორჯაძე გულწრფელადაა დარწმუნებული, რომ ი. ჭავჭავაძე გამონაკლისია, რომელიც მის და მის თანამოაზრეთა ღვაწლს არაფრად აგდებს. ამიტომია, რომ საწინააღმდეგო სტატიათა სიმრავლით „გაკვირვებულ“ ი. ჭავჭავაძეს ბ. ჯორჯაძე განმარტებას სთავაზობს: „ერთი კაცი დასცინის ათასს, ათი ათასს, ერთი სიტყვით, მრთელს საზოგადოებას და იმათის რიცხვიდამ სამი მაინც არ გამოგცემდა პასუხს?“

ამგვარად, ბ. ჯორჯაძე არა მარტო „ცისკრელთა“, არამედ „მთელი საზოგადოების“ სახელით გამოდის და თავის მოწინააღმდეგეს უყენებს რიგ ბრალდებებს: 1. ი. ჭავჭავაძე „ამდაბლებს იმ პირთ, რომელნიცა მდგარან მაღალ ხარისხზედ და დღეს სიკვდილისაგან დაღუმებულნი ვერ აძლევენ პასუხს“... 2. აკრიტიკებს რა „ანბანთ თეორეტიკას“, ი. ჭავჭავაძე ვრცლად მსჯელობს ხელოვნებისა და პოეზიის შესახებ, რომლის დროსაც ის მიჰყვება

რუს ავტორებს (მხედველობაში ჰყავს ბელინსკი), 3. ი. ქავჭავაძის სტატიაში გადაჯგუფებულია საღმრთო წერილის სიტყვები, რის უფლებაც მას არ ჰქონდა, 4. ი. ქავჭავაძის სტატიაში არა ჩანს „ზრდილობა და ზრდილობიანი ენა“, 5. ი. ქავჭავაძე „ციცკრის“ პოეზიას ამცირებს და ცდილობს „ახალის ჩრდილოეთის პოეზიის“ (ე. ი. რევოლუციონურ-დემოკრატიული რუსული პოეზიის) მიმართ თულება შემოიტანოს.

ბ. ჯორჯაძეს განსაკუთრებით ი. ქავჭავაძის ენობრივი შეხედულებები აღელვებს. ის ვერ შერიგებია იმ აზრს, რომ ენაში შეიძლება ცვლილებები მოხდეს და დამწერლობაც მისი მიხედვით გამარტივდეს. ანტონ კათალიკოსის გრამატიკული კატეგორიების ერთგული დამცველი მწერალი ქალი კვლავ აცხადებს: „ენას, ჩვენს მამაპაპათ, დარბაისლურს ენას, არც ამალღება ექირვება, არც დამდაბლება, ჩვენი ენა დიდი ხანია სისრულეშია მოყვანილი, მხოლოდ გზა აბნევია ამ ენას თქვენებრ (ე. ი. ქავჭავაძისებურ—დ. გ.) მწერალთ წყალობით“.

კონსერვატივიზმისა და სქოლასტიზმის მქადაგებელი ბ. ჯორჯაძე საერთოდ ვერ იტანს „ძველ დაწყობილობათა“ გადასინჯვას, ახალი იდეებისა და ახალი მისწრაფებების გავრცელებას საზოგადოებაში. მეტად უარყოფითადაა ის განწყობილი, კერძოდ, კრიტიკისადმი, რადგან იცის, რომ კრიტიკა ხშირად უარყოფს მას, რაც ადრე მიღებული ყოფილა. მის თვალში მხოლოდ ძველი ფასობს, მათ შორის ადამიანებიც. ეხება რა სარდიონ მესხიევის წერილს, ბ. ჯორჯაძე კმაყოფილებით შენიშნავს: „აი ძველი კაცი! არა ჰგვანებია...“ (უნდა თქვას: „ახალგაზრდებსო“). მაგრამ თავიდან რომ აიცილოს ბრალდება უნივერსიტეტზე და სტუდენტობაზე დაცინვისათვის, იგი საგანგებოდ ასახელებს აკ. წერეთელს და უპირისპირებს მას (მსგავსად გ. ბარათოვისა) ი. ქავჭავაძეს. „მივხედოთ მაინც იმათ,—ამბობს ბ. ჯორჯაძე,—რომელნიც გულდამყარებით იმყოფებთან უნივერსიტეტში და, რომელთაგანც მამული მოელის ბევრს კეთილს, აი თუნდ ავიღოთ, მაგალითად, აკაკი წერეთელიო“.

არც ეს ვარაუდი გაუმართლდა ბ. ჯორჯაძეს. როგორც ვნახავთ, აკ. წერეთელი და სხვა სტუდენტებიც ი. ქავჭავაძის მხარეზე აღმოჩნდნენ, რის გამო ბ. ჯორჯაძე იძულებული გახდა გაჩუმებულიყო და უკან წაეღო სტატიის დასასრულს ომანიანად წარმოთქმული სიტყვები: „ახლა მშვიდობით და თუ გსურთ კიდევ, მეორედ ნახვამდინო“.

თავის სტატიაში ბ. ჯორჯაძემ ი. ქავჭავაძეს შენიშნა, რომ „ვისაც სასაცილოდ იგდებდით, თქვენი სტატია იმათვე მიუძღვე-

ნითო“. მართლაც, თავის სტატიას („პასუხი“) ი. ჭავჭავაძეც ასეთი წარწერა გაუკეთა: „უძღვნი თ. ალ. ვახტანგის ძეს ჯ. - ორბელიანს და იმ პირთა, ვინც ყურადღება აღიღეს ამ სტატიასო“.

ცხადია, ი. ჭავჭავაძეს ალ. ორბელიანისადმი პატივისცემად არ აიძულებდა მიეძღვნა მისთვის სტატია. ეს იქედანაც ჩანს, რომ ალ. ორბელიანთან ერთად იგი სტატიას უძღვნის მათ, რომლებმაც „ყურადღება აღიღეს“ მის სტატიას. ამიტომ, ასეთი „მიძღვნა“ თავისთავად სხვა რამეზე მეტყველებდა. კერძოდ, ი. ჭავჭავაძემ კარგად იცოდა, რომ კონსერვატორ მწერალთა ჯგუფს სწორედ ალ. ორბელიანი ედგა სათავეში და ის აძლევდა „მიმართულებას“ ჟურნალსაც. და თუ ალ. ორბელიანი პოლემიკაში არ ჩაება, ეს არა იმიტომ, რომ ი. ჭავჭავაძეს თანაუგრძნობდა, არამედ იმისათვის, რომ მისი მკაცრი კრიტიკა აეცილებინა. ამიტომაც, რომ ი. ჭავჭავაძე თავის სტატიაში წერს: „საკვირველია, რომ ზოგი, ვისაც ღონე და ძალა აქვს, გაიქცევა ხოლმე მოედნიდან და იმალება ხალხში; ზოგი კი, ვისაც არც ღონე აქვს და არც ძალა, გამოვა და შეუპოვრად დადგება შუა მოედანზეო“. „ხალხში მიმალულთა“ შორის ი. ჭავჭავაძე, პირველყოფლისა, ალ. ორბელიანს გულისხმობს.

ალ. ორბელიანიც მიხვდა რას ნიშნავდა ი. ჭავჭავაძის მიერ მისდამი სტატიის („პასუხი“) მიძღვნა. იგი გაერკვა იმაშიც, რომ ი. ჭავჭავაძე იწუნებდა „ცისკარის“ მთელ მიმართულებას და არა მარტო „შეშლილის“ თარგმანს, რომელიც მხოლოდ მარჯვე მაგალითი იყო იმისათვის, რათა ეჩვენებინა იმდროინდელი ქართული მწერლობის ჩამორჩენილობა და კრიზისის გზაზე დამდგარი რომანტიზმის დრომოკმეულობა. ალ. ორბელიანმა იგრძნო, რომ სიჩუმე საქმეს აღარ შეელოდა და იგი „ცისკარის“ ფურცლებზე გამოჩნდა პატარა, მაგრამ მეტად დიპლომატიური ტონით დაწერილი სტატიით — „წიგნი რედაქტორთან“ („ცისკარი“, 1861, № 10).

ალ. ორბელიანი თავის წერილში არ ასახელებს ი. ჭავჭავაძეს, მაგრამ მისი საყვედური მისკენაა მიმართული. „ცისკარი“ მას მიაჩნია ქართველი ხალხის წარმატების მაჩვენებლად, ხოლო მისი მიმართულების უარყოფელი ი. ჭავჭავაძე — ამ წარმატების შემადგურებლად. მისი თქმით, „თუ ზოგიერთნი ... ქართველნი არ უშლიდნენ ქართველი საზოგადოების კეთილმდგომარეობასა, ყოველი ჩვენი საქმე კარგად გამოვა, მაგრამ რა გაეწყობა იმათ სიბრუნდეს. თქვე კაი კაცნო, თქვენი შავი გული თეთრათ შეცვა--

ლეთ; გესმით, თეთრად ჩვენს დავრდომილს საზოგადოებაზე, თორემ რისხვა ღვთისა ძნელია...

რას მდგომარეობაზედაცა დგას ახლა ჩვენი „ცისკარი“. ამაჟამად ამაზედ მეტს ვერას მოვთხოვთ ამას; რაც შეიძლება, ბევრი კარგი რამ იბეჭდება... საუცხოვო ლექსები, სასიამოვნო მოთხრობანი, კარგი სხვადასხვა ამბავნი, მახვილგონიერებითა განხილვანი ანუ კრიტიკანი და სასარგებლო სახლის პატრონობაო.

ი. ჭავჭავაძისაგან შეშფოთებულმა „ცისკარის“ რედაქციამ დასაყვედურთ საქართველოშიც „მოძებნა“ გულშემატკივარნი.

მკითხველთა განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო ექვთიმწერეთლის სტატიამ — „უფალო რედაქტორო“ („ცისკარი“. 1862. № 2). ე. წერეთელი, — მამა შემდეგში ცნობილ მწერალ გ. წერეთლისა, — უცნობი ავტორი იყო საზოგადოებისათვის, მაგრამ ეს სტატია რედაქციასთან ახლო მყოფ და მისი კურსის დამკველ ადამიანად წარმოადგენდა მას. ე. წერეთლის წერილის მთავარი დანიშნულება ის იყო, რომ წარმოედგინა ქუთაისელ მკითხველთა აზრი ი. ჭავჭავაძის სტატიების შესახებ.

ე. წერეთელი რედაქციას აცნობებს. რომ ბევრი ქუთაისელი მკითხველი მომავალი წლიდან ხელს აღარ მოაწერს ქურნალზე. რადგან ი. ჭავჭავაძე უდიერად იხსენიებს ბ. ჯორჯაძესო. ე. წერეთელს უფრო მეტად ის აშინებს, რომ შეუტყვია ი. ჭავჭავაძე საქუთარი ქურნალის გამოცემასაც აპირებსო. „ესეც შევიტყვე ქორად ქუთაისში, — წერს იგი, — რომ ვითომც ახლა უფ. ჭავჭავაძე აპირებს მეორეს ქურნალის გამოცემას. უეჭველია ის ქურნალიც ისე ახალის ენისა იქნება, რა ენისთვისაც განობრძანდა ნწერლობის ასპარეზზედ შარშან და იმედი ჰქონდეს. რომ ბევრ ხელის მომწერს ჰპოვებსო“.

როგორც თვითონ ამბობს, ი. ჭავჭავაძის სტატიების ენა და სტილი ე. წერეთელს, — „საუკუნის მეორე ნახევრის ასაკსა შინა მყოფ კაცსა“, — „მეხივით ეცემა და სისხლს ურევს“. სამაგიეროდ მას სიამოვნება განუცდია ს. მესხიევის სტატიის წაკითხვით. იგი მალალ შეფასებას აძლევს, აგრეთვე, ი. ჭავჭავაძის მიერ დაწუნებულ ბ. ჯორჯაძის სტატიას მარხვის შენახვის აუცილებლობის შესახებ.

ანტონ კათალიკოსის აუგად მოხსენიების გამო ხომ მოთმინება დაუკარგავს ჩვენს ახალ პოლემისტს. „ოჰ, ღმერთო, რა მესმის, — გოდებს ე. წერეთელი, — ქართველი კაცის სასმენელი იმდენად როგორ შეიცვალოს, რომ ანტონ კათალიკოსის მალალ ნიჭიერს ატყვაობას სწუნობდეს და რას სახელდობრ: მის წყობილ სიტყვა-

ობას. მის აკროსტიხულობას და მის იამბიკობასო“; მაგრამ ამის მიზეზსაც პოულობს: „ან რა გასაკვირველია, ვისაც ოლტერის მოძღვრების თანახმად მარხვა და მეუღაბნობა არ მოსწონს, იმას არც ანტონის ქმნულება მოეწონებაო“.

ე. წერეთელი ი. ქავჭავაძეს ურჩევს, რომ ანტონის დამსახურობათა გასათვალისწინებლად ჰკითხოს „იმ მოლექსე რიტორს, რომელსაც თვითონ... აქებს და, რომელიც ქეშმარიტად საქებელ არს“. ცხადია, მას მხედველობაში ჰყავს გრ. ორბელიანი, რომელიც, მართლაც, დიდად აფასებდა ანტონის ღვაწლს. ე. წერეთელი ბოდბის მოხდასაც კი მოითხოვს ი. ქავჭავაძისაგან ანტონის სახელის „შეურაცხყოფისათვის“. თანაც დარიგებას აძლევს მას—აღარ აწყენინოს ბ. ჯორჯაძეს, რომელიც, მისი თქმით, „დიდად სასაოგებლო წევრია „ცისკრისა“.

ე. წერეთლის დიდი სიმპათია დაუმსახურებია აგრეთვე ალექსანდრე სულხანიშვილს თავის სტატიით — „მეცხრამეტე საუკუნეში მცხოვრებლის ქართველის მხედველობა: თუ რაოდენ დამციობებულ არს ზნობითი განათლება დასავლეთის ევროპიასა შინა“. ა. სულხანიშვილის შეხედულებით, ევროპაში დაივიწყეს სარწმუნოება, რის გამო ომებმა და აჯანყებებმა იმატეს, ყველგან აღრეულობა და განხეთქილებაა, ჩვენში კი — თანხმობა და მყუდროება ნეფობს. ა. სულხანიშვილი მეცნიერებისა და ფილოსოფიის გავრცელებაში ნაცვლად წარმატებისა ბოროტებას ხედავს; მისი თქმით, „ქეშმარიტი ფილოსოფია—ესე არს ჰსჯული ქრისტესი“.

ასეთი „ბრწყინვალე“ სტატიის გაცნობის შემდეგ ე. წერეთელს გადაუწყვეტია გამოიწეროს „ცისკარი“, მაგრამ იმ პირობით, რომ ი. ქავჭავაძე აღარ ითანამშრომლებს მასში.

პირველად და უკანასკნელად გამოჩნდა ე. წერეთელი „ცისკრის“ ფურცლებზე, მაგრამ, როგორც ვნახავთ, შემთხვევითი არ უნდა იყოს მისი გაუჩინარება.

ი. ქავჭავაძის პირველი სტატიის გამო გ. ბარათაშვილი შენიშნა: „როგორც შეგვიტყვია, თავის სტატია დაბეჭდვამდინ ბევრთათვის წაუკითხებია და ყველას ერთობ მოუწონიათო“. აღნიშნული სტატია ი. ქავჭავაძემ პეტერბურგში დაწერა და იქედანვე განოუგზავნა „ცისკრის“ რედაქციას. ცხადია, თუ ვინმეს გააცნო მან თავისი სტატია, მხოლოდ და მხოლოდ მეგობარ სტუდენტებს, რომლებიც შემდეგ ფხიზლად ადევნებდნენ თვალს „ცისკრის“ ფურცლებზე გამართულ პოლემიკას, თუმცა საკმაო

დროის განმავლობაში მაინც არ გამოუთქვამთ თავიანთი შეხედულებები. როგორც ჩანს, მათ საჭიროდ მიიჩნიეს საფუძვლიანად გაეცნოთ „ცისკრის“ რედაქციის და მისი ხაზის დამცველ მწერალთა დამოკიდებულება ლიტერატურისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ძირითადი საკითხებისადმი; თანაც გრძნობდნენ, რომ მათი უფროსი მეგობარი ადვილად უმკლავდებოდა რაცხვით მრავალ, მაგრამ სუსტ მოწინააღმდეგეებს. შესაძლებელია ისინი საერთოდ არ ჩაბმულიყვნენ პოლემიკაში, „ცისკრის“ პოლემისტებს ი. ქავჭავაძე თანამოაზრეთა უყოლედა რომ არ გამოეცხადებინათ და მისი გადაწყვეტილება ახალი ჟურნალის გამოცემის შესახებ საზიანოდ არ მიეჩნიათ.

პეტერბურგელი ქართველი სტუდენტები მოთმინებიდან განოიყვანა ე. წერეთლის სტატიამ და გადაწყვიტეს პასუხი გაეცათ მისთვის და ყველა „ცისკრელი“ პოლემისტისათვის. „ცისკრის“ რედაქტორმა ერთდროულად მიიღო პეტერბურგიდან გამოგზავნილი, სამი „ბარათი“. რედაქცია მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა, როცა ნახა, რომ სამ სტუდენტს ცალ-ცალკე განეხილა „ცისკრის“ საერთო ნაკლოვანებანი და მის ფურცლებზე გაშლილ პოლემიკის ხასიათი. რედაქცია განსაკუთრებით იმ გარემოებამ შეაწუხა, რომ ერთ-ერთი სტატია მის მიერ რამდენიმეგზის ხოტბაშესხმულ აკ. წერეთელს ეკუთვნოდა.

ნიშანდობლივია, რომ რედაქციამ ერთად გამოაქვეყნა მხოლოდ ორი სტატია („ცისკარი“, 1862, № 4), ხოლო აკ. წერეთლის სტატიის შესახებ შენიშვნა გააკეთა: „მესამე კიდეც იყო სტატია ამავე საგანზედ, იმას შემდგომ ნუმერში დავბეჭდავთ“.

პირველ ორ სტატიას ფსევდონიმად ჰქონდა — „თერგდალეული“, მესამეს — „მესამე თერგდალეული“. პირველ და მეორე სტატიას დაწერის თარიღად უზის — „30 მარტი, 1862 წ.“, მესამეს — თარიღი არა აქვს, მაგრამ ის გარემოება, რომ რედაქციამ ისინი ერთად მიიღო, იმის მაჩვენებელია, რომ ერთად დაიწერენ და ერთად გამოიგზავნენ. ყოველივე ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ ავტორები ერთმანეთთან შეთანხმებულნი იყვნენ. აკ. წერეთელს რომ არ სცოდნოდა პირველი ორი სტატიისა და მათი ავტორების ფსევდონიმების შესახებ, თავის ფსევდონიმად აღარ აიჩრევდა „მესამე თერგდალეულს“.

სხვათა შორის, თავის დროზე შეცდომაც იქნა დაშვებული: აკ. წერეთლის სტატიად მიიჩნიეს მეორე თერგდალეულის სტატია,

ხოლო მესამე თერგდალეულად გ. წერეთელი აღიარეს<sup>1</sup>. შექმნილი კი თითქოს დადგინდა ამ სტატიითა ავტორების საკითხი. პირველი სტატიის ავტორად მიჩნეულ იქნა კ. ლორთქიფანიძე, მეორე სტატიისად—გ. წერეთელი, ხოლო მესამე სტატიისად—აქ. წერეთელი-მაგრამ, როგორც აღნიშნული გვაქვს, უპანასკნელად გამოითქვა სრულიად საფუძვლიანი ეჭვი გ. წერეთლის ავტორობის შესახებ. მკვლევარ პ. ინგოროყვას შეხედულებით, მეორე სტატია ეკუთვნის არა გ. წერეთელს, არამედ ს. აბაშიძეს<sup>2</sup>, რაც ჩვენ სრულიად დამაჯერებლად გვეჩვენება. ყოველ შემთხვევაში, უდავოდ მიგვაჩნია ის ფაქტი, რომ იგი არ ეკუთვნის გ. წერეთელს.

პირველყოვლისა ვვარაუდობთ, რომ პეტერბურგში ახალჩასული გ. წერეთელი მამის უაღრესად დამამცირებელ სტატიას არ დაწერდა. წერილის სტილი და ენაც აშკარად განსხვავდება გ. წერეთლის ნაწერების, კერძოდ, ერთი წლის შემდეგ ეურნალ „საქართველოს მოამბეში“ გამოქვეყნებული სტატიის („ცისკარს რა აკაკანებდა?“) სტილისა და ენისაგან. ამასთან, სტატიაში — „ცისკარს რა აკაკანებდა?!“ გ. წერეთელი სრულებით არ იხსენიებს რც „ცისკარში“ დაბეჭდილ ამ სტატიას და არც ე. წერეთლის წერილს.

თვით წერილის შინაარსი (ე. წერეთლის შეურაცხყოფელი გამოთქმები და გორისელი წერეთლების დაპირისპირება „მოდინახეს“ წერეთლებთან) და მასზე დართული ლექსი (რომელიც უდავოდ აქ. წერეთლისაა) უფრო დამაჯერებელს ხდის, რომ იგი აქ. წერეთელთან ერთად მაცხოვრებელ ს. აბაშიძეს ეკუთვნის. ს. აბაშიძეს „ცისკარის“ მომღებნო ნომერში (1861, № 5) გამოქვეყნებული აქვს აგრეთვე თარგმნილი მოთხრობა, ხოლო „საქართველოს მოამბეში“ (1863, № 11) — ერთმოქმედებიანი ვოდევილი — „ლოტო“. ს. აბაშიძეს თავის სტატიაში („სფირიდონისა და თადეოზის ბნასი“) იხსენიებს სფ. ჩიტორელიძეც (მ. ყიფიანი). ამგვარად, იგი ამ პერიოდში მოღვაწეობდა და მოულოდნელი არაა მის მიერ ამ სტატიის დაწერა. ამას უნდა დაეუმატოთ ისიც, რომ, როგორც პ. ინგოროყვა შენიშნავს, კ. მარქსის სახელობის თბილისის საჯარო ბიბლიოთეკაში დაცულ „ცისკარის“ 1862 წლის მეოთხე ნომერში პირველი თერგდალეულის წერილს მიწერილი აქვს: „კირილე ლორთქიფანიძე“, მეორეს — „აბაშიძე“, ხოლო რედაქციის

<sup>1</sup> იხ. გ. წერეთელი. თხზულებათა სრული კრებული. 1931. ტ. I, გვ. 397—402 (პროფ. ს. ხუნდაძის შენიშვნები).

<sup>2</sup> ი. ქავკავაძე. თხზულებათა სრული კრებული, 1953. ტ. III, გვ. 481—482.

შენიშვნას მესამე სტატიის შესახებ — „აკ. წერეთლისა“ როგორ ჩანს, ეს მინაწერები უდავოდ იმდროინდელი მცოდნე კაცის ხელითაა გაკეთებული, თორემ მესამე წერილი რომ აკ. წერეთელ ეკუთვნოდა, უკანასკნელ დრომდე არც იყო ცნობილი.

ამას ისიც უნდა დაეუმატოთ, რომ 1862 წლის ოქტომბერში ტერბურგიდან საქართველოში დაბრუნებული ნ. ნიკოლაძე კ. ლორთქიფანიძეს სწერს: „... გორისელმა შემეხვეწა თქვენთან ბოდიში მოხდა. რათ არ დამიჯერე, ნუ დაწერ სტატიას თქვე ექვთიმეზე. ხომ მისი ბრალი არ ყოფილა. წარმოიდგინე, გორისელს დაუწერია სტატია, რომელშიც გაულანძლია რაფიელ ერისთავი... პოლონოვის ლექსის გარდათარგმნისათვის, მერმე ნო. უყვანია ქავეჭავაძის ლექსი „აყვავებული ველი“ („გაზაფხული“ — დ. გ.) მაგალითად და ანტონის (კათალიკოსის — დ. გ.) და ჩახრუხაძის ლექსები: ვითომ აი ამისთანა ლექსები უნდა წერონო. ჩვენ ვირისთავს (ესე იგი... კერესელიძეს...) კვებაში მოსვლია: ამ წიგნს მე გამოვცვლიო... გორისელის სტატიიდან რაფიელის ლანძღვა გამოუშვია, ქავეჭავაძის გინება კი... ჩაუმატებია, და ეს ყოველად უსახო, უგვარო სტატია შეგვხვდა ჩვენ წასაკითხავად. გორისელმა ეხლა სტატია დაწერა, რომელშიც სრულიად ბრალს ადებს კერესელიძეს. მე უთხარი: ჩვენ სრულიადაც არ მოგვივიდოდა ფიქრში თქვენი ლანძღვის დაწერა. რომ თქვენ ქავეჭავაძის ეურნალი არ გეგინებიათ თქო. ჩვენ იმ ეურნალის დიდი იმედი გვაქვს, თქვენ კი ჯერ ეურნალი არ ჩასახულათქო და კრედიტს უკარგავათქო. გორისელმა ფიცი... (სთქვა), აი ღმერთი, აი ხატი, არც კი მცოდნია თუ ქავეჭავაძე ეურნალის გამოცემას აპირებსო, მაგ სიტყვები: „ვილაც ქავეჭავაძე ეურნალის გამოცემას აპირებსო“ და სხვანი კერესელიძის ჩამატებული არისო. გორისელმა მთხოვა დრო დამინიშნეო და იმ სტატიის შავს მოვიტან, წაგაკითხებო, თუ იმ სტატიაში რამე სწერია მაგისთანაო, სულ მაგინეთო...“ ,

ცხადია, თუ ნიკოლაძე საჭიროდ არ თვლიდა ე. წერეთლის შესახებ სტატიის დაწერას და კ. ლორთქიფანიძეს რჩევას აძლევდა ხელი აეღო განზრახვაზე, მით უმეტეს მამის შეურაცხმყოფელ სტატიას არ დაწერდა გ. წერეთელი, რომელმაც, ალბათ, ყველაზე უკეთ იცოდა მამის ხასიათი და განწყობილება.

როგორც ვხედავთ, პეტერბურგელ სტუდენტთა მიერ ე. წერეთლის მკაცრი კრიტიკა ი. კერესელიძის „ოსტატობას“ გამოუწვევია. ამიტომაც, ე. წერეთელს შემდეგში თავი აღარ შეუწულ-



ხებია სტუდენტებთან კამათით. რედაქციამ, ცხადია, აღარც მისი განმარტება გამოაქვეყნა, რადგან ის ჟურნალის ავტორიტეტის სრულ დაცემას გამოიწვევდა.

ამგვარად, ე. წერეთლის სტატიის საბაბით დაწერილი თერგ-დალეულთა სამი წერილიდან პირველი ეკუთვნის კ. ლორთქიფანიძეს, მეორე — ს. აბაშიძეს, მესამე — აკ. წერეთელს.

ნ. ნიკოლაძის კ. ლორთქიფანიძისადმი მიწერილი წერილიდან ჩანს, თუ რა იყო მთავარი მიზეზი სამი თერგდალეულის ერთად გამოჩენისა. მათ ე. წერეთლის სტატიაში ამოიკითხეს აშკარა გალაშქრება ი. ჯავჭავაძის მიერ ახალი ჟურნალის დაარსების წინააღმდეგ. ამ ჟურნალზე კი, როგორც ის ამბობს, დიდ იმედებს ამყარებდნენ ახალგაზრდები. სტატიასთან ერთად გამოვზავნილ ბარათში კ. ლორთქიფანიძე წერს: „...სისხლიანი ნაღველი გადაეგლება ხოლმე ჩვენს გულს, როცა იმისთანა... ცუდ სტატიებს ვამჩნევთ, როგორც იყო ამ ნომერშიდ უფ. წერეთლის... ისე გავცეცხლდი ამ სტატიის დანახვაზედ, რომ არ შეგვეძლო, რომ არ დაგვეწერა რამე... როგორ გაბედა ამგვარი ტატიის დაწერა, მერე ცხრა თვის გასვლის შემდეგ. მაგრამ ანდაზა იტყვის: „კუმ ფეხი გამოჰყო, მეც ნახირი ვარო“.

თავის სტატიას კ. ლორთქიფანიძე „ცისკარის“ საერთო დახასიათებით იწყებს. მისი თქმით, „ცისკარი“ ამჟამად ფოსტის მაგვირობას ასრულებს მხოლოდ, ვისაც რაიმე ამბის სხვისადმი შეტყობინება მოესურვება, მაშინვე წერილსა წერს რედაქტორს ჟურნალში გამოსაქვეყნებლად. ასეთ მდგომარეობაში კი „ცისკარი“ უდროოდ დაბერდა და თანაც შიშობს შემკვიდრე არ გამოუჩნდეს. კ. ლორთქიფანიძეს მხედველობაში აქვს „ცისკარის“ რედაქციის უკმაყოფილება ახალი ჟურნალის დაარსებაზე ზრუნვის გამო. „თუ ქმა ებადება და იმისი ეშინია, — წერს იგი, — ტყუილი შიშია. ორივეს ეყოფა საქართველო“.

კ. ლორთქიფანიძემ კარგად შენიშნა ისიც, რომ „ცისკარის“ მწერლებმა ჟურნალი გულამრევი ოხუნჯობის სარბიელად გახადეს და უნიჭო ცინიზმით ცდილობდნენ დაეცვათ თავი. „მიბაძეს მოლაყბეს, — წერს კ. ლორთქიფანიძე, — ...მიბაძეს და ყველამ მახვილობა დაიწყო, მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, უთავბოლოდ“.

გადადის რა ე. წერეთლის სტატიის განხილვაზე, კ. ლორთქიფანიძე მუხლობრივ აჩვენებს, თუ რა „სიბრძნე“ იქადაგა მან „ცისკარის“ ფურცლებიდან. მისი თქმით, „ცისკარის“ სიცოცხლე მხოლოდ მაშინ ეტყობა, როცა მასში „სალაყბო ფურცლები“ ან ა. ჯავჭავაძის სტატიები იბეჭდება. „კვიანი კაცები ამ სტა-

ტიების მიზეზით უფრო გამოიწერდნენ „ცისკარს“, ვინემ სხვითა — შენიშნავს კ. ლორთქიფანიძე საწინააღმდეგო შეხედულებების მქონე ე. წერეთლის საყურადღებოდ.

ი. ქავჭავაძის ყველა კრიტიკოსის, და მათ შორის ე. წერეთლის მისამართითაც, კ. ლორთქიფანიძე აეთებს მართებულ შენიშვნას: ი. ქავჭავაძის გასამტყუნებლად თუ ძალა შეგწვედათ, მისი სტატია და რ. ერისთავის მიერ თარგმნილი „შეშლილი“ უნდა გაგერჩიათ და არა ი. ქავჭავაძის ლექსებს მივარდნილიყავითო. მაგრამ, — ამბობს კ. ლორთქიფანიძე, — მათ გადაწყვიტეს „გალმა შევეცილებით, გამოღმა დაგერჩებაო“.

კ. ლორთქიფანიძის შეხედულებით, მოხუცებზე მეტად „ახალს მოდგმას უფრო ნება აქვს, რომ მოითხოვოს, რა უფრო არის მისთვის საჭირო“, ხოლო ახალგაზრდებს არ უნდა არც „დამძალებული რიტორიკა უფ. მესხიევისა“ და არც „ქადაგებანი“ ალ. სულხანოვისა, რომელიც აფრთხობს საბერძნეთის, რომის და ევროპის მწერლების აჩრდილებს, ბარბაროსულის აზრებით და ენით უბნობს — ჩვენ უფრო განათლებულები ვართ ევროპიელებზედო“.

კ. ლორთქიფანიძე ირონიულად შენიშნავს, რომ ე. წერეთელი დიალექტიკის „დიდ ცოდნას“ ამჟღავნებს, როცა ბ. ჯორჯაძის ნიკიერების დასამტკიცებლად საბუთად ის მოაქვს, რომ მასზე უფრო ნიკიერი ქალი „ცისკარში“ ჯერ არ გამოჩენილაო. ასევე სასაცილოდ მიაჩნია მას ე. წერეთლის შიში ახალი ჟურნალის გამოსვლის შემთხვევაში „ცისკარის“ მძიმე ხვედრის შესახებ. მეორე ჟურნალის გამოცემა „ცისკარს“ კი არ დასცემს, არამედ გამოაცოცხლებს, გვექნება ორი სხვადასხვა მიმართულების ჟურნალიო, — ამბობს კ. ლორთქიფანიძე და თანაც კითხვას სვამს: განა არასოდეს არ უნდა გვექონდეს ორი ჟურნალი?

ანტონ კათალიკოსის ავტორიტეტის პატივისმცემელთა საყურადღებოდ კ. ლორთქიფანიძე შენიშნავს, რომ ანტონი თავის დროისათვის განათლებული და „დიდი კეჟის პატრონი“ იყო, მაგრამ იგი, როგორც პოეტი, არ ვარგოდა და მის ლექსებში არც აზრია და არც სხვა რაიმე ღირსებაო. მისი აზრით, ანტონს არ ჰქონდა არც ესთეტიკური გემოვნება, თორემ რუსთაველზე მალლა ჩახრუხბაძეს როგორ დააყენებდა. კ. ლორთქიფანიძე იზიარებს ი. ქავჭავაძის შეხედულებას როგორც ჩახრუხბაძის, ასევე ანტონის შესახებ.

კ. ლორთქიფანიძეს მხარს უჭერს მეორე თერგდალეულიც, რომელმაც თავის სტატიას („რამდენიმე სიტყვა ზე-

მოუი იმერელის გორისელის სტატიანზედ“), ეპიგრაფად წარუძღვა-  
ა პუშკინის სიტყვები:

„Поэт! не дорожи любовью народной,  
Восторженных похвал пройдет минутный шум...“

ს. აბაშიძის აზრით, ე. წერეთელმა დათვური სამსახური გა-  
ეწია მის მიერ „შექებულ“ მოხუცსა და მის ნათესავ ქალს, რო-  
მელსაც თავის სტატიაში ათქმევენებს „ვილაც ქავქავაძეო“.

რაც შეეხება ბ. ჯორჯაძის პოეტური ნიჭის ხოტბას ე. წე-  
რეთლისა და სხვების მიერ, ს. აბაშიძე მას თვლის გაუგებრობად  
„ბ. ჯორჯაძის ლექსების მსგავსი ლექსების შესახებ შეიძლება  
ვისმეს ქება ეთქვა ერთი საუკუნის წინათ, მაგრამ ახლანდელ დრო-  
ში კი სასაცილო რამ გასაგონიაო“.

ს. აბაშიძე კიცხავს ე. წერეთელს მეორე ეურნალის გამოცე-  
ნის წინააღმდეგ გალაშქრებისათვის და არწმუნებს, რომ ი. ქავ-  
ქავაძის ეურნალი სულ მოკლე დროში დიდ წარმატებას მიაღწევს  
და არც „ცისკარს“ მოაკლდება ხელისმომწერიო.

ს. აბაშიძე მხარს უჭერს ი. ქავქავაძეს ჩახრუხადისა და ანტონ  
კათალიკოსის შეფასების საქმეში. ამასთან, ე. წერეთელს ამჟღავნებს  
საკუთარი აზრის უქონლობაში და კითხვას უსვამს, თუ რა საფუ-  
ძველი აქვს. როცა ვოლტერს დასცინის. იხსენიებს რა ლესინგს,  
ბელინსკის და დობროლიუბოვს, ს. აბაშიძე ირონიულად შენიშ-  
ნავს: ვაითუ ამ გვარების თარგმნაც მომთხოვოს „ცისკრის“  
პოლემისტებმაო.

რაც შეეხება მესამე სტატიას („ახირებული ფურცელი“), იგი  
ქემარიტად პირველი აკაკური ფელეტონია. მახვილი თქმებითა  
და იუმორული ლექსებით გამდიდრებულ სტატიაში აკ. წერეთელი  
მოხერხებულად ჰკენწლავს ი. ქავქავაძის უნიჭო მოწინააღმდეგეთ-  
აკაკის მწარე ენას სიტკბოება ვერ შემატა „ცისკრის“ პოლემისტთა  
კომპლიმენტებმა მისი პოეტური ნიჭის სიდიადის შესახებ. სტა-  
ტიის შესავალშივე იგი მახვილად დასცინის ბ. ჯორჯაძესა და მის  
თანამოაზრეთ უხვირო ცინიზმისა და არაფრისმთქმელი ისტორიუ-  
ლი ექსკურსებისათვის.

„ცისკარი“, აკაკის თქმით, სრულებით ვერ ამართლებს თავის  
დანიშნულებას; ძნელად თუ დარწმუნდებით იმაშიც, რომ იგი ქარ-  
თული ეურნალია. „ცისკარი“ ბუექვსე წელში ჩადგა,—ამბობს აკა-  
კი,—მაგრამ დღემდე არ ვიცოდი, სადაური ყმაწვილი იყო—რუსის  
თუ ქართველისო“. აკაკის, ცხადია, მხედველობაში აქვს ის გარე-  
ნოება, რომ „ცისკარში“ მეტწილად თარგმნილი ნაწარმოებები

იბეჭდებოდა და ადვილად ურიგდებოდნენ ბარბარიზმებსაც. „ძალიან გვეჭირვება ახალი, კარგი ენაო“, — ამბობს აკაკი და ფელეტონში ჩართული სატირული ლექსით კიცხავს იმ ქართველებს, რომლებსაც ქართული ენა და ქართველი ჩვევები დაუვიწყებიათ. მისი თქმით. „ნამდვილი ქართველი“ საძებარი გახდა, „უსწავლელი სწავლულები“, — „საქართველოს ფუჟი ძენი“, — კი გამრავლდნენ.

აკ. წერეთლის შეუასებით, „ცისკარი“ არ გამოხატავდა ქართველი ხალხის ინტერესებს და ვერ შექმნდა წვლილი ქართული ლიტერატურის საგანძურში; ნაცვლად ცოდნის მოწოდებისა, იგი მკითხველს უხეირო ენით დაწერილი სტატიებით ართობდა. „ცისკარში“ გამოქვეყნებული წერილებიდან აკაკისაც მხოლოდ მოლაყბის სტატიები მოსწონს. ე. წერეთლის სტატიის გამოქვეყნება. აკაკის აზრით, ჟურნალის დაცემისა და მისი რედაქციის ყოველმხრივი გაკოტრების გამოხატულებაა, თორემ როგორ შეიძლებოდა ჟურნალის ფურცლებზე ადგილი მისცემოდა იმ ადამიანს, რომელსაც არ ესმის რა არის პოეზია და „საღმრთო სიტყვა და პოეზია... ერთი ჰგონიაო“.

მესტირულ კილოზე დაწერილი ლექსით აკაკი სასაცილოდ იღებს წერეთლის გალაშქრებას ი. ჭავჭავაძის წინააღმდეგ, თანაც აფრთხილებს — ბოდიში მოიხადოს ჭავჭავაძის წინაშე, თორემ კიდევ ხშირად „შეამკობს“ მსგავსი ლექსებით.

„ცისკრის“ ფურცლებზე გახშირდა „თერგდალეულის“ ფსევდონიმით დაწერილი წერილების ბეჭდვა. ჟურნალის რედაქცია და მისი „ცნობილი“ პოლემისტები თითქოს შეეგუენ დამარცხებას და „ცისკარი“ ფაქტიურად მოწინააღმდეგეებს „დაუთმეს“.

„ცისკრის“ 1862 წლის მეექვსე ნომერში დაიბეჭდა თერგდალეულის სტატია — „ახალი ამბები“, რომელიც კვლავ სამსონ აბაშიძეს უნდა ეკუთვნოდეს. იგი მკითხველს მოუთხრობს იმ „ნასწავლი-უსწავლელების“ შესახებ, რომლებსაც აკ. წერეთელმა თავის სტატიასში „კრელაძეები“ უწოდა. ამასთან, რედაქციასა და მკითხველთა გარკვეულ ნაწილს უსაყვედურებს მაღალი ჩინის მქონე ავტორებისადმი ბრმა მორჩილებისა და დაუმსახურებელი პატივისცემის გამო.

ცნობილ ავტორთაგან თერგდალეულებისადმი პასუხის გაცემა საერთოდ ვერაფერს გაბედა. სიჩუმე დაარღვია მხოლოდ თომა მაქავე არიანმა, რომელმაც ქუთაისიდან „ცისკარს“ მოაწოდა მეორე თერგდალეულის სტატიის კრიტიკა. თ. მაქავეარიანი იცავს ე. წერეთელს და მის მიერ წამოყენებულ შეხედულებებს ბ. ჯორჯაძის პოეზიისა

და ი. ჭავჭავაძის ენის შესახებ. მისი თქმით, ბ. ჯორჯაძის „ლექსები არიან ჩინებულნი“, ხოლო ი. ჭავჭავაძის ენა — მიუღებელი; თანაც იმედს გამოთქვამს, რომ ი. ჭავჭავაძე თავის ჟურნალს გამოცემს ბ. ჯორჯაძის და ს. მესხიევის შენიშვნების გათვალისწინების საფუძველზე. თ. მაქაეარიანს ჯერ კიდევ ვერ შეეგნო, რომ ვის შეხედულებებსაც ის იცავდა, ისინი ბრძოლას უკვე წაგებულად თვლიდნენ.

თერგდალეულებმაც ტონი იცვალეს. შემდგომ დაწერილ სტატიებში ისინი ნაკლებ ადგილს უთმობენ ცალკეულ მწერალთა კრიტიკას და მეტწილად საერთო მნიშვნელობის საკითხებზე სწერენ. უფრო სწორად, ახალი ჟურნალის საკურობებისა და მწერლობის მომავალი ამოცანების შესახებ უსჯელობენ.

ნიშანდობლივია ისიც, რომ თერგდალეულთა მხარეზე აშკარად გადავიდა ბევრი ის მწერალი, რომელსაც „ცისკარის“ რედაქცია თავის მხარდამკერად თვლიდა, მათ შორის ლ. არდაზიანი, დ. ყიფიანი და სხვები. ლ. არდაზიანმა, როგორც ვიცით, დაწერა სპეციალური სტატია („ახალნი მნათობნი“) ე. წერეთელის შეხედულებათა წინააღმდეგ. მართალია, იგი არ დაიბეჭდა, მაგრამ სამაგიეროდ გამოქვეყნდა მისი პუბლიცისტური ნარკვევი — „მოგზაურობა ტფილისის ტროტუარზედ“<sup>1</sup> და წერილი — „ორიოდე სიტყვა შესახებ თერგდალეულის სტატიისა“<sup>2</sup>, რომლებშიც იგი გვევლინება ი. ჭავჭავაძისა და საერთოდ თერგდალეულთა დამცველად.

ლ. არდაზიანის მიერ ასეთი პოზიციის დაკავება მოულოდნელი არ ყოფილა. რეალისტი მხატვარი თავის ადრეულ წერილებშიც არ იზიარებდა ბ. ჯორჯაძისა და მის თანამოაზრეთა ლიტერატურულ შეხედულებებს. მაგრამ არც იმის დავიწყება შეიძლება, რომ ლ. არდაზიანი თავისი პოლიტიკური მსოფლმხედველობით საგრძნობლად განსხვავდება თერგდალეულებისაგან, რაც მის მხატვრულ და პუბლიცისტურ ნაწერებშიც აშკარად ვლინდება.

ცხადია, ზომიერებას ვერ იცავს ა. გაჩეჩილაძე 60-იან წლებში გაჩაღებულ იდეურ-ლიტერატურულ ბრძოლასთან ლ. არდაზიანის დამოკიდებულების გარკვევისას. საკვირველია, მაგრამ ფაქტია, რომ ამ ბრძოლის დამწყებად ა. გაჩეჩილაძე თვლის არა ი. ჭავჭავაძეს, არამედ ლ. არდაზიანს. მისი თქმით, თაობათა შორის ბრძოლის დასაწყისად ი. ჭავჭავაძის პირველი სტატიის გამოქვეყნების მიჩნევა იმით იყო გამოწვეული, რომ ქართული ლი-

<sup>1</sup> „ცისკარი“, 1862, № 7

<sup>2</sup> „ცისკარი“, 1863, № 6

ტერატურის ისტორიაში ლ. არდაზიანის ადგილი სწორად არ იყო გაგებული<sup>1</sup>.

უნდა შევნიშნოთ, რომ ა. გაჩეჩილაძეს გაზვიადებულად აქვს წარმოდგენილი არა მარტო ლ. არდაზიანის ადგილი ქართული ლიტერატურის ისტორიაში, არამედ საკუთარი დამსახურებაც ამ მწერლის შესწავლის საქმეში. ამიტომაც, რომ მის მიერ „მიკვლეული“ და „გარკვეული“ მეტწილად მიკვლეულიც იყო და გარკვეულიც.

თაობათა ბრძოლის დასაწყისად ა. გაჩეჩილაძე მიიჩნევს „ცისკრის“ 1859 წლის მეცხრე ნომერში გამოქვეყნებულ ლ. არდაზიანის სტატიას. აღნიშნული სტატიის შინაარსისა და მისი ლირსებების შესახებ საკმაოდ დაწვრილებით ვინსჯელეთ ლ. არდაზიანის მოღვაწეობის დახასიათებისას. ამჟამად მხოლოდ გავიმეორებთ, რომ ლ. არდაზიანმა აღნიშნულ სტატიაში, გასცა რა პასუხი ნ. ბერძენოვს, გამოთქვა უთუოდ საყურადღებო მოსაზრება ქართული პროზის ჩამორჩენის მიზეზების შესახებ. ამ საკითხთან დაკავშირებით მან გაილაშქრა მწერლობაში საეკლესიო ენის დამკვიდრების წინააღმდეგ და აღნიშნა, რომ „გამშვენიერებული პროზა შესაძლებელია მხოლოდ საერო ენაზე, საღმრთო წიგნურის ფორმაზე კი... პროზა იოტის ოდენ ვერ წავა წინო“. ამასთან, მისი შეხედულებით, პოეზიაში უკვე მომხდარი იყო შესაფერი გარდატეხა.

როგორც ცნობილია, ბ. ჯორჯაძემ დაგმო ლ. არდაზიანის მიერ საღმრთო წერილის ენისადმი ასეთი დამოკიდებულება, მაგრამ ლ. არდაზიანს მისთვის პასუხი აღარ გაუცია.

გამოდის რა ამ წინააღმდეგობიდან, ა. გაჩეჩილაძე წერს: „იგი (ლ. არდაზიანი—დ. გ.) სამწერლო ენად საერო, ხალხის ენას აღიარებს, იმ ენას, რომელზედაც ლაპარაკობდა ხალხი. უნდა აღინიშნოს, რომ ი. ჭავჭავაძეს თავის ცნობილ წერილში — „ორიოდე სიტყვა თავ. რევაზ შალვას ძის ერისთავის კოზლოვიდგან „შემოღობის“ თარგმანზედა“ — რომელიც ლ. არდაზიანის ზემოაღნიშნული წერილის გამოქვეყნებიდან წელიწადნახევრის შემდეგ გამოქვეყნდა, ასეთი რადიკალური შეხედულებები ქართული სალიტერატურო ენის გახალხურების შესახებ არ გააჩნიაო“<sup>2</sup>.

ვფიქრობთ, მოყვანილი სიტყვები საგანგებო კომენტარს არ საჭიროებენ, ისინი თვითონ ამჟღავნებენ მათი ავტორის მკლარ შეხედულებას.

<sup>1</sup> ა. გაჩეჩილაძე. ბრძოლა კრიტიკული რეალიზმის დამკვიდრებისათვის მეცხრამეტე საუკუნის ქართულ ლიტერატურაში. იბ. „ლიტერატურული ძიებანი“. 1955, ტ. IX, გვ. 183.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 184.

მეტად არალოგიკურია ა. გაჩეჩილაძის განმარტება ბ. ჯორჯაძისადმი ლ. არდაზიანის პასუხის გაუტყემლობის შესახებაც. მისი თქმით, ბ. ჯორჯაძემ „მწერლობისათვის „საღმრთო წერილების“ ენის უარყოფა რელიგიის უარყოფად მიიჩნია. ამით, ცხადია, ბ. ჯორჯაძემ ლ. არდაზიანი მაშინდელ კლერიკალურ საზოგადოებას დაუპირისპირა და მას საკმაოდ მძიმე მდგომარეობა შეუქმნა. ამიტომაც გასაგებია, რომ ლ. არდაზიანმა სიჩუმე არჩია და ბარბარე ჯორჯაძისათვის აღარ უპასუხნიაო“<sup>1</sup>. ჩვენ არ ვიცით, რატომაც ეს გასაგები ა. გაჩეჩილაძისათვის, მაგრამ თუ არდაზიანმა კლერიკალური წრეების შიშით ხმა ჩაიკმინდა, ეს გარემოება მის ღირსებაზე არ მეტყველებს. მაშინ რაღა უნდა ექნა ი. ჭავჭავაძეს?

ა. გაჩეჩილაძე კარგ სამსახურს არ უწევს ლ. არდაზიანს, როცა მას ი. ჭავჭავაძის, აკ. წერეთლის და სხვა თერგდალეულთა გვერდით აყენებს და ასახელებს ყოველთვის. ასე რომ, ძალაუნებურად მოგაგონდებათ ი. ჭავჭავაძის ნათქვამი სიტყვები „ცისკრელი“ მწერლების მისამართით: „სადაც რუსთაველს... ახსენებენ, იქ, გინდად თუ არა, წამოაკუნკულებენ ჩახრუხაძესაცო“ ლ. არდაზიანი სამოციანელთა შეხედულებებამდე არასოდეს არ ამაღლებულა; თავისი პოლიტიკური შეხედულებით იგი დარჩა ბატონყმური ურთიერთობის დამცველთა თვალსაზრისზე, რის გამო მას დიდად აფასებდნენ „ცისკრელი“ მწერლები. ამის გაუთვალისწინებლობა კი შეუძლებელია.

ა. გაჩეჩილაძე არაზუსტად გადმოსცემს ი. ჭავჭავაძის შენობემდებითი ევოლუციის ფაქტობრივ მხარესაც. მისი თქმით, ი. ჭავჭავაძეს, როცა მან პირველი სტატია გამოაქვეყნა, რამდენიმე დაბეჭდილ ლექსს გარდა, „მოხაზული ჰქონდა თავისი ცნობილი ნაწარმოებების—„კაკო ყაჩაღის“, „გლახის ნაამბობისა“ და „კაცია ადამიანის“—ვარიანტები“<sup>2</sup>.

პირველყოვლისა, ამ დროს ი. ჭავჭავაძეს არათუ „მოხაზული“, არამედ დაწერილი ჰქონდა „გლახის ნაამბობისა“ და „კაცია ადამიანის“ ვარიანტები, ხოლო „კაკო ყაჩაღი“ — უკვე დასრულებული. გარდა ამისა დაწერილი ჰქონდა „დედა და შვილის“ პირველი ვარიანტი და მთელი რიგი ლექსებისა, რომლებიც აშკა-

<sup>1</sup> ა. გაჩეჩილაძე. ბრძოლა კრიტიკული რეალიზმის დამკვიდრებისათვის, მეცხრამეტე საუკუნის ქართულ ლიტერატურაში. „ლიტერატურული ძიებანი“ 1955, ტ. IX, გვ. 187.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 185.

რად მეტყველებდნენ მისი ავტორის კეშმარიტ რეალიზმზე. მხედველობიდან უშვებს რა ამ გარემოებას, მკვლევარი წერს:—„თავის პირველ სტატიაში ილია ქავჭავაძე უკვე აყალიბებს კრიტიკული რეალიზმის ზოგიერთ დამახასიათებელ ნიშანს. იმ კრიტიკული რეალიზმისას, რომელიც შემდგომ საფუძველი შეიქნა ი. ქავჭავაძის შემოქმედებისა“<sup>1</sup>.

განა მხოლოდ 1861 წლის შემდეგ შეიქმნა რეალიზმი ი. ქავჭავაძის შემოქმედების საფუძველად? ეს რომ ასე იყოს, მაშინ მივიღებდით, რომ ი. ქავჭავაძე სხვებისაგან ითხოვდა მას, რაც ჯერ თვითონაც არ გააჩნდა.

ი. ქავჭავაძე, ჯერ კიდევ იდეურ-ლიტერატურული ბრძოლის დაწყებამდე, თავის მხატვრულ შემოქმედებას ქმნიდა რეალიზმის პრინციპებიდან გამომდინარე. სწორედ ამან აიძულა იგი ბრძოლა გამოცხადებინა ყოველი ჯურის ანტირეალისტური მიმართულები-სათვის.

იდეურ-ლიტერატურული ბრძოლის მსვლელობაში ი. ქავჭავაძემ და მისმა თანამოაზრე თერგდალეულებმა გამოამყვანეს „ცისკარში“ მოკალათებულ მწერალთა იდეური ჩამორჩენილობა და მხატვრული შესაძლებლობის სისუსტე. მაგრამ ეს „თერგდალეულთა“ პროგრამის ერთი მხარე იყო მხოლოდ. მათ უნდა უზრუნველყოთ აგრეთვე კრიტიკული რეალიზმის საბოლოო გაბატონება ქართულ ლიტერატურაში.

1862 წლის მეორე ნახევარში ი. ქავჭავაძემ მიზნად დაისახა მოეცა სრული სურათი ეურნალ „ცისკარის“ მწერლობისა, დაწყებული 1857 წლიდან. ამასთან, უფრო სრულად და თეორიული განზოგადებით სურდა წარმოედგინა თავის სტატიებში გამოთქმული შეხედულებები ლიტერატურის დანიშნულებისა და ეურნალის მოვალეობის შესახებ. ამას მოწმობს ის ექვსი ნაწყვეტი, რომლებმაც ჩვენამდე მოაღწიეს და ცნობილია საერთო სათაურით— „ცისკარი“ 1857 წლიდან 1862 წლამდინა“.

ამ ნაწყვეტების მიხედვითაც ადვილი გასათვალისწინებელია, თუ როგორი სიღრმითა და სისრულით წარადგინდა ი. ქავჭავაძე „ცისკარის“ განვლილი გზის შესწავლასა და დახასიათებას. მაგრამ ისიც აშკარაა, რომ მისი მიზანი მხოლოდ „ცისკარის“ ღირსება-ნაკლოვანებათა შეფასება არ იყო, მას ქართული მწერლობის განვითარების შემდგომი გზებისა და მიმართულების გარკვევა უფრო აინტერესებდა. ამასთან, წმინდა ლიტერატურული საკითხების

<sup>1</sup> ა. გაჩეჩილაძე. ბრძოლა კრიტიკული რეალიზმის დამკვიდრებისათვის მეცხრამეტე საუკუნის ქართულ ლიტერატურაში. „ლიტერატურული ძიებანი“, 1955, ტ. IX, გვ. 191.



გვერდით ილია დიდ ადგილს უთმობს საზოგადოებრივი ცხოვრების ავკარგიანობაზე მსჯელობას; ის ლაპარაკობს არა მარტო როგორც მწერალი, არამედ როგორც საზოგადო მოღვაწე საერთოდ.

ი. ჭავჭავაძე, უპირველესყოფლისა, მიზანში იღებს საზოგადოებრივი ცხოვრების ჩამორჩენილობას და მის ობიექტურ მიზეზებს. ქვეყნის პოლიტიკური მართვა-გამგეობისაგან ჩამოცილება, ნაციონალურ-კოლონიალურმა და სოციალურმა ჩაგვრამ ქართველ ხალხში, ი. ჭავჭავაძის თქმით, ერთგვარი უნდობლობა და გულგატეხილობა დანერგა. ამიტომეა, რომ ხალხი ადვილად არ უთანაგრძნობს ხოლმე მასაც კი, ვინც ნამდვილად მის სასარგებლოდ ფიქრობს და მოქმედებს. „კაცმა, რომ პატიოსანს და კეთილს საქმეს თავი შესწიროს, ერთი ჩვენგანი არ დაიჯერებსო“, — ამბობს ილია.

ი. ჭავჭავაძის შეხედულებით, ქართველ ხალხს თითქოს დაეკარგა ის იდეალი, რომელიც საერთო მისწრაფებებსა და საერთო ინტერესებს ბადებს. ამის მიზეზს იგი ისტორიული ჩარხის უკულმართობაში ხედავს, მაგრამ ბრალს სდებს თვით ხალხსაც, — მის განათლებულ ნაწილს. ყველაფერი ავბედობას არ შეიძლება დაბრალდეს, „ბედს თითონ კაცი ქმნის და არა ბედი კაცსო“ — დასძენს ილია. საზოგადოების ე. წ. მოწინავე ნაწილი არათუ სიხარულით ხვდება სამშობლოს ბედით შეწუხებულ და ხალხის უკეთესი მომავლით დაინტერესებულ თითო-ოროლა პატრიოტს, არამედ დასცინის კიდევაც. „ჩვენ, — წერს ის, — გულს გაგვიგმირავს ხოლმე ცხოველი სიტყვა, ჩვენი ძმისავე სიკეთე, ჩვენი ძმისვე ჩვენთვის თავგამოდება. პირველი ქვა, რომელიც თავგამოდებულს მოხვდება ხოლმე, ქართველისაგანვე არის გამოტყორცნილიო“.

ილიამ თვით იგემა ასეთი ქვით მიყენებული ჭრილობის ტკივილები. მან გამოსცადა, თუ რა მძიმე იყო ხალხის სიკეთისათვის ათრთოლებული გულის დაწყლულება თანამემამულეთა წინდაუხედაობითა და უყურადღებობით.

როდესაც ქართველ ხალხს, მის განათლებულ ნაწილს ი. ჭავჭავაძე საერთო იდეალის დაკარგვას უსაყვედურებს, მას მხედველობაში აქვს სამშობლოს სიყვარული, პატრიოტული გრძნობა. მისი გაგებით, საკმაო დროის განმავლობაში თავისი დიდი მნიშვნელობა დაკარგული ჰქონდა „მამულს“, მისი გახსენება ქართველი კაცის მეხსიერებაში „სამშობლოს“ ცნებას აღარ აღადგენდა. ეროვნულ-გამათავისუფლებელი იდეებით შთაგონებული პატრიოტი გულისტკივილით შენიშნავს: „მრავალი წელიწადია, რაც ჩვენ

საზოგადოებას ერთი ცოცხალი აზრი, ერთი ფიზიკური გრძნობა არ ჩაეარდნია გულში. ასეთნაირად დაენამცეცდით, რომ დიდი სიტყვა „მამულიც“ გაენამცეცეთ. მამული ერთობ ჩვენს სამშობლო ქვეყანას კი აღარ ნიშნავდა, არამედ, თვითეულის სოფლის საკუთრებასო“.

ეროვნული თვითშეგნებისა და პატრიოტული გრძნობის გაძლიერება ხალხში,—ი. ჭავჭავაძის შეხედულებით,—პირველი და აუცილებელი საფეხურია ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლის გზაზე. მისი თვალის აქეთკენაა მიპყრობილი და მზადაა ყველაფერს გაუძლოს, მხოლოდ მიზანს მიაღწიოს. მას სწამს, რომ ყოველი დიდი საქმე მსხვერპლს ითხოვს საუკეთესო ადამიანებისაგან, რომლებიც საზოგადოებრივს ყოველთვის მაღლა აყენებენ პირადულზე.

არის მომენტები, როცა ხალხი ხშირად თვით გაკიცხავს და გულს მოუწამლავს მისთვის თავდადებულ და კეთილმსურველ მოღვაწეებს, მაგრამ ისინი მაინც არ უნდა დაეცნენ სულით. „კარგია,—შენიშნავს ი. ჭავჭავაძე,—თუ ვინმე იმათგანი იმისთანა თამამი გულისაა, რომ ხალხის სიყვარულისათვის ამ საძაგლობას არ დაერიდება და ათას ქირში და ვაი-ვაგლახში გააპობს მკერდით თავის მოძმეთა ბოროტებასა; მაგრამ მაინც კიდევ ხომ სიკვდილია იმისათვის, როცა ხელდავს, რომ ვისთვისაც ქირშია, ვისთვისაც იბრძვის, ვისთვისაც იტანჯება, ის პირველი ესერის ქვასა“...

ი. ჭავჭავაძემ კარგად იცის, რომ მშრომელი ხალხი, გლეხობა სულით და გულით პატიოსანი და სამშობლოს მოყვარულია, მაგრამ ხელ-ფეხი შებორკილი აქვს, მისი სულიერი და გონებრივი ღირსებები ბატონყმური უღლის ქვეშ ინთქება და თავის სარბიელს ვერ პოულობს. ამიტომაც, ილიას თავისი მახვილი სწორედ მაღალი წოდების წინააღმდეგ აქვს მიმართული; წოდებრივი არტახებით შებორკილ საზოგადოებაში ყოფნა შეგნებული და პატრიოტი ადამიანისათვის მძიმეაო. „მძიმე საცხოვრებელია,—წერს ილია,—ეს ქვეყანა გონიერი კაცისათვის, რომელიც... სხვაზედაც ფიქრობს, სხვაზედაცა სწუხს. ის ჩვენში ფრთას ვერ გაშლის, სულს ვერ მოიბრუნებს. შევა კლიკაციის სახლში, თუ თითონ დიდი კაცია—პატივი აქვს, ე. ი. კანონიერად გაუღიმებენ, კანონიერად ხელს ჩამოართმევენ. თუ პატარა კაცია, მაშინ წელს გაუსინჯავენ, კარგად იგრიხება თუ არაო“. ერთი სიტყვით, პატივი და დიდება აქვს არა მას, ვინც სულიერი და გონებრივი ღირსებებით მდი-

დარია, არამედ მას, „ვინც ორი თუ სამი სტრიქონით თავად-აზნაურობის სიაში წინ არის მოხსენებული“.

ი. ჭავჭავაძე, ცხადია, შეცდომაში ვერ შეჰყავს ალ. ორბელიანის მსგავს „თეორეტიკოსებს“, რომლებიც ქართველ თავად-აზნაურთა ცხოვრებას და ბატონყმურ ურთიერთობას საქართველოში რაღაც განსაკუთრებული და პატივსაცემი თავისებურებებით ახასიათებდნენ. „დიდკაცობა, — ამბობს ილია, — როგორც სხვაგან, ისე ჩვენში სწორედ კუბოა, რომელიც გარედამ ხავერდით არის მოსილი და ბუზმენტებით გაბრწყინებული, მაგრამ ახსენით ის ბუზმენტები და ახადეთ თავი, შიგ ძვლების, სულის და ხორცის გახრწნილების მეტს ვერას დაინახავთ“.

ცხადია, ილია ქართველ თავადაზნაურობაში ვერაფერს ხედავს ისეთს, რაც მოწონებასა და თანაგრძნობას იმსახურებდეს. თავადაზნაურობა, — მისი სამართლიანი თქმით, — ძვლით, ხორციითა და სულით გახრწნილია. თავადაზნაურთა „დამსახურებას“ შიშვერს ის იმასაც, რომ „მამულის“ გაგონებაზე ბევრს უკვე აგონდება არა სამშობლო, არამედ მისი საკუთარი მიწა-წყალი მხოლოდ.

ი. ჭავჭავაძის აზრით, უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე თავის მნიშვნელობას ნელ-ნელა იბრუნებს „მამული“ და ამ საქმეში გარკვეული წვლილი მიუძღვის „ცისკარსაც“. „არ იქნება ოთხი-ხუთი წელიწადი, — ამბობს ილია, — რაც მაგ სასწაულთმოქმედმა სიტყვამ („მამული“ — დ. გ.) თავისი დაკარგული მნიშვნელობა ჩვენში ისევ დაიბრუნა. ღმერთმა უშველოს „ცისკარს“, ეგ იმისი შეოხება არის. სიტყვა აღვადგინეთ, ჩვენ-კი ველარ აღვდექით, ვე-ლარ აყვევით თანაო“.

„ცისკარის“ დამსახურება ამ მიმართულებით, ი. ჭავჭავაძის შეხედულებით, ის იყო, რომ მან მკითხველს გააცნო ალ. ჭავჭავაძის, ნ. ბარათაშვილის, გრ. ორბელიანის და ზოგიერთ თანამედროვე მწერალთა ეროვნულ მოტივზე დაწერილი ნაწარმოებნი. ამიტომ ამბობს იგი, რომ სიტყვა აღვადგინეთ, მაგრამ ჩვენ ველარ წამოვდექით და ველარ აყვევითო.

„ცისკარსა“ და ქართველ ხალხს შორის ი. ჭავჭავაძე ვერ ხედავს მკიდრო ურთიერთობას. ერთდერთი ჟურნალის ასეთ მდგომარეობაში ყოფნა კი მას სავალალო ფაქტად მიაჩნია და სურს გაარკვიოს მისი არსებითი ხასიათის მიზეზები. ილიას თქმით, ჟურნალი ხალხის სიყვარულს და ინტერესს ვერ იმსახურებს სამ შემთხვევაში: 1. როცა ჟურნალი შორსაა იმისაგან, რაც „უქირს საზოგადოებას, ცხოვრებას, რომ იმას უშველოს“, 2. როცა ჟურნალ-

გატაცებულია ისეთი საკითხებით, რომლებიც ცხოვრებას ჯერ კიდევ არ დაუსვამს დღისწესრიგში, 3. როცა ეურნალი „უკან დარჩომია ცხოვრებასა: ცხოვრება წინ წასულა და ის კი უკან მისჩანჩალებს, როგორც ფეხმოტეხილი ცხეარი თავის ფარასა. თავის ჩანჩალში ის კოჭლი ეურნალი არამც თუ არჩევს და ხსნის, რაც თვალწინ უტრიალებს საზოგადოებასა, არამედ თავმომწონებით ჰკრეფს, რაც თვით საზოგადოებას თავის განვითარების გზაზედ ვადუყრია, რიგორც უვარჯისი და გამოუსადეგი“.

ი. ქავჭავაძე „ცისკარს“ აკუთვნებს ხალხისგან მოწყვეტილ მესამე კატეგორიის ეურნალთა რიცხვს და მკითხველს პირდება, რომ კონკრეტული მაგალითებით დაადასტურებს თავის შეხედულებას. თანაც წინასწარვე აცხადებს, რომ არ დაიშურებს „მის ძაგებას—რაც საძაგელია, იმის ქებას—რაც საქებია“. მისი თქმით, დროა შევიგნოთ, რომ ვინც ნაკლოვანებებს არ ფარავს, მას სხვაზე ნაკლებ არ აინტერესებს სიკეთე; კრიტიკაში ბოროტებას მხოლოდ ის ხედავს, ვინც თვითონ ბოროტია, ვინც ისე ამოვლებულა ლაფში, რომ არ შეუძლია შეეხოს ვისმეს და არ გასვაროს. „ჩვენ იმითი უფრო გვებრალებიან ეს წამხდარი ხალხი. — წერს ილია, რომ ბევრი მათგანი ხარისხით, თუ მდგომარეობით, წინწასულები არიან; ჩვენ ვურჩევთ იმათ მედიდურებას და გლახა-ამპარტავნობას, რომ თუ თითონ არ ესმით ეს, პატარა დახარონ თავიანთი მოუდრეკელი თავი და უბრალო გლეხკაცს მაინც დაუგდონ ყური და მისგან ისწავლონ და აიხილონ დაბრმავებული თვალეზიო“ ილია ზრდილობას არ ხედავს პირფერობასა და „პირიდან თაფლის დენაში“; პატიოსანი კაცი მით არის პატიოსანი. რომ „ექებს სიმართლეს და ემსახურება ქეშმარიტებას... ცდილობს გამოაჩინოს შეუბრალებლად რაც ცუდია—ცუდად, რაც კარგია—კარგად. პირფერობა და... უალაგო ქება გლახის და მათხოვრის საქმეა და არა ქეშმარიტების მსახურისაო“, — შენიშნავს ის.

„ცისკარის“ მოლექსეებს, მისი შეფასებით, თავი ვერ დაუღწევიათ ძველი მწერლების გავლენისაგან; „თავისი აზრების მიმართულებით, იდეებით ძველებსა ჰგვანან“, თანაც მეტწილად იმას ითვისებენ, რაც თვით ძველი მწერლების სუსტი მხარე იყო.

ი. ქავჭავაძის შეხედულებით, ძველი მწერლების მთავარი ნაკლი ის იყო, რომ თავისუფალნი არ იყვნენ პასიური განწყობილებების ქადაგებისაგან, უჩიოდნენ წუთისოფელს, ამაოებად სახავდნენ ამქვეყნიურ ცხოვრებასა და თვალეზი ცისკენ ჰქონდათ მიპყრობილი; არ მოსწონს არც მათი სატრფიალო პოეზია, რადგან ქალი/მათ თვალში ან ანგელოზია ან დემონი. ილია უარყოფით

წეფასებას აძლევს აგრეთვე მათ მიერ სუბიექტური პეიზაჟების შემოტანას პოეზიაში. „ბუნება, — ამბობს ილია, — წმინდა სანთელია იმათ ხელში, რასაც უნდა, იმას გამოსახავენ... ის როგორც ობიექტი არ არსებობს იმათთვის“. აღმოსავლური პოეზიიდან შენოსულად და უარყოფით მოვლენად მიაჩნია მას პოეტური თქმების გადატვირთვა ფიგურალობითა და ალევორიებით.

ი. ჭავჭავაძის შეფასებით, აღორძინების პერიოდის პირველი პოეტი, რომელმაც სცადა გვერდი აეგლო აღმოსავლური პოეზიის დამახასიათებელი ფიგურალობისათვის — დ. გურამიშვილი იყო. დ. გურამიშვილმა, მისი თქმით, ქართულ პოეტურ მეტყველებაში შემოიტანა ევროპეიზმი\*. ეს გზა შემდეგ გააგრძელეს ალ. ჭავჭავაძემ და გრ. ორბელიანმა, მაგრამ „ბრწყინვალე წარმომადგენელი ევროპეიზმისა“ მაინც ნ. ბარათაშვილი იყო.

ქართული პოეზია, მისივე შეხედულებით, ძირითადად, ლირიკული პოეზიაა. ქეშმარიტი პოემა მხოლოდ შ. რუსთაველმა შექმნა, მის შემდეგ კი, ამ მიმართულებით, საქმე გვაქვს მეტწილად უხეირო მიბაძვებთან.

ლირიკა, ილიას თქმით, საყურადღებო ეანრია, მაგრამ უარყოფითი მხარეც აქვს: „საგანი ამგვარი პოეზიისა თითონ პოეტის სულის მდგომარეობაა სხვადასხვა შემთხვევებში და გარემოებაში... გარეგანი ბუნება მისთვის არ არსებობს, და თუ არსებობს, იმის ხელში ის წმინდა სანთელივით ღბილია... იმას გამოსახავს... რაც თითონ უგრძენია და არა იმას, რაც თვით ბუნებაშია, როგორც აუცილებელი თვისება მისიო“.

როგორც ვხედავთ, ი. ჭავჭავაძის მხატვრული ინტერესები<sup>1</sup> მიმართულია რეალიზმის, როგორც მხატვრული მეთოდისა და როგორც ლიტერატურული მიმართულების დამკვიდრებისა და გაბატონებისაკენ. იგი ბრძოლას უცხადებს არა მარტო ანტირეალისტურ მიმართულებათა რეცედივებს, არამედ საერთოდ ისეთ პოეტურ ფორმებსა და ხერხებს, რომლებიც შედარებით მოუქნელნი არიან სინამდვილის რეალისტური ასახვისათვის. შემთხვევითი როდია ის გარემოებაც, რომ ლირიკულ ეანრთან შედარებით ის უპიროატესობას აძლევს ეპიკურ ეანრს, რომელსაც მეტი შესაძლებლობა აქვს ობიექტური სინამდვილის სრული და ზუსტი სურათის წარმოსადგენად. ი. ჭავჭავაძის გაგებით, ლიტერატურა უნდა იყოს

\* „ევროპეიზმი“ ი. ჭავჭავაძე გულისხმობს ისეთ პოეტურ გამოთქმებსა და სახეებს, რომლებიც აღმოსავლური პოეზიისათვის არაა დამახასიათებელი.

აარკე სინამდვილისა. ამიტომ წყურალი, რომელთანაც დარღვეულია ეს პრინციპი, ღალატობს ძირითად დანიშნულებას.

ასეთივე იდეა აქვს გატარებული კ. ლორთქიფანიძესაც თავის სტატიისში „ორიოდე სიტყვა „ცისკარზე“ და ახალის ქურნალის სარგებლობაზე“ („ცისკარი“, 1862 წ., № 9).

კ. ლორთქიფანიძემ სტატიას ეპიგრაფად წარუძღვარა პუშკინის სიტყვები: „На холмах Грузии лежит ночная мгла“. ამით მან წინასწარვე გამოამჟღავნა თავისი დამოკიდებულება ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების მიმართ.

კ. ლორთქიფანიძის თქმით, ი. კერესელიძის რედაქტორობით განახლებულ „ცისკარზე“ საზოგადოება დიდ იმედებს ამყარებდა, ყველა ფიქრობდა, რომ იგი ბევრად ემჯობინებოდა გ. ერისთავის „ცისკარს“, მაგრამ ეს იმედი თანდათანობით გაქარწყლდა. ამის ერთ-ერთ მიზეზად მას ის მიაჩნია, რომ რედაქტორი დამოუკიდებელი ვერაა, იგი სხვების გავლენის ქვეშაა და თავის ნებაზე ვერაფერს ბეჭდავს: „ცისკარი“ ერთი ღვდლის მაგივრად აღსარებას ეუბნება „ასო“, — მრავალმეტყველად შენიშნავს კ. ლორთქიფანიძე.

უჩვენა თუ არა გზა მწერლობას „ცისკარმა?“ სვამს კითხვას კ. ლორთქიფანიძე და პასუხობს: „გზა თვითონ არ ჰქონდა, სხვას ვის უჩვენებდა. სხივებს თვითონ მოკლებული, სხვას ვის მოჰფენდაო“. მხოლოდ და ნხოლოდ მოლაყბის სტატიებში გამოკრთოდა ეს „სხივები“ და ისიც მალე დააბნელა სქელმა ღრუბელმაო. მისი აზრით, რაც უფრო დიდხანს იარსებებს „ცისკარი“ — ამ მიმართულებით და იდეებით, თანდათან უარესი გახდება“.

„ცისკარის“ დამსახურებას კ. ლორთქიფანიძე ხედავს მხოლოდ იმაში, რომ მან მკითხველს გააცნო: დ. კონკაძის „სურამის ციხე“, ლ. არდაზიანის „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანთაშვილი“, დიმიტრიანის „ზეიმა“, ი. ქავეჭავაძის სტატიები და ლექსები, მოლაყბის წერილები, ქართველი ლერმონტოვის — ნ. ბარათაშვილის\*, გრ. ორბელიანისა და რაფ. ერისთავის ლექსები. „თუმცა ყველა ესენი ბრწყინავდნენ ჩვენ ქურნალში, — შენიშნავს კ. ლორთქიფანიძე, — მაგრამ მათ სხივებს რაღა სიცხოველე ექნებოდა იმ სტატიებთან, როგორიც იყო უფ. სულხანოვისა „ვეროპიელების განათლებაზე“ და „ყრმობა და მათ აღზრდაზედო“. თანაც იქვე უმატებს: „უმორჩილესად ვთხოვ უფ. სულხანოვს, არ ეწყინოს ჩემგან

\* სხვათა შორის, დოკ. ა. გაჩეჩილაძეს 'ვემოთდასახელებულ წერილში კ. ლორთქიფანიძის სიტყვები — „ჩვენის ლერმონტოვის — ნ. ბარათაშვილის“ — გაგებული აქვს როგორც „ლერმონტოვის და ბარათაშვილის“, რაც უბრალო გაუგებრობაა („ლიტ. ძიებანი“, 1955, ტ. IX, გვ. 213).

აგრე მოხსენება. მისი სტატიების უკეთესი ბევრი არ ყოფილა „ცისკარში“, მაგრამ ეს მაგალითი წარმომიდგენია, როგორც უახლესიო“.

„ცისკარის“ ჩამორჩენის მიზეზთა შორის კ. ლორთქიფანიძე ასახელებს კრიტიკისადმი მტრული დამოკიდებულების ტრადიციის დანერგვას. იგი მიუთითებს იმაზე, თუ როგორ დაესხა თავს ალ. სავანელი და სხვები ნ. ბერძენოვს, როცა მან „ცისკარის“ შესახებ კრიტიკული სტატია გამოაქვეყნა.

კ. ლორთქიფანიძის შეხედულებით, სხვადასხვა მიზეზების გამო „ცისკარს“ „არ შეუძლია ჰეგემონიის და ღრმა-ღრმა პოლიტიკურის, ან სოციალურის აზრების გავრცელება“, მაგრამ არც იმას აკეთებს, რის გაკეთებაც შესაძლებელი არის. რედაქციის დაუდევრობას ზიანებს ის ისეთი სტატიებისა და მხატვრულ ნაწარმოებთა ბეჭდვას „ცისკარში“, რომლებიც არც ენით და არც შინაარსით არ იმსახურებდნენ გამოქვეყნებას; როგორადაც არ უნდა შემოღოდა მასალა, ცუდი და სუსტი სტატიები მაინც არ უნდა მიეწოდებინა ჟურნალს მკითხველისთვისო.

„ცისკარს“, კ. ლორთქიფანიძის შეფასებით, არ გააჩნია მთავარი რამ, — საკუთარი მიმართულება. იგი იქცა საპირისპირო შინაარსის მქონე სტატიებისა და ნაწარმოებთა კრებულად, რის გამო მკითხველს უკარგავს ორიენტაციას; მას რომ მოეხერხებია განთავისუფლებულიყო მისთვის მიუღებელი შინაარსის მქონე სტატიებისაგან, ან თუნდაც ცალკე განყოფილება შეექმნა მათთვის, მეტ სარგებლობას მოუტანდა საზოგადოებასო.

ამ მდგომარეობას „ცისკარი“ თავს დააღწევს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გამოიკა ახალი ჟურნალი. იგი მთელი დამაჯერებლობით აჩვენებს მეორე ჟურნალის საჭიროებასა და მნიშვნელობას ქართული კულტურის შემდგომი აღმავლობის საქმეში. მეორე ჟურნალი მკითხველს იხსნიდა „უკრიტიკო ორაზროვნებისაგან, რომელიც სუფევს დედისერთა ჟურნალში“.

კ. ლორთქიფანიძე მკითხველს მოაგონებს, რომ ი. ჯავჭავაძის ჟურნალის — „საქართველოს მოამბის“ გამოცემა საჭირო და სასარგებლო იქნება ხალხისათვის და არა ცალკეული პირებისათვის; მისი გამოსვლის წინააღმდეგ კი მხოლოდ პიროვნებები იბრძვიან, და „თუ ჩვენი საკუთარი ინტერესი არ დაჩუმდება საზოგადო ინტერესის წინ, მაშინ ჩვენს გზასა და კვალს ვერაფერს გაიგებსო“. თავის სტატიას კ. ლორთქიფანიძე ამთავრებს ი. ჯავჭავაძის ლექსით — „გაზაფხული“.

კ. ლორთქიფანიძის სტატიას რედაქციამ შენიშვნა გაუკეთა: „ჩვენ თერგდალეულს პასუხს არ ვაძლევთ, რადგანაც მოლაყბებმ იკისრა პასუხის მიცემა და ამასთანავე იბეჭდება ამ საგანზედ მოლაყბის შესავალი. უმეტესად იმისათვის არ ვაძლევთ ჩვენ პასუხს, რომ ჩვენი და უფ. მოლაყბის აზრი სრულებით ერთიაო“.

ცხადია, რედაქციისა და მოლაყბის შეხედულებები „სრულებით ერთია“, რადგან მოლაყბის ფსევდონიმით უკვე ი. კერესელიძე წერდა. და თუ მაინცაღამაინც „სალაყბო ფურცელში“ უნდა გასცეს მან პასუხი კ. ლორთქიფანიძეს, ეს იმიტომ, რომ „სალაყბო ფურცელი“, ტრადიციის მიხედვით, მკითხველთა შორის მეტი ავტორიტეტით სარგებლობდა. ი. კერესელიძეს მაინც შეუტყვევს ასეთი ოინებები. კ. ლორთქიფანიძისადმი მიწერილ ერთ-ერთ წერილში ნ. ნიკოლაძე წერს: „სალაყბო ფურცელზე მინდოდა დამეწერა რამე, მაგრამ შენ მანდ არა ხარ... Этого мерзавца, габсогодес, რომ მოლაყბე თვითონ კერესელიძე არისო“.

### 3

იმედი არ გაუმართლდათ „ცისკრის“ გულშემატკივართ. ი. ქავკავაძემ ბოლოს და ბოლოს მიიღო ჟურნალის გამოცემის ნებართვა. „ცისკრის“ 1862 წლის მეცხრე ნომერში გამოქვეყნდა ი. ქავკავაძის განცხადება 1863 წლის იანვრიდან ჟურნალ „საქართველოს მოამბის“ გამოცემისა და მისი პროგრამის შესახებ.

„საქართველოს მოამბე“ მართლაც გამოვიდა 1863 წლის იანვარში და იარსება სრული ერთი წელი. ცხადია, მკითხველთათვის მეტად მოულოდნელი იყო ჟურნალის დახურვა, მაგრამ მისი შესვეურებისათვის და დღევანდელი მკვლევარისათვის გასაგები იყო და არის, თუ რატომ მოუსწრაფეს სიცოცხლე იმ ჟურნალს, რომელმაც, მიუხედავად ერთი წლის არსებობისა, გარკვეული გარდატეხა მოახდინა ჩვენს მწერლობაში.

„საქართველოს მოამბის“ მიმართულებისა და მიზანდასახულების შესახებ, პირველყოვლისა, სრულ წარმოდგენას იძლევა ი. ქავკავაძის საპროგრამო წერილი — „საქართველოს მოამბეზედ“, რომლის მსგავსი სტატია მანამდე სხვა არ გამოქვეყნებულა. აღნიშნულ წერილში ი. ქავკავაძე მოკლედ და უფლასათვის გასაგებ ენაზე აყალიბებს ლიტერატურულ, სოციოლოგიურ და ფილოსოფიურ შეხედულებებს. კერძოდ, იგი ეხება ყოფიერებისა და ცნობიერების ურთიერთობას, საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების აუცილებლობის საკითხს, ხელოვნებისა და მეცნიერების ურთიერთობასა და მათ დამოკიდებულებას ობიექ-



ტურ სინამდვილესთან, ლიტერატურის დანიშნულებას და მის ადგილს საზოგადოების განვითარების პროცესში.

აღნიშნული სტატიით ი. ჭავჭავაძემ წინასწარ მოამზადა ჟურნალის მკითხველი, საიმედოდ შეაიარაღა ის იმ თეორიული საკითხების ცოდნით, რაც საქირო იყო ლიტერატურისა და ხელოვნების შესახებ სწორი შეხედულებების შესამუშავებლად. ამიტომ, ვისაც სურს სრული და სწორი წარმოდგენა იქონიოს ი. ჭავჭავაძის, როგორც მოაზროვნის, შესახებ, მან მის მხატვრულ ნაწარმოებებთან ერთად, პირველყოვლისა, აღნიშნული წერილის მთელი შინაარსი უნდა შეიცნოს. მასში დაჯამებულია ი. ჭავჭავაძის ის შეხედულებები და იდეები, რომლებიც საფუძვლად უდევს მის მხატვრულ მენოქმედებას. მაგრამ იგი არ წარმოადგენს მათ უბრალო დაჯამებას; ფილოსოფიური შინაარსის საინტერესო დებულებები მასში მოცემულია ლოგიკური მთლიანობით.

თავის წერილს ი. ჭავჭავაძე იმის აღნიშვნით იწყებს, რომ ცხოვრება მუდმივ განვითარებასა და ცვლილებებს განიცდის: „ცხოვრება რაც გუშინ იყო, ის დღეს აღარ არის, რომ იგი იცვლება, მიდის წინ და მოაქვს განახლება ყოველის ფერისა“. იგი მიუთითებს იმაზეც, რომ ეს განვითარება და ცვლილებები ცხოვრებაში ცალკეულ ადამიანთა ნება-სურვილზე როდია დამოკიდებული, მას აქვს თავისი კანონები.

ცხოვრების მსვლელობა ი. ჭავჭავაძეს აგონებს მოზარდის ბედს. ცხოვრება „იზრდება, ჰყვავის, მოაქვს ნაყოფი და მერე კქნება“. მაგრამ, ილიას თქმით, ეს „დაქცობა“ ნიშნავს არა იმას, რომ „მოკვდეს და საუკუნოდ დაიშარხოს, არამედ... თავისაგან მოყვანილს ნაყოფისავე თესლზედ ამოიყვანოს სხვა ახალი... ცხოვრება“. რა თანაფარდობაა ძველსა და ახალ ცხოვრებას შორის? ილიას შეხედულებით, „მომდევარი წინადმსვლელზედ ყოველთვის უფრო სრულია, უკეთესი და მშვენიერი“. იგი ითვალისწინებს იმასაც, რომ ამ კანონზომიერი განვითარების გზაზე მოსალოდნელია ზოგჯერ თავი იჩინოს ისეთმა გარემოებამ, „რომელიც მას გზას დაუხლართავს და ზრდას შეაფერხებს, მაგრამ ეს დროებითი ნოვლენა იქნება; მას, რასაც ძირი ღონიერი აქვს, რაც უნდა ფეხი დააჭირო და სრესო, მაინც გაარღვევს დღესა თუ ხვალ დედამიწასა, ამოხეთქავს და გამოვა სინათლეზედ უფრო დამშვენებული და ძლიერი“.

იცვლება რა ცხოვრება, იცვლება „წესი, ჩვეულება, აზრი, გოდნობა, ენა, რომელიც მაგათი გამომეტყველია“. ამიტომაც, რომ ის, რაც ძველათ კაცს შეურყეველ ჭეშმარიტებად ეჩვენებოდა, დღეს

შეცდომად მიგვაჩნია და გვიკვირს, როგორ სწამდათ იგი ქეშმარიტებად. მაგრამ ეს მოხდა არა ჩვენი ნიქისა და სხვა ღირსების წყალობით, არამედ ცხოვრების განვითარების წყალობით. ჩვენ რომ ამ თავ-მოწონებულის გონიერებითაც ვყოფილიყავით, — ამბობს ილია, — და იმდროინდელის კაცის ვითარება და გარემოება გარს შემოგვრტყმოდა, არა მგონია, ავსცდენოდით საზოგადო ცდომილებას, რომელსაც დღეს... დავსცინითო“.

ერთი სიტყვით, ი. ქავჭავაძე მტკიცედა დგას იმ შეხედულებაზე, რომ ცნობიერებას ყოფიერება განსაზღვრავს.

ახალი ცხოვრების საწყისები ჯერ კიდევ ძველი ცხოვრების წიაღში იზადება და იზრდება, მაგრამ მისი მიმართულება და ხასიათი გასაგები ხდება შედარებით გვიან. მხოლოდ გენიოსს ძალუძს ამაღლდეს მის თანამედროვე ცხოვრებაზე მალა და თავისი შორსმკვრივტელი გონებით დაგვანახოს „საგანი ისე, როგორც არის და უნდა იყოს“. გენიოსს თვალს ვერ უბნელებს „დროების მტვერი“ და გაბედულად იხედება წინ; როგორც ბელადი, იგი წინ მიუძღვის ხალხს და უნათებს გზას თავისი ცოდნით.

ი. ქავჭავაძეს ღრმად სწამს, რომ გენიოსის გამოჩენა არც შემთხვევით ხდება და არც რაიმე სასწაულმოქმედებასთან არის დაკავშირებული. „ნურავინ ნუ იფიქრებს, — წერს იგი, — რომ ჩვენ ვამბობდეთ, ვითომც გენიოსი ციღამ იყოს ჩამოსული. ისიც ისეთივე ნაყოფია თავის ღრობისა, როგორც სხვანი, მხოლოდ ეგ ნაყოფი სრულია, დამწითებულია. ის თავის ძლიერი მხრებით ამოიტანს, ამოზიდავს ხოლმე მას, რაც თვითონ ცხოვრებაშია, ე. ი. ცხოვრების შიგ-მდებარეობასა; მასში არის მთელი აწმყო თავის ღრობისა და თესლიც მომავლისა. არც ერთი გენიოსი ჩვენ ახალს არას გვეტყვის, ის მხოლოდ გვიხსნის მას, რაც თვითონ ცხოვრებას ამოურიყავს თავის მდინარებაშიო“.

ამასთან, ი. ქავჭავაძე მალალ შეფასებას აძლევს მოწინავე იდეების, პროგრესული აზრის როლს საზოგადოების განვითარების საქმეში. თუ ცხოვრება ვითარდება, ახალი აზრიც წარმოიშვება, აზრი კი, თუ იგი ქეშმარიტია, — უკვდავია. „ყველაფრის სიკვდილი შეიძლება, — აზრისა კი თავის დღეში არა; მის აღმოშობის დრო შეიძლება შეაყენონ, მაგრამ სრულიად განადგურება კი ძნელადო“.

ცხადია, აზრი, შეხედულებები იცვლებიან, მაგრამ ისინი არ იკარგებიან იმ „მარად მყოფ სალაროთა წყალობით, რომელთაც მეცნიერება და ხელოვნება ეწოდებათო“.

ი. ჭავჭავაძე უდავოდ გადაქარბებულად აფასებს მეცნიერებისა და ხელოვნების როლს საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნისა და განვითარების საქმეში, მაგრამ მართალი არ არიან ისინი, რომელთა აზრით ილია ჭავჭავაძე მთელ იმედს თითქოს მხოლოდ პათზე ამყარებდეს.

ი. ჭავჭავაძის შეხედულებით, ცხოვრების სინამდვილე ორგვარია: ჯანსაღი და არაჯანსაღი, ე. ი. მისაღები და მიუღებელი. თუ ცხოვრება ჯანსაღია, მისი წინ წასვლა და გაახლება შეუძლია „ცოდნას, მეცნიერებას, რომელნიც თვით ცხოვრების ნაყოფნი არიან“. მაგრამ თუ ცხოვრება „არაჯანმრთელია“, მაშინ მის გასაჯანსაღებლად საკმარისი არაა მეცნიერება და ხელოვნება. მათ მხოლოდ ის შეუძლიათ, რომ მხარში ამოუდგნენ და ძალა შემატონ „ადამიანის გაუთავებელ ნდომას უკეთესობისას“.

„ადამიანის გაუთავებელი ნდომა უკეთესობისა“ ილიას მეტად უართოდ ესმის. სხვაგვარად შეუძლებელიც არის: ეს იმ მწერლის ნათქვამია, რომელიც „უკეთესობაში“, პირველყოვლისა, თავისუფლებას გულისხმობს და ისიც იცის, რომ „თავისუფლების მშოვნელი ამქვეყნად მხოლოდ თოფია“; რომელსაც არა ერთხელ მოუგონებია თანამემამულეთათვის, რომ „მოდრობა და მარტო მოძრობა არის... ქვეყნის ღონისა და სიცოცხლის მომცემიო...“ („მგზავრის წერილები“). ხოლო თუ როგორ ესმოდა მას „მოდრობა“ ეს შეიძლება დავასკვნათ მისი სიტყვებიდან: „სიტყვამ „რევოლუციამ“ არ შეგაშინოს, ჩემო მკითხველო. რევოლუცია იმისთვის არის გაჩენილი, რომ მშვიდობიანობა მოაქვს: ღვინო ჯერ ღნდა ადულდეს, აირიოს, დაირიოს და მერე დაიწმინდება ხოლმეო“.

ი. ჭავჭავაძის თქმით, როცა მეცნიერებასა და ხელოვნებას დაემატება „ადამიანის გაუთავებელი ნდომა უკეთესობისა“, შეიქმნება „ის ძალა, ის იღუმალი ხმა, რომელიც ყოველთვის ეძახის ადამიანს: წინ წადეგ! წინ წადეგ!..“ მრავალმეტყველად შენიშნავს იქვე ილია, რომ „ნეტავი იმ ხალხს, რომელსაც არ დაუჟარგავს ეგ იმედი განახლებისა და არ გაჰქრობია უკეთესობის ნდომაო“.

განიცდის რა მუდმივ განვითარებას, ცხოვრება ბადებს ახალ-ახალ ნაყოფს, „რომელსაც აქვს თავისი აზრი და მნიშვნელობა“; იგი „ძნელად თუ რასმეს ჰქმნის უაზროდ“. „ეს ნაყოფნი“ კი გამომატველნი არიან „ცხოვრების ვითარებისა“. მაგრამ ყველას როდი ძალუქს შეიცნოს და გაერკვეს „ცხოვრების ვითარების აზრსა და მნიშვნელობაში“. მართალია, ხშირად ხალხი გრძნობს მის მნიშვნელობას, მაგრამ მეტწილად ბუნდოვნად. უფრო სწორად,

„გრძნობს იმას და ვერა ჰსცნობს“ და ვერ განარჩევს სხვა მოვლენებისაგან.

მეცნიერება და ხელოვნება, რომლებიც „მუდამ ზედ დასტოილდებენ ცხოვრებასა“, მოწოდებულნი არიან ცნობიერებაში მოიყვანონ ცხოვრებაში მონხდარი „ყოველი ცვლილება“ და გარკვიონ „რისთვის არიან იგინი და რანი არიან“. მაგრამ მეცნიერება და ხელოვნებაც ვერ ახერხებენ ყოველთვის „ცხოვრების მოსავლის ცნობაში მოყვანას“. მართალია, ისინი ბევრ მათგანს ახსნიან და გაგვაგებინებენ, მაგრამ ბევრს კი „ვერ დასდებენ ღირებულ ფასს“, ვერ მიუჩნევენ შესაფერ ადგილს.

მეცნიერებისა და ხელოვნების მუშაკნი მხოლოდ „ზოგიერთ მასალას ამზადებენ ახალის შენობისათვის“. ისინი შეიცნობენ, რომ დრო იცვლება, ძველმა ცხოვრებამ თავისი ნაყოფი გამოიღო და ახლა „ამ ნაყოფიდან უნდა გამოიკრიფოს ახალი თესლი ახალი ცხოვრების გამოსაკვანძავად“, მაგრამ ყველა მათგანს როდი შესწევს ძალა „გაამაგროს პირველი ქვა ახლის საძირკველშია“. ამ მისიას ცხოვრება მხოლოდ გენიოსს ანდობს და როცა საფუძველი მომზადებულია მისთვის, გენიოსის გამოჩენაც აღარ იგვიანებს ხოლმე. გენიოსს თვით ცხოვრება ბადებს და აწოგებს თავის მადლიან ძუძუს. გენიოსი იმიტომაა გენიოსი, რომ შეუძლია პასუხი გასცეს ცხოვრების მიერ დასმულ ყველა კითხვაზე, შეიცნოს ჭეშმარიტი მნიშვნელობა ყოველი ფაქტისა. ერთი სიტყვით, ახსნის, ცნობაში მოიყვანს მას, რაც ჩვენს „შორისვე იყო და არ გვესმოდა“.

მეცნიერება და ხელოვნება, „თავის უკეთეს წარმომადგენელთა“ წყალობით, „გენიოსის ახალს აზრზედა, ახსნაზედა, დაამყარებენ ხოლმე შემდგომსა გამოკვლევასა და ცნობიერების წინ წაწევისა“.

მეცნიერებისა და ხელოვნების წარმომადგენლების საშუალებით, — ამბობს ი. ჭავჭავაძე, — „ცხოვრებისაგან დაბადებულნი ფაქტები, გენიოსის ჭკვისაგან ახსნილნი და ცნობაში მოყვანილნი, მეცნიერებისაგან მიღებულნი, როგორც კანონნი და ხელმძღვანელი მომავლისათვის, გადადიან დანარჩენ ხალხშიაცა“.

ი. ჭავჭავაძის თქმით, „ცხოვრება ძირია, ხელოვნება და მეცნიერება მასზედ ამოსული შტოები არიან. როგორც მიწიდან ამოხეთქილი შტოები ისხამენ ნაყოფსა და როცა სათესლედ მოჰსწევენ, ისევ მიწას გადმოჰსცემენ, რომ ახალი ძირი გაიკეთონ და ამ ძირმა სხვა ახალი შტოები ამოხეთქოს, აგრეთვე ცხოვრებაზედ ამოსულნი შტოები — მეცნიერება და ხელოვნება — ისხმენ ზედ ცხოვრების ნაყოფსა და როცა მოჰსწევენ სათესლოდ, ისევ ცხოვ-

რებასვე გადმოჰსცემენ ახალის ცხოვრების გამოსაკვანძავად. ამისთანა დამოკიდებულება აქვს ცნობიერებას ცხოვრებაზედ და ცხოვრებასა თავის რიგზედ ცნობიერებაზედ“.

ამგვარად, ი. ჭავჭავაძეს სწორად ესმის ყოფიერებისა და ცნობიერების ურთიერთობა. კერძოდ, გათვალისწინებული აქვს ხელოვნების — როგორც ზედნაშენის—ფუნქცია, მისი დამოკიდებულება სინამდვილესთან. ხელოვნება — როგორც ზედნაშენი — განსაზღვრულია ყოფიერებით, მაგრამ ხელოვნება თავის მხრივ მოქმედებს ყოფიერებაზე, იგი არ არის ცნობიერების პასიური ფორმა.

მეცნიერება და ხელოვნება, ი. ჭავჭავაძის შეხედულებით, ემსახურებიან ერთსა და იმავე საქმეს — „აზრის მოძრაობას“, გამოთქმითაც ერთსა და იმავეს განოთქვამენ — „ხალხის აზრსა“. ისინი ერთმანეთისაგან მხოლოდ იმით განიჩრჩევიან, რომ „სხვადასხვა გზით და სხვადასხვა ნაირად მოქმედობენ და გამოჰს-ოქვამენ“.

ი. ჭავჭავაძის თქმით, ცხოვრების განვითარებასა და ხალხის მდგომარეობაში ცვლილებები შეაქვთ მხოლოდ იმ იდეებს, იმ აზრებს, რომლებიც უკვე მიღებული და გაზიარებულია ხალხის მიერ. ხოლო ხალხი მიიღებს მხოლოდ მას, „რაც ცნობაშია მოყვანილი და დამტკიცებული“. „ცნობაში მოყვანა და დამტკიცება“ კი მეცნიერებისა და ხელოვნების წყალობით ხდება. მაგრამ მეცნიერებისა და ხელოვნების განკარგულებაში მყოფი საუნჯე ბევრისათვის მიუწვდომელია. მიუწვდომელია არა იმის გამო, რომ „უღირსნი და უღონონი არიან, არამედ ათასი სხვადასხვა ნაირ მიზეზებისა გამო“. ამ მიზეზთა შორის ი. ჭავჭავაძე მიუთითებს იმაზე, რომ ხალხის დიდი ნაწილი მოკლებულია სერიოზული განათლების მიღების შესაძლებლობას. მაგრამ მაინც გამოინახა ისეთი საშუალება, რომელიც გახდა „შუამავლად მეცნიერებისა ერთის მხრით და ხალხისა და ცხოვრებისა მეორეს მხრით“. ამ ძნელ საქმეს, ილიას შეხედულებით, „ასრულებს ყველგან ლიტერატურა“.

მაგრამ ბოლოს შემჩნეულ იქნა ისიც, რომ „ლიტერატურა თუმცა დღე და დღე მდიდრდება, ივსება... ახალის იდეებითა და აზრებითა, მაგრამ ცხოვრებაში ისე ადვილად არ გადადიან იგინი, როგორც საჭიროა“. ამის მთავარი მიზეზი კი, ი. ჭავჭავაძის აზრით, ის იყო, რომ „ლიტერატურის ენა დაშორდა ხალხის ენას“. რის გამო ხალხს აღარ შეეძლო გაეგო ის, რასაც კითხულობდა. და რასაც „ხალხი ვერ გაიგებდა, მას ცხოვრებაშიც არ შეიტანდა“. ამიტომ, საჭირო გახდა შექმნილიყო „პოპულარული ლი-

ტერატურა“, რომლის მიზანია „გააადვილოს მეცნიერების და ხელოვნების ნაყოფის მოკრეფა ყველასათვის“. ამგვარ ლიტერატურას—ამბობს ი. ჭავჭავაძე, — ეკუთვნის ჟურნალიცა, ნამეტნავად ის ჟურნალი, რომელსაც ეძახიან: „საზოგადო ჟურნალი“ (Общественный журнал). აი, რა რიგ სამსახურისათვის ვნიშნავთ ჩვენს „საქართველოს მოამბესაცაო“.

როგორც ვხედავთ, ი. ჭავჭავაძემ ყველასათვის გასაგებ ენაზე ჩამოაყალიბა თავისი შეხედულებები ყოფიერებისა და ცნობიერების, ხელოვნებისა და სინამდვილის, მეცნიერებისა და ხელოვნების ურთიერთობათა შესახებ. ამასთან, ხაზი გაუსვა ლიტერატურის მაღალ საზოგადოებრივ დანიშნულებას და ჟურნალის როლს ხალხის გათვითცნობიერების საქმეში. აქედან გამომდინარე, იგი ლოგიკურად მიდის „საქართველოს მოამბის“ ამოცანების გარკვევამდე.

ი. ჭავჭავაძის შეხედულებით, ჟურნალ-გაზეთების რიცხვი ამა თუ იმ ქვეყანაში ერთგვარი გამოხატულებაა მეცნიერებისა და ხელოვნების მონაპოვრით ხალხის დაინტერესების დონისა. ჟურნალთა რიცხვი ვერ გამრავლდება იქ, სადაც არაა აზრთა სხვადასხვაობა და ინტერესთა მრავალფეროვნება, სადაც თვით ცხოვრებას არ მოუძახდებია ნიადაგი მისთვის. „ყოველი საქიროება, — შენიშნავს ილია, — ცხოვრებისაგან წარმოდგება. თუ ცხოვრებას არ უნდა, ვერაფერს ვერ მიამყნობთ ისე, რომ ამ ნამყნობმა იხიროს და ნაყოფი მოიტანოს“.

ამიტომ, ამბობს ი. ჭავჭავაძე, ჟურნალების სიმრავლე არათუ უნდა ეწყინოს, არამედ სასიხარულო მოვლენად უნდა მიიჩნიოს ყველამ, „ვისაც უანგაროდ უყვარს თავისი ხალხი და იმისი ბედნიერება“. „ცისკრის“ პოზიციას „საქართველოს მოამბის“ გამოსვლასთან დაკავშირებით ი. ჭავჭავაძე ხსნის რედაქციის წინდაუხედველობითა და უსაფუძვლო გაბოროტებით.

„საქართველოს მოამბის“ დანიშნულების გარკვევისას ი. ჭავჭავაძე შენიშნავს: „ჩვენი საქმე საქართველოს ხალხის ცხოვრებაა; მისი გამჯობინება ჩვენი პირველი და უკანასკნელი სურვილია“.

ი. ჭავჭავაძის თქმით, ჟურნალს არ შეუძლია შეცვალოს ცხოვრების ვითარება და თავის სურვილისამებრ გარდაქმნას ის, მაგრამ სასარგებლო და ნამდვილი ჟურნალი ის იქნება, რომელიც სწორად შეიცნობს ცხოვრების მიმართულებას, მის აწმყოსა და მომავალს. „ჩვენ ისე არ გავზრიყვდებით, — ამბობს ის, — რომ ჩვენ საკუთარ წესზედ მოვიინდომოთ ცხოვრე-

ბის გატარება. თითონ ცხოვრება აღმოშობავს ხოლმე თავისთვის წესს, განსაზღვრავს ხოლმე თავის რჯულსა და კანონსა, — მხოლოდ ამ კანონსა გაგება უნდა, გამოფენა საქვეყნოდ და შეძლებიანამებრ გზის გახსნა, რომ მისი წარმოება არაფერმა შეაყენოსო“.

ცხადია, ი. ჭავჭავაძე იმას არ ვარაუდობს, რომ ეურნალი უნდა მიჩანალებდეს ცხოვრების მოვლენებს, მაგრამ მას ესმის ძალა და ფასი ცხოვრების ობიექტური კანონებისა, რომელთა შეცვლა შეუძლებელია. იგი ეურნალისაგან მოითხოვს ხმამაღლა ამოიძახოს „ცხოვრების ყრუდ ჩაძახილი“. „ამით იმის თქმა არ გვინდა, — შენიშნავს ილია, — რომ ეურნალი უნდა იყოს უთუოდ დღევანდელი ცხოვრების წრეში მოჯადოებულსავით გაჩერებული, — არა, ყოველი გონიერი ეურნალის თვალი ხშირად არის მიმართული მომავლისაკენა“. აწმყო ცხოვრება არა მარტო მითაა საინტერესო, რომ მისგან არის განპირობებული ჩვენი ყოველდღიური ცხოვრება, არამედ უფრო მეტად იმიტომ, რომ მასში არის თესლი მომავლისა. „თუ ჩვენი ეურნალი დაჰყურებს დღევანდელ ცხოვრების მოქმედებას, — ამბობს ილია, — უფრო მაგ თესლისათვის დაჰყურებს, რომ ეგ გამოჰკრიფოს ხვალისათვისა. რაც შორსა სცემს ეურნალის თვალი, მით უფრო კარგია“.

ეურნალის მოვალეობის ამგვარ შეფასებას, ბუნებრივია, დიდი მნიშვნელობა აქვს ი. ჭავჭავაძის ესთეტიკური შეხედულებების გასაგებადაც. ი. ჭავჭავაძე — ქეშმარიტი წარმომადგენელი კრიტიკული რეალიზმისა — დაინტერესებულია არა მარტო აწმყო ცხოვრების გარკვევითა და ჩვენებით, არამედ მომავალი ცხოვრების ხასიათითაც.

ეურნალმა, ილიას თქმით, წინ უნდა წაიმძღვაროს „მეცნიერების სინათლე და ხელოვნების კალამი“. თუ იგი ჩამორჩა მეცნიერებისა და ხელოვნების მიღწევებს, მაშინ ის ველარ იქნება თავისი დანიშნულების სიმაღლეზე. „მეცნიერებას და ხელოვნებას ჩვენ ვუყურებთ, როგორც ცხოვრების გასაუმჯობესებელ ღონისძიებათო“, — დასძენს იგი.

ი. ჭავჭავაძე კონკრეტულად აყალიბებს იმ მოთხოვნებს, რომლებსაც იგი მეცნიერებასა და ხელოვნებას უყენებს. „მეცნიერებამ, — წერს ის, — უნდა გვიშველოს თავის გამოცნობილ ქეშმარიტებებით ცხოვრების ახსნა და გაგება“. „ხელოვნებასაც იმას მოვთხოვთ, — განაგრძობს ილია, — რომ სარკესავით ცხოვრება გარდ-

მოცეს, რათა ჩვენი თავი მის მომხიბლავის კალმით ცხოვლად იყოს წარმომდგარი ჩვენ წინა, რათა სიცუდეც და სიკეთეც ჩვენი დავინახოთ... დროა ხელოვნებამ თავი დაანებოს უგემურ ღმეკასა და თვალების სრესასა, ეგება ცრემლი მამივიდესო; დროა ჩავიდეს ცხოვრების მდინარის ძირშია, იქ მონახოს შიგ მდებარე აზრი თავის ცხოველ სურათებისათვის. იქ, ცხოვრების ძირში, ის იპოვის ბევრ მარგალიტსა და უფრო ბევრს ლექსა და ლაფსა; არც ერთის გამოხატვა არ უნდა აშინებდეს ხელოვნებასა და არც მეორისა, არც ერთის გამოთქმა, და არც მეორისა არ უნდა აშინებდეს ჟურნალსა“.

ამგვარად, ი. ქავჭავაძე აქ იძლევა რეალისტური ხელოვნებისა და რეალისტი მხატვრის დანიშნულების გაგებას; მიუთითებს მის უპირატესობაზე და უარყოფს ხელოვნების რომანტიკულ გაგებას.

თავისი ჟურნალის პირველსავე ნომერში ი. ქავჭავაძე მკითხველს აფრთხილებს, რომ დაუნდობლად ამხელს „ცხოვრების ქუჩის“. „ქართველის უსიყვარულობაში ნუ ჩაზოგვართმევენ, — შენიშნავს ის. — როცა ჩვენი ჟურნალი მკაფიოდ, საქვეყნოდ გამოქსთქვამს მას, რაც ქართველში ცუდია და საზიზღარი. საქართველოში თუ სადმე ორსა და სამს უყვარს ქართველი, ჩვენ იმათში უკანახუნელი არა ვართ. ეს კი უნდა ვთქვათ, რომ ჩვენ ქართველში გვიყვარს მხოლოდ მისი სიკეთე, სიცუდე კი ყველგან საზიზღარიაო“. მისი თქმით, ბევრნი არიან ისეთები, რომლებიც ცდილობენ „ჩვენის ცხოვრების სიბოროტის დამალვას“. „ისინი, — უმეცარნი მოყვარენი ჩვენნი, ზედ დაასმენ ხოლმე შეჩვენების... ბეჭედსა მას, ვინც კი ველარ მოითმენს ცხოვრების საძაგელ გუბეში დგომასა, ამოჰყოფს თავს, რომ სხვას მაინც უთხრას, ამ გუბეში არ ჩაიგდო თავიო“. ამ სიტყვებში ჩვენ ადვილად შევიცნობთ „კაცია ადამიანის“ ავტორს, რომელიც, სიტყვითა და საქმით, კაობად ქცეული ბატონყმური ცხოვრების წინააღმდეგ იბრძოდა. მაგრამ, მისი თქმით, არიან ისეთი ადამიანებიც, რომლებსაც სწამთ, რომ „რაც უფრო მკაფიოდ და დაუნდობლად არის გამოთქმული ბოროტება და ნაკლულოვანება ცხოვრებისა, ზოგჯერ მით უფრო ჰსჩანს გამოთქმელის... ცხარე წადილი გასწორებისა“.

ი. ქავჭავაძე „საქართველოს მოამბეს“ მიზნად უსახავს შეიტყოს და გაარკვიოს ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების მჯისცემა, უვარგისი და დრომოკმული გაკიცხოს, ახალსა და სასარგებლოს — გზა გაუხსნას, დაეხმაროს მას, რათა მტკიცედ გაიდგას ფესვები და განვითარდეს. ჟურნალს არ უნდა ავიწყდებოდეს, რომ მეცნიერება და ხელოვნება „იზადებიან ცხოვრებისაგან



და არსებობენ ცხოვრებისათვის“; რომ ისინი წინ მიდიან ცხოვრების განვითარების დონის შესატყვისად, მაგრამ, თავის მხრივაც, „წინ მიჰყავთ ცხოვრება“.

როგორც ვხედავთ, ი. ჯავჭავაძის სტატია — „საქართველოს მოამბეზედ“ იყო უაღრესად საყურადღებო მოვლენა ჩვენი საზოგადოებრივი აზრის განვითარების ისტორიაში. იგი იყო არა მარტო მისი ეურნალის, არამედ ქართული კრიტიკული რეალიზმის საბრძოლო პროგრამა საერთოდ. ამდენად იგი იყო კრიზისის გზაზე მდგარი რომანტიზმის ესთეტიკური პრინციპებისა და ყოველი ჯურის არქაისტთა და კონსერვატორთა უბადრუკი „თეორიების“ პრინციპული და მეცნიერულად დასაბუთებული უარყოფა. ამის შემდეგ „ცისკრის“ პოლემისტებს აღარ შეეძლოთ ძველი მეთოდებით ეწარმოებიათ ბრძოლა ი. ჯავჭავაძის წინააღმდეგ, მათ უკვე იგრძნეს ნამდვილი ძალა და მომზადება „ბელინსკის ტომებით შეიარაღებული სტუდენტისა“.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ კრიტიკულ-პუბლიცისტურ წერილებში ი. ჯავჭავაძე მაშინ გადმოსცემდა ხოლმე თავის ესთეტიკურ შეხედულებებს, როცა მხატვრულ შემოქმედებით პრაქტიკაში უკვე განხორციელებული ჰქონდა მისი პრინციპები. 1863 წლის დამდეგისათვის, როცა „საქართველოს მოამბე“ გამოვიდა და სტატია — „საქართველოს მოამბეზედ“ გამოქვეყნდა, ი. ჯავჭავაძე ავტორი იყო „აჩრდილისა“, „დღეა და შვილისა“, „კაკო ყაჩაღისა“, „გლახის ნამბობისა“, „კაცია ადამიანისა“ და ბევრი ლირიკული ლექსისა.

ამგვარად, ი. ჯავჭავაძის ბრძოლა კონსერვატორთა და ლიბერალთა წინააღმდეგ მხოლოდ პოლემიკური წერილებით არ ამოიწურებოდა. ამ მიმართულებით უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მის მხატვრულ შემოქმედებას. ის მატებდა ძალასა და დამაჯერებლობას მის სტატიებს; გარკვეულ მიმართულებას აძლევდა მკითხველის აზრსა და გემოვნებას.

„საქართველოს მოამბეში“ ი. ჯავჭავაძემ გამოაქვეყნა ბევრი თავისი საუკეთესო ნაწარმოები. ამ ნაწარმოებებით მან მტკიცე საფუძველი ჩაუყარა ახალ ქართულ ლიტერატურას და უზრუნველყო კრიტიკული რეალიზმის გაბატონება ჩვენს მწერლობაში.

შემთხვევითი როდია, რომ „საქართველოს მოამბის“ პირველ ნომერში საპროგრამო სტატიის („საქართველოს მოამბეზედ“) გვერდით ი. ჯავჭავაძემ გამოაქვეყნა ლექსი „ჩემო კალამო...“, რომლის ერთი ნაწყვეტი თვით სტატიაშიც გამოიყენა.

„ჩემო კალამო“ თავდადებული და უნაგარო პატრიოტი მოღვაწის პოეტური აღსარებაა. მის სტრიქონებში შეიგრძნობა ავტორის მებრძოლი სული და სამშობლოს სიყვარულით ათრთოლებული გულის ძვერა. პოეტი თავის კალამს მიზნად უსახავს არა ტაშის დამსახურებას, არამედ „ბოროტთ საკლავად“ — „წმინდა სიტყვის უშიშარად მოფენას ხალხში“, სამშობლოს ერთგულ სამსახურს:

„ავგიჟოლია სიყრმიდანვე ჩვენ ქართლის ბედმა  
და დაე გვძრაზონ, — ჩვენ მის ძებნით დავლიეთ დღენი“.

თავის ლექსში პოეტი იმეორებს იმავე შეხედულებას, რაც მან სტატიაში („საქართველოს მოამბეზედ“) გამოთქვა ცხოვრების უარყოფითი მხარეების კრიტიკის აუცილებლობასთან დაკავშირებით. მას სწამს, რომ ცხოვრების პირუთვნელ მსაჯულს ბევრი თუ მტრულად განეწყობა, ბევრიც — სამართლიან შეფასებას მისცემს მის ამბავს:

„ჩემზედ ამბობენ: „ის სიავეს ქართველისას ამბობს,  
ჩვენს ცუდს არ მალავს, ეგ ხომ ცხადი სიძულელია“.  
ბრიყვნი ამბობენ, კარგი გული კი მაშინვე სცნობს —  
ამ სიძულელიში რათღენიც სიყვარულია“.

„საქართველოს მოამბეში“ ი. ქავჭავაძემ გამოაქვეყნა ლექსები: „მუშა“, „მას აქეთ, რაკი შენდამი ვცან მე სიყვარული“, „იანი-ჩარი“, „ციური ხმები“, „პოეტი“, „გუთნის-დღეა“, „ნიკოლოზ ბარათაშვილზედ“, „ლოცვა“ და სხვ. აქვე გამოაქვეყნა ნაწყვეტები „აჩრდილიდან“ და „კაკო ყაჩაღიდან“; „გლახის ნაამბობის“ პირველი ნაწილი და „კაცია ადამიანი!“

„საქართველოს მოამბეში“ იბეჭდებოდა ა. ქავჭავაძის, გრ. ორბელიანისა და გ. ერისთავის ნაწარმოებნი; გ. წერეთლის, კ. ლორთქიფანიძის, მ. ყიფიანის და სხვათა კრიტიკული სტატიები; ს. ბარათაშვილის ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან; გრიბოედოვის, ბელინსკის, დობროლიუბოვის, ლერმონტოვის, ჰიუგოს, პრუდონის, ბასტიას და სხვათა ნაწერების თარგმანები; წერილები გრამატიკის საკითხებზე და კოლონიალურ ხალხთა ცხოვრების შესახებ.

ი. ქავჭავაძისა და საერთოდ „საქართველოს მოამბის“ წინააღმდეგ ბრძოლას „ცისკარი“ კვლავ აგრძელებდა, მაგრამ უკვე ახალი მეთოდით. „ცისკარმა“ საბრძოლო მოედანზე გამოიყვანა ანტონ ფურცელაძე, რომელიც თავისი შეხედულებებით „საქ. მოამბესთან“ უფრო ახლოს იდგა, ვიდრე „ცისკართან“, მაგრამ ი. ქავჭავაძესთან უკმაყოფილების გამო არათუ არ მოღვაწეობდა „საქ.“

მოამბეში“, არამედ ცდილობდა სახელი გაეტეხა მისთვის. ანტონ ფურცელაძის გავლენაში მოქცეული „ცისკარი“ „საქართველოს მოამბეს“ ამჯერად მემარცხენე პოზიციებიდან აკრიტიკებს. მაგრამ ამ კრიტიკას საფუძვლად ედგა ანტონ ფურცელაძის ესთეტიკური შეხედულებების პისარევისებური უკიდურესობა და ი. ქავჭავაძესთან პირადი უთანხმოება. ამას ადასტურებს მისი სტატია — „ქართული ლიტერატურა“, რომელიც „ცისკარს“ 1863 წლის მესამე ნომერში დაიბეჭდა და რომელშიც მიმოხილულია „საქართველოს მოამბის“ პირველი და მეორე ნომრები.

„ცისკარში“ დარჩა აკაკი წერეთელიც. ამის მიზეზი იყო მასა და ი. ქავჭავაძეს შორის ხანმოკლე უკმაყოფილების ჩამოვარდნა. მაგრამ აკ. წერეთელი თავისი კალმით მხარში ედგა ი. ქავჭავაძეს და, ანტ. ფურცელაძისაგან განსხვავებით, კარგად არჩევდა ნამდვილ მტერსა და მოყვარეს.

60-იან წლებში გაშლილ იდეურ-ლიტერატურულ ბრძოლაში აკ. წერეთლის მონაწილეობა არ ამოიწურება თერგდალეულის ფსევდონიმიტ გამოქვეყნებული სტატიით („ახირებული ფურცელი“). ამ პერიოდში ის „ცისკარში“ აქვეყნებს ლექსებს („სალამური“, „მუშური“, „პატარა მეგობარს“, „საბრალო გული“, „აპელაციის მცოდნე“, „ფუტურა“, „ფარისეველი“, „ქური“, „ვირი და ფილოსოფოსი“, „გლეხის აღსარება“, „მოგონება“, „სიმღერა მკის დროს“ და სხვ., რომლებშიც იგი უმღერის თავის სამშობლოს და სწუხს მშობლიური ხალხის ნაციონალური და სოციალური ჩაგვრის გამო; ამასთან, ამხელს ძველი თაობის ჩამორჩენილობასა და ახალგაზრდობის ერთი ნაწილის ანგარებით გატაცებას. პოლემიკურ სტატიებზე არანაკლები რეზონანსი ჰქონდა მის სატირებს, რომელთა გამო აკაკის ბევრი მუქარა მოუსმენია.

\* \* \*

ანტ. ფურცელაძისა და მოლაყბის (ი. კერესელიძის) გამოხდომებმა „საქართველოს მოამბის“ წინააღმდეგ, პეტერბურგში მყოფ გ. წერეთელს გადააწყვეტინა თავისი აზრი გამოეთქვა „ცისკარისა“ და „საქართველოს მოამბის“ ფურცლებზე გაშლილი პოლემიკის შესახებ. „საქართველოს მოამბის“ მეხუთე ნომერში გამოქვეყნდა მისი სტატია — „ცისკარს“ რა აკაკანებდა?“, რომლის მიზანი იყო ერთხელ კიდევ ეჩვენებინა მკითხველისათვის „ცისკარის“ ღირსებანაკლოვანებანი.

გ. წერეთლის სტატია გამოირჩევა ლიტერატურული მოვლენების საზოგადოებრივ ცხოვრებასთან მჭიდრო კავშირში განხილ-

ვით. მსგავსად ი. ჭავჭავაძისა, „ცისკრის“ მიმართულების შეფასების საბაზით, ის ეხება სოციალურ-პოლიტიკური მნიშვნელობის საკითხებს და აშუქებს მათ რევოლუციონურ-დემოკრატიული პოზიციებიდან.

გ. წერეთელი, პირველყოვლისა, მოითხოვს, რომ ლიტერატურა იყოს ჭეშმარიტად ხალხური და ასახავდეს აწმყო ცხოვრების აკარგიანობას უკეთესი მომავლის ინტერესთა შუქზე. ჟურნალი, მისი თქმით, უნდა გამოხატავდეს ხალხის აზრს და გამოთქვამდეს „ხალხის სიტყვას“, და თუ ჟურნალი არაფერს ამბობს მასზე, რაც „სტანჯავს ხალხის ცხოვრებას“ და „არ მუსარავს იმ ნაკლულევანებებს, რაც რომ წინ უდგება ცხოვრების კეთილმდგომარეობას და არ აჩვენებს საზოგადოებას... ჭეშმარიტებებს და კანონებს, რომლების ძალითაც ისპობა ეს ნაკლულევანებები, მაშინ ყოველიფერი უხაყოფოა“.

მოლაყბის (ი. კერესელიძის) საყურადღებოდ გ. წერეთელი შენიშნავს, რომ „ცისკარი“ იმიტომ კი არ არის ცუდი, რომ მასზე ხელს არ აწერენ, არამედ იმიტომ არ აწერენ, რომ ცუდია. „ცისკრის“ სიცუდე კი იმაში მდგომარეობს, რომ მოწყვეტილია თანამედროვე ცხოვრებას, ხალხის ინტერესებს, რეალური სინამდვილის ჭეშმარიტ შეცნობას და გატაცებულია ძველი ცხოვრების აჩრდილებით, ან გულუბრყვილო ფანტაზიის სამყაროში ნავარდითო. „აგერ ერთი საუკუნეა, — ამბობს გ. წერეთელი, — სპარსელების და ოსმალებისაგან განვთავისუფლდით; „ცისკრის“ რედაქტორს კი, როგორც პოეტს, თითქო ერთი საუკუნის განმავლობაში სულ უძინაო და როდესაც ძილისაგან თვალი გამოუჭყეტია, მოჩვენებია ვითომც ჩვენ ისევ იმათ ხელში ვართ“.

ცხოვრების სინამდვილისაგან დაცილებული ასეთი ნაწარმოებნი, გ. წერეთლის თქმით, მკითხველში ველარ აღძრავენ ინტერესს და ვერ დააკმაყოფილებენ მის სულიერ მოთხოვნებს. „ჩვენის ფიქრით, — შენიშნავს ის, — გრძნობა აღიძვრის, როდესაც კაცის გონებაზედ მოქმედებს გარემო მდგომარეობა, როდესაც კაცის გულში აღძრავს რომელიმე აზრს თავად ცხოვრება და გარეგანი ქვეყნის ზემოქმედებაო“.

გ. წერეთლის შეხედულებით, ხალხი არ შეიყვარებს იმ მწერლებს, რომლებიც თავიანთ შემოქმედებაში ამოდიან არა რეალური, მრავალფეროვანი ცხოვრებიდან, არამედ — „ცრუ გრძნობიდან“ და „დამსხვრეული ფანტაზიიდან“. ასეთ მწერლებს ხალხი მიუგებს ხოლმე: „ჰაერში ფრენა ჩვენ არას გვარგია... როგორც დედამიწის შვილები, ჩვენ მხოლოდ დედამიწაზედა ვართ წელმაგარიო“. ასე დაემართა, გ. წერეთლის აზრით, „ცისკრის“ მწერლებსაც.

„ცისკრის“ რედაქციას, გ. წერეთლის თქმით, მცდარი შეხედულება აქვს საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებაზე, მის მსვლელობაზე, რის გამო სწორად ვერ ითვალისწინებს ვერც ლიტერატურისა და მწერლის დანიშნულებას. „ყოველი მომენტი“, რომელსაც წარმატება შეაქვს ცხოვრებაში, შენიშნავს ის, არის ხანგრძლივი „ისტორიული ცხოვრების ნაყოფი“. ამასთან, „თითოეული პირის ცხოვრება იმ გვარად არის შექავშირებული მთელ საზოგადოების ცხოვრებასთან, რომ არც შეუძლიან მის ზეოქმედებისაგან თავი იხსნას, არც მისგან განცალკევდეს და არც მასზედ ამაღლდეს“, მაგრამ პიროვნების ღვაწლი ისტორიაში იმით უნდა შეფასდეს, თუ რამდენად სწორად შეიცნო მან თვით ცხოვრების მიერ მომზადებული მოვლენები და „რა მხრით წარუშართავს ის“, რომ მას „შესძლებოდა ცხოვრებისათვის მოეტანა იმდენი კეთილი, რამდენიც მისგან იყო შესაძლო“.

აფასებს რა ამ მიდგომით „ცისკრის“ დამსახურებას, გ. წერეთელი იმ აზრისაა, რომ მან ვერ გაამართლა თავის დანიშნულება, ობიექტური თვალთ ვერ დააკვირდა ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების ხასიათს და ვერ ჩასწვდა მის შინაგან ტკივილებს.

გ. წერეთლის თქმით, ისტორია გვეუბნება, რომ „განათლების გზა მუდამ ყოფილა ავი საკვლევი“ და ხანგრძლივი დრო და გონებრივი დაძაბულობა გამხდარა საჭირო, რათა ევროპას მიეღწია ცივილიზაციისათვის; და თუ ევროპაში ადამიანებმა უკვე მიაღწიეს „ბუნებისაგან შებმული მონების ბორკილის“ დამსხვრევას, „კიდევ მადლი... გონიერებას“.

ევროპის ცივილიზაციაზე მსჯელობისას გ. წერეთელი ცდილობს მკითხველი დააფიქროს საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების შესახებ. „მთელი კაცობრიობის ცხოვრება, — მისი თქმით, — ...თავის თავად არც ძველდება და არც წარმავალია; ძველდება მხოლოდ მისგან გამონაკვლევი ფორმა, მისგან შემუშავებული საზოგადო წყობილება, რომელიც იმ დროში ამ ცხოვრების მოთხოვნილებას... აკმაყოფილებდა“. ცხოვრების განვითარებისა და ადამიანთა გონებრივი ზრდის შესატყვისად, „რამდენიმე საუკუნის წინ დაარსებული საზოგადო წყობილება და მისგან მონაპოვარი საშუალებაც ვედარ აკმაყოფილებს ამ ცხოვრების მოთხოვნილებასა. აშკარაა, რომ საზოგადო ფორმამ განვლო თავის საუკუნე, დაძველდა და ამის გამო ან სულ უნდა მოისპოს და ან გადაკეთდეს. ახლად შემოსულ მოთხოვნილებსამებრ“.

როგორც ვხედავთ, გ. წერეთელი გარკვევით და დამაჯერებლობით მსჯელობს ძველი საზოგადოებრივი წყობილებისა და მისი ფორმების მოსპობისა და შეცვლის აუცილებლობის შესახებ; თანაც პირდაპირ მიუთითებს ამ მიმართულებით საქართველოს ჩამორჩენაზე და ქართული მწერლობის პასიურ როლზე ახლისათვის ბრძოლის საქმეში. გ. წერეთლის გულისტკივილი გასაგები იქნება, თუ გავითვალისწინებთ, რომ ყოველივე ამას ის წერს ჯერ კიდევ ბატონყმურ ეპოქაში. მაგრამ იგი პესიმისტურად არ უყურებს სამშობლო ქვეყნის მომავალს. მას სწამს, რომ ადამიანის ცნობიერება განუწყვეტლივ მდიდრდება და ფართოვდება, რის გამო „არც ხალხის ცხოვრება არ დარჩება მუდამ ერთ და იგივე მდგომარეობაში. აღიძვრის თუ არა ცხოვრებაში იმდენი ძალა, რომ საკმაო იქნება ახალ საშუალების მოსაპოვებლად და ძველი ფორმის გადასაგდებად, იმავე წამს ცხოვრების წინმსვლელობაც დაიძვრის და ატყდება გამწარებული ბრძოლა ძველ წყობილების და ახალ მოთხოვნილების შუა“.

გ. წერეთელი მკითხველს აგრძნობინებს, რომ საქართველოში გაბატონებული სოციალურ-პოლიტიკური მართვა-გამგეობის ფორმები შეცვლას საჭიროებენ, რომ ეს ფორმები ბევრად უფრო უვარჯისნი არიან, ვიდრე ევროპაში მოქმედი შესაფერი ფორმები. მაგრამ არც იმ შეხედულებას იზიარებს, რომ ბრმად და უცვლელად იქნას მიღებული სხვა ხალხთა ცხოვრების მაგალითი. მიზანძვა, — მისი თქმით, — გარეგნული ფორმის უკრიტიკო გადმოღებას ვერ სცილდება ხოლმე, რის გამო მას სარგებლობა ვერ მოაქვს მიზანძველისათვის. საჭიროა ღრმად და დაკვირვებით შევისწავლოთ სხვების მიღწევები, რათა სწორად შევუფარდოთ იგი საკუთარ მდგომარეობას; ის რაც თავის დროზე და სხვისთვის კარგი იყო, ჩვენთვის ამჟამად შესაძლებელია საზიანოც იყოსო.

თავის ამ შეხედულებას გ. წერეთელი ავრცელებს არა მარტო სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების განვითარებაზე, არამედ ეროვნული მნიშვნელობის ყოველ მოვლენაზე, მათ შორის ლიტერატურაზეც. მას მოჰყავს ფრანგული კლასიციისტური მწერლობის მაგალითი და ამტკიცებს, რომ ფრანგმა კლასიციტებმა ბრმად მიიღეს ანტიკური ლიტერატურის მიერ თავის დროზე შემუშავებული მხატვრული ფორმები, რომელნიც უკვე უვარჯისნი იყვნენ იმდროინდელი საფრანგეთის საზოგადოებრივი ცხოვრების ასასახავად. ამის გამო, მისი თქმით, კლასიციისტური ლიტერატურა დასცილდა ფრანგი ხალხის ცხოვრებას და არ აღმოაჩნდა უნარი შეემჩნია ის საწყისები, რომლებზეც უნდა დამკვიდრებუ-

ლიყო საფრანგეთის მომავალი საზოგადოებრივი წყობა. ანტიკური ლიტერატურისადმი მიზაძვით გატაცებული ფრანგული კლასიცი-სტური მწერლობის ყურადღება, გ. წერეთლის შეხედულებით, შე-ჩერდა „მხოლოდ ერთ ტურთა და მეტად ტკბილის ენით გამო-თქმაზედ და არა თვით მასში მყოფს აზრზედ. მისი პოეტები იწ-ყებდნენ იმნაირად ყეფას, როგორც სოფოკლი, ესხილი, არისტო-ფანი და სხვა გამოჩენილი საბერძნეთის მწერლები; აღწერ-დნენ იმგვარ გრძნობებს, როგორებსაც თავის სა-ზოგადოების ნაკლულეფანებები აღძრავდა არის-ტოფანისა და ევრიპიდის გულში. რა საკვირველია, რომ ამ გვარ გზაზედ დამდგარი ლიტერატურა და პო-ეზია სრულიად უნდა განშორებოდა ხალხის ცხოვ-რებას: შინაგანის ცხოვრების ელემენტით გაცხოველებული პოე-ტის სიტყვა უნდა შეცვლილიყო ერთს ყურის მგლეჯელს ცივს ხმაზედ. ლიტერატურამ დაჰკარგა ცხოვრებაში თა-ვისი მნიშვნელობა და, ხალხის ცხოვრებიდან გან-შორებულმა, მან ვერ შეძლო მისთვისვე ვამოეკვ-ლია გონიერი და საფუძვლიანი დასაწყისები, რომელზედაც მაგრად უნდა დაფუძნებულყო მომავა-ლი პოლიტიკური წყობილება“.

მსგავსად ი. ქავჭავაძისა, გ. წერეთელი უარყოფითი შეხედუ-ლებისაა კლასიციზმის შესახებ. იგი განსაკუთრებით შკაცრ ბრძო-ლას უცხადებს კლასიცისტური მწერლობის დრომოკმული პრინ-ციპების აღდგენისა და გაცოცხლების ცდებს. ამას კი უშუალო კავშირი ჰქონდა ჩვენი მწერლობის სწორი გზით წარმართვისა-თვის.

გ. წერეთლის აზრით, ლიტერატურას ნაცვლად სარგებლო-ბისა ზიანი მოაქვს საზოგადოებისათვის მაშინ, „როდესაც ის არ მსახურებს ხალხის ცხოვრებას“ და დროს ატარებს „ფუჭ დეკლა-მაციაში“. ამასთან, მიმბაძველობა განსაკუთრებით მავნებელია ლი-ტერატურაში, რადგან მიმბაძველი მწერალი, პირველყოფლისა, „ხელმძღვანელობს ერთ გარეგან ბრკიალა სახით და ვერ სცნობს მის მართალს მნიშვნელობას, მის შინაგან აზრს, ურომლისოდაც თვით ელვარე ფორმა ფუჭია და მავნებელი“.

სწორად ესმის რა შინაარსისა და ფორმის ურთიერთობის საკითხი, გ. წერეთელი იმ შეხედულებისაა, რომ მხატვრული შე-მოქმედების შინაარსს, ლიტერატურის განვითარების ამა თუ იმ ეტაპზე, უნდა განაპირობებდეს შესაფერი ხალხის ცხოვრება,

განსაკუთრებით მისი აწმყო და მომავალი. ამასთან, მას უნდა ჰქონდეს შინაარსის შესატყვისი ფორმაც. ფორმას მხოლოდ მაშინა აქვს თავისი მალალი მნიშვნელობა, როცა იგი შესატყვისი შინაარსის შემცველი და გამომსახველია.

სარგებლობს რა ფორმისა და შინაარსის ურთიერთობის საკითხებზე მსჯელობით, გ. წერეთელი შენიშნავს, რომ ჩვენს საზოგადოებაში, ხშირად, მხოლოდ გარეგნული ფორმა ფასდება და არა ნამდვილი ღირსებაო. „ვინც ეპოლეტებით არის შემკული, — წერს იგი, — ...ჩვენი საზოგადოების ფიქრით, მხოლოდ ის არის კაცური კაცი, ბრძენი და ფილოსოფოსი. ჩვენში კაცის ღვაწლი საზოგადოების წინ და მისი გონიერება იფასვის გარეგან ელვარობითო“.

თვითმყოფადი და რეალისტური ლიტერატურისათვის მებრძოლი გ. წერეთელი ყოვლად დაუშვებლად თვლის მიმბაძველობასა და ახალი ცხოვრების შეუფერებელ მხატვრული ფორმების შემოტანას მწერლობაში, „ცისკრის“ ერთ-ერთ სუსტ მხარედ ის თვლის მის წინდაუხედაობას სწორედ ამ მიმართულებით.

„ცისკარი“, მისი გაგებით, არათუ უკან მიჩანჩალებს ცხოვრებას, არამედ სულ ჩამოსცილებია მას და ყალბი ფანტაზიის ბურუსში ახვევს მკითხველის გონებას. „ჩვენი ბედკრული „ცისკარი“, — წერს გ. წერეთელი, — შვიდი წლის განმავლობაში სულ იმაზე გვატარებინებს დროებას, ან ღამე როგორია, ან დღე რა რიგის სინათლით მოიცავს არე-მარეს, თუ დილა კაცის გულში რა რიგს ტკბილს გრძნობებს აღძრავს, ან თუ საღამო რა რიგის სიმშვენიერით მორთავს ბუნებას და სხვა ამ გვარებით..., თუ რომ ლამიდა შეტოპავს ცხოვრების მორევში, იმავე წამს ისხამდა ფრთებს ჰაერში გასაფრენად და ჩაუვარდებოდა ენა. ნამდვილის ცხოვრების თვისების მაგივრად, ფანტაზიაში შედგენილ სურათებზედ გვატყუებდა; რა საკვირველია, რომ ყველას მალე უნდა მოსწყენოდა ღარიბის ფანტაზიის სურათებით შემკულ ქვეყანაზედ მულან ყურებაო“.

როგორც ვხედავთ, გ. წერეთელი ავითარებს იმავე შეხედულებებს, რაც ი. ჰავეჰაჰაძემ წამოაყენა თავის კრიტიკულ სტატიებში და განსაკუთრებით წერილში — „საქართველოს მოამბეზედ“. მსგავსად ი. ჰავეჰაჰაძისა, „ცისკრის“ მწერლებს ის უსაყვედურებს „ღრუბლებში ფრენას“ და ცხოვრების სინამდვილიდან მოწყვეტას. მისი თქმით, „ცისკარი“ მეტად ცუდ სამსახურს უწევს მკითხველს, როცა „წინ უდებს იმგვარ საქმელებს“, როგორიცაა ი. კერესელიძის, გ. რჩელიშვილის, გ. ბარათაშვილის და სხვათა



მიერ „საძაგლად გადაკეთებული და... უსირცხვოდ მითვისებული“ ნაწარმოებები. ამასთან, „ცისკრის“ მესვეურთა წყალობით მეტად მნიშვნელოვან მოვლენებს „ჩაუვლია... სრულიად უნაყოფოდ საზოგადოებისათვის“. ამის გამო იგი დაასკვნის, რომ „ცისკარი“ ასე გაშორებულია ცხოვრების მოთხოვნილებებზედ, როგორც ცა მიწაზედო“.

„ცისკრის“ რედაქციის საყურადღებოდ გ. წერეთელი შენიშნავს, რომ საკმარისი არაა გამოვცემთ ჟურნალი ევროპელთა მსგავსად, საჭიროა გათვალისწინებულ იქნას ისიც, რომ „ევროპაში, ზოგიერთი... მიზეზების მადლობით ადრე ჩავარდა კაცი თავის გონში და მოითხოვა სასტიკ ზოგად წყობილებებისაგან დაკარგული უფლებათა“.

ამგვარად, გ. წერეთელი „ცისკრის“ რედაქციას გასაგებებით მიუთითებს ჟურნალისა და მწერლობის უახლოეს ამოცანებზე. მას მიაჩნია, რომ მწერლობა ხალხს უნდა დაეხმაროს დაკარგული უფლებების მოპოვებისათვის ბრძოლაში. ხოლო თუ რამდენად აქტუალური და მნიშვნელოვანი იყო გ. წერეთლის მიერ საკითხის ამგვარი დაყენება, ამის გასათვალისწინებლად საკმარისია მოვიგონოთ, რომ ქართველი ხალხი მაშინ განიცდიდა არა მარტო ნაციონალურ-კოლონიალურ ჩაგვრას, არამედ თავისუფალი არ იყო არც ბატონყმური ულლისაგან.

გ. წერეთლის აზრით, „ცისკრის“ რედაქცია ერთმანეთისაგან ვერ არჩევს ჟურნალის დაცემისა და წარმატების მიზეზებს. მაგალითისათვის ის იღებს მოლაყბის (ი. კერესელიძის) სტატიას („ცისკარი“, 1862 წ., № 10) და ანალიზს უკეთებს მის შეხედულებებს. მოლაყბე „ცისკრის“ წარუმატებლობის მიზეზს ხედავს იმ კრიტიკაში, რომელიც იწერება ხოლმე ჟურნალში წარმოდგენილი მასალისა და შეხედულებების შესახებ. ამ ჯგუფის კრიტიკოსებს ის „ქვეით მქოლავთ“ უწოდებს. გ. წერეთელი, ცხადია, არ ეთანხმება მოლაყბეს დასმული კითხვის ასეთ გადაწყვეტაში და აზრთა სხვადასხვაობას, მისგან განსხვავებით, საზოგადოებისა და მწერლობის ღირსებად თვლის. „საზოგადოების ცხოვრებაში, — ამბობს ის, — ...მუდამ იპოვებიან სხვადასხვა ერთი ერთმანეთის წინააღმდეგი ელემენტები: მაშასადამე, მათში ყოველთვის უნდა სუფევდეს მუდამი ბრძოლა, რადგანაც განსვენება სიკვდილის წესია“.

ამგვარად, გ. წერეთელი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ საზოგადოებაში ყოველთვის არის აზრთა ბრძოლა და რომ ამ ბრძოლის გარეშე წარმოუდგენელია აზრის განვითარება. მაგრამ მან ისიც იცის, რომ ხალხი მიიღებს მხოლოდ იმ აზრს, რომელიც

უფრო დასაბუთებული და დამაჯერებელია. „საზოგადოებაში—  
ამბობს ის,—...შედის მუდამ... ის აზრი, რომელიც ყველაზედ  
ვრცლად, ცხოვლად და საფუძვლიანად დაიცვის, რომელიც ყვე-  
ლაზე უფრო ჭეშმარიტია“. ამიტომ, თუ რომ „ციცკარი“ სწორ გზას  
ადგას, მას არ უნდა აშინებდეს აზრთა სხვადასხვაობა და მოწი-  
ნააღმდეგეთა ყოლაო.

გ. წერეთელი არ იფარგლება „ციცკრის“ რედაქციის საყვე-  
დურების ულოლიკობის გამომელავენებით. ის კონკრეტულ მაგალი-  
თებზე დაყრდნობით აჩვენებს, თუ რაძენად არასწორ პოზიციასზე  
დგას „ციცკარი“ მწერლისა და მწერლობის დანიშნულების ვაგე-  
ბის საკითხში.

არჩევს რა მოლაყბის სტატიას, გ. წერეთელი ამბობს, რომ  
ავტორმა დასვა მეტად მნიშვნელოვანი კითხვა: „რა არის მწერა-  
ლი და თვით მწერლობა?“ მართალია, ეს კითხვა არცთუ ისე  
ახალი და ორიგინალურია, მაგრამ სამაგიეროდ მან გასცა ისეთი  
პასუხი, „რომლის მსგავსი არა წარმოთქმულა რა არც ლესინგის  
„ლაოკოონში“ და არც ჰეგელის „ესთეტიკაშიო“. გ. წერეთელი  
სასაცილოდ იღებს მოლაყბის შეხედულებას, რომ „მწერალი არის  
მამა ხალხისა“. მწერალი, გ. წერეთლის თქმით, პირველყოვლისა,  
„იმ ქვეყნის შვილია, სადაც... შრომობს“, იგი შვილია იმ საზო-  
გადოებისა, სადაც დაბადებულია და აღზრდილა. მაშასადამე, მწე-  
რალი შვილია თავისი საზოგადოებისა, მაგრამ თუ ღრმად ჩავ-  
წვდებით კითხვას, არც ეს განმარტება აღმოჩნდება სრული და  
დამაკმაყოფილებელიო—ამბობს ის.

„მწერალი, — ამბობს გ. წერეთელი, — არის ერთი თავის სა-  
ზოგადოების წევრთავანი, ერთი იმ პირთავანი, რომლების კრებაც  
შეადგენს საზოგადოებას. ის არის საზოგადოების ტანჯვის და  
შვების თანამგრძნობელი“. ამიტომ მისი მოვალეობაა „აჩვენოს სა-  
ზოგადოებას თავისი აზრი ამ ნაკლულევაწებების შესახებ, უჩვენ-  
ოს იმ გვარი საშუალებები, რომლებიც მისი ფიქრით საუკეთესო  
არიან ამ ნაკლულევაწებების მოსასპობლადო“.

როგორც ვხედავთ, გ. წერეთელი სამართლიანად აკრიტიკებს  
მოლაყბის (ი. კერესელიძის) შეხედულებას მწერლის შესახებ („მწე-  
რალი არის მამა ხალხისა“) და იძლევა სრულიად სწორ ვაგებას.  
მას ამ საკითხზე ვათვალისწინებული აქვს ლესინგისა და ჰეგელის-  
აზრებიც, მაგრამ თავის მსჯელობაში, პირველყოვლისა, ბელინსკის  
მოძღვრებით ხელმძღვანელობს. მას კარგად ესმის მნიშვნელობა.

პელინსკის სიტყვებისა: „Поэт прежде всего человек, потом гражданин своей земли, сын своего времени“<sup>1</sup>; „Чем выше поэт, тем больше принадлежит он обществу, среди которого родился“<sup>2</sup>...

გ. წერეთელს მეტად უცნაურად, მაგრამ „ცისკარის“ „თეორეტიკოსთათვის“ ნიშანდობლივად მიაჩნია მოლაყების (ი. კერესელიძის) სიტყვები: „რაც რომ ბევრ ფულს მივსცემ მწერალს, იმდენად უფრო კარგად დასწეროს“. „მართალია, ფული მრავალ თავისუფლებას მისცემდა მწერალს“. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ „მწერალს ფული ჰქმნიდეს“; ეს რომ ასე იყოს, „რატომ როტშილდი არ შექსპირობსო“ — მიმართავს მოლაყებს გ. წერეთელი.

ცხადია, ისტორია ბევრს ვერაფერს მოსთხოვს იმ რედაქტორს, რომელსაც პოეტური ნიჭი და ფულით მიღებული კმაყოფილება ერთმანეთისაგან ვერ გაუარჩევია. ამას გრძნობდა „ცისკარის“ პირუთენელი კრიტიკოსი — გ. წერეთელიც, რომელსაც „ცისკარის“ გამოსწორებაზე ხელი ჰქონდა ჩაქნეული, მაგრამ მაინც საჭიროდ ჩათვალა საზოგადოებისათვის ეჩვენებინა მისი ნამდვილი სახე და „მიმართულება“. ეს მით უფრო საჭირო იყო, რომ „ცისკარი“ სიტყვით ხშირად „იცივლიდა“ ხოლმე თავის „მიმართულებას“, რასაც შეეძლო მკითხველი შეცდომაში შეეყვანა.

როგორც ვიცით, 1862 წლის ბოლოდან „ცისკარს“ „მიმართულებას“ აძლევდა ანტ. ფურცელაძე, რის გამოც მის ფურცლებზე გამოჩნდა ახალი იდეებით შთაგონებული წერილებიც, მაგრამ ეურნალს ძველი გზა მაინც არ უარუყვია. ამიტომაც, რომ გ. წერეთელი შენიშნავს: „ცისკარს“ თუ თავის სიკვდილი არ უნდა, უსათუოდ უნდა დასტოვოს ის გზა, რომელზედაც აქამდინ მიდიოდა... სიტყვით დატევება ცოტა არის, საქმით კი ჯერ ვერა ვხედავთ. გარიბალდის ცხოვრებით და სხვა ამ გვარებით თავს ვერ შეგვიხვევს იმიტომ, რომ მის გვერდში ვხედავთ იმ გვარ თხზულებებს, როგორც „მამისაგან შვილის დარიგება“ (გ. ე. ერისთავისა — დ. გ.), ქერელი ბექას (ანტ. ფურცელაძის ფსევდონიმი — დ. გ.) ბაქიობა და სხვა. ამგვარად „ცისკარის“ გზის გამოცვლა კიდევაც უფრო მავნებელია, რადგანაც ამ გვარებით შეიძლება მკითხველის თვალისაგან დაიფაროს შინაგანი ეშმაკობა“.

<sup>1</sup> В. Г. Белинский. Полное собр. сочинений в трех томах, т. III, стр. 792.

<sup>2</sup> В. Г. Белинский. Полное собр. сочинений, изд. АН СССР; т. IV, стр. 502.

გ. წერეთელი არ უარყოფს, რომ „ცისკარში“ გამოქვეყნდა ბევრი საინტერესო ორიგინალური თხზულება. მათ შორის იგი, პირველყოვლისა, ასახელებს 50-იანი წლების ქართველ რეალისტთა თხზულებებს: დ. ქონქაძის—„სურამის ციხეს“, ლ. არდაზიანის „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილს“, „პლასტიკური გრძნობით მდიდარ“ რ. ერისთავის ლექსებს, „ხალხურის ელემენტით საესე“ გრ. ორბელიანის ლექსებს. აკ. წერეთლისა და ი. ჭავჭავაძის ნაწარმოებთ. იგი მიესალმება ისეთი თხზულებების თარგმნასაც, როგორცაა შექსპირის — „რომეო და ჯულიეტა“. თუმცა „ცისკარს“ ამ მიმართულებითაც შენიშნავს, რომ მას მკითხველი არ მოუშნადებია შექსპირის ნაწარმოებთა შესაფერი გაგებისათვის. „ევროპული საკმელები რომ მომიტანო, — ამბობს ის, — მათი ქამაც ხომ უნდა მასწავლო როგორ უნდა. შექსპირის დრამების გასაგებად საზოგადოებას იმდენად უნდა ჰქონდეს ესთეტიკური გრძნობა გახსნილი, რომ შეეძლოს მის დრამებში თითქოს ღვთიურის ხელით აღმოხატულის ცხოვრების ჰერეტიკა, კაცის გულის ისე ღრმად და ვრცლად გაგება, როგორც ის არის ნაჩვენები მის დრამებში და კომედიებში. აბა, ერთი მითხარით, რამდენ სტატიებში აღუწყა საზოგადოებას „ცისკარმა“ ან პოეზიის მნიშვნელობა, ან მისი ისტორიული არსება და ცვლილება... ან თუ რა არის პლასტიკური გრძნობა, უროპლისოდაც პოეტისგან არ შეიძლება რეალური ცხოვრების მართლად ჰერეტიკა“.

ამგვარად, გ. წერეთელი „ცისკარს“ უსაყვედურებს თეორიული საკითხების, კერძოდ, რეალიზმის პრინციპების გაშუქებისაგან გვერდის აელას და ამ მხრივაც რეალური ვითარებიდან გამოდის.

ი. ჭავჭავაძის წერილებთან ერთად, გ. წერეთლის სტატიამ — „ცისკარს“ რა აკაკანებდა?“ დიდი როლი შეასრულა კრიტიკული რეალიზმის გაბატონებისათვის ბრძოლაში და ანტირეალისტური ტენდენციებისაგან ჩვენი ლიტერატურის განთავისუფლების საქმეში. ამასთან, მისი მნიშვნელობა სცილდება წმინდა ლიტერატურულ ფარგლებს და საპატიო ადგილს იჭერს ქართული საზოგადოებრივი აზრის განვითარების ისტორიაში საერთოდ.

\* \* \*

გ. წერეთლის სტატიის („ცისკარს“ რა აკაკანებდა?“) გვერდით „საქართველოს მოამბის“ იმავე ნომერში ი. ჭავჭავაძემ გამოაქვეყნა სფ. ჩიტორელიძის (მ. ყიფიანის) წერილი — „სფირიდონისა და თადეოზის ბაასი“, რომლის ბეჭდვა ეურნალის შემდეგ ნომრებშიც

გაგრძელდა<sup>1</sup>. სფ. ჩიტორელიძის წერილი თავისი შინაარსით ისე ახლოსაა ი. ჭავჭავაძის წერილებთან, რომ დიდი ხნის განმავლობაში მიჩნეული იყო მისი კალმის ნაყოფად.

„სფირიდონისა და თადეოზის ბაასი“ მ. ყიფიანს დაუწერია ჯერ კიდევ 1861 წელს, როცა მკაცრი პოლემიკა წარმოებდა ი. ჭავჭავაძისა და „ცისკრის“ მწერლებს შორის, მაგრამ 1863 წლამდე არ გამოუქვეყნებია. უნდა ვივარაუდოთ, რომ მისი საბოლოო რედაქციული დამუშავება ი. ჭავჭავაძემ შეასრულა. ი. ჭავჭავაძის რედაქტორული ხელი ატყვია „საქ. მოამბეში“ გამოქვეყნებულ ყველა მასალას, განსაკუთრებით — „სფირიდონისა და თადეოზის ბაასს“.

ი. ჭავჭავაძე ჟურნალის ოთხ ნომერში აქვეყნებდა ამ სტატიის გაგრძელებას, რაც იმაზე მეტყველებს, რომ მასში გამოთქმული შეხედულებები ემთხვეოდა მომთხოვნი რედაქტორის მოსაზრებებს<sup>2</sup>.

„სფირიდონისა და თადეოზის ბაასი“ ი. ჭავჭავაძეს უნდა მოსწონებოდა, პირველყოვლისა, ყველასათვის გასაგები სტილისა და ენის გამო. როგორც სათაურიდანაც ჩანს, სტატია დაწერილია დიალოგის სახით: ნასწავლი ძმისშვილი — სფირიდონი ლიტერატურული საკითხების გარშემო ესაუბრება ბიძას — თადეოზს.

საუბარი ეხება, ძირითადად, ორ საკითხს: ჟურნალ „ცისკრის“ ავკარგიანობას და პოეზიის დანიშნულების გაგებას. ერთი სიტყვით, მსჯელობა მიმდინარეობს იმ საკითხების გარშემო, რაც დღეის საგნად იყო გამხდარი იმ პერიოდში.

მ. ყიფიანის შეხედულებით, მწერლობამ ბრძოლა უნდა გამოუცხადოს სამწერლო ენის ყველა ჯურის დამმახინჯებელთ, კერძოდ, ბარბარიზმებით ენის დამნაგვიანებელთ, მაგრამ უცხო სიტყვათა შემოტანის აუცილებლობაც სათანადოდ უნდა იქნას გათვალისწინებული; შეუძლებელია ამა თუ იმ ენამ, თავისი განვითარების მანძილზე, საერთოდ უარი თქვას უცხო სიტყვების მიღებაზე. უცხო სიტყვას უნდა ვებრძოლოთ იმ შემთხვევაში, როცა თვით

<sup>1</sup> „საქ. მოამბე“, 1863. № 5, 6, 7, 8.

<sup>2</sup> საერთოდ, მ. ყიფიანი მესამოციანელთა თაობას ეკუთვნოდა. მანაც პეტერბურგში მიიღო უმაღლესი განათლება და, ჩანს, ახლოურთიერთობაში იყო გამოჩენილ რუს მოღვაწეებთან, კერძოდ ნ. დობროლიუბოვთან.

1857 წელს მიწერილ წერილში ნ. დობროლიუბოვი ა. პ. ზლატოვრაცკის სწერს, რომ მან ყიფიანს გადასცეს „Довнесение следственной комиссии о 1825 г.“ (იხ. „Материалы для биографии Н. А. Добролюбова, собранные в 1861—1862 гг.“ (Н. Г. Чернышевским), 1890, ტ. I, გვ. 375).

ჩვენს ენას მოეპოვება მისი ზუსტი ადეკვატი, — შესაფერი ცნების გამომხატველი სიტყვა. ასეთი შეხედულების გასამაგრებლად სფირიდონი (იგივე ავტორი) იშველიებს ბ. ბელინსკის იმ სიტყვებს, რომლითაც იგი ახასიათებს შიშკოველთა და კარამზინელთა ბრძოლას რუსული ენის საკითხებზე. სამართლიანად შენიშნავს პროფ. ვ. შადურს, რომ „ჩიტორელიძე ამტკიცებს ქართული ენის რეფორმის აუცილებლობას და იყენებს ბელინსკის სტატიას — „ასი რუსი ლიტერატორი“. ბელინსკის ეს წერილი ჩიტორელიძეს კარგ მასალას აძლევდა თავისი აზრების დასამტკიცებლად ქართული ენის რეფორმის აუცილებლობის შესახებ“<sup>1</sup>.

საყურადღებოა, რომ მ. ყიფიანი თავის სტატიაში ბელინსკის აზრებს თავის სიტყვით კი არ გადმოცემს, არამედ პირდაპირ თარგმნის შესაფერ ადგილებს მისი თხზულებიდან და ზოგჯერ გვერდებსაც კი მიუთითებს (გამოცემის ალუნიშნავად).

აჯამებს რა თავის მსჯელობას, სფირიდონი თავის ბიძას — თადეოზს განუმარტავს: „რაც ჩვენთვის მიუცილებლად საჭირო არის, უნდა ვინმართთ: კარგი ამბავი უცხო ქვეყნისა, კარგი აზრი კვიანი ხალხის ნათქვამი; ყოველისფერი ამორჩევით გადმოვიტანოთ ჩვენს ენაზედა, დავაკვირდეთ, გავშინჯოთ, შევუფარდოთ ჩვენს ამბავსა და ჩვენს აზრსა და ამ შეუარდებით გავიგოთ, რა არის ჩვენში კარგი და რა არის ცუდიო“.

როგორც ვხედავთ, ეს შეხედულება მთლიანად ემთხვევა ი. ქავკავაძის მოსაზრებებს ამავე საკითხზე.

მათი შემდგომი საუბარი ეხება კრიტიკის საჭიროებასა და დანიშნულებას. სფირიდონი თადეოზს უმტკიცებს, რომ „კრიტიკოსი არის გამრჩევი თხზულებისა... ცხადად მაჩვენებელი ავისა და კარგისა თხზულებაში... ის არის დამრიგებელი და მსაჯული“. გამოდის რა ამ წინამძღვრიდან, სფირიდონი მიმართავს თადეოზს: „რა გამოვა იმ ჟურნალიდგანა, რომელსაც არა ჰყავს კარგი დამრიგებელი, კარგი კრიტიკოსი. ვერც ერთი ჟურნალი უკრიტიკოდ ვერ იცოცხლებს, კრიტიკა არის იმისი გზის მაჩვენებელი, იმისი წინამძღოლი, იმისი სინათლე და დამრიგებელიო“. იგი იმ შეხედულებისაა, რომ კრიტიკოსი ავტორზე დაბლა არ უნდა იდგეს თავისი ნიჭითა და განათლებით, თორემ მის დარიგებას დიდი მნიშვნელობა არ ექნებაო.

ამის შემდეგ ის აფასებს „ცისკრის“ განვლილ გზას და ჩერდება მის არსებით ნაკლოვანებებზე, რაც ერთხელ კიდევ ნათელ-

<sup>1</sup>ვ. შადური. ბესარიონ ბელინსკი, 1948, გვ. 83—84.

ყოფს „ცისკრის“ ი. ქავჭავაძისეული შეფასების სისწორეს. მ. ყიფიანი, პირველყოვლისა, სწუნობს „ცისკრის“ ენას. „ცისკრის“ ენა, მისი თქმით, აკრელებულია; ერთმანეთშია არეული ძველი და ახალი ენა. რის გამო იგი ვერ დადის მკითხველამდე. ჟურნალი უნდა ემყარებოდეს სასაუბრო ენას, ვინაიდან „მწიგნობრული ენით დაწერილი, ან იმ არეულ უწინდელი და ეხლანდელი ენით დაწერილი ჟურნალი, არასდროს არ შეიქმნება სახალხო ან საზოგადოდ ყველასათვის წასაკითხავიო“, — ამბობს მ. ყიფიანი.

ეხება რა „ცისკარში“ გამოქვეყნებულ კრიტიკულ სტატიებს, მ. ყიფიანი იმ აზრს ავითარებს, რომ „ცისკრის“ ბევრი კრიტიკოსი ერთმანეთისაგან ვერ არჩევს კრიტიკასა და ლანძღვას; თანაც მეტად იოლ საქმედ მიაჩნიათ კრიტიკოსობა. თავისი შეხედულებების ნათელსაყოფად იგი ეხება გ. ბარათოვისა და ბ. ჯორჯაძის სტატიებს.

მ. ყიფიანი არ იზიარებს იმ შეხედულებას, თითქოს ნაადრევი იყოს „ცისკრის“ კრიტიკა. თუ თავიდანვე არ გაითვალისწინა ჟურნალმა თავისი შეცდომები, ბოლომდე ისე დარჩებაო.

მ. ყიფიანი, სრულიად მართებულად, უარყოფით შეფასებას აძლევს „ცისკრის“ ფურცლებზე გამოქვეყნებულ ი. კერესელიძის, ი. მამაცაშვილისა და ა. სულხანიშვილის ნაწერებს. მას არ მოსწონს „ცისკარში“ დაბეჭდილი თარგმნილი თხზულებებიც. მთარგმნელმა, მისი თქმით, კარგად უნდა იცოდეს ის ენაც, რომლიდანაც თარგმნის, და ის ენაც, რომელზეც თარგმნის; ამასთან, „უნდა ჰქონდეს გაწმენდილი გემო და განათლებული გონება“. და ვინაიდან მთარგმნელი თავისუფალია სათარგმნი მასალის შერჩევაში, მან საინტერესო ნაწარმოებნი უნდა მიაწოდოს მკითხველს. ხოლო თუ მთარგმნელი კარგად ვერ შეარჩევს. სათარგმნ მასალას, რედაქტორი ხომ თავისუფალია აირჩიოს უკეთესთა შორის უკეთესი? მაგრამ, როგორც მ. ყიფიანი ამტკიცებს, „ცისკარი“ ამ მხრივაც ცუდ მაგალითს იძლეოდა და მკითხველს სთავაზობდა „მილორდიანის“ მსგავს თარგმნილ თხზულებებს.

მ. ყიფიანის შეხედულებით, საჭიროა ითარგმნოს საინტერესო და მნიშვნელოვანი ნაწარმოებნი სხვა ენებიდან; თარგმნით უნდა შეიგნოს ის ხარვეზი, რომელიც ისტორიულმა ავბედობამ დატოვა ქართული ლიტერატურის განვითარების გზაზე. მისი თქმით, „მშვიდობიანობა... არის მიწა, რომელზედაც ამოვა ხოლმე მეცნიერების, სწავლის, ლიტერატურის ხე და ნაყოფი“, — ქართველებს კი იშვიათად ჰქონიათ მშვიდობიანი ცხოვრება, და როცა ჰქონდათ (მეთერთმეტე-მეთორმეტე საუკუნეებში) კიდევაც ისახელეს თავი.

„ცისკრის“ მხატვრული პროდუქციის გათვალისწინება საფუძველს აძლევს მ. ყიფიანს დაასკვნას, რომ „მომეტებულს ნაწილს... ლექსის წერა უფრო უყვარს, პროზა აგრე-რიგად არ უყვართ“. საერთოდ, მისი თქმით, „დიდი ღირსება არის პოეტობა“ და, როგორც სხვა ხალხთა ლიტერატურა გვიჩვენებს, არც ისე მრავალი არიან პოეტები. არკვევს რა პოეტთა სიმრავლის მიზეზს იმდროინდელ ქართულ მწერლობაში, იგი იმ დასკვნამდე მიდის, რომ ეს შედეგი იყო პოეზიაზე არასწორი შეხედულების დამკვიდრებისა: ბევრ მკითხველს „ყოველი ლექსი... პოეზია ჰგონია და დამწერს პოეტს ეძახისო“, — შენიშნავს ის.

ამიტომ მ. ყიფიანი იძულებულია თვითონ გაარკვიოს რა არის პოეზია. მაგრამ თავისი სიტყვებით სჯას ამ საკითხზე იგი ამჯობინებს მკითხველს გააცნოს შესაფერი ადგილები ბელინსკის თხზულებებიდან. ეს გარემოება კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ ი. ქავჭავაძე და მისი თანამებრძოლები 60-იან წლებში, პირველყოვლისა, ბ. ბელინსკის ესთეტიკურ შეხედულებებს ემყარებიან და მის პოპულარიზაციას ეწევიან. მიზეზიც გასაგებია: მათ უხდებათ იმავე ამოცანის გადაწყვეტა, რაც რუსული ლიტერატურის სინამდვილეში წარმატებით გადაკრა ბ. ბელინსკიმ.

სფ. ჩიტორელიძის (მ. ყიფიანი) სტატიის საშუალებით „საქართველოს მოამბემ“ კიდევ ერთხელ ჩამოაყალიბა თავისი შეხედულება „ცისკრის“ ავკარგიანობაზე და მიუთითა იმ ესთეტიკურ პრინციპებზეც, რომლებიც მას მიაჩნდა ქეშმარიტად და სახელმძღვანელოდ. იგი არ მალავდა, რომ ეყრდნობოდა ბელინსკისა და გერცენის, ჩერნიშევსკისა და დობროლიუბოვის შეხედულებებს, — ქართული სინამდვილისა და ქართული ხალხის სასიცოცხლო ინტერესების საფუძვლიანი გათვალისწინებით.

შემთხვევითი როდი იყო, რომ მის ფურცლებზე გამოქვეყნდა დობროლიუბოვის — „მამა ალექსანდრე გავაცცი და მისი ქადაგება“ (№ 1) და მ. ლალანდიძის სტატია — „ბელინსკის აზრი შვილების აღზრდაზე“ (№ 10, 11).

ნ. დობროლიუბოვის სტატიის — „მამა ალექსანდრე გავაცცი და მისი ქადაგება“ — გამოქვეყნება „საქართველოს მოამბის“ პირველსავე ნომერში იმით აიხსნება, რომ გავაცცის სიტყვები, მიმართული იტალიელებისადმი, თერგდალეულებს შეეძლოთ თითქმის უცვლელად გაემეორებიათ ქართველების მიმართ. ცხადია, თვით ნ. დობროლიუბოვსაც, როცა ამ სტატიას აქვეყნებდა, მხედველობაში ჰყავდა რუსეთი და რუსი ხალხი, რომელსაც სახალხო რევოლუციისკენ მოუწოდებდა.



„მამა ალექსანდრე გავაცცი და მისი ქადაგება“, თავისი წი-  
ნაარსით, კიდევ უფრო ახლოს იყო ქართულ სინამდვილესთან.  
მასში წინაა წამოწეული ეროვნული გაერთიანების იდეა და დაგ-  
მობილია კუთხური პარტიკულარიზმი. ამასთან, იდეა რესპუ-  
ბლიკური წყობილების შექმნისა სრულიად არ ეწინააღმდეგებოდა  
ქართველ მესამოციანელთა პოლიტიკურ შეხედულებებს. ამიტომაც,  
რომ რედაქცია საგანგებო კომენტარსაც კი უკეთებს სტატიაში  
ნახმარ სიტყვებს: „რესპუბლიკა“, „რევოლუცია“. კიდევ უფრო  
საყურადღებოა ის, რომ იტალიის ნაციონალურ-გამათავისუფლე-  
ბელ ბრძოლას „საქართველოს მოამბე“ ადარებს თერგდალეულო-  
ბას: „დიდმა აღრეულობამ იტალიისამ რალაც ნაციონალიზმის,  
ხალხობის აზრი წამოაყენა წინ, რომლის მოთხოვნებიცაა, მკით-  
ხველო, ქვემარტი თერგდალეულობა ეტყობაო“, — ვკითხულობთ  
ეურნალის მეხუთე ნომერში.

როგორც ვხედავთ, იტალიის ეროვნულ-გამათავისუფლებელი  
მოძრაობა და მისი მიზნები სრულიად შეეფერებოდა თერგდალე-  
ულთა ინტერესებს. ამით კიდევ ერთხელ აშკარავდება „აჩრდილის“,  
„დედა და შვილის“ და „მგზავრის წერილების“ ავტორის პოლი-  
ტიკური იდეალები 60-იან წლებში.

რაც შეეხება მ. ლალანდიის წერილს—„ბელინსკის აზრი შეი-  
ლების აღზრდაზე“, — იგი წარმოადგენს შესაფერი ადგილების თარგ-  
მანს ბ. ბელინსკის სტატიიდან—„*Две сказки Гофмана и сказ-  
ки дедушки Ирины*“. ი. ჭავჭავაძე და საერთოდ „საქ. მოამბე“  
დაინტერესებული იყო ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში პრო-  
გრესული იდეების დანერგვით. ამ მიმართულებითაც მათ, პირველ-  
ყოვლისა, ბ. ბელინსკის მიმართეს.

ი. ჭავჭავაძის „საქართველოს მოამბემ“, ხანმოკლე არსებობის  
მიუხედავად, მოახერხა თავისი შეხედულებები გამოეთქვა ლიტე-  
რატურისა და განათლების, სოციალურ-ეკონომიური და პოლი-  
ტიკური საკითხების გარშემო. მან შეძლო ყველა ამ მიმართუ-  
ლებით მოწინავე იდეები დაეპირისპირებია „ცისკარის“ მიერ წლე-  
ბის მანძილზე ნაქადაგებ კონსერვატორულ-სქოლასტიკური აზრე-  
ბისათვის. შეიძლება ითქვას, რომ მას თითქმის არ გამოორჩენია  
იმ დროისათვის საყურადღებო და მნიშვნელოვანი საკითხები, რო-  
მელთა შესახებ ზედმეტ-ნაკლებად, პირდაპირ თუ მინიშნებით თა-  
ვისი ავტორიტეტული სიტყვა არ ეთქვა. ჩვენს მიერ უკვე გაცნო-  
ბილ წერილებს გარდა, ამას მოწმობს ეურნალში გამოქვეყნებულ  
სხვა მასალაც. მათ შორის: სერია წერილებისა — „სხვადასხვა ამ-  
ბავი“, კ. ლორთქიფანიძის — „ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული

ნტატები და იქაური ტყვეობა“, ს. ბარათაშვილის — ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, დ. ყიფიანის — ქართული ენის გრა-  
მატიკის პრინციპები, პ. ნაკაშიძის — „სამგზავრო წერილები“, გ. ჩი-  
ქოვანის — სატირული სცენა, გ. რატიშვილის — „მცირედი რამ  
მოთხრობა როსიისა“; ამასთან, კ. ზალცმანის — „კონრად კიფე-  
რის“, მიტჩინელის — „ზეციერი მნათობის“, პრუდონის — „სიღარი-  
ბე როგორც ეკონომიური პრინციპის“ და სხვათა თარგმანები.

„საქართველოს მოამბემ“ მკითხველს გააცნო, აგრეთვე, ნ. ბა-  
რათაშვილის, ა. ქავჭავაძის, გრ. ორბელიანისა და გ. ერისთავის  
მთელი რიგი ნაწარმოებნი, რითაც მან გამოხატა თავისი დამოკი-  
დებულება წინა პერიოდის ლიტერატურული მემკვიდრეობისადმი.  
ბუნებრივია, ჟურნალის პოპულარიზაციის საქმეში გარკვეული რო-  
ლი შეასრულა ვ. ჰიუგოს — „საბრალონისა“ და მ. ლერმონტოვის —  
„ჩვენი დროის გმირის“ თარგმანებმაც.

ი. ქავჭავაძემ „საქართველოს მოამბის“ მიმართულება, ძირი-  
თადად, შეზღვევ ამოცანებს დაუმორჩილა: ლიტერატურაში — კრი-  
ტიკული რეალიზმის გაბატონებასა და ანტირეალისტური ტენ-  
დენციების მოსპობას, ენის საკითხში — სასაუბრო, ცოცხალ სამე-  
ტყველო ენაზე დაყრდნობით ერთიანი ახალი ქართული სალიტე-  
რატურო ენის დამკვიდრებას, სოციალურ საკითხში — ბატონყმური  
ურთიერთობის მოსპობას, ეროვნულ საკითხში — ეროვნულ-გამათა-  
ვისუფლებელი ბრძოლის აღმავლობასა და მტკიცე ეროვნული  
მთლიანობის განხორციელებას.

ყველა ამ საკითხში ი. ქავჭავაძე და მისი ჟურნალი პრინცი-  
პულად უპირისპირდებოდა ფეოდალურ-ბატონყმური ყოფის იდე-  
ოლოგიებს ლიტერატურასა და პოლიტიკურ ცხოვრებაში.

მართალია, ი. ქავჭავაძეს „საქ. მოამბის“ ფურცლებიდან  
უფრო მეტის და უფრო მკაცრად თქმა სურდა, მაგრამ არ აძ-  
ლევდნენ ამის უფლებას; ცენზურა ჯალათივით ადგა თავზე და არ  
ავიწყებდა, რომ ჟურნალის გამოცემას იმ პირობით დასთან-  
ხმდნენ, „...чтобы в нем не помещалось никаких политических  
известий и рассуждений“. ამიტომ იყო, რომ „საქ. მოამბე“ უფ-  
რო ხშირად ეზოპეს ენით ლაპარაკობდა.

„საქ. მოამბის“ მეთერთმეტე ნომერში თვით ილია წერს:  
„ჟურნალის საქმეში ზოგი იმისთანა დაბრკოლებაა, რომელიც უნდა  
სძლიოს რედაქტორმა და რომლის ძლევაც შეუძლებელია. ზოგი იმის-  
თანაა, რომელთანაც ყოველი ბრძოლა, მეცადინეობა და თავგა-  
მოდება უქმია..., თუმცა გზა გახილული გვექონდა, მაგრამ გულ-  
წრფელად და გაბედვით ვიტყვი, რომ სხვის მოსაწონად

არც ერთის ჩვენის გულითადის აზრისათვის არ-  
გვიღალატნია, სხვის მოსაფერებლად არც ერთი  
გრძნობა არ გაგვიყიდნია... ჩვენ დავჩემებულვართ და  
სვინდისისათვის კი არ გვიღალატნია. როგორც გონება ჩვენი  
ჰქრიდა, როგორც გული გვითხრობდა—ისე ვლაპარაკობდით, რო-  
ცა კი შეგვეძლო და კვლავ ასე მოვიქცევით,—თუნდ რომ  
ამით ჩვენს ჟურნალს ბოლო მოეღოსო“. მაგრამ ი. ჭავჭავაძეს  
მანც გულს აკლდა, ვინაიდან ჟურნალში ვერ აქვეყნებდა პოლი-  
ტიკური შინაარსის სტატიებს, რომლებშიც პირდაპირ იქნებოდა  
ლაპარაკი საჭირობოროტო საკითხებზე. „ყველაზე დიდი ნაკლულო-  
ვანება ჩვენის ჟურნალის ის იყო,—ამბობს ის,—რომ სხვათა შორის  
დროების ინტერესი არ ჰქონდა,—ეგ ინტერესია ყოველი ჟურნა-  
ლის სული, ეგ აცხოველებს, ეგ აბრუნებინებს მას სულსა. არც  
ერთი ჩვენი შინაგანი ცხოვრების გამოჩინება, არც ერთი თითქმის  
ფაქტი, არც ერთი საქმე, რომელიც ყველას თვალწინ გვიტრია-  
ლებს და რომელიც ყოველი ცოცხალი კაცისათვის საინტერესოა,  
არამც თუ ვერ ახსნა ჩვენმა ჟურნალმა, არამედ ვერც კი გაბედა,  
რომ მიჰკარებოდა, თუმცა ზოგჯერ სცადა, კიდევ იმავე მიზეზით,  
რომ „დრონი მეფობენო“. ამის გამო ჩვენს ჟურნალს ფერი და-  
აკლდა, „მომამბემ“ შორიდან დაუწყო ტრიალი მას, რაც ახლო  
გასასინჯი იყოო“.

ჩანს, ი. ჭავჭავაძე გრძნობდა, რომ ჟურნალს დაუხურავდნენ,  
მაგრამ იმის თქმა მანც მოასწრო, რომ თუნდაც დახურონ ჟურ-  
ნალი, ჩვენს შეხედულებას მანც არ ვულალატებთ და სხვის მოსა-  
ფერებლად გრძნობას არ გავყიდითო. ამით იგი გადასწვდა კვლავ  
„ციცკარს“, რომელიც ხშირად მამამებელ სიტყვებს უძღვნიდა უმაღ-  
ლესს მთავრობას „მზრუნველობისათვის“.

\* \* \*

თავის მხატვრულ შემოქმედებაში ი. ჭავჭავაძემ მაღალი ოს-  
ტატობით წარმოადგინა ბატონყმური სისტემის ბოროტება და  
დრომოკმეულობა. მისი „აჩრდილი“, „გლახის ნაამბობი“, „კაცია  
ადამიანი?“—და „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვ-  
რებიდან“ არა მარტო ხატავდნენ სრულ სურათს ბატონყმური  
საქართველოს ჩამორჩენილობისას და მშრომელი ხალხის არაადა-  
მიანური ყოფისას, არამედ წარმოადგენდნენ აშკარა მოწოდებას  
გულქვა მებატონეებთან ანგარიშის გასასწორებლად. მაგრამ არც  
მხოლოდ ამით შემოფარგლულა რუს რევოლუციონერ-დემოკრატთა  
იდებზე აღზრდილი,—მშრომელი ხალხის ინტერესების დამცველი  
ახალგაზრდა პოეტი. იგი სათავეში ედგა იმ პატარა ჯგუფს მო-

ღვაწეებისას, რომლებიც პრაქტიკულად იბრძოდნენ გლეხთა მიწებით განთავისუფლებისათვის.

ი. ჭავჭავაძე თავის გამოსვლებში თავადაზნაურთა კრებებზე, სადაც იხილებოდა ბატონყმობის გაუქმების პირობები საქართველოში, აშკარად და პრინციპულად იცავდა გლეხობის ინტერესებს. რის გამო გაბოროტებულ თავადთა რისხვას იმსახურებდა. ასეთ კრებებზე ი. ჭავჭავაძესა და თავადაზნაურთა შორის მომხდარი შეტაკებების შესახებ ქ. მამაცაშვილი გადმოგვცემს: „ოქმის წაკითხვის შემდეგ დაიწყო კამათი. წამოდგა ახალგაზრდა პოეტი და ჰუმბოლცი — ილია ჭავჭავაძე და ხმამაღლა განაცხადა, რომ გლეხს მიწა უნდა მიეცეს. კრების უმრავლესობა ამ კადნიერმა აზრმა ააშფოთა. ერთმა თავადმა ხანჯალი იშიშვლა, ლანძღვა-გინებით ილიასაკენ გაიწია და ყვიროდა: „გამიშვით, გამიშვით! ეხლავე უნდა მოვკლაო“. გაგიჟებული თავადი შეაკავეს და ძლივსძლივობით გაიყვანეს კრებიდან. მე გომბორში ვმსახურობდი. ზემოხსენებული ამბავი შემატყობინა ილია წინამძღვრიშვილმა, რომელიც მწერდა: ჩქარა თბილისში ჩამოდი, რომ ახალგაზრდობა ილიას გარს შემოვერტყათ და ბატონობის მოსპობის საქმე დაეცვათო. მეც ჩამოვედი. რამდენიმე ახალგაზრდა და მათ შორის ანტ. ფურცელაძე და ამ წერილის ავტორიც მუდმივ შორიახლოს მიედევდით ილიას და მზად ვიყავით დაგვეცვა ახალგაზრდა პოეტი. მეორე კრებაზე გლეხთა განთავისუფლების წინააღმდეგ ილაპარაკა გენერალ-ლეიტენანტმა ივ. მუხრანსკიმ. მან განაცხადა, რომ უმიწოდ გლეხთა განთავისუფლებას მთელი თავადაზნაურობა მიემხრობა, მიწიანად — კი მხოლოდ ორიოდ კაცუნაო. ილია ჭავჭავაძემ ორატორს ხელი სტაცა, მიაბრუნა თავისკენ და ჰკითხა: „ვინ არიან ეგ კაცუნები?“ მუხრანსკიმ მიუგო, რომ ის შეცდა და „რამდენიმე კაცუნას“ მაგივრად უნდა ეთქვა — „რამდენიმე კაცი“...“

... ილია გრიგოლის ძე თავის მოღვაწეობის დასაწყისშივე ძლივს გადაარჩა სიკვდილს გლეხთა ინტერესების დაცვის გამო<sup>1</sup>.

ამასვე ადასტურებს ანტ. ფურცელაძეც. მაგრამ თვითონ ანტ. ფურცელაძე, როგორც უკვე აღვნიშნე, მოკლებული იყო პრინციპულობას თავის თანამედროვე მოღვაწეებთან, კერძოდ, ი. ჭავჭავაძესთან დამოკიდებულების საქმეში. ამას მოწმობს მისი წერილები: „წავიდა ის დრო“ („ცისკარი“, 1862, № 12), „ქართული

<sup>1</sup> კრებული — „ი. ჭავჭავაძის სიკვდილი და დასაფლავება“, 1907, გვ. 67 — 68.

ლიტერატურა“ („ცისკარი“, 1863, № 3, 7), „К сведению и руководству“ („ცისკარი“ 1863, № 6) და „Кашиа-адамиანი!“ („Человек-человек!?!“). Повесть М. Джимшеридзе“ („Литературный листок“, 1864, № 2, 3). აღნიშნულ წერილებში ხშირად ვხვდებით ერთმანეთის საწინააღმდეგო აზრებსა და შეხედულებებს. ანტ. ფურცელაძე ზოგჯერ დაუფიქრებლად სჭრიდა ხოლმე იმ ტოტს, რომელზეც თვითონ იყო დაყრდნობილი; მოწინავე იდეებით გატაცებული და მებრძოლი პუბლიცისტი არცთუ იშვიათად უშვებდა წყალს კონსერვატორთა წისქვილზე. „ცისკარის“ ფურცლებიდან ის უპრინციპო დავას ეწეოდა „საქ. მოამბის“ წინააღმდეგ და მის გარშემო შემოკრებილი მწერლების მისამართით ამბობდა: „ჩვენი იმედი იყო... ნასწავლი ყმაწვილი კაცობა. მაგრამ სწავლის მაგივრათ ამათ მოიტანეს გაბერილი ფრაზები, წახალისების მაგივრათ— პედანტობა, ერთობისა და სიყვარულის მაგივრათ—ამაყობაო“. თანაც ი. ჭავჭავაძეს „არწმუნებდა“, რომ „ჩვენა და თქვენ... ბელისკობა და ჩერნიშევსკობა არ გამოგვადგებაო“<sup>1</sup>.

გ. წერეთლის სტატიით („ცისკარს“ რა აკაკნებდა?“) განაწყენებულმა ანტ. ფურცელაძემ ი. ჭავჭავაძის პოეზიას „სანტიმენტალური გალობა“ უწოდა და „საქ. მოამბის“ თითქმის ყველა თანამშრომელი უნიკოდ და მეოცნებედ გამოაცხადა. ნ. ბარათაშვილი და გ. ერისთავიც აღარ დაინდო, რადგან „საქ. მოამბე“ მათ მაღალ შეფასებას აძლევდა; მაგრამ თავისი სუსტი მხარე უფრო გამოამჟღავნა: „რაც უნდა კაცი იყვეს, იმას ჯერ თავის თავი ახსოვს და მერე სხვა; ესეა ბუნების კანონიო“ — „ამტკიცებდა“ ანტ. ფურცელაძე.

ანტ. ფურცელაძის დაუსაბუთებელი და უპრინციპო დავა „საქ. მოამბემ“ არ დატოვა სათანადო შეფასების გარეშე. ი. ჭავჭავაძემ, ხელმოწერით „გ. ჩ.“, ქურონალის მეშვიდე ნომერში გამოაქვეყნა მისთვის ჩვეული ოსტატობით დაწერილი ფელეტონი — „სხარტულა (რედაქტორი და მისი ბაქია)“. ფელეტონი ისეა დაწერილი, რომ თუ არა სტილით, მკითხველს სხვაგვარად არ შეეძლო მიხვედრილიყო ვინ იყო მისი ავტორი. ი. ჭავჭავაძე სტატიაში ერთმანეთს აბაასებს „ცისკარის“ რედაქტორს — ი. კერესელიძეს და მის უკანასკნელ იმედს — ქერელ ბექას (ანტ. ფურცელაძეს). ენამახვილურად შედგენილ დიალოგში ი. ჭავჭავაძე ი. კერესელიძესა და ანტ. ფურცელაძეს მკითხველის წინაშე ვადმოაშლენინებს მათ ნამდვილ ფიქრებსა და განწყობილებებს.

<sup>1</sup> „ცისკარი“, 1863, № 3.

ფელეტონში მახვილი გაკეთებულია იმაზე, რომ „ცისკარი“ და მისი რედაქტორი ჩამორჩენილი არიან ცხოვრებას და ბრძოლას ეწვევიან პროგრესული შეხედულებებისა და მოწინავე იდეების წინააღმდეგ. რათა დაიცვან ბატონყმური ცხოვრების სინამდვილე. ალ. ქავჭავაძის ლექსის — „ვაჰ, დრონი, დრონის“ მიბაძვით დაწერილ „მონოლოგში“ ი. ქავჭავაძე ი. კერეპელიძეს ათქმევინებს:

— მე ხომ იგივე ვარ მარად და მარად,  
რით ვერ გაიგეთ არ ვსდევთ ვაშთა ცვლას...  
მე ისევ ის ვარ მარად და მარად\*.

„ცისკარის“ რედაქციის მიერ ანტ. ფურცელაძის გამოყვანას საბრძოლო მოედანზე ი. ქავჭავაძე ათესებს როგორც „საქ. მოამბისათვის“ მახის დაგებას. მაგრამ, მისი თქმით, ამ მახეში თვით „ცისკარი“ და მისი „ყურმხავილი და ენაჩღუნგი“ მხედარი — ანტ. ფურცელაძე გაეზნენ. და ეს იმიტომ, რომ ანტ. ფურცელაძე ვერც „ცისკარის“ ხაზის დაცვას ახერხებს და ველარც თავისი შეხედულებების სწორად გადმოცემას. მის საფუძველს მოკლებული გალაშქრება „საქ. მოამბისა“ და განოჩენილი ქართველი მწერლების წინააღმდეგ, ფელეტონისტის სიტყვით, მხოლოდ იმ მიზანს ემსახურება, რომ მკითხველმა თქვას: „Ай, москья, зная она сильна, что ласт на слою“.

ანტ. ფურცელაძე თავის წერილებში იძულებულიც კი იყო დათანხმებოდა „საქ. მოამბეს“ და მის თანამშრომლებს ძველი „ცისკარის“ შეფასებაში. მაგრამ, მისი აზრით, 1863 წლიდან მდგომარეობა არსებითად შეიცვალა. ერთი სიტყვით, ამ დროიდან „ცისკარის“ ბატონ-პატრონად ანტ. ფურცელაძე თავის თავს თვლის; თანაც იმით ამაყოფს, რომ „ცისკარში“ მოღვაწეობს აკ. წერეთელიც<sup>1</sup>. მაგრამ „ცისკარის“ ძველ „ფალავანთა“ უმედგოდ ნაცადმა ხერხმა არც ანტ. ფურცელაძეს გაუმართლა. აკ. წერეთელს ერთმანეთში არ ერეოდა პირადი და საზოგადო მნიშვნელობის საქმე, მისი ამგვარ ანკესზე წამოგება შეუძლებელი იყო.

#### 4

„ცისკარის“ 1865 წლის მეცხრე ნომერში აკ. წერეთელმა გამოაქვეყნა სტატია — „რაოდენიმე სიტყვა „ჩანგურის“ შესახებ“, რომელშიც მეტად საგულისხმოდ მოსაზრებები გამოთქვა ქართული ლიტერატურის განვითარების პროცესის შესახებ.

\* „ცისკარი“, 1863, № 7.

აღნიშნული სტატიით აკ. წერეთელმა ციხე შიზნიდან გატეხა. მან „ციცკარის“ ფურცლებზე ქეშმარიტი შეფასება მისცა ი. ქავჭავაძის პოეზიას და მისი ავტორის საერთო დამსახურებას ქართული ლიტერატურისა და ქართველი საზოგადოების წინაშე.

მართალია, „საქართველოს მოამბის“ დახურვამ იმედი გაუღვიძა ვილაც „მყვირალა ქართლის“ (ფსევდონიმია) მსგავს პუბლიცისტებს და კვლავ მოითხოვეს ძველი ორთოგრაფიის აღდგენა<sup>1</sup>, მაგრამ მათი ასეთი ცდები უშრადლები ღირსიც არ გამბედა. ფასი ჰქონდა დაკარგული დიმ. ჯანაშვილისა<sup>2</sup> და მოლაყბის<sup>3</sup> (ი. კერესელიძის) დაუსაბუთებელ კრიტიკასაც ი. ქავჭავაძისა და აკ. წერეთლის წინააღმდეგ. ამ უკანასკნელთ საზოგადოება უკვე საქმით იცნობდა.

აკ. წერეთელმა, როგორც სათაურიდანაც ჩანს, თავისი სტატია მიუძღვნა კ. ლორთქიფანიძის მიერ პეტერბურგში გამოცემულ ქართველ პოეტთა ლექსების კრებულის — „ჩანგურის“ გარჩევას. კ. ლორთქიფანიძის მიერ გამოცემული „ჩანგური“ წარმოადგენდა თავისებურ პასუხს პროფ. დ. ჩუბინაშვილის მიერ პეტერბურგშივე გამოცემულ „ქართული ლიტერატურის ქრესტომატიისას“. დ. ჩუბინაშვილმა ქრესტომათიაში არ შეიტანა ი. ქავჭავაძისა და აკ. წერეთლის ნაწერები, რამაც უკმაყოფილება გამოიწვია განსაკუთრებით ახალგაზრდობაში. ვინმე ღვიმელმა, (ფსევდონიმია) „ციცკარში“ (1865 წ., № 4, 7, 10) გამოაქვეყნა სპეციალური სტატია, — სათაურით „ჩვენი დროების მწერლები“, რომელშიც მეტად მკაცრად იხსენიებს დ. ჩუბინაშვილს ი. ქავჭავაძისა და აკ. წერეთლის ნაწარმოებთა დავიწყებისათვის. ამავე დროს იგი ეკამათება დიმ. ჯანაშვილს, რომელმაც მხარი დაუჭირა დ. ჩუბინაშვილს და გაამართლა მისი მოქმედება.

კ. ლორთქიფანიძის „ჩანგური“, ძირითადად, სწორედ თანამედროვე მწერალთა ნაწარმოებების კრებულს წარმოადგენდა. ამიტომ, ამ კრებულის ქეშმარიტ შეფასებას გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა ლიტერატურის შემდგომი განვითარებისათვის.

აკ. წერეთლის შეფასებით, „ჩანგური“ არის პირველი წიგნი, რომელსაც ასხია ქართული ხორცი, უდგია ქართული სული, სტირის და კენესის ქართველების კენესით“. „ჩანგურის“ ასეთი შეფა-

<sup>1</sup> „ციცკარი“, 1864, № 1.

<sup>2</sup> „ციცკარი“, 1865, № 11.

<sup>3</sup> „ციცკარი“, 1865, № 12.

სების საფუძველს, მისი თქმით, იძლევიან განსაკუთრებით მასწავლებლის წარმოდგენილი ორი მწერალი: ნ. ბარათაშვილი და ი. ჯავახიშვილი. ნ. ბარათაშვილს და ი. ჯავახიშვილს, აკაკი წერეთლის სამართლიანი შეფასებით, თანასწორი მნიშვნელობის დამსახურება მიუძღვით ქართული ლიტერატურის წინაშე; ამასთან, მათ შორის მეტად მკიდრო კავშირია და „ერთის უმეორესით გაგება ძნელია“.

ჩვენ უკვე აღნიშნული გვაქვს, რომ აკაკი წერეთელი პირველი იყო, რომელმაც სწორად გაიგო ნ. ბარათაშვილისა და ი. ჯავახიშვილის შემოქმედებათა ნათესაობა. ზემოთ ნაჩვენებია ამ შეხედულების რეალური საფუძველიც. [ამჯერად მხოლოდ შევნიშნავეთ, რომ აკ. წერეთელმა ნ. ბარათაშვილი და მისი პოეტური გზა მეტად დამაჯერებლად დაუპირისპირა ბესიკისა და მის მიმდევართა იდეურ-მხატვრულ მიმართულებას. მან, ამ შემთხვევაში, არ დაინდო არც ალ. ჯავახიშვილი და არც გრ. ორბელიანი.

აკ. წერეთლის თქმით, ადამიანი, განსხვავებით ცხოველსაგან, „მარტო აწმყოთი არ სცხოვრობს და არც არის ბედნიერი აწმყოთი, თუ მომავლის კეთილს არ ამზადებს და არ მოელის“. გარდა ამისა, მას ვერ აკმაყოფილებს მხოლოდ საკუთარი ბედნიერება და ფიქრობს, რომ „ბედნიერება მხოლოდ მაშინ შეიძლება, როდესაც საზოგადოება, რომელშიაც ვსცხოვრობთ, ბედნიერი იყოს და დაიწყებს საზოგადოებისათვის კეთილმზრუნველობას“. ამგვარი ზრუნვა და შრომა თავისი ხალხისათვის ადამიანს ხდის პატრიოტად, „რომელიც ხშირად თავს შესწირავს ხოლმე თავისი ხალხის კეთილდღეობას“. მაგრამ ბოლოს არც ამით კმაყოფილდება ადამიანი და „ზრუნავს საზოგადოთ კაცობრიობისათვის, და მაშინ შერაცხს თავის თავს ბედნიერათ, როდესაც მთელი კაცობრიობის მოთხოვნილება შეძლების გვარად დაკმაყოფილებული იქნება“. ოჯახი, თავისი ერი, კაცობრიობა, — ასეთია, აკ. წერეთლის გაგებით, ადამიანის ინტერესთა და სულიერი სამყაროს განვითარების გზა. ხოლო ის, ვინც „მხოლოდ თავის თავზე ფიქრობს“ და, აწმყოთი ბედნიერი, „არ ფიქრობს მომავალზე“, არ აინტერესებს „სხვების ბედნიერება“ — არც განსხვავდება ცხოველსაგან.

ამიტომ, მწერლის დამსახურების შეფასება იმას უნდა ემყარებოდეს, თუ რა არგო მან საზოგადოებას, რა მისცა კაცობრიობას და რა ნაბიჯი გადადგა უკეთესი მომავლისათვის ბრძოლის გზაზე. ამ კრიტერიუმიდან გამომდინარე, აკ. წერეთელი ამბობს, რომ „ძველი მწერლების ლექსებში ჩვენ ვერაფერს ვხედავთ, გარდა ბუნების აღწერისა, სიყვარულისა, ღვინვისა, ვარდისა, ბულ-



პულისა... ერთის სიტყვით, მათის საკუთარის გრძნობისა, და ამ მიზეზით ისე ეკუთვნიან ისინი ჩვენს ხალხს, როგორც ჩიტები, რომლებიც „მხოლოდ სასმენელთ ატკობდნენ“.

როდესაც „ძველ მწერლებზე“ მსჯელობს, აკ. წერეთელს მხედველობაში ჰყავს აღორძინების პერიოდის ლირიკოსი პოეტები და არა საერთოდ ყველა ძველი მწერალი, მაგრამ იგი რამდენადმე მაინც ღალატობს ისტორიულ თვალსაზრისს.

პირველი პოეტი, რომელიც ხალხის ინტერესებიდან გამოდიოდა და ხალხის მომავალზე ფიქრობდა, — აკ. წერეთლის „შეხედულებით. — ნ. ბარათაშვილი იყო. თავისმა პოეტურმა მოწოდებამ, — ამბობს აკაკი, — ნ. ბარათაშვილს ადრევე შთააგონა: „მარტო ბუნებას ნუ შესცქერო, ნებედე ხალხსაც, გამოიძიე რას შვრება, რა ეპირვება კეთილდღეობისათვის“. პოეტმაც თავისი თვალი ხალხს მიაპყრო, მაგრამ დაინახა „ხალხის დაბალი ცხოვრება და სხვა ვერაფერი“, რამაც ააღელვა იგი და მარტოობას მიეცა („სული ობოლი“); მისი ახალგაზრდული გატაცება და რწმენა თითქოს მოისპო („სული ბოროტი“). „მაგრამ, — შენიშნავს აკაკი, — ძნელია ისეთის დიდის ნიჭის დაცემა აღუდგენლათ, როგორც ბარათაშვილი იყო და ამისათვის ეს დაცემის გამომხატველი გრძნობა იყო მხოლოდ წამითი, მოკლე ხნის აღბორცების გაშო“; მან ღრმა ანალიზი გაუკეთა ადამიანის რაობასა და დანიშნულებას, რის შემდეგ დარწმუნდა, რომ ადამიანის ვალია ხალხისათვის, ქვეყნისათვის ზრუნვა („ფიქრნი მტკვრის პირას“). „მიაგნო რა ამ აზრს... [ბარათაშვილმა] მოინდომა სოფლის რგება და მისი ხალხის ბედნიერება“. მაგრამ შეიგრძნო რა აწმყო ცხოვრების დაცემულობა, „დაიწყო მიზეზის გამოძიება: რა არის ამის მიზეზი, რამ დასცა ასე ხალხიო. წარმოიდგინა ძველი დრო და ნახა, რომ ჩვენი წინაპრები უსაყვედუროდ რჩებიან და არა გვგვანან ჩვენ: მათ დროს საქართველო მოითხოვდა ქართველებისაგან მტერზედ გულის რისხვას და სისხლის თხევას და ეს მოთხოვნილება თავ-შეწირვით აღსრულდებოდა ხოლმე ჩვენი მამებისაგან. ჩვენი დრო მოითხოვს ჩვენგან ძმების სიყვარულს, ერთ პირობას და პატიოსანს ოფლს და ამ მოთხოვნილებას ჩვენვე დავსცინით და ვსდევნით. ამას ხედავს პოეტი და ამბობს: მიზეზი რა გვქონდა ასე დაცემისაო? ჰფიქრობს, ხედავს და გვიჩვენებს ჩვენც მის „ქართლის ბედში“, სადაც ამ უბედურების მიზეზს გვიხატავს მეფის ირაკლისა და სოლომონ მდივნის საუბარშიო“.

მაგრამ არც ამ გზით შეეძლო ნ. ბარათაშვილის ამოფეხობა თავისი დანიშნულება. მარტო წარსულსა და აწმყოზე დაკვირვებით ის ვერ დააკმაყოფილებდა თავის პოეტურ მოწოდებას. რომელიმე ჩასჩურჩხლებდა: „მარტო წარსულზედ და აწმყოზე ნუ სტრიალებ, იფიქრე მაგ ხალხის მომავალზედაც! ამოსთხარე ძირიანად ეკალი და მის ნაცვლად იქვე ჩასთესე კეთილი თესლი და არ დაიკარგება: ამოვა მომავალში და მოიტანს კეთილს ნაყოფს... ეს რჩევა სულით და გულით შეითვისა ბარათაშვილმა და ზეწამომდგარმა და ამალღებულმა შეურყვევლად თვისი მომავალი ცხოვრების და შრომის რჩევის დასკვნა დაგვიწერა „მერანში“, მაგრამ ვაი რომ სიკვდილმა მოუსწრაფა დღეები და მისი სურვილი დარჩა შეუსრულებლადო“, — ამბობს აკ. წერეთელი.

როგორც ვხედავთ, აკ. წერეთელი თავის ისტორიულ-ლიტერატურულ კონცეფციაში ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლის ინტერესებიდან გამოდის. იგი პირდაპირ თუ მინიმუმებით იმაზე ლაპარაკობს, რომ მეტი უნდა გაკეთდეს, რათა შენარჩუნებულ იქნეს ეროვნული თვითმყოფადობა და მოპოვებული — ეროვნული თავისუფლება. მისი გაგებით, „მერანში“ გამოყვანილი შავი ყორანი — თვითმპყრობელობაა, რომელსაც „პოეტი გაექცა, გაუსწრო წინ... და გადმოსძახა ახალ შთამომავლობას: ...შენთვის შემომიწირავს, შთამომავლობავ, ჩენი აწმყო ბედნიერებაო... მაგრამ აღსრულება კი აღარ დასცალდა და რაში მდგომარეობდა მისი დაპირება და რა იყო მის კენესაში, ის კეშმარტივად დიდხანს დარჩა ჩვენთვის დაფარულად და გაუგებრათო“.

ბარათაშვილი, აკაკის შეხედულებით, დიდხანს ელოდა კემმარტიტ შემკვიდრეს და გამგრძელებელს, მაგრამ არ ჩანდა: „ლექსებს... ბევრი სწერდა, მაგრამ რა გვარს: ზოგი ლოცვებს, ზოგი მოდებს, ზოგი რას და ზოგი რას... იმათი მღერა... ჩხავილი იყო და არა სტვენა“. ასეთ დროს გამოჩნდა ი. ჭავჭავაძე, რომელმაც შესჩივლა ხალხს: „აი, რა უნდა ეთქო თქვენთვის ბარათაშვილსაო“.

აკ. წერეთელი ი. ჭავჭავაძეს ახასიათებს როგორც ნ. ბარათაშვილის გზის გამგრძელებელს—ცხოვრების ახალი ვითარების შესატყვისად და მსჯელობს მისი პოეზიის ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ. არჩევს რა ლექსს „ხმა სამარადამ“, აკ. წერეთელი ამბობს: „როგორც ლექსი ძალიან სუსტია, მაგრამ ამის ერთ სტრიქონს, ფუთობით რომ მიბოძოთ, ჩვენი ბულბულების ნაწერში, რომელშიაც პოეზიაც იქნება, მარცვლებიც და რითმებიც, არ გავცვლი: და მიზეზიც ის არის, რომ ამ ლექსებში ოცნებას კი ვერა ვხედავთ,

მაგრამ ყოველდღიურს ქეშმარიტებას ჩვენს ნაკლულოვანებას და ჩვენს საჭიროებას [ვხედავთ] და ამისათვის მოგვწონს პოეტი და ამაში მდგომარეობს მისი მაღალი ღირსებაც... თუ ქავჭავაძის ლექსებში მარტო ხელოვნებას მივაქცევთ ყურადღებას, მაშინ მის ლექსებს არ ექნება დიდი ღირსება, მაგრამ ჩვენ მარტო ხელოვნებას არ ვეძებთ (ხელოვნურად ნათქვამი სისულელე და ოცნება, მაინც სისულელე და ოცნება იქნება), ჩვენ ვეძებთ ქვეიან აზრებს და ამას კიდევაც ვპოულობთ ქავჭავაძის ლექსებშიო“.

აქ. წერეთელი კიდევ უფრო მაღალი შეხედულებისაა ი. ქავჭავაძის პროზაზე. მისი თქმით, ი. ქავჭავაძის პროზა თითქმის უნაკლოა: „ჩემის აზრით,—ამბობს ის,—მისი „კაცია ადამიანი!“ და „გლახის ნაამბობი“ ობოლ მარგალიტებად რჩებიან ჩვენს ლიტერატურაში“. და, მართლაც, თუ ისინი ობლად აღარ დარჩნენ შემდეგში, ეს ისევ ი. ქავჭავაძის „ოთარაანთ ქვრივისა“ და აქ. წერეთლის „ბაში-აჩუკის“ წყალობით.

ამგვარად, სრული საფუძველი გვაქვს დავასკვნათ, რომ ნ. ბარათაშვილის და ი. ქავჭავაძის ღვაწლისა და დამსახურების პირველი ქეშმარიტი შემფასებელი აქ. წერეთელია. იგი ყველაზე უფრო ღრმად და სრულად ჩაწვდა სახელოვანი წინამორბედისა და საამაყო თანამოკალმის შემოქმედების იდეურ და მხატვრულ ღირსებებს, აჩვენა მათი მნიშვნელობა ქართული ლიტერატურის განვითარების ისტორიაში.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ყველას მიერ აღიარებული ავტორიტეტის — აქ. წერეთლის გამოსვლას „ცისკრის“ ფურცლებზე ი. ქავჭავაძის დამსახურების საჩვენებლად, მეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კრიტიკული რეალიზმის გაბატონებისა და მოწინავე სოციალ-პოლიტიკური იდეებისათვის მებრძოლ მესამოციანელთა პოზიციების განმტკიცებისათვის.

თვით აქ. წერეთელი, რომელიც „ჩანგურის“ ფურცლებზე ი. ქავჭავაძის გვერდით იყო წარმოდგენილი და რომლის პოეტური ღირსების დამცირება საერთოდ არავის უცდია, თავისმა სტატიამ წარმოაჩინა როგორც საერთო საქმისა და საზოგადოებრივი ინტერესების მაღლა დამყენებელი. ორ ბუმბერაზ ქართველ მოღვაწეს, — ილიასა და აკაკის, — ერთხელაც არ უცდიათ ერთმანეთის ღირსებათა თუნდაც ოდნავ დამცირება. აკაკი ილიას თვლიდა შეუცვლელ იდეურ წინამძღოლად და ნიჭიერ მწერლად, ხოლო ილია აკაკის — უანგარო პატრიოტად და უნიჭიერეს პოეტად.

ნ. ბარათაშვილისა და ი. ქავჭავაძის პოეტური პროფილების დახატვის შემდეგ, აქ. წერეთელი „ჯიბეში ხელჩაწყობილ სწავ-

ლულებს“ მოაგონებს, რომ ტყვილად ფიქრობენ, თითქოს მასალა არ იყოს კრიტიკოსისათვის: „ის კაცი, რომელსაც წინ უდევს რუსთაველი, ბარათაშვილი და ჭავჭავაძე, სტყუა... არაფერი გვაქვსო“. ამიტომ, იგი მკაცრად აყენებს საკითხს კრიტიკის განვითარების აუცილებლობის შესახებ.

1864—65 წლებში, როდესაც ი. ჭავჭავაძე და „საქართველოს მოამბის“ ბევრი სხვა თანამშრომელი მოკლებულნი იყვნენ შესაძლებლობას ებეჭდათ თავიანთი ნაწერები, „ცისკრის“ ფურცლებზე დროდადრო ჩნდებოდნენ მათი აუგად მხსენებელნი. ამიტომ იყო, რომ აკ. წერეთელმა თავისი სტატიით მკითხველს გააცნო იმდროინდელი ლიტერატურის ნამდვილი ვითარება. მაგრამ მისი ბრძოლა ი. ჭავჭავაძის ხაზის დასაცავად და გასაგრძელებლად ამით არ ამოიწურება. მან „ცისკრის“ ფურცლებზე გამოაქვეყნა თავისი ლექსები: „იმერული ნანინა“, „ჩანგურის ძალა“, „მოქრთამე მსაჯულებს გლეხისაგან“, „ვედრება“, „უდარლო კაცი“ და სხვ. ამავე პერიოდში დაწერა და ხალხში ზეპირად გავრცელდა იგავარაკი — „ნადირობა“.

აღნიშნული ლექსები ჩვენთვის საინტერესონი არიან იმდენად, რამდენადაც მათში არის ანარეკლი იმ მწვავე იდეურ-ლიტერატურული ბრძოლისა, რომელიც გაშლილი იყო კონსერვატორულ-ლიბერალური ბანაკის წარმომადგენლებსა და რევოლუციურ-დემოკრატიულ პოზიციებზე მდგომ თერგდალეულებს შორის. საერთოდ, აკაკისათვის დამახასიათებელია პოლემიკური სტატიების ნაცვლად სატირული ლექსების მომარჯვება; ნიჭიერ პოეტს ემარჯვებოდა მოწინააღმდეგის ლექსით გამასპინძლება. თანაც მისი ლექსები სწრაფად ვრცელდებოდნენ და დიდხანს რჩებოდნენ ხალხის ინტერესის საგნად.

ლექსში — „ჩანგურის ძალა“ პოეტი მიმართავს მუზას, რომ მას შემდეგ, რაც იგი მას ესტუმრა, გაუქრა მოსვენება და მოესპო მშვიდობიანი ცხოვრება. „კეთილ კაცთა“ თეთრ კბილებს იქით იგი აღვილად ამჩნევს „შავ ენას“ და მათ შუბლზე სცნობს ფარისეველთ. ამის გამო, ბევრი მტრად გადაჰკიდებია და ძნელადლა პოულობს მეგობარს. ასეთ „კეთილ კაცებს“ აკაკიმ ადრეც უძღვნა ლექსი („ფარისეველი“). პოეტს გულს უკლავს მშრომელი ხალხის მძიმე ხვედრი და ხალხის სისხლისმწოველთა გამრავლება; კანონთა დამცველნი და სამართლის დამდგენნიც ბოზობების მხარეზე არიან („მოქრთამე მსაჯულებს გლეხისაგან“). ასეთ ვითარებაში მყოფი საქართველო, მისი თქმით, ძირს დაცემულსა ჰგავს („ვედრება“). მაგრამ იცის, „რომ დაცემული არის ორგვარი: ერთს სურს

ადგომა, უნდა თავის ხსნა, და მეორე კი — გდია ვით მკვდარი“ პირველი — ებრძვის წამქცევებს და მოელის შველას, მეორე კი — მტერს პირუტყვებზე ემორჩილება“. პოეტს უნდა ბევრი რამ თქვას ამ მხრივ თავისი სამშობლო-ქვეყნის შესახებ, მაგრამ იცის „ბატონს ეწყინება“.

„შემდეგი ახრი სთქვას აქ წერტილმა.  
თორემ ჩემს კალამს არა აქვს ნება...  
უნდა მონებით ჩავიწყვიტო ხმა,  
თორემ ჩემს ბატონს ეს ეწყინება...“

უნდა ჩავყლაპო სიტყვები ძალით,  
გულს თუ დამადგა, არ დავახველო...  
ამას კი ვიტყვი, გინდა მომკალით:  
„ფურთხის ღირსი ხარ შენ საქართველო“.

ასეთი მკაცრი განაჩენი გამოაქვს აკ. წერეთელს დაცემასა და მორჩილებას შეგუებული საქართველოს მიმართ. მაგრამ მან კარგად იცის, რომ არის მეორე საქართველოც, რომლის წარმომადგენელი თვითონ პოეტია, ამიტომ გადაგვარებულ თანამემამულეთ აფრთხილებს: ნუ ამბობთ „მამული მიყვარს“, „ქრისტიანი ვარ“, „მამაცი ვარ“ („ჩუ, ქართველო“).

პოეტი ზიზლით იხსენიებს და ცხოველთ ადარებს იმ „განათლებულ“ და ბობოლა ქართველთ, რომლებიც სამშობლოს მძიმე მდგომარეობით სარგებლობენ და პირადი ბედნიერებისათვის ბევრ ცუდ საქმეს ჩადიან. ოსტატურად დაწერილ იგავში („ნადირობა“) პოეტს ვირის, ღორის, მელასა და მგლის სახით გამოყვანილი ჰყავს სწორედ ასეთი „პატრიოტები“. თანაც იმაზე მიუთითებს, რომ ჯერ მათთვის ვერავის გაუბედნია რამ, „რადგან თვითონ ლომი წყალობთ“. ცხადია, „ლომში“ ის გულისხმობს მეფეს და მის მთავრობას, მაგრამ სჯერა, რომ „ლომსაც მოუჭა დრო“ და მოძებნის სოროს; მაშინ კი ის ძალღებიც შეუყფვენ, რომლებიც ახლა ფეხებს ულოკავენო.

როგორც ჩანს, იგავში ბევრს უცვნია თავისი თავი და ზოგიერთ მათგანს არც დაუმალავს. მეტად საინტერესოა ის მოგონება, რომელსაც პოეტი ამ ლექსთან დაკავშირებით გვაცნობს. აკაკი მძიმე მდგომარეობაში ჩაუყენებიათ იმ პირებს, რომლებსაც დაუნდობლად ამათრახებდა. ეს შეუტყვია ერთ მის პატივისმცემელს, რომელსაც სასტუმროც ჰქონია, და პოეტისათვის უთქვამს: „ნუ გეშინიან! ფიქრი ნუ გაქვს! ნუ დაზოგავ ამ მუქთახორა ხალხს,

ეგრე რომ გდევნიანო. გადმობი ჩემთან... ყველაფერი უზრუნველი გვექნებაო“. „ქონებრივად ხელგამობრუნებულს, — წერს აკაკი, ზნეობრივი გამხნეებაც მექირვებოდა და ესეც ვიპოვე ნიკოლაძისა და ხელთუფლიშვილის ოჯახებში. მათთან ერთად გადავწვიტი მაშინ, რომ რაც უნდა დამმართოდა, არ გადამეხვია არჩეულ გზისათვის... აღარავის ვზოგავდი, ვისაც კი შეენიშნაედი საზოგადო უკუღმართობას, და არავის ვეპუებოდი; სხვათაშორის მაშინ დაიწერა ეს ლექსიც „ნადირობა“.

ამ ლექსში გამოხატულები იყვნენ მაშინდელი გავლენიანი ბობოლა პირები, მაგრამ მე რომ თითო მქონდა სახეში, მოდავე ას-ასი გამოუჩნდა. ყველა თავის-თავზე იწერდა და ატყდა ვაი-უშველებელი. მათმა მრისხანებამ ჩემზე უმწვერვალესობამდე მიაღწია, მხოლოდ ერთი ამათვანი, სპირილონ მაქავარიანი, გენერალი, სხვანაირად მომექცაო“. იგი აღწერს, თუ როგორ მივიდა მასთან ეს გენერალი და განუცხადა: „საჩხუბრად და სასაყვედუროდ მე არ მოვდივარ შენთან! მინდა რომ... მეგობრულად გესაუბრო... ეს რა ლექსი დაგიწერია, რომ ქვეყანა ააყაყანე? თუძეცა ზეც მელიად გამოგიყვანივარ, მაგრამ მაინც... მოწმონს... ის კი არ არის მართალი, რომ მე „არც მტერსა და არც მოყვარეს არ ვარჩევ“... სხვა კი შეგიძლია თქვა... ის არც ჩემთვის არის უცხო... მაგრამ თვალი დაუდგეს დროსა და ვითარებას... ჩემი ბნელი ცხოვრების გზა გამივლია... და ახლა ახალ გზაზე დადგომას... ველარ მოვახერხებ. მაგრამ მომავალი დროის მახარობელ მერცხლებად ვისაც კი ვხედავ, თანაუგრძნობო“. მას ისიც უთქვამს პოეტისაწოვის, რომ „შენმა მგელმაც“ იცნო თავისი თავიო.

ეს პატარა დეტალიც იმაზე მეტყველებს, თუ როგორი რეზონანსი ჰქონდა აკაკის ლექსებს და როგორ ზუსტად ხედებოდნენ მიზანს პოეტის მიერ ოსტატურად ნატყორცილი სატირა, ეპიგრამა და იგავები.

აკ. წერეთელმა, პირველმა ჩვენს მწერლობაში, ქართველი გლეხის შვილებს მიულოცა ბატონყმობის მოსპობა და, დედის ნაინინასთან ერთად, აკვანში ჩასძახა ახალი ეპოქის დადგომა. მისი „იმერული ნაინინა“, რომელსაც პოეტმა გაუკეთა შენიშვნა: „უძღვნი საბატონო ყმების ახალშობილ შვილებს“, გამოქვეყნდა „ციცკრის“ 1864 წლის მაისის ნომერში, ე. ი. ჯერ კიდევ მანამ, სანამ საქართველოში ბატონყმობის გაუქმება ოფიციალურად გამოცხადდებოდა. აღნიშნული ლექსი პოეტს დაუწერია ჯერ კიდევ 1862 წელს, როცა საქართველოში სანაზღისი დაიწყო ბატონყმობის გაუქმების პირობების შესამუშავებლად. ლექსი მალე გავრცე-

ლებულა ხალხში და სხვადასხვა ვარიანტებიც გასჩენია. პოეტი გვიამბობს, რომ ამ ლექსის გამო „აუტანელი შეიქნა ჩემი ცხოვრება: ჩამოვშორდი დედ-მამას, ოჯახს... ცოლშვილი საყოლში გავისტუმრე და მე გავკერპდი, ავიღე საპირადო ცხოვრებაზე ხელი, განზე გადავდევი ყველაფერი და აშკარად შევეუდექი ჩემს გზას, რაც დამემართოს, დამემართოს მეთქი.

და ამის შემდეგ, ორჯერ-სამჯერ სიკვდილს გადაარჩენილს, მოთმინება ფარად მქონდა და თითონ კი უშიშრად ვუყუფედი ყოველჯერ ცუდ მოვლინებას ჩვენშიო“.

„იმერულ ნანინაში“ პოეტი დედის პირით მიმართავს ახლადშობილ გლეხის შვილებს, რომ მამის ბედის არ არიან და სხვა ბედი ელით; რომ გაიზრდებიან თავისუფალნი და ბატონი ველარ შეაწუხებთ. გახარებული დედები თავიანთ პატარებს ულოცავენ, რომ დიდი კაცის შვილებთან ერთად ისწავლიან სკოლაში და აფრთხილებენ — „ძველ ბატონის შვილს სწავლაში ნუ ჩამორჩებითო“; ისინი იმედოვნებენ, რომ ბატონის ულლიდან გათავისუფლებულთ ჩინოვნიკებიც ველარას დააკლებენ. მაგრამ მათ აკისრიათ მაღალი ვალიც: თავიანთი სწავლა-განათლებით უნდა იხსნან „დაჩაგრული ძმები“. აკაკის „იმერული ნანინა“ მართლაც აკვანთან სასიმღერო ლექსად იქცა და მთელი გულით შეიყვარა იმედგაღვიძებულმა მშრომელმა ხალხმა.

„იმერული ნანინას“ „ცისკრის“ ფურცლებზე დაბეჭდვა აკაკის დიდი ავტორიტეტის შედეგი იყო, თორემ „ცისკრის“ „ბურჯები“ თვალებდანამულნი ხვდებოდნენ ბატონყმობის მოსპობას. ყოველი გზა დახშული იყო, რათა პირუთენელი შეფასება მისცემოდა გლეხთა განთავისუფლების ფაქტიურ ვითარებას საქართველოში. მაგრამ ამ საკითხზე გერცენის „კოლოკოლის“ ფურცლებიდან გაისმა ნ. ნიკოლაძის გაბედული ხმა.

#### 4

სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ერთ წელსაც კი არ გაუვლია, რომ ნ. ნიკოლაძე კვლავ პეტერბურგში გაემგზავრა. იქ იგი დაუკავშირდა გაზეთ „Народное богатство“-ს და მისი ახლო თანამშრომელი გახდა. ერთ-ერთ გამოუქვეყნებელ ავტობიოგრაფიულ წერილში ის წერს: „Мало-помалу, будучи попеременно и сотрудником, и корректором, и наборщиком, и экспедитором газеты, я, сам не знаю как, очутился ее фактическим редактором, вероятно за недосугом и безденежьем ее издателя. Под конец я был и передовиком, и критиком, и

ჟურნალისთვის, რომელიც გამოდიოდა ვორონოჟის რაიონის „საბჭო“ გაზეთის მეშვეობით, რომელიც იმ დროს იყო უკვე დაკარგული. ამის შესახებ ვიხსენებ, რომ 1864 წელს, როდესაც მე და ჩემი მეგობრები ვიწვევით ვორონოჟის რაიონის „საბჭო“ გაზეთის რედაქციას, რომელიც იმ დროს იყო უკვე დაკარგული, და ვთხოვეთ, რომ ჩემი ნაშრომები გამოგვადგინოთ. მაშინვე მოგვცა ჩემი ნაშრომები და ჩემი მეგობრების ნაშრომებიც. ამის შემდეგ ვიხსენებ, რომ 1864 წელს, როდესაც მე და ჩემი მეგობრები ვიწვევით ვორონოჟის რაიონის „საბჭო“ გაზეთის რედაქციას, რომელიც იმ დროს იყო უკვე დაკარგული, და ვთხოვეთ, რომ ჩემი ნაშრომები გამოგვადგინოთ. მაშინვე მოგვცა ჩემი ნაშრომები და ჩემი მეგობრების ნაშრომებიც.

1864 წელს, ნ. ნიკოლაძე სწავლის გასაგრძელებლად მიემგზავრება საზღვარგარეთ, სადაც მკვიდრო ურთიერთობას ამყარებს რუს რევოლუციონერ ემიგრანტებთან. მას ჩვენ ვხედავთ პარიზში, ლონდონში, ენევესა და ციურხში; ამასთან ყველგან და ყოველთვის მოწინავე წრეებში ტრიალებს, მთელი გატაცებით ცდილობს რაიმე სარგებლობა მოუტანოს საერთო საქმეს და გაავრცელოს საყვარელი მასწავლებლის — ნ. გ. ჩერნიშევსკის მიერ შთაგონებული იდეები.

პარიზში მყოფ ნ. ნიკოლაძეს ახლო ურთიერთობა დაუმყარებია გერცენთან და ოგარიოვთან. 1864 წელს იგი მოუნახავს თვით გერცენს, რომელიც, როგორც ჩანს, უკვე იცნობდა მას გამოქვეყნებული სტატიებითა და სხვების მონათხრობით. ადრევე შექმნილ კარგ შთაბეჭდილებას შეიძლებოდა მხოლოდ აქედან იხსენიოთ საგანგებოდ ეძებნა ნ. ნიკოლაძე პარიზში და „კოლოკოლი“ თანამშრომლობა შეეთავაზებინა. მათ შორის პირველად მართლაც კარგი ურთიერთგაგება დამყარდა. ნ. ნიკოლაძე გადმოგვცემს: „За ту зиму и весной 1865 года Герцен навещал меня во время каждого своего проезда через Париж“.

ნ. ნიკოლაძესთან მოლაპარაკება უწარმოებია ოგარიოვსაც, რომელსაც დაწერილებით განუხილავს მასთან, თუ რა საკითხებზე აინტერესებდათ „კოლოკოლის“ რედაქტორებს მიეღოთ მისგან მასალა. ამ მოლაპარაკების შემდეგ „კოლოკოლის“ ფურცლებზე (1865 წლის 15 ივნისისა და 1 ივლისის ნომრებში) გამოქვეყნდა ნ. ნიკოლაძის სტატია — „გლეხთა განთავისუფლება საქართველოში“ („Освобождение крестьян в Грузии“), ფსევდონიმით — „Рио-Нели“. სტატიის პირველი ნაწილის გამოქვეყნების დღესვე



გერცენმა ოგარიოვს წერილით აცნობა: „Грузинская статья очень хороша“<sup>1</sup>.

საერთო მნიშვნელობის ბევრ საინტერესო საკითხთან ერთად, ნ. ნიკოლაძე თავის სტატიაში ეხება ქართველი ხალხის სოციალ-პოლიტიკური ცხოვრების უაღრესად მნიშვნელოვან მოვლენებს.

რეფორმები, რომელთა გატარება მთავრობამ საქიროდ დაინახა, ამბობს ნ. ნიკოლაძე, იმითაა საყურადღებო, რომ იგი გამოხატულებაა ხალხის თვითშეგნების ზრდისა და სახელმწიფოებრივი წყობილების ძველი შენობის სისუსტისა.

ყირიმის ომის შემდეგ, — წერს ნ. ნიკოლაძე, — „მიუხედავად რუსეთის ბატალიონების ენერგიული მოქმედებისა... საქართველოს პოლიტიკური ცხოვრება რაღაც ათიოდე წლის განმავლობაში არაჩვეულებრივი ძალით განვითარდა და თავისი ბედ-იღბალი თანდათან გლახთა საკითხის... გადაჭრას დაუკავშირა“.

გლახთა ეკონომიური მდგომარეობა, ნ. ნიკოლაძის თქმით, საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ, გაუმჯობესების ნაცვლად, კიდევ უფრო გაუარესდა; ვინაიდან მეფის მთავრობამ კიდევ მეტად განამტკიცა უფლებები თავადაზნაურებისა, ამ „მუქთახორა პარაზიტებისა“. გლახობამ ბრძოლა გამოუცხადა თავადაზნაურთა აღვირაბსნილობას, თუმცა ამ უკანასკნელთა დაცვას მთავრობა კისრულობდა. „მაგრამ, — წერს იგი, — საქმე თავისი გზით მიიმართებოდა: იმერეთის აჯანყების (1820 წ.) მარცხმა ვერ შეაჩერა გურიის აჯანყება 1841 წელს, კიდევ უფრო ნაკლებად შეაჩერა გლახთა მოძრაობა 1855 — 1862 წლებში“. გლახთა აჯანყებების „ერთადერთი მიზეზი — ბატონყმობა იყო, ხოლო ერთადერთი მიზანი — მისი მოსპობა“, — ამბობს ნ. ნიკოლაძე. ამიტომ „მთავრობამ ხელი მიჰყო მის განხორციელებას ზემოდან, რათა შეეფერხებინა მისი განვითარება ქვემოდანო“. იგი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ბატონყმობის გაუქმების ცნობილი პირობები მთავრობის და მაღალი წოდების ინტერესებს აკმაყოფილებდნ და არა გლახობის ნამდვილ მოთხოვნილებებს.

საქართველოში, ნ. ნიკოლაძის შეხედულებით, მსგავსად ევროპის და რუსეთისა, წარმოებს „მშრომელ-ლატაკთა სოციალური ბრძოლა“ მუქთახორა მდიდრების წინააღმდეგ. მშრომელი ხალხი ვეღარ იტანს იმას, რომ იგი ეკონომიურად და პოლიტიკურად დამოკიდებულია პარაზიტებზე, თანაც შრომა ითვლება „დამცირებასა და არარაობის სათავედ“.

<sup>1</sup> А. И. Герцен. Соч., т. XVIII, стр. 146.

ნ. ნიკოლაძე სამარცხვინო ბოძზე აკრავს საზოგადოებრივი ცხოვრების იმ უხამს ფორმას, რომლის დროსაც ადამიანის ღირსება, სახელი და პატივისცემა შეფარდებულია „არა შრომასა, ნიქსა და დამსახურებასთან, არამედ შთამომავლობასა, ტიტულსა, სიმდიდრესა და საკუთრების რაოდენობასთან“, — რის გამოც ადამიანს არ შეუძლია თავი დააღწიოს იმ მდგომარეობას, „რომელშიც ის შთამომავლობის მიხედვით მოექცა“. ასეთი არაადამიანური მდგომარეობის სიმძიმემ კი ხალხი აამხედრა შეუსაბამო საზოგადოებრივი ორგანიზაციის წინააღმდეგო.

ნ. ნიკოლაძის შეხედულებით, ქართველ ხალხს ჯერ კიდევ არა აქვს სრულად შეგნებული თავისი მძიმე მდგომარეობა და კარგად ვერ იცნობს მის წინააღმდეგ ბრძოლის საჭირო იარაღს, მაგრამ მაინც იცის, რომ ასე ცხოვრება შეუძლებელია. ამ სტრიქონების დამწერმა, — ამბობს ის, — „სხვებზე კარგად იცის, რომ ქართველ ხალხს, როგორც ყველა სხვა ხალხსაც, მთლად არა აქვს გარკვეული უქუღმართობის ყოველი წვრილმანი და ზედმიწევნით არ იცნობს მის წინააღმდეგ გამოსაყენებელ იარაღს, მაგრამ ხალხს ერთი რამ კარგად აქვს შეგნებული: ...სჯობს დაიღუპოს იგი, ვიდრე ეფლობოდეს იმ ქაობში, რომელიც მას ნელ-ნელა სისხლსა სწოვს და ძალ-ღონეს აკლის“. ამ შეგნების შედეგი იყო ის, რომ გლეხთა განთავისუფლების შესახებ ხმის გავარდნამ „ცეცხლს ნავთი გადაასხა და გლეხთა მოძრაობა უკიდურესად გაძლიერდაო“.

ნ. ნიკოლაძე „კოლოკოლის“ მკითხველს აცნობს იმასაც, რომ იმპერატორმა ალექსანდრე მეორემ განსაკუთრებული მზრუნველობა გამოიჩინა კავკასიის თავადაზნაურების მიმართ და ბატონყმობის გაუქმების საქმე კავკასიაში შემდგომი დროისათვის გადასდო. 1861 წლის სექტემბერში იმპერატორმა ქართველ თავადაზნაურობას თვითონ განუცხადა: „საქართველოში არსებული წყობილების არაავითარი ცვლილება არ მომიხდენია და ამას არც ვაპირებ, ჯერ ამის დრო არ დამდგარაო“\*.

„მთავრობა, — წერს ნ. ნიკოლაძე, — მართლაც კარგა ხნით აპირებდა ქართველი გლეხების განთავისუფლების გადადებას. მაგრამ... გლეხთა მღელვარება დღითი-დღე ძლიერდებოდა... 1862 წელმა ისე განვლო, რომ მთავრობამ არაფერი ითავა... 1863 წელს

\* როგორც ნ. ნიკოლაძე მიუთითებს, „ამ სიტყვის გამო მთელს საქართველოში გავრცელდა ცნობილი ხალხური სიმღერა — „მეგონა, მეგონა, ასე როდი მეგონა, თუ ხელმწიფე ტყუილს იტყვის, ასე როდი მეგონა“.

პოლონეთის აჯანყებამ რუსეთს ევროპის ომის საფრთხე მოუვლინა; რუსეთის მთავრობამ ელდანაკრავივით მოიგონა სამეგრელოს ლალატი (მხედველობაში აქვს თურქეთთან ომი — დ. გ.) ფაცი-ფუციტ დეპეშა-დეპეშაზე აფრინა ტფილისში... და აიძულა კავკასიის მმართველობა, რომ გლახთა განთავისუფლების თუნდაც რამდენიმე პროექტი წარედგინა“.

1862—63 წლებში მთელი ყურადღება მართლაც ასეთი პროექტების შედგენისადმი იყო მიმართული. აღმოსავლეთ საქართველოს თავადაზნაურთა ყრილობამ რეფორმის პროექტის შედგენა დიშ. ყიფიანს მიახლო. თავადაზნაურობა აღშფოთებით ხვდებოდა ყოველ მოსალოდნელ ცვლილებას ბატონყმური დამოკიდებულების საქმეში და პროექტის ავტორებს ატყობინებდნენ თავიანთ შეხედულებებს. „დ. ყიფიანი დარწმუნებული იყო, რომ მეფე თავადაზნაურობის ინტერესებს არ უღალატებდა. გამოდიოდა რა რეფორმის საერთო დებულების დედააზრიდან, იგი თავის მოხსენებაში მიუთითებდა, რომ ყმათა განთავისუფლება მომხდარიყო უმიწოდ. მიწა მთლიანად მემამულეებს უნდა დარჩენოდათ. და რადგან ყმა მებატონის სრულ საკუთრებას წარმოადგენდა, მემამულეებს, ყმათა პირადი თავისუფლების გამო, ამ საკუთრების ეკვივალენტი ფულად უნდა მიეღოთ“<sup>1</sup>.

ამიტომაც, რომ ნ. ნიკოლაძე თავის სტატიაში შენიშნავს: ბატონყმური ურთიერთობის მოსპობისათვის ამგვარი სამზადისით „კმაყოფილი იყო მხოლოდ ბ. დიშ. ყიფიანის მსგავსი რამდენიმე პირი; მათ გლახთა ცხოვრების რეფორმა მარჯვე პროექტებისა ან „კეთილგონიერი რჩევის“ სამაგთეროდ წარჩინებისა და დაჯილდოების სათავედ მიიჩნის. მაგრამ ამ ვაებატონებზე ლაპარაკიც კი არა ღირს“.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ როცა ნ. ნიკოლაძე თავის სტატიას აქვეყნებდა, ბატონყმობის გაუქმება მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოში იყო მომხდარი და თუ როგორ ნელა და დიდი წინააღმდეგობით მიმდინარეობდა გლახთა განთავისუფლება საქართველოში საერთოდ, ამაზე მეტყველებს ის გარემოებაც, რომ იგი დაიწყო მხოლოდ 1864 წლის ოქტომბერში და დამთავრდა 1871 წელს. ამ კონკრეტულ-ისტორიული ვითარების გათვალისწინებას შეუძლია მხოლოდ მოგვეცეს სრული წარმოდგენა იმ დიდ მნიშვნელობაზე, რომელიც ჰქონდა ქართველ სამოციანელთა ბრძოლას ბატონყმური სისტემის წინააღმდეგ; მის საფუძვლიან გათვა-

<sup>1</sup> ა. კივიცი. საქართველოს ისტორია (XIX ს.), 1954, გვ. 278.

ლისწინებას შეუძლია, აგრეთვე, მართებული დასკვნები გაგვაკეთებინოს ქართველ რეალისტთა მხატვრული შემოქმედების როლზე ძველი საზოგადოებრივი ცხოვრების შეცვლისა და გარდაქმნისათვის ბრძოლაში. გარეშე ამისა, ჩვენ სათანადოდ ვერ შევაფასებთ გ. ერისთავის, ზ. ანტონოვის, დ. ქონქაძის, რ. ერისთავის, ი. ქაეკავაძის, აკ. წერეთლის, გ. წერეთლის, ანტ. ფურცელაძის და სხვათა რეალისტური მემკვიდრეობის მნიშვნელობას ჩვენი ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზრის განვითარების ისტორიაში.

ქართველი სამოციანელები თავიანთი შეხედულებების გამოთქმას, პირველყოფლისა, მხატვრული შემოქმედების სფეროში ახერხებდნენ. საქართველოს სინამდვილეში უკეთესი საშუალება არ მოიპოვებოდა მოწინავე იდეების პროპაგანდისათვის; კრიტიკულ-პუბლიცისტურ წერილებში შედარებით მკრთალად და ეზოპეს ენით თუ შეიძლებოდა ყოველივე მისი გადმოცემა. ამ ხარვეზის რამდენადმე მაინც შევსება პუბლიცისტიკაში ნ. ნიკოლაძემ იკისრა, საზღვარგარეთული რუსული ლეგალური პრესის წყალობით.

ამიტომაც, რომ სტატიაში — „გლახთა განთავისუფლება საქართველოში“ ნ. ნიკოლაძე არ იფარგლება საკითხის ვიწრო გაშუქებით. ამ მეტად საყურადღებო მოვლენის შეფასებას იგი ახდენს პოლიტიკური თვალსაზრისითაც და მტკიცედ უკავშირებს მას ქართველი ერის სასიცოცხლო მნიშვნელობის სხვა საკითხებს.

ნ. ნიკოლაძე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „ქართველი ხალხი დღითიდღე და უფრო და უფრო მეტად იმსკვალება თავისი ეროვნული დამოუკიდებლობის იდეით“. მაგრამ, მისი შეხედულებით, ამ იდეის ნაჩქარე განხორციელებაზე ზოუნვამ ქართველი ხალხი შესაძლებელია მიიყვანოს „იმ სასაკლაოზე, სადაც ამასწინათ ტყავი გააძრეს პოლონეთს“. ქართველ ხალხს კარგს ვერაფერს მისცემს ის, რომ „საფრანგეთის ან ინგლისის მფარველობა მოიპოვოს“. ამ გზით ის „საკმაოდ დიდი ხნით დაჰკარგავს თავის იმედებს იმის შესახებ, რომ წარმატებით გადაიქრას სამართლიანი და გონიერი საზოგადოებრივი წყობილების ის საკითხი, რომელიც მას აღელვებს“. ასეთ შემთხვევაში, მისი თქმით, „ევროპის სახელმწიფოები დაუყონებლივ შეუდგებოდნენ საქართველოს ცივილიზებას აღვირის მსგავსად, ან მის ექსპლოატაციას ჩნდოჩინეთის მსგავსად“.

როგორც ვხედავთ, ნ. ნიკოლაძე სრულიად სამართლიანად იბრძვის სეპარატივიზმის და კიდევ უფრო მეტად — ევროპის ქვეყნებთან საქართველოს დაკავშირების იდეის წინააღმდეგ. მას კარგად

აქვს გათვალისწინებული, თუ რა ხეიღრი მოელოდა საქართველოს, თუ ის, ნაცვლად რუსეთისა, თავის მომავალს დაუკავშირებდა საფრანგეთის ან ინგლისის სახელმწიფოებს. მან იცის, რომ ასეთ შემთხვევაში ის გაიზიარებდა ალჟირის ან ინდოჩინეთის ბედს. ამიტომ იგი იცავს და აღიარებს რუსეთთან მჭიდრო კავშირის აუცილებლობას. ასეთი შეხედულების შემუშავებისას ის ხელმძღვანელობს იმით, თუ რა შემთხვევაში უფრო ჩქარა მიიღწევეს საქართველო სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წყობილების სასურველ ფორმას.

მაგრამ, როგორ წარმოუდგენია ნ. ნიკოლაძეს ეს ფორმა? „საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების ერთადერთ ფორმას, — ამბობს ის, — რომელსაც შეუძლია ნამდვილი სარგებლობა მოუტანოს საქართველოს, წარმოადგენს მიწისა და ყოველგვარი სხვა საქუთრების სათემო განაწილება, აგრეთვე ხალხის შრომისა და სახელმწიფოს მართვა-გამგეობის სათემო ორგანიზაცია“. მხოლოდ ასეთ წყობილებას შეუძლია, მისი შეხედულებით, ხელი შეუწყოს ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებას, რაც, თავის მხრივ, იმოქმედებს მის გონებრივ და ზნეობრივ განვითარებაზე.

გამომდინარე აქედან, ნ. ნიკოლაძე დაასკვნის: „საუკეთესო სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წყობილების იდეალი, ჩვენის აზრით, ყველაზე ადრე რუსეთისათვის არის განსახორციელებელი, რადგან ამ წყობილების მთავარი პრინციპი — თემობრიობა, შეძლებისამებრ, რუსის ხალხმა შეინარჩუნა. რუსეთის თემი იდეალად არ მიგვაჩნია, მაგრამ იგი უფრო ბევრად შეეფერება ჩვენს წარმოდგენას საზოგადოებრივი წყობილების შესახებ, ვიდრე დასავლეთ ევროპაში გაბატონებული ინდივიდუალიზმის პრინციპით“. თანაც იქვე შენიშნავს, რომ, განსხვავებით „კოლოკოლის“ გამომცემლობისაგან ის უიმედოდ არ უყურებს არც ევროპის მომავალს მისი „თანამედროვე მოუწესრიგებლობის გამო“. მას სწამს, რომ ევროპაც „მიიღწევეს სასურველ იდეალს, თუმცა თეორიულად მთლიანად არ დაუმუშავებიათ იგი ევროპის მოაზროვნეებს. მაგრამ ევროპის მუშაობა მეტის მეტად ძნელია... იგი კიდევ დიდხანს უნდა ეწელოს, რუსეთი კი... თუმცა განთავისუფლებული არ არის ამ მუშაობის სიძნელისაგან, მაგრამ ამ მუშაობას გაცილებით უფრო ადვილად გაუძღვება და სასურველ მიზანს ბევრად უფრო ადრე მიიღწევეს, ვიდრე თანამედროვე მოძრაობა ევროპაში“.

როგორც ვხედავთ, ნ. ნიკოლაძეს სჯეროდა, რომ ევროპა უფრო გვიან მიაღწევდა სასურველ საზოგადოებრივ წყობილებას, ვიდრე რუსეთი. ამის მიზეზს იგი იმაშიც ხედავდა, რომ ევროპის მოაზროვნეებს ჯერ კიდევ არ ჰქონდათ გარკვეული სასურველი იდეალამდე მისვლის გზა. რაც შეეხება რუსეთს, ნ. ნიკოლაძე ვარაუდობს, რომ მისი განვითარების შემდგომი გზა უკვე გარკვეული აქვთ რუს მოაზროვნეებს (ცხადია, მას, პირველყოვლისა. მხედველობაში ჰყავს ნ. ჩერნიშევსკი). „ამ მოსაზრებათა გამო ჩვენ ვფიქრობთ, — წერს ნ. ნიკოლაძე, — რომ რაკი საქართველო თავის სეე-ბედს თუნდაც თანამედროვე რუსეთს დაუკავშირებს. იგი უფრო ნალე მიაღწევს თავის მდგომარეობის საუკეთესოდ მოწყობას, ვიდრე მაშინ, როცა მას მოკავშირედ ან მფარველად ეყოლება (აღარაფერს ვამბობთ მფლობელობაზე) ევროპის რომელიმე ერი, რომ არაფერი ვთქვათ ოსმალეთსა ან სპარსეთზე, რომლებსაც საქართველოში არცერთი საღად მოაზროვნე ადამიანი მოწადინებულ ი არ არისო“.

ნ. ნიკოლაძის შეხედულებით, საქართველოს დამოუკიდებლობის მისაღწევად ჯერ კიდევ არაა შექმნილი შესაფერი პირობები, ხოლო დასავლეთისა და აღმოსავლეთის ქვეყნებთან დაკავშირება მას კარგს ვერაფერს მოუტანს; ამიტომ უმჯობესია მეგობრობა რუსეთთან, და კარგი იქნებოდა „თვით რუსეთის გარდაქმნის მოლოდინში ქართველი ხალხი გასცნობოდა როგორც რუსეთის სათემო მიწათმფლობელობასა, ისე საერთოდ მთელი სოციალური წყობილების ძირითად პრინციპებს“.

ცხადია, ნ. ნიკოლაძე არ უარყოფს ეროვნულ-გამათავისუფლებელ ბრძოლას და მის როლს ქართველი ხალხის უკეთესი მომავლის საქმეში, მაგრამ მას მიაჩნია, რომ ეს ბრძოლა უნდა ემყარებოდეს არა სეპარატივიზმის იდეას, არამედ გამათავისუფლებელი ბრძოლის წარმატებას თვით რუსეთში. იგი გამოდის რუს ხალხთან მეგობრობისა და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლის იდეიდან.

თვითმპყრობელობა მტერია მშრომელი ხალხისა, მეფე ხალხის მოტყუებას ცდილობს, — ასეთია ნ. ნიკოლაძის ცალკეული დასკვნები, გამოთქმული საქართველოში გლეხთა განთავისუფლების საკითხთან დაკავშირებით.

ახალ „კანონმდებლობას“ („Законоположения о крестьянах, вышедших из крепостной зависимости в Тифлисской губернии“), ამბობს ნ. ნიკოლაძე, მხედველობაში აქვს არა გლეხთა

მდგომარეობის შეცვლა და გაუმჯობესება, არამედ ახლანდელი „status quo“-ს განმტკიცება და მისი მთავარი საფუძვლის საუკუნოდ დაკანონება. „რადგან ბატონყმობის კვლავ ხელუხლებლად დატოვება ყოველად შეუძლებელი იყო, — წერს ის, — რუსეთის მთავრობამ, რუსეთის ბნელეთის მოციქულობის ისტორიაში სახელგანთქმული ნ. ბეზობრაზოვის რჩევით, გლახა საკითხის გადაჭრა საქართველოში იმით დაამთავრა, რომ ყმა გლეხებს სახელი შეუცვალა და უწოდა მემამულეთა მიწებზე დასახლებული გლეხები. მთავრობამ ეს რუსეთშიც ვერ გაბედა...“

რაც შეეხება ხალხისათვის საჭირო მიწას, ის მემამულეს მისცეს, ან მის ხელში რჩებაო“.

კულმოკვეცილი რეფორმა, ნ. ნიკოლაძის აზრით, საქართველოში კიდევ უფრო მაინჯად გატარდა, და თუ მთავრობამ ვისიმე მდგომარეობა გააუმჯობესა, „ყოველ შემთხვევაში, არა გლეხობისა, არამედ უფრო თავადაზნაურობისაო“.

მოჰყავს რა ცალკეული ადგილები ახალი „კანონმდებლობიდან“, ნ. ნიკოლაძე კონკრეტულად აჩვენებს მათ ნამდვილ შინაარსს და აღშფოთებული ამბობს: „სტამბის მელანმა აიტანა და არ გაწითლდა, როცა დღის სინათლეზე გამოჰქონდა მძარცველობისა და ყაჩაღობის, სიყალბისა და დანაშაულობის დაკანონება! კიდევ გამოჩნდებიან სკეპტიკოსები და სასწაულს არ ირწმუნებენო!“

ნ. ნიკოლაძის თქმით, მთავრობა აცხადებს, რომ შესაძლებელია გლეხთა უმიზეზოდ აჯანყება რომელიმე სააგიტაციო კომიტეტის მითითებით, რის გამო აქ აჯანყებების ჩანასახს ის ხშირად „კოლოკოლის“ საქმიანობაში ეძებს, ნაგრამ ასეთი „თეორიით“ მას მხოლოდ ბ. გრობეკი და მისი მსგავსი ლიბერალები შეუძლია შეაცდინოსო. „თქვენი მალაღმარდოვანი სიტყვებით, — მიმართავს თავისი სტატიის დასასრულს ნ. ნიკოლაძე მთავრობას, — „გოლოსის“ და „ოტჩინესტვენნიე ზაპისკის“ რომელიმე მოლიბერალო პუბლიცისტი მოხიბლეთ, ხალხს კი მიწა სჭირდება, თავისი შრომით ცხოვრების უზრუნველყოფა, შრომის თავისუფლება და პირადი თავისუფლებისა და მისი ოჯახის ხელუხლებლობის გარანტია ადმინისტრაციული და ყოველგვარი სხვა თავნებობისაგან. მას სჭირდება ამოკრჩეული სასამართლო და ბევრი რამ სხვა, რაც თქვენ მას არ მიეცით, არ გასურთ მისცეთ და არც შეგიძლიათ მისცეთო“.

ნ. ნიკოლაძის სტატია „გლეხთა განთავისუფლება საქართველოში“ გამოხატავდა არა მარტო ავტორის, არამედ პროგრესულად მოაზროვნე ყველა მოღვაწის შეხედულებებს. ამ სტატიის

მთავარი ღირსება ისაა, რომ მასში ეს შეხედულებები გამოთქმულია აშკარად და პირდაპირ. დაკვირვებული მკითხველი სრულიად ბუნებრივად მიიჩნევს, რომ გერცენმა მისი წაკითხვისთანავე გაუზიარა თავისი შთაბეჭდილება ოგარიოვს: „Груэинская статья очень хороша“. არც ისაა გასაკვირი, რომ რეაქციონერმა ჟურნალისტმა მ. კატკოვმა იგი თავისი შოენინისტური მიზნებისათვის გამოიყენა<sup>1</sup>, ხოლო უშუალოდ განაწყენებულმა დიმ. ყიფიანმა ბანი დააწია<sup>2</sup>.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ „კოლოკოლს“ საქართველოშიც ღებულობდნენ და მასში მოთავსებული წერილები არ რჩებოდნენ „ხმად ღალადებისად უღაბნოსა შინა“. ნ. ნიკოლაძის სტატიას არანაკლები რეზონანსი ჰქონდა საქართველოში, ვინემ ქართულ ჟურნალში გამოქვეყნებულ სტატიებს. ამას მოწმობს თუნდ დ. ყიფიანის გაცხარება. მაგრამ დ. ყიფიანი, ცხადია, მარტო არ იყო, იგი მაღალი წოდების ინტერესების გამომხატველია, თანაც ლიბერალურ პოზიციებზე მდგომი. სხვები კიდევ უფრო უკმაყოფილონი იყვნენ ნ. ნიკოლაძის სტატიით. სამაგიეროდ, თავისი გაბედული მსჯელობით ნ. ნიკოლაძე ეხმარებოდა ქართველ თანამოაზრეებს, რომლებსაც უშუალო ბრძოლის წარმოება უხდებოდათ ბატონყმური სისტემის დამცველ ბობოლებთან.

ნ. ნიკოლაძე ფხიზლად აღევნებდა თვალს იმ იდეურ-ლიტერატურულ ბრძოლასაც, რომელიც მაშინ ჩვენში მიმდინარეობდა „თერგდალეულებსა“ და კონსერვატორულ-ლიბერალურ ბანაკს შორის. მას გადაუწყვეტია თავისი ავტორიტეტული სიტყვა ეოქვა ამ მიმართულებითაც; 1865 წლის ივნისში, ნ. ნიკოლაძეს ჟურნალ „სოვრემენნიკში“ დასაბეჭდად გაუგზავნია სტატია ქართული ლიტერატურის შესახებ. თუ რატომ მიაშურა მან „სოვრემენნიკს“ გასაგებად: „ცისკარს“ გარდა საქართველოში სხვა პერიოდული ორგანო არ გამოდიოდა, ხოლო რუსეთში—მისთვის ყველაზე მახლობელი იყო „სოვრემენნიკი“, სადაც მან, 1864 წელს, მოათავსა თავისი ნაწარმოები „პროვინციული სურათები“ (ქალთა აღზრდის საკითხზე)<sup>3</sup>.

სტატიას ქართული ლიტერატურის შესახებ ჩვენამდე არ მოუღწევია. მის შესახებ ჩვენ ვიგებთ მხოლოდ კ. ლორთქიფანიძის ნ. ნეკრასოვისადმი მიწერილი წერილიდან, რომელშიც

<sup>1</sup> „Московские ведомости“, 1865, № 194 (მოწინავე სტატია).

<sup>2</sup> „Кавказ“, 1865, № 88.

<sup>3</sup> იხ. „Литературное наследство“, 1949, ტ. 53/54, გვ. 288.



ეკითხულობთ: „Г. Николай Николадзе, проживающий в Париже... поручил мне передать редакции журнала „Современник“ прилагаемую статью о грузинской литературе, с просьбою написать ему об ее судьбе прямо в Париж...“

Гри этом я должен сообщить редакции, что автор желает напечатать статью без подписи, если только это будет возможно <sup>1</sup>.

აღნიშნული სტატია არ გამოქვეყნებულა. უნდა ვივარაუდოთ, რომ იგი ცენზურამ არ გაუშვა. მაგრამ ჩვენთვის მაინც საყურადღებოა ის გარემოება, რომ ნ. ნიკოლაძე ქართულ სინამდვილეს და ქართულ ლიტერატურას არასოდეს არ მოსწყვეტია.

გვლებთა განთავისუფლებას საქართველოში<sup>2</sup> მოჰყვა ნ. ნიკოლაძის მეორე სტატია: „Наши будущие адвокаты перед „Московскими ведомостями“, რომელიც დაიბეჭდა „კოლოკოლში“ 1865 წლის 1 აგვისტოს. აღნიშნულ სტატიაში ნ. ნიკოლაძე თავს დაესხა მ. კატკოვის გაზეთს („Московские ведомости“), რომელმაც თავის ფურცლებზე გაილაშქრა იმ ვეჭილების წინააღმდეგ, რომლებიც სასამართლო პროცესის დროს არ ერიდებოდნენ პოლიტიკური ხასიათის მსჯელობას.

ნ. ნიკოლაძის თქმით, — „საზოგადოებრივი ცხოვრება ყველგან ისე ეწყობა, რომ როდესაც საზოგადოებრივი მოღვაწეობის ზოგიერთი დარგი მოკლებულია თავისუფლებას, ან მოქმედების საშუალებას, საზოგადოებრივი ძალები გზას იკაფავენ და მუშაობენ სხვა, მათთვის ხელმისაწვდომ დარგებში, სადაც კი მოღვაწეობა შესაძლებელია, ან სადაც უფრო მოხერხებული და ნაყოფიერია“.

განმარტავს რა თავის ამ შეხედულებას, ნ. ნიკოლაძე ამბობს: „როცა ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლება არ არსებობს, როცა თავის მოყრა და საზოგადოებრივი კრება აკრძალულია, როცა არ არსებობს ის, რასაც პოლიტიკურ ენაზე „ტრიბუნა“ ეწოდება, მაშინ ადვოკატურა, თუ მთლიანად არ შთანთქმავს, თვალსაჩინოდ მაინც მიიზიდავს ჩვენს საზოგადოებრივ მოღვაწეებს და ყველას, ვინც მისთვის ოცნებობსო“.

<sup>1</sup> წერილის შავი ვარიანტი დატულია კ. ლორთქიფანიძის არქივში. მისი პირველი პუბლიკაცია ეკუთვნის ლ. ასათიანს (იხ. მისი „ქართველი ხალხის ლიტერატურული ურთიერთობანი მოძმე ხალხებთან“, 1955, გვ. 127—128).

ადვილი შესაძლებელია, რომ ნ. ნიკოლაძის აღნიშნული სტატიის საბაბი გახდა კ. ლორთქიფანიძის მიერ პეტერბურგში გამოცემული ქართველ პოეტთა ლექსების კრებული — „ჩანგური“.

ნ. ნიკოლაძე საგანგებოდ გახაზავს იმ ფაქტს, რომ რუსეთის იმპერიაში არ არსებობდა ბექდვითი სიტყვის თავისუფლება, რომ პროგრესულად მოაზროვნე ადამიანები მოკლებულნი იყვნენ უფლებას ელაპარაკნათ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ საკითხებზე, მონაწილეობა მიეღოთ სახელმწიფოებრივ საქმეებში და სხვა. თანაც, ასეთი მდგომარეობა მას მიაჩნია არა შემთხვევით, არამედ კანონზომიერ მოვლენად მონარქიულ იმპერიაში.

„Московские ведомости“-ს სურს, — წერს ნ. ნიკოლაძე, რომ... ვეჭილი პოლიტიკურ ორატორად და ჟურნალისტად ვერ გადაიქცეს. ასეთი სურვილი საკმაოდ თანმიმდევრობითია „Московские ведомости“-სათვის, მაგრამ, ვაგლახ! ადვილად ასასრულებელი ვერ არის, რადგან ზოგადი კანონი, — რომელიც „კანონთა კრებულში“ შეტანილი არ არის და რომელიც, ამის მიუხედავად, გამონაკლისსა და გზის გადახვევას არ იწყნარებს, — გვეუბნება, რომ ჩვენში ვეჭილი გადაიქცევა იმად, რის დანახვაც ბ. კატკოვს არ სურს. ის ვეჭილად, და მხოლოდ ვეჭილად დარჩება მაშინ, როცა ბექდვითი სიტყვის თავისუფლება საშუალებას მისცემს დაუზრდებლად გამოსთქვას თავისი აზრები ჟურნალებსა და ბროშურებში, როცა თავისუფლება კრებებისა... საშუალებას მისცემს მას პოლიტიკურ და საზოგადოებრივ საქმეებზე ილაპარაკოს... და მონაწილეობა მიიღოს საერთო სახელმწიფოებრივი საქმეების ხელმძღვანელობასა და გარკვევაში. გამოტყდით, რომ ყოველივე ეს- - თქვენისა და თქვენი მთავრობის, მეტადრე თქვენი საიმპერატორო კარის არსებობის დროს — ხალასი უტოპიაა“.

როგორც ვხედავთ, ნ. ნიკოლაძე საქვეყნოდ აცხადებს, რომ სიტყვის თავისუფლება არათუ არ იყო მეფის რუსეთის იმპერიაში, არამედ არც შეიძლებოდა ყოფილიყო; ამიტომ, ბრძოლა სიტყვის თავისუფლებისათვის ნიშნავს ბრძოლას თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. გამომდინარე აქედან, ნ. ნიკოლაძე შენიშნავს, რომ წესიერი ვეჭილის „უნარსა და ნიქს სწორედ ის შეადგენს, რომ შეძლებისამებრ მარტივად, რელიეფურად და ყოველთვის სწორად დაგვიხატოს და გვიჩვენოს არა მარტო ფაქტები, არა მარტო ამა თუ იმ მდგომარეობიდან გამოყვანილი დასკვნები, არამედ იმ ფაქტების წარმოშობის მიზეზებიც, ... დასკვნების გამოყვანის გზებიც... მაშინ მარტო წარმოთქმული კი არა, არამედ გამოტანილიც იქნება სიკვდილის მკაცრი განაჩენი საზოგადოების თანამედროვე მდგომარეობის წინააღმდეგ“.

ნ. ნიკოლაძე თავის სტატიას მიზნად უსახავდა სწორედ იმას, რომ მკირე წვლილი მაინც შეეტანა იმ დიდი საქმის სამზადისში, რომელსაც მიზნად ჰქონდა სიკვდილის მკაცრი განაჩენი გამოეტანა ხალხთა მონობისათვის.

„კოლოკოლის“ 1865 წლის 15 სექტემბრის ნომერში ნ. ნიკოლაძემ გამოაქვეყნა სტატია—*„Июньские дни в Тифлисе“*. სტატიის ავტორი „კოლოკოლის“ მკითხველს აცნობდა ამქართა აჯანყებისა და მისი სისხლში ჩახშობის ისტორიას. ამასთან, აკეთებდა ჯეროვან დასკვნებს მეფის რუსეთის კოლონიური პოლიტიკისა და ადგილობრივი ელემენტების არაადამიანური მოქმედების შესახებ. ნ. ნიკოლაძე, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც იმას ურჩევს მკითხველს, რომ მისი თვალი ნუ შეჩერდება ამ სისხლიანი ისტორიის მხოლოდ გარეგან მხარეზე, და ნურც მხოლოდ ამ ფაქტის გამო გამოთქმული პროტესტით დაკმაყოფილდება, ჩაუკვირდეს მის გამომწვევ მიზეზებს და დასკვნა ისე გააკეთოს. „ჩვენს საზოგადოებას ავიწყდება, — შენიშნავს ის, — რომ რუსეთის მთავრობის ყველა აღსაშფოთებელი ღონისძიებებისათავე სწორედ ის საზოგადოებრივი წყობილებაა, რომელიც შემუშავდა მთავრობის მზრუნველობის წყალობით, რომ ამ წყობილების გარეგანი ნიშნების წინააღმდეგ ამხედრება და უბედურების საფუძვლის ხელუხლებლად დატოება არა თუ ულოლიკობაა, არამედ უსარგებლო საქმეცაა. ბოლოს, ავიწყდება ისიც, რომ თუ არსებულ საზოგადოებრივ მდგომარეობას ურიგდება, თუ იღებს მის status quo-ს, აუცილებლად უნდა შეურიგდეს მის შედეგებსაც“.

ამგვარად, ნ. ნიკოლაძე გაკვირვებას კი არ გამოთქვამს 1865 წლის ივნისში მომხდარი ამბის გამო, არამედ ერთხელ ჯერედ გახაზავს იმ გარემოებას, რომ იგი ლოლიკური შედეგია რუსეთის სახელმწიფოებრივი წყობილებისა და მეფის მთავრობის პოლიტიკისა. ამიტომ, მისი აღშფოთებაც და პროტესტიც სწორედ ამ უკანასკნელთა წინააღმდეგაა მიმართული; პატრიოტი და რევოლუციონერი-დემოკრატი ნ. ნიკოლაძე ხალხს მოუწოდებს უბედურების საფუძვლის—თვითმპყრობელობის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ნ. ნიკოლაძე კონკრეტულ ფაქტებზე დაყრდნობით ამჟღავნებდა მეფისნაცვალ მიხეილ ნიკოლოზის ძის და მის ლაქიათა გაიძვერობასა და თავხედობას. ის არ ინდობს არც გრ. ორბელიანს, რომელმაც თავისი თანამდებობრივი მოვალეობის აღსრულებით

ქალაქებურად მხარი დაუმშვენა იენისის ტრაგედიის ავტორებს.

ნიკოლაძე გრ. ორბელიანს იხსენიებს როგორც „ულტრა სენტრალურ ქართველ პოეტსა და ზომიერად „ნომენკლანე“ რუს ვიცე-მეფისნაცვალს“, ხოლო მის მიმართვას აჯანყებულთაღმძი „ბურტყუნს“ უწოდებს.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ეს პირველი შემთხვევა იყო, როცა „თერგდალეულთა“ წარმომადგენელმა გრ. ორბელიანი ცუდად მოიხსენია და მისი მოქმედება გააკიცხა. ი. ქავკავაძის, გ. წერეთლის, კ. ლორთქიფანიძისა და სხვათა წერილებში, სადაც მსჯელობაა „ცისკრის“ თანამშრომელთა შესახებ, გრ. ორბელიანის პოეტური დამსახურება წინა რიგზეა წამოწეული. მისი პოეტური მემკვიდრეობა სხვაგვარ შეფასებას არც იმსახურებდა, მაგრამ მისი სოციალ-პოლიტიკური შეხედულებები, ცხადია, არ შეეძლო გაეზიარებია მათ. ნ. ნიკოლაძემ, ალბათ, ისიც იცოდა, რომ გრ. ორბელიანმა არასასურველი პოზიცია დაიჭირა გლეხთა განთავისუფლების პირობების შემუშავების დროს.

მოღწეული მასალები ადასტურებენ, რომ გრ. ორბელიანი გლეხთა უმიწოდ განთავისუფლებას თანხმდებოდა მხოლოდ და ზიზნობა მიაჩნდა სასურველ ფორმად<sup>1</sup>. როგორც ქვემოთ ვნახავთ, გრ. ორბელიანი სხვა საკითხებშიც უპირისპირდებოდა ი. ქავკავაძეს და მის თანამოაზრეებს.

თბილისში მომხდარი იენისის ამბები სრულიად სხვაგვარი კონტრარით წარუდგინა მკითხველს რეაქციონერმა კატკოვმა — „Московские ведомости“-ს ფურცლებზე. კატკოვი ამ აჯანყების ანიციატორებს „ექებდა“ კავკასიაში მოღვაწე პოლონელებსა და მათთან ახლოურთიერთობაში მყოფ ადგილობრივ ახალგაზრდობაში, რომელსაც, მისი თქმით, მიზნად ჰქონდა ეროვნული დამოუკიდებლობის მიღწევა.

კატკოვის „განმარტებით“: „Между туземною молодежью образовались кружки, в которых в сильном ходу мысль о самостоятельном существовании грузинского, армянского, и даже мусульманского царства... нам сообщают за верное, что именно закавказские поляки руководят теми кружками, в которых подростают Молодая Грузия, Молодая Армения и что в особенности на последнюю направлено внимание польских крамольников“.

<sup>1</sup> იხ. საქ. სსრ ცენტრ. საისტორიო არქივი, ფონდი 172 („შეხედულებანი და პროექტები გრ. დ. ორბელიანის და სხვ. წერილები“).

როცა კატკოვი ლაპარაკობს რაღაც „Молодая Грузия“-ს შესახებ, იგი ემყარება მეფისნაცვალ მიხეილ ნიკოლოზის ძისა და გესამე განყოფილების „აღმოჩენას“, რომლის გასათვალისწინებლად კარგ მასალას იძლევა გერტენის არქივში დაცული ნ. ნიკოლაძის მიერ 1865 წლის 14 მაისს ოგარიოვისადმი გაგზავნილი წერილი, რომელშიც ვკითხულობთ: „Нельзя ли будет включить в следующий номер „Колокола“ одну интересную новость: Михаил Николаевич, наш юродствующий фельдфебель, спас Россию: он открыл какой-то чудовищный заговор или тайное общество „Молодой Грузии и Армении“. Можете вообразить себе двух-трех гимназистов, двух бывших студентов, говоривших свободно об освобождении крестьян и независимости Грузии. Их, вероятно, расстреляют, в этом нет никакого сомнения, если только их не повесили до сих пор. Мне пишут из Петербурга, что по этому делу приезжал в Петербург нарочный с донесением и ожидалось аресты между грузинскими студентами. С этих пор (с 10 апреля) я не имею никакого письма из Петербурга. Нельзя ли будет придать этой мухе, раздутой Михаилом Николаевичем в слона, прежний вид мухи?“<sup>1</sup>.

ნ. ნიკოლაძის ოგარიოვისადმი გაგზავნილი წერილების პუბლიკატორ ი. ზ. ჩერნიაციის აზრით: „...можно заключить, что заметка „Михаилы и Михаилы Николаевичи“, напечатанная в „Смеси“ л. 197 от 25 мая 1865 г. (первый женевский лист), составлена отчасти на основании сообщения Николадзе“<sup>2</sup>.

თუ როგორ მკიდრო ურთიერთობაში იყო ამ შემთხვევაშიც კატკოვი მეფის სასახლესთან და გესამე განყოფილებასთან, ამას ადასტურებს მეფისნაცვლის, დიდი მთავრის — მიხეილ ნიკოლოზის ძის წერილი გრ. ორბელიანისადმი, რომელიც დაწერილია 1865 წლის 3 ივლისს. როგორც ცნობილია, მიხეილ ნიკოლოზის ძე პეტერბურგში გაემგზავრა მაშინვე, როგორც კი ხელი მოაწერა იმ გადასახადების გაწერას, რომელიც საბაბი გახდა ამქართა აჯანყებისა. აჯანყების შესახებ მან შეიტყო პეტერბურგში, საიდანაც გრ. ორბელიანს სწერს: „Подозреваю, что налоги были только предлогом, и что чернью руководили лица ею прикрывшиеся...“

<sup>1</sup> „Литературное наследство“, 1955, т. 62. стр. 406.

<sup>2</sup> ი ქ ვ, გვ. 402.

Весьма желательно, чтобы следственная комиссия раскрыла этих лиц — коноводов“. ხოლო იმავე წლის 19 აგვისტოს კვლავ ატყობინებს: „Я... смело убежден, что... в России... и закавказском крае существует партия, правда и малочисленная быть может, но зато не дремлющая и пользующаяся весьма для нее благоприятными обстоятельствами, чтобы проводить свои вредные социальные идеи... В России источником возникновения этой партии были университеты и Медикохирургическая и частично Военная Академии. В 1861 году, когда были беспорядки в Петербургском и Московском университетах, то многие из кавказских воспитанников — были арестованы... Весьма правдоподобно, что эти молодые люди... также перед и во время Тифлиских событий, распускали ложные толки и старались возбудить народ против правительства...

...Сообщу Вам лично и секретно, что происходит в Сибири: там этим летом раскрыт обширный заговор, имевший целью совершенное отделение Сибири от России, создание республики и т. д. Многочисленные аресты были произведены во всех главных городах того края: все эти лица оказались воспитанниками тех заведений, которые я выше назвал...“<sup>1</sup>.

როგორც კატკოვს, ასევე მეფისნაცვალს, — დიდ მთავარ მიხეილ ნიკოლოზის ძეს თითი მიშვერილი ჰქონდა რუს რევოლუციონერ-დემოკრატთა იდეებზე აღზრდილ ქართველ მოღვაწეებზე. მეფისნაცვალი აშკარად ლაპარაკობს პეტერბურგის სტუდენტთა 1861 წლის დემონსტრაციის კავკასიელ მონაწილეებზე, რომელთა საქმიანობაში სურს მოსძებნოს იენისის აჯანყების გამომწვევი მიზეზები და გრ. ორბელიანს, ციმბირის მაგალითის მიხედვით, ყრუ რჩევას აძლევს მათი დაპატიმრების შესახებ. კატკოვი კი პოლონეთის აჯანყების ისტორიას სწევს წინ და პოლონელ და ქართველ მოღვაწეთა მკიდრო ურთიერთობაზე მითითებით აქეზებს მეფის მთავრობას მკაცრი ზომები მიიღოს პროგრესულად მოაზროვნე ახალგაზრდა ქართველების წინააღმდეგ. თავის წერილში ის ეკამათება ნ. ნიკოლაძესაც, რომელმაც ამ აჯანყების მიზეზი სამართლიანად დაინახა თვით მეფის მთავრობის პოლიტიკასა და იმდროინდელ სახელმწიფოებრივ სისტემაში. კატკოვი

<sup>1</sup> წერილები დაკულია ზუგდიდის სახ. ისტ. მუზეუმში, ხელნაწერთა ფონდი, № 97, 100.

იქამდეც კი მივიდა, რომ ვორონცოვს ბრალი დასდო არარუსი ხალხის წაქეზებაში ეროვნული დამოუკიდებლობისათვის საბრძოლველად, და თბილისელ სომეხთა მიერ შვილებისათვის „ნაპოლეონის“ დარქმევაში რუსეთისადმი სიძულვილი ამოიკითხა.

ჩვენს მიერ მოტანილი მასალა კარგად მეტყველებს იმაზე, თუ როგორი თვალთ უყურებდა მეფის მთავრობა და მისი ინტერესების დამცველი რეაქციონერი ჟურნალისტები ქართველ მესამოციანელებს, რომლებიც იბრძოდნენ თვითმპყრობელობის მოსასპობად და დრომოქმული სოციალ-პოლიტიკური სისტემის შესაცვლელად. აშკარა ხდება ისიც, თუ როგორაა დაკავშირებული მათი ლიტერატურული და პუბლიცისტური მოღვაწეობა მათვე სოციალურ-პოლიტიკურ შეხედულებებთან და რა მძიმე პირობებში უხდებოდათ მათ მოწინავე იდეების შეტანა ხალხში.

„კოლოკოლი“, რომელსაც უკვე თავი გამოჩენილი ჰქონდა პოლონელ პატრიოტთა დაკვით, ცხადია, უარყოფითად შეხვდა „Московские ведомости“-ს „თეორეტიკოსებს“ და თავის ფურცლებზე გამოაქვეყნა თბილისის იენისის ამბების პირუთენელი აღწერა-შეფასების შემცველი წერილები. მათ შორის უფრო საყურადღებოა: „Из Тифлиса“ (1865 წ., № 204) და „Из Грузии“ (1865 წ., № 208). ამ წერილებში, რომელთა ავტორები ჯერ კიდევ უცნობია, ჭაპარაკია დაბალი ხალხის უმწეო ცხოვრების შესახებ თბილისში, მეფის მოხელეთა პარპაშზე, სასამართლოთა უწესობაზე და გამომჟღავნებულია სიყალბე იმ სურათისა, რომელსაც ხატავდა მეფის მთავრობა და რეაქციონერი ჟურნალისტი კატკოვი ამ ამბებთან დაკავშირებით. კატკოვის წერილის წინააღმდეგ მიმართული ქართველ მოღვაწეთა სტატიები დაიბეჭდნენ რუსეთის გაზეთებშიც („С. Петербургские ведомости“, „Голос“).

როგორც ვნახეთ, ნ. ნიკოლაძის თანამშრომლობას „კოლოკოლში“ გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა ქართული საზოგადოებრივი აზრის განვითარებისათვის, კერძოდ სოციალ-პოლიტიკური მნიშვნელობის აქტუალური საკითხების დასმისა და გარკვევისათვის. მაგრამ მისი კეთილგანწყობილი ურთიერთობა „კოლოკოლის“ რედაქტორებთან დიდხანს არ გაგრძელებულა. 1865 წლის სექტემბრიდან ნ. ნიკოლაძემ შეწყვიტა „კოლოკოლში“ თანამშრომლობა. ჰქონდა თუ არა მას დაბეჭდილი „კოლოკოლში“ სხვა წერილებიც, ჯერჯერობით დაუზუსტებელია.

როგორც მ. კლევენსკი ფიქრობს, ჩვენთვის ცნობილ სტატიებს გარდა, „Весьма возможно, что Николадзе же принадлежат и другие статьи о Грузии, которых в 1865 г. появля-

ლოს ვ „Колоколе“ не мало („Из Грузии“, № 196, „Беспорядки в Тифлисе“, № 202)“<sup>1</sup>.

ხანმოკლე ნაცნობობის მიუხედავად, ნ. ნიკოლაძეს მეტად ახლობელ თანამშრომლად თვლიდნენ „კოლოკოლის“ გამომცემლნი. ამას მოწმობს თუნდაც 1865 წლის 12 აგვისტოს გერცენის მიერ ოგარიოვისადმი მიწერილი წერილი, რომელშიც ვკითხულობთ: „Огарев, помни, что к следующему № у меня ничего нет. Я вывез все женевские (номера), теперь заставь себя и Ник(оладзе). Долю вещей о процессе (Н. А.) Сер(но) — Сол(овьевича) можно печатать, и „Смесь“ я составлю, но существенной нет“.

საყურადღებოა, რომ მეტად კეთილგანწყობილი პირადი ურთიერთობის დროს ნ. ნიკოლაძესა და ა. გერცენს შორის თავი იჩინა სერიოზულმა აზრთა სხვადასხვაობამ. ამას მოწმობს გერცენის არქივში აღმოჩენილი ნ. ნიკოლაძის წერილებიც. როგორც ამ წერილებიდან ჩანს, უთანხმოების საბაბი გამხდარა ა. გერცენის სტატია — „Письмо к императору Александру II“, რომელიც „კოლოკოლში“ გამოქვეყნდა 1865 წლის 25 მაისს.

ნ. ნიკოლაძის პირველ წერილს, რომელიც ამ საკითხს ეხებოდა, ჩვენამდე არ მოუღწევია, მაგრამ შემდეგი წერილებიდანაც აშკარაა, რომ ნ. ნიკოლაძე „კოლოკოლსა“ და მის რედაქტორებს არ ინდობს ლიბერალური ქედმოხრილობის რეციდივებისათვის. 1865 წლის 12 ივნისს გაგზავნილ წერილში ნ. ნიკოლაძე ოგარიოვს სწერს: „В 1857—1862 гг. успех „Колокола“ был громадный; с этим согласны все—как враги, так и приятели. На чем был основан ваш успех? На том, по моему мнению, что вся та часть общества, которая сидит сложа руки, ожидая, что все земные блага влетят в рот,... видела в вас и вашем „Колоколе“ заоблачных поварей и заморскую кухню лакомых кушаний... Вы не можете сказать, чтобы Катков, например, был глуп или не понимал своего положения и отношений к другим деятелям, однакож было время, когда он пожимал вам руку...“<sup>2</sup> Он, и за ним и все одномыслящие с ним, видели в вашем „Колоколе“, так сказать, косвенную меру, служившую подталкивающим началом, но не самостоя-

<sup>1</sup> М. Клевенский. Герцен—издатель и его сотрудники. сб. „Литературное наследство“, 1941, т. 41/42, стр. 602

<sup>2</sup> მხედველობაში აქვს კატკოვის შეხვედრა გერცენტან ლონდონში, 1860 წელს



ности общества, а просто-напросто правительственного управления. Мало этого, „Колокол“ считался знаете ли чем? Залогом примирения общества с правительством и, вместе с тем, орудием против развития самодеятельности и самостоятельности общества, словом — против революционных начал молодого поколения...“

„У вас были и другого рода читатели: это молодое поколение, проникнутое мыслью о необходимости общественной инициативы и самодеятельности; оно не было удовлетворено вами, примите это к сведению. Ваша издательская деятельность была для них проблесками молнии, озарявшей и освещавшей время от времени мрачный туман, царящий над ними... Для того, чтобы это поколение было вполне удовлетворено вами, необходимо, чтобы все ваши силы, не тратясь в отдельных проблесках без связи и единства, соединились в одно стройное целое и стали постоянным маяком..., равномерным светом...“

„Я понял, что вы хотели призвать ваших старинных читателей; я знаю, что вы успеете в этом, потому что они давно уже ждут первого шагу. Ваша ветреная любовница — публика дуется на вас, ожидая вашей ласки, улыбнитесь — она обнимет вас..., чтобы еще раз упасть в объятия правительства или Каткова.“

Не лучше ли, не благоразумнее ли с вашей стороны совершенно разойтись с нею, когда позади вас стоит верная, законная подруга — все молодое поколение, постоянно благодарное в своих симпатиях и действиях...“

ბ. ნიკოლაძის თქმით, ახალგაზრდა თაობასაც აქვს სუსტი მხარეები თავის მოღვაწეობაში. კერძოდ, მზად არაა პრაქტიკული ცხოვრებისათვის და საჭიროებს იდეურ წინამძღოლს, მაგრამ ამის მიზეზიც მის გარშემო შექმნილი სინამდვილეა: „Наша молодежь действует по инстинкту, потому что в непроницаемой тьме, в которой она находится, иначе почти невозможно действовать. Вина опять-таки падает на недостаток света или, лучше сказать, на тех, кто может осветить дорогу, (но) отказывается от этого труда.“

Теперь ваша очередь подумать об этом...“, — მიმართავს ოგარიოვსა და გერცენს ბ. ნიკოლაძე.

როგორც ჩანს, ოგარიოვს წერილითვე მიუმართავს ნიკოლაძისათვის და, ძირითადად, გაუმართლებია გერცენი. თანაც ნიკო-

ლაძისათვის შეუთავაზებია ღია პოლემიკა „კოლოკოლის“ ფურცლებზე. საპასუხო წერილში ნიკოლაძე კვლავ თავის თვალსაზრისზე რჩება. გერცენსა და ოგარიოვს კვლავ ბრალსა სდებს ლიბერალიზმში, ხოლო პოლემიკის პრესაში გადატანაზე, პოლიტიკური მოსაზრებით, უარს უტყბადებს. ამის შესახებ ნიკოლაძე ოგარიოვს სწერს: „Я не могу, кроме этого, ответить вам печатно, да и не хочу, потому, что развязка нашей полемики кончилась бы в вашу пользу вследствие невозможности с моей стороны высказать аргументы в мою пользу. Например, не могу же я сказать в печати, что большинство молодежи неразвито, нуждается не то что в руководствах, но советах, поощрениях и весьма часто в пощечинах. Сказать все это—значило бы, с одной стороны, подрезать себе горло, а с другой—дать противникам нового движения повод издеваться или паясничать, дать им возможность подрывать ваш кредит, то есть кредит тех людей, которые стоят во главе движения мысли их рук. Целая стая лисиц, и во главе ее Катков, запела бы молодежи: „Смотрите какого жалкого мнения о вас ваши конноводы, те люди, которые приказывают вам идти на казнь и на каторгу“..., и прочее в этом роде“.

ოგარიოვი, თავის წერილში, ჩანს, შეხებია ნ. ნიკოლაძის პოლიტიკურ მიმართულებასაც და თავისი შეხედულება გამოუთქვამს მის შესახებ. ამის გამო ნ. ნიკოლაძე ოგარიოვს მიმართავს: „Если вы думаете, что считать известное политическое устройство несовместным с развитием общественного строя—значит быть поверхностным поклонником внешней стороны европейской революции, тогда, но только тогда, считайте меня артистом в революции. Во всем остальном я столько же презираю пошлость заграничных революционеров, видящих спасение в изменении присяжной формулы или девизов, или даже династии, даже монархической системы в республиканскую, — как ненавижу наших доморожденных революционеров, стремящихся произвести социальную реформу уничтожением общинного землевладения и введением частной земельной собственности“<sup>1</sup>.

ჩვენს მიერ ციტირებულ წერილებს დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც ნ. ნიკოლაძის შეხედულებათა გასათვალისწინებლად 60-იან

<sup>1</sup> „Литературное наследство“, 1955, т. 62, стр. 408—412.

წლებში, ასევე „კოლოკოლის“ და მისი რედაქტორების მოღვაწეობასთან დაკავშირებული ცალკეული საკითხების შესწავლისთვისაც. მათი წამკითხველისათვის, ვფიქრობ, უდავო ხდება, რომ ნ. ნიკოლაძე გერცენსა და ოგარიოვს აკრიტიკებს იმ მერყეობისათვის, რომელიც, როგორც ცნობილია, მათ მოღვაწეობაში არცთუ შეუნიშნავი ყოფილა. მართალია, გერცენისა და ოგარიოვის მერყეობას ლიბერალიზმსა და დემოკრატიზმს შორის ნ. ნიკოლაძე მკაცრად წარმოადგენს, უფრო სწორად, ძირითადად ამ მერყეობაზე ჩერდება, მაგრამ ეს არცთუ გასაკვირია. დღეს ჩვენ ისტორიული თვალსაზრისით ვაფასებთ გერცენისა და ოგარიოვის დამსახურებას და შორსა ვართ იმისაგან, რომ წინ წამოვწიოთ ლიბერალიზმი მათ მოღვაწეობაში, მაგრამ ნ. ნიკოლაძე მათი თანამედროვე იყო და შეუძლებელია უადგილოდ და გადაქარბებულად მივიჩნიოთ მისი კრიტიკული შეხედულებები, რომლებიც მან მათდამი გაგზავნილ წერილებში გამოთქვა. ამ წერილებიდან აშკარად იგრძნობა, რომ ნ. ნიკოლაძეს კარგად ესმოდა ძალაც და ღირსებაც გამოჩენილი რევოლუციონერ-დემოკრატებისა, მაგრამ, უფრო მეტად კიდევ ამიტომ ვერ ითმენს მათ არასწორ : ნაბიჯს და ურჩევთ მათ სიტყვითა და საქმით დაეხმარონ რევოლუციონერ ახალგაზრდობას, რომელიც საქიროებს გამოცდილ ხელმძღვანელებს.

რევოლუციონერი ახალგაზრდობა, თუ შეიძლება ასე ითქვას, მოითხოვდა გერცენი გამხდარიყო ჩერნიშევსკად, მაგრამ ეს თითქმის შეუძლებელი იყო. ამ საკითხის შესახებ უდავოდ სწორ შეხედულებას გამოთქვამს გერცენის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ცნობილი მკვლევარი პროფ. ი. ელსბერგი, რომელიც წერს: „Молодое революционное поколение находилось в то время в чрезвычайно трудном положении — оно потеряло своего признанного вождя, Чернышевского, а другого подобного руководителя оно не нашло. Между тем именно под влиянием пропаганды Чернышевского молодые русские революционеры искали практического приложения своим силам, стремились создать революционную организацию.“

...Однако вождем молодой русской революционной демократии, способным заменить Чернышевского, Герцен не мог стать<sup>1</sup>.

ამ შეხედულების შუქზე გასაგები ხდება ჩერნიშევსკის ერთგული მოწაფის — ნ. ნიკოლაძის გულისტკივილიც „კოლოკოლისა“

<sup>1</sup> Я. Эльсберг. Герцен, 1951, стр. 498—499.

და მისი რედაქტორების ლიბერალიზმსა და დემოკრატიზმს შორის ნერყეობის გამო. ნიკოლაძის წერილებში აშკარად შეიმჩნევა გერცენისადმი ჩერნიშევსკის დამოკიდებულების ანარეკლი. იგი პირად ბარათებში მოჩანს, როგორც „ახალგაზრდა ემიგრაციის“ ბედით დაინტერესებული\* და მხარდამჭერი (თუმცა მის სუსტ მხარეებსაც არ ჩქმალავს), ამასთან გაბედული მებრძოლი ყველა მათ წინააღმდეგ, რომელთა მოღვაწეობაში ხედავს გადახრას ჩერნიშევსკის თვალსაზრისიდან. მაგრამ აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ზოგჯერ მას არცთუ სწორად ესმოდა თავისი მასწავლებლის სტატიათა ქვეტექსტი.

უნდა ვივარაუდოთ, რომ ნიკოლაძესა და „კოლოკოლის“ რედაქტორებს შორის არცთუ მალე შეცვლილა ურთიერთპატივისცემაზე დამყარებული პირადი ურთიერთობა. ჩვენს მიერ გაცნობილი პირადი წერილების პარალელურად ნ. ნიკოლაძე გერცენსა და ოგარიევს უგზავნიდა თავის სტატიებს და ისინიც უახლოეს თანამშრომლად თვლიდნენ მას. ამას უნდა დავუმატოთ ისიც, რომ მისი ბროშურა — „Правительство и молодое поколение“ — დიბეჭდა გერცენის „თავისუფალ რუსულ ტიპოგრაფიაში“, 1866 წლის მაისში.

თავისი ღრმა პატივისცემა დიდი რუსი მოღვაწეების მიმართ ნ. ნიკოლაძეს არც შემდეგში უარუყვია. ეს ჩანს ოგარიოვის მიერ, 1868 წლის 1 იანვარს, გერცენისადმი გაგზავნილი წერილიდანაც, რომელზე დაყრდნობითაც პროფ. ბ. კოზმინი შენიშნავს: „Герцен не скрывал своего озлобления против „молодой эмиграции“ и это привело к тому, что он и Огарев оказались в полной изоляции; почти всякие сношения между ними и другими эмигрантами были прерваны. Насколько велика была их отчужденность от общеэмигрантской среды, можно судить по такому хотя и маловажному, но чрезвычайно характерному факту: сообщая Герцену о том, что на похоронах Касаткина он встретился с Элпидиным и Николадзе, Огарев

---

\* ნ. ნიკოლაძე ფორმალურად არ ყოფილა „ახალგაზრდა ემიგრაციის“ წევრი, მაგრამ ახალგაზრდა ემიგრანტები მას თვლიდნენ ერთ-ერთ საიმედო წევრად. ამას ადასტურებს ის პატარა ფაქტიც, რომ 1865 წელს, როდესაც „ახალგაზრდა ემიგრაციამ“ დააარსა „ურთიერთდამხმარე საღარო“, ნ. ნიკოლაძე — მოლარედ იქნა არჩეული.

თავის მხრივ ნ. ნიკოლაძე ბევრს ზრუნავდა „ახალგაზრდა ემიგრაციისათვის“.

добавляя как нечто заслуживающее быть особо отмеченным, что они подошли к нему и поздоровались”<sup>1</sup>.

გერცენთან და ოგარიოვთან უთანხმოების ჩამოვარდნის შემდეგ, 1868 წლიდან, ნ. ნიკოლაძე, ლ. ი. მეჩნიკოვთან ერთად, იწყებს ჟურნალ „სოვრემენნოსტის“ გამოცემას. აღნიშნულ ჟურნალში ნ. ნიკოლაძემ გამოაქვეყნა ჩვენთვის ცნობილი წერილები: „Русская эмиграция“, „Два поколения“, „Жизнь Европы“, „Народное дело“. „Роль революционеров“.

გარდა ამისა, მ. კ. ელპიდინთან ერთად, მან საფუძველი ჩაუყარა ნ. გ. ჩერნიშევსკის თხზულებათა გამოცემას.

1869 წელს ნ. ნიკოლაძე საქართველოში ბრუნდება და აქტიურად ებმება იმ მუშაობაში, რომელსაც ნისი ქართველი მეგობრები აწარმოებდნენ. მაგრამ სანამ მისი მოღვაწეობის ამ პერიოდს შეეხებოდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია მოკლედ მაინც დაეახსიათ ის პუბლიცისტური და საგანომცემლო საქმიანობა, რომელსაც ის შვეიცარიაში აწარმოებდა. ეს მით უფრო საჭიროა, რომ საშუალება გვექნება სწორად გავითვალისწინოთ, თუ რა შეხედულებისა და რა გამოცდილების მქონე მოაზროვნე დაუბრუნდა ქართველ სამოციანელთა ჯგუფს. ამასთან, გაირკვევა ის მჭიდრო კავშირიც, რომელიც ნ. ნიკოლაძესა და სხვა ქართველ მოღვაწეთა შორის არსებობდა საერთოდ და, კერძოდ, ნ. ჩერნიშევსკის თხზულებათა გამოსაცემად მზადების პერიოდში.

1866 წელს გამოცემული ნაშრომი — „მთავრობა და ახალი თაობა“ წარმოადგენს ნ. ნიკოლაძის პოლიტიკურ შეხედულებათა დაჯამებას იმ პერიოდში. აღნიშნული შრომა მკვლევართა მიერ სხვადასხვაგვარადაა შეფასებული. რაც მთავარია, მათი ყურადღება მიქცეულია უმთავრესად წიგნის შედარებით სუსტ მხარეებზე.

ნ. ნიკოლაძე, როგორც ავტორი, ღრმადაა დარწმუნებული, რომ ახალგაზრდა თაობის წინაშე მდგომ ამოცანებს და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მომხდარ ახალ მოვლენებს აშუქებს და აფასებს ნ. გ. ჩერნიშევსკის თვალთახედვით. როგორც წიგნის სათაურიდანაც ჩანს, ნ. ნიკოლაძეს მიზნად აქვს პოლიტიკური შეფასება

<sup>1</sup> В. Козьмин. Герцен, Огарев и „Молодая эмиграция“. См. „Инт наследство“, 1941, т. 41—42, стр. 30.

ესარგებლობ შემთხვევით და შევნიშნავ, რომ სრულიად ცალმხრივ მასალაზე დაყრდნობით, პროფ. ბ. კოხინი, დასახელებულ წერილში, არაობიექტურ შეფასებას გეთავაზობს ნ. ნიკოლაძის პიროვნებისა და მოღვაწეობის ზოგიერთი მხარის შესახებ.

მისცეს, ერთი მხრივ — მთავრობის, მეორე მხრივ — „ახალგაზრდა ემიგრაციის“ საქმიანობას.

ცხოვრების სინამდვილემ, მისი შეხედულებით, გამოააშკარავა ლიბერალიზმისა და ფსევდო-დემოკრატიული პოლიტიკის ნამდვილი არსი; მთავრობამ უკვე საბურველი ჩამოიცილა და აშკარად დაადგა ძველი სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრების დაცვის გზას. ამიტომ, „ის, რასაც ცხრა წლის წინათ შორსმკვრეტი პუბლიცისტები ამჩნევდნენ, ახლა თვალში ეცემა ყველას“. ცხადია, „შორსმკვრეტ პუბლიცისტთა“ შორის იგი, პირველყოფლისა, გულისხმობს ჩერნიშევსკისა და დობროლიუბოვს, რომელთაც არა ერთხელ იმორწმებს თავის წიგნში.

ნ. ნიკოლაძის თქმით, მთავრობამ დიდი ხნით ადრე დაიწყო ბრძოლა იმ ადამიანთა მიმართ, რომლებიც მოითხოვენ „საზოგადოებრივ ურთიერთობათა ნამდვილი რეფორმის მოხდენას“. ახლა კი, „პუბლიცისტ-კონსერვატორების“ დახმარებით, ცდილობს იმას, რომ „ალიგაეოს პირისაგან მიწისა ის თაობა, რომელსაც საშუალება ჰქონდა წაეკითხა დობროლიუბოვისა და ჩერნიშევსკის ნაწერები“.

ნ. ნიკოლაძე ცდილობს პასუხი გასცეს კითხვას: რა გზას უნდა დაადგეს ასეთ ვითარებაში ახალგაზრდობა? ამისათვის იგი მიმართავს ისტორიულ გაკვეთილებს და ანალიზს უკეთებს მათ. ყირიმის ომის შემდეგ, ამბობს ის, მეფის მთავრობას არ შეეძლო არ ეფიქრა ძველი სახელმწიფოებრივი მანქანის „გადაკეთებაზე“ და დაიწყო გლეხთა განთავისუფლება „ზემოდან“. მართალია, „დიდი მოლოდინი“ შესცვალა „საბრალობელმა სინამდვილემ“, მაგრამ ის ცვლილებაც, რაც მოხდა გლეხის უფლებრივ მდგომარეობაში, შედეგი იყო, პირველყოფლისა, თვით გლეხთა აჯანყებისა და არა ცალკეულ პიროვნებათა დამსახურებისაო.

ნ. ნიკოლაძე საჭიროდ თვლის პარალელი გაავლოს, ერთი მხრივ, გლეხთა ცნობილ აჯანყებებსა და, მეორე მხრივ, — დეკაბრისტთა გამოსვლას შორის.

რაზინისა და პუგაჩოვის აჯანყებებმა, ნ. ნიკოლაძის თქმით, იმიტომ მიიღეს სერიოზული ხასიათი, რომ ისინი მიმართულნი იყვნენ ბატონყმობის წინააღმდეგ, „რომ იგინი სავსებით ხალხური იყო“. რაზინი და პუგაჩოვი იმიტომ გახდნენ ხალხის დაუვიწყარ ჯმირებად, რომ მათი და ხალხის ინტერესები განუყოფელი იყო იგი აკრიტიკებს იმ ისტორიკოსებს, რომლებსაც ეს აჯანყებები თავზეხელაღებულ ადამიანთა ლაშქრობად მიაჩნდათ და ამბობს: „ბოლოსდაბოლოს ხომ უნდა მივხედეთ, რომ ცალკე პიროვნებათა

ვერავითარი თავადებულობა, ვერავითარი მათი სიმამაცე და ვერც ვერავითარი მათი მოხერხებულება, თუ ეშმაკობა, ვერ გამოიწვევს ხალხის მოძრაობას, თუ ხალხის მასაში, ან, ყოველ შემთხვევაში, მის უმრავლესობაში, არ სუფევს იმ უკმაყოფილების ელემენტები, რომელსაც უკვე აღუვსია ხალხის სახელგანთქმული მოთმინების ფიალა“.

რაც შეეხება 1825 წლის 14 დეკემბრის აჯანყებას, ნ. ნიკოლაძის თქმით, „თითქოს არათფერი აკლდა..., მას მხარს უჭერდა ყველა ის, ვინც კი რისამე უნარის მქონე იყო რუსის განათლებულ საზოგადოებაში; მისი პროგრამა დაფუძნებული იყო ფრიად ჭუმანიტარულ, თავისუფალ საწყისებზე...“, მაგრამ, მიუხედავად ამისა, იგი ადვილად იქნა გაფანტული და მისი ხსოვნა, უმთავრესად, განათლებული საზოგადოების მეხსიერებაში დარჩა. „ამის მიზეზი ისაა, რომ ხალხს ხსენებული შეთქმულების საქმე საკუთარ საქმედ არ მიუჩნევია. რასაკვირველია, ამ შემთხვევაში, ხალხი შემცდარი იყო, მაგრამ ეს შეცდომა მისი ბრალი როდი იყო. 14 დეკემბრის შეთქმულება იღუმლად ეწყობოდა, როგორც ეწყობა საერთოდ ყოველი შეთქმულება. მაგრამ ის, რაც კარგია საქმის ფორმალური მხარისათვის, ყოველთვის ასევე სასარგებლო როდიღაა მისი არსის მიმართ“. დეკაბრისტთა მთავარ შეცდომად ნ. ნიკოლაძე სწორად იმას თვლის, რომ ისინი მოწყვეტილნი იყვნენ ხალხის ფართო მასებს. არ შეიძლება არ შევნიშნოთ, რომ ნ. ნიკოლაძის ასეთი გაგება დეკაბრისტთა აჯანყებისა არ ეწინააღმდეგება ვ. ი. ლენინის ცნობილ შეფასებას: „ვიწროა ამ რევოლუციონერთა წრე, საშინლად შორს არიან ისინი ხალხისაგან“<sup>1</sup>.

გამომდინარე აქედან, ნ. ნიკოლაძე იმ აზრს ავითარებს, რომ ახალგაზრდა რევოლუციონერმა თაობამ, თუ რომ მას სურს სერიოზული ცვლილებები მოახდინოს ცხოვრებაში, უნდა იმოქმედოს ხალხის ფართო მასებზე დაყრდნობით და მასთან კავშირში. ხალხთან მკიდრო კავშირისა და ხალხის მხარდაჭერის გარეშე შეუძლებელია სერიოზული წარმატება. ამიტომ, ის არ იზიარებს ბრძოლის ტერორისტულ მეთოდს, რომელიც, მისი თქმით, მთავრობას შეუძლია თავის სასარგებლოდ უფრო გამოიყენოს და მისთვის არასასურველ ადამიანებს ანგარიში გაუსწოროს. ნ. ნიკოლაძე, ამის გამო, თანაგრძნობით არ ხვდება კარაკოზოვის გასროლას და ახალ თაობას აფრთხილებს აღარ გადადვას ასეთი ნაბიჯი.

<sup>1</sup> ვ. ი. ლენინი. თხზულებანი, ტ. 18, გვ. 18—19.

მაგრამ, ნ. ნიკოლაძე, ცხადია, შორსაა მთავრობასთან შერიგების პოლიტიკისაგან. იგი მკითხველს დაწვრილებით მიუთითებს იმ გაიძვერობასა და ფარისევლობაზე, რომელსაც ალექსანდრე მეორე და მისი მთავრობა მიმართავდა 60-იან წლებში ხალხის მოტყუების მიზნით. კერძოდ, იგი დამაჯერებლად აჩვენებს საგლებო რეფორმის მემამულურ ხასიათს და ააშკარავებს ლიბერალ-რეფორმატორთა ანტიხალხურ საქმიანობას.

სკოლას, უნივერსიტეტს, ჟურნალ-გაზეთებს, ნ. ნიკოლაძის თქმით, მთავრობა ან თავის მიზნებს უმორჩილებს, ან ხურავს მათ; სასამართლო იერარქია კი ისეა აგებული, რომ ხალხის ინტერესების წინააღმდეგაა მიმართული და არა მის დასაცავად. „მაგრამ მთავრობის სურვილი, მიმართული ყოველი ცხოველი აზრის ჩახშობისაკენ, კიდევ უფრო შორს წავიდა: იგი არა თუ სდევნის და ავიწროებს ყველა ასე თუ ისე დამოუკიდებელსა და თავისთავადს მწერალს, არა თუ ასახლებს მათ სასამართლოს და გამძობების გარეშე, არამედ წინასწარ აქვს მათთვის გამზადებული კატორღა და გადასახლებაო“, — წერს ნ. ნიკოლაძე.

ასეთ ვითარებაში, ცხადია, ღირსეულმა ადამიანებმა უნდა იზრუნონ ხალხის ინტერესების დასაცავად და სახელმწიფოებრივი სისტემის შესაცვლელად. ამიტომ, ახალგაზრდა თაობის საუკეთესო წარმომადგენლები, ნ. ნიკოლაძის აზრით, დადგა მშრომელი ხალხის მხარეზე და მოითხოვს ყოველგვარი მიუღებელი უფლებების მოსპობას.

საზოგადოებრივი ცხოვრების როგორი ფორმისათვის იბრძვის ახალი თაობა? ამ კითხვაზე ნ. ნიკოლაძე ასეთ პასუხს იძლევა: „საზოგადოებრივი ცხოვრების ის წყობა, რომლის განხორციელებასაც ფიქრობს ახალი თაობა, დაუფძნებელია... ყოველგვარი პრივილეგიების მოსპობაზე და იმაზე, რომ მიწა სამფლობელოდ გადაეცეს მშრომელ ხალხს და გადაეცეს ისე, რომ ამნაირად მოწყობილ სახალხო შრომას მინიჭებული ჰქონდეს კანონმდებლობის სამართლიანი მფარველობა“.

ასეთი წყობილების დროს, ნ. ნიკოლაძის აზრით, თავადაზნაურობის ინტერესებმა ადგილი უნდა დაუთმოს ხალხის ინტერესებს, ანუ უფრო სწორად, „შეედლოს მათო“. ვფიქრობ, აქ იჩენს თავს პირველად ნ. ნიკოლაძის პოლიტიკურ შეხედულებათა სუსტი მხარე. თავადაზნაურობისა და მშრომელი ხალხის ინტერესთა „შედულების თეორია“ რევოლუციური გზის გამრუდებაზე მეტყველებს. უპირისპირებს რა ერთმანეთს მთავრობისა და ახალი თაობის ინტერესებსა და მიზანდასახულობას, ნ. ნიკოლაძე თავის-



ამ შეხედულებას ასე აყალიბებს: „მთავრობას თავადაზნაურთა ინსტიტუტების შენარჩუნება სურდა, ახალთაობას კი ხალხის კეთილდღეობის გულისთვის მისი მოსპობა უნდოდა; მთავრობას უნდოდა გლეხები უმიწაწყლოდ დაეტოვებინა, ახალთაობას კი სურდა მიწა მიეცა მათთვის, სურდა ეკონომიურ ურთიერთობათა მართებულად მოწყობით მათთვის შრომა შეემსუბუქებინა; მთავრობას სურდა ხალხის და თავადაზნაურობის გათიშულობა დაეტოვებინა; ახალთაობას კი უნდოდა—შეედულებინა მათი სარგებლიანობა და ამით თავადაზნაურობა სახალხო საქმით დაეინტერესებინა“.

ცხადია, ნ. ნიკოლაძე ცდებდა, როცა „ეკონომიურ ურთიერთობათა მართებულ მოწყობაზე“ ფიქრობს მანამ, სანამ შესატყვისი პოლიტიკური ცვლილებები არ იყო მომხდარი სახელმწიფოებრივ სისტემაში. მაგრამ იგი ცდებდა იმაშიც, რომ შესაძლებლობას უშვებს „მგლისა და ცხვრის“ მორიგეობისას. იგი უარყოფს იმ შეხედულებას, რომ ახალთაობა თითქოს მხოლოდ „ნაჯახსა და დიქტატურაზე“ ოცნებობდეს. ახალთაობა, — წერს ის, — „არ ჩასციებია სიტყვა მსხვერპლს. არავითარი მსხვერპლი არააო საქირო, — ამბობს ის. საქიროა მხოლოდ სერიოზულად განვიხილოთ საქითხი. მაშინ ცხადი გახდება, რომ თავადაზნაურობისა და გლეხობის ინტერესთა შედუღებით სისხლის ღვრის და შეტაკებათა გარეშეა შესაძლებელი საქმის მოგვარებაო. მაგრამ მთავარი ისააო, — განაგრძობს ახალი თაობა, რომ თვითონ გლეხებს უნდა დავეკითხოთ; თუ ეს ასე არ იქნა, მათ სრული უფლება ექნებათ ილაპარაკონ, რომ საზოგადოებრივი კანონები უმათოდ და, მაშასადამე, მათ წინააღმდეგ არის შემუშავებული. ამით კი გლეხებს კანონიერი საბაბი ექნებათ ხოცვა-ჟლეტვისათვისაო“...

ამგვარად, ნ. ნიკოლაძეს შესაძლებლად მიაჩნია „სისხლის ღვრისა და შეტაკებათა გარეშე“ დავის მოგვარება; თუ რომ თავადაზნაურობისა და გლეხების ინტერესები შედუღდებინა. მაგრამ სწორედ აქ უშვებს იგი შეცდომას: თავადაზნაურობისა და გლეხობის ინტერესთა შედუღება გამორიცხული იყო. მაგრამ არც ის შეიძლება დავივიწყოთ, რომ იგი არ უარყოფს „ხოცვა-ჟლეტის“ საქიროებას და კანონიერებას. თუმცა მას ის მიაჩნია უკანასკნელ ზომად, და ამ უკანასკნელი ზომის საქიროება განა აშკარად არ იჩენდა თავს, თუნდაც მისი შეხედულების მიხედვით რომ ენოქმედნა რევოლუციურ ახალგაზრდობას? განა შეიძლებოდა თავადაზნაურობისა და გლეხობის ინტერესთა შედუღება? წინააღმდეგ შემთხვევაში ხომ მხოლოდ ბრძოლის და „ხოცვა-ჟლეტის“ გზა რჩებოდა.

ნ. ნიკოლაძე უფრო რადიკალურ პოზიციებზე დგას ეროვნული თავისუფლებისათვის მიმართული ბრძოლის საკითხში. მისი თქმით, „ახალი თაობა... ამბობს: რუსეთს არავითარი უფლება არა აქვს იბატონოს იმ ქვეყანაზე, რომელსაც სურს თვითონვე იყოს თავისი ბატონ-პატრონი და თვითონვე გაუძღვეს საკლთარ საქმეებს“.

ეხება რა ხელოვნებასა და მეცნიერებასთან ახალთაობის და მოკიდებულებას, ნ. ნიკოლაძე აღნიშნავს, რომ 1865 წლიდან რუსულ მწერლობაში დაიწყო გარდატეხა. კერძოდ, „დადგა ეპოქა, როდესაც ლიტერატურა მთლად მიძღვნილი იყო საზოგადოებრივი საკითხებისა და საერთო კეთილდღეობისადმი“. ამ პერიოდის მოწინავე ლიტერატორთა აზრით, „დასახული მიზნის მიღწევის უძთავრესი საშუალება იყო—საზოგადოების ზნეობრივი განვითარება“. ამასთან, მისი თქმით, პოლიტიკურ საკითხებს, განსაკუთრებით მმართველობის ფორმათა საკითხს ეს ლიტერატორები გვერდს უვლიდნენ, ვინაიდან ხედავდნენ, რომ „საზოგადოება მომზადებული არ იყო საზოგადოებრივი მეცნიერების უმარტივესი ცნებების გაგებისათვისაც კი“.

მაგრამ ნ. ნიკოლაძე არც იმას უარყოფს, რომ ამ პერიოდის ლიტერატორები გატაცებულნი იყვნენ საზოგადოებრივ ურთიერთობათა მოწყობის საკითხით და მიზნის მისაღწევი გზის გამონახვით. ამიტომაც, ისინი უარყოფითად შეხვდნენ საგლებო რეფორმის კულდმოკვეცილობას და „სერიოზული ბრძოლისათვის ემზადებოდნენ“. კერძოდ, ჩერნიშევსკი და მისი მეგობრები, 1856--1862 წლებში ეწეოდნენ აშკარა ლიტერატურულ პროპაგანდას „სხვა საფუძველზე დამყარებული გარდაქმნისათვის“. ამის გამო, მთავრობამ გადაწყვიტა მოესპო იგინი: მ. ლ. მიხაილოვი ციმბირში გაგზავნეს და უკვე გარდაიცვალა, ჩერნიშევსკიც კატორღაში ნოათავსეს შეთითხნილი ბრალდებების წყალობით, ხოლო დობროლიუბოვმა „თავს უშველა“ სიკვდილით.

ნ. ნიკოლაძის შეხედულებით, მიუხედავად ასეთი რეაქციისა, ახალი თაობის წარმომადგენლებმა მაინც არ უნდა მიმართონ ტერორს, რადგან მეფეთა შეცვლით მდგომარეობა არ შეიცვლება. ამ შემთხვევაში იგი უთუოდ რეალური ვითარებიდან გამოდის, მაგრამ სწორად მაინც ვერ ითვალისწინებს იმდროინდელი საზოგადოებრივი წყობილების საფუძვლებს. მისი თქმით, — „ახალთაობას ახლანდელი საზოგადოებრივი წყობილების ძირეულ ბოროტებად მიაჩნია ბნელეთის ორი ძალა: უვიცობა და სილატაკეო“. და თუ მოისპობა სილატაკე, მაშინ ადვილად შეიცვლება საზოგა-

დობროვი წყობილებაყო. ცხადია, ნ. ნიკოლაძე, ამ შემთხვევაში, ერთმანეთში ურევს მიზეზსა და შედეგს. ამიტომ არსებული სინამდვილის წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდის შემუშავებაშიც გარკვეულ შეცდომას უშვებს. „იმისათვის, რომ სახელმწიფოს ცხოვრებაში განეხორციელოთ საზოგადოებრივი ცხოვრების ახალი საწყისები, — ამბობს ის, — საჭიროა გარდაექმნათ თანამედროვე საზოგადოების ცნებები, — დავიწყოთ მისი გონებრივი განვითარება, ჩავკლათ მასში სხვის ხარჯზე ცხოვრების სურვილი და პატიოსანი შრომისადმი სიმპატიები აღუქრათო“.

ასეთი ამოცანის შესრულება, მისი თქმით, უფრო ძნელია, ვიდრე რომელიმე პოლიტიკური რევოლუციის, 1830 ან 1848 წ. რევოლუციათა მსგავსის, მოხდენაო“. მართლაც, მის მიერ დასახული ღონისძიებების განხორციელება არამცთუ ძნელი იყო, არამედ შეუძლებელიც; რადგან მან თავი ვერ დააღწია იდეალიზმს საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებისა და გარდაქმნის გაგების საკითხში.

მიუხედავად ამისა, იმდროინდელი ცხოვრების უმსგავსობის მახვილი კრიტიკისა და პროგრესულ-დემოკრატიული იდეების ქადაგების გამო, უდავოდ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ნ. ნიკოლაძის წიგნს „მთავრობა და ახალი თაობა“. ამასთან, მასში შედარებით სრულადაა წარმოდგენილი ქართველ მესამოციანელთა სოციალ-პოლიტიკური შეხედულებების ძლიერი და სუსტი მხარეები, რაც გვიადვილებს მათ შესწავლას.

ნ. ნიკოლაძის აღნიშნული წიგნი აშკარად ამელავნებს იმასაც, თუ როგორ მძიმე ვითარებაში აღმოჩნდა რევოლუციური ახალგაზრდობა ჩერნიშევსკის დაპატიმრებისა და დობროლიუბოვის გარდაცვალების შემდეგ; იგრძნობა მკაცრი საჭიროება იდეური ბელმძღვანელისა, რომელიც ახალი ვითარების შესატყვისად წაიყვანდა მათ უკეთესი მომავლისათვის ბრძოლაში. ეს ხომ ის პერიოდია, როცა მათი გერცენთან მოლაპარაკებაც უშედეგოდ დამთავრდა? ნ. ნიკოლაძეს სურს ნაწილობრივ მაინც შეავსოს ეს ხარვეზი და უჩვენოს ახალგაზრდობას მოქმედების გზა. მაგრამ, როგორც ვხედავთ, ვერც ნან გასწმინდა ეს გზა.

ნ. ნიკოლაძეს არც შემდეგ შეუწყვეტია ამ მიმართულებით მუშაობა. ჟურნალ „სოვრემენნოსტის“ ფურცლებზე იგი ეხება რიგ მტკივნეულ საკითხებს, რომლებიც „ახალგაზრდა ემიგრაციას“ აღელვებდა. ამ მხრივ საყურადღებოა წერილები: „Русская эмиграция“, „Два поколения“, „Народное дело“ და სხვ. პირველი ორი წერილი ნ. ნიკოლაძემ დაწერა ცნობილი ემიგრანტის — ვ. კელსიევის რუსეთში დაბრუნებისა და მონანიების მიზნით წიგნის

(„Из пережитого и передуманного (1866—1868). Воспоминания“) გამოქვეყნებასთან დაკავშირებით.

ნ. ნიკოლაძე ვ. კელსიევის მოქმედებას თვლის არა შემთხვევით, არამედ ლოლიკურ ნაბიჯად კელსიევის მსგავს ადამიანთა საქმიანობაში. კელსიევი, მისი თქმით, არ იყო მომზადებული სერიოზული რევოლუციური მუშაობისათვის. მისი გონებრივი და სულიერი მისწრაფებები ნასაზრდოები იყო მხოლოდ და მხოლოდ საფრანგეთის რომანტიკული ლიტერატურისა და რუსული „ნატურალური სკოლის“ მწერალთა გავლენით. პირველი მას აწვდიდა „მისტიკურ განწყობილებას“, ხოლო მეორე, — „ამ მისწრაფებებს ასე თუ ისე ადამიანურ ხასიათს აძლევდა“. მაგრამ ამ უკანასკნელის გავლენა იმდენად შეზღუდული იყო, რომ მას ბელინსკი არ მუაუჯიბთხავს და კიდევაც რომ წაეკითხა ვერ გაიგებდაო, — ამბობს ნ. ნიკოლაძე.

ნ. ნიკოლაძის თქმით, კელსიევისა და მის მსგავს ახალგაზრდა ემიგრანტთა მთავარი უბედურება მაინც ის იყო, რომ მათ თავის დროზე კარგად ვერ გაიგეს ის განსხვავებული მიმართულება, რომელსაც ადგენენ ჩერნიშევსკი და დობროლიუბოვი. კერძოდ, ვერ შეიგნეს, რომ ჩერნიშევსკი და დობროლიუბოვი იმ აზრისა იყვნენ, რომ „ახლა აუცილებელია ჩვენს მიერ ათვალწუნებული ყოფაცხოვრების ოდნავ მაინც შესაცვლელად უფრო მოსაზრებული და პრაქტიკული ნაბიჯები გადავდგათ“. აკრიტიკებს რა მათ ჩერნიშევსკისა და დობროლიუბოვის შეხედულებათა უცოდინარობისა და დამახინჯების გამო, ნ. ნიკოლაძე, თავის მხრივ, სრულყოფილად ვერ აშუქებს თავის მასწავლებელთა მოძღვრებას. კერძოდ, სათანადოდ ვერ აფასებს მათ რევოლუციურ მოწოდებას ნაჯახისაკენ და აქცენტი საზოგადოების ზნეობრივ და გონებრივ გაუმჯობესებასა და განვითარებაზე გადააქვს.

ნ. ნიკოლაძე დიდ იმედს არ ამყარებს ემიგრანტებზე. „ახალგაზრდა ემიგრაციას“, მისი აზრით, ჩამოყალიბებული წარმოდგენა არა აქვს თავის მომავალ მოქმედებაზე, ამასთან მოწყვეტილია რუსული ცხოვრების სინამდვილეს. „ებლანდელი ემიგრანტები, — ამბობს ის, — მშობლიური წრისაგან მოწყვეტის გამო და მათი ინტერესებისათვის უცხო ადამიანთა შორის კარჩაკეტილი ცხოვრების წყალობით, დაცულ იქნენ... თითქმის იმავე სახით, რა სახითაც მათ რუსეთი დასტოვესო“.

„ახალგაზრდა ემიგრაციას“, ისევე როგორც გერცენსა და ოგარიოვს, — შენიშნავს ნიკოლაძე, — დღევანდელ ვითარებაში უნარი აღარ შესწევს სერიოზული როლი ითამაშოს. გერცენი და

ოგარიოვი ამ მდგომარეობამდე მივიდნენ იმიტომ, რომ მათი იდეალები, მათი მისწრაფებანი, სიმპათიები და ანტიპათიები ჩამოყალიბდნენ ოცდაათიან და ორმოციან წლებში, მაშინ კი ძნელი იყო მისწრაფება იმისკენ, რაც ეხლა საქმით უკვე განხორციელდა...

...ეხლა „კოლოკოლის“ გამომცემლებს სანატრელი აღარაფერი აქვთ... ისინი ველარაფერს უსაცვედურებენ მთავრობას (თუ არ ჩავთვლით წვრილმანებს...), ...მათ სიძულვილის საბაზი აღარა აქვთ და რომ ადრე თუ გვიან ხომ უნდა გათავდეს რითიმე ეს აურზაური. ესევე ხდება, — თუ ჩვენი დაკვირვება არ გვატყუებს, — ემიგრაციაში, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ „კოლოკოლის“ გამომცემლებს თავის დროზე მეტად დიდი, ცხოველი და თამამი იდეალები ჰქონდათ... ხოლო ახალგაზრდა ემიგრანტებს არასოდეს არაფერი ამის მსგავსი არ გააჩნდათ“...

როგორც ვხედავთ, ნ. ნიკოლაძე უკვე მკაცრად აკრიტიკებს „ახალგაზრდა ემიგრაციას“, მაშინ, როცა ადრე, როგორც ეს ოგარიოვისადმი მიწერილი წერილიდან ჩანს, საგანგებოდ ერიდებოდა მის კრიტიკას. ეს გამოწვეული უნდა იყოს, პირველყოვლისა, თვით „ახალგაზრდა ემიგრაციაში“ დაწყებული დაჯგუფებებით და ბევრის მიერ ტერორისტული საქმიანობისადმი მხარდაჭერით. ამ შემთხვევაში კი იგი გერცენს უფრო ეთანხმება, ვინემ „ახალგაზრდა ემიგრაციის“ წარმომადგენლებს.

რუსული ეურნალისტიკის ცნობილი მკვლევარი ა. გ. დემენტიევი სწორად შენიშნავს, რომ „Герцен ...справедливо возражал против увлечения некоторыми представителями «молодой эмиграции» бакунинскими, бунтарско—заговорщицкими методами, против их преклонения перед террором и террористами, против нечаящины, подложных манифестов и т. п.“<sup>1</sup> И хотя при этом Герцен и допускал иногда недооценку массового революционного насилия, но это не мешало ему быть в данном случае более глубоким политическим мыслителем, чем многие революционеры того времени и будущие русские народники“<sup>1</sup>. ეს სიტყვები შეიძლება უცვლელად გავიმეოროთ ნ. ნიკოლაძის მიმართაც, რითაც გასაგები ხდება მიზეზები, რომელთა გამო ნ. ნიკოლაძე უკანასკნელად გერცენსა და ოგარიოვს უფრო მალლა აყენებდა, ვიდრე ახალგაზრდა ემიგრანტებს.

<sup>1</sup> А. Г. Дементьев. Очерки по истории русской журналистики, 1951, стр. 496.

ის ფაქტი, რომ კელსიევმა მიატოვა ემიგრანტული ცხოვრება და დაბრუნდა რუსეთში, ნ. ნიკოლაძეს მიაჩნია „ახალგაზრდა ემიგრაციიზე“ მისი შეხედულების გამართლებად. ამასთან, ნ. ნიკოლაძე საპიროდ თელის მკითხველს მოაგონოს დობროლიუბოვის ის შეფასება, რომელიც მან მისცა თავის და მის წინათაობას სტატიაში— „Литературные мелочи прошлого года“.

ნ. ნიკოლაძემ თავის სტატიას — „Русская эмиграция“ შემთხვევით არ წარუმძღვარა ბარატინსკის სიტყვები: „Притворной нежности не требуй от меня...“; ასეთი ეპიგრაფი ჰქონდა ნ. დობროლიუბოვის სტატიასაც — „Литературные мелочи прошлого года“, რომელზე დაყრდნობითაც სურს მას „ახალგაზრდა ემიგრაციის“ სახის დახატვა. წერილში — „Два поколения“, ნ. ნიკოლაძეს მოაქვს ვრცელი ამონაწერები დობროლიუბოვის დასახელებული სტატიიდან და დასძენს: „ჩვენ შეგვეძლო, უკანასკნელი ათწლეულის პრაქტიკის მიხედვით, უფრო რელიეფურად აღგვესახა ჩვენი სიტყვებით ის თვისებები, რომლებიც ამ ორ თაობას განასხვავებდა, განსაკუთრებით იმიტომ, რომ ცხოვრებაში ამ თვისებებმა თავი იჩინა უკვე დობროლიუბოვის სტატიის დაბეჭდვის შემდეგ. მაგრამ ჩვენს სიტყვებს აჩრდილიც კი არ ექნებოდა დობროლიუბოვისებური ავტორიტეტისაო“.

უფრო სწორად, დობროლიუბოვის სტატიის ციტირებას ნ. ნიკოლაძე უფრო მეტად იმისათვის მიმართავს, რომ კელსიევი (და როგორც ის ამბობს „დანარჩენი კელსიევებიც“) არასწორად განმარტავდნენ ჩერნიშევსკისა და დობროლიუბოვის შეხედულებებს რუსეთის საზოგადოებრივ ცხოვრებაზე. ნ. ნიკოლაძის აზრით, „ახალგაზრდა ემიგრაციის“ წარმომადგენლებმა „სოვრემენნიკის“ ფურცლებიდან შეითვისეს ჩერნიშევსკისა და დობროლიუბოვის მოძღვრების ერთი მხარე—ოპოზიციური დამოკიდებულება მთავრობისადმი, მაგრამ გაუთვალისწინებელი დარჩათ დანარჩენი მხარეები, რის საილუსტრაციოდ მას მოჰყავს ადგილები დობროლიუბოვის ზემოთ დასახელებული სტატიიდან\*.

მაგრამ აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ თვით ნიკოლაძეც მეორე უკიდურესობისაკენ იხრება და ვერც თვითონ იძლევა თავის მასწავლებელთა შეხედულებების სრულყოფილ ინტერპრეტაციას.

\* კელსიევის შესახებ დაწერილმა ნ. ნიკოლაძის წერილმა აღაშფოთა ა. ლ. სერნო - სოლოვიევიჩი, რომელმაც ნ. ნიკოლაძის წინააღმდეგ გამოაქვეყნა ბროშურა — „Миколка—публицист“.

ნ. ნიკოლაძე შემდეგშიც ბეჯითად იცავს იმ შეხედულებას, რომ რევოლუციონერ-ემიგრანტთა დანიშნულება იმ დროისათვის ისაა, რომ „გააცნოს საზოგადოებას სალი შეხედულებანი საზოგადოებრივ ურთიერთობასა და ხალხის ცხოვრებაზე“. მან გააკრიტიკა მ. ბაკუნინისა და ი. უტინის მიერ გამოცემული ჟურნალის— „Народное дело“-ს პირველი ნომერი.

ნ. ნიკოლაძე, საერთოდ, ვერ იტანდა მ. ბაკუნინის ავტორიტეტის ზრდას „ახალგაზრდა ემიგრაციის“ წარმომადგენელთა შორის, რადგან ვერ ურიგდებოდა მოქმედების ბუნტარისტულ-ტერორისტულ მეთოდებს. ნ. ნიკოლაძე უარყოფს ჟურნალში გატარებულ ანარქისტულ თეორიას „სახელმწიფოსა და სახელმწიფოებრიობის“ ერთბაშად მოსპობის შესახებ და მას უპირისპირებს ნ. ჩერნიშევსკის შეხედულებას, რომელიც მას გამოთქმული აქვს სტატიაში — „Экономическая деятельность и законодательство“.

ნ. ნიკოლაძე არ იზიარებს არც მეცნიერებისადმი დამოკიდებულების „ნაროდნოე დელოს“ გზას და აღნიშნავს: „ნაროდნოე დელოს“ ცოდნა მეცნიერების დარგში, ისევე როგორც ფილოსოფიის დარგში, ცოტა არ იყოს, არეულიაო“. მაგრამ იგი თვითონაც ვერ იყო გარკვეული პოზიტივიზმის მცდარობაში მაშინ და ერთგვარი სიმპათიით იყო ვანწყობილი მისდამი.

ამ პოლემიკიდან ორმოცი წლის შემდეგ, იგონებს რა მის მიერ გაწეულ ბრძოლას ტერორისა და შეთქმულებათა პროპაგანდის წინააღმდეგ, ნ. ნიკოლაძე წერდა: „Этой пропаганде мною посвящена была, еще ранее изданная „Современностью“, брошюра „Правительство и молодое поколение“... по поводу Каракозовского покушения 4-го апреля 1866 г. В брошюре доказывалось, что покушения, вроде выстрела 4 апреля 1866 г. приносят пользу только реакции. Таковую же борьбу против романтизма в политике представляла собою и моя общая с Л. И. Мечниковым работа в „Современности“ 1868 г. Достаточно указать в подтверждение этого, на мою статью по поводу раскаяния В. И. Кельсиева (вызвавшую буйный гнев А. Л. Серно-Соловьевича), или же на мой разбор первого выпуска журнала „Народное дело“, издававшегося тогда М. А. Бакуниным и Н. И. Утиным (до их разрыва). В обеих этих статьях я утверждал, что необыточность химер, за которыми гоняются неподготовленные деятели, неминуемо ведет к подрыву и разочарованию, что колоссальность задачи

требует огромной подготовки, что плодотворна, несокрушима лишь долгая и невзрачная работа над развитием умственных и материальных сил народа и т. д.“<sup>1</sup>.

ჟურნალ „სოვრემენნოსტის“ გამოსვლას მოწონებით შეხვდა გერცენი, რომელიც „კოლოკოლში“ წერდა: „Мы получили пробный номер нового русского журнала „Современность“... ..Направление—вполне радикальное и социалистическое. Нам остается только приветствовать...“<sup>2</sup>, მაგრამ შემდეგში გერცენი სხვა აზრისა გახდა<sup>3</sup>; იგი ლანძღავდა როგორც ამ ჟურნალს, ასევე ნ. ნიკოლაძეს, რომელიც, თავის მხრივ, აკრიტიკებდა „კოლოკოლსა“ და მის რედაქტორებს.

მაგრამ, მხოლოდ პუბლიცისტური მოღვაწეობით არ შემოფარგლულა ნ. ნიკოლაძე შეეცაღარაში ყოფნისას. კერძოდ, იგია ერთ-ერთი ინიციატორი ჩერნიშევსკის თხზულებათა პირველი გამოცემისა და რომანის „რა ვაკეთოთ?“ დაბეჭდვისა. ამასთან, ამ მუშაობაში მას ჩაუბამს სხვა ქართველი მოღვაწეებიც, რომლებიც მას აწვდიდნენ საჭირო მასალას.

1866 წლის მარტში ნ. ნიკოლაძე პეტერბურგში მყოფ კ. ლორთქიფანიძეს საზღვარგარეთიდან წერს: „ეხლა შენთან ერთი თხოვნა მაქვს: როგორც უნდა იყოს, გაიცანი ვინმე პიპინის ნაცნობი და მიშოვნე სრული (ძალიან სრული) სია „რა ექნათის“ ავტორის თხზულებების. ამ სიის გარდა, მიშოვე გამოშვებული ალაგები (ე. ი. ცენზურის მიერ ამოღებული ადგილები—დ. გ.). ეს ძალიან, ძალიან საშინლად საჭირო და სასარგებლოა. შე ვიცი, რომ ადვილია გითხრა — „მიშოვნე“, შოვნა კი ძნელია, მაგრამ... თუ ნაცნობი ვერ გაიცანი, აიღერე თავი და წადი პირდაპირ,—უთხარი, ასე და ასე, ერთ ჩ-იკის თავყანისმცემელს სურს შეაგროვოს მისი სრული თხზულებებითქო და იმედი მაქვს, არ დამიკავებ თქვენი სიისა და გამოშვებული ალაგების თქვენი თვალების წინ გარდაწერასთქო... ამნაირი პირდაპირი თხოვნა მიზანს მიაღწევს.—შინჯე მაინც.

მე კარგად ვიცი, ძმაო კირილე, რომ შენთვის ეს ძნელია. — შენს ხასიათს სძულს ამნაირი მოქმედება. მაგრამ ეს ისე საჭიროა, რომ შენი წყენა არ შეშინია ეს იცოდე კარგად,—უბრალო საქმე რომ იყოს, არ გთხოვდი. — და რადგანაც გთხოვ — ძალიან

<sup>1</sup> გახ. „Закавказье“, 1908, № 31.

<sup>2</sup> А. И. Герцен. Сочинения, т. XX, стр. 294.

<sup>3</sup> А. И. Герцен. Сочинения, т. XXI, стр. 11, 14, 34, 297. -



საქიროა. ამის გარდა არ დაგავიწყდეს, რომ ეს საქმე მოუთმენელია, ესე იგი საჩქაროთ უნდა აასრულო. თუ მაინც და მაინც არ გინდა ამ თხოვნის ასრულება, ხამაშურიძეს (ნ. ნიკოლაძის სტუდენტობის მეგობარია — დ. გ.) მაინც გადაეცი, — და თხოვე რომ მალე გამომიგზავნოს, რაც კი იშოვოს“<sup>1</sup>.

ჩვენ არ ვიცით, რა პასუხი გასცა კ. ლორთქიფანიძემ ნ. ნიკოლაძეს, მაგრამ ჩანს, რომ გარკვეული რჩევა მიუცია მისთვის. ნ. ნიკოლაძე საპასუხო წერილში კ. ლორთქიფანიძეს წერს: „Что касается твоего совета насчет Э-на, который печатался в наших журналах, говорить об этом совершенно бесполезно. Я знаю, как об этом деле думают у вас и как об этом же деле думают здесь, в Европе. Но не только протесты Суворина, но и просьба и неудовольствие самого Ч-го, как мне кажется, не остановят Э-на. Опасения ваших, неумелость здешних, по мнению Э-на, совершенно не основательны..., дети же Ч-го не останутся без выгоды—об этом и разговора быть не может“<sup>2</sup>.

აღნიშნული წერილებიდან კარგადაა ჩანს, თუ როგორი ვატაცებით შედგომიან ელპიდინი და ნ. ნიკოლაძე ჩერნიშევსკის თბზულებათა გამოცემისათვის მზადებას, აშკარაა ისიც, რომ რუსეთში ამ საქმეს სიფრთხილით ეკიდებოდნენ; ალბათ, იმის შიშით, რომ ამ ამბავს ზიანი არ მიეყენებინა ნ. ჩერნიშევსკის განთავისუფლების საქმისათვის. მაგრამ ნ. ნიკოლაძის წერილიდან ისიც ჩანს, რომ კ. ლორთქიფანიძეს დახმარებაც აღუთქვამს. თუ არა ასე, სხვა შემთხვევაში შეუძლებელი იყო ნ. ნიკოლაძეს წერილის დასასრულს ჩამოეწერა სია ჩერნიშევსკის იმ სტატიებისა, რომელთა გაგზავნას ითხოვდა ის.

როგორც ირკვევა, ჩერნიშევსკის თბზულებათა გამოცემისათვის მზადების საქმეში ნ. ნიკოლაძეს დახმარებას უწევდა პარაზში მყოფი გ. ნაკაშიძეც. ეს ჩანს გ. ნაკაშიძის კ. ლორთქიფანიძისადმი გამოგზავნილი წერილებიდან, რომლებიც დაწერილია 1866 წელს. ერთ-ერთ წერილში იგი კ. ლორთქიფანიძეს თხოვს: „... Попрошу

<sup>1</sup> დედანი დაცულია ქუთაისის სახ. მუზეუმში, კ. ლორთქიფანიძის არქივში.

<sup>2</sup> წერილი მოყვანილი აქვს ე. დ. ჩარკვიანს თავის სტატიაში — „Участие грузинских деятелей в издании собрания сочинений Н. Г. Чернышевского 1868 г.“. См. „Труды Тбилисского Гос. Пед. Института им. Пушкина“, т. XI, 1952.

выслать портрет Н. Чернышевского и через несколько времени возвращу. Постарайся выслать и Добролюбова, если можешь“.

ქ. ლორთქიფანიძის არქივში დაცული მასალებიდან ნიცი ირკვევა, თუ როგორ აგროვებდა იგი ჩერნიშევსკის სტატიებს ნ. ნიკოლაძის დავალებით.

როგორც ცნობილია, 1868 წელს გამოცემული ჩერნიშევსკის თხზულებათა პირველი ტომისადმი წამძღვარებული წერილი და აღნიშნული ტომის რედაქცია ნ. ნიკოლაძეს ეკუთვნის. ნ. ნიკოლაძემ წინასიტყვაობაში მოკლედ მოხაზა ჩერნიშევსკის მოღვაწეობის გზა და მიუთითა მისი ნაწერების მნიშვნელობაზე. „ჩერნიშევსკი, — წერს ის, — სალიტერატურო ასპარეზზე გამოვიდა სავსებით ჩამოყალიბებული აზრებითა და მოქმედების გამზადებული სისტემით“. ამასთან იგი შენიშნავს, რომ თავისი აზრებისა და სისტემის შემუშავებაში ჩერნიშევსკი დიდ ანგარიშს უწევდა ლესინგს, „რომლის პირადი ხასიათი და მოღვაწეობა... ფრიად მოსწონდა და რომლებსაც იგი ძალიან ძვირად აფასებდაო“. ამ შემთხვევაში, ნ. ნიკოლაძეს მხედველობაში აქვს ის, რომ „ლესინგის მსგავსად, ჩერნიშევსკიმ ლიტერატურაში ფეხის შედგმისთანავე მიზნად დაისახა — შეეცვალა საზოგადოების შეხედულებანი და ცნებანი“. საერთოდ კი ნ. ნიკოლაძეს ჩერნიშევსკი მიაჩნია ბელინსკის შეხედულებათა გამგრძელებლად და გამღრმავებლად.

ვინაიდან ჩერნიშევსკის სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლის დროს საზოგადოებისათვის უფრო მისაწვდომი იყო ლიტერატურა და ხელოვნება, „ჩერნიშევსკი, — ამბობს ნ. ნიკოლაძე, — იძულებული იყო საზოგადოებაში გაბატონებული ცნებების გადამუშავება დაეწყო წმინდა სალიტერატურო, ესთეტიკურ ცნებათა შეცვლით და მხოლოდ გაკვირით აღენიშნა, თუ რაოდენ ბევრი რამ აკლდათ ჩვენებურ მეცნიერებს, რომ მეცნიერების ნამდვილი მამოძრავებელი გამხდარიყვნენ...“

მაგრამ, ემზადებოდა. რა მომავალი, უფრო სერიოზული მოღვაწეობისათვის, მას მხედველობიდან როდი ეპარებოდა სინამდვილე. ყოველ მოხერხებულ შემთხვევაში იგი ცდილობდა ასე თუ ისე დაეკმაყოფილებინა ის მოთხოვნილებანი, რომელთაც იგი რუსეთის ჟურნალისტიკას მიზნად უსახავდა... სალიტერატურო და სამეცნიერო კრიტიკა მისთვის იყო საშუალება საზოგადოებაში საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენებისადმი ინტერესის გასაღვიძებლადო“.

როგორც ვხედავთ, ჩერნიშევსკის თხზულებათა პირველი გამოცემის რედაქტორმა—ნ. ნიკოლაძემ მკითხველს მიაწოდა საკმაოდ საინტერესო და სწორი შეფასება ცარიზმის მიერ კატორღაში გამომწყვდეული დიდი რუსი რევოლუციონერ-დემოკრატის მოღვაწეობის შესახებ. ამით მან გარკვეული მიმართულება მისცა მისი შემკვიდრეობის შესწავლის საქმესაც.

ნ. ნიკოლაძის თქმით, როგორც ბელინსკის შემდეგ იგრძნობოდა ერთგვარი დაბნეულობა და მოწინავე საზოგადოებამ თითქოს დაკარგა გამოსავლის მონახვის იმედი, ასევეა ახლაც,—ჩერნიშევსკის ცოცხლად დამარხვის შემდეგ. ამიტომ, „ჩერნიშევსკის მიერ ორმოცდაათიანი წლების დამდეგს ნამუშავეს,—წერს ნ. ნიკოლაძე,—ამჟამად ფრიალ დიდი მნიშვნელობა აქვს. ამ ნამუშავეების ისტორიული სიდიადის შესახებ რომ არა ვთქვათ რა, სამოქალაქო განვითარების ის გაკვეთილები, ჩერნიშევსკის პატარა სტატიებში რომ არის ჩამალული, ხელს შეუწყობს მრავალს—თავი დაადწიოს თანამედროვე სიღუბეჩირესა და მხოლოდ და მხოლოდ პირადი ინტერესების ბატონობას, ხელს შეუწყობს ზოგიერთებს იმუშაონ საზოგადოებრივი გათვითცნობიერებისა და თვითმოქმედების გასაღვიძებლად“.

ამ სიტყვებიდან აშკარაა, რომ მ. ელპიდინისა და ნ. ნიკოლაძის თავდადებული შრომა, ნ. გ. ჩერნიშევსკის თხზულებათა გამოცემისათვის, საყვარელი მასწავლებლისადმი მხოლოდ დიდი პატივისცემით როდი აიხსნება. მათ სურდათ, რომ ავტორის მაგივრობა გაეწია მის ნაწერებს და მოქმედების მიზნისა და გზების გარკვევაში დახმარებოდა რევოლუციონურ ახალგაზრდობას.

გერცენმა, ცხადია, იგრძნო, რომ ნ. ნიკოლაძე ბელინსკ-ჩერნიშევსკის მიმართულების დამცველად არ თვლიდა „კოლოკოლის“ რედაქტორებს და მათი მისამართით ყრუ კრიტიკასაც აწარმოებდა. ამიტომ იყო, რომ 1866 წლის 15 მაისს, გერცენი ოგარიოვს სწერდა: „Запрятавши грузинские когти, Никол(адзе) в предисловии к Черныш(евскому) зацепил нас и совершенно с той точки зрения, с которой Писарев в „Базарове“ (видно, я не ошибся). Тебе бог попрыскал очи такой водой, что ты розы видишь, шипов не можешь видеть. Заметь, что... они о нас не упоминают и бьют намеками, от которых отпереться легко, а нападать на которые трудно“<sup>1</sup>.

<sup>1</sup> А. И. Герцен. Сочинения, т. XX, стр. 275.

ნ. ნიკოლაძისათვის არ არსებობდა ნ. გ. ჩერნიშევსკიზე უფრო დიდი ავტორიტეტი. საქმით თუ სიტყვით, იგი მუდამ იმას ცდილობდა, რომ ნაწილობრივ მაინც მოეხადა ვალი საყვარელი მასწავლებლის წინაშე და დაეცვა და ელიარებინა მისი მიმართულება. შემთხვევითი როდი იყო, რომ ი. გ. როზანოვი, სწორედ ამ პერიოდში, მესამე განყოფილებას ცნობას აძლევს: ნ. ნიკოლაძე „...превозносит Чернышевского выше всего и говорит, что он весь проникнут идеями Чернышевского, что никогда, никакая страна не произвела такого человека, такого таланта, как Чернышевский“<sup>1</sup>.

ასეთი შეხედულებებით და განწყობილებებით დაბრუნდა ნ. ნიკოლაძე სამშობლოში 1869 წელს და მთელი ენერჯიით ჩაება ცხოველ პუბლიცისტურ და საზოგადოებრივ მუშაობაში.

## 5

„საქართველოს მოამბის“ დახურვის შემდეგ ი. ჭავჭავაძესა და ეურნალის სხვა ახლო თანამშრომლებს ბეკდვის შესაძლებლობა მოესპოთ. ი. ჭავჭავაძემ კარგად იცოდა, რომ ახალი ეურნალის ან გაზეთის გამოცემის ნებართვას აღარავინ მისცემდა. ამიტომ, მან პრაქტიკულ სამუშაოს მიაშურა: 1864 წლიდან 1874 წლამდე იგი ჯერ ქუთაისში, ხოლო შემდეგ დუშეთში (ძირითადად მომრიგებელი მოსამართლის თანამდებობაზე) მუშაობდა. ი. ჭავჭავაძეს არა ერთხელ დაუცავს გლეხობის ინტერესები, რის გამო მემამულეთა და მმართველი წრეების წყრომა დაუმსახურებია. ქუთაისში ახლადჩასული ილია თავის მეუღლეს სწერდა: „ჩვენი მოსვლა ვერაფრათ ექაშინიკათ: აი, ესენი არიან ჩვენი დამლუპველებიო, ყმების წამართმევებიო“.

1864 წლის დასასრულიდან ი. ჭავჭავაძე უკვე დუშეთში დაშვებულა. ამის შემდეგ მას მეტი შესაძლებლობა ჰქონდა ახლო ურთიერთობა დაემყარებინა თბილისში მყოფ მოღვაწევებთან და მათი მუშაობის კურსში ყოფილიყო, თანაც დაწვრილებით ეცნობოდა გლეხთა ცხოვრებას; შეგნებული ჰქონდა, რომ „მწერალმა საზოგადოებაში უნდა იცხოვროს. თუ არ ცხოვრების მორევში. საგანს სად იპოვის წერისათვის?“

მაგრამ სამსახურის საქმეები ი. ჭავჭავაძეს დიდ დროს ართმევდა. მას უკვე აღარ შეეძლო ნაყოფიერად განეგრძო თავისი

<sup>1</sup> В. П. Козьмин. Революционное подполье в эпоху „Белого террора“. 1929, стр. 74.

შემოქმედებითი მუშაობა, რაც აღელებდა და მოსვენებას არ აძლევდა პოეტს. „მოსვენება... მინდა,—წერდა ის პ. უმიკაშვილს,—რომ დავწერო რამე და მინამ მე ჩინოვნიკობას თავს არ დავანებებ, ეგ მოსვენება... ჩემთვის სიზმარია... ეხლანდელი ჩემი წყეული მდგომარეობა ისეთია, რომ წერისათვის ხანგრძლივი მოცალეობა არა მაქვს და ამის გამო ასე უხეიროდ და უნაყოფოდ მიდის ჩემი ორი დღის ცხოვრება... ვფიქრობ თავი დავანებო სამსახურს, მაგრამ რით ვიცხოვრო?“

„საქართველოს მოამბის“ დახურვისთანავე, ი. ჭავჭავაძეს თავის მეგობართა წრეში წამოუყენებია გაზეთის გამოცემის იდეა და თბილისიდან წასვლის შემდეგაც ზომებს იღებდა ხელი არ აეღოთ ამ იდეის განხორციელებაზე. 1866 წლიდან მართლაც დაიწყო გამოსვლა გაზეთმა „დროებაში“, რამაც ი. ჭავჭავაძეს შემოქმედებითი ენერჯია შემატა. იგი ხედავდა, რომ მის მიერ დაწყებული საქმე არ კვდებოდა, ერთ ადგილზე არ ჩერდებოდა და წინ მიდიოდა.

„დროების“ გამოსვლასთან დაკავშირებით, ილიას დაუწერია სტატია — „ტფილისი“, რომელიც მხოლოდ 1876 წელს დაიბეჭდა გადამუშავებული სახითა და ახალი სათაურით („ზოგიერთი რამ“. „დროება“, № 27). 1866 წელს დაწერილი სტატიის შესავალში ი. ჭავჭავაძე ამბობს: „ესეც გაზეთი, მოგვეცა, მადლობა ღმერთს, ხმის ამოღების უფლება მაინც რომ სხვა არა იყოს რაო“...

თბილისში მყოფი მოწინავე შემოქმედი ახალგაზრდობის მეთაურობა უკვე გ. წერეთელს ჰქონდა აღებული თავისთავზე. მისი რედაქტორობით დაიწყო გამოსვლა „დროებაში“, რომელიც თავის გარშემო აერთიანებდა ყველა პროგრესულად მოაზროვნე მოღვაწეს. როგორც პროფ. ს. ხუნდაძე შენიშნავს, „დროების“ დაარსება ერთ უშესანიშნავეს ეპოქის დასაწყისად უნდა. ჩაითვალოს ჩვენი ჟურნალისტიკის ისტორიაში. შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ „დროება“ იყო პირველი ევროპული ხასიათის გაზეთი ქართულ ენაზე, რომელსაც გარკვეული პოლიტიკური მსოფლმხედველობა ახასიათებდა და რომელიც ახალი თაობის დემოკრატიულ მისწრაფებებს ემსახურებოდა“<sup>1</sup>.

გაზეთ „დროების“ გამოსვლის შემდეგ „თერგდალეულთა“ მიერ მოპოვებული გამარჯვება უკვე უზრუნველყოფილი იყო. „დროების“ კონკურენტი „ციცქარი“ სულს დაფავდა და მკითხველს თითქმის სრულიად მოსწყდა. მის არსებობას თავდადებული რედაქტორი

<sup>1</sup> გ. წერეთელი. თხზულებანი, 1931, ტ. I, გვ. 404.

და მის გვერდში მდგომი რამდენიმე პირი ახანგრძლივებდა მხოლოდ. აკ. წერეთელი და ანტ. ფურცელაძეც „დროებაში“ იწყებენ თანამშრომლობას; ყოველგვარ ძალას მოკლებულ „ციხკარს“ კბილებიც დაუბლაგვდა, — ველარ ბედავდა საბრძოლო მოედანზე ძველებურად გამოჯირითებას.

შეიძლება ითქვას, რომ „დროება“ „საქართველოს მოამბის“ პირმშო და მისი საქმის ერთგული გამგრძელებელი იყო; მისი გამოცემის ინიციატორები ი. ჭავჭავაძე და „საქართველოს მოამბის“ ახლო თანამშრომლები იყვნენ. „დროების“ ათი წლის საიუბილეო ზეიმზე ს. მელიქიშვილმა გარკვევით განაცხადა: „პირველი აზრი იმ გაზეთის გამოცემისა, რომლის გამომცემელი მე გახლავართ და რომლის ათი წლის არსებობას ჩვენ დღეს ვდღესასწაულობთ, ეკუთვნის თ. ი. ჭავჭავაძეს, რომელმაც პირველად გამოთქვა ეს აზრი „საქართველოს მოამბის“ დახურვის შემდეგ“<sup>1</sup>. მართლაც, 1864 წლის მაისში, ნ. ლოლობერიძე პეტერბურგში მყოფ კ. ლორთქიფანიძეს ატყობინებდა, რომ „მე, ვახტანგ თულაშვილი, დიმიტრი ბაქრაძე და სტეფანე მელიქიშვილი სტამბის გახსნას ვაპირებთ... თუ ღმერთმან ქნა და გავაწყვეთ კარგად, მაშინ იმედია თქვენის (ე. ი. სტუდენტების — დ. გ.) შემწეობით, რამეს მოვახერხებთ“. უდავოა, რომ მათი ასეთი გადაწყვეტილება ი. ჭავჭავაძის რჩევისა და შთაგონების შედეგი იყო.

გაზეთ „დროების“ ფურცლებზე ჩვენთვის უკვე ცნობილ მოღვაწეთა გვერდით გამოჩნდნენ ნიჭიერი ახალგაზრდები: ს. მესხი. პ. უმიკაშვილი, ი. გოგებაშვილი, ა. ცაგარელი, ნ. ინაშვილი და სხვები.

„დროების“ ერთ-ერთ მთავარ ღირსებას ის წარმოადგენდა, რომ ის „საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი“ იყო. ე. ი. მას მკითხველი შეჰყავდა როგორც ლიტერატურული, ასევე პოლიტიკური ცხოვრების კურსში. თუმცა აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ გაზეთი მეტად შევიწროებული იყო ცენზურული არტახებისაგან, და როგორც პროფ. ს. ხუნდაძე ამბობს: „მკვლევარმა თუ ამ გარემოებას არ მიაქცია არსებითი ყურადღება, მისთვის სრულიად გაუგებარი დარჩება „დროების“ პოლიტიკური პროგრამის არსებითი შინაარსი და ძლიერ დასცილდება ისტორიულ სინამდვილეს“. ჩვენი მხრით ისიც უნდა დავუმატოთ, რომ თუ „დროების“ დღევანდელი მკვლევარი კარგად ვერ გაითვალისწინებს ამ გარემოებას და ვერ მოახერხებს მის ფურცლებზე ქვეტიქსტის

<sup>1</sup> „დროება“, 1876, № 24.

ამოკითხვას, მაშინ მისთვის შეუცნობელი და გაუგებარი დარჩება საერთოდ ბევრი გადამწყვეტი მნიშვნელობის მოვლენა.

ჩვენი შეხედულების ნათელსაყოფად საკმარისია მოვიგონოთ „დროების“ რედაქტორის — გ. წერეთლის სიტყვები, მიწერილი კ. ლორთქიფანიძისადმი: „ძალიან გეხვეწები წერილებში აზრები დაფარო ისე, რომ ბევრ კაითმაზოვის თვალებს არ შეეჩხოს, თორემ უეჭველად ამოშლის და სტატიას ძალა დაეკარგებაო“. ამასვე უმეორებდა კ. ლორთქიფანიძეს ნ. ლოლობერიძეც: „მანდედამ კორესპონდენციებს... რომ გამოგვიგზავნიდეთ ხოლმე, მაგას რალა ემჯობინება. წერის დროს აქაური ცენზურა კი უნდა იქონიოთ სახეშიო“<sup>1</sup>. სწორედ ამ „დაფარული აზრების“ ამოკითხვაზე დამოკიდებული „დროების“ მიმართულების სწორი შეფასება.

საცენზურო კომიტეტი არა ერთხელ მოაგონებდა ხოლმე „დროების“ რედაქტორს, რომ მიმდინარე პოლიტიკური ამბების შესახებ სწორედ მხოლოდ და მხოლოდ ოფიციალურ გაზეთებში („Русский инвалид“, „Северная почта“, „Правительственный вестник“) გამოქვეყნებული მასალის მიხედვით, თანაც ატყობინებდა: „Цenzурою неоднократно замечено, что в политическом отделе газеты „Дробеа“ допускаются не только известия, заимствуемые из других неофициальных газет, но и самостоятельные сообщения политического характера в форме корреспонденции и даже нередко суждения по поводу того или другого политического явления“<sup>2</sup>.

ყოველივე ეს ნათელსა ხდის, თუ როგორ ცენზურულ პირობებში უხდებოდა „დროებას“ არსებობა და როგორ აღწევდა იგი მაინც თავის მიზანს. „დროების“ რედაქციას კარგად ჰქონდა შეგნებული, რომ „გაზეთი... განსაკუთრებით მაშინ ხდება საინტერესო საზოგადოებისათვის, როდესაც ცხოვრების ყოველგვარის მოვლენების რიგინათ გარკვევას შეუდგება თავის დროზე“<sup>3</sup>. ასეთი შეხედულებისა იყო გაზეთი მწერლობაზეც.

1869 წელს გ. წერეთელმა „დროების“ რედაქტორობა ს. მესხს გადასცა, ვინაიდან 1868 წლიდან იგი უკვე „სასოფლო გაზეთს“ სცემდა. 1871 წელს კი მისი რედაქტორობით გამოსვლას იწყებს ჟურნალი „კრებული“, რომელიც 1873 წელს დაიხურა.

<sup>1</sup> გ. წერეთელი. თხზულებანი, 1931, ტ. I, გვ. 412.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 412.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 389.

გაზეთი „დროება“ და ეურნალი „კრებული“ იყვნენ პროგრესულად მოაზროვნე, რევოლუციურ-დემოკრატიულ პოზიციებზე მდგომ ქართულ მოღვაწეთა მიმართულებისა და შეხედულებების გამომხატველნი. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ საზღვარგარეთ წასვლამდე „დროებისა“ და „კრებულის“ მიმართულების მიმცემი ნ. ნიკოლაძე იყო. ნ. ნიკოლაძე ქართული პუბლიცისტიკისა და ლიტერატურული კრიტიკის მთავარი ძალა იყო ამ დროს, თანაც მეგობართა და მკითხველთა აღიარებული ავტორიტეტი. „კრებულის“ დაარსების ინიციატივაც უშუალოდ მას ეკუთვნის, მაგრამ თუ რედაქტორად გ. წერეთელი გვევლინება, ეს იმიტომ, რომ ნ. ნიკოლაძემ კარგად იცოდა მასზე დაწესებული საიდუმლო მეთვალყურეობის შესახებ და ისიც, რომ ეურნალის გამოცემის უფლებას მას არაფერს მისცემდა. აქვე უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ ეურნალის საპროგრამო წერილი „კრებულის დანიშნულებაზე“ ნ. ნიკოლაძეს ეკუთვნის.

ნაყოფიერი პუბლიცისტური და კრიტიკული მოღვაწეობით ნ. ნიკოლაძემ 70-იან წლებში დიდი ამაგი დასდო ქართული საზოგადოებრივი აზრის განვითარებას. ამიტომ იყო, რომ როცა მან კვლავ საზღვარგარეთ წასვლა გადაწყვიტა და „დროებაში“ გამოსათხოვარი წერილი მოათავსა („მშვიდობით, მშვიდობით“), ამ დროს პეტერბურგში მყოფმა ი. ჯავჭავაძემ მას წერილი მოსწერა (1873 წ. ნ დეკემბერს), რომელშიც იგი ნ. ნიკოლაძეს „საიმედო კაცს“ უწოდებს და მიმართავს: „მე იმდენად შენ პატივსა გცემ, რომ იმის დაჯერება არ მინდა, რასაც შენ ეგრე გაცხარებით გვაჯერებ... მერე იცი რა კბილი ჩავარდება იმ რაზმს, რომელშიაც შენ ფალავანათ გვეგულებოდი ყველას, ვინც კი შენი თანაზიარი იყო..., ნუ აღასრულებ მას, რასაც გვიქადი. დარჩი მაგ უბედურ ქვეყანაში“.

„დროების“ რედაქცია კი იძულებული იყო მკითხველთა დასამშვიდებლად განცხადება გაეკეთებინა: „უფ. სკანდელი (ნ. ნიკოლაძის ფსევდონიმი — დ. გ.) მხოლოდ... მცირე ხნის ვადით მიდის საზღვარგარეთ. ის სრულებით არ სტოვებს სალიტერატურო ასპარეზს ამ ცოტა ხნის განმავლობაშიცო“<sup>1</sup>.

ნ. ნიკოლაძე, თავის მხრივ, დიდი მონდომებით ცდილობდა ი. ჯავჭავაძე თბილისში დაებრუნებინა და გამოცდილი ხელისათვის ჩაებარებინა ახალგაზრდობის წინამძღოლობა. „ჩემი პირველი ნაბიჯი,

<sup>1</sup> „დროება“, 1873, № 400.



— ამბობს. ნ. ნიკოლაძე, — ის იყო, რომ ყოველი მაშინდელი ახალ-თაობის შრომბრენი შეევაგროვე და დავაჯერე — დუშეთში ავიდეთ, ილია ქავჭავაძე მოვიყვანოთ და ისევ ქართულ მწერლობას დავუბრუნოთ, ქართული საქმეების სათავეში ჩავაყენოთ მეთქი. ამ აზრით და ამ მიზნით 1871—1873 წლებში ხუთჯერ მაინც ავსულვართ დუშეთს „გროვად“ ქართული მწერლობის და აღორძინების მოტრფიალენიო“.

მაჩთალია, ი. ქავჭავაძე ათი წლის მანძილზე მოცილებული იყო თბილისიდან, მაგრამ იგი არათუ თვალს ადევნებდა ქართული მწერლობისა და ქართული საზოგადოებრივი აზრის განვითარებას, არამედ ხელმძღვანელობდა და ტონს აძლევდა მას.

კითხვა ისმის: რა ხასიათი მიიღო 1865 წლიდან იმ იდეურ-ლიტერატურულმა ბრძოლამ, რომელიც ჯერ კიდევ 1861 წელს დაიწყო და რომელსაც ი. ქავჭავაძე ედგა სათავეში?

ბრძოლა რეალიზმის გაბატონებისათვის ქართულ ლიტერატურაში ამ დროისათვის, ძირითადად, დასრულებულად უნდა მივიჩნიოთ. კრიზისის გზაზე მდგარი რომანტიზმის უკანასკნელი წარმომადგენლები, რომლებიც „ცისკარის“ ფურცლებზე ლაფავდნენ სულს, თავიანთი ლიტერატურული კარიერის დამთავრებაში დარწმუნდნენ. „თერგდალეულთა“ ესთეტიკური და სოციალ-პოლიტიკური შეხედულებების უპირატესობა თვით ცხოვრებამაც ნათელყო. „ცისკარმა“ ხელი აიღო პოლემიკაზე და მხოლოდ თავისი არსებობის გახანგრძლივებაზე ფიქრობდა.

ცხადია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ „თერგდალეულთა“ წინაშე ალარ იდგა ის საკითხები, რომელთა გარშემო მათ ბრძოლა უხდებოდათ 1861—65 წლებში. მაგრამ მათ უკვე დაამარცხეს ის პოლემისტები, რომლებიც აშკარა მცდარ პოზიციებზე იდგნენ მწერლის დანიშნულებისა და ლიტერატურის გაგების საკითხში. საწოციანელებმა აშკარა გახადეს თავიანთი ენობრივი შეხედულებების ქეშმარიტებაც. მწერლობის შემდგომი განვითარება მათ მიერ უკვე დამკვიდრებული ესთეტიკური პრინციპების შესაბამისად მიემართებოდა.

„თერგდალეულებმა“ „ცისკარის“ პოლემისტებთან ადვილად მოიგეს ბრძოლა. ამის მიზეზი ისიც იყო, რომ მოწინააღმდეგეთაგან არც ერთი არ გამოირჩეოდა თავისი ტალანტით და თვით ცხოვრების სინამდვილეც მკაცრად ააშკარავებდა მათ ჩამორჩენილობას. მაგრამ არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ თავის დროზე ისინი მაინც სარგებლობდნენ ავტორიტეტით.

„ციხის“ პოლემისტთა დამარცხება, რაც ლიტერატურული თვალსაზრისით დეკადენტური რომანტიზმის საბოლოო განდევნას ნიშნავდა, იდეურ-ლიტერატურული ბრძოლის დამთავრებას მაინც არ გულისხმობდა. ბრძოლა რეალიზმის პრინციპების თეორიული გაშუქებისა და შემოქმედებით პრაქტიკაში მისი წმინდად დაცვისათვის, ცხადია, კვლავ გრძელდებოდა. ამასთან მოწინავე სოციალ-პოლიტიკური შეხედულებების გავრცელებისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაზე ზემოქმედებისათვის ზრუნვა კიდევ უფრო ცხოველხასიათს იღებდა. ყოველივე ეს აშკარად გამოვლინდა „დროებისა“ და შემდეგ „კრებულის“ ფურცლებზე.

70-იანი წლებიდან აზრთა სხვადასხვაობამ თავი იჩინა თვით სამოციანელთა პოლიტიკურ შეხედულებებშიც. ამას მოწმობს ე. წ. „ახალი ახალგაზრდობის“ ჯგუფის შექმნაც, რომლის შესახებ ქვემოთ შევჩერდებით.

როგორც მკითხველი შეამჩნევდა, 60—70-იან წლებში გაშლილი იდეურ-ლიტერატურული ბრძოლა ჩვენ არ გვესმის როგორც მხოლოდ და მხოლოდ იმ პოლემიკის გამოხატულება, რომლის ერთი ეტაპი უკვე დავახასიათეთ. პოლემიკა, რომელიც ჯერ 60-იან, ხოლო შემდეგ 70-იან წლებში გაიშალა, იყო მხოლოდ კონკრეტული გამოვლენა იმ წინააღმდეგობისა, რომლის დაძლევა უხდებოდათ რევოლუციურ-დემოკრატიული იდეებით შეიარაღებულ „თერგდალეულებს“ თავიანთი მოღვაწეობის გზაზე. მაგრამ ეს პოლემიკა სრულიადაც არ მოიცავდა ყველა იმ სადავო საკითხს, რომელთა შესახებ მათ უთანხმოება ჰქონდათ საერთოდ.

ამასთან, რამდენადაც „თერგდალეულთა“ ესთეტიკური და სოციალ-პოლიტიკური შეხედულებები არსებითად უპირისპირდებოდნენ ქართულ ლიტერატურასა და საზოგადოებრივ აზრში მანამდე გაბატონებულ კონცეპციას, ამდენად ზრუნვა მათი დამკვიდრებისათვის თავისთავად ამ ბრძოლის გამოხატულებაა. მაგრამ ეს ბრძოლა ზოგჯერ აშკარა პოლემიკაში ვლინდებოდა, ზოგჯერ კი—ყრუდ მიმდინარეობდა.

შეუძლებელია, აგრეთვე, გარკვეული განსხვავება არ დავინახოთ 60-იან და 70-იან წლებში გაშლილ პოლემიკათა შორის. 60-იან წლებში გაშლილ პოლემიკას ი. ჭავჭავაძემ შეგნებულად მისცა ბიძგი. ამასთან, თავიანთ ლიტერატურულ და სოციალ-პოლიტიკურ სახეს „თერგდალეულები“ ამ პერიოდში პირველად უჩვენებდნენ საზოგადოებას. ხოლო 70-იან წლებში, როგორც ქვემოთ ვნახავთ, პოლემიკამ შედარებით ვიწრო ხასიათი მიიღო. თანაც, „თერგდალეულებს“ ამ დროისათვის ლიტერატურის ასპარეზი უკვე

დაპყრობილი ჰქონდათ და ეროვნული კულტურის განვითარებას ხელმძღვანელობდნენ.

„დროება“ და შემდეგ „კრებული“ თანმიმდევრულად იბრძოდნენ სამოციანელთა ესთეტიკური და სოციალ-პოლიტიკური შეხედულებების გავრცელებისა და დამკვიდრებისათვის. მათ ფურცლებზე გამოძახილს პოულობდა იმდროინდელი საზოგადოებისათვის თითქმის ყველა საინტერესო საკითხი. ამასთან, ისინი იქცნენ „თერგდალეულთა“ მხატვრული ზრდისა და პუბლიცისტური ოსტატობის ნამდვილ სარკედ.

თვით ი. ჰავჭავაძე და აკ. წერეთელი მეტად ნაყოფიერ შემოქმედებით მუშაობას ეწეოდნენ. ისინი რჩებოდნენ სიტყვის შეუცვლელ ოსტატებად, რომელთა ყოველ ახალ ნაწარმოებს მკითხველი მოულოდნელად ელოდებოდა. ეურნალ-გაზეთების გამოცემელნი ყოველი წლის დამდეგს საგანგებოდ აუწყებდნენ ხოლმე ხელისმომწერთ, რომ თანამშრომლობაზე მათ თანხმობა განუცხადეს ილიამ და აკაკიმ.

ღუშეთში ყოფნას უშედეგოდ არ ჩაუვლია ილიასათვის. მართალია, იგი უჩიოდა დროის უქონლობას და ამ გარემოებამ მის მხატვრულ პროდუქტიულობაზე მართლაც დააჩნია თავისი ბეჭედი, მაგრამ სამაგიეროდ პოეტი უფრო ახლოს გაეცნო ხალხის ცხოვრებას, რამაც მას მხატვრული სახეებისა და თემების დაუსრეტელი არსენალი შეუქმნა.

ღუშეთში დაასრულა ილიამ თავისი „გლახის ნაამბობი“, რომლის პირველი ნაწილი ჯერ კიდევ „საქართველოს მოამბეში“ გამოაქვეყნა; იქვე გადაამუშავა მან საბოლოოდ „აჩრდილი“, „მგზავრის წერილები“ და „დედა და შვილი“. გარდა ამისა, დაწერა მოთხრობა — „გლებთა განთავისუფლების პირველი დროების სცენები“ და ლექსები: „1871 წ. 23 მაისი (კომუნის დაცემის დღე)“, „რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით“, „ბედნიერი ერი“, „გამოცანები“, „კიდევ გამოცანები“, „პასუხის პასუხი“, „რჩევა“ და „ჩემო კარგო ქვეყანავ“. თუმცა აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ყველა დასახელებული ლექსი დაწერილია 1871—72 წლებში; მხოლოდ მოთხრობა „გლებთა განთავისუფლების პირველი დროების სცენები“, დაიწერა უფრო ადრე (1865 წ.). ერთი სიტყვით, ი. ჰავჭავაძის შემოქმედებით ცხოვრებაში „უნაყოფო წლებად“ მოჩანან 1866—1870 წლები.

რაც შეეხება აკ. წერეთელს, იგი უაღრესად ნაყოფიერ მოღვაწეობას ეწეოდა როგორც პოეტურ სარბიელზე, ასევე პუბლი-

ცისტიკაში; მის მიერ ამ პერიოდში დაწერილ ლექსთა სათაურების ჩამოთვლაც გარკვეულ ადგილს ითხოვს.

თუ ჩვენ თვალს გადავავლებთ აკაკის ამ ლექსებს, დავინახავთ, რომ მან თავის პოეზიაში კიდევ უფრო გააძლიერა სატირული ელემენტი. მისი ბასრი კალამი დაუნდობლად ამჟღავნებდა ეროვნულ გრძნობისაგან განიარაღებულ და ეგოისტური მისწრაფებებით გატაცებულ თანამემამულეებს, რომლებსაც სამშობლოს და თავიანთი თანამომძეგების ლანძღვით თანამდებობები მიეღოთ და „ავტორიტეტიც“ მოეხვეჭათ („გამოცანა“, „დიდი ვინმე“, „მეგრული ალელორია“, „ეჰ, ქართველო, აბა მითხარ ვინა ხარ“, „ზოგიერთების ლოცვა“, „ზოგიერთების „მამაო ჩვენო“, „გამოსარჩლება“, „თუ რომ გინდა გახდე ია“).

თავის ეპიგრამებსა და პამფლეტებში აკაკი თავს ესხმის ზოგჯერ საზოგადოების ერთ ნაწილში გავრცელებულ სენს საერთოდ (მექრთამეობა, ფარისევლობა, სამშობლოსა და თანამემამულეთადმი ღალატი, დასმენა და სხვ.), ზოგჯერ კი ამ სენით დაავადებულ ცალკეულ პიროვნებებს. თანაც ისე ოსტატურად და დამახასიათებელი ნიშნებით წარმოადგენს ხოლმე პოეტი თავისი კრიტიკის ობიექტებს, რომ მკითხველისათვის ადვილი გამოსაცნობი ხდება მათი ვინაობა. ამიტომ იყო, რომ გონებამახვილ და ენამწარე აკაკის ბევრი მტრად გაუხდა, მაგრამ ეს კიდევ უფრო ამხნევებდა მას და თავისი მუზისადმი მადლიერებას გამოთქვამდა ხოლმე.

დიდი გამოძახილი და გავრცელება პოემა აკაკის ეპიგრამამ („გამოცანა“) ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლ ნესტორ წერეთელზე, რომელმაც ქართველი სტუდენტები დააბეზლა. როგორც თვით პოეტი გადმოგვცემს, ამ ლექსის გამო მას მამაც კი დამდურებია და ღრმა მოხუცებულობამდე ხმა არ გაუცია. ნ. წერეთელს პოეტებშიც აღმოჩენია „გულშემატკივარი“. კერძოდ, კოლხიდელს (გრ. დადიანს) „ცისკარში“ დაუბეჭდავს ლექსი „გამოცანის მწერალს გამოცანა“, მაგრამ აკაკის ამ ლექსის გვერდით, „ცისკარშივე“, მოუთავსებია საპასუხო ლექსი — „მეგრული ალელორია“. „ამან კიდევ უფრო აალეღვა საზოგადოება. დიდმა და პატარამ ჩემზე მოიტანა იერიშო“, — ამბობს აკაკი.

აკაკის თქმით, ბევრი მხოლოდ მაშინ პატრიოტობს და ექომაგება ხალხს, როცა შია და კუჭი ცარიელი აქვს, მაგრამ „როდესაც გამოძლება“ — იფიწყებს ყოველივეს („ეჰ, ქართველო, აბა მითხარ, ვინა ხარ“). ასეთი „პატრიოტები“ თავიანთ გულში ღმერთს მხოლოდ იმას შესთხოვენ, რომ:

— „პირმოთნეობის, მოღალატობის  
და ორპირობის მომმატე ნიჭი,  
რომ ვიმოკმედო ჩვენს ქვეყანაში  
და თანდათანა წინ წავდგა ბიჯი!“

(„ზოგიერთების ლოცვა“)

მათი სიტყვა და საქმე მეტად შორსაა ერთმანეთისაგან; გარეგნულად თავი მოაქვთ ხალხის ბედით დაინტერესებულ ადამიანებად, სინამდვილეში კი — მათი დამონება და მორჩილება სწყურიათ („ზოგიერთების „მამაო ჩვენო“). მაგრამ, ასეთი „პატრიოტები“ ნაადრევად ზეიმობენ თავიანთ გამარჯვებას და ნაადრევად დასცინიან ლარიბებზე ზრუნვით გალარიბებულთ. „ხარისხით სრულნი, სრულნი ხართ ფულით“, მიმართავს მათ პოეტი, „მაგრამ ღარიბნო კკუით და სულით, ვინ დაგაფასოსთ მომავალ დროში?“ („გამოსარჩლება“).

აკ. წერეთელი უკმაყოფილოდ შეხვდა 70-იან წლებში მეტად აქტუალურ საკითხად გამხდარ საადგილმამულო ბანკის დაარსებისათვის ბრძოლას. თავადაზნაურობას შორის გამართულ ცხარე კამათს ბანკის საკითხებზე აკაკიმ „ბანკობია“ უწოდა („ყუენობა“, „ბანკობია“). მისი აზრით, ასეთ ბანკს სიკეთე კი არ მოჰქონდა ქართველებისათვის, თუნდაც თავადაზნაურობისათვის, არამედ აძევებდა მათ თავიანთი ადგილ-მამულიდან და ვაჭრობაში დაწინაურებულ სხვა ეროვნებათა წარმომადგენლებს ამკვიდრებდა მასზე. სესხის მიღების იმედით გატაცებული „კნიაზები“ და „კნიაჟნები“ ხელგაშლილ ცხოვრებას მიეცნენ, რაც მათ დაღუპვას აახლოებდა („ალლა-ვერდი“).

სანუგეშოს ვერაფერს ხედავდა პოეტი გლეხობის ცხოვრებაშიც. მებატონის მოცილებას გლეხის მდგომარეობა მაინც ვერ გაუუმჯობესებია: „ვაის“ გაყრია, მაგრამ „უის“ შეყრია. პოლიცია და სასამართლო, ადვოკატებითა და „სეკრეტებით“, უკანასკნელ საზრდოს სტაცებენ მას და კვლავ უმწეოდ ტოვებენ. ამიტომაა, რომ გლეხები ითხოვენ: მებატონეთაგან თუ გვიხსენით, მოგვაცილეთ ესენიკო.

„მოგვიმართე ღმერთო, ხელი,  
მოგვაშორე პოლიცია,  
საზრდოცა უკანასკნელი  
ჩვენ იმისთვის მიგვიცია“.

„ადვოკატები დაქოლე.  
მეზი დაქარ, დაეც ხარი,  
და მათვე თან გააყოლე  
მისის კალმით სეკრეტარი“.

(„გლეხების ლოცვა“)

განსაკუთრებულ ადგილს უთმობს აკ. წერეთელი, თავის ამ პერიოდის პოეზიაში, მწერლისა და მწერლობის დანიშნულების გარკვევას. ამ საკითხისადმი მიძღვნილი ლექსები: „პოეტის გული“, „მოზარე“, „რჩევა“, „ახალი პოეტების მიბაძვა“, „ჩემს მუზას“, „პასუხი მეგობარს“, „რჩევა ახალგაზრდა მწერლებს“, „პასუხი ქალაქისადმი“ და „ჩანგური“.

დასახელებულ ლექსებში აკ. წერეთელი ეხება პოეტის დანიშნულებას საერთოდ და კერძოდ კი ქართველი პოეტის მოვალეობას. მან იცის, რომ პოეტის მუზა ხალხის სამსახურში უნდა იყოს, ხოლო ყოველ ხალხს თავისებური ცხოვრება აქვს. ამიტომ ის პოეტი მიაღწევს მიზანს, ვინც სწორად შეიცნობს თავისი ხალხის გულის ტკივილსა და მისწრაფებას, ვინც გაიზიარებს მის ჭირსა და სიხარულს.

აკაკის თქმით, როცა საზოგადოებრივი ცხოვრება, გარემო სინამდვილე ნაკლოვანი და მიუღებელია, მაშინ „პოეტის გული—აღვლევებული ზღვისა დარია“. მაგრამ, თუ პოეტს მოღვაწეობა მოუხდება მშვიდი და ბედნიერი ცხოვრების დროს, მაშინ უნდა „ნახოს მის გულში, დამშვიდებულში, მან მარგალიტი“ („პოეტის გული“).

ის პოეტი, რომელსაც ვერ გაურკვევია როდის უნდა მღეროდეს და როდის—ცრემლსა ღვრიდეს, უსარგებლო და მანებელიცაა საზოგადოებისათვის („მოზარე“). აკაკის თქმით, ასეთებს ადვილად იპოვიდით მაშინ ქართველ პოეტებშიც. მას გულს უწყლულებდა ისიც, რომ ბევრი ახალგაზრდა მწერალი არ იცნობდა თავისი ხალხის ცხოვრებას და ფიქრობდა—„ახისა“ და „ვეის“ ხშირ-ხშირი ძახილით სარგებლობას მოუტანდა ჩაგრულ ხალხს („ახალი პოეტების მიბაძვა“). ხ. ლხის გულის მესაიდუმლე პოეტი ირონიულად მიმართავს მათაც, რომლებსაც პოეტის დანიშნულებად ჰაერში ფრენა და ჭიკჭიკი მიაჩნიათ. მან იცის, რომ ასეთი რჩევით მათ სურთ გზას ააცდინონ პირუთვნელი სიტყვის ოსტატები და ამით ადვილად გავიდნენ ფონს („რჩევა“).

მართალია, აკ. წერეთელი შესჩივის თავის მუზას, რომ მას გაუქრა ის იმედები, რასაც მას იგი ახალგაზრდობაში პირდებოდა და მისი წყალობით გულის წყლული კიდევ უფრო ვალდამავებია, მაგრამ უარს მაინც არ ამბობს არჩეულ გზაზე („ჩემს მუზას“). თავის ახალგაზრდა თანამოკალმეებს აკაკი მოაგონებს:

„შენ ხარ პოეტი, ცხოვრების სარკე,  
სადაც იხატვის ყოველიფერი“.

თანაც აფრთხილებს, რომ მათ წინ ეკლიანი და უალრესად დახლართული გზა არის; რომ მათ ჯალათებად გაჩენილნი არიან

ცენზორები— „ტვინმეისტერი“, რომლებიც მათ მხოლოდ ფარისევლობას, დიდკაცთა წინაშე ქედმოხრილობასა და მამულის მტერთა ქებას მოუწონებენ („რჩევა ახალგაზრდა მწერლებს“).

პოეტში, აკაკის შეხედულებით, თუ მას სურს თავისი ქეშმარიტი დანიშნულება პირნათლად აღასრულოს, შერწყმული უნდა იყოს უმანკოება და მეცნიერული სიბრძნე. მაშინ ის „თვით არ იზამს ავს, სხვის ავს იცილებს, მოძმეთ უმანკოთ ემსახურება და სიცოცხლესაც მითი იტკბილებს“ („პასუხი ქალადიდელისადმი“).

აკ. წერეთელი თავის მეგობარს მიმართავს: „ნუ გიკვირს, რომ არა მაქვს სუყველასთან თანხმობა“; ამის მიზეზი ისაა, რომ არ მსურს არც ბატონობა და არც ყმობა, ვკიცხავ „ქვეყნის უკუღმართ ბრუნვას“ და „ბიწიერებად არ ვრაცხ პირადობაზე ზრუნვას“.

„ღუე დამგმოს ქვეყანამ,  
გამიმეტოს, გამკიცხოს!  
თავი ბრძენი ეგონოს,  
მე გიყებში ჩამრიცხოს!..“

ვერ ვუმუხთლებ მე მაინც  
ამ ჩემ გრძობა-გონებას!  
ვერ ავიტან ცხოვრების  
ბრძანებას და მონებას!..“

ხელს არა ვჰყოფ გარეგნად  
გაბრწყინებას და მკობას!  
ვერ დავღთმობ ვერავის  
შინაგან აკაკობას!“

(„პასუხი მეგობარს“)

თავისი პოეტური კრედიო აკ. წერეთელმა უფრო სრულად ჩამოაყალიბა. ლექსში „ჩანგური“ მან თავის მთავარ დანიშნულებად აღიარა სიმართლისადმი სამსახური, ეროვნული მთლიანობის იდეისათვის ბრძოლა, დაჩაგრულთათვის ცრემლის შეშრობა და მჩაგვრელთა გულის განგმირვა. თუ ეს განზრახვა წმინდად აღვასრულე, ამბობს პოეტი, მაშინ ჩემს ჩანგურს ასცილდება უქმად გდება და მისი მსმენელიც არ შეცდება; და თუ ტყვილად ვისმეს მოგვფერო—მაშინ გამიქვავედეს ენა და გამიხმეს მარჯვენაო.

„მე ჩანგური მისთვის მინდა,  
რომ სიმართლეს მსახურებდეს,  
განამტკიცოს აზრი წმინდა,  
გულს სიწმინდით ახურებდეს!“

ერთი ჰქონდეს მას საგანი:  
ჰარმონია მისი ხმების,  
ცხოვრებაში იყოს ბანი  
ხან ლხენის, ხან მწუხარების“.

„რომ დაჩაგრულს იმ სიმღერით  
თვალთ ცოცხლები ეშრობოდეს  
და მჩაგვრელს კი გულში ძგერიით  
ისარივით ესობოდეს!..“

‘სხვისი ლხენით ხომ ვიხარებ,  
თუ რომ ჩემს თავს დავგრძი ავად,  
და მაინც არ აღვიარებ  
შავს თეთრად და თეთრსა შავად“.

70-იან წლებში გააფრთხილმა რეაქციამ პოეტის განწყობი-  
ლებაში სეკუნდარ-მწუხარება შეიტანა და სამშობლო ქვეყნის მწარე  
ბედით ჩაფიქრებულს ნალვლიანი სიტყვებიც წარმოათქმევინა  
(„თავო ჩემო“), მაგრამ ოპტიმისტური სულისკვეთება მასში აროდეს  
არ გამქრალა და უკეთესი მომავლის რწმენა არ დაკარგვია. თავის  
ერთ ლექსში პოეტი ამბობს:

„წარსული გულს მწყვეტს, აწმყო მალონებს,  
მომავალისაგან თუმც ბევრს მოველი,  
მაგრამ ბევრია ჩვენში გვამები  
ყოვლის კეთილის ხელის-შემშლელი“.

(„წარსული გულს მწყვეტს“)

იგი ნატრობს, რომ ასეთი „გვამები“,—როგორც საზიზღარ-  
ნი,—თითოთ საჩვენებელი გახდნენ და როცა მოკვდნენ „ზედ აფურ-  
თხებდნენ იმათ საფლაფზედ“.

ეროვნული მთლიანობის იდეისა და პატრიოტული გრძნობის  
წინ წამოწევა, ბრძოლა სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ, საზო-  
გადოების გადაგვარებული ნაწილის მკაცრი კრიტიკა და პოეტის  
დანიშნულების პრინციპების თვალთახედვით გაშუქება, აი, ინტე-  
რესთა ის სამყარო, რომელიც საფუძვლად უდევს აკ. წერეთლის  
პოეზიას 60—70-იან წლების მიჯნაზე.

როგორც პუბლიცისტი, აკ. წერეთელი სხვებისაგან ირჩეოდა  
არა მხოლოდ პროლეტარულით, არამედ სხარტი და მახვილი  
ენით დაწერილი ფელეტონებით, რომელთა საერთო სათაური  
იყო—„ცხელ-ცხელი ამბები“. ბევრი მისი სატირა ამ ფელეტონთა  
სამკაულს წარმოადგენდა, რის გამო ისინი მათი შესწავლის შემდეგ  
უფრო გასაგები ხდებოდა. აკაკიმ შექმნა თავისებური სახის ფელე-



ტონი, რომელსაც შემდეგ ბევრი ბაძავედა, მაგრამ ძნელად თუ ახერხებდნენ მისებურად წერას.

ამ პერიოდის ქართული მწერლობის განვითარების საქმეში დიდი როლი შეასრულა გ. წერეთელმაც. გარდა იმისა, რომ მისი რედაქტორობით გამოდიოდა გაზეთები „დროება“ (1866 წლიდან 1869 წლამდე) და „სასოფლო გაზეთი“, ხოლო შემდეგ ჟურნალი „ქრებული“ (1871—73 წწ.), იგი ეწეოდა მეტად ნაყოფიერ მოღვაწეობას მხატვრული პროზისა და პუბლიცისტიკის სფეროში.

გ. წერეთელმა თავისი „მგზავრის წიგნების“ („ეკოლიკი, ჩიკოლიკი, კუდაბზიკა“) ცალკეული თავები გამოაქვეყნა გაზეთ „დროებაში“ 1867 წელს (№ 12, 13, 15, 36, 37, 39). ამავე წელს დაიბეჭდა მისი მოთხრობა „ფლიდეთელი მოხუცის ნაამბობი“ („დროება“, № 19); ხოლო მომდევნო წელს „დროებასა“ (№ 40, 41, 42, 43) და „სასოფლო გაზეთში“ (№ 34, 35, 37) თავები „გულქანიდან“.

როგორც ვიცით, „მგზავრის წიგნებსა“ და „გულქანში“ გ. წერეთელმა სამარცხვინო ბოძზე გააკრა ბატონყმური ურთიერთობა და წოდებრივი უთანასწორობა. ამ ნაწარმოებთა ერთ-ერთი მთავარი ღირსება ისიც იყო, რომ მათში მწერალმა სრულიად შეუღამაზებლად წარმოადგინა ბატონყმური უღლისაგან და მდიდარ მემამულეთაგან განაწამებ გლებთა ცხოვრების სურათები. ამასთან, ხაზი გაუსვა ბურჟუაზიული ურთიერთობის უარყოფით გავლენას ხალხის ცხოვრების ეკონომიურსა და ზნეობრივ მხარეზე („გულქანი“). მწერლის მახვილხედვას არ გამოპარვია არც ის განსხვავება, რაც უდავოდ არსებობდა იმდროინდელი ინტელიგენციის წრეებში მშრომელ ხალხთან დამოკიდებულებისა და პატრიოტული მოვალეობის გაგების საქმეში.

რაც შეეხება მის პუბლიცისტურ წერილებს, რომლებიც მრავლად იბეჭდებოდნენ „დროებისა“ და „სასოფლო გაზეთის“ ფურცლებზე, მათში ავტორმა წინ წამოსწია ბუნების მოვლენებისა და ადამიანის და ბუნების ურთიერთობის შესწავლასთან დაკავშირებული საკითხები. უნდა გადაჭრით ითქვას, რომ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა პოპულარიზაციას, პირველყოვლისა, გ. წერეთელმა დაუდვა სათავე. მაგრამ მისი პუბლიცისტიკა, თუნდაც ამ პერიოდში, მხოლოდ ამით არ ამოიწურებოდა. თავის წერილებში იგი გვევლინება როგორც სოციალურ ბოროტმოქმედებათა წინააღმდეგ მებრძოლი, ქართული კულტურის უანგარო მეცენანტი და პოლიტიკური მოვლენებით დაინტერესებული პუბლიცისტი.

როგორც რედაქტორი, გ. წერეთელი მიმართულებას აძლევდა ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზრის განვითარებას. ეს „მიმართულება“ კი გულისხმობდა გავრძელებას იმ ტრადიციებისას, რომლებსაც საფუძველი ჩაუყარა ი. ჭავჭავაძემ.

პროზაული თხზულებებით მკითხველის ყურადღება მიიპყრო ანტ. ფურცელაძემაც, რომელიც ნაყოფიერ მოღვაწეობას აგრძელებდა პუბლიცისტიკაშიც. მისი მოთხრობები „მართა“, „სამის თავგადასავალი“, „ქიტესა“ და სხვები გამოირჩეოდნენ იდეური სიმახვილითა და მიუღებელი სინამდვილის წინააღმდეგ ბრძოლის პათოსით. კერძოდ, „სამის თავგადასავალი“, რომელიც მწერალს ჯერ კიდევ 1863 წელს ჰქონია დაწერილი, ნ. ჩერნიშევსკის რომანის — „რა ვაკეთოთ?“ მიბაძვითაა დაწერილი. საერთოდ, ანტონ ფურცელაძისათვის, როგორც პროზაიკოსისათვის, ნიშანდობლივია არა მარტო ცხოვრების სინამდვილიდან უშუალოდ აღებული მასალის მხატვრული დამუშავება, არამედ მომავლის სასურველ ადამიანთა პროფილების მოხაზეაც. მაგრამ მისი მხატვრული ნაწერების სუსტი მხარე ის არის, რომ მათში მხატვარი ხშირად აღვიწყებული პუბლიცისტს.

პუბლიცისტურ წერილებს ანტ. ფურცელაძე თავიდან „დროებაში“ აქვეყნებდა, მაგრამ შემდეგ, ნ. ნიკოლაძესთან და „დროების“ სხვა მესვეურებთან უთანხმოების გამო, ეურნალ „მნათობში“ გადაბარგდა. „მნათობი“, რომელიც 1869—1873 წლებში გამოდიოდა, ხალხოსანთა აკვნად იქცა. ანტ. ფურცელაძემაც იქ უფრო მოსვენებულად იგრძნო თავი და მისი ფურცლებიდან პოლემიკას ეწეოდა „დროება“ — „კრებულის“ წინააღმდეგ. მაგრამ ნ. ნიკოლაძის მკაცრმა კრიტიკამ ანტ. ფურცელაძე მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა და მის ავტორიტეტსაც საკმაო ზიანი მიაყენა.

როგორც აღვნიშნეთ, თბილისიდან წასვლის შემდეგ ი. ჭავჭავაძემ დაწერა — „გლახთა განთავისუფლების პირველი დროების სცენები“ (1865 წ.), რომელიც მალე ცალკე წიგნადაც გამოცა. მოთხრობაში მთელი უშუალოებითაა ნაჩვენები ის უთანხმოება, რომელიც ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ ჩამოვარდა, ერთი მხრივ, ყოფილ ყმებსა და მებატონეებს, ხოლო, მეორე მხრივ, თვით ძველ მებატონეებს შორის. ნაწარმოების დაწერისას ავტორი, ცხადია, სარგებლობდა თავისი თვალთ ნახული სცენებით, რომელთა მოწმე, როგორც მომრიგებელი მოსამართლე, ალბათ, არა ერთხელ ყოფილა. დასახელებულ მოთხრობაში ი. ჭავჭავაძემ შექმნა მეტად საინტერესო სახე გლახა ქრიაშვილისა, რომელიც შემდეგ იქცა საზოგადო სახელად იმ ადამიანებისათვის, რომლებიც საუ-

ბარში ერთსადაიმავეს იმეორებდნენ და ვერ ახერხებდნენ აზრის მოკლედ გამოთქმას.

დიდი ხნის სიჩუმის შემდეგ, 70-იან წლებში, კვლავ აქლერდა ილიას პოეტური ჩანგი. პარიზის კომუნის დაცემის ამბავმა მას ხელში ააღებინა კალამი და 1871 წლის 29 მაისს წერს თავის ერთ-ერთ საუკეთესო ლექსს—„1871 წ. 23 მაისი“, რომელიც ჟურნალ „კრებულში“ გამოაქვეყნა.

პოეტმა ღრმა მწუხარება განიცადა „ტვირთმძიმეთ და მაშვრალთ მხსნელი დიდი დროშის“ ძირს დაცემისა და „ქვეყნის მზაგრავე ძალის“ გამარჯვების გამო. იგი ხოტბას ასხამს ფრანგ კომუნარებს, რომლებმაც, მისი თქმით, „დიდი წამების მშვენიერი გვირგვინი“ დაიდგეს თავს.

პარიზის კომუნა, ილიას შეხედულებით, იყო ხალხის იდეალების განხორციელება და ისეთი უაღრესად დიდი მოვლენა, რომლის დამარცხებით „კვლავ შეფერხდა ისტორია“:

„ტვირთმძიმეთ და მაშვრალთ მხსნელი  
დიდი დროშა დაიშალა...  
კვლავ ქვეყნისა მზაგრავე ძალამ  
იგი დროშა დასცა დაბლა“.

„კვლავ შეფერხდა ისტორია,  
განახლების შესდგნენ ძაღნი,  
და კვლავ დღესასწაულობენ  
გამარჯვებულნი მტარვალნი“.

ის ფაქტი, რომ პარიზის კომუნაში ი. ჭავჭავაძემ დაინახა მშრომელი ხალხის ქეშმარიტი მხსნელი და მასში შეიცნო საზოგადოების ისტორიული განვითარების ბრწყინვალე იდეალი,—აშკარად მეტყველებს პოეტის მაღალ ჰუმანიზმზე, კეთილშობილ დემოკრატიზმსა და პოლიტიკურ სიმამხვილეზე. 'ნიშანდობლივია' ისიც, რომ პარიზის კომუნის დამარცხება პოეტს მიაჩნია ისტორიის მხოლოდ შეფერხებად და სწამს, რომ ამ დიდი საქმისათვის დაღვრილი წმინდა სისხლი თავის ნაყოფს გამოიღებს და მტარვალნი ყოველთვის ვერ შეძლებენ იზეიმონ გამარჯვება.

„პარიზის კომუნა“ შემთხვევით როდი დაუწერია ი. ჭავჭავაძეს. როგორც ვიცით, შრომის განთავისუფლებისა და მართვა-გამგეობის ხალხის ხელში გადასვლის იდეას ი. ჭავჭავაძემ ჯერ კიდევ 60-იან წლებში უძღვნა მღელვარე სტრიქონები („აჩრდილი“, „ღედა და შვილი“, „მესმის, მესმის“, „ქართველ სტუდენტთა სიმღერა“ და სხვა).

მაგრამ იმის ნათელსაყოფად, თუ როგორ მტკიცედ იდგა ი. ჭავჭავაძე რევოლუციურ-დემოკრატიულ პოზიციებზე არა მარტო 60-იან, არამედ 70-იან წლებშიც, როცა იგი „პარიზის კომუნას-წერდა, კარგად შეტყვევებს მისი პროზაული შედეგრიც—„მგზავრის წერილები“.

„მგზავრის წერილების“ პირველი ვარიანტი ი. ჭავჭავაძემ 1861 წელს დაასრულა. მაგრამ ამ ნაწარმოების იდეური შინაარსისა და მხატვრული ფორმის შესახებ ჩვენ არაფერი ვითქვამს, მაშინ, როცა ვახანსიათებდით მათი ავტორის მოღვაწეობას 60-იან წლებში. და ეს იმიტომ, რომ მისი დაბეჭდვა ილიამ მხოლოდ 1871 წელს („კრებული“, № 2, 5) შეძლო; თანაც ავტორს მისთვის შესაფერი რედაქცია გაუკეთებია გამოქვეყნების წინ. ამასთან, „მგზავრის წერილების“ შესწავლას ი. ჭავჭავაძის 70-იან წლებში მოღვაწეობის ფონზე შეუძლია უფრო ღრმად ჩაგვახედოს დიდი პოეტის შემოქმედებით ლაბორატორიაში და შუქი მოფინოს როგორც მის მიერ განვლილ გზას, ასევე—საოცნებო იდეალებს; აშკარა ვახდება ისიც, რომ „მგზავრის წერილების“ და „პარიზის კომუნის“ („1871 წ. 23 მაისი“) ავტორს გარკვეული და ჩამოყალიბებული სოციალ-პოლიტიკური ხედვა გააჩნდა.

„მგზავრის წერილები“ წარმოადგენს მდიდარი ფანტაზიისა და ჯანსაღი ეროვნული იდეალების მქონე ახალგაზრდა მწერლის სულიერ აღსარებას. ქართველი ხალხის ბედზე ჩაფიქრებული ილია, რომელსაც პეტერბურგის უნივერსიტეტი დაეტოვებინა და სამშობლოში მოისწრაფოდა, სადაც მას იდეურ-ლიტერატურული ბრძოლის თავის მხრებზე გადატანა ელოდებოდა, ერთმანეთს უპირისპირებს თავის ოცნებასა და ცხოვრების სინამდვილეს, თანაც კრიტიკულად უდგება საკუთარ შესაძლებლობას.

„მგზავრის წერილების“ მკითხველს, პირველყოვლისა, თვალში ეცემა ის გარემოება, რომ ავტორს მეტად უარყოფითი შეხედულება აქვს მეფის რუსეთის ეკონომიურ განვითარებასა და მეფის ბიუროკრატ მოხელეთა ინტელექტუალურ დონეზე. ცხადია, ყოველივე ამის ჩვენებას მისთვის დამოუკიდებელი მნიშვნელობა კი არა აქვს, არამედ იდეურ ფონსა კმნის იმისათვის, რომ უფრო სრულად და შუქი ფერებით წარმოადგინოს ქართველი ხალხის მდგომარეობა ნაციონალურ-კოლონიალური ჩაგვრის პერიოდში.

მეფის რუსეთის ჩამორჩენილობის სიმბოლოდ მწერალს „პოვოსკა“ და მასზე მჯდომი ზანტი და მთვლემარე „იამშჩიკი“ ჰყავს გამოყვანილი. ცხადია, შემთხვევითი არაა არც ის, რომ „პოვოსკაში“ ჩაჯდომისას მას ესაუბრება ფრანგი, რომელიც გაკვირვებულია

„პოვოსკით“ და ირონიულად ამბობს: თუ მთელი რუსეთი მაგითი დადის, „იმიტომაც შორს არის წასულიო“. ამით მწერალი ხაზს უსვამს ძველი რუსეთის ჩამორჩენილობას ევროპასთან შედარებით. სწორედ ამ ჩამორჩენილი რუსეთის ქვეყნარტი წარმომადგენელი იყო ის ოფიცერი, რომელიც მწერალს ლარსში გაეცნო. გონება-ჩლუნგი ოფიცერი, რომელიც პეტერბურგის ბრწყინვალეობას მხოლოდ იზღერის ბალით ზომავს და ამა თუ იმ ხალხის ცივილიზაციის დონეს გენერლების რიცხვით აფასებს, თავის თავს მწერალად და კულტურის შემომტანად თვლის. თანაც ღმერთს მადლობას სწირავს, რომ „აფიცრობა და ჩინოფნიკობა ბევრი მოდის რუსეთიდან“ საქართველოში განათლების შემოსატანად.

ი. ჭავჭავაძე ირონიული ტონით ესაუბრება „განათლებულ“ ოფიცერს და ოფიცრისავე სიტყვებით გასაგებს ხდის, თუ როგორი მოხელეები განაგებდნენ ქართველი ხალხის ბედს. ამასთან, მწერალს ლოგიკურად მიჰყავს მკითხველი იქამდე, რომ თავის თავს უთხრას:—აი, ვის ემყარება და როგორი „განათლებული“ პირების გამრავლებითაა დაინტერესებული მეფის მთავრობა მაშინ, როცა ჩერნიშევსკის მსგავს ადამიანებს სიკვდილსა და განადგურებას უმზადებსო.

ი. ჭავჭავაძეს არც თავის სამშობლოში ეგულება მომზადებული ნიადაგი იმისათვის, რომ გულგახსნილი შეხვდნენ მოწინავე შეხედულებებით აღჭურვილ ადამიანებს. გრძნობს, რომ ბევრად არაფრად სიამოვნებთ, როცა ბრუნდებიან რუსეთში სწავლა-განათლება მიღებული ახალგაზრდები. იმიტომაც, რომ იგი მრავალმეტყველად შენიშნავს: „თერგის ხიდი ისე გამოვიარე, რომ, არამც თუ წყალი დამელიოს, თვალიც არ ამიხილქვია: მეშინოდა, რომ თერგდალეულობა არ დამწამონ მეტქი. თერგდალეულები ჩვენს ქართველ კაცს როგორღაც არ ექაშნიკება და არ მოსწონსო“.

მაგრამ ახალგაზრდა პატრიოტის გონებაში ფიქრთა გრეხილები ირეოდნენ და ყველა მათგანს საბოლოოდ ერთ მთავარ კითხვად იკვეთებოდა მის წინაშე: „როგორ შევეყრები მე ჩემს ქვეყანას და როგორ შემეყრება იგი მე... რას ვეტყვი მე ჩემს ქვეყანას ახალს და რას მეტყვის იგი მე?“

მებრძოლი განწყობილებებით შეპყრობილი მწერალი ანალიზს უკეთებს მოსალოდნელობას და იმ დასკვნამდე მიდის, რომ სამშობლო ქვეყანა მოუსმენს მას, როგორც მის სისხლსა და ხორცს, მაგრამ ექვი აწუხებს: ვაითუ ვერ შეძლოს საქმით უპასუხოს მის მოთხოვნებს. „ვინ იცის: იქნება მე ჩემმა ქვეყანამ ზურგი შემომაქციოს, როგორც უცხო ნიადაგზედ გადარგულსა და აღზრდილ-“

სა?—ამბობს ის.—იქნება ზურგიც არ შემომამკციოს, იქნება მიმი-  
თვისოს კიდევცა... მაგრამ მაშინ რა ვქნა, რომ ჩემმა ქვეყანამ მა-  
მიუოლოს და მიაშობს თავის გულის-ტკივილი, თავის გლოვის და-  
ფარული მიზეზი, თავისი იმედი და უიმედობა, და მე კი, მის ენას  
გადაჩვეულმა, ვერ გავიგო მისი ენა, მისი სიტყვა? იქნება მიმილოს  
კიდევც და, როგორც თავისი შვილი, გულზედაც მიმიკრას და ხარ-  
ბად დამიგდოს ყური, მაგრამ მე შევიძლებ კი, რომ მას ღვიძლი  
სიტყვა ვუთხრა და იმ სიტყვით გულისტკივილი მოუფრჩინო, დავრ-  
დომილი აღვადგინო, უნუგეშოს ნუგეში მოუფინო, მტირალს ცრემ-  
ლი მოვსწმინდო, მუშას: შრომა გავუადვილო; იმ სიტყვით ვასმინო,  
რომ არის მრავალი ქვეყნები, ჩვენზედ უფრო უბედურად გაჩენილ-  
ნი, მაგრამ უფრო ბედნიერად მცხოვრებნი; და ის თითოეული ნა-  
პერწყალი, რომელიც არ შეიძლება რომ ყოველს კაცში არა ყო-  
ლავდეს, ერთ დიდ ცეცხლად შევაგროვო ჩემის ქვეყნის გაციებუ-  
ლის გულის გასათბობად. შევიძლებ კი? შევიძლებ გასაგონის ღვიძ-  
ლის სიტყვის თქმასა? გადავწყვიტე, რომ ჩემი ქვეყანა ხიმილებს  
და მიმითვისებს კიდევც, იმიტომ, რომ იმის სისხლი და ხორცი  
ვარ; იმის სიტყვასაც და ენასაც გავიგებ, იმიტომ, რომ მამულის  
სიტყვას მამულის-შვილი ყურს უგდებს განა მარტო ყურითა,  
გულითაცა, რომლისთვისაც ღუმილიც გასაგონია; ჩემს სიტყვასაც  
გავაგებინებ, იმიტომ, რომ შვილის სიტყვა მშობელს ყოველთვის  
ესმის. მაგრამ ამას სულ სიტყვაზედ ვლაპარაკობ, საქმე კი საქმე-  
შია. შენმა ქვეყანამ საქმე რომ მოგთხოვოს, რასა იქმ?—გკითხე მე  
ჩემს თავს და გაჩერდი კიდევც. ვიგობენ, რომ ამ კითხვამ შესწყ-  
ვიტა ის ზემოხსენებული ჩემი ფიქრების ფერადი გრეხილი“.

ასეთი ფიქრებით დატვირთულმა მწერალმა შემოაბიჯა თავის  
სამშობლოს მიწა-წყალზე და იმთავითვე თვალწინ დაუდგა მისი მო-  
მნიბლავი ბუნების მთელი მშვენიერება. ადვილი წარმოსადგენია,  
თუ რა ემოციური სიძლიერით უნდა წარმოეთქვა მას ამ დროს  
გრ. ორბელიანის სიტყვები: „სხვა საქართველო სად არის“...

კავკასიის მაღალი მთების თვალწარმტაცმა პანორამამ პოეტი  
კიდევ უფრო ღრმად დააფიქრა და თვით ბუნების წიაღშიც კონტ-  
რასტული განლაგება ამოიკითხა. ის ერთმანეთს ადარებს დედამიწი-  
დან მხნედ აზიდულ ცივ მყინვარსა და კლდე-ღროვანი გზით მი-  
მდინარე მღვრიე თერგს. და რას ვხედავთ?! სილამაზის დიდი თა-  
ყვანისმცემელი პოეტი, მყინვარზე მეტად თერგს შეტრფის, მისი  
მღვრიე ტალღები უფრო მოსწონს, ვინემ მყინვარის მუდამ თოვ-  
ლიანი შუბლი! მიზეზსაც არ მალავს, გულწრფელად ლაპარაკობს  
ასეთი არჩევნის შესახებ. მყინვარი, მისი თქმით, ერთ ადგილზე

დგას, თანაც მოცილებულია ადამიანის ხმას, მიუკარებელია. თერგი კი—„სახეა ადამიანის გაღვიძებულის ცხოვრებისა... იმის მღვრიე წყალში სჩანს მთელის ქვეყნის უბედურების ნაცარ-ტუტა“, მაგრამ მთავარი მაინც ისაა, რომ თერგი ერთ ადგილზე არ დგას, იგი სულ მოძრაობაშია. მოძრაობა კი,—ილიას თქმით,—სიცოცხლისა და წინსვლის მაჩვენებელია. „მოძრაობა და მარტო მოძრაობა არის, ჩემო თერგო, ქვეყნის ღონისა და სიცოცხლის მიმცემი“,—ამბობს ნიჭიერი მწერალი და ამით მკითხველს ახედებს საზოგადოებრივ ცხოვრებაზე, მიუთითებს მისი გარდაქმნის აუცილებლობაზე. თერგი,—მწერლის შეფასებით,—იმითაა კარგი, რომ მოუსვენარია, თორემ აბა ერთი შეჩერდეს, თუ მყარალ გუბედ არ იქცეს და ბაყაყებით არ აივსოს? ასევეა ცხოვრებაც! ამიტომ იყო, რომ „კაცია-ადამიანის“ წინასიტყვაობაში ბატონყმური საქართველო მან ბაყაყებით ავსილ ჭაობს შეადარა.

მოძრაობისა და მოქმედების აპოლოგეტი ილია ვერც დაღამებასა და ადამიანთა ფეხის ხმის შეწყვეტას შეგუებია. „ვაი, რა ცარიელია ეს სავსე ქვეყანა უადამიანოდ!..,—ამბობს მწერალი.—არა, წარიღეთ ეს ბნელი ღამე თავის ძილითა და სიზმრებითა და მომეცით მე ნათელი და მოუსვენარი დღე თავის ტანჯვითა, წვალებითა, ბრძოლითა და ვაი ვაგლახითა! ჰოი, ბნელო ღამევე, მეჯავრები შენ მე!“ იგი შეტრფის დილის რიჟრაჟს, როცა ყველაფერი იღვიძებს და იწყება „დაუდგარი ფაციფუცი“. მას სურს თანამემამულეთა შორის იპოვოს ისეთები, რომლებსაც ძილშიაც არ სძინავთ: „ქარგია გაღვიძებული ადამიანი!—ამბობს ის,—მაგრამ უფრო უკეთესია ადამიანი, რომელსაც ძილშიაც არა სძინავს, ქვეყნის უბედურებით გულ-ალტყინებულსა, ჩემო ღამაზო ქვეყანავ, არიან ამისთანანი შენში? მე მოვნახავ და, თუ ვიპოვე, ვეთაყვა-ნები“.

მაგრამ როგორც ვიცით, ასეთი ადამიანები ვერ იპოვა სამშობლოში დაბრუნებულმა ილიამ, რის გამო მან ნაღვლიანი სიტყვებიც წარმოთქვა („მას აქეთ...“).

სამშობლოში მომავალი ილია კავკასიონზე გადმოსვლისთანავე დარწმუნდა, რომ მის სიტყვას ხალხი გაიგებდა, იგრძნო, რომ ჩაუბქრალი იყო ის ნაპერწკალნი, რომელთა „ერთ დიდ ცეცხლად შეგროვებაზეც“ ის ოცნებობდა. ამაში დაარწმუნა ის მოხვევე ლელთ ღუნიასთან საუბარმა. ლელთ ღუნია მწერალს შესჩივლა, რომ გაუქმდა „ადრინდალ დაწყობაი“, მოისპო ის „ბჭობაი“, რომელსაც ხალხის წარმომადგენლები აწყობდნენ ხოლმე და რომლის გადაწყვეტილება შემდეგ სრულდებოდა. მწერალი აქ მინიშნებით ლაპა-

რაკობს მართვა-გამგეობის იმ სისტემის უპირატესობაზე, როცა ქვეყანას ხალხის მიერ არჩეული პირები განაგებენ. მაგრამ ილიამ იცის, რომ ამაზე ლაპარაკი მხოლოდ მაშინ შეიძლება, როცა მიღწეული იქნება ეროვნული დამოუკიდებლობა, რასაც მოკლებული იყო ქართველი ხალხი.

კითხვაზე — რით იყო ძველათ უკეთესი ცხოვრება? ლელთ ლუნია მწერალს პასუხობს: „ადრიდა, ავად თუ კარგად, ჩვენ ჩვენი თავნი ჩვენადვე გვეყუნდნისო“. მართალია, ის ხედავს, რომ მეფის რუსეთს საქართველოსათვის მტერი მოუცილებია და მშვიდობა სუფევს, მაგრამ მაინც არაა კმაყოფილი: „რას ვაქნევ ცარიალ მშვიდობას ცარიალ სტვამაქით... ცარიალ მშვიდობა მიწაჩიც მეყოფაო“. იგი ლაპარაკობს იმაზე, რომ მტერზე არა ნაკლებ აწიოკებს ახლა მათ ცოლშვილს მოვალე ვაქრები. უკმაყოფილოა იმითაც, რომ ხალხს დაუქარგავს ძველი ზნეობა.

„ჩემმა მოხვევემ,—ამბობს ილია,—მე კიდევ ბევრი რამ სხვა მითხრა, მაგრამ ყოველი მისი ნაამბობი დასაწერად არ გამოდგება შემთხვევისა გამო სხვისა და სხვისა... მე მარტო ამას ვიტყვი, რომ იმან თავისის სიტყვით თავისს გულის-ტკივილს მიმახვედრა.

მიგიხვდი ჩემო მოხვევევ, რა ნესტარითა ხარ ნაჩხვლელი. „ჩვენი თავნი ჩვენადვე გვეყუნდნისო“—სთქვი შენ და მე გავიგონე. მაგრამ გავიგონე თუ არა, რალაც უეცარმა ტკივილმა ტვინიდან გულამდე ჩამირბინა, იქ, გულში გაითხარა სამარე და დიმიარხა. როდემდის დამრჩეს ეგ ტკივილი გულში, როდემდის? ოხ, როდემდის, როდემდის?.. ჩემო საყვარელო მიწა-წყალო, მომეც ამის პასუხი!..“

როგორც ვხედავთ, „მგზავრის წერილები“ წარმოადგენს ი. ქავჭავაძის პროგრამულ ნაწარმოებს. მასში ჩამოყალიბებულია მწერლის ეროვნული იდეალები და ადვილად იკითხება დიდი შემოქმედის სულიერი დრამა სამოღვაწო ასპარეზზე გამოსვლისას. რუს რევოლუციონერ-დემოკრატთა იდეებზე აღზრდილი მოაზროვნე გაბედულად შემოიჭრა ქართულ სინამდვილეში და თავის თანამემამულეთ გააცნო მოწინავე სოციალ-პოლიტიკური შეხედულებები და მატერიალისტური ესთეტიკის პრინციპები.

შრომის განთავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი პატრიოტი, რომელიც საქვეყნოდ აცხადებდა: „თავისუფლების მშოვნელი ამ ქვეყნად მარტო თოფიაო“, „მგზავრის წერილებში“ რევოლუციური გარდაქმნის იდეას აყენებს. „სიტყვამ „რევოლუციამ“ არ შეგაშინოს, მკითხველო!—წერს ილია.



რევოლუცია იმისთვის არის გაჩენილი, რომ მშვიდობიანობა მოაქვს. ღვინო ჯერ უნდა ადუღდეს, აირიოს-დაირიოს და მერე დაიწმინდება ხოლმე. ესეა ყველაფერი ამ ქვეყანაზედო“.

ამის შემდეგ, ცხადია, გაკვირვებას ველარ გამოიწვევს ის ფაქტი, რომ „მგზავრის წერილების“ ავტორმა ლექსი უძღვნა პარიზის კომუნას და თავისუფლებისათვის მებრძოლ გმირთადმი ღრმა თანაგრძნობა გამოხატა. აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ „მგზავრის წერილებში“ ავტორს, სამოცდაათიან წლებში, იდეურ-შინაარსობლივი ცვლილებები არ შეუტანია და მისი მხატვრული დახვეწით დაკმაყოფილდა მხოლოდ.

შემთხვევითი არაა არც ის, რომ რამდენიმე წლის სიჩუმის შემდეგ ი. ჭავჭავაძე მკითხველს „მგზავრის წერილებით“ წარუდგა. ეს მისი დამსახურების და შემოქმედებითი სიმწიფის შესაფერი იყო. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ცენზურას თუნდაც ნება დაერთო, ილია „მგზავრის წერილებს“ სამოციან წლებში მაინც არ გამოაქვეყნებდა და ეს იმიტომ, რომ მასში აშკარად მოჩანს მწერლის მდიდარი ბუნება და გაბედული პასუხისმგებლობის გრძნობა, რაც მის იდეურ მოწინააღმდეგეებს შესაძლოა ახალგაზრდულ კადნიერებად მიეჩნიათ. „მგზავრის წერილების“ გამოქვეყნების სრული უფლება ილიას მართლაც სამოცდაათიან წლებში ჰქონდა და მასაც აღარ დაუყოვნებია. ახალი თაობის იდეურმა წინამძღოლმა მხოლოდ დამსახურებული გამარჯვების შემდეგ გააცნო მკითხველს ის ფიქრები და სულიერი მღელვარება, რომელიც მას მოსვენებას არ აძლევდა მშობლიურ მიწა-წყალზე ფეხის შემოდგმისას.

„მგზავრის წერილების“ წაკითხვისას შეუძლებელია არ მოგვაგონდეს ი. ჭავჭავაძის კალმის პირველი ნაყოფი, ლექსი— „ყვარლის მთებს“, რომელშიც პეტერბურგში მიმავალი ჭაბუკი მშობლიურ მთებს ეთხოვებოდა და თავს იმით „იმართლებდა“, რომ „მომავლის ბედი გაყრას ითხოვს ჩემგან მსხვერპლადო“.

„მგზავრის წერილები“ აშკარას ხდის, რომ პოეტი მართლაც შესაფერისად მოემზადა სამსხვერპლოდ და მისი გამოქვეყნების დროისათვის ისიც ცნობილი იყო, თუ როგორ წარმატებით იხდიდა პოეტი თავის ვალს სამშობლოს წინაშე.

„მგზავრის წერილების“ გამოქვეყნებით, ი. ჭავჭავაძემ ერთხელ კიდევ ნათელყო „თერგდალეულთა“ საბრძოლო პროგრამის ღირსება და მნიშვნელობა. დაწერის დროისათვის „მგზავრის წერილები“ ავტორის სამოქმედო პროგრამა იყო, გამოქვეყნებისას კი— ღვაწლმოსილი მოღვაწის შემოქმედებითი ბიოგრაფია. მასში დაყე-

ნებულ საკითხთა შუქზე უკვე ყოველმხრივ გასაგები ხდება ილიას მდიდარი მხატვრული და პუბლიცისტური მემკვიდრეობის იდეური საფუძვლები.

6

„მგზავრის წერილების“ დასაწყისშივე ი. ჭავჭავაძე თავისებურად შენიშნავს: „ამბობენ: „И дым отечества нам сладок и приятен“. კვამლის სიტკობზედ კი უკაცრავად, და სიამოვნებაზედ კი იმას მოგახსენებთ, რომ კვამლი ფრიად სასიამოვნოა,—პირველი იმისათვის, რომ კვამლი თვალს ეფარება და მართლქერეტას უშლის, მეორე იმისათვის, რომ კვამლი ხშირად თვალიდამ ცრემლს გვაყრევინებს ხოლმე. ოჰ, მამულის კვამლო, მართლა-და ტკბილი და სასიამოვნო ხარ: ხანდისხან ისე აგვიბამ თვალებს ხოლმე, რომ ჩვენ ჩვენს საკუთარს უბედურებასაც ვერა ვხედავთო“.

მაგრამ ფით ი. ჭავჭავაძისათვის „ამ კვამლს“ თვალელები ისე აროდეს აუბამს, რომ ვერ შეემჩნია და მკაცრად არ დაეგმო ის, რაც, მისი შეხედულებით, ერის ღირსებას არცხვენდა და საზოგადოებრივ ცხოვრებაზე უარყოფითად მოქმედებდა. ამის უტყუარი საბუთია მის მიერ 1871 წელს დაწერილი სატირებიც: „რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით ანუ საქართველოს ისტორია მეცხრამეტე საუკუნისა“ და „ბედნიერი ერი“.

დასახელებულ სატირებში ი. ჭავჭავაძემ ერთხელ კიდევ და მთელი პირდაპირობით წარმოადგინა მაღალი წოდების ისტორიული დანაშაული და მისი ცხოვრების ზედმეტ ბარგად ქცევა. მაღალი წოდების მთელი „დამსახურება“, პოეტის შეხედულებით, ისაა, რომ ურთიერთშორის შუღლის გაბატონებისა და ეროვნული ინტერესების დავიწყების წყალობით ქვეყანა ეროვნული სუვერენიტეტის დაკარგვამდე მიიყვანა; შემდეგ, ფუქსავატობასა და ბეზლობაში ჩაფლული ყმებს ტვინსა სწოვდა. ხოლო, როცა ყმებიც განთავისუფლდნენ,—მთავრობას ხეეწნა დაუწყო „Народы“—ბა გვასწავლეო“.

ილიას მახვილი სატირები, ცხადია, მიმართულნი იყვნენ მაღალი წოდებისა და მის იდეოლოგთა წინააღმდეგ. საერთოდ, ყველა მათ წინააღმდეგ, ვინც მოკლებული იყო ეროვნულ გრძნობებს, პატრიოტულ აღტკინებას, ხალხის უკეთეს მომავალზე ზრუნვას.

ი. ჭავჭავაძე არ დაკმაყოფილდა მაღალი წოდების საერთო კრიტიკით. მან საჭიროდ დაინახა უფრო კონკრეტულად შეხებოდა ამ წოდების „ავტორიტეტებს“, რომლებიც თავიანთი მოქმედებით სახელს უტეხდნენ ქართველ ერს და ხელს უშლიდნენ ქართველი.

ხალხის კულტურულსა და ეკონომიურ წინმსვლელობას. ამ მიზნით, 1871 წლის ბოლოს, მან დაწერა ცნობილი ეპიგრამები, სათაურით: „გამოცანები“ და „კიდევ გამოცანები“, რომელთა დაბეჭდვას, ცხადია, ცენზურა არ დათანხმდებოდა. ამიტომ, ავტორმა ისინი ხელნაწერების საშუალებით გაავრცელა საზოგადოებაში. მაგრამ ისეთი ფართო გავრცელება, როგორც ამ ეპიგრამებს ხვდა წილად, შეიძლება ითქვას, არც ერთ დაბეჭდილ ნაწარმოებს არ ჰქონია იმ პერიოდში.

ეპიგრამები „გამოცანები“ და „კიდევ გამოცანები“ გახდნენ საბაზი იმ შკაცრი პოლემიკისა, რომელიც 70-იან წლებში გაიშალა, ერთი მხრივ, გრ. ორბელიანსა და, მეორე მხრივ, ი. ჭავჭავაძესა და აკაკი წერეთელს შორის. სანამ ამ ეპიგრამებისა და მათ მიერ გამოწვეული პოლემიკის შესახებ ვიტყვოდეთ, საჭიროა მოვიგონოთ ის მიზეზიც, რამაც გამოიწვია მათი დაწერა.

1871 წელს ქართველ თავადაზნაურობას სტუმრად ეწვია იმპერატორი. გადაწყდა იმპერატორისათვის მიერთმიათ აღრესი და მასშივე აღენიშნათ თავიანთი სათხოვარიც: შექმნილა საგანგებო კომისია, რომელსაც უმსჯელია, თუ რა ეთხოვათ იმპერატორისათვის. კომისიაში ორი აზრი დაპირისპირებია ერთმანეთს: ერთნი მოითხოვდნენ იმპერატორისათვის ეთხოვათ უნივერსიტეტის გახსნა, მეორენი—კადეტთა კორპუსის დაარსებას არჩევდნენ. პირველ წინადადებას ი. ჭავჭავაძე და მისი თანამოაზრენნი აყენებდნენ, მეორეს—კონსერვატორთა ბანაკის წარმომადგენლები,— მეფის მთავრობის ერთგული ჩინოვნიკები. კომისიამ მიიღო ი. ჭავჭავაძის წინადადება, მაგრამ შემდეგ იგი მაინც შეცვალეს და იმპერატორს კადეტთა კორპუსის გახსნა სთხოვეს. ქართველი თავადაზნაურობის და მისი ინტერესების ერთგულ დამცველთა ასეთ მოქმედებას ი. ჭავჭავაძე მეტად აუღელვებია, რის შედეგადაც დაიწერა დასახელებული ეპიგრამები.

ამ ისტორიასთან დაკავშირებით აკაკი წერეთელი იგონებს: „1871 წელს ჩამობრძანდა ხელმწიფე საქართველოში; ხალხს უნდა მიერთმია აღრესი და გაეცხადებია, სათხოვარი თუ რამ ექნებოდა. აირჩიეს კომისია აღრესის შესადგენად რვა კაცი; ოთხი ახალთაობიდან: ილია ჭავჭავაძე, თარხნიშვილი (მერე აკადემიკოსი), ბესარიონ ლოლობერიძე და ნ. ნიკოლაძე; ოთხიც ძველიდან—გრ. ორბელიანი, მ. ბირთველიჩი თუმანიშვილი, დიმიტრი ჯორჯაძე და რევაზ ანდრონიკაშვილი (მარშალი). ახალი თაობა ქვეყნის სურვილისამებრ ითხოვდა უნივერსიტეტს, ან სხვა რამ მაღალ სასწავლებელს, მაგრამ რადგან ამის წინააღმდეგი იყო ბარონ ნიკოლაი,

ძველები შეჩერდნენ კადეტის კორპუსზე, რომელიც მაინც უნდა გახსნილიყო. ახალი თაობისა და ქვეყნის სურვილმა ხმის უმეტესობით გაიმარჯვა და ადრესში იყო ნათხოვი უმაღლესი სასწავლებელი. მაგრამ თავმჯდომარემა და ძველებმა, რადგან იმათ ბესარიონ ლოლობერიძეც მიუღდა, გადაასხვაფერეს ადრესი... ამან გამოიწვია უსიამობა ძველის და ახალი თაობის შუა. ილია ქავჭავაძემ დასწერა ლექსი, სადაც მოიხსენია ძველები. დასტალულად ამბობდა: „ქვეყანა და ქვეყნის საქმე ამას ფეხებზე ჰკიდია!“ ამ ლექსს უპასუხა გრიგოლ ორბელიანმა... იქ მეტად გალანძლული და შეჩინებული იყო ახალი თაობა. სხვათა შორის მეც ვიყავი მოხსენებულნი... და მეც ახალი თაობის სახელით დავსწერე „ღენერალი ხარაბუხა“ და გაიმართა უცენზურო მწერლობა. უცენზურო იმიტომ, რომ დიდკაცებს ეხებოდა. აი, ეს ალუგორიებიც: „პატრიოტის აღსარება...“, „კოლო-ბუზების პასუხი“ და „დათვი ორ-ბელიანი“ მაშინ დაიწერა“. ამასვე ადასტურებს ნ. ნიკოლაძეც.

„გამოცანები“ და „კიდევ გამოცანები“ შეიცავენ ეპიგრამებს: რევუზ ანდრონიკაშვილზე (თავადაზნაურობის მარშალი), გიორგი კონსტანტინეს ძე მუხრან-ბატონზე (სენატორი და სახელმწიფოს საბჭოს წევრი), ივანე კონსტანტინეს ძე მუხრან-ბატონზე (გენერალი), პლატონ იოსელიანზე (ისტორიკოსი, არქაისტა ბანაკის წარმომადგენელი), დიმიტრი ჯორჯაძეზე (კავკასიის მეფისნაცვლის საბჭოს წევრი), იასე ქავჭავაძეზე (გუბერნიის სამმართველოს წევრი), ბესარიონ ლოლობერიძეზე (ახალი თაობის წარმომადგენელი, რომელიც ბოლოს მოწინააღმდეგეთა ბანაკში აღმოჩნდა), გრ. ორბელიანზე (პოეტი, მეფისნაცვლის მოადგილე), მიხეილ ტარიელის ძე ლორის-მელიქოვზე (თერგის ოლქის უფროსი, შემდეგში გრაფი და მინისტრი), ლევან მელიქიშვილზე (გენერალი, დაღესტნის ოლქის უფროსი), იოსებ დავითის ძე თარხნიშვილზე (გენერალ-ადიუტანტი), მიხეილ ბირთველის ძე თუმანიშვილზე (პოეტი, ადრესის შემდგენი კომისიის წევრი) და დიმიტრი ყიფიანზე.

როგორც ვხედავთ, ი. ქავჭავაძეს ბევრი აღარავინ დაუტოვებდა კონსერვატორთა ბანაკის გამოჩენილ წარმომადგენელთაგან, რომლისთვისაც დამსახურებისამებრ არ მიეზღოს. ეპიგრამებში მხოლოდ დიმ. ყიფიანი არის შედარებით სუსტად გაკენწლილი და ნათქვამია, რომ „მარტო მას, ვგონებ, ქვეყანა ფეხებზე არა ჰკიდიაო“. ყველა სხვა დანარჩენი პოეტს შეფასებული ჰყავს როგორც პირადი ბედნიერებისათვის ერის ინტერესთა არაფრად ჩამგდებნი და ხალხის კისერზე მსხდომნი კარიერისტები, ფლიდები, მლიქვნელები.

ი. ჭავჭავაძის ყოველი ეპიგრამა ერთ და იმავე მხატვრულ ხერხზეა აგებული: ჯერ წარმოდგენილია ეპიგრამის ობიექტის გარეგნული სახე, შემდეგ კი მითითებულია მისი მოქმედების მთავარ ნაკლოვან მხარეებზე; ლაკონურად დაწერილ ეპიგრამებში ავტორი ადვილად საცნობსა ხდის თვითეულ მათგანს. როგორც გადმოცემები მოწმობენ, ი. ჭავჭავაძის ყოველი ეპიგრამა ხალხმა სწორად და ადვილად გაიგო.

დღემ. ყიფიანის შემდეგ ი. ჭავჭავაძემ ყველაზე მეტად ისევ გრ. ორბელიანი დაინდო და მისდამი მიძღვნილი ეპიგრამა შედარებით ლმობიერი ეპითეტებით შეამკო. თუმცა დასასრულს მაინც თქვა: „მაგრამ ამ კაცსაც. ქვეყანა ზოგჯერ ფეხებზე ჰკიდიაო“. შეიძლება ითქვას, რომ გრ. ორბელიანი და ბეს. ლოლობერიძე პოეტმა კონტრასტულ ფიგურებად წარმოადგინა. გრ. ორბელიანს იგი უწოდებს „ძველისა და ახლის შუა შემავრთავ ხიდს“, ხოლო ბეს. ლოლობერიძეს—„ახალსა და ძველის შუა ჩატეხილ ხიდს“.

გავეცნოთ ამ ეპიგრამებს:

„მოხუცია იგი ჯმუხი,  
პირად ბადრი, ტანდაბალი,  
საქმით წმინდა, გულმზურვალე,  
სიტყვა ტკბილი, ჭკვამალალი.  
ძველთაგანა ეგლა დარჩა,  
გრძნობით სავსე, გონიერი,  
მაგრამ გაუბედავია,  
თუმცა უყვარს თვისი ვრი.  
ის ძველის და ახლის შუა  
შემავრთავი ხიდია,  
მაგრამ ამ კარგსაც ქვეყანა  
ზოგჯერ ფეხებზე ჰკიდია“.

„ერთი ვინმე შავგვრემანი,  
სუსტია და პირად ხმელი,  
დიდებში ბრძნად ქებულია,  
ჭკვამოკლე და ვნაგრძელი.  
დიდთა ქებით გაბერილი,  
ვით ავის სენით ტრიკია,  
ახლის აღთქმის კაცი იყო,  
ეხლა ქვემძრომი ხვლიკია.  
ახლისა და ძველის შუა  
ის ჩატეხილი ხიდია,  
ამ ტყუილს ბრძენსაც ქვეყანა,  
ძმანო, ფეხებზედ ჰკიდია“.

გრ. ორბელიანის ღირსებათა საჩვენებლად ი. ჭავჭავაძეს სიძუნწე არ გამოუჩენია თვით ამ ეპიგრამაშიც კი. იგი მას უწოდებს „საქმით წმინდას“, „სიტყვატკბილს“, „ქვეამახვილს“, „გრძნობით სავსეს“; რომელსაც „უყვარს თვისი ერი“. მაგრამ. მისი თქმით, იგი არის „გაუბედავი“, რის გამო, ზოგჯერ, ეროვნულ საქმესაც ღალატობს.

თუ რამდენად რბილ ფორმებში გაჰყენწლა ილიამ გრ. ორბელიანი, ამის გასათვალისწინებლად საკმარისი იქნება შოვიგონოთის შეფასებები, რომლებიც მან სხვების მისამართით გააკეთა. სენატორ გ. მუხრან-ბატონს იგი უწოდებს „ქვეით და გულით მოცვეთილს“, კ. მუხრან-ბატონს—„ქვეყნისაგან ლაფდასხმულს, გულმურტალსა და ფლიდს“, დ. ჯორჯაძეს—„მელაძუას“ და „მორიელს“, მ. ლორის-მელიქოვს—„გრაფობისათვის ერის დამკვლელს“ და სხვ.

ი. ჭავჭავაძე არც იმას მალავს. რომ თავისი ხალხის ღირსებას ბევრი სხვაც არცხვენს, მაგრამ ჩუმაღ მაინც არიან და ერის გულშემატკივრად არ სახავენ თავს.

„აღწერილთა ჯურის ხალხი  
სხვანიც მრავალნი ჰყვავიან,  
მაგრამ მე იმათ არ აესწერ,  
რადგანც თვის ქერქში არიან.  
დიდთა ნახირში არ ისმის  
მათგან არც ერთის ბლავილი,  
თუმცა იმათში ზოგიერთს  
ჭირად სჭირს ენის ქვეილი.  
მათში ბევრი წურბელაა,  
გველი, ხელიკი, ლოკოკინა;  
იციან, რომ არ ვარგანან  
და თავისთვის სხედან შინა.  
ხროვა ეგე, ანუ ჯოგი,  
საუბედუროდ დიდია:  
მათ ყველას ერთად ქვეყანა  
შინეე ფეხებზე ჰკიდია“.

(„კიდეე გამოცანები“)

ი. ჭავჭავაძემ იცოდა, რომ მისი ეპიგრამები ალაშფოთებდა მათ, ვისაც ისინი შეეხებოდნენ და მათაც, ვინც მათი თანამგრძნობნი იყვნენ, მაგრამ წინასწარვე აფრთხილებს:

„თუ გაწყრებით, რა მენადვლის...  
მე არ მაქვს თქვენი რიღია,

ვით თქვენ ქვეყანა, მეც წყრომა  
თქვენი ფეხებზედ მკილია“.

(„გამოცანები“)

თავისი ეპიგრამების ხალხში გავრცელება ი. ქავჭავაძის დავით ერისთავისათვის დაუგალებია, მაგრამ ამ საქმეში მას ბევრი სხვაც სიამოვნებით მიშველებია. ახალი თაობის თითქმის ყველა წარმომადგენელი პოპულარიზაციას უკეთებდა მათ, მაგრამ ყველაზე დიდი პოპულარიზატორი აღმოჩნდა თვით ხალხი, რომელმაც თავისი გულისთქმა და აზრები ამოიკითხა გონებამახვილურად დაწერილ ეპიგრამებში.

თუ როგორი სიმწარე განაცდევინა ეპიგრამებმა მათ აღრესატებს, ეს კარგადა ჩანს გრ. ორბელიანის გამოხმაურებიდან.

გრ. ორბელიანი, რომელიც ეპიკური სიმშვიდით შეხვდა 60-იან წლებში გაშლილ მკაცრ პოლემიკას და „თერგდალეულთა“ წინააღმდეგ არათუ არაფერი უთქვამს, არამედ „საქართველოს მოამბის“ დაარსების ნებართვის მიღებაშიც კი დაეხმარა მათ, ი. ქავჭავაძის ეპიგრამებმა წონასწორობიდან გამოიყვანეს.

ი. ქავჭავაძის „გამოცანების“ პასუხად გრ. ორბელიანს დაუწერია მეტად მკაცრი პასკვილი—„გამოცანების პასუხი“, რომელიც ავტორს თავიდან ხელნაწერით გაუვრცელებია ხალხში, ხოლო შემდეგ „ცისკარში“ (1874 წ., № 7—8) გამოუქვეყნებია. მაგრამ „ცისკარში“ გამოქვეყნებული ტექსტი ხალხში გავრცელებულ ვარიანტთან შედარებით გავრცობილი და შერბილებულია. მართალია, შინაარსობლივი ცვლილება პოეტს მასში ბევრი არაფერი შეუტანია, მაგრამ შეუცვლია ცალკეული შეურაცხყოფელი სიტყვები.

ახალი თაობის წარმომადგენლებს გრ. ორბელიანი უწოდებს „კოლო ბუზებს“, „კატის კნუტებს“, „გზა დაკარგულებს“, „ცრუ პოეტებს“, „სულით სუსტებს“, „უნიჭოებს“ და სხვ. ამის მსგავსი ეპითეტები კი, როგორც ვიცით, ი. ქავჭავაძის არ გამოუყენებია გრ. ორბელიანის მისამართით.

გრ. ორბელიანის თქმით, ახალი თაობის წარმომადგენლებმა ტყუილად მოიარეს რუსეთი და უცოდინარნი დაბრუნდნენ; თანაც ეროვნული თვისებები დაკარგეს, აღარ ჰგვანან არც ქართველებს, არც რუსებს, არც ფრანგებსა და ინგლისელებს. მაგრამ არც ამის თქმით კმაყოფილდება გრ. ორბელიანი. იგი „თერგდალეულებს“ ბრალად სდებს ენის წახდენასა და სარწმუნოების დავიწყებას.

„თქვე უსწავლენო,  
ცრუ რუსთაველნო,  
რად წაგვიბილწეთ ენა მდიდარი?“

ენა მაღალი,  
მის სიღრმე, ძალი,  
წახდა უწმინდურს თქვენს ხელში ჯიჯგვით.  
მტურობა ენის  
არს მტურობა ქვეყნის.  
ჩირქი რად მოსცხეთ ტაძარსა წმინდას?\*

გრ. ორბელიანმა თავი ვერ შეიკავა, რომ არაფერი ეთქვა უშუალოდ ი. ჭავჭავაძეზე. ი. ჭავჭავაძეს ის უწოდებს „ლიბერალს“, რომელსაც ღმერთი დაუვიწყნია და ღმერთის ნაცვლად გონებას აღმერთებს: გაუკენწლავად არ სტოვებს მის გარეგნულ სახესაც.

„ის ლიბერალი  
ბურთივით მრგვალი,  
ზნეობის მცველი ამას ჰქადაგებს:  
„ლოცვა რად გვინდა.  
ღმერთი რად გვინდა.  
ჩვენი გონება არს ჩვენი ღმერთი“.

მაგრამ გრ. ორბელიანი ი. ჭავჭავაძეს უპირისპირდება არა როგორც პიროვნებას და, თუ გნებავთ, როგორც პოეტსა და მოაზროვნეს მხოლოდ, არამედ როგორც ახალი თაობის იდეურ ხელმძღვანელს. ამიტომაც, რომ იგი მისწვდა აგრეთვე მის უახლოეს თანამებრძოლებს აკაკი წერეთელს, ნიკო ნიკოლაძესა და გ. წერეთელს.

„კოლო-ბუხები,  
ლიბერალები,  
ცრუ პოეტები, პატრიოტები:  
აკაკიები,  
ბაკაკიები,  
რიონელები, გოგიტელები“<sup>1</sup>.

გრ. ორბელიანმა ვერ დამალა ვერც ის, რომ ახალთაობის შესახებ მართალია სიტყვით ცუდი არაფერი უთქვამს, მაგრამ გულში მაინც სხვა აზრისა იყო.

„თქვენში ეტრიალებ,  
თქვენში ვღრიალებ,  
გულით კი ვსწუხვარ თქვენს უნიკობას“.

<sup>1</sup> „რიონელი“—ნ. ნიკოლაძის ფსევდონიმი, „გოგიტელებში“ კი გ. წერეთელს გულისხმობს.



გრ. ორბელიანს, როგორც ჩანს, მალე ჩავარდნია ხელთ. ი. ჯავახიანი „გამოცანები“ და მაშინვე დაუწერია თავისი „გამოცანების პასუხი“. ამას მოწმობს ი. ჯავახიანი—„პასუხის პასუხი“, რომელიც 1872 წლის 28 იანვარსაა დაწერილი („გამოცანები“ დაწერილია 1871 წ. 7 დეკემბერს).

ი. ჯავახიანის „პასუხის პასუხი“ წარმოადგენს გრ. ორბელიანის ლექსის ჩვენს მიერ განხილული პირველი ვარიანტის პასუხს. ილია თანმიმდევრობით სცემს პასუხს გრ. ორბელიანის ლექსში წამოყენებულ ბრალდებებს. ამასთან, ის მას პასუხობს არა მხოლოდ თავის, არამედ მთელი ახალი თაობის სახელით.

გრ. ორბელიანის ირონიულ კითხვას—„საიდან კნავითო?“, ი. ჯავახიანი პასუხობს:

„იქიდან ვკნავით.  
სად თქვენის მადლით  
ხაფანგებ-ქვეშე დამწყვდეული ვართ“.

როგორც ვხედავთ, ი. ჯავახიანი გრ. ორბელიანსა და მის თანამოაზრეთ ბრალად სდებს იმდროინდელი მკაცრი პოლიტიკური რეჟიმის შექმნაში მონაწილეობას.

მართალია,—მიმართავს ი. ჯავახიანი გრ. ორბელიანსა და მის თაობას,—ჩვენ მოველეთ რუსეთი, მაგრამ თქვენსავით არ მოვექცეულვართ და

„ჩვენი ქვეყანა,  
მკვდარი თქვენგანა,  
თქვენებრ ჩინებზე არ გავვიცვლია“.

და არც ლიბერალობა და პატრიოტობა არ გავგიხდია სალანძღავ სიტყვადო. თქვენგან განსხვავებით, ადამიანთა ღირსებას ჩვენ ჩინებით არ ვზომავთ, არც სარწმუნოებასა და ფარისევლობას ეურევთ ერთმანეთშიო.

ძველ თაობას ი. ჯავახიანი ბრალად სდებს „ღარიბთა ერთობისადმი“ ძირის გამოთხრას, უქმად ყოფნას, ბეზღებას, თვალთმაქცობას, მძარცველობას, ორპირობას, ფარისევლობას, საკუთარი ენისა და ხალხის გამოხრას. „ვთქვით ხელში ჩვენს საქართველოსო“,—დასძენს ბოლოს ი. ჯავახიანი და უშუალოდ გრ. ორბელიანს გაესიტყვება:

„ვინა ყრიხართო,  
ვირები ხართო,—  
მაგ თქვენს ზრდილობას ვით გადარება?“

მაგრამ შოთამ სთქვა,  
რაც კოკაში სდგა,  
იგივე თურმე წარმოსდინდება“.

ი. ქავჭავაძე გრ. ორბელიანს პასუხობს იმ კონკრეტულ ბრალდებებზეც, რაც მან მას და მთელ ახალთაობას წაუყენა სარწმუნოების უარყოფისა და ენის წახდენის შესახებ.

ახალთაობას,—მიმართავს იგი გრ. ორბელიანს,—

„ღმერთი მხაკვრობის  
და თვალთმაქცობის,  
ღმერთი უქმობის უარუყვია,  
ღმერთი ხარბობის  
და მძარცველობის  
თქვენთა მსგავსათთვის მას დაუთმია.  
ხოლო გეწამს ღმერთი  
უქმთა წარმწყმედი,  
ტვირთმძიმეთა და მაშვრალთა მხსნელი,  
ღმერთი ტანჯულთა,  
ღმერთი ჩაგრულთა,  
ღმერთი უძლურთა შემწყნარებელი“.

რაც შეეხება ბრალდებას ენის წახდენის შესახებ, ი. ქავჭავაძე მთელი დამაჯერებლობით ცხადყოფს ძველი თაობის გულგრილდამოკიდებულებას მშობლიური ენისადმი. უფრო მეტიც, ი. ქავჭავაძის თქმით, ძველი თაობის ბედოვლათობის წყალობით ქართული ენა თითქმის ოფიციალურად აიკრძალა; მასზე ლაპარაკს ხომ ჩვეულებრივ გაუბრბოდნენ და თაკილობდნენ.

„მტრობა ენის  
არს მტრობა ქვეყნის—  
მაგ ახრისა ვართ თანახმა ჩვენა,  
მაგრამა გმობა,  
ენისა მტრობა  
ბრალად ვის დავდვით, ჩვენა თუ თქვენა?  
ეხლა რომ ბლავით,  
თქვენ არ იყავით  
ენის პატრონად ჩვენზედ უწინა?!  
ჩვენ ძუძუს ვწოვდით,  
როცა თქვენ ჰგმობდით  
ენას და ხალხსაც—გარეთ თუ შინა.  
ის არ ხართ თქვენა,  
რომ ღვიძლი ენა  
ბრძანებით დასთმეთ აღმოსაკვეთად?  
შიშით—არც კარში  
და აღარც სახლში  
მას აღარ ხმარობთ თქვენდა სარცხვენად“.

ძველმა თაობამ, ილიას თქმით, ქართულ ენას „მკვდრის სუღარა გადააფარა“ და ამის შემდეგ იგი ახალმა თაობამ მიიღო გასაცოცხლებლად. შესაძლოა, ქართული ენის სიწმინდის დაცვის საქმეში არც ეს თაობა იყოს უცოდველი, მაგრამ იგი იბრძვის თავისი შეცდომების გამოსასწორებლად.

„თქვენგან გმობილი,  
თქვენგანით ლტოლვილი  
ენა ჩვენს ქოხში ჩვენ შევაფარეთ;  
კარგათ თუ ავად,  
ჩვენ მას ვინახავთ  
და მის სიკვდილით არ გაგახარებთ.  
გვიან თუ მალე,  
დღესა თუ ხვალე,  
რაც ენას ვცოდეთ, ის გასწორდება,  
მაგრამ კი თქვენი  
მრუდე საქმენი  
ისევ ისევე მრუდეთ დარჩება“.

ამგვარად, ი. ჭავჭავაძემ თავის „გამოცანებში“, „კიდევ გამოცანებსა“ და „პასუხის პასუხში“ კიდევ ერთხელ ჩამოაყალიბა ის საკითხები და ის მიზეზები, რომლებიც საფუძვლად ედვა მკაცრ უთანხმოებას „თერგდალეულებსა“ და კონსერვატორულ-ლიბერალურ ბანაკს შორის და რომელიც აშკარად გამოვლინდა მათ სამწერლო თუ პრაქტიკულ მოღვაწეობაში.

ცხადია, ყველა ის საყვედური, რომელიც ი. ჭავჭავაძის მიერ ძველი თაობის მისამართითაა ნათქვამი, გრ. ორბელიანს არ შეეხება, ან ნაწილობრივ შეეხება მხოლოდ. მაგრამ ი. ჭავჭავაძესა და გრ. ორბელიანს შორის გაშლილმა პოლემიკამ ფართო ხასიათი მიიღო. ილიამ დაინახა, რომ გრ. ორბელიანი მას ეკამათებოდა ყველა იმ პირთა სახელით, რომლებიც თავიანთი აზროვნებითა და მოქმედებით „თერგდალეულებს“ ებრძოდნენ. ამიტომ ისინი ერთმანეთს დაუპირისპირდნენ, როგორც მეთაური—მეთაურს. ამას გრძნობდნენ მათი თანამოაზრენიც და თავიანთ მხრივ ზურგს უმაგრებდნენ მეთაურებს.

\* \* \*

გრ. ორბელიანის კადნიერმა და უმართებულო გამოსვლამ ი. ჭავჭავაძისა და საერთოდ ახალი თაობის წინააღმდეგ, პირველყოფლისა, აკ. წერეთელს ააღებინა თავისი მახვილი კალამი. აკაკიმ თითქოს სიამოვნებაც კი იგრძნო, როცა საბრძოლო მოედანზე და-

ინახა გრ. ორბელიანი, რომელიც „თერგდალეულებს“ ადრე საბაბს არ აძლევდა თავდასხმისათვის. ამჯერად კი გრ. ორბელიანის შკაც-რი ტონით დაწერილი პასკვილი აკაკის მწარე ენას შეზღუდვისაგან ათავისუფლებდა. მასაც აღარ დაუყოვნებია, ხალხში სწრაფად გავრცელდა მისი პამფლეტი — „ხარაბუზა ლენერალს“, რომელიც პოეტს ქუთაისში დაუწერია 1872 წლის 7 თებერვალს.

აკ. წერეთელი გრ. ორბელიანს უწოდებს „სიტყვით-სწორ, საქმით-კუზას“, რომელიც ახლა მისთვის გაუგებარ და უცნობ საგანზე ლაპარაკობს. აკაკი ამ შემთხვევაში გულისხმობდა იმას, რომ გრ. ორბელიანს არ ესმოდა ახალი თაობის მოღვაწეობის შინაარსი და მნიშვნელობა.

გრ. ორბელიანი, აკაკის შეფასებით, ზოგჯერ ახალი თაობის მხარეზეა, ზოგჯერ კი — მოწინააღმდეგეთა ბანაკში. უფრო სწორად, თავისი მხატვრული შემოქმედებით ის დღემდე უფრო მეტად „თერგდალეულებთან“ იყო, მაგრამ უკანასკნელად დაუკარგავს და შეურაცხვეთა თავისი მუზა:

„ჩვენთან ტკბილო, ვით შაქარო,  
ტკბილ ლექსების ფეიქარო!  
აკაცა ხარ, იქაც ხარო,  
გულფუტურო და თავქარო!  
ირხვეი, ვით დამკნარი ბზა,  
იარანალ-ხარაბუზა,  
სიტყვით სწორო, საქმით კუზა,  
ძაძას იცვამს შენი მუზა!“

ორპირობისა და „სპარსული პოლიტიკის“ წყალობით, — ამბობს აკაკი, — გრ. ორბელიანი ადვილად შეეთვისა „სხვას“, თანაც, „ამ ბოლოს დროს სიტყვაც უყარს“. ამიტომაც, რომ იგი აღარ ინდობს ღვაწლმოსილ პოეტსა და დამსახურებულ გენერალს, უწოდებს მას — „ენა წმინდა, გულ-სატანას“, „გულფუტურო და თავქარიანს“, ორპირობის წყალობით „გატუზებულს“ და სხვ.

პამფლეტის მეორე ნახევარში აკ. წერეთელი ერთმანეთს უპირისპირებს გრ. ორბელიანსა და მის მიერ გაკიცხულ ახალთაობის წარმომადგენლებს (ნ. ნიკოლაძეს, გ. წერეთელს, ი. ჭავჭავაძეს). მიმართავს რა გრ. ორბელიანს, აკაკი ამბობს: „სადაც შრომობს რიონელი — შენ ხომ იქ არა გაქვს ხელი“, „სადაც იყოს გოგიტელა, იმას ენაცვალოს ყველა — შენისთანა ენაბრტყელაო“. მაგრამ უფრო თავგამოდებით ის ილია ჭავჭავაძეს იცავს და ამბობს, რომ მას გრ. ორბელიანის მსგავსად არ წაუხვრია თავი სამშობლოს მჩაგვრელთა წინაშე და არ მიჰყვება ძველი თაობის გზას.

ცხადია, აკაკი გრ. ორბელიანს ვალში არ რჩება მისდამი მიმართული შეურაცხმყოფელი სიტყვების („აკაკიები, ბაკაკიები“) თქმისთვისაც და მისთვის ჩვეული სარკაზმით უმასპინძლდება.

„ნოვლორდის ლიბერალო,  
ლოპიანას მომღერალო,  
საათნავს ეშხით მთვრალო,  
აწ კი უნდა შეგიბრალო,  
არ გაგხადო რომ ანდაზა!  
საცოდავო ხარაბუხა,  
სიტყვით სწორო, საქმით კუხა,  
დაგიკარგავს შენი მუხა.  
რადგან ერთ დროს იყავ კაცი  
გულმტკიცი და გულმამაცი,  
აკაკია არას გადრებს,  
ბაკაკიამ გითხრას: „აცი!“  
რომ მოსძებნო ისევ მუხა,  
იარანალ ხარაბუხა,  
სიტყვით სწორო, საქმით კუხა,  
დაიბრუნე შენი მუხა!  
ბზხუ, ბზხუ, ბუხა-ბუხა!“

აქ. წერეთელი არ დაკმაყოფილდა „ხარაბუხა ლენერლის“ ზეპირი გავრცელებით. მან გადაწყვიტა გრ. ორბელიანს გაზეთის ფურცლებზეც გასწორებოდა. ამ მიზნით, მას დაუწერია ლექსი „ფარშავანგი“ და „დროების“ რედაქციისათვის გაუგზავნია. მაგრამ, ცხადია, „ხარაბუხა, ლენერლისა“ და „ფარშავანგის“ მსგავს ლექსებს ცენზურა არ გაუშვებდა. ამ გარემოებამ აიძულა „დროების“ რედაქტორი—ს. მესხი სხვა ხერხისათვის მიემართა. მას გადაუწყვეტია აკაკისათვის დაეწერინებინა მეტად მოხერხებულად გააზრებული ფელეტონი, რომელშიც ჩაერთვოდა „ფარშავანგი“. „აკაკი,—სწერდა მას ს. მესხი,—თუ ძმა ხარ, მალე გამომიგზავნე ერთი ისეთი ფელეტონი, რომ შენი მშვენიერი ლექსი... მოვაბა ზედო“...

აკაკის შეუსრულებია ს. მესხის თხოვნა და დაუწერია ფელეტონი—„ახმედ-ფაშა კახაბერი“<sup>1</sup>, რომელსაც რედაქციამ „გააყოლა“ „ფარშავანგიც“. ფელეტონში ლაპარაკია ოსმალეთის სამსახურში მყოფ, გათათრებულ ქართველ—ახმედ-ფაშა კახაბერის მოლაპატრობრივ საქმიანობაზე. მაგრამ ისეთგვარადაა მოთხრობილი კახაბერის თავგადასავალი, რომ მასში აღვიღლად იცნობთ გრ. ორბელიანს და ძველ თაობას საერთოდ. აკაკი ახერხებს—„კახაბერის

<sup>1</sup> „დროება“, 1872, № 29.

თავგადასავალში<sup>1</sup> ოსტატურად წარმოადგინოს გრ. ორბელიანის მოღვაწეობის მისთვის საინტერესო დეტალები და 60-იან წლებში გაშლილი იდეურ-ლიტერატურული ბრძოლის საყურადღებო მომენტები. კერძოდ, მეტად მისახვედრი ენით ლაპარაკობს ის იმ ფარისევლობაზე, რომელიც ძველი თაობის წარმომადგენლებმა გამოიჩინეს ბატონყმობის გადავარდნასთან დაკავშირებით. „იმათ პირლიმილით მიიღეს ეს კანონები,—ამბობს აკაკი,—მაგრამ ახალი თაობის დაუძინარის მტრობითა და შურით კი აღივსო. მაგრამ რა ექნა? როგორ უნდა მოქცეულიყო? იმას ხომ ვერ იტყოდა, თუ ამისათვის ვსდევნი ახალ თაობასო, და მიზეზები გამოიგონა: 1. ვითომც ახალ თაობას სარწმუნოებაზედ ხელი აეღოს, რადგანაც იცოდა, რომ ამ ცილისწამებით მდებალ ხალხს მოატყუებდა და ახალ თაობაზედ ნდობას დაუქარგავდა; 2. ამტკიცებდა უსინდისოდ, რომ ახალი თაობა მმართველობის განქარგულებას ეწინააღმდეგებოდა და სხვანი“. ამის გამო ახალ თაობას თავისი გზა არ შეუცვლია, მაგრამ დიდი ტანჯვა კი გაუვლია. ამ მძიმე მომენტში კახაბერი (ე. ი. გრ. ორბელიანი) მხარში არ ედგა ახალ თაობას, მაგრამ „სხვებსავეთ გზაში მტერად არ უდგა“.

ამ შემთხვევაშიც აკ. წერეთელი არ ლალატობს ისტორიულ სინამდვილეს. როგორც ვიცით, გრ. ორბელიანი გლეხთა განთავისუფლების საკითხში სრულიად განსხვავებულ პოზიციასზე იდგა, ვინემ ახალი თაობის წარმომადგენლები, მაგრამ მათ წინააღმდეგ აშკარად მაინც არ გამოსულა.

შემდეგში კახაბერმა (გრ. ორბელიანმა) გზა შეიცვალა: ახალ თაობას გაუდგა და ძველი თაობის ბანაკში გადაბარგდა. ამიტომ, ახალმა თაობამაც გამოიტერა თავისი კახაბერი.

ფელეტონზე დართულ ლექსში—„ფარშავანგი“ დაახლოებით იგივე აზრია გატარებული, რაც ფელეტონში, თანაც უფრო აშკარადაა მინიშნებული გრ. ორბელიანზე.

„ფარშავანგი“ ალეგორიული შინაარსის ლექსია: ფარშავანგისა და დათვის სახით აკაკის დაპირისპირებული ჰყავს გრ. ორბელიანი წინათ და ახლა. მშვენიერ ბაღში, ამბობს პოეტი, გვყავდა ლამაზი ფარშავანგი, რომელმაც „კვერცხის დება არ იცოდა“, მაგრამ „ჭქონდა კარგი გული“; მას უმღეროდით და ვაქებდით, „მაზედ ცუდს ვინც გაბედავდა, ბატის ფრთებზე ავაგებდით“, „ახალგაზრდათ წმინდა თვალი მისკენ იყო მიპყრობილიო“. მაგრამ ერთ დღეს ფარშავანგის ხმის ნაცვლად რაღაც უცხო ხმა მოგვესმა: „მიველთ, ვნახეთ, აღარ იყო ბაღში ჩენი ფარ-შავ-ანგი“. მის ნაცვლად დაგვხვდა დათვი, რომელსაც თან ჰყავდა ორი ბელი.

მივხვდით საქმე რაშიც იყო და თავში შემოვირტყით ხელი-  
ლექსის დასასრულს, ზმური თქმით, აკაკი პირდაპირ მიუთითებს,  
რომ მთელი ეს ალეგორია გრ. ორბელიანს ეხება:

„გვასწავლეთ, საით გაფრინდა  
ის ჩიტი ღვთით-მადლიანი,  
და მოგვაშორეთ, არ გვინდა  
ეს დათვი ორ-ბელიანი!“

ი. ჭავჭავაძის „პასუხის პასუხმა“ და აკ. წერეთლის პამფლე-  
ტებმა, ჩანს, მძიმე მდგომარეობაში ჩააყენეს გრ. ორბელიანი.  
მართალია, მან გადაწყვიტა გამოექვეყნებია თავისი „გამოცანების  
პასუხი“, მაგრამ მაინც საგრძნობლად გადაამუშავა ის. ამის გასა-  
თვალისწინებლად საკმარისია ითქვას, რომ ნაცვლად აკ. წერეთლის,  
ნ. ნიკოლაძისა და გ. წერეთლისა; „ცისკარში“ დაბეჭდილ ტექსტ-  
ში გრ. ორბელიანი იხსენიებს ს. მესხს, ს. მელიქიშვილს და  
დ. მიქელაძეს. ამასთან, აღარაფერია ნათქვამი უშუალოდ ი. ჭავჭავა-  
ძის მისამართით, ხოლო სიტყვებს:

„ლოცვა რად გვინდა?  
ღმერთი რად გვინდა?  
ჩვენი გონება არს ჩვენი ღმერთი!“

ნაცვლად ილიასა, ის მიაწერს ს. მელიქიშვილს.

„ცისკარში“ გამოქვეყნებულ ტექსტში („პასუხი უღირსთა-  
შვილთა“) გრ. ორბელიანი უფრო მეტად „მამათა“ დამსახურების  
ჩვენებითაა დაინტერესებული, ახალგაზრდა თაობის კრიტიკა კი,  
ძირითადად, „დროების“ და მის მესვეურთა გაკიცხვით აქვს შე-  
მოფარგლული. ჩანს, გრ. ორბელიანმა იგრძნო, რომ ი. ჭავჭავაძის,  
აკ. წერეთლისა და ნ. ნიკოლაძის მიმართ მან აშკარად გადააქარბა;  
შეიგნო, რომ შეურაცხყო ისინი, რომელთა წყალობით მან, რო-  
გორც პოეტმა, მაღალი და სამართლიანი შეფასება დაიმსახურა.

„ცისკარის“ ის ნომერი, რომელშიც გრ. ორბელიანის „პასუ-  
ხი უღირსთა შვილთა“ დაიბეჭდა, ჯერ კიდევ გამოსული არ იყო,  
როცა „დროების“ რედაქტორს—ს. მესხს ხელთ ჩაუგდია დასაბეჭ-  
დად გამზადებული ტექსტი, რომელიც მას აკაკისათვის ქუთაისში  
გაუგზავნია. „გიგზავნი გრ. ორბელიანის ახალს, მაგრამ ძველს კი-  
ლოზე დაწერილ ლექსს ჩვენზე და შენ იცი, როგორ მახვილ და  
შხამიან პასუხს დაუწერ და გამოგზავნი. ეს ლექსი უკანასკნელ  
„ცისკარში“ იბეჭდებო“,—წერდა ს. მესხი აკ. წერეთელს.

ცხადია, შემთხვევითი არაა, რომ „მახვილი და შხამიანი პასუხის“ დაწერას ს. მესხი აკ. წერეთელს სთხოვს. აკაკის დიდი ჯაფის გადახდა არ ჰქონდა და ასეთი დავალების შესასრულებლად. თანაც აკაკი ამ დროს სხვებზე მეტად იყო გაჯავრებული გრ. ორბელიანზე.

გაზეთ „დროების“ 1875 წლის პირველ ნომერში გამოქვეყნდა აკ. წერეთლის ალეგორიული შინაარსის ლექსი—„ძველი და ახალი წელი“, რომელშიც „ძველებთან გადასულ“ გრ. ორბელიანს კვლავ „დათვად“ იხსენიებს. ამასთან, მიუთითებს, რომ „ძველები“ შიშით არიან შეპყრობილნი „ახალი ბატონის“ მოსვლის გამო. რადგან ის „კარგად არჩევს თურმე ვარდსა და ეკალსა“ და „ჩვეულებრივ თვალთმაქცობით მას ვერ აუხვევენ თვალსა“; არც სხვის ენებს უსმენს და „როგორც მისი ჭკუა ურჩევს, ისე აჩენს სამართალსა“. ამიტომ, ხალხი მასში ხედავს მკურნალს და პოეტსაც იმედი აქვს აფუსრულებთ ამ იმედს. ვფიქრობთ, რომ აკაკის მხედველობაში აქვს ი. ქაქავაძის დაბრუნება დღეშეთიდან თბილისში. „დროების“ იმავე წლის მეოთხე ნომერში კი დაიბეჭდა აკ. წერეთლის ფელეტონი—„პატრიოტის აღსარება“, რომელშიც ჩართული იყო ლექსები: „ბობოლგების ბაიათი“ და „კოლო-ბუზების პასუხი“. „პატრიოტის აღსარება“ თავისი ფორმით ძალიან ჰგავს „ახმედ-ფაშა კახაბერს“. აკაკი ამ ფელეტონშიც არა მარტო გრ. ორბელიანს ეხება, არამედ ძველ თაობას საერთოდ. გრ. ორბელიანისა და მისი თაობის პატრიოტული გრძნობა ფელეტონში მეტად დაკნინებულია და წარმოდგენილი. „განა შემძლია შიშხინა მწვადის ყურება ისე,—ამბობს ძველი თაობის წარმომადგენელი,—რომ პირი პატრიოტის ნერწყვით არ შევსებოდეს?“ „ვინა სთქვა, რომ მე პატრიოტი არა ვარ? მიუქარავს!.. ეტყობა ან სადილობამდის მოთრეულა ჩემთან და ან ნასადილევს მოხეტებულა... აბა, თქვენი ქირიმე, სადილობამდის, როცა მუცელი ცალიერია, ვისა სცალიან საპატრიოტოდ და ან ნასადილევს, კუჭდამძიმებულზე, რაღა დროს პატრიოტობაა?!.. იმ დროს მობრძანდეს, როდესაც მე, მამაპაპურად ფეხმორთხმულს წინ მიფენია ქართული სუფრა მისის სასადილო სამკაულებით... აი დრო, როდესაც ჩემს გულში იღვიძებს პატრიოტული გრძნობა და ჩემი ნაციონალური მადა კუჭში იდგამს სამეფო ტახტსა! მაშინ მეც თავი მომწონს ქართველობითო!“

ცხადია, რომ ძველი თაობის მხარეზე აშკარად გადასულ გრ. ორბელიანს აკ. წერეთელი მხოლოდ საკუთარ დანაშაულს აღარ აკმარებს და ყველა დანარჩენთა ცოდვებსაც მას აკისრებს. შესაძლებელია ეს სიმკაცრე და გადაჭარბება გრ. ორბელიანის მიმართ



განართლებულიც იყოს, ვინაიდან საჭირო იყო შეეგნო მას, თუ ვის დაუმშვენა მხარი; მაგრამ ისიც უდავოა, რომ გრ. ორბელიანის პატრიოტიზმის ამგვარი გაგება უმართებულა. ჩანს, აკაკიმ მეტად ზუსტად შეასრულა ს. მესხის თხოვნა — დაეწერა „მახვილი და მხამიანი პასუხი“.

სამაგიეროდ, ფელეტონში ჩართული ლექსები სწორად გამოცემენ იმ პოლიტიკურ ინდიფერენტიზმს, რომელსაც გრ. ორბელიანი ხშირად აელენდა ხოლმე თავის პრაქტიკულ მოღვაწეობაში. „ბობოღების ბაიათში“ ძველი თაობის წარმომადგენელი ახალ თაობას ურჩევს გაჩუმდეს მისებრ და დაემონოს გაბატონებულ ძალას. ახალი თაობა კი ასეთ მრჩეველებს მოაგონებს, რომ დროა გამოეთხოვონ ცხოვრებას; მათ, — როგორც მიმავალთ, — აღარაჲინ კითხავეს რჩევას, მათ მიერ განვლილი გზა ახლებს აღარ არგიათ. „თქვენ სხვა ხართ და ჩვენ სულ სხვა, არა გვაქვს-რა საერთო“, — პასუხობს ძველ თაობას ახალი თაობა.

„შენ რომ გზა გაგივლია,  
ის ჩვენ აღარ გვარგია,  
და ის ჩვენთვის ცუდია,  
რაც რომ თქვენთვის კარგია!“...

„მიმავალნო მშვიდობით!  
გზა მოგვეცი მომავალს!  
რად სწუხდებით რჩევისთვის?  
ჩვენ ვპოებთ ჩვენს გზას და კვალს“...

აკ. წერეთლის „პატრიოტის აღსარება“ წარმომადგენს გრ. ორბელიანის „პასუხი შვილთას“ მკაცრ კონტრპასუხს. აკაკი აღშფოთებულია გრ. ორბელიანის უპასუხისმგებლო განცხადებით, როცა ის ახალგაზრდებს „ცრუ პოეტებსა“ და „ცრუ პატრიოტებს“ უწოდებს.

„პატრიოტის აღსარებით“ აკ. წერეთელმა დაამთავრა გრ. ორბელიანთან პოლემიკა.

\* \* \*

გრ. ორბელიანის პოლემიკა „თერგდალეულთა“ წარმომადგენლებთან მხოლოდ პასკვილით — „პასუხი შვილთა“ არ დამთავრებულა. 1873 წელს მას დაუწერია სტატია — „მგზავრობა სევანეთისაკენ გ. წერეთლისა“, რომელიც შემდეგ „ცისკარში“ გამოაქვეყნა<sup>1</sup>.

<sup>1</sup> „ცისკარი“, 1874, № IX—X.

როგორც სათაურიდან ჩანს, გრ. ორბელიანს კრიტიკის საგნად აუღია გ. წერეთლის „მგზავრის წიგნები“ („კიკოლიკი, ჩიკოლიკი და კუდაბზიკა“). მაგრამ, როგორც თვითონაც ამბობს, სტატიაში ის არ ეხება არც ავტორის იდეასა, არცა მისსა მიმართულებასა; მის მიზანს შეადგენს მხოლოდ აჩვენოს მკითხველს რამდენად იცავს ავტორი ქართული ენის სიწმინდეს. თუმცა, კიდევ უფრო მეტად ის დაინტერესებულია თავისი გრანატიკული შეხედულებების გადმოცემით.

არც იმის თქმა შეიძლება, რომ გრ. ორბელიანს მართლაც აეველოს გვერდი „მგზავრის წიგნების“ იდეისა და მისი ავტორის მიმართულებისათვის. სტატიის დასაწყისშივე, როცა იგი ამ ნაწარმოების მთავარ გმირთა მოკლე დახასიათებას იძლევა, აშკარად ამელავენებს თავის დამოკიდებულებას ნაწარმოების იდეისა და ავტორის მიმართულებისადმი. საკმარისია ითქვას, რომ გრ. ორბელიანი საღათაზე უფრო მაღლა კიკოლიკს აყენებს და ამ უკანასკნელს თითქმის უნაკლო პიროვნებად თვლის.

გრ. ორბელიანი ბევრ შემთხვევაში უდავოდ მართალია, როცა გ. წერეთელს ენას უწუნებს; თავის შენიშვნებს ის ბევრჯერ მარჯვე კონკრეტული მაგალითებითაც ადასტურებს. მაგრამ ეს გარემოება, ამჯერად, არცთუ ისე საინტერესოა. ცნობილია, რომ თვითონ გ. წერეთელიც არ მალავდა თავის და საერთოდ „დროების“ „ცოდვებს“ ქართული ენის მართლწერის საქმეში. ჯერ კიდევ 1867 წლის დასასრულს გ. წერეთელი საგანგებოდ შენიშნავდა, რომ „დროების“ ენა ვერაა დამყარებული ერთ მკვიდრ საფუძველზეო. კერძოდ, ის მიუთითებდა აღმოსავლური და დასავლური დიალექტების უმართებულო გამოყენებაზე. „ამისთანა მოვლენა, — წერდა ის, — ცხადად ამტკიცებს იმას, რომ საზოგადო ახალი ქართული სალიტერატურო ენა ჯერ არ გამართულა. რაოდენიმე ათი წელი ნაყოფიერი შრომა აუცილებლად საჭიროა სალიტერატურო ასპარეზზე, რომ ენა დადგეს და თავისი შესაფერი ლიტერატურული ფორმა მიიღოსო“<sup>1</sup>.

გრ. ორბელიანის სტატია, პირველყოვლისა, საინტერესოა თვით მისი ავტორის ენობრივი შეხედულებების გასარკვევად, რაც ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. გადაუქარბებლად შეიძლება ითქვას, რომ გრ. ორბელიანის ენობრივი შეხედულებების გასათვალისწინებლად უფრო უკეთესი მასალა, ვინემ ეს სტატიაა, არ მოგვეპოვება.

<sup>1</sup> გ. წერეთელი. თხზულებანი, 1931, ტ. I, გვ. 389.

გრ. ორბელიანი თავის სტატიაში სრულიად მწყობრად და ძალდაუტანებლად აყალიბებს თავის დამოკიდებულებას იმ ენობრივი საკითხებისადმი, რომლებიც მკაცრი დავის საგნად იქცა 60-იან წლებში ი. ჭავჭავაძესა და მის მოწინააღმდეგეთა შორის. ამიტომ, მისი დაკვირვებული ანალიზი, ვფიქრობთ, ადვილს აღარ ტოვებს აზრთა სხვადასხვაობისათვის.

გრ. ორბელიანის თქმით, ახალი თაობის წარმომადგენლები გულწრფელად ცდილობენ ქართული ენის წარმატებისათვის, მაგრამ თავს მაინც ვერ აღწევენ შეცდომებს, რადგან „მათ არა ჰქონდათ შემთხუშვა ღრმად შესწავებისათვის ქართულისა ენისა, და ამა მიზეზითავე არა არიან ჩუქულნიცა საღმრთოს წერილსა, რომელიც არის, მართლად, მოუღვეელი საუნჯე ჩუქნისა ენისა, და რომელსშიაცა მაღალნი და ღრმანი ჰაზრნი არიან გამოთქმულნი ადვილად და მეტად მშუშნიერის ძორომით“.

გამომდინარე ამ წინამძღვრიდან, გრ. ორბელიანი ახალი თაობის წარმომადგენლებს მიუთითებს მართლწერის ცალკეულ საკითხებზე. კერძოდ, ის გულმოდგინედ „ამტკიცებს“ იმ შვიდი ასოს ხმარებაში დატოვების აუცილებლობას, რომელთა შესახებ ი. ჭავჭავაძემ საწინააღმდეგო აზრი გამოთქვა. ხოლო შემდეგ, ჰყავს რა მხედველობაში ი. ჭავჭავაძე და მისი თანამოაზრეები, დასძენს: „ჩუქნ, დიდად უცოდინართა ქართულისა ენისა, ვინ მოგუცა ის უფლება, რომ ესრეთის გაბედვით, ესრეთის კანდიერებით, უარ-ვეჰოთ, გადავაგდოთ და შეევსცუთალოთ ის წესი, ის კანონი, რომელიცა დაჰსდუქს ჩუქნისა ენისა-თვს დიდად მეცნიერთა ღრამატიკოსთა, თვთ ენის თვსებისავე გამოკუთლევითა; რომელთაგან საბერძნეთიდან ძუქლად გადმოტანილი ჰსწავლა და კელოვნება ჩუქნსა მხარესში ღრმად იყო დანერგილი და გარდაფენილი მთლად საქართველოზე; რომელთაცა სირიის და ბერძნულის ენით გარდმოიღეს ქართულად საღმრთო წერილი ესრეთის მშუშნიერ-სიტყუაობითა და ძლიერებითა.... ანტონ კათალიკოსმა, დიდად მცოდნემ ქართულისა ენისა, არა თუ დააკლო, არამედ მოუმატა ასო ჟ. ახლა ნუ-თუ მართლად, ჩუქნ უნდა დავივიწყოთ იგინი, რომელთა სახელნი გვიბრწყინუქნ ჩუქნს ისტორიასა... ჯერ ადვიდეთ იმ სიმაღლეზედ, რომელზედაც იდგნენ ძუქლნი მსწავლულნი ქართულის ენის ცოდნასში, შეუთანასწორდეთ მათ, და მერე... იყავნ ნება შენი...“

გრ. ორბელიანი არ უარყოფს იმას, რომ მწერალმა უნდა ისარგებლოს ხალხის ენით. მაგრამ როგორ ესმის მას ხალხის ენა? „განვლო ათასმა წელმა,—შენიშნავს გრ. ორბელიანი,—რა პირუტლად ითქუა ქართულად: „მიწყალე მე ღმერთო დიდითა წყალობი-

თა შენითა, და მრავალთა მოწყალებითა შენითა აღჰხოცე უსჯულ-  
ლოება ჩემი!“ და რომელსა გლახსა არ ესმის ახლაცა მარტივად და  
მშტუნირად გამოთქმული სიტყუა ესე, რომელიცა ეკუთვნის იმავეს  
გლახის ენასა? ამგვარად, ხალხის ენად მიაჩნია მას საღმრთო წე-  
რილის ენაც, ვინაიდან საღმრთო წერილის ნაწყვეტებს ხალხი  
სრულიად შეუგნებლად, მაგრამ მაინც იზეპირებდა და იმეორებდა.

მართალია, სტატის დასასრულს გრ. ორბელიანი შენიშნავს,  
რომ სიამოვნებით წაეკითხე „კაცია-აღამიანიო“, მაგრამ ეს იმას  
არ ნიშნავს, რომ იგი ეთანხმება მისი ავტორის ენობრივ შეხედუ-  
ლებებს. როგორც აღვნიშნეთ, სტატის პირველ ნაწილში გრ. ორ-  
ბელიანი ფაქტიურად მხოლოდ ი. ჭავჭავაძეს ეკამათება და მიუ-  
ღებლად მიაჩნია მისი მოსაზრებები ქართული მართლწერის გამარ-  
ტივების შესახებ, მაგრამ „კაცია-აღამიანის“ ავტორი, ცხადია, არ  
შეუძლია მას ისე იოლად „გამოიჭიროს“ როგორც გ. წერეთელი.

ერთი სიტყვით, თავის ენობრივ შეხედულებებში გრ. ორბე-  
ლიანი სწორედ ი. ჭავჭავაძეს უპირისპირდება. რაც შეეხება გ. წე-  
რეთლის მოთხრობაში („იკოლიკი, ჩიკოლიკი, კუდაბზიკა“) გაპა-  
რულ გრამატიკულ შეუსაბამობათა კრიტიკას, გრ. ორბელიანი  
უმეტეს შემთხვევაში მართალია. მის შესახებ კიდევ უფრო მკაც-  
რად შეეძლო ეთქვა ი. ჭავჭავაძეს.

ამავე კუთხით უნდა იქნას შეფასებული აგრეთვე გრ. ორბე-  
ლიანის პამფლეტი—„დროების“ ათი წლის იუბილე“, რომელიც  
1876 წელსაა დაწერილი. გრ. ორბელიანი მკაცრად ესხმის თავს  
„დროებასა“ და მის რედაქტორს—ს. მესხს, რომელმაც, მისი  
თქმით, ვერ ისწავლა წერა და თავისი გაზეთით გააფუქა ქართუ-  
ლი ენა.

მაგრამ უნდა პირდაპირ ითქვას, რომ გრ. ორბელიანი ამ პოლე-  
მიკაში ვერ ხასიათდება თანმიმდევრობითა და პრინციპულობით.  
ამის შესახებ ჩვენ უკვე მივუთითეთ, როცა „პასუხი შვილთას“ ვა-  
რიანტებს ვაღარებდით. ამჯერად მხოლოდ იმას ვიტყვით, რომ  
„დროების“ წინააღმდეგ მკაცრ გალაშქრებას და მის გამოცხადე-  
ბას ყველა ქართულ პერიოდულ გამოცემაზე უარესად არავითარი  
გამართლება არა აქვს, გარდა იმისა, რომ გრ. ორბელიანი მეტად  
განაწყენებული იყო ს. მესხზე.

გ. წერეთლის „მგზავრის წიგნების“ შესახებ დაწერილ სტა-  
ტიაში გრ. ორბელიანმა ჟურნალ „კრებულის“ ენა დაიწუნა, ამჯე-  
რად კი „კრებულს“ ხოტბას ასხამს და წუხს მისი დახურვის გამო,  
თანაც „ცისკრის“ „საამო ხმის“ შეწყვეტას აღუშფოთებია.

„ვამ რა დრო  
სამწუხარო,  
მოგვესწრო,  
რომ ხმა „ციკრის“  
ალარ გვესმის  
საამო!

და დაბნელდა უდროოდა „მნათობიც“!  
რომ „კრებული“  
მარილ-ქებული  
დავჭარგეთ,  
და დავჭდუმდით,  
დავმოოჩილდით  
„დროებას“.

გრ. ორბელიანის მიერ ახალი თაობის წარმომადგენლებთან პოლემიკის გამართვა შემთხვევითი მოვლენა არ ყოფილა. მისი და „თერგდალეულთა“ სოციალურ-პოლიტიკური და ესთეტიკური შეხედულებები რადიკალურად, ან საგრძნობლად მაინც განსხვავდებოდნენ ყოველთვის და ყველა საკითხში. მაგრამ ძველი თაობის სხვა წარმომადგენელთაგან გრ. ორბელიანი, ცხადია, გამოირჩეოდა პოეტური ტალანტითა და ფართო ეროვნული ხედვით. ამის გამო „თერგდალეულთა“ ბრძოლას ქართული მწერლობისა და ნაციონალური თვითშეგნების განვითარებისათვის, ბუნებრივია, ის მეტი თანაგრძნობით შეხვდა, ვინემ ვიწრო წოდებრივ ნაჭუქში ჩამწყვდეული „პოლიტიკოსები“, რომლებიც ყოველივე პროგრესულსა და დემოკრატიულს მტრულად ხვდებოდნენ. გრ. ორბელიანი იმავე მანძილით დაუახლოვდა ახალ თაობას, რა მანძილითაც დაშორდა ძველი თაობის აშკარად კონსერვატორულ ბანაკს. ამიტომ იყო, რომ ი. ჭავჭავაძემ მას „ძველისა და ახლის შუა შემაერთავი ხიდი“ უწოდა. ამიტომ იყო, აგრეთვე, რომ ძველსა და ახალ თაობებთან დამოკიდებულებების საქმეში გრ. ორბელიანი ხშირად მერყეობდა და პოზიციას იცვლიდა ხოლმე.

ბუნებრივია, რომ გრ. ორბელიანის. თავის მხარეზე გადაყვანას ცდილობდნენ როგორც ძველი, ასევე ახალი თაობის წარმომადგენლები. „თერგდალეულთა“ მეტად ტაქტიკური და წინდახედული მოქმედების შედეგი იყო, რომ გრ. ორბელიანი ნეიტრალურ პოზიციასზე დარჩა 60-იან წლებში. ი. ჭავჭავაძემ და მისმა თანამებრძოლებმა სრულიად დამსახურებულად, მაგრამ მაინც საგანგებოდ წამოსწიეს წინ გრ. ორბელიანის პოეტური მოღვაწეობა და დაუპირისპირეს ის „ციკრის“ სხვა მწერლებს. მათ ამით აშკარად მოიგეს გრ. ორბელიანის გული და მოახერხეს მისი ავტორიტეტის თავიანთ სასარგებლოდ გამოყენება; სხვა შემთხვევაში

ი. ქავჭავაძე ვერ მიიღებდა „საქართველოს მოამბის“ გამოცემის ნებართვასაც. იმ დროს, როცა ძველი თაობის სხვა წარმომადგენლები ბოლმით იყვნენ აღვსილნი ი. ქავჭავაძის მიმართ და ცდას არ აკლებდნენ აეძულებიანთ ის ხელი აეღო ეურნალის გამოცემის იდეაზე, გრ. ორბელიანი—როგორც მეფისნაცვლის მოვალეობის აღმსრულებელი—„საქართველოს მოამბის“ გამოცემაზე შუამდგომლობდა. ამიტომაც, რომ ფელეტონში „ახმედ-ფაშა კახაბერი“, აკ. წერეთელიც საგანგებოდ გახაზავს გრ. ორბელიანის სიტყვიერ თანაგრძნობასა და დახმარებას ახალთაობისადმი; ამასვე იმეორებს „ფარშავანგშიც“.

ი. ქავჭავაძემ იცოდა, რომ ქართველი ხალხისათვის ძვირფასი და სასარგებლო იყო გრ. ორბელიანი—პოეტი. ამიტომ ის, ერთი მხრივ, სათანადო შეფასებას აძლევდა გრ. ორბელიანის ნიერ განვლილ პოეტურ გზას, მეორე მხრივ, ცდილობდა შესაფერი მიმართულება მიეცა მისთვის მომავალშიც. ახალმა თაობამ შეძლო თავის მხარეზე ჰყოლოდა გრ. ორბელიანი 70-იან წლებამდე. 1871 წელს კი, როცა ახალი და ძველი თაობის წარმომადგენლებმა განსხვავებული წინადადებები წამოაყენეს იმპერატორისადმი წარსადგენი ადრესის შინაარსის შესახებ,—გრ. ორბელიანი ძველი თაობის ბანაკში აღმოჩნდა. ახალმა თაობამ გრ. ორბელიანს აღარ აპატიო ასეთი ნაბიჯი. ამ დროისათვის გრ. ორბელიანის პოზიციას ახალი თაობისათვის აღარც ჰქონდა ის მნიშვნელობა, რაც 60-იან წლებში. მიუხედავად ამისა, თავის მეტად მკაცრ პამფლეტშიც კი, აკ. წერეთელი გრ. ორბელიანს მაინც მოუწოდებს „რომ მოსძებნოს ისევე მუზა“, ე. ი. დაუბრუნდეს სწორ გზას. ხოლო ნ. ნიკოლაძემ, საგანგებოდ დაწერილ კრიტიკულ სტატიაში, მის პოეტურ მოღვაწეობას დასაბუთებული და მაღალი შეფასება მისცა<sup>1</sup>.

გრ. ორბელიანი; ჩანს, ძალიან დააბნია ი. ქავჭავაძის ეპიგრამებმა. მან მათში ამოიკითხა ძველი თაობის წარმომადგენლებისადმი გამოტანილი „სასიკვდილო“ განაჩენი. ბუნებრივია, მან მწარედ განიცადა „შვილების“ მიერ მისი ამაგის ასეთი დაფასება. მაგრამ შემდეგ უფრო სწორად გაერკვა ეპიგრამების შინაარსსა და მისდამი ახალი თაობის პრეტენზიებშიც. კერძოდ, ის მალე უბრუნდება ი. ქავჭავაძესთან კეთილგანწყობილ ურთიერთობას, მაგრამ „დროებაზე“ მაინც არ შეიცვალა შეხედულება.

გრ. ორბელიანმა უკანასკნელად თითქმის აღადგინა ძველი დამოკიდებულება ახალთაობასთან. დარწმუნდა, რომ მისი პოეტუ-

<sup>1</sup> ურ. „კრებული“, 1873, № 3.

რი ნიქის კეშმარიტი პატივისმცემელი სწორედ ახალი თაობა და ჩინ-მედლებს მოკლებული ხალხი იყო. ამაზე მეტყველებს მის მიერ ი. ჯავჭავაძისადმი 1879 წელს მიწერილი წერილიც, რომელშიც ვკითხულობთ: „ჩემო ბატონო, კნიაზო ილიავ. დავბერდი და შევეუდექ სულის გზასა; ვკითხულობ დავითნსა და აი რა დადნა ამ კითხვისაგან (მხედველობაში აქვს ლექსი—„ფსალმუნი“, რომელსაც წერილთან ერთად უგზავნიდა ილიას გაზეთ „ივერიაში“ დასაბეჭდად—ი. გ.). მაგრამ გთხოვ კი, რომ თქვენვე წაუკითხოთ ჩემს უღმობელს კრიტიკოსსა ოლღასა (ი. ჯავჭავაძის მეუღლე—ი. გ.); თუ მოეწონოს, ხომ კარგი, და თუ არა, აიღეთ კარანდაში, წაუსვით და წამოუსვით ასე, რომ მაგ ლექსის სახსენებელიც აღარსად იყოს ჩემ შესარცხვენლად“.

მაგრამ ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია იმის მტკიცება, რომ გრ. ორბელიანს თითქოს იმიტომ არ მიეღოს მონაწილეობა 60-იან წლებში გაჩაღებულ პოლემიკაში, რომ ის „შვილების“ შეხედულებებს იზიარებდა. როგორც ვაჩვენეთ, გრ. ორბელიანსა და ახალ თაობას შორის არსებული კეთილგანწყობლური ურთიერთობა დამყარებული იყო არა მათ სოციალ-პოლიტიკურ და ესთეტიკურ შეხედულებათა ერთგვარობაზე, და თუ გნებავთ მსგავსებაზეც, არამედ ურთიერთის პოეტური ნიქის პატივისცემასა და ფართო ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე ფაქტორებზე.

ჩვენ შორის ვართ იმისაგან, რომ გავიზიაროთ თუნდაც ის მოსაზრება, რომელსაც მიზნად აქვს „ამტკიცოს“ გრ. ორბელიანისა და სამოციანელთა ენობრივი შეხედულებების ნათესაობა; ხოლო აქედან გამომდინარე, შემდეგ „ახსნას“ გრ. ორბელიანის ჩაურევლობის მიზეზი იმ პოლემიკაში, რომელიც 60-იან წლებში გაიშალა.

უდავოდ მცდარია ის შეხედულება, თითქოს „გრ. ორბელიანი ჯერ კიდევ XIX საუკუნის ორმოცდაათიან წლებში ძველი სალიტერატურო ენის ნორმებს მოძველებულად სთვლიდა“<sup>1</sup>, რის გამო მან აღარ გაილაშქრა ი. ჯავჭავაძის წინააღმდეგ.

ჩვენ აღარ შევჩერდებით ამ შეხედულების კრიტიკაზე, ვინაიდან გრ. ორბელიანის „პასუხი შვილთას“ და მისივე სტატიის—„მგზავრობა სვანეთისაკენ გ. წ(ერეთლისა)“ ანალიზის დროს აშკარად დავინახეთ, თუ რა შეხედულებისა იყო გრ. ორბელიანი ი. ჯავჭავაძისა და მის თანამებრძოლთა ენობრივი კონცეპციის შესახებ; ვიტყვი მხოლოდ, რომ 50-იან წლებში გრ. ორბელიანის მიერ

<sup>1</sup> აპ. მახარაძე. ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, 1952, გვ. 28.

ქეთევან ორბელიანიცადმი მიწერილი წერილი, რომელშიც ს. მესხი-  
ევის მისამართით საყვედურს გამოთქვამს „მაიმუნის ხასიათის  
აღწერის“ დროს სახარების „მკვდარი სიტყვების“ გამოყენების  
გამო, სრულიად არაფერს ამბობს ენის დემოკრატიზაციისადმი  
გრ. ორბელიანის თანაგრძნობაზე.

ჯერ ერთი, სამი სტილის თეორიის მომხრენი საერთოდ პრინ-  
ციპულად ილაშქრებდნენ „დაბალ საგნებზე“ წერის დროს „მა-  
ლალი ენის“ გამოყენების წინააღმდეგ; მეორეც, სამი სტილის თეო-  
რიის დამცველნი თითქმის ყველა ქართველი მწერალი 50-იან წლებ-  
ში მაღალი (საღმრთო წერილის) ენის გაცოცხლებას უარყოფდა და  
მოითხოვდა „საშუალო“, ე. წ. „დარბაისლური ენის“ დამკვიდ-  
რებას.

გრ. ორბელიანი, როგორც ვნახეთ, თავის ენობრივ შეხედუ-  
ლებებში მათგან ბევრით არაფრით განსხვავდება. მაგრამ საყურა-  
დღებო ისაა, რომ გრ. ორბელიანის პოეტური ნაწარმოებების ენა  
არცთუ იშვიათად სცილდება ხოლმე მის მიერ გაზიარებულ და  
მოწონებულ გრამატიკულ ნორმებს.

გრ. ორბელიანის პოეზიაში ძალუმად იყო შექრილი რეალიზ-  
მის ელემენტებიც. მის „მუხამბაზებში“ დიდი მხატვრული უშუა-  
ლობითა და დამაჯერებლობითაა გადმოცემული თბილისელ ყარა-  
ჩოღელთა სულიერი სამყარო და ეთნიკური თავისებურება. პოეტმა  
განსაკუთრებულად წამოსწია წინ მამულის სიყვარულის გრძნო-  
ბა—პატრიოტიზმი, რაც მის შემოქმედებას წითელ ზოლად გა-  
სდევს. ამიტომ იყო, რომ გრ. ორბელიანის დასაფლავებაზე წარ-  
მოთქმულ სიტყვაში ი. ქავკავაძემ მაღალი შეფასება მისცა მის  
პოეტურ დამსახურებას. გრ. ორბელიანს მან უწოდა თავისი ერის  
„სახელოვანი შვილი“, „სასიქადულო მამულიშვილი“, „დიდებული  
მწერალი“ და სხვ. გრ. ორბელიანის წარმოსაჩენად ილიამ მოიშვე-  
ლია მისივე სიტყვები „ფსალმუნადან“; ილიას თქმით, გრ. ორბე-  
ლიანი იყო კაცი,—

„ვის არ შეეხო ხაკის გესლი ძმისა განკითხვად,  
სულითა წრფელი, მშვიდი გულით, ფიქრით განწმენდილ,  
ვინც ძლიერებას მძლევის სიტყვით ამცნო სიმაართლე  
და ძმებს დაცემულთ მისცა ხელი აღსადგენადა“.

როგორც ვიცით, „ფსალმუნი“ ავტორმა 1879 წელს გაუგზავ-  
ნა ილიას გაზეთ „ივერიაში“ დასაბეჭდად და ნებას რთავდა მისი  
შეხედულებებისამებრ გაესწორებინა. ჩანს, გრ. ორბელიანმა ამ  
ლექსში თავისი განსაკუთრებული „გულისტკივილი“ გამოხატა,



რაც შეუნიშნავი არ დარჩენია ილიას. ილიამ თავის სიტყვაში მოიშველია პოეტის სხვა ნაწარმოებებიც, რომლებშიც ის ქადაგებდა ნიკისადმი პატივისცემას, მამულისადმი სიყვარულს, ღარიბისადმი თანაგრძნობასა და „ბნელი უმეცრების“ მოსპობას, „იქნებ ზოგმა სთქვას,—ამბობს ილია,—ყოველივე ეგე სიტყვაა და არა საქმეო“, მაგრამ „მისი სიტყვაც თითონ საქმეა“. ამით ილიამ ამომწურავი და სამართლიანი შეფასება მისცა გრ. ორბელიანის პოეტურ და მოქალაქეობრივ დამსახურებას.

\* \* \*

ძველი თაობის წარმომადგენელთა კონსერვატორული და რეაქციული შეხედულებების წინააღმდეგ ბრძოლა 70-იან წლებში მხოლოდ გრ. ორბელიანთან პოლემიკით არ ამოიწურება. ი. ქავკავაძე, აკ. წერეთელი, ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი, ს. მესხი პ. უმიკაშვილი და სხვები თავიანთი მხატვრული ნაწერებითა და პუბლიცისტური წერილებით მკაცრად უპირისპირდებოდნენ ყველა მათ, რომლებიც ივიწყებდნენ თავიანთ პატრიოტულ მოვალეობას და ჩირქსა სცხებდნენ ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლის ინტერესებს.

ფართო მასშტაბით გაჩაღებული ამ ბრძოლის ერთ საყურადღებო მომენტს წარმოადგენს აგრეთვე სამოციანელთა სახელოვანი წარმომადგენლების გალაშქრება ჩვენთვის უკვე ცნობილი გ. მუხრანსკის (მუხრან ბატონის) რეაქციული თეორიის წინააღმდეგ, რომელიც მან გამოთქვა თავის ბროშურაში—*„О существе индивидуальности и об образовательном значении крупных народных единиц“* (1872 г.).

გ. მუხრანსკი თავის წიგნში „ამტიცებდა“ მცირე ერების დიდ ერებში გათქვეფისა და პატარა ერების ენათა მოსპობის აუცილებლობას. ცხადია, მის ასეთ რეაქციულ თეორიას მიზნად ჰქონდა ხელი შეეწყო ცარიზმის რუსიფიკატორული პოლიტიკისათვის და მახვილი ჩაეცა ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლის საქმისათვის.

ი. ქავკავაძე, რომელმაც თავის ეპიგრამებში გ. მუხრანსკის „ქკვით და გულით მოცვეთილი“ უწოდა, ძალიან აუღელვებია მის ასეთ თავხედურ გამოსვლას საჯაროდ,— ბექდვითი სიტყვის საშუალებით. გ. მუხრანსკის დასახელებული ბროშურის გამოსვლასთან დაკავშირებით, 1872 წლის აგვისტოს ბოლოს, ილია დუმეთიდან წერილსა სწერს პ. უმიკაშვილს და თან უგზავნის ლექსს—*„რჩევა“*, რომელიც წარმოადგენს პასუხს გ. მუხრანსკისადმი.

ი. ჯავჭავაძის ლექსი—„რჩევა“ გამოქვეყნდა „დროებაში“ (1872 წ., № 35). აღნიშნული ლექსი შემთხვევით დაიბეჭდა; ცენზურა ვერ მიხვდა, რომ იგი დაწერილი იყო სენატორსა და მეფისნაცვლის საბჭოს წევრ გ. მუხრანსკიზე, მაგრამ გ. მუხრანსკის ბროშურის ფხიზელ წამკითხველს არ შეიძლებოდა ადვილად არ ეცნო ილიას „ხოტბის“ ობიექტი.

ი. ჯავჭავაძე თავის ლექსში მკაცრი ირონიული ტონით „ურჩევს“ მეგობარს, რომ თუ სურს ივემოს „ამა ქვეყნისა შებანი“, მაშინ მან „დიდთა საფერად“ უნდა მომართოს თავისი ენა და მიიღოს ბრძენი კაცის სახე. ამასთან, დიდთა საამებლად უნდა დაიწყოს ქადაგება:—„წესია, რომ დიდმა ყლაპოს პატარაო“. ამისათვის მას, ცხადია, „დიდნი“ საბუთს არ მოთხოვენ, ხოლო „პატარებს ჯანი გაფარდეს“; პირფერობისა და მონური ქცევის გარეშე „მალლა აცოცვა“ შეუძლებელიაო. ამას იმიტომ გირჩევ, — მიმართავს პოეტი მეგობარს, — რომ „ჩვენ გვყავს ერთი მეგობარი, რომელიცა ამგვარ ქცევით ჩვენში ბედნიერი არიო“.

„დროების“ იმავე ნომერში გამოქვეყნდა რედაქტორის ს. მესხის კრიტიკული წერილი გ. მუხრანსკის ბროშურაზე, რაც კიდევ უფრო აშკარას ხდიდა ი. ჯავჭავაძის ლექსის შინაარსს.

ს. მესხი თავისი წერილის დასაწყისში ამბობს: „ხანდახან ძალიან ძნელი გასაგებია—ვისთვის, რისთვის და რა აზრით არის რომელიმე თხზულება დაწერილი... რასაკვირველია, ქალაქი... ყველაფერს „მოითმენს“, ... მაგრამ თუ კაცს არავითარი ახალი და საზოგადოებისათვის სასარგებლო არ აქვს-რა თავში გამოსათქმელად, ამისთანა კაცი რისთვის უნდა აწვალებდეს ტყუილ-უბრალოთ ქალაქსა და რისთვის უნდა ხარჯავდეს უნაყოფოთ მელანსა?“

ს. მესხი დამაჯერებლად ამტკიცებს, რომ გ. მუხრანსკის ბროშურაში არც ერთი რიგიანი და დასაბუთებული შეხედულება არ არის გამოთქმული და მისი ავტორი კრილოვის ხარახსა ჰგავს.

გ. მუხრანსკის ბროშურის დედა-აზრი ისაა, — ამბობს ს. მესხი, — რომ „კაცობრიობის ყოველმხრივი ბედნიერებისა და წარმატებისათვის აუცილებლად საჭიროა, პატარა ერებმა დაჰკარგონ თავიანთი საკუთარი ხალხონობა, თავისი ენა, ჩვეულება და განსაკუთრებული ცხოვრება და დიდ ერებს შეუერთდნენო“. ამ შეხედულების საწინააღმდეგოდ ს. მესხი იშველიებს ისტორიულ ფაქტებსა და მეცნიერთა მიერ დასაბუთებულ მოსაზრებებს.

ს. მესხის თქმით, ყოველად შეუძლებელია ერების მექანიკური შედუღება. შესაძლებელია, — ამბობს ის, — ინგლისმა თავისი სახელმწიფოებრივი სისტემა და ენა დააკანონოს ინდოეთში, მაგრამ ამით

ინგლისელები და ინდოელები ერთ ერთად, ერთი სხეულის ნაწილებად მაინც ვერ იქცევიანო.

წერილის დასასრულს ს. მესხი მკითხველს აგრძნობინებს, რომ ცენზურა მას უფლებას არ აძლევს უფრო დაწვრილებით და კონკრეტულად იმსჯელოს გ. მუხრანსკის ბროშურაზე. რის გამო იძულებულია თავის მსჯელობას მეტწილად ზოგადი ხასიათი მისცეს.

გ. მუხრანსკის მკდარი შეხედულებების წინააღმდეგ გაილაშქრა აკ. წერეთელმაც. მან დაწერა ალეგორიული შინაარსის პამფლეტი — „ენების გასამართლება“, რომელსაც გაუკეთა შენიშვნა — „ვეძღვნი გ. მუხრან-ბატონს“. აკაკი გ. მუხრანსკის უწოდებს „მოლაღატეს“, „მომძის სისხლში ხელგასერილს“ და მოაგონებს, რომ „ძმის გაწირვა, მტრის მიდგომა არ გეთვლება სამსახურადო“.

აღნიშნული ლექსის გამოქვეყნება აკაკიმ მხოლოდ 1874 წელს შეძლო („დროება“, № 452). როგორც ჩანს, ცენზურა საგანგებოდ იყო გაფრთხილებული ფხიზლად ედევნებინა თვალი გ. მუხრანსკის წინააღმდეგ მიმართული ლექსებისა და სტატიებისათვის. თვითონ აკაკი გადმოგვცემს: „გ. მუხრან-ბატონმა გამოსცა წიგნი სხვადასხვა ერების გაერთიანებაზე. ამ წიგნში ის აზრი იყო გატარებული, რომ პატარა ერებს უფლება არა აქვსთ თვითარსებობის და დიდ ერებში უნდა გაითქვიფონო. ამან დიდი უსიამოვნება გამოიწვია საზოგადოდ, მაგრამ ვინ რას იტყოდა? ერთმა მხოლოდ ირაკლი გრუზინსკიმ ჰკითხა: რამ დაგაწერია ამისთანა საუკუღმართო რამ? ან რამ გაფიქრებიაო?..“

მეორე წიგნაკი, თუმცა მზათა ჰქონდა, მაგრამ აღარ გამოუცია და ცენზურასაც ნაბრძანები ჰქონდა — თვალყური ედევნებია, რომ არავის დაეწერა იმ გამოსულ წიგნაკზე. ეს ლექსი „ენების გასამართლება“ — ალეგორიულად დაწერილი შევაპარე ცენზურას. მაშინ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია ამ ლექსმაო“.

გ. მუხრანსკის წინააღმდეგ გაილაშქრა პ. უმიკაშვილმაც, რომელმაც მკაცრი ტონით დაწერილი სტატია გაგმოაქვეყნა ჟურნალ „კრებულში“<sup>1</sup>.

მოწინავე ქართველ მოაზროვნეებს იშვიათად როდი უხდებოდათ ასეთი ბრძოლის წარმოება გ. მუხრანსკის მსგავს „თეორეტიკოსთა“ წინააღმდეგ. 70-იანი წლების ქართული პრესა მდიდარია პოლემიკური სტატიებითა და პამფლეტებით. მაგრამ, როგორც უკვე აღნიშნული გვაქვს, ამ დროს მათ ბრძოლისათვის უფრო ხელ-

<sup>1</sup> „კრებული“, 1872, № 10—11—12.

საყრელი პირობები ჰქონდათ, ვინემ 60-იან წლებში, როცა ისინი საზოგადოებისათვის ნაკლებ ცნობილი იყვნენ. 70-იან წლებში ქართული ლიტერატურა და საზოგადოებრივი აზრი უშუალოდ სამოციანელთა და მათ მხარდამჭერთა ხელმძღვანელობით ვითარდებოდა.

1872 წელს გაზეთ „დროებაში“ რედაქტორმა—ს. მესხმა გამოაქვეყნა სტატია—„ჩვენი მამები და შვილები“, რომელსაც ეპიგრაფად წარუმძღვარა ამონაწერები გრ. ორბელიანისა და ი. ქავჭავაძის ჯერ გამოუქვეყნებელი ლექსებიდან („პასუხი შვილთა“, „პასუხის პასუხი“), რომლებიც ზეპირად ვრცელდებოდნენ ხალხში.

ს. მესხი თავის სტატიაში ბუნებრივად მიიჩნევს იმ ბრძოლას, რომელსაც ადგილი ჰქონდა იმ დროს ძველსა და ახალ თაობებს შორის. პირველყოფლისა,—ამბობს ს. მესხი,—„სჯისა და აზრების განსხვავება და შეტაკება რომ არ იყოს,... არც წარმატება იქნებოდა... ხშირათ ქეშმარიტება მხოლოდ მაშინ აღმოჩნდება, როდესაც ორი ან მეტი, ერთმანეთის მოპირდაპირე აზრი შეგებმიან და დაეტაკებიან ერთმანეთსო“. ამასთან, მისი თქმით, აზრთა ეს დაპირისპირება თითქმის ყოველთვის არის ორ თაობას შორის. „დრო წინ მიდის, მას თან მოაქვს ახალი სწავლა-ჩვეულებანი. ახალგაზრდები ითვისებენ ამ ახალ სწავლას და ჩვეულებას და მოხუცებულები კი ძველს, მამა-პაპურს ადათს არ შორდებიანო“. ცხადია, ს. მესხის ეს უკანასკნელი არგუმენტი არაა მტკიცე და ყოველთვის გამართლებული, რაც კარგად ჰქონდა შეგნებული ი. ქავჭავაძისა, მაგრამ საყურადღებო ისაა, რომ ს. მესხი არაა მომხრე გაღრმავდეს ორ თაობას შორის არსებული წინააღმდეგობა; თუმცა, შორსაა იმ აზრისაგან, რომ „შვილები“ რაიმე დამომობაზე წავიდნენ და აყენებს ორ დებულებას: 1. საზოგადო გაკირვებას, საზოგადო დახმარება უნდა, 2. მომავალი ყოველთვის ახალგაზრდებს ეკუთვნისო“.

ერთი სიტყვით, ს. მესხი ძველ თაობას ურჩევს გამოიჩინოს წინდახედულება და მხარში ამოუდგეს ახალ თაობას, რომელსაც ეკუთვნის მომავალი. ახალ თაობასთან ბრძოლით ძველი თაობა მხოლოდ მომავლისა და ხალხის ინტერესებს უპირისპირდება, რაც ჩრდილს აყენებს მის ისტორიულ დამსახურებას; მაგრამ შემდეგ თვით ს. მესხმაც ვერ დაინახა ასეთი შეთანხმების შესაძლებლობა და მკაცრად იბრძოდა „მოხუცებულების“ წინააღმდეგ.

60—70-იან წლებში გაშლილი იდეურ-ლიტერატურული ბრძოლის ვეტერანმა—ი. ქავჭავაძემ კარგად იცოდა, რომ ეს ბრძოლა შედეგი იყო არა ძველი და ახალი თაობის ასაკობრივი განსხვავ-

ვებულობისა, არამედ—მსოფლმხედველობრივად დაპირისპირებული ბანაკების არსებობისა. მას სწამდა, რომ ყველა „მოხუცი“ და ყველა „ახალგაზრდა“ როდი ებრძოდა ერთმანეთს; იცოდა, რომ ეს ბრძოლა მხოლოდ „მამებისა“ და „შვილების“ შეჯახებას როდი გამოხატავდა. ის „ძველს“ აკუთვნებდა ყველა მას, ვინც წინ ელობებოდა ცხოვრების კანონზომიერ მსვლელობას და კონსერვატორული შეხედულებების ერთგული დაცვით ცდილობდა გზა არ მიეცა მოწინავე იდეებით გამსჭვალული მოღვაწეებისათვის.

ცხადია, ილიას სჯეროდა, რომ მომავალი ეკუთვნოდა მას, ვინც თვალს უსწორებდა ცხოვრების ობიექტურ მოვლენებს, მის კანონზომიერ განვითარებას და ხელნძღვანელობდა ხალხის უკეთესი მომავლის ინტერესებით. ამიტომაც, რომ თავის ლექსში—„ჩემო კარგო ქვეყანავ“—ის საბოლოოდ დაემშვიდობა ძველ თაობას და ახალი თაობის სახელით სასურველი მომავალი უწინასწარმეტყველა თავის საყვარელ სამშობლოს.

„ჩემო კარგო ქვეყანავ, რაზედ მოგიწყენია!...

აწმყო თუ არა გწყალობს, მომავალი ჩენია,  
თუმცა ძველნი დაგშორდნენ, ახალნი ხომ შენია...

მათ ახალთ აღვიდგინონ შენ დიდების დღენია,

ჩემო თვალის სინათლევე, რაზედ მოგიწყენია?

წვრილ-შვილნი წამოგესწრნენ ნაზარდი, გულმტკიცები,

მათის ზრუნვის საგანი შენ ხარ და შენ იქნები,

არ გიმტყუნებენ შენა,—თუ-კი მათ მიენდობი.

მათის ღვაწლით შეგეკმნას სახე ბედით მთენია,

ჩემო თვალის სინათლევე, რაზედ მოგიწყენია?

მათი გული შენისა ტრფობის ფართო ბუდეა,

მათი გულთა ფიცარი შენი მტკიცე ზღუდეა...

✓ ვერ წაბილწავს მათ გრძნობას სიმუხთლე, სიმრუდეა!

მათ თვის მკერდით შეჰმუსრონ მტერთა სიმაგრენია.

ჩემო კარგო ქვეყანავ, მაშ რად მოგიწყენია?\*

\* \* \*

ძველ და ახალ თაობათა ურთიერთდამოკიდებულების გარკვევას რამდენიმე სტატია უძღვნა ნ. ნიკოლაძემაც. რუსეთისა და ევროპის პროგრესულად მოაზროვნე მოღვაწეთა შორის მეტად შინაარსიანი სკოლის გავლის შემდეგ, ნ. ნიკოლაძე მხარში ამოუდგა ქართველ მოღვაწეებს და მათთან ერთად სწავლობდა ქართული ლიტერატურისა და ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების კონკრეტულ საკითხებს.

ჩვენ უკვე გავიცანით, თუ როგორი პრინციპულობითა და გაბედულობით ეპაექრებოდა სრულიად ახალგაზრდა ნ. ნიკოლაძე ისეთ ცნობილ მოაზროვნეებს, როგორნიც იყვნენ გერცენი, ოგარიოვი, ბაკუნინი და სხვები, ვნახეთ ისიც, თუ როგორი ნაყოფიე-

რი მოღვაწეობის გზა განვლო მან სანშობლოში დაბრუნებამდე. ყოველივე ეს გასაგებია ხდის იმას, თუ რა გამოძახილი და მნიშვნელობა ექნებოდა ნ. ნიკოლაძის პუბლიცისტური და კრიტიკული წერილების სისტემატურ გამოჩენას უშუალოდ ქართული პრესის ფურცლებზე.

თავის დროზე გერცენმა ნ. ნიკოლაძეს ვეფხვი უწოდა. 60—70 იან წლებში მისი მოღვაწეობა მართლაცდა ვეფხვისებური მოუსვენრობითა და დაუცხრომელი ენერგიულობით ხასიათდება. ის თითქოს საგანგებოდ ეძებდა მოწინააღმდეგეს და პოლემიკის გარეშე მოწყენილად გრძნობდა თავს. ფართო ერუდიციისა და მახვილი კალმის წყალობით, იგი კამათს არ გაუბროდა არც ერთ საინტერესო საკითხზე.

პირველი, რასაც ნ. ნიკოლაძემ იმთავითვე მიაქცია ყურადღება, ეს იყო ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების ჩამორჩენილობა და მისი გარდაქმნისათვის მიმართულ ღონისძიებათა რაობის გარკვევა. კერძოდ, განსაკუთრებული ინტერესით სწავლობდა ის ქართველ მოღვაწეთა საქმიანობას და მათ იდეურ მრწამსს. მაგრამ, როგორც ჩანს, მეტად არასახარბიელო შთაბეჭდილება დაუტოვებია მასზე ძველ მეგობრებთან შეხვედრას და მათ საქმიანობაზე დაკვირვებას. სტატიაში—„ძველი მეგობრები ახალ კანში“<sup>1</sup> ნ. ნიკოლაძე აშკარად ლაპარაკობს ამ შთაბეჭდილებების შესახებ. მისი ძველი მეგობრები,—როგორც თვითონ ამბობს,—„დიდკაცობას და სიამოვნებას შეჩვევიან და შიგ ნიჭი და ახალგაზრდობა ჩაულუპავთ“; თვით საზოგადოებაც თითქოს შეცვლილია, ნაცვლად საერთო საქმისათვის თავდადებული ადამიანებისა, დღეს ის—პირადი ცხოვრებით გატაცებულთ უდიდის.

ნ. ნიკოლაძე, რომელიც „დროებისა“ და „კრებულის“ არაოფიციალური რედაქტორი გახდა, ბევრს სხვა საინტერესო შეხედულებას აცნობს მკითხველს ამ პერიოდში. მაგრამ, ამჯერად, ჩვენ გვაინტერესებს, თუ რა შეხედულებისა იყო ის ქართული საზოგადოებრივი ცხოვრებისა და ქართულ საზოგადოებრივ აზრში მომხდარი განხეთქილების შესახებ.

როგორც ვიცით, ნ. ნიკოლაძე, თავის ადრეულ წერილებში, არცთუ იშვიათად იზიარებდა ხოლმე იმ შეხედულებას, რომლის მიხედვით მიუღებელი საზოგადოებრივი წყობილების შეცვლა, პირველყოვლისა, ხალხის ზნეობრივი და გონებრივი განვითარების წყალობით უნდა მოხდეს; თუმცა მას აროდეს არ გამოურთიხავს ბრძოლის საკიროებაც. 70-იანი წლების ქართულ პრესაში გამოქვეყნებულ სტატიებში ნ. ნიკოლაძე კიდევ უფრო აზუსტებს თავის

<sup>1</sup> „დროება“, 1870, № 23.

სოციალ-პოლიტიკურ შეხედულებებს და ხშირ შემთხვევაში თავს აღწევს ადრე დაშვებულ ბუნდოვნებებს. კერძოდ, ის უკვე გარკვევით მიუთითებს, რომ—„ხალხის ზნისა და ჩვეულების შეცვლაში ან გაუმჯობესებაში უმთავრესი გავლენა ამ ხალხის მდგომარეობას და წყობილებას აქვს, ... საზოგადოების ზნეობითი აღზრდა საზოგადოების წყობილების და მდგომარეობის გაუმჯობესებას მოსდევს, უმისოთ კი სრულიად შეუძლებელიაო...“<sup>1</sup>.

საგულისხმოა ისიც, რომ ნ. ნიკოლაძეს ვერ აკმაყოფილებს ვერც ძველი და ვერც მისდროინდელი საზოგადოებრივი ცხოვრების ფორმები. მას სჯერა, რომ ჯერჯერობით ვერცერთმა ხალხმა ვერ შეძლო თავისი ცხოვრების იმგვარად მოწყობა, რომელიც შეესატყვისებოდეს მის მისწრაფებასა და იდეალს. მართალია, იმდროისათვის ის უფრო მისაღებ ფორმად თვლის, ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რესპუბლიკას, მაგრამ შორსაა იმისგან, რომ მასში დაინახოს საზოგადოებრივი ცხოვრების უმაღლესი ფორმა. „კაცობრიობას, —წერს ის,—არც ერთი განწყობილება, არც ერთი ჩვეულება არ ჰქონია და არც ეხლა აქვს ისეთი, რომ სამუდამოდ კეთილი და შეუცვლელათ გამოსადეგი ყოფილიყოს... ყოველიფერი ნიადაგ უნდა იცვლებოდეს, ახლდებოდეს და უმჯობესდებოდესო“<sup>2</sup>.

ნ. ნიკოლაძის თქმით, იმდროინდელი საზოგადოებრივი ცხოვრება გაცილებით მაღალ დონეზე იდგა, ვინემ ძველი, „მაგრამ როგორც კი... მომავლისაკენ თვალს მივაქცევთ, ოჰ, რა ბნელი და ნაკლულოვანი გვეჩვენება ჩვენ მაშინ ეხლანდელი მდგომარეობა, რამდენს უხეირობას დაეინახავთ ჩვენ შიგ... და რამდენი ცვლილება გამოგვიჩნდება მაშინ აუცილებელ საჭიროთო“.

ნ. ნიკოლაძეს ფანატიკურად სწამს, რომ კაცობრიობა ოდესღაც მაინც მიაღწევს სასურველ მომავალს, როცა უკვე ადგილი აღარ ექნება ადამიანის მიერ ადამიანის ჩაგვრასა და დამცირებას. თავისი მოქმედების დევიზად მას მიღებული ჰქონდა ნ. ჩერნიშევსკის სიტყვები: „Будущее светло и прекрасно. Любите его, стремитесь к нему, работайте для него, приближайте его, переносите из него в настоящее сколько можете перенести; настолько будет света и добра, богата радостью и наслаждением ваша жизнь, насколько вы умеете перенести в нее из будущего. Стремитесь к нему, работайте для него, прибли-

<sup>1</sup> „დროება“, 1870, № 20, 21.

<sup>2</sup> „დროება“, 1871, № 1.

жайте его, переносите из него в настоящее все, что можете перенести”<sup>1</sup>.

ეს სიტყვები მას, ცხადია, შემთხვევით არ წარუძმღვარებია თავისი სტატიისათვის („საახალწლო“, ეურნალი „კრებული“, 1871, № 1) ჯერ კიდევ მაშინ, როცა მისი ავტორის დასახელება შეუძლებელი იყო.

ასეთი რწმენიდან გამომდინარე, ნ. ნიკოლაძე თავის სტატიაში — „კრებულის“ დანიშნულებაზე“, კონკრეტულად მსჯელობს ქართული პრესის და ქართველ მოღვაწეთა მოვალეობაზე. ის დასცინის მალთუხის „თეორიას“, რომელიც მთელ უბედურებას ადამიანთა გამრავლებაში ხედავს და მიუთითებს, რომ სიმშლით ხშირად უფრო მეტად იქ იხოცებიან, სადაც სიმდიდრე შედარებით ქარბადააო. ყოველივე ეს, მისი თქმით, შედეგია „უთაებოლო ან უხეირო განწყობილების“.

ქართველ მოღვაწეებს და ქართულ პრესას ნ. ნიკოლაძე მიზნად უსახავს გააცნონ საზოგადოებას „ბუნების მეცნიერება“ და „საზოგადოების მეცნიერება“ (общественная наука). „საზოგადო ცხოვრებაში, — ამბობს ის, — არაფერი ხდება უეცრათ და უმიზეზოთ, ისე რომ საზოგადო ცხოვრების ნიადაგ და შეუცვლელ კანონებს არ ემონებოდეს. და როგორც ბუნებაში ერთ მოვლენას ათასნაირ სხვა მოვლენასთან კავშირი და დამოკიდებულება აქვს, ისე საზოგადო ცხოვრების მოვლენები ერთმანეთში ჩართული და ერთი მეორეზე დამოკიდებულები არიანო“.

საზოგადოებრივ მეცნიერებათა მიღწევების გაცნობა, ნ. ნიკოლაძის შეხედულებით, გაუაღვილებს ჩვენს ხალხს გაითვალისწინოს ყოველივე ეს და გამოძებნოს საზოგადოებრივი წყობილების სასარგებლო ფორმა. იგივე მეცნიერება დაეხმარება მას გამოიყენოს ადგილობრივი პირობებიც, ურომლისოდაც შეუძლებელია ამათუ იმ ფორმის შესაფერად მოხმარებაო. „ყოველი ხეირიანი ეურნალის დანიშნულება, — შენიშნავს ბოლოს ნ. ნიკოლაძე, — იმაში მდგომარეობს, რომ საზოგადო მდგომარეობა განმოხატოს და საზოგადო მიზანს მიუახლოვოს თავის საზოგადოებაო“.

ამ მიდგომით იხილავს და აფასებს იგი ქართველ მოღვაწეთა ძველი და ახალი თაობის საქმიანობასაც, რაზეც ის დაწვრილებით ჩერდება სტატიებში: „ჩვენი ახალგაზრდობა“<sup>2</sup> და „ახალი ახალგაზრდობა“<sup>3</sup>.

<sup>1</sup> Н. Г. Чернышевский. Что делать? („Черптый сон Веры Павловны“).

<sup>2</sup> ეურნალი „კრებული“, 1871, № 2.

<sup>3</sup> იქვე, 1873, № 1.



სტატიაში—„ჩვენი ახალგაზრდობა“ ნ. ნიკოლაძე იმ შეხედულებას გამოთქვამს, რომ ახალ თაობას სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლა მოუხდა იმ დროს, როცა „საზოგადო აზრში დაკარგულიყო ნათელი გარკვევა კეთილსა და ბოროტს შუა“; როცა „საზოგადოებაში თანდათან უფრო და უფრო გამრავლდნენ ისეთი პირები, რომელთაც შეძლების და ქონების მეტი ღმერთი არ ჰყოლიათ არც ამ ქვეყანაზე, არც ზეცას...“

ასეთი ვითარება, მისი შეხედულებით, ორმა საყურადღებო მოვლენამ წარუყია და შეცვალა. კერძოდ, გლეხთა განთავისუფლებამ და ქართველი ახალგაზრდობის ლტოლევამ რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში, სადაც ისინი ხედებოდნენ ისეთ ადამიანთა შორის, რომლებიც სრულიადაც არ ფიქრობდნენ, რომ „ეხლანდელი წესები და ჩვეულებები შეურყეველი უნდა დარჩენო“. მაგრამ დიდი ნაწილი ამ ახალგაზრდებისა მაინც დიპლომის და შეძღვე თანამდებობისათვის ცდილობდა. საზოგადო საქმისათვის კი მხოლოდ მცირე ნაწილი ფიქრობდა. ამიტომ, სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, ბევრი მათგანი მხოლოდ სიტყვით დაუპირისპირდა ძველ თაობას, საქმით კი—თვითონაც პირადი უზრუნველყოფისათვის ცდილობსო.

ახალი თაობის მთავარ დანაშაულად ნ. ნიკოლაძე ალებ-მიცემობის, ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებისადმი უყურადღებობას თვლის. ახალი თაობის ისტორიულ მოვალეობად მას მიაჩნდა ქვეყნის სამეურნეო და სამრეწველო აღმავლობის სათავეში ჩადგომა, ბრძოლა-შესაფერ სპეციალისტთა მომზადებისათვის. ის უკმაყოფილებას გამოთქვამს იმის გამო, რომ ჩვენში არავის ესმის ვაჭრობის ნამდვილი დანიშნულება და მნიშვნელობა. ვაჭრობას, მისი თქმით, ბევრი სპეკულაციასა და მყიდველის მოტყუებას ეძახის, რაც დიდი შეცდომაა. ის მოითხოვს, რომ ვაჭრობას სათავეში ჩაუდგნენ პატიოსანი ადამიანები, რომლებსაც მუდამ ეხსომებათ თავიანთი ქვეყნისა და ხალხის ინტერესები. ასეთი ვაჭრები კი თავის ქვეყნიდან გაიტანენ მას, რასაც ჩვენში გასავალი არა აქვს და შემოიტანენ მას, რასაც ჩვენი ხალხი საჭიროებს. ერთი სიტყვით, ის მოითხოვს ფართო ალებ-მიცემობის განვითარებას და ამ საქმის სათავეში პატიოსან ადამიანთა ჩადგომას. ნ. ნიკოლაძე, ცხადია, სწორად ვერ ითვალისწინებს, რომ ბურჟუაზიულ საზოგადოებაში „პატიოსან ვაჭრობასა“ და „პატიოსან ვაჭრებზე“ ფიქრი მხოლოდ ილუზიაა. მაგრამ მისი ასეთი პრინციპული მოთხოვნა ვაჭრობა-მრეწველობის განვითარებისა და სამეურნეო-ტექნიკური

მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ გამოხატავდა იმდროინდელი ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების გარკვეულ მოთხოვნებს.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ სტატიაში—„ჩვენი ახალგაზრდობა“ ნ. ნიკოლაძემ ვერ მოგვცა ძველი და ახალი თაობის ისტორიული როლისა და დამსახურების სწორი და დამაჯერებელი შეფასება. ამიტომაც, რომ ამ საკითხს, უფრო ღრმა და საფუძვლიანი გარკვევის მიზნით, ის კვლავ დაუბრუნდა სტატიაში—„ახალი ახალგაზრდობა“.

აღნიშნულ სტატიაში ნ. ნიკოლაძე იმ შეხედულებას ავითარებს, რომ ძველი თაობა უკვე დამარცხებულია და მან უკვე ამოსწურა თავისი შესაძლებლობა; საზოგადოების ძველ წინამძღოლთა ახალი ცხოვრების სინამდვილემ ღირსება და ავტორიტეტი დაუკარგათ. „ამ სასიამოვნო უბედურებას, — ამბობს ის, — ვერც ამათმა ქალარა თმამ უშველა, ვერც ძველმა დიდებამ. ყველაფერი შემუსრა... ახალმა დროებამ და მისმა დაუზოგველმა „მოთხოვნილებამ“.

ნ. ნიკოლაძე ძველ თაობას, ამჯერადაც, საზოგადო მიზნის უქონლობასა და საერთო ინტერესების უგულვებელყოფას აწსაყვედურებს. კონსერვატიზმით თვალახვეული ძველი თაობა, შენიშნავს ნ. ნიკოლაძე, მძიმე ვითარებაში აღმოჩნდა უირიმის ომის შემდეგ, როცა „ხალხმა და საზოგადოებამ იგრძნო და დაინახა, რომ საზოგადოებრივი წესი და წყობილება ადამიდან შეუცვლელი და ხელუხლებელი კი არ ყოფილა, ის თურმე კაცის ხელით შექმნილა და კაცის ხელით შეცვლილა“. განსაკუთრებული შემოთება კი ამ თაობის წარმომადგენლებმა მაშინ იგრძნეს, როცა საზოგადოებრივ ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებები მათ ჯიბეებსაც შეეხო.

ძველი თაობის „ჩაქოლვისა და დამხობის მიზეზი, — ნ. ნიკოლაძის შეხედულებით, — უფრო ცხოვრების და გარემოების ძალა იყო, ვინემ ახალი თაობის მოქმედება და ბრძოლა“. თვით ახალ თაობას ბევრი რამ აკლდა იმისათვის, რომ გადამწყვეტი მნიშვნელობის როლი ეთამაშა ჩამორჩენილი საზოგადოებრივი ცხოვრების შეცვლისა და მისი ახლებურად წარმართვის საქმეში. და ეს იმიტომ, რომ „ამ თაობას, ამ ახალ რაზმს შეადგენდა თითქმის მარტო ერთი კაცი — ილია ქავეკავაძე, რომელიც წინამძღოლიც იყო და რაზმიც; ან, უფრო სწორად რომ ვთქვათ, ურაზმო წინამძღოლელი იყო იმ ახალი თაობისა, რომელსაც ჩვენს ცხოვრებაში ფეხი უნდა შემოედგაო“. ამასთან, ამ თაობას „გაცნობილი არ ჰქონდა პრაქტიკული ცხოვრება“, არ იცოდა „რა ნაირ მოქმედებას და დისციპლინას თხოულობს ბრძოლის საჭიროება, ის ერთდებოდა ძველ თაობას, ან, მართალი ვთქვათ, ეშინოდა მისი. მარტო

ერთი მხრით შეედლო ამ თაობას ძველის დაჩაგვრა და დათრგუნვა იმ მხურვალე სიყვარულით, რომელიც ახალგაზრდა გულში უნდა ლეიოდეს საზოგადო ბედნიერების და საქმისადმი. ამ გრძნობამ, ამ სიყვარულმა აამალლა ეს თაობა საზოგადოების თვალში და შეაქსო მისი ნაკლულევანება ცხოვრების ცოდნაში“.

ნ. ნიკოლაძე უდავოდ მართალია იმაში, რომ ახალი თაობის „ნიკიერ და გონიერ წარმომადგენელს—ილია ქავჭავაძეს—დამხმარე და თანამოაზრე ბევრი არაეინ ყავდა“, რომ იგი პირველად „წინამძღოლიც იყო და რაზმიც“, მაგრამ, როგორც ვიცით, მას მალე ამოუდგა მხარში ის რაზმი, რომლის წინამძღოლიც იყო სინამდვილეში; ამ რაზმში კი ნიკიერი და ღირსეული თანამებრძოლები აღმოუჩნდნენ. მართალია, ისინი ბევრნი არ ყოფილან, მაგრამ მათი ერთობლივი და გაბედული მოქმედება ამ ხარეხს ავსებდა. ამ რაზმის ერთ-ერთი სახელოვანი წარმომადგენელი—აკ. წერეთელი ამასთან დაკავშირებით შენიშნავდა: „როცა მე და ჩემი ამხანაგები სამოქმედო ასპარეზზე გამოვედით მესამოცე წლებში, ისე ცოტანი ვიყავით, რომ იძულებული შევიქენით ერთად გვევლო, ბავშვებივით ერთმანეთს ვებლაუქებოდით და ეს იმიტომ, რომ ისედაც მცირე გუნდი კიდევ უფრო არ დაქუცმაცებულყო“<sup>1</sup>.

მაგრამ სიმცირე მოწინავე იდეებით შთაგონებული მოღვაწეებისა იგრძნობოდა არა მარტო საქართველოს სინამდვილეში, არამედ საერთოდ. „Нельзя, конечно, забывать, — შენიშნავს ვ. ი. ზეინი, что революционеров в 60-е годы было очень мало; не было между ними и должного организационного единства...“<sup>2</sup>.

რაც შეეხება ი. ქავჭავაძისა და მის თანამოაზრეთა ბრძოლას ძველი თაობის წინააღმდეგ სამოციან წლებში. შეუძლებელია მას ვუწოდოთ გაუბედავი, ისევე, როგორც ახალი თაობის წარმომადგენლებს შეუძლებელია დავწამოთ შიში მოწინააღმდეგეთა მიმართ. ამ შემთხვევაში, ნ. ნიკოლაძე უდავოდ ღალატობს ისტორიულ ფაქტებს. ეს ჩანს თვით მისი სხვა სტატიიდან, რომელშიც ვკითხულობთ: „1863 წ. ილია ქავჭავაძემ დაიწყო „საქართველოს მოამბის“ გამოცემა. ვის არ ახსოვს ეს წელიწადი, როცა ერთი მხრივ ჩვენი ცხოვრება თავის უწინდელ კალაპოტს ცვლიდა და ახალში შესვლას აპირებდა... და როცა მეორეს მხრივ ატყდა სასტიკი

<sup>1</sup> ჟურნალი „კლდე“, 1913, № 6.

<sup>2</sup> В. Я. Зевин. Политические взгляды и политическая программа И. Г. Чернышевского, 1953, стр. 79.

ბრძოლა ახალგაზრდობისა, ესე იგი ახალი ცხოვრების, და ძველი კაცობის;-- ესე იგი ძველს წესს და სჯულს შუა?.. რაც კი რამე იყო ჩვენში ახალგაზრდა, მხნე, ახალი წესის და ცხოვრების მოყვარე, ყველამ იცნო ის პატიოსანი მომავლის დროშა, რომელიც მხნეთ ეკავა ი. ჯავჭავაძეს. ძველმა წესმა, ძველმა კაცობამ თავი შეათურა „ციცქარში“ და ამნაირათ იმ ბრძოლაში, რომელიც გაიმართა „საქართველოს მოამბესა“ და „ციცქარს“ შუა, ჩანდა ის ნამდვილი და ძლიერი ბრძოლა, რომელიც იმ დროს სდუღდა ძველს და ახალს შუა ჩვენს ცხოვრებაში...

დღეს ჩვენ ყველანი ვხედავთ, თუ რას ნიშნავდა „საქართველოს მოამბის“ საქმე, მაგრამ არც 1863 წ. იყო ეს დაფარული ვისმესთვის. ყველა გრძნობდა, ყველამ იცოდა, რომ „საქართველოს მოამბეს“ უნდა ჩაედგა ჩვენი ახალგაზრდობისათვის ახალი დროების სული, ეჩვენებინა ახალი სასიყვარულო მიზანი: მამულის, საზოგადოების სიკეთე და ღირსება“<sup>1</sup>.

სტატიაში—„ახალი ახალგაზრდობა“, ნ. ნიკოლაძე გადაქარბებულ სიმკაცრეს იჩენს ახალი თაობის მიმართ პრაქტიკული ცხოვრებისათვის მისი მზადყოფნის შეფასების საქმეშიც. ი. ჯავჭავაძე და მისი თანამებრძოლები არც ამ მხრივ ყოფილან ჩამორჩენილნი თავიანთ ეპოქას. მაგრამ ნ. ნიკოლაძე იფიწყებს იმ საგრძნობ განსხვავებას, რაც უდავოდ არსებობდა საქართველოს სოციალურ ცხოვრებაში. ერთი მხრივ, სამოციან და, მეორე მხრივ, სამოცდაათიან წლებში.

ი. ჯავჭავაძე და მისი თანამებრძოლები „მარტო კეთილი გულისა და პატიოსანი სურვილის“ წყალობით ვერ გაიმარჯვებდნენ ძველ თაობასთან ბრძოლაში და მხოლოდ ამის გამო ვერ დაიმსახურებდნენ თავიანთი ხალხის საერთო. სიყვარულს. გადამწყვეტი ფაქტორი ამ შემთხვევაში ისაა, რომ მათი „კეთილი გული და პატიოსანი სურვილი“ განმტკიცებული იყო ცხოვრების სინამდვილის ცოდნით და ცხოვრების მოთხოვნილებათა სიმალღეზე დგომით.

ერთგვარი ცალმხრივობა, რომელიც უდავოდ იგრძნობა ნ. ნიკოლაძის ზოგიერთ სტატიებში ახალი თაობის მიმართ („ჩვენი ახალგაზრდობა“, „ახალი ახალგაზრდობა“), პირველყოვლისა, იმით აიხსნება, რომ ნ. ნიკოლაძე წინ სწევს ვაჭრობა-აღებშიცემობის საქმისადმი სათავეში ჩადგომის საკითხს, რომლისთვისაც, მისი აზრით, უფრო მომზადებულია ის ახალგაზრდობა, რომელიც 70-ან წლებში გამოვიდა სამოღვაწეო ასპარეზზე.

<sup>1</sup> თურნალი „კრებული“, 1872, № X—XI—XII.

ნ. ნიკოლაძე თავის თავს, ცხადია, 1861 წელს გამოსული თაობის წარმომადგენლად თვლის და ამდენად მისი კრიტიკა თვით-კრიტიკაცაა, მაგრამ სწორედ ამაშია მთელი საიღუმლოება. თავისი თაობის ნიჭიერ და საიმედო წარმომადგენლებს ის მოუწოდებს ხელი გაუწოდონ „ახალ ახალგაზრდობას“ და მათთან ერთად აღასრულონ მათზე დაკისრებული მისია. ამიტომაც, რომ, როცა იგი აკრიტიკებს ი. ქავჭავაძის თაობას, თვით ი. ქავჭავაძეს მოწინებით იხსენებს. ნ. ნიკოლაძე ვარაუდობს, რომ სამოციანელთა რაზმის სუსტი და უყაირათო წევრები უნდა შეცვალოს ახალი ცხოვრების ძუძუთი გამოზრდილმა თაობამ. საკუთარ თავს ის მათ წინამძღოლადა და გზის მაჩვენებლად თვლის.

ასეთი თვალსაზრისი მარტო ნ. ნიკოლაძეს როდი აქვს ამ დროისათვის. ასე თქობენ ს. მესხი და გ. წერეთელიც.

1872 წელს გაზეთ „დროებაში“ ს. მესხმა გამოაქვეყნა სპეციალური სტატია—„ახალი მიმართულება ჩვენი ახალ-თაობისა“, რომელშიც ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ახალი თაობის გარკვეული ნაწილი ახალი გზის გამონახვისათვის იბრძვის და ეს გზა კიდევაც გამონახეს.

1861 წელს გამოსულ თაობას, ს. მესხის აზრით, იმგვარი განათლება ჰქონდა მიღებული, რომ მისი წარმომადგენლები ან ჩინოვნიკები უნდა გაზხდარიყვნენ, ან სულ ტყუილუბრალოდ ევლოთ. და ეს იმიტომ. რომ—ამბობს ს. მესხი—„ერთს ხეირიან მეოჯახეს, მეურნეობის მცოდნესა, ერთს რაიმე საგნის მწარმოებელს ვერ ნახავთ ჩვენ შორის. იშვიათად ნახავთ ისეთს ახალგაზრდა ნასწავლს. რომელსაც თავის სწავლა რომელსამე კერძო საქმის დაწყებაში გამოეყენებინოს“<sup>1</sup>.

მაგრამ ახალი თაობა, ს. მესხის თქმით, დარწმუნდა თავის ცალმხრივობაში, რის გამო „შეუდგა ახალი გზის მონახვას და, ამ ახალი თაობის საქებრათ უნდა ვსთქვათ, რომ ეს ახალი გზა იმათ მალე მონახეს, ეს გზა—დასავლეთ ევროპის გზა არის“<sup>2</sup>.

ამგვარად, ს. მესხის შეხედულებით, ახალმა თაობამ, უფრო სწორად, მისმა მოწინავე ნაწილმა მონახა „ახალი გზა“. ამ ახალ გზას, როგორც ვხედავთ, ის უწოდებს დასავლეთ ევროპის ცხოვრებისა და მეცნიერების გაცნობას და მის მიღწევათა ჩვენში გადმოტანას. „ყოველგვარი ცოდნისა, განათლებისა, ცხოვრების გაუმჯობესებისა და წარმატების წყარო, —ამბობს ს. მესხი,—ჯერ-ჯერობით დასაუ-

<sup>1</sup> ნაწერები სერგი მესხისა, 1903, ტ. I, გვ. 107.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 108.

ლეთი ევროპა არის. ყველა ხალხი, და მათ შორის რუსებიც, ამ წყაროს ეწაფებიან და აქედან გადმოაქვთ ყველაფერი, რაც კი საუკეთესოა, კაცის მანუფაქტურულია და წინ წამწევი ხალხთა ცხოვრებაში. თავის-თავისა და თავის ქვეყნის წინ წაწევა მხოლოდ იმას შეუძლია, ვისაც ევროპის ცხოვრება და მეცნიერება კარგად და ქვეყნისთვის გაუცნია. გაუნათლებელსა და ღარიბ საზოგადოებას მხოლოდ ის კაცი მოუტანს სარგებლობას, რომელიც თვითონ ევროპულ სწავლა-მეცნიერებაში განვითარებულია და თავის თვალთ უნახავს და შეუსწავლია სიღარიბის შონისპობელი და კეთილ-დღეობის მომნიჭებელი სახსრებით<sup>1</sup>.

70-იანი წლების ევროპას ს. მესხი ამავე პერიოდის რუსეთზე მაღლა აყენებს. იქ უფრო მეტ სასარგებლოს ხედავს თავისი ქვეყნის უკეთესი მომავლისათვის. თავისუფლებისათვის მებრძოლი ფრანგი ხალხი და კომუნარტა სამშობლო—საფრანგეთი მის პოლიტიკურ ხედვას ყველაზე მეტად აკმაყოფილებს. ეს აზრი მას არ შეუცვლია ევროპაში მოგზაურობის შემდეგაც<sup>2</sup>.

ნ. ნიკოლაძე, ცხადია, ერთი პირველთაგანი იყო, რომელმაც ასეთი შეხედულებები იქადაგა 70-იან წლებში. მაგრამ სანამ კონკრეტულად შევეხებოდეთ იმ მიზეზს, რამაც მას ევროპულ განათლებაზე კურსის აღება გადააწყვეტინა, საჭიროა დავუბრუნდეთ თაობათა შესახებ მისი კონცეპციის განხილვას.

ნ. ნიკოლაძე თვლის, რომ 70-იანი წლებისათვის ძველი თაობა ყოველმხრივ გაკოტრებული და უმწეოა, მას აღარ ძალუძს აღარც ბრძოლა და აღარც მოქმედება. ძველი თაობა,—ამბობს ნ. ნიკოლაძე,—„რა საუნჯეს დაგვანახებს, რომელ გმირს წარმოგვიდგენს, როგორ ლიტერატურულ მოძრაობას, რომ ჩვენი გაკიცხვა და გაახლების სურვილი წალაგმოს? არაფერს, არცერთს. ის ხელცარიელია, გაკოტრებულია... იმას თვითონ აღარ სწამს თავისი საკუთარი ღმერთები. იმას საკუთარ თვალში მოჰკედომია თავისი რწმუნება და იმედი. ვინ იხსენებს დღეს ანტონ კათალიკოზს და მის მსგავს კერპებს? ვინ გაბედავს მისი სახელით თანამედროვე მეცნიერების შეუტაცხოფას?“.

მაგრამ, ნ. ნიკოლაძის თქმით, „ახალმა მეცნიერებამ ჩვენში მარტო ცალი ფეხი შემოადგა. ის შემოვიდა... მარტო თავისი ტექნიკური მხრით. შემოვიდა რკინის გზით, ტელეგრაფით, ცეცხლის გემით და სხვა“. ეს გარემოება, მართალია, ბევრ ცრუ რწმენას

<sup>1</sup> შურ. „კრებული“, 1873, გვ. 108—109.

<sup>2</sup> იხ. მისი სტატია—„ხამი მოგზაურის შენიშვნები და ფიქრები“ (1874 წ.).

საობს და ღრმად სცვლის ადამიანების აზრსა და მოქმედებას, მაგრამ მაინც არაა საკმაო. „არის ისეთი მხარე თანამედროვე მეცნიერებისა, — ამბობს ის, — რომელსაც ჯერ ჩვენში ფეხი არ შემოუღვამს. თანამედროვე მეცნიერების მთელი ნახევარი, ის ნახევარი, რომელიც საზოგადოების ცხოვრებას შეისწავლის და მისი გაუმჯობესების გზებს იკვლევს, ჯერ არ მოჩვენებია ჩვენ საზოგადოებას... ეს სწავლა ამტკიცებს, რომ საზოგადოებრივი წესიც კაცის ხელით შექმნილია, რომ ის ათასჯერ შეცვლილა და ნელ-ნელა გაუმჯობესებულა, რომ კაცობრიობას ბედათ როდი დაჰყოლია ამ ქვეყანაზე ტანჯვა და უსარგებლო გაჭირვება, რომ სიღარიბე კაცის უმეცრების შედეგია, რომ კაცობრიობა ერთ დროს ისეთნაირათ მოაწყობს თავის ცხოვრებას, რომ არაეინ სხვას ტვირთათ არ აწვეს, სხვისი შრომით არ რჩებოდეს, სხვას სიცოცხლეს არ უჭირვებდეს და ძალისა და გვარათ ტვირთს უადვილებდეს“.

ერთი მხრივ, ქვეყნის სამეურნეო და ტექნიკური მდგომარეობის, ვაჭრობა-აღებშიცემობის განვითარება და გაუმჯობესება, მეორე მხრივ, საზოგადოებრივ მეცნიერებათა მიღწევების საფუძვლიანი ათვისება, ნ. ნიკოლაძის შეხედულებით, არის ის ძალა, რომლის საშუალებით ახალი თაობა ნამდვილ სარგებლობას მოუტანს თავის სამშობლოს. „როგორც რკინის გზა ანტონ კათალიკოზის ფილოსოფიას ბოლოს უღებს და უმოწყალოთ სრებს, — ამბობს ის, — ისე საზოგადოებრივი მეცნიერების ნაყოფის შემოტანით ბოლო უნდა მოუღოს ჩვენმა თაობამ მამაპაპურ უხვირო ჩვეულებებს და განწყობილებას“.

ნ. ნიკოლაძე სამართლიანად მიუთითებს, რომ ახალმა თაობამ ღრმად უნდა შეიგნოს და შესაფერი დასკვნები უნდა გააკეთოს იმის გამო. რომ გლეხთა განთავისუფლებამ „ახალი ეკონომიური მდგომარეობა შექმნა“ და ეს უკანასკნელი კი მოითხოვს „ნამდვილი და პრაქტიკული ცოდნით დაიარაღებულ ახალგაზრდობას“.

ჰყავს რა მხედველობაში სამოღვაწეო ასპარეზზე 1861 წელს გამოსული თაობა, ნ. ნიკოლაძე შენიშნავს: „მაშინდელი ჩვენი ახალგაზრდები უმეტეს ნაწილათ, ისეთ საქმეს ჰკიდებდნენ ხელს, რომელსაც პრაქტიკული მნიშვნელობა არ უნდა ჰქონოდა, ... მაშინდელი ჩვენი ახალგაზრდობა ნამეტნათ მოშორებულ იყო როგორც მტერზე, ისე სამშობლოზე, ... დღეს სულ სხვა მდგომარეობაა, ... დღეს უფრო ნათლად იჩენს თავს მოწინააღმდეგენი, და გულხელ დაკრეფა, გულგრილი მაცქერალობა პასირცხო საქმეთ შეიქმნა. დღეს სჩანს საქმე, სჩანს ასპარეზი,

სჩანს გამარჯვების იმედი, ... ვინ იტყვის, რომ ამ ცვლილებას ჩვენ ახლანდელ ახალგაზრდობაში სულ სხვანაირი შრომის და მოქმედების აღძვრა არ უნდა შეეძლოს?

მართალია, ეხლაც სუფევს ჩვენს ახალგაზრდობაში სივადანსხვანაირი აყალ-მაყალი თუ არა, უთანხმოება მაინც, ... მაგრამ დღეს მე უმეტეს ნაწილში უფრო თეორეტიკული, ვინემ პიროვნული უთანხმოება შეძინიშნავსო“.

ნ. ნიკოლაძე ახალგაზრდობისაგან მოითხოვს უფრო მეტად განამტკიცონ შეერთებული შრომა საერთო მიზნის მისაღწევად. ამ შბრივ ის სამაგალითოდ მიიჩნევს ციურიხში მყოფი ქართველი ახალგაზრდების მაგალითს. „დღეს ჩვენ ის ნაკლულოვანება გვკვირს,— წერს ის,— რომ თითოეულს ჩვენგანს უნდა, რომ ყველა დანარჩენი მისივე კალაპოტზე ჩამოსხმული იყოს, მისივე ხასიათი ჰქონდეს, მასსავით ფიქრობდეს, ყველაფერზე და ყველაფერში მის მსგავსათ მოქმედებდესო“. უარყოფს რა ასეთ დამოკიდებულებას, ნ. ნიკოლაძე იმ აზრისაა, რომ თუ მთავარ საკითხში სადავო არაფერია, „წვრილმან გარემოებებში და საგნებში განსხვავება საგნებელი და დასაწუნარი როდია“. მაგრამ იგი მაინც მკაცრად მოითხოვს მტკიცე დისციპლინასა და ურთიერთდახმარებას საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში.

„ცხოვრება, განსაკუთრებით ჩვენში, ნამდვილი ბრძოლაა“, ამიტომ ერთი მიზნისთვის მებრძოლი ახალგაზრდები უნდა შეეჩვიონ შეერთებულ შრომას, სხვა შემთხვევაში შეუძლებელია საზოგადოების თანაგრძნობის მოპოვებო, — ამბობს ნ. ნიკოლაძე. ის აფრთხილებს თავის თანამოაზრეებს, რომ „ყოველ საზოგადოებაში, რაგინდ ჩამოვარდნილი და ბნელი იყოს ის პოლიტიკური მხრით, აშკარათ ან მალულათ დუღს პარტიული ცხოვრება. ეს ჩვენშიაც ასეა. ჩვენშიაც ძლიერ განსხვავებით და მტკიცეთ იხატება პარტიების მოქმედება, პარტიული ცხოვრება, ... რაც უფრო ხეირიანათ და დაუფანტველად ხმარობს თავის ძალას გამარჯვებული პარტია, მით უფრო ხანგრძლივია მისი გავლენაო“.

ნ. ნიკოლაძის ჩვენს მიერ განხილულ სტატიას („ახალი ახალგაზრდობა“) მიზნად აქვს წარმოადგინოს თაობათა ურთიერთობისა და მათი საზოგადოებრივი დამსახურების ისტორია. მაგრამ ეს ყველაფერი როდია. უფრო მეტიც, ეს არ წარმოადგენს ავტორის მთავარ მიზანს. ნ. ნიკოლაძე, პირველყოვლისა, იმითაა დაინტერესებული, რომ პროგრამული ხასიათის მითითებები მისცეს „ახალ ახალგაზრდობას“, რომელიც, მისი გაგებით, გამოეყო სამოციანელებს და თავის რიგებს ავსებს სამოცდაათიან წლებში



გამოჩენილი ახალგაზრდა მოღვაწეებით. მართალია, ნ. ნიკოლაძე თავის თავს და თავის მეგობრებს აშკარად არ უპირისპირებს სამოციანელებს, მაგრამ მაინც გასაგებს ხდის, რომ მას აღარ აკმაყოფილებს სამოციანელთა სამოქმედო პროგრამა და „ახალ ახალგაზრდობასთან“ ერთად ახალი გზით მოქმედებას აპირებს მომავალში.

ნ. ნიკოლაძე სტატის დასასრულს თვითონ სვამს კითხვას, თუ რატომ დასჭირდა ასეთი „ქადაგება“ დაეწერა და დასძინს: „ჯერ ეს უნდა ვთქვათ, რომ ეს მძიმე „ქადაგება“ საყოველთაოდ დაწერილი არ არის. ის იმათთვისაა დაწერილი, ვისაც სმენა და გაგონება აქვს. ამას გარდა, ამ ნაწერში მოყვანილი შენიშვნები, უმეტეს ნაწილათ მაინც ჩვენი ახალგაზრდობისაგან გამოთქმული აზრები და კითხვებია. მე იმათთვის ყური მომიკრავს აქა-იქ. შემითანასწორებია, შემიერთებია და ხელახლავ ერთიანათ იმათთვის წარმიდგენია, ვისგანაც გაგონილი მქონდა ზოგიერთი კერძოობითი შენიშვნა. ამას გარდა, ცხოვრების დაკვირვებამ დამარწმუნა მე, რომ ჩვენი ახალი ახალგაზრდობა ბევრი აღარ ჩამოგავს უწინდელ თაობას, ბევრი მხრით წინ წასულა იმაზე და იმ სურათს დამსგავსებია, იმ იდეალს დაახლოებია, რომელიც ჩვენ გვენატრებოდა. და რადგანაც ამ ნაირათ გაუკეთესებული ახალგაზრდობის ძალის დაკარგვა ათასჯერ უფრო გულმომაკვდინებელი იქნებოდა, ვინემ უწინდელი ყმაწვილების გამოუდგომლობა, ჩვენ საქიროთ დავინახეთ ორიოდ რჩევის და შენიშვნის მიცემა, ორიოდ გაფრთხილების და სურვილის გამოთქმა. ეს ჩვენი მოვალეობაც იყო და თან ჩვენი საქმისათვის გამოსადეგი საქციელიო“.

როგორც ვხედავთ, ნ. ნიკოლაძე იმ გარემოებაზე მიუთითებს, რომ რასაც და რაზეც ის ლაპარაკობს უკვე სხვების მიერაც შენიშნულია. უფრო სწორად, „ახალი ახალგაზრდობა“ თავის თავს უკვე გარკვეულად უპირისპირებს 60-იანი წლების ახალ თაობას, რაც მას გამართლებულად მიაჩნია და საქიროდ თვლის რჩევა და დარიგება მიაწოდოს. მას.

მაგრამ კითხვა ისმის: ნ. ნიკოლაძე უბრალო მრჩეველია მხოლოდ, თუ წინამძღოლის და გზის მაჩვენებლის პრეტენზიაც აქვს? ამის გასარკვევად საქიროა მოვიგონოთ მისი ის სიტყვები, რომლითაც სტატისას ასრულებს. „რა თვალთაც უნდა უყურებდეს კაცი ჩვენს უწინდელ ახალგაზრდობას, — ამბობს ის, — რაკი იმას გვერდით ეხლანდელს, ახალ თაობას დაუყენებს, ერთი

უმთავრესი შენიშვნა მაშინვე აზრში მოუვა. უწინდელი თაობა არა თუ მარტო დაუმზადებელი და დაუიარაღებელი იყო, იმას საკმაო სიმტკიცე არ ჰქონდა ხასიათში, ის სიმტკიცე, რომელსაც კაცს მისი სიტყვის და მოქმედების თანხმობა აძლევს. სიტყვით უწინდელი ახალგაზრდობა ერთს ამბობდა, და საქმით მეორეს შერებოდა. მის ზნეობით ცხოვრებაში რაღაც საზარელი განხეთქილება მოჩანდა, რომელიც თითქმის სრულიად აბათილებდა იმ ჩინებულ აზრებს, რომლის მქადაგებლად ეს ყმაწვილები გამოდიოდნენ. ისინი საქციელით თითქო შერიგებას ეძებდნენ ძველ თაობასთან და ძლიერი ბევრ თავაზიანობას იჩენდნენ ძველი ცხოვრების შესახებ...

ეხლანდელი თაობა უფრო მტკიცე და უფრო ძნელი დასაკმაყოფილებელია. ის შერიგებას როდი ეძებს: ის დარწმუნებულია, რომ შერიგება შეუძლებელი საქმეა, სანამ ერთი თაობა მეორეს სრულიად არ დაემორჩილება და იარაღს არ დაყრის... ახალი თაობა, თავისი რწმუნებით, თავისი მხურვალე სურვილით და ალტაცებით გვაახლოებს ჩვენ იმ მიზანს, რომელიც გულმომაკვდინებელ სიშორეში გვეჩვენებოდა, როცა ჩვენ ცხოვრებაში ფეხი შევადგით. და როცა ამ ახალი თაობის მომავალ მოქმედებაშია მთელი ჩვენი იმედი და რწმუნება, როცა მისი მომავალი ჩვენთვის ჩვენი საკუთარი მომავალია, განა დაგვეძრახება იმ აზრების და შენიშვნების გამოთქმა, რომელიც, ჩვენი აზრით, ამ თაობას გამოადგება და შრომას და მოქმედებას გაუადვილებს?

მაშ მივატოვოთ მკვდრები და მომაკვდავები... და ვეცადოთ ხეირიანი მოქმედებით, გონიერი ძალის შეერთებით, ჭკვიანური საქმის წაყვანით დავიმსახუროთ და დავიკაოთ ის ალაგი, რომელიც ხალხის ცხოვრებაში ცოდნას და პატიოსნებას უნდა ეკუთვნოდეს. ამ ასპარეზზე ახალ ახალგაზრდობას საშიში და ძლიერი მოწინააღმდეგე არავენ ხედება. მინდორი ცალიერია, მაგრამ ზედ ბევრი ურგო ბალახ-ბულახი და ტალახი იპოება. როცა ამასაც გავწმენდთ... მაშინ ნამდვილათ ასრულდება ჩვენი ჩინებულის პოეტის ალმტაცი სიტყვები:

— „თუ კი აწმყო არ გვწყალობს, მომავალი ჩვენია“.

ამგვარად, ნ. ნიკოლაძე 70-იანი წლებისათვის დამარცხებულად და ისტორიის საკუთრებად. თელის ძველ თაობას, რომელსაც უკვე „მკვდარს“ უწოდებს; მოძველებულად მიაჩნია მას აგრეთვე 60-იან წლებში გამოსული ახალი თაობის მიმართულება და მის წარმომადგენლებს „მომაკვდავებს“ ადარებს, რომელთაგან,

ცხადია, ბევრს აღარაფერს მოელის. მაგრამ ეს უკანასკნელი დე-  
ბულება გარკვეულ კორექტივს საჭიროებს. პირველყოვლისა, ამ თაო-  
ბისაგან ფაქტიურად უკვე გამოყოფილად თელის ის გ. წერეთელს,  
კ. ლორთქიფანიძეს, ს. მესხს, აკ. წერეთელს და საკუთარ თავს.  
ამასთან, როცა ამ თაობის ნისანართით მკაცრ კრიტიკას აწარმო-  
ებს, ნ. ნიკოლაძე ყოველთვის ცალკე გამოყოფს ი. ჭავჭავაძეს და  
დიდი პატივისცემითა და მოწიწებით ლაპარაკობს მის დიდ დამსა-  
ხურებაზე. ნ. ნიკოლაძე ერთგვარ უხერხულობასაც კი გრძნობს, რო-  
ცა სამოციანელთა ნაკლოვანებებზე ლაპარაკობს, რადგან იცის, რომ  
ამ რაზმის მეთაური ილიაა. ამიტომ სურათი ისე სურს დახატოს,  
რომ ის ან ურაზმო გენერლად, ან ცუდად შეიარაღებული რაზმის  
ნიჭიერ წინამძღოლად წარმოადგინოს. ისიც აშკარაა, რომ ნ. ნი-  
კოლაძე, ამ პერიოდში, სიტყვით თუ საქმით, იმას ცდილობდა,  
რომ ცხოველი ლიტერატურული ცხოვრებისაგან დროებით მოწყ-  
ვეტილი ი. ჭავჭავაძე სათავეში ჩადგომოდა „ახალ ახალგაზრდობას“  
და ახალი და უფრო ძლიერი რაზმით განეგრძო ბრძოლა მშობლიუ-  
რი ხალხისა და კულტურის საკეთილდღეოდ. თავისი ის სტატიაც  
(„ახალი ახალგაზრდობა“), რომელშიც ის სამოციანელებს მეტად  
მუქ ფერებში ხატავს, ნ. ნიკოლაძემ ილიას სიტყვებით დაამთავრა.  
მაგრამ ეს ცდა შესაფერი შეთანხმებით ვერ დაამთავრდა, მათ შო-  
რის არსებული უთანხმოება 1875 წლიდან უფრო გამწვავდა  
და ილიამაც 1876 წლიდან ეურნალ „ივერიის“ გამოცემა დაიწყო.

უდავოა, რომ იმ წერილებში, რომლებშიც დაპირისპირებულია  
60-იან წლებში სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსული ახალი თაობა-  
და ე. წ. „ახალი ახალგაზრდობა“, ნ. ნიკოლაძე ღალატობს  
სინამდვილეს. უფრო სწორად, მეტად მუქ ფერებში გვიხატავს ის  
სამოციანელთა ნაკლოვან მხარეებს მაშინ, როცა მეტად გულუხვია  
„ახალი ახალგაზრდობის“ დადებითი ნიშნების დახასიათებისას.  
მაგრამ, მიუხედავად ამისა, ნ. ნიკოლაძეს კარგად ესმის ის როლი-  
და ის დამსახურება, რაც სამოციანელებს მიუძღოდათ ქართული  
ლიტერატურისა და საერთოდ ქართული საზოგადოებრივი ცხოვ-  
რების წინაშე. ის თავგამოდებით იცავდა სამოციანელებს, როცა  
საქმე მათ და ძველი თაობის დავასა და ურთიერთობას ეხებოდა.  
ამის თქმის საფუძველს იძლევა მისი ყოველი სტატია; ამაზე მე-  
ტყველებს ანტ. ფურცელაძესთან მისი პოლემიკაც 70-იან წლებში.

როგორც ვიცით, ანტ. ფურცელაძემ მეტად უპრინციპო პო-  
ზიცია დაიჭირა 60-იან წლებში, როცა ცხარე ბრძოლა წარმოებ-  
და „ციცკარსა“ და „საქართველოს მოამბეს“ შორის. თავისი მოქ-  
მედების უმართებულობა ანტ. ფურცელაძემ შემდეგ თვითონაც შე-

იგნო. ფსევდონიმს (ზურაბ მეონიძე) ამოფარებული ანტ. ფურცელაძე 1867 წელს, გაზეთ „დროებაში“, წერდა: „აგერ რაც ხანია მე „ცისკარს“ ვკითხულობ და ის თავშედებული არ მინახავს, მინამ კონკურენტი არ გაჩენია... ვის არ ახსოვს ის წელიწადი, როდესაც გამოეკიდა განცხადება, რომ უნდა ახალი ჟურნალი -- „საქართველოს მოამბე“ გამოვიდესო. შეუდგა შენს „ცისკარს“ თავში ცემა და ვინ გინდა თავის თანამშრომელათა და რედაქტორათ არ გამოაცხადა... თუმცა რალაც ღეთის მადლით, „ცისკარი“ ერთს ორ თვეს ცოტა არ იყო წელში გაიმართა, მაგრამ ამ „ცისკარის“ გამბედაობამ დიდ ხანს არ გასტანა... იმან თავისებურათ გაიქნია ხელი... და მიეცა ტკბილს ბურანს კნენა ბარბარე ჯორჯაძის დრამებისა და კომედიების და რჩეულოვის ორიგინალურის და თარგმანი რომანების ხმაზედ. მოისპო „საქართველოს მოამბე“ და მიმკნავედა თავისებურათ „ცისკარიცო“<sup>1</sup>.

ცხადია, ეს სიტყვები კიდევ უფრო აშკარას ხდიან ანტ. ფურცელაძის უპრინციპობასა და არათანმიმდევრობას, მაგრამ სიტყვით ისაა, რომ მან ვერც შემდეგ მოახერხა „დროებისა“ და „რეზიუმის“ მიმართ მაინც ყოფილიყო ობიექტური, რის გამო მან დაიმსახურა ნ. ნიკოლაძის მკაცრი კრიტიკა.

ნ. ნიკოლაძემ, ამ პოლემიკის დროს, ანტ. ფურცელაძეს მოაგონა თავისი ძველი ცოდვებიც. იმ დროს, — ამბობს ნ. ნიკოლაძე, — როცა „საქართველოს მოამბე“ მწვევე სიტყვებით დაღვიდა და ჰკლავდა ძველი საზოგადოების უმეტერებს და სულგრილობას საზოგადო საქმისათვის“, „ეს ბედშავი ვითომ-მწერალი ადგა და მიადგა კარზე უფ. კერესელიძეს, რომელსაც არც ცოდნა, არც ნიჭი, არც აზრი, არც ხერხი ჰქონდა ახალგაზრდობასთან ბრძოლაში გამოსასვლელათ. ეს ორი ერთივე ღირებულებების მწერალი შეატყუა ერთმა და იმავე გრძნობამ — „საქართველოს მოამბის“ სიძულვილმა...“. ანტ. ფურცელაძეს უნდოდა ახალგაზრდობის გულში ეკვი და გულგრილობა ჩაეწვეთნა იმ მიმართულებისათვის, რომელიც გამოითქმებოდა „მოამბეში“ და რომელშიც იყო მომავლის ძალა და იმედი, ... და ეხლა ეს ბაიყუში თხოულობს, რომ ჩვენმა მწერლობამ პატივი სცეს იმას, რომ ამ მწერლობამ შეირიგოს ის, ვინც შეუგინა და შეურაცხყო ამ მწერლობის ძუძუს მწობებელი დედა, და რომელმაც აკვანი ტალახით და მტვრით აუვისოო“.

<sup>1</sup> „დროება“, 1863, № 35.

გარდა ამისა, 70-იან წლებში ნ. ნიკოლაძემ კრიტიკული წერილი<sup>1</sup> უძღვნა ი. ჭავჭავაძის შემოქმედებითი გზის დახასიათებას, რომელშიც მან დამაჯერებლად წარმოადგინა სახელოვანი ნწერლის დიდი დამსახურება. ამავე პერიოდში გაარჩია მან გრ. ორბელიანის მხატვრული შემოქმედებაც და მოგვცა ღვაწლმოსილი პოეტის მდიდარი მემკვიდრეობის პირველი სრული და დამაჯერებელი ანალიზი<sup>2</sup>.

საერთოდ, მისმა კრიტიკული წერილების სერიამ—„ჩვენი ნწერლობა“ და სტატიამ—„კრიტიკა და მისი მნიშვნელობა ლიტერატურაში“<sup>3</sup> დიდი როლი შეასრულეს ქართული ლიტერატურული კრიტიკის განვითარებისა და ჩვენს მწერლობაში მატერიალისტური ესთეტიკის პრინციპების დამკვიდრების საქმეში.

უნდა აღინიშნოს, რომ ესთეტიკის სფეროში ნ. ნიკოლაძე ნთელი თავისი მოღვაწეობის მანძილზე დარჩა თავისი რუსი მასწავლებლების ერთგულ მოწაფედ. ამასთან მას მიაჩნდა, რომ სოციალ-პოლიტიკურ შეხედულებებშიც ის აგრძელებდა და ავითარებდა ჩერნიშევსკისა და დობროლიუბოვის ნააზრევს.

ამგვარად, 70-იან წლებში, როცა ცხარე ბრძოლა და პოლემიკა იყო გამართული კონსერვატორულ-ლიბერალური ბანაკისა და პროგრესულ-დემოკრატიული მიმართულების წარმომადგენელთა შორის, პარალელურად კამათი წარმოებდა თვით „ახალი თაობის“ შიგნითაც. მაგრამ ეს კამათი სულ სხვა ხასიათისა იყო. მას საერთო არაფერი ჰქონდა კონსერვატორულ-რეაქციული „თეორიების“ დამცველთა წინააღმდეგ მიმართულ ბრძოლასთან, რომლის დროსაც „ახალი თაობა“ მონოლითური იყო.

60—70-იან წლებში გაშლილი იდეურ-ლიტერატურული ბრძოლა იყო ის ატმოსფერო, რომლის უშუალო გავლენის ქვეშ ვითარდებოდა მხატვრული ლიტერატურა და საზოგადოებრივი აზრი. კერძოდ, კრიტიკული რეალიზმის საბოლოო გაბატონება ქართულ ლიტერატურაში ამ ბრძოლასთანაა დაკავშირებული. კრიტიკული რეალიზმის წარმომადგენელთა ესთეტიკური შეხედულებებისა და მხატვრული შემოქმედების ღრმა შესწავლა უდავოს ხდის ამ დებულების ქეშმარიტებას. ამიტომ, მისი საფუძვლიანი გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია სრული და მართებული წარმოდგენა ვიქონიოთ კრიტიკული რეალიზმის ხასიათსა და მისი ფორმირების ისტორიაზე ქართულ ლიტერატურაში.

<sup>1</sup> „კრებული“, 1873, № 5—6.

<sup>2</sup> „კრებული“, 1873, № 3.

<sup>3</sup> „კრებული“, 1872, № 1.

ჩვენს მიერ უკვე გაცნობილი ის პოლემიკა, რომელიც ფართოდ იყო გაჩაღებული რევოლუციურ-დემოკრატიულ იდეებზე აღზრდილ და ამ იდეებისათვის მებრძოლ სამოციანელებსა და ბატონყმურ-თავადაზნაურული ყოფის დამცველ კონსერვატორ-ლიბერალთა შორის, ქართული ლიტერატურის ისტორიაში ცნობილია „მამათა და შვილთა“ ბრძოლის სახელით.

ტერმინი „მამები და შვილები“ ტრადიციულად დაკანონდა თვით „მამების“ წყალობით. ბუნებრივია, რომ მათთვის ხელსაყრელი იყო მკაცრი იდეურ-ლიტერატურული ბრძოლის მონათვლა „მამათა და შვილთა“ ბრძოლის სახელით. მაგრამ თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობის დონისათვის, ვფიქრობთ, შეუფერებელია აღნიშნული ტერმინის კვლავ ძალაში დატოვება. მართალია, მთავარია არა ესა თუ ის ტერმინი თავისთავად, არამედ ის აზრი, რომელიც მასში იგულისხმება, მაგრამ როცა ტერმინი ხელს უშლის ამ აზრის სწორ გაგებას, მაშინ მისი ხმარება გაუმართლებელია.

როცა ვლაპარაკობთ „მამათა და შვილთა ბრძოლაო“, ნებით თუ უნებლიეთ იმას ვადასტურებთ, რომ ამ ბრძოლას, თითქოს, ადგილი ჰქონდა ერთი კლასის ინტერესთა ფარგლებში. ეს კი სრულიად ეწინააღმდეგება საქმის ნამდვილ შინაარსს და ჩქმალავს მთავარსა და არსებითს. აღნიშნული ტერმინი სხვა მხრივაც ვერ ამართლებს თავის თავს. ცნობილია, რომ „მამათა“ ბანაკი არ შედგებოდა მხოლოდ ძველი თაობის წარმომადგენლებისაგან, ისევე როგორც „შვილების“ პოზიციასაც არ იზიარებდა ახალი თაობის ყველა წარმომადგენელი. სწორედ ეს გარემოება ჰქონდა მხედველობაში ი. ჭავჭავაძეს, როცა მთელი სიმძაფრით გაილაშქრა ტერმინის—„ძველი და ახალი თაობის“ წინააღმდეგ.

ი. ჭავჭავაძე საგანგებოდ შენიშნავს: „რა საწყაო ვიხმაროთ, რომ ან ერთს მივუწყოთ ახლობა, ან მეორეს ძველობა? ჰასაკი და წლოვანება? ეგ ხომ მტკნარი ბავშვობა იქნება! ან კიდევ ის, რომ ერთი გუშინ მოვიდა და მეორე დღეს? არც, ხომ ეს იქნება საკადრისი კქვა თამყოფელი მკვლევარისათვის! მაშ სხვა რა ვიხერხოთ, რომ ერთის ჯურის საზოგადო სარბიელზე მოქნედი კაცი გავარჩიოთ მეორისაგან?

... საზოგადო სარბიელი მოედანია საზოგადო ცხოვრებისა, რომელიც ამ შემთხვევაში სხვა არა არისრა, გარდა აზრთა და საქმეთა ერთმანეთთან ბრძოლისა ცხოვრებისავე ასე თუ ისე მოსაწყობად და მისამართავად. ყოველი აზრი, ყოველი საქმე ისე არ

იჩენს თავს, რომ ან ყოფილს აზრს, ან საქმეს წინ არ შეეხალოს და ომი არ გადაუხადოს ადგილის დასაქერად.

ყოველივე ამისთანა აზრს, თუ საქმეს, სხვა ბევრ ძარღვთან ერთად, ერთი უმთავრესი ძარღვი აქვს, რომელიც ვითარცა უაღრესი და თვალსაჩინო ნიშანი ცნობისა, ხდება საბუთი სახელწოდებისა<sup>1</sup>.

ი. ჭავჭავაძე იქვე დასძენს, რომ „რადგანაც ყოველს საზოგადო აზრს, თუ საქმეს, ამჟოლი, მოსარჩლე და მოძღვარი, ბერიცა ჰყავს და ერიც, ჰაბუჯიც და მსცოვანიც, ახალიც და ძველიც, გუშინდელიც და დღევანდელიც, ერთსა და იმავე დროს, ამიტომაც ვერც ერთი და ვერც მეორე, ვერც ძველი და ვერც ახალი, ვერ მიაკერებს რომელსამე აზრს, თუ საქმეს თავის სახელსა; პირიქით, თვითონ აზრი, ან საქმე, აკისრებს ხოლმე თავისს სახელს თავის ამჟოლსა და გამძღოლსა“<sup>2</sup>.

ილია პირდაპირ მოითხოვს, რომ „იმისთანა სიტყვები, როგორც ძველი და ახალი თაობა, ცალიერი და ფუყე სახელებია და დროა თავისს პატრონს ჩაჰბარდეს და საიდამაც მოსულან, იქ წავიდნენ“<sup>3</sup>.

ფიქრობთ, ი. ჭავჭავაძის ეს სიტყვები კომენტარს არ საჭიროებენ. მასში მთელი დამაჯერებლობითაა ნაჩვენები, რომ გასული საუკუნის 60—70-იან წლებში გაშლილი იდეურ-ლიტერატურული ბრძოლის ხასიათის გადმოსაცემად უმწეო და არაზუსტია ისეთი ტერმინი, როგორიცაა—„ძველი და ახალი თაობის ბრძოლა“. ცხადია, კიდევ უფრო უხეირო ტერმინია—„მამათა და შვილთა ბრძოლა“.

ი. ჭავჭავაძემ მიუთითა იმაზეც, თუ როგორი ტერმინებით უნდა შეიცვალოს ასეთი „ცალიერი და ფუყე სახელები“. მისი უდავოდ სამართლიანი შეხედულებით, მათ მაგივრად უნდა გამოედებნოთ კონკრეტული და ზუსტი ტერმინები, როგორიცაა, სხვა შემთხვევაში, მაგალითად „რესპუბლიკელი“, „იდეალისტი“, „რეალისტი“, „ლიბერალი“, „კონსერვატორი“ და სხვ., ე. ი. ისეთი ტერმინი, რომელიც წარმოაჩენს საქმის, თუ აზრის „უმთავრეს ძარღვს“.

და თუ ამ მხრივ შევხედავთ ტერმინებს—„მამები და შვილები“, „ძველი და ახალი თაობა“,—აშკარა გახდება მათი მთელი უსა-

<sup>1</sup> ი. ჭავჭავაძე. თხზულებანი, 1853, ტ. III, გვ. 198.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 199.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 199—200.

ფუძვლობა, რასაც ხშირად გაუგებრობა და აღრევა შეაქვს ისტორიული სინამდვილის სწორ გაგებაში. ნიშანდობლივია, რომ ზოგიერთი მკვლევარი მოხერხებულად სარგებლობს ამ არაზუსტი ტერმინებით, რათა „გაასალოს“ თავისი მცდარი შეხედულება.

სადავო არაა, რომ იმ იდეურ-ლიტერატურულ ბრძოლაში, რომელიც 60—70-იან წლებში გაიშალა, ერთმანეთს დაუპირისპირდნენ კონსერვატულ-ლიბერალური ბანაკი და რევოლუციურ-დემოკრატიულ პოზიციებზე მდგომი მოღვაწეები და მათთან იდეურად ახლოს მყოფი დემოკრატიულად განწყობილი მოაზროვნეები. ამიტომაც, ამ ბრძოლას უნდა ეწოდოს—ბრძოლა კონსერვატულ-ლიბერალურ და რევოლუციურ-დემოკრატიულ მიმართულებებს შორის. ლიტერატურული თვალსაზრისით კი ეს ბრძოლა გამოხატავდა უკანასკნელ შეჯახებას კრიზისის გზაზე დამდგარ რომანტიზმსა და გაბატონების პროცესში მყოფ კრიტიკულ რეალიზმს შორის<sup>1</sup>.

---

<sup>1</sup> ჩვენს მიერ გამოთქმული ეს შეხედულება (იხ. „ლიტერატურული გახეთი“, 1955 წ., № 17) უკვე გახიარებულა მკვლევართა უმეტესობის მიერ.



## „თერგდალეულთა“ ლიტერატურული შეხედულებები რეალიზმის თეორიის შუქზე

„ჩვენი საქმე საქართველოს ხალხის ცხოვრებაა; მისი გამჯობინება ჩვენი პირველი და უკანასკნელი სურვილია“.

ი. კავკავაძე

ქართველ სამოციანელთა ლიტერატურული შეხედულებების შესწავლას რეალიზმის თეორიის შუქზე დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც მათი მხატვრული შემოქმედების გასაგებად, ასევე ქართული კრიტიკული რეალიზმის თავისებურებათა გასათვალისწინებლად.

40—50-იანი წლების ქართველ რეალისტებს, როგორც აღნიშნული გვაქვს, არ დაუტოვებიათ მათი ესთეტიკური შეხედულებების შემცველი საკმარისი ოდენობის კრიტიკული ლიტერატურა. ამ ხარვეზის ამოვსება მკვლევარს მათი მხატვრული შემოქმედების საერთო ანალიზის საფუძველზე უხდება. სულ სხვა ვითარება გვაქვს სამოციანელებთან. მდიდარ მხატვრულ შემოქმედებასთან ერთად, „თერგდალეულებმა“ დაგვიტოვეს მრავალმხრივ საყურადღებო წერილები და სტატიები, რომელთა უშუალო დანიშნულება იყო მატერიალისტური ესთეტიკის პრინციპების დასაბუთება და დანერგვა ქართულ მწერლობაში.

მიუხედავად ამისა, სამოციანელთა კრიტიკული და ისტორიულ-ლიტერატურული შეხედულებების შესწავლა სერიოზული კვლევის საგნად ჯერჯერობით მაინც არ გამხდარა. ცხადია, სხვა პრობლემების შესწავლასთან დაკავშირებით მათ ცალკეულ გამოწამყვანებთან დაკავშირებასა და დეკლარაციულ მსჯელობას „თერგდალეულთა“ ესთეტიკის შესახებ არ შეუძლია სრული წარმოდგენა მოგვცეს აღნიშნულ საკითხზე.

ქართველ სამოციანელთა ესთეტიკური შეხედულებები განპირობებულია მათი თანამედროვე საზოგადოებრივი ცხოვრებით,

ქართული ლიტერატურის განვითარების დონითა და რუს რევოლუციონერ-დემოკრატთა ესთეტიკური მოძღვრებით.

„თერგდალეულთა“ იდეური წინამძღოლი—ი. ჰავკავაძე თვითონ მიუთითებს ამ გარემოებაზე, როცა ამბობს: „თქმა არ უნდა, რომ რუსულმა ლიტერატურამ დიდი ხელმძღვანელობა გაგვიწია წარმატების გზაზე და დიდი ზემოქმედება იქონია ყოველს მასზედ, რაც ჩვენს სულიერს ძალღონეს შეადგენს და ჩვენს გონებას, ჩვენს აზრს, ჩვენს გრძნობასა და ერთობ ჩვენს მიმართულებას ზედ დააჩნია მან თავისი ავ-კარგაიანობა. არ არის დღეს ჩვენში არცერთი მოღვაწე და მოქმედი კაცი მწერლობაში, თუ საზოგადო საქმეთა სარბიელზედ, რომ თავისუფალი იყოს ხსენებულ ლიტერატურის ზედგავლენისაგან. საკვირველიც არ არის: რუსულმა სკოლამ—მეცნიერებამ გაგვიღო კარი განათლებისა და რუსულმავე ლიტერატურამ მოაწოდა საზრდო ჩვენს გონებასა და გამოჰკვეთა ჩვენი აზრი მოძრაობის გზაზედ. თვითოეული ჩვენგანი, გინდა თუ არა, უნდა დასწაფებოდა ამ ორს წყაროს თავის სულიერ წყურვილის მოსაკლავად, სხვა გზა არ იყო. ამიტომაც საბუთი გვაქვს ეთქვათ, რომ თვითოეული ჩვენგანი რუსული ლიტერატურით გაზრდილა, თვითეულს ჩვენგანს მის გამონარკვევზედ აუგია თავისი რწმენა, თავისი მოძღვრება და თავისი საგანი ცხოვრებისა საზოგადო საქმისათვის ამ გამონარკვევის მიხედვით გამოურკვევიაო“. მაგრამ,— განაგრძობს ილია,— „ამ ზემოქმედებამ მარტო იმას შესძინა სიკეთე, რომელმაც ყოველი გამონარკვევი ამ ლიტერატურისა თავის საკუთარ კრიტიკის ქარ-ცეცხლში გაატარა, ბრმად არ იწამა, ბრმად არ მიიჩმედა და ამრიგად არ დაიხვია ხელზედ ცხოვრებაში იოლად წასვლისათვის. ყოველი აზრი მარტო ცარიელი ფრაზაა იმის ხელთ, ვისაც კრიტიკის ცეცხლში არ გამოუფოლადებია და ისე არ შეუთვისებია...“

ჩვენდა საბედნიეროდ, ვიტყვით, რომ ზოგნი ჩვენში, რუსული ლიტერატურის მეოხებით გაზრდილნი და გაწურთენილნი, ასე ბრმად ტყვედ არ მისცემიან ამ ლიტერატურის აუცილებელს ზედმოქმედებას. ამათ ჯერ გამოუძიებიათ მისი გამონარკვევნი და მერე ისე ან შეუთვისებიათ, ან უარუყვიათ. ჩვენდა სანუგეშოდ, მარტო ამას არ დასჯერებია: იმავე კრიტიკით და გამოძიებით მხარდამხარ ასდევნებიათ ამ ლიტერატურის წინსვლასა, წარმატებას და არ გაჩერებულან მის რომელსამე ხანაზედო<sup>1</sup>.

<sup>1</sup> ი. ჰავკავაძე. თხზულებანი 1941 ტ. II, გვ. 607—608.

როგორც ვხედავთ, „თერგდალეულთა“ მომზადების საქმეში ი. ჭავჭავაძე უაღრესად დიდ როლს აკუთვნებს იმ გავლენას, რომელიც მათზე რუსულმა მწერლობამ და მოწინავე რუსმა მოაზროვნეებმა მოახდინეს. ამასთან, გარკვევით ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ თავიანთი ისტორიული მისია შეასრულეს მხოლოდ იმ ქართველმა მოღვაწეებმა, რომლებმაც ბრმად კი არ განიცადეს ეს გავლენა და სხვათა აზრების ტყვედ კი არ გახდნენ, არამედ კრიტიკულად და შემოქმედებითად აითვისეს რუსული მწერლობისა და მეცნიერების მიღწევები. ამ შემთხვევაში, ი. ჭავჭავაძეს მხედველობაში აქვს ის გარემოება, რომ მოწინავე ქართველმა მოღვაწეებმა რუს მასწავლებელთა შეხედულებები გაიზიარეს და გამოიყენეს ქართული საზოგადოებრივი ცხოვრებისა და ქართული მწერლობის ვითარების შესატყვისად.

„თერგდალეულთა“ დამსახურებად ი. ჭავჭავაძეს მიაჩნია არა მარტო ის, რომ მათ დაიწყეს „საკუთარს ქვეყანაში საყოველთაო ნათელი აზრების“ გავრცელება, არამედ განსაკუთრებით ის, რომ მათ „ხელი მიჰყვეს საკუთარი ვითარების“ გამორკვევას, კერძოდ, „ეროვნული ვითარების გაცნობას“. „ამ ნათელის აზრების მიხედვით,—ამბობს ი. ჭავჭავაძე,—ჩაუკვირდა („თერგდალეულები“,—დ. გ.) ჩვენს ცხოვრებას, აღმოაჩინა ზოგი იმისი ღირსება-ნაკლოვანება და ამით აღძრა იმ დრომდე მიძინებული საზოგადო აზრი. ვინც თვალხილული იყო და ყურთა სმენა ჰქონდა, ყველამ შეიგნო, თუ რა იყო მიზეზი ჩვენის დაქვეითებისა, რა იყო ხელჩასაქიდებელი და საზრუნავი. ასე თუ ისე საზოგადოებამ ცოტათი მაინც იგრძნო რამდენად საჭიროა საკუთარის ვითარების გამორკვევა და შეგნებაო“<sup>1</sup>.

ი. ჭავჭავაძე და საერთოდ „თერგდალეულები“, ცხადია, არ ცდებოდნენ, როცა ასე იქცეოდნენ. ადგილობრივი ვითარების ღრმა შესწავლისა და გათვალისწინების გარეშე მათ არ შეეძლოთ თავიანთი ხალხისათვის შესაფერი ამაგის გაწევა, ვერ გახდებოდნენ ნამდვილი ეროვნული მოღვაწეები. ამ მიმართულებითაც, მათ გზას უჩვენებდნენ რუსი რევოლუციონერ-დემოკრატები.

სტატიაში „რუსული ლიტერატურის გოგოლის პერიოდის ნარკვევები“ ნ. გ. ჩერნიშევსკი წერს: „სიმართლე ყოველთვის სიმართლეა, მაგრამ ყოველგვარი სიმართლე როდია ყველგან და ყოველთვის ერთნაირად მნიშვნელოვანი და ერთნაირად როდი შეუძლია ყურადღების აღძვრა: თვითეულ საუ-

<sup>1</sup> ი. ჭავჭავაძე. თხზულებანი, 1941, ტ. II, გვ. 178.

კუნეს, თვითეულ ხალხს თავისი მოთხოვნილებები აქვს; ის, რაც ვერმანელს აინტერესებს, ხშირად სრულიადაც არ არის საინტერესო ფრანგისათვის ან რუსისათვის, იმიტომ რომ პირდაპირი დამოკიდებულება არა აქვს მისი ცხოვრების მოთხოვნილებებთან. უნდა ვილაპარაკოთ იმაზე, რაც ჩვენს საზოგადოებას ჩვენს დროში ესაქიროებაო<sup>1</sup>.

ნ. გ. ჩერნიშევსკის მიერ მოხდენილად გამოთქმული ამ ქეშმარიტების არსის ღრმა შეცნობა და პრაქტიკულ მოღვაწეობაში მისი ხორცშესხმა ქართველ სამოციანელთა ერთ-ერთი დიდი ღირსება და დამსახურებაა.

მიუხედავად მთელი რიგი საერთო ნიშნებისა, რუსი და ქართველი ხალხების სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების ვითარება, იმდროისათვის, განსხვავებასაც აშკარად ამჟღავნებდა. ჯერ ერთი, რუსეთისაგან განსხვავებით, საქართველო მოკლებული იყო ეროვნულ თავისუფლებას, სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას, მეორეც, ბურჟუაზიული განვითარების თვალსაზრისით საქართველო საგრძნობლად ჩამორჩებოდა რუსეთს. ამას უნდა დავუმატოთ ისიც, რომ როგორც რუს, ასევე ქართველ ხალხს ჰქონდა თავისი საკუთარი, თვითმყოფადი, მდიდარი ტრადიციების მქონე ლიტერატურა და კულტურა. ბუნებრივია, ყოველივე ეს თავისებურად მოქმედებდა თვითეული ამ ქვეყნის მოღვაწეებზე.

ამიტომაც, რომ ქართველ სამოციანელთა ესთეტიკაში იმ საერთო მატერიალისტურ პრინციპებთან ერთად, რაც უშუალოდ რუს რევოლუციონერ-დემოკრატთა მოძღვრებიდან მომდინარეობენ, ყურადღება არის გამახვილებული იმ მომენტებზეც, რომლებიც უშუალოდ ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების თავისებურებებითაა ნაკარნახევი.

ჩვენს მიზანს, ამჯერად, არ წარმოადგენს ქართველ სამოციანელთა ესთეტიკის სრული და ყოველმხრივი შესწავლა. ჩვენ გვინდა დავეკმაყოფილდეთ მხოლოდ და მხოლოდ მათ ესთეტიკაში რეალიზმის თეორიისათვის საინტერესო ცალკეულ საკითხთა გადაწყვეტის ჩვენებით. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ „თერგდალეულთა“ შეხედულებები, ამ მხრივ, ისე ახლოს არიან და ავსებენ ერთმანეთს, რომ შესაძლებელი იყო თითოეული მათგანის შესახებ ცალკეულად არც კი შევჩერებულიყავით, მაგრამ ისტორიული სურათის აღსადგენად კვლევის ეს გზა ნაკლებ შედეგიანი იქნებოდა. ამიტომ, მოკლედ

<sup>1</sup> ნ. გ. ჩერნიშევსკი. რჩეული ფილოსოფიური თხზულებანი, 1945, გვ. 546.

მაინც მიმოვიხილავთ იმ შეხედულებებს, რომლებსაც, რეალიზმის ძირითადი პრინციპების გაგებასა და განმტკიცებასთან დაკავშირებით, გამოთქვამდნენ და მხატვრულ შემოქმედებით პრაქტიკაში ახორციელებდნენ ი. ქავჭავაძე, აკ. წერეთელი, ნ. ნიკოლაძე და გ. წერეთელი.

1

მატერიალისტური ესთეტიკის პირველი კეშმარიტი ფუძემდებელი ქართულ ლიტერატურაში ი. ქავჭავაძე იყო. კრიტიკული რეალიზმის განმტკიცებისათვის თავდადებულმა მებრძოლმა ილია ქავჭავაძემ, ერთი მხრივ, თავისი უკედავი მხატვრული შემოქმედებით, ხოლო მეორე მხრივ, კრიტიკული და ისტორიულ-ლიტერატურული შეხედულებების შემცველი სტატიებითა და წერილებით შექმნა მტკიცე საფუძველი ახალი ქართული ლიტერატურის განვითარებისათვის.

ი. ქავჭავაძის ესთეტიკა არის ქართველ რევოლუციონერ-დემოკრატისა და განმანათლებლის მატერიალისტურ პრინციპებზე დამყარებული ესთეტიკა ამიტომ, სრულიად ბუნებრივია, რომ მის ესთეტიკაში მთავარ ადგილს იკერს რეალიზმის თეორიის ძირითადი საკითხების დასაბუთება და მისი პროპაგანდა.

ი. ქავჭავაძესთან, როგორც რეალიზმის პირველ თეორეტიკოსთან, ქართულ ლიტერატურაში, დაკავშირებულია რეალიზმის როგორც მხატვრული მეთოდისა და როგორც ლიტერატურული მიმართულების თეორიული დასაბუთება და მისი ჩამოყალიბების ისტორიული კანონზომიერების ჩვენება.

ი. ქავჭავაძეს ჩვენს სინამდვილეში მოუხდა იმავე როლის შესრულება, რაც რუსულ ლიტერატურაში შეასრულეს გოგოლმა და ნეკრასოვმა, ბელინსკიმ და გერცენმა. ამ რთული და მძიმე ამოცანის წარმატებით გადაჭრაში მას, ცხადია, პირველყოვლისა, თვით ეს დიდი რუსი მასწავლებლები ეხმარებოდნენ. მაგრამ მისი დიდი დამსახურება, რომელიც მას გამოჩენილ ეროვნულ მოღვაწედ ხდის, არის მშობლიური ხალხის ისტორიული და თანამედროვე ცხოვრების ღრმა ცოდნა, ზრუნვა მისი უკეთესი მერმისისათვის; მახვალი ალღო იმისა, რომ ეპოქის მოწინავე იდეები შესაფერისად დაეკავშირებინა ადგილობრივი პირობებისათვის.

სწორადაა შენიშნული, რომ „ი. ქავჭავაძემ ფორმალურად და გარეგნულად როდი განიცადა თავისი დიდი მასწავლებლების ზეგავლენა. იგი ღრმად განიმსკვალა მათი რევოლუციურ-დემოკრატიული იდეებით და 60—70-იან წლებში ენერგიულად ქადა-

გებდა ამ იდეებს, იყენებდა და ავითარებდა მათ საქართველოს კონკრეტულ-ისტორიულ პირობებში“<sup>1</sup>.

ი. ჯავჭავაძე არის, ერთი მხრივ, ყველაზე ღირსეული მემკვიდრე წინა ეპოქების მოწინავე ქართული აზრისა და ლიტერატურული ტრადიციებისა, ხოლო მეორე მხრივ, ფუძემდებელი ახალი ქართული ლიტერატურისა, რომლის სახელთან დაკავშირებულია მისი თანამედროვე და შემდგომი პერიოდის ქვეშაირიტად ეროვნული მწერლობის განვითარება. ამიტომ, მის შესახებ მთელი უფლებით შეიძლება გავიმეოროთ ის სიტყვები, რომლებითაც ბ. ბელინსკიმ პუშკინი დაახსიათა: „Писать о Пушкине, — это значит писать о целой русской литературе; ибо как прежние писатели русские объясняют Пушкина, так Пушкин объясняет последовавших за ним писателей“<sup>2</sup>.

ი. ჯავჭავაძემ ადრევე გაითვალისწინა, რომ მისი და მისი მემართულების სხვა მწერალთა მხატვრული ნაწარმოებების სწორი გაგებისა და მკითხველთა საზოგადოებაზე შესაფერი გაელენის მოსახდენად საჭირო იყო თეორიული დასაბუთება იმ მხატვრული პრინციპებისა, რომლებიც საფუძვლად ედო მათ შემოქმედებას.

ი. ჯავჭავაძეს თავისი შეხედულებები უნდა გამოეთქვა ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: ლიტერატურის არსი და დანიშნულება, ხელოვნება და სინამდვილე, ხელოვნება და მეცნიერება, ხელოვნება და საზოგადოებრივი ცხოვრება, მხატვრული ასახვის თავისებურება, ენა და ლიტერატურა, ლიტერატურის ხალხურობის პრობლემა და სხვ.

თავის პირველ კრიტიკულ წერილში („ორიოდე სიტყვა თ. რევაზ შალვას ძის ერისთავის კოზლოვიდგან „შეშლილის“ თარგმანზედა“) ი. ჯავჭავაძემ მიუთითა, რომ გრ. ორბელიანის მუხამბაზები, მიუხედავად იმისა, რომ დაწერილნი არიან თეთრი ლექსით, განუზომლად უფრო მალლა დგანან „ცისკრის“ მწერალთა პოეზიაზე. და ეს იმიტომ, რომ გრ. ორბელიანის მუხამბაზებში ნათლად იგრძნობა „ნამდვილობა და ქვეშაირიტება“ თბილისელ ყარაჩოღელთა ნატურისა და ფიქრებისა. ამასთან დაკავშირებით, იგი პირველად იძლევა პოეზიის განმარტებას.

ი. ჯავჭავაძის განსაზღვრით, „პოეზია განსახოვნებაა ქვეშაირიტებისა, ცხოვრებისა“. ამგვარად, ი. ჯავჭავაძემ გარკვეულად გაახაზა, რომ პოეზიის დანიშნულება ცხოვრების სინამდვილის, ქვეშაირიტების ასახვაა და რომ ამ ასახვას იგი მხატვრული სახეების სა-

<sup>1</sup> ა. ქუთელია. ილია ჯავჭავაძე—რევოლუციური დემოკრატი. ჟურნალი „მნათობი“, 1954, № 9.

<sup>2</sup> В. Г. Белинский. Собр. соч., т. III, 1911, стр. 41.

შუალეობით ახორციელებს. ცხადია, ეს გაგება შეეხებოდა არა მარტო პოეზიას, არამედ ლიტერატურას და ხელოვნებას საერთოდ. ცნებას „პოეზია“ ი. ჭავჭავაძე ხშირად მეტად ფართო მნიშვნელობით იყენებდა, კერძოდ, „ლიტერატურის“ სინონიმადაც.

უდავოა, რომ პოეზიის განსაზღვრის დროს ი. ჭავჭავაძე ხელმძღვანელობდა თავისი დიდი მასწავლებლის ბ. ბელინსკის შეხედულებით. სტატიაში—„ხელოვნების იდეა“ ბ. ბელინსკიმ ჯერ კიდევ 1841 წელს გარკვევით აჩვენა, რომ „ხელოვნება არის უშუალო ქვერეტა ქვეშარიტებისა, ანუ სახეებით აზროვნება“<sup>1</sup>. ეს იყო ქვეშარიტად ახალი გაგება ხელოვნებისა, რომელსაც სერიოზული გარდატეხა უნდა მოჰყოლოდა ხელოვნების თეორიასა და ლიტერატურულ კრიტიკაში. მაგრამ ბ. ბელინსკი გრძნობდა იმასაც, რომ ბევრს უცნაურადაც კი მოეჩვენებოდა ხელოვნების ამგვარი განსაზღვრა. ამიტომ იყო, რომ სახელოვანი კრიტიკოსი იქვე შენიშნავდა: „ეს განსაზღვრა ჯერ კიდევ პირველად იხმარება რუსულ ენაზე, და მას ვერ იპოვნით ვერც ერთ რუსულ ესთეტიკაში, პიტიკაში ანუ ეგრეთწოდებულ სიტყვიერების თეორიაში,—და ამიტომ, იმისათვის, რომ ეს განსაზღვრა უცნაურად, უხიაგად და ყალბად არ მოეჩვენოთ, ვისაც იგი პირველად ესმის, ჩვენ უაღრესად დაწვრილებით უნდა განემარტოთ ყველა წარმოდგენა, რომელთაც შეიცავეს ჩვენი ეს სრულიად ახალი განსაზღვრა ხელოვნებისაო“.

ბ. ბელინსკიმ მართლაც დამაჯერებლად განმარტა ხელოვნების სპეციფიკა, მაგრამ მისი ეს წერილი („ხელოვნების იდეა“) 1862 წლამდე არ გამოქვეყნებულა. ი. ჭავჭავაძეს, ცხადია, არ შეეძლო სცოდნოდა იგი, როცა თავის სტატიას წერდა (1860 წელს); მაგრამ ბ. ბელინსკის ეს შეხედულება ადრეც ჰქონდა გატარებული თავის წერილებში და შემდეგაც არა ერთხელ დაბრუნებია მას.

ჯერ კიდევ 1838 წელს დაწერილ რეცენზიაში (ფონვიზინის თხზულებათა სრული კრებულისა და ზაგოსკინის—„იური მილოსლავსკის“ შესახებ) ბ. ბელინსკი შენიშნავდა, რომ „поэзия есть мышление в образах“, „чувство есть непосредственное созерцание истины“. ხოლო გრიბოედოვის „ვაი კუჩისაგან“ შესახებ დაწერილ წერილში (1839 წ.) ბ. ბელინსკი ამბობდა: „Предмет поэзии есть действительность или истина в явлении“. შემდეგში (1843 წ.) ბ. ბელინსკიმ კიდევ უფრო დააზუსტა პოეზიის გაგება და აღნიშნა:

<sup>1</sup> ბ. ბელინსკი. რჩეული ფილოსოფიური თხზულებანი, 1948, გვ. 307.

„Поэзия есть творческое воспроизведение действительности, как возможности“<sup>1</sup>.

ცხადია, ი. ჭავჭავაძემ სწორად და ღრმად შეითვისა პოეზიის ის გაგება, რომელიც ლიტერატურათმცოდნეობაში ბ. ბელინსკიმ დაამკვიდრა. მაგრამ ის არა მარტო იმით იყო დაინტერესებული, რომ ქართული მკითხველისათვის გაეცნო პოეზიის ბელინსკისეული განმარტება, არამედ იმითაც, რომ ქართული პოეზია აეყვანა ამ გაგების სიმაღლემდე. ამიტომაც, თავის წერილებში ი. ჭავჭავაძე გვევლინება ხოლმე არა როგორც მხოლოდ ლიტერატურის თეორეტიკოსი, არამედ როგორც კრიტიკოსი და ისტორიკოსი.

ი. ჭავჭავაძემ, ბ. ბელინსკის შეხედულებებზე დაყრდნობით, პირველად ქართულ ლიტერატურაში, მოგვცა ხელოვნებისა და მისი სხვადასხვა დარგების დანიშნულებისა და თავისებურებათა განმარტებაც. მისი თქმით, „ხელოვნება არის განხორციელება სახეში იდეისა. აზრისა: მუსიკა, მხატვრობა, პოეზია—ესენი სულ სახეში გამოთქვამენ იდეას, მხოლოდ იმით განიყოფებიან, რომ თავისი იდეის გამოსათქმელად სხვადასხვა მასალებსა ხმარობენ, როგორც მუსიკა—ხმასა, მხატვრობა—ხაზსა, პოეზია—სიტყვასა“<sup>2</sup>.

ი. ჭავჭავაძე ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ხელოვნების ყოველი დარგი, საბოლოო ჯამში, სახეებით აზროვნებას მიმართავს, და რომ განსხვავებას მათ შორის ამ სახეების შექმნისათვის საჭირო „მასალის“ სხვადასხვაობა იწვევს მხოლოდ. ამიტომ, ხელოვნის წარმატებას; გამოსახვათი ობიექტის შერჩევასთან ერთად, სახეების შექმნის ოსტატობა წყვეტს. ის ითვალისწინებს იმ გარემოებასაც, რომ ცხოვრების სინამდვილის ასახვის სრულყოფილობის თვალსაზრისით, ხელოვნების სხვა დარგებთან, ყველაზე მეტი შესაძლებლობა ლიტერატურას აქვს; თანაც იგი უფრო მისაწვდომია მასებისათვის.

როდესაც ი. ჭავჭავაძე ამბობს: „ხელოვნება არის განხორციელება სახეში იდეისა, აზრისა“, ცხადია, ის გულისხმობს იმ „იდეასა და აზრს“, რომელსაც შემოქმედში ბადებს უშუალოდ ცხოვრების სინამდვილე, საზოგადოებრივი ცხოვრების პრაქტიკა. რომ ეს ასეა, ამის ნათელსაყოფად საკმარისია გავეცნოთ მის შეხედულებას ხელოვნებისა და სინამდვილის ურთიერთობის შესახებ.

ი. ჭავჭავაძეს სწორად აქვს გაგებული ობიექტური სინამდვი-

<sup>1</sup> В. Г. Белинский. Полное собрание сочинений под ред. С. А. Венгерова, т. VIII, стр. 234.

<sup>2</sup> ი. ჭავჭავაძე. თხზულებათა სრული კრებული, 1953, ტ. III, გვ. 30.



ლისა და ხელოვნების ურთიერთდამოკიდებულება, ხელოვნების—როგორც ზედნაშენური კატეგორიის ბუნება და მისი მიმართება ბაზისთან. „ცხოვრება ძირია,—ამბობს ის,—ხელოვნება და მეცნიერება მასზედ ამოსული შტოები არიან. როგორც მიწიდან ამოხეთქილი შტოები ისხამენ ნაყოფსა და როცა სათესლოდ მოსწევენ, ისევ მიწას გადმოსცემენ, რომ ახალი ძირი გაიკეთონ და ამ ძირმა სხვა ახალი შტოები ამოხეთქოს, აგრეთვე ცხოვრებაზედ ამოსული შტოები—მეცნიერება და ხელოვნება—ისხმენ ზედ ცხოვრების ნაყოფსა და როცა მოპსწევენ სათესლოდ, ისევ ცხოვრებასვე გადმოსცემენ ახალის ცხოვრების გამოსაქვეანძავად. ამისთანა დამოკიდებულება აქვს ცნობიერებას ცხოვრებაზედ და ცხოვრებას თავის რიგზედ—ცნობიერებაზედ“<sup>1</sup>.

ამჟამად, რომ ი. ჯავახიანი ხელოვნება არ მიაჩნია პასიურ ზედნაშენურ კატეგორიად. მას შეეცნობილი აქვს ცხოვრებაზე მისი აქტიური ზემოქმედების უნარიც. „მეცნიერება და ხელოვნება...,—ამბობს ის,—იბადებიან ცხოვრებისაგან და არსებობენ ცხოვრებისათვის,... იგინი წინ მიდიან ცხოვრების ვითარებისა გამო და მერე თავის რიგზედ თვითვე წინ მიჰყავთ ცხოვრებაო“<sup>2</sup>.

ამგვარად, ხელოვნების არსებობა და დანიშნულება, ი. ჯავახიანის გაგებით, განპირობებულია ცხოვრების სინამდვილით, იგი ამ სინამდვილის გარკვეული ნაწილია. ხელოვნება მოწოდებულია ასახოს სინამდვილე, ამასთან—აქტიური მონაწილეობა მიიღოს მისი გაუმჯობესებისა და გარდაქმნისათვის ბრძოლაში. მაგრამ ასეთი რთული ამოცანის გადაწყვეტას ადამიანთა აზროვნება მარტო ხელოვნებას როდი აკისრებს; ხელოვნებას მხარში უდგას მეცნიერება.

ხელოვნებისა და მეცნიერების მიზანი და დანიშნულება, ი. ჯავახიანის შეხედულებით, საბოლოო ჯამში, ერთნაირია: ობიექტური სინამდვილის, ცხოვრების შეცნობა და ასახვა, რის საფუძველზეც გარკვეული წვლილი უნდა შეიტანონ მის გარდაქმნაშიც.

„მეცნიერებასა და ხელოვნებას,—წერს ი. ჯავახიანი,—ჩვენ ვუყურებთ, როგორც ცხოვრების გასამჯობინებელ ღონისძიებათა..., მეცნიერებამ უნდა გვიშველოს თავის გამოცნობილ ქეშმარიტებით ცხოვრების ახსნა და გაგება; მან უნდა მოგვცეს პირდაპირი პასუხი ყოველ საჭირო კითხვაზედ,... ხელოვნებასაც იმას მოვსთხოვთ, რომ სარკესავით ცხოვ-

<sup>1</sup> ი. ჯავახიანი. თხზულებათა სრული კრებული, 1953, ტ. III, გვ. 62—63.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 71.

რება გარდმოსცეს, რათა ჩვენი თავი მის მომხიბ-  
ლავის კალმით ცხოვლად იყოს წარმომდგარი ჩვენ  
წინა, რათა სიცუდუც და სიკეთეც ჩვენი დავინა-  
ხოთო<sup>1</sup>.

კარგად ესმის რა ის განსხვავებაც, რაც მეცნიერებასა და  
ხელოვნებას შორის არსებობს, ი. ჯავჭავაძეს შეგნებული აქვს,  
რომ ეს განსხვავება, ძირითადად, მათ შინაარსში კი არაა, არამედ  
ამ შინაარსის დამუშავების ხერხებსა და საშუალებებშია.

„ადამიანი, ბუნება, ცა, ქვეყანა, მსოფლიო, — ამბობს ი. ჯავ-  
ჭავაძე, — ერთი დიდებული წიგნია, უცნაურს ენაზედ დაწერილი.  
მეცნიერება ამას სთარგმნის უხატებო, უსურათო  
სიტყვითა. პოეზია კი ხატებთა და სურათითა, ... თუ  
პოეტი მეცნიერებას არ მოიწვევს, მარტო ცარიელი ნიჭი ვერ  
უთარგმნის ამ წიგნსა“<sup>2</sup>.

როგორც ვხედავთ, მეცნიერებისა და ხელოვნების განსხვავე-  
ბას ი. ჯავჭავაძე მათ შინაარსში კი არ ხედავს, არამედ იმ საშუა-  
ლებებში, რომელთა წყალობით ისინი ახერხებენ ამ შინაარსის  
ახსნასა და გადმოცემას. „მეცნიერება და ხელოვნება... ორნივე ერთ  
და იგივეს მსახურებენ: აზრის მოძრაობას; ერთი და იგივეს გამოს-  
თქვამენ: ხალხის აზრსა, და თუ რაშიმე განირჩევიან, მხოლოდ  
იმაში, რომ სხვადასხვა გზით და სხვადასხვანაირად მოქმედებენ  
და გამოსთქვამენ“<sup>3</sup> — დასძენს ილია.

მაგრამ, როგორც ვხედავთ, ი. ჯავჭავაძე მახვილს აკეთებს იმა-  
ზეც, რომ მეცნიერება და ხელოვნება არა მარტო სხვადასხვა გზით  
და სხვადასხვა საშუალებებით მოქმედებენ ადამიანზე, არამედ  
სხვადასხვა კუთხით და სხვადასხვა განვრცობილობით წარმოადგე-  
ნენ მათთვის საერთო შინაარსს. ამასთან, მეცნიერება უფრო ძნე-  
ლი მისაწვდომია, ვინემ ხელოვნება. აშკარაა ისიც, რომ ხელოვ-  
ნების წარმატების საქმეში ი. ჯავჭავაძე მეტად სერიოზულ როლს  
აკუთვნებს მეცნიერების დონეს. ამიტომაა, რომ მწერლისაგან ის  
მოითხოვს ცოდნით შეიარაღებას. მხოლოდ „ცარიელი ნიჭი“, —  
მისი აზრით, — ვერ მიცემს მწერალს შესაძლებლობას აღმოჩნდეს  
მოწოდების სიმაღლეზე. მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, მწერლისა-  
თვის „ნიჭი — აფრაა და მეცნიერება — საქე“<sup>4</sup>.

<sup>1</sup> ი. ჯავჭავაძე. თხზულებათა სრული კრებული, 1953, ტ. III, გვ. 68.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 92.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 63.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 91.

უფრო მეტიც. ი. ჯავახიანიც მიაჩნია, რომ ლიტერატურული მოღვაწეობა მოითხოვს ყველაზე დიდ ერუდიციას, ბევრით შრომასა და ფიზიკურ ხელდას. „ლიტერატურული მოღვაწეობა, — წერს ის, — ბუნებრივად იმისთანა რამ არის, რომ დღე-მუდამ უკან დევნა უნდა, დღე-მუდამ მის სფეროში ტრიალი, დღე-მუდამ ფიქრსა და ტვინის მოძრაობაში უნდა იყოს მისი მიმდევარი კაცი... არ არის, ჩვენის ფიქრით, სხვა იმისთანა საგანი და მოღვაწეობა, რომ ასეთი ხანგრძლივი და საფუძვლიანი მომზადება უნდოდეს წინათვე, როგორც ლიტერატურა და ლიტერატორობა“<sup>1</sup>.

ძნელი არაა შევამჩნიოთ, თუ როგორი ნათესაობა აქვს ი. ჯავახიანის ამ შეხედულებებს ბ. ბელინსკის აზრებთან ამავდეს საკითხებზე.

ეხება რა მეცნიერებრსა და ხელოვნების ურთიერთობის საკითხს, წერილში „Взгляды на русскую литературу 1847 года“, ბ. ბელინსკი შენიშნავს: „Видят, что искусство и наука не одно и то же, а не видят, что их различие вовсе не в содержании, а только в способе обрабатывать данное содержание. Философ говорит силогизмами, поэт — образами и картинами, а говорят оба они одно и то же. Политико-эконом, вооружаясь статистическими числами, доказывает, действуя на ум своих читателей или слушателей, что положение такого-то класса в обществе много улучшилось или много ухудшилось вследствие таких-то и каких-то причин. Поэт, вооружаясь живым и ярким изображением действительности, доказывает в верной картине, действуя на фантазию своих читателей, что положение такого-то класса в обществе действительно много улучшилось или ухудшилось от каких-то причин. Один доказывает, другой доказывает, и оба убеждают, только один — логическими доводами, другой — картинами. Но первого слушают и понимают немногие. другого — все... ни наука не может заменить искусства, ни искусство — науки“.

რაც შეეხება მწერლის მიერ მეცნიერული ცოდნის დაუფლების აუცილებლობას, ამის შესახებ ბ. ბელინსკი ამბობს: „Было время, когда все твердили о том, что поэту нужны только талант и вдохновение, что он учен без науки, всезнающ без учения; что он сам себе судья и закон...“

<sup>1</sup> ი. ჯავახიანი. თხზულებათა სრული კრებული, 1953, ტ. III, გვ. 83—84.

Такое воззрение на поэта господствовало у нас в эпоху так называемого романтизма блаженной памяти...

Теперь не то: все кричат о необходимости знания для поэта, об идеях, о направлении, о сочувствии к современной действительности<sup>1</sup>.

მსგავსად რუს რევოლუციონერ-დემოკრატებისა, ი. ჯავჭავაძეს არ სურს გააზვიადოს ხელოვნებისა და ლიტერატურის როლი საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების საქმეში. უფრო სწორად, მას სწორად აქვს გათვალისწინებული ის ურთიერთობა, რაც არსებობს ხალხის ცხოვრებასა და ლიტერატურას შორის. მისი აზრით, რაც არ არის სინამდვილეში, ან არის არსებობაც მომზადებული არ არის თვით საზოგადოებრივი ცხოვრების მიერ,—ის არ შეიძლება იყოს ხელოვნებასა და ლიტერატურაშიც.

„ჩვენ, — ამბობს ი. ჯავჭავაძე, — ძალიან კარგად გვესმის დამოკიდებულება ხელოვნებისა, პოეზიისა ხალხთა ცხოვრებაზედ, ... პოეტს ხალხი დაჰბადავს და ხალხის ცხოვრება ძუძუს აწოვებს; ამ საფუძველით ამბობენ, პოეზია ხალხის ცხოვრების გამომთქმელიაო. ჯერ უნდა ხალხმა დაიმუშაოს თავისი სულიერი ბუნება, შეანძრიოს თავისი უკვდავების ძარღვი, მოამზადოს მასალა თავის ცხოვრებითა და მერე თავისთავად, უთქვენბრძანებულოთ ძლიერი სული გენიისა ძლიერად გამოსცემს პასუხს ხალხის განვითარებასა... დიდ გენიასა დიდი საზრდოც უნდა მისცეს ჩვენმა ცხოვრებამაო“<sup>2</sup>.

ამგვარად, მწერალი ხალხის შვილია, საზოგადოების წევრია და თავის შემოქმედებაში გამოხატავს მას, რაც უკვე იგრძნობა ხალხში, საზოგადოებაში, რაც თვითონ ცხოვრებამ დაბადა. ამიტომ, ლიტერატურის განვითარების ხარისხი ბევრ რამეს ლაპარაკობს თვით ხალხის განვითარების ღონეზე. „ლიტერატურა ხალხის ჭკვა, ხალხის გონება, გრძნობა, ფიქრი, ჩვეულება და განათლების ხარისხიაო“<sup>3</sup>, — დასძენს ილია.

ი. ჯავჭავაძე, ამ შემთხვევაშიც, არ ეწინააღმდეგება რუს რევოლუციონერ-დემოკრატთა შეხედულებებს. ნ. გ. ჩერნიშევსკის თქმით, „... состоянием литературы определяется состояние общества. от которого всегда оно зависит“.

ხალხის ფიქრს, გრძნობასა და აზრს, ცხადია, ყოველი მწერალი, ან ხელოვნების სხვადასხვა დარგის წარმომადგენლები ერთი

<sup>1</sup> В. Г. Белинский. Полное собрание сочинений, под ред. С. А. Венгерова, т. X, стр. 293.

<sup>2</sup> ი. ჯავჭავაძე. თხზულებათა სრული კრებული, 1953, ტ. III, გვ. 45.

<sup>3</sup> ი. ჯავ, გვ. 37.

და იმავე სიძლიერითა და სიმახვილით ვერ წარმოადგენენ, მაგრამ მათ შორის თავის დროზე ჩნდებიან ხოლმე გენიოსი შემოქმედები, რომლებიც ღრმად ჩაწვდებიან ცხოვრების მოთხოვნებს, თავიანთი ძლიერი მხრებით ამოიტანენ მას, რაც თვით ცხოვრებაშია და ამასთან წინ და შორს გაიხედავენ. ასეთ შემოქმედთა ნააზრევში გამოჩნდება „მთელი აწმყო... და თესლიც მომავლისა“. ამიტომ მხოლოდ ისინი ხდებიან ახალი ეტაპების ფუძემდებელნი ლიტერატურის განვითარებაში, სხვები კი მათ მიერ გაკვლეული გზითა და ნაჩვენებ მიმართულებით მიდიან.

როგორც ვიცით, ი. ჯავჭავაძეს არც გენიოსი შემოქმედი მიაჩნია „ციდან ჩამოსულად“. გენიოსი, მისი შეხედულებით, გარკვეული დროის ნაყოფია ისევე, როგორც სხვები, მაგრამ ის უფრო „სრული, დამწიფებულია“. გენიოსის დანიშნულება და დამსახურება იმაში მდგომარეობს, რომ სწორად გაითვალისწინოს ცხოვრების განვითარების ტენდენციები და თავისი სიტყვითა და საქმით ხელი შეუწყოს მის გაძლიერებასა და შესაფერი მიმართულებით წარმართვას. „თითონ ცხოვრება აღმოშობავს ხოლმე თავისთვის წესსა, განსაზღვრავს ხოლმე თავის სჯულსა და კანონსა,—ამბობს ი. ჯავჭავაძე,—მხოლოდ ამ კანონსა გაგება უნდა, გამოფენა საქვეყნოდ და შეძლებისამებრ გზის გახსნა, რომ მისი წარმოშობა არაფერმა არ შეაყენოს“<sup>1</sup>.

ამ შემთხვევაშიც ი. ჯავჭავაძე ავითარებს ბ. ბელინსკის შეხედულებებს. ბ. ბელინსკის თქმით: „Никто не может быть выше века и страны, никакой поэт не усвоит себе содержания, не приготовленного и не выработанного историей“; მაგრამ ბ. ბელინსკი, ცხადია, ითვალისწინებდა გენიოს შემოქმედთა მნიშვნელობასა და როლს საზოგადოებრივი აზრის განვითარებაში. „Что в народе бессознательно живет как возможность,—ამბობს ის,—то в гении является как осуществление, как действительность. Народ относится к своим великим людям, как почва к растениям, которых производит она“<sup>2</sup>.

შემოქმედის გენიოსობას, ი. ჯავჭავაძის შეხედულებით, უმთავრესად სწყვეტს ის, თუ რა სისრულით მონახავს იგი აწმყო ცხოვრებაში „მომავლის თესლს“, რომელიც უთუოდ არის მასში. მაგრამ „მომავლის თესლის“ ძიება აწმყო ცხოვრებაში არა მხოლოდ

<sup>1</sup> ი. ჯავჭავაძე. თხზულებათა სრული კრებული, 1953, ტ. III, გვ. 66—67.

<sup>2</sup> В. Г. Белинский. Полное собрание сочинений, т. VI, стр. 308.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 411.

გენიოსის დანიშნულებაა, არამედ ყველა შემოქმედისა საერთოდ.

ყოველივე ხემოქმედლიდან აშკარაა, თუ როგორი შეხედულებებისაა ი. ჯავჭავაძე ხელოვნებისა და ლიტერატურის შესახებ და რა ამოცანებს უყენებს მათ. აწმყო ცხოვრების „მარგალიტისა და ლაფის“ გამოიშუქება და „მომავლის თესლის“ განვითარებისათვის ხელის შეწყობა—აი, ჯემმარიტი ლიტერატურის დანიშნულება მისი შეფასებით.

ავისა და კარგის ჩვენება, ი. ჯავჭავაძის თქმით, ერთნაირად საჭირო და სასარგებლოა უკეთესი მომავლის ინტერესებისათვის. ამიტომ, სრულებითაც არ უნდა გვეშინოდეს და არ უნდა ვერიდებოდეთ იმის ჩვენებას, რაც ჩვენში ცუდია, რაც ხელს უშლის წინსვლას. „ოღონდ ხელოვნება არ გადააჰსცდეს თავის საკუთარ კანონებსა და მეცნიერება ჯემმარიტებასა, და დაე, არც ერთი და არც მეორე ნუ მოერიდება იმის გამოაშკარაებას, განკიცხვას, რაც ჩვენში საკიცხია და ცუდი. დაე, ორივემ იარონ ცხოვრების მდინარეში, მონახონ მარგალიტები და თუ იმათ ამოკრეფაში ლაფი და ლეკი თან ამოჰყვება, რა უყოთ? ლაფი ჩამოვირეცხოთ, ჭუჭყი მოვიშოროთ, რომ მხოლოდ მარგალიტები დაგვრჩეს ჩვენი ცხოვრების სასახელოდ“<sup>1</sup>, — წერს ი. ჯავჭავაძე.

მაგრამ ი. ჯავჭავაძე ხედავდა, რომ ამ მიმართულებით ქართულ ლიტერატურაში, გასული საუკუნის 60-იან წლებში, ჯერ კიდევ ყველაფერი რიჯზე როდი იყო. მწერალთა საგრძნობი ნაწილი გაურბოდა ცხოვრების პირუთვნელ ასახვას, ერიდებოდა ბატონყმური სისტემის უმსგავსოებათა კრიტიკას, შორს იდგა ეროვნული ინტერესებისაგან და ცრუ ოცნებათა სამყაროში „დანავარდობდა“.

ჩამოაყალიბა რა ხელოვნებისა და ლიტერატურის დანიშნულება და მათი ურთიერთობა საზოგადოებრივ ცხოვრებასთან, ი. ჯავჭავაძემ ქართველ მწერლებს მოუწოდა ბრძოლა გამოეცხადებინათ ცრუ რომანტიკული პათოსისათვის, უსარგებლო და უმიზნო „შტვენისათვის“. „დაე... ზოგიერთმა უნაყოფო პოეტმა, — ამბობს ის, — ხელოვნების სახელითა უკუარიდოს პირი თავის ხალხის ცხოვრებასა, მეშვიდე ცას შეაჩეროს გაბეცებული თვალეები და ბუღბულსავით უაზრო შტვენა დაიწყოს და აღარ გაათავოს. ჩვენ იმათთან საერთო გზა არა გვაქვს; ...დროა ხელოვნებამ თავი დაანებოს „ღრუბლების ცურვასა“, ...მთვარის ხეფწნასა, რომ ჩემს საყვარელს უთხარიო..., დროა ხელოვნებამ თავი დაანებოს უგემურ ღმექასა

<sup>1</sup> ი. ჯავჭავაძე. თხზულებათა სრული კრებული, 1953, ტ. III, გვ. 70.

და თვალების სრესასა, ეგება ცრემლი შომივიდესო; დროა ჩავიდეს ცხოვრების მდინარის ძირშია, იქ მონახოს შიგ. მდებარე აჭრი თავის ცხოველ სურათებისათვის. იქ, ცხოვრების ძირში, ის იპოვის ბევრ მარგალიტსა და უფრო ბევრ ლექსა და ლაფსა: არც ერთის გამოხატვა არ უნდა აშინებდეს ხელოვნებასა და არც მეორისაო<sup>1</sup>.

როდესაც ი. ჭავჭავაძე ამბობს: დეე, ზოგიერთმა პოეტმა „ხელოვნების სახელითა უკუარიდოს პირი თავის ხალხის ცხოვრებასა... ჩვენ იმათთან საერთო გზა არა გვაქვსო“, გასაგებია, რომ უარყოფს თეორიას „ხელოვნება ხელოვნებისათვის“, რომელსაც უპირისპირებს ხელოვნების საზოგადოებრივი ცხოვრების სამსახურში ჩადგომის ამოცანებს.

სწორედ ამ მიმართულებით წარმართა ი. ჭავჭავაძემ თავისი კრიტიკა 60—70-იან წლებში გაშლილი იდეურ-ლიტერატურული ბრძოლის პერიოდში და ქართული ლიტერატურა გაათავისუფლა დეკადენტური რომანტიზმის ბურუსისაგან.

შეეხო რა ესთეტიკური გრძნობის მნიშვნელობასა და თავისებურებას, ი. ჭავჭავაძემ გამოთქვა მეტად საინტერესო მოსაზრება მშვენიერის შესახებ ცხოვრებასა და ხელოვნებაში, რაც მკიდროდ დაუკავშირა რეალისტური ასახვის პრინციპებსა და ამოცანებს. მისი შეხედულებით, ის, რისი ნახვაც ბუნებასა და ცხოვრებაში უსიამოვნებასა და ზიზღს იწვევს ადამიანში, ხელოვნების ქმნილებებსა და ლიტერატურულ ნაწარმოებებში, ოსტატურად განსახიერებელი, ესთეტიკურ სიამოვნებას განგვაცდევინებს. მაგრამ ამით როდი ამოიწურება მისი გავლენის სიღრმე და ამით როდი მთავრდება ჩვენი განცდების არე. ხელოვნების ქმნილებებში განსახიერებულმა საგანმა, მოვლენამ, რომელმაც ესთეტიკური სიტკბოება განგვაცდევინა, შესაძლებელია ჩვენში გამოიწვიოს აღშფოთება და ზიზღი, ცხოვრების მსგავსი მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის პათოსი. და ეს იმიტომ, რომ ხელოვნებისა და ლიტერატურის ქმნილებები ჩვენზე მოქმედებენ როგორც ასახული მოვლენების შინაარსით, ასევე ხელოვანის მიერ ამ შინაარსის ოსტატური გადმოცემისათვის გამოხატული ფორმებითაც. ეს უკანასკნელი ჩვენში ესთეტიკურ სიამოვნებას იწვევს მაშინაც კი, როცა შინაარსი სრულიად საწინააღმდეგო განცდებში გვაყენებს.

ესთეტიკური გრძნობა, — ამბობს ი. ჭავჭავაძე, — „უზენაეს სიტკბოებას ეძებს ყველგან, სიცილი იქნება თუ ტირილი, ბოროტი იქნება თუ კეთილი. ამ გრძნობისათვის ზარდამცემი ბოროტე-

<sup>1</sup> ი. ჭავჭავაძე. თხზულებათა სრული კრებული, 1953, ტ. III, გვ. 67—68.

ბაც ისეთივე მშვენიერებაა, როგორც გულწამტაცი კეთილი, ... სისხლისმსმელი, კაცისმკვლელი მაკბეტის ცოლი ისეთივე მშვენიერებაა ხელოვნების თვალთ და ესთეტიკურის გრძნობის შეხედულუბით, როგორც გულკეთილი, გულწრფელი და კეთილმომქმედი კორდელია. თუმცა ერთი გძულს და მეორე გიყვარს, მაგრამ აქ ძულე-ბაც და სიყვარულიც ერთსა და იმავე საგანზეა მიმართული, ერთსა და იმავე ძარღვს ადამიანის გულისას სძრავს, — ერთი — ბოროტის უარყოფის გზით და მეორე — სათნოების დამტკიცებითაო<sup>1</sup>.

როგორც ვხედავთ, ხელოვნებისა და ლიტერატურული ქმნილებები ესთეტიკურ გრძნობას ბადებენ არა განსახიერებული მოვლენების უარყოფითი და დადებითი ნიშნების მიხედვით, არამედ იმისდა მიხედვით, თუ რამდენად სწორად და ღრმად წარმოგვიდგენენ და განგვაკლდევენებენ ამ ნიშნებს. ე. ი. შემოქმედის ოსტატობა და მდიდარი ფანტაზია ჩვენ გვიბრუნდება მის მიერ განსახიერებული მოვლენის, საგნის შინაარსთან და ფორმასთან ერთად.

აქედან გამომდინარე, ი. ჯავჭავაძე იმ შეხედულებას ავითარებს, რომ მწერლის მხატვრული გამარჯვებისათვის მნიშვნელობა აქვს არა იმას, თუ ცხოვრების რომელ მხარეზე, რომელ მოვლენაზე შეაჩერებს ჩვენს ყურადღებას: სასიამოვნოზე, თუ სამწუხაროზე, არამედ იმას, რომ ლალატობს თუ არა სინამდვილეს. მაგრამ ეს მაინც ერთი მხარეა. გარდა იმისა, რომ სინამდვილეს არ უნდა ლალატობდეს, მწერალს მოეთხოვება ისიც, რომ შესაფერისად განარჩევდეს ძირითადასა და შემთხვევით მოვლენებს, ჰკონდეს ზონიერების გრძნობა.

„განა ყველა სიცილი საგანია ხელოვნებისა? — წერს ილია, — სიცილიც არის და სიცილიც, ... ბევრი რამ არის ქვეყანაზედ სასაცილო, მაგრამ ესთეტიკური გრძნობა ყველა სიცილს ვერ შეიწყნარებს, ... სიცილი თავის დღეში არ უნდა გარდიქმნას ლაზლანდარობად და ტირილი კიდევ — უგემურ კნავილალო“<sup>2</sup>.

ხელოვნებისა და ლიტერატურის სპეციფიკის შუქზე ი. ჯავჭავაძე გასაგებს ხდის მწერლის დანიშნულებას და იმ დიდ პასუხისმგებლობასაც, რაც მას ხალხის წინაშე აკისრია.

„პოეზია, — ამბობს ილია, — საგრძნობელია და არა საცნობელი, ... პოეზია უცნაური მადლია და პოეტი ამ მადლით მოსილი კაციო“<sup>3</sup>. მაგრამ იგი არც იმას იფიწყებს, რომ ეს „მადლი“ ბევრს

<sup>1</sup> ი. ჯავჭავაძე. თხზულებათა სრული კრებული, 1953, ტ III. გვ. 118—119.

<sup>2</sup> ი ქვე, გვ. 90—91.

<sup>3</sup> ი ქვე, გვ. 120.



ავალებს პოეტს. „პოეზია მადლია, ნიჭია, რომელიც ეძლევა მხოლოდ კაცთა, ღვთით რჩეულთა. მადლია, მაგრამ ამასთანავე ტვირთიც არისო“<sup>1</sup>, — შენიშნავს მრავალმეტყველად ნიჭიერი პოეტი.

პოეტის ღირსების მთავარ განმსაზღვრელად ი. ჭავჭავაძეს ეროვნული კულტურის წინაშე დამსახურება მიაჩნია. პოეტისაგან ის მოითხოვს, პირველყოფლისა, იყოს თავისი ხალხის, თავისი ერის ღირსეული შვილი; შეგნებული ჰქონდეს მშობლიური ხალხის ტკივილები და სიხარული, იყოს მისი გულის მესაიდუმლე და სულიერ ღირსებათა მემკვიდრე. ის პოეტი, რომელშიც არ იგრძნობა ეროვნული ღირსებებით შემკობილი შემოქმედი, ინტერესსა და სიყვარულს ვერ იმსახურებს არა მარტო თავის ხალხში, არამედ საერთოდ; შემოქმედების ღრმა ეროვნული ხასიათი სრულებით არ გამოირიცხავს ზოგადსაკაცობრიო იდეალებს. რაც უფრო ეროვნულია პოეტი, მით უფრო მეტისა და საინტერესო სიტყვის მოქმედი ყველასათვის.

„პოეტის სიტყვა, — ამბობს ი. ჭავჭავაძე, — იგი ხელთუქმნელი საგანძურია, საცა ერთი ჰპოებს ხოლმე თავისთვის უკეთესს ნააზრს და ნაგრძნობს, თვის სულთა სწრაფვას, თვის იმედს და სასოებას, თვისს თავმოსაწონებელს გულთა ძვერას, თავის ჭირსა და ღლინს, თავის ენის და მეტყველების სიკეკლუცე-მშვენიერებას და ერთობ თვისს სულიერ საუნჯეს, იმ საუნჯეს, რომლითაც ერი ერობს, ადამიანი ადამიანობს“<sup>2</sup>.

აი, როგორი პოეტი და როგორი შემოქმედი ეხატება ი. ჭავჭავაძეს იდეალურად. თვითონაც, თავისი მოღვაწეობის მთელ მანძილზე, ამ პრინციპებით ხელმძღვანელობდა.

ქართული ხალხის გმირული ისტორიული წარსულის და აწმყო ვითარების რეალისტური ასახვა, ბრძოლა მისი უკეთესი მომავლისათვის, — ასეთია არსი იმ მოთხოვნებისა, რომლებსაც ი. ჭავჭავაძე ქართული მწერლობის წინაშე აყენებდა.

შრომისმოყვარე და დოვლათის შემქმნელი ხალხი! აი, — ვისი წარსულით, აწმყოთი და მომავლით იყო დაინტერესებული დიდი პატრიოტი და ნიჭიერი შემოქმედი. და როცა იგრძნობა, რომ ხალხის როლის ჩვენებას ერის წინმსვლელობის საქმეში შესაფერი ადგილი არ ჰქონდა მიკუთვნებული ისტორიულ ქრონიკებსა თუ მხატვრულ ნაწარმოებებში, ი. ჭავჭავაძე აღშფოთებას ვეღარ მალავდა ხოლმე. არა ერთხელ გამოუთქვამს მას თავისი გულისწყრომა „ქარ-

<sup>1</sup> ი. ჭავჭავაძე. თხზულებათა სრული კრებული, 1953, ტ. III, გვ. 250.

<sup>2</sup> ი. ჭავჭავაძე. თხზულებათა სრული კრებული, 1952, ტ. VII, გვ. 98—99.

თლის ცხოვრების<sup>4</sup> მიმართ, არა ერთხელ უსაყვედურებია მას. მეისტორიესათვის ხალხის დამსახურების მიწერა მეფეებისა და ცალკეული გმირებისათვის.

პოემა „აჩრდილზე“ მუშაობისას, ი. ჯავჭავაძე დ. ერისთავს შესჩიოდა: „ამ „აჩრდილმა“ ტყავი გამაძრო. ისტორიულს ნაწილზედ... შევედგე და ერთი ნაბიჯი წინ ველარ წავდგი. არ ვიცი რა ექნა! ვამბობ ამ „აჩრდილს“ თავი დავანებო მეტქი. ეგ ოხერი ჩვენი ისტორია... მარტო ომებისა და მეფეების ისტორიაა, ერი არსად ჩანს, მე კი ისეთი აგებულების ადამიანი ვარ, რომ მეფეებისა და ომების სახე არ მიზიდავს ხოლმე. საქმე ხალხია და ხალხი კი ჩვენს ისტორიაში არა ჩანსო“.

ასეთივე შეხედულებას გამოთქვამს ი. ჯავჭავაძე წერილში— „ძველი საქართველოს ეკონომიური წყობის შესახებ“. „ჩვენი შიდა ცხოვრების ისტორია, —ამბობს ის,—ჯერ ფარდააუხდელია და უცნობია ჩვენგან. ჩვენი „ქართლის ცხოვრება“ ხალხის ისტორია კი არ არის, მეფეთა ისტორიაა, და ხალხი კი, როგორც მომქმედი პირი ისტორიისა, ჩრდილშია მიყენებული. თითქოს ხალხის ისტორიის შესამეცნებლად საკმაოა კაცმა იცოდეს მარტო მეფეთა ისტორია“<sup>1</sup>.

ი. ჯავჭავაძე თავის ესთეტიკაში საგრძნობ ადგილს უთმობს ერის ისტორიული წარსულის ასახვისა და გაშუქების მნიშვნელობაზე მსჯელობას. მაგრამ, ცხადია, ის სულ სხვა ამოცანებს უსახავს ისტორიულ თემატიკას მწერლობაში, ვინემ მას რომანტიკოსები უსახავდნენ. ისტორიული მოვლენების მომარჯვებას ი. ჯავჭავაძე უკავშირებს არა წარსულის იდეალიზაციის, არამედ აწმყო ვითარების შესწავლის ინტერესებს. „ისტორია, —მისი თქმით,—სხვა რაა, თუ არ გამორკვევა, თუ არ ახსნა აწმყოსი წარსულისაგან“<sup>2</sup>.

აქედან გამომდინარე, ი. ჯავჭავაძე ავითარებს იმ აზრს, რომ თანამედროვე ცხოვრების ღრმად შესწავლის ინტერესები მოითხოვენ, ისტორიის საფუძვლიან გაგებას: ისტორიული მოვლენები უნდა მოვიშველიოთ აწმყო ვითარების ასახსნელად და მომავალი ცხოვრების გასათვალისწინებლად. ამიტომ, რომ ის მკაცრი ტონით შენიშნავს: „ერის დაცემა... მაშინ იწყება, როცა ერი, თავის საუბედუროდ, თავის ისტორიას ივიწყებსო“<sup>3</sup>.

<sup>1</sup> ი. ჯავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, 1927, ტ. V, გვ. 201.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 26.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 19.

ი. ჭავჭავაძე მიუთითებს იმაზეც, თუ რა მიმართულებით უნდა გამოიყენოს მწერლობამ ისტორიული სინამდვილე. მისი შეხედულებით, „დიდ ბუნებოვან კაცთა და სახელოვან გმირთა მაგალითებით ისტორია სწურთნის ერსა, ზრდის, და დიდებულნი საქმენი კიდევ გულს უკეთებენ მოქმედებისათვის“<sup>1</sup>. ამგვარად, მწერლობამ უნდა ისარგებლოს სწორედ იმ ისტორიული ფაქტებით, რომლებიც ადამიანებს მოქმედებისათვის შთააგონებენ და გმირულ სულს შთაბერავენ. ასეთ მიზანს ისახავდა ი. ჭავჭავაძე თვითონაც, როცა პოემა — „დიმიტრი თავდადებულს“ წერდა. მაგრამ აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ი. ჭავჭავაძისათვის — როგორც მხატვრისათვის — სრულიად არაა დამახასიათებელი ისტორიული თემატიკით გატაცება. მას ღრმად ჰქონდა შეგნებული, რომ მწერალს, უპირველეს ყოვლისა, მოეთხოვება მის თანამედროვე საზოგადოებრივი ცხოვრების ასახვა, თანამედროვე ადამიანთა სულიერი სამყაროსა და იდეალების ჩვენება.

როგორ აფასებდა ი. ჭავჭავაძე იმდროინდელი საქართველოს სოციალ-პოლიტიკურ მდგომარეობას და რა ამოცანებს აყენებდა მწერლობის წინაშე მისი ასახვისა და გაშუქების მიზნით?

სანამ ამ კითხვას ვუპასუხებდეთ, ჩვენ კვლავ უნდა გავიმეოროთ, რომ ი. ჭავჭავაძეს თავისი ესთეტიკური შეხედულებების ჩამოყალიბება უხდებოდა ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის პერიოდში. „როცა ბატონყმობის გაუქმებამ და ქვეყნის ეკონომიური ცხოვრების ზრდამ, გზების განვითარებამ და კაპიტალიზმის წარმოშობამ დაამყარა შრომის განაწილება საქართველოს ოლქებს შორის, საბოლოოდ შეარყია სამთავროთა სამეურნეო კარჩაკეტილობა და ერთ მთელად შეაკავშირა ისინი“<sup>2</sup>.

ი. ჭავჭავაძე ჩვენი ცხოვრების სწორედ ამ საინტერესო პერიოდში ქმნიდა თავის მხატვრულ შემოქმედებას და იბრძოდა მატერიალისტური ესთეტიკის პრინციპების დამკვიდრებისათვის. ამიტომ გასაგებია, რომ ყველაზე მთავარ საკითხად მას ეროვნული საკითხი მიაჩნდა; მისი სიტყვა და საქმე განპირობებული იყო ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლის ამოცანებით. ასეთ ვითარებაში, ბუნებრივია, ი. ჭავჭავაძე დიდ ყურადღებას აქცევდა სამ-

<sup>1</sup> ი. ჭავჭავაძე. თხზულებათა სრული კრებული, 1927, ტ. V; გვ. 243.

<sup>2</sup> ი. ბ. სტალინი. თხზულებანი, ტ. 2, გვ. 318.

შობლო ქვეყნის წარსულისა და აწმყო ვითარების მართებულად ასახვას ლიტერატურაში.

საქართველოს ისტორიული წარსული ი. ქავჭავაძეს იტაცებდა ხალხის მტკიცე ნებისყოფით, გმირული სულითა და მაღალი პატრიოტული გრძნობით, რამაც უზრუნველყო საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის შენარჩუნება მეცხრამეტე საუკუნის დამდეგამდე. მაგრამ ის არ მალავდა არც იმას, რომ ფეოდალურმა შულმა, განხეთქილებამ და ქვეყნის სამთავროებად დანაწილებამ შესაძლებლობა მისცა მტერს დიდი ზიანი მოეყენებინა ქართველი ხალხისათვის და ბოლოს ეროვნული დამოუკიდებლობის შენარჩუნებაც შეუძლებელი გაეხადა.

„ჩვენი უბედურება,— ამბობს ი. ქავჭავაძე, — მაშინ დაიწყო, როცა ჩვენი ქვეყანა დაირღვა და განაწილდა სამ სამეფოდ და ხუთს სამთავროდ. ამ დარღვევამ არამც თუ მარტო ერთობის კავშირი გასწყვიტა ჩვენის სამეფოისა, არამედ საზოგადოებრივიცა... ბევრმა სახელოვანმა მეფემ დალია ამაზედ თავისი სიცოცხლე, ბევრმა თავგამოდებულმა მამულისშვილმა დაანთხია ამისათვის სისხლი, მაგრამ გარედამ მტერმა და შიგნით უკეთურმა ბზარვამ... იმოღვნა ჯაფა, სისხლის ღვრა, თავგანწირვა,—ამაოდ ჩაუტარეს დარღვეულობით დაუძღურებულს ქვეყანასა“<sup>1</sup>.

ი. ქავჭავაძეს სწორად ჰქონდა გათვალისწინებული საქართველოს რუსეთთან შეერთების პროგრესული მნიშვნელობაც. „ამ სახსოვარი დღიდან,— წერს ის,— საქართველომ მშვიდობიანობა მოიპოვა... დამშვიდდა დიდი ხნის დაუშვიდებელი, დაღალული ქვეყანა, დაწყნარდა აკლებისა და აოხრებისაგან, დაცხრა ომისა და ბრძოლისაგან. დადუმდა ჟღერა ხმლისა და მახვილისა, მტრის ხელით მოღერებულისა ჩვენზე და, ჩვენს ცოლშვილზე, ... დაუდგა ახალი ხანა, ხანა მოსვენებულის უშიშარის ცხოვრებისა სისხლდანთხეულ... საქართველოს“<sup>2</sup>.

მაგრამ ი. ქავჭავაძეს ღრმად ჰქონდა შეგნებული ის საშიშროებაც, რაც ჩვენს ქვეყანას მოელოდა კოლონიალურ-ნიციონალური ჩაგვრის პირობებში. ამიტომ, მთელი მისი ინტერესები მიმართული იყო იქეთკენ, რომ ქართველ ხალხს შეენარჩუნებინა და კიდევ უფრო აემალღებინა თავისი ეროვნული მეობა; ამასთან, გაეძლიერებინა ბრძოლა ეროვნული თავისუფლებისათვის, რასაც იგი რუს ხალხთან მეგობრობისა და ცარიზმის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის იდეას უკავშირებდა.

<sup>1</sup> ი. ქავჭავაძე. თხზულებანი, 1927, ტ. VI, გვ. 93.

<sup>2</sup> ი. ქავჭავაძე. თხზულებანი, 1927, ტ. V, გვ. 234—235.

„თერგდალეულთა“ ერთ-ერთ მთავარ დამსახურებად ი. ჰავ-  
ჰავადეს სწორედ ის მიაჩნდა, რომ მათ ჩვენი საერთო, საყოველ-  
თაო სურვილი გაგვიახლა, საერთო გულის-ტკივილი ჩავვისახა. ჩვე-  
ნის თავის იმედი მოგვცა და... გამოგვაფხიზლა“<sup>1</sup>. სამოციანელ-  
თა სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლის შემდეგ, შენიშნავს ი. ჰავ-  
ჰავადე, „თანდათან ძლიერდება საკუთარი წარსულისა და აწმყოს.  
შესწავლა, რომლის მნიშვნელობას ვერავინ ვერ უარჰყოფს, რადგან  
ის მწერლობა უქმი და მკვდრად შობილია, რომელსაც საძირკვე-  
ლად საკუთარი ვითარების შესწავლა არ დაუდგიაო“<sup>2</sup>.

როდესაც ი. ჰავჰავადე მწერლობის წინაშე „საკუთარი ვითა-  
რების“ შესწავლის ამოცანას აყენებდა, მას, ცხადია, მხედველობა-  
ში ჰქონდა არა მარტო საქართველოს ეროვნული მდგომარეობა,  
არამედ მისი სოციალური ვითარებაც.

ი. ჰავჰავადეს მოუგვარებლად და შემდგომი ბრძოლის საგნად  
მიაჩნდა არა მარტო ეროვნული, არამედ სოციალური საკითხიც.  
მისი თქმით,—მეცხრამეტე საუკუნემ სოციალური წყობილების  
იდეადად გამოსახა „გაუქმება ქონებისა და შემოსავლის მეტ-ნაკ-  
ლებად განაწილებისა ადამიანთა შორის, გაუქმება ყოველის კლას-  
ობრივის ბატონობისა და, შეძლებისამებრ, ყოველის კლასობრივის  
სხვადასხვაობისა, ფეხზე წამოყენება და ხელშეწყობა გამრჯელ და  
მშრომელ კლასების წარსამატებლად“<sup>3</sup>.

მაგრამ ი. ჰავჰავადე უკმაყოფილო იყო იმით, რომ ამ საუკუ-  
ნემ შეძლო მხოლოდ მოსაწონი იდეალის წამოყენება, მაგრამ მისი  
გადაწყვეტა კი ვერ მოახერხა. ეს საკითხი, მისი შეხედულებით,  
მეოცე საუკუნემ უნდა გადაწყვიტოს. „დღეს—ამბობს ის—ლა-  
რიბსა და მდიდარს შორის უფრო დიდი ზღვარი არის. ვიდრე  
ოდესმე ყოფილა, და აქ არის იგი სიმწვავე იმ ტკივილისა, რომლის  
მორჩენაც მეცხრამეტე საუკუნემ უანდერძა აწ მომავალ საუკუ-  
ნესო“<sup>4</sup>.

ყოველივე ამის შემდეგ გასაგებია. თუ როგორი მიმართულე-  
ბით სურს ი. ჰავჰავადეს შეისწავლოს და ასახოს ლიტერატურამ  
ქვეყნის წარსული და აწმყო ვითარება. ეს საკითხი კი მის ესთე-  
ტიკურ შეხედულებებში ერთ-ერთ მთავარ საკითხს წარმოადგენს.

<sup>1</sup> ი. ჰავჰავადე. თხზულებანი, 1927, ტ. VI, გვ. 95.

<sup>2</sup> ი. ჰავჰავადე. თხზულებანი, 1953, ტ. III, გვ. 311—312.

<sup>3</sup> ი. ჰავჰავადე, თხზულებანი, 1927, ტ. VI, გვ. 7.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 8.

ი. ქავჭავაძე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „ლიტერატურას ასაზრდოებს საზოგადოება“<sup>1</sup>; შესაფერი მკითხველის გარეშე უაზრო იქნება მწერლის მოღვაწეობა. მაგრამ მკითხველთა წრის გაფართოება და მისი მომზადება შემთხვევით არ ხდება. ამისათვის საჭიროა ხალხი იმდენად მომზადდეს, რომ „როგორც პურის საჭიროებას ჰგრძნობს ხორცისათვის, ისეც ლიტერატურა მიიჩნიოს სულისა და გულისათვისო“<sup>2</sup>.

მაგრამ როდის მიიჩნევს ხალხი ლიტერატურას თავის სულიერ საზრდოდ?

ი. ქავჭავაძის შეხედულებით, ლიტერატურაში ხალხი მაშინ დაინახავს თავის სულიერ საზრდოს, როცა იგი ხალხური იქნება; ხოლო ხალხური მაშინ იქნება, როცა მოახერხებს შესაფერი ხალხის წარსული და აწმყო ცხოვრების ღრმა ასახვას, მის განსაკუთრებულ და დამახასიათებელ ნიშან-თვისებათა ჩვენებას. ამიტომ ქეშ-მარიტი მხატვრული ქმნილება არა მარტო ხალხურია, არამედ ნაციონალურიც.

ლიტერატურის ხალხურობისა და ნაციონალურობის გაგების საკითხში ი. ქავჭავაძე, ძირითადად, ბ. ბელინსკის შეხედულებებიდან გამოდის ბ. ბელინსკი კი, როგორც ცნობილია, დიდ მნიშვნელობას აძლევდა აღნიშნულ პრობლემებს. „Что такое народность в литературе?—свამდა კითხვას ბ. ბელინსკი და თვითონვე პასუხობდა:— Отражение индивидуальности, характерности народа, выражение духа внутренней и внешней его жизни, со всеми ее типическими оттенками, красками и родимыми пятнами...“<sup>3</sup>. ამასთან, ბ. ბელინსკი შენიშნავდა: „Но чтобы литература и для своего народа была выражением его сознания, его интеллектуальной жизни,—необходимо, чтобы она была в тесной связи с его историей и могла служить объяснением ей, необходимо, чтобы она развилась органически и имела свою историю“<sup>4</sup>.

ბ. ბელინსკი ამავე დროს ერთმანეთისაგან არ თიშავდა მხატვრის ხალხურობასა და ნაციონალურობას. მისი თქმით: „Истинный

<sup>1</sup> ი. ქავჭავაძე. თხზულებანი, 1953, ტ. III, გვ. 84.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 84—85.

<sup>3</sup> В. Г. Белинский. Полное собрание сочинений, изд. АН СССР, т. II, стр. 23.

<sup>4</sup> В. Г. Белинский. Собрание сочинений в трех томах, 1948, т. II, стр. 110.

художник народен и национален без усилия; он чувствует национальность прежде всего в самом себе и потому невольно налагает ее печать на свои произведения“<sup>1</sup>.

ცხადია, რომ როგორც ბ. ბელინსკის, ასევე ი. ჯავჭავაძის კარგად ესმოდა, რომ მხატვრული ნაწარმოების ხალხურობის საკითხს წყვეტს არა მარტო შინაარსი, არამედ ფორმაც; რომ ლიტერატურა უნდა გამოსახავდეს და ემსახურებოდეს ხალხის ინტერესებს, და, ამასთან ერთად, გასაგები და მისაწვდომი უნდა იყოს ხალხისათვის.

ამიტომ იყო, რომ ი. ჯავჭავაძის, როგორც მწერლისა და მოაზროვნის, წინაშე მთელი სიმკაცრით დადგა ქართული სამწერლო ენის დემოკრატიზაციის საკითხი. ანტონ კათალიკოსის გრამატიკული კატეგორიების გაბატონების გამო ქართული ლიტერატურული ენის განვითარების შეფერხების აშკარა საფრთხე ი. ჯავჭავაძემ თავიდანვე მთელი სერიოზულობით გაითვალისწინა. თავის ლიტერატურულ-კრიტიკულ წერილებში ის ყოველთვის დიდ ადგილს უთმობდა ქართული ენის საკითხებს, ლიტერატურისა და ენის ურთიერთობის პრობლემას.

ქართული ენის განვითარების ისტორიაში მას, პირველყოფლისა, სურდა ამოეკითხა თავისი ხალხის ისტორია და მისი გონებრივი ზრდის ევოლუცია. მისი თქმით, „ენა... ყველაზე სანდო მოწამეა ცივილიზაციის ისტორიისათვის“, რადგან „ენა ადამიანისა, მისი სიტყვიერება, მთელი ხელთუქმნელი ისტორიაა ერისა“<sup>2</sup>.

ი. ჯავჭავაძის შეხედულებით, „ერთობა ენის მოასწავებს ერთობას კულტურისას“<sup>3</sup>. უფრო მეტიც. ენა მას მიაჩნდა ერის მთავარ განმსაზღვრელ ნიშნად. ამიტომ გასაგებია, თუ რატომ აქცევდა იგი მეტად დიდ მნიშვნელობას ქართული სალიტერატურო ენის შექმნისა და გაბატონების საკითხს საქართველოს ერთად ჩამოყალიბების ეპოქაში.

ი. ჯავჭავაძის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ენა... საზოგადო საკუთრებაა“<sup>4</sup>, ამიტომ „უნიკო და ამასთან უცოდინარი მწერალი არა მარტო ენას ახდენს, ამასთან გონებას, გემოვნებას, გულს და სულს მკითხველისას“<sup>5</sup>. სამაგიეროდ, უნიკიერი მწერალიც იმისა-

<sup>1</sup> В. Г. Белинский. Полн. собр. соч., под ред. С. А. Венгерова, т. VI, стр. 305.

<sup>2</sup> ი. ჯავჭავაძე. თხზულებანი, 1927, ტ. V, გვ. 19.

<sup>3</sup> იქვე.

<sup>4</sup> ი. ჯავჭავაძე. თხზულებანი, 1953, ტ. III, გვ. 27.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 38.

თვის არის სასარგებლო ენისათვის, რომ თავის თბზულებაში ენის სიმდიდრე გამოაჩინოს ხოლმეო<sup>1</sup>.

ი. ჭავჭავაძის თქმით, „ხალხია ენის კანონის დამდები“<sup>2</sup> და არა მწერალი, ან რაიმე „თეორეტიკა“, მაგრამ ენის შემდგომი ჯანვითარებისათვის გარკვეული მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორ დამოკიდებულებაში იქნება სამწერლო ენა სასაუბრო ენასთან.

ქართული ენის სიწმინდის დაცვისა და განვითარების საკითხს ი. ჭავჭავაძე მტკიცედ უკავშირებდა ეროვნული თვითმყოფადობისა და ეროვნულ თავისუფლებისათვის ბრძოლას. ამიტომ იყო, რომ მას, ერთი მხრივ, თავისი მხატვრული შემოქმედებით სინათლეზე გამოჰქონდა ქართული ენის სიმდიდრე და ღირსება, მეორე მხრივ, მკაცრ ბრძოლას უცხადებდა მეფის რუსეთის რუსიფიკატორულ პოლიტიკასა და იმ ადგილობრივ ლაქიებს, რომლებიც თავიანთი მოქმედებით ხელს უწყობდნენ ამ პოლიტიკის გატარებას და საფრთხეს უქმნიდნენ მშობლიური ენის შენარჩუნებას. ი. ჭავჭავაძე, ამ მიმართულებითაც, მაღალი წოდების წარმომადგენლებს—ბობოლა-ჩინოვნიკებს სდებდა ბრალს.

ამასთან დაკავშირებით თავის ერთ წერილში ი. ჭავჭავაძე გულნატკენი შენიშნავდა: „ჩვენს ენას ჩვენში მოედანი არა აქვს... ჩვენი ეგრეთწოდებული მაღალი საზოგადოება, ნამეტნავად ქალაქში, თავის სამარცხვინოდ, თავილობს თავის დედა-ენით ლაპარაკსა. ნათქვამია, თევზი თავიდან აყროლდებაო, სწორედ ეგრე მოგვდის ჩვენც, ჩვენს ეგრეთწოდებულ მაღალ საზოგადოებას თუ დავაკვირდებითო“<sup>3</sup>.

მაგრამ ჩვენთვის, ამჟამად, უფრო მეტად საინტერესო ის არის, რომ სამწერლო ენის საკითხს ი. ჭავჭავაძე სისხლხორცულად უკავშირებდა რეალისტური ასახვის ამოცანებსა და პრინციპებს.

ი. ჭავჭავაძის შეხედულებით, მწერალი, რომელიც კარგად არ არის გაცნობილი ხალხის მეტყველებას და ვერ ფლობს მდიდარ ხალხურ შემოქმედებას,—ღრმად ვერ ჩაწვდება ხალხის გულის თქმას, მის ფიქრებსა და იდეალს.

ჩვენამდე მოღწეულია ბევრი უტყუარი მასალა, რომელიც აშკარასა ხდის, თუ როგორი ყურადღებით ეცნობოდა თვითონ ი. ჭავჭავაძე გლეხთა ცხოვრებას და როგორი ინტერესით სწავ-

<sup>1</sup> ი. ჭავჭავაძე. თხზულებანი, 1953, ტ. III, გვ. 43.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> ი. ჭავჭავაძე. თხზულებანი, 1927, ტ. VI, გვ. 45.



ლობდა ხალხურ შემოქმედებას. სხვებსაც, და განსაკუთრებით ახალგაზრდა მწერლებს, ის ურჩევდა, უშუალოდ გაცნობოდნენ ხალხისკირ-ვარამს, მის მდიდარ ფანტაზიას, სხარტ და ბრძნულ გამოთქმებს.

ხალხის ცხოვრების, ხალხის ზნე-ჩვეულებებისა და მდიდარი ხალხური შემოქმედების გაცნობა და შესწავლა, ი. ჯავჭავაძის აზრით, დიდად ეხმარება მწერალს შექმნას ქვეშაირიტად რეალისტური ნაწარმოები. ამ მიმართულებით ი. ჯავჭავაძემ თვითონ მისცა მაგალითი ჩვენს მწერლობას. მისი საუკეთესო მხატვრული ნაწარმოებები არიან ნიმუშნი იმისა, თუ როგორი ოსტატობით შეიძლება გამოიყენოს მწერალმა ხალხური სიბრძნე, ხალხის ნიჭისა და ფანტაზიის პირმშო—ხალხური ზეპირსიტყვიერება.

ი. ჯავჭავაძე მაგალითს იძლეოდა როგორც ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშთა შემგროვებელიც. მას ჩაუწერია და გამოუქვეყნებია მრავალი ხალხური ლექსი, თქმულება, ანდაზა და სხვ.

ი. ჯავჭავაძეს ხალხური ზეპირსიტყვიერება იტაცებდა არა მარტო მოხდენილი თქმებით, ენის სისადავითა და ბუნებრივი სახეებით, არამედ მდიდარი შინაარსითაც. მისი დახმარებით იგი ეცნობოდა და ითვალისწინებდა მას, რის შესახებაც ხშირად სდუძდნენ მატრიანენი; მასში ის კითხულობდა ხალხის თავგადასავალს, მის წარსულსა და აწმყოს. ერთი სიტყვით, მისი საშუალებით ი. ჯავჭავაძეს უადვილდებოდა დაენახა ხალხი, როგორც ისტორიის შემოქმედი, როგორც დოვლათის შემქმნელი ძალა.

ი. ჯავჭავაძე ხალხურ ზეპირსიტყვიერებას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ხალხის გმირული სულის გასაცნობად და იმ სოციალური უკუღმართობის გასათვალისწინებლად, რომელსაც ხალხის ჩაგვრის ანგარიშზე უარსებნია ისტორიულად. ი. ჯავჭავაძე, როგორც რეალისტი მხატვარი, ხალხური შემოქმედებით დავალბულია ამ მხრივაც.

ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ ხალხურ შემოქმედებას,—როგორც ისტორიულ წყაროს, ი. ჯავჭავაძე სიფრთხილით უდგებოდა. ის მოითხოვდა, რომ ხალხის ცხოვრება შესწავლილიყო ყოველმხრივ და ჰარმონიულად, რათა შეცდომისათვის ნაკლები საფუძველი დარჩენილიყო. „პოეზია, და მეტადრე სახალხო პოეზია,—ამბობს ის,—უფრო ფანტაზიის ნაყოფია და ფანტაზია კიდევ მაგრერივგად არ ეწყობა და არ ემორჩილება ზნეობითი კანონის მოთხოვნილებას. ხშირად მდაბიო ხალხი, გატაცებული ფანტაზიის აღმაფრენით, დამღერის და დაჰხარის ისეთს საგანს და მოვლენას, რომელიც ძირეულად ეწინააღმდეგება ცხოვრების სიკეთესა და ცრუ-

მორწმუნეობაზედ არის აშენებული. რასაკვირველია, მარტო პოეზიის მიხედვით დასკვნა და მსჯელობა ხალხის ცხოვრების საკურობაზედ და იმის მოთხოვნილებაზედ შეცდომა იქნება... თუ ამ... შეცდომის თავიდან აცილება გვსურს, პოეტურ შეხედულობის გარდა ხალხის სხვა შეხედულობას და მსჯელობასაც ყური უნდა ვათხოვოთ... ხალხის ცხოვრება ყოველმხრივ და ჰარმონიულად უნდა შევისწავლოთ, იმისი ყოველგვარი გონებითი ნაწარმოები უნდა შევკრიბოთ“<sup>1</sup>.

ახასიათებს რა ხალხური შემოქმედებისადმი ი. ჭავჭავაძის დამოკიდებულებას, პროფ. ქს. სიხარულიძე სამართლიანად შენიშნავს, რომ „გასული საუკუნის მეორე ნახევარში ქართული ხალხური შემოქმედების შეკრება-შესწავლისა და გავრცელების ინიციატორთა შორის ერთი პირველთაგანი ილია ჭავჭავაძე იყო. განმათავისუფლებელი მოძრაობის სახელოვანი მოღვაწე ხალხურ შემოქმედებას თვლიდა როგორც ქართველი ხალხის აღორძინების, ცხოვრების წინსვლისათვის ბრძოლის, ახალი აზრის გამოქედვისა და განვითარების ერთ უმთავრეს იარაღად. მისი მდიდარი მხატვრული შემოქმედება, ღრმად გააზრებული წერილები ლიტერატურასა და ხელოვნებაზე, ფელეტონები და სხვადასხვა გარემოებათა გამო წარმოთქმული სიტყვები ნათლად გვიჩვენებენ, თუ რა ღრმად ჩაწედა მწერალი ხალხურ შემოქმედებას. პოეტი მაღალ შეფასებას აძლევდა მშრომელი ხალხის შემოქმედებითს უნარს: იგი აფასებდა ხალხურ ნაწარმოებთა იდეურ-მხატვრულ მხარეს და მოხდენილად იყენებდა ცხოვრების განახლებისათვის ბრძოლის, მოძრაობისა და შრომის ქადაგების საშუალებად“<sup>2</sup>.

ნაშრომის წინა თავში მითითებული გვაქვს, თუ როგორი მკაცრი ბრძოლა გამოუცხადა ი. ჭავჭავაძემ კლასიციზმის, სენტიმენტალიზმისა და რეაქციული რომანტიზმის რეციდივებს ქართულ მწერლობაში 50-იანი წლების დასასრულისათვის.

მატერიალისტური ესთეტიკის პრინციპთა ერთგული და ნიჰიერი დამცველი ი. ჭავჭავაძე ყოველთვის დამაჯერებლად განმარტავდა, თუ რა ზიანი მოჰქონდა ჩვენი ლიტერატურისათვის ყალბი

<sup>1</sup> ი. ჭავჭავაძე. თბზუღებანი, 1927, ტ. V, გვ. 249—250.

<sup>2</sup> ქს. სიხარულიძე. ილია ჭავჭავაძე და ხალხური შემოქმედება. იხ. ატალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 55, გვ. 329—330.

პათეტიკური ტონით წერას, ნაძალადევი გრძნობისა და არაბუნებრივი სიტუაციების შემოტანას, წარსულის აჩრდილებით გატაცებასა და თანამედროვე ცხოვრებისაგან მოწყვეტას.

ი. ქავჭავაძემ დამაჯერებლად აჩვენა ისიც, რომ ქართულ ლიტერატურას განვითარების საკუთარი გზა ჰქონდა და არაფერი დაუკარგავს იმით, თუ არ გაუვლია კლასიციზმისა და სენტიმენტალიზმის ბატონობის ეტაპები.

ამ საკითხებზე მსჯელობისას ი. ქავჭავაძემ თავისი მოსაზრება გამოთქვა ლიტერატურული ეანრების სპეციფიკის შესახებაც, რასაც გარკვეული მნიშვნელობა აქვს მისი ესთეტიკური კონცეპციის დასახასიათებლად.

ცხადია, ი. ქავჭავაძე შორსაა იმ მცდარი შეხედულებისაგან, რომ ეანრებს შორის ეძიოს დაბალი და მაღალი ეანრები, ანდა ეანრებს შორის კლასიციზტური ზღვარი დასდოს; მას გათვალისწინებული აქვს ყველა ეანრის საკიროება და განვითარების აუცილებლობა. მისი შეხედულებით, თითოეულ ეანრს თავისი განსაკუთრებული სპეციფიკური ნიშნები და გამოსახვის გარკვეული შესაძლებლობა აქვს. ამიტომ ლიტერატურის განვითარების ინტერესები მოითხოვენ ერთგვარი ჰარმონია არსებობდეს ეანრთა განვითარებაში. თუ რომელიმე ეანრი ჩამორჩა, ეს იმას ნიშნავს, რომ ლიტერატურამ სინამდვილის ასახვისათვის შესაძლებლობის გარკვეული ნაწილი დაკარგა, მკითხველმა საზოგადოებამ ცალმხრივი და უფრო ღარიბი სულიერი საზრდო მიიღო.

მაგრამ ისიც აშკარაა, რომ ეანრთა განვითარების საკითხს ი. ქავჭავაძე ისტორიული თვალსაზრისით უდგება. ერთი სიტყვით, მას მიაჩნია, რომ ლიტერატურის წინაშე მდგომი აქტუალური პრობლემები ხშირად იწვევენ ამა თუ იმ ეანრის წინწამოწევის აუცილებლობას. ამ თვალსაზრისიდან გამომდინარე, იგი მიუთითებს იმ მიზეზებზე, რამაც განსაზღვრა ლირიკული ეანრის წინა რიგზე წამოწევა ქართულ ლიტერატურაში მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან, თითქმის მეცხრამეტე საუკუნის სამოციან წლებამდე.

„ძველ დროთაგან დაწყებული აქამომდე,—წერდა ი. ქავჭავაძე 1862 წელს,—ჩვენ ლექსთ-თხზულებითს პოეზიაში შევნიშნეთ განვითარება მხოლოდ ლირიკულ პოეზიისა, რომელიც არის ერთი გვარი პოეზიისა და რომელსაც მუსიკის და პოეზიის შუა-ადგილი უჭირავს, ამისათვისაც ამგვარი ლექსი სულ მუდამ თითქმის უფრო სამღერალაია; ასე გგონია—მთელი არ არისო, ასე გგონია—რაღაც აკლიაო, როცა არ დაიმღერება; მუსიკა აქ თითქოსკჰველისო პოეზიასა, პოეზია—მუსიკასა. საგანი ამგვარ პოეზიისა თითონ პოეტის

სულის მდგომარეობაა სხვადასხვა შენთხევაში და გარეწობაში; წუთის გრძნობის, წუთის აღბეჭდილების განოთქმვა, ერთის სიტყვით თითონ პოეტი აქ მხოლოდ თავის გრძნობას ხატავს, თავის გულის მოძრაობას და აღბეჭდილებას. გარეგანი ბუნება მისთვის არ არსებობს, და თუ არსებობს, იმის ხელში ის წმინდა სანთელსავით ღბილია; გაათბობს თუ არა თავის გულის ცეცხლითა, იმას გამოსახავს ზედ, რაც თითონ უგრძნვია და არა იმას, რაც თვით ბუნებაშია, როგორც აუცილებელი თვისება მისიო<sup>1</sup>.

ი. ქავჭავაძე უკმაყოფილოა იმით, რომ ქართული ლიტერატურის სარბიელი თითქმის მხოლოდ ლირიკულ პოეზიას დაუქვია და ნიჭიერი თუ უნიჭო ყველა ლექსსა წერს. ამ უკმაყოფილების მიზეზი კი, როგორც ვხედავთ, ისაა, რომ ლირიკული პოეზია უფრო მეტად თვით პოეტის შინაგან სამყაროს გვაცნობს და არა მას, რაც ობიექტურ სინამდვილეში, ბუნებაშია, „როგორც აუცილებელი თვისება მისი“.

ი. ქავჭავაძე იმ შეხედულებისაა, რომ რეალიზმის, კერძოდ, კრიტიკული რეალიზმის ამოცანები უფრო მეტად ეპიკური და დრამატული ჟანრების განვითარებასა და წინ წამოწევას მოითხოვენ.

„ლექსთ-თხზულებითს პოეზიაში“ ი. ქავჭავაძე უპირატესობას პოემას აძლევს და არა ლირიკას. ამიტომაც, რომ გულნატკენი შენიშნავს: „ჩვენ მოლექსეთა შორის მარტო რუსთაველის გინამ შეიძლო შექმნა ეპოპეისა, ასე რომ აქომამდე მის მეტი თითქმის არაგინა ჩანსო“<sup>2</sup>.

ალარაფერს ვამბობ იმის შესახებ, თუ როგორ მაღალ შეფასებას აძლევდა ი. ქავჭავაძე პროზაულ ჟანრებს. პროზა მას მიაჩნდა ლიტერატურის წამყვან ჟანრად, რომელიც ეპოქალური ტილოების შექმნის მეტ შესაძლებლობას აძლევს მწერალს.

კრიტიკული რეალიზმის ინტერესებიდან გამომდინარე, ი. ქავჭავაძე დიდ მნიშვნელობას ანიჭებს დრამატურგიას. ამასთან, დრამატული ნაწარმოების შექმნა, მისი შეხედულებით, უფრო დიდ ნიჭსა და ოსტატობას მოითხოვს, ვინემ ყველა სხვა ჟანრის თხზულება.

„დრამის შექმნა,—ამბობს ი. ქავჭავაძე,—დიდად ძნელი რამ არის, იმიტომ რომ დრამა სულისა და გულის ცხოვრებაა, სულისა და გულის დიდ ძვრახეა ასაგებელი და ასაშენებელი. მეტის-მეტი მკრელი, მეტის-მეტი მხილავი ნიჭი უნდა, მეტის-მეტი ნათელი გო-

<sup>1</sup> ი. ქავჭავაძე. თხზულებანი, 1953, ტ. III, გვ. 456—459.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 459.

ნება, რომ კაცი მისწვდეს, შუქი რომ მოჰფინოს იმ საოცარს, იმ უცნაურს საიდუმლოებას, რომელსაც ადამიანის სულისა და გულის ძვრა ჰქვია, და რომელიც იმოდენად უფრო დიდ საიდუმლოებად გვევლინება, რამდენადაც უფრო ახლო მიუვალთ. ამიტომაც, დრამის შექმნა ყველა სხვაგვარ პოეტურ თხზულებაზე გაცილებით ძნელიაო“<sup>1</sup>.

როგორც ვხედავთ, ჟანრთა შეფასების საკითხშიც ი. ჯავჭავაძე ავითარებს იმ შეხედულებებს, რომლებიც თავის დროზე ბ. ბელინსკის მიერ იყო ჩამოყალიბებული. წერილში „Разделение поэзии на роды и виды“ ბ. ბელინსკი წერდა: „Эпическая поэзия есть по преимуществу поэзия объективная, внешняя, как в отношении к самой себе, так и к поэту и его читателю. В эпической поэзии выражается созерцание мира и жизни, как существ по себе и пребывающих в совершенном равнодушии к самим себе и созерцающему их поэту или его читателю.“

Лирическая поэзия есть, напротив, по преимуществу поэзия субъективная, внутренняя, выражение самого поэта,... Эпическую поэзию можно сравнить с образовательными искусствами—архитектурой, ваянием и живописью; лирическую поэзию можно сравнить только с музыкою. Есть даже такие лирические произведения, в которых почти уничтожаются границы, разделяющие поэзию от музыки...

Драматическая поэзия есть высшая степень развития поэзии и венец искусства“...

ეხებოდა რა ცალკეულ ჟანრთა წინწამოწევის საკითხს და არკვევდა რა მის შესაფერ მიზეზებს, ბ. ბელინსკი შენიშნავდა: „Роман и повесть стали теперь во главе всех других родов поэзии... Причины этого—в самой сущности романа и повести, как рода поэзии. В них лучше, удобнее, нежели в каком-нибудь другом роде поэзии, вымысл сливается с действительностью“<sup>2</sup>...

როდესაც ბ. ბელინსკი და ი. ჯავჭავაძე ცალკეულ ჟანრებსა და ხელოვნების დარგებს შორის პარალელს ავლებენ, ისინი, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, ამ უკანასკნელთა ღირსებების შესახებაც ლაპარაკობენ. კერძოდ, მიუთითებენ იმ შესაძლებლობაზე, რომე-

<sup>1</sup> ი. ჯავჭავაძე. თხზულებანი, 1953, ტ. III, გვ. 188.

<sup>2</sup> В. Г. Белинский. Собрание сочинений в трех томах, 1948, т. III, стр. 802.

ლიც, მათი შეხედულებით, თითოეულ მათგანს გააჩნია სინამდვილის მხატვრული ასახვის საქმეში.

ი. ქავჭავაძეს არ მოუცია ხელოვნების ყოველი დარგის საგანგებო დახასიათება ამ თვალსაზრისით, მაგრამ მაინც ბევრი საინტერესო შეხედულება აქვს გამოთქმული მუსიკისა და თეატრის შესახებ.

ლირიკული პოეზიის მუსიკასთან შედარებით ი. ქავჭავაძემ თავისი აზრი გამოთქვა მუსიკის შესახებაც. მაგრამ შეცდომას დავუშვებდით, თუ ამ შედარებას მექანიკურად გავიგებდით.

ი. ქავჭავაძეს მუსიკა ადამიანის ცხოვრების განუშორებელ თანამგზავრად მიაჩნია; მუსიკით დატკბობის ნიქი, მისი თქმით, ადამიანთა საყოველთაო ნიქია. მუსიკისადმი დიდი ინტერესი და სიყვარული სრულიად გამართლებულია, ვინაიდან მას აქვს განსაკუთრებული ზემოქმედების უნარი: იმორჩილებს როგორც მზიარულ, ასევე მწუხარე გულს.

ი. ქავჭავაძე იზიარებს მუსიკის შესახებ ლესინგის მიერ „ლაოკონში“ გამოთქმულ შეხედულებას, რომ—„მუსიკა არის უტყუი პოეზია და პოეზია—მეტყუელი მუსიკა“. რაც შეეხება, კერძოდ, სიმღერას, რონელიც უფრო ახლოსაა უბრალო ხალხის სულიერ მოთხოვნილებასთან, ი. ქავჭავაძის თქმით,—„სხვა არა არის-რა, გარდა ბედნიერად შექსოვილის პოეზიისა და მუსიკისა“<sup>1</sup>.

როგორც პოეზია, ასევე მუსიკა, ი. ქავჭავაძის შეხედულებით, თავისი ფორმით ნაციონალურია; ყოველი ხალხი თავის მწუხარებასა და სიხარულს განსაკუთრებული და განსხვავებული მუსიკალური ბგერით გამოთქვამს, გამოთქმის სხვადასხვა ხერხებს მიმართავს. კერძოდ, იგი ახასიათებს ქართულ სიმღერას და აჩვენებს მის ღრმა ორიგინალობას, მის თავისებურებას აზიურ და ევროპულ სიმღერებთან შედარებით. „იგი უტყუი პოეზია,—ამბობს ი. ქავჭავაძე,—რომელსაც ლესინგი მუსიკას ეძახის. იგივე ენაა, მხოლოდ ხორც-შეუსხმელი, სიტყვით არ-განსაზღვრული, სიტყვით არ გამოკვეული,—იგი მარტო ხმაა, კვნესაა, ხარებაა, იგი ძახილია აღფრთოვანებულის სულისა. ეს კვნესა, ეს ძახილი ქართველისა სულ სხვაა, სხვა ერისა სულ სხვა, როგორც სხვადასხვაა ენა-მეტყუელობა“<sup>2</sup>.

<sup>1</sup> ი. ქავჭავაძე. თხზულებანი, 1953, ტ. III, გვ. 145.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 147.

ამიტომ, გასაკვირი არაა, თუ რომ ერთი ერის წარმომადგენელი ისე ვერ გაიგებს და ვერ მოიწონებს სხვა ერების ხალხთა მუსიკას, როგორც საკუთარს. ამის მიზეზი „მარტო გაუგებრობაა, არ-ცოდნაა, და არა გრძნობა-მოკლებულობა, გრძნობა-დახშულობა. სიმღერის, პოეზიის სიამოვნების ნიჭი საყოველთაო კუთვნილებათა ადამიანისა. არ არის ქვეყანაზე ადამიანი, ამ ნიქს მოკლებული, ყრუისა და მუნჯის მეტით“<sup>1</sup>—დასძენს ი. ქავჭავაძე.

მუსიკის მთავარ თვისებას, ი. ქავჭავაძის აზრით, უშუალოდ გრძნობაზე მოქმედება წარმოადგენს, რაც განსაზღვრავს მის ღირსებასაც და შეზღუდულობასაც. ამიტომ იყო, რომ ი. ქავჭავაძე მოითხოვდა თეატრს ესარგებლა მუსიკით. მუსიკისა და სცენიური წარმოდგენის შეხმატკბილება, მისი თქმით, მეტ სიამოვნებასა და შთაბეჭდილებას გამოიწვევს მაყურებელში. „...ეს გაერთიანება ორის ერთგვარად სასურველ და სასატრელ სიამოვნებისა,—შენიშნავს იგი,—ერთსაც ახეირებს და მეორესაც, როცა ორივე... ერთად მოწვეული იქნებიან ჩვენდა გასართობადო“<sup>2</sup>.

უნდა აღინიშნოს, რომ ი. ქავჭავაძე მეტად დიდ ყურადღებას უთმობდა თეატრისა და თეატრმცოდნეობის საკითხებს. ეს გამოწვეული იყო იმ სპეციფიკური ვითარებითაც, რომელშიც ქართველი ხალხი იმყოფებოდა იმ დროს.

გარდა იმისა, რომ თეატრის საკითხებს წერილების მთელი სერია უძღვნა, ი. ქავჭავაძე ქართული თეატრის შესახებ საგანგებოდ მსჯელობდა ხოლმე თავის „შინაურ მიმოხილვებში“.

თეატრის დიდ ღირსებასა და მნიშვნელობას ი. ქავჭავაძე იმაში ხედავს, რომ „ცხოველი სურათებით“ ის ძლიერ გავლენას ახდენს მაყურებლის გრძნობასა და გონებაზე ერთსა და იმავე დროს.

როცა თეატრის მნიშვნელობისა და საჭიროების შესახებ ლაპარაკობს, ი. ქავჭავაძეს, ცხადია, მხედველობაში აქვს ქვეშაირიტად რეალისტური თეატრი. თეატრი,—მისი თქმით,—საჯაროდ გამოტანილი სარკეა, სადაც უნდა გამოჩნდეს კარგი და ცუდი, კეთილი და ბოროტი, მისაბაძი და უარსაყოფი. მაგრამ როგორც ყველაფერს და ყოველთვის, თეატრსაც ი. ქავჭავაძე ეროვნული ინტერესების პოზიციებიდან აფასებს. თეატრს ის უყურებს, როგორც ეროვნული კულტურის ერთ-ერთ საიმედო კერას, რომელიც ერის ტკივილებისა და სიხარულის შეგრძნობაში დიდ სიფაქიზესა და გაბედულებას იჩენს.

<sup>1</sup> ი. ქავჭავაძე, თხზულებანი, 1953, ტ. III, გვ. 148.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 151.

ი. ჭავჭავაძის შეხედულებით, „დიდი რამ არის სცენა საზოგადოოდ და ნამეტნავად ჩვენთვის... სცენა იგივე შკოლაა, რომელიც ცხოველი სურათებით ელაპარაკება კაცის გულსა და ჭკუასა, იგი ამ თვისებით კაცის გუნებაზედ უფრო მედგრად მოქმედებს, ვიდრე სხვა რამე... სცენა ხალხის მწვრთნელი, ხალხის გამზრდელი უნდა იყოს, და ამასთანავე იმისთანა შემაქცევარიც არის, რომ უკეთეს მხარეს ადამიანისას ფეხს აღგმევინებს, ფრთას აშლევინებს...“

ჩვენ ჩვენს სცენას ორ ღვაწლს ვსთხოვთ. პირველი--რომ მართლა განმწმენდელი იყოს ჩვენი ცხოვრებისა, ჩვენი ჭკუისა და გულის განმანათლებელი და მწვრთნელი, და მეორე--იგი უნდა იქმნას იმ ადგილად, სადაც ჩვენი ენა ფეხზედ უნდა წამოდგეს მთელის თავის შეენებითა და სიმდიდრითა<sup>1</sup>.

როგორც ვხედავთ, ი. ჭავჭავაძე სერიოზულ მოთხოვნილებებს უყენებდა თეატრს და დიდ იმედებსაც ამყარებდა მასზე. ის მოითხოვდა თეატრის ისეთ დონეზე დგომას, რომ მიჯი სცენიდან ერის სახე გამოჩენილიყო; თეატრი—მისი თქმით—„ეროვნების საჯარო ნიშანია“<sup>2</sup>.

მაგრამ თეატრმა რომ თავის მიზანს მიაღწიოს, მან უნდა მიიზიდოს მაყურებელთა ფართო წრე. ამას კი მხოლოდ მაშინ შეძლებს, როცა მის სცენაზე საზოგადო მნიშვნელობის ნოვლები განსახიერდებიან და განსახიერებაც მაღალ მხატვრულ დონეზე იქნება.

„თეატრმა—ამბობს ი. ჭავჭავაძე—ხანგრძლივი მოქმედებით უნდა შეიჩვიოს ხალხი, აუცილებელ საჭიროებად უნდა შეექმნას ხალხს თეატრში დროს გატარება და გართობა. ამისათვის საჭიროა ჯერ ერთი ისა, რომ თეატრი მართლა თეატრი იყოს, ესე იგი—კერძო პირთა მასხრად ასაგდები კი არა, არამედ საზოგადო პირისა და ლხინის თვალწინ წამომყენებელი. ამისათვის საჭიროა რიგიანი რეპერტუარი“<sup>3</sup>.

ამგვარად, ი. ჭავჭავაძე თეატრის წინსვლის საქმეში ერთ-ერთ გადამწყვეტ როლს რეპერტუარს ანიჭებს; რიგიანი რეპერტუარის გარეშე შეუძლებელია თეატრმა თავის მიზანს მიაღწიოსო. ამდენად, თეატრის წინაშე ის დიდ პასუხისმგებლობას აკისრებდა ღრამატურგიულ მწერლობას.

<sup>1</sup> ი. ჭავჭავაძე. თხზულებანი, 1927, ტ. VI, გვ. 47.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 170.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 168—169.



დრამატურგიისაგან ი. ჭავჭავაძე მოითხოვს სინამდვილის პირუთვნელ ასახვას, ენის სიწმინდის დაცვას, ადამიანის სულის ღრმა ცოდნასა და გმირის მოქმედებაში ჩვენების დიდ ოსტატობას. ის საგანგებოდ აფრთხილებდა დრამატურგებსა და თეატრის მუშაკებს: „ყოვლის ღონისძიებით ერიდენით კერძო პირთა მასხარად აგდებას სცენაზედ. ეგ თეატრის უკადრისი ქცევაა და შეუნდობელი „ცოდვა“<sup>1</sup>.

აქედან აშკარაა, რომ ი. ჭავჭავაძე დრამატურგიისა და თეატრისაგან მოითხოვდა ტიპიური სახეების ჩვენებას, ყურადღების გამახვილებას საზოგადო მნიშვნელობის და არა შემთხვევითი ხასიათის მოვლენებზე, ე. ი. რეალიზმის პრინციპების წმინდად დაცვას.

\* \* \*

არა მარტო დრამატურგიულ, არამედ საერთოდ მხატვრულ ნაწარმოებებს ი. ჭავჭავაძე, პირველყოვლისა, იმის მიხედვით აფასებდა, თუ რამდენად სწორად იყო მასში განხორციელებული ხასიათების ტიპიურ გარემოში ჩვენების ამოცანა.

მაგრამ როგორ ესმის ი. ჭავჭავაძეს ტიპიური? რა ნიშნებით ხასიათდება ტიპი?

ი. ჭავჭავაძეს ლიტერატურულ ტიპად მიაჩნია ისეთი მხატვრული სახე, რომელიც თავის თავში აერთიანებს შესაფერი ეპოქის დამახასიათებელ ადამიანთა ხასიათებს. ლიტერატურულმა ტიპმა, მისი შეხედულებით, თავისთავად უნდა მოგვეგონოს ნაცნობი ადამიანები, მაგრამ მათ შორის განსხვავებაც უნდა იგრძნობოდეს. ეს განსხვავება აუცილებელია იმდენად, რამდენადაც ჩვენ ერთმანეთს ვადარებთ ნაცნობ პიროვნებას, ე. ი. კერძოს, კონკრეტულს და მის მსგავს ადამიანთა ხასიათების გამაერთიანებელ სახეს, ე. ი. ზოგადს.

ჭავჭავაძეს ლიტერატურული ტიპის შესახებ აქვს იგივე შეხედულება, რაც ლოგიკურად გამომდინარეობს ბ. ბელინსკის სიტყვებიდან: „Каждый тип для читателя есть знакомый незнакомый“<sup>2</sup>.

ამგვარად, ი. ჭავჭავაძეს სწორად აქვს გათვალისწინებული ის გარემოება, რომ ტიპიური რეალურ სინამდვილეში და ლიტე-

<sup>1</sup> ი. ჭავჭავაძე. თხზულებანი, 1937, ტ. VI, გვ. 168—169.

<sup>2</sup> В. Г. Белинский. Полное собрание сочинений, под ред. С. А. Венгера, т. II, стр. 224.

რატურული ტიპი ერთმანეთს არ თანაემთხვევიან, მაგრამ მათ შორის არის დიდი მსგავსება.

ტიპიური სახეების გარეშე ი. ქაეკავაძეს არ წარმოუდგენია საერთოდ ხელოვნება. როდესაც ის ხელოვნების თავისებურებაზე ლაპარაკობს, მაშინ ის ფაქტიურად ტიპისა და ტიპიურის შესახებ მსჯელობს. ერთ-ერთ დაუმთავრებელ წერილში ი. ქაეკავაძე სვამს საკითხს: — „რა არის ხელოვნება?“ და ამ კითხვის საპასუხოდ ასეთ განმარტებას აძლევს მკითხველს: „აი, ვსთქვათ, მიღიხარა და ხედავთ ლუსკუმას (статья), მარმარილოდამ გამოკვეთილს ადამიანის სახეს და აგებულებას. თუ ის ლუსკუმა მართლა-და წმინდა ხელოვნებაა, თანდათან უფრო მიგიზიდავთ, იმიტომ რომ იმ მარმარილოდამ თანდათან გამოსკვივის შიგ-მღებარე აზრი, რომელიც თან სულსავით ჩაუყოლებია გამომკვეთსა..., ვსთქვათ, ის აზრი ვაჟაკობის, თავგამოდების, დიდებულების აზრია. რაკი აზრს მიხედვით, მაშინვე იმას ჰგრძნობთ, რომ ამ მარმარილოს სახემ უსიტყვოდ, უთქმელად შეგატყობინათ გამომკვეთელის აზრი. ის აზრი სახეზედ და სახის ნაკვეთებში იყო აღბეჭდილი, მერე ისე ცხადად, რომ თქვენ მაშინვე იცანით. საკვირველია. ქვამ, ქვიდამ გამოკვეთილმა, ისე ცნობიერად როგორ გითხრათ აზრი, რომელიც გამომკვეთსა ჰქონია და სახეზედ აუბეჭდიდა? საკვირველია, ისე როგორ გამოუყვანია სახე, რომ მარტო ვაჟაკობას, თავგამოდებას, დიდებულებას ნიშნავს და სხვა არაფერს? საკვირველია და ამ საკვირველ ებაშია მთელი საიდუმლოება ხელოვნებისა. ვთქვათ, თქვენს სიცოცხლეში გინახავთ ვაჟაკი, დიდებული, თავგამოდებული ადამიანი. ვთქვათ, ამ ლუსკუმის ყურებაზედ მოგავონდათ იმ ადამიანის სახეც და შეხედულუბაცა. ახლა გინდათ, რომ..., ლუსკუმა და იმ ადამიანის სახე ერთმანეთს შეადაროთ. შეადარეთ, მაგრამ ნახავთ, რომ ეს ლუსკუმა ვაჟაკობაში, დიდებულებაში, თავგამოდებაში ჰგავს იმ თქვენს ნაცნობსა და სხვაში სრულიად არა, — ერთის სიტყვით, ეს მარმარილოს სახე იმ კაცის სახე არ არის: ახლა სხვა ვაჟაკის... სახე მოგავონდათ, ახლა ისიც შეადარეთ, — ხედავთ ისევ იმას, რომ ეს ლუსკუმა ვაჟაკობაში, დიდებულებაში, თავგამოდებაში ამასაც ჰგავს, მაგრამ რომ სთქვათ, რომ ეს სახე იმის სახეა, არ არის იმის სახე: ახლა მესამე, ახლა მეოთხე, მთელი ქვეყნის ვაჟაკების... სახეები ამ მარმარილოს სახეს რომ შეადაროთ, არც ერთი არც ეგვანება და ეგვანება კიდევ. გიკვირთ თქვენ, მაგრამ საკვირველი აქ არა არის-რა. ჰგავს იმიტომ, რომ რაც საზოგადო ნიშნები ჰქონიათ მთელ ქვეყნის ვაჟაკებს, დიდებულებს, თავგამოდებულებს, ისინი სულ არიან გამოკვეთილნი ამ

მარმარილოს სახეხედ და ამიტომ ჰგევანან და ამიტომაც ადვილად მიუხვდით გამომკვეთელს აზრსა; და რაც კი კერძობითი ნიშნები ჰქონიათ, რაც კი ერთსა ჰქონია და მეორეს კი არა, იმათთვის გული არ უთხოვებია გამომკვეთსა, ამიტომ არა ჰგავს. რაც საზოგადო ჰქონიათ, ის მოუკრეფია გამომკვეთსა, და რაც კერძობითი, მისთვის თავი დაუნებებია, იმიტომაც ისინი ჰგევანან კიდევ და არცა ჰგევანან. ამ საზოგადო ნიშნების ერთად, წყობილად შეკრეფითა იზომება სიბრძნე და გონიერება ხელოვნისაო...“<sup>1</sup> —დასძენს ი. ჭავჭავაძე.

ამგვარად, ი. ჭავჭავაძე ხელოვნების მთელ საიდუმლოებას ტიპიური სახეების შექმნაში ხედავს. ამასთან, გარკვეული შეხედულება აქვს ტიპიურში კერძოსა და ზოგადის ურთიერთობის შესახებაც.

ინდივიდუალურის, კერძოს გარეშე, ი. ჭავჭავაძის აზრით, არ არსებობს ზოგადი. ზოგადი თავის თავში აერთიანებს ინდივიდუალურ ნიშნებს, მაგრამ ყოველი ინდივიდუალური ნიშანი როდი არის მისთვის საინტერესო. ტიპში შერწყმულია მხოლოდ ისეთი ინდივიდუალური ნიშნები, რომლებიც ზედმეტ-ნაკლებად მაინც არის დამახასიათებელი იმ წრისათვის, რომლის წარმომადგენლაც გამოყვანილია ის. ეს გარემოება კი იწვევს როგორც მსგავსებას, ასევე განსხვავებას ლიტერატურულ ტიპსა და რეალურ სინამდვილეში არსებულ ტიპიურს შორის.

გამოდის რა ტიპიური სახის შექმნის ამ კანონზომიერებიდან, ი. ჭავჭავაძე მწერლის დიდ მიღწევად თვლის ისეთი ტიპიური სახის შექმნას, რომელშიც ყოველი ერის ადამიანი დაინახავს თავისი ხალხის შესაფერი წრის წარმომადგენელს.

„მსოფლიო გენიოსი მწერალნი,—აზრობს ის,—იმიტომ არიან მსოფლიონი, რომ მათს ნახატში რომელი ერისაც გინდათ, იმ ერის კაცს იცნობთ, იმიტომ რომ იგინი ადამიანის საზოგადო ტიპსა ჰქმნიან. ადამიანი ყველგან ყოველით უწინარეს ადამიანია და ადამიანს ხომ არაფერი ადამიანური არ ეუცხოებაო“<sup>2</sup>.

მაგრამ ი. ჭავჭავაძის მხედველობიდან არ რჩება არც ის, რომ ტიპი, მართლთა, ზოგადი სახეა, მაგრამ ამავე დროს—გარკვეული „მეც“, რომელიც პროდუქტია განსაზღვრული დროისა და ადგილისა; რომ ტიპი გამოხატავს საზოგადოებრივი ცხოვრების,

<sup>1</sup> ი. ჭავჭავაძე. თხზულებათა სრული კრებული, 1953, ტ. III, გვ. 472—473.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 168.

კონკრეტულ-ისტორიული ვითარების ყველაზე არსებითს; რომ მას აშკარად ატყვია თავისი ეპოქის, თავისი ხალხის და თავისი კლასის ბეჭედი. ერთი სიტყვით,—მისი გაგებით,—ყოველი ლიტერატურული ტიპი არის გამომხატველი იმ სპეციფიკისა, რომლითაც ხასიათდება ამა თუ იმ ქვეყნის საზოგადოებრივი ცხოვრება განვითარების გარკვეულ ისტორიულ ეტაპზე.

ანდრუაფარ დიდებულძე (გ. ერისთავის „გაყრა“) და ლუარსაბ თათქარიძე (ი. ქავჭავაძის „კაცია-ადამიანი?!)“ მებატონეთა ტიპიური სახეებია, მაგრამ ეს სახეები ქართველ მებატონეებს წარმოგვიდგენენ საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების სხვადასხვა ეტაპებზე. ასევე, თათქარიძე („კაცია-ადამიანი?!)“ და ათანასე ივანეს-ძე („ძველი ღროის მებატონეები“) ორივე მებატონეებია, მაგრამ ერთი, პირველყოფლისა, ქართველი მებატონის ტიპიურ სახეს გვიხატავს, ხოლო მეორე—რუსი მებატონისას.

ყოველ ტიპს, ი. ქავჭავაძის შეხედულებით, თავისი ნაციონალიზმის ბეჭედი ატყვია, მაგრამ ეს ბეჭედი, უპირობოდ, სახის გარეგან მხარეს ემჩნევა და არა მის შინაგან ბუნებას. „ჩვენში—ამბობს ი. ქავჭავაძე—ტყუილებისა და კვიზნა-ბაქიობის ასეთი ფალაღნები არიან, რომ თითონ ფალსტაფი,—ეგ ზოგადი ტიპი ცრუ და მკვებარა კაცისა,—ტაშს დაუკრავს მოწონებისას და შავირდად მიებარება. ნუთუ ეს გარემოება ნებას მისცემს ვისმეს სთქვას: შექსპირმა ფალსტაფით ქართველები გამოსახაო...“

ფალსტაფი ისეთივე შვილია მთელი კაცობრიობისა, როგორც ჰამლეტი, ოტელო, ტარიელი, ავთანდილი და სხვანი ამისთანანი, დიდი შემოქმედების ძალით შექმნილნი. რამოდენადაც მწერალის შემოქმედების ძალი სწვდება ამ ზოგად-კაცობის ტიპსა, იმოდენად მწერალი დიდია, იმოდენად მსოფლიოა. თქმა არ უნდა, რომ ერი, რომელსაც ეკუთვნის ამისთანა მწერალი, თავის სამკაულით აკაზმინებს, თავის საფერავით აფერვინებს პოეტს ყოველს ხატს, ყოველს ნამოქმედარს შემოქმედობისას, მაგრამ ეს მარტო სამკაულია, ფერია და არა იგი შინაგანი ბუნება ხატისა, რომელიც ამ შემთხვევაში ზოგადია და არა კერძო, და რომელიც მარტო თავის საკუთარს კანონებს ექვემდებარებაო“<sup>1</sup>.

ნაწარმოების მხატვრულ და შემეცნებით ღირსებაზე, ი. ქავჭავაძის აზრით, შესაძლებელია ვიმსჯელოთ იმის მიხედვით, თუ რამდენად დასრულებული ტიპიური სახის შექმნა მოახერხა მისმა

<sup>1</sup> ი. ქავჭავაძე. თხზულებათა სრული კრებული, 1953, ტ. III, გვ. 168—169.

ავტორმა. „ზოგადი სახე ადამიანისა, რამოდენადაც... უფრო წვრილ-ზედ დახურდავებული იქნება... იმოდენად შემოქმედობა მწერლისა მაღლიდამ დაბლა ჩამოდის, იმოდენად მწერალი ნიქ-ნაკლებია და დაქვეითებული.

...მწერალმა, თუ სხვა ვინმე ხელოვანმა, რაც უნდა ზედმიწევნით და მშვენიერად გამოხატოს ერთი რომელიმე ცალკედ სახელწოდებული კაცი—ივანე, თუ პეტრე, ყოველთვის უპირატესობა უნდა დაუთმოს იმას, ვინც ზოგადი გამოხატვის შემძლებელია. ამიტომაც, პორტრეტების მხატვარი, დიდად სახელგანთქმულიც და გამოჩენილი, ყოველთვის უმდაბლესია, უმდარესია მასზედ, ვინც ზოგადი კაცის, ტიპის შემოქმედია... ამიტომაც თითონ პორტრეტების წერას, ესე იგი ცალკე კაცის ხატვას, მხატვრობაში უკანასკნელი ადგილი უჭირავს..., რადგან ეს უფრო ისტატობაა, ვიდრე ხელოვნება“<sup>1</sup>.

ერთი შეხედვით ისეთი შთაბეჭდილებაც კი იქნება, რომ ი. ჭავჭავაძე თითქოს დროსა და ადგილს მოწყვეტილი ადამიანის სახის შექმნას მოითხოვდეს, მაგრამ ეს სწორი არაა. „ზოგადი კაცი“ ი. ჭავჭავაძისათვის „ტიპის“ სფონიმი მხოლოდ. და როცა „ზოგადი სახის“ წვრილზედ დახურდავებას ებრძვის, იგი ტიპიური სახეების შექმნას მოითხოვს მხოლოდ; ხოლო ტიპი მას არ ესმის როგორც კონკრეტულ-ისტორიულ გარემოსა და ეროვნულ-კლასობრივ თავისებურებებს მოწყვეტილი რაღაც „ზოგადი სახე“. მაგრამ ი. ჭავჭავაძე ტიპიურად არ თვლის ისეთ სახეს, რომელიც მხოლოდ ქართველ, რუს, ინგლისელ თუ ფრანგ მოქალაქეს წარმოგვიდგენს. ქართველი მწერლის მიერ დახატული მებრძოლი შესაძლოა უფრო მეტად ქართველი მებრძოლის სახეს გვიჩვენებდეს, მაგრამ თუ ის ტიპიურ სიმალემდეა აყვანილი, შეუძლებელია მასში თავის თანამემამულეთა სახე არ დაინახოს სხვა ეროვნების წარმომადგენელმაც. „ვიწრო მოედანი,—ამბობს ი. ჭავჭავაძე,—მარტო პატარა ფალავანის სარბიელია და არა იმისთანა გოლიათისა, როგორც შექსპირია და თუნდაც ჩვენი რუსთაველიცა. რუსთაველის ტიპებს იმ ჰაწია ჭუჭრუტანიდან სინჯვა კი არ უნდა, საიდანაც მარტო ქართლელი, კახელი, იმერელი და სხვა ცალკე სახელწოდებული კაცი დაინახება, არამედ იმ უშველებელ სარკმელიდამ, რომ მთელს კაცად-კაცობას თვალი გადევლებოდესო...“<sup>2</sup>.

<sup>1</sup> ი. ჭავჭავაძე. თხზულებათა სრული კრებული. 1953, ტ. III. გვ. 174—175.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 174.

ი. ქავჭავაძის შეხედულებით, როცა მწერალი ლიტერატურულ ტიპს ქმნის, მაშინ ის ხელმძღვანელობს, პირველყოელისა, საკუთარი დაკვირვებით; ანზოგალებს მას, რაც უნახავს, რაც უგრძენია და გაუზრებია. ამდენად, მის მიერ შექმნილი მხატვრული სახე შეუძლებელია არ იყოს სოციალურ-ისტორიულად კონკრეტული.

ი. ქავჭავაძეს, როგორც ვნახეთ, გარკვეული აზრი აქვს ტიპიური სახის შექმნისა და ტიპიურის მნიშვნელობის შესახებ ლიტერატურაში. მაგრამ კონკრეტულად არაფერი გვითქვამს იმის შესახებ, თუ როგორ აქვს მას წარმოდგენილი ლიტერატურული ტიპის პროტოტიპთა საკითხი, ე. ი. რეალური სინამდვილის როგორ მოვლენებზე დაყრდნობით იქმნება, მისი აზრით, ტიპიური სახეები.

ტიპი, ი. ქავჭავაძის გაგებით, გამოხატავს მას, რაც საზოგადო მოვლენაა, რასაც საზოგადოებრივი მნიშვნელობა აქვს; შემთხვევითისა და გამონაკლისის აყვანა ტიპიურ სიმალლემდე შეუძლებელია და არც საჭიროა. ტიპი—მრავალ მსგავსთა გამაერთიანებელი სახეა; ამაშია მისი დიდი ზემოქმედებითი ძალაც.

ი. ქავჭავაძის მიერ ტიპიურის გაგება ემთხვევა ბელინსკის შეხედულებას ამავე საკითხზე. ბელინსკი წერს: „Что такое тип в творчестве?—человек-люди, лицо-лица, т. е. такое изображение человека, которое замыкает в себе множество, целый отдел людей, выражающих ту же самую идею“<sup>1</sup>.

ი. ქავჭავაძის შეხედულებაზე ამ მიმართულებით ნათელ წარმოდგენას იძლევა „კაცია-ადამიანის“ წინასიტყვაობის ვარიანტები. თავისი მოთხრობის წინასიტყვაობას ი. ქავჭავაძე ასე იწყებს: „სახელი ღვთისა ვახსენე, ავიკიდე გულა-ნაბადი და შევუდექი მგზავრობასა, ... ერთს კარგად მოზრდილს, ხავსმოკიდებულს გუბეს ზედ-წავაწყდი. ამ გუბიდამ მეტად ცუდი ოხშივარი ამოდიოდა...

შიგ მეტად მრავალი ცხოველი მოჩანდა; მათ შორის ორფეხა ცხოველებიც იყვნენ, რომელთაც ჩვენში ადამიანებს ეძახიან. ამ ადამიანებში ნამდვილი კაცებიც მოჩანდნენ, მაგრამ ძალიან ცოტა... ვსთქვი ჩემ-თავად:

—ამ გუბის ამბავი და ხსენება არსად არის: სჩანს მეტად საძაგელი წუმპე ყოფილა, არა ღირსი ხსენებისა. ნეტავი მითხრას ვინმემ, რა უნდა ერქვას ამ საძაგელს, დამყაყებულს, და ერთს ალაგს გაჩერებულ გუბესა?

<sup>1</sup> В. Г. Велликий. Полное собрание сочинений, изд. АН СССР, т. III, стр. 52.

—ამ წუმბეს ქართველები სამასხაროდ ცხოვრებას ეძახიან, როგორც იმ ორფეხა ცხოველებს, რომელნიც შიგა ლპებიან, ადანიანებსა. ქართველი ხომ ოხუნჯია, აქაც კი უოხუნჯია, როგორც ხედავ—ვილაცამ წანიშურჩულა და ზედ დაატანა: ახლო არ ნისვიდო.

არამც თუ ახლო მივედი, შიგ იმ გუბეში შესვლაც კი მოვიწადინე... პინდოდა შემეტყო: ეს გუბე, თუ ცხოვრება, რა თვისებისაა?...

...ხელცარიელი არ მინდოდა რომ გამოვბრუნებულიყავი. ეს თქვი: ერთი ორიოდე ქვემძრომი მაინც დავიჭირო, ... ამ განზრახვით დავიწყე ნადირობა და ერთს ასეთს ტახს წავავლე ხელი, რომ უკეთესი აღარ უნდოდა. წავავლე მაშინვე ყურზედ ხელი და „ვაი-ვაის“ და „მეტყინას“ ძახილით გამოვათრივე ნაპირზედ.

—ვინ ხარ?— ვკითხე მე—რა სულიერი ხარ?

—კაცი ვარ, ადამიანი,—მომიგო იმან.

—რომ არ გეთქო, ღმერთი, რჯული, ვერ მივხვდებოდი. მართლა კაცი ხარ?

—თავი არ მომიკვდება! კაცი ვარ... ყმისა და მამულის პატრონი; ლუარსაბ თათქარიძეს მეძახიან.

—თუ ადამიანი ხარ, მაგ დამპალ გუბეში ბაყაყებთან... რა გინდა?

—ბიქოს!.. მაშ სად უნდა ვიყო?

—კაცებთან თუ კაცი ხარ.

—კაცები არ არიან, რომ აქ არიან? ათასია ჩემისთანა და ათასზე მეტიც. ბრმა ყოფილხარ.

—მაგ გუბეში არიან ისინიცა?

—გუბეში რას ჰქვიან, გიყი ხომ არა ხარ? ჩვენი ცხოვრებაა ეგა...

—კიდევაც იმიტომ მინდა ქვეყანას დავანახვო, რომ ამოტლაპული ხარ გუბეში, რომლისთვისაც შენ სამასხაროდ ცხოვრება დაგირქმევია: იქნება შეგოცხვეს ქვეყნისა და გაირეცხო.

—რალა მე წამავლე, შე უღმერთოვ, ხელი, ათასია სხვა ჩემისთანა.

—აბა უფრო მაგისთვის წავავლე, რომ შენ ათასსა ჰგეცხარ და ათასი შენა! რაც ბევრს ეგვანები, უფრო კარგია“.

ლუარსაბის თანამომძმეები მწერალს სთხოვენ თავი დაანებოს ლუარსაბს, რადგან ისინიც მას ჰგვანან, მაგრამ ეს კიდევ უფრო სიამოვნებს მას: „მეც ეგ მიხარო, რომ თქვენ ესა გგავთ და თქვენ მასა. იმისათვის მეძნელება ამის თავის დანებება, რომ კაი ნიშნულია“.

ეს გრძელი ამონაწერი იმითომ მოვიყვანეთ, რომ უფრო ნათელი გაგვხადა ი. ჭავჭავაძის არა მარტო როგორც თეორეტიკოსის, არამედ როგორც მხატვრის შეხედულება ტიპიურზე.

„რაც უფრო მეტს ემგვანები, უფრო კარგიაო“, — მიმართავს მწერალი თავის მომავალ გმირს, რითაც ააშკარავებს თავის შეხედულებას ტიპიურის შესახებ. მაგრამ არ შეიძლება არ შევნიშნოთ, რომ ი. ჭავჭავაძეს არც „ბევრი“ და არც „ცოტა“ მუდმივ კატეგორიად არ მიაჩნია; ყველაფერი იცვლება, ვითარდება, ამიტომ იცვლება რიცხვიც იმისა, რაც დღეს ბევრი ან ცოტაა.

ი. ჭავჭავაძე, როგორც უკვე ვნახეთ, მწერლობისაგან მოითხოვდა არა მარტო თანადროული ცხოვრების პირუთვნელ და ღრმა ასახვას, არამედ იმ „მომავლის თესლის“ პერსპექტივაში ჩვენებასაც, რომელიც აწმყო ცხოვრების წიაღში იმალებოდა. აქედან გამომდინარე, მას ტიპიურად მიაჩნდა არა მხოლოდ ის, რაც ერთი თვალის გადავლებითაც კი ყველასათვის ადვილად შესაძრწევი იყო, არამედ ისიც, რაც არცთუ ისე ადვილად შეიმჩნეოდა, მაგრამ მომავალი მას ეკუთვნოდა; ყველაფერი მის გამრავლებასა და ზრდაზე მეტყველებდა.

ი. ჭავჭავაძეს რეალისტური ხელოვნების ერთ-ერთ ნიშანდობლზე თვისებად „მომავლის თესლის“ შეცნობა და მისი განვითარებისათვის ხელშეწყობა მიაჩნია; რეალიზმის ცნებაში ის აერთიანებს პროგრესული რომანტიზმის საუკეთესო მხარეებსაც. ეს გარემოება თავს იჩინს მის მხატვრულ შემოქმედებაშიც. ამის საუკეთესო მაჩვენებელია მისი პოემები „აჩრდილი“ და „დედა და შვილი“. რომ არაფერი ვთქვათ ამ მხრივ მეტად საინტერესო მის ლირიკულ ლექსებზე. პოემა „დედა და შვილი“ ი. ჭავჭავაძემ საგანგებოდ დაწერა მომავალი ცხოვრების სურათების საჩვენებლად და ამ პოემის სიუჟეტი პოეტის ილუზიურ ოცნებას კი არ ემყარება, არამედ იმ ისტორიულ კანონზომიერებას, რომლის მიხედვითაც ვითარდებოდა პოეტის თანადროული საზოგადოებრივი ცხოვრება. პოემაში დახატულ დედის სახეში ავტორის თანამედროვეთაგან მხოლოდ ერთეულები თუ იცნობდნენ საკუთარ თავს, მაგრამ ეს ის ერთეულები იყვნენ, რომლებიც ყოველდღიურად მრავლდებოდნენ. ამიტომ მწერალს ის მაინც ტიპიურ სახედ მიაჩნდა. ტიპიურის ასეთი გაგება დამახასიათებელია „თერგდალეულებისათვის“ საერთოდ, რასაც ხელს უწყობდა ისიც, რომ მათ ერთ-ერთ მთავარ საზრუნავს ეროვნული გმირის ძიება წარმოადგენდა; მათი იდეალები მხოლოდ მომავალთან იყო დაკავშირებული.



ტიპური სახეების შექმნის და, საერთოდ, სინამდვილის ასახვის საქმეში ი. ჭავჭავაძე მეტად დიდ მნიშვნელობას აძლევდა. მწერლის ჯანსაღ ფანტაზიას, განზოგადებისა და შორს ხედვის უნარს. ამ მხრივ ის მტკიცედ იდგა თავისი მასწავლებლის ბ. ბელინსკის შეხედულებაზე: „Поэт не может и не должен быть рабом истории, так же как он не может и не должен быть рабом действительной жизни, потому что в том и другом случае он был бы списчиком, копистом, а не творцом“<sup>1</sup>.

ი. ჭავჭავაძის შეხედულებით, მწერალი დაჯილდოებული უნდა იყოს იმის უნარით, რომ „მოგონილი ამბით ცხადჰყოს მართალი“. „ტარიელი, ნესტან-დარეჯანი, ავთანდილი, ფრიდონ, თინათინ,—წერს ის,—არც თავის დღეში ყოფილან და არც არიან..., მაგრამ აბა ნახეთ ჩვენი საკვირველი რუსთაველი როგორ სასწაულ მოქმედობს ადამიანზე, როცა იმათს ცხოვრებას გვიამბობს, მათის ცხოვრების მაჯისცემას გვატყობინებს!... შოთამ მის მიერ მოგონილს ამბავს ისეთი სული ჩაატანა, რომ ამ ჭეშმარიტ სულისაგან თვით არაჭეშმარიტი ამბავი მართალი გვეგონია. აი, ეს არის საოცარი გარდაქმნა, ანუ უკეთ ვთქვათ, ქმნა არ ყოფილისა ყოფილად, (რაც) მარტო შემოქმედს შეუძლიან და ამიტომაც ამ ღვთიურს ძალღონეს ქმნისას შემოქმედებას ეძახიანო“<sup>2</sup>.

არა მარტო „ვეფხისტყაოსნის“, არამედ ისტორიულ თემაზე დაწერილ ნაწარმოებთა შესახებაც ასეთ შეხედულებას გამოთქვამს ი. ჭავჭავაძე. ისტორიულ თემაზე დაწერილი ნაწარმოებისათვის,—მისი თქმით,—მთავარია არა ისტორიული დეტალების ზუსტად გადმოცემა, არამედ ის, რომ გვიჩვენოს „სული და გული ეპოქისა“.

იძლეოდა რა თავის თანამედროვე დრამატურგთა ისტორიული დრამების სუსტი მხარეების დახასიათებას, ი. ჭავჭავაძე შენიშნავდა: „ჩვენ წუნად არა ვსდებთ ავტორებს, რომ დრამის ამბავი (ფაბულა) მოგონილია მათ მიერ. დრამატურგი ისტორიკოსი ხომ არ არის, რომ ისტორია გვასწავლოს, ისტორიული ქრონიკა გვიწეროს. დეე თუნდ ამბავი, არაკი დრამისა თავის საკუთარის ფანტაზიით შექმნას, ხოლო თუ სურს ისტორიული ღირსება მიანიჭოს თავის დრამას, უსათუოდ მოვალეა სული და გული ეპოქისა იმ ამბავში ჩანასკვოს, ჩაჰსახოს და დრამის სელაში გადაგვიხსნას, გადაგვიშალოს საგრძნობელად და დასანახავადო“.

მაგრამ როდის შეძლებს მწერალი მიაღწიოს ისტორიული-

<sup>1</sup> Б. Г. Белинский. Собрание сочинений в трех томах, 1948, т. I, стр. 233.

<sup>2</sup> ი. ჭავჭავაძე. თხზულებათა სრული კრებული, 1953, ტ. III, გვ. 409.

წარსულის ამგვარ გადმოცემას? ანდა როდის შეძლებს სწორად წარმოადგინოს მომავალი ცხოვრების სურათები? მხოლოდ მაშინ, თუ მის მდიდარ ფანტაზიას მხარში უდგას მეცნიერება, რომელიც გზას გაუნათებს შორეული მოვლენების ახსნასა და გაგებაში.

ეპოქალური ტილოებისა და მარად უკვდავი სახეების შექმნა ძალუძს მხოლოდ იმ კალამს, რომელიც პოეტური ფანტაზიით დაჯილდოებულ და მეცნიერულ ქეშმარიტებებს დაუფლებულ შემოქმედს ეკუთვნის,—ასეთია ი. ქავჭავაძის აზრი ამ საკითხზე.

\* \* \*

ი. ქავჭავაძე არ დაკმაყოფილებულა ლიტერატურათმცოდნეობისათვის საინტერესო თეორიული ხასიათის დებულებათა წამოკენებითა და ახსნა-განმარტებით. ქართული ლიტერატურის შენდგომი წინსვლისათვის მან საჭიროდ მიიჩნია ეჩვენებინა განვითარების ის პროცესი, რომელიც ჩვენმა მწერლობამ განვლო ისტორიულად, კერძოდ კი — მეცხრამეტე საუკუნის დამდეგიდან.

თავის ისტორიულ-ლიტერატურული შეხედულებებით ი. ქავჭავაძემ ჩვენს მწერლობას გაუადვილა დანახვა, ერთი მხრივ, იმ ჯანსაღი ლიტერატურული ტრადიციებისა, რომლებიც განვითარებასა და გაღრმავებას იმსახურებდნენ, ხოლო მეორე მხრივ, — შენჩნევა იმ უცხო და არაბუნებრივი ტენდენციებისა, რომლებიც ჩიჩქს სცხებდნენ ქართული ლიტერატურის თვითმყოფადობას და ხელს უშლიდნენ მას ყოფილიყო ეპოქის მოწინავე იდეების სიმაღლეზე.

ბელინსკის ისტორიულ-ლიტერატურული კონცეპციის დახასიათებისას პროფ. ა. ლავრეცკი შენიშნავს: „Отношение литературы к народу — вот та громадной важности проблема историко-литературной концепции Белинского, которая является основой для другого продолжателя его дела — Н. А. Добролюбова“<sup>1</sup>.

თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ ი. ქავჭავაძის ისტორიულ-ლიტერატურული კონცეპციის ამოსავალ წერტილსაც ლიტერატურის საზოგადოებრივ ცხოვრებასთან ერის სასიცოცხლო ინტერესებთან ურთიერთობის გარკვევა წარმოადგენდა. ქართული ლიტერატურის განვლილი გზის შეფასებას ი. ქავჭავაძე ახდენდა ამის მიხედვით, თუ რამდენად წარმატებით ახერხებდა, განვითა-

<sup>1</sup> А. Лаврецкий. Историко-литературная концепция Белинского. См. Сборник статей „Белинский — историк и теоретик литературы“, 1849, стр. 71.

რების სხვადასხვა ეტაპზე, მხატვრული შემოქმედების ხალხურობისა და ნაციონალობის პრობლემის გადაჭრას.

ასეთი მიდგომა ლიტერატურის ისტორიისადმი, ცხადია, გამართლებული იყო საერთოდ და, კერძოდ კი, კრიტიკული რეალიზმის გაბატონებისათვის მებრძოლი შემოქმედის ლიტერატურული ინტერესებით.

ყოველი მწერლის დამსახურებისა და მხატვრული ნაწარმოების ღირსებათა შეფასებას ი. ჰავჭავაძე ისტორიული თვალსაზრისით უდგებოდა; ამ პრინციპით ახდენდა ის ლიტერატურის ისტორიის ცალკეული პერიოდების დახასიათებასაც.

ლიტერატურა, ი. ჰავჭავაძის შეხედულებით, მაჩვენებელია ერის სულიერი და გონებრივი ზრდისა: იგი ის დიდებული საგანძურია, სადაც თავმოყრილია ერის სულიერი კულტურის საუკეთესო ქმნილებანი. მართალია, მათგან ყველას ერთნაირი მნიშვნელობა აღარა აქვს თანამედროვე საზოგადოებისათვის, მაგრამ ბევრი უკვე შევიდა მსოფლიო კულტურის საგანძურში, როგორც ამა თუ იმ ხალხის სულიერი და გონებრივი სიდიადის გამომხატველი შედეგრი.

გოგოლის „რევიზორის“ პირველი წარმოდგენიდან ორმოცდაათ წლისთავთან დაკავშირებით გამოქვეყნებულ სტატიაში ი. ჰავჭავაძე (1886 წ.) წერდა: „პუშკინი, ლერმონტოვი, გოგოლი, ტურგენევი, ტოლსტოი და სხვანი ამგვარნი მოღვაწენი რუსეთის დიდებად, სახელად ცნობილი არიან უკეთესთა რუსთაგან. მათის წყალობით და მეოხებით ევროპამ დღეს სხვა თვალთ შემოხედა. რუსეთის სულიერს ძალ-ღონეს, რომლის გამომეტყველნიც იყვნენ ხსენებულნი დიდბუნებიანნი კაცნი რუსეთისანი. ამისთანა კაცნი მით არიან სახელოვანნი, რომ თუმცა სისხლით და ხორციით ერთს რომელსამე გვარტომობას ეკუთვნიან, მაგრამ თვისის ღვაწლით ამასთანავე გვაჩვენებენ ხოლმე, რით არის მათი გვარტომი თანამოზიარე მთელის კაცობრიობისა და რაგვარი ნაკადული შეაქვს იმ დიდ ზღვაში, რომელსაც კაცობრიობას ეძახიან, რა განძსა და საუნჯეს სდებს იმ მეცნიერებისა და ხელოვნების ტაძარში, რომელიც ყველას ეკუთვნის და რომლის კარი მუდამ ღიაა ყველასათვის ერთნაირად და თანასწორად, მიუხედავად სჯულისა, გვარტომობისა და დიდ-პატარაობისა“<sup>1</sup>.

<sup>1</sup> ი. ჰავჭავაძე. თხზულებათა სრული კრებული, 1953, ტ. III, გვ. 86—87.

ამგვარად, ი. ჯავახიშვილი თვლის, რომ დიდ ეროვნულ მწე-  
რალს ამაგი მიუძღვის არა მარტო თავისი ხალხის, არამედ მთელი  
კაცობრიობის წინაშე, რადგან მას მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს  
ხელოვნების იმ ტაძარში, რომელიც ყველა ხალხს ეკუთვნის.

მოთხოვნის ასეთი სიმაღლიდან ი. ჯავახიშვილი კმაყოფილებით  
აღნიშნავს, რომ ძველი ქართული ლიტერატურის მშვენიერად  
შ. რუსთაველმა ლიტერატურის საკაცობრიო საგანძურში შეიტანა  
უკვდავი „ვეფხისტყაოსანი“, — „ეს უძირო მორევი, ზღვა აზრისა  
და გრძნობისა“.

ასეთ სიდიადეს შ. რუსთაველმა, მისი აზრით, მიადგია  
უკვდავი სახეების შექმნით, მაღალი, ჰუმანური იდეების ქადაგე-  
ბით, ადამიანის გულის ღრმა, ფსიქოლოგიური ცოდნითა და სრულ-  
ყოფილი მხატვრული ოსტატობით; „ვეფხისტყაოსანში“ აისახა  
ავტორის თანამედროვე მოწინავე ქართველი საზოგადოების ფიჭ-  
რი და გრძნობა, მაგრამ მასში აირეკლა იმ ეპოქის ხალხთა სული-  
ერი სიდიადე და მაღალი ადამიანური გრძნობები საერთოდ.

შ. რუსთაველის შემდეგ, ი. ჯავახიშვილის მოწონებას ყველაზე  
მეტად დ. გურამიშვილი იმსახურებს. გურამიშვილის პოეზია მას  
იტაცებს ფორმის სისადავითა და ჯანსაღი დიდაქტიზმით, რომე-  
ლიც დამყარებულია ცხოვრების სინამდვილისა და ადამიანის შე-  
საძლებლობის ღრმა ცოდნაზე.

დ. გურამიშვილის „დიდაქტური პოეზია, — ამბობს ის, — პირს  
არ შეირცხვენს თუნდ ლუკრეცის, ვირგილის და ჰორაციოს დი-  
დაქტურ პოეზიას დაუყენებ პირის-პირო“<sup>1</sup>. დ. გურამიშვილმა, —  
მისი აზრით, — საგრძნობი გარდატეხა მოახდინა ქართული ლექსის  
მხატვრული ფორმის საქმეშიც. კერძოდ, მან „სცადა, თითქმის  
პირველად, ... ევროპეიზმის შემოტანა ქართულ ლექსის გამოთქ-  
მაში“<sup>2</sup>.

ი. ჯავახიშვილს, ბუნებრივია, დ. გურამიშვილში უნდა დაენახა  
საამაყო წინამორბედი. და ეს იმიტომ, რომ დ. გურამიშვილი იყო  
დიდი ეროვნული პოეტი, რომელმაც პირუთენელი შეფასება მისცა  
თავისი დროის ისტორიულ მოვლენებს, ჩვენს მწერლობას შემატა  
უბრალო ხალხის ცხოვრების ამსახველი ნაწარმოებნი და სამწერლო  
ენის გარკვეული დემოკრატიზაცია მოახდინა.

დ. გურამიშვილის შემოქმედება ი. ჯავახიშვილს იტაცებს, პირ-  
ველყოფისა, ცხოვრების რეალიზმის დამაჯერებელი ასახვით.

<sup>1</sup> ი. ჯავახიშვილი. თხზულებათა სრული კრებული, 1953, ტ. III, გვ. 153.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 457.

ი. ჭავჭავაძეს არ შეიძლებოდა გვერდი აეველო სულხან-საბა ორბელიანისა და მისი „სიბრძნე სიცრუის“ მნიშვნელობის ჩვენებისათვისაც. ეს ნიჭიერი მოიგაგარაკე, ღრმა აზრებითა და გადმოცემის დიდი ოსტატობით, თავისი ეპოქის მოწინავე შემოქმედი იყო. ს. ორბელიანმა, დ. გურამიშვილთან ერთად, დიდი ამაგი დასდო ქართული სალიტერატურო ენის განვითარების საქმეს და ახალი შესაძლებლობანი შეუქმნა შედარებით ჩამორჩენილ, პროზაულ ენას.

„საბა-ორბელიანმა რომ თავის ზღაპრები დასწერა, „სიბრძნე სიცრუის წიგნი“ დაარქვა,—შენიშნავს ი. ჭავჭავაძე.—მე ხშირად ჩავფიქრებოვარ ამ უცნაურს სახელს წიგნისას. მართლაც, სადაც სიბრძნეა, იქ სიცრუეს რა ხელი აქვს? სიბრძნესთან სიცრუე რა მოსატანია?... საბა-ორბელიანი—ეს ბრძენი, დარბაისელი კაცი, რათ იკადრებდა სიბრძნეში გაერია სიცრუე?...

...ზღაპარი მოგონილი ამბავია, არა-მართალი, მაშასადამე, სიცრუეა. ამ მხრივ წიგნი საბა ორბელიანისა სიცრუეა...

საბა ორბელიანის სიცრუე. უჰ, რა ცუდი სიტყვაა! ნეტავი ეს სამი სიტყვა ერთმანეთზე გადასაბმელი არ იყოს!... საბა ორბელიანის სიცრუე-მეტეი სულ სხვაა. საბა ორბელიანის. სიცრუე ზღაპარია, არაკია, იგავია. იგავი, არაკი, ზღაპარი (კი) იმისთანა სახეა, კანია აზრისა, რომელიც საკჟუო და საზნეო ჭეშმარიტებას ზედმიწევნით გვიხატავს ხორცშესხმულად, ჭკუას გვასწავლის, გვარიგებს, ზნეს გვიწურთნის, ავსა და კარგს გვანიშნებს ერთმანეთში გასარჩევად... ამ მხრით ზღაპარი, არაკი, იგავი სიბრძნეც არის და სიცრუეც. სიცრუე თითონ ამბავია, სიბრძნე — შიგ ჩასახული აზრია“<sup>1</sup>.

ბრძნული აზრების მქადაგებელი და ეზოპეს ენით მეტყველი ს. ორბელიანი ი. ჭავჭავაძის ყურადღებას, ცხადია, თავისი შემოქმედების რეალისტური ტენდენციებით იმსახურებდა. ამავ ეფუძვლით, მას საგანგებო შესწავლის ღირსად მიაჩნდა ვახტანგ მეექვსისა და არჩილის პოეზია, რომელთაც, მისი თქმით, „ვერაგინ დასწამებს სიმჩატეს აზრებისას და გრძნობისას“<sup>2</sup>.

ამგვარად, თავი რომ დავანებოთ შ. რუსთაველს, ყველა დროისა და ყველა ხალხისათვის საინტერესო დიდ შემოქმედს, ი. ჭავჭავაძე ძველ ქართველ მწერალთაგან წინა რიგში აყენებს

<sup>1</sup> ი. ჭავჭავაძე. თხზულებათა სრული კრებული, 1953, ტ. III. გვ. 406—407.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 153.

მათ, რომლებმაც, სრულიად ღირსეულად, „მართლის მთქმელი პოეტების“ სახელი დაიმსახურეს. ე. ი. იმ მწერლებს, რომლებიც თანადროულ საზოგადოებრივ ცხოვრებას სწავლობდნენ და აფასებდნენ შედარებით ფართო საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, რითაც გზას სწმენდნენ რეალიზმისათვის ქართულ ლიტერატურაში.

ი. ჭავჭავაძე არ ეუთვნოდა მოაზროვნეთა იმ კატეგორიას, რომელსაც ისტორიაში მხოლოდ დადებითი მომენტების დანახვა და წინ წამოწევა ემარჯვება. მისაბაძი ლიტერატურული ტრადიციების გამომზეურებასთან ერთად, ი. ჭავჭავაძე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა იმის გამომელავენებასაც, რასაც მხოლოდ ცუდი გავლენის მოხდენა შეეძლო ლიტერატურის შემდგომ განვითარებაზე.

ცნობილია, რომ ი. ჭავჭავაძემ თავის პირველ კრიტიკულ წერილებშივე მკაცრად გაილაშქრა წერის ჩახრუხადისეული სტილის წინააღმდეგ და მთელი დამაჯერებლობით დაუპირისპირა მას რუსთველური ტრადიცია.

მეთორმეტე საუკუნის ქართული სახოტბო პოეზიის უდიდესი წარმომადგენელი—ჩახრუხადე, ი. ჭავჭავაძის შეხედულებით, უარყოფით გავლენას ახდენდა მწერლობაზე. მისი მიმბაძველები, ყალბი პათეტიკური ტონით დაწერილ ლექსებში, გვერდს უვლიდნენ სინამდვილეს, ჩქმალავდნენ მას, რაც გამომელავენებისა და უარყოფის ღირსი იყო; მათ შემოქმედებაში აზრს რიტორიკა ცვლიდა, გრძნობას—არაგულწრფელობა. მძიმედ და უვარგისად ნიაჩნდა ი. ჭავჭავაძეს ჩახრუხადის ლექსის მეტრიც—ოცმარცვლოვანი შაირი.

ასეთივე უარყოფითი შეხედულებისა იყო ი. ჭავჭავაძე რუსთაველის ეპიგონებზეც, რომლებიც უნიჟოდ ბაძავდნენ მას და თანაც მტრულად იყვნენ განწყობილნი მათ მიმართ, რომლებიც ნოვატორულ გზას ირჩევდნენ. რუსთველური ტრადიციების დაცვას ი. ჭავჭავაძე რუსთველისადმი ბრმა ბაძვაში კი არ ხედავდა, არამედ ადამიანთა ხასიათების ისეთ ღრმა ცოდნასა და მოწინავე იდეების ისეთ ორიგინალურ გადმოცემაში, როგორც ეს თვით რუსთაველმა შეძლო; იგი იბრძოდა მწერლობაში „მოწაფის“ მოწაფუარი გაგების წინააღმდეგ.

ი. ჭავჭავაძე მთელ რიგ კრიტიკულ შენიშვნებს აკეთებს ძველი ქართული პოეზიის იდეისა და ფორმის შესახებაც. მას მიაჩნდა, რომ ამ პოეზიის წარმომადგენელთა ერთი ნაწილი ლიტერატურაში ნერგავდა უიმედობასა და ცრურწმენას. კერძოდ, მღორვა ამ სოფლისადმი, სევდა-მწუხარება ადამიანისა და ამქვეყნიური ცხოვ-

რების ამაოების შესახებ, ნუგეშის თვალთ ცქერა ღმერთისადნი, რომლისგანაც მოელოდნენ საუკუნო განსვენებასა და მართლმსაჯულებას,—აი, რა იყო მისთვის დამახასიათებელი ი. ჭავჭავაძის თქმით.

მოძველებული და მეტად ნაძალადევი იყო მათი პოეზიის ფორმაც. ამ მხრივ ი. ჭავჭავაძეს სრულიად გაუმართლებლად მიანჩნდა გადაჭარბებული „ფიგურობა და ალეგორია“<sup>1</sup>.

მე-19 საუკუნის დამდეგიდან, ი. ჭავჭავაძის შეხედულებით, ქართული ლიტერატურა თანდათანობით თავისუფლდება ასეთი ტენდენციებისაგან და იწყება ე. წ. ეროვპეიზმის გავრცელება ქართული ლექსის განოთქმნაში, რასაც დ. გურამიშვილმა დაუდო საფუძველი; დიდი წვლილი შეიტანეს ამ საქმეში შემდეგ ალ. ჭავჭავაძემ და გრ. ორბელიანმა, ხოლო ნ. ბარათაშვილი მოგვევლინა, როგორც „ბრწყინვალე წარმომადგენელი ევროპეიზმისა“<sup>2</sup>.

„ევროპეიზმში“ ი. ჭავჭავაძე გულისხმობს, პირველყოვლისა, პოეზიის განთავისუფლებას ზედმეტი ფიგურალობისა და ალეგორიულობისაგან, რაც განსაკუთრებულად აღმოსავლური ლიტერატურისათვის იყო დამახასიათებელი. ცხადია, ი. ჭავჭავაძე არ უარყოფდა ფიგურალური და ალეგორიული გამოთქმების საჭიროებას მხატვრულ ლიტერატურაში, მაგრამ ის წინააღმდეგი იყო მათი გადაჭარბებულად გამოყენებისა და ამასთან მოითხოვდა მათ მიეღოთ მეტი ბუნებრიობა, ყოფილიყვნენ მდიდარი შინაარსის გაღმოცემის და არა ე. წ. სიტყვათა თამაშის საშესაბურთო.

საყურადღებოა, რომ ქართველ რომანტიკოსთა წინამორბედად, პოეტური მეტყველების საკითხში, ი. ჭავჭავაძე დ. გურამიშვილს თვლიდა.

მეცხრამეტე საუკუნის დამდეგიდან, როცა საქართველო რუსეთს შეუერთდა და რადიკალურად შეიცვალა ქვეყნის პოლიტიკური ვითარება,—ი. ჭავჭავაძის თქმით,—თითქმის სრულიად შეწყდა იდეური ცხოვრება და პრაქტიკული მოღვაწეობა. ასეთმა მდგომარეობამ, მისი შეხედულებით, გასტანა ოცდაათიანი წლების მეორე ნახევრამდე.

„მართალია,—ამბობს ი. ჭავჭავაძე,—ამ სვენების ხანაშიაც კიდეც დაპნათოდა ჩვენს ცხოვრებას შუქი წინა-დღის ჩამავალის მზისა,... გულში ჩარჩენილნი ანდერძნი კიდეც ასულდგმულებდნენ საზოგადო მოღვაწესა, და თუმცა ამისთანა მოღვაწეებმა ერთად

<sup>1</sup> ი. ჭავჭავაძე. თხზულებათა სრული კრებული, 1953, ტ. III, გვ. 457.

<sup>2</sup> იქვე.

თავი მოიყარეს და იფეთქეს ამ ანდერძების სახელითა, მაგრამ დაჰმარცხდნენ...

...რაკი წარსულის მომხრენი დამარცხდნენ, მთლად დაუფემეს ცხოვრების მოედანი გამარჯვებულთა. მიწყდა ამ ანდერძთა რიხიანი ხმა და მაშინდელმა მოღვაწეებმა ზურგი შეაქციეს წარსულ ანდერძთა დაღაღებას... თუმცა კი გულისტკივილი მათი თესლად დარჩა ცხოვრების ხნულშიო<sup>1</sup>.

აღნიშნული ეპოქის ასეთი დახასიათებისას ი. ჯავახიანი მხედველობაში აქვს 1832 წლის შეთქმულებისათვის მზადება და ის შედეგები, რაც ამ შეთქმულების დამარცხებას მოჰყვა. მაგრამ ეს დახასიათება ვერცთუ სრულად და ზუსტად წარმოადგენს იმდროინდელი იდეური ცხოვრების, კერძოდ კი მწერლობის მდგომარეობას. ამის მიზეზი ისაა, რომ როცა ი. ჯავახიანი ჩვენს მიერ მოტანილ სტრიქონებს წერდა, ჯერ კიდევ არ იყო დაზუსტებული ქართველ რომანტიკოსთა ბევრი საყურადღებო მხატვრული ნაწარმოების დაწერის თარიღი. კერძოდ, იმ დროს მიღებული შეხედულების მიხედვით, ქართველ რომანტიკოსთა ჩვენთვის ცნობილი მხატვრული შემოქმედება შექმნილი იყო მხოლოდ ოცდაათიან წლებში და მის შემდეგ.

თუმცა ი. ჯავახიანი იქვე შენიშნავს, რომ „ჩვენდა სანუგეშოდ, ამისთანა უქმად ყოფნამ, როგორც აზრისამ, ისე საქმისამ, თავი დიდხანს ვერ შეინახა, ვერც შეინახავდა, იმიტომ რომ, რამოდენადაც ხანი მიდიოდა, იმდენად ჩვენობა და უცხოობა თუმცა ერთმანეთს იშენებდნენ, მაგრამ გულში-კი ერთმანეთთან ვერა ჰრიგდებოდნენ.“

ამ ამბავს, რა თქმა უნდა, აზრი უნდა დაეძრა ასე თუ ისე სამოქმედოდ, და ის უპასუხოდ დარჩენილი საკითხი: „ვინა ვართ და რანი ვართ“—ხელახლად უნდა გამოსულიყო მოედანზეო<sup>2</sup>.

„უქმად ყოფნის“ მდგომარეობა, ი. ჯავახიანის შეხედულებით, მწერლობის წყალობით იქნა დაძლეული; და, საერთოდ, ქართულმა საზოგადოებრივმა აზრმა, ნეცხრამეტე საუკუნეში, მწერლობას შეათარა თავი.

„ჩვენს ცხოვრებას, ჩვენს აზრთა სვლას, ჩვენს ზრუნვას და ფიქრსა, მთელის ბუნებითად რთულის ცხოვრების ფართო მოედნიდამ, —წერს ი. ჯავახიანი,—მცირე კუნტულია ჰქონდა დათნობილი ჟამთა ვითარებისაგან. მარტო ამ კუნტულშია გახდა წესა-

<sup>1</sup> ი. ჯავახიანი. თხზულებათა სრული კრებული, 1953, ტ. III, გვ. 203—204.



ქლებელი ჩვენის ცხოვრებისათვის მოღვაწე კაცს თავი ეჩინა. ეს იყო მწერლობა, რომელიც ზრდის და ინახავს ენასა, და რომელმაც ხელახლად სმა ამოიღო ამ საუკუნის ოცდაათიან წლებში... ჩვენმა აზრთა სვლამ, მიმართულებამ, საქმიანობამ აქ შეიფარა თავი და ამიტომ მათის გამონასკვის, ზრდის და მატების ამბავი აქ უნდა ვეძიოთ. აქ გამოჩნდება — გუშინ რას ვსდევდით ახალნიცა და ძველნიც...<sup>1</sup>.

ი. ჭავჭავაძის ეს სიტყვები აშკარად მეტყველებენ იმაზე, თუ როგორ აფასებდა ის მწერლობის როლს ქართული საზოგადოებრივი აზრის წინსვლელობის საქმეში. გასაგებია ისიც, თუ რა მოთხოვნის სიძალიდან სწავლობდა ი. ჭავჭავაძე ქართული ლიტერატურის განვითარების პროცესს მეცხრამეტე საუკუნეში.

მართალია, ი. ჭავჭავაძის შეხედულებით, ქართული მწერლობა მეთვრამეტე საუკუნის დასასრულიდან მეცხრამეტე საუკუნის ოცდაათიან წლებამდე, თითქმის აღარ არსებობდა, მაგრამ ამ გარემოებას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს იმის გასარკვევად, თუ რა აზრისა იყო ის ქართველ რომანტიკოსებზე და ქართველ რომანტიზმზე.

იმის გამო, რომ ქართული ჟურნალ-გაზეთები არ არსებობდნენ და ცალკე წიგნების გამოცემაც არ ხერხდებოდა, ქართველ რომანტიკოსთა პოეტური მოღვაწეობა ოცდაათიან წლებში, — ი. ჭავჭავაძის თქმით, — უფრო შინაური საქმე იყო, ვიდრე საყოველთაო; ერთი სიტყვით, მათ არ ჰყავდათ მკითხველთა ფართო წრე. ამასთან, იმდროინდელი სოციალ-პოლიტიკური ვითარების გავლენით, ვითარდებოდა მხოლოდ ლირიკული პოეზია, რომელიც „უფრო თითონ მწერლის გულთა წვა-დაგვას, ქირსა და ლხინს გვიგალობს, ვიდრე მოაზრე ცხოვრების აზრთა სვლას და წარმატებას“.

ი. ჭავჭავაძე, ცხადია, არ უარყოფს ლირიკული პოეზიის საკიროებასა და მნიშვნელობას, მაგრამ ცხოვრების სინამდვილის ობიექტური ასახვის საქმეში ის მაინც ნაკლებუნარიანად მიაჩნია. „ჩვენ ვერ ვიტყვით, შენიშნავს ის, რომ ამისთანა... მწერლობა მეტი იყოს ადამიანის ერთობ მოწყენილ ცხოვრებისათვის: ქანც-გაწყვეტილი მუშაც კი საკიროებას ჰხედავს დაიტკბოს სიმწარე თავისი ცხოვრებისა სიმღერით და გაიქარვოს თავისი ქირ-ბოროტი, — და ერისათვის რატომ აღარ უნდა იყოს საკირო, თვისთა მწერალთა ტკბილ-გალობით ასე თუ ისე გაიქარვოს კავშიანი. ხოლო ამით იმის თქმა გვინდა, რომ რაკი საზოგადო ცხოვრება ჩვენს კაცს ხელიდამ გამოეცალა, რაკი კაცს ხელთ შერჩა მარტო თავის-

<sup>1</sup> ი. ჭავჭავაძე. თხზულებათა სრული კრებული, 1953, ტ. III, გვ. 207.

თავილა, სხვა რა ექმნა, რომ უსაგნო გარეშემოსაგან ლტოლვილი თვალი—თავის საკუთარს გულში არ ჩაეხედებინა და იქ არ მოეკლა წყურვილი გულისთქმისა და ჭკუა-გონების ხედვისაო“<sup>1</sup>.

ასეთი იყო, ძირითადად, მისი შეხედულებით, ალ. ჭავჭავაძის პოეზია, მაგრამ ამ „ტკბილ მთქმელსაც საყოველთაო უნუგუმყოფამ მაშინდელი დროისამ წარმოათქმევინა... თავისი სამძიმარი, საცა ისმის ეგრეთწოდებული „მოქალაქური გულისტკივილი“ იმის გამო, რასაც გულში იმაღავდა მაშინდელი ცხოვრება“<sup>2</sup>. ი. ჭავჭავაძეს, ამ შემთხვევაში, მხედველობაში აქვს ლექსი—„ვაჰ სოფელსა ამას“... რომელშიც ის ხედავდა „ნათელ სურათს მაშინდელი ყოფაცხოვრებისას“ და მოსწონს, რომ მისი ავტორი ვერ ეგუებოდა არსებულ სინამდვილეს და წინასწარმეტყველებდა—„დრო მოვა და სხვა იქნებაო“.

როგორც თვითონაც შენიშნავს, ი. ჭავჭავაძეს თავის ისტორიულ-ლიტერატურულ წერილებში მიზნად ჰქონდა არა ამა თუ იმ მწერლის შემოქმედების ყოველმხრივი შესწავლა და დახასიათება, არამედ „იმის გამოაკვევა, თუ რამოდენად იზრდებოდა, მატულობდა ჩვენი აზრი, რამოდენად შორს და შორს სცემდა ჩვენი თვალთა-ხედვის ისარი, რამოდენად დიდდებოდა ჩვენი მსოფლმხედველობა; და გუშინდელი რას სთესდა დღეისათვის და დღევანდელი დღე რას ითხოვს ხვალისათვის“<sup>3</sup>.

აქედან გამომდინარე, სრულიად გასაგებია ი. ჭავჭავაძის ისტორიულ-ლიტერატურული კონცეპციის არსი.

ყველა წინამორბედ მწერალს ის ახასიათებს. იმის მიხედვით, თუ რა წვლილი აქვს შეტანილი „რეალური მიმართულების“ ზრდა-განვითარებაში. ამიტომაც, რომ ალ. ჭავჭავაძის პოეზიაში მას მოსწონს, პირველყოვლისა, „ვაჰ სოფელსა ამას...“, რომელშიც ხედავს სათავეს იმ ნაკადისას, რომელიც სამოციან წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა და გაფართოვდა.

გრ. ორბელიანი, —ამბობს ი. ჭავჭავაძე, —აგრძელებდა ალ. ჭავჭავაძის პოეტურ გზას, მაგრამ ის არ ყოფილა უბრალო გამგრძელებელი. მან ქართული პოეზია, თემატიკურად თუ მოტივებით, უფრო მრავალფეროვანი გახადა და წინ წასწია „როგორც 'მინა-არსით, ისე ფორმითაც“. ი. ჭავჭავაძემ მალალი შეფასება მისცა გრ. ორბელიანის მუხამბაზებს ცხოვრების რეალიზმის ჩვენებისა და მდაბიო ხალხის „გულის თქმის“ ოსტატური გადმოცემის გამო.

<sup>1</sup> ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, 1953. ტ. III, გვ. 207.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 210.

გრ. ორბელიანს, ი. ჭავჭავაძის შეხედულებით, ჰქონდა ეპოქის მაჯისცემის შეგრძნობის დიდი უნარი. ჭამიტომაც, მოღვაწეობის ხანგრძლივ გზაზე მას მხედველობიდან არ რჩებოდა საინტერესო მოვლენები. ამ მხრივ ი. ჭავჭავაძეს სანიმუშოდ მიაჩნია გრ. ორბელიანის—„მუშა ბოქულაძე“. როდესაც სამოციან წლებში, ჩვენი ცხოვრების სინამდვილეში, მუშა გამოჩნდა,—წერს ი. ჭავჭავაძე,—„ფხიზელმა პოეტურმა ალლომ გრ. ორბელიანისამ არც აქ იმტყუენაო“. მაგრამ ი. ჭავჭავაძეს არც ის დარჩენია შეუნიშნავი, რომ გრ. ორბელიანმა მუშის სახეს „თავისებური შუქი მიაფინა“. „თავისებურს ვამბობთ იმიტომ,—წერდა ის,—რომ მუშა, სამოციან წლებში... უფრო ხორციელების უნუგეშობას უჩივის, და გრ. ორბელიანის ბოქულაძე კი ჰკენესის სულიერობის შევიწროებისთვისო“<sup>1</sup>.

ი. ჭავჭავაძე თავის წერილებში საგანგებოდ გახაზავდა იმ მნიშვნელობას, რომელიც გრ. ორბელიანის პოეზიას ჰქონდა ეროვნული გრძნობის წინ წამოწევისათვის. ამ მიმართულებით, გრ. ორბელიანი მას სამოციანელთა საამაყო წინამორბედად და თანამებრძოლადაც კი მიაჩნია. „სიყვარულმა მამულისამ, სამშობლო მიწისამ... სულით და გულით მიიზიდა პოეზია გრ. ორბელიანისა, და ამ სიყვარულის გასაღვიძებლად და დასანერგად, ახლებთან ერთად, არა ერთი და ორი უთქვამს თავის მშვენიერის ლექსითა. მამულისშვილობას გრ. ორბელიანმაც შთაჰბერა იგი ღონიერი სული, რომელმაც, როგორც სამოციან წლებში, ისეც მერმე, ჩვენს პოეზიას განსაკუთრებული მიმართულება დაუნიშნაო“.

გრ. ორბელიანმა თავისი პოეზიით გვიანდერძა—„ხსოვნა არ დაეკარგოთ წარსულისაო“,—დასძენს ი. ჭავჭავაძე; მაგრამ მას უფრო მეტად პატრიოტი პოეტის კეთილშობილი ეროვნული იდეალი მოსწონდა. ეს იდეალი.—მისი გაგებით,—გრ. ორბელიანმა გამოხატა ლექსში—„თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“, სადაც ის გამოთქვამს თავის სურვილს: ივერია „აღსდგეს ძლიერი და დადგეს ერთად სხვა ერთა შორისო“.

გრ. ორბელიანის „მუშა ბოქულაძესთან“ დაკავშირებით, ი. ჭავჭავაძე გამოთქვამს მეტად საინტერესო შეხედულებას თეთრი ლექსისა და ქართულ მეტყველებაში მახვილის არსებობის შესახებ. გრ. ორბელიანმა,—შენიშნავს ის,—„დაგვანახვა პირველი, მაგრამ საუცხოვო და შეუდარებელი მაგალითი ქართულის ურითმო ლექს“.

<sup>1</sup> ი. ჭავჭავაძე. თხზულებათა სრული კრებული, 1953, ტ. III, გვ. 228.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 230.

სისა, არა იამბიკოს მსგავსისა, და მით დაგვიმტყიცა, რომ ქართულს სიტყვასაც თავისი ასამაღლებელი ხმა ჰქონია, ეგრე საქირო ლექსთა-წყობის ხმოვანებისა და მუსიკისათვის. მან ამით გვაჩვენა, რომ ქართულადაც შესაძლოა ურითმო ლექსი, ეგრეთწოდებული „თეთრი ლექსთწყობა...“

მართალია, „მღუშა ბოქულაძე“ არ ყოფილა პირველი მაგალითი თეთრი ლექსისა, რომელიც ჯერ კიდევ ა. ქავჭავაძემ გამოიყენა თავის თარგმანებში, მაგრამ საუცხოო მაგალითი უდავოდაა. მეტად საყურადღებოა ის ფაქტი, რომ თეთრი ლექსის საკითხს ი. ქავჭავაძე უკავშირებს მახვილს ენაში.

ქართველ რომანტიკოსთა შორის ი. ქავჭავაძე განსაკუთრებულ მნიშვნელობას მაინც ნ. ბარათაშვილს ანიჭებდა. ნ. ბარათაშვილი, — მისი შეფასებით, — უფაქიზესი გრძნობისა და ღრმა აზრების მქონე პოეტია, რომელმაც თავისი ადგილი დაიჭირა უნიკიერეს პოეტთა შორის.

მართალია, ნ. ბარათაშვილს გვერდი არ აუვლია სატრფიალო ლექსების წერისათვის, მაგრამ ალ. ქავჭავაძისა და გრ. ორბელიანისაგან განსხვავებით, „იგი უფრო სულის მშვენიერებას ჰხდიდა ტრფიალების საგნად, ვიდრე ხორცისას“. საერთოდ, ი. ქავჭავაძის შეხედულებით, „იგი მით იყო უფრო ძლიერი ლირიკაში ალ. ქავჭავაძესა და გრ. ორბელიანზედ, რომ მისნი გულისთქმანი, მისნი გრძნობანი, მისნი ქირნი და მწუხარებანი უფრო საყოველთაო, საკაცობრიონი არიან, ვიდრე კერძონი, ვიდრე მარტო მის საკუთარ გულისანი. მისი კენესა კაცობრიობის კენესაა, მისი ჩივილი კაცობრიობის ჩივილია, მისი ვერ მიწვდენა სურვილისა კაცობრიობის უღონობაა“<sup>1</sup>.

ამგვარად, ნ. ბარათაშვილის ლირიკა ი. ქავჭავაძისათვის, პირველყოფლისა, იმიტომაა შეუდარებლად მდიდარი და მარად უკვდავი, რომ მასში ასახულია ფართო საზოგადოებრივი ტყივილები და გულისთქმანი, კერძო და საზოგადო მწუხარება და სურვილები; ნ. ბარათაშვილის ლირიკა ვერ თავსდება ვიწრო ჩარჩოებში, — პირად განცდათა სფეროში.

ნ. ბარათაშვილი, როგორც ეს ქეშმარიტ კლასიკოსს შეფერის, უაღრესად ეროვნული პოეტია. მის პოეზიაში დიდი ოსტატობითაა გადმოცემული პოეტის თანამედროვე ქართული სინამდვილის კოლორიტი და საზოგადოებრივი აზრის მიმართულება. ეროვნული მოტივის გაშლისას ის რეალიზმამდე მალდდება; მებრძოლი რომანტიზმის სახელოვანი წარმომადგენელი ხშირად გვევ-

<sup>1</sup> ი. ქავჭავაძე. თხზულებათასრული კრებული, 1953, ტ. III, გვ. 211.

ლინება რეალიზმის პრინციპების დამცველადაც. ამიტომაც, რომ ი. ჭავჭავაძეს ნ. ბარათაშვილი, სრულიად სამართლიანად, მიაჩნია ყველაზე ღიდ ფიგურად ჩვენს მწერლობაში შ. რუსთაველის შემდეგ. მისი თქმით, ნ. ბარათაშვილი „ერთადერთი მწერალია, რომელიც სხვაზედ უფრო მეტად, სხვაზე მკაფიოდ და თვალნათლად ატრიალებს ჩვენს აზრს და ცნობის წყურვილს იმ თვალ-გაღუწვდენელს სფეროში, საცა ზოგად კაცობრიობის დაუსრულებელი საქირბოროტო კითხვა-პასუხია რწმენისა და არ-რწმენისა...“, საცა ლაღადებაა ყოველგვარ სულისკვეთებისა და ვნებათა ლელვისა“<sup>1</sup>.

აღ. ჭავჭავაძეს, გრ. ორბელიანსა და ნ. ბარათაშვილს ი. ჭავჭავაძე თითქმის არასოდეს არ იხსენიებს რომანტიკოსებად. მართალია, მათი პოეზიის დახასიათებისას ი. ჭავჭავაძეს ეძინევა, რომ მათ პოეტურ ნიმუშებში რომანტიზმის აშკარა გამოვლენას ხედავს, მაგრამ მას ეს არ მიაჩნია წამყვანი მნიშვნელობის მოვლენად. ამიტომაც, წმინდა წყლის რომანტიკოსად იგი მხოლოდ ვახტანგ ორბელიანს თვლის.

„ვახტანგ ორბელიანი,—ამბობს ის,—ნამდვილი ლირიკოსია რომანტიკულ სკოლისა. ეგრეთწოდებულ „რომანტიზმს“ იგი ჰყავს ჩვენში თითქმის ერთადერთი წარმომადგენელი. ერთადერთს ვამბობთ იმიტომ, რომ მისი პოეზია ამ მხრით თითქმის შეუჩეველია და აუქრელელებელი“<sup>2</sup>.

ამგვარად, ი. ჭავჭავაძე ვახტანგ ორბელიანს იმიტომ თვლის რომანტიზმის ერთად-ერთ წარმომადგენლად ქართულ ლიტერატურაში, რომ ის მთლიანად პასიური რომანტიზმის პოზიციებზე იდგა და მისი პოეზიისათვის უცხოა აქტიური რომანტიზმისა და რეალიზმის ელემენტებიც კი. რაც შეეხება აღ. ჭავჭავაძეს, გრ. ორბელიანსა და ნ. ბარათაშვილს, რომელთა შემოქმედებაში იშვიათად ვხვდებით პასიური რომანტიზმისათვის დამახასიათებელ განწყობილებებს და რეალიზმის ტენდენციებიც აშკარად შეიმჩნევა,—ი. ჭავჭავაძე მათ რომანტიკოსებად არ იხსენიებს. აქედან გამომდინარე, ის დასკვნა უნდა გავაკეთოთ, რომ ი. ჭავჭავაძე მეტად ღიდ განსხვავებას ხედავდა აქტიურ,—მებრძოლ და პასიურ,—რეაქციულ რომანტიზმს შორის. და თუ ეს განსხვავება მის წერილებში შესაფერი ტერმინოლოგიით არაა გამოთქმული, სამაგიეროდ მის მსჯელობებს, ობიექტურად, მაინც ამ შეხედულებამდე მივყავართ.

<sup>1</sup> ი. ჭავჭავაძე. თხზულებათა სრული კრებული, 1953. ტ. III, გვ. 219.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 243.

ი. ქავჭავაძემ უდავოდ სწორად შენიშნა ვახტანგ ორბელიანის პოეზიის წამყვანი ტენდენცია, როცა აღნიშნა: „უმთავრესი ძარღვი ვახტანგ ორბელიანის პოეზიის ერთი გულსაკდომი, მაგრამ გულწრფელი გოდებაა წარსულისათვის; თითო სიტყვა მის უკეთეს ლექსებისა თითო ცალკე მარგალიტია ცრემლისა, ღრმად ნატყენ გულისაგან წარმოდინებული“<sup>1</sup>. ვახტანგ ორბელიანის პოეზიაში,— ი. ქავჭავაძის თქმით,— „სასოწარკვეთილებალა ჰლალადებს მთელი თავის საშინელი ზარითა“<sup>2</sup>.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ი. ქავჭავაძე კარგი შეხედულებისა იყო ვახტანგ ორბელიანის პოეზიის მხატვრული მხარის შესახებ. კერძოდ, ლექსის— „იმედის“ შესახებ ის შენიშნავს, რომ „ერთი უწარჩინებულესი მარგალიტია ქართულ პოეზიაში“.

არ შეიძლება არ აღენიშნოთ. რომ ი. ქავჭავაძე, თავის ისტორიულ-ლიტერატურულ წერილებში, ნეტ ყურადღებას უთმობს ძველი ქართული მწერლობისა და რომანტიზმის წარმომადგენელთა შეფასება-დახასიათებას, ვინემ ორმოცდაათიანი წლებისა და თავის თანამედროვე რეალისტთა შემოქმედებითი პრინციპების გარკვევას. ეს კი გამოწვეული უნდა იყოს იმით, რომ რეალიზმის თეორიის საკითხებზე მსჯელობისას, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, ის მათ შესახებაც ლაპარაკობდა.

მიუხედავად ამისა, მას მაინც საყურადღებო შეხედულებები აქვს გამოთქმული გიორგი ერისთავის, ზურაბ ანტონოვისა და რაფიელ ერისთავის შემოქმედებათა შესახებ.

გიორგი ერისთავის ღვაწლი ქართული კულტურისა და ლიტერატურის წინაშე,— ი. ქავჭავაძის დახასიათებით,— მეტად დიდი და მრავალმხრივია. ის იყო დამაარსებელი და რედაქტორი პირველი „სალიტერატურო ეჟრნალის“ („ცისკარი“), რომელმაც „აკვნობა გაუწია იმ ყმაწვილ მწერლებს, რომელთაც მერე, სამოციან წლებში, წინანდელ მწერლებთან ერთად, ისეთი ძლიერი ტალღა ჰკრეს ჩვენს აზრთა დენასა“<sup>3</sup>. ამასთან, მან „შეჰქმნა ქართული თეატრი და სათეატრო მწერლობის მამამთავრად მოგვევლინა“.

გ. ერისთავი, როგორც დრამატურგი,— ი. ქავჭავაძის შეხედულებით,— მით არის შესანიშნავი, რომ საფუძველი ჩაუყარა რეალიზმს ქართულ ლიტერატურაში; შეცვალა ჩვენი მწერლობის მიმართულება და „მარტო განტოლვილ ფიქრებში წასული ჩვენი

<sup>1</sup> ი. ქავჭავაძე. თხზულებათა სრული კრებული, 1953, ტ. III, გვ. 240.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 241.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 221.

გონება ჩვენს შინა-ცხოვრებას დააკვირვა“<sup>1</sup>. გარკვეული სიახლით ხასიათდება გ. ერისთავის პოეზიაც, რამდენადაც მან „ჩვენს პოეზიას ჩაუმატა ის პირწვეტიანი ეკალი, რომელსაც „სატირას“ ეძახიან“<sup>2</sup>.

ი. ქავჭავაძე გ. ერისთავს ახასიათებს როგორც ახალი მიმართულებისა და საკუთარი სკოლის შემქმნელს ჩვენს ლიტერატურაში. ამ სკოლის ერთ-ერთმა ნიჭიერმა წარმომადგენელმა ზ. ანტონოვმა,—მისი თქმით,—შემდეგ კიდევაც გაუსწრო თავის მასწავლებელს, რამდენადაც მან „მდაბიო ხალხის ყოფა-ცხოვრება, ავკარგიანობა, მისი ზნე-ჩვეულება ცოტად თუ ბევრად დაგვანახვა“<sup>3</sup>.

უდავოდ სწორი და ლიტერატურის ისტორიკოსისათვის სახელმძღვანელო შენიშვნები გააკეთა ი. ქავჭავაძემ რ. ერისთავის ადგილის შესახებ ქართულ ლიტერატურაში.

ი. ქავჭავაძის შეხედულებით, რ. ერისთავი ორმოცდაათიანი წლების ქართველ რეალისტთა სკოლას ეკუთვნის. როგორც მხატვარი და მოაზროვნე ის ამ პერიოდის რეალიზმის წარმომადგენელია, რომელმაც დიდი როლი შეასრულა ქართული პოეზიის რეალისტურ პრინციპებზე დაყენების საქმეში. კერძოდ, მან როგორც ლირიკოსმა პირველი სიტყვა თქვა ბატონყმური სისტემის წინააღმდეგ და სოციალური უკუღმართობით განაწამები ხალხის დასაცავად.

სამწუხაროდ, რ. ერისთავს ჩვენმა ლიტერატურის ისტორიკოსებმა მაინც ვერ მიუჩინეს თავისი ადგილი. ი. ქავჭავაძის, აკ. წერეთლისა და გ. წერეთლის მიერ სახელოვან წინამორბედად აღიარებული პოეტი, უკანასკნელ დრომდე, ისწავლება როგორც ოთხმოციანი წლების მოღვაწე. ერთი სიტყვით, ქართული ლიტერატურის ისტორიაში მისი ადგილის განსაზღვრის საქმეში მეტი როლი ითამაშა პოეტის სიცოცხლის ხანგრძლიობამ, ვინემ მისმა სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლის დრომ და შემოქმედების იდეურ-მხატვრულმა თავისებურებამ.

60-იანი წლებისა და შემდგომი პერიოდის ქართული ლიტერატურის დახასიათებას ი. ქავჭავაძე ზოგად ხაზებში იძლევა მხოლოდ და არ ჩერდება ცალკეულ მწერალთა დამსახურების შეფასებაზე. ეს იმითაც უნდა იყოს გამოწვეული, რომ აღნიშნული ეპოქა ქართული ლიტერატურის განვითარების ისტორიაში, ძირითადად, ი. ქავჭავაძის ეპოქა იყო. ნიშანდობლივია ისიც, რომ ქართული

<sup>1</sup> ი. ქავჭავაძე. თხზულებათა სრული კრებული, 1953, ტ. III, გვ. 222.

<sup>2</sup> იქვე.

<sup>3</sup> იქვე.

ლიტერატურის ისტორიაში, 60-იანი წლებიდან 90-იან წლებამდე, ის არ ხედავდა ცალკეულ პერიოდებს.

ი. ქავჭავაძის აზრით, ყველასათვის „თვალ-ნათლად დასანახია, რომ სამოციან წლებში ახალი ხანა დაწყებული იქნა“<sup>1</sup>. სამოციანი წლები და მისი მომდევნო პერიოდი ქართულ ლიტერატურაში, — მისი თქმით, — ნაყოფიერი და მდიდარი ხანა იყო.

„სამოციან წლებში, — წერს ი. ქავჭავაძე, — ყველაზე უწინარეს გამობრწყინდა დაფიწყებული სიტყვა „მამული“ მთელის თავის გულთ-მიმზიდველ და დიდებულ მნიშვნელობითა, ... რაკი „მამულს“ ბინა დაედვა ქართველთა გულში, მისმა ცხოველმყოფელმა სიტბომ და ნათელმა მთელი მრავალგვარობა ჩვენის ცხოვრების გაუთვალისწინა თვითეულს მოღვაწეს ცალკე და ყველას ერთად“<sup>2</sup>.

ამგვარად, ამ პერიოდის ქართული მწერლობის მთავარ დამახასიათებელ ნიშნად, ი. ქავჭავაძეს, ეროვნული კითხვის თავისუფლებებში აღდგენა მიაჩნდა. მართლაც, უდავოა, რომ „თერგდალეულთა“ შემოქმედების მთავარ მოტივს ეროვნული მოტივი წარმოადგენს, რაც კანონზომიერ მოვლენად უნდა ჩაითვალოს იმდროინდელი ჩვენი ლიტერატურისათვის.

ცხადია ისიც, რომ ეროვნული თავისუფლების იდეას ქართველი სამოციანელები მკიდროდ უკავშირებდნენ შრომის განთავისუფლების საკითხს და სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლას საერთოდ. ეს გარემოება აქვს მხედველობაში ი. ქავჭავაძეს, როცა ამბობს, რომ 60-იან წლებში „არ დარჩა არც ერთი მცირეოდენი კუნჭული მოსაქმე ცხოვრების, რომ ან ერთს, ან მეორე მწერალს, ძველსა თუ ახალს, თავისი კალმის წვერი არ მიეწვდინა და დიდი ხნიდან დადებული ჩივილი და ჩაგრაულ ადამიანობისა, მთა-ბარობა, უსწორ-მასწორო ცხოვრებისა — არ გაეხადნა თავისი დაკვირვების და გულისთქმის საგნადა და ყოველივე ეს თავის კალმის წვერზე არ აეგო“<sup>3</sup>.

პატრიოტული გრძნობის გაღვივებამ და გაძლიერებამ, — ი. ქავჭავაძის აზრით, — გამოიწვია ის, რომ სამშობლო ქვეყნის „წარსული, მისი აწმყო და მერმისი, კვლევისა და გამოძიების საგნად შეიქმნა, ... ზოგი წარსულით გვინათებდა, ამ საკითხს, ზოგი აწმყოს განკითხვითა, ზოგი მერმისის გამოსახვითა. პროზით თუ

<sup>1</sup> ი. ქავჭავაძე. თხზულებათა სრული კრებული, 1953, ტ. III, გვ. 225.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 225.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 225—226.



ლექსით, ყველა ჰლალადებდა ადამიანობის დარღვეულ უფლების სახელითა და თვით მოსაქმე ცხოვრების განკარგულების წყურვილითა. ამ ეგრეთწოდებულმა „რეალურმა მიმართულებამ“ ჩვენი აზრიანობისამ ჩვენი გონება დააკვირვა ჩვენს მიწიერ ავ-ქარგია-ნობას და სამოციანი წლებიდან დღევანდლამდე, ამ ოცდაათის წლის მანძილზე, ბევრი საყურადღებო ღვაწლი დასდო, ბევრი ნა-ყოფიერი თესლი დაჰყარა სამერმისოდო<sup>1</sup>.

ამგვარად, ი. ჯავჭავაძე 60-იან წლებს აფასებს როგორც ახალი ხანის დასაწყისს ქართული ლიტერატურის განვითარების ისტორიაში. ამასთან, მას არა ერთხელ მიუთითებია, რომ „ისტორიაში არც ერთი მაგალითი არ არის, რომ ახალი მიმართულება პირველ ხანებშივე ადვილად იკაფავდეს გზას“<sup>2</sup>; რომ „აზრთა მოძრაობაში, როგორც ყველაფერი ქვეყანაზედ, ერთი მეორეს ადგილს არ უთმობს უომრად, უბრძოლველად“<sup>3</sup>.

მიუხედავად ამისა, ი. ჯავჭავაძის სტატიათა სერიაში – „წერილები ქართულ ლიტერატურაზე“ ვხვდებით ისეთ ფრაზებს, რომლებშიც ავტორი თითქოს უარყოფს 60-იან წლებში გაჩაღებულ იდეურ-ლიტერატურული ბრძოლის მკაცრ ხასიათს და მის განსაკუთრებულ მნიშვნელობას. ცხადია, ეს ერთგვარ გაუგებრობას ბადებს იმ მკითხველში, რომელიც კარგად იცნობს აღნიშნული ბრძოლის ისტორიას.

მაშ რაშია საქმე, რატომ იქცევა ასე ი. ჯავჭავაძე?

ამ კითხვას რომ სრული და დამაჯერებელი პასუხი გაეცეს, საჭიროა გათვალისწინებულ იქნას სამი მომენტი: 1. სტატია, რომელშიც ასეთი აზრია გატარებული, გამოქვეყნებული არ ყოფილა და ი. ჯავჭავაძის თხზულებებში შევიდა ავტორის გარდაცვალების შემდეგ, მოღწეული შაჟი ვარიანტის საფუძველზე. ის ფაქტი, რომ ამ სტატიის გამოქვეყნება საჭიროდ არ მიიჩნია ი. ჯავჭავაძემ (რომელიც იმ დროს „ივერიის“ რედაქტორი იყო), თავისთავადაც ბევრს ლაპარაკობს.

2. ი. ჯავჭავაძეს აღნიშნული სტატიები დაუწერია იმასთან დაკავშირებით, რომ ოთხმოცდაათიან წლებში ძალიან გახშირდა „ძველ“ და „ახალ“ თაობებზე, „მამებსა“ და „შვილებზე“ ლაპარაკი. და, რაც მთავარია, ყოველი ახალი თაობა, რომელიც სამოღვაწეო ასპარეზზე გამოდიოდა, წინა თაობას „ძველს“ უწოდებდა

<sup>1</sup> ი. ჯავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული, 1953, ტ. III, გვ. 226.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 418.

<sup>3</sup> ი. ჯავჭავაძე, ნაწერების სრული კრებული, 1927, ტ. VI, გვ.

და ხშირად ამ მარტივი საბუთით სურდა საკუთარი უპირატესობის დადასტურება. ამის გამო, „ახალი თაობისა“ და „შვილების“ სახელით ცნობილ სამოციანელებსაც, ამ დროისათვის, უკვე „ძველი თაობის“ სახელით იხსენიებდნენ პრესის ფურცლებზე.

მათთან პოლემიკის პროცესში ი. ჯავჭავაძე, გასაგები მიზეზის გამო, არც თუ დიდ პოპულარიზაციას უწყევდა თაობათა შორის ბრძოლის საკითხს საერთოდ და აქცენტს იმაზე აკეთებდა, რომ 60-იან წლებშიც ახალი თაობის წინააღმდეგ ძველი თაობის ყველა წარმომადგენელი როდი გამოსულა.

3: როდესაც ი. ჯავჭავაძე იმ აზრს გამოთქვამს, რომ „მამათა და შვილთა“ ბრძოლა არ ყოფილა ქართულ ლიტერატურაშიო, მას ეს გარემოება სრულიად სხვაგვარად ესმის, ვიდრე ამას ზოგიერთი ჩვენი ლიტერატურის ისტორიკოსი განმარტავს. უფრო სწორად, ი. ჯავჭავაძე ამით 60-იან წლებში იდეურ-ლიტერატურული ბრძოლის ფაქტს კი არ უარყოფს, არამედ ამ ბრძოლის თავისებურ ხასიათზე მიუთითებს მხოლოდ. კერძოდ, ის უარყოფს ქართულ ლიტერატურაში ისეთი ბრძოლის არსებობას, რომელიც რუსული ლიტერატურის სინანდილეში ცნობილი იყო „მამათა და შვილთა“ ბრძოლის სახელით. თუ როგორ აფასებდა ამ ბრძოლას ი. ჯავჭავაძე, ამაზე ნათლად მეტყველებენ მისივე სიტყვები: „მინამ სახელოვანი Современник-ი თავში ედგა მას, რაც მერე „შვილებს“ ბანაკად გადაიქცა, — ამბობს ი. ჯავჭავაძე, — დედის უარყოფას დამჯდარი ქჟუა და მეცნიერება წინ მიუძღოდა და ახლის მესვეურობა თავმინებებული არ იყო. ტურგენევიმა რომ ყოვლის უარყოფელი ბაზაროვი გამოხატა, Современник-მა თავის მოძმედ არ მიიღო და ითაკილა... პისარევი კი ბაზაროვი გულში ჩაიკრა და თავისიანად მიიჩნია. რათ მოხდა ესე? იმიტომ, რომ Современник-ის უარყოფა კარგისა და ავის გარჩევით იყო და პისარევისა... ბაზაროვისავეთ ავისა და კარგის გაურჩეველი“<sup>1</sup>.

აქედან აშკარაა, რატომღა წინააღმდეგი ი. ჯავჭავაძე, რომ 60—70-იან წლებში გაშლილ იდეურ-ლიტერატურულ ბრძოლას „მამათა და შვილთა“ ბრძოლა ეწოდოს და ეს ბრძოლა გავებულ და შეფასებულ იქნას ისე, როგორც ტურგენევის მიერ დახატული „მამათა და შვილთა“ ურთიერთობა.

ი. ჯავჭავაძე არც იმას უარყოფდა, რომ ე. წ. ნილილიზმს ჩვენშიც გაუჩნდნენ ბრმად მიმბაძველნი. ამასთან, ამ მიმართულეობასაც ის ისტორიული თვალსაზრისით უდგება და შენიშნავს:

<sup>1</sup> ი. ჯავჭავაძე. ნაწერთა სრული კრებული, 1827, ტ. VI, გვ. 125.

„არც იმის თქმა გვინდა, რომ უარყოფელს მიმართულებას კარგი არა მოუტანია. რა. ბულბულივით უაზრო გალობას პოეზიისას კრიკა აუკრა და მაღა წაართვა, ავტორიტეტებზედ დანდობა ბრმად საიქიოს გაისტუმრა, ისტორიის, დიდკაცების ცუდლუტობის მაგიერ, საგნად ერის ყოფაცხოვრება მისცაო“<sup>1</sup>.

ი. ჭავჭავაძის შეხედულებით, ქეშმარიტი ქართველი მოღვაწეები თავიდანვე სწორ გზაზე იდგნენ. ისინი „დააკვირდნენ ჩვენი ქვეყნის ვითარებას და ნახეს, რომ ჩვენს ქვეყანას სულ სხვა ტიპილი აქვს... სცნეს, რომ ჩვენებური დღევანდელი დღე სულ სხვასა თხოულობს... და თუ აქაც ბედისწერას ისე არ გადავრჩებოდით, რომ „მამა შეილობა“ არ გამართულიყო, ბრძოლის საგნად ის „სხვა რამე“ უნდა ყოფილიყო, ... ის „სხვა რამე“ იყო — ჩვენი დაცემული ვინაობის აღდგენა, ფეხზედ დაყენება და დაცვა ყოველის მოსალოდნელის ფათერაკისაგან...

...მაგ ახალმა მიმართულებამ დაიპყრო მთელი ჩვენი ღარიბი ლიტერატურა. — „საქართველოს მოამბე“, „მნათობი“, „დროება“ და ბოლოს „ივერია“ სულ მაგ მიმართულების ბუკსა და ნალარას სცემდნენ. საუკეთესო წარმომადგენელი ჩვენი პოეზიისა სულ მაგას გვამხელდნენ, მაგას გვიგალობდნენ დღეს — აქამომდე...

...ეგ მიმართულება იქნება ახალი იმ დრომდე, მანამ ჩვენი ვინაობა თავის შესაფერს და კუთვნილს ადგილს არ დაიკერს ჩვენს ცხოვრებაში და საზოგადო საქმეთა სათავეში არ მოექცევა. სხვა საგანი ამაზედ უმძიმესი, ამაზედ უსაჭიროესი არა აქვს ეხლანდელს საქართველოს შვილს. ყველა, ვისაც რამ შეუძლიან, ამ მიმართულების ქვეშ უნდა მოიყაროს თავი და ერთად, ძმურად იმოქმედოს. ყოველი საქმე, ყოველივე საგანი, რაც ჩვენი ცხოვრების მიმავლობაში თავისით თუ სხვისით აღმოჩნდება, სულ ყოველისფერი ჩვენის ვინაობის საქმეს უნდა შევურჩიოთ, ქვეშ დავუყენოთ.

...ყოველის ჩვენგანის მოქმედების საწყაო, საზოგადო საქმეებში, თუ ლიტერატურაში, მარტო ის უნდა იყოს, თუ ვინ რამდენად ასრულებს და მისდევს ამ ჩვენთვის მიუცილებელს საგანსა და გზას. სხვა საწყაო ტყუილია და ამაო: სხვისი ბაძი იქნება და არა ჩვენის თავის საქიროებაზედ გამოჭრილიო“<sup>2</sup>.

როგორც ვხედავთ, ი. ჭავჭავაძე არა მარტო ახასიათებს იმ მიმართულებას, რომლის მეთაურიც თვითონ იყო, არამედ მწერლობის სამოქმედო პროგრამასაც იძლევა. მისი შეხედულებით,

<sup>1</sup> ი. ჭავჭავაძე. ნაწერთა სრული კრებული, 1927, ტ. VI, გვ. 124.

<sup>2</sup> იქვე. გვ. 125—129—130.

ქართული მწერლობის წინაშე უმთავრეს საკითხად დგას ეროვნული თავისუფლებისათვის და ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებისათვის ბრძოლა, და ეს ასე იქნება მანამ, სანამ ქართველი ხალხი თავისი ქვეყნის ბატონ-პატრონი თვითონ არ იქნება.

ი. ჭავჭავაძე შორსაა იმ აზრისაგან, რომ ქართული მწერლობა, ქართული კულტურა კარჩაკეტილად და იზოლირებულად ვითარდებოდეს, მაგრამ მთელი პრინციპულობით იბრძვის მისი თვითმყოფადობისა და ნაციონალური ფორმის სრულყოფისათვის. „ზედმიწევნით უნდა გავიცნოთ,—წერს ის,—რუსული მწერლობა და აგრეთვე უნდა ვცდილობდეთ სხვა უცხო მწერლობაც შევისწავლოთ. ჩვენთვის ეს იმდენად აშკარა და ქეშმარიტია, რომ მეტი ლაპარაკი საჭირო არ არის... ხოლო ჩვენი აზრი ის არის, რომ ყოველის სწავლას და ცოდნას საძირკვლად საკუთარის მწერლობისა და ვითარების ცოდნა უნდა დაედოს“<sup>1</sup>.

ამგვარად, ი. ჭავჭავაძე, თავის ისტორიულ-ლიტერატურულ წერილებში, მიზნად ისახავდა გამოეყვინა ქართული ლიტერატურის სიმდიდრე და მიეთითებინა მის იმ ტრადიციებზე, რომელთაც ის უნდა დაყრდნობოდა განვითარების შემდგომ ეტაპზე, ახალი ვითარების გათვალისწინებით.

\* \* \*

ი. ჭავჭავაძის ისტორიულ-ლიტერატურული კონცეპციის დახასიათების შემდეგ ადვილია იმის გათვალისწინებაც, თუ როგორი შეხედულებისა იყო იგი ლიტერატურული კრიტიკის შესახებ.

ლიტერატურული კრიტიკა, გასული საუკუნის 60-იანი წლებისათვის, ჩვენი მწერლობის ჩამორჩენილ უბანს წარმოადგენდა. ამ გარემოებას ი. ჭავჭავაძემ ყურადღება მიაქცია ჯერ კიდევ თავის პირველ სტატიებში და გარკვეულად მიუთითა კრიტიკის მნიშვნელობასა და დანიშნულებაზეც.

„კრიტიკა“,—წერდა ი. ჭავჭავაძე,—არის განხილვაც, განჩხრეკაც, გარკვევაც, გარჩევაც და დაფასებაც ერთად. როცა რომელსამე საგანს ფასსა სდებს კაცი, ჯერ იმის ღირსებას იტყვის (თუ აქვს ღირსება) და დაამტკიცებს, მერე... შინჯავს შიგნიდან და გარედან საგანსა, ყოველს მის თვისებასა, არჩევს ცუდსა და კარგსა და მერე სწონავს მართალ სასწორზედ“<sup>2</sup>.

<sup>1</sup> ი. ჭავჭავაძე. თხზულებათა სრული კრებული. 1953, ტ. III, გვ. 315.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 34.

ქართული ლიტერატურული კრიტიკა მაინც საგრძნობი დროის მანძილზე დარჩა ჩვენი მწერლობის სუსტ უბნად. ეს გარემოება, ცხადია, აღელვებდა ი. ჭავჭავაძეს, რომელსაც კარგად ესმოდა კრიტიკის მნიშვნელობა ლიტერატურისა და საერთოდ საზოგადოებრივი აზრის წინმსვლელობის საქმეში. როდესაც შესაძლებლობა ეძლეოდა, ის თვითონაც სიამოვნებით წერდა კრიტიკულ სტატიებს, მაგრამ მას უნდოდა, რომ ლიტერატურათმცოდნეობის ამ საინტერესო დარგს თავისი ოსტატები გამოჩენოდნენ.

80-იან წლებში ი. ჭავჭავაძემ გამოაქვეყნა სპეციალური სტატია — „რა მიზეზია, რომ კრიტიკა არ გვაქვს“, რომელშიც დამაჯერებლად უარყო კრიტიკის ჩამორჩენილობის მიზეზის ის ზერეულე და დაუსაბუთებელი ახსნა, რომელსაც ადგილი ჰქონდა იმ დროს. „კრიტიკის უქონლობა ჩვენში, — წერდა ის, — არ უნდა მიეწეროს უშინაარსობას ჩვენის ლიტერატურისას საერთოდ და პოეზიისას საკუთრად. უშინაარსობა ჩვენის ლიტერატურისა აშკარა ტყუილია. ვინც ამ ბრალს სდებს, იგი. უმართებულოდ ექცევა ჩვენს ნაწარმოებს და ნაღვაწს გონებისას და გულისას, და ეს მოსდით ან უვიცობით, ან განგებ, რომ კრიტიკის უქონლობის სირცხვილი თავისთავს მოაშორონ და სხვას გადააბრალონ. ჩვენ, რასაკვირველია, ვერ ვიტყვით, რომ ბევრი რამ ჯერ კიდევ სანატრელი არ იყოს ჩვენის ლიტერატურისათვის საზოგადოდ და პოეზიისათვის ცალკე, მაგრამ ისიც, რაცა გვაქვს ჩვენ დღეს, ღირსშესანიშნავი განძია და მრავალგვარად გამოსაყენი და სახმარი ქეშმარიტის კრიტიკისათვის. ამას ყველა გვიმოწმებს, ვისაც კი საკუთარის თვალთ ჩაუხედნია ჩვენს ლიტერატურაში და არა სხვის შთაგონებით, სხვის ჩაძახვითა“.

ი. ჭავჭავაძის შეხედულებით, ქართველი კრიტიკოსის წინაშე, თუ ის შეეცდება მართლაცდა საფუძვლიანად განიხილოს ქართული ლიტერატურის მიღწევები და ნაკლოვანებანი, უდავოდ მძიმე ანოცანა დგას. ეს სიმძიმე, პირველყოვლისა, იმითაა გამოწვეული, რომ კრიტიკას ჩვენში მეტად სუსტი ტრადიციები აქვს, ყველაფერი თავიდან და დამოუკიდებლადაა გასაკეთებელი.

„ჩვენს ლიტერატურაზე, — ამბობს ი. ჭავჭავაძე, — მზა-მზარეულს აზრს ვერ ამოიკითხავთ ვერც წიგნებში და ვერც გაზეთებში... ეს გარემოება იძულებულ ჰყოფს ყოველს ჩვენგანს, ვისაც-კი მოუწადინია ჩვენი ლიტერატურის კრიტიკა, თავის საკუთარის ჰკუთნოს, საკუთარის ცოდნით, საკუთარის მსჯელობით შეუღდგეს კრიტიკის რთულს და მძიმე საქმესა, რომ თავისი საკუთარი განაჩენი დაადგინოს“.

ი. ქავჭავაძე ირონიულად ლაპარაკობს იმ ინტელიგენტებზე, რომლებიც დილექტენტურად წერდნენ ევროპელ მწერალთა შესახებ, თავი მოჰქონდათ განათლებულ ადამიანებად, მაგრამ ქართველი მწერლის შემოქმედების რიგიანი განხილვა კი არ შეეძლოთ. „ჩვენნი „სწავლულნი, განათლებულნი“. დარვინის თეორიას ზედმიწევნით გაცოდინებენ, ჰეგელის ესთეტიკას, ლესინგის და ტენის ფილოსოფიას ხელოვნებისას თავის ხელის-გულისავეთ გადაგიშლიან; შექსპირზედ, გოეტზედ, ბაირონზედ და თუნდ ჰომეროსზედაც, რომელნიც, — ჩვენში-კი ითქვას, — ათასში ერთს არ წაუკითხავს, თუნდა მთელს უზარმაზარ წიგნებს დასწერენ, და იქნება სასწაული მოხდეს, წისაკითხად ღირსი წიგნებიც დასწერონ, და ერთს პაწია ლექსს-კი ჩვენის რომელისაზე პოეტისას ვერ გაუძღვებიან, როგორც რიგიაო“, — წერდა ი. ქავჭავაძე.

ამის მიზეზი, მისი თქმით, ისაა, რომ ევროპელ მწერალთა შესახებ ბევრი თქმულა და ბევრი დაწერილა. მათ შესახებ წიგნის დასაწერად ისიც კმარა, რომ კაცი გაეცნოს სხვების მიერ გამოთქმულ შეხედულებებს. ხოლო სულ სხვა ვითარებაა ქართველ მწერლებთან; მათ შესახებ რომ საუკრადღებო რამ დაწეროს კრიტიკოსმა, ამისათვის მას, საერთო განათლებასთან ერთად, „სხვა უნარიც“ უნდა ჰქონდეს. ხოლო — „ის სხვა უნარი“ იგია, რასაც თვითმსჯელობას, თვისით მოქმედებას, თავისით სვლას ეძახიან“ და რაც არცთუ ხშირად აქვს ხოლმე ადამიანსო.

ი. ქავჭავაძის შეხედულებით როგორც მწერალი, ასევე კრიტიკოსი ბუნებრივი ნიჭით უნდა იყოს დაჯილდოებული, წინააღმდეგ შენთხვევაში ის დილექტანტიზმის ფარგლებს ვერ გაცდება. „შესაძლოა, — შენიშნავს ის, — კაცს მრავალი ცოდნა ჰქონდეს, და ის უნარი კი, რომელსაც თავისით ქრასა და კერვას მოასწავებს გონების საქმეში, არ გახსნოდეს, არ გაშლოდეს სამოქმედოდ. ამგვარის მშრალის და უქმის გონების კაცი სახელოვანმა გოეტემ დაგვიხატა თავის „ფაუსტში“. „ფაუსტში“ რომ გამოყვანილია ვაგნერი, სწორედ ზედგამოჭრილი სახეა იმგვარის კაცებისა, რომელთაც ცოდნა აქვს და საკუთარის კეჟით ტარების უნარი-კი ღმერთს, თუ ბედს, იმათთვის არ მიუშადლებიაო“.

ი. ქავჭავაძის გაგებით, ნიჭიერი კრიტიკოსი და ნიჭიერი მწერალი ლიტერატურისათვის ერთნაირად საჭირონი არიან. კრიტიკამ წინ უნდა წამოსწიოს ლიტერატურის კეშმარიტი მიღწევანი; ამასთან გამომამქლავნოს ის მავნე ტენდენციები, რომლებიც სახელს უტეხენ და სწორი გზიდან აცდენენ მას. „ლიტერატურა თავისი ფართო მნიშვნელობით, — ამბობს ის, — გონების ნაპირნახულევი

ხვევია, საცა წმინდა ხორბალიც არის და ბალახ-ბულახის თესლიცა. რაც ცხავია ხვევისათვის, ისიც კრიტიკა — ლიტერატურისათვისა“.

ბ. ბელინსკის კრიტიკული კონცეპციის დახასიათებისას, პროფ. ა. ცეიტლინი შენიშნავს: „В России XIX в. не было почвы для эстетической критики, которая пользовалась очень узкой популярностью, да и то в недолгие периоды общественной депрессии. Передовая критика защищала дело народа, вела самоотверженную борьбу с самодержавием и крепостничеством, пламенную пропаганду принципов реалистического и народного искусства“<sup>1</sup>. ეს სიტყვები, ზედმეტ-ნაკლები უფლებით, შეიძლება იმდროინდელი საქართველოს მიმართაც გავიშვოროთ.

მართალია, გასულ საუკუნეში, ქართულ ლიტერატურულ კრიტიკას არ ჰყოლია თავისი გამოჩენილი პროფესიონალი წარმომადგენლები, მაგრამ ჩვენი ცნობილი მწერლები და პუბლიცისტები თავიანთ ამავს მანც არ აკლებდნენ ლიტერატურის ამ მეტად მნიშვნელოვან უბანს. მათი წყალობით, ლიტერატურულმა კრიტიკამ იმთავითვე სწორ პრინციპებზე დაყრდნობით დაიწყო განვითარება და თავისი ვალი მოიხადა ქართული საზოგადოებრივი აზრის წინაშე.

ი. ჭავჭავაძემ და მისმა თანამებრძოლებმა შეძლეს ისტორიული და ესთეტიკური კრიტიკის პრინციპთა ურთიერთდაახლოება და ერთი მთავარი მიზნის სამსახურში ჩაყენება. ეს მიზანი კი იყო ქართული ლიტერატურის განვითარება იმ მიმართულებით, რომ ის გამხდარიყო ეროვნული თავისუფლებისათვის შთამაგონებელი და სოციალური უკუღმართობისა და თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლის ქმედითი იარაღი.

საზოგადოება, — ი. ჭავჭავაძის თქმით, — სულ იმის ცდაშია, რომ სრულყოფილი და ბედნიერი გახადოს თავისი ცხოვრება, ამიტომ „ეგვევ წმინდა მოვალეობა კისრად ადევს ლიტერატურასაც. ამის გარეთ ლიტერატურას ასპარეზი არა აქვს“<sup>2</sup>. კრიტიკის მოვალეობა კი ის არის, რომ დაეხმაროს ლიტერატურას ამ მოვალეობის პირნათლად შესრულებაში.

ი. ჭავჭავაძე კრიტიკოსისაგან მოითხოვდა მხატვრული ნაწარმოების როგორც შინაარსობრივი, ასევე მხატვრული ღირსების შეფასებას, მის „შიგნიდამ და გარედამ“ დაკვირვებულ გასინჯვას.

<sup>1</sup> А. Цейтлин. Белинский—Мастер русской литературной критики (См. Сборник статей—„Белинский—историк и теоретик литературы“. 1949; стр. 168—169).

<sup>2</sup> ი. ჭავჭავაძე. ნაწერთა სრული კრებული, 1928, ტ. IX გვ. 39.

და ამის შემდეგ საერთო დასკვნების გაკეთებას. ფორმისა და შინა-  
არსის ურთიერთობის შესახებ კი მას თავისი შეხედულება ჰქონდა.  
მხატვრული ნაწარმოები, — ი. ჭავჭავაძის თქმით, — მაშინ იქნება საინ-  
ტერესო და მშვენიერი, როცა მისი ფორმა და შინაარსი შესატყ-  
ვისი იქნება. მაგრამ როგორც სინამდვილეში, ასევე ხელოვნება-  
შიც ფორმა ყოველთვის როდი ამართლებს შინაარსს და პირიქით.  
„თუმცა უწინდელი ესტეტიკები, — წერს ის, — მოგვახსენებდნენ, რომ  
მშვენიერ ტანში მშვენიერი სულიც არისო, მაგრამ ჩვენ ხშირად  
ვხედავთ წინააღმდეგსა... მარტო ფორმა, ყალიბი არ შეიქმს მშვე-  
ნიერებას...“, მშვენიერებასთან მაშინ გვაქვს საქმე, „როცა ის ყა-  
ლიბი, და ის, რაც ამ ყალიბშია ჩანოსხმული, ურთიერთს ეთანხმებიან,  
ფორმა უნდა თანაშესწევდეს იდეიასა და იდეია ფორმასა. კაცი რომ  
ჰგვანდეს მშვენიერ ცხენსა, აქ მშვენიერება კი არ იქნება. იქნება  
სრული სიმახინჯე. იმიტომ რომ იდეია კაცისა არ შეჰფერის ცხენის  
ფორმასა“<sup>1</sup>.

როგორც ყოველთვის, მატერიალისტური ესთეტიკის პრინ-  
ციპთა გაშუქებისა და დამკვიდრების საქმეშიც, ი. ჭავჭავაძეს მხარ-  
ში ედგნენ აკ. წერეთელი, ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი და სხვა გა-  
მოჩენილი მოწინავე მოაზროვნეები.

## 2

აკ. წერეთლის უდიდესი გავლენა ქართული პოეზიის განვი-  
თარებაზე საყოველთაოდ აღიარებული მოვლენაა. სწორადაა მი-  
თითებული იმაზეც, რომ ამის მიზეზი, პირველყოვლისა, მისი ლი-  
რიკის მხატვრულ და იდეურ ღირსებებში უნდა ვეძიოთ.

აკაკი ქართველი ხალხის უსაყვარლესი პოეტი იყო და ასე-  
თად რჩება დღემდე. როგორც ქეშმარიტად სახალხო პოეტმა. მან  
შედლო თანამედროვეთა ფიქრებისა და გრძნობების გადმოცემა მა-  
ღალმხატვრულ ფორმაში. ნახევარ საუკუნეზე მეტი დროის მანძილ-  
ზე, თავისი მადლიანი კალმით ის ერთგულად ემსახურებოდა მწრო-  
მელი ხალხის ინტერესებს, ქართველი ერის სასიცოცხლო იდეა-  
ლებს. მისი ხანგრძლივი მოღვაწეობა და მდიდარი მხატვრული  
მემკვიდრეობა უაღრესად მრავალფეროვანია, მაგრამ ისიც აშკა-  
რაა, რომ მთელი თავისი მოწოდებით ის პოეტი იყო, — ლექსის  
ჯადოქარი. მისი მისამართით კიდევ მეტი უფლებით შეიძლება გა-  
ვიმეოროთ ის სიტყვები, რომლებითაც ბ. ბელინსკიმ ბერანტე და-

<sup>1</sup> საქ. სსრ სახ. მუზეუმი, ხელნაწერი S—4996.



ახასიათა: „У него политика—поэзия, а поэзия—политика, у него жизнь—поэзия, а поэзия—жизнь“<sup>1</sup>.

თავისი ესთეტიკური შეხედულებებიც აკაკიმ, ძირითადად, ლექსებით გამოხატა, მაგრამ დავიტიოვა ამ თვალსაზრისით საინტერესო ბევრი კრიტიკული წერილიც. ამ უკანასკნელთა მნიშვნელობა აკაკის—როგორც მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრის გამოჩენილი ლიტერატურული მოღვაწის—დამსახურებაში ჯერ კიდევ შეუსწავლელია. უფრო მეტიც, ზოგჯერ, სრულიად უმართებულოდაა გაგებული მისი, ამ მხრივ, საინტერესო გამოთქმები და შენიშვნები. ამის მიზეზი, პირველყოფლისა, ის არის, რომ არავინ ცდილა ღრმად და მთლიანობაში შეესწავლა პოეტის ის შეხედულებები, რომლებიც მის ესთეტიკურ კონცეპციაზე შედარებით სრულ წარმოდგენას შეუქმნიდა მკითხველს. ამას თან ერთვის ისიც, რომ თვით აკ. წერეთელს არ უცდია საგანგებო ესთეტიკური ტრაქტატის დაწერა. მხოლოდ სხვადასხვა ლიტერატურულ მოვლენათა გარკვევისა და დახასიათების დროს ხდებოდა ხოლმე ის იძულებული, გამოეთქვა თავისი შეხედულებები ხელოვნებისა და ლიტერატურის ზოგად საკითხებზე.

აკ. წერეთლის ესთეტიკური შეხედულებების წყაროებისა და ხასიათის შესახებ შეიძლება იგივე ითქვას, რაც ი. ჭავჭავაძის შესახებ ვთქვით; მატერიალისტური ესთეტიკის პრინციპთა გაგება-დამკვიდრების საქმეშიც აკ. წერეთელი ი. ჭავჭავაძისთან ერთად იბრძოდა. მაგრამ მის ესთეტიკურ შეხედულებებში მაინც შეიმჩნევა ახალი მომენტები და თავისებური ნიუანსები ცალკეულ საკითხთა გადაწყვეტისას. ამიტომ, სწორედ ამ უკანასკნელთა შესაფერი გაგება უფრო იმსახურებს ჩვენს ყურადღებას.

ახასიათებს რა 60-იან წლებს რუსეთსა და საქართველოში, „ჩემ თავგადასავალში“ აკ. წერეთელი წერს: „მესამოცე წლებში იტალია და უნგრეთი სცდილობდნენ განთავისუფლებას და ებრძოდნენ ავსტრიას. გარიბალდი, მაძინი და კოშუტი გაუხდათ შეგნებულ მამულიშვილებს იდეალად. სწორედ იმ დროს გამოვიდა საბრატოველი სემინარიელი ჩერნიშევსკი, ჩაუდგა სათავეში ქურნალ „სოვრემენიკს“ და, დობროლიუბოვთან, ანტონოვიჩთან, ნეკრასოვთან და სხვებთან ერთად, დასცა რუსეთს კიყინა. ამოდრავდა რუსეთი... მისი ხელახლა დამონება შეუძლებელი იყო! დააგდო ძველი გზა, დაადგა ახალს და, რასაკვირველია, როგორც ყოველიფერს

<sup>1</sup> В. Г. Беллинский. Собрание сочинений в трех томах, 1948, т. 1, стр. 254.

ახალს, ამასაც ზოგი რამ შეცდომა მოჰყვა... რაღაც კი ზურგი უჩვენა ახლად გამოღვიძებულმა ძველს, ყველაფერს თვალი აარიდა, აღარც კარგი და სასარგებლო რამ სწამდა ძველთაგანი... და წინ. მიმავალი კი, ყოველიფერი გაურჩევლად კარგი ეგონა. და მაშინ გაჩნდა ტურგენევისაგან აღნიშნული ნილილისტობაც. ეს ნილილისტობა ბევრ რამეს ჰგომბდა წარსულში, გაბედვით ებრძოდა და უშიშრად სდებდა თავს, მაგრამ გადააჰკარბა...

ამ ახირებულობის დროს გამოსცა ჩერნიშევსკიმ თავისი პატარა კრიტიკული წიგნაკი „ხელოვნება მარტო ხელოვნებისათვის. თუ ცხოვრებისათვის“ (ნხედველობაში აქვს „ხელოვნების ესთეტიკური დამოკიდებულება სინამდვილესთან“ — დ. გ.). ამან დიდი გავლენა იქონია მკითხველებზე... მაშინ ლიტერატურაც ორად გაიყო: უმეტესობა სრულიად უარყოფდა მწერლობაში ხელოვნებას და მეორე, ბევრად ნაკლები, ისე გადაჰყვა ხელოვნებას, რომ გარდა კეთილხმოვნებისა და მუსიკისა აღარა სწამდა რა მწერლობაში...

როდესაც ნიკიერი პისარევი და მყვირალა ზაიცევი დაუდგენ თავში ხელოვნების უარყოფლებს, მთელი მკითხველი რუსეთი შეიძრა და მაშინ წარმოითქვა შესანიშნავი სისულელეც: „შექსპირს ანტონოვიჩის ჩექმები სჯობიაო, და იმავე დროსვე... სცილიობდნენ პუშკინის დედამიწასთან გასწორებას!

...სხვებსავეთ წამხედურობით უმეტესობის მიმდევარი არ ვყოფილვარ. ზაიცევს არად ვაგდებდი, ნიკიერ პისარევს თუმცა ვაფასებდი, მაგრამ მისი ბევრი რამ არ მომწონდა და არც ის მჯეროდა მეორე პარტიის, რომ მწერლობაში მხოლოდ მუსიკა და კეთილხმოვანება უნდა იყოს და კმარაო. ორთა შუა მყოფს, მე ჩემი გზა მქონდა არჩეული და მივდიოდი წყნარადო“.

აკაკის ამ სიტყვებს ზოგიერთი მკვლევარი ისეთ გაგებას აძლევს, თითქოს აკაკი არც ერთ იმდროინდელ რუს მოაზროვნეს არ ეთანხმებოდა და განსხვავებული გზა ჰქონდა. მართლაც, აკაკი ამბობს, რომ „მე ჩემი გზა მქონდა არჩეულიო“, მაგრამ ეს გზა, როგორც თვითონ ამბობს, ორ უკიდურესობათა შორის შუა გზა იყო. ეს გზა კი, სინამდვილეში, იყო ჩერნიშევსკის გზა, რომელსაც აკ. წერეთელი ყოველთვის მოწონებით და დადებითად ახასიათებდა. ამას ადასტურებენ მისი ის წერილები, რომლებშიც აშკარად ლაპარაკობს ჩერნიშევსკისადმი დამოკიდებულებაზე.

„სამოციან წლებში, — წერს აკ. წერეთელი, — როდესაც ხელოვნებამ ისე გაიტაცა რუსეთის მწერლობა, რომ უკეთესი და უნიკიერესი წარმომადგენელნი ძირს ფეხს აღარ ადგამდნენ და მხოლოდ

მიმოფრენდნენ ცის ლაქვარდში, ... მაშინდელმა განოჩენილმა მწერალმა ჩერნიშევსკიმ შენიშნა მათ, რომ ხელოვნება მართო უნაყოფო ხელოვნებისათვის კი არ უნდა იყოს, ... ცხოვრებას უნდა ემსახურებოდესო... ამით იმას უნდოდა, რომ უკიდურესობაში ჩამდგარი ხელოვნება როგორმე გამოებრუნებია და საჭირო კალაპოტში ჩაეყენებინა!

მაგრამ ამ მეცადინეობამ მეორე... უკიდურესობა გამოიწვია: ჩერნიშევსკის საფუძვლიანი აზრით გატაცებულმა პისარევმა, ზაიციევმა და სხვათა თავი ველარ შეიმაგრეს, ზომა დაკარგეს და თითქმის სასაცილო უკიდურესობაში ჩაცვივდნენ: უარყვეს საზოგადოდ ხელოვნება და დაგმეს პოეზიაო<sup>1</sup>. ასეთივე აზრი აქვს გამოთქმული მას სხვა წერილებშიც<sup>2</sup>. და არა მხოლოდ სტატიებში, არამედ მთელი თავისი შემოქმედებით აკაკი წერეთელი აშკარად ამჟღავნებს. რომ მოსწონდა და იზიარებდა რუს რევოლუციონერ-დემოკრატთა (ბელინსკის, ჩერნიშევსკის, დობროლიუბოვის) ესთეტიკურ მოძღვრებას. მაგრამ როგორც ი. ქავჭავაძე, ასევე აკაკიც ამ მოძღვრებას უფარდებდა ადგილობრივ პირობებს და ავსებდა მას ამ უკანასკნელზე დაყრდნობით.

აკ. წერეთელი, როგორც თვითონაც რამდენჯერმე გახაზავს, მწერლობაში არასოდეს არ გაუტაცნია უკიდურესობებს. და ეს იმიტომ, რომ მას, როგორც პოეტსა და მოაზროვნეს, — ერთი ჰქონდა ამოსავალი: საკუთარი ხალხის ცხოვრების სინამდვილე. ის ღრმად და უშუალოდ იცნობდა ქართველი ხალხის როგორც ისტორიულ, ასევე თანამედროვე ცხოვრებას, მის ქირსა და ლხინს, მის სანუკვარ იდეალებს.

არა მართო როგორც პოეტს, არამედ როგორც მოაზროვნესაც, აკაკის ჰქონდა თავისი „მე“, რომელსაც მტკიცედ იცავდა და მიყვებოდა. ამიტომ იყო, რომ, როცა ეს საჭირო იყო, თავის იდეურ მეგობრებთან პაექრობასაც არ ერიდებოდა და თავისი შეხედულება სხვის საამებლად არასოდეს არ შეუცვლია. ყველაზე დიდ ავტორიტეტად მას საკუთარი თავი მიაჩნდა და სხვისი აზრების უკრიტიკოდ გაზიარებას გაუბოლდა.

აკაკის ასეთი ბუნება და ხასიათი იმთავითვე ადვილად შენიშნა მკითხველმა. ამიტომაც, მის ყოველ სიტყვას განსაკუთრებული ინტერესით უსმენდნენ და ითვისებდნენ. კერძოდ, დიდი და აშკარა იყო მისი ლიტერატურული შეხედულებების გავლენა მწე-

<sup>1</sup> აკ. წერეთელი. მცირე შენიშვნა, გაზეთი „ივერია“, 1901, № 168.

<sup>2</sup> აკ. წერეთელი. განთიადი, ჟურნალი „კვალი“, 1896, № 21.

რალთა როგორც უმცროს, ისე უფროს თაობაზე. აკაკის ზეპირ თუ წერილობით რჩევას არაერთი ახალგაზრდა მწერლისათვის გაურკვეველია მისი ნამდვილი დანიშნულება და ნაცვლად ლექსების წერისა, პროზაული ან დრამატურული თხზულებების წერისათვის მოუქიდნია ხელი; ამასთან, ბევრი უნიჭო მწერლისათვის კალამი გაუგდებინებია და ნიჭიერები კი წაუხალისებია.

აკაკის ლიტერატურული შეხედულებების პირველი გაცნობის-თანავე აშკარა ხდება, რომ ის იყო მატერიალისტური ესთეტიკისა და რეალისმის თეორიის პრინციპების დანერგვისათვის ერთ-ერთი თავდადებული და თანმიმდევრული მებრძოლი ქართულ ლიტერატურაში.

\* \* \*

მწერლის და მწერლობის დანიშნულებისა და მნიშვნელობის შესახებ მსჯელობას აკ. წერეთლის ესთეტიკაში მეტად დიდი ადგილი უჭირავს. მისი შეხედულებით, ამ საკითხის ღრმა და საფუძვლიან გარკვევაზე ბევრადაა დამოკიდებული ლიტერატურის განვითარება და მისი შემეცნებითი ფუნქციის გათვალისწინება.

სამწერლო მოღვაწეობაში,—აკ. წერეთლის თქმით,—მწერალი უნდა ხედავდეს არა მხოლოდ თავისი განსაკუთრებული მოწოდების მხატვრულ ხორცშესხმას, არამედ უდიდეს პასუხისმგებლობასაც თავისი ხალხის წინაშე; პოეტური ნიჭი არა მარტო მხატვრული აღმაფრენის წყაროა, არამედ—მძიმე ტვირთიც, რომლის ტარება თავგანწირვასა და უდიდეს ნებისყოფას მოითხოვს. მწერალს უფლება არა აქვს დაკმაყოფილდეს მხოლოდ პირადი ცხოვრებით; მისი ზრუნვისა და ფიქრის საგანი—მთელი ხალხის ცხოვრებაა, მისი მიზანი—საერთო ბედნიერებისათვის ბრძოლა. პოეტი, პირველ ყოვლისა, ხალხს ეკუთვნის და არა თავის თავს. ამიტომ, ვინც პირადი ინტერესების ნაჭუქიდან ვერ გამოსულა, მან არც უნდა იფიქროს პოეტობაზე.

მწერალი ზნეობით სპეტაკი და ცოდნით შეიარაღებული შემოქმედია, რომლის სიტყვაში ცოცხლდება წარსულის სურათები, ისახება მისი თანამედროვე ცხოვრების სინამდვილე და თავისებურად წარმოდგება მომავალიც. „მწერლობა,—ამბობს აკაკი,—ზნეობითი მესარკვეობაა. ნაწერში, როგორც სარკეში, ნათლად უნდა ისახებოდეს მწერლის თანადროება მისი სისწორ-სიმრუდით, რომ საისტორიო სურათებათ გადაეცეს მომავალ დროებს. და როგორც სარკეში ის იხედება, რაც მხოლოდ მის გარშემოა და რაც მის გულში ჩაჰყურებს, ისე პოეტის ნაწერშიაც იმას უნდა ვხედავდეთ, რაც მის გულს, როგორც ხალხის თანაზიარს, მოხვედრია. და, მა-

შასადამე, მწერალს ნება არა აქვს, რომ ყოველდღიურ საერო მოვლინებას, რაგინდ წერილმანიც იყოს, თვალი აარიდოს. რაც უფრო ნიჭიერია პოეტი, უფრო ძლიერად ექვემდებარება ამ ზემო მოყვანილ პირობებსო<sup>1</sup>.

ამ სიტყვებით აკ. წერეთელმა კარგად დაახასიათა როგორც მწერლისა და ლიტერატურის დანიშნულება საერთოდ, ასევე თავისი პოეტური კრედოს სპეციფიკა. სხვა წერილებსა თუ ლექსებში, ადრეც და შემდეგაც, აკაკის არა ერთხელ გამოუთქვამს ასეთივე შეხედულებები.

ჩვენს მიერ აქ მოტანილი აკაკის სიტყვები არა მარტო იმით იქცევენ ყურადღებას, რომ ისინი გვიდგენენ ქეშმარიტ რეალისტ ავტორს, არამედ იმითაც, რომ ისინი შესაძლებლობას გვაძლევენ გავითვალისწინოთ მისი შემოქმედებითი ინდივიდუალობაც.

აკაკისთვის, როგორც მხატვრისათვის, დამახასიათებელია „ყოველდღიურ საერო მოვლინებებზე“ აქტიური რეაგირება. მისი პოეზია მართლაც სარკეა მისი თანამედროვე ცხოვრების როგორც რთული და ზოგადი, ასევე შედარებით წვრილმანი და ყოველდღიური მოვლენებისა. ამაშია მისი პოეზიის ერთ-ერთი დიდი ღირსებაც, რის გამოც ის განსაკუთრებულ სიყვარულს იმსახურებდა ხალხში, თუმცა, არც იმის უარყოფა შეიძლება, რომ ამავე მიზეზის გამო, მის ბევრ ლექსს დღეისათვის დაკარგული აქვს ცხოველმყოფელობა.

თვით აკაკიც კარგად ითვისებდა ამ გარემოებას, მაგრამ ის უფრო მეტად აფასებდა იმ მნიშვნელობას, რომელიც ან ლექსებს იმ დროს ჰქონდა, ვინემ ინტერესს, რომელიც მას, როგორც ნხოლოდ მხატვარს, გააჩნდა.

„საზოგადოთ, — შენიშნავს აკ. წერეთელი, — მე ხელოვნებას დიდ ყურადღებას არ ვაქცევდი და ისე მიმაჩნდა მწერლობა, როგორც ერთი უბრალო იარაღთაგანი დღიურ აკვარგვიანობის საბრძოლველ-სასამსახუროთ.

თუ რამე ხელოვნური გამომსვლია ხელიდან, ეს ძალაუნებურათ და შემთხვევით მომხდარა, თვარა ის ჩემ დღეში არა მქონია ფიქრათ, რომ მომავლისათვის ვწერო-მეთქი. ამიტომ უმეტეს ჩემ ნაწერს დღეს იმდენათ დაკარგული აქვს მნიშვნელობა, რამდენადაც დრო და ჟამი იცვლება და მხოლოდ მაშინ იგულისხმება, როცა მოვისმენთ იმ გარემოებას, რასაც გამოუწვევია ჩემის მხრით რომე-

<sup>1</sup> ჭ. ერისთავი. თხზულებანი, 1884, აკ. წერეთლის წინასიტყვაობა.

ლი მე გვარი მწერლობა. თვითონ ჩემთვის და ჩემი მწერლობისათვის არაფერი სასარგებლო იქნება ესეები ყველა, მაგრამ, მე ვფიქრობ, რომ ამითი უფრო დახასიათდება ის დრო და მოვლენა, რომელიც შემსურს მკითხველებს გაუთვალისწინო<sup>1</sup>.

ცხადია, აკაკის ნაწერებს მხატვრული ღირსება არ აკლია, მაგრამ ისიც უდავოა, რომ მისი ბევრი ლექსის ნამდვილ მნიშვნელობას უფრო მეტად მაშინ გავიგებთ, როცა გავითვალისწინებთ იმ კონკრეტულ მიზეზებს, რომლებიც მათი დაწერის საბაზი განმდარან.

აკ. წერეთელი, როგორც თვითონაც ამბობს, კვშმარიტად „გარემოების საყვირი“ იყო, მაგრამ ტკბილხმოვანი საყვირი; ისიც მუზა ბულბულის გალობას სიტკბოებაში ეცილებოდა, მაგრამ, თუ ამას გარემოება მოითხოვდა, ყვავის ხმასაც არ იშურებდა: „სულ ბულბულობაც არ ვარგა, ზოგჯერ ყორნობაც კარგიაო“, — ამბობდა ხოლმე პოეტი. ცხადია, „ყორნის ხმას“ თავისი ობიექტი და დანიშნულება ჰქონდა.

აკაკი, როგორც პოეტი, არ არჩევდა ხოლმე ე. წ. მომგებიან თემებს. ის თემის ავკარგიანობას საპიროების მიხედვით აფასებდა და არა ხელსაყრელობის თვალსაზრისით. „ნიქი და დიადობა საგნის დიადობაში კი არ არის, — ამბობს ის, — მათ გამოხატვაში და გათვალისწინებაში“<sup>2</sup>.

აკ. წერეთლის შეხედულებით, მწერალი იგივე აღმზრდელია, პედაგოგია, მაგრამ არა მცირერიცხოვანი მოწაფეების, არამედ მთელი ხალხის; ამასთან, არა მარტო თანამედროვეთა, არამედ შემდგომი თაობებისაც. „მე, — წერს აკაკი, — საზოგადოთ მწერალს ისე ვუყურებ, როგორც პედაგოგს. სხვების გამზრდელსა და გამწვრთნელს, შხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მწერლის სარბიელი უფრო დიდია. მასწავლებელი რამდენსამე მოწაფესა წვრთნის და მწერალი კი მთელ ხალხს, და არა მარტო აწმყოში, — მომავალშიაც“<sup>3</sup>.

მაღალ პოეტურ ნიქთან და სპეტაკ ზნეობასთან ერთად, აკაკის თქმით, მწერალი დაჯილდოებული უნდა იყოს საზოგადო მოღვაწის თვისებებით. თავისი ხალხისა და თავისი ქვეყნის ინტერესები უნდა იყოს მისი მოქმედების განმსაზღვრელი, რომ ქვეყნის

<sup>1</sup> „აკაკის თვითონი ჟურნალი კრებული“, 1897, № 3.

<sup>2</sup> აკ. წერეთელი. მცირე შენიშვნა, „ივერია“, 1901, № 168.

<sup>3</sup> „აკაკის თვითონი ჟურნალი კრებული“, 1898, № 8, გვ. 9.

ორგულსა და მტერს საკადროსი პასუხი მისცეს და დაჩაგრულთ—  
„თვალთ ცრემლებს აშრობდეს“ („ჩანგური“).

აქ. წერეთლის შეხედულებით, „ხელოვნებას არა აქვს საკუთ-  
რება,... საზღვარი, ის ყოველ ხალხს ეკუთვნის“ („გოგოლის ხსოვ-  
ნას“): ამიტომაც, ხელოვანის, მწერლის წინაშე მეტად დიდი ამო-  
ცანები დგას.

თუ როგორ დიდ მოთხოვნილებას უყენებდა სანწერლო ასპა-  
რეზზე გამოსვლის მსურველთ აქ. წერეთელი, ეს ჩანს მისი იმ პასუ-  
ხიდან, რომელიც მან გასცა კითხვას—რა სჭირდება მწერალს? „იწე-  
რებით, მწერალს რა ეჭირვებაო? და აი რა: 1. უნდა ნიჭი ჰქონ-  
დეს, 2. დრო და ეამის შესაფერათ უნდა იყოს ნასწავლი და გან-  
ვითარებული, 3. უნდა შესწავლილი ჰქონდეს ის ენა, რომელზედაც  
აპირობს წერას, 4. გულწრფელი უნდა იყოს და... თავის თავს  
ისე უნდა უყურებდეს, როგორც მოციქულსა და მოძღვარს: უში-  
შარი უნდა იყოს, შეუპოვარი, მტერმოყვრობის გადუყოლელი;  
რასაც ხალხს ეუბნება, ის უნდა გულის-წმინდით იყოს ნათქვამი,  
...პირადობა შესწიროს საზოგადოს და მზათ იყოს, რომ გაქირვება  
და უსამართლობა აიტანოს ხოლმე“<sup>1</sup>,—დასძენს აკაკი.

უნდა შევნიშნოთ, რომ ეს სიტყვები არა მარტო კარგად გა-  
მოხატავენ აქ. წერეთლის შეხედულებას მწერლის ნიჭის, მომზადე-  
ბისა და დანიშნულების შესახებ, არამედ სწორად ახასიათებენ  
თვით მის პოეტურ მრწამსსაც.

აქ. წერეთელს ღრმად სწამდა, რომ მწერალი, რაოდენ მაღა-  
ლი პოეტური ნიჭითაც არ უნდა იყოს იგი დაჯილდოებული, თუ  
გაურბის იმ შრომას, რომელიც ცოდნის, მეცნიერების დაუფლებას-  
თანაა დაკავშირებული, დიდ კვალს ვერ დაამჩნევს ლიტერატურას.  
ასეთი მწერლები,—მისი აზრით,—მეტეორივით გამოჩნდებიან და  
მალე მიეფარებიან ხოლმე თვალთაგან, სადებიუტო ნაწარმოებებით  
იმსახურებენ ისინი მხოლოდ მკითხველთა ყურადღებას. ამიტომ  
იყო, რომ ის ხშირად მეტად გულნატკენი ლაპარაკობდა იმ პოე-  
ტებზე, რომლებიც თავიდან კარგ იმედებს იძლეოდნენ, მაგრამ  
შემდეგ ვეღარ ამართლებდნენ<sup>2</sup>.

„ზოგიერთებს გაუგონიათ,—შენიშნავს აკაკი,—რომ მწერლი-  
სათვის ზეგარდმო შთაგონებაა საჭირო და ის კი აღარ იცინა, რომ  
იმასაც კიბე ეჭირვება მაღლით ჩამოსასვლელად, და ეს კიბე არის,  
ნიჭის გარდა, სწავლა, ცოდნა და შრომისმოყვარეობაო“<sup>3</sup>.

<sup>1</sup> „აკაკის თვითი ჟურნალი კრებული“, 1897, № 4.

<sup>2</sup> აქ. წერეთელი. შენიშვნა, ჟურნალი „კვალი“, 1893, № 6.

<sup>3</sup> აქ. წერეთელი. თეატრის გამო, გაზეთი „ივერია“, 1893, № 3

თვითონ დიდი ბუნებრივი ნიქით დაჯილდოებული აკ. წერეთელი იმ შეხედულებებისა იყო, რომ მწერლობისათვის, და საერთოდ ხალხისათვის, ხშირად მეტს აკეთებენ შედარებით ნაკლები ნიქის. მაგრამ ბეჯითი შრომისმოყვარე მწერლები, ვინემ მალალი ბუნებრივი ნიქის, მაგრამ ცოდნით შეუიარაღებელი შემოქმედები. „განუვითარებელი ნიქი,—წერს აკაკი,—ფრთებშეკვეცილი შევარდენია, რომელიც მალა ველარა ჰფრენს და დაბლა სიარულსაც ვერ ახერხებსო“<sup>1</sup>.

ნიქთან და ცოდნასთან ერთად,—აკ. წერეთლის აზრით,—მწერალს უნდა ამკობდეს წმინდა გული და წრფელი სული. წინააღმდეგ შემთხვევაში, მის შემოქმედებაში თავს იჩენს „მრუდე ხაზები“, რაც მიუღებელია ნამდვილი მხატვრობისათვის. მაგრამ აკაკის მხედველობიდან არ ეპარება არც ის, რომ ამ „მრუდე ხაზებს“ ხშირად სათავე აქვთ არა თვით მწერლის „გულსა და სულში“, არამედ—მისგან დამოუკიდებელ ვითარებაში. კერძოდ, მწერალი შემოქმედებითი პროცესის დროს ზოგჯერ იძულებული ხდება ანგარიში გაუწიოს არა მხოლოდ საკუთარ შთაგონებას, თავის რწმენას, არამედ სხვა გარემოებასაც, რათა თავიდან აიცილოს მოსალოდნელი დევნა და შევიწროება, „ტეინის ჯალათის“—ცენზორის რისხვა. ასეთი ვითარება კი მძიმე დაღს ასვამს მის მხატვრულ ფანტაზიას და ამ ფანტაზიის ნაყოფსაც.

„ოოდესაც პოეტი შეუდგება რომელიმე საგნის ხელოვნებით გამოხატვას,—ამბობს აკაკი,—მაშინ მისი გონება ექვემდებარება მხოლოდ იმ ერთს მხატვრობის საგანს, არის მისგან გატაცებული და იმ. დროს პოეტის ფიქრები სხვა რამეებზედ ჩვეულებრივად აღარ გადადიან; ის ერთი საგანია მხოლოდ მაშინ მისი გულისთქმა, მისი სურვილი. გარეშე ფიქრები ვეღარ ეხებიან მღელვარე გულს და აღშფოთებულ სულს; თითქმის უნებურ-გარძობით გამსჭვალული პოეტი, მხოლოდ თავის მხატვრობაში, თავის ქმნილებაში ჰხედავს თავის ჯოჯობესაც და თავის სასუფეველსაც, და თუ უკეთუ წინააღმდეგ ამისა მის გულში იმ დროს სხვა გარეშე პასუხებსაცა აქვსთ ბინა, მაგალითად: წინააღმდეგ განზრახულ რამე მდგომარეობას ანუ დევნას, მაშინ არ შეიძლება, რომ რაგინდ მშვენიერი მხატვარიც იყოს პოეტი, თითო ორ-ორი ხაზი მრუდედ არ გაჰკრას, რომლითაც მისი მხატვრობა გარდაიქცევა ცრუ მხატვრობად“<sup>2</sup>.

<sup>1</sup> აკ. წერეთელი. სათვართო შენიშვნები, გაზეთი „იფორია“, 1903, № 229.

<sup>2</sup> აკ. წერეთელი. პირველი და უკანასკნელი სიტყვა „დროებისადმი“, „ცისკარი“, 1869, № 5.



აკ. წერეთელს მიუღებლად მიაჩნია არა მარტო ასეთი „მრუ-  
დე ხაზები“, რაც, პირველყოელისა, მხატვრული ნაწარმოების ში-  
ნაარსობრივი მხარის დამახინჯებას მოასწავებს, არამედ—„ზედმეტი  
ხაზებიც“, რომლებიც ნაწარმოების მხატვრული მხარის სისუსტეზე  
მეტყველებენ. სრულიად სამართლიანად, აკაკი მწერლობას, ამ მხრივ,  
მხატვრობას ადარებს და იმ აზრისაა, რომ როგორც მხატვარს არ  
ეპატიება ზედმეტი და უსწორმასწორო ხაზებისათვის ადგილის და-  
თმობა მხატვრულ ტილოზე, ასევე მწერალსაც არ მიეცევა სი-  
ტყვის ზედმეტობა თუ ნაკლებობა ნაწარმოებში. „მწერლობა,—  
შენიშნავს ის,—იგავე მხატვრობაა, მხოლოდ სიტყვითი. როგორც  
უხვირო მხატვარი ხაზის უსწორ-მასწორობით შეჰბღალავს ნახატს,  
ისე მწერალიც სიტყვის მეტ-ნაკლებობით ამახინჯებს ნაწერს, რად-  
განაც რაც ხაზია მხატვრობისათვის, ისევეა სიტყვაც მწერლობი-  
სათვის“<sup>1</sup>.

ერთი სიტყვით, ქეშმარიტი ლაკონიურობა აკ. წერეთელს  
ხელოვნებისა და ლიტერატურის ერთ-ერთ მთავარ მხატვრულ ნი-  
შან-თვისებად მიაჩნდა.

მაგრამ, ამ შემთხვევაშიც, აკ. წერეთელი მხედველობიდან არ  
უშვებს იმ ობიექტურ მიზეზებს, რომლებსაც მწერალი იძულებუ-  
ლია ზოგჯერ მაინც დამორჩილდეს, თავისი მხატვრული გემოვნე-  
ბის წინააღმდეგ. ნამდვილი ხელოვნება ისეთი რამ არის,—ამბობს  
აკაკი,—რომ, თუ ან მეტი, ან ნაკლები რამ შიგ გამოუჩნდება, მორჩა;  
გათავდა, მისი მთლიანობაც და ერთიანობაც ირღვევა. რუსთაველს  
და ბარათაშვილს გარდა ეს კანონი არავის არ აქვს დაცული ჩვენს  
მწერლობაში. ეს ბევრჯერ მწერლის ბრალიც არ არის. გარე-  
მოება აიძულებს ხოლმე მწერალს, რომ თავისი ნაწარ-  
მოები თვითონვე დაამახინჯოს“<sup>2</sup>.

ამგვარად, აკ. წერეთელი აშკარად მიუთითებს, რომ იმ სა-  
ზოგადოებაში, სადაც სიტყვისა და აზრის თავისუფლება არაა,  
მწერალი მოკლებულია თავისი მხატვრული შესაძლებლობის მთე-  
ლი სისრულით გამოვლენას და ზოგჯერ იძულებულია თვითონაც  
დაამახინჯოს თავისი ნაწარმოები.

ასეთ ვითარებაში აკ. წერეთელი განსაკუთრებულ მნიშვნე-  
ლობას ანიჭებდა მწერლის ოსტატობას ტიპიური სახეების შექმ-  
ნის საქმეში. ის ვარაუდობდა, რომ მის თანამედროვე მწერლებს  
ყველაზე უფრო მეტის და მნიშვნელოვანის თქმა სწორედ შესაფე-

<sup>1</sup> გაზეთი „თემი“, 1911, № 41.

<sup>2</sup> აკ. წერეთელი. ბიბლიოგრაფიული შენიშვნა, „აკაკის თვითი ჟურნალი“  
კრებული“, 1898, № 9.

რი ტიპების შექმნის წყალობით შეედლოთ. ამიტომ იყო, რომ თავის ისტორიულ-ლიტერატურული ხასიათის წერილებში ის დიდ ადგილს უთმობდა ამ უკანასკნელის შესახებ მსჯელობას.

ტიპისა და ტიპიურის შესახებ აკ. წერეთელს გამოთქმული აქვს მეტად საყურადღებო შეხედულებები, რომელთა უმეტესობა დღესაც ისრულიად გასაზიარებელია. პირველყოვლისა, აკ. წერეთელს სწორად ჰქონდა გათვალისწინებული კონკრეტულისა და ზოგადის, ეროვნულისა და ზოგადკაცობრიულის ურთიერთდამოკიდებულება. ტიპიურ სახეში. მისი თქმით, როგორც შეუძლებელია ისეთი „ზოგადი“, რომელიც მთლიანად მოწყვეტილია „კონკრეტულს“, ასევე შეუძლებელია ისეთი „ტიპიური“, რომელიც არ გულისხმობს ინდივიდუალურს, კერძოს, კონკრეტულს, თუმცა მათ შორის იგივეობის ნიშანი არ დაისმის.

ტიპის ცნებაზე მსჯელობისას აკ. წერეთელი ყურადღებას ამახვილებდა უმთავრესად იმაზე, რომ ტიპი არ გამორიცხავს ეროვნულს. ის არ ეთანხმებოდა იმ მწერლებს, რომელთა აზრით ტიპი ზოგადსაკაცობრიო სახეა მხოლოდ და არა ეროვნული. მისი აზრით, რამდენადაც ზოგადსაკაცობრიო არ უნდა იყოს ესა თუ ის ტიპი, ის მაინც, უფრო მეტად, ერთი რომელიმე ერის წარმომადგენელთა განზოგადებული სახე იქნება. ერთი სიტყვით, აკაკი იმ შეხედულებებისაა, რომ ტიპიურ სახეში ადგილი არა აქვს ეროვნულობის ისრულ წაშლას; წინააღმდეგ შემთხვევაში ტიპიური სახეები ინტერესსაც კი დაჰკარგავენ. „რატომ არ შეიძლება,—წერს ის,—რომ „ვეფხისტყაოსნის“ გმირები ერთსა და იმავე დროს ქართველებიც იყონ და საზოგადო, საყოველთაო ტიპებიც?... ჩვენ რომ ის ვიფიქროთ, რომ მსოფლიო, საზოგადო ტიპები მხოლოდ ისინი არიან, რომელნიც კერძოდ არც ერთ ერს არ ეკუთვნიან და საზოგადოდ კი ყველას ერთნაირად, მაშინ გიჟებიც საშაგალითოდ მსოფლიო საგმირო ტიპები იქნებოდნენ“<sup>1</sup>.

ტიპის ცნების გაგებაში აკ. წერეთელი კიდევ უფრო მეტ ორიგინალობას ამჟღავნებს. მისი შეხედულებით, ტიპები ორ ჯგუფად იყოფიან: ერთი, რომელიც „ნაციონალურიც არის და მსოფლიოცა“ (მაგალითად, დონ-კიხოტი ან ფალსტაფი) და მეორე, რომელიც „არის მხოლოდ ნაციონალური ტიპი“ (მაგალითად, გ. წერეთლის—კუდაბზიკა)<sup>2</sup>. უნდა ითქვას, რომ აკ. წერეთლის

<sup>1</sup> აკ. წერეთელი. რამდენიმე სიტყვა ბ-ნ ილია ჭავჭავაძის საპასუხო „ვეფხისტყაოსნის“ გამო, „აკაკის თეოური ჟურნალი კრებული“, 1898, № 8.

<sup>2</sup> აკ. წერეთელი. კრელი ფიქრები, ჟურნალი „კვალი“, 1894, № 23.

მიერ თავის დროზე წამოყენებული ეს შეხედულება ახლაც ყურად-  
ღებას იმსახურებს და სათანადო შესწავლას მოითხოვს, თუმცა,  
სრულიად ანგარიშგასაწევი ეს შეხედულება, თანამედროვე ლიტერ-  
ატურათმცოდნეობაში შესაფერ გამოძახილს ვერ პოულობს.

ტიპიური სახის შინაგანი ბუნების თავისებურების განმარ-  
ტებისას აკ. წერეთელი თუ წინ სწევს მის ეროვნულ ნიშნებს. ეს  
იმიტომ, რომ მას ღრმად სწამს ყოველი მწერლისა და ლიტერა-  
ტურის ნაციონალურობა. მისი შეხედულებით, ის მწერალი და ის  
ლიტერატურა, რომელიც მოკლებულია ნაციონალურ ფორმასა და  
ხასიათს, არავისთვის არაა საინტერესო და მისაბაძი. „თვითეულ  
ერს, — ამბობს აკაკი, — თავისი საკუთარი, ერთი მეორისაგან განსხ-  
ვავებული, სახე აქვს და მათ ლიტერატურასაც, როგორც სარკეს.  
ამა თუ იმ ერისას, განსაკუთრებითი ელფერი უნდა ედვასო“<sup>1</sup>.

კეთილშობილი პატრიოტი და ღრმად ნაციონალური პოეტი—  
აკ. წერეთელი მაღალი შეხედულებისა იყო, პირველყოვლისა, იმ  
მწერალზე და იმ ქვეყნის ლიტერატურაზე, რომელიც ღრმად ნა-  
ციონალური იყო და თავისი ხალხის ცხოვრებისა და ფიქრების  
სარკეს წარმოადგენდა. ამასთან, ის, რაც ერთი რომელიმე ხალხის  
ლიტერატურისათვის კანონზომიერ და ბუნებრივ მოვლენად მიაჩნ-  
და, ხშირად მიუღებლად და ხელოვნურად ეჩვენებოდა მას სხვა  
ხალხის ლიტერატურისათვის. ამიტომ იყო, რომ ის დაბეჯითებით  
აფრთხილებდა ხოლმე თავის კოლეგებს, რათა მეტი წინდახედუ-  
ლება გამოეჩინათ უცხო ენებიდან სათარგმნი ნაწარმოების შერ-  
ჩევისას. მისი აზრით, თარგმნა ან გადმოკეთება ისეთი ნაწარმოე-  
ბისა, რომელიც არაფრით არ ეხმაურება მთარგმნელის თანამემ-  
ულეთა ცხოვრებასა და ინტერესებს, ვერაფერ სარგებლობას მო-  
იტანს, ზიანი კი შეიძლება გამოიწვიოს. მისი თქმით, როგორც  
ნერგი ვერ იხარებს შესაფერი ნიადაგის გარეშე, ასევე ვერც ესა-  
თუ ის ნათარგმნი და გადმოკეთებული ნაწარმოები ვერ მიაღწევს  
თავის მიზანს, თუ შესაფერი ნიადაგი არაა მომზადებული. უცხო  
ენებიდან გადმოკეთებულ თხზულებებს, — ამბობს აკაკი, — შესაფე-  
რი... დრო და ადგილი უნდა აუჩიოს მწერალმა, რომ უცხოობა  
არ ეტყობოდეს, თორემ ტყუილი დროს დაკარგვა იქნებაო“<sup>2</sup>.

განსაკუთრებულ სიფრთხილეს იჩენდა აკ. წერეთელი სცენა-  
ზე წარმოსადგენად გამიზნული პიესების თარგმნა-გადმოკეთების  
საქმეში. და ეს გასაგებიცაა: ის იყო სცენიური რეალიზ-

<sup>1</sup> აკ. წერეთელი. წერილი მეგობართან, „ივერია“, 1901, № 103.

<sup>2</sup> აკ. წერეთელი. სათეატრო შენიშვნა, გაზეთი „შრომა“, 1881, № 12.

მის დანკვიდრებისათვის ყველაზე გამოჩენილი მებრძოლი გასული საუკუნის მეორე ნახევარში. ის ქართულ თეატრს უყურებდა როგორც ეროვნულ სარკეს. — დედანის დიდ ქომავს და „ხალხის გამწვრთნელ უმაღლეს სკოლას“<sup>1</sup>, რომლის წყალობით შეიძლებოდა წარსულის გახსენება, აწმყოს დანახვა და მომავლის გათვალისწინება<sup>2</sup>. თეატრისა და თეატრალური ხელოვნების აღმავლობის საქმეს აკ. წერეთელი იმავე ინტერესით ეკიდებოდა, როგორც მწერლობას. „თეატრი, — ამბობდა აკაკი, — ხელოვნების ტაძარია. სამოძღვრო ამბიონი და არა უბრალო გასართობი, საფუნდრუკო რამ. სცენა არის ეროვნული სარკე, რომელიც უშიშრად და უტყუარად უნდა გვისახავდეს ჩვენი ცხოვრების ავ-კარგს, რომ სანახაობით მოხიბლული, მშვენიერებისაკენ სიყვარულით მივისწრაფოდეთ და უშევრებას ზიზლით გაეუბროდეთ“<sup>3</sup>.

აკაკის აზრით, სჯობია რეპერტუარში სკარბობდეს შედარებით სუსტი, მაგრამ საკუთარი ცხოვრების ამსახველი ნაწარმოებნი, ვინემ მხატვრულად ძლიერი, მაგრამ თავისი შინაარსით უცხო და გაუგებარი ნათარგმნი პიესები. ცხადია, ის აშკარა წინააღმდეგი იყო ე. წ. დეკადენტური განწყობილებების გამომხატველი თარგმნილი პიესების ქართულ სცენაზე წარმოდგენისა, რასაც მეოცე საუკუნის პირველ ათეულ წლებში შედარებით მეტი გასაქანი მიეცა. ამასთან დაკავშირებით აკაკი წერდა: „თუ რომ ჩვენ ისტორიული პიესები არ გვექნება, მაშინ მინაგვანებს უნდა დავეჯრდეთ: თუ საკუთარ ცხოვრებიდან ხელოვნურად ბევრი ვერა აგვიღია რა. ვიკმაროთ დრომდე სცენებიც-კი და ჩვენი ეროვნული რეპერტუარი უნდა გავიჩინოთ. ნათარგმნი, უმნიშვნელო დეკადენტური პიესები ჩვენთვის არაფერი ხელსაყრელია! მართალია. ზოგიერთ პიესებს, რომელნიც ყველა ეროვნებისათვის ერთნაირად საგულისხმოა, გვერდს ვერც ჩვენ აეუვლით, მაგრამ ეს უნდა მოხდეს ხოლმე ხანდახან და არა ყოველთვის“<sup>4</sup>.

საერთოდ, აკ. წერეთელი იმ შეხედულებისაა, რომ ქეშმარიტად მაღალმხატვრული, ღრმადნაციონალური, კლასიკური ნაწარმოები ყოველთვის აგებს თარგმნაში და თარგმანი ხშირად დედნის აჩრდილსდა წარმოადგენს, მაგრამ მთარგმნელობით მუშაობაზე ხელის აღება მაინც შეუძლებელია. ამიტომ ის მეტად დიდ მოთხოვნილე-

<sup>1</sup> გაზეთი „ივერია“, 1902, № 60.

<sup>2</sup> აკ. წერეთელი. ქართული თეატრი, „დროება“, 1880, № 208.

<sup>3</sup> გაზეთი „ივერია“, 1903, № 192.

<sup>4</sup> აკ. წერეთელი. სათეატრო შენიშვნები, „ივერია“, 1903, № 229.

ბას უყენებს მთარგმნელს. „მთარგმნელმა, — წერს ის, — ზედმიწევნით უნდა იცოდეს ის ენა, საიდანაც სთარგმნის, ... თავის საკუთარ ენაში..., რაღა თქმა უნდა, დახელოვნებული უნდა იყოს და ამას გარდა ნიჭითაც თანაბარი დედნის დამწერის...“

ამიტომაც საზოგადოდ თარგმანი დედნის ჩრდილია ხოლმე, — ყოველ მთარგმნელს, ზემო-მოხსენებულ ღირსებითაც რომ სრული იყოს, ... მაინც კიდევ გამოეპარება ის წვრილმანობა, რომელიც შეადგენს თითოეული ხალხის განსაკუთრებით სულის საიდუმლო მოძრაობას, და რომელიც მხოლოდ დედნის ავტორს შეეძლო დედნის რძესთან ერთად შეეხისხლხორცებია, რომ პოეტური ნაწარმოები მოეპარება და გაესხივოსნებია. ამას ჩვენ ვამბობთ შესანიშნავ თხზულებათა შესახებ, თვარა უმნიშვნელო და უხეირო რამ თარგმანში რას დაჰკარგავს, თუ არ მოიგებს პირიქით! <sup>1</sup>.

როგორც ვხედავთ, მწერლის ნიჭის ერთ-ერთ მთავარ ღირსებად აკ. წერეთელს მიაჩნია იმის უნარი, რომ შეძლოს გვაგრძობინოს „თითოეული ხალხის განსაკუთრებითი სულის საიდუმლო მოძრაობა“. ამასთან, ღრმად სწამს, რომ ამის მიღწევა შეუძლია მხოლოდ მას, ვინც მისი ცხოვრების უშუალო მონაწილე და დამკვირვებელია, მაგრამ, მისი აზრით, არც ეს აუცილებელი პირობაა საკმარისი იმისათვის, რომ მწერალი იქცეს დიდ მხატვრად, ცხოვრების სარკედ, უკვდავ ქმნილებათა ავტორად. ამისათვის საჭიროა ის ფლობდეს ყველაზე მოწინავე მხატვრულ მეთოდსაც. ასეთ მეთოდად კი მას რეალიზმი მიაჩნია.

წერილში — „რაოდენიმე სიტყვა „ჩანგურის“ შესახებ“ <sup>2</sup> აკ. წერეთელმა დამაჯერებლად აჩვენა, ერთი მხრივ, ის უფესკრული, რაც რეაქციულ რომანტიზმსა და კრიტიკულ რეალიზმს შორის არსებობს, მეორე მხრივ, ის მკიდრო ურთიერთობა, რაც აქტიურ, მებრძოლ რომანტიზმსა და კრიტიკულ რეალიზმს შორის შეინიშნება. ამასთან, ამ წერილიდან მთელი პირდაპირობით გამოსჭვივის ის აზრი, რომ რეალიზმი — როგორც მხატვრული მეთოდი — ყველაზე უფრო საიმედოა.

გასული საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში, როცა ნატურალიზმის თეორიის გავრცელების საფრთხე შეიქმნა ლიტერატურაში, აკ. წერეთელმა საჭიროდ ჩათვალა ერთმანეთისათვის შეედარებინა რეალიზმი და ნატურალიზმი, რათა მკითხველს შესაფერი დასკვნა გაეკეთებინა. ის ვერ ითმენდა იმას, რომ ზოგიერთ ლიტე-

<sup>1</sup> „აკაკის თვითი ურნალი კრებული“, 1899, № 2;

<sup>2</sup> „ცისკარი“, 1885, № 9.

რატორს თავისი „თეორიებით“ დაბნეულობა შეჰქონდა სინამდვილის ასახვის რეალისტური პრინციპების ახსნა-განმარტებაში და ამით, ნებსით თუ უნებლიეთ, ნატურალიზმის სასარგებლოდ მოქმედებდა.

„ზოგიერთები, — ამბობს აკაკი, — საზოგადოთ იმ ახრისა არიან, ... რომ რეალიზმი მოითხოვს მწერლობაში მხოლოდ პროტოკოლურ აღწერილობას უმეტ-ნაკლებოთ, ისე როგორც ხედავს და ესმის მწერალს. ასე რომ, იქ თავისი არ უნდა გაურიოს რაო... ეს რომ ასე იყოს, მაშინ ფოტოგრაფიულ სურათებს უპირატესობა ექნებოდათ ხელოვნებითი მხატვრობაზე და უბრალო ფოტოგრაფი ემჯობინებოდა გამოჩენილ მხატვარს რაფაელს. მაგრამ ეს ასე არ არის. მართალია, ფოტოგრაფია სწორა აღწერს, ერთ ფორმასაც არ დააკლებს, მაგრამ მაგიერათ განმაცხოველებელ სულს ვერ ჩაუდგამს — იმას, რასაც მიბაძვით უახლოვდება და ხელოვანი მხატვარი კი იმისთანა რამ დამახასიათებელ ნიშანს აიღებს, შეუორჩევს მისთანა წამს გრძობა-გონების გამომეტყველებისას, რომ სულს ჩაუდგამს და განახორციელებს ნახატს. ამაშია მისი შემოქმედების საიდუმლო ძალა, რომელსაც... უსულო ფოტოგრაფი ვერ მიწვდება. ასევე უნდა ვთქვათ მწერლებზედაც. ნიქიერმა მწერალმა სტენოგრაფიულად კი არ უნდა გადაიღოს ყველაფერი, რაც გაიგონა, ნახა, ... არა, ასისა ათასის სიტყვა — ფრაზისაგან უნდა აირჩიოს მასალები, რომელნიც უკეთ დაახასიათებენ მისგან აღებულ საგანს, რასაკვირველია, შემოქმედებითი ძალით“<sup>1</sup>.

ეს ამონაწერიც კი დამაჯერებლად გვითვალისწინებს აკ. წერეთლის შეხედულებას რეალისტური მხატვრული მეთოდის შესახებ და მასთან მის დამოკიდებულებას; კარგად იგრძნობა ისიც, რომ როგორ ღრმად და სწორად ჰქონდა გაგებული მას სინამდვილის ასახვის რეალისტური პრინციპები. ჭეშმარიტი რეალისტი მხატვარი შორს იყო იმისაგან, რომ ნატურალისტურ დეტალიზაციაში დაენახა ჭეშმარიტი რეალიზმი და ვერ განესხვავებინა ტიპური ბანალურისაგან. მისი ასეთი პრინციპული დამოკიდებულება ამ საკითხისადმი მით უფრო საინტერესოა, რომ ესაა გამოჩენილი რეალისტი მწერლის თვალსაზრისი, დამყარებული ხანგრძლივ შემოქმედებით პრაქტიკაზე.

<sup>1</sup> „აკაკის თეორიული ძეგრიანი კრებული“, 1898, № 9.

აკ. წერეთელი პოეტისაგან მოითხოვს არა მხოლოდ თავისი ხალხის ცხოვრების ღრმა ცოდნასა და მართალი სიტყვის თქმას, არამედ მშობლიური ენის მთელი სიმდიდრის გამოყენების ოსტატობასა და ხალხისათვის გასაგებ პოეტურ მეტყველებას. ეს ღირსება,—მისი აზრით,—უფრო მეტად იმ პოეტებს აქვთ, რომლებსაც, სწორედ ამის წყალობით, სახალხო პოეტების სახელები დაუმსახურებიათ. ამ უკანასკნელთა სიტყვის ძალა, აკაკის თქმით, უპირველესყოვლისა, იმაში მდგომარეობს, რომ წაკითხვისთანავე ეუფლება მკითხველის სულსა და გულს, თითქოს თვითონ მას ეთქვას და მას ემღეროს ის. „პოეტური ნაწარმოები, ლექსები,—წერს აკაკი,—ორგვარია: ერთი აღვიძებს გონებას, ამაღლებს; მერე გადადის გრძნობაზე და ორივეს ერთად ჰსვეალავს. მეორე კი—თითქოს საქმეც კი არა აქვს რა გონებასთან, თავისთავად უძვრება სულსა და გულში და თითქმის უნებურათ ხიბლავს ადამიანს. ამ უკანასკნელთაგანს ეკუთვნიან სახალხო მგოსნები; მათი ლექსები უფრო სასიმღერო არიან, ვიდრე სადეკლამაციო... მათი კითხვის დროს გულში უეჭველად იმღერის მკითხველიო“<sup>1</sup>. ასეთ სახალხო მგოსნებად აკაკი ასახელებს ჰაინეს, ბერანჯეს და კოლცოვს. ჩვენი მხრით უნდა დავუმატოთ, რომ თვით აკაკიც—როგორც პოეტი—მათ რიცხვს მიეკუთვნება.

ხალხისათვის გასაგებ ენაზე და მისთვის საინტერესო თემებზე წერაში პოეტს,—აკაკის აზრით,—ძალიან ეხმარება ფოლკლორიც, რომელიც ხალხური სიბრძნის საღაროს წარმოადგენს; ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში მწერალი იპოვის ბევრ ისეთ საინტერესო მასალას, რაც მას გაუადვილებს სწორად განსჯერიტოს ხალხის ისტორიული თავგადასავალი და მისი სანუკვარი ძდეალებიც. „ხალხური პოეზია,—წერს ის,—უტყუარი სარკეა გადასული ცხოვრების და ისტორიის მტკიცე საფუძველი...“

ჩვენი ქართული ზეპირ-გადმოცემები მით უფრო შესანიშნავი არიან... რომ კერძო მნიშვნელობას გარდა, მსოფლიო ხასიათიცა აქვთო“<sup>2</sup>.

ხალხურ შემოქმედებაშიც, აკაკის თქმით, არის ნამდვილად ეროვნული, თვითმყოფადი და უცხოური;—სხვა ხალხის მიერ შექმნილი ნაწარმოებები: ამასთან, „პირველი აღვილი ხალხურ ნაწარ-

<sup>1</sup> აკაკის თვითონ „ქურნალი კრებული“, 1899, № 2.

<sup>2</sup> აკ. წერეთელი. ზეპირსიტყვიერების გამო, „აკაკის თვითონ ქურნალი კრებული“, 1897, № 1.

მოებებში ეკუთვნის იმ სიტყვიერებას, რომელიც საკუთარ წიდაგ-ზეა აღმონაცენიო<sup>1</sup>.

ხალხურ შემოქმედებასთან ლიტერატურის მჭიდრო კავშირი აკაკის ლიტერატურის წარმატების ერთ-ერთ საფუძვლად მიაჩნდა. ამიტომაც ის თავის მოვალეობად თვლიდა ყოფილიყო ხალხური ზეპირსიტყვიერების ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი შემკრები და პოპულარიზატორი.

როდესაც აკ. წერეთელი ქართულ ლიტერატურულ ცხოვრებაში ამა თუ იმ ხარვეზის არსებობას უჩიოდა, ამის მიზეზს, პირველყოვლისა, ლიტერატურული კრიტიკის უქონლობასა თუ სისუსტეში ხედავდა. კრიტიკა კი,—მისი შეხედულებით.—ლიტერატურის წარმატებისათვის ბრძოლის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი იარაღია. „ჩვენი ქართული მწერლობის ნაკლი,—წერდა აკაკი.—ის არის საზოგადოთ, რომ კრიტიკოსები არა გვყავს და კრიტიკა არა გვაქვს. ყველას ის მიაჩნია საყოველთაოდ კარგად, რაც თვითონ მოსწონს და იმას სდებს წუნს, რაც არ ეკაშნიკებაო“<sup>2</sup>.

კრიტიკის სისუსტედ მიაჩნდა მას ისიც, რომ კრიტიკოსობას ხშირად ისეთებიც ბედავდნენ, რომლებსაც არც შესაფერი განათლება ჰქონდათ და არც ობიექტური განსჯის უნარი. სწორედ ასეთ კრიტიკოსებს მოაგონებდა აკაკი, რომ კრიტიკოსს უნდა ესმოდეს „ის საგანი, რომელსაც ჰსწონის და აფასებს, უნდა იცოდეს ის ენაც, რომელზედაც გაარჩევს პოეტის თხზულებას და წინაგანსაზღვრულის მიდგომით არ უნდა შეუდგეს წერასო“<sup>3</sup>.

აკაკიმ, პირველმა ჩვენს ლიტერატურაში, საფუძვლიანად უარყო ის აზრი, რომ კრიტიკის სისუსტე თითქოს შესაფერი ნაშალის სიღარიბით იყოს გამოწვეული. ბევრისაგან განიგონია,—ამბობს აკაკი.—რომ „ჯერ უნდა იყოს რამე, რომ მერე კრიტიკოსი გამოჩნდეს და დაწეროს მისი განხილვაო, მაგრამ ეს სულ ტყუილი თვალის ახვევა არის; ის კაცი, რომელსაც წინ უდევს რუსთაველი, ბარათაშვილი და ქავჭავაძე, სტყუა ამ სიტყვებით. არაფერი გვაქვსო“<sup>4</sup>.

ამ მხრივ კრიტიკოსებით უკმაყოფილო პოეტი თვითონ ცდას არ აკლებდა გარკვეული წვლილი შეეტანა ამ უბანშიც. ამიტომ, მისი კრიტიკული და ისტორიულ-ლიტერატურული შინაარსის წე-

<sup>1</sup> აკაკი წერეთელი. ზეპირსიტყვიერების გამო, „აკაკის თეიური ჟურნალი კრებული“, 1897, № 1.

<sup>2</sup> „აკაკის თეიური ჟურნალი კრებული“, 1898, № 8.

<sup>3</sup> აკ. წერეთელი. პირველი და უკანასკნელი სიტყვა „დროებისადმი“, „ცის-კარი“, 1868, № 5.



რილები და გამონათქვამები ბევრ საინტერესო მასალას აძლევდენ ქართული ლიტერატურის ისტორიკოსს.

\* \* \* ~

თავისი ისტორიულ-ლიტერატურული ხასიათის შენიშვნებს აკ. წერეთელი უმთავრესად ერთ მიზანს უსახავდა: ეწვენიბინა ქართული ლიტერატურის განვითარების ცალკეული ეტაპები, ან განესაზღვრა ამა თუ იმ მწერლის ადგილი მშობლიური ლიტერატურის ისტორიაში. მათი დიდი მნიშვნელობაც, პირველყოვლისა, ავტორის სწორედ ასეთი მიზანდასახულებითაა განპირობებული.

აკ. წერეთელი ზედმიწევნით კარგად იცნობდა ქართული მწერლობის თიხქმის ყველა საყურადღებო ძეგლს და სწორად ჰქონდა გათვალისწინებული მათი მხატვრული და ისტორიული მნიშვნელობაც. ის დიდად აფასებდა იმ ფაქტს, რომ უძველესმა ქართულმა მწერლობამ ჯერ კიდევ მეხუთე-მეათე საუკუნეებში შექმნა მსოფლიო მნიშვნელობის ჰაგიოგრაფიული და ჰიმნოგრაფიული ძეგლები, რამაც გარკვეული საფუძველი შექმნა იმისათვის. რომ მეთერთმეტე-მეთორმეტე საუკუნეებისათვის ქართული საერო ლიტერატურაც წარმატებით გამოსულიყო მსოფლიო არენაზე.

აკ. წერეთლის უდავოდ მართებული შეხედულებით, შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ მეთორმეტე საუკუნეში შეეძლო შექმნა მხოლოდ იმ ხალხს, რომელსაც დიდი ლიტერატურულ-კულტურული ტრადიციები ჰქონდა და შესაფერ ეკონომიურ და პოლიტიკურ ძლიერებასაც მიაღწია ამ დროისათვის.

„ვეფხისტყაოსანი“, — აკ. წერეთლის შეფასებით, — არის გენიალური მხატვრული თხზულება, რომელიც გაბედული, მაღალი ჰუმანური იდეებითა და ფორმის კლასიკური სიდიადით ძვირფასია ყველა ხალხისათვის; მაგრამ, ამავე დროს, ის არის უაღრესად ნაციონალური ხასიათის ნაწარმოები, რომელშიც მთელი სისრულით გამოვლინდა ქართველი ხალხის მხატვრული და ფილოსოფიური აზრის მიღწევა და ღირსებები. რუსთაველი — მხატვარი, ღრმად ეროვნული და სრულყოფილი ოსტატია. მთავარი, რის გამოც „ვეფხისტყაოსანი“ აკ. წერეთელს უდიდეს სიამოვნებასა და აღტაცებას განაცდევინებს, ესაა მასში ერთიანი, ძლიერი და თავისუფლებისმოყვარე საქართველოს სურათის დანახვა. ამიტომ, „ვეფხისტყაოსანი“ მისთვის მხოლოდ მხატვრული ნაწარმოები როდია, იგი მისი ეროვნული იდეალების ხორცშესხმაცაა. ამიტომ იყო, რომ „ვეფხისტყაოსნისადმი“ ინტერესი აკაკის არ შენელებია მოღვაწეობის მთელ მანძილზე. პეტერბურგის უნივერსი-

ტეტის დამთავრებისას, საკანდიდატო დისერტაციის თემად აკაკიმ „ვეფხისტყაოსანი“ აირჩია<sup>1</sup>, შემდეგაც—უკვე მსცოვანი პოეტი— თავისი საჯარო ლექციებს „ვეფხისტყაოსანს“ უძღვნის<sup>2</sup>.

აკ. წერეთელი ყოველთვის მწუხარებით ლაპარაკობდა იმის შესახებ, რომ რუსთაველის დროის ერთიანი და ძლიერი საქართველო უთანასწორო და განუწყვეტელი ბრძოლების შედეგად დანაწილდა და დასუსტდა; შესატყვისად ამისა, ზიანი განიცადა მაღალ დონეზე მყოფმა ქართულმა ენამაც. „ქართული ენა, — წერს აკაკი, — არის ერთი უძველესი ენათაგანი. მეათე საუკუნეში ენის კანონები, გრამატიკა, დამთავრებული იყო არა მარტო ქალაქებში, ხალხშიც კი სასაუბროდ. რუსთაველს ენა კი არ შეუქმნია, იმან მხოლოდ ხალხის ენა გადმოიღო უმეტ-ნაკლებოდ, რადგანაც მის დროს ენა გაწმენდილი იყო...“

რუსთაველის დროს ქართული ენა გაწმენდილი. ძლიერი და გაერთიანებული იყო ისე, როგორც თვით ქართველი ერიც. მონგოლებმა რომ მუსრი გააეღეს საქართველოს და თათრობამ ნაწილ-ნაწილად დაჰყო, მაშინ ენაც დაკნინდა... მთლიანი ქართული ენა იმდენად გაიყო, რომ ერთ კუთხეს მეორის ენა ეჩოთირებოდაო<sup>3</sup>.

ცხადია, შეუძლებელია გავიზიაროთ აკაკის ის მოსაზრება. რომ რუსთაველმა თითქოს „მხოლოდ ხალხის ენა გადმოიღო უმეტ-ნაკლებოდ“, მაგრამ უდავოა ამ დროისათვის ქართული სამწერლო ენის მაღალ დონეზე დგომა. ფაქტია ისიც, რომ ისტორიულმა აუბედობამ, რასაც საქართველოს ცალკეულ სამეფოებად და სამთავროებად დანაწილება მოჰყვა, გარკვეული დალი დაასვა მწერლობასა და ენასაც.

აკ. წერეთელს გათვალისწინებული ჰქონდა ისიც, რომ ვერც იმდროინდელმა სხვა მწერლებმა (ჩაბრუხაძე, შავთელი) შეძლეს მხარი გაესწორებინათ რუსთაველისათვის და თავიანთი ნაწარმოებები შეემკოთ „ვეფხისტყაოსანის“ მხატვრული და ენობრივი ღირსებებით. ამის მიზეზს ის ხედავს იმაში, რომ მეტად შეზღუდული იყო მათი მხატვრული მიზანი და უაღრესად ხელოვნური— მათი სამწერლო ენა. ამის გამოა, რომ აკაკი დიდ მანძილსა და აშ-

<sup>1</sup> აკ. წერეთელი. „Несколько слов в пользу оригинальности „Варчioni Кожд“. იხ. ჟურნალი „მნათობი“, 1951, № 10.

<sup>2</sup> აკ. წერეთელი. სამი ლექცია „ვეფხისტყაოსანზე“, აკაკის თვითი ჟურნალი კრებული“, 1898, № 6.

<sup>3</sup> აკ. წერეთელი. ნაღული. გაზეთი „თემი“, 1911, № 12.

კარა განსხვავებას ხედავს რუსთველურსა და ჩახრუხაძე-შავთელურ ტრადიციებს შორის. „მთორმეტე საუკუნის აქეთ, — ამბობს აკაკი, — სადაც კი რუსთაველს ახსენებდნენ ჩვენში, იქ, მაშინვე, თავში შავთელს წამოუსკუპებდნენ და თუ არ მეტათ, ნაკლებ რუსთაველზე არ აფასებდნენ. — რა იყო ამ ორ მწერალში საერთო? არაფერი!... ერთი მგოსანი და მეორე კი გაბერილი რიტორი!... ერთი ყველასათვის ადვილად გასაგები... და მეორე კი გაუგებარი. გრძობა-გონების მძიმე ტვირთი“<sup>1</sup>. ასეთსავე განსხვავებას ხედავს აკაკი რუსთაველსა და ჩახრუხაძეს შორისაც<sup>2</sup>.

ამიტომ, ერთი მხრივ, „ვეფხისტყაოსნის“ სილიაღემ და, მეორე მხრივ, მწერლობის დაცემამ მონღოლთა საშინელი თავდასხმების შემდეგ, ხელი შეუწყო რუსთაველისადმი გადაჭარბებული მიმბაძველობის გაბატონებას. ხანგრძლივი დროის განმავლობაში თითქმის კანონად იქცა პოემების წერა „ვეფხისტყაოსნის“ მეტრისა და კომპოზიციური არქიტექტონიკის მიხედვით. პოეტური ნიჭით სუსტმა მიმბაძველებმა, ბუნებრივია, ასეთი ტრადიციის დამკვიდრებით არათუ ხელი შეუწყვეს ქართული ლიტერატურის განვითარებას, არამედ გარკვეული ზიანიც კი მიაყენეს მას. „ვეფხისტყაოსნის“, — წერს აკაკი, — ორგვარი გავლენა ჰქონდა მწერლობა-მწიგნობრობაზე: ერთი მხრით, მისი წყალობით წერა-კითხვა და მწიგნობრობის ხალისი თანდათან მტკიცდებოდა ხალხში და, მეორე მხრით, საკუთრათ პოეზიაზე რალაც ბატონური, ნავენბელი გავლენა ჰქონდა. მრავალ საუკუნეების განმავლობაში ქართველი პოეტები ისე ბრმათ გატაცებული იყვნენ რუსთველისაგან, ისე ძლიერათ დამონებული, რომ ველარც-კი წარმოედგინათ, თუ კიდევ შეიძლებოდა სხვა გვარი ლექსის წერა... მიდიოდნენ რუსთველისაგან ერთხელ გათელილ, გზაზე, უდგენ კვალში, მაგრამ იმოდენი ფეხმარჯვობა არა ჰქონდათ და მათი მსვლელობა, შედარებით რუსთაველის მსვლელობასთან, კოქლობა იყო“<sup>3</sup>.

რუსთაველის შემდეგ ახალ ეტაპს ქართულ ლიტერატურაში, აკაკის შეხედულებით, საფუძველს უყრის დავით გურამიშვილი: „პირველი მწერალი, — ამბობს ის, — რომელმაც გადაარჩინა თავი ამ მონებას და საკუთარი გზით მოინდომა მსვლელობა, იყო დავით გურამიშვილი“<sup>4</sup>. რაც შეეხება თეიმურაზ პირველს, აკაკის თქმით,

<sup>1</sup> აკ. წერეთელი. ქართული სცენა, ჟურნალი „კვალი“, 1895, № 51.

<sup>2</sup> „აკაკის თეიური ჟურნალი კრებული“, 1898, № 8, გვ. 12—13.

<sup>3</sup> აკ. წერეთელი. სამი ლექცია „ვეფხისტყაოსანზე“; აკაკის თეიური ჟურნალი კრებული, 1898, № 6.

<sup>4</sup> იქვე.

„ქარგი პოეტთაგანი იყო, მაგრამ რუსთაველის აჩრდილათაც არ ჩაეარდებოდა“<sup>1</sup>.

დ. გურამიშვილთან შედარებით, აკ. წერეთელი უფრო დაბლა აყენებს ბესიკსაც, თუმცა არ უარყოფს მის მაღალ პოეტურ ნიქს და მისი ლექსების მხატვრულ ღირსებებს. აკაკი ბესიკს, პირველ-ყოველისა, უწუნებს პოეტურ მიმართულებას. ბესიკი და მისი მიმართულების პოეტები, აკაკის თქმით, თავიანთ მხატვრულ ნიქს ლექსის მუსიკალური მხარის მოწესრიგებას ანდომებდნენ მხოლოდ და შესაფერ ინტერესს არ იჩენდნენ საერთო, ეროვნული მოვლენების ასახვა-ჩვენებისადმი. ასეთ პოეტთა ლექსებს აკაკი ჩიტების კიკვიკს ადარებს და ბალხის სულიერი ცხოვრებისათვის მეტად მცირე მნიშვნელობის მქონე მოვლენად თვლის. მართალია, აკაკის გათვალისწინებული ჰქონდა ლირიკული ლექსების დიდი მნიშვნელობა საერთოდ, მაგრამ მკაცრად განასხვავებდა ერთმანეთისაგან, ერთი მხრივ, მხოლოდ პირადი გრძნობის გამომხატველ და, მეორე მხრივ, საერთო ღირ-ვარამისა და სიხარულის ამსახველ ლირიკულ ლექსებს.

ამ მხრივ, აკ. წერეთელი, სრულიად სამართლიანად, ბესიკსა და მისი სკოლის პოეტებს უპირისპირებს ნ. ბარათაშვილს.

ნ. ბარათაშვილი, აკაკის თქმით, პირველი პოეტი იყო ახალ ქართულ ლიტერატურაში, რომელიც საზოგადოებრივი, ეროვნული მნიშვნელობის მტკივნეულ საკითხებს შეეხო და მაღალი პოეტური ნიჭითა და ქვეშარტი პატრიოტული გრძნობით მიიქცია მკითხველის ყურადღება; მან დიდი სიახლე შეიტანა ქართული პოეზიის როგორც მხატვრულ ფორმაში, ასევე, და კიდევ უფრო მეტად, მის იდეურ შინაარსში. ნ. ბარათაშვილმა, აკაკის ხწორო შეფასებით, წარმატებით მოამზადა საფუძველი იმ გარდატეხისათვის, რომელიც შემდეგ „თერგდალეულებმა“ და, პირველყოველისა, მისმა მეთაურმა ი. ქავჭავაძემ მოახდინა ქართულ ლიტერატურაში. ნ. ბარათაშვილის პოეზია, აკაკის აზრით, ის მონაპოვარია, რომელზე დაყრდნობითა და რომლის გაღრმავება-გაგრძელების წყალობით, ამასთან შესაფერი ისტორიული ვითარების ხელშეწყობით, ი. ქავ-ქავაძე გახდა ახალი ქართული ლიტერატურის ფუძემდებელი.

აკ. წერეთლის შეხედულებით, ნ. ბარათაშვილი იყო ყველაზე დიდი პოეტი რუსთაველის შემდეგ. ამიტომაც, მას ხედა წილად ყოფილიყო „წინამორბედი ახალი ცხოვრების განთიადისა“<sup>2</sup>.

<sup>1</sup> აკ. წერეთელი. სამი ლექცია „ვეფხისტყაოსანზე“, „აკაკის თეოური ჟურნალი კრებული“, 1898, № 6.

<sup>2</sup> „ქურნალი კვალი“, 1893, № 18.

საფუძვლიანად შეაფასა რა ნ. ბარათაშვილის პოეზია, აკ. წერეთელმა, პირველმა ჩვენს კრიტიკაში, გონებამახვილურად მიუთითა იმ დიდ შემოქმედებით ნათესაობაზე, რომელიც ნ. ბარათაშვილსა და ი. ქავკავაძეს შორის არსებობდა<sup>1</sup>.

მეტად საყურადღებო მოსაზრება აქვს გამოთქმული აკ. წერეთელს მეორე დიდი რომანტიკოსი პოეტის გრ. ორბელიანის შესახებაც. როგორც ვიცით, ქართული რომანტიზმის ერთ-ერთ მთავარ წარმომადგენელს გრ. ორბელიანს ცხოვრება და მოღვაწეობა მოუხდა მაშინაც, როცა მწერლობის ასპარეზს „თერგდალეულები“ ფლობდნენ. გრ. ორბელიანი, ცხადია, ვერ გაიზიარებდა „თერგდალეულთა“ სოციალურ-პოლიტიკურ პროგრამასა და ესთეტიკურ მოძღვრებას, მაგრამ ბევრი რამ ნახა მათში მოსაწონი და მისაღები. ამიტომაც, რომ აკ. წერეთელი შენიშნავს: „გრ. ორბელიანი იყო კავშირი ძველსა და ახალის თაობის შორის, სხვადასხვა დგმის შემაერთებელი ხიდი. როგორც ყოველივე შემაერთებელ რამეს, მაგას ერთი თავი რამ ერთი მხრისაკენ ჰქონდა, მეორე—მეორისაკენ“<sup>2</sup>.

ამ მახვილი შედარებით აკაკი მართლაც სწორად ხატავს გრ. ორბელიანისა და ახალი თაობის ურთიერთობის სურათს. როგორც ცნობილია, აკაკიმ მეტად მკაცრად გააქენწლა გრ. ორბელიანი იმისათვის, რომ ის ერთი თავით კვლავ ძველი თაობისკენ იყო მიპყრობილი, მაგრამ დიდად აფასებდა იმ კავშირსაც, რაც მასსა და ახალთაობას შორის არსებობდა.

ეროვნული მოტივის სათანადო უფლებებში აღდგენას აკ. წერეთელი ნ. ბარათაშვილის დამსახურებად თვლის. ნ. ბარათაშვილი, ამ მხრივ, მან „თერგდალეულთა“ დიდ და უშუალო წინამორბედად გამოაცხადა. რაც შეეხება მწერლობის დაინტერესებას თანამედროვე სოციალური ურთიერთობის ასახვით, სრულიად მართებულად, ის ამას გ. ერისთავის სახელს უკავშირებს.

აკ. წერეთლის შეხედულებით, გ. ერისთავმა, ისევე როგორც ნ. ბარათაშვილმა, ქართულ მწერლობას მისცა გარკვეული მიმართულება, რამაც შემდეგ სრულყოფილი სახე მიიღო „თერგდალეულთა“ შემოქმედებაში.

გ. ერისთავი, ამბობს აკაკი, ყველაზე უფრო ბრწყინავს იმ მწერალთა შორის, რომლებმაც თავიანთი ნიჭი, უმთავრესად, ოცდა-

<sup>1</sup> აკ. წერეთელი. „რაოდენიმე სიტყვა „ჩანჯურის“ შესახებ“, „ცისკარი“ 1865, № 6.

<sup>2</sup> „დროება“, 1883, № 66.

ათიანი წლების შემდეგ გამოავლინეს. „და ბრწყინავს არა მიტომ, — წერს ის, — რომ ვითომც მას სხვებზედ უფრო მეტი ძალა და სხივოსნობა ჰქონდეს, არა, მხოლოდ მიტომ, რომ ის იყო გზის მაჩვენებელი და წინამსრბოლი. მაშინ როდესაც სხვები, მისი თანამედროვე მგოსნები კი, თუმცა ძლიერად, მაგრამ უნაყოფოდ, მხოლოდ თვალ-საჩინოდ ბრწყინავდნენ.

მართალი არის, ამ უკანასკნელების პირად სიცილ-ტირილში ზოგიერთები თავის გულის პასუხებსაც ჰხედავდნენ, მაგრამ ერთიანი საზოგადო ხალხის კენესა და ხარხარი კი არსად იყო.

ეს წილად ხედა მხოლოდ ერისთავის ჩანგს, რადგანაც ბედმა იმას უფრო უმოყვრა სხვებზედ: ნისი ამხანაგები, რომ აქა-იქ უხეირო ადგილებში მოამწყვდია, იმას ისეთ ქვეყანაში უჩინა ბინა, სადაც ახალგაზრდა პოეტის ნორჩი ბუნება თავისუფლად შესარგებ და გამოსაფხიზლებელ საზრდოს იშოვიდა კჳუა-გონებისათვის. დაჰყო რამოდენიმე ხანი ვარშავში და იქ, გამოჩინილის მიცკევიჩისა და სხვა მოწინავე იქაური მამულის-შვილების გავლენით, გაიკვლია გზა: მიხვდა, რომ ციური ნიქი ქვეყნის სასამსახუროდ და არა საპირადო რამეთ ეძლევა კაცს და რომ მწერლობა არის უძლიერესი და უპირველესი იარაღი, რომელიც სიმართლით უნდა ილესებოფეს და უსუსტრად იხმარებოდეს სამშობლოს საკეთილდღეოდო<sup>1</sup>.

როგორც ვხედავთ, აკ. წერეთელი სწორ შეფასებას აძლევს გ. ერისთავს, თელის რა მას ახალი მიმართულების, — რეალიზმის დამწყებად და ფუძემდებლად ქართულ ლიტერატურაში. გ. ერისთავი, მისი თქმით, იყო „გზის მაჩვენებელი და წინამსრბოლი“. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მან ახალი, რეალისტური მიმართულება მისცა ჩვენს მწერლობას, რითაც ის ახალი თაობის („თერგდალეულთა“) წინამორბედი გახდა.

გ. ერისთავის ნიქის ღირსებად აკ. წერეთელი თელის იმას, რომ მან სწორად გაიგო მწერლობის დანიშნულება და, ნაცვლად პირადულისა, წინ წამოსწია საერთო, საზოგადო მნიშვნელობის გასაქირი და დალხინება. და ყოველივე ეს გ. ერისთავმა მისი თანამედროვე სოციალური ყოფის რეალისტური სურათების დახატვით მოახერხა. გ. ერისთავს, — ამბობს აკაკი, — „არ დაუგდია, რომ სიცილით არ მოეხსენებინოს, არც ერთი მხარე და არც ერთი წოდება ჩვენის ქვეყნისა მისის სხვადასხვა იმ დროს

<sup>1</sup> გ. ერისთავი. თხზულებანი, 1884; აკ. წერეთლის წინასიტყვაობა.

მოვლინებით. გვიხატავს თავად-აზნაურობის ვითარებას, გლეხების მდგომარეობას, ხელისუფალთა გაიძვერობას, მაშინდელ რუსეთ-მეების ქარაფშუტობას და სხვ. მაგრამ ყველაზე უფრო ძლიერად... ვაქრებსო“<sup>1</sup>.

გ. ერისთავი ზისთვის სხვა მხრივაც მრავალმხრივ საინტერესო მოღვაწეა. კერძოდ, იგი მას დიდად უმადლის ეჟურნალ „ცისკრის“ დაარსებას და თეატრის აღდგენას; „გ. ერისთავის მაღალმა ნიქმა თავდაპირველადვე უტყუარ გზაზე დააყენა ქართული სცენა და მიტომაც მაშინდელ თეატრს მშობლიური სული ედგა და ხორცი ესხაო“<sup>2</sup>.

ამგვარად, აკ. წერეთლისათვის გ. ერისთავის სახელი ძვირფასია იმიტომ, რომ მასთანაა დაკავშირებული რეალიზმისათვის საფუძვლის ჩაყრა როგორც ლიტერატურაში, ასევე თეატრალურ ხელოვნებაში. ამასთან; მან შექმნა რეალისტური სკოლა, რომლის თვალსაჩინო წარმომადგენელიც ზ. ანტონოვი იყო. „ბედნიერი მამულისშვილები, — ამბობს აკაკი, — არა თუ თვითონ მსახურებენ სამშობლოს, თვისის ზედ-გავლენით, სხვებსაც ამსახურებენ ხოლმე. ერისთავსაც ჰყავდა მიმბაძველები და მათ რიცხვში მისთანა შესანიშნავებიც, როგორც იყო მისივე მოწაფე ზ. ანტონოვი“<sup>3</sup>.

გ. ერისთავთან და ზ. ანტონოვთან ერთად, აკ. წერეთელი მაღალ შეფასებას აძლევს 50-იანი წლების რეალისტებს საერთოდ, კერძოდ კი დ. ქონქაძეს, ლ. არდაზიანს და რ. ერისთავს<sup>4</sup>. რ. ერისთავს აკაკი უწოდებს ქართული რეალიზმის პირველი და მეორე ეტაპების დამაკავშირებელსა და შემაერთებელ ხიდს<sup>5</sup>; ამასთან, აქებს იმის გამო, რომ კარგად იცნობს თავისი ხალხის ცხოვრებას და საუკეთესოდ ფლობს დედაენას. ამიტომ ის მოითხოვს მისი ნაწერების უფრო ღრმად შესწავლასა და მეტ დაფასებას<sup>6</sup>.

განსაკუთრებულ მნიშვნელობას აძლევს აკ. წერეთელი სამოციანელთა, ე. წ. თერგდალეულთა შემოქმედებისა და მოღვაწეობის სწორ გაგებასა და გაშუქებას. 60-იან წლებს ის აფასებს როგორც დიდი გარდატეხის პერიოდს რუსული და ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიაში. ეს წლები, მისი თქმით, იყო გამოღვიძებისა და გამოფხიზლების ხანა, როცა ხმა აღიმალდა და სა-

<sup>1</sup> გ. ერისთავი. თხზულებანი, 1884; აკ. წერეთლის წინასიტყვაობა.

<sup>2</sup> „აკ. წერეთელი თეატრის შესახებ“, 1955, გვ. 151.

<sup>3</sup> გ. ერისთავი. თხზულებანი, 1884; აკ. წერეთლის წინასიტყვაობა.

<sup>4</sup> „დროება“, 1878, № 109.

<sup>5</sup> „ივერია“, 1901, № 57.

<sup>6</sup> „დროება“, 1878, № 109.

მოღვაწეო ასპარეზზე გამოჩნდა ვინც კი იყო ახალი და პროგრესული იდეების მქონე. ამიტომ, ეს პერიოდი ხასიათდება განსაკუთრებული კიდილით ძველ, — კონსერვატორულსა და ახალ, — პროგრესულს შორის. ეს მშფოთვარე ცხოვრება ახალგაზრდობისაგან მოითხოვდა მრავალმხრივ და თავდადებულ მოღვაწეობას. რამაც, აკაკის თქმით, თავისი ბეჭედი დაასვა მათ ნაწერებსაც.

„ამ ოცი, ოცდახუთი წლის წინედ, — ამბობდა აკაკი 1883 წელს, — გადაიდგა ჩვენის ცხოვრების წარმატების ნაბიჯი. მაშინდელი ახალთაობა მარტოხელი იყო და იძულებულიც იყო, რომ ბევრის სხვადასხვა საქმისათვის მოეწყო ხელი ერთსა და იმავე დროს ყოველდღიური მოვლინებაების საპასუხოდ. ამის გამო, არც ერთ მათს ნამუშევარს არ ატყვია... განსაკუთრებითი შრომის კვალი, მაგრამ პირველი ნაბიჯი იყო ეს და ღირსეულადაც გადაიდგაო“<sup>1</sup>.

ცხადია, აკ. წერეთელი სამოციანი წლების მოღვაწეთა დამსახურებაზე შედარებით მორიდებულად ლაპარაკობს, რადგან თვითონ ის მათი ერთ-ერთი მეთაურთაგანი იყო, მაგრამ მას ბევრი საყურადღებო აზრი აქვს გამოთქმული ი. ქავჭავაძის, გ. წერეთლის, ნ. ნიკოლაძის, კ. ლორთქიფანიძისა და სხვათა ლიტერატურული და პრაქტიკული მოღვაწეობის გასათვალისწინებლად.

შეიძლება ითქვას, რომ აკაკი მხოლოდ ი. ქავჭავაძეს უთმობდა პირველ ადგილს, მას თვლიდა წინამძღოლად და მეთაურად; მაღალ შეფასებას აძლევდა მის სამწერლო მოღვაწეობას. ი. ქავჭავაძე, — მისი უდავოდ სწორი შეფასებით, — იყო ახალი ქართული ლიტერატურის ქეშმარიტი ფუძემდებელი და წარმმართველიც; ის ჯანსაღი და მოწინავე ლიტერატურული ტრადიციები, რაც, ერთი მხრივ, ნ. ბარათაშვილმა, ხოლო მეორე მხრივ, გ. ერისთავმა და 50-იანი წლების სხვა რეალისტებმა დანერგეს ქართულ ლიტერატურაში, ი. ქავჭავაძემ ახალი ეპოქის შესატყვისად, მთლიანობაში გაიაზრა და ერთი საერთო მიზნის სამსახურში ჩააყენა. ეს იყო მეტად რთული და დიდი საქმე, რაც მან წარმატებით გადაწყვიტა, რითაც საიმედო საფუძველი შექმნა ქართული ლიტერატურის შემდგომი აღმავლობისათვის.

აკაკის უნაკლოდ და ობოლ მარგალიტებად მიაჩნდა ი. ქავჭავაძის პროზაული თხზულებანი, რაც შეეხება მის ლექსებს, მათ იგი თვლიდა საკითხავად მძიმე და ნაწილობრივ მხატვრულად სუსტ ნაწარმოებებად, მაგრამ თავიანთი მნიშვნელობით, მათ მაინც

<sup>1</sup> „ღრობა“, 1883, № 86.



კაცილებით მაღლა აყენებს, ვიდრე ბევრ იმდროინდელ, მხატვრულად თითქოს უნაკლო ლექსებს<sup>1</sup>. და ეს იმიტომ, რომ მას გათვალისწინებული ჰქონდა კეშმარიტება, რაც თავის დროზე ი. ტურგენევის მიერ ითქვა: „Бывают эпохи, где литература не может быть только художеством, а есть интересы, высшие поэтических интересов. Момент самопознания и критики также необходим в развитии народной жизни, как и в жизни отдельного лица“<sup>2</sup>.

შეიძლება ითქვას, რომ კიდევ უფრო მეტად ასეთი შეხედულებით აკაკი გ. წერეთლის შემოქმედების შეფასებისას ხელმძღვანელობდა. გ. წერეთლის შემოქმედების ღირსებას აკ. წერეთელი, პირველყოვლისა, მის იდეურ შინაარსში ხედავდა. მას მხედველობიდან არ ეპარებოდა ის, რომ გ. წერეთლის მხატვრული მემკვიდრეობა ძვირფასი იყო მშრომელი ხალხისა და მისი ინტერესების დამცველი ინტელიგენციისათვის; სამაგიეროდ მას ებრძოდნენ მაღალი წოდების გულშემატივარნი. „მიუხედავად იმ წრისა,—ამბობდა აკ. წერეთელი,—რომელიც დედა-მიწასთან გასწორებას სცდილობდა განსვენებული გიორგი წერეთლისას და სიცოცხლეში მოსვენებას არ აძლევდა, დაბალმა ხალხმა, ფესვმა ეროვნებისამ, თვით დასდვა მას თავისი საკუთარი უტყუარი მსჯავრი და „ვაშა“ მის განაჩენსო“<sup>3</sup>.

ასევე დიდად აფასებდა აკაკი ნ. ნიკოლაძის მრავალმხრივ და ნაყოფიერ მოღვაწეობას, პატივს სცემდა მის ნიქსა და მოუქანცავ პუნებას.

საერთოდ, აკ. წერეთელმა ჩვენი ლიტერატურისა და კულტურის ისტორიკოსებს დაუტოვა მეტად საგულისხმო მითითება სამოციანელთა დამსახურების შესაფერი გათვალისწინებისათვის: „მარტო ნაწერებით ჩვენი მესამოცე წლების მოღვაწეთა დაფასება,—ამბობს ის,— დიდი შეცდომა და უსამართლობა იქნება! მწერლობა მათთვის მხოლოდ... იარაღი იყო ქვეყნის სასამსახუროდ აღებულო“<sup>4</sup>.

სამოციანი წლების შემდეგ პერიოდს და შემდეგ გამოსულ მწერლებს აკ. წერეთელი აფასებს უკვე არა იმის მიხედვით, მის-

<sup>1</sup> აკ. წერეთელი. „ჩაოდენიმე სიტყვა „ჩანგურის“ შესახებ“, „ცისკარი“- 1865, № 9.

<sup>2</sup> Н. С. Тургенев. Собрание сочинений, 1949, т. II, стр. 128.

<sup>3</sup> „აკაკის თვიური ჟურნალი კრებული“, 1900, № 2.

<sup>4</sup> იქვე.

ცეს თუ არა მათ ახალი მიმართულება ჩვენს ლიტერატურას (ანის საჭიროებას ის უკვე აღარ ხედავდა), არამედ იმ წვლილის მიხედვით, რაც მათ შეიტანეს სამოციანელთა ლიტერატურული ტრადიციების გაძლიერებისა და გაღრმავების საქმეში. ამ მიმართულებით კი აკ. წერეთელი ყველაზე მაღალ შეფასებას აძლევს დიდ ქართველ რეალისტებს—ვაჟა-ფშაველასა და ალ. ყაზბეგს.

ვაჟა-ფშაველას პოეტური ნიჭით მოხიბლულ აკაკის არა ერთხელ გამოუთქვამს თავის აღტაცება; ვაჟას ის „მარგალიტების მთესველს“ უწოდებდა. კარგი შეხედულებისა იყო მისი ძმების (ბაჩანასა და თედოს) ნაწერებზეც. „ვაჟა-ფშაველას პოემა „გოგოთურ და აფშინა“,—წერს აკაკი,—ერთი უკეთესთაგანია მთლად ჩვენს მწერლობაში. წვრილმანი ლექსები როგორც საკუთრად ვაჟასი, ისე მისი ძმის ბაჩანასი და თედოსი საზოგადოდ სამარგალიტო შაირები არიან!.. პროზა ხომ კიდევ უკეთესიო“<sup>1</sup>.

ცნობილია ისიც, რომ აკაკი ვაჟა-ფშაველას საყვედურობდა პოეტური ნაწარმოებების გადატვირთვას დიალექტური ლექსიკით. „ჩვენ, — ამბობდა აკაკი, — საზოგადოდ პროვინციალიზმის წინააღმდეგი არა ვართ!.. სხვადასხვა მხარეებში ბევრი ისეთი სიტყვებია დარჩენილი, განსაკუთრებით მთა-აღვლებში, რომ მათი გამოძებნა და... ენის შევსება საჭიროა... მაგრამ ის, რაც დედა-ენის წინააღმდეგ სხვადასხვა მხარეებში, პროვინციებში, გადაუმახინჯებიათ..., გასადევნიაო“<sup>2</sup>.

აკ. წერეთლის ასეთი სიფრთხილე საფუძველს არ იყო მოკლებული; მაშინ ჩვენს მწერლობაში, განსაკუთრებით შეინიშნებოდა კუთხური მეტყველებისათვის დამახასიათებელი ფორმების გამოყენება.

აკ. წერეთელი დიდი ცნობისმოყვარეობით აღევნებდა თვალს ხალხოსან მწერალთა ნაწარმოებებსაც. ცნობილია, თუ როგორი სასარგებლო გამოდგა აკაკის რჩევა ნიკო ლომოურისათვის, რომელმაც ლექსების ბეჭდვას თავი გაანება და ხელი მოკიდა მოთხრობების წერას. თავის რჩევა-დარიგებას არ აკლებდა ის არც ისოფრომ მგალობლიშვილს. ამაზე მეტყველებს თუნდაც მისი „წე-

<sup>1</sup> „აკაკის თვითრი ჟურნალი კრებული“, 1899, № 2.

<sup>2</sup> იქვე.

რილი მეგობართან“, რომელიც ს. მგალობლიშვილის ახალი მოთხრობის—„უკვდავების წყარო ვარ“ გაცნობასთან დაკავშირებით განოაქვეყნა. „სულ პირველად რომ შენი „ცეცო“ წავიკითხე,—წერს აკაკი ს. მგალობლიშვილს,—მომეწონა. მართალია, ნაცადი ხელის ძალიანი შალაშინი აკლდა, სხვადასხვა ნაწევრების ერთმანეთთან გადაკავშირება ხელოვნური ვერ იყო, მაგრამ შიგა და შიგ, ცალცალკე კი ჰკაფიობდა ავტორის ნიჭი და შემოქმედების ძალა. „აი, ვისგან უნდა გამოველოდეთ ბევრს, თუ გრძნობა-გონებას საზრდოს არ გამოუღვეს-მეთქი“... ვამბობდი აღტაცებით. გაიარა დიდნა ხანმა და მოლოდინი არ გამიმართლდა!... ხელოვნებამ ადგილი დაუთმო პუბლიცისტურ ქადაგებას შენს მწერლობაში და აღმაფრენას ფრთები შეეკვეცა!..

შარშანდელმა შენმა თხზულებამ—„წარსულიდგან“ ისევ მომიბრუნა გული მოულოდნელად. აქ ყოველიფერი იყო, რაც-კი მოეთხოვება ნიქსა... თუ გახსოვს, კიდევაც გირჩიე მაშინ: ეს პირველი ნაწილი თავისთავად დამთავრებული რამ არის და ზედ ნულარას გადააბამ-მეთქი! არ დაიჯერე და მიაკერე მეორე ნაწილიც. „ჩემი ცხოვრებიდან“... და მით ჩააშხამე პირველი ნაწილის სიტუბოებაო“<sup>1</sup>.

აკაკის ამ რჩევის სისწორე უდავოა, ასეთი რჩევა კი მას არაერთი ახალგაზრდა მწერლისათვის მიუტია.

საერთოდ, აკ. წერეთელი იმ შეხედულებისა იყო, რომ, გარკვეული ობიექტური მიზეზების გამო, საკმაო დროის მანძილზე ქართულ ლიტერატურაში შესაფერი ყურადღება არ ექცეოდა მხატვრული ფორმის გაუმჯობესებას, მაგრამ ოთხმოცდაათიან წლებში, მისი თქმით, მდგომარეობა უკვე იცვლებოდა. „ნამდვილი განთიადი ხელოვნებისა,—წერს ის,—მხოლოდ ამ უკანასკნელ ხანებში დგება. ამას გვიმტკიცებენ ახალგაზრდა მწერლები თავის პატარა-პატარა ფსიქოლოგიური ეტიუდებით, რომელთა რიცხვში პირველი ადგილი უჭირავს შიო დედაბრიშვილსო“<sup>2</sup>.

შიო არაგვისპირელის (დედაბრიშვილის) შესახებ აკაკის მსგავსი შეხედულება რამდენჯერმე აქვს გამოთქმული და მისდამწი მიძღვნილი ლექსიც დაუწერია, რომელშიც ამბობს:

<sup>1</sup> „ივერია“, 1901, № 103.

<sup>2</sup> „კვალი“, 1896, № 21.

„მოხველ თავმდაბლა და ამბობ:  
„გიახვლთ ახალ-დვრფტადო“.  
და მეც რას გეტყვი მოხუცი,  
თუ არა: ქემმარიტადო?“

ასევე მაღალი წარმოდგენისა იყო აკაკი დ. კლდიაშვილზეც. მას მოსწონდა ნიქიერი პროზაიკოსის ლაკონური სტილი და ფხიზელი რეალისტური ხედვა<sup>1</sup>.

მცხრვანი აკაკი ხედავდა, რომ ქართულ მწერლობას ნიქიერი მწერლები შემოემატნენ, რაც მას დიდ კმაყოფილებას ჰგვრიდა. მაგრამ მას უნდოდა ამ მწერლებს ვიწროდ არ წარმოედგინათ თავიანთი დანიშნულება; მისი მიზანი იყო მწერალი ყოფილიყო ნამდვილი მოღვაწე, რომელსაც პირადული დავიწყებული ექნებოდა და მთელი ენერგიით იზრუნებდა საერთო ბედნიერებისათვის. „ნამდვილი საზოგადო მოღვაწე... განა იმის ფიქრს გადაყუება, რომ მე სიკვდილის შემდეგ კუბოზე გვირგვინებს დამადებენ და ერთი-ორი ვინმე „ენა-ქავილა“ მოცლილი ქებას შემასხამსო? ამას მხოლოდ ქკუა-ნაკლები კაცი ისურვებს და ან ისეთი თავმოყვარე, რომელიც სულ თავის თავზე ფიქრობს.—არა, ნამდვილ მოღვაწეს ისა ჰსურს, რომ სიცოცხლეშივე ჰყავდეს თანამგრძნობელები!... და თანამგრძნობლად იმას კი არა სთვლის, ვინც იმას პირადად ადიდებს და ქების ტაშს უკრავს, მხოლოდ იმას, ვინც იმის აზრების მიმდევარია და უყვარს ის, რაზედ და რისთვისაც თვით მოღვაწე თავდადებულიაო“, —მოაგონებდა თავის კოლეგებს აკაკი.

აკ. წერეთელს უდავოდ ჰქონდა დამსახურებული ამ სიტყვების თქმის უფლება. ამიტომაც, რომ მისი ისტორიულ-ლიტერატურული ხასიათის შენიშვნებსა და მითითებებსაც დღემდე არ დაუკარგავთ მნიშვნელობა და წარმოადგენენ „თერგდალეულთა“ ესთეტიკური კონცეპციის სანინტერესო კონკრეტულ გამოხატულებას.

თავისი ისტორიულ-ლიტერატურული და კრიტიკული წერილებითაც აკაკი გვევლინება რეალიზმის პრინციპების დამკვიდრებისა და გაბატონებისათვის აქტიურ მებრძოლად ქართულ მწერლობაში. ის, ამ მხრივაც, მხარში ედგა ი. ჭავჭავაძეს და ამ დროისათვის ლიტერატურული კრიტიკის ყველაზე გამოჩენილ წარმომადგენელს ნ. ნიკოლაძეს.

<sup>1</sup> „აკაკის თვითური ეურნალი კრებული“, 1898, № 9.

<sup>2</sup> აკ. წერეთელი. თეატრის გამო, „კვალი“, 1893. № 3.

ქართულ ლიტერატურაში მატერიალისტური ესთეტიკის პრინციპების დამკვიდრებისა და ლიტერატურული კრიტიკის განვითარების საქმეში ნიკო ნიკოლაძემ, ი. ჭავჭავაძის შემდეგ, ყველაზე დიდი როლი შეასრულა.

ნ. ჩერნიშევსკის უახლოესი მოწაფის—ნ. ნიკოლაძის მოღვაწეობა ქართული ლიტერატურული კრიტიკის არენაზე ახალი ეტაპი იყო რეალიზმის ლიტერატურული თეორიის დამუშავების საქმეში.

ნ. ნიკოლაძეს, როგორც ლიტერატურის თეორეტიკოსსა და კრიტიკოსს, ძირითადად, სამოცდაათიანი წლების დამდეგიდან ჰქონდა უშუალო გავლენა ჩვენს მწერლობასა და საზოგადოებრივ აზრზე. ეს ის პერიოდია, როცა ის ე. წ. „ახალი ახალგაზრდობის“ პოლიტიკური პროგრამის მოხაზვას ცდილობს და ქართველ სამოციანელთა ბანაკში ერთგვარი დაჯგუფება იწყება. „ახალი ახალგაზრდობა“, ან როგორც შემდეგ მას უწოდეს—„მეორე დასი“, ი. ჭავჭავაძესა და მის ჯგუფს,—ე. წ. „პირველ დასს“, ლიტერატურის სფეროშიც დაუპირისპირდა. დაუპირისპირდა, კერძოდ, რეალიზმის—როგორც მხატვრული მეთოდის—დანიშნულების გაგებაში.

ამიტომ, პირველყოელისა, საჭიროა<sup>1</sup> გავარკვიოთ, თუ რა შეხედულებისა იყვნენ „მეორე დასის“ წარმომადგენლები რეალიზმზე, როგორც მხატვრულ მეთოდზე, და რა მოთხოვნას უყენებდნენ ისინი ლიტერატურას იმ დროისათვის.

„მეორე დასის“ ერთ-ერთი გამოჩენილი წარმომადგენელი გ. წერეთელი, რომელიც თავის სტატიაში—„კიტა აბაშიძე და ჩვენი ახალგაზრდობა“, შეეცადა ჩამოეყალიბებია ის მსგავსება-განსხვავება, რაც, მისი შეხედულებით, პირველი და მეორე დასის წარმომადგენელთა შორის არსებობდა, აღნიშნავდა, რომ პირველმა დასმა „ხელოვნურ ლიტერატურაში... დამკვიდრა სანტიმენტალურ-ტენდენციური მიმართულება“, ხოლო მეორე დასმა „სიტყვა-კაზმულ ლიტერატურაში... დააარსა ნამდვილი, შეუფერავი, შეუკეთებელი რეალიზმი“<sup>1</sup>.

მაგრამ გ. წერეთელს, გარკვეული მიზეზის გამო, არ მოუცია იმის დაწვრილებითი განმარტება, თუ როგორ ესმოდა მას „სანტიმენტალურ-ტენდენციური მიმართულება“ ან—„ნამდვილი, შეუფერავი, შეუკეთებელი რეალიზმი“.

<sup>1</sup> ძურნალი „კვალი“, 1897, № 46.

კრიტიკოსმა კ. აბაშიძემ, როგორც ცდილობდა ბრიუნეტის ევოლუციური მეთოდის „ქემარტება“ ახალი ქართული ლიტერატურის განვითარების მაგალითზე დაეფასებინა, სრულიად უმართებულო ახსნა მისცა გ. წერეთლის სიტყვებს და თავისი „თეორიის“ განსამტკიცებლად მოიშველია.

გ. წერეთელმა, —წერს კ. აბაშიძე, — „თავის თავის შესახებ უნებურად ისა სთქვა, რასაც ჩვენ ვამბობთ, ე. ი. ის, რომ მან უფერული „შეუფერავი“ რეალიზმი შემოიღო ჩვენს ლიტერატურაში“<sup>1</sup>. ერთი სიტყვით, კ. აბაშიძემ „შეუფერავი რეალიზმი“ გააიგივანატურალიზმთან.

შემდგომი პერიოდის მკვლევართა ნაშრომებში „შეუფერავი რეალიზმი“ სხვადასხვაგვარად იქნა გაგებული და ეს აზრთა სხვადასხვაობა დღემდე გრძელდება.

მკვლევართა გარკვეული ნაწილი შეუფერავ რეალიზმს არ განასხვავებს კრიტიკული რეალიზმისაგან, მაგრამ არ იძლევა იმის განმარტებას, თუ რატომ დასჭირდა გ. წერეთელს დაეპირისპირებინა იგი ილია ქავეჭავაძის რეალიზმისათვის<sup>2</sup>.

წერილში — „გიორგი წერეთლის შემოქმედება“, პროფ. გ. ჯიბლაძემ „შეუფერავი რეალიზმის“ შესახებ გამოთქვა საკმაოდ განსხვავებული შეხედულება. ნისი თქმით, „შეუფერავი რეალიზმი, როგორც შემოქმედებითი მეთოდი, არ იყო სინამდვილის შემეცნების ბოლომდე მეცნიერული გზა. მოვლენას ის ზოგჯერ გადმოგვცემდა ფორტოგრაფიულად, ხოლო თვით სიღრმე და შინაგანი მისი სამყარო არ იყო გაგებული, ვინაიდან, მოვლენასთან მისვლის საშუალება იყო ვიწრო ემპირიული და არა თანმიმდევრულად მეცნიერული“<sup>3</sup>.

გ. ჯიბლაძის შეხედულებით, ნატურალიზმი „უმთავრესად კმაყოფილდებოდა ცალკეული მოვლენის ან ფაქტის, როგორც განმხოლოებული სინამდვილის, გადმოცემით. მართალია, „შეუფერავი“ რეალიზმიც სინამდვილის ტიპიზაციას ზოგჯერ უარყოფდა. ის ხშირად გამოდიოდა განმხოლოებული რეალობის პრინციპიდან. მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს ნატურალიზმს, თუმცა განმხოლოებული სინამდვილისაკენ გადახრა „შეუფერავი“ რეალიზმისაც ისევე ამწყვედევდა ჩიხში, როგორც ნატურალიზმს“<sup>4</sup>.

<sup>1</sup> კ. აბაშიძე. ვტიულები..., ტ. II, გვ. 42.

<sup>2</sup> იხ. მ. ზანდუკლი. ახალი ქართული ლიტერატურა, 1954, ტ. II, გვ. 414; აბ. მახარაძე. ნარკვევები..., 1952, გვ. 441.

<sup>3</sup> გ. ჯიბლაძე. კრიტიკული ვტიულები, 1950, გვ. 201.

<sup>4</sup> ი ქ ვ მ, გვ. 200.

რევან ბაკურაძის ვიერ პეტრიელა კვესადის დედისა და დის-  
დატირების სცენის (გ. წერეთლის „გულქანი“) შეფასებისას გ. ჯიბ-  
ლაძე შენიშნავს, რომ „ეს ფაქტი ჩვენ მიგვაჩნია „შეუფერავი“  
რეალიზმის დამარცხებად და გიორგი წერეთლის შემოქმედებითი  
მეთოდის აქილესის ქუსლადო“<sup>1</sup>, და დაასკვნის: „რევან ბაკურა-  
ძის ტირილი როდამის ცხედართან—არის „შეუფერავი“ რეალიზ-  
მის მთელი სისუსტე და მისი არათანმიმდევრულად მეცნიერული  
ხასიათის კონკრეტული გამოვლენა“<sup>2</sup>.

ცხადია, „შეუფერავი რეალიზმის“ თავისებურების დასადგე-  
ნად არ გამოდგება ის არგუმენტი, რომ იგი, როგორც შემოქმედე-  
ბითი მეთოდი, „არ იყო სინამდვილის შემეცნების ბოლომდე მეც-  
ნიერული გზა“, ვინაიდან არც სხვა მხატვრული მეთოდები არ წარ-  
მოადგენენ სინამდვილის შემეცნების ბოლომდე მეცნიერულ გზას.  
მაგრამ ჩვენთვის ამჯერად ისაა საყურადღებო, რომ პროფ. გ. ჯიბ-  
ლაძე „შეუფერავ რეალიზმს“ აცხადებს გარკვეულ შემოქმედებით  
მეთოდად. ამასთან, კ. აბაშიძისაგან განსხვავებით, იგი მას არ  
აიგივებს ნატურალიზმთან, მაგრამ ასხვავებს კრიტიკული რეა-  
ლიზმისგანაც და, თუ შეიძლება ასე ითქვას, მათ (კრიტიკული  
რეალიზმისა და ნატურალიზმის) შუა ადგილზე ათავსებს. მაგრამ,  
როგორც ცნობილია, ასეთ შემოქმედებით მეთოდს ლიტერატურათ-  
მცოდნეობა არ იცნობს.

გ. ჯიბლაძის მსჯელობიდან თუ გამოვალთ, „შეუფერავ რე-  
ალიზმს“ ნატურალიზმისაგან ის ასხვავებს, რომ იგი მოვლენებს  
მხოლოდ „ზოგჯერ გადმოგვეცემა ფოტოგრაფიულად“ და „სი-  
ნამდვილის ტიპიზაციასაც ზოგჯერ უარყოფდა“. მაგრამ იგი იმ  
შეხედულებასაც იზიარებს, რომ ნატურალიზმის მსგავსად „ის (შე-  
უფერავი რეალიზმი—დ. გ.) ხშირად გამოდიოდა განმხოლოებული  
რეალობის პრინციპიდან“, რის გამო „ისევე ემწყვედოდა ჩიხში,  
როგორც ნატურალიზმი“. ასეთი გაგების მიხედვით, „შეუფერავი  
რეალიზმი“, თითქმის, თანასწორი მნიშვნელობის მსგავსება-განსხვა-  
ვებას ამჟღავნებს კრიტიკულ რეალიზმთან და ნატურალიზმთან  
მიმართულებაში.

მაგრამ კ. აბაშიძისა და გ. ჯიბლაძის შეხედულებები გ. წე-  
რეთლის შემოქმედებითი მეთოდის შესახებ პრინციპულად მაინც  
არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. მათ შორის განსხვავება, უფრო  
შეტად, ტერმინოლოგიური ხასიათისაა და არა აზრობრივი. მხედ-  
ველობაში გვაქვს ის გარემოებაც, რომ კ. აბაშიძეს ყოველმხრივ

<sup>1</sup> გ. ჯიბლაძე. კრიტიკული ეტიუდები, 1950, გვ. 200.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 202.

ისე როდი ესმოდა ნატურალიზმის არსი, როგორც იგი ჩვენ დღეს გვესმის. ეს იყო ერთ-ერთი მიზეზი იმისაც, რომ მან შესაძლებლად მიიჩნია ელაპარაკნა ქართულ ლიტერატურაში ნატურალიზმის განვითარების კანონზომიერებაზე.

საქმე ისაა, რომ გ. ჯიბლაძეს, ისევე როგორც კ. აბაშიძეს, გ. წერეთლის მიერ თავის შემოქმედებით მეთოდად აღიარებული „შეუფერავი რეალიზმის“ დახასიათება სურს მოგვეცეს მწერლის მხატვრული შემოქმედების სუსტ მხარეებზე დაყრდნობით. ასეთ-პოზიციაზე დგომას, ვფიქრობთ, მკვლევარს ის გარემოება აიძულებს, რომ გ. წერეთელი თავის „შეუფერავ რეალიზმს“ გარკვეულად მიჯნავს ილია ქავჭავაძის „შეფერილი რეალიზმისაგან“. ზოლო გ. წერეთლის დაყენება ილია ქავჭავაძეზე მაღლა, ბუნებრივია, ეუხერხულება. ამიტომ, „შეუფერავ რეალიზმს“ ის „შეფერილ რეალიზმზე“ უფრო ნაკლებღირებულ მეთოდად წარმოადგენს.

ცხადია, გ. წერეთელი, როგორც მხატვარი, ილია ქავჭავაძესთან შედარებით სუსტია. მაგრამ ამ შემთხვევაში საქმე ეხება არა მწერლის მხატვრულ შესაძლებლობასა და ოსტატობას, არამედ მეთოდს. განა ერთი და იგივე მეთოდის მიმდევარი მწერლები თანასწორი სიძლიერის მხატვრებია? ანდა, ყველა დიდი მხატვარი ერთი და იმავე მიმართულებიანა? სხვა თუ არაფერი, გ. წერეთელი ჩვენს მიერ დასახელებულ წერილში იმასაც აღნიშნავს, რომ მეორე დასელებს შეუერთდათ აკაკი წერეთელიც. და განა შეიძლება აკაკის შემოქმედებას (რომელ პერიოდშიც გნებავთ) მივუყენოთ „შეუფერავი რეალიზმის“ ზემოთ მოყვანილი გაგება?

„შეუფერავი რეალიზმის“ გაგების საქმეში არსებული ბუნდოვნება და შეცდომები, პირველყოვლისა, იმიტოა გამოწვეული, რომ არც ერთ მკვლევარს არ უცდია იმის შესწავლა, თუ ვინ, როდის და რა ვითარებაში წამოაყენა „შეუფერავი რეალიზმის“ პრინციპი, ან რას საყვედურობდნენ ი. ქავჭავაძეს, როცა მის რეალიზმს „შეფერილ რეალიზმს“ უწოდებდნენ და საჭიროდ თვლიდნენ მის საპირისპიროდ „შეუფერავ რეალიზმზე“ ელაპარაკნათ.

„შეუფერავი რეალიზმის“ ხასიათი მხოლოდ მაშინ გახდებდა ყოველმხრივ გასაგები, როცა გათვალისწინებული გვექნება, თუ რატომ უწოდებდა ამ პრინციპის შემომტანი ი. ქავჭავაძის რეალიზმს „შეფერილ რეალიზმს“.

პირველყოვლისა, მცდარია ჩვენს ლიტერატურათმცოდნეობაში საყოველთაოდ გავრცელებული შეხედულება იმის შესახებ, რომ „შეუფერავი რეალიზმის“ პრინციპი პირველად, თითქოს გ. წერეთელმა წამოაყენა წერილში—„კიტა აბაშიძე და ჩვენი ახალგაზრ-



დობა“. .გ. წერეთელმა აღნიშნულ წერილში უკვე წამოყენებული პრინციპი გაიმეორა მხოლოდ, ამასთან შესაფერი ახსნა განმარტებისა და დასაბუთების გარეშე, ვინაიდან ვარაუდობდა, რომ მკითხველი მას უკვე იცნობდა სათანადო ბეჭდური მასალით.

„შეუფერავი“ და „შეფერილი“ რეალიზმის პრინციპი პირველად ნიკო ნიკოლაძემ წამოაყენა და შესაფერი დასაბუთებაც მისცა სტატიაში — „ჩვენი მწერლობა“<sup>1</sup>, რომელიც ი. ქავჭავაძის „გლახის ნაამბობის“ გარჩევას მიუძღვნა და ვრცლად შეეხო ზოგადი მნიშვნელობის აქტუალურ ლიტერატურულ საკითხებსაც.

აღნიშნულ სტატიაში ნ. ნიკოლაძე მიზნად ისახავდა წარმოედგინა ი. ქავჭავაძის — როგორც რეალისტი მხატვრის — შემოქმედებითი გზა და, მასზე დაყრდნობით, მწერლობისათვის ეჩვენებინა განვითარების შემდგომი ქეშმარიტად რეალისტური გზა.

ნ. ნიკოლაძის შეხედულებით, 50-იანი წლების რუსი რეალისტი მწერლები იმით იყვნენ დაინტერესებულნი, რომ თანაგრძნობით და სიმპათიით განეწყობთ მკითხველი საზოგადოება ბატონყმური უღლისაგან დაბეჩავებული და განაწამები ხალხისადმი, რათა მასში დაენახათ ადამიანური გრძნობა და გული.

50-იანი წლების რუსმა მწერლებმა, ნ. ნიკოლაძის თქმით, იწყეს ისეთი მოთხოვნებისა და რომანების წერა, „რომლებშიც კარგად თუ ავად გლახაკური მდგომარეობის შებრალების გამოსახვა შეიძლებოდა... ამ თხზულებებში ნიადაგ ის აზრი იყო გაყვანილი, რომ გლახებიც კაცები არიან, იმათაც გრძნობა აქვთო, იმათაც ბედნიერება და კეთილდღეობა სჭირიათ, იმათაც გული აქვთო. მაგრამ, რადგანაც იმ დროს მწერლობაში თითქმის მარტო რომანების და ფელეტონების ბეჭდვა შეიძლებოდა, და ამ თხზულებებშიაც მარტო სიყვარულზე და ქალისა და კაცის გულზე ლაპარაკის ნება ჰქონდა მწერალს, „Современник“-მაც ბატონყმობის საქმე სიყვარულის ასპარეზზე გადაიტანა. მის რომანებში და სხვა თხზულებებში ნიადაგ ის ერთი და იგივე ამბავი იყო აწერილი, რომ გლახს გლახის ქალი შეუყვარდა, მაგრამ ბატონის ძალამ, გავლენამ და ძალადობამ ფისი ბედნიერება მოსპო და ორი კეთილი გული, ჩვილი გრძნობიერება და სული დასტანჯა, დააობლაო. მაშინდელი რუსული საზოგადოებისათვის იმ დროს ეს დიხნაც საქირო და სასარგებლო მწერლობა იყო... ამით მკითხველს საზოგადოებას... ნამდვილი თანაგრძნობა და შებრალება ებადებოდა გლახ-კაცობისაო“.

<sup>1</sup> „კრებული“, 1873, № 5—6.

ასეთი მიმართულების წარმომადგენლებად ნ. ნიკოლაძე ასახელებს გრიგორიანს, ა. პოტეხინს, ტურგენევს, პისემსკის და მარკო-ვოივოკს. ამ მწერლების შეცდომა, მისი შეხედულებით, „იმაში მდგომარეობდა, რომ ისინი გლუბკაცობას ხატავდნენ ისე, თითქო წინ ნამდვილი გლეხი კი არა, მათი საკუთარი თავი ყოფილიყო, გლუბკაცის ფარაჯაში ჩაცმული. ისინი გლეხის მდგომარეობას არც კი იცნობდნენ. იმათ გლეხები შორიდან დაენახათ, და თავიანთ კაბინეტში, პეტერბურგს, მოეაზრებიათ, რომ რადგანაც გლეხი ჩვენისთანა ადამიანია, იმასაც ჩვენნაირი გული უნდა ჰქონდესო, ისიც ჩვენსავით უნდა გრძნობდესო. ამის გამო გლეხის პირით იმათ თხზულებებში ხშირათ ისეთი სიტყვები და აზრები გამოითქმოდა, რომელთაც გლეხი კაცი არ იცნობს. მკითხველის წინ, ნამდვილი, ცოცხალი გლეხის მაგიერათ, მის შეუფერავი გრძნობის ადგილზე, იღვა ნასწავლი კაცი, გლეხურ სამოსელში, რომელიც თავის ნამდვილ ენას, თავის საყოველთაო დარღს და აზრს კი არა, გაზეპირებულ, წიგნიდან ამოკითხულ, ბაირონის და შილერის ფრაზებს ამბობდა და გამოთქვამდა... მკითხველს ის შთაბეჭდილება როდი რჩებოდა, რომელსაც მოუგონელი გრძნობის შეუფერავი გამოთქმა სტოებს... ამ შთაბეჭდილების მაგიერ ის ხედავდა შეფერილ, გალამაზებულ, ნასწავლ და ზეპირ მოლაპარაკე გლეხს“.

ნ. ნიკოლაძე იქვე მიუთითებს, რომ ამ მწერლობას „გლეხის ტანისამოსში მწერლის სენტიმენტალური და შეფერილი გული კი არ უნდა გამოეხატა, იმას გლეხი მისი დღითი-დღიური საჭიროებით... მისი დამდაბლებული და ულონო, უპატიური ცხოვრებით უნდა გამოეყვანა. მწერლობას მკითხველისათვის უნდა ეჩვენებინა, რომ ცუდ წესს, ძალადობას, სიღარიბეს, უმეცრებას... ჩვენი მსგავსი და ტოლი ადამიანი დაუმდაბლებია, გაუბინძურებია, გაუსულელებია, თითქმის პირუტყვით გაუხდია და მასში დღეს ღვთის სახე და მსგავსება კი არა, ადამიანის სურათიც აღარ მოჩანსო“.

ილაშქრებს რა სინამდვილის შელამაზებულად წარმოდგენის წინააღმდეგ, ნ. ნიკოლაძე აყენებს სინამდვილის შეუფერავი ასახვის პრინციპს. მისი თქმით, „მწერლობაში შეუფერავათ და სწორეთ უნდა გამოიხატებოდეს თანამედროვე ცხოვრება“. თანაც იქვე დასძენს, რომ მწერლობაში, აგრეთვე, „დიდი გავლენა და ძალა აქვს მწავ და სასტიკ სჯას, დაცინვას, ირონიას, მწერლის გრძნობის გამოთქმას, ლირიზმს, ერთი სიტყვით თვითონ მწერლის შთაბეჭდილების პირდაპირათ გადაცემას მკითხველისათვის. ხელოვ-

ნურ მწერლობაში ამ მხარესაც დიდი ადგილი უკავია, და უმჯობეს მწერლებს ეს იარაღი თითქმის ისე ხშირათ უხმარიათ, როგორც ცხოვრების შეუფერავი და გონიერი გამოხატვა. ეს მეორე იარაღი უფრო საკირო და გამოსადეგია მაშინ, როცა საზოგადოებრივი ცხოვრება ცოტაოდნათ მაინც მოძრაობს, როცა საზოგადოებაში აშკარათან მალულათ ბრძოლა დღეს, როცა მწერლობა პირდაპირ ამ ბრძოლაში უნდა ერეოდეს და თავის აზრს... საზოგადოებას უნდა აგებინებდესო\*.

ნ. ნიკოლაძის შეხედულებით, 1861 წლამდე კრიტიკა არაფერს ამბობდა სინამდვილის შეფერილად ამსახველ მწერლობის ნაკლოვანებებზე, ვინაიდან იმ დროს საკირო იყო მისი ავტორიტეტის დაცვა და წახალისება გლეხთა ცხოვრების თემებზე წერის მიმართულებით. მაგრამ შემდეგ საკირო გახდა კრიტიკას სხვაგვარი დამოკიდებულება გამოეჩინა მისდამი. ამ სხვაგვარი დამოკიდებულების აშკარა დასაწყისად ნ. ნიკოლაძეს, სრულიად სამართლიანად, მიაჩნია ნ. გ. ჩერნიშევსკის სტატია „Не начало ли перемены?“, რომელიც „სოვრემენნიკში“ გამოქვეყნდა 1861 წელს\*.

ნ. ჩერნიშევსკიმ ჯერ კიდევ „რუსული ლიტერატურის გოგოლის პერიოდის ნარკვევებში“ მიუთითა, რომ მიუხედავად იმისა, რომ გოგოლის პერიოდი კვლავ გრძელდება, შორს არაა ის დრო, როცა მის შემცვლელად მოვა უფრო თანმიმდევრული დემოკრატიული იდეებით შთაგონებული ლიტერატურული ეპოქაო. ეს ვარაუდი მან უკვე გამართლებულად მიიჩნია ნ. ვ. უსპენსკის შემოქმედების მაგალითზე, რომელსაც უძღვნა დასახელებული სტატია.

ნ. ჩერნიშევსკის აზრით, ნ. უსპენსკიმ მიიპყრო მკითხველის ყურადღება და ამის მიზეზი მხოლოდ მწერლის ტალანტი როდია: „Есть у г. Успенского другое качество,—წერს იგი,—очень сильно нравящаяся лучшей части публики. Он пишет о народе правду без всяких прикрас.“

Давным-давно критика стала замечать, что, в повестях и очерках из народного быта и характера, и обычай и поня-

---

\* აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ნ. ჩერნიშევსკიმ ჯერ კიდევ ლ. ტოლსტოის შემოქმედებაზე მსჯელობისას წამოსწია წინ სინამდვილის შეუფერავი ასახვის უპირატესობა: „Толстой,—წერდა ჩერნიშევსკი,—с замечательным мастерством воспроизводит не только внешнюю обстановку быта поселка, но, что гораздо важнее, их взгляд на вещи. Он умеет переселяться в душу поселянину,—его мужик чрезвычайно верен своей натуре,—в речах его мужика нет прикрас, нет риторики“... (Полн. собр. соч., Гослитиздат, т. IV, стр. 682).

тия сильно идеализируются... По нашему мнению, источник непобедимого влечения к прикрашиванию народных нравов и понятий был и похвален и чрезвычайно печален. Замечали ли вы, какую разницу в суждениях о человеке, которому вы симпатизируете, производит ваше мнение о том, можно ли или нельзя выбиться этому человеку из тяжелого положения, внушающего вам сострадание к нему? Если положение представляется безнадежным, вы толкуете только о том, какие хорошие качества находятся в несчастном, как безвинно он страдает, как злы к нему люди, и так далее. Порицать его самого показалось бы вам напрасною жестокостью, говорить о его недостатках—пошлою бесчувственностью. Ваша речь о нем должна быть панегириком ему,—говорить в ином тоне было бы вам совестно. Но совершенно другое дело, когда вы предполагаете, что беда, тяготеющая над человеком, может быть отстранена, если захочет он сам и помогут ему близкие к нему по чувству. Тогда вы не распространяетесь о его достоинствах, а беспристрастно вникаете в обстоятельства, от которых происходит его беда. Обыкновенно вы находите, что нужно перемениться и ему самому, чтобы изменилась его жизнь... Вы чувствуете, что в суровых ваших словах слышится любовь к нему и что они полезны для него,—гораздо полезнее всяких похвал“.

ბ. ჩერნიშევსკი თავისი შეხედულების განსამტკიცებლად იშველიებს გოგოლის „შინელს“, კერძოდ, აკაკი აკაკიევიჩის სახეს. მისი თქმით, გოგოლი დაინტერესებული იყო არა აკაკი აკაკიევიჩის ნაკლოვანებათა წინწამოწევით, არამედ—მკითხველში მისდამი სიმპათიისა და თანაგრძნობის გაღვივებით. სხვაგვარად,—შენიშნავს ბ. ჩერნიშევსკი,—არც შეეძლო მოქცეულიყო გოგოლი, რადგან აკაკი აკაკიევიჩისაგან მეტი მაინც არაფერი იყო მოსალოდნელი, ხოლო მისდამი თანაგრძნობა—შენეღებოდა.

გოგოლი გამონაკლისი არ ყოფილა. ბ. ჩერნიშევსკის შეხედულებით: „Таково было отношение прежних наших писателей к народу. Он являлся перед нами в виде Акакия Акакиевича, о котором можно только сожалеть, который может получить себе пользу только от нашего сострадания. И вот писали о народе точно так, как написал Гоголь об Акакии Акакиевиче. Ни одного слова жестокого или порицающего. Все недостатки прячутся, затушевываются, замазываются. Налегается только на то, что он несчастен, несчастен, не-

счастен... Читайте повести из народного быта г. Григоровича и г. Тургенева со всеми их подражателями—все это насквозь пропитано запахом „шинели“ Акакия Акакиевича“.

ბ. ჩერნიშევსკი მთელი დამაჯერებლობით აჩვენებს იმასაც, რომ უკვე სხვა დრო დადგა და ასეთი მიმართულება მწერლობას აღარ გამოადგება, თუ მას სურს დაეხმაროს ხალხს და იბრძოლოს ცხოვრების სინამდვილის შეცვლისათვის. იგი მწერლობისაგან მოითხოვს ბრძოლა გამოუცხადოს საერთოდ რუტინას, რომელიც გამეფებულია დაბალ ხალხშიც. მოვლენის შეუფერავად და შეუკეთებლად ასახვა მიაჩნია ჩერნიშევსკის უსპენსკის დამსახურებად და ლიტერატურაში მნიშვნელოვანი გარდატეხის დასაწყისადაც. მისი თქმით: „Рутина господствует над обыкновенным ходом жизни людинных людей и в простом народе, как во всех других сословиях, в простом народе рутина точно так же тупа, пошла, как во всех других сословиях. Заслуга г. Успенского состоит в том, что он отважился без всяких утаек и прикрас изобразить нам рутинные мысли и поступки, чувства и обычаи простолюдинов“.

ბ. ნიკოლაძე, თავის სტატიაში, მთელი დამაჯერებლობით ავითარებს ბ. ჩერნიშევსკის ამ შეხედულებებს. თუმცა იგი იძულებულია პირდაპირ არ ილაპარაკოს ჩერნიშევსკიზე (ეს მაშინ აკრძალული იყო) და მას იხსენიებს როგორც „სოვერემენიკის“ უფროს თანამშრომელს“. ბ. ნიკოლაძის შეხედულებით, დროა ქართულმა მწერლობამაც თავი დაანებოს სინამდვილის შეფერილად და შეკეთებულად წარმოდგენას, გლახაკისადმი სენტიმენტალურ დამოკიდებულებას; მკითხველს სწორი წარმოდგენა უნდა შევუქმნათ სინამდვილის ყოველ მოვლენაზე, კერძოდ, დაბალი წრის ხალხზე და მათ ცხოვრებაზეც. წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი შეიყვარებს სულ სხვაგვარ გლახს, ვინემ ის სინამდვილეშია და როცა ამ უკანასკნელს უშუალოდ გაიცნობს, მისდამი სიმპათია და სენტიმენტალური დამოკიდებულებაც გაუქრება.

ბ. ნიკოლაძის თქმით, არ არსებობენ ისეთი ადამიანები, რომელ წოდებასაც არ უნდა ეკუთვნოდნენ ისინი, რომლებიც ყოველმხრივ იდეალური ან ყოველმხრივ უარყოფითი თვისებების მქონენი იყვნენ. ამიტომ, მწერლობამ უნდა მიატოვოს ის ტრადიცია, რომლის მიხედვით ნაწარმოების გმირთაგან ერთნი იდეალურნი არიან, მეორენი—ყოველმხრივ საზიზღარნი. მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, „ამნაირი მწერლობა პროკურატურას ჩამოგავს“.

ნ. ნიკოლაძე მწერლობისაგან მოითხოვს, ერთი მხრივ, ხალხის, საზოგადოებრივი ცხოვრების შეუფერავ ასახვას, მეორე მხრივ, იმ მიზეზების ჩვენებას, რომლებიც განაპირობებენ ამ ცხოვრების ხასიათს. „მწერლობის დანიშნულება იმაში მდგომარეობს, — ამბობს ნ. ნიკოლაძე, — რომ დაუხატოს მკითხველს საზოგადოებას ხალხის, საზოგადოების და კერძო პირის ნამდვილი მდგომარეობა, ხასიათი, საჭიროება, დაუხატოს ისე, რომ მკითხველი ამ მდგომარეობის, ხასიათის და საჭიროების ნამდვილ გარემოებებს და თვისებებს ხედავდეს, კარგს და ავს ჰხარეს სცნობდეს და თან მიზეზების გაგებაც ჰქონდეს, რომელთაც ესეები დაუბანია“.

მხატვრულ ნაწარმოებში, ნ. ნიკოლაძის შეხედულებით, მკიდრო კავშირში უნდა იყოს ორი მომენტი: უკეთესი მომავლის იდეალი და აწმყო ვითარების სწორად ჩვენება. პირველი მეორის გარეშე კარგავს დამაჯერებლობას, ხოლო მეორე პირველის გარეშე — თავის ცხოველმყოფელობას. „როგორც საზოგადოების ზნეობით ამაღლებისათვის აუცილებლად საჭიროა, რომ მწერლობას უკეთესი ცხოვრების და განწყობილების ნათლად გამოხატული იდეალი ჰქონდეს, იმნაირათვე აუცილებლად საჭიროა, რომ ესევე მწერლობა მკითხველს თანამედროვე ცხოვრების ნამდვილ ძალას, მდგომარეობას და ხასიათს აცნობდესო“, — დასძენს იგი.

ამ ორი მომენტის სრულყოფაზე დამოკიდებული მხატვრული შემოქმედების აღმზრდელობითი მხარის ღირსებაც; მწერლობა მკითხველს უნდა ეხმარებოდეს არსებულის გაგებაში და მომავლის გათვალისწინებაში. ამ შეხედულებას ნ. ნიკოლაძე ასე გამოთქვამს: „მწერლობას მიზნათ იმისთანა მკითხველების დამზადება უნდა ჰქონდეს, რომელთაც საზოგადო მიზანი კარგად იცოდენ და თანამედროვე მდგომარეობა გაცნობილი ჰქონდეთო“.

ასეთი საკითხების განმარტების შემდეგ, ნ. ნიკოლაძე გამოთქვამს თავის შეხედულებას ი. ჭავჭავაძის შემოქმედების შესახებ საერთოდ და კერძოდ „გლახის ნაამბობზე“.

„გლახის ნაამბობს“, ნ. ნიკოლაძის შეხედულებით, „იმ მწერლობის გავლენა ატყვია, რომლის წარმომადგენელი იყვნენ რუსეთში: გრიგოროვიჩი, მარკო-ვოვჩოკი და სხვ. მაგრამ, რადგანაც მიმბაძველი ბრმა მიბაძვას არ სჯერდებოდა, რადგანაც მისი ხელოვნური გრძნობა, მაშინაც ხედავდა ამგვარი მწერლობის ზოგიერთ სუსტ მხარეებს, იმის „გლახის ნაამბობში“ ეს სისუსტეები მეტისმეტად შემსუბუქებულნი არიან. მაგალითად..., რომ ვამბობდი, რუსულ რომანებში გლეხი ჩვილ სენტიმენტალურ მწერლობის ენაზე ლაპარაკობდათქო, ილ. ჭავჭავაძეს უგრძნია ეს ნაკლულევა-

ნება, და მის „გლახის“ ნასწავლ ენას, მის გრძნობიერ და პოეტურ სურათებს და ფიქრებს მკითხველს იმით ავიწყებინებს, რომ ამ გლახას სიყრმიდანვე ერთ კეთილ-მოქმედ ღვდელს შეყრის, რომელიც იმას წერა-კითხვას ასწავლის... და „ვეფხისტყაოსანს“ აკითხებს, აუვარებს და აგებინებს. „ვეფხისტყაოსანზე“ აღზრდილს და სიყმაწვილეში ზნეობითი დარიგებებით გამოკვებილ კაცში, რასაკვირველია, „ნასწავლი“ ლაპარაკი და შეფერილი ან ნამდვილი გრძნობიერება ადვილი წარმოსადგენი და გასაგებია.

ამავე აღზრდით აიხსნება ის გრძნობის სინარჩარე-სიფხიზლე, ის პატიოსნური ამაყობა და ზნეობითი სისუფთავე, ის გადაჭარბებული რელიგიური გრძნობიერება და გულის სიჩვილე, რომელიც „გლახის ნაამბობში“ ისე აშკარად ეწინააღმდეგება ნამდვილი ცხოვრების სურათებს. მაგრამ ვერც ეს ხერხი, ვერც ცალკე ადგილების მშვენიერი სურათები, ენა, შედარებები, იგაგები, ანდაზები და მარჯვეთ, მოკლეთ გამოთქმული დაკვირვებები ვერ მალავენ იმ საზოგადო ნაკლულეფანებას ამ თხზულებისას, რომ მისი დედა-საგანი იშვიათი, განვითარებული შემთხვევა და ხასიათია. მკითხველს ნიადაგ ის აზრი აქვს თავში, რომ... ეს ამბავი „შეკეთებული“, შეფერილი, განგებ გასუფთავებული და გალამაზებულიაო, ის ნამდვილ ცხოვრებას არ ეთანხმებაო\*.

ნ. ნიკოლაძის ამ სიტყვებს მნიშვნელობა აქვთ არა მარტო „შეფერილი“ თუ „შეუფერავი“ რეალიზმის ცნების გასაგებად, არამედ „გლახის ნაამბობის“ შეფასებისთვისაც. როგორი მკაცრიც არ უნდა ვიყოთ ასეთი შეხედულების მიმართ, მაინც აშკარაა მისი ავტორის მახვილი თვალის ძალა\*.

„გლახის ნაამბობი“, ნ. ნიკოლაძის თქმით, „მით უფრო შესანიშნავია, რომ ამ ჩინებულ მწერლის პირველ ნაბიჯებს გვიჩვენ-

---

\* აშკარაა ისიც, რომ ი. კავჭავაძის „გლახის ნაამბობი“ უდავოდ ამართლებს იმ მოთხოვნას, რომელსაც ბ. ბელინსკი უყენებდა ასეთი ხასიათის ნაწარმოებებს. პოლოდინის, ზაგოსკინის, ოსნოვიანენკოს და სხვათა ნაწარმოებთა დახასიათებისას, ბ. ბელინსკი შენიშნავდა, რომ მას არ შეუძლია აღფრთოვანებული იყოს იმ ნაწარმოებებით, რომლებშიც: „Мужики говорят чистым мужицким языком и никак не выходят из ограниченной сферы своих понятий. Напротив, нам притнее было бы в подобных произведениях встретить таких мужиков, которые, благодаря своей натуре или случайным обстоятельствам, несколько возвышаются над ограниченною сферою мужицкой жизни“. (Полн. собр. соч., под ред. Венгерова, т. VI, стр. 307).

მაგრამ როგორც ნ. ჩერნიშევსკი, ასევე ნ. ნიკოლაძე ბუნებრივია, სხვაგვარად უყურებს ამ საკითხს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მომხდარ ცვლილებებთან დაკავშირებით.

ნებს, მის უწინდელ გზას გაგვაცნობს“. „გლახის ნაამბობთან“, მისი შეხედულებით, შედარებით ახლოსაა პოემა „კაკო ყაჩაღი“, მაგრამ მასში „ნაკლები სენტიმენტალობაა და მოქმედი პირობის ხასიათის გამოხატვას შიგ უფრო მეტი ძალა და სიმტკიცე აქვს, ვინემ „გლახის ნაამბობის“ ამავე მხარეებს“. ამასთან, კრიტიკოსი იმ აზრისაა, რომ „გლახის ნაამბობი“ ბევრით განსხვავდება „კაცია ადამიანისაგან“, „გლეხების განთავისუფლების სცენებიდან“ და საზოგადოდ იმ თხზულებებიდან, რომელნიც კავკავიის დავაჯაყებულ გონებას და ნიქს ჩვენი მწერლობისათვის უკვლევია“.

„კაცია ადამიანი“ გამორჩეული საგანი სწორედ ისეა აღწერილი, — ამბობს ნ. ნიკოლაძე, — როგორც ნამდვილ ცხოვრებაში არსებობს, და დაფასებულია პირდაპირი სჯით კი არა, სურათების ოსტატური შეზავებით და ერთმანეთზე გადაბმით. „გლეხების განთავისუფლების სცენები“ ერთი მხრით ამნაირივე ხელოვნური მწერლობის მოთხოვნილებას აკმაყოფილებენ, და ჩინებულათ აკმაყოფილებენ. და მეორე მხრით თანამედროვე ცხოვრების საჭიროებას, საზოგადო საქმეს და საყოველთაო კითხვას პასუხს აძლევენ, სჯიან, ეგრეთვე ოსტატურათ და სურათების ძალით. კავკავიის ლექსები და „მგზავრის წერილები“ ხომ ჩინებულათ იმ დანიშნულებას ეთანხმებიან, რომელიც მწერლობის... საჭირო და გავლენიან ნაწილს შეადგენს. მისი ლექსების გრძობა და მისი სარკაზმის ძლიერება ამათში მეტი-მეტათ სანუგეშო გავლენას წარმოგიდგენენო“.

როგორც ვხედავთ, ნ. ნიკოლაძემ განავითარა ნ. ჩერნიშევსკის შეხედულებები სინამდვილის შეფერილი და შეუფერავი ასახვის შესახებ. თვით ტერმინებიც („შეფერილი“ და „შეუფერავი“) მისგანა აქვს ნასესხები და პირველად გამოყენებული ჩვენს კრიტიკულ ლიტერატურაში. აშკარაა ისიც, რომ „შეუფერავი რეალიზმის“ პრინციპი არათუ უპირისპირდება კრიტიკულ რეალიზმს და ნატურალიზმისაკენ იხრება, არამედ წარმოადგენს კრიტიკულ რეალიზმის განვითარების გარკვეულ ეტაპს.

ამიტომ იყო, რომ გ. წერეთელი ტერმინს „შეუფერავი რეალიზმი“ ხმარობდა „ნამდვილი რეალიზმის“, „შეუკეთებელი რეალიზმის.“ სინონიმად („ნამდვილი, შეუფერავი, შეუკეთებელი რეალიზმი“).

მტკიცებას არ საჭიროებს ის ფაქტი, თუ როგორ ცდებოდა კრიტიკოსი კიტა აბაშიძე, როცა „შეუფერავი“ გაიგო „უფერულად“ და ამ გაუგებრობაზე ააგო მთელი „თეორია“. აშკარაა ისიც, რომ პროფ. გ. ჯიბლაძის შეხედულება „შეუფერავი რეალიზმის“ შესახებ არ შეეფერება სინამდვილეს.



ამგვარად, „შეუფერავი რეალიზმის“ პრინციპი ჩვენს კრიტიკულ ლიტერატურაში შემოიტანა ნ. ნიკოლაძემ, რომელმაც მწერლობას მიუთითა იმაზე, რომ სინამდვილის შეფერილად ასახვა უკვე განვლილი ეტაპია ლიტერატურისათვის, რომ მწერლობა მაშინ უფრო მიაღწევს თავის მიზანს და შეასრულებს თავის დანიშნულებას, თუ რომ დაიცავს სინამდვილის შეუფერავი ასახვის პრინციპს.

სინამდვილის შეუფერავი ასახვის პრინციპი მიზნად ისახავდა კრიტიკული რეალიზმის განვითარებას ახალი ვითარებისა და მის წინაშე მდგომი ახალი ამოცანების შესაბამისად. ამით, ნ. ნიკოლაძე ცდილობდა რეალიზმის ლიტერატურული თეორიის გამდიდრების საქმეში, ქართული ლიტერატურის სინამდვილიდან, მხარი გაესწორებია თავისი მასწავლებლისათვის.

გ. წერეთელი კი თავის სტატიაში ეყრდნობა ნ. ნიკოლაძის შეხედულებებს, რომელიც მან ოცდახუთი წლით ადრე გამოთქვა ჩვენს კრიტიკაში. ამის გამო, გ. წერეთელმა საჭიროდ აღარ ჩათვალა შეუფერავი რეალიზმის პრინციპის ხელახალი განმარტება და არც ის დაუმალავს, რომ იგი პირველად ნ. ნიკოლაძემ წამოაყენა; თავის წერილში მას მოჰყავს ამონაწერები ნიკოლაძის სტატიიდან.

\* \* \*

თავის ლიტერატურულ მოღვაწეობაში ნ. ნიკოლაძეს აროდეს არ უღალატნია 60-იანი წლების რევოლუციონერ-დემოკრატიული მოძღვრებისათვის. ამასთან, ლიტერატურული კრიტიკის არენაზე მას ვხედავთ იმ დროს, როცა მისი სახელოვანი რუსი მასწავლებლები უკვე აღარ ჩანდნენ და ლიტერატურის თეორიის ზოგადი პრინციპების დამუშავების საქმეში ერთგვარი უკანდახევა თუ სისუსტე იგრძნობოდა (მხედველობაში გვაქვს პერიოდი სამოცდაათიანი წლებიდან ცხრაასიან წლებამდე).

თვითონ ნ. ნიკოლაძეს კარგად ჰქონდა შეგნებული სიმძიმე იმ დანაკლისისა, რომელიც მწერლობამ განიცადა ნ. დობროლიუბოვის სიკვდილითა და ნ. ჩერნიშევსკის „ცოცხლად დამარხვით“ ამას მოწმობს ის დღიურებიც („სხვათა შორის“), რომლებშიც ის გადმოგვცემს 1872 წელს ევროპაში მოგზაურობის შედეგად მიღებულ შთაბეჭდილებებს. თავის დღიურებში ნ. ნიკოლაძე ცალკე თავად გამოყოფს „პეტერბურგის შთაბეჭდილებას“, რომელიც განსაკუთრებული სიმძაფრითაა დაწერილი. ეს გასაგებიცაა: „პეტერბურგი ის ქალაქია, — ამბობს ნ. ნიკოლაძე, — სადაც მე პირველი ახალგაზრდული აღტაცება და ყმაწვილური ოცნების ეშხი განმიც-

დია, სადაც პირველათ აყვავებულა ჩემი გრძნობა და იმედი, სადაც პირველი ნათელი და ძლიერი შთაბეჭდილება ღირსებია ჩემს ტვინსა და გულსაო<sup>1</sup>.

ბ. ნიკოლაძეს პეტერბურგის ქუჩებში მიმომავალ ადამიანთა სახეებზე ველარ ამოუკითხავს ის სიცოცხლე და ენერგიულობა, რაც ადრე, მისი თქმით, ასე დამახასიათებელი იყო ამ ქალაქში მცხოვრები ბევრი მოღვაწისათვის. მიუხედავად ამისა, ძვირფასმა მოგონებებმა მას მაინც წარმოათქმევინა დობროლიუბოვის ცნობილი სიტყვები:

„Я паш, друзья,—хочу быть вашим,  
На труд и битву я готов,—  
Лишь бы начать в союзе нашем  
Живое дело вместо слов“<sup>2</sup>.

ბ. ნიკოლაძე მეტად საგრძნობ განსხვავებას ხედავდა სამოციან და სამოცდაათიანი წლების პეტერბურგს შორის,—წინა პერიოდის და იმდროინდელ რუსულ მწერლობას შორის. „რა სუსტი და წვრილმანია დღეს რუსული მწერლობა,—წერს ის,... რა განსხვავებაა მას და უწინდელ, ჩემ დროინდელ მწერლობას შუა! რა დრო იყო მაშინ, რომ იცოდე, მკითხველო! რანაირი მოუთმენლობით და წყურვილით ველოდით ჩვენ, ახალგაზრდები, იმ ბედნიერ დღეს, როცა საყვარელი ჟურნალის („სოვრემენნიკის“—დ. გ.) ახალი წიგნი გამოვიდოდა! რა აღტაცებით და აჩქარებით, რა სიხარბით და დაუღალველობით დავეწაფებოდით ჩვენ მის კითხვას... რამდენი გრძელი, ბოლომოუღებელი, ჩრდილოეთის ზამთრის ღამე გაგვითენებია ჩვენ მის კითხვაში, მის აზრების რჩევაში, მის სიტყვების სჯაში, მათზე დავაში, და რამდენი შემდეგი ღამეები მოუსვენრად უწვალელებივართ იმ გრძნობის მღელვარებას, იმ აზრის მუშაობას, რომელიც ამ ჟურნალს ჩვენში მოუხდენია... რამდენი იყო, იმ დროს, ჩვენისთანა ახალგაზრდა, ჩვენსავით აზრისა და გონების ცხოვრებაში მიცემული, ჩვენი გრძნობის თანამოზიარენი, ჩვენი მომავალი

<sup>1</sup> „კრებული“, 1873, № 4.

<sup>2</sup> И. А. Добролюбов. Полн: собр. соч., 1939, т. VI, стр. 266.

ბ. ნიკოლაძეს აღნიშნული სტროფი მცირედი ცვლილებით აქვს მოყვანილი:

„Я ваш друзья, хочу быть вашим,  
На труд и горесть я готов,—  
Готов начать в союзе нашем  
Живое дело—вместо слов“.

ბედისა და უბედობის თანამოძმენი! სად არიან დღეს ისინი? ან სად არიან ის გმირები, ვისი სიტყვა ჩვენ გონებას გვიხსნიდა, ვისი მაგალითი კაცად გვხდიდა, ვისი შრომა და ტანჯვა გვაკეთილშობილებდა და გვამალებდა?

„Одинх уж нет, а те далече!“

ზოგი მოკვდა, ზოგი დაიკარგა, ზოგი კი... მაგრამ დავივიწყოთ ეს უკანასკნელი „ზოგი“, რომ ჩვენი მეხსიერება და მოგონება იმ პირველების ნათელ და წმინდა ხსოვნას მოვანდომოთ, რომლებმაც თავიანთი მოვალეობა მტკიცედ აასრულეს, საქმით სიტყვა ამართლეს და რწმუნებისათვის, კეთილი საქმისათვის, მომავლისათვის თავი დადგეს... მათი სწავლა, მათი ცხოვრება, მათი გზა და ბედი ჩვენი სამკვიდრებელია. ამის მეტი ნათელი არა უღირსებია რა ჩვენთვის ცხოვრებას, ამის მეტი მომავალს ჩვენთვის არა დაუმზადებიარა. მაშ ნუ მოვწამლავთ. ამ წმინდა მოგონებას იმ პირების გახსენებით, რომელნიც სხვა გზას დაადგნენ. ისინი უამისოთაც ხშირად გვახსენებენ თავიანთ თავს, ჩვენდა საუბედუროდ და სადარდელათო“.

ამგვარად, ნ. ნიკოლაძე ნ. დობროლიუბოვისა და ნ. ჩერნიშევსკის შემცვლელს ვერავისში ხედავდა. უფრო მეტიც, სამოღვაწეო ასპარეზიდან მათი წასვლის შემდეგ, მისი აზრით, ერთგვარი გადაგვარება დაეტყო ლიტერატურულ ფრონტს და ბევრი ლიტერატორი „სხვა გზას დაადგა“. მას კი სურდა, რომ ნ. დობროლიუბოვისა და ნ. ჩერნიშევსკის ცხოვრება და მოღვაწეობა დარჩენილიყო საფუძვლად და გზის მაჩვენებლად მწერლობისათვის. და ეს სურვილი უაღრესად გულწრფელი იყო; ნ. ნიკოლაძე მთელი თავისი შესაძლებლობით იცავდა სახელოვანი მასწავლებლების ავტორიტეტს, ცდილობდა ყველგან და ყოველთვის მათი ესთეტიკური მოძღვრებების სიმაღლეზე მდგარიყო.

ნ. ნიკოლაძის, როგორც გამოჩენილ რუს რევოლუციონერ-დემოკრატთა მოწაფის, სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ის არა მარტო მათ შეხედულებათა პოპულარიზაციასა და შემოქმედებით პრაქტიკაში გამოყენებას ახერხებდა, არამედ ცდილობდა ახალი დროის შესატყვისად გაეაზრებია და აემეტყველებია თავისი მასწავლებლები. რას იტყოდა ნ. დობროლიუბოვი ახლა რომ ცოცხალი ყოფილიყო, რა შეფასებას მისცემდა ნ. ჩერნიშევსკი უკანასკნელ

მოვლენებს სოციალ-პოლიტიკურ ცხოვრებასა, თუ ლიტერატურაში ამის შესაძლებლობა რომ ჰქონდეს? აი, ის კითხვები, რომლებიც თვალწინ ედგა ნ. ნიკოლაძეს მოღვაწეობის მთელ მანძილზე. ნ. ჩერნიშევსკი მის შეუცვლელ ავტორიტეტად დარჩა; მისი მძიმე ბედი მოსვენებას არ აძლევდა მას და არაფერს არ ერიდებოდა, თუ რომ მისთვის სარგებლობის მოტანა შეეძლო\*.

\* როგორც ცნობილია, ნ. ნიკოლაძემ გარკვეული როლი შეასრულა ნ. ჩერნიშევსკის კატორღიდან განთავისუფლების საქმეში. (იხ. И. П. Николаძе. „Освобождение И. Г. Чернышевского“, „Нашао“, 1906, № 9; მისივე—„Первоначальное товарищество с партией „Народной воли“ в 1882 г.“, 1917). და როცა თავისი საყვარელი მასწავლებლის განთავისუფლება შეიტყო, გახეთ „Новое общество“-სათვის დაწერა საგანგებო სტატია—„Освобождение И. Г. Чернышевского“, რომელიც ცენზურამ არ გაუშვა და მხოლოდ ჩვენს დროს გამოქვეყნდა (იხ. ჟურნალი „საისტორიო მთაბე“. 1945, № 1).

თავის სტატიას ნ. ნიკოლაძე იწყებს მკითხველისადმი აღფრთოვანებულ მიმართვით: „И бесконечно счастлив, что беседа с Вами я могу начать с отрадного в нашей безотрадней жизни события—освобождения И. Г. Чернышевского. Меня так и подмывает вдаться по этому поводу и несвойственный моей музе дифирамбический тон... Да и независимо от дифирамбов, сколько можно и следовало бы высказать вещей по поводу этого события! При одной этой мысли дух захватывает. Но тут под перо поднырывает и чисто северный оборот речи:

„Ии время, ни место не дозволяют-де нам братья  
За столь пирокние и непосильные задачи“.

სტატიის დასასრულს ნ. ნიკოლაძე ამბობს: „Судьба Чернышевского кошмаром давила совесть всех, кто знал его „дело“, кто знал, жготно-какой трагической необходимости и каких гнусных интриг пал один из благороднейших и сильнейших деятелей русской литературы... Он твердо перенес поистине ужасное испытание... Двенадцать лет молчать, не пронося ни одной жалобы, ни одной просьбы, даже обращенной к родным,—согласитесь, это тоже соответствует величью трагизма, случившегося“.

„И я уверен, что чувством глубокой и неподдельной радости преисполнились при этом известии сердца всех без исключения друзей русского развития и русской литературы, к какой бы школе и к какому бы направлению они не принадлежали.“

ჩანს, არც ნ. ჩერნიშევსკის დავიწყება პეტერბურგში, დიდი ხნის წინათ გაცნობილი ჩხანში გამოწვობილი სტუდენტი—ნ. ნიკოლაძე. ამას მოწმობს მის მიერ ნ. ნიკოლაძისადმი 1884 წლის 27 აგვისტოს მიწერილი წერილი. რომელშიც გვითხულობთ: „Предполагая, что Вы еще не совсем забыли меня и, вероятно, сохранили доброе расположение ко мне, я обращаюсь к Вам с просьбою помочь мне в деле, столь же невинном с точки зрения исторических людей, сколько дорогим для меня“.

ნ. ჩერნიშევსკისადმი ნ. ნიკოლაძის ასეთი დამოკიდებულება განპირობებული იყო არა მათი პირადი ხასიათების მსგავსებით, არამედ მსოფლმხედველობრივი სიახლოვით. ამიტომ იყო, რომ ნ. ჩერნიშევსკის პატიმრობის წლებშიც ნ. ნიკოლაძე დიდი რევოლუციონერ-დემოკრატის შეხედულებათა აშკარა პოპულარიზაციას ეწეოდა.

საერთოდ, რუს რევოლუციონერ-დემოკრატთა ესთეტიკური მოძღვრების გაცნობას ქართველი მკითხველისათვის ნ. ნიკოლაძე თვლიდა ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხად თავის ლიტერატურულ მოღვაწეობაში.

აშკარაა ისიც, რომ ნ. ნიკოლაძე, განსხვავებით ი. ჭავჭავაძისაგან, თავის ესთეტიკურ შეხედულებებში ეყრდნობა, უმთავრესად, არა ბ. ბელინსკის, არამედ ნ. ჩერნიშევსკისა და ნ. დობროლიუბოვს. ეს გასაგებიცაა: ქართული ლიტერატურის განვითარების ის დონე, როცა ნ. ნიკოლაძეს უხდებოდა მოღვაწეობა, საჭიროებდა განხორციელებას უფრო მეტად იმ შეხედულებებისას, რომლებიც ნ. ჩერნიშევსკიმ და ნ. დობროლიუბოვმა, ბ. ბელინსკის ესთეტიკაზე დაყრდნობით, შემდგომ პერიოდში შეიმუშავეს.

\* \* \*

ნ. ნიკოლაძე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ლიტერატურის განვითარების დონეს საზოგადოებრივი ცხოვრების პროგრესის საქმეში. მან კარგად იცოდა, რომ ლიტერატურა ზედნაშენური კატეგორიაა, მაგრამ სჯეროდა ისიც, რომ ის, თავის მხრავ, გარკვეულ გავლენას ახდენდა ბაზისზე.

---

ნ. ჩერნიშევსკი ნ. ნიკოლაძეს სთხოვდა დახმარებოდა მის ვაჟს და მოეწყო სამსახურში. ნ. ნიკოლაძემ, ცხადია, სიამოვნებით მიიღო მისი თხოვნა, რაც შეატყობინა საპასუხო წერილით, რომელშიც ნათქვამია: „Могу Вас уверить, что я счастлив безграничным для себя счастьем хоть чем-нибудь быть Вам приятным или полезным, взамен всего того, чем я Вам обязан относительно своего умственного и нравственного развития. Всякое Ваше поручение и обращение ко мне я считаю и всегда буду считать за самый случай хоть отчасти, хоть на волосочек, облегчать тяжесть моего к Вам долга.“

Позвольте мне, в заключение, просить Вас передать нижайший мой поклон и искреннее почтение Ольге Сократовне...

С глубочайшим уважением и с пожеланиями Вам всех благ земных — и других вы не нуждаетесь, — остаюсь от души Вам преданным, Н. Николадзе“.

ეს ამონაწერებიც აშკარას ხდის დიდი მასწავლებლისა და ერთგული მოწაფის ურთიერთდამოკიდებულებას.

ლიტერატურისადმი საგანგებო მნიშვნელობის მინიჭების აუცილებლობას იმდროისათვის ნ: ნიკოლაძე, ძირითადად, ორი მომენტით ხსნის: ლიტერატურას მეტი შესაძლებლობა აქვს მოწინავე იდეების ქადაგებისათვის და, ამასთან ერთად, დიდი ემოციური ძალით მოქმედებს მკითხველის გრძნობასა და გონებაზე.

„ლიტერატურის... დანიშნულება, — ამბობს ნ. ნიკოლაძე, — იმაში მდგომარეობს, რომ ნამდვილად, სწორეთ და გონიერათ გამოხატოს ხალხის ყოფაცხოვრება, ხასიათი, ზნე, მოთხოვნილება და აზრი“<sup>1</sup>. ხალხის ცხოვრება კი ისე ვრცელი და მრავალფეროვანია, რომ მასზე დაკვირვება და მისი ქეშმარიტი შეცნობა მეტად რთული საქმეა; „ამ საქმეს გენიოსების ტვინი და შრომა სჭირია, ისეთების როგორც დანტე, სერვანტესი, სვიფტი, მოლიერი, გოეტე ან გოგოლია-ო“.

როცა ლიტერატურის დანიშნულებაზე მსჯელობს, ნ. ნიკოლაძეს, ცხადია, მხედველობაში აქვს რეალისტური ლიტერატურა, რომელიც მოწოდებულია ობიექტური სინამდვილის მხატვრული ასახვისათვის. მაგრამ ნიშანდობლივია ის, რომ რეალისტური შემოქმედებითი მეოოდის დანიშნულების განმსაზღვრელად მას მიაჩნია არა მარტო არსებული გარემო სინამდვილის ჩვენება ისე როგორც არის, არამედ აშკარა გამოხატვა იმ იდეალისაც, რომელიც უკეთესი მომავლის მაუწყებელია.

ცხადია, ნ. ნიკოლაძე მწერლის სინამდვილისაგან მოწყვეტასა და ფანტაზიის სამყაროში „გადაბარგებას“ არ ქადაგებს. პირიქით, როგორც ვნახეთ, ის მოითხოვს ცხოვრების სინამდვილის „სწორათ და გონიერათ გამოხატვას“, მაგრამ არ კმაყოფილდება მისი ე. წ. ობიექტივისტური ასახვით. მისი შეხედულებით, ლიტერატურამ უნდა შეძლოს ნათელი იდეალისა და სინამდვილის შეუფერავი სურათების ოსტატური შეხამება.

მწერლობა, — ამბობს ნ. ნიკოლაძე, — ისე უნდა აწვდიდეს სულიერ საზრდოს მკითხველ საზოგადოებას, „რომ საზოგადო მიზნის, უკეთესი იდეალის გამოსახვას გვერდით მოჰყვებოდეს ეხლანდელი ხალხის, საზოგადოების და ადამიანის ნამდვილი ხასიათის, მდგომარეობის და საჭიროების გამოხატვაო“<sup>2</sup>.

ამგვარად, ნ. ნიკოლაძის შეხედულებით, გარემო სინამდვილის ასახვისას მწერლობა უნდა ხელმძღვანელობდეს უკეთესი

<sup>1</sup> ნ. ნიკოლაძე. კრიტიკა და მისი მნიშვნელობა ლიტერატურაში, „კრებული“, 1871, № 3.

<sup>2</sup> ნ. ნიკოლაძე. ჩვენი მწერლობა, „კრებული“, 1873, № 5—6.

მომავლის ინტერესებით; ამასთან, უკეთესი მომავლის იდეალი, საზოგადო მიზანი აშკარად და გასაგებად უნდა იყოს გამოხატული. ასეთი მოთხოვნა ლიტერატურას, ცხადია, არ შეიძლებოდა წაყენებოდა ორმოციან წლებში. ამისათვის საჭირო იყო ამალღებულიყო საზოგადოებრივი შემეცნების დონე და მოწინავე იდეები, თანდათან, მატერიალურ ძალად გამხდარიყო.

ნ. ნიკოლაძეს ღრმად სწამს, რომ ასეთი რთული ამოცანის გადაწყვეტა ძალუძს მხოლოდ იმ მწერალს; რომელიც დაჯილდოებულია ბუნებრივი ტალანტით და მტკიცედ ფლობს რეალისტურ შემოქმედებით შეთოდს. ის მკაცრად ასხვავებს რეალისტურ სახეს ნატურალისტური სახისაგან და დარწმუნებულია, რომ ამ განსხვავების ქეშმარიტ შეცნობას დიდი მნიშვნელობა აქვს მწერლის მხატვრული გამარჯვებისათვის. მისი თქმით, „ის თხზულება, რომელშიც... ცხოვრების ნამდვილი და უმთავრესი მხარეები დავიწყებულია და წვრილმან ან უმნიშვნელო შემთხვევებს შეუფერებელი ადგილი უკავიათ და შემცდარი აზრის დატოვება შეუძლიანთ მკითხველის გონებაში... ითვლება უთავბოლო, მახინჯ თხზულებათ“<sup>1</sup>.

ერთ-ერთ თავის სტატიაში ნ. ნიკოლაძე პირდაპირ სვამს კითხვას: ვინ არის მწერალი, ვინ უნდა იყოს ის და როგორ უნდა მოქმედებდეს? და სანამ თვითონ გასცემს პასუხს, ის: მიმოიხილავს საზოგადოების გარკვეულ ნაწილში გავრცელებულ შეხედულებებს. მისი თქმით: „По мнению толпы, основанному, конечно, на практике большинства пишущей братьи, писатель не иное что, как адвокат... Ему незачем заглядывать вглубь дела, незачем иметь убеждения, незачем вспоминать о судьбах общества... Для писателя... все исчерпывается стремлением обелить—хотя-бы и наперекор очевидности—то, что он взялся защищать...“

Лучшие же умы ...полагают, что... писатель должен быть не адвокатом, а судьей, постановляющим непристрастные приговоры о людях и делах своего времени, на основании беспорных данных и документов, способных заткнуть глотку всякому противоречию“<sup>2</sup>.

როგორც ვხედავთ, ნ. ნიკოლაძე მწარე ირონიით იხსენიებს იმ მწერლებს, რომლებიც ჰგებანან იმ ადვოკატებს, რომლებიც

<sup>1</sup> ნ. ნიკოლაძე, კრიტიკა და მისი მნიშვნელობა ლიტერატურაში, „კრებული“, 1871, № 3.

<sup>2</sup> „Новое обозрение“, 1890, № 2285.

ზედმეტად თვლიან საქმის სიღრმეში ჩახედვას, არა აქვთ თავიანთი რწმენა, ანგარიშს არ უწევენ საზოგადოებრივ ინტერესებს და ცდილობენ ყოველმხრივ თეთრად წარმოადგინონ ის, რის დაკვაც უკისრიათ. ასეთ მწერლებს, მისი თქმით, არცთუ იშვიათად შეხედებოდათ, რის გამო ბევრს ისინი ქეშმარიტ მწერლებად მი-აჩნდათ.

ასეთ მწერლებთან შედარებით ნ. ნიკოლაძე წინ აყენებს იმ მწერლებს, რომლებიც გვაგონებენ მოსამართლეებს, რომლებსაც განაჩენი გამოაქვთ დოკუმენტალურ მასალაზე დაყრდნობით. მაგ-რამ, ამბობს ნ. ნიკოლაძე, მოსამართლის „ობიექტურობა“ და „მიუდგომლობა“, ძირითადად, იმაში გამოიხატება, რომ უსმენს ბრალდებულს და საშუალებას აძლევს თავისმართლებისათვის. ამიტომ, „само это представление о писателе, как о судье, вполне ошибочно и односторонне“.

ნ. ნიკოლაძის შეხედულებით, მწერალი არ არის მოსამართლე, მით უმეტეს ადვოკატი; ის თავისი ხალხის შვილი, თავისი საზო-გადოების წევრია. ამასთან, ის არის მშობელი ხალხის წინა-მძღოლი, რომელიც იბრძვის ამ ხალხის მდგომარეობის გაუმჯობესე-ბისათვის, სამშობლოს პროგრესისათვის და წმენდს გზას უკეთესი მომავლისათვის. „Писатель,—წერს ნ. ნიკოლაძე,—не судья, а воспитатель, руководитель своего общества. Критерием его деятельности служит его убежденность, его идеалы и стремления, его общественные цели. Только тот, кто ведет свое общество вперед, по пути добра и чести, к наибольшей пользе наибольшей части народа, и кто, расчищая путь на-родного прогресса, страстно, неустанно борется со всеми элементами, враждебными этому прогрессу,—находит дорогу к сердцу и памяти своих сограждан“<sup>1</sup>.

მწერლები, პოეტები,—ნ. ნიკოლაძის შეხედულებით,—იბა-ლებიან, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ მათი ბუნებრივი ნიჭი მეტს ალარაფერს საჭიროებდა. მათი ნიჭი ან მთლიანად უშე-დეგოდ დაიხარჯება, ან მეტად მცირეს მივიღებთ მის შესაძლებლო-ბასთან შედარებით, თუ მას მხარში არ ამოუდგა ცხოვრების ღრმა ცოდნა და ბეჯითი შრომის უნარი. „Шекспир, Гете, Бай-рон, Сервантес и т. п.,—ამბობს ნ. ნიკოლაძე,—были не толь-ко таланты, но и прямые гении, что несколько не мешало

<sup>1</sup> „Новое обозрение“, 1890, № 2285.



იმ ვსუ ზიზნუ რაბოტაუ ი ტრუდიტსუ ნად სობსტვენნუმ რავნიტუმ...

ჩემ სილნეე ტალანტ, ჟემ გლუბჟე უმ, ტემ ზივუჩეე ვ ნიხ ლუბოპიტსტვო, პიტლივოსტ, ჯაჟდა კ პრონიკნოვენიუ ვ ტაინუ პრიროდი<sup>1</sup>.

მხატვარი, რომელიც ყოველდღიურად არ ამდიდრებს თავის ცოდნას და არ ხვეწს თავის მხატვრულ ოსტატობას, თანდათან უკან რჩება ეპოქას და უინტერესო ხდება მკითხველისათვის, შემოქმედის ღირსებას განსაზღვრავს არა მარტო აზრისა და გრძნობის სიღრმე, არამედ მათი გადმოცემის ხელოვნებაც; ეს უკანასკნელი აძლევს მწერლობას სპეციფიკურ ხასიათს და მასში ვლინდება მწერლის მხატვრული ოსტატობაც.

აზრის გამოთქმის სისადავის, ლაკონურობისა და მოხდენილი მხატვრული სახეების გარეშე ნაწარმოებს არ ექნება ემოციური ზემოქმედების ძალა, მაღალი შემეცნებითი ღირებულება. „პოეტის ნიჰისა და ძალის დასაფასებლათ,—წერს ნ. ნიკოლაძე,—ყველაზე უწინ იმ მხარეს უნდა მიაქციოს კაცმა ყურადღება, თუ როგორი ხელოვნებით, როგორი მხატვრობით, სისწორით და სიმარჯვით გამოთქვამს ის თავის აზრსა და გრძნობას და რა სინამდვილე და სიღრმე აქვს თვითონ ამ აზრს და ამ გრძნობას. პოეტის სიტყვა და სურათი ისეთი გამოჩარხული და ბასრი უნდა იყოს, რომ არც ერთი ნამეტანი სიტყვა, არც ერთი უსარგებლო სტრიქონი და ხაზი არ ერიოს. რაც უფრო ნაკლები სიტყვებით მარჯვით და ნათლად გამოთქვამს პოეტი თავის სათქმელს, მით ძლიერი ნიჰი გამოჩნდება მის ნაწერში, ამიტომ რომ მით უფრო ადვილად და ღრმად შთაბეჭდება მისი სიტყვა მკითხველის გონებაში. ლექსის გაკვიანურება, სიტყვების უთავბოლო ფანტვა, რითმების ან მუხლის შესავსებად, უნიჰო მოლექსეების ხვედრია, რომელთაც ვაგება არ აქვთ, რომ პოეტის უპირველესი ღირსება და მოვალეობა ღრმა შთაბეჭდილების მოხდენაში მდგომარეობს და არა ლექსების გაწილადობილებაში.

პოეტი ნიადაგ იმას უნდა ცდილობდეს, რომ მისი აზრი ცხოველს სურათით ჩაიპრას მკითხველის ტვინში. აი, ამ მიზეზით პოეტები ნიადაგ სურათებს (образы) ხმარობენ... პოეტური სურათი, პოეტური „ფერი“ იმაში მდგომარეობს, რომ სიტყვით გამოხატული სურათი თითქმის უნებურათ შეეთვისოს მკითხველის გონებას... ისე, რომ ყოველთვის, როცა მკითხველი იმისთანა საგანს

<sup>1</sup> „Новое обозрение“, 1890, № 2285.

ან შემთხვევას გაიხსენებს, რომელსაც რაიმე მსგავსება ან დამრკიდებულება აქვს პოეტისაგან გამოთქმულ აზრთან ან გამოხატულ საგანთან, პოეტის სურათი და შედარება, მისი მსწრაფლი სჯა და ძლიერი სიტყვები თვალწინ დაუდგნენ და გაახსენდნენ. პოეტის შედარება, სურათი, აზრი თითქმის ანდაზადაც უნდა იქცეოდეს და ხალხის გულისა და მეხსიერებისაკენ გზას პოულობდეს, ხალხის ენაზე უნდა იდგეს და ბავშვის პირველ ლაპარაკში უნდა იხმარებოდეს<sup>1</sup>.

როგორც ცნობილია, პოეტური ნაწარმოების მხატვრობის მთავარ განმსაზღვრელად ნ. ჩერნიშევსკიც ლაკონურობას თვლიდა. მისი თქმით: „Художественность состоит в том, чтобы каждое слово было не только у места—чтобы оно было необходимо, неизбежно и чтоб как можно было меньше слов. Без сжатости нет художественности... Вы художник только тогда, когда вам нужно всего пять строк, чтобы возбудить в воображении читателя такое же полное представление о предмете“<sup>2</sup>.

მაგრამ იმისათვის, რომ მხატვარმა მიაღწიოს გამოთქმის, ენის სიმშვენიერეს და მხატვრული სახის სიცხოველეს, ნ. ნიკოლაძის აზრით, ის დაჯილდოებული უნდა იყოს გრძნობის სიცხოველთ, ტვინისა და გულის სიფხიზლითა და გაშლილობით, შთაბეჭდილების ადვილი მიღებითა და ღრმა გაგებით; ერთი სიტყვით, გრძნობიერებით. მაგრამ „გრძნობიერება, კაცის გულისცხოვრება, კაცის ტვინის-ძაფების ხასიათი ყველაზე უფრო ძნელი და უცნობი საგანია ქვეყნიერებაზე... აი, რისთვის იშვიათია ხეირიანი პოეტები, აი რისთვის კაცის გულის მცნობი მეცნიერები სულ ათ-ხუთმეტზე მეტი არც კი დაბადებულან დედამიწაზეო“<sup>3</sup>.

ნ. ნიკოლაძე, ცხადია, არ იფიწყებს იმას, რომ ბუნებრივი პოეტური ნიჭი და მხატვრული ოსტატობის მაღალი უნარიც მხოლოდ მაშინ ხდება საინტერესო და სასარგებლო ხალხისათვის, როცა ამ უკანასკნელის ცხოვრების ღრმა ცოდნასთანაა შეხამებული. მას არ ავიწყდება არც ის, რომ პოეტი თავის მოქმედებაში განსაზღვრულია არსებული საზოგადოებრივი ცხოვრების სინამდვილით, მისგან დამოუკიდებელი ვითარებით.

<sup>1</sup> ნ. ნიკოლაძე, ჩვენი მწერლობა, „კრებული“, 1873, № 3.

<sup>2</sup> Н. Г. Чернышевский. Полное собрание сочинений в пятнадцати томах, том VII, стр. 452.

<sup>3</sup> „კრებული“, 1873, № 1.

„რაც უფრო ნათლად და ბეჯითად სწერს პოეტი,—ამბობს ნ. ნიკოლაძე,—რაც უფრო ადვილათ გასაგები და დასამახსოვრებელია მისი აზრი და სურათი, რაც უფრო კარგათ იცნობს ის ადამიანის გულს და გრძნობას, რაც უფრო მაღალ გრძნობას ბადებს ის მკითხველის გულში, მით უფრო ღირსეულია მისი შრომა, მით უფრო ძლიერი ნიჭი სჩანს მის ნაშრომში. დაეუმატოთ ამას ერთი თვისებაც და მაშინ პოეტის დანიშნულება ჩვენ ნათლად გვეცოდინება. ეს თვისება იმაში მდგომარეობს, რომ პოეტი ნიადაგ დაკვირვებული უნდა იყოს თავისი ხალხისა და საზოგადოების გულის უეთქაზე, ნიადაგ მის გულის წადილს უნდა იცნობდეს, უპასუხებდეს, ნიადაგ მის თავში უნდა იდგეს..., მაგრამ ამ მხრით პოეტი თავისუფალი როდია. ამ მხრით მისი მოქმედება თვითონ იმ საზოგადოების მდგომარეობაზეა დამოკიდებული, რომელშიაც ის ცხოვრობს, იმის ხასიათზე და წადილზე, იმის ბედზე და ზოგიერთ სხვა გარემოებაზეო“<sup>1</sup>.

ერთი სიტყვით, ნ. ნიკოლაძეს ღრმად აქვს შეგნებული, რომ ლიტერატურული თეორიები კი არ იწვევენ ცვლილებებს ცხოვრებაში. არამედ ცხოვრებაში მომხდარი ძვრები იწვევენ ცვლილებებს ლიტერატურაში; მაგრამ ლიტერატურა მაინც აქტიურ როლს თამაშობს საზოგადოებრივი ცხოვრების პროგრესისათვის ბრძოლაში. მწერალი იხედება ადამიანის სულის სიღრმეში, სწავლობს მის შინაგან სამყაროს, ანზოგადებს მის ფიქრებსა და განცდებს, რითაც გავლენას ახდენს კვლავ ადამიანებზე, მათ ზნეობრივ და გონებრივ განვითარებაზე. მწერლის განკარგულებაშია ყველაზე ძლიერი შთაბეჭდილების მომხდენი საშუალება—მხატვრული სახე, რომელიც ლიტერატურულ ნაწარმოებს განსაკუთრებული მნიშვნელობისად ხდის.

ნ. ნიკოლაძის შეხედულებით, მწერალი თავის მოწოდებას ღალატობს, თუ ის ასასახი მოვლენის შესახებ შთაბეჭდილების შექმნას მკითხველში ცდილობს უბრალო სიტყვებით, ლოგიკური მსჯელობით და არა მხატვრული სახეებით. ასეთი გზა მას მიაჩნია აშკარა, შიშველი ტენდენციურობის წყაროდ, ხოლო შიშველი ტენდენციურობა—მხატვრული ნაწარმოებისათვის შეუფერებელ მხარედ. „ბელეტრისტი,—შენიშნავს ის,—სურათებით უნდა სჯიდეს ცხოვრებას და არა სიტყვებით, ის მხატვარი უნდა იყოს და არა რეზონერი...“

<sup>1</sup> „კრებული“, 1873, № 1.

ბელეტრისტი, პოეტი მარტო სურათებით უნდა ზემოქმედებდეს მკითხველზე. მისი გრძნობა დარიგებასავეთ პირდაპირ კი არ უნდა გამოითქმოდეს, თავისთავად უნდა იბადებოდეს მკითხველის გულში მისგან დახატული სურათის წარმოდგენის დროსო<sup>1</sup>.

მაგრამ ყოველი მხატვრული სახე ერთი და იმავე ღირებულებისა როდია. მწერლის მხატვრული გამარჯვებისა და მის მიერ შექმნილი ნაწარმოების უკვდავყოფის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, ნ. ნიკოლაძის აზრით, ტიპიური სახეების, ტიპების შექმნის ოსტატობაში იმალება.

ტიპიური სახის მნიშვნელობა, ნ. ნიკოლაძის შეხედულებით, მდგომარეობს არა მარტო იმაში, რომ ის ნათლად და მკვეთრად წარმოადგენს გამოსახატ საგანსა და მოვლენას, არამედ უპირველეს ყოვლისა იმაში, რომ მასში გაერთიანებულია მსგავსი ხასიათები და მოვლენები, ე. ი. წარმოადგენს ზოგად სახეს, რაც საშუალებას აძლევს მხატვარს სწორად და სრულად წარმოადგინოს გარკვეული პერიოდის ისტორიული კანონზომიერება. მისი თქმით: „Не тем только дорог и важен художественный образ, что он ярок и ясен, а тем, главным образом, что под него подходят массы реальных лиц и положений, что он служит типом, общим великому множеству однородных характеров или явлений. Чем большее количество реальных лиц и явлений подходит под художественный образ или тип, тем могущественнее творческая способность художника, и только в этой творческой способности заключается залог литературного значения писателя“<sup>2</sup>.

მხატვრული ტიპიზაცია ნ. ნიკოლაძეს მიაჩნია რეალისტური ლიტერატურის განვითარების აუცილებელ და ზოგად კანონად. ამასთან, ტიპიურს ის განიხილავს როგორც გარკვეულ ისტორიულ კატეგორიას, რომელშიც იხატება საზოგადოებრივი ურთიერთობის მთავარი ნიშან-თვისებები კონკრეტულ-ისტორიულ ვითარებაში: ტიპიური, მისი გაგებით, წარმოადგენს მსგავსი ხასიათებისა და მოვლენების არა უბრალო, მექანიკურ გაერთიანებას, არამედ რთული შემოქმედებითი პროცესის შედეგად მიღებულ სახეს, რომლის შექმნაში დიდ როლს თამაშობს მწერლის ფანტაზია

<sup>1</sup> ნ. ნიკოლაძე. გიორგი წერეთლის პირველი შრომა, ჟურნალი „მოამბე“. 1894, № 3.

<sup>2</sup> Н. Николадзе. Ворцы поневоле, журнал „Отечественные записки“, 1882, № 11.

და მსოფლმხედველობა. „ადამიანის აღწერაშიაც ბელეტრისტი ყველა თავის ნაცნობების გამოსახვას რომ შეუდგეს,—წერს ნ. ნიკოლაძე,—მისი შრომა უმიზნოც იქნება და დაკარგულიც. იმან დაახლოვებით უნდა გაიცნოს ის საკითხი, ის მხარე, ის წრე, რომლის გამოსახვასაც აპირებს, უნდა ახსნას მათი ხასიათი, ღრმად შეიგნოს მათი ცხოვრება და სურვილი და მერე დასახატად ისეთი პირი უნდა აირჩიოს, რომელშიაც ყველაზედ უფრო ცხადად მოჩანს ეს ხასიათი, ცხოვრება და სურვილი.

ამგვარი პირი კიდევ რომ ვერ ნახოს ცხოვრებაში მწერალმა, მას შეუძლია მისი სურათი შეთხზას, ბევრი სხვადასხვა კაცის თვისებათა გამოკრეფით და ერთად შეხამებით. ამას ჰქვია ტიპი“<sup>1</sup>.

ნ. ნიკოლაძე მწერლისაგან მოითხოვს მოვლენების ღრმა და დაწვრილებით შესწავლას, მათ გონიერკლასიფიკაციას, არსებითისა და არაარსებითის მკაცრ გარჩევას. ამის გარეშე,—მისი შეხედულებით,—მწერლობაში გასავალს ჰპოვებს უმნიშვნელო წვრილმანები, შემთხვევითი ხასიათის მოვლენები. „ყოველი კერძო შემთხვევა, მოვლენა, ხასიათი, მდგომარეობა და სხვა,—წერს ის,—მარტო მაშინ ხდება მწერლობის ღირსი, როცა იმას რამე საზოგადო მნიშვნელობა აქვს, როცა ის წარმომადგენელია მრავალი სხვა თავის გვარი მოვლენებისა. ყოველი შემთხვევა, რომელსაც სარჩულათ რამე საზოგადო ცხოვრების მხარე არა აქვს, რჩება თითქმის სრულიად უნაყოფოთ და უმნიშვნელოთ მწერლობაში; მაშასადამე, ლიტერატურული გამოსახვის ღირსი არ არის... ყოველი საგანი მით უფრო შესანიშნავი და ყურადღების ღირსია, რაც უფრო მეტი საზოგადო მნიშვნელობა აქვს იმას ცხოვრებაში“<sup>2</sup>.

როგორც ვხედავთ, ნ. ნიკოლაძე ტიპიურად მიიჩნევს, უპირველესყოვლისა, მას რაც გავრცელებულია, რაც აშკარად გამოხატავს არსებული სინამდვილის ხასიათსა და ბუნებას, მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს მას საკმარისად. მისი შეხედულებით, მწერალმა ტიპის საშუალებით უნდა შეძლოს ხალხის ცხოვრების გამოხატვა არა მარტო კონკრეტულ-ისტორიულ გარემოში, არამედ მისი სურვილის ჩვენებაც, „ცხოვრება და სურვილი“—ერთად.

ამგვარად, ტიპიურის განმარტებისას ნ. ნიკოლაძე გამოდის მის მიერ ლიტერატურის საერთო დანიშნულების გაგებიდან.

ნ. ნიკოლაძე. გიორგი წერეთლის პირველი შრომა, „მოამბე“, 1894, № 3.

<sup>2</sup> ნ. სკანდელი. კრიტიკა და მისი მნიშვნელობა ლიტერატურაში, „ქრებულნი“, 1871, № 3.

როგორც ვიცით, ნწერლობის მოვალეობად მას ნიაჩნდა არა მარტო არსებული საზოგადოებრივი ცხოვრების სწორად ასახვა, არამედ ჩვენება იმ იდეალისაც, რომელიც ხალხს უკეთესი მომავლისათვის საბრძოლველად ამხნევებს. ხოლო იმ შემთხვევაში, როცა ასეთი ადამიანები რეალურ სინამდვილეში არცთუ მრავლად იქნებიან და მკვეთრად გამოვლენილნი, მაშინ მწერალი ვალდებულია, თავისი დაკვირვებისა და ცხოვრების განვითარების კანონზომიერების შეცნობის საფუძველზე, გაიაზროს და შექმნას შესაფერი სახე, რომელიც მოკლებული არ იქნება ტიპიურობას.

ნ. ნიკოლაძე მაღალ შეფასებას აძლევს მწერლის მხატვრულ ოსტატობას, ნაწარმოების ფორმას. მაგრამ მთავარი, მისი თქმით, მაინც შინაარსია; კერძოდ, რეალისტურობა, ხალხურობა და ნაციონალურობა სწყვეტს, მისი გაგებით, ნაწარმოების ღირსებას.

თუ როგორ მნიშვნელობას ანიჭებს ნ. ნიკოლაძე მხატვრული ნაწარმოების შინაარსს და მის რეალისტურობას ეს კარგად ჩანს მისი სიტყვებიდან: „...даже и неумелое описание какого-нибудь неизмысленного ощущения всегда производит несравненно большее впечатление, чем ослепительно эффектное изображение выдуманных страстей. Тут-то и кроется секрет успеха и долговечности немногих правдивых эскизов жизни сердца человеческого“<sup>1</sup>.

ცხადია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ნ. ნიკოლაძე ერთმანეთს უპირისპირებდეს ფორმასა და შინაარსს. პირიქით, ის არაერთგზის აღნიშნავს, რომ ნაწარმოების ფორმა და შინაარსი შეუძლებელია ერთმანეთს დაეცილოთ. ამ შემთხვევაში, ის მხოლოდ ყურადღებას ამახვილებს რეალისტური ასახვის ღირსებაზე.

თუ მხატვრული ნაწარმოები ქეშმარიტად რეალისტურია, მაშინ ის,—ნ. ნიკოლაძის შეხედულებით,—მოკლებული არ იქნება ხალხურობასაც. ხალხურობის გარეშე ლიტერატურულ ნაწარმოებს არ შეუძლია შეასრულოს თავისი მთავარი დანიშნულება. ხოლო ნაწარმოები რომ ხალხური იყოს, ამისათვის ის უნდა აკმაყოფილებდეს ორ მთავარ მოთხოვნას: მასში სწორად უნდა იყოს დანახული და ასახული ხალხის ცხოვრება, მისი ფიქრები და მისწრაფებები, ამასთან დაწერილი უნდა იყოს ხალხისათვის საინტერესო და გასაგები ფორმით. „ჩვენს მწერლობას,—ამბობს ნ. ნიკოლაძე,—ნამდვილი მწერლობის ძალა და ხასიათი მარტო მაშინ მიეცემა, როცა ჩვენ გავიცნობთ ხალხის გონებას და მოსაზრებას... და იმ-

<sup>1</sup> Н. Николадзе. Врцы повное, журнал „Отечественные записки“, 1882, № 11.

ნაირ წერაში გავიწაფებით, რომელსაც პირდაპირ ხალხის გრძობამდი და გონებამდი მიღწევა შეეძლოს. მარტო ამით მოვიპოვებთ ჩვენ ხალხის გულს, მარტო ამით შეუძენთ მწერლობას ძალასა და გავლენას, და მარტო ამით შევადლებინებთ გამოსადეგ სამსახურს და გავლენიან შრომასო<sup>1</sup>.

მწერალს კარგად უნდა ჰქონდეს გათვალისწინებული არა მარტო ის, რომ „ხალხი... ისტორიის პირველი მოქმედი პირია“<sup>2</sup>, არამედ ღრმად უნდა იცნობდეს „თავისი ხალხის“ ისტორიას, მისი ცხოვრების თავისებურებას, ენას, ზნე-ჩვეულებებს, ხასიათსა და მისწრაფებებს; ნაწარმოებში უნდა გარკვევით ვეცნობოდეთ არა ადამიანს საერთოდ, რომელიც მოკლებული იქნება ეროვნულ სახეს, არამედ გარკვეული ერის წარმომადგენელს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ნაწარმოები არავასთვის არ იქნება საინტერესო. ნ. ნიკოლაძის შეხედულებით, მწერალი ვერ იქნება მსოფლიო მნიშვნელობის, თუ ის არ არის ღრმად ნაციონალური.

ნ. ნიკოლაძეს ხალხურობა და ნაციონალურობა მიაჩნია მხატვრული ლიტერატურის პოპულარიზაციის მთავარ წყაროდ, ხოლო მხატვრული ლიტერატურის პოპულარიზაცია—გადაუდებელ აუცილებლობად. ვინაიდან,—მისი თქმით,—არაფერს არ შეუძლია შეავსოს ის ხარვეზი ადამიანში, რის შევსებაც შეუძლია ლიტერატურას.

„Есть одна область человеческой жизни,—წერს ის,—где трудно шагать со своим опытом, и где трудно полагаться лишь на свои собственные наблюдения. Это—область нравственной деятельности человека. Можно научиться в школе всем премудростям наук. можно постигнуть в жизни все тайны опыта, но ни школа, ни опыт не могут дать человеку той гуманности чувств, той чистоты намерений, той чуткости сопости и той нравственной чистоплотности, которые даются человеку одною лишь литературой. Недостаточно быть ученым, практичным, опытным и даже умным человеком. Нужно, кроме всего этого, выработать свой характер, научиться владеть и править собою, воспитать свои чувства, чтобы стоять на высоте всех тех обязанностей, которые могут наложить на человека жизнь и обстоятельства. Обуздать себя,

<sup>1</sup> ნ. ნიკოლაძე. ჩვენი მწერლობა, ჟურნალი „კრებული“, 1873, № 5—6.

<sup>2</sup> ნ. ნიკოლაძე. ჩვენი მწერლობა, ჟურნალი „კრებული“, 1872, № 10—11—12.

сочувствовать другим, уметь понимать чужое положение, уметь прощать и любить, страдать и ненавидеть—это такие вещи, без которых человек не может считаться ни цельным, ни разумным, ни хорошим. Всему этому может научить одна лишь литература, и в этом заключается главная доля ее образовательного значения“<sup>1</sup>.

ზნეობრივ აღზრდას კი განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ადამიანის ცხოვრებასა და არსებობაში; „ზნეობა“ უშუალოდ არის დაკავშირებული „ადამიანობასთან“. როგორც ბ. ბელინსკი შენიშნავს, „есть много родов образования и развития и каждое из них важно само по себе, но всех их выше должно стоять образование нравственное. Одно образование делает вас человеком ученым, другое—человеком светским, третье—административным, военным, политическим и т. д., но нравственное образование делает вас просто „человеком“<sup>2</sup>.

ამგვარად, მწერალს, ლიტერატურას საქმე აქვს ადამიანის ცხოვრების უფაქიზეს უბანთან,—სულიერ ცხოვრებასთან. ამიტომაც, ნ. ნიკოლაძე მწერლებს „კაცის გულისმცნობ მეცნიერებს“ უწოდებს, თანაც იმ შეხედულებისაა, რომ ამ გარემოებასთანაა დაკავშირებული მხატვრული ლიტერატურის ცნობილი ძეგლების მარადიული სიცოცხლეც.

გენიალური შემოქმედის მიერ შექმნილი ნაწარმოებნი, ნ. ნიკოლაძის თქმით, მარადიული სიცოცხლით ცოცხლობენ, უკვდავნი არიან და ყოველ დროში ინტერესით იკითხებიან. ამის საიდუმლოება კი იმაში იმალება, რომ ლიტერატურა, მწერალი სწავლობს და გვაცნობს ადამიანებს, მათ გულს, სულიერ სამყაროს. ხოლო ადამიანი თავისი სულიერი სამყაროთი, რა დროც არ უნდა გავიდეს, მაინც იგივე რჩება; ადამიანში „ადამიანობა“ უკვდავი და მარადიულია. ნიკიერი მხატვრის მიერ დანახული და გამოხატული „ადამიანის გული“ ყოველთვის დიდი ინტერესის საგანია, ვინაიდან მისი ძვერა არ შეიძლება არ გვაგონებდეს ჩვენს და ჩვენს თანამედროვეთა გულისფეთქვასაც.

სტატიაში—„Письма к милому другу“ ნ. ნიკოლაძე ამბობს: „Мы с чего-то вообразили себе, что прогресс требует забвения прежних писателей и изучения лишь тех, в сочинениях

<sup>1</sup> Н. Николадзе. Критические очерки, газ. „Тифлисский Вестник“, 1875, № 91.

<sup>2</sup> В. Белинский. Полное собрание сочинений под ред. В. С. Спиридонова, т. XII, стр. 34.



которых кроется будто-бы „последнее слово пауки“... Мы полагаем, что если Гоголь или Пушкин не ведали концессионных интересов и биржевой лихорадки, то и изучать их писания незачем, так как Боборыкины да Суворины ушли гораздо дальше названных писателей. Происходит это заблуждение от того недомыслия, что мы способны отличать только внешний мундир литературных произведений. Мы не знаем, что в основе их всегда лежит изучение сердца человеческого, его побуждений и чувствований, а это сердце, со всеми его движениями, неизменно остается одно и тоже со времен Адама до самой настоящей минуты..

Нет, ничего не ново под луною по части изучения и знания сердца человеческого. Поколения сменяются, нашивки и мундиры изменяют цвета и фасон, возникают новые формы и названия, меняется материальная обстановка людей, совершенствуются их понятия, увеличиваются их познания, но пружины сердца человеческого остаются одни и те же. Прочти Аристофана и Ювенала, познакомься со Свифтом и с Мольером, изучи Дантэ и Гоголя, и ты увидишь, что у нас в Тифлисе живут теперь описанные этими авторами типы. В этом и заключается вековечное значение наблюдателей сердца человеческого<sup>1</sup>.

როგორადაც არ უნდა გაეაქტიკოთ ნ. ნიკოლაძის ეს მოსაზრება, ძნელია უარყოთ მისი ავტორის უდავოდ საინტერესო დაკვირვებები და ცალკეული დებულებები.

ასეთია ნ. ნიკოლაძის შეხედულებები ლიტერატურის ზოგად საკითხებზე, რაც საფუძვლად უდევს მის კრიტიკულ და ისტორიულ-ლიტერატურულ კონცეპციას.

\* \* \*

ნ. ნიკოლაძის ლიტერატურულ მოღვაწეობაში წამყვანი კრიტიკა იყო. ამასთან, როგორც კრიტიკოსი, ის არ იფარგლებოდა რომელიმე ქვეყნის ლიტერატურით. მას თითქმის ერთნაირი შესაძლებლობით შეეძლო ეწერა ქართველ, რუს და ევროპელ მწერალთა შესახებ.

---

<sup>1</sup> Н. Николадзе. Письма к малому другу, газ. „Тифлисский Вестник“. 1876, № 97.

ნ. ნიკოლაძის კრიტიკული სტატიები აშკარას ხდის მისი ავტორის თანმიმდევრულ და ნაყოფიერ ბრძოლას რეალისტური ლიტერატურისათვის; კერძოდ, მის დამსახურებას ქართულ ლიტერატურაში ჭეშმარიტი რეალისტური პრინციპების დამკვიდრებისათვის.

ლიტერატურულ კრიტიკას ნ. ნიკოლაძე თავისი სოციალ-პოლიტიკური პროგრამის ინტერესებს უკავშირებდა, მაგრამ არასოდეს არ გადაუხვევია მატერიალისტური ესთეტიკის, კერძოდ, რეალიზმის თეორიის პრინციპებიდან.

კრიტიკის მნიშვნელობისა და დანიშნულების შესახებ ნ. ნიკოლაძეს ისეთივე შეხედულებები ჰქონდა, როგორც ნ. გ. ჩერნიშევსკისა და ნ. ა. დობროლიუბოვს. მის სახელმძღვანელო პრინციპს წარმოადგენდა კრიტიკის ჩერნიშევსკისეული განსაზღვრა: „Критика есть суждение о достоинствах и недостатках какого-нибудь литературного произведения. Ее значение—служить выражением мнения лучшей части публики и содействовать дальнейшему распространению его в массе“<sup>1</sup>.

ნ. ნიკოლაძის მსჯელობა კრიტიკის შესახებ და მისი პრაქტიკული მოღვაწეობა კიდევ უფრო ზუსტად ემთხვევა ნ. ა. დობროლიუბოვის მოძღვრებას ე. წ. რეალური კრიტიკის შესახებ. „Дело критики,—წერს ნ. ა. დობროლიუბოვი,—состоит именно в том, чтобы рассмотреть и разобрать отношения художника к изображенному предмету; критик должен рассмотреть этот предмет очень внимательно, обдумать и разрешить по-своему те вопросы, на которые наводит этот предмет, вопросы, которые едва затронул и, может быть, даже едва заметил сам художник. Художнику представляется единичный случай, яркий образ; критику должна представляться связь между этим единичным случаем и общими свойствами и чертами жизни; критик должен понять смысл этого случая, объяснить его причины, узаконить его существование, показать его raison d'être... Словом, чтобы критическая статья не была переливанием из пустого в порожнее, надо чтобы в ней высказывался взгляд критика на явления жизни, отражающиеся в литературном произведении; надо, чтобы в ней, с точки зрения критика, обсуждался и решался какой-нибудь вопрос, по-

<sup>1</sup> Н. Г. Чернышевский. Полное собрание сочинений в пятнадцати томах, т. II, стр. 251.

ставленный самой жизнью и натолкнувший художника на создание разбираемого произведения“<sup>1</sup>.

კრიტიკოსს,— ნ. ნიკოლაძის შეხედულებით,— ყოველთვის მხედველობაში უნდა ჰქონდეს ხალხის, საზოგადოების ინტერესები და ღრმად უნდა იცნობდეს ცხოვრებას; კრიტიკოსი— იგივე მებრძოლი პუბლიცისტიცა, რომელიც, ერთი მხრივ, სწორ მიმართულებას აძლევს ლიტერატურას, მეორე მხრივ, მის მიღწევებს იყენებს საზოგადოებრივი ცხოვრების გაუმჯობესებისათვის ბრძოლაში. მისი თქმით, „კრიტიკა ნიადაგ პუბლიცისტიკურ დანიშნულებას უნდა ასრულებდეს და თითონ მწერლობის სარგებლობის და საქმის მალლა მთელი ხალხისა და საზოგადოების საჭიროებასა და სარგებლობას უნდა სთვლიდეს“<sup>2</sup>.

კრიტიკოსი რომ თავისი მოწოდების სიმაღლეზე იყოს, ამისათვის მას უნდა ჰქონდეს საზოგადოებრივი ცხოვრების მოთხოვნათა შეცნობის მახვილი უნარი და მხატვრული ნაწარმოების ობიექტური აზრის გაგებისა და შეფასების სწორი ალლო. წინააღმდეგ შემთხვევაში ის ვერ შეძლებს ტონი და შესაფერი მიმართულება მისცეს მწერლობას. კრიტიკა,— ამბობს ნ. ნიკოლაძე,— „ნიადაგ, იმას უნდა აქცევდეს თავის ყურადღებას, თუ რა უმთავრესი საჭიროებაა რომელიმე დროს საზოგადო ცხოვრებისათვის, რამხრით და რა კილოზე უნდა იყოს მიმართული ლიტერატურის შრომა და რამდენათ ასრულებს ამ საჭიროებას სხვადასხვა თხზულება, სხვადასხვა მწერალი. ამ აზრით ხელმძღვანელი, კრიტიკა ნიადაგ ტონს უნდა აძლევდეს თავის ლიტერატურას და ისე უნდა მიმართავდეს მის ძალას და შრომას, როგორც საუკეთესო იქნება საზოგადო ცხოვრებისათვის“<sup>3</sup>.

ეგება რა კრიტიკოსის მიერ მხატვრული ნაწარმოების შეფასების საკითხს, ნ. ნიკოლაძე კონკრეტულად მიუთითებს, თუ როგორ უნდა მოიქცეს ის, ერთი მხრივ, სუსტი და, მეორე მხრივ, ძლიერი, სანიმუშო ნაწარმოების გარჩევის დროს. „როცა კრიტიკა მახინჯ თხზულებას სინჯავს,— წერს ნ. ნიკოლაძე,— ის თავდაპირველად იმ ცხოვრების ნაწილს იღებს, რომელიც უნდა გამოეხატა მწერალს და მის აღწერილობას ადარებს; კრიტიკა ამბობს: აი.

<sup>1</sup> Н. А. Добролюбов. Полное собрание сочинений в шести томах, т. I, стр. 196.

<sup>2</sup> ნ. ნიკოლაძე. ჩვენი მწერლობა, ჟურნალი „კრებული“, 1873, № 5—6.

<sup>3</sup> ნ. ნიკოლაძე. კრიტიკა და მისი მნიშვნელობა ლიტერატურაში, ჟურნალი „კრებული“, 1871, № 3.

რას წარმოადგენდა ჩვენი ნამდვილი ცხოვრება, აი, რა და რა მხარეზე უნდა მიექცია ყურადღება მწერალს, აი რა და რა უმთავრესი საფუძველი და ნაყოფი აქვს ამ ცხოვრებას, და აი... რანაირათ, რა სუსტათ გამოუხატავს ეს საგანი მწერალს, რა დაბნეულათ და შეუფერებლათ აუწერია იმას ცხოვრება. ცულ სხვათრივ ირჯება კრიტიკა იმ თხზულების გასინჯვის დროს, როცა თხზულებაში ხელოვნურათ, სწორეთ და შესაფერათ განობატულია ცხოვრება ან რომელიმე მისი ნაწილი. ამ შემთხვევაში, კრიტიკა პირდაპირ ამბობს, ცხოვრება სწორეთ და ჩინებულათ განობატულია ამ თხზულებაში, და აი, რასა და რას წარმოგვიდგენს ჩვენ იმ საგნების, ხასიათების და მდგომარეობის გასინჯვა, აი, რა და რა აზოს სძრავს და რა გრძნობას ბადებს ჩვენში ეს თხზულებაო<sup>1</sup>.

ამასთან, ნ. ნიკოლაძე მკაცრად ილაშქრებს იმის წინააღმდეგ, რომ კრიტიკოსი უხეშად იჭრებოდეს მწერლის შემოქმედებით ლაბორატორიაში და წინასწარვე კარნახობდეს მას „შემოქმედებით რეცეპტებს“; მწერალი თავისუფალი უნდა იყოს მხატვრული საშუალებების ნომარჯვებაში, „კრიტიკა, — შენიშნავს ნ. ნიკოლაძე, — მწერალს ეუბნება: იხმარე ის საშუალება, რომელიც ნიქს შენთვის მოუცია, დაადექ იმ გზას, რომელიც შენ გონებას და ხასიათს მოუხდება. სთქვი როგორც გინდა და რაც გინდა, ოღონდ შენი ნათქვამი ნათლად გასაგები და დასამახსოვრებელი იყოს, და შენი გრძნობა და აზრი შემცდარი და ხალხისათვის სავენებელი არ იქნეს. დანარჩენი თითოეული მწერლის საქმეა, მისი ნიქის და მიმხდურობის; და კრიტიკაზე ამ მხრით მართო ის მოვალეობა ძვეს, რომ გასინჯოს, ვის როგორი ნიქი უხმარია და როგორი მიმხდურობა გამოუჩენია თავისი გრძნობის გამოთქმის დროს“<sup>2</sup>.

როგორც ვხედავთ, ნ. ნიკოლაძე ავითარებს, ძირითადად, იმ მოძღვრებას, რომელიც ნ. ა. დობროლიუბოვმა შეიმუშავა ე. წ. რეალური კრიტიკის შესახებ (ეს გარემოება შენიშნულიც იქნა იმთავითვე). რეალური კრიტიკა კი, — როგორც პროფ. ბ. ი. ბურსოვი შენიშნავს, — „отличается тем, что не отождествляет содержания художественного произведения с намерениями автора, а соотносит это содержание с фактами живой действительности.“

<sup>1</sup> ნ. ნიკოლაძე. კრიტიკა და მისი მნიშვნელობა ლიტერატურაში. ჟურნალი „კრებული“, 1871, № 3.

<sup>2</sup> ნ. ნიკოლაძე. ჩვენი მწერლობა, „კრებული“, 1873, № 3.

Это дает возможность реальной критике выносить наиболее объективную и правильную оценку литературным явлениям<sup>1</sup>.

ასეთი პრინციპებით ხელმძღვანელობდა ნ. ნიკოლაძე, როცა ის ცალკეულ მწერალთა, თუ ცალკეულ მხატვრულ ნაწარმოებთა შეფასებას ახდენდა. ამავე პრინციპებიდან გამოდიოდა ის მაშინაც, როცა ამა თუ იმ ქვეყნის ლიტერატურის განვითარების საერთო პროცესს ახასიათებდა.

ერთ-ერთ თავის სტატიაში ნ. ნიკოლაძე წერს: „История и потомство на все и на всех смотрят с точки зрения того, что нового, что полезного, что светлого внес в сознание и в жизнь своей родины тот либо другой исторический деятель“<sup>2</sup>. და მართლაც, თუ ჩვენ თვალს გადავაველებთ მის კრიტიკულ სტატიებს, აშკარად დავინახავთ, რომ ეს საზომი მას მტკიცედ ჰქონდა მომარჯვებული.

\* \* \*

ნ. ნიკოლაძე თავის თავს არ თვლიდა ლიტერატურის ისტორიკოსად. ძველი ლიტერატურული მემკვიდრეობის ცალკეულ საკითხებს ის ეხებოდა იმდენად, რამდენადაც ეს აუცილებელი იყო მისთვის—როგორც კრიტიკოსისათვის. მაგრამ მისი ცალკეული გამონათქვამები ამ მიმართულებით უდავოს ხდიან, რომ მას ჰქონდა მტკიცედ ჩამოყალიბებული ისტორიულ-ლიტერატურული კონცეპცია და თავისი შეხედულება როგორც ქართული, ასევე რუსული და ევროპული ლიტერატურის განვითარების ისტორიული გზების შესახებ.

ნ. ნიკოლაძე თავის თანამედროვე ქართული ლიტერატურისა და მის წარმომადგენელთა დახასიათებისა და შეფასების დროს საფუძვლიანად ითვალისწინებს იმ მიღწევებს, იმ დონეს, რისთვისაც მიუღწევია ქართულ მწერლობას განვითარების ხანგრძლივი დროის მანძილზე. მისი თქმით, ქართული ლიტერატურა ამაყობს არა მარტო მრავალსაუკუნოვანი ისტორიით, არამედ ქეშმარიტი თვითმყოფადობითა და მდიდარი ტრადიციებით.

ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებაში, ნ. ნიკოლაძის შეხედულებით, მთელი კანონზომიერებით განაპირობა ისეთი დიდი პოეტური გენიის გამოჩენა ჯერ კიდევ მეთორმეტე საუკუნეში, როგორც იყო რუსთაველი. რუსთაველმა „ვეფხისტყაოსანში“ ჩააქსოვა ქართველი ხალხის მაღალი სულიერი

<sup>1</sup> Б. Бурсов. Вопросы реализма в эстетике революционных демократов, 1953, стр. 331—332.

<sup>2</sup> „Новое обозрение“, 1889, № 1959.

თვისებები; მისი უკვდავი პერსონაჟები გამოხატავენ თავისუფლებისათვის გპირულად მებრძოლი ქართველი ხალხის მტკიცე ნებიაყოფასა და კეთილშობილ გრძნობას, ნის აზრსა და ფიქრს, ნის მაღალ ჰუმანიზმს. ამასთან, ნ. ნიკოლაძე „ვეფხისტყაოსანში“ ხედავს ქართველი ხალხის პოეტური შესაქმნლობის სრულყოფილ განხორციელებას თავის დროისათვის. ამიტომ იყო, მისი აზრით, რომ ქართველ მწერლობას საუკუნეები დასჭირდა, რათა თავი დაეღწია რუსთაველის ძლიერი გავლენისაკან და შემდგომი ეპოქების შესატყვისად გამოეყენებინა მისი უკვდავი ტრადიციები.

ანის შემდეგ გასაგებია ისიც, თუ როგორ აუთსებდა ნ. ნიკოლაძე ზოგიერთი ვაი ლიტერატორის გამოხდომას „ვეფხისტყაოსნის“ ორიგინალობის საკითხთან დაკავშირებით.

როგორც ცნობილია, კოსმოპოლიტიზმითა და ეროვნული ნიჰილიზმით მხედველობადაკარგული ლიტერატორები ცდილობდნენ როგორმე მოეძებნათ „ვეფხისტყაოსნის“ უცხოური წყაროები. ასეთ ადამიანთა ჯგუფს ეკუთვნოდა ივ. ჯაბადარიც, რომელმაც ჟურნალ „Северный Вестник“-ში გამოაქვეყნა წერილების სერია — „Письма о Грузии“, რომელშიც, სხვათაშორის, ექვს ქვეშ აყენებდა „ვეფხისტყაოსნის“ ორიგინალობას იმის გამო, რომ ის, თი<sup>1</sup> თქოს, სპარსული სიუჟეტითაა დავალებული.

ივ. ჯაბადარის ყოვლად გაუმართლებელმა და ნიჰილისტურმა დამოკიდებულებამ ქართველი ხალხისა და მისი ლიტერატურისადმი სამართლიანი პროტესტი გამოიწვია მოწინავე შოაზროვნეთა შორის. მათ შორის, ერთ-ერთმა პირველმა, ხმა აღიმალა ნ. ნიკოლაძემ, რომელმაც გაზეთ „Новое обозрение“-ში გამოაქვეყნა სპეციალური სტატია — „Византийские споры“<sup>1</sup>.

ივ. ჯაბადარის მსგავსი ლიტერატორების საყურადღებოდ ნ. ნიკოლაძე წერდა: „Займствовал ли Руставели канву своей поэмы у персиян или из своей головы сочинил он ее... разве не все равно это с точки зрения значения „Барсовой кожи“ в истории грузинской литературы и грузинского развития?“

Серьезен тут один только вопрос: да, или нет: „Барсова кожа“ служила-ли в течение шести столетий настольной книгой грузин всех областей Грузинского царства? А раз она заучивалась наизусть, раз ее выражения превратились в поговорки, раз ее сентенции стали основой грузинской морали, книга эта становится документом для суждения о народе, ее

<sup>1</sup> „Новое обозрение“, 1869, № 2022.

присвоившем и сю проникшемся, все-же остальные ея стороны уходят на задний плани ступеваются для всякого серьезного мыслителя и критика“.

ბ. ნიკოლაძის შეხედულებით, არავითარი საბუთი არ ზოიბო-  
ვება „ვეფხისტყაოსნის“ ფაბულის ნასესხობის დასამტკიცებლად,  
მაგრამ დავუშვათ, რომ რუსთაველმა მართლაც ისესხა ფაბულა,  
განა ეს ჩირქსა სცხებს მის ორიგინალობას? ის მოაგონებს ივ. ჯა-  
ბადარსა და მის მსგავს „თეორეტიკოსებს“, რომ გოეთე და შექსპი-  
რი თავიანთი საუკეთესო ნაწარმოებებისათვის იყენებდნენ ცნობილ  
სიუჟეტებს, რომლებიც მათზე აღრე სხვების მიერ იყო გამოყენე-  
ბული, მაგრამ ეს ჩრდილს არ აყენებდა მათი შემოქმედების ორი-  
გინალობასა და თვითმკოთადობას. „Думать и утверждать это, —  
ამბობს ბ. ნიკოლაძე, — значило бы впасть в колоссальную  
ошибку, принимая фабулу и внешние стороны сочинений за  
то, что составляет их сущность, величие и силу“.

ბ. ნიკოლაძეს კიდევ უფრო სასაცილოდ მოიჩნია ივ. ჯაბადა-  
რის მსჯელობა იმის შესახებ, რომ ქალის კულტის საკითხი „ვეფ-  
ხისტყაოსანში“, თითქოს, სპარსული ლიტერატურის, კერძოდ, ნი-  
ზამის გავლენით იყოს წინა რიგზე წამოწეული: „Что „Леила и  
Меджнун“ действительно проникнута эмансипационной тенден-  
цией, в этом я имею основание сомневаться, но скажите на  
милость, неужто среда, где процветали и процветают гаремы,  
была благоприятнее для развития человеческого отношения к  
женщине, чем та, которая окружала грузинского поэта. Не-  
ужто Руставели, живя в стране, поклонявшейся Нине и воз-  
величенной Тамарой, не вокруг себя, а в гаремной Персии,  
должен был искать идеалов женского культа“.

მაგრამ ბ. ნიკოლაძეს ძალა შეწევდა ეჩვენებინა არა ზარტო  
სილიადე მშობლიური ლიტერატურისა, არამედ დაენახა მისი ნაკ-  
ლოვანებებიც, რაც განვითარების სხვადასხვა ისტორიულ ეტაპზე  
ახასიათებდა.

ბ. ნიკოლაძის შეხედულებით, რუსთაველის შემდეგ გურამი-  
შვილამდე ვერცერთმა მწერალმა ვერ მოახერხა გამოეხატა ქართ-  
ველი ხალხის იდეალები და მისი ცხოვრების თავისებურება. ის  
გაკვირვებას გამოთქვამს იმის გამო, რომ მთელი ამ ხნის მანძილ-  
ზე მწერლობა თითქმის მოწყვეტილი იყო ცხოვრების სინამდვილეს.  
„Глядя на литературу, — ამბობს ბ. ნიკოლაძე, — можно думать,  
будто грузинский народ жил все время безмятежною пасту-  
шескою жизнью, покоясь под виноградниками своими, созер-

ქა და ჩაში, ნაპოლსნიყა იანტარნო-პროზრაცნიყ ვინომ, ი ულივა-  
ყსყ ლასკანი იდეალნო-პრელესტნიყ დევ<sup>1</sup>.

ნ. ნიკოლაძეს, ცხადია, ვერ დავეთანხმებით იმდროინდელი  
ქართული მწერლობის ასეთ მკაცრ შეფასებაში, მაგრამ არც ის  
უნდა დავივიწყოთ, რომ ქართული ლიტერატურის ისტორიის შე-  
სწავლის მაშინდელი დონე ერთგვარ საბაზს იძლეოდა მსგავსი შე-  
ხედულებებისათვის. არც ისაა უარსაყოფი, რომ ცხოვრების რეა-  
ლიზმით დაინტერესება ლიტერატურაში ყოველთვის სათანადო  
სიმაღლეზე არ მდგარა მაშინაც კი, როცა, — როგორც ნ. ნიკოლაძე  
ამბობს, — ქართველი ხალხი აწარმოებდა მძიმე გამათავისუფლე-  
ბელ ბრძოლებს. თუმცა, ამ გარემოებასაც თავისი აწხსნელი,  
ობიექტური მიზეზები მოეპოვება.

პირველი მწერალი, რომელმაც რუსთაველის შემდეგ მნიშვნე-  
ლოვანი და სასარგებლო გარდატეხა მოახდინა ქართულ ლიტერა-  
ტურაში, ნ. ნიკოლაძის სამართლიანი თქმით, დავით გურამიშვილი  
იყო. მართალია, მანამდეც ვითარდებოდა და იცვლებოდა ლექსის  
მხატვრული ფორმა, მრავალფეროვანი ხდებოდა ლექსწყობაც, მაგ-  
რამ შინაარსი პოეზიისა თითქმის ერთი და იგივე რჩებოდა. რო-  
გორც ის ამბობს, „редко кто касался в стихах до больных  
или здоровых мест действительной жизни, и никто, за иск-  
лючением разве одного лишь Д. Гурамишвили, не дерзал  
затрагивать живые, насущные вопросы действительности“.

როგორც ვხედავთ, დ. გურამიშვილის ქეშმარიტი დამსახურე-  
ბის ერთ-ერთი პირველი შემფასებელი ნ. ნიკოლაძე იყო. ნ. ნიკო-  
ლაძე ითვალისწინებდა იმასაც, რომ, გარკვეული მიზეზის გამო,  
დ. გურამიშვილის შემოქმედება დიდი ხნის განმავლობაში მიუწე-  
დომელი იყო ფართო მკითხველისათვის, ამიტომ მას შესაფერი  
გავლენა არ მოუხდენია ჩვენს მწერლობაზე. ამ გარემოებას ის გარ-  
კვეულ მნიშვნელობას ანიჭებს ნ. ბარათაშვილის დამსახურების  
განსახილვერისას.

ნ. ნიკოლაძის სიტყვებით, რომ ვთქვათ: „Понятно, следо-  
вательно, какое громадное значение должен иметь в такой  
литературе талантливый поэт, в первый раз решающийся от-  
разить в своих произведениях жизненные мотивы своего вре-  
мени, и высказывающий в них сомнения, думы и стремления

---

<sup>1</sup> Н. Николадзе. Местная литература (Николай Бараташвили). „Тиф-  
лисский Вестник“, 1876. № 17.



лучших людей своего века. Такое именно значение имеет в грузинской литературе, по нашему мнению, Николай Бараташвили“.

ანგვარად, ნ. ნიკოლაძე ნ. ბარათაშვილს თელის ნამდვილი ახალი ეპოქის დამწვებად ქართულ ლიტერატურაში. ამასთან, ნ. ბარათაშვილის შემოქმედების სიდიადეს ის ხედავს არა მარტო მის მდიდარ შინაარსში, არამედ—მაღალმხატვრულ ფორმაშიც.

ნ. ბარათაშვილი, ამბობს ის, ორიგინალური და თვითმყოფადი ლექსის მხატვრულ ფორმაშიც; მას არ უყვარს მრავალსიტყვაობა, პატივს ცემს მხოლოდ და მხოლოდ ლაკონურად და ნათლად გამოხატულ აზრს. ამიტომაც, მისი ლექსების ბევრი სტრიქონი ან ვახებად და აფორიზმებად შევიდა ხალხის მეტყველებაში. ამ მხრივ ნ. ბარათაშვილი, მისი თქმით, ლერმონტოვს ჰგავს.

ნ. ბარათაშვილი,—წერს ნ. ნიკოლაძე,—„скуп и слова и сжат в форме, и общее впечатление, производимое им на читателя, вполне соответствует тому, какое получается в русской литературе при чтении стихов Лермонтова. Тут мы видим ту-же силу стиха, ту-же резкость красок, то-же отсутствие деталей... Немало мест из стихотворений Бараташвили успело уже перейти в разговорный грузинский язык, в виде поговорок, афоризмов и сентенций, а это, как известно, служит лучшим доказательством литературной силы таланта Бараташвили“.

როგორც ნ. ნიკოლაძე ამბობს, ნიკოლოზ ბარათაშვილმა სიკვდილის წინ მოასწრო ისიც, რომ შეექმნა სასაუბრო ენაზე დაწერილი ლექსი, რომელიც შეიძლება მივიჩნიოთ ნამდვილი ხალხური მუზის ნაყოფად. მხედველობაში აქვს რა ლექსი „მადლი შენს გამჩენს, ლამაზო“, ნ. ნიკოლაძე წერს: „В нем, в первый раз в грузинской литературе уловлен народный говор, народная обрисовка предметов, народный стих, словом, грузинская народная поэзия нашла в этом стихотворении свой истинный отголосок“.

ნ. ბარათაშვილი, მისი თქმით, ლერმონტოვს იმ მხრივაც გვაგონებს, რომ მასსავით წლითიწლობით სრულყოფდა ლექსის მხატვრულ ფორმას და თუ უფრო სიკვდილს არა, კიდევ მეტი შედეგებით გაამდიდრებდა ქართულ პოეზიას.

შეიძლება ითქვას, რომ ნ. ნიკოლაძემ, ერთ-ერთმა პირველთაგანმა, საფუძვლიანი შეფასება მისცა ნ. ბარათაშვილის შემოქმედებას. მართალია, ჩვენს მიერ აქ განხილული მისი სტატიის ბეჭდვა, ნიუხედავად რედაქციის დაპირებისა, არ დასრულებულა,

მაგრამ მაინც აშკარაა, თუ როგორ სწორად შეაფასა კრიტიკოსმა ნიჭიერი პოეტის მხატვრული მემკვიდრეობის მნიშვნელობა.

ნ. ნიკოლაძეს ნ. ბარათაშვილის პოეზია იტაცებს ღრმა ფილოსოფიური შინაარსითა და იმდროინდელი საზოგადოების გულისტკივილისა და ფიქრების რეალისტური გადმოცემით.

ფილოსოფიური აზროვნება, ღრმად მგრძნობიარე ვული და მდიდარი სულიერი სამყარო, ქვეშაირიტად ბუნებრივი პოეტური ნიჭი და მხატვრული გამოსახვის მაღალი ოსტატობა, დიდი ემოციური ზემოქმედების ლირიული ხმა და რეალისტური გეთოდის დაუფლების ტენდენცია, თანაც მიღრეკილება ხალხურობისადმი, აი ის ღირსებები, რომლებიც ნ. ნიკოლაძეს ნ. ბარათაშვილის დამახასიათებლად მიაჩნია. მანვე, პირველმა, გაავლო პარალელი ბარათაშვილისა და ლერწონტოვის პოეზიას შორის, მოძებნა მხატვრული ნათესაობა ამ ორ უნიჭაერეს ლირიკოსს შორის.

ნ. ნიკოლაძემ დიდი როლი ითამაშა გრ. ორბელიანის პოეზიის შესახებ მკითხველ საზოგადოებაში სწორი შეხედულების შენუშავების საქმეშიც.

როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ 60-იან წლებში, ი. კაგვიავაძემ თავისი მოწონება გამოთქვა გრ. ორბელიანის ლექსების შესახებ. მაგრამ მაშინ მის მიზანს არ წარმოადგენდა გრ. ორბელიანის პოეტური გზის სრული სურათის დახატვა; ამას ხელს უშლიდა პოეტის ლექსთა კრებულის უქონლობაც.

1873 წელს, გრ. ორბელიანის ლექსთა კრებულის პირველ გამოცემასთან დაკავშირებით, ნ. ნიკოლაძემ გამოაქვეყნა კრიტიკული სტატია<sup>1</sup>, რომლითაც მან მკითხველს პირველად დაანახვა ნიჭიერი ლირიკოსის პოეტური პროფილი. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ნ. ნიკოლაძის აღნიშნული სტატია არა მარტო ქრონოლოგიურად, არამედ მთელი თავისი ღირსებებითაც იმსახურებს ყურადღებას გრ. ორბელიანის შესახებ დღემდე დაწერილ გამოკვლევათა შორის. გრ. ორბელიანის პოეტური ნიჭის დახასიათებასა და მისი პოეზიის ადგილისა და მნიშვნელობის შეფასებას ბევრი აღარაფერი შემატებია ამ სტატიის შემდეგ, კრიტიკოსი უდავოდ ღრმად ჩაწვდა გრ. ორბელიანის პოეზიის მხატვრულ და შინაარსობრივ ღირსება-ნაკლოვანებებს და მოგვცა მათი დამაჯერებელი ანალიზი.

<sup>1</sup> ნ. ნიკოლაძე, ჩვენი მწერლობა (გრ. ორბელიანი), ჟურნალი „კრებულის“ 1873, № 3.

ნ. ნიკოლაძე გრ. ორბელიანის შემოქმედებით მოღვაწეობაში ორ პერიოდს ხედავს, მაგრამ პერიოდებად დაყოფას ის უკავშირებს არა პოეტის პოლიტიკურ შეხედულებათა ევოლუციას, როგორც ამას უკანასკნელ დროს მიმართავენ, არამედ მის მხატვრულ მოწიფულობასა და პოეტური გზის საბოლოო გარკვევას.

საერთოდ, ნ. ნიკოლაძე იმ შეხედულებიანაა, რომ გრ. ორბელიანმა თავიდანვე აშკარად გამოავლინა თავისი მაღალი პოეტური შესაძლებლობა. კრიტიკოსი კარგ შეფასებას აძლევს მის პირველსავე ლექსს—„ანტონს“, თუმცა არც იმას მალავს, რომ ამ ლექსში პოეტი მაინც ვერ აცდა „უწინდელი მწერლობის“ გავლენას და „ორიოდე შემოდველებული სიტყვა“ იხმარა, რაც „ყურს ეჩოთი-რება“.

ლექსით „მ-სადმი“ გრ. ორბელიანმა, —ამბობს ნ. ნიკოლაძე,— გამოამჟღავნა საკუთარი გრძნობების გადმოცემის ნიჭი და ოსტატობა, მაგრამ მასში ჯერ კიდევ მაინც არ იყო ის სიძლიერე და სიღრმე, რაც მან შემდეგ გვიჩვენა ამ მიმართულებით. რაც შეეხება ლექსს „ღამე“, კრიტიკოსის თქმით, არის უდავოდ წინ გადადგმული ნაბიჯი. „ამავე ლექსით, —წერს ნ. ნიკოლაძე,— თავდება გრ. ორბელიანის შრომაში ის პერიოდი, რომელშიც მის ნაწერს და ლექსს, კილოს უწინდელი მწერლობის ბეჭედი და გავლენა ატყვიან“.

ისეთ ნიჭიერსა და დიდი მხატვრული შესაძლებლობის პოეტს, როგორც „ღამის“ ავტორი იყო, არ შეიძლება მალე არ ეპოვა საკუთარი პოეტური ხმა. „მართლაც, —ამბობს ნ. ნიკოლაძე,— შემდეგივე ლექსს უფრო მაღალი გრძნობა, უფრო ხელოვნური გამოხატულება და ტანსაცმელი აქვს. მისი ენა ძველ კილოს ივიწყებს, ლექსი მსუბუქი და ადვილი ხდება, სურათი კეკლუცაოთ და მარდათ იხატება ორიოდე კალმის გასმა-გამოსმით და შთაბეჭდილება მით უფრო ძლიერი და ხანგრძლივი გამოდისო“. ასეთი ლექსი გრ. ორბელიანის შემოქმედებაში, მისი თქმით, არის „იარაღის“, რომელშიც ქართული სუფრისა და დროსტარების მხატვრულად აღწერილ სურათს „მოსდევს თვითონ პოეტის გრძნობა და სურვილი“, წარმოდგენილი იმდროინდელი საზოგადოებრივი ცხოვრების ფონზე. ამ „სურვილებს“ შორის კი კრიტიკოსი მეტ. მნიშვნელობას ეროვნული გმირის ძიების საკითხს აძლევს.

ნ. ნიკოლაძეს საგანგებო გახაზვის ღირსად მიაჩნია ის, რომ გრ. ორბელიანი არა მარტო საკუთარი გრძნობისა და ფიქრების გადმოცემაში იჩენს მაღალ ოსტატობას, არამედ „სხვის გულშიც გამპკრიახათ იცქირება“. ამ მხრივ მას უნაკლო ნაწარმოებებად

პიანია მისი ცნობილი მუხამბაზები და დასძენს: „როცა პოეტი ამოდენად სწორათ და ნაპღვილათ მოახერხებს სხვისი გრძნობისა და ხასიათის გაგებას, ისე ჩაძვრება მის გულში და კანში, რომ არა თუ მისი გრძნობა გამოხატოს, მისი ჩვეულებრივი ენაც იხმაროს, ისე რომ მკითხველს დაავიწყდეს, რომ მის წინ პოეტი ზღერის და სწერს, და ეგონოს ნამღვილათ გამოხატული პირის ხმე მესმის, მის გრძნობას ვხედავ, მის სხეულს ხელს ვკიდებო, ეს იმის ნიშანია, რომ პოეტს ხელოვნებაში უხენაეს სიმალლემდე მიულწევია. ეს თვისება ხელოვნების თითქმის უკანასკნელი სიტყვაა, იმ მხრითა მაინც, რომელიც აზრისა და გრძნობის ტანსაცმელს, გარეგან ფორმას შეეხება. გრ. ორბელიანს ამ მხრით ძლიერ დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენს მწერლობაშიო...“

თავისი მდიდარი გრძნობითა და ფართო თვალთახედვით გრ. ორბელიანი, ნ. ნიკოლაძის აზრით, ყველაზე სრულად „სადღეგრძელოში“ გამოჩნდა. „სადღეგრძელო“, მისი თქმით, ერთ-ერთი საუკეთესო ნაწარმოებია არა მარტო გრ. ორბელიანის შემოქმედებაში, არამედ „ერთი უმჯობესთაგანია მთელ ჩვენს მწერლობაში“.

ნ. ნიკოლაძის შეხედულებით, „სადღეგრძელოში“ პოეტმა გამოამჟღავნა თავისი დამოკიდებულება ადამიანის მრავალფეროვანი ცხოვრების ცალკეული მხარეებისადმი; ამ ნაწარმოებში ის წარმოგვიდგა ამაღლებული და უუაქიზესი გრძნობის პოეტად, რომელიც ყველაფერს და ყოველივეს, ადამიანის სულიერ თუ პრაქტიკულ ცხოვრებაში, უმაღლეს და უწმინდეს გრძნობას—სამშობლოს სიყვარულს უკავშირებს.

ნ. ნიკოლაძემ სწორად შენიშნა, რომ გრ. ორბელიანი ერთ-ერთი პირველთაგანი იყო მე-19 საუკუნის პოეტთაგან, რომელმაც წინ წამოსწია სიყვარულის სულიერი მხარე. მისი თქმით, გრ. ორბელიანამდე ქართულ პოეზიაში პატივისცემით სარგებლობდა უმთავრესად ხორციელი სიყვარული, რაც გამოწვეული იყო იმდროინდელი საზოგადოებრივი ცხოვრების თავისებურებით. კერძოდ, როცა ამა თუ იმ ხალხის ცხოვრებაში დაღლილობა, სულით დაცემა და საზოგადოებრივი მიზნის გაურკვევლობა იჩენს თავს, მაშინ ქალისადმი ტრფობაც უფრო წუთიერ ხასიათს იღებს; შემთხვევითი არაა, რომ „ვეფხისტყაოსანში“ სიყვარულის სულიერი მხარე უმაღლეს წერტილამდეა აყვანილი, რაც აღარ იგრძნობა შემდეგი პერიოდის ქართულ ლიტერატურაში.

ერთი სიტყვით, იცვლება რა ქალის როლი საზოგადოებაში, იცვლება სიყვარულის გრძნობის გაგებაც. „მშრომელს, მხნე, იმედით და აღტაცებულთ სავსე საზოგადოებაში, ბრძოლისა და შრო-

მის დროს, — ამბობს ნ. ნიკოლაძე, — ქალი კაცის თანასწორი ამხანაგია, მისი გამამხნევებელი, ნუგეშისმცემელი, ძალის მომმატებელი და კაცი იმას პატივისცემით, ნამდვილი სიყვარულით და ნდობით უყურებს. მაშინ უმჯობესი პირების გრძნობას და სიყვარულს ნიადაგ. ის ხასიათი ეძლევა, რომ ქალის გულში და სიყვარულში ისინი გულითადი ამხანაგის გამამხნეველ ძალას აფასებენ“. სწორედ ასეთი გრძნობის გამოხატულებას ხედავს ის „სადღეგრძელოში“.

ამგვარად, სულიერი სიყვარულის წინ წამოწეას გრ. ორბელიანის შემოქმედებაში ნ. ნიკოლაძე მეტად მნიშვნელოვან საზოგადოებრივ მოვლენებს უკავშირებს. ასევე იქცევა ის ბუნების სურათების, ამსახველ ნაწარმოებთა შეფასების დროსაც.

ბუნების სურათების ასახვით გრ. ორბელიანი, — კრიტიკოსის ჯაგებით, — უბრალო დეკორაციულ ფონს კი არ ქნის სხვა მოვლენების გამოსაკეთად, არამედ უშუალოდ მოქმედებს მკითხველის გრძნობაზე, აღრმავებს მასში სამშობლოსადმი სიყვარულისა და თავდადების გრძნობას, აძლიერებს ბრძოლისა და მოქმედების პათოსს.

მოჰყავს რა შესაფერი ადგილები „სადღეგრძელოდან“, ნ. ნიკოლაძე ამბობს: „პოეტური ფერის, შედარებების და სურათების ძალა ამ მხატვრობაში სწორედ შეუდარებელი რამ არისო“.

ნ. ნიკოლაძე განსაკუთრებული კმაყოფილებით. ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ გრ. ორბელიანი სამშობლოს კეთილდღეობას ყოველთვის მალლა აყენებს ადამიანის პირად ბედნიერებაზე. კერძოდ, „სასიამოვნო მოვლენად“ მიაჩნია მას ის, რომ გრ. ორბელიანს წილად ხვდა ყოფილიყო ეროვნული თავისუფლებისათვის მებრძოლი პოეტი, რომელიც მთელი გულწრფელობით ამბობდა: „და მოკვდეთ, თუკი სიკვდილით ვადიდებთ მისსა სახელსაო“. ასევე დიდ მოწონებას იმსახურებს მასში პოეტის ღრმა ჰუმანიზმი: „რა არის ჩვენი სიცოცხლე, თუ არა საქმე კეთილიო“.

ყოველივე ეს საგანგებო აღნიშვნის ღირსად მიაჩნია ნ. ნიკოლაძეს იმიტომ, რომ მასში ხედავს უდავო საბუთს მშობლიური ხალხის სიმხნევისა და „ეროვნული მონობისადმი“ შეურიგებლობისას. როცა სუსტი ერი მასზე უფრო ძლიერს საბოლოოდ მორჩილდება, მაშინ, — ამბობს ნ. ნიკოლაძე, — „საზოგადო საქმეებში იმას ერთობის და საყოველთაო სარგებლობის გაგება ეკარგება, სურვილი უკვდება, მამულთან შემაერთებელი კავშირი უწყდება, და თავგანწირული საზოგადოებისათვის სამსახურის და მსხვერპლის მაგიერ ებადება თავისი კერძობითი სარგებლობის ძიება, ძლიერის ფეხ-ქვეშ გაგორება, ორგულება, ლალატი, ბეზლობა და მდაბალი

ონობა, ინტრიგა“. გრ. ორბელიანის პოეზია კი სულ სხვაგვარ სურათს ხატავს.

მიუხედავად ამისა, გრ. ორბელიანის ძლიერ პოეტურ ნიჭსა და ზნეობით ძალას,—ამბობს ნ. ნიკოლაძე,—„თავისი ერის გონებაზე და მომავალზე... საკმაო და შესაფერი... ბეჭედი არ დაუსვია“. მის პოეზიაში მაინც „ძლიერ ცოტათ ისმის ხალხის გულის წადილის ხმა“ და თითონაც იშვიათად აძლევს პასუხს მასზე „თანაბედროფე საზოგადოებას რაც კითხვები და ფიქრი აღელვებდა“. მაგრამ ყოველივე ამის მიზეზს ნ. ნიკოლაძე ხედავს იმ ცხოვრებაში, რომელმაც პოეტის ხანგრძლივ მოღვაწეობას თავისი დალი დაასვა. მისი თქმით, პოეტი ცხოვრებაში გამოვიდა „განშლილი სასიხარულოდ“ და ბედიც „უჩვენებდა მას ამა სოფლის ყვავილთა მხოლოდ“, გულიც საკმაოდ გაუთბო სიყვარულმა და მეგობრობამ, „რომლისა სხივნი თვით ეკალსა შეჭქმნიდნენ ვარდათ“, მზათ იყო ეზრუნა და ეფიქრა თავისი სამშობლოს მომავალზეც და ანობდა:

„ვინ აღჩნდეს გმირი,  
რომ მის ძლიერი  
ბედს დამინებულს ხმას აღადგენდეს...“

მაგრამ მოულოდნელად დაჰბერა „უბედობის გრიგალმა“ და პოეტიც გადააგდო „უფსკრულს ვაებისას“. ამის შემდეგ მისი პოეტური ნიჭიც, ცხადია, თავისებურად წარიმართა. ამიტომაც, რომ მოხუცი პოეტი ამბობს: „რაც ვიყავ იგი არა ვარ, ვერც კი ვჭარბნობ, რაცა მიყვარდაო“.

როგორც ვხედავთ, ნ. ნიკოლაძის მიერ დახატული გრ. ორბელიანის პოეტური პორტრეტი დღესაც ინტერესსა და თავის მნიშვნელობას ინარჩუნებს. მისი ბევრი მახვილი დაკვირვება გრ. ორბელიანის მხატვრული ნიჭისა და მიმართულების თავისებურებების შესახებ გაზიარებული და მიღებულია; მას აკოჟლებს მხოლოდ ის გარემოება, რომ კრიტიკოსს გათვალისწინებული არა აქვს პოეტის მოღვაწეობის უკანასკნელი ათეული წელი, რაც საკმაო ნაყოფიერი და საინტერესო იყო.

ნ. ნიკოლაძე არ კმაყოფილდებოდა ცალკეულ ნაწარმოებთა ავკარგიანობის გარკვევით; არც ამა თუ იმ მწერლის მხატვრული ტალანტის დახასიათებით. იფარგლებოდა. ყოველივე ამის შემდეგ ის ცდილობდა მთელი სიზუსტით ეჩვენებინა მწერლის ადგილი მშობლიური ლიტერატურის ისტორიაში, გაერკვია თუ რა შემატა მან ლიტერატურის საერთო განვითარებას, მხატვრული აზრის პროგრესს. ასეთი ინტერესი მან განსაკუთრებით მკვეთრად

გამოავლინა ი. ჭავჭავაძისა და აკ. წერეთლის შედარებითი დახასიათების დროს.

როგორც ცნობილია, ი. ჭავჭავაძეს<sup>1</sup> და აკ. წერეთელს ერთსა და იმავე ეპოქაში მოუხდათ მოღვაწეობა. მათი დამსახურება ახალი ქართული ლიტერატურის წინაშე ისე დიდია, რომ შეუძლებელია მისი გადაქარბებულად შეფასება. უდავოდ მართალი იყო ცნობილი ქართველი მოღვაწე ი. გოგებაშვილი, რომელიც ამბობდა: „იქნება არც ერთს მსოფლიო გენიოსს არა ჰქონდეს იმოდენა მნიშვნელობა თავისი ერისათვის, რამდენიც აქვს ილია ჭავჭავაძეს საქართველოსთვის“<sup>2</sup>. ასევე მართალი იყო მთელი ქართველი ხალხი, როცა აკაკი წერეთელს, ჯერ კიდევ პოეტის სიცოცხლეში, „საქართველოს უგვირგვინო მეფე“ უწოდა.

ამიტომ, ბუნებრივია, მკითხველთა შორის ისმებოდა კითხვა: ვინ უფრო დიდია, ვინ უფრო ამაგმოსილია—ილია თუ აკაკი? ამ კითხვისადმი ინტერესი დღესაც კი იგრძნობა ხოლმე, რაც იმის მაჩვენებელია, რომ მათ თანამედროვეთა შორის ეს ინტერესი კიდევ უფრო დიდი იყო.

ნ. ნიკოლაძეს მიზნად დაუსახავს გაერკვია ორი დიდი პოეტისა და მოღვაწის ადგილი ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზრის ისტორიაში, მოეხდინა მათი შედარებითი დახასიათება. სწორედ ასეთი გადაწყვეტილების შედეგია მისი ვრცელი კრიტიკული სტატია, რომელიც გაზეთ „ნოვოე ობოზრენიეში“ გამოქვეყნდა<sup>2</sup>.

ნ. ნიკოლაძის თქმით, „Ак. Церетели в полном смысле слова истинный и настоящий поэт. Этого мало: он единственный поэт среди грузинских стихотворцев последнего полувека... Один лишь кн. Церетели стоит рядом с другим, тоже заправским, грузинским поэтом сороковых годов, кн. Ник. Бараташвили... Они одни внесли в эту (грузинскую—Д. Г.) поэзию живые, неумирающие образы, вместе с легкостью и безыскусственностью формы, и только их творения, уже врезавшиеся в память и сознание народа, оставляют по себе неизгладимый след, составляющий достояние лишь природных поэтических дарований.“

Сила литературного дарования кн. Ак. Церетели просто изумительна. Можно без малейшего преувеличения сказать,

<sup>1</sup> გაზეთი „საქართველო“, 1908, № 11.

<sup>2</sup> „Новое обозрение“, 1889, № 1865.

что по природному дару он целою головою стоит выше всех современных кавказских писателей, поэтов и прозаиков, без всякого исключения. Он будорожит, будит, ставит на ноги даже и паралитиков, оставляя не только мыслью своею, но и самую формую ее выражения—и даже формою больше, чем мыслью—уже навсегда неизгладимое впечатление. Одним словом, все, что чисто по-грузински—щедрая природа могла отпустить, незная ни меры, ни удержу, писателю, дано ему... Ак. Церетели в размерах, о которых не вправе даже и мечтать ни один из современных кавказских писателей”.

შთაბეჭდილება, რომელიც აკ. წერეთლის პირველმავე ლექსებმა მოახდინეს მკითხველზე, ნ. ნიკოლაძის აზრით, უპრეცედენტოა ქართულ ლიტერატურაში. მას მხოლოდ რუსულ ლიტერატურაში მოეძებნება შესატყვისი: ესაა პუშკინის ახალგაზრდა მუზის პირველი ნაბიჯები. მეცნიერმა თუ მკვირემცოდნემ მაშინვე იგრძნო, რომ ლექსებს, რომლებსაც მოკრძალებულად ჰქონდათ მიწერილი — „წ“, ამშვენებდა „პოეტური პარმონია“, „та самая гармония, которой „божественныя тайны“, по выражению А. Н. Майкова, напрасно было-бы искать по книгам мудрецов“.

ნ. ნიკოლაძის შეხედულებით, ქართული სამწერლო ენის დემოკრატიზაციის საქმე მკიდროდაა დაკავშირებული აკ. წერეთლის პოეტურ მოღვაწეობასთან; ამასთან მან ქართულ ლექსს დაუბრუნა ნამდვილი სინატიფე და სიმსუბუქე, მოქნილობა და გრაცია, რის საჭიროება დიდი ხნიდანვე იგრძნობოდა. „Вообще,—შენიშნავს ის,—с первого и до последнего дня литературной деятельности кн. Ак. Церетели, он занял в грузинской словесности и удержал всецело за собою то самое значение, какое Пушкин имеет в истории русской литературы, относительно языка и формы своих произведений. Он первый.. могущественно приблизил язык литературы к народному, придав ему неимоверную гибкость и грацию, выразительность и колоритность“.

ამგვარად, აკაკი წერეთელს ქართულ ლიტერატურაში რომ შეესრულებია იგივე როლი, რაც პუშკინმა—რუსულ ლიტერატურაში, ამისათვის მას შესაფერი გარდატეხა უნდა მოეხდინა პოეზიის შინაარსობლივ მხარეშიც. მაგრამ ეს ხვედრი, ნ. ნიკოლაძის თქმით, წილად ხვდა არა მას, არამედ ი. ჯავახიანიძეს, რის გამოც ამ უკანასკნელმა დაიჭირა პირველი. ადგილი ახალ ქართულ ლიტერატურაში.



ბ. ნიკოლაძის შეფასებით, „сходство роли кн. Ак. Церетели в грузинской литературе с значением Пушкина—в русской ограничивается, к сожалению, лишь стороною формы и языка. Грузинскому поэту, увы, не удалось сравниться с русским и произвести коренной переворот относительно не только формы, но и содержания литературных произведений своей родины.“

Эта высокая честь—дать литературным силам родного народа новые и достойные задачи—вышла в грузинской литературе не... Ак. Церетели, которому она более всех и приличествовала, а другому писателю, кн. И. Чавчавадзе, который, вследствие того, и занял по праву первое место, во главе современной грузинской словесности“.

ი. ჯავჭავაძე, როგორც პოეტი, ბ. ნიკოლაძის შეხედულებით, არ იყო დაჯილდოებული იმ მაღალი ბუნებრივი ნიჭით, რაც ასე ამშვენებდა აკ. წერეთელს. მის ლექსებს აკლია მხატვრულობა და ამძიმებს რიტორიკა, მაგრამ თავისი პოეზიის შინაარსით ის სწორ მიმართულებას აძლევდა იმდროინდელ ლიტერატურასა და საზოგადოებრივ აზრს, ძლიერ გავლენას ახდენდა საზოგადოებრივი ცხოვრების შემდგომ განვითარებაზე; ამ მხრივ ის ნეკრასოვს მოგვაგონებსო. კრიტიკოსის თქმით, „несмотря на столь колоссальную разницу между природными дарованиями двух этих корифеев современной грузинской литературы, кн.-И. Чавчавадзе, а не кн. Ак. Церетели, занял в ней главенство и дал ей направление, притом совершенно правильное и безповоротное“.

დიდი შრომისმოყვარეობის, მტკიცე ნებისყოფის, ფილოსოფიური აზროვნების უნარისა და ფართო ერუდიციის წყალობით,—ამბობს ბ. ნიკოლაძე,—ი. ჯავჭავაძე გახდა წამყვანი ფიგურა მეცხრამეტე საუკუნის მოღვაწეთა შორის. „У него,—შენიშნავს ის,—могут быть недостатки,—во многом я не разделяю его возрений... но, тем не менее, это, бесспорно, человек, это—сила“.

ჩვენი მხრით შეგვიძლია ვთქვათ, რომ შესაძლებელია ბ. ნიკოლაძეს ბევრ რამეში არ დავეთანხმოთ ი. ჯავჭავაძისა და აკ. წერეთლის შედარებით დახასიათებაში, რადგან ის ზოგჯერ თავს ვერ აღწევს უკიდურესობებს, მაგრამ მისი მოსაზრებები მრავალმხრივ საინტერესო და საყურადღებოა; ბევრი მათგანი თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობამ საბოლოოდ დაადასტურა.

ლიტერატურის ისტორიამ კიდევ უფრო მეტად გაამართლა გ. წერეთლის შემოქმედების ნ. ნიკოლაძისეული დახასიათება.

ნ. ნიკოლაძემ გ. წერეთელში თავიდანვე შეიცნო ჭეშმარიტი რეალისტი მხატვარი, რომელსაც ეხერხებოდა ცხოვრების მრავალფეროვნების შეუფერავად ასახვა და ჰქონდა ტიპიური სახეების შექმნის ნიჭი.

ჯერ კიდევ 1872 წელს დაწერილ კრიტიკულ სტატიაში ნ. ნიკოლაძემ ყურადღება მიაქცია გ. წერეთლის კომედიას „ჯიბრი“ და ავტორს მოუწონა ახალი თემის მიკვლევის ალლო და კომიკური სურათების სინამდვილე. „ჯიბრის“ ავტორს,—წერს ის,—„ერთბაშათ გადავყავართ სრულიად უცნობ წრეში, იმ წრეში, რომელშიაც გამოზრდილა თითქმის მთელი ჩვენი ახალგაზრდობა, მაგრამ რომელიც არ გამოხატულა ჯერ მწერლობაში. იქ ჩვენ ნამდვილ, შეუფერავ, ცოცხალ ნაცნობებს ვხედავთ... ჩვენ გვესმის მათი ნამდვილი ლაპარაკი და ენა... ჩვენ თვალწინ დგება მათი ნამდვილი ხასიათი, მათი მოაზრება, მათი ტვინი და გული“<sup>1</sup>.

ნ. ნიკოლაძის შეხედულებით, გ. წერეთლის სამწერლო ნიჭი და მხატვრული მეთოდი კიდევ უფრო სრულად პროზაული ჟანრის თხზულებებმა გამოავლინეს. კერძოდ, პროზაში ის გვევლინება როგორც ტიპიური სახეების შექმნის ოსტატი და ფხიზელი შემცნობი იმ მიზეზებისა, რომლებმაც განაპირობეს ამ სახეების არსებობა.

გ. წერეთელმა,—შენიშნავს ნ. ნიკოლაძე,—თავიდანვე მიიპყრო მკითხველის ყურადღება „своими бойкими и художественными очерками имеретинской народной жизни, и, в особенности, своим живым, народным языком. Характер его таланта, по преимуществу, если не исключительно беллетристического, с особенною силою проявлялся в его небольших очерках, прелестно обрисовывавших картины и типы местной жизни. В его статьях виднелся художник с сильным дарованием, привыкший не только вглядываться в явления общественной жизни, не только подмечать новые и типичные стороны ея, но и вдумываться в характер и понимать причинность этих явлений...“

...Лучшие очерки Г. Церетели скоро сделались популярными. Типы, созданные им, вроде Кудабзики, Чиколики и т. п., узнаны и подхвачены были публикой, и сделались достоянием разговорного языка“<sup>2</sup>.

<sup>1</sup> ჟურნალი „კრებული“, 1872, № 10—11—12.

<sup>2</sup> Н. Николодзе. Местная литература, „Тифлисский Вестник“, 1875, № 99.

ნ. ნიკოლაძემ გ. წერეთლის შესახებ ასეთივე აზრი გამოთქვა ოცი წლის შემდეგაც. არკვევდა რა „მგზავრის წიგნების“ მნიშვნელობას ქართული ლიტერატურის ისტორიაში, ნ. ნიკოლაძე წერდა: „მთელ ამ თხზულებაში სრულიად რომ არაფერი ყოფილიყო, გარდა მარტო ერთი კუდაბზიკის აღწერისა, მაშინაც ჩვენ მწერლობაში უკვდავი დარჩებოდა „მგზავრის წიგნები“, ამიტომ რომ ეს კუდაბზიკა—ნამდვილი ტიპია“<sup>1</sup>.

როგორც ვხედავთ, ნ. ნიკოლაძემ სწორად შენიშნა გ. წერეთლის შემოქმედების ძლიერი მხარეები. მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ მან შესაფერი ყურადღება ვერ მიაქცია მისი შემოქმედების მხატვრული ფორმის სუსტ მხარეს.

საერთოდ, ნ. ნიკოლაძის შეხედულებები გამოჩენილი ქართველი კლასიკოსების—ნ. ბარათაშვილის, გრ. ორბელიანის, ი. ჭავჭავაძის, აკ. წერეთლისა და გ. წერეთლის შესახებ შემდგომმა მეცნიერულმა კვლევა-ძიებამ, ძირითადად, გაამართლა და დაადასტურა. მიუხედავად ამისა, არ შეიძლება ითქვას, რომ მათ ყოველთვის შესაფერი ანგარიში ეწეოდეს ქართული ლიტერატურის თანამედროვე ისტორიკოსთა ნაშრომებში.

\* \* \*

ნ. ნიკოლაძე, როგორც აღნიშნული გვაქვს, თავის ლიტერატურულ მოღვაწეობაში მნიშვნელოვან ადგილს უთმობდა აგრეთვე გამოჩენილ რუს და ევროპულ მწერალთა შემოქმედების შესახებ სწორი შეხედულების შემუშავებას ქართველ მკითხველთა შორის. მაგრამ ის არ კმაყოფილდებოდა მათი მოღვაწეობის ზოგადი დახასიათებით. მას სრულიად საფუძვლიანი პრეტენზია ჰქონდა საკუთარი შეხედულებები გამოეთქვა რუსული და ევროპული ლიტერატურის ცალკეულ საკითხებზე. ხშირად იგი პირველი იყო, რომელიც მეტად საინტერესო და ორიგინალურ შეფასებას აძლევდა რუსულ და ევროპულ ლიტერატურაში მომხდარ ახალ მოვლენებს.

ჯერ ჟურნალების „სოვრემენნიკის“, „ისკრას“ და გაზეთ „ნაროდნოე ბოგატსტვოს“, ხოლო შემდეგ „კოლოკოლის“, „სოვრემენნოსტის“ და თბილისის რუსული პრესის ფურცლებზე გამოქვეყნებული სტატიებით ნ. ნიკოლაძემ საკმაო ავტორიტეტი დაიმსახურა რუს ლიტერატორთა და მკითხველთა შორის. ამიტომ იყო, რომ ნ. ნიკოლაძის გაზეთ „ობზორში“ სიამოვნებით თანამშრომ-

<sup>1</sup> ნ. ნიკოლაძე, გიორგი წერეთლის პირველი შრომა, ჟურნალი „მოამბე“, 1894, № 4.

ლობდა ბევრი ცნობილი რუსი მოღვაწე, მათ შორის გლებ უსპენსკი და მ. ა. ანტონოვიჩი. ამ გაზეთის დახურვის შემდეგ თვით ნ. ნიკოლაძე ჟურნალ „სამანულო წერილებში“ („Отечественные записки“) მიიწვიეს მ. სალტიკოვ-შჩედრინმა და ნ. მიხაილოვსკიმ. ამ უკანასკნელის გადასახლების შემდეგ კი სალტიკოვ-შჩედრინმა ნ. ნიკოლაძეს კრიტიკის განყოფილება ჩააბარა. უაქტია ისიც, რომ მისი სტატია („ლუი ბლანი და გამბეტა“) გახდა ერთ-ერთი საბაბი აღნიშნული ჟურნალის დახურვისა.

ნ. ნიკოლაძე და რუსული და ევროპული ლიტერატურის საკითხები—ცალკე გამოკვლევების საგანია. ამჯერად ნ. ნიკოლაძის მიერ ამ საკითხების გაშუქება გეანტერესებს იმდენად, რამდენადაც ეს საჭიროა მისი ესთეტიკური შეხედულებებისა და ისტორიულ-ლიტერატურული კონცეპციის შესახებ უფრო სრული და დამაჯერებელი წარმოდგენის შესაქმნელად.

ნ. ნიკოლაძე რუსული ლიტერატურის საკითხებზე მსჯელობისას გარკვეულად ითვალისწინებდა იმას, თუ ვისთვის წერდა: ქართველი თუ რუსი მკითხველისათვის. როცა უშუალოდ ქართველი მკითხველისთვის წერდა, მაშინ ის არჩევდა ისეთ საკითხებსა და მოვლენებს, რომლებსაც გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდათ თვით ქართული ლიტერატურისათვის; ხოლო როცა, პირველყოვლისა, რუსი მკითხველისათვის წერდა, მაშინ ის გამოდიოდა მხოლოდ და მხოლოდ რუსული მწერლობის ცოცხალი ინტერესებიდან.

კერძოდ, როცა ის სლავიანოფილთა და მედასავლეთეთა შორის წარმოებული ბრძოლის ისტორიაზე, ან რუს რევოლუციონერ-დემოკრატთა დამსახურებაზე ლაპარაკობს, მაშინ მას თვალწინ უდგას ქართული ლიტერატურის ისტორიაში მოძხდარი შესატყვისი მოვლენები, რომელთა ავკარგიანობის გათვალისწინება მას ამ გზით უფრო მოხერხებულად ეჩვენება. მაგრამ როცა რუსი მკითხველი საზოგადოების და რუსული ლიტერატურის შორითერთდამოკიდებულებას სხვადასხვა ეტაპებად ყოფს, ე. გარშინის მოთხრობების კრებულსა და ლ. ტოლსტოის „Крестьянская война“-ს არჩევს, ანდა სალტიკოვ-შჩედრინის რუსული ლიტერატურის ისტორიის წინაშე დამსახურებას არკვევს, მაშინ ის რუსი კრიტიკოსია, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. ამიტომაც, რომ ამ რიგის სტატიებში იგი არცთუ იშვიათად ამბობს ხოლმე: „Мы—русские“.

ნ. ნიკოლაძეს მიაჩნდა, რომ რუსული საზოგადოებრივი ცხოვრება და რუსული ლიტერატურა უაღრესად ახლოს იყო ქართულ სინამდვილესთან, მის სოციალურ და კულტურულ ვითარებასთან.

ქართველ „ვიწრო პატრიოტებსა“ და კონსერვატორებს ის ხშირად მოაგონებდა, რომ რუსული და საერთოდ უცხოური ენებისა და ლიტერატურის შესწავლა აუცილებელია: „თუ კი სხვის მწერლობას არ შევისწავლით, სხვის მეცნიერებას არ შევიძენთ, სხვის გამოცდილებას არ დავიმკვიდრებთ, ნუ-თუ მართო ძველი ჩვენი ენის გაზეპირებით, ძველი ხელნაწერების ტრიალით, ძველი ჩვეულებების გახსენებით შეგვეძლება იმ ძალის მოპოვება, რომლებიც სხვებთან გაგვასწორებს და სხვის პატივს შეგვძენს?... ნუ თუ ილ. ჭავჭავაძეს ქართული გული არ უძგერს და ნამდვილი ქართული გრძნობა არ აღელვებს... რაკი რუსეთში შეუძენია მთელი თავისი ცოდნა და რუსულ სასწავლებლებში გაუტარებია მთელი თავისი ახალგაზრდობა?“<sup>1</sup>.

სხვა ხალხთა ენებისა და კულტურის შესწავლა ხელს კი არ უშლის სამშობლოსა და საკუთარი ხალხისადმი სიყვარულს, არამედ აძლიერებს მას. ქეშმარიტი პატრიოტი სხვა ხალხებისაგანაც ბევრს სწავლობს და თვითონაც აცნობს მათ თავისი ხალხის ჩვევებსა და მიღწევებს. „ყოველ ხალხს, — ამბობს ნ. ნიკოლაძე, — თავისი განსაკუთრებული ხასიათი და ზნე აქვს... რუსს ვერაფერს გაანემეცებს, ქართველს ვერაფერს გაარუსებს; შესაძლებელია ქართველს ჩოხის მაგიერ „ზიპუნის“ ჩააცვა, ბოხოხის მაგიერ „შაჰკა“ დაახურო, ქალამნის მაგიერ — წალა მისცე, მაგრამ ხასიათი და ზნე, სისხლი და ბუნება კი მაინც ქართველის დარჩება“<sup>2</sup>.

ეს ქეშმარიტება, — ნ. ნიკოლაძის შეხედულებით, — გათვალისწინებული არ ჰქონდათ სლავიანოფილებს, რომლებსაც ძალიან ჰგვანდნენ ქართველი „ვიწრო პატრიოტები“. სლავიანოფილობის დამახასიათებელი თვისება, — მისი თქმით, — ისაა, რომ „თავიანთს ყველაფერს იწონებს... და უცხოეთისას ყველაფერს... აძაგებს“, „გარეგან შეხედულებას, გარეგან საქციელს და სიტყვას ისინი ყოველთვის მეტ მნიშვნელობას აძლევენ, ვინემ თვითონ საქმეს ან მის არსებითს მხარეებს“.

ერთი შეხედვით, სლავიანოფილები რუსული ენისა და რუსული მწერლობის მართლაც და დიდი მოამაგენი და კეთილისმყოფელნი არიან, მაგრამ სინამდვილეში არა მათ, არამედ ე. წ. მედასავლეთეებმა უფრო გაამშვენიერეს რუსული ენა და წინ წასწიეს რუსული ლიტერატურა. „სლავიანოფილები, — შენიშნავს ნ. ნიკოლაძე, — ჩვენი პატრიოტების არ იყოს, იმას კი არ ქადაგებდ-

<sup>1</sup> ნ. ნიკოლაძე. მამულის სიყვარული და მსახურება, გვ. 81—82.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 18—19.

ნენ—მწერლობა ხალხის ენას ყურს უნდა უგდებდესო, ხალხის მდი-  
დარი ლექსიკონით უნდა ხელმძღვანელობდესო, სამწერლო ენა ხალ-  
ხის ლაპარაკს უნდა უახლოვდებოდესო. ეს რომ ეთქვათ, ქეშმარი-  
ტება გამოითქმოდა მათი პირით, არა, ისინი იმას ქადაგობდენ,—  
სწორეთ ისე, როგორც დღეს ჩვენი „პატრიოტები“  
ამბობენ, რომ მწერლობამ სიტყვებიც და სიტყვის წყობილობაც  
უნდა აილოსო ძველის მწიგნობრულის, დავიწყებულისა და მკვდა-  
რის ენისაგან<sup>1</sup>. ამიტომაც, რუსული ენის გამამშვენებლად და გამამ-  
დიდრებლად სლავიანოფილები კი არ გამოდგენ, არა. ევროპის  
განათლების მომხრე მწერლებმა: პუშკინმა, ლერმონტოვმა, გოგოლ-  
მა, ლერცენმა და სხვ. გაამდიდრეს ეს ენა მიუ, რომ ხალხის ლაპა-  
რაკს დაუახლოვეს მწერლობის კილო, რომ ხალხის ენისაგან მწერ-  
ლობაში შემოიტანეს ათასობით ახალი სიტყვები და სიტყვის წყო-  
ბილება“<sup>1</sup>.

სლავიანოფილთა კრიტიკის ფონზე ნ. ნიკოლაძე, როგორც  
ვხედავთ, აშკარად ეხმაურება ქართულ ლიტერატურაში იდეურ-  
ლიტერატურული ბრძოლის დროს აღძრულ მწვავე საკითხებსაც.

ნ. ნიკოლაძის შეხედულებით, ყოველი პატრიოტი უნდა იბრ-  
ძოდეს მშობლიური ენის აყვავებისათვის, მაგრამ მისი მოღვაწე-  
ობა მხოლოდ ამით არ უნდა შემოიფარგლოს; თავისი ენის გამშ-  
ვენიერებით მან საფუძველი უნდა შექმნას: მთავარი მიზნის მისალ-  
წევად. ეს მიზანი კი—ცხოვრების სასურველი ფორმისათვის მიღ-  
წევაში მდგომარეობს. „დედა-ენა, —წერს ის, — ძვირფასი რამ  
არის: ის ისეთი მძლავრი კავშირია, რომელიც საზოგადოებრივ  
ძალას შეადგენს და ხალხს ერთი მიზნისკენ წინ წაწევას  
უადვილებს. მაგრამ, როგორც კავშირი, როგორც ძალა, ის  
მარტო საშუალებას წარმოადგენს და არა მიზანს“<sup>2</sup>.

რუსი სლავიანოფილები და ქართველი „ვიწრო პატრიოტე-  
ბი“,—ნ. ნიკოლაძის შეხედულებით,—ამ გარემოებას ვერ ითვა-  
ლისწინებდნენ. ერთი შეხედვით ვითომდა პატრიოტები, ისინი ნა-  
ლებ სასარგებლონი იყვნენ სამშობლოსათვის.

რუსული ლიტერატურის ისტორიის საკითხებზე მსჯელობი-  
სას ნ. ნიკოლაძე დაინტერესებული იყო, ერთი მხრივ, მისი გან-  
ვითარების შინაგანი კანონზომიერების ჩვენებით, მეორე მხრივ,—  
მისი საამაყო წარმომადგენელთა მსოფლიო მნიშვნელობის გარკ-  
ვევით.

<sup>1</sup> ნ. ნიკოლაძე. მამულის სიყვარული და მსახურება. გვ. 44.

<sup>2</sup> ი ქ ვ ე, გვ. 72.

ნ. ნიკოლაძის შეხედულებით, რუსულმა ლიტერატურამ განვითარების მაღალ დონეს მიაღწია ჯერ კიდევ მეთვრამეტე საუკუნეში, მაგრამ კეშმარიტი ფუძემდებელი ახალი რუსული ლიტერატურისა მხოლოდ პუშკინია: პუშკინმა შარავანდდით შემოსა რუსული ენა და რუსული ლიტერატურა, — იგი გახდა საფუძველი ყველა შემდგომი წარმატებისა რუსული მწერლობის პროგრესის გზაზე.

ნ. ნიკოლაძე პუშკინს ყოველთვის გენიალურ პოეტად იხსენიებს და საჭიროდაც კი არ თვლის ეს კეშმარიტება მტკიცების საგნად გახადოს. მაგრამ ზოგჯერ თუ მაინც მსჯელობს მის სიდიადეზე, ეს არა იმიტომ რომ სადავოდ გახადოს ის, არამედ — მისდამი საკუთარი დამოკიდებულება გამოხატოს<sup>1</sup>.

პუშკინის შემდეგ, ნ. ნიკოლაძის აზრით, რუსულ ლიტერატურას სახელი და დიდება, პირველყოფლისა, გოგოლმა შემატა. გოგოლი, მისი შეფასებით, რუსული ლიტერატურის პირველხარისხოვანი გენია იყო („Первоклассный гений нашей литературы“)<sup>2</sup>. ნ. ნიკოლაძეს გოგოლი იტაცებს როგორც დიდი რეალისტი მხატვარი, რომელმაც თავისი ეპოქა შექმნა რუსული ლიტერატურის ისტორიაში.

ნ. გოგოლის შემდეგ რუსული ლიტერატურის ისტორიაში ახალ ეტაპს ქმნის ნეკრასოვი. ამ უკანასკნელის სიდიადე, მისი თქმით, გამოვლინდა არა მხატვრულ ოსტატობაში, არა მაღალ პოეტურ ნიჭიერებაში, არამედ ცხოვრების რეალიზმის შეცნობასა და პროგრესული იდეების ქადაგებაში. ამ მხრივ ის ახალი, მაგრამ კანონზომიერი მოვლენა იყო რუსულ ლიტერატურაში. კერძოდ, ნეკრასოვის მოქალაქეობრივ პოეზიას ნაწილობრივ მაინც ჰქონდა მომზადებული ნიადაგი პუშკინისა და ლერმონტოვის შემოქმედებით. ნეკრასოვის მაგალითზე ნ. ნიკოლაძე ცხადყოფს სისწორეს იმ დებულებისას, რომ ლიტერატურულ ეპოქებს ქმნიან არა ის მწერლები, რომლებიც მკითხველის ყურადღებას იმსახურებენ მხოლოდ და მხოლოდ წმინდა მხატვრული ოსტატობით, არამედ ისინი, რომლებსაც უნარი შეეწევთ შეიცნონ მათ თანამედროვე ეპოქის მაჯისცემა და სწორი ორიენტაცია მისცენ ხალხს საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების შესახებ. „Кому неизвестно, — შენიშნავს ნ. ნიკოლაძე, — что если принимать в расчет лишь специальную поэтическую сторону дарований, то

<sup>1</sup> „Обзор“, 1880. № 520.

<sup>2</sup> „Новое обозрение“, 1890, № 2245.

куда Некрасову до грации, образности и безискусственности даже и таких второстепенных поэтов, как А. Н. Майков или гр. А. К. Толстой? Между тем, несмотря на эту прирожденную слабость его поэтического дарования, ведь бесспорно, что Некрасов в истории русской литературы, даже и как поэт, занял вовсе не второстепенное значение, не форму, конечно, ...своего стиха, а содержанием его, тем, что в русскую поэзию он первый внес элементы, до него лишь изредка и незаметно проскользившие в нее в некоторых творениях Пушкина и Лермонтова<sup>1</sup>.

საერთოდ, რუსულ ლიტერატურაში მაღალი იდეულობის დამკვიდრება და ლიტერატურის მტიკედ დაკავშირება საზოგადოებრივი ცხოვრების ინტერესებთან რევოლუციონერ-დემოკრატიულ სახელებთანაა დაკავშირებული. რევოლუციონერ-დემოკრატებმა, ნ. ნიკოლაძის შეხედულებით, მწერლობას უჩვენეს სწორი შემოქმედებითი გზები, დაასაბუთეს მისი ნამდვილი დანიშნულება. ამით მათ მოახდინეს დიდი ეპოქალური გარდატეხა, რის მნიშვნელობაც ვაძლავ რუსული სინამდვილის ფარგლებს და იქცა მსოფლიო მასშტაბის მოვლენად.

რევოლუციურ-დემოკრატიული მიმართულების უუძემდეგელი რუსულ ლიტერატურაში, ამბობს ნ. ნიკოლაძე, იყო ა. ბელინსკი, რომლის დამსახურება, ისევე როგორც პუშკინისა, აღმართება ჩვეულებრივი დახასიათების შესაძლებლობას. ბ. ბელინსკის როგორც მატერიალისტური ესთეტიკის ფუძემდებლისა და უნიკიერესი კრიტიკოსის მნიშვნელობას ნ. ნიკოლაძე სადავოდ არ ხდის. ის მსჯელობს მხოლოდ იმ გავლენაზე, რომელიც მას ჰქონდა მთელ რუსულ ლიტერატურაზე და არა მხოლოდ რუსულ ლიტერატურაზე. კერძოდ, მისთვის საინტერესო საკითხს წარმოადგენს: ვინ იყვნენ ბელინსკის ნამდვილი მოწაფეები და მისი საქმის გამგრძელებლები, რატომ იყო ის დიდრ მასწავლებელი შემდეგი თაობებისთვისაც და სხვ. ნ. ნიკოლაძეს არა ერთხელ აღუნიშნავს, რომ ბ. ბელინსკის გარეშე, შესაძლოა, ჩერნიშევსკი და დობროლიუბოვი ვერ ყოფილიყვნენ ისეთები, როგორებიც იყვნენ ისინი სინამდვილეში. მაგრამ, ნ. ნიკოლაძეს, როგორც თანამედროვეობის ინტერესებით გატაცებულ მოაზროვნეს, განსაკუთრებით იტაცებდა იმის გარკვევა, თუ რა მიმართულებით გააღრმავეს და გაამდიდრეს ბელინსკის მოძღვრება მისმა სახელოვანმა მოწაფეებ-

<sup>1</sup> „Новое обозрение“, 1889, № 1865.



მა ახალი ეპოქისა და ახალი ლიტერატურული დონის შესატყვისად.

ნ. ნიკოლაძის განსაკუთრებული სიყვარული ნ. ჩერნიშევსკისადმი, პირველყოფლისა, ამ უკანასკნელის მოძღვრებაში ლიტერატურული და სოციალურ-პოლიტიკური ინტერესების მეცნიერული შერწყმის შედეგია. ეს უადვილებდა მას ლიტერატურისა და ხელოვნების ამოცანების მკიდროდ დაკავშირებას სოციალურ და პოლიტიკურ პროგრამასთან, რაც ასე აუცილებელი იყო იმდროინდელი ქართველი მოღვაწისათვის. ამის საუკეთესო მაჩვენებელია თუნდაც მისი ის სტატია, რომელიც წინასიტყვაობად აქვს წარმძღვარებული რომანის „რა ვაკეთოთ“? 1867 წლის გამოცემას, რომელიც ჟენევაში გამოვიდა.

ნ. ჩერნიშევსკის მოძღვრებაში, ნ. ნიკოლაძის აზრით, მკითხველი იპოვის არა მარტო ძველი და მის თანამედროვე სინამდვილის დასაბუთებულ კრიტიკას, არამედ ახალ იდეალებსა და დამაჯერებელ შეხედულებებს საზოგადოებრივი ცხოვრების უკეთესი ფორმების შესახებ. „Не ограничиваясь добросовестным изучением и разбором прежнего порядка и прежних понятий,—წერს ნ. ნიკოლაძე,—он (Чернышевский—Д. Г.) выставляет новые понятия и новый порядок, и неопровержимо доказывает их справедливость и полезность“.

ნ. ნიკოლაძის შეხედულებით, ნ. ჩერნიშევსკის მოძღვრების კეშმარტი აზრს ვერ ჩაწვდა მისი ბევრი პატივისმცემელიც და მეტწილად ამ მოძღვრების გარეგნულმა ფორმამ, -პოლემიკურმა ოსტატობამ გაიტაცა. ამის თავიდან ასაცილებლად, მისი თქმით, საჭიროა ახალგაზრდობამ განსაკუთრებული ინტერესით შეისწავლოს ყველა მისი ნაწერი, პირველყოფლისა კი, რომანი „რა ვაკეთოთ?“, რომელშიც ის გაეცნობა „ახალ ადამიანებს“, რომლებიც ბევრად განსხვავდებიან სხვა მწერალთა მიერ შექმნილი ე. წ. დადებითი ტიპებისაგან. „Наша литература,—შენიშნავს ის,—представляла всевозможные типы и идеалы, более или менее верно охваченные и обрисованные лучшими нашими писателями. Оставляя в стороне стародавних героев, вроде Онегина, Печорина и т. п. мы видим, что литература последнего времени изобиловала Белтовыми, Обломовыми, Рудинскими, Инсаровыми, Молотовыми, Базаровыми и целую дюжиною не менее почтенных личностей. Безспорно, нечто похожее на этих героев существовало в нашей жизни, но тут вопрос вовсе не в том, насколько общ или верен был действительности тот или иной тип, дело в том, что все они были неудовлетвори-

тельны, хотя публика поочередно и восхищалась ими... Чернышевского не удовлетворяло ни суетливое бездействие Бельтова, драпировавшегося в мантию безцельного знания, ни вечная спячка Обломова, ни красноречивое безсилие Рудина, ни безтолковая мощь Инсарова, ни „честная чичиковщина“ Молотова, ни, наконец, уродливая и неосмысленная погоня Базарова за естественным. Он знал иной тип, и неудовольствуясь указанием бесплодности и приторности прежних героев, вывел на сцену своих „новых людей“, добрых и сильных, честных и умеющих. Эти люди не пленяют публику красноречивыми фразами... Они развили свой ум, узнали нашу жизнь, познакомились с основными причинами безобразия... И современная жизнь не только не оставляет их в покое, но начинает мало по малу поддаваться им... и настанет время, когда она сделается такою, какою они мечтали видеть ее, вступая в нее... „Новые люди добиваются своей цели“...

ამ ვრცელი ამონაწერიდან კარგად შევსებულა ნ. ნიკოლაძის დამოკიდებულება არა მხოლოდ ნ. ჩერნიშევსკის, არამედ იმდროინდელი რუსული ლიტერატურისადმი საერთოდ. ამკარაისიცი, რომ ნ. ნიკოლაძე ერთ-ერთი პირველთაგანია, რომელმაც საფუძვლიანი დახასიათება მისცა ნ. ჩერნიშევსკის რომანს—„რავაკეთოთ?“ და, საერთოდ, მის ლიტერატურულ მოღვაწეობას.

ასევე საყურადღებო და საინტერესოა ნ. ნიკოლაძის მიერ გამოთქმული შეხედულებები ნ. ჩერნიშევსკის თანამებრძოლთა შესახებაც. მაგრამ ჩვენ, ამჯერად, დავკმაყოფილდებით იმ შეფასების მოგონებით, რომელიც მას დობროლიუბოვის შესახებ აქვს გაკეთებული. „Добролюбов,—წერს ის,—выступил на литературное поприще с готовым и стройным мирозерцанием, составлявшим продукт умственной работы не только непосредственно предшествовавшего ему поколения русских литературных деятелей, но и величайших гигантов европейской мысли и жизни. У него были определенные идеалы, сложившиеся в школе смелейших новаторов нашего века. На все явления русской жизни, на всех своих окружающих, на самого себя он всегда смотрел сквозь призму этих идеалов“<sup>1</sup>.

ნ. ნიკოლაძისათვის დობროლიუბოვი დიდი ავტორიტეტი იყო არა მარტო როგორც ნიჭიერი კრიტიკოსი, არამედ როგორც;

<sup>1</sup> „Новое обозрение“, 1889, № 1959.

პროგრესულად მოაზროვნე მოღვაწე საერთოდ. ბელინსკისა და ჩერნიშევსკის შემდეგ, დობროლიუბოვი, მისი აზრით, ყველაზე დიდი მოვლენა იყო რუსულ კრიტიკასა და პუბლიცისტიკაში.

ნ. ნიკოლაძის ნაწერებიდან აშკარად იგრძნობა, რომ მას საკმაოდ სწორი შეხედულება ჰქონდა რუს რევოლუციონერ-დემოკრატიებზე, მათი მოღვაწეობის პროგრესულ და მსოფლიო მნიშვნელობაზე. რუს რევოლუციონერთა სკოლა, მისი თქმით, იყო „школа смелейших новаторов нашего (XIX—Д. Г.) века“. ეს შეფასება კი თავისთავადაც ბევრის მთქმელია.

გაბედული და ნაყოფიერი მოღვაწეობის შემდეგ გამოჩენილ რევოლუციონერ-დემოკრატთა „წასვლამ“ სამწერლო ასპარეზიდან, ანბობს ნ. ნიკოლაძე, გამოიწვია, „ლიტერატურული კრიზისი“, რაც ანკარა გახდა 1862 წლიდან. ამ კრიზისში ის გულისხმობს იმ გათიშვას, რომელიც, მისი აზრით, საზოგადოებასა და მწერლობას შორის დაიწყო. უკეთებს რა ანალიზს მთელ ამ პროცესს, თავის კრიტიკულ ნარკვევში— „Обозрение русской журналистики“<sup>1</sup> ის საკიროდ თვლის შეეხოს ლიტერატურისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ურთიერთდამოკიდებულების საკითხს.

ზოგიერთის აზრით, ანბობს ნ. ნიკოლაძე, ამა თუ იმ ხალხის ცივილიზაციის დონის შესახებ შეიძლება ვიმსჯელოთ მისი ლიტერატურული ძეგლების მიხედვით. საფუძველი ასეთი შეხედულებისათვის არსებობს, მაგრამ რიგ შემთხვევაში მაინც ცოდავს ქეშმარიტებას: „Литература не всегда может быть отражением современного общества, и большая или меньшая правильность „отражения“ зависит от силы обстоятельств, да еще от силы самой литературы, то-есть от талантов, которыми располагает литература“.

ლიტერატურა, ისევე როგორც სარკე, ზოგჯერ დამახინჯებულად, ბუნდოვნად და არასრულყოფილად ასახავს გარემო სინამდვილეს. და თუ ჩვენ ამის მიზეზებს სარკის მაგალითზე შევისწავლით, ვნახავთ, რომ მიზეზი ხშირად მინისა და ამალგამის არასათანადო დაკავშირებაა, ზოგჯერ კი გარკვეულ როლს თამაშობს სხვა მოვლენებიც, კერძოდ, ფიზიკური მოვლენები (წვიმა, ყინვა და სხვ.).

დობროლიუბოვის სიკვდილისა და ჩერნიშევსკის „ცოცხლად დანარჩენის“ შემდეგ, ანბობს ნ. ნიკოლაძე, გარკვეულად დაობლდა რუსული ლიტერატურა, მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს ით-

<sup>1</sup> „Народное богатство“, 1864, № 19, 22.

ქვას, რომ ახლაც არიან ტალანტები. მიუხედავად ამისა, ლიტერატურა განიცდის ერთგვარ კრიზისს, რაც მომავლისათვის, შესაძლოა, სასარგებლოც იყოსო.

ნ. ნიკოლაძის შეხედულებით, რევოლუციონერ-დემოკრატიული ლიტერატურული მოღვაწეობის წყალობით, ერთი მხრივ, მაღალ დონეზე ავიდა მკითხველთა გათვითცნობიერება, მეორე მხრივ, ნიღაბი ჩამოეხადა ლიბერალ და მოლიბერალო მწერლებსა და ჟურნალისტებს. ახლა მკითხველმა იცის ვინ რას წარმოადგენს და რომელ პარტიას ეკუთვნის, რომელი ჟურნალი ვის ინტერესებს ემსახურება და რა მიზნებს ისახავს. ამან კი ხელი შეუწყო მკითხველ საზოგადოებასა და მწერლობას შორის გათიშვის დაწყებას. მაგრამ „ლიტერატურულ კრიზისს“ აქვს უფრო სერიოზული საფუძველი. კერძოდ, არა მხოლოდ რეაქციონერი და მოლიბერალო მწერლები და პუბლიცისტები ღალატობენ ახლა კემშარიტებას. არამედ ნიკიერი და პროგრესულად მოაზროვნე მოღვაწეებიც ვეღარ ახერხებენ გასაგებად გამოთქვან თავიანთი აზრები და სინამდვილის ყოველ მოვლენას შესაფერი სახელი უწოდონ: „Говоря о том, что литература не всегда может отражать современное ей общество, показывать состояние цивилизации и науки,—წერს ის,—мы имеем в виду не всякого борзописца и бумагомарателя, а действительно полезных деятелей науки и литературы, не всегда высказывающих вполне свои идеалы... На этом основании мы имели полное право сказать, что ход и развитие литературы зависят от условий, в которые она поставлена. Внимательное изучение этих условий дает читателям верное понятие о литературе“...

რუსული ლიტერატურისა და რუსი მკითხველი საზოგადოებების ურთიერთდამოკიდებულების საკითხს ნ. ნიკოლაძე კვლავ შეეხო 1875 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში — „Критические очерки“<sup>1</sup>.

1856—1861 წლებში, ამბობს ის, მწერლობა და მკითხველი საზოგადოება დაკავშირებული იყო ერთი საერთო იდეალებით და რწმენით; ლიტერატურა წარმოადგენდა, თითქმის, ერთადერთ წყაროს გონებრივი განვითარებისათვის, „в ней одной искали... путеводную нить жизни; в ней одной находили отдых от безотрадной действительности и надежду на лучшие времена. Литература была тогда не только ,руководительницей, но и

<sup>1</sup> „Тифлисский Вестник“, 1875, № 91.

другом читающего люда. Она пользовалась не только влиянием, но и доверием и любовью его.

Стоит только перенестись к эпохе благотворного влияния Белинского, или к тому недавнему, но слишком отдаленному времени, когда литература 1856—1861 гг. возбуждала к себе безпределные симпатии нашего общества. В эти времена, все что жило в России умственной жизнью; все что способно было стремиться к благородным идеалам человеческого существования, дышало одною общею жизнью с литературой. Между писавшим и читавшим существовала неразрывная связь общей веры, общих стремлений и надежд...

1861 წლიდან კი, ნ. ნიკოლაძის შეხედულებით, რუსულ ლიტერატურას აღარა აქვს ის გავლენა, რომელიც მას ადრე ჰქონდა მკითხველ საზოგადოებაზე. ამის მიზეზს ის ხედავს იმაში, რომ აღარ არიან ისეთი ტალანტები, როგორებიც იყვნენ წინა პერიოდში: ბელინსკის, ჩერნიშევსკის და დობროლიუბოვს აღარა ჰყავთ მათი შესაფერისი გამგრძელებლები. ამასთან, აღარ არიან არა მარტო გოგოლები, არამედ პომიალოესკებიც კი: „Обобщительная, развивательная способность этих талантов заменилась расплывчатым, детальным, „наблюдательным“ писанием теперешних талантов. Нет ума, который-бы принял современную жизнь, который-бы разглядел ее главные пружины и первенствующее течение, который-бы обобщил, олицетворил злобу сегодняшнего дня, и направил на нее все усилия и силы литературы“.

გარდა ამისა, შეიცვალა თვით მკითხველი საზოგადოება: „От роли „лишних людей“ , сложа руки томившихся в „среде“ и преимущественно занятых умственными интересами, она превратилась в практического деятеля“...ასეთი, სრულიად ახალი მკითხველი საზოგადოებისათვის, ამბობს ნ. ნიკოლაძე, საჭირო იყო ახალი ლიტერატურა; მას ვეღარ დააკმაყოფილებდა ლიბერალური ფრაზები, და თუ გნებავთ, მოქალაქეობრივი მოტივები. ამიტომ, საზოგადოებამ და ლიტერატურამ ლაპარაკი დაიწყეს ერთმანეთისათვის გაუგებარ ენაზე.

მკითხველი საზოგადოების ასეთი განვითარება, ნ. ნიკოლაძის თქმით, სასიამოვნო მოვლენად უნდა მიგველო, რადგან ეს მიუთითებს მის პრაქტიკულ გათვითცნობიერებაზე, „но, тут есть своего рода „н о“...კერძოდ, ყოველგვარ ცალმხრივ განვითარებას

აქვს თავისი უარყოფითი მხარე: „Наше общество освободилось от умственной опеки литературы... Но за то, есть одна область человеческой жизни, где трудно шагать со своим опытом... Это — область нравственной деятельности человека“.

როდესაც ნ. ნიკოლაძე ლიტერატურული ტალანტების სისუსტეზე ლაპარაკობს სამოცდაათიან წლებში, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ის ვერ ამჩნევდა ამ დროს მოღვაწე დიდ რუს მწერლებს. მაგრამ ის, როგორც ვხედავთ, გულნატკენია ისეთი ტალანტების დაღუპვით, რომლებსაც შეეძლოთ რევოლუციონერ-დემოკრატიული პოზიციებიდან შეეთასებიათ საზოგადოებრივ ცხოვრებაში მომხდარი ახალი მოვლენები და ლიტერატურისათვის მიეცათ სწორი და მტკიცე მიმართულება. თუმცა, ის, ამ მხრივაც, არაა მთლიანად უიმედო და უკმაყოფილო. ამას მოწმობს თუნდაც მისი შეხედულება მ. სალტიკოვ-შჩედრინის შემოქმედებაზე.

ნ. ნიკოლაძეს შესაძლებლობა ჰქონდა მეტად ახლოს გაეცნობოდა სალტიკოვ-შჩედრინს და მისი შემოქმედებითი მუშაობისა და მოქალაქეობრივი კეთილშობილების უშუალო მოწმე ყოფილიყო. ამიტომაც, მან განსაკუთრებული მწუხარება განიცადა ამ დიდი მწერლისა და მოქალაქის გარდაცვალების გამო. ვახეთ „Новое обозрение“-ში ნ. ნიკოლაძე წერდა: „В могилу вчера сошел писатель, в течение тридцати трех лет доблестно стоявший в самых первых рядах — а часто и во главе — русской литературы, писатель огромной, почти гениальной силы, которого будущие поколения русского народа никогда не забудут в признательном понимании великих творцов его самосознания и прогресса“<sup>1</sup>.

ნ. ნიკოლაძე მ. სალტიკოვ-შჩედრინს აფასებს როგორც გამოჩენილ რევოლუციონერ-დემოკრატ მოაზროვნესა და ნიჭიერ მხატვარს, რომელმაც, გოგოლის შემდეგ, ყველაზე დიდი როლი შეასრულა მხატვრული პროზის ხალხის ინტერესებისადმი დამორჩილების საქმეში; ის არ საკბროებს არავის შესწორებას, მან თავის აზრებს გამოუძებნა შესაფერი ფორმა, რომელიც არასოდეს არ მოკვდება და არ დაძველდება. „Ни у одного из великих писателей России, — წერს ის, — кроме разве Гоголя, не найдем мы такого возвышенного и правильного представления о назначении и служении беллетриста, каким проникнут был М. Е. Салты-

<sup>1</sup> „Новое обозрение“, 1889, № 1845.



შეფასებას ის ახდენს უკვე სხვა მიდგომით: ლაპარაკობს რა მათ დიდ მხატვრულ ოსტატობაზე, უყურადღებოდ არ ტოვებს მათი მსოფლმხედველობის სუსტ მხარეებსაც, რაც გარკვეულად მოქმედებდა შემოქმედებაზეც.

ლ. ნ. ტოლსტოი, ნ. ნიკოლაძის თქმით, იყო „ქეშმარიტი და უდიდესი მხატვარი“, რომელსაც ძნელად თუ მოეძებნებოდა ბადალი პროზაიკოსთა შორის მთელ მსოფლიოში. სიტყვის დიდ ოსტატსა და გენიალურ მხატვარ-ფსიქოლოგს ემარჯვებოდა ეპოქალური ტილოების შექმნა და რთული სიტუაციების მიმზიდველად გადმოცემა. მაგრამ, ამავე დროს, მისი შემოქმედება დაზღვეული არ იყო მცდარი დოქტრინების პროპაგანდისა და ცხოვრების სინამდვილის თვითნებური დამახინჯებისაგან. ამიტომ, კრიტიკას ვალად ედო მკაცრად ემხილება ბუმბერაზი რეალისტის იდეური ჩაყარდნები, რაც მით უფრო საშიში იყო, რომ მის უკან იდგა სახელმწიფოებრივი მხატვარი.

ასეთი პრინციპით ხელმძღვანელობდა ნ. ნიკოლაძე მაშინაც, როცა აქვეყნებდა თავის საინტერესო სტატიებს, მიძღვნილს ლ. ნ. ტოლსტოის „კრეიცერის სონატას“ გარჩევისადმი<sup>1</sup>.

კრიტიკოსის თქმით, დასკვნები, რომლებიც ლოგიკურად გამომდინარეობენ ლ. ტოლსტოის ამ ნაწარმოებიდან, მიუღებელია, თითქმის ველურია, „но за то, ах, как божественна описательная часть рассказа, как тонок и глубок психический анализ героя! Сколько тут жемчужин и перлов искусства!...“.

ნ. ნიკოლაძის შეხედულებით, ლ. ტოლსტოი დაღატობს სინამდვილეს, როცა პოზდნიშევს ცოლს აკლავინებს მაშინ, როცა ის გრძნობს თავისი მოქმედების უმართებულობას. და როგორ შეეძლო პოზდნიშევს კიდევ ეცოცხლა მას შემდეგ, როცა შეიგნო, რომ თვითონ იყო მიზეზი იმ ქცევისა, რისთვისაც მოკლა ცოლი და თავისი ხუთი ბავშვი მას შეცქერიან როგორც ბოროტმოქმედს? „Я не хочу с Вами спорить, — მიმართავს კრიტიკოსი მკითხველს,—и, чтобы не спорить, допущу, что я, убийца, уверившийся в своей неправоте, могу жить и проповедовать. Но найдется-ли на свете хотя-бы один спорщик, который-бы решился утверждать, что проповедь морали, вложенная в уста такого человека может воздействовать на ум читателя, может возбудить в последнем чувства сострадания и подъем духа? Нет, чтобы внушать веру, надо самому кишеть ею...“

<sup>1</sup> „Новое обозрение“, 1890, № 2245. 2246.



და თუ „კრეიცერის სონატა“, მიუხედავად მცდარი დოქტრინისა, მაინც ფართოდ გავრცელდა, ამბობს ნ. ნიკოლაძე. ეს იმიტომ, რომ ოჯახური ურთიერთობა, როგორც რუსეთში, ასევე სხვაგანაც, არის კრიტიკულ სტადიაში: ის, რაც ადრე დამაკავშირებელი ცემენტის როლს ასრულებდა და განაპირობებდა სისპეტაკესა და სიწმინდეს ოჯახური კავშირისას, უმეტეს შემთხვევაში ან მოისპო, ან გადაგვარდა; შეიცვალა როგორც კერძო, ასევე საზოგადოებრივი ცხოვრების ფორმა.

გარდა იმისა, რომ „კრეიცერის სონატა“ მცდარ დოქტრინაზეა აგებული, ის სხვა მხრივაც ვერ ტოვებს ჯანსაღ შთაბეჭდილებას. მასში საქმე გვაქვს რაღაც გამონაკლის ადამიანებთან, რომლებსაც არ აქვთ ნამდვილი ადამიანური ინტერესები. ისინი არ არიან ტიპიური სახეები, ისევე როგორც მასში აღწერილი ოჯახი არაა ტიპიური. მართალია, თანამედროვე ოჯახურ ცხოვრებაში ბევრია უცნაური და ავადმყოფური, მაგრამ ბოროტება სრულიად არ იმალება მასში, რაზეც მითითებულია „კრეიცერის სონატაში“ და არც მსგავსი ფორმით ვლინდება.

„К счастью,—შენიშნავს ნ. ნიკოლაძე,—Позднышвы могут встречаться далеко не как „тип“ современных людей, а разве как патологическое явление, в роде всяких других психопатов, которых никто в типы и проповедники, как известно, не возводит...“

Если-бы герой „Крейцеровой сонаты“ взят был из современной жизни, как ее типичный, средний представитель, то навряд-ли одно „джерсэ“ заглушило-бы в нем весь склад его морали, его мировоззрения, его жизни“.

ამ სტრიქონებს ნ. ნიკოლაძე წერდა რუსული გაზეთის ფურცლებზე და მწერლის სიცოცხლეში, რაც იმაზე მეტყველებს, რომ მას ღრმად სწამდა თავისი შეხედულებების სისწორე და მოვალეობად მიაჩნდა ყოფილიყო პრინციპული. შეიძლება ითქვას, რომ „კრეიცერის სონატას“ შესახებ გაკეთებული მისი ბევრი შენიშვნა მისაღები და გასაზიარებელია; მათი ავტორი არ არცხვენს ჩერნიშევსკის მოწაფის სახელს.

რუსული ლიტერატურის წარმატებისათვის გულწრფელი მებრძოლი ნ. ნიკოლაძე დიდი სიხარულით ხვდებოდა ყოველი ახალი ნიჭიერი მწერლისა და საყურადღებო ნაწარმოების გამოჩენას. მას ხშირად პირველი და საფუძვლიანი სიტყვის თქმაც უხდებოდა მათ

შესახებ. ამის მაგალითს წარმოადგენს თუნდაც მისი კრიტიკული სტატია ვსევოლოდ გარშინის მოთხრობების გამო<sup>1</sup>.

თავისი სტატიის შესავალში ნ. ნიკოლაძე შენიშნავს, რომ რუსი მკითხველი მოუთმენლად ელოდება გოგოლის მსგავსი მხატვრული ძალის გამოჩენას, რომელსაც შეეძლება ლიტერატურას მისცეს ახალი ჰორიზონტი, უჩვენოს უკეთესი გზები, შექმნას მკვეთრი სახეები, ტიპები და ფერები საზოგადოების ცხოვრებისა და მისწრაფებათა მაღალმხატვრული განზოგადებისათვის. მაგრამ ასეთი ძალა ჯერ კიდევ არ ჩანს.

ასეთ ვითარებაში გარშინის შემოქმედებისადმი დიდი ინტერესი აიხსნება, პირველყოვლისა, ავტორის ოსტატობით — მკითხველში გადაიტანოს ის განწყობილებანი, რომელთა ვავლენის ქვეშ იმყოფებოდა თვითონ მხატვარი: „А такого рода соответствие может быть вызвано только правдивою и безхитростною обрисовкой действительных, жизненных впечатлений“.

გარშინი წერს მხოლოდ მის შესახებ, რაც თვითონ უნახავს, განუცდია და კარგად იცნობს. მას აქვს მეტად მიმზიდველი სტილიც, რომელიც ხასიათდება ლაკონურობით, რელიეფურობით, ლირიზმით და თვითმყობადი ბუნებით. ამასთან ერთად, ამბობს ნ. ნიკოლაძე, „Гаршину удалось сделать достоянием литературы тип, служащий верным представителем массы разнородных лиц, встречающихся во всех слоях и едва ли не всех уголках России, тип людей, проникнутых „внутренним разладом“ и надорвавшихся в борьбе с собою“.

ნ. ნიკოლაძე გარშინის მოთხრობებს განსაკუთრებული აღტაცებით შეხვდა ცხოვრების რეალიზმის სწორი და მხატვრული გადმოცემის გამო; იმის გამო, რომ ავტორი კი არ ალამაზებდა სინამდვილეს, არამედ დიდი შემოქმედებითი ინდივიდუალობით ხატავდა მის ცალკეულ, საინტერესო სურათებს.

სამაგიეროდ ირონიით ლაპარაკობდა ის ისეთი რომანების შესახებ, როგორიც იყო გრაფ პ. ა. ვალუევის—„ლორინი“. ამ უკანასკნელისადმი მიძღვნილ კრიტიკულ სტატიაში—„Роман государственного человека“<sup>2</sup>, ნ. ნიკოლაძე შენიშნავს, რომ ის არაფერს წიტყვის „ლორინზე“, როგორც მხატვრულ ნაწარმოებზე, რადგან ასეთ ნაწარმოებს არც მოელოდა მისი ავტორისაგან. მას

<sup>1</sup> Н. Николадзе. Борцы поневоле, журнал „Отечественные записки“, 1882, № 11.

<sup>2</sup> „Отечественные записки“, 1882, № 4.

აინტერესებს მხოლოდ ის, თუ რას იძლევა ეს ნაწარმოები პოლიტიკური შეხედულებების სფეროში, სადაც შეიძლებოდა ავტორს თავისი დაკვირვებებითა და გამოცდილებით ესარგებლა. ახდენს რა ამ მიმართულებით ნაწარმოების ანალიზს, კრიტიკოსი შენიშნავს: „До какой степени одиночные умы... безсильны против стремлений и требований времени, доказывает участь труда гр. Валуева. В литературе нашей труд этот останется лишь „знамением времени“—не больше. Автор непреодолимою силою логики событий приведен к выводам, диаметрально противоположным его исходному пункту и его целям“.

ბ. ნიკოლაძის ლიტერატურულ მოღვაწეობაში, 80 იან წლებში; საყურადღებო მოვლენას წარმოადგენს ნ. ვ. შელგუნოვთან პოლემიკა, რასაც თავისი ისტორია აქვს. 1888 წელს გაზეთ „Неделя“-სა და „Русская мысль“-ს შორის დაიწყო პოლემიკა თემაზე: „О мрачных и светлых явлениях русской жизни“. „რუსსკაია მისლში“ ამ საკითხთან დაკავშირებით წერდა ნ. ვ. შელგუნოვი<sup>1</sup>. კამათმა ფართო გამოცხილი ჰპოვა. როგორც თვით ნ. ვ. შელგუნოვი ამბობს, „вопрос о „светлых и мрачных явлениях“ и „бодрящих впечатлениях“ обошел всю Россию. Родился он в Одессе в виде очень неразумного дитяти, перекочевал на Северный Кавказ, где тоже не обнаружил особенного разума, но зато показал свой характер, нашел себе отклик и поддержку в Петербурге, переселился на Волгу, в пределы Казанской губернии, значительно выросшим, поднялся за Урал, а теперь снова перекочевал на Кавказ, но уже не на Северный, а в Южный. Об этой последней перекочевке я и буду теперь говорить“.

ეს უკანასკნელი კი ბ. ნიკოლაძე იყო, რომელმაც სადავო საკითხებთან დაკავშირებით თავისი მოსაზრება გამოთქვა გაზეთ „Новое обозрение“-ს ფურცლებზე<sup>2</sup>. ნიშანდობლივია, რომ ეს ორიცნობილი სამოციანელი მოღვაწე ერთმანეთს ეკამათებთან დიდი ურთიერთპატივისცემით მაშინაც კი, როცა მათი შეხედულებები თითქოსდა გარკვეულად უპირისპირდებიან.

ბ. ვ. შელგუნოვი ბ. ნიკოლაძის სტატიის შესახებ ამბობს: „Мелетон написан тонко, с обычным его автору мастерством и оытностью и с полным соблю-

<sup>1</sup> Н. В. Шелгунов. „Очерки русской жизни, „Русская мысль“, 1889, № IV.

<sup>2</sup> Новое обозрение, 1889, № 1736.

დენიემ ვსსხ ლიტერატურნის პრილიჩინი“. ის იწონებს ნ. ნიკოლა-  
დის მიერ მოშველებულ ფაქტებსა და პოლემიკის ტონსაც.

ნ. ვ. შელგუნოვსა და ნ. ნიკოლაძეს შორის აზრთა სხვადა-  
სხვაობას თავი უჩენია დაკავშირებით იმასთან, რომ—შეინიშნებო-  
და პროგრესი რუსულ საზოგადოებრივ აზრსა და, კერძოდ, პუბ-  
ლიცისტიკაში 80-იან წლებში, შედარებით 60-იან წლებთან, თუ  
არა?

ნ. ნიკოლაძის აზრით, „безспорно, положение нашей пе-  
чати, даже и столичной, теперь не блистательно. Но надо  
быть слепцом, чтобы не видеть, насколько оно недостижимо  
выше положения печати 1860—1866 гг.“.

ნ. ვ. შელგუნოვი არ იზიარებს ამ შეხედულებას და იმ  
აზრისაა, რომ იმდროინდელი პუბლიცისტიკა და საზოგადოებრივი  
აზრი საერთოდ გაიტაცა მხოლოდ მრეწველობის საკითხებმა და  
პრაქტიკულ-მომგებიან საქმეებზე მსჯელობამ.

უნდა პირდაპირ ითქვას, რომ ნ. შელგუნოვი ამ მხრივ მართა-  
ლი იყო. იმდროინდელი პრესა მართლაც განსაკუთრებულ ინტერესს  
იჩენდა წმინდა პრაქტიკული საკითხებისადმი. მაგრამ სადავოა ის,  
თუ როგორ უნდა შეფასდეს ამ საკითხებისადმი ასეთი ინტერესი.  
კერძოდ, ნ. ნიკოლაძეს ეს მიაჩნდა საზოგადოებისა და საზოგა-  
დოებრივი აზრის არა ჩამორჩენის, არამედ ზრდის გამოხატუ-  
ლებად.

ნ. ნიკოლაძემ საკიროდ ჩათვალა პასუხი გაეცა ნ. შელგუნო-  
ვისათვის და ზოგიერთი განმარტება გაეკეთებინა პირველ წერილ-  
ში გამოთქმულ შეხედულებებთან დაკავშირებით<sup>1</sup>. მისი აზრით,  
ნ. შელგუნოვმა მისი ზოგიერთი მოსაზრება სწორად ვერ გაეგო, რის  
გამო სადავოდ გახდა ისინი. „Нисколько не отрицая изобилия  
в нашей современности мрачных явлений и даже издеваясь  
над наивным превозношением писателями „Недели“ мелких  
„светлых“ фактиков наших дней, я,—წერს ნ. ნიკოლაძე,—тем  
не менее, утверждал, что

В надежде славы и добра

Гляжу вперед я без боязни“.

Мысль моя заключалась лишь в том, что умственных и  
нравственных сил теперь у России несравненно больше, чем

<sup>1</sup> „Новое обозрение“, 1889, № 1845.

было их у нас тридцать лет тому назад, а потому и осуществление ее идеалов ей теперь легче, чем было тогда“.

შეიძლება ითქვას, რომ, ამ შემთხვევაში, ნ. ნიკოლაძე უდავოდ სწორ პოზიციაზე დგას. ის გამოდის არა ცალკეულ ტალანტთა არსებობა-არარსებობის ფაქტიდან, არამედ; საერთოდ, საზოგადოებრივი განვითარების დონედან, რასაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა.

ნ. ნიკოლაძე ნ. შელგუნოვს არ ეთანხმება არც იმაში, რომ პუბლიცისტიკის მთავარ დანიშნულებად თითქოს მას მიიჩნდა სამრეწველო-ეკონომიური საკითხების გამოცოცხლება და გარღვევა, საქმის იდეური მხარის, რუსული ცხოვრების იდეურ-გონებრივი განვითარების ანგარიშზე.

ნ. ნიკოლაძე არ იზიარებს აგრეთვე ნ. შელგუნოვის შეხედულებას 40-იანი და 60-იანი წლების რუსული მწერლობის ურთიერთობისა და თავისებურებების შესახებ. „Проповедь „человечности“, гуманности, правды в общественных отношениях, в цепи преемственно слагавшихся стремлений русской литературы,—წერს ის,—относится, главным образом, к поколению писателей сороковых годов. Писатели шестидесятых получили эти идеи, как готовое наследие предков. То, что они сами внесли нового в склад русского развития—было уже совсем другое. Они отличаются проповедью самостоятельности и самоуправления, общестственности, единения интересов и стремлений, на началах взаимности. С этой точки зрения, истинное развитие этого направления, доставление ему жизненного торжества, согласиться тоже решительно невозможно, раз литература будет держаться исключительно в сфере идейной жизни. Не уклоняясь от этой идейности, не забывая принципов, ею созданных, она должна выработать исподволь их применение к наличным интересам народа и общества. В самом деле, лишь близко подойдя к существующим интересам, возможно обучить людей, ими всецело поглощенных—а таких необъятное большинство—искусству сочетать и осуществлять их „с наибольшею пользою для наибольшего числа“, искусству устанавливать братские, человеческие отношения, наукой и литературою добытые; между разрозненными силами и противоречащими интересами отдельных личностей и групп...“

Завидна, конечно, роль предводителей умственной жизни современного общества, роль законодателей мысли, в особенности на высших ее высях. Но едва ли уместно неспра-

ვედლივოს, ომნიანი, ს იხ სტორონი, კ თემ იმპონიტსიამ ილი პრინენიტსიამ, კორიე ვოდუი ატი ზაკონი ვ სოკონენი, ვ ზიანი ი პლოტი მასს, ბეზ სოკუვსტიანი ი პოდდერზკი კოიხ ვსაკის, დანი ი პრესვიპრენნიე ზაკონი ი იდეალე ოსუზდენი ოსთავიტი სერტივუ ბუკვუ ი დოსთანიემ ნესკოლკიხ, უედიენნიხ ოტ ზიანი, სჩასტილცუვ“.

ეს ვრცელი ამონაწერი კიდევ უფრო სრულ წარმოდგენას გვაძლევს ნ. ნიკოლაძის მეთოდოლოგიური ხასიათის შეხედულებებზე, რომლებითაც ის სარგებლობდა რუსული ლიტერატურის საკითხებისადმი მიძღვნილ ისტორიულ-ლიტერატურული შინაარსის წერილებში. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ნ. ნიკოლაძისათვის, როგორც ლიტერატორისა და, საერთოდ, მოაზროვნისათვის, ყოველთვის უცხო იყო „პესიმიზმი“. ის არასოდეს არ იეიწყებდა წარსულის მიღწევებს, წარსულის გაკვეთილებს, მაგრამ უკეთესი მომავლისათვის საბრძოლველად დასაყრდენს ყოველთვის თანამედროვეობაში ეძებდა, აწმყოში პოულობდა პროგრესულსა და საიმედოს. ამგვარი რწმენიდან გამომდინარე, ნ. ვ. შელგუნოვის მისამართით ის შენიშნავს: „Нужно видеть жизнь такую, какая она есть. Усилиями целого ряда поколений жизнь наша, тридцать лет тому назад, проявила видимый и осязательный для всех расцвет. Расцветом этим мы дорожим не меньше всякого другого. Если с тех пор в русской общественной жизни не было такой «яркой весны», то это несколько не значит, чтобы мы с тех пор не подвинулись вперед..“

Как земледелец, я знаю, что работу надо продолжать, что она задаром пропасть не может, что весна придет, что жизнь бессмертна“ ...

მართლაცდა, ნ. ნიკოლაძეს არასოდეს ჩაქრობია ენთუზიაზმი და არ დაკარგვია იმედი გაზაფხულის დადგომისა: ის ახალგაზრდული ენერჯით მოღვაწეობდა სიკვდილამდე და ყველა ძველ კოლეგას, რომელთაც კი წილად ხვდათ „განახლების გარიგრავს“ შეხვედროდნენ, ულოკავდა ხანგრძლივ და შედეგიან მოღვაწეობას. ამ ნხრივ ინტერესს არაა მოკლებული მისი სტატია დაწერილი ცნობილ ლიტერატურათმცოდნე კ. კ. არსენიევის იუბილის გამო<sup>1</sup>.

<sup>1</sup> „Русская поля“, 1917, № 22.

საერთოდ, რუს მწერალთა შემოქმედებისა და რუსული ლიტერატურის საკითხებისადმი მიძღვნილი ნ. ნიკოლაძის წერილები და ცალკეული შენიშვნები უდავოს ხდიან, ერთი მხრივ, მის დიდ სიყვარულსა და ინტერესს რუსული კულტურისადმი, მეორე მხრივ, იმ სწორ პოზიციას, რომელიც მას ეჭირა მათი შეფასების დროს.

\* \* \*

როცა ამის შესაძლებლობა ეძლეოდა, ნ. ნიკოლაძე თავის სასიამოვნო მოვალეობად თვლიდა ეწერა არა მარტო ქართული და რუსული, არამედ ევროპული ლიტერატურის საკითხებზეც. მან ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდამ გამოამუშავა კარგი ერუდიცია და ფართო ლიტერატურული ინტერესები, როცა გაზეთ „ნა-როდნოე ბოგატსტვოს“ ფურცლებზე, 1864 წელს (№ 66), გამოაქვეყნა რეცენზია იულიან შმიდტის ნაშრომზე — „Обзор английской литературы XIX столетия“.

ვრცელ რეცენზიაში ახალგაზრდა კრიტიკოსმა მოახერხა არა მხოლოდ საფუძვლიანი მეთოდოლოგიური ხასიათის შენიშვნები გაეკეთებინა წიგნის ავტორის მისამართით; არამედ ბევრი საინტერესო მოსაზრებაც გამოეთქვა ცნობილი ინგლისელი მწერლებიც შესახებაც, რაც გარკვეულად განსხვავდებოდა ოფიციალურ ლიტერატურაში გაბატონებული შეხედულებებისაგან. ეს ითქმის, მაგალითად, მის შენიშვნებზე ვალტერ სკოტის, ბაირონის, ტბის სკოლის“ და „ტენდენციური რომანის“ წარმომადგენლების შემოქმედებათა შესახებ.

ზოგიერთ ამ შეხედულებათა დაზუსტება შემდეგ თვითონ მან დაინახა საჭიროდ. ამიტომ მათ ნაკლოვანებათა კრიტიკაზე ამჯერად შეჩერება საჭირო არაა. მთავარი ისაა, რომ ახალგაზრდა რევოლუციონერ-დემოკრატი ნ. ნიკოლაძე აღნიშნულ წერილში მოითხოვს ლიტერატურის ისტორიკოსებმა წინ წამოსწიონ მწერლის შემოქმედებითი ინდივიდუალობა, აჩვენონ ის პროგრესული, რითაც ესა თუ ის მწერალი სასარგებლო და საყვარელია ხალხისათვის. ის ირონიულად ლაპარაკობს ი. შმიდტის კვლევის მეთოდზე და შენიშნავს: „На первом плане у него, как у немецкого ученого, стоит литературно-служебно-семейный формуляр“. ასეთი მეთოდის წყალობით, ამბობს ნ. ნიკოლაძე, ი. შმიდტს უფრო შორს არ შეუძლია წასვლა, ვიდრე ლორდათა მიერ ბაირონის შედულების მიზეზი ამ უკანასკნელის ოჯახურ ცხოვრებაში დაინახოს, და იქვე შენიშნავს: „Разве Развод Ба-

ჰრონა был до такой степени безнравственен, что вооружал против него все высшее сословие? Нет, мы думаем, что корень, причина ненависти лежит гораздо глубже—в самых сочинениях Байрона, возбуждавших против него его соотечественников“.

ი. შმიდტი, ნ. ნიკოლაძის თქმით, ბაირონში პოულობს მხოლოდ ერთ ღირსებას—ღირსებას წმინდა მხატვრული ხასიათისას. ეს ღირსება, ცხადია, აშკარად ამკობს მას, მაგრამ ეს არაა მთავარი. მთავარი არის ის, რაც არ სურს თქვას შმიდტმა. ესაა ბაირონის შეუღრეკელი ნებისყოფა და ბოძოქარი სული, რომელიც ხალხის და არა არისტოკრატების სამსახურშია.

ნ. ნიკოლაძის შეხედულებით, მთელი რიგი თავები (მაგალითად, თავი „ტბის სკოლის“ შესახებ) ი. შმიდტის ნაშრომში ისე, სუსტადაა წარმოდგენილი, რომ მათი კრიტიკის საგნად აღებაც არ ღირს, მაგრამ არ შეუძლია არაფერი თქვას „ტენდენციური რომანის“ წარმომადგენელთაღმე ავტორის უსულგულო დამოკიდებულებაზე, რაც ყოველმხრივ გაუმართლებელია. „Мы считаем,—წერს ის,—совершенно окончанным спор об искусстве: вопрос—должны ли искусство и поэзия иметь какую-либо цель, кроме самих себя—занимал и мог занимать только наших предков. Теперь доказано, как нельзя лучше, что искусство должно иметь своею целью—жизнь, жизнь целого общества и народа. Так как романы современных английских писателей—тенденционистов в значительной доле удовлетворяют своему назначению—описывать народную и общественную жизнь, смешно было бы теперь спорить о том, есть ли в них поэзия и не поругано ли ими искусство“.

აღნიშნულ წერილში ნ. ნიკოლაძე მაღალ შეფასებას აძლევს როგორც დიკენსის, ასევე ტეკერეის შემოქმედებას, მაგრამ მაინც იგრძნობა რომ წინ დიკენსს აყენებს. ასეთი შეხედულება მას მალე გადაუსინჯავს. ეს ჩანს იმ სტატიიდან, რომლის მანანია დიკენსისა და ტეკერეის შედარებითი დახასიათება<sup>1</sup>.

„ხუმრობით, ნაზი დაცინებით... დიკენსი,—წერს ნ. ნიკოლაძე,—ინგლისის საზოგადოების სუსტ და უხეირო მხარეებს ხატავს... მკითხველი მის თხზულებაში თავისი ნაცნობების და მეგობრების, ხშირათ თავის საკუთარ სასესაც ხედავდა, და თან იცი-

ნ. ნიკოლაძე, დიკენსი და ტეკერეი, გაზეთი „დროება“, 1872, № 25.



წოდა მათ ბაიბრუობაზე, თან უკეთეს ზნეს და ყოფა-ქცევას ეჩვეოდა...

...დიკენსი მკითხველს უბედურების და ღარიბების თავს შეაბრალებდა და გაჭირვებულ ხალხის შეწყნარებას უძრავდა გულში. მართალია, ამ შებრალებას და შეწყნარებას იმისთანა ძალა არ ჰქონია, როგორც ზოგიერთი სხვა მწერლების თხზულებაში; დიკენსის კალმის ქვეშ, ის გრძნობა უფრო თხოვნას, ვედრებას გავდა, მაგრამ ეხლანდელ საზოგადოებაში ეგეც კარგია...

ტეკერეის თხზულებებში უფრო ძლიერი ქუთა და ფიქრი მოჩანდა, ვინემ დიკენსის რომანებში: ტეკერეს დიკენსზე უფრო კარგად ესწოდა, რაში მდგომარეობს ეხლანდელი ცხოვრების სისაძაგლე და ვნება: ის ხატავს განსაკუთრებით იმისთანა სურათებს, რომელიც არა თუ მარტო სასაცილოა, არამედ საძაგელი და მავნებელია. და მის სურათებში უფრო სასტიკი წყევლა და გინება გამოისმის, ვინემ გულ-ტკბილი სიცილი. ამგვარია, მაგალითად, მისი... განთქმული რომანი „ამაოების ბაზარი“ და დანარჩენი მისი თხზულებები; როგორც „ნიუკომები“, „ვირგინიელები“ და სხვ. ყველა ამ თხზულებებში სასტიკათ გალანძღულია ინგლისის დიდკაცობა... მისი ანგარებით და ხალხის დაუზოგველობით. ერთი სიტყვით, დიკენსი მკითხველის პატიოსანი და გულტკბილი დამრიგებელი და გამხიარულებელია, ტეკერეი კი ქკვიანი, გონიერი და ნუდამ მართალი, ხალხის ზნის გამსწორებელი და საზოგადოების გამწოლტველი. დაცინებას დიკენსი მკითხველის მხიარულებისათვის ხმარობს, ტეკერეს ხელში კი დაცინება საზოგადოების გამწვრთნელი და დამაკვირებელი იარაღია“.

ამგარაა, რომ 60-იან წლებში ასეთ თვალსაზრისზე დგომა ნხოლოდ პროგრესულად მოაზროვნესა და ერუდიტ ლიტერატორს შეეძლო. ამას დავუმატოთ ისიც, რომ ნ. ნიკოლაძე მხოლოდ ინგლისური ლიტერატურის საკითხებზე როდი წერდა. ის არანაკლები ინტერესით სწავლობდა ევროპის სხვა ქვეყნების ლიტერატურასა და კულტურას. ამისათვის საკმარისია მოვიგონოთ თუნდაც მისი საინტერესო ნაშრომი „La presse de la decadance“, რომელიც პარიზში გამოცა 1875 წელს და რომელმაც ფრანგი მოწინავე ადამიანების აღფრთოვანება გამოიწვია, როგორც თავის შინაარსით, ასევე მშვენიერი ფრანგული ენით. მასვე ეკუთვნის საყურადღებო სტატიები პიერ ლოტის, ანრი როშფორის და

სხვათა შესახებ. ყველა მათგანი ლიტერატურის ისტორიკოსის ყურადღებას იმსახურებს ავტორის მატერიალისტური ესთეტიკის პრინციპზე დგომითა და მაღალი ლიტერატურულა გემოვნებით.

საერთოდ, ნ. ნიკოლაძის თეორიული და ისტორიულ-ლიტერატურული შეხედულებების დიდ ნაწილს დღემდე არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა. მათ ღრმად და ყოველმხრივ შესწავლას გარკვეული სარგებლობა შეუძლია მოუტანოს გასული საუკუნის ქართული ლიტერატურის მეცნიერულ დამუშავებას.

თავისი ლიტერატურული შეხედულებებით, ნ. ნიკოლაძესთან ყველაზე უფრო ახლოს იყო გ. წერეთელი, რომელსაც დიდი დამსახურება მიუძღვის ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში მატერიალისტური ესთეტიკის პრინციპების დამკვიდრების საქმეში\*.



---

\* გ. წერეთლის ლიტერატურული შეხედულებების შესახებ მსჯელობა გვექნება სხვა დროს.

## შ ი ნ ა ა რ ს ი

	მკ.
1. წინასიტყვაობა	5
2. შესავალი	7
3. საქართველო მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში	73
4. ქართული ლიტერატურა რომანტიზმიდან რეალიზმისაკენ	123
5. კრიტიკული რეალიზმი 40—50-იანი წლების ქართულ ლიტერატურაში და მისი თავისებურებანი	148
6. ქართველ სანოცინელთა გამოსვლა სამწერლო ასპარეზზე. „თერგდალეულები“ პეტერბურგის უნივერსიტეტში და მათი შრომითობა რუს რევოლუციონერ-დემოკრატებთან	207
7. იდეურ-ლიტერატურული ბრძოლა 60—70-იან წლებში. კრიტიკული რეალიზმის გაბატონება ქართულ ლიტერატურაში	304
8. „თერგდალეულთა“ ლიტერატურული შეხედულებები რეალიზმის თეორიის შუქზე	509

რედაქტორი რ. ორჯონიკიძე  
ტექრედაქტორი ან. ლვინიაშვილი  
კორექტორი თ. ცინცაძე

გადაეცა წარმოებას 21/VI 56 წ. ხელმოწერილია,  
დასაბეჭდად 15/IV 57 წ. ანაწყოების ზომა 6×10.  
ქალაქის ზომა 60×92. ნაბეჭდი თაბახი 42.  
შე 06714. ტირაჟი 7,000. შეკვეთის № 800.

ფასი 17 მან. 20 კაპ.

---

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობის  
სტამბა-ლითოგრაფია, უნივერსიტეტის, 1.

Типо-литография издательства Тбилисского государственного  
университета им. Сталина, Университетская, 1.